ფიოდორ დოსტოევსკი

ყმაწვილი

ნაწილი პირველი - თავი პირველი - I

ვეღარ მოვითმინე და ჩავუჯექი ცხოვრების სარბიელზე ჩემი პირველი ნაბიჯის ამ ისტორიის აღწერას, თუმცა უამისობაც შემეძლო. ერთი რამ ვიცი დანამდვილებით; ას წლამდე რომ ვიცოცხლო, ხელმეორედ აღარასოდეს დავუბრუნდები ჩემი ავტობიოგრაფიის წერას. ზედმეტად უნდა გიყვარდეს შენი თავი, რომ საკუთარ თავზე წერდე და არ შეგრცხვეს. იმითღა ვიმართლებ თავს, რომ არ ვწერ იმისთვის, რისთვისაც წერენ ყველანი, ესე იგი, არ ვწერ იმისთვის, რომ მკითხველმა შემაქოს. თუ უცებ აზრად მომივიდა, სიტყვასიტყვით ჩამეწერა ყველაფერი, რაც თავს გადამხდა შარშანს აქეთ, ეს იმიტომ, რომ ასეთი იყო ჩემი შინაგანი მოთხოვნილება, ისე შემძრა ყოველივე განცდილ-გადატანილმა. მე ვწერ მხოლოდ ამბებს და ყველანაირად თავს ვარიდებ რაიმე გარეშეს, მეტადრე ლიტერატურულ კაზმულობას: ლიტერატორი წერს მთელი ოცდაათი წელიწადი და ბოლოს სულაც არ იცის, რისთვის წერდა ამდენ წელიწადს... მე ლიტერატორი არ გახლავართ, არც მინდა ვიყო. და ჩემი სულიერი ამბებისა და განცდათა ლამაზი აღწერის ლიტერატურულ ბაზარზე გატანასაც უზრდელობად და სულმდაბლობად მივიჩნევდი. გულისტკენით კი ვგრძნობ, მგონი, ამას მთლად ვერ მოვახერხებ და ალბათ მაინც აღვწერ განცდებსა და ფიქრებს (იქნებ უხამსსაც): ისე გამხრწნელად მოქმედებს ადამიანზე ყოველგვარი ლიტერატურული საქმიანობა, თუნდაც მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი თავისთვის წამოწყებული, ფიქრები კი იქნებ მეტისმეტად უხამსიც იყოს, რადგან ადვილი შესაძლებელია, იმას, რასაც შენ თვითონ აფასებ, სხვის თვალში არავითარი ღირებულება არ ჰქონდეს, მაგრამ ამას თავი დავანებოთ. თუმცა, აი, ესეც წინასიტყვაობა, სხვა ამგვარი აღარაფერი იქნება. ახლა საქმეს მივხედოთ; თუმცა, არაფერია იმაზე უფრო თავსამტვრევი, ვიდრე რაიმე საქმის ან იქნებ, ყოველი საქმის წამოწყება.

II

მე ვიწყებ, ესე იგი, მინდა დავიწყო ჩემი ჩანაწერები შარშანდელი ცხრამეტი სექტემბრიდან, ანუ, სწორედ იმ დღიდან, როცა პირველად შევხვდი...

მაგრამ უხამსობა იქნებოდა ამეხსნა, თუ ვის შევხვდი, ისე, წინდაწინვე, როდესაც არავინ არაფერი იცის. მე რომ მკითხოთ, თვით ეს ტონიც უხამსია: ჩემს თავს სიტყვა მივეცი, ლიტერატურულ კაზმულობას არ გამოვეკიდები-მეთქი. პირველი სტრიქონიდანვე კი ავყევი ამ კაზმულობას. ესეც არ იყოს, გასაგებად რომ დაწერო კაცმა, მგონი, ამის მარტო სურვილი არ კმარა. იმასაც ვიტყვი, რომ მგონი, არც ერთ ევროპულ ენაზე ისე ძნელი არ არის წერა, როგორც რუსულად. აი, გადავიკითხე, რაც ახლა დავწერე, და ვხედავ, რომ ამ წერილზე გაცილებით ჭკვიანი ვარ. როგორ ხდება, რომ ჭკვიანი კაცის თქმული გაცილებით სულელურია იმაზე, რაც მის გულში რჩება?! ამ ბოლო, საბედისწერო წლის განმავლობაში ბევრჯერ შემიმჩნევია ეს, ხალხთან ჩემი სიტყვიერი ურთიერთობის დროსაც და ბევრიც მიტანჯია ამის გამო.

ცხრამეტი სექტემბრიდან კი დავიწყებ, მაგრამ მაინც ორიოდე სიტყვას ჩავურთავ, თუ ვინ ვარ, სად ვიყავი მანამდე და, მაშასადამე, თუნდაც ნაწილობრივ რა შეიძლებოდა მქონოდა თავში ცხრამეტი სექტემბრის დილას, რომ მკითხველისთვის, და იქნებ ჩემთვისაც, უფრო გასაგები გახდეს ყველაფერი.

III

მე გახლავართ კურსდამთავრებული გიმნაზიელი, ახლა უკვე ოცდამეერთე წელში გადავედი. ჩემი გვარია დოლგორუკი, იურიდიულად მამაჩემი მაკარ ივანოვიჩ დოლგორუკია, ბატონი ვერსილოვების ყოფილი შინაყმა. ასე და ამგვარად, მე გახლავართ კანონიერი, თუმცა სრულიად უკანონო შვილი, და ჩემი წარმომავლობა არავითარ ეჭვს არ იწვევს. საქმე ასე მოხდა: ამ ოცდაორი წლის წინ მემამულე ვერსილოვი (სწორედ ის გახლავთ მამაჩემი), ოცდახუთი წლისა, ჩავიდა თავის მამულში, ტულის გუბერნიაში. ვფიქრობ, მაშინ ის ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული პიროვნება. საინტერესოა, რომ ეს კაცი, რომელმაც ბავშვობიდანვე ესოდენ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, ასეთი საფუძვლიანი გავლენა იქონია ჩემს სულიერ ჩამოყალიბებაზე და იქნებ ჩემს მომავალზეც კარგა ხანს იმოქმედოს, - აი, ეს კაცი ახლაც კი ბევრ რამეში ისევ სრული გამოცანაა ჩემთვის. თუმცა, საკუთრივ ამაზე მერე მოგახსენებთ. ამას ასე ადვილად ვერ მოჰყვები. მთელი ჩემი რვეული ისედაც ამ ადამიანით იქნება სავსე.

ვერსილოვი სწორედ იმ დროისთვის, ესე იგი, თავისი ცხოვრების ოცდამეხუთე წლისთავზე, დაქვრივდა. ცოლად ჰყავდა მაღალი წრის, არცთუ მაინცდამაინც მდიდარი ქალი, ფანარიოტოვა, რომლისგანაც ქალ-ვაჟი შეეძინა. ძალიან ცოტა რამ ვიცი ამ ქალის შესახებ, რომელმაც ესოდენ ადრე დატოვა მეუღლე, და რაც ვიცი, ისიც ჩემს მასალებშია გაბნეული; თანაც, ბევრი რამ გამომეპარა ვერსილოვის პირადი ცხოვრებიდან, ისე ამაყად, ქედმაღლურად, გულჩათხრობილად და დაუდევრად მეპყრობოდა ეს კაცი მუდამ, თუმცა ხანდახან გავუოცებივარ ჩემ მიმართ გამოხატული თავმდაბლობის გამო, იმას კი ამთავითვე აღვნიშნავ, რომ თავის სიცოცხლეში მან გაანიავა სამი, თანაც საკმაოდ დიდი ქონება, სულ ოთხასი ათასი, და მგონი, მეტიც. ახლა, ცხადია, გროშიც აღარ აბადია.

ჩავიდა მაშინ სოფლად, „ღმერთმა უწყის, რატომ“, ყოველ შემთხვევაში, თვითონ ასე მითხრა შემდეგ. პატარა ქალ-ვაჟი, ჩვეულებისამებრ, თან არ წაუყვანია, ისინი ნათესავებთან ცხოვრობდნენ. ვერსილოვი მთელი სიცოცხლე ასე ექცეოდა თავის შვილებს, კანონიერებსაც და უკანონოებსაც. მამულში შინაყმა საკმაოდ ბევრი ჰყავდა; მათ შორის იყო მებაღე, მაკარ ივანოვიჩ დოლგორუკიც. ბარემ აქვე ვიტყვი, რომ

ერთხელ და სამუდამოდ მოვრჩე სათქმელს: არა მგონია, ვინმეს ასე გადმოენთხიოს ბოღმა თავის გვარზე, როგორც მე, მთელი ჩემი დღე და მოსწრება. ეს, რა თქმა უნდა, სისულელე იყო, მაგრამ ასე კი გახლდათ. ყოველთვის, როცა კი შევსულვარ რომელიმე სკოლაში ან შევხვედრივარ ისეთ პირს, ვისთვისაც ჩემი ასაკის გამო პასუხი უნდა გამეცა, ერთი სიტყვით, მასწავლებელი იქნებოდა, გუვერნიორი, ინსპექტორი თუ ხუცესი, ყველა, ვინც გნებავთ, როგორც კი მკითხავდნენ გვარს და გაიგებდნენ, რომ დოლგორუკი ვარ, რატომღაც უსათუოდ საჭიროდ მიიჩნევდნენ, დაინტერესებულიყვნენ:

- თავადი დოლგორუკი?

და ყოველთვის ვალდებული ვიყავი, ამეხსნა ამ მოცლილი ხალხისთვის:

- არა, უბრალოდ დოლგორუკი.

ბოლოს იქამდე მივედი, რომ ეს ლამის ჭკუაზე მშლიდა. აქვე აღვნიშნავ როგორც ფენომენს, რომ არ მახსოვს არც ერთი გამონაკლისი: მეკითხებოდა ყველა. ზოგს ეტყობოდა, ეს სრულიადაც არ ესაჭიროებოდა: ან კი რა ჯანდაბად უნდა დასჭირვებოდა თუნდაც ვინმეს? მაგრამ მეკითხებოდა ყველა, უკლებლივ. ჩვეულებრივ, როგორც კი გაიგებდა, რომ უბრალოდ დოლგორუკი ვარ, შემკითხველი შემავლებდა უაზრო და ბრიყვულად გულგრილ მზერას, რაც იმას მოწმობდა, რომ თვითონაც არ იცოდა, რატომ შემეკითხა, და გამშორდებოდა. ყველაზე შეურაცხმყოფლად სკოლის ამხანაგები მეკითხებოდნენ. ხომ იცით, როგორ ეკითხება ხოლმე მოსწავლე ახალმოსულს? დაბნეული და დარცხვენილი, ხამი მოსწავლე პირველად რომ მივა სკოლაში (რომელშიც გნებავთ), საყოველთაო მსხვერპლი ხდება: მასზე მბრძანებლობენ, აჯავრებენ, ლაქიასავით ეპყრობიან. ჯანიანი და ჩასკვნილი ბიჭი უცბად წინ გამოეჭიმება თავის მსხვერპლს და რამდენიმე წამს მკაცრი და ამპარტავნული თვალით აკვირდება. ახალმოსული ხმაამოუღებლად დგას მის წინ, თუ გულდედალი არ არის, უბღვერს და ელის, რა მოხდება.

- რა გვარი ხარ?

- დოლგორუკი.

- თავადი დოლგორუკი?

- არა, უბრალოდ დოლგორუკი.

- ჰოო, უბრალოდ! სულელო!

მართალიცაა: აბა, იმაზე სულელური რა იქნება, დოლგორუკი გერქვას და თავადი კი არ იყო. ამ სისულელეს ისე დავატარებ, ვიცი, ბრალი არაფერში მიმიძღვის. მერე, როცა უკვე მეტისმეტად ვღიზიანდებოდი კითხვაზე:

- თავადი ხარ?

მუდამ ვპასუხობდი:

- არა, ყოფილი ყმის ვაჟი გახლავართ, შინაყმისა.

ხოლო ერთხელ, როცა ჩემი გაბოროტება ზღვარს გადასცდა, კითხვაზე: „თავადი ხართ?“ - მტკიცედ მივუგე:

- არა, უბრალოდ დოლგორუკი, ჩემი ყოფილი ბატონის, ვერსილოვის უკანონი ვაჟი ვარ.

ასეთი პასუხი მოვიგონე, როცა უკვე გიმნაზიის მეექვსე კლასში ვიყავი და თუმცა მალე დავრწმუნდი, სულელი ვარ-მეთქი, მაშინვე როდი დავანებე თავი ამ სისულელეს. მახსოვს, ერთმა მასწავლებელმა - თუმცა, ეს მეტს არც არავის უთქვამს - დაასკვნა, რომ „შურისმგებელი და სამოქალაქო იდეებით აღსავსე“ ვიყავი. საერთოდ კი, ეს საქციელი ჩემთვის რაღაც შეურაცხმყოფელი დაფიქრებით მიიღეს. ბოლოს ერთმა ამხანაგმა, ძალზე ენაკვიმატმა ყმაწვილმა, რომელსაც წელიწადში ერთხელ თუ გამოველაპარაკებოდი ხოლმე, სერიოზულად მითხრა, თუმცა ამ დროს თვალი კი მომარიდა:

- რა თქმა უნდა, ასეთი გრძნობის გამოხატვა ღირსებას გმატებთ, მაგრამ თქვენს ადგილას დიდად მაინც არ ვიზეიმებდი, ბუში ვარო... თქვენ კი ისე იქცევით, თითქოს თქვენს დაბადების დღეს აღნიშნავთ!

მას შემდეგ თავი აღარ მომიწონებია იმით, რომ ბუში ვარ.

გავიმეორებ, მეტისმეტად ძნელია რუსულად წერა: აი, სამი ფურცელი ავაჭრელე იმით, თუ რარიგ მაბრაზებდა მთელი სიცოცხლე ჩემი გვარი, მკითხველმა კი უთუოდ დაასკვნა, თითქოს სწორედ იმიტომ ვბრაზობ, რომ თავადი კი არა, უბრალოდ დოლგორუკი ვარ. ახლა კვლავ ახსნა-განმარტება და თავის მართლება ჩემთვის დამამცირებელი

იქნებოდა.

IV

იმას მოგახსენებდით, ჯალაბთა შორის, რომლებიც მაკარ ივანოვიჩის გარეშეც ბევრნი იყვნენ, გახლდათ ერთი ქალიშვილი, და თვრამეტი წლის იყო, როცა ორმოცდაათი წლის მაკარ დოლგორუკიმ უცებ განაცხადა, ცოლად უნდა შევირთოო. მოგეხსენებათ, ბატონყმობის დროს შინაყმათა ჯვრისწერა ბატონის ნებართვით, ზოგჯერ პირდაპირ მისი ბრძანებითაც კი ხდებოდა ხოლმე. იმხანად მამულში ცხოვრობდა დეიდა; ანუ, ის ჩემი დეიდა კი არ არის, თვითონაც მემამულეა; მაგრამ არ ვიცი, რატომ, მთელი სიცოცხლე ყველა დეიდას ეძახდა, ჩემს დეიდას კი არა, - საერთოდ დეიდას, ისევე როგორც ვერსილოვების ოჯახშიც, რომელსაც მართლა ნათესავად ერგებოდა. ეს გახლდათ ტატიანა პავლოვნა პრუტკოვა. მაშინ მას ჯერ კიდევ ჰყავდა თავისი ოცდათხუთმეტი სული იმავე გუბერნიასა და მაზრაში. ის კი არ განაგებდა ვერსილოვის მამულს (ხუთი სული იყო), არამედ მეზობლურად ეჭირა თვალი, და ეს მეთვალყურეობა, როგორც გამიგონია, რომელიმე განსწავლული მოურავის მეთვალყურეობას როდი ჩამოუვარდებოდა. თუმცა, კაცმა რომ თქვას, სრულებით არ მესაქმება, რისი შნო და უნარი ჰქონდა ტატიანა პავლოვნას, მინდა მხოლოდ დავურთო, ყოველგვარი პირმოთნეობის გარეშე, რომ ის კეთილშობილი და ერთობ ორიგინალური არსება გახლდათ.

აი, ამ ტატიანა პავლოვნამ არათუ არ გადაათქმევინა პირქუშ მაკარ დოლგორუკის შეუღლების მისწრაფება (ამბობენ, მაკარი მაშინ ერთობ პირქუში კაცი იყოო), არამედ პირიქით, რატომღაც ძალიან წაახალისა. სოფია ანდრეევნა (ის თვრამეტი წლის შინაყმა, ესე იგი - დედაჩემი) რამდენიმე წელი იყო, რაც სრულიად დაობლებულიყო. აღარც დედა ჰყავდა და აღარც მამა; მამამისმა, აგრეთვე შინაყმამ, რომელიც დიდ პატივს სცემდა მაკარ დოლგორუკის და რაღაცით ძლიერ დავალებულიც იყო მისგან, ექვსი წლით ადრე, სასიკვდილო სარეცელზე - იმასაც ამბობენ, თხუთმეტი წუთის შემდეგ სულიც დალიაო, ასე რომ, კაცს შეიძლებოდა, ბოდვადაც ჩაეთვალა მისი სიტყვები, როგორც ყმას, ისედაც რომ არ ჰქონოდა წართმეული ყველა უფლება, - მაკარ დოლგორუკი მოიხმო, მთელი ჯალაბისა და იქ მყოფი მღვდლის თანდასწრებით მიუთითა თავის ქალზე და ხმამაღლა და მტკიცედ უანდერძა: „აღზარდე და შეირთე“. ეს ყველამ გაიგონა. რაც შეეხება მაკარ ივანოვიჩს, არ ვიცი, რა აზრით შეირთო შემდგომ, ანუ - სიამოვნებით მოიქცა

ასე თუ მხოლოდ დაკისრებული მოვალეობა შეასრულა. უფრო საფიქრებელია, რომ სავსებით გულგრილი იყო. ეს გახლდათ კაცი, რომელიც მაშინაც ახერხებდა „თავის გამოჩენას“. დიდად ნაკითხი და მწიგნობარი არ ყოფილა (თუმცა, მთელი საეკლესიო წეს-მსახურება იცოდა, განსაკუთრებით - ზოგიერთი წმინდანის ცხოვრება, ოღონდ უფრო - ყურმოკვრით), არც, ასე ვთქვათ, შინაყმებს შორის რეზონიორობა (რეზონიორი - ვრცელი, უმეტესად, გარშემო მყოფთათვის ჭკუის დამრიგებლური მსჯელობის მოყვარული კაცი.) ეთქმოდა, - უფრო ერთი ჯიუტი, ხანდახან კი რისკიანი კაციც გახლდათ; ლაპარაკობდა რიხიანად, ურყევი განსჯა სჩვეოდა და, ბოლოს, „ცხოვრობდა მოწიწებით“ - მისსავე უცნაურ გამოთქმას თუ გამოვიყენებთ, - აი, როგორი გახლდათ ის იმხანად. ცხადია, საყოველთაო პატივისცემა ჰქონდა მოპოვებული, მაგრამ ამბობენ, გულზე არავის ეხატაო. სულ სხვა იყო, როცა აზატობა მიიღო: ისე არავინ ახსენებდა, თუ არა როგორც წმინდანსა და მრავალტანჯულს. ეს დანამდვილებით ვიცი.

რაც შეეხება დედაჩემის ხასიათს, იგი თვრამეტ წლამდე ტატიანა პავლოვნას თავისთან ჰყავდა, - თუმცა მოურავი ჩასციებოდა, მოსკოვში გავგზავნოთ რაიმე ხელობის ასათვისებლადო, - ზოგი რამ ასწავლა კიდეც, ანუ - ჭრა-კერვა, კარგი ოჯახიშვილის ქცევები და ცოტაც კითხვა. ხეირიანი წერა დედაჩემმა არასოდეს იცოდა. მის თვალში მაკარ ივანოვიჩთან შეუღლება კარგა ხნის გადაწყვეტილი საქმე იყო და ყოველივე, რაც მაშინ თავს გადახდა, საუცხოო რამედ ჩათვალა; ჯვრისწერაზე ისეთი უშფოთველი სახით წარდგა, როგორიც კი შეიძლება ადამიანს ასეთ დროს ჰქონდეს, და თვით ტატიანა პავლოვნამაც კი უთხრა, ნამდვილი ლოქო ხარო. ყოველივე ეს დედაჩემის მაშინდელი ხასიათის შესახებ თავად ტატიანა პავლოვნასგან გამიგონია. როცა ვერსილოვი სოფელში ჩავიდა, ეს ქორწინება ექვსი თვის ამბავი იყო.

V

მე მხოლოდ იმის თქმა მინდოდა, რომ ვერასოდეს შევიტყვე და გარკვევით ვერ მივხვდი, მაინც რითი დაიწყო ვერსილოვისა და დედაჩემის ამბავი. სავსებით მზად ვარ დავიჯერო, როგორც შარშან თვითონ ვერსილოვი მარწმუნებდა, - სახეწამოწითლებული, თუმცა, სრულიად ძალდაუტანებლად და „ხუმრობით“ მიამბობდა, - რომ არავითარი რომანი არ ყოფილა და ყველაფერი ისე, შემთხვევით მოხდა. მჯერა, რომ ისე მოხდა, თან ეს რუსული სიტყვაც: ისე - მშვენიერია; მა-

გრამ მაინც მუდამ მინდოდა შემეტყო, სახელდობრ რითი შეიძლებოდა დაწყებულიყო მათი ამბავი? მე თვითონ, რა თქმა უნდა, მთელი ჩემი სიცოცხლე მძაგდა ყველა ეს საზიზღრობა. აქ მარტო ურცხვი ცნობისმოყვარეობა როდია ჩემი მხრივ. უნდა აღვნიშნო, რომ დედაჩემს თითქმის არ ვიცნობდი შარშანდლამდე; პატარაობიდანვე სხვასთან გამაბარეს, რომ ვერსილოვი არ შეწუხებულიყო; თუმცა ამაზე შემდეგ გიამბობთ; ამიტომ ვერასგზით ვერ წარმომიდგენია, რანაირი სახე შეიძლება ჰქონოდა მაშინ დედაჩემს. თუმცა არც ისეთი მზეთუნახავი ყოფილა. მაშ, რითი უნდა მოხიბლულიყო ისეთი კაცი, როგორიც იყო მაშინდელი ვერსილოვი? ამ საკითხს დიდი მნიშვნელობა აქვს ჩემთვის, რადგან ამ ამბავში ძალზე საინტერესო მხარით მოჩანს ეს ადამიანი. აი, რატომ ვკითხულობ ამას, და არა გარყვნილობის გამო. თვითონ მას, ამ პირქუშსა და გულდახურულ კაცს უთქვამს ჩემთვის იმ საყვარელი მიამიტობით, რომელსაც, ეშმაკმა უწყის, სად პოულობდა ხოლმე ისე უცბად (თითქოს ჯიბიდან ამოაძვრინაო), როცა ხედავდა, ეს აუცილებელიაო, - რომ მაშინ ის იყო ფრიად „სულელი ქორფა გოშია“ და ის კი არა, რომ სენტიმენტალური ყოფილიყოს, ოღონდ ისე, ის-ის იყო, წაეკითხა „ბედშავი ანტონი“ და „პოლინკა საქაი“ - ორი ლიტერატურული ნაწარმოები, რომელმაც იმდროინდელ ჩვენს მოზარდ თაობაზე უსაზღვრო განმანათლებელი გავლენა მოახდინა. თან დაურთავდა, - და ფრიად სერიოზულადაც, - იქნებ სულაც ბედშავი ანტონის გამო ჩავიდა მაშინ სოფელშიო. მაშ, რა სახით უნდა დაეწყო ამ „სულელ გოშიას“ დედაჩემთან ამბავი? ახლა წარმოვიდგინე, ერთი მკითხველიც რომ გამომიჩნდეს, უთუოდ დამცინებს, როგორც ძალზე სასაცილო ყმაწვილს, რომელსაც შეუნარჩუნებია თავისი სულელური უმწიკვლოება და თან ეჩქარება იმის განსჯა და გადაწყვეტა, რისიც არაფერი გაეგება. დიახ, მე მართლაც ჯერ არაფერი გამეგება, თუმცა ვაღიარებ ამას, სრულიადაც არა სიამაყის გამო, იმიტომ, რომ ვიცი, რაოდენ სისულელეა ოცი წლის ოქლაქისთვის ასეთი გამოუცდელობა; ოღონდ უნდა მოვახსენო ამ ვაჟბატონს, რომ თვითონ არ გაეგება არაფერი, და დავუმტკიცებ კიდევაც ამას. მართალია, ქალებისა არაფერი ვიცი და არც მინდა ვიცოდე, რადგან ჩემს თავს სიტყვა მივეცი, მიმიფურთხებია მათთვის და მთელი სიცოცხლე ასეც ვიქნები-მეთქი. მაგრამ ის მაინც დანამდვილებით ვიცი, რომ ზოგი ქალი იმავ წამს მოხიბლავს კაცს თავისი სილამაზით, თუ რითაც არის; ზოგს კი ნახევარი წელიწადი უნდა უკირკიტო, სანამ გაიგებდე, რა აქვს შესაყვარებელიო; ასეთ ქალს რომ მიაგნო და შეიყვარო, არ კმარა უცქირო, არც ის კმარა, მზად იყო, ყველაფერი მოიმოქმედო, - გარდა ამისა, კიდევ რაღაცითაც უნდა იყო დაჯილდოებული. ამაში დარწმუნებული ვარ, თუმცა ქალებისა არაფე-

რი ვიცი, და ასე რომ არ იყოს, მაშინ ყველა ქალი ერთბაშად უნდა ჩამოგვექვეითებინა უბრალო შინაური პირუტყვის დონემდე და მხოლოდ ამ სახით გვყოლოდა გვერდით; იქნებ ბევრს სწადია კიდეც ეს.

დანამდვილებით ვიცი რამდენიმე ადამიანისგან, რომ დედაჩემი ყალმით ნახატი არა ყოფილა, თუმცა არ მინახავს მისი იმდროინდელი სურათი, რომელიც სადღაც უნდა იყოს. მაშასადამე, მისი ერთი ნახვით შეყვარება არ შეიძლებოდა. უბრალო „თავშექცევისთვის“ ვერსილოვს შეეძლო აერჩია სხვა ვინმე და იყო კიდეც აქ ასეთი ვინმე, თანაც გაუთხოვარი ქალი, ანფისა კონსტანტინოვნა საპოჟკოვა, მოახლე. იმ ადამიანს კი, რომელიც ჩამოვიდა ბედშავი ანტონით, ძალიან უნდა შერცხვენოდა თავისივე თავისა, როცა, აქაოდა, ბატონი ვარო და ყველაფრის უფლება მაქვსო, - ქორწინების სიწმინდეს უნგრევდა თუნდაც თავის შინაყმას, რადგან, ვიმეორებ, ბედშავ ანტონზე ამ სულ რაღაც რამდენიმე თვის წინ, ესე იგი, ოცი წლის მერეც, არაჩვეულებრივ სერიოზულად ლაპარაკობდა. ანტონს ხომ მარტო ცხენი წაართვეს, აქ კი - ცოლი! მაშასადამე, მოხდა რაღაც განსაკუთრებული, რის გამოც წააგო mademoiselle საპოჟკოვამ (მე რომ მკითხოთ, მოიგო). შარშან, როცა შეიძლებოდა მასთან ლაპარაკი (რადგან ყოველთვის არ იყო ეს შესაძლებელი), ერთი-ორჯერ ჩავაცივდი ამ კითხვებით და შევამჩნიე, რომ, ხომ მაღალი წრის კაცი იყო და თანაც ოცი წელი გასულიყო იმ ამბების მერე, - მაინც რაღაც მეტისმეტად იღმიჭებოდა და იჭმუხნებოდა, მაგრამ არ მოვეშვი. ყოველ შემთხვევაში, მაღალი წრის კაცის ჩვეული ზიზღიანობით, რის ნებასაც ის არა ერთხელ აძლევდა თავს ჩემი მისამართით, მახსოვს, ერთხელ რაღაც უცნაურად ამოილუღლუღა: რომ დედაჩემი იყო რაღაცნაირი დაუცველი არსება, რომელიც ის კი არა, რომ შეგიყვარდება, - სრულიად არა, პირიქით, - როგორღაც უეცრად შეგებრალება, იქნებ უწყინრობისთვის, თუმცა, ვინ იცის, რატომ? ეს არასოდეს არავინ იცის, ოღონდ კარგა ხნით კი შეგებრალება; შეგებრალება და შეეჩვევი... „ერთი სიტყვით, ჩემო კარგო, ხანდახან ხდება ხოლმე ისე, რომ ვეღარც მოიშორებ“. აი, რა მითხრა მან; და თუ ეს მართლაც ასე იყო, მაშინ იძულებული ვარ, სრულიადაც არ ჩავთვალო იგი ისეთ სულელ გოშიად, როგორადაც თვითონ დაიხასიათა თავი, იმ დროს ასეთი ვიყავიო. მეც სწორედ ეს მინდოდა.

ესეც კია, მაშინ დამიწყო რწმუნება, რომ დედაჩემმა ის შეიყვარა „ბეჩავი დამცირების“ გამო: ისღა აკლდა ეთქვა, ბატონი ვიყავი და იმიტომო! იცრუა შნოს გულისთვის, იცრუა სინდისის, პატიოსნების და კეთილშობილების წინაშე!

ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, თითქოს დედაჩემის საქებრად ვთქვი, მე კი უკვე განვაცხადე, რომ სრულიად არაფერი ვიცოდი მაშინდელი დედაჩემის შესახებ. ეგ კი არა, სწორედ რომ ვიცი ყველა სისულელე იმ წრისა და უბადრუკ შეხედულებათა, რომლებშიც იგი პატარაობიდანვე გაიყინა და რომლებშიც დარჩა შემდეგშიც - მთელი მისი წუთისოფელი. ასე იყო თუ ისე, უბედურება მოხდა. მართლა, უნდა შევასწორო: ღრუბლებში ავიჭერი და დამავიწყდა ფაქტი, რომელიც, პირიქით, ყველაზე ადრე უნდა განმეცხადებინა, სახელდობრ: მათი საქმე პირდაპირ უბედურებით დაიწყო (იმედი მაქვს, მკითხველი არ მოჰყვება იმდენ პრანჭვას, რომ მაშინვე არ მიხვდეს, რისი თქმაც მინდა.) ერთი სიტყვით, დაიწყო სწორედ ბატონყმურად, მიუხედავად იმისა, რომ mademoiselle საპოჟკოვას გვერდი აუარეს. მაგრამ აქ უკვე მე გამოვალ ქომაგად. თან წინაწარ ვაცხადებ, რომ სრულიადაც არ ვეწინააღმდეგები ჩემს თავს. ვინაიდან, ღმერთო დიდებულო, აბა რაზე უნდა ელაპარაკა მაშინ ისეთ არსებას, როგორიც დედაჩემი იყო, კიდეც რომ გაგიჟებით ჰყვარებოდა? გარყვნილი კაცებისგან გამიგონია, მამაკაცი დედაკაცს რომ შეეყრება, ძალზე ხშირად სრულიად ხმაამოუღებლივ იწყებსო, რაც, რა თქმა უნდა, ყოვლად საშინელი და გულისამრევი რამაა; მაგრამ ვერსილოვი, კიდეც რომ ნდომებოდა, ვფიქრობ, სხვანაირად ვერც დაიწყებდა დედაჩემთან. მაშ, პოლინკა საქსის ახსნას ხომ არ მოჰყვებოდა? გარდა ამისა, რაში ანაღვლებდათ მათ რუსული ლიტერატურა; პირიქით, ვერსილოვის თქმით (ერთხელ როგორღაც ენა ამოიდგა), კუნჭულ-კუნჭულ იმალებოდნენ, კიბეზე უდარაჯებდნენ ერთმანეთს, წამოჭარხლებულნი ბურთივით გახტებოდნენ განზე, თუ ვინმე გამოვიდოდა, და „ტირანი მემამულე“ სულ უკანასკნელი შინაყმის წინაშეც კი შიშით კანკალებდა, მიუხედავად ბატონის უფლებისა. ოღონდ თუმცა მემამულურად დაიწყო, მაგრამ ეგრე გამოვიდა, და თან არც გამოვიდა, და არსებითად მაინც არაფრის ახსნა არ შეიძლება. უფრო მეტიც კია ბნელით მოცული და გაუგებარი. ჯერ მარტო ის ამბავი, თუ რა ვეება რამედ იქცა მათი სიყვარული, გამოცანაა, იმიტომ, რომ ვერსილოვისნაირების პირველი პირობა, - ესაა მიატოვოს, როგორც კი თავისას მიაღწევს. მაგრამ ასე არ მოხდა. გარყვნილმა „ქორფა გოშიამ“ (ხოლო ისინი გარყვნილები იყვნენ, ყველანი უკლებლივ, პროგრესისტებიცა და რეტროგრადებიც) შესცოდოს სანდომიან გიჟმაჟ შინაყმა ქალთან (დედაჩემი კი არ გახლდათ გიჟმაჟი) - ეს არათუ შესაძლებელია, არამედ გარდაუვალიც, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ ვერსილოვის რომანტიკულ მდგომარეობას - ყმაწვილი ქვრივი გახლდათ - და მის უსაქმურობას. მაგრამ კუბოს კარამდე შეყვარება სწორედ რომ მეტისმეტია. თავს არ გამოვიდებ, ვერსილოვს უყვარდა

დედაჩემი-მეთქი, მაგრამ მთელი ცხოვრება სულ თან რომ დაათრევდა - ეს კი მართალია.

ბევრი კითხვა წამოვაყენე, მაგრამ არის ერთი, ყველაზე მნიშვნელოვანი კითხვა, რომელიც, უნდა აღვნიშნო, ვერ გავუბედე დედაჩემს, თუმცა ძალიან დავუახლოვდი შარშან და, გარდა ამისა, როგორც უხეში და უმადური ლეკვი, რომელიც ფიქრობს, ჩემთან დამნაშავენი არიანო, სრულიადაც არ ვეხათრებოდი. აი, ეს კითხვა: როგორ შეეძლო თვითონ მას, ნახევარი წლის ჯვარდაწერილს, ისიც მისრესილს, - მაშ, ხომ უმწეო ბუზივით სრესდა ყოველგვარი წარმოდგენა ქორწინების კანონიერებისა, - მას, რომელიც ათაყვანებდა თავის მაკარ ივანოვიჩს, ვითარცა რაღაც ღმერთს, როგორ შეეძლო მაშ, სულ რაღაც ორიოდე კვირაში ასეთი ცოდვის ჩადენა? დედაჩემი ხომ გარყვნილი ქალი არ იყო? პირიქით, ახლავე წინასწარ ვიტყვი, რომ ძნელი წარმოსადგენიც კია იმაზე უფრო სპეტაკი სულის ადამიანი, როგორიც ის იყო და დარჩა მთელი სიცოცხლე. ამის ახსნა მხოლოდ იმით შეიძლება, რომ თავი აღარ ახსოვდა, ესე იგი, იმ აზრით კი არა, როგორც ახლა გვარწმუნებენ ხოლმე ვექილები მკვლელებისა და ქურდების დაცვისას, არამედ იმ ძლიერი შთაბეჭდილების ზეგავლენით, რომელიც ტრაგიკულად შეიპყრობს ხოლმე ადამიანს. ვინ იცის, იქნებ გაგიჟებით შეუყვარდა... ვერსილოვის ტანსაცმლის ფასონი, თმის პარიზული ვარცხნილობა, მისი ფრანგული გამოთქმა, სწორედ ფრანგული, რომლის ერთი ბგერაც კი არ გაეგებოდა, ის რომანსი, რომელსაც მღეროდა ვერსილოვი, როცა ფორტეპიანოს მიუჯდებოდა, შეიყვარა რაღაც მანამდე არნახული და არგაგონილი (ვერსილოვი კი ძლიერ ლამაზი იყო), და, ამასთანავე, ლამის გასავათებამდე შეიყვარა იგი მთლიანად, მთელი მისი ფასონებითა და რომანსებით. გამიგონია, შინაყმა გოგოებს, თანაც ყველაზე პატიოსან გოგოებს, ხანდახან ემართებოდათ ხოლმე ასეთი რამ ბატონყმობის დროს. მე ეს კარგად მესმის და სინდისგარეცხილია ის, ვინც ამას მხოლოდ და მხოლოდ ბატონყმობითა და „ბეჩავი დამცირებით“ ხნის! მაშ, ასე, ხომ შეიძლებოდა ამ ყმაწვილ კაცს ჰქონოდა იმდენი ყოვლად პირდაპირი და მაცდუნებელი ძალა, რომ ასე აშკარა დაღუპვაზე დაეყოლებინა მანამდე ესოდენ უმწიკვლო და, რაც მთავარია, მისგან ესოდენ განსხვავებული არსება, სულ სხვა სამყაროში და სხვა მიწის შვილი? დაღუპვაზე რომ იყოლიებდა, ეს, ვიმედოვნებ, დედაჩემს მთელი სიცოცხლის მანძილზე ესმოდა; ოღონდ, როცა ცოდვა იკისრა, მაშინ ალბათ სულაც არ უფიქრია დაღუპვაზე; მაგრამ მუდამ ასე ემართებათ ხოლმე „უმწოებს“: იციან, რომ იღუპებიან, და მაინც არ იშლიან.

შესცოდეს თუ არა, მაშინვე მოინანიეს. ვერსილოვმა ოხუნჯობით მიამბო, თუ როგორ დაჰქვითინებდა მხარზე მაკარ ივანოვიჩს, რომელიც საგანგებოდ ამის გამო გამოიძახა კაბინეტში, დედა კი - დედა იმ დროს გონწასული იწვა სადღაც, თავის გალიისოდენა საშინაყმო ოთახში...

VI

მაგრამ თავი დავანებოთ კითხვებსა და სკანდალურ წვრილმანებს. ვერსილოვმა გამოისყიდა დედაჩემი მაკარ ივანოვიჩისგან, მალე წამოვიდა სოფლიდან და მას შემდეგ, როგორც ზემოთაც ვწერდი, თან დაათრევდა თითქმის ყველგან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დიდი ხნით მიემგზავრებოდა სადმე; მაშინ დედაჩემს მეტწილად ტოვებდა ხოლმე დედასთან, ესე იგი ტატიანა პავლოვნა პრუტკოვასთან, რომელიც ასეთ დროს მუდამ საიდანღაც გამოტყვრებოდა. მათ უცხოვრიათ მოსკოვში, სხვადასხვა სოფელსა და ქალაქში, საზღვარგარეთაც კი, დაბოლოს, პეტერბურგში. ყოველივე ამას მერე გიამბობთ ანდა სულაც არა ღირს მოყოლა. ვიტყვი მხოლოდ, რომ მაკარ ივანოვიჩთან დაშორებიდან ერთი წლის მერე გავჩნდი ქვეყნად მე, ერთი წლის მერე დაიბადა ჩემი და, ხოლო შემდეგ, უკვე ათი თუ თერთმეტი წლის მერე - სუსტი, ავადმყოფი ბიჭუნა, ჩემი უმცროსი ძმა, რომელმაც რამდენიმე თვეში განუტევა სული. ეს უკანასკნელი მშობიარობა ძალზე მძიმე გამოდგა და მოუთავა კიდევაც ხელი დედაჩემის სილამაზეს, - ყოველ შემთხვევაში, მე ასე მითხრეს: დედას სწრაფად მოერია სიბერე და უძლურება.

მაგრამ მაკარ ივანოვიჩთან ურთიერთობა მაინც არასოდეს შეწყვეტილა. სადაც უნდა ყოფილიყვნენ ვერსილოვები, - ერთ ადგილას ცხოვრობდნენ რამდენიმე წელიწადი თუ სხვაგან გადავიდოდნენ, მაკარ ივანოვიჩი აუცილებლად ხმას მიაწვდენდა „ოჯახს“. შეიქმნა რაღაც უცნაური, ნაწილობრივ საზეიმო და თითქმის სერიოზული დამოკიდებულობა. ბატონკაცთა ცხოვრებაში ამგვარ დამოკიდებულებას უსათუოდ შეერეოდა რამე კომიკური, ეს მე ვიცი; მაგრამ აქ ასეთი არაფერი მომხდარა. წერილები მოდიოდა წელიწადში, არც მეტი, არც ნაკლები, ორჯერ, და საოცრად წააგავდა ერთმანეთს. მე მინახავს ეს წერილები; ძალზე ცოტა რამაა შიგ პირადული; პირიქით, შეძლებისდაგვარად ერთთავად საზეიმოდ ატყობინებდა ყოვლად ზოგად ამბებს და ყოვლად ზოგად გრძნობებს, თუ შეიძლება ასეთი რამ ითქვას გრძნობებზე: უწინარეს ყოვლისა, ატყობინებს თავისი ჯანმრთელობის ამბავს, მერე კითხულობს მათ ჯანმრთელობას, ამას მოჰყვება კეთილი სურვილები, დიდი მოკითხვა და ლოცვა-კურთხევა - ესაა და ეს. მე მგონი, ამ წრეში სწორედ ამ ზოგადობასა და უპიროვნობაში უნდა გამოიხატებოდეს მთელი წესიერება ტონის და მთელი ცოდვა თავდაჭერილობისა და

ყოფაქცევისა. „ღირსასურველ და პატივცემულ ჩვენს მეუღლეს, სოფია ანდრეევნას, ჩვენი უმდაბლესი სალამი“... „ჩვენს საყვარელ შვილებს ჩვენი მშობლიური ლოცვა-კურთხევა, მარადის ურღვევი“. მერე მიყოლებით იყო ჩამოწერილი სახელები შვილებისა, მათი შეძენის მიხედვით. მათ შორის ჩემიც. ამასთან შევნიშნავ, რომ მაკარ ივანოვიჩი იმდენად გონებამახვილი გახლდათ, რომ არასოდეს მოუწერია „მისი მაღალკეთილშობილების, დიდად პატივცემული ბატონის, ანდრეი პეტროვიჩის“, შესახებ, ჩემი „მწყალობელიაო“, თუმცა ყოველ წერილში მუდამ გადასცემდა უმდაბლეს სალამს, გამოსთხოვდა ლოცვა-კურთხევას და თვითონაც ღვთის წყალობას უთვლიდა. დედაჩემი მაშინვე უგზავნიდა ხოლმე პასუხს მაკარ ივანოვიჩს და მუდამ ზუსტად იმავე ყაიდაზე სწერდა. ცხადია, ვერსილოვი არ მონაწილეობდა ამ მიმოწერაში. მაკარ ივანოვიჩი წერილებს გზავნიდა რუსეთის სხვადასხვა კუთხიდან, ქალაქებიდან და მონასტრებიდან, სადაც ხანდახან კარგა ხნით ცხოვრობდა ხოლმე. ის გახდა ეგრეთ წოდებული ყარიბი მლოცველი. არასოდეს არაფერს ითხოვდა; სამაგიეროდ, სამ წელიწადში ერთხელ აუცილებლად ჩამოდიოდა და პირდაპირ დედაჩემთან იდებდა ბინას; ყოველთვის ისე ხდებოდა, რომ დედაჩემს საკუთარი ბინა ჰქონდა, ვერსილოვი კი ცალკე ცხოვრობდა. ამის მოყოლა ალბათ მერე დამჭირდება, აქ მხოლოდ იმას აღვნიშნავ, რომ მაკარ ივანოვიჩი სასტუმრო ოთახში კი არ გაიშხლართებოდა ხოლმე დივანზე, არამედ თავისთვის, მორიდებით ცხოვრობდა სადმე ტიხარს იქით. ცოტა ხანს რჩებოდა - ხუთ დღეს ან ერთ კვირას არ გადააცილებდა.

დამავიწყდა მეთქვა, რომ ძლიერ უყვარდა თავისი გვარი „დოლგორუკი“ და პატივს სცემდა. რა თქმა უნდა, ეს სასაცილო სისულელეა. ყველაზე უფრო სულელური კი ისაა, რომ მას მოსწონდა თავისი გვარი სწორედ იმიტომ, რომ თავადი დოლგორუკები არსებობდნენ. უცნაური შეხედულებაა, მთლად თავდაყირა დაყენებული!

მე თუ ვთქვი, მთელი ოჯახი მუდამ თავმოყრილი იყო-მეთქი, ცხადია, ჩემ გარდა. მე გაგდებულივით ვიყავი და ლამის გაჩენის დღიდან უცხო ადამიანებში გამაბარეს. მაგრამ არა რაიმე განსაკუთრებული განზრახვით, როგორღაც, უბრალოდ მოხდა. როცა მე გამაჩინა, დედაჩემი ჯერ კიდევ ახალგაზრდა და ეშხიანი იყო, და, მაშასადამე, ესაჭიროებოდა ვერსილოვს. მჩხავანა ბავშვი კი, ცხადია, ხელს შეუშლიდა, მეტადრე მოგზაურობაში. აი, რის გამო იყო, რომ ოც წლამდე თითქმის არც მენახა დედა, გარდა ორი-სამი შემთხვევისა, და მაშინაც თვალმოკვრით. განა დედაჩემს გრძნობა არ ჰქონდა, მაგრამ ვერსილოვს არ

ენაღვლებოდა ადამიანები და იმის ბრალი იყო.

VII

ახლა სულ სხვა რამეზე.

ერთი თვის წინ, ესე იგი, ცხრამეტ სექტემბრამდე ერთი თვით ადრე, მოსკოვში ყოფნისას, გადავწყვიტე, გავცლოდი მათ და საბოლოოდ ჩავფლულიყავი ჩემს იდეაში. ეგრევე ვწერ ამ სიტყვას: „ჩავფლულიყავი ჩემს იდეაში“, იმიტომ, რომ ეს გამოთქმა თითქმის მთლიანად გამოხატავს ჩემს მთავარ აზრს, იმას, რისთვისაც ამქვეყნად ვცოცხლობ. თუ რა იყო ეს „ჩემი იდეა“, ამის თაობაზე შემდგომში ისედაც ბევრს მოგახსენებთ. ეს იდეა ჯერ კიდევ მოსკოვში, გიმნაზიის მეექვსე კლასში გამიჩნდა ჩემი ხანგრძლივი, განმარტოებული და ოცნებით სავსე ცხოვრების დროს, და მას მერე, მგონი, წუთითაც არ მომშორებია. მან შთანთქა მთელი ჩემი ცხოვრება. მანამდე ოცნებებში ვიყავი, პატარაობიდანვე გარკვეული ელფერის საოცნებო სამეფოში ვცხოვრობდი; მაგრამ როცა გამოჩნდა ეს მთავარი იდეა, რომელმაც შთანთქა ყველაფერი, ჩემი ოცნებებიც განმტკიცდა და ერთბაშად გარკვეული, ჩამოყალიბებული სახე მიიღო; სულელური ოცნებები გონივრულები გახდნენ. გიმნაზია ხელს არ უშლიდა ჩემს ოცნებებს, არც იდეისთვის შეუშლია ხელი. ოღონდ აქ უნდა დავურთო, რომ გიმნაზიის კურსი ბოლო წელს ცუდად დავამთავრე, თუმცა მეშვიდე კლასამდე ერთი პირველთაგანი ვიყავი; ეს კი გახლდათ შედეგი იმავე იდეისა, შედეგი იმ დასკვნისა, იქნებ ცრუ დასკვნისაც, რომელიც ჩემი იდეიდან გამოვიტანე. ამრიგად, გიმნაზიას კი არ შეუშლია ხელი იდეისთვის, არამედ იდეამ შეუშალა ხელი გიმნაზიას. შეუშალა უნივერსიტეტსაც. გიმნაზია რომ დავასრულე, მყისვე განვიზრახე, არამცთუ რადიკალურად გამეწყვიტა კავშირი ყველასთან, არამედ, თუ საჭირო იქნებოდა, მთელ ქვეყნიერებასთანაც, თუმცა მაშინ მხოლოდ მეოცე წელში ვიყავი გადამდგარი. პეტერბურგში გავუგზავნე წერილი, ვისაც საჭირო იყო და ვისი მეშვეობითაც საჭირო იყო; ვწერდი, საბოლოოდ თავი დამანებეთ, ფულს ნუღარ გამომიგზავნით და, თუ შესაძლოა, სულაც დაივიწყეთ ჩემი არსებობა-მეთქი (ესე იგი, იმ შემთხვევაში, თუ ვინმეს ოდნავ მაინც ვახსოვდი). და, ბოლოს, ვუცხადებდი - უნივერსიტეტში „არაფრის გულისთვის“ არ შევალ-მეთქი. ჩემ წინ წამოიჭრა უცილობელი დილემა: ან უნივერსიტეტი და შემდგომი სწავლა-განათლება, ანდა „იდეის“ დაუყოვნებლივ განხორციელების გადადება კიდევ ოთხი წლით; მე უყოყმანოდ ვამჯობინე იდეა, რადგან მასში მათემატიკურად ვიყავი დარწმუ-

ნებული. ვერსილოვმა, მამაჩემმა, რომელიც სულ ერთხელ მენახა ჩემს სიცოცხლეში, ისიც ერთი წუთით, როცა ათი წლისა ვიქნებოდი (და რომელმაც იმ ერთ წუთშიც მოასწრო ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილების მოხდენა), ვერსილოვმა ჩემი წერილის პასუხად, რომელიც, უნდა ითქვას, მისთვის არ გამიგზავნია, თვითონ, საკუთარი ხელით მომწერა წერილი და პეტერბურგს დამიბარა, კერძო სამსახურს გიშოვიო. მე მიბარებდა ეს ცივი და ამაყი, ქედმაღალი და დაუდევარი კაცი, რომელმაც გამაჩინა და სხვასთან გამაბარა, და აქამდე არამცთუ საერთოდ არ მიცნობდა, არც კი უნანია ოდესმე თავისი ასეთი საქციელი (ვინ იცის, იქნებ თვით ჩემს არსებობაზეც ბუნდოვანი და არაზუსტი წარმოდგენა ჰქონდა, რადგან, როგორც შემდეგ გამოარკვია, მოსკოვში ჩემი ცხოვრების ფულსაც თურმე ის კი არა, სხვები იხდიდნენ), - მიბარებდა-მეთქი კაცი, რომელსაც ასე ერთბაშად მოვაგონდი, საკუთარი ხელით დაწერილი წერილის ღირსი გამხადა, - აი, ამ დაბარებამ მომილბო გული და გადაწყვიტა ჩემი ბედი. უცნაურია, მაგრამ, სხვათა შორის, მის ბარათში (მცირე ფორმატის ერთი პაწია ქაღალდი გახლდათ) მომეწონა ის, რომ სიტყვასაც კი არ ძრავდა უნივერსიტეტზე, არ მთხოვდა, გადაიფიქრეო, არ მკიცხავდა, რას მიქვია, არ გინდაო. ერთი სიტყვით, არ დაუხარჯავს არავითარი ამდაგვარი მშობლიური ფუჭი სიტყვები, როგორც ხდება ხოლმე ჩვეულებრივად. ამავე დროს კი სწორედ ეს იყო ცუდი იმ მხრივ, რომ უფრო მეტად მეტყველებდა მის ჩემდამი დაუდევარ დამოკიდებულებაზე. წასვლა იმიტომაც გადავწყვიტე, რომ ეს სრულიადაც ხელს არ უშლიდა ჩემს მთავარ ოცნებას: „ვნახავ, რა იქნება, - ვფიქრობდი, - ყოველ შემთხვევაში, მათთან საქმეს დროებით ვიჭერ, იქნებ სულ მცირე ხნითაც. მაგრამ როგორც კი დავინახავ, რომ ეს თუნდაც პირობითი და მცირე ნაბიჯი ოდნავ მაინც დამაშორებს მთავარს, მაშინვე მივატოვებ მათ, ყველაფერს თავს დავანებებ და ჩემს ნაჭუჭში შევძვრები“. სწორედ ნაჭუჭში! „შევძვრები შიგ კუსავით“, ეს შედარება ძალიან მომეწონა. „მე ხომ მარტოკა არ ვიქნები“, - განვაგრძობდი საზრდოობას, როცა დამთხვეულივით დავეხეტებოდი მოსკოვში ყოფნის იმ უკანასკნელ დღეებში, - აღარასოდეს ვიქნები მარტოკა, როგორც ვიყავი დღემდე, მთელი ეს საშინელი წლები: ჩემთან იქნება ჩემი იდეა, რომელსაც არასოდეს ვუღალატებ, თუნდაც მომეწონოს ყველა, ბედნიერება მომანიჭონ, და ათი წელი ვიცხოვრო მათთან!“ წინასწარ უნდა შევნიშნო, რომ სწორედ ეს შთაბეჭდილება, ჩემი გეგმებისა და მიზნების აი, სწორედ ეს გაორება, რაც ჯერ კიდევ მოსკოვში ჩამომიყალიბდა და წუთითაც არ მომშორებია პეტერბურგშიც (ვინაიდან არ ვიცი, იყო კი პეტერბურგში ისეთი დღე, რომ არ დამეთქვას ჩემთვის საბოლოო ვადად, აი, ახლა გავწყვეტ მათთან ურთიერთობას

და მოვშორდები-მეთქი) - ეს გაორება-მეთქი, ვამბობ, გახლდათ მგონი, ერთი მთავარი მიზეზი ყველა იმ წინდაუხედაობისა, რაც იმ წელიწადს ჩავიდინე, მიზეზი მრავალი სისაძაგლისა, სიმდაბლისაც კი, და ცხადია, სისულელისაც.

რა თქმა უნდა, მე უცებ გამომიჩნდა მამა, რომელიც მანამდე არასოდეს მყოლია. ეს ფიქრი მაბრუებდა მოსკოვშიც, როცა წამოსასვლელად ვემზადებოდი, და ვაგონშიაც. მამა რომ იყო - ეს კიდევ არაფერი, არც დიდი სინაზის მოყვარული გახლავართ, მაგრამ ეს კაცი არაფრად მაგდებდა და მამცირებდა მაშინ, როდესაც მთელი ამ წლების განმავლობაში მასზე გაშმაგებით ვოცნებობდი (თუ შეიძლება ასეთი რამ ითქვას ოცნებაზე). ყველა ჩემი ოცნება ბავშვობიდანვე მას ეხმიანებოდა, მას დასტრიალებდა, საბოლოოდ მას ეხებოდა. არ ვიცი, მიყვარდა იგი თუ მძულდა, მაგრამ მაინც მისით იყო სავსე მთელი ჩემი მომავალი, ცხოვრების მთელი ანგარიში, - და ეს მოხდა თავისთავად, ვიზრდებოდი და ეს ოცნებაც თან მომყვებოდა.

მოსკოვიდან ჩემს წამოსვლას ხელი შეუწყო ერთმა ძლიერმა გარემოებამაც, ერთმა ცდუნებამ, რომლისგანაც ჯერ კიდევ მაშინ, გამომგზავრებამდე სამი თვით ადრე (მაშასადამე, როცა პეტერბურგის ხსენებაც კი არ იყო), გული მიძგერდა და ყელში მებჯინებოდა! ამ უცნობი ოკეანისკენ მიწევდა გული იმიტომაც, რომ შემეძლო პირდაპირ შევსულიყავი მასში, როგორც მბრძანებელი და ბატონი სხვისი, და მერე ვისი, ბედ-იღბლისა! მაგრამ გულში მიდუღდა კეთილშობილი, და არა დესპოტური გრძნობები - ეს წინასწარ უნდა განვაცხადო, რათა ჩემმა სიტყვებმა არავინ შეაცდინოს. თანაც ვერსილოვს შეეძლო ეფიქრა (თუკი ღირსს მხდიდა და ფიქრობდა ჩემზე), აი, მოემგზავრება პატარა ბიჭი, გიმნაზიიდან გამოსული ყმაწვილი, და ყველაფერი აოცებს ამქვეყნადო. მე კი უკვე წვრილად ვიცოდი მისი საიდუმლო და თან მქონდა ძალზე მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომლისთვისაც (ახლა ეს უკვე დანამდვილებით ვიცი) სიცოცხლის რამდენიმე წელსაც არ დაიშურებდა, ოღონდ კი მაშინ გამემხილა მისთვის ეს საიდუმლო. თუმცა ვატყობ, სულ გამოცანებით ვლაპარაკობ. უფაქტებოდ გრძნობების აღწერა სად ნახულა. ესეც არ იყოს, ყოველივე ამის შესახებ საკმაოდ ბევრს ვილაპარაკებ თავის ადგილას, აკი კალამიც იმიტომ ავიღე ხელში. ასე წერა კი ბოდვასა ჰგავს ან ღრუბელს.

VIII

დასასრულ, რათა საბოლოოდ მოვუბრუნდე ცხრამეტ რიცხვს, მოკლედ და, ასე ვთქვათ, გაკვრით ვიტყვი, რომ როცა ჩავედი, ყველანი, ესე იგი ვერსილოვი, დედაჩემი და ჩემი და (ეს უკანასკნელი პირველად ვნახე ჩემს სიცოცხლეში), ცუდ დღეში დამხვდნენ, თითქმის გაღატაკებულიყვნენ თუ გაღატაკების ზღვარს მისდგომოდნენ. ეს ამბავი ჯერ მოსკოვშივე შევიტყვე, მაგრამ მაინც არ მოველოდი იმას, რაც ვნახე. პატარაობიდანვე ეს კაცი, ეს „მომავალი მამაჩემი“, თითქმის რაღაც შარავანდით მოსილი მესახებოდა, და სხვაგვარად ვერ წარმომედგინა, თუ არა ყველგან პირველ ადგილზე მყოფი. ვერსილოვს არასოდეს უცხოვრია დედაჩემთან ერთად ერთ ბინაში, ყოველთვის ცალკე უქირავებდა ხოლმე; რა თქმა უნდა, ამას სჩადიოდა თავიანთი სულმდაბალი „წესიერების“ გულისთვის. მაგრამ ახლა ყველანი ერთად ცხოვრობდნენ, ერთ ფიცრულ ფლიგელში, სემიონოვსკის პოლკის შესახვევში. რაც რამ ებადათ, ყველაფერი დაეგირავებინათ, ასე რომ მე, ვერსილოვის უჩუმრად, დედაჩემს ჩემი ფარული სამოცი მანეთიც კი მივეცი. სწორედ რომ ფარული, რადგან ეს ფული ორი წლის განმავლობაში შევაგროვე იმ ხუთ-ხუთი მანეთიდან, რომელსაც ყოველთვე მაძლევდნენ ჯიბის ფულად; ხოლო შეგროვება დავიწყე ჩემი „იდეის“ გაჩენის პირველი დღიდანვე, ამიტომ ვერსილოვს არაფერი არ უნდა სცოდნოდა ამ ფულისა. ამის შიში მკლავდა.

ეს დახმარება ზღვაში წვეთი გამოდგა მხოლოდ. დედაჩემი მუშაობდა, ჩემი დაც საკერავს იღებდა; ვერსილოვი მუქთახორობდა, მიზეზიანობდა და არ იშლიდა თავის ადრინდელ, საკმაოდ ძვირ ჩვევებს. საშინლად ბუზღუნებდა, მეტადრე სადილად, და ყველა მისი საქციელი სავსებით დესპოტური იყო. მაგრამ დედაჩემი, ჩემი და, ტატიანა პავლოვნა და მთელი ოჯახი განსვენებული ანდრონიკოვისა (ამ სამი თვის წინ გარდაცვლილი ერთი კაცისა, განყოფილების უფროსისა, რომელიც განაგებდა ვერსილოვის საქმეებს), ურიცხვი ქალებისგან რომ შედგებოდა, ისეთი მოწიწებით ეპყრობოდნენ ვერსილოვს, გეგონებოდათ, რომელიღაც კერპიაო. მე ეს ვერ წარმომედგინა. უნდა შევნიშნო, რომ ცხრა წლის წინ ვერსილოვი გაცილებით უფრო მოხდენილი იყო. უკვე ვთქვი, რომ ჩემს ოცნებაში იგი დარჩა რაღაც შარავანდით მოსილი, და ამიტომ ვერ წარმომედგინა, როგორ შეიძლებოდა სულ რაღაც ცხრა წელიწადში ასე დაბერებულიყო და გაცვეთილიყო: მაშინვე საოცა-

რი ნაღველი, სიბრალული და სირცხვილი ვიგრძენი. ჩამოსვლისთანავე პირველი, ყველაზე მძიმე შთაბეჭდილება მისი ნახვა იყო. თუმცა ჯერ სულაც არ ეთქმოდა მოხუცი, ორმოცდახუთი წლისა თუ იქნებოდა; მერე, როცა კარგად დავაკვირდი, მის სილამაზეში დავინახე რაღაც კიდევ უფრო განმაცვიფრებელი და შემძვრელი, ვიდრე ის, რაც ჩემს მეხსიერებას შემოენახა. ნაკლებად ჰქონდა მაშინდელი პეწი, გარეგნობა, სიკოხტავეც კი, მაგრამ ცხოვრებას თითქოს გაცილებით საინტერესო რაღაც აღებეჭდა მის სახეზე.

სინამდვილეში კი სიღატაკე მხოლოდ მეათე თუ მეოცე რამ იყო მის ხელმოცარულ საქმეებში, და მეც მშვენივრად ვიცოდი ეს ამბავი. გარდა სიღატაკისა, იყო კიდევ ერთი უზომოდ სერიოზული რამ, - თუ აღარაფერს ვიტყვით იმაზე, რომ ვერსილოვს ჯერ კიდევ არ გადაეწყვიტა იმედი, რომ მოიგებდა მემკვიდრეობის პროცესს, რომელიც აგერ, წელიწადი იყო, წამოეწყო თავად სოკოლსკებთან; თუ პროცესს მოიგებდა, ვერსილოვს შეეძლო მოკლე ხანში მიეღო მამული, რომელიც სამოცდაათ ათასად ან იქნებ, უფრო მეტადაც ფასობდა. ზემოთ უკვე ვთქვი, რომ ამ ვერსილოვმა თავის ცხოვრებაში სამი მემკვიდრეობა გაანიავა, და აი, ახლაც მემკვიდრეობას უნდა ეხსნა იგი! საქმე სულ მალე უნდა გარჩეულიყო სასამართლოში. მეც ამიტომ უფრო ჩამოვედი, ეს კია, რომ საქმის მოგების იმედით ფულს არავინ იძლეოდა, ვეღარც სესხად შოულობდნენ სადმე, და ჯერჯერობით ითმენდნენ.

მაგრამ ვერსილოვი არც არავისთან დადიოდა, თუმცა ხანდახან მთელი დღე შინ არ შემოდიოდა ხოლმე. უკვე წელიწადზე მეტი იყო, რაც ის საზოგადოებისგან გამოეძევებინათ. რარიგ ვეცადე, მაგრამ ეს ისტორია ჩემთვის არსებითად მაინც გაუგებარი რჩებოდა, თუმცა უკვე ერთი თვე იყო, პეტერბურგში ვცხოვრობდი. იყო თუ არა დამნაშავე ვერსილოვი - აი, რას ჰქონდა ჩემთვის მნიშვნელობა, აი, რისთვის ჩამოვედი! მას ზურგი აქცია ყველამ, სხვათა შორის, გავლენიანმა წარჩინებულმა ადამიანებმაც, რომლებთან ურთიერთობის შენარჩუნებაც განსაკუთრებით ემარჯვებოდა მთელი სიცოცხლის მანძილზე; და ეს მოხდა იმიტომ, რომ ხმა დაირხა, თითქოს ამ ერთი წლის წინ გერმანიაში ჩაედინოს ერთი მეტად უსინდისო და - რაც ყველაზე უარესია „მაღალი საზოგადოების“ თვალში - სკანდალური საქციელი, და თითქოს მისთვის საქვეყნოდ სილაც კი გაეწნას სწორედ ერთ-ერთ თავად სოკოლოვსკის, ვერსილოვს კი ამის პასუხად იგი დუელში არ გამოუწვევია. შვილებმაც კი (კანონიერმა), ქალ-ვაჟმა, ზურგი აქციეს და ცალკე ცხოვრობდნენ. თუმცა, უნდა ითქვას, რომ მისი ვაჟიცა და ქალიშვილ-

იც მთლად უმაღლეს წრეში ტრიალებდნენ ფანარიოტოვებისა და მოხუცი თავადი სოკოლსკის (ვერსილოვის ყოფილი მეგობრის) მეშვეობით. ესეც კია, მთელი თვე ვაკვირდებოდი ვერსილოვს და ვხედავდი ქედმაღალ ადამიანს, რომელიც საზოგადოებამ როდი გარიყა თავისი წრიდან, - მან თვითონ იფრინა და თავიდან მოიცილა საზოგადოება, - ისე ამაყად ეჭირა თავი. მაგრამ ჰქონდა თუ არა ამის უფლება - აი, რა მაღელვებდა! უსათუოდ რაც შეიძლება მალე უნდა შევიტყო სრული სიმართლე, ვინაიდან ამ ადამიანის განსასჯელად ჩამოვედი. მე მას ჯერ კიდევ ვუმალავდი, თუ რა ძალა მქონდა ხელთ, მაგრამ ან უნდა მიმეღო იგი, ანდა საბოლოოდ ხელი მეკრა. ხელის კვრა კი ძალზე გამიძნელდებოდა, და ვიტანჯებოდი. ბოლოს და ბოლოს, გამოგიტყდებით: ეს კაცი ძვირფასი იყო ჩემთვის!

ჯერჯერობით კი მათთან ერთად ვცხოვრობდი ერთ ბინაში, ვმუშაობდი და ძლივს ვერეოდი ხოლმე თავს, რომ უხეშობა არ გამომევლინა. თუმცა ვერც ვერეოდი, და ერთი თვის განმავლობაში ყოველდღე ვრწმუნდებოდი, რომ ვერაფრის გულისთვის ვერ მივმართავდი ვერსილოვს, ახსნა-განმარტება მომეთხოვა მისთვის. ამაყი კაცი პირდაპირ აღიმართა ჩემ წინაშე, როგორც გამოცანა, რამაც სულის სიღრმემდე შეურაცხმყო. ვერსილოვი კარგად მექცეოდა და მეხუმრებოდა კიდეც, მაგრამ უმალ ჩხუბს ვინატრებდი, ვიდრე ასეთ ხუმრობას. ჩვენი ყოველი საუბარი მუდამ რაღაცნაირად ორაზროვანი იყო, ესე იგი, უბრალოდ რომ ვთქვა, რაღაც უცნაურად დამცინავი მისი მხრივ. მოსკოვიდან ჩამოსულს ის თავიდანვე არასერიოზულად შემხვდა. ვერაფრით მივმხვდარიყავი, რატომ მოიქცა ასე. მართალია, მიაღწია იმას, რომ ამოუცნობი დარჩა ჩემთვის, მაგრამ მე თვითონ არ დავიმცირებდი თავს და არ ვთხოვდი, სერიოზულად მომექეცი-მეთქი. ამასთან, მას ჰქონდა რაღაც გასაოცარი და მომაჯადოებელი ქცევები, რომელთათვისაც ვერაფერი მომეხერხებინა. მოკლედ, ისე მექცეოდა, როგორც მთლად ქორფა ყმაწვილს, - რასაც თითქმის ვერ ვიტანდი, თუმცა კი ადრევე ვიცოდი, ასე იქნება-მეთქი. ამის მიზეზით იყო, რომ მეც თავი დავანებე სერიოზულ ლაპარაკს და ვიცდიდი; ის კი არა, თითქმის აღარ ვლაპარაკობდი. ველოდებოდი პეტერბურგში ჩამოსასვლელ ერთ კაცს, მაშინ საბოლოოდ გავიგებდი სიმართლეს; ეს იყო ჩემი უკანასკნელი სასოება. ყოველ შემთხვევაში, ნიადაგი შევამზადე მათთან ურთიერთობის გასაწყვეტად და ყველა ღონე ვიხმარე საამისოდ. მებრალებოდა დედაჩემი, მაგრამ... „ან ის ან მე“ - აი, რისი თქმა მქონდა გადაწყვეტილი დედისა და დისთვის. საამისო დღეც კი დავთქვი ჩემს გულში; მანამდე კი სამსახურში დავდიოდი.

თავი მეორე - I

ცხრამეტ რიცხვში მე უნდა ამეღო „კერძო“ ადგილზე ჩემი პეტერბურგში სამსახურის პირველი თვის პირველი ჯამაგირი. ამ ადგილზე, მგონი, ჩამოსვლის პირველსავე დღეს მომაწყვეს ისე, რომ ჩემთვის არც კი უკითხავთ. ეს მეტად ტლანქი საქციელი იყო და მოვალეც კი ვიყავი, პროტესტი განმეცხადებინა. ეს ადგილი აღმოჩნდა მოხუცი თავადი სოკოლსკის სახლში. მაგრამ მაშინვე რომ გამეპროტესტებინა, ეს მათთან ურთიერთობის ერთბაშად გაწყვეტას ნიშნავდა, რაც, თუმცა სრულიადაც არ მაშინებდა, მაგრამ ზიანს მიაყენებდა ჩემს არსებით მიზნებს, ამიტომ ჯერჯერობით ხმაამოუღებლად დავთანხმდი და დუმილით დავიცავი ჩემი ღირსება. ამთავითვე უნდა განვმარტო, რომ ეს სოკოლსკი, კაცი მდიდარი და საიდუმლო მრჩეველი, არავითარი ნათესავი არ გახლდათ იმ მოსკოველი თავადი სოკოლსკებისა (საცოდავი ღატაკები რომ იყვნენ რამდენიმე თაობიდან მოყოლებული), რომელთაც ვერსილოვი ედავებოდა. მხოლოდ მოგვარეები იყვნენ. მიუხედავად ამისა, მოხუც თავადს ძალიან შესტკიოდა გული მათზე, განსაკუთრებით უყვარდა ერთი ამ თავადთაგანი, მათი, ასე ვთქვათ, გვარის უფროსი - ახალგაზრდა ოფიცერი. სულ ცოტა ხნის წინ ვერსილოვს ძალიან დიდი გავლენა ჰქონდა ამ მოხუცის საქმეებზე და მისი მეგობარიც იყო, უცნაური მეგობარი, რადგან, როგორც შევამჩნიე, ამ საცოდავ თავადს საშინლად ეშინოდა მისი არა მარტო მაშინ, როცა მასთან სამსახური დავიწყე, არამედ, მგონი, მთელი მათი მეგობრობის განმავლობაშიც. თუმცა კარგა ხანი იყო, ერთმანეთი აღარ ენახათ; ის უღირსი საქციელი, რომელშიც ბრალს სდებდნენ ვერსილოვს, სწორედ თავადის ოჯახს ეხებოდა; მაგრამ აქ უცებ გაჩნდა ტატიანა პავლოვნა, და მეც მისი მეშვეობით მოვეწყვე მოხუცთან, რომელსაც თავის კაბინეტში „ყმაწვილი კაცი“ სჭირდებოდა. ამასთან გამოიკვეთა, რომ მას აგრეთვე ძლიერ სურდა ეამებინა ვერსილოვისთვის, ასე ვთქვათ, პირველი ნაბიჯი გადაედგა, ვერსილოვმაც ნება დართო. მოხუცმა თავადმა ეს ნაბიჯი გადადგა იმ დროს, როცა შინ არ იყო მისი ქალიშვილი, გენერლის ქვრივი, რომელიც უთუოდ არაფრის გულისთვის არ მისცემდა ამის ნებას. ამაზე მერე მოგახსენებთ, ოღონდ აღვნიშნავ, რომ ვერსილოვისადმი სწორედ ამ უცნაურმა დამოკიდებულებამ მომიბრუნა გული მისკენ. მე ასე წარმომედგინა, რომ თუკი შეურაცხყოფილი ოჯახის უფროსი მაინც პატივს სცემს ვერსილოვს, მაშ, სისულელე ან, ყოველ შემთხვევაში, ორაზროვანი ყოფილა ვერსილოვის სულმდაბლობაზე გავრცელებული ხმებიც. ნაწილობრივ ამ გარემოებით იყო, რომ პრ-

ოტესტი არ განვაცხადე სამსახურში გამწესებისას: იმედი მქონდა, ვიმსახურებ და ყოველივე ამას შევამოწმებ-მეთქი.

ეს ტატიანა პავლოვნა უცნაურ როლს თამაშობდა იმ დროს, როცა პეტერბურგში შევხვდი. თითქმის გადავიწყებული მყავდა და არ მოველოდი, თუ ასეთი გავლენიანი იყო. წინათ, მოსკოვში ცხოვრებისას, სამ-ოთხჯერ შევხვედრივარ ტატიანა პავლოვნას, რომელიც ღმერთმა უწყის, საიდან და ვისი დავალებით გაჩნდებოდა ხოლმე ყოველთვის, როცა საჭირო იყო ჩემი სადმე მოწყობა, იყო ეს ტუშარის უბადრუკ პანსიონში ჩემი მოხვედრა თუ ორ-ნახევარი წლის მერე გიმნაზიაში გადაყვანა და დაუვიწყარ ნიკოლაი სემიონოვიჩთან დაბინავება. როცა გაჩნდებოდა, მთელ იმ დღეს ჩემთან გაატარებდა ხოლმე, გადახედავდა ხოლმე ჩემს თეთრეულსა და ტანსაცმელს, წამიყვანდა კუზნეცკიზე და ქალაქში, მიყიდდა აუცილებელ რამეებს, მოკლედ, თითქმის მთელ მზითევს გამომიწყობდა, არც ზანდუკის ყიდვას დაიშურებდა და კალმის დანა რაა, ისიც კი არ ავიწყდებოდა. თანაც სულ ერთავად მისისინებდა, მლანძღავდა, მამუნათებდა, გამოცდას მიწყობდა, სამაგალითოდ მისახელებდა ვიღაც ფანტასტიკურ ბიჭებს, თავის ნაცნობებსა და ნათესავებს, რომლებიც თითქოსდა ჩემზე უკეთესები იყვნენ და, ჩემმა მზემ, მჩქმეტდა კიდეც; რამდენჯერმე ისე წამიქიმუნჯა, რომ ძალიანაც მეტკინა. როცა მომაწყობდა და დამაბინავებდა, რამდენიმე წლით უკვალოდ გაქრებოდა. აი, ეს ტატიანა პავლოვნა იყო, ჩემი ჩამოსვლის უმალ კვლავ რომ გაჩნდა, ისევ ჩემს მოსაწყობად. ეს გახლდათ გალეული, დაბალი ტანის ქალი. ჩიტისებრ ნისკარტა ცხვირი ჰქონდა და ჩიტისებრ მახვილი თვალები. ვერსილოვს მონასავით ემსახურებოდა და თაყვანს სცემდა, ვითარცა პაპს, ოღონდ ამას რწმენით სჩადიოდა. მალე გაოცებულმა შევამჩნიე, რომ ტატიანა პავლოვნას ყველგან და ყველა პატივს სცემდა, და რაც მთავარია - უკლებლივ ყველგან და ყველა ცნობდა. მოხუცი თავადი სოკოლსკი არაჩვეულებრივი პატივისცემით ეპყრობოდა; ასევე ექცეოდნენ მისი ოჯახის წევრებიც; ვერსილოვის ის კუდაბზიკა შვილებიც; ფანარიოტოვებიც; - ამავე დროს, ტატიანა პავლოვნა ჭრა-კერვით ინახავდა თავს, რაღაც მაქმანებს რეცხავდა, მაღაზიიდან იღებდა სამუშაოს. ჩვენ პირველი სიტყვისთანავე წავეკიდეთ ერთმანეთს, რადგან მაშინვე უწინდელივით მომინდომა სისინი, როგორც ამ ექვსი წლის წინ იცოდა ხოლმე; იქიდან მოყოლებული ყოველდღე ვჩხუბობდით, მაგრამ ეს ხელს არ გვიშლიდა, ხანდახან გვესაუბრა და, უნდა გამოვტყდე, თვის ბოლოს უკვე მომეწონა კიდეც; ვფიქრობ, მისი დამოუკიდებელი ხასიათის გამო. თუმცა ეს მისთვის არ მითქვამს.

იმთავითვე მივხვდი: ამ ავადმყოფ მოხუცთან მხოლოდ იმიტომ მომაწყვეს, რომ „გავართო“ და მთელი ჩემი სამსახურიც ესაა. ბუნებრივია, ეს დამცირებად მივიჩნიე და მყისვე დავაპირე ზომების მიღება; მაგრამ მალე ამ ახირებულმა მოხუცმა რაღაც მოულოდნელი, სიბრალულისმაგვარი შთაბეჭდილება აღმიძრა და თვის ბოლოს უცნაურად შევეჩვიე, ყოველ შემთხვევაში, ხელი ავიღე უხეშად მოქცევის განზრახვაზე. კაცმა რომ თქვას, სამოცზე მეტი ხნისა არ იქნებოდა. აქ მთელი ისტორია იყო. ამ წლინახევრის წინათ უცნაურად, ბნედასავით მოსვლია; სადღაც გამგზავრებულა და გზაში გაგიჟებულა, ასე რომ, სკანდალისმაგვარი რაღაც მომხდარა, რაზედაც პეტერბურგში ლაპარაკი შექნილა. როგორც მიღებულია ხოლმე ასეთ შემთხვევებში, მსწრაფლ წაუყვანიათ საზღვარგარეთ, მაგრამ ხუთიოდე თვის მერე უცებ ისევ გამოჩენილა სავსებით ჯანმრთელი, თუმცა სამსახურისთვის თავი დაუნებებია. ვერსილოვი სერიოზულად (და საკმაოდ ცხარედაც) ირწმუნებოდა, ვინ მოჩმახა, ვითომ გაგიჟდაო, ეს მხოლოდ ნერვიული შეტევა იყოო. მე მაშინვე თვალში მომხვდა ვერსილოვის ეს სიცხარე. უნდა მოგახსენოთ, რომ მეც თითქმის ამ აზრის ვიყავი. ეს იყო ოღონდ, მოხუცი ხანდახან მეტისმეტად ქარაფშუტა მეჩვენებოდა, რაც მის ასაკს აღარ შეჰფეროდა და რაც, როგორც ამბობდნენ, წინათ არ სჭირდა. ამბობდნენ, წინათ სადღაც რაღაც რჩევებს იძლეოდა და ერთხელ თავიც კი გამოიჩინა ერთი დაკისრებული საქმის შესრულებისასო. მთელი თვე ვიცნობდი მას და ვერაფრით წარმომედგინა, რაიმე განსაკუთრებული მრჩეველი ყოფილიყო. იმასაც ამბობდნენ (თუმცა მე არ შემიმჩნევია), იმ ბნედის მერე რაღაცა განსაკუთრებით მოიწადინა საჩქაროდ ცოლის შერთვა და ამ წელიწად-ნახევარში რამდენჯერმე დააპირა კიდეც ამ იდეის განხორციელებაო. ამბობდნენ, ეს ამბავი მაღალ საზოგადოებაშიც შეუტყვიათ და ვინც ჯერ არს, დაინტერესებულიც არის ამითო. მაგრამ ვინაიდან თავადის ეს მიდრეკილებანი სულაც არ იყო ხელსაყრელი თავადის ირგვლივ მყოფი ზოგიერთი პირისთვის, ამიტომ მოხუცს გაფაციცებით დარაჯობდნენ. საკუთრივ მისი ოჯახი პატარა იყო; მოხუცი აგერ, ოცი წელია, დაქვრივებულიყო და ჰყავდა ერთადერთი ქალიშვილი, ის გენერლის ქვრივი, რომელსაც ახლა დღე-დღეზე მოელოდნენ მოსკოვიდან, ახალგაზრდა ქალი, რომლის ხასიათისაც მას ძალიან ეშინოდა. მაგრამ ჰყავდა აუარება შორეული ნათესავი, მეტწილად განსვენებული ცოლის მხრიდან; თითქმის ყველა ღარიბ-ღატაკი; ჰყავდა აგრეთვე მრავალი გაზრდილი, რომლებსაც იმედი ჰქონდათ, ცოტა რამეს მაინც გვიანდერძებსო, ამიტომ გენერლის ქვრივს მოხუცის მეთვალყურეობაში ეხმარებოდნენ. გარდა ამისა, ყმაწვილობიდანვე ერთი ახირებული ზნე სჭირდა, ოღონდ არ ვიცი,

სასაცილოა თუ არა ეს: ღარიბ ქალიშვილებს ათხოვებდა. აგერ, ოცდა-ხუთი წელიწადი იყო, ათხოვებდა მათ - ან შორეულ ნათესავებს, ან თა-ვისი ცოლის ბიძაშვილების გერებს, ან ნათლულებს, ერთხელ თავისი შვეიცარის ქალიც კი გაათხოვა. ჯერ მოიყვანდა თავის სახლში მთლად პაწიებს, მიუჩენდა გუვერნანტ და ფრანგულის მასწავლებელ ქალებს, მერე საუკეთესო სასწავლებელში მიაბარებდა, ბოლოს გაამზითვებდა და გაათხოვებდა. ესენი ყველანი მუდამ გარს ეხვივნენ. ბუნებრივია, მისი გაზრდილები რომ თხოვდებოდნენ, აჩენდნენ ისევ გოგონებს, ეს გოგონებიც თავის მხრივ ცდილობდნენ მისი გულის მოგებას, ყველგან ის უნდა ყოფილიყო ნათლია, ყველანი მოდიოდნენ მასთან დღეობის მოსალოცად და ყოველივე ეს დიდად სიამოვნებდა.

მოხუცთან სამსახური დავიწყე თუ არა, მაშინვე შევნიშნე, რომ ერ-თი სამძიმო რწმენა აეკვიატებინა - და ეს არ შეიძლებოდა არ შეგემჩ-ნიათ, - თითქოს მაღალ წრეებში ყველა როგორღაც უცნაურად უყურე-ბს, ისე აღარ ექცევიან, როგორც წინათ, როცა ჯანმრთელი იყო; ეს შთ-აბეჭდილება არ შორდებოდა მაღალი წრის ყველაზე მხიარულ თავყ-რილობებზეც კი. მოხუცი ეჭვიანი შეიქნა, თვალებში ყველას რაღაცას ატყობდა. ეტყობოდა, ტანჯავდა აზრი, ყველას ისევ გიჟი ვგონივარო; ხანდახან მეც კი უნდობლად მაკვირდებოდა. და რომ გაეგო, ვინმე მი-ვრცელებს ან ადასტურებს ამ ხმებსო, მე მგონი, ეს უსათნოესი კაცი სა-მუდამო მტრად გაუხდებოდა. გთხოვთ, დაიმახსოვროთ ეს გარემოება. აქვე დავამატებ, პირველი დღიდანვე სწორედ ეს გახლდათ მიზეზი, რომ უკმეხად არ ვექცეოდი; მიხაროდა კიდეც, თუკი ხანდახან გავამხი-არულებდი ან გავართობდი; არა მგონია, ამის აღიარებამ ჩრდილი მი-აყენოს ჩემს ღირსებას.

მისი ფულის უდიდესი ნაწილი ბრუნვაში იყო. მოხუცი თავადი, უკვე ავადმყოფობის მერე, ერთ დიდ და, უნდა ითქვას, ფრიად საიმედო საა-ქციონერო კომპანიაში გაწევრიანდა, და თუმცა საქმეს სხვები განაგ-ებდნენ, თვითონაც დიდ ინტერესს იჩენდა, ესწრებოდა აქციონერთა კრებებს, აირჩიეს დამფუძნებელ წევრად, მონაწილეობდა საბჭოს სხდ-ომებში, წარმოთქვამდა კარგა გრძელ სიტყვებს, დაობდა, ერთ ამბავ-ში იყო და, ეტყობოდა, ყოველივე ეს სიამოვნებას ჰგვრიდა. სიტყვების წარმოთქმა ძალიან მოეწონა: სხვა არა იყოს რა, ყველას შეეძლო დაე-ნახა მისი ჭკუა. და საერთოდ, თვით ინტიმურ კერძო ცხოვრებაშიც, სა-შინლად შეუყვარდა საუბრის დროს განსაკუთრებით ღრმააზროვანი რამეების ან ბონმოს (ხუმრობა, მოსწრებული ნათქვამი (ფრანგ.).) ჩა-რთვა; ეს ჩემთვის ძალიანაც გასაგებია. სახლში, ქვემოთ, მოწყობილი

იყო რაღაც საშინაო კანტორის მსგავსი და ერთი მოხელე აწარმოებდა საქმეებს, ანგარიშსა და დავთრებს, თან სახლსაც განაგებდა. ეს მოხელე, რომელიც, აგრეთვე, სახელმწიფო სამსახურშიც იყო, მარტოც მშვენივრად აუვიდოდა ყველა საქმეს, მაგრამ თვით თავადის სურვილით მეც მიმამატეს ვითომდა მოხელის დამხმარედ; ოღონდ მყისვე გადამიყვანეს კაბინეტში და ხშირად, თუნდაც მოსაჩვენებლად, არავითარი საქმე არ მქონია, - წინ არც რამე ქაღალდები მელაგა, არც წიგნები.

ახლა ვწერ, როგორც კარგა ხნის გამოფხიზლებული და თან ბევრ რამეში თითქმის გარეშე ადამიანი, მაგრამ როგორ აღვწერო ჩემი მაშინდელი ნაღველი (რომელიც ახლაც ცხადლივ გამახსენდა), გულში რომ ჩამბუდებოდა და, რაც მთავარია - ჩემი მაშინდელი იმდენად ბუნდოვანი და აღგზნებულ მდგომარეობამდე მისული მღელვარება, რომელმაც ძილი დამიკარგა - საკუთარი მოუთმენლობისა და იმ გამოცანების გამო, რომლებიც ჩემს თავს ავუტეხე.

II

ფულის მოთხოვნა, თუნდაც ჯამაგირისა - უსაძაგლესი ამბავია, თუ სადღაც, სინდისის კუნჭულებში გრძნობ, რომ მაინცდამაინც არ დაგიმსახურებია ეს ფული. არადა, წინა დღით დედაჩემი ეჩურჩულებოდა ჩემს დას ვერსილოვის უჩუმრად („ანდრეი პეტროვიჩი რომ არ განაწყენდეს“), სახატიდან ხატი უნდა გადმოვიღო და დავაგირავოო. თან ეს ხატი რატომღაც მეტად ძვირფასი ყოფილიყო დედასთვის. მე თვეში ორმოცდაათი მანეთი მქონდა დანიშნული გასამრჯელოდ, მაგრამ არ ვიცოდი, როგორ უნდა მიმეღო ეს ფული; როცა აქ გამამწესეს, არავის არაფერი უთქვამს ჩემთვის. სამიოდე დღის წინ დაბლა შევხვდი იმ მოხელეს და ვკითხე: აქ ჯამაგირს ვისგან იღებ-მეთქი? მოხელემ გაოცებული კაცის ღიმილით შემომხედა (მას არ ვუყვარდი):

- განა თქვენ ჯამაგირს იღებთ?

მეგონა, ჩემი პასუხის შემთხვევაში, დაუმატებდა:

- ნეტავი რაში გაძლევენ?

მაგრამ მან მხოლოდ მშრალად მომიგო, არაფერი ვიციო, და თავი ჩარგო თავის ხაზებიან დავთარში, სადაც რაღაც ანგარიშები გადაჰქონდა რომელიღაც ქაღალდებიდან.

თუმცა, კაცმა რომ თქვას, მან იცოდა, რომ რაღაცას მაინც ვაკეთებდი. ორიოდე კვირის წინ სრული ოთხი დღე მოვუნდი სამუშაოს, რომელიც მანვე მომცა: ვითომ უნდა გადამეთეთრებინა, სინამდვილეში კი თითქმის ხელახლა შემექმნა დასაწერი. ეს გახლდათ დახვავებული „ფიქრები“ თავადისა, რომლებიც აქციონერთა კომიტეტში უნდა წარედგინა. ყოველივე ეს უნდა დამელაგებინა, თავი მომება და თან მისი სტილისთვის მიმემგვანებინა. მე და თავადი მერე მთელი დღე მოვუნდით ამ ქაღალდის დამუშავებას; მოხუცი მეტად ცხარედ მედავებოდა, მაგრამ კმაყოფილი კი დარჩა; ოღონდ არ ვიცი, წარადგინა ქაღალდი სადმე თუ არა. აღარაფერს ვამბობ იმ ორ-სამ, აგრეთვე საქმიან წერილზე, რომლებიც მისი თხოვნით დავწერე.

ჯამაგირის თხოვნა იმიტომაც არ მსიამოვნებდა, რომ უკვე გადაწყვეტილი მქონდა, უარი მეთქვა სამსახურზე, რადგან გული მეუბნებო-

და, გარდაუვალ გარემოებათა გამო აქედანაც მოგიხდება წასვლაო. იმ დილას რომ გავიღვიძე და ზემოთ, ჩემს სენაკში, ტანთ ვიცვამდი, ვიგრძენი, რომ გულმა ბაგაბუგი დამიწყო და თუმცა ვიფურთხებოდი, მაგრამ თავადის სახლში რომ შევდიოდი, კვლავ ვიგრძენი იგივე მღელვარება: ამ დილით უნდა ჩამოსულიყო ის არსება. ის ქალი, რომლის ჩამოსვლითაც უნდა გარკვეულიყო ყველაფერი, რაც მტანჯავდა! ეს გახლდათ სწორედ თავადის ქალიშვილი, გენერლის მეუღლე ახმაკოვა, ის ახალგაზრდა ქვრივი, რომლის შესახებაც უკვე მოგახსენეთ და რომელიც სასტიკ მტრად გახდომოდა ვერსილოვს. აი, როგორც იქნა, დავწერე ეს სახელი! მე ის, ცხადია არასოდეს მენახა, და ვერც წარმომედგინა, როგორ დაველაპარაკებოდი ან დაველაპარაკებოდი კი? მაგრამ ვფიქრობდი (იქნებ საკმაო საფუძველიც მქონდა საამისოდ), რომ მისი ჩამოსვლა გაფანტავდა იმ ბნელს, რაც ჩემს თვალში გარს ეხვია ვერსილოვს. არ შემეძლო გულმაგარი დავრჩენილიყავი: საშინლად მწყინდა, რომ პირველი ნაბიჯისთანავე ასეთი ჯაბანი და უგერგილო გამოვდექი; საშინელი ცნობისმოყვარეობა მიპყრობდა და, რაც მთავარია, ზიზღს ვგრძნობდი, - მთელი სამი შთაბეჭდილება შემექმნა. ის დღე მთლიანად ზეპირად მახსოვს!

თავადმა ჯერ არაფერი იცოდა თავისი ქალიშვილის მოსალოდნელი ჩამოსვლის შესახებ და მხოლოდ ერთი კვირის მერე მოელოდა მოსკოვიდან. მე კი სრულიად შემთხვევით შევიტყვე წინა დღეს: დედაჩემთან წამოსცდა ტატიანა პავლოვნას, რომელსაც გენერლის ქვრივის წერილი მიეღო. თუმცა ისინი ჩურჩულებდნენ და ვითომ ნართაულად ლაპარაკობდნენ, მაგრამ მე მივხვდი. რა თქმა უნდა, განგებ არ დამიყურებია: უბრალოდ, არ შემეძლო ყური არ მეგდო, რაკი ვნახე, თუ უცებ როგორ აღელდა დედაჩემი, როცა იმ ქალის ჩამოსვლის ამბავი გაიგო. ვერსილოვი შინ არ იყო.

არ მინდოდა მოხუცისთვის მეთქვა ეს ყურმოკრული ამბავი, რადგან მთელი ეს ხანი ვატყობდი, თუ რა შიშით ელოდა შვილის ჩამოსვლას. სამი დღის წინ თუმცა გაუბედავად და გადაკვრით, მაგრამ მაინც წამოსცდა, რომ ქალიშვილის ჩამოსვლა ჩემ გამო აშინებს, ესე იგი, ჩემი გულისთვის მას მოხვდება. თუმცა უნდა დავურთო, რომ ოჯახში თავადი მაინც ინარჩუნებდა დამოუკიდებლობას და უფროსობას, მეტადრე ფულის საქმეში. ჯერ ვთქვი, მთლად ქალაჩუნა ყოფილა-მეთქი; მაგრამ მერე ისევ გადავთქვი იმ მხრივ, რომ თუნდაც ქალაჩუნა იყოს, ხანდახან მაინც გააჩნია რაღაცა სიჯიუტე, თუ ნამდვილი ვაჟკაცობა არა-მეთქი. იყო ხოლმე წუთები, როცა კაცი ვერაფერს მოუხერხებდა მის უთ-

უოდ მხდალსა და ადვილად დამყოლ ხასიათს. შემდეგში ეს უფრო წვრილად ამიხსნა ვერსილოვმა. ახლა ინტერესით აღვნიშნავ, რომ მე და თავადს თითქმის არასოდეს გვილაპარაკია გენერლის ქვრივზე, თითქოს გავურბოდით მასზე ლაპარაკს: განსაკუთრებით გავურბოდი მე, ის კი, თავის მხრივ, გაურბოდა ვერსილოვზე ლაპარაკს, და აშკარად მივხვდი, არც მიპასუხებდა, კიდეც რომ დამესვა რომელიმე საჩოთირო კითხვა იმ აუარება კითხვათაგან, ასე რომ მაინტერესებდა.

თუ ვინმე მოისურვებს შეიტყოს, თუ რას ვმუსაიფობდით მთელი ერთი თვე, მივუგებ: კაცმა რომ თქვას, ვმუსაიფობდით ყველაფერზე, მაგრამ სულ რაღაც უცნაურ რამეებზე. ძლიერ მომწონდა, ასეთი ალალი გულით რომ მეკიდებოდა. ხანდახან ძალზე გაოცებული ვაკვირდებოდი ამ კაცს და ჩემს თავს ვეკითხებოდი: „ნეტავი გამაგებინა, სად მსახურობდა წინათ? ამის ადგილი ხომ ჩვენს გიმნაზიაშია. ისიც - მეოთხე კლასში, ვიშ, რა საყვარელი ამხანაგი იქნებოდა“. ბევრჯერ გავუკვირვებივარ მის სახესაც: შესახედავად მეტად სერიოზული (და თითქმის ლამაზი), ცივი სახე ჰქონდა; ხშირი, ჭაღარა, ხვეული თმა, ნათელი თვალები; საერთოდ, ერთიანად ხმელ-ხმელი იყო, კარგი ტანადი; მაგრამ მის სახეს ჰქონდა ერთი უსიამოვნო, თითქმის უხამსი თვისება - არაჩვეულებრივად დარბაისელი რომ იყო, ერთბაშად მეტად გიჟმაჟი გამომეტყველება გაუხდებოდა, ასე რომ, პირველად მნახველისთვის ეს სრულიად მოულოდნელი იყო. ეს ვუთხარი ვერსილოვს, რომელმაც ცნობისმოყვარეობით მომისმინა; მგონი, არ მოელოდა, რომ მე ასეთი რამის შემჩნევა შემეძლო; მაგრამ გაკვრით შენიშნა, ეს თავადს ავადმყოფობის მერე და, ისიც, ალბათ, ბოლო ხანებში დასჩემდაო.

უპირატესად ვსაუბრობდით ორ განყენებულ საგანზე - ღმერთსა და მის ყოფიერებაზე, ანუ, არსებობს თუ არა იგი, - და ქალებზე. თავადი დიდი ღვთის მორწმუნე და მგრძნობიარე ადამიანი გახლდათ. მის კაბინეტში ეკიდა ვეება სახატე კანდელით. მაგრამ ერთბაშად რაღაც წამოუვლიდა ხოლმე - და უცებ ეჭვს გამოთქვამდა, ღმერთი არ უნდა არსებობდესო; და ისეთ გასაოცარ რამეებს იტყოდა, აშკარად საპასუხოდ მიწვევდა. ამ იდეას, საერთოდ რომ ვთქვათ, საკმაო გულგრილობით ვეკიდებოდი, მაგრამ მაინც ორივეს გაგვიტაცებდა ხოლმე, თანაც ყოველთვის გულწრფელად. ახლაც კი სიამოვნებით მაგონდება ყველა ჩვენი მაშინდელი საუბარი. მაგრამ ყველაზე მეტად ქალებზე უყვარდა საუბარი, და რადგან მე არ მიყვარს ამ თემაზე ლაპარაკი და ამიტომ ვერც კარგი მოსაუბრე გახლდით, ხანდახან განაწყენებულიც კი დარჩენილა.

იმ დილით, როგორც კი მივედი, სწორედ ამგვარი ლაპარაკი წამოიწყო. გიჟმაჟი ლაპარაკის გუნებაზე დამხვდა, წუხელ კი, რატომღაც ძალზე ნაღვლიანი დავტოვე. მე კი აუცილებლად დღესვე, - ზოგიერთების ჩამოსვლამდე, - უნდა მომეთავებინა ჯამაგირის საქმე. ჩემი ვარაუდით, დღეს უსათუოდ სიტყვას გაგვაწყვეტინებდნენ (ტყუილად ხომ არ გაჰქონდა ჩემს გულს ბაგაბუგი), - და მაშინ, იქნებ, ვეღარც გამებედა ფულის თაობაზე ხმის ამოღება. მაგრამ რაკი ლაპარაკი ისე წარიმართა, რომ სიტყვამ არ მოიტანა ფულის საკითხი, მეც, ბუნებრივია, გავბრაზდი საკუთარ სისულელეზე და, როგორც ახლა მაგონდება, მის რომელიღაც ძალზე მხიარულ შეკითხვაზე, გულმოსულმა ერთბაშად და მეტისმეტად ცხარედ გადმოვულაგე ჩემი შეხედულებები ქალებზე. ამას კი, ჩემდა ჭირად, ის მოჰყვა, რომ კიდევ უფრო გატაცებით ალაპარაკდა.

III

- ...არ მიყვარს ქალები იმიტომ, რომ უკმეხები არიან. იმიტომ, რომ მოუხეშავები არიან, იმიტომ, რომ დამოუკიდებლობა არა აქვთ, და იმიტომ, რომ უზრდელად იცვამენ! - უთავბოლოდ დავასრულე ჩემი დიდი ტირადა.

- ძვირფასი, შემიბრალე! - წამოიძახა საოცრად გამხიარულებულმა თავადმა, რამაც უარესად გამაცეცხლა.

მე დამთმობი და წვრილმანი ვარ მხოლოდ წვრილმანებში, მაგრამ მთავარს არასოდეს დავთმობ. წვრილმანებში კი, მაღალი წრის რაიმენაირი მიდგომით, ეშმაკმა იცის, რას არ მომიხერხებს კაცი, და მუდამ თავბედს ვიწყევლი ხოლმე, ასეთი ხასიათი რომ მაქვს. რაღაც აქოთებული გულკეთილობის გამო ხანდახან მზად ვყოფილვარ, ყველაფერში დავთანხმებოდი მაღალი წრის ვინმე ფუქსავატს. მხოლოდ იმიტომ, რომ მის ზრდილობას მოვუხიბლივარ, ანდა კამათში ავყოლილვარ ვინმე ბრიყვს, რაც კიდევ უფრო ნაკლებმისატევებელია. ყოველივე ეს იმისგან მჭირდა, რომ თავშეუკავებელი ვიყავი და იმისგანაც, რომ მარტოკა ვიზრდებოდი ჩემთვის, კუთხეში. ხშირად წამოვსულვარ ხოლმე გაგულისებული და დამიფიცია, ხვალ ეს აღარ დამემართება-მეთქი, თუმცა ხვალ იგივე მეორდებოდა. ამიტომაც იყო, რომ ხანდახან ლამის თექვსმეტი წლის ბიჭი ვგონებივართ. მაგრამ იმის ნაცვლად, რომ თავშეკავება ვისწავლო, ახლაც მირჩევნია, უფრო მაგრად მივიყუჟო ჩემს კუთხეში, თუნდაც ყოვლად კაცთმოძულის სახით: „დაე, მოუხეშავი ვიყო, მაგრამ - მშვიდობით!“. ამას სერიოზულად და სამუდამოდ ვამბობ. თუმცა თავადის გამო ან თუნდაც მთელი მაშინდელი ლაპარაკის გამო როდი ვწერ ამას.

- ამას თქვენს გასამხიარულებლად კი არ ვამბობ, - თითქმის დავუყვირე თავადს, - მე მხოლოდ ჩემს რწმენას გამოვთქვამ.

- კი მაგრამ, რანაირადაა, რომ ქალები უხეშნი არიან და უზრდელად აცვიათ? ეს ახალი ამბავია.

- უხეშნი არიან. წაბრძანდით თეატრში, წაბრძანდით სასეირნოდ. ყველა მამაკაცმა იცის, რომ მარჯვნივ უნდა წავიდეს. შეხვდებიან ერთმანეთს და გაიყრებიან, ის მარჯვნივ წავა და მეც მარჯვნივ წავალ. ქა-

ლი კი, ესე იგი მანდილოსანი, - მე მანდილოსნებზე მოგახსენებთ, - ჯიქურ მოაბიჯებს თქვენკენ, არც კი გამჩნევთ, თითქოს თქვენ უსათუოდ მოვალე ხართ, განზე გახტეთ და გზა დაუთმოთ. მზად ვარ დავუთმო, როგორც უსუსტეს ქმნილებას, მაგრამ რა შუაშია აქ მისი უფლება, რატომაა ასე დარწმუნებული, რომ მოვალე ვარ, ასე მოვიქცე, - აი, რა არის შეურაცხმყოფელი! როცა შევხვედრივარ, ყოველთვის გადამიფურთხებია. ამის მერე კი გაჰყვირიან, ქალი დაჩაგრულიაო, და თანასწორობას მოითხოვენ; რა თანასწორობაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა ქალი ფეხს მადგამს ან პირს ქვიშით მივსებს!

- ქვიშითო!

- დიახ, იმიტომ, რომ უზრდელად აცვიათ; ამას მარტო გარყვნილი კაცი ვერ შეამჩნევს. სასამართლოში ხომ კეტავენ კარს, როცა რაიმე უწესო საქმეს არჩევენ? რატომღა აძლევენ უწესობის ნებას ქუჩაში, სადაც კიდევ უფრო მეტი ხალხია? დაუფარავად დაუდვიათ უკან ფრუ-ფრუ (შრიალი; ფარჩა-ატლასი, რომელსაც მოძრაობისას შარიშური გააქვს (ფრანგ.).), რათა დაანახვონ ხალხს, რომ ბელფამები (ბანოვანები (ფრანგ.).) არიან; აშკარად სჩადიან ამას! როგორ შემიძლია, არ შევნიშნო ეს. ყმაწვილიც შენიშნავს, ბავშვიც... ბიჭობაში რომ შედის, ისიც შენიშნავს; ეს უნამუსობაა. დატკბნენ, ბატონო ჩემო, გარყვნილი მოხუცები და ენაგადმოგდებულებმა სდიონ უკან, მაგრამ არის გაურყვნელი, სუფთა ახალგაზრდობა, რომელსაც უნდა მოვუფრთხილდეთ! სხვა არაფერი დაგრჩენია კაცს, უნდა იფურთხო. მიირხევა ბულვარში, უკან კი არშინ-ნახევარ კუდს მიათრევს და მტვერს მიეხვეტება; დიდი დროს ტარება კია მის უკან სიარული: ან უნდა სირბილით გაუსწრო, ანდა განზე გახტე, თორემ ხუთ გირვანქა ქვიშას მაინც შეგაყრის ცხვირ-პირში, თანაც კაბა აბრეშუმისაა, - მხოლოდ იმიტომ მიათრევს ქვებზე ამ აბრეშუმს სამ ვერსზე, რომ მოდას აჰყოლია, ქმარი კი სენატში მუშაობს და სამასი მანეთი აქვს წელიწადში ჯამაგირი: აი, სადაა მოკალათებული ქრთამი. მე ყოველთვის ვიფურთხებოდი ხოლმე, ხმამაღლა ვიფურთხებოდი და ვილანძღებოდი.

თუმცა ამ საუბარს ცოტათი იუმორითა და მაშინდელი ხასიათით ვწერ, მაგრამ დღემდეც ამ აზრის გახლავართ.

- მერე არაფერს გეუბნებოდნენ? - დაინტერესდა თავადი.

- გადავაფურთხებდი ხოლმე და გავეცლებოდი. რა თქმა უნდა, ქალი იგრძნობდა, მაგრამ არ შეიმჩნევდა, ისევ ერთი ყოფით მიირხეო-

და, თავსაც კი არ მოაბრუნებდა. მხოლოდ ერთხელ, ბულვარზე, სავსებით სერიოზულად წავეკიდე ვიღაც ორ ქალს, ისინიც კუდებს მიათრევდნენ, - ცხადია, არ შემიგინებია, ოღონდ ხმამაღლა ვთქვი, კუდი შეურაცხმყოფელია-მეთქი.

- სწორედ ეგრე თქვი?

- რა თქმა უნდა. ჯერ ერთი, ესაა საზოგადოების პირობების გათელვა, მეორეც, კორიანტელს აყენებენ; ბულვარი კი ყველასთვისაა: მივდივარ მე, მოდის მეორე, მესამე, ფიოდორ, ივან, სულერთია. აი, ესა ვთქვი. და საერთოდ, არ მიყვარს ქალის სიარული, თუ უკნიდან შეხედავს კაცი; ესეც ვთქვათ, ოღონდ გადაკვრით.

- ჩემო მეგობარო, კიდევ კარგი, სერიოზულ ამბავში არ გაეხვიე; ხომ შეეძლოთ მომრიგებელ მოსამართლესთან წაეყვანეთ?

- არაფერიც არ შეეძლოთ. აბა, რა უნდა შეეჩივლათ; მოდის კაცი შორიახლოს და თავისთვის ლაპარაკობს. ყოველ ადამიანს აქვს უფლება, ჰაერზე გამოთქვას თავისი შეხედულება. მე ხომ მათთვის არ მიმიმართავს, განყენებულად ვლაპარაკობდი. თვითონ აღარ მომეშვნენ; დამიწყეს ლანძღვა, თანაც უფრო მეტად გამლანძღეს, ვიდრე მე ისინი; ლაწირაკი ხარო, უსადილოდ უნდა დაგტოვოს კაცმაო, ნიჰილისტი ხარო, ახია, პოლიციელს გადაგცეთო, იმიტომ აგვეკიდე, რომ მარტოკანი ვართ უმწეო ქალები, აბა, ერთი მამაკაცი გვხლებოდა, მაშინვე კუდს ამოიძულებდიო. მე მშვიდად განვუცხადე, თავი დამანებეთ, თორემ იქით ქუჩაზე გადავალ-მეთქი, ხოლო რათა დაგიმტკიცოთ, რომ თქვენს მამაკაცებს არ შევუშინდები და მათ გამოწვევას მივიღებ, ოცი ნაბიჯის მოშორებით გამოგყვებით ზედ თქვენს სახლამდე, მერე გავჩერდები სახლის წინ და დავუცდი თქვენს მამაკაცებს-მეთქი. ასეც მოვიქეცი.

- ნუთუ?

- რა თქმა უნდა, სისულელე იყო, მაგრამ გაცეცხლებული ვიყავი. სამ ვერსზე მათრიეს იმ პაპანაქებაში, ინსტიტუტებამდე მივედით; შევიდნენ ერთსართულიან ხის სახლში, - უნდა გამოვტყდე, ძალიან წესიერი სახლი იყო, - ფანჯრებში მოჩანდა აუარება ყვავილი, ორი კანარის ჩიტი, სამი გოშია და ჩარჩოში ჩასმული ესტამპები. ნახევარი საათი მაინც ვიდექი შუა ქუჩაში სახლის წინ. ქალებმა სამიოდეჯერ მალულად გამოიხედეს, მერე ყველა ფარდა ჩამოუშვეს. ბოლოს ჭიშკრიდან გა-

მოვიდა ვიღაც ხანში შესული მოხელე; ეტყობოდა, ეძინა და საგანგებოდ გაეღვიძებინათ; ხალათი არ ეცვა, მაგრამ მაინც ძალზე საშინაოდ იყო გამოწყობილი; გაჩერდა ჭიშკართან, ხელები უკან შემოიწყო და ცქერა დამიწყო; მეც მივაჩერდი. მერე განზე გაიხედა, ისევ შემომხედა და უცებ გამიღიმა. მოვბრუნდი და წამოვედი.

- ჩემო მეგობარო, ეს რაღაც შილერისეულია. მუდამ მიკვირდა: ასეთი ლოყებღაჟღაჟა ხარ, სახე ჯანმრთელად გიღვივის და, თუ შეიძლება ასე ითქვას, გეზიზღება ქალები! სად გაგონილა, რომ შენი ხნის ყმაწვილზე ქალები გარკვეულ შთაბეჭდილებას არ ახდენდნენ? მე mon cher (ჩემო ძვირფასო (ფრანგ.).), ჯერ კიდევ თერთმეტი წლისა ვიყავი, როცა გუვერნიორმა შენიშვნა მომცა, საზაფხულო ბაღში ძალიან ნუ აშტერდები ქანდაკებებსო.

- თქვენ საშინლად გინდათ, რომ ვეწვიო რომელიმე აქაურ ჟოზეფინას და მერე ყველაფერი ჩაგიკაკლოთ, ტყუილი იმედია; მე თვითონაც, ცამეტი წლის ვიქნებოდი, როცა ქალის სიტიტვლე მთლიანად ვნახე; სწორედ მას მერე ვიგრძენი ზიზღი.

- მართლა? კი მაგრამ, cher enfant (ძვირფასო ბავშვო (ფრანგ.).), ლამაზ ყმაწვილ ქალს ხომ ვაშლის სუნი ასდის, აბა, რა ზიზღზე ლაპარაკობ!

- ტუშარის ერთ უბადრუკ პანსიონში, გიმნაზიამდე, ერთი ამხანაგი მყავდა, ლამბერტი. სულ ერთთავად მიბაგუნებდა, რადგან ჩემზე სამი წლით უფროსი იყო, მე კი ვემსახურებოდი და წაღებს ვხდიდი ხოლმე. როდესაც კონფირმაცია (რელიგიური წეს-ჩვეულება: კათოლიკეებში - ბავშვების მირონცხების საიდუმლო; პროტესტანტებში - ეკლესიის მრევლის წევრებად ჭაბუკებისა და ქალიშვილების მიღების წესი.) მიიღო, მასთან მოვიდა აბატი რიგო, რათა მიელოცა პირველი ზიარება. ორივეს თვალზე ცრემლი მოერია, გადაეხვივნენ ერთმანეთს, თან აბატი რიგო საშინლად იკრავდა გულში ლამბერტს და იყო ხელების პარჭყვაში. მეც ვტიროდი და ძალიან მშურდა. როდესაც ლამბერტს მამა მოუკვდა, პანსიონს თავი დაანება და ორი წელი აღარსად მენახა, ორი წლის მერე კი ქუჩაში შევხვდი. მითხრა, მოვალ შენთანო. მაშინ უკვე გიმნაზიაში ვსწავლობდი და ნიკოლაი სემიონოვიჩთან ვცხოვრობდი. მოვიდა დილაადრიან, მიჩვენა ხუთასი მანეთი და მითხრა, წამომყევიო. თუმცა ორი წლის წინ მიბაგუნებდა, მაგრამ მარტო წაღების გასახდელად როდი ვჭირდებოდი, - თავის გულისნადებსაც მიზიარებდა ხოლმე. მითხრა, ამ დილას მორგებული გასაღებით გავაღე დედაჩ-

ემის ზარდახშა და ფული მოვპარე, რადგან მამაჩემის ფული კანონით მე მეკუთვნის და როგორ ბედავს, რომ არ მაძლევსო; წუხელ საღამოს კი აბატი რიგო მისულიყო მასთან, რათა დაენამუსებინა - შესულა, თავზე დასდგომია და მოჰყოლია ფშლუკუნს, ათასი საშინელება დაუხატავს და ხელები ზეცად აღუპყრია, „მე კი დანა ამოვიღე და ვუთხარი, - ყელს გამოგღადრავ-მეთქი“ (ის გამოთქვამდა: გამოგღადავ). მე და ლამბერტი კუზნეცოვისკენ გავეშურეთ, გზაში მიამბო, რომ დედამისი აბატ რიგოს ჰყვარობს, რომ მან ეს შეამჩნია, მაგრამ ყველაფერზე მიუფურთხებია და რომ ყველაფერი, რასაც ისინი ჩმახავენ ზიარების შესახებ - მიქარვააო. კიდევ ბევრი ილაპარაკა, მე კი მეშინოდა. კუზნეცკიზე იყიდა ორლულიანი თოფი, სანადირო ჩანთა, მზა ვაზნები, სამანეჟო წკეპლა და კიდევ - ერთი გირვანქა კანფეტი. გავეშურეთ ქალაქგარეთ თოფის სასროლად და გზაში ფრინველებზე მონადირე შემოგვხვდა, რომელსაც გალიები მოჰქონდა; ლამბერტმა იმისგან ჩიტი იყიდა. ჭალაში რომ შევედით, გამოუშვა ჩიტი, რადგან გალიაში ნამყოფი შორს მაინც ვერ გაფრინდებოდა, და დაუწყო სროლა, მაგრამ ვერ მოახვედრა. თავის სიცოცხლეში პირველად ისროლა, თოფის ყიდვა კი დიდი ხანია უნდოდა, ჯერ კიდევ ტუშართან ყოფნისას გვიოცნებია ორივეს. ლამბერტი ისეთ დღეში იყო, თითქოს იხრჩობა და სულს ვერ ითქვამსო. კუნაპეტი შავი თმა ჰქონდა, სახე კი ისეთი თეთრი ყირმიზა, როგორც ნიღბებზეა ხოლმე, ცხვირი - გრძელი, კეხიანი, როგორც ფრანგებს აქვთ, თეთრი კბილები, შავი თვალები. ჩიტი ძაფით მიაბა ტოტზე, თვითონ ორი გოჯის მანძილზე გაჩერდა. ჯიქურ ესროლა ორჯერ და ჩიტი ბდღვნად აქცია. მერე დავბრუნდით, შევიარეთ სასტუმროში, ავიღეთ ნომერი, დავიწყეთ ჭამა და შამპანურის სმა; მოვიდა მანდილოსანი... მახსოვს, ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მისმა მდიდრულმა ჩაცმულობამ, - მწვანე აბრეშუმის კაბა ეცვა. სწორედ მაშინ ვნახე ყოველივე ის... რაზეც წეღან გითხარით... მერე, როცა სმას მივყავი ხელი. ლამბერტი ახელებდა და აგინებდა ქალს, ქალი უკაბოდ იჯდა; ლამბერტმა წაართვა კაბა და როცა ქალმა ჩხუბი დაუწყო, მომეცი, უნდა ჩავიცვაო, ლამბერტმა დაავლო ხელი წკეპლას და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გადაუჭირა და გადაუჭირა შიშველ მხრებზე. მე ავდექი და ისე მარჯვედ ჩავავლე ლამბერტს ხელი ქოჩორში, რომ ძირს გაიშხლართა. მან ჩანგალს დასტაცა ხელი და ბარძაყში მატაკა. შეიქნა ყვირილი, შეიყარა ხალხი, მე გამოვიქეცი და თავს ვუშველე. მას აქეთ სიშიშვლე რომ მომაგონდება, ზიზღი ამიტანს ხოლმე; მერწმუნეთ, ნამდვილი მზეთუნახავი კი იყო.

მე რომ ვლაპარაკობდი, თავადს გიჟმაჟი გამომეტყველება თანდ-

ათან შეეცვალა და ძალიან ნაღვლიანი გაუხდა.

- Mon pauvre enfant (ჩემო საბრალო ბავშვო (ფრანგ.).)! ყოველთვის დარწმუნებული ვიყავი, რომ პატარაობაში ძალზე მწარე დღე გამოიარა.

- ნუ წუხხართ, თუ შეიძლება.

- მაგრამ შენ მარტოკა იყავი, შენვე გითქვამს ეს ჩემთვის, ან თუნდაც ეგ ლამბერტ. რა კარგად აღწერე: ის კანარის ჩიტიც, ის თვალცრემლიანი მკერდში ჩაკვრაც კონფორმაციის გამო და სულ რაღაც ერთი წლის მერე, მისი სიტყვები დედამისისა და აბატის შესახებ... o, mon cher, ეს ბავშვთა საკითხი პირდაპირ შემზარავი რამაა ჩვენს დროში: ვიდრე ეს ოქროსკულულებიანი, უმანკო პაწია ბავშვები დაფარფატებენ შენ თვალწინ და შემოგცქერიან თავიანთი ნათელი სიცილითა და ნათელი თვალებით, - ასე გგონია, ღვთის ანგელოზები ან უცხო ჩიტუნიები არიანო; მერე კი... მერე ხანდახან ისეც ხდება, ნეტავი სულაც არ გაზრდილიყვნენო!

- რა სუსტი გულის პატრონი ბრძანდებით, თავადო! თითქოს თქვენ თვითონ გყავდეთ ბავშვები, თქვენ ხომ არა გყავთ ბავშვები და არც არასოდეს გეყოლებათ.

- Tiens (მოიცა (ფრანგ.).)! - იმწუთასვე სახე შეეცვალა თავადს, - სწორედ ალექსანდრა პეტროვნამ, - გუშინწინ, ხე-ხე! - ალექსანდრა პეტროვნა სინიცკაიამ, - შენ, მგონი, ნახე ის ამ სამი კვირის წინ, - წარმოიდგინე, გუშინწინ, როცა მე მხიარულად ვთქვი, ახლა რომ ცოლი შევირთო, არხეინად მაინც ვიქნები, შვილები არ მეყოლება-მეთქი, - უცებ რაღაც გაბრაზებითაც კი მომახალა: „პირიქით, სწორედ თქვენ გეყოლებათ, სწორედ თქვენნაირებს ჰყავთ ხოლმე აუცილებლად, პირველსავე წელს გამოჩეკთ, ნახავთ, თუ არაო“, ხე-ხე! და ყველამ რატომღაც წარმოიდგინა, რომ უცებ ავდგები და ცოლს შევირთავ; თუმცა ბოროტი ნათქვამია, მაგრამ დამეთანხმები, მოსწრებულად კი მითხრა.

- მოსწრებულია, მაგრამ საწყენიცაა.

- Cher enfant, განა ყველასგან უნდა გეწყინოს. ადამიანებში მე ყველაზე უფრო მოსწრებულ სიტყვას ვაფასებ, რაც, როგორც ჩანს, თანდათან ქრება, სხვა მხრივ კი, აბა, რა ანგარიშგასაწევია, რას იტყვის ალექსანდრა პეტროვნა?

- რაო, როგორ ბრძანებთ? - ვეცი მე, - ყველასგან არ უნდა გეწყინოსო... სწორედ ეგრეა! ყველა როდია ღირსი, ყურადღება მიაქციო, - საუცხოო წესია! სწორედ მე მესაჭიროება ეგ წესი! ეგ უნდა ჩავიწერო. თქვენ ხანდახან საუცხოო რამეებს ბრძანებთ, თავადო!

თავადს ერთიანად გაუბრწყინდა სახე.

- N'est-ce pas? Cher enfant? (ხომ მართალია? (ფრანგ.).) Cher enfant, რაც დრო გადის, მით უფრო ქრება ნამდვილი ხუმრობა. C'est moi qui connaît les femmes!(მე მაინც ვიცნობ ქალებს! (ფრანგ.).) დამიჯერე, რასაც უნდა ქადაგებდეს ქალი, მთელი მისი ცხოვრება არის მარადიული ძალა იმისა, თუ ვის დაემონოს - ასე ვთქვათ, წყურვილი დამონებისა. არ დაგავიწყდეს - გამონაკლისი არც ერთი ქალი არაა.

- სავსებით სწორი გახლავთ, დიდებულია! - წამოვიძახე აღტაცებით. სხვა დროს უსათუოდ ერთი საათი მაინც გავაბამდით ფილოსოფოსობას ამ საკითხზე, მაგრამ ერთბაშად, თითქოს რაღაცამ მიკბინაო, ერთიანად გავწითლდი. უცებ წარმოვიდგინე, რომ რაკი ბონმოს ვუქებ, ამით ველაქუცები ფულის გულისთვის და ისიც უსათუოდ ამას იფიქრებს, როგორც კი ფულს მოვთხოვ-მეთქი, მე განგებ აღვნიშნავ ამას ახლა.

- თავადო, უმორჩილესად გთხოვთ, ახლავე მომცეთ ჩემი კუთვნილი ამ თვის ორმოცდაათი მანეთი, - ტყვიასავით მივაყარე უხეშობამდე გულმოსულმა.

მახსოვს (რადგან იმ დილის ყველა წვრილმანი მახსოვს) მაშინ ჩვენ შორის, თავისი რეალური სიმართლით, უსაზიზღრესი სცენა გათამაშდა. ის ჯერ ვერ მიმიხვდა. დიდხანს მიყურებდა და ვერ მიმხვდარიყო, რომელ ფულს ვგულისხმობდი. ბუნებრივია, მას ვერც კი წარმოედგინა, რომ მე ჯამაგირს ვიღებდი - ან კი, კაცმა რომ თქვას, რაში უნდა მოეცა? მართალია, მერე მარწმუნებდა, დამავიწყდაო, და როცა მიხვდა, წამსვე ამოიღო ორმოცდაათი მანეთი, თან აწრიალდა და გაწითლდა კიდეც. რაკი ვნახე, როგორც იყო საქმე, ავდექი და მკვახედ განვუცხადე, ახლა ვეღარ მივიღებ ფულს, რადგან, როგორც ჩანს, ჯამაგირის თაობაზე ან შეცდომით მითხრეს, ანდა მომატყუეს, რათა უარი არ მეთქვა სამსახურზე-მეთქი. და ახლა მშვენივრად მესმის, რომ არც არაფერში მეკუთვნის ფული, რადგან არაფერი სამსახური ეს არ იყო-მეთქი. თავადი შეშინდა და დამიწყო რწმუნება, ძალიანაც ბევრი იმსახურეო, უფრო მეტსაც იმსახურებ; ორმოცდაათი მანეთი აბა, რა სახსენებელ-

ია, პირიქით, კიდევ მოგიმატებ, რადგან მოვალე ვარ. მე თვითონ გავურიგდი ტატიანა პავლოვნას, მაგრამ „მიუტევებლად დამავიწყდა ყველაფერიო“. მე წამოვენთე და საბოლოდ განვუცხადე, სულმდაბლობად მიმაჩნია, ჯამაგირი ავიღო იმაში, რომ გიამბობთ სკანდალურ ამბებს, თუ როგორ მივყევი ინსტიტუტებამდე ორ კაბაკუდიან ქალს-მეთქი; თქვენს გასართობად კი არ დავიწყე აქ სიარული, არამედ საქმის გასაკეთებლად, და რადგან საქმე არაფერი მაქვს, უნდა დავამთავროთ-მეთქი და ა.შ.; და ა.შ; ვერც კი წარმომედგინა, თუ შეიძლებოდა ისე შეშინებულიყო ვინმე, როგორც თავადი შეშინდა ამ სიტყვების გაგონებაზე. ცხადია, იმით დავამთავრეთ, რომ დავას თავი დავანებე, და მან მაინც შემომაჩეჩა ორმოცდაათი მანეთი: ახლაც ვწითლდები, როცა გამახსენდება, ის ფული რომ გამოვართვი! ამქვეყნად ყველაფერი ყოველთვის სულმდაბლობით მთავრდება და, რაც ყველაზე უარესია, თავადმა მაშინ თითქმის დამიმტკიცა, რომ ნამდვილად დავიმსახურე გასამრჯელო. მე კი ისეთი სულელი ვიყავი, რომ დავუჯერე, ამასთან, როგორღაც, ყოვლად შეუძლებელი იყო, არ გამომერთმია.

- Cher, cher enfant! - გაიძახოდა იგი, თან მკოცნიდა და მეხვეოდა (უნდა გამოვტყდე, მეც ტირილი მომინდა, ეშმაკმა იცის, რატომ, თუმცა მაშინვე თავი შევიკავე და ახლაც კი, როცა ამას ვწერ, ვწითლდები), - საყვარელო მეგობარო, შენ ახლა ჩემთვის ძალიან მშობლიური გახდი! „მაღალ საზოგადოებაში“ მარტოოდენ „საზოგადოებაა“ და სხვა არაფერი; კატერინა ნიკოლავნა (მისი ქალიშვილი) ბრწყინვალე ქალია, და მეც თავი მომწონს, მაგრამ ის, ჩემო კარგო, ხშირად, ძალიან ხშირად მაწყენინებს ხოლმე... ხოლო ეს გოგონები (elles sont charmantes (მომხიბლავი ბავშვები არიან (ფრანგ.).)) და მათი დედები, ჩემი სახელობის დღეს რომ მოდიან ხოლმე, - მათ ხომ მხოლოდ თავიანთი კანვა მოაქვთ, თვითონ კი არაფრის თქმის შნო არ აქვთ. იმდენი კანვა მაქვს, სამოც ბალიშს ეყოფა, სულ ძაღლები და ირმებია ზედ ამოქარგული. ძალიან მიყვარს ისინი, მაგრამ შენთან ისე ვგრძნობ თავს, თითქოს ჩემიანი იყო, - ჩემი ვაჟი კი არა, არამედ ღვიძლი ძმა. განსაკუთრებით მიყვარს, როცა მედავები ხოლმე; შენ ლიტერატურა იცი, ნაკითხი ყმაწვილი ხარ, აღტაცების უნარი გაქვს...

- არაფერიც არ წამიკითხავს და არც ლიტერატურა ვიცი. ვკითხულობდი, რაც ხელთ ჩამივარდებოდა, ბოლო ორი წელი კი სულ არაფერი წამიკითხავს და არც წავიკითხავ.

- რატომ არ წაიკითხავ?

- მე სხვა მიზნები მაქვს.

- Cher... სამწუხარო იქნება, თუ ცხოვრების აღსასრულს ჩემსავით ეტყვი შენს თავს: je sais tout, mais je ne sais rien de bon (ვიცი ყველაფერი, მაგრამ კარგი არაფერი ვიცი (ფრანგ.).). მე სრულიადაც არ ვიცი, რატომ ვცხოვრობდი ამქვეყნად! მაგრამ... შენგან ისე ვერ დავალებული... და ისიც კი მინდოდა...

მან როგორღაც უცებ შეწყვიტა ლაპარაკი, მოეშვა და ჩაფიქრდა. როცა რაიმე შეძრავდა ხოლმე (ხოლო ის შეეძლო ყოველ წუთას შეეძრა ეშმაკმა უწყის, რას), ჩვეულებრივად რამდენიმე ხნით თითქოს გონს კარგავდა და თავს ვეღარ განაგებდა; თუმცა მალევე გამოკეთდებოდა, ასე რომ, ამაში მისთვის საზიანო არაფერი იყო. ერთი წუთი ასე ვისხედით. ქვედა, ძალზე სქელი ტუჩი, მთლიანად ჩამოეშვა... ყველაზე მეტად იმან გამაოცა, ანაზდად თავისი ქალიშვილი რომ ახსენა, თანაც ასე გულახდილად. რა თქმა უნდა, ეს მის გონებააშლილობას მივაწერე.

- Cher enfant, ხომ არ მიწყრები, შენობით რომ მოგმართავ? - აღმოხდა უცებ.

- სრულიადაც არა, მართალი მოგახსენოთ, პირველ ხანებში, ცოტა არ იყოს, მწყინდა და მინდოდა მეც მეთქვა, მაგრამ მერე დავინახე, რომ ეს სისულელეა, რადგან თქვენ იმიტომ ხომ არ მეუბნებით „შენ“-ს, რომ დამამციროთ, არა?

- რასა იქმს მამაშენი? - მომაპყრო უცებ ჩაფიქრებული თვალები.

შევკრთი. ჯერ ერთი, მან ვერსილოვს უწოდა მამაჩემი, - რის ნებასაც არასოდეს მისცემდა თავს ჩემთან, მეორეც, ახსენა ვერსილოვი, რაც ჯერ არ მომხდარა.

- ზის უფულოდ და დარდობს, - მოკლედ მიუგე, გუნებაში კი ცნობისწადილი მკლავდა.

- ჰო, ფულზე. დღეს საოლქო სასამართლოში წყდება მათი საქმე და მე ველოდები თავად სერიოჟას, ვნახოთ, რა ამბავს მოიტანს. შემპირდა, სასამართლოდან პირდაპირ აქ მოვალო. დღეს გადაწყდება მათი ბედი. სამოცი თუ ოთხმოცი ათასია. რა თქმა უნდა, მუდამ სიკეთე მსურდა ანდრეი პეტროვიჩისთვისაც (ესე იგი, ვერსილოვისთვის) და, მგონი, გამარჯვებულიც დარჩეს, სიკოლსკებს კი არაფერი ხვდებათ. რას

იზამ, კანონია!

- დღეს სასამართლოში? - წამოვიძახე თავზარდაცემულმა. იმ ფიქრმა, რომ ვერსილოვმა არც ამ ამბის გაგებინების ღირსად მცნო, საშინლად იმოქმედა ჩემზე. „მაშ, არც დედასთვის უთქვამს, იქნებ არც არავისთვის, - გავიფიქრე მაშინვე. - რა კაცია!“

- განა თავადი სოკოლსკი პეტერბურგშია? - ახლა უცებ სხვა ფიქრმა გამკრა.

- გუშინდელს აქეთ აქაა. პირდაპირ ბერლინიდან ჩამოვიდა, საგანგებოდ ამ დღისთვის.

ჩემთვის ესეც ფრიად მნიშვნელოვანი ცნობა იყო. და ის დღეს აქ მოვა, მოვა კაცი, რომელმაც სილა გააწნა მას!“

- რასა იქმს, - უცებ ერთიანად შეეცვალა სახე თავადს, - ისევ ძველებურად ღმერთს ქადაგებს და... ისევ გოგონებთან, ჩიორა გოგონებთან დადის? ხე-ხე! აქ ახლაც ერთი ძალზე თავშესაქცევი ანეკდოტი გამოდის მგონი... ხე-ხე!

- ვინ ქადაგებს? ვინ დადის გოგონებთან?

- ანდრეი პეტროვიჩი! არ დაიჯერებ, და ისე შემოგვიჩნდა მაშინ ყველას, საშველი აღარ მოგვცა: რას ჭამთ, რას ფიქრობთო? - ესე იგი, თითქმის ამგვარად. გვაშინებდა და ჩვენს განწმენდაში იყო: „თუ ღვთისმოსავი ხარ, რატომ ბერად არ შედგებიო?“. თითქმის მოთხოვდა კიდეც ამას. Mais quelle idée!! (მაგრამ რა იდეაა! (ფრანგ.).) ეს მართალიც რომ იყოს, განა მეტისმეტი სისასტიკე არაა? განსაკუთრებით უყვარდა ჩემი დაშინება, სულ განკითხვის დღეს მახსენებდა, ყველაზე მეტად მე ამომიჩემა.

- მსგავსი არაფერი შემიმჩნევია, აგერ ერთი თვეა, მასთან ვცხოვრობ, - ვუპასუხე, თან სულწასული ვუსმენდი. გული ძალიან მომდიოდა, რომ მთლად ვერ მოსულიყო გონს და რაღაც აბდაუბდას ლუღლუღებდა.

- ეს ახლა აღარ ამბობს, თორემ, დამიჯერე, რომ ასეა. უდაოდ გონებამახვილი და ღრმად განსწავლული კაცია; ოღონდ განა მართებულია მისი ასეთი ჭკუა? ეს მას მერე დაემართა, სამი წელი საზღვარგარეთ რომ გაატარა. და, გამოგიტყდები, ძალიან შემაძრწუნა... ყველა შეაძრ-

წუნა... Cher enfant, j’aime le bon Dieu (ძვირფასო ბავშვო, მე მწამს ღმერთი (ფრანგ.).)... მე მწამს ღმერთი, მწამს რამდენადაც შემიძლია, მაგრამ მაშინ ნამდვილად გავცეცხლდი. ვთქვათ, მე მაშინ ქარაფშუტულ ხერხს მივმართე, მაგრამ ეს განზრახ, გულმოსულმა ჩავიდინე, - თანაც არსებითად შეპასუხება ისევე სერიოზული იყო, როგორიც იყო ქვეყნის დასაბამიდან: „თუ უზენაესი ქმნილება არსებობს, - ვუთხარი მას, - არსებობს პერსონალურად, და არა როგორც რაღაც სული, სითხისა თუ რაღაცის სახით (ვინაიდან ეს კიდევ უფრო რთული გასაგებია), - მაშინ სად ცხოვრობს იგი? ჩემო მეგობარო, c’était bête (ეს სისულელე იყო (ფრანგ.).), უეჭველია, მაგრამ განა ყველა შეპასუხება აქამდე არ მიდის? Un domicile (ადგილსამყოფელი (ფრანგ.).) - ეს მნიშვნელოვანი რამაა“. საშინლად გამიწყრა, საზღვარგარეთ მან ხომ კათოლიკობა მიიღო.

- ეგ ამბავი მეც გამიგონია, ჭორი იქნება.

- გეფიცები, რაც რამ წმინდა საფიცარი მაქვს, კარგად დაუკვირდი ვერსილოვს... თუმცა შენ ამბობ, გამოიცვალაო. მაშინ გენახა, როგორ გაგვაწამა ყველანი! არ დაიჯერებ, ისე ეჭირა თავი, თითქოს წმინდანი ყოფილიყოს და მისი წმინდა ნაწილები გამოგვცხადებოდეს. გეფიცები, ყოველი საქციელის ანგარიშს გვთხოვდა! წმინდა ნაწილები! En voilà une autre! (ეს რაღა მოიგონა! (ფრანგ.).)! კარგი, ბატონო, მესმის, ვიღაც ბერი ან მეუდაბნოე იყოს, მაგრამ კაცი ფრაკს ატარებს, და სხვა ამისთანები... და უცებ მისი წმინდა ნაწილები! უცნაური სურვილია მაღალი წრის კაცისთვის და, გამოგიტყდები, უცნაური გემოვნება. რა მეთქმის: ცხადია, ყოველივე ეს წმიდათაწმიდა რამაა და ყველაფერიც შეიძლება მოხდეს... თანაც ყოველივე ეს de l’inconnu (შეუცნობლის სფეროს მიეკუთვნება (ფრანგ.).), მაგრამ მაღალი წრის კაცისთვის ეს უზრდელობაც კია. ასეთი რამე რომ დამმართოდა, ან ჩემთვის რომ შემოეთავაზებინათ, ღმერთმანი, უარს ვიტყოდი. აბა, წარმოიდგინე, ვთქვათ, დღეს კლუბში ვსადილობ, და მერე უცებ - გამოვეცხადო ვინმეს! ხომ სიცილი დამაყარეს! ეს ყველაფერი მაშინაც მოვახსენე... ის კირთებს ატარებდა.

ბრაზისგან ცეცხლი შემომენთო.

- თქვენ თვითონ გინახავთ ის კირთები?

- მე თვითონ არ მინახავს, მაგრამ...

- მაშ, გიცხადებთ, რომ ეგ ყველაფერი სიცრუეა, უსინდისო ოინები და ცილისწამება მტრებისა, ესე იგი ერთი მტრისა, ერთი უმთავრესი და უსულგულო მტრისა, რადგან მას მხოლოდ ერთი მტერი ჰყავს: ეს გახლავთ თქვენი ქალიშვილი!

თავის მხრივ თავადმაც იფეთქა.

- Mon cher, მე გთხოვ, დაბეჯითებით გთხოვ, ამიერიდან აღარ ახსენო ჩემი ქალიშვილის სახელი იმ საზიზღარ ამბავთან დაკავშირებით.

წამოვდექი. თავადი გაცეცხლებული იყო, ნიკაპი უკანკალებდა.

- Cette histoire infâme! (ეს სამარცხვინო ამბავია (ფრანგ.).) მე აღარ მჯერა ჩემი ქალის ნათქვამი, არასოდეს არ მინდოდა დამეჯერებინა, მაგრამ... მეუბნებიან: დაიჯერე, დაიჯერეო, მე...

ამ დროს შემოვიდა ლაქია და ვიზიტის შესახებ აუწყა; მე ისევ ჩემს სკამზე დავეშვი.

IV

შემოვიდა ორი ქალი, ორივე გასათხოვარი, - ერთი გახლდათ თავადის განსვენებული მეუღლის ერთ-ერთი ბიძაშვილის გერი თუ რაღაც ამდაგვარი, რომელიც თავადს გაეზარდა და რომლისთვისაც უკვე გაემზადებინა მზითევი, თუმცა ქალს (ამას მოგახსენებთ, რადგან შემდეგ დამჭირდება) არც თვითონ აკლდა ფული; მეორე გახლდათ ანა ანდრეევნა ვერსილოვა, ვერსილოვის ქალიშვილი, ჩემზე სამი წლით უფროსი, რომელიც თავის ძმასთან ერთად ფანატიოროვასთან ცხოვრობდა და აქამდე მხოლოდ ერთხელ მენახა, ისიც გაკვრით, ქუჩაში, თუმცა მის ძმასთან, აგრეთვე გაკვრით, უკვე მომიხდა შეჯახება მოსკოვში (ადვილი შესაძლებელია, შემდეგში გიამბოთ ამ შეჯახების ამბავი, თუ ადგილი დარჩა, რადგან, კაცმა რომ თქვას, არც ღირს მოყოლა). ეს ანა ანდრეევნა პატარაობიდანვე თავადის განსაკუთრებული ფავორიტი გახლდათ (ვერსილოვისა და თავადის ნაცნობობა კარგა ხნის ამბავი იყო.) ისეთი საქციელწამხდარი ვიყავი იმწუთას მომხდარი ამბით, რომ მათ შემოსვლაზე არც კი წამოვმდგარვარ, თუმცა თავადი წამოდგა და შეეგება; მერე კი მოვედი გონს, მაგრამ უკვე შემრცხვა ადგომის და სკამზეევ დავრჩი. მთავარი ის იყო, რომ დავიბენი, რადგან თავადმა სამი წუთის წინ ისე დამიყვირა, ჯერაც არ ვიცოდი, წავსულიყავი თუ არა. მაგრამ ჩემს მოხუცს, ჩვეულებისამებრ, ყველაფერი გადაავიწყდა და ყმაწვილი ქალების დანახვაზე საამოდ გახალისდა. ისიც კი მოასწრო, რომ რაღაც იდუმალებით თვალი ჩამიკრა და უეცრად სახეშეცვლილმა საჩქაროდ წამჩურჩულა მათი შემოსვლის წინ:

- დააკვირდი ოლიმპიადას, კარგად დააკვირდი... მერე გიამბობ.

მეც საკმაოდ ყურადღებით დავაკვირდი, მაგრამ განსაკუთრებული ვერაფერი შევნიშნე: არც ისე მაღალი ქალი იყო, მსუქანი და ძალზე ლოყაღაჟღაჟა. თუმცა სახე საკმაოდ სასიამოვნო ჰქონდა, აი ისეთი, მატერიალისტებს რომ მოსწონთ ხოლმე. მისი სახე იქნება გულკეთილობასაც გამოხატავდა, ოღონდ თავისებურს. განსაკუთრებული ჭკუის პატრონი არ უნდა ყოფილიყო, - ამას ვამბობ უზენაესი გაგებით, თორემ თვალებზე ეტყობოდა, რომ სიეშმაკე არ უნდა ჰკლებოდა. ცხრამეტი წლისა თუ იქნებოდა. ერთი სიტყვით, ღირსშესანიშნავი არაფერი ჰქონდა. ჩვენთან, გიმნაზიაში, ასეთ ქალზე იტყოდნენ: ნამდვილი ბალიშიაო (ასე წვრილად იმიტომ ავწერ, რომ შემდეგში დამიჭირ-

დება).

თუმცა, ყოველივე დანარჩენსაც, რაც, როგორც ჩანს, ასე ზედმეტად წვრილად ავწერე, - ყოველივე ამას მივყავართ მომავლისკენ და იქ დამჭირდება. თავის ადგილას ყველაფერი თავს იჩენს; თან ვერც მოვ-ახერხე გვერდის ავლა; ხოლო თუ მოსაწყენია, ქენით სიკეთე, ნუ წაიკ-ითხავთ.

სულ სხვა იყო ვერსილოვის ქალიშვილი. მაღალი, ცოტა ხმელ-ხმ-ელიც კი; მოგრძო და საუცხოოდ ფერმიხდილ სახეს შავი, დიდებული თმა უმშვენებდა; მუქი, დიდრონი თვალები ჰქონდა, ღრმა გამოხედვა; პაწია და ალისფერი ტუჩები, ქორფა პირი. ეს იყო პირველი ქალი, რო-მლის სიარულიც ზიზღს არ აღმიძრავდა; თუმცა ტანწვრილი იყო და ცოტა გამხდარი. გამომეტყველება არცთუ მთლად კეთილი, მაგრამ მედიდური ჰქონდა; ოცდაორი წლისა იქნებოდა. თითქმის არც ერთი გარეგნული ნაკვთით არა ჰგავდა ვერსილოვს, მაგრამ თან, რაღაც სასწაულად, არაჩვეულებრივად წააგავდა სახის გამომეტყველებით. ვერ გეტყვით, ლამაზი იყო თუ არა; ეს გემოვნების საქმეა. ორივეს ძა-ლიან სადად ეცვა, ასე რომ, არ ღირს აღწერა. მე ველოდი, ვერსილოვა ახლავე ისე შემომხედავს ან ისე მოიქცევა, რომ შეურაცხმყოფს-მეთქი, და მოვემზადე; აკი შეურაცხმყო მისმა ძმამ მოსკოვში, პირველი შეხვე-დრისთანავე. ანა ანდრეევნა სახეზე არ მიცნობდა, მაგრამ, ცხადია, გა-გონილი ექნებოდა, რომ თავადთან დავდიოდი. ყველაფერი, რასაც კი დააპირებდა ან მოიმოქმედებდა თავადი, მყისვე ინტერესს აღუძრავდა მის ნათესავებს და „მომლოდინეთა“ მთელ ამ ხროვას, და მოვლენად იქცეოდა, - მით უმეტეს, დაინტერესდნენ იმ ამბით, რომ თავადმა ერ-თბაშად ასე შემითვისა. დანამდვილებით ვიცოდი, რომ თავადი გულმ-ხურვალედ ეკიდებოდა ანა ანდრეევნას ბედსა და მისთვის საქმროს ეძ-ებდა. მაგრამ ვერსილოვისთვის უფრო ძნელი იყო საქმროს შოვნა, ვი-დრე იმათთვის, ვინც კანვანზე (კანვა - ბამბის ბადისებრი ქსოვილი.) ქარგავდა.

და აი, სრულიად მოულოდნელად, ვერსილოვამ, რომელმაც ხელი ჩამოართვა თავადს და მხიარული, თავაზიანი სიტყვებით მიმართა, არაჩვეულებრივი ცნობისმოყვარეობით შემომხედა და, როცა ნახა, რომ ვუყურებდი, უეცრად ღიმილით დამიკრა თავი. მართალია, ახლა შემოვიდა და, როგორც შემოსული, მომესალმა, მაგრამ ისე კეთილად გამიღიმა, ეტყობოდა, ეს ღიმილი წინასწარ იყო განზრახული. მახსო-ვს, საოცრად საამური გრძნობა დამეუფლა.

- ეს გახლავთ... ეს გახლავთ ჩემი საყვარელი ყმაწვილი მეგობარი არკადი ანდრეევიჩ დოლ... - ამოილუღლუღა თავადმა. როცა შენიშნა, რომ ვერსილოვა მომესალმა, მე კი ისევ ვიჯექი, - და უცებ ენაზე იკბინა: იქნებ შერცხვა, რომ მაცნობდა მას (ესე იგი, კაცმა რომ თქვას, ძმას აცნობდა დას). ის „ბალიშიც“ მომესალმა; მაგრამ მე უცებ ყოვლად ბრიყვულად გავცხარდი და წამოვიჭერი: განგების, ყოვლად უგუნური სიამაყის მოზღვავება; სულ თავმოყვარეობის ბრალი იყო.

- მომიტევეთ, თავადო, მე არკადი ანდრეევიჩი კი არა, არკადი მაკაროვიჩი გახლავართ, - მკვახედ მოვუჭერი სიტყვა და სულ დამავიწყდა, რომ ქალების სალამზე თავის დაკვრით უნდა მეპასუხა. ეშმაკმა დალახვროს ეს ტუტუცური წუთი!

- Mais... tiens!(კი, მაგრამ... მოიცა! (ფრანგ.).) - წამოიძახა თავადმა და შუბლში თითი იკრა.

- სად სწავლობდით? - ჩამესმა სულელური და წამღერებული კითხვა ბალიშისა, რომელიც პირდაპირ ჩემკენ წამოსულიყო.

- მოსკოვში, გიმნაზიაში.

- ა-ა! გამიგონია. კარგად ასწავლიან?

- ძალიან კარგად.

მე კვლავ ვიდექი და ისე ვპასუხობდი, თითქოს ჯარისკაცი პატაკს მოახსენებსო.

უდავოა, ამ ქალის შეკითხვები უადგილო იყო, მაგრამ მან ხომ მოისაზრა მაინც, თუ როგორ მიეფუჩეჩებინა ჩემი ტუტუცური საქციელი და უხერხულობისგან ეხსნა თავადი, რომელიც ამასობაში გახალისებული ღიმილით უსმენდა ვერსილოვას; ეს უკანასკნელი რაღაც სამხიარულოს ჩასჩურჩულებდა, - ეტყობოდა, მისი ლაპარაკი მე არ შემეხებოდა. მაგრამ საკითხავია: რატომ მიცქეროდა ეს გოგონა მეტისმეტი ცნობისმოყვარეობით, თითქოს უნდოდა, მეც რაც შეიძლება უფრო მეტად შემემჩნია იგი? ყოველივე ეს მხოლოდ შემდეგ მოვისაზრე და არც შევმცდარვარ.

- რას მეუბნები, დღესო? - წამოიყვირა უცებ თავადმა და წამოხტა.

- განა არ იცოდით? - გაუკვირდა ვერსილოვას: - olympe! თავადს არ

სცოდნია, რომ კატერინა ნიკოლავნა დღეს ჩამოდის. ჩვენ მასთან მოვდიოდით, ვიფიქრეთ, დილის მატარებელს ჩამოჰყვებოდა და უკვე შინ იქნებაო. ეს წუთია, კართან შევხვდით; პირდაპირ მატარებლიდან მიდიოდა და გვითხრა, მამასთან შედით, მეც ახლავე მოვალო... აგერ ისიც!

გაიღო გვერდითა კარი და - შემოვიდა ის ქალი!

მე უკვე ვიცნობდი მას იმ განსაცვიფრებელი პორტრეტით, რომელიც თავადის კაბინეტში ეკიდა; მთელი ეს თვე ამ პორტრეტს ვსწავლობდი. ხოლო მისი შემოსვლის მერე სამი წუთი გავატარე კაბინეტში და წამითაც არ მომიწყვეტია თვალი მისი სახისთვის. მაგრამ რომ არ მქონოდა ნანახი პორტრეტი და ამ სამი წუთის მერე ეკითხათ ჩემთვის: „როგორიაო?“ - ვერაფერს მივუგებდი, რადგან ჩემს თვალში ყველაფერს თითქოს ბურუსი გადაეფარა.

ამ სამი წუთიდან მახსოვს მხოლოდ ვიღაც მართლაც მშვენიერი ქალი, რომელსაც თავადი კოცნიდა და პირჯვარს სახავდა და რომელიც შემოსვლისთანავე უცებ სწრაფად მომაჩერდა. აშკარად გავიგონე, როგორ წაიბუტბუტა თავადმა რაღაც ახალი მდივნის შესახებ და ჩემი გვარი წარმოთქვა. ეტყობა, ჩემზე მიუთითა, თან დამფრთხალმა გაიცინა. ქალს სახე აემრიზა, ავი თვალით შემომხედა და ისე უტიფრად გაიღიმა, რომ უცებ ფეხი წინ წავდგი, მივედი თავადთან და საშინლად აკანკალებულმა ვუთხარი ისე, რომ არც ერთი სიტყვა არ დამიბოლოვებია და, მგონი, კბილს კბილზე ვაცემინებდი:

- მას აქეთ მე... ახლა ჩემი საქმეები... მივდივარ.

მოვბრუნდი და გამოვედი. არავის, თვით თავადსაც, სიტყვა არ უთქვამს ჩემთვის; მხოლოდ მომჩერებოდნენ. თავადმა მითხრა მერე, ისეთი ფერი დაგედო, „უბრალოდ დავფრთხიო“.

რას დავეძებ!

თავი მესამე - I

სწორედ რომ რას დავეძებდი: უზენაესმა მოსაზრებამ შთანთქა ყველა წვრილმანი და ერთი ძალუმი გრძნობა მინაზღაურებდა ყველაფერს, რაღაცნაირად აღტაცებული გამოვედი, ქუჩაში გამოსული მზად ვიყავი, მემღერა. თითქოს განგებო, საუცხოო დილა იდგა, მზე, გამვლელები, ჟრიამული, მოძრაობა, სიხარული, ხალხი. განა არ შეურაცხმყო იმ ქალმა? აბა, ვის შევარჩენდი ისეთ შემოხედვას და უტიფარ ღიმილს, რომ დაუყოვნებლივ, თუნდაც სულელურად, - ეს სულერთია, - არ გამეცა პასუხი? არ დაივიწყოთ, ის იმ განზრახვით ჩამოვიდა, რომ რაც შეიძლება მალე დაემცირებინა ადამიანი, რომელიც ჯერ არ ენახა: მის თვალში მე „ვერსილოვის მოგზავნილი“ ვიყავი, ის კი დარწმუნებული იყო მაშინაც და კარგა ხნის მერეც, რომ მისი ბედი ვერსილოვის ხელთაა და თუ მოიწადინა, უცებ დაღუპავს მას ერთი დოკუმენტით; ყოველ შემთხვევაში, ასეთ რამეს ეჭვობდა. ეს იყო სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. და აი, - მე არ ვიყავი შეურაცხყოფილი! შეურაცხმყვეს, მაგრამ მე არ მიგრძნია შეურაცხყოფა! რასა ბრძანებთ! გახარებულიც კი ვიყავი; ჩამოვედი იმიტომ, რომ მძულებოდა, და ვგრძნობდი, რომ საცაა, შემიყვარდებოდა. „არ ვიცი, შეუძლია თუ არა ბაბაჭუას სძულდეს ბუზი, რომელიც მიზანში ამოუღია და რომლის გაბმასაც აპირებს? საყვარელი ბუზანკალა! მე მგონია, მსხვერპლი უყვართ ხოლმე; ყოველ შემთხვევაში, შესაძლოა უყვარდეთ. აი, მე ხომ მიყვარს ჩემი მტერი: მე, მაგალითად, საშინლად მომწონს, რომ ის ესოდენ მშვენიერია. საშინლად მომწონს, ქალბატონო, რომ ასეთი ქედმაღალი და დიდებული ბრძანდებით: უფრო თვინიერი რომ ყოფილიყავით, ასე არ ვისიამოვნებდი. თქვენ მომაფურთხეთ, მე კი ვზეიმობ; მართლაც რომ მოგეფურთხებინათ სახეში ნამდვილი ფურთხით, ღმერთმანი, ალბათ არ გავჯავრდებოდი, რადგან ჩემი მსხვერპლი ხართ, ჩემი და არა მისი. რა მომჯადოებელია ეს ფიქრი! არა, ძლიერების იდუმალი შეგნება გაცილებით უფრო საამურია, ვიდრე აშკარა ბატონობა. ასი მილიონის მქონე ბობოლა რომ ვყოფილიყავი, ალბათ სიამოვნებას მომგვრიდა, მევლო ჩემს ძველ ტანისამოსში და ყველას არარაობა, თითქმის მათხოვარი ვგონებოდი, ხელი ეკრათ და ზიზღით შემოეხედათ: ჩემთვის კმაყოფილებაც კი იქნებოდა ამის შეგნება“.

აი, როგორ შეიძლება გადმოიცეს ჩემი მაშინდელი ფიქრები და სიხარული და ბევრი რამ, რასაც ვგრძნობდი. დავუმატებ მხოლოდ, რომ რაც ახლა დავწერე, რაღაც უფრო ქარაფშუტულად გამომივიდა: სინამდვილეში უფრო ღრმა და მორცხვი ვიყავი. იქნებ გუნებაში ახლაც უფ-

რო მორცხვი ვარ, ვიდრე ჩემს სიტყვებსა და მოქმედებებში ჩანს; ღმერთმა ინებოს!

იქნებ ძალიან ცუდიც ვქენი, წერა რომ დავიწყე: გულში განუზომლად მეტი მრჩება, ვიდრე ვამბობ. თქვენი აზრი, უხეიროც კი, მუდამ უფრო ღრმაა, ვიდრე თქვენს გულშია, - სიტყვებით გამოთქმული კი უფრო სასაცილო და უპატიოსნო გამოდის. ვერსილოვმა მითხრა, მაგის სრულიად საწინააღმდეგო მხოლოდ ცუდ ადამიანებს ემართებათო. ისინი მხოლოდ ცრუობენ, იმათ რა უჭირთ; მე კი ვცდილობ, სრული სიმართლე დავწერო: ეს საშინლად ძნელია!

II

ამ ცხრამეტ რიცხვში კიდევ ერთი „ნაბიჯი“ გადავდგი.

ჩამოსვლის დღიდან პირველი შემთხვევა იყო, რომ ჯიბეში ფული გამიჩნდა, რადგან ორი წლის მანძილზე ნაგროვები ჩემი სამოცი მანეთი, როგორც ზემოთაც მოგახსენეთ, დედაჩემს მივეცი; მაგრამ ჯერ რამდენიმე დღის წინ გადავწყვიტე, ჯამაგირის აღების დღეს „ცდა“ ჩამეტარებინა, რაზედაც კარგა ხანია ვოცნებობდი. გუშინვე ამოვჭერი გაზეთიდან მისამართი - განცხადება „სასამართლო ბოქაულისა ს-პეტერბურგის მსოფლიო ყრილობიდან „ და სხვ. და სხვ. იმის თაობაზე, რომ „ამა სექტემბრის ცხრამეტს, დილის თერთმეტ საათზე, ყაზანის ნაწილის ამა და ამ უბნის და ა.შ. და ა.შ., ამა და ამ # სახლში გაიყიდება ქ-ნ ლებრეხტის მოძრავი ქონება“ და რომ „აღწერის, შეფასებისა და გასაყიდი ქონების დათვალიერება შეიძლება გაყიდვის დღეს“ და ა.შ. და ა. შ.

შუადღეს გადაცილებული იყო. ფეხით გავემართე ამ მისამართზე. მესამე წელია, რაც ეტლით აღარ დავდივარ, - სიტყვა მქონდა მიცემული ჩემი თავისთვის (სხვანაირად ვერც შევაგროვებდი სამოც მანეთს). არასოდეს ვყოფილვარ აუქციონზე, ჯერ ჩემი თავისთვის ამის ნება არ მიმეცა; და თუმცა ახლანდელი ჩემი „ნაბიჯი“ მხოლოდ სამაგალითო იყო, მაგრამ გადაწყვეტილი მქონდა, ეს ნაბიჯიც მხოლოდ მაშინ გადამედგა, როცა გიმნაზიას დავამთავრებდი, გავეცლებოდი ყველას, შევძვრებოდი ნაჭუჭში და სრულიად თავისუფალი გავხდებოდი. მართალია, ჯერ არც „ნაჭუჭში“ ვიყავი და თავისუფლებასაც ბევრი მიკლდა, მაგრამ ნაბიჯის გადადგმაც ხომ საცდელად გადავწყვიტე, - ისე, უბრალოდ, რომ მენახა, რა გამოვიდოდა, თითქმის საოცნებოდ, მერე კი იქნებ აღარც მივსულიყავი დიდხანს, იმ დრომდე, ვიდრე სერიოზულად არ დაიწყებოდა. ყველასთვის ეს იყო პატარა სულელური აუქციონი, ჩემთვის კი - პირველი მორი იმ გემისა, რომლითაც კოლუმბი ამერიკის აღმოსაჩენად გაემგზავრა. აი, ჩემი მაშინდელი განცდები.

ადგილზე რომ მივედი, გავიარე განცხადებაში აღნიშნული სახლის ეზო და შევედი ქ-ნი ლებრეხტის ბინაში. ბინა დერეფნისა და ოთხი პატარა, დაბალჭერიანი ოთახისგან შედგებოდა. პირველ ოთახში ხალხი იყო, ოცდაათამდე კაცი იქნებოდა; მათგან ნახევარი სავაჭროდ მოსუ-

ლიყო, სხვები კი, როგორც ეტყობოდა, ან ცნობისმოყვარეობას მოეყვანა, ან ამ საქმის მოყვარულნი იყვნენ, ან არადა, ლებრეხტის მოგზავნილები; იყვნენ ვაჭრებიც, ურიებიც, რომლებსაც ოქროს ნივთებისკენ გაურბოდათ თვალი, და რამდენიმეც „სუფთად“ ჩაცმული კაცი. ზოგი ვაჟბატონის ფიზიონომიაც კი დამამახსოვრდა. მარჯვენა ოთახის ღია კარში გაეხიდათ მაგიდა, ასე რომ, იმ ოთახში ვერ შეხვიდოდით: იქ ელაგა აღწერილი და გასაყიდი ნივთები. მარცხნივ სხვა ოთახი იყო, მაგრამ კარი მოეხურათ, თუმცა ღრიჭოდან წამდაუწუმ გამოაღებენ ხოლმე, ეტყობოდა, ვიღაც იჭყიტებოდა - ეს იყო, ალბათ, რომელიმე წევრი ქ-ნი ლებრეხტის მრავალრიცხოვანი ოჯახისა, რომელსაც, ბუნებრივია, ამ დროს ძალიან რცხვენოდა. კარში გახიდულ მაგიდას, პირით ხალხისკენ, უჯდა ბატონი სასამართლოს ბოქაული, მკერდზე თანამდებობის ჯაჭვი ჩამოეკიდა და ნივთებს ყიდდა. საქმე თითქმის სუამდე იყო მისული, როგორც შევატყვე. როგორც კი შევედი, იმ მაგიდას მივუჩოჩდი. იყიდებოდა ბრინჯაოს შანდლები. თვალიერება დაუწყე.

ვუყურებდი და თან ვფიქრობდი: რისი ყიდვა შემიძლია აქ? სად წავიღო ახლა ეს ბრინჯაოს შანდლები, ან მივაღწევ თუ არა ამით მიზანს, ასე კეთდება თუ არა საქმე, გამიმართლდება თუ არა ვარაუდი? ანდა ბავშვური ვარაუდი ხომ არ გამომივა? ვფიქრობდი ამას და ვიცდიდი. ისეთი გრძნობა მქონდა, როგორიც აქვს ხოლმე ადამიანს ბანქოს სათამაშო მაგიდასთან იმ წუთში, როცა ჯერ ქაღალდს არ ჩამოსულხარ, მაგრამ მაგიდას კი მიუახლოვდი იმ განზრახვით, რომ უნდა ჩამოხვიდე: „მინდა - ჩამოვალ ქაღალდს, არადა - წავალ, ორივე ჩემი ნებაა“. ამ დროს გულს ჯერ ბაგაბუგი არ გააქვს, მაგრამ რაღაცნაირად იკუმშება და კრთის, - საკმაოდ საამო განცდაა. მაგრამ მალე გაუბედაობა გიპყრობს და რაღაცნაირად ბრმავდები: ხელს იწვდი, იღებ ქაღალდს, მაგრამ ამას სჩადიხარ ანგარიშმიუცემლად, თითქმის უნებურად, თითქოს ვიღაც სხვა გეწეოდეს ხელზე; ბოლოს ბედავ და ჩამოდიხარ ქაღალდს, - აქ უკვე სხვა, უზარმაზარი განცდაა. მე აუქციონის კი არა, ჩემი თავის შესახებ ვწერ: სხვას აბა, ვის აუფანცქალდება გული აუქციონზე?

იყვნენ ისეთები, რომლებიც ცხარობდნენ; ისეთებიც, ხმას რომ არ იღებდნენ და ელოდნენ; ისეთებიც იყვნენ, ვინც იყიდა და მერე ნანობდა. სრულიადაც არ შემცოდებია ერთი ვაჟბატონი, რომელსაც სმენამ უღალატა, ვერცხლის სარძევის ნაცვლად შეცდომით მელქიორის სარძევე იყიდა და ორი მანეთის ნაცვლად ხუთი გადაიხადა; პირიქით, ძალიან კარგ გუნებაზეც დავდექი. ბოქაული შენაცვლებით ყიდდა ნივთებს: შანდლების მერე საყურე დადო, საყურის მერე ტარსიკონის ბალი-

ში, მერე ზარდახშა, - ამას ალბათ მრავალფეროვანებისთვის სჩადიოდა ან არადა, მყიდველთა მოთხოვნილებების გათვალისწინებით. ათი წუთიც არ ვმდგარვარ, რომ გულმა აღარ მომითმინა - ჯერ ბალიშს წავეტანე, მერე ზარდახშას, მაგრამ უკანასკნელ წუთში ორჯერვე შევჩერდი: მათი ყიდვა სავსებით შეუძლებელი მეჩვენა. ბოლოს ბოქაულის ხელში ალბომი გაჩნდა.

„საოჯახო ალბომი, წითელ ტარსიკონგადაკრული, ნახმარი, აკვარელისა და ჩინური მელნის ნახატებით, ჩუქურთმებიანი სპილოს ძვლის ბუდითა და ვერცხლის შესაკრავით - ფასი ორი მანეთი!“

ახლოს მივედი: ლაზათიანი რამ იყო, მაგრამ ძვლის ჩუქურთმებში ერთ ადგილას ხინჯი ჰქონდა. ჩემ მეტი არავინ დაძრულა ალბომის სანახავად, ყველა დუმდა; მოცილეები არ მყავდა. შემეძლო გამეხსნა შესაკრავები, ბუდიდან ამომეღო და გამესინჯა, მაგრამ ეს უფლება არ გამოვიყენე და აკანკალებული ხელი მხოლოდ ჩავიქნიე: სულერთია-მეთქი.

- ორი მანეთი და ხუთი კაპიკი, - ვთქვი და, მგონი, ისევ კბილების კრაჭუნი ამიტყდა.

ალბათ მე დამრჩა. მაშინვე ამოვიღე ფული, გადავიხადე, დავავლე ხელი ალბომს და ოთახის კუთხეში მივდექი; იქ ამოვიღე ბუდიდან და გაფაციცებით, სწრაფად დავიწყე სინჯვა: თუ ბუდეს არ ჩავთვლით, ამაზე უხეირო რამ ქვეყნად არაფერი იქნებოდა - ეს იყო მცირე ზომის საფოსტო ქაღალდისოდენა პატარა, თხელი ალბომი, გადაქექილი ოქროს ვარაყით, - სწორედ ისეთი, როგორსაც გაიჩენდნენ ხოლმე ძველად ინსტიტუტიდან გამოსული ქალიშვილები. ჩინური მელნითა და აკვარელის ფერებით ეხატა მთაზე წამომართული ტაძრები, ამურები და ტბაში მოცურავე გედები; ლექსიც ეწერა:

შორ გზას ვადგავარ, მივემგზავრები,

მოსკოვს დიდი ხნით მე ვეთხოვები,

დიდი ხნით მოყვრებს ვემშვიდობები,

ყირიმს მივქრივარ ფოსტის ცხენებით.

(დახეთ, როგორ დამმახსოვრებია!). გუნებაში გადავწყვიტე, ჩავფლავდი-მეთქი, რადგან თუკი მოიპოვება ქვეყნად ისეთი რამ, რაც არ-

ავის ესაჭიროება, სწორედ ეს ალბომი გახლდათ.

„არაფერია, - გადავწყვიტე, - ბანქოში პირველი ქაღალდი მუდამ წაგებისაა; ეს კარგი ნიშანიც კია“.

აშკარად მხიარულ გუნებაზე დავდექი.

- აჰ, დავიგვიანე; თქვენა გაქვთ? თქვენ შეიძინეთ? - უცებ გაისმა ჩემ ახლოს წარმოსადეგი, ლურჯპალტოიანი, კარგად გამოწყობილი ბატონის ხმა. დაგვიანებოდა.

- დამაგვიანდა. აჰ, რა საწყენია! როგორ იყიდეთ?

- ორ მანეთად და ხუთ კაპიკად.

- აჰ, რა საწყენია! ხომ არ დამითმობდით?

- გარეთ გავიდეთ, - წავჩურჩულე და თან სუნთქვა შემეკრა, კიბესთან გამოვედით.

- თუმნად დაგითმობთ, - ვუთხარი და თან ვიგრძენი, როგორ დამიარა სიცივემ ზურგში.

- თუმნადო!? რას ბრძანებთ!

- როგორც გენებოთ.

თვალდაჭყეტილი მომჩერებოდა, კარგად მეცვა და სულ არ ვგავდი ურიას ან გადამყიდველს.

- მომიტევეთ, ეს ხომ ერთი უხეირო ძველი ალბომია, აბა ვის გამოადგება? ბუდე ხომ, კაცმა რომ თქვას, არაფრად ღირს, მაგას მუშტარი არც კი გამოუჩნდება.

- თქვენ კი ყიდულობთ.

- არც მე ვიყიდდი, განსაკუთრებული შემთხვევა რომ არა. მე მხოლოდ გუშინ შევიტყვე, ჩემნაირი ხომ სხვა არავინაა! რას ბრძანებთ!

- ეგ კი არა, ოცდახუთი მანეთი უნდა მეთხოვა; მაგრამ რადგან, რაც უნდა იყოს, მეშინოდა, არ გადაიფიქროს-მეთქი, უფრო ნაღდი რომ ყოფილიყო, თუმანი დაგიფასეთ. კაპიკს არ დავაკლებ.

მოვბრუნდი და წამოვედი.

- ოთხ მანეთად მომეცით, - დამეწია ის უკვე ეზოში. - კარგი, ხუთი იყოს.

ხმას არ ვიღებდი და მივდიოდი.

- აჰა, გამომართვით! - ამოიღო თუმანი. მეც მივეცი ალბომი.

- დამეთანხმებით, რომ ეს უსინდისობაა! სად ორი მანეთი და სად - ათი, ჰა?

- ვითომ რატომაა უსინდისობა? ბაზარია!

- აბა ეს რა ბაზარია (ის ჯავრობდა)?

- სადაც მოთხოვნილებაა, ბაზარიც იქ არის; თქვენ რომ არ გეთხოვათ, ორმოც კაპიკადაც ვერ გავყიდდი.

თუმცა ხმამაღლა არ ვხარხარებდი და სერიოზულად მეჭირა თავი, მაგრამ გუნებაში სიცილით ვკვდებოდი, - აღტაცება კი არ მაცინებდა, მეც არ ვიცი, რა იყო, ცოტა არ იყოს, სული მეხუთებოდა.

- გამიგონეთ, - წავიბუტბუტე სრულიად თავშეუკავებლად, მაგრამ მეგობრულად, რადგან უკვე საშინლად მიყვარდა ის კაცი, - გამიგონეთ: როდესაც განსვენებულმა ჯემს როტშილდმა, პარიზელმა, აი, იმან, რომელმაც ათას შვიდასი მილიონი ფრანკი დატოვა (მან თავი დამიქნია), ჯერ კიდევ ყმაწვილმა, შემთხვევით, რამდენიმე საათით სხვებზე ადრე შეიტყო, ბერიის ჰერცოგი მოკლესო, მაშინვე სასწრაფოდ აცნობა ეს ამბავი ვისაც ჯერ არს და მარტო ამით წამში რამდენიმე მილიონი იშოვა - აი, რას შვრებიან ადამიანები!

- მერე თქვენ სადაური როტშილდი მყავხართ? - დამიყვირა მან აღშფოთებით, როგორც ვიღაც ტუტუცს.

სწრაფად გამოვედი ქუჩაში. ერთი ნაბიჯი და, შვიდი მანეთი და ოთხმოცდათხუთმეტი კაპიკი ვიშოვე! გეთანხმებით, ეს უაზრო ნაბიჯი იყო. ბავშვური თამაში, მაგრამ მაინც ემთხვეოდა ჩემს აზრს და ამ ამბავს არ შეიძლებოდა, ძლიერ ღრმად არ ავეღელვებინე... თუმცა რა საჭიროა გრძნობების აღწერა. ათმანეთიანი ჟილეტის ჯიბეში მედო, ორი თითი ჩავიყავი შიგ ხელის შესავლებად - და აღარც ამომიღია ხე-

ლი, ისე მივდიოდი. ასი ნაბიჯი რომ გავიარე, ამოვიღე თუმნიანი, დავ-
ხედე და მინდოდა მეკოცნა. ვიღაცის სახლის მისასვლელთან უცებ ეტ-
ლი მიგრიალდა; მეკარემ კარი გააღო და სახლიდან ეტლში ჩასაჯდომ-
ად ერთი დიდებული, ახალგაზრდა, ლამაზი, მდიდარი, სულ აბრეშუმ-
სა და ხავერდში გამოწყობილი ქალი გამოვიდა, რომელიც ორარშინი-
ან კუდს მოათრევდა. უცებ ხელიდან გაუვარდა კოხტა პატარა ჩანთა
და ძირს დაეცა; ქალი ეტლში ჩაჯდა, ლაქია დაიხარა ჩანთის ასაღებ-
ად, მაგრამ სწრაფად მივაჭერი, ავიღე და მივვარდი ქალს, თან შლაპა
ოდნავ მოვიხადე (შლაპა - ცილინდრი მეხურა, ყმაწვილი კაცის კვა-
ლობაზე გვარიანად მეცვა). ქალმა თავშეკავებით, მაგრამ საამური
ღიმილით მითხრა: „მერსი, მუსიე“. ეტლმა ჩაიგრიალა, მე თუმნიანს
ვაკოცე.

III

იმ დღესვე უნდა მენახა ეფიმ ზვერევი, ჩემი ერთი გიმნაზიელი ამხანაგი, რომელმაც გიმნაზიას თავი დაანება და პეტერბურგში მოეწყო სპეციალურ უმაღლეს სასწავლებელში. თვითონ მისი აღწერა არ ღირს და, კაცმა რომ თქვას, არც მეგობრობა მქონია მასთან; მაგრამ პეტერბურგში კი მოვნახე; მას შეეძლო (მრავალი გარემოების გამო, რომელთა შესახებ აგრეთვე არ ღირს ლაპარაკი) შეეტყობინებინა ჩემთვის ვინმე კრაფტის, ჩემთვის მეტად საჭირო კაცის მისამართი მაშინვე, როგორც კი ის ვილნოდან დაბრუნდებოდა. ზვერევმა გუშინწინ შემატყობინა, რომ მას სწორედ დღეს ან ხვალ ელოდა. პეტერბურგის მხარისკენ ვიყავი წასასვლელი, მაგრამ დაღლილობას არ ვგრძნობდი.

ზვერევი (ისიც ცხრამეტი წლისა იქნებოდა) დამხვდა თავისი დეიდის სახლის ეზოში, - დროებით მასთან ცხოვრობდა. ის იყო, ესადილა და ეზოში ბოლთას სცემდა; მაშინვე მაცნობა, კრაფტი გუშინ ჩამოვიდაო, თავად უნდა შენი ნახვა, რაღაც საჩქარო საქმე აქვსო.

- ისევ სადღაც აპირებს გამგზავრებას, - დაურთო ეფიმმა.

რადგან გარემოებანი ისე მოეწყო, რომ კრაფტის ნახვას ჩემთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, ეფიმს ვთხოვე, მოდი, ახლავე მიმყევი-მეთქი. კრაფტის ბინა იქვე, ორიოდ ნაბიჯზე, რომელიღაც შესახვევში ყოფილიყო, მაგრამ ზვერევმა გამომიცხადა, ამ ერთი საათის წინ შემხვდა, დერგაჩევთან მიდიოდაო.

- წამო დერგაჩევთან, შენც რა მოგივიდა, რას უფრთხი?

მართლაც, შესაძლო იყო, კრაფტი დიდხანს დარჩენილიყო დერგაჩევთან და მაშინ სადღა უნდა დავლოდებოდი? დერგაჩევთან წასვლას არ ვუფრთხოდი, მაგრამ არც მინდოდა, თუმცა ეფიმი აგერ, მესამედ მეპატიჟებოდა. თანაც ამ „უფრთხის“ მუდამ რაღაც საძაგელი ღიმილით წარმოთქვამდა. წინასწარ ვაცხადებ, რომ არავითარი სიფრთხილე არ მახასიათებდა, ხოლო თუ მეშინოდა, მეშინოდა სულ სხვა რამის. ამჯერად გავბედე წასვლა; ესეც ორიოდ ნაბიჯზე იყო. გზაში ვკითხე ეფიმს, ისევ თუ ფიქრობ ამერიკაში გაქცევას-მეთქი?

- ჯერ იქნებ ცოტა კიდევ მოვიცადო, - ჩაიცინა მან.

ეფიმი მაინცდამაინც არ მიყვარდა, უფრო სწორად, სულაც არ მიყვარდა. ძალზე გამოხუნებული ფერის თმა ჰქონდა, ძალზე თეთრი, თითქმის უზრდელად, ბავშვურად თეთრი, პუტკუნა სახე, ტანით ჩემზე მაღალიც იყო, მაგრამ ჩვიდმეტ წელზე მეტს არ მისცემდით. მასთან სალაპარაკო არაფერი მქონდა.

- რა ამბავია ხოლმე დერგაჩევთან? მუდამ ხალხი ირევა? - ვკითხე გულის შესაჯერებლად.

- ნეტავ ეგრე რამ დაგაფრთხო? - ისევ გაიცინა ეფიმმა.

- მომწყდი თავიდან, - გავბრაზდი.

- არავითარი ხალხი არ ირევა, ნაცნობები დადიან, ყველა შინაურია, არხეინად იყავი.

- მე რა მენაღვლება, შინაურები არიან თუ არა! მე ხომ არა ვარ შინაური? ვითომ რატომ უნდა მენდობოდნენ?

- ჩემი მიყვანილი რომ იქნები, საკმარისია, გაუგონიათ კიდეც შენი სახელი, კრაფტსაც შეუძლია სიტყვა შეგაწიოს.

- გამიგონია, ვასინი იქ იქნებაო.

- არ ვიცი.

- თუ იქნება, შევალთ თუ არა, ხელი წამკარი და დამანახვე ვასინი; მაშინვე, გესმის?

ვასინის შესახებ ბევრი რამ მსმენია და რა ხანია, მაინტერესებდა მისი ნახვა.

დერგაჩევი ცხოვრობდა ერთ პატარა ფლიგელში, რომელიც ვინმე ვაჭრის ცოლის ფიცრული სახლის ეზოში იდგა, მაგრამ სამაგიეროდ მთელი ფლიგელი მას ეჭირა. ოთახი სულ სამი ჰქონდათ, ოთხივე ფანჯარაზე ფარდა იყო ჩამოფარებული. დერგაჩევი ტექნიკოსი გახლდათ და პეტერბურგში სამუშაო ჰქონდა; ყურმოკვრით ვიცოდი, რაღაც საარფიანი კერძო ადგილი იშოვა გუბერნიაში და იქ მიემგზავრებაო.

შევედით თუ არა ერთ ციცქნა დერეფანში, მაშინვე შემოგვესმა ლაპარაკი; მგონი, გაცხარებით დაობდნენ და ვიღაც ყვიროდა: Quae

medicamenta non sanant — ferrum sanat, quae ferrum non sanat — ignis sanat (რასაც წამლები ვერ განკურნავს - რკინა განკურნავს, რასაც რკინა ვერ განკურნავს - ცეცხლი განკურნავს (ფრანგ.).)!

მე, მართლაც, ცოტა არ იყოს, მოუსვენრობას ვგრძნობდი. რა თქმა უნდა, არავითარ საზოგადოებას არ ვიყავი შეჩვეული. გიმნაზიაში ამხანაგებს შენობით ველაპარაკებოდი, მაგრამ თითქმის არავის ვეამხანაგებოდი, ჩემთვის მოვიწყვე კუთხე და იმ კუთხეში ვცხოვრობდი. მაგრამ ეს როდი იყო ჩემი მაშინდელი მოუსვენრობის მიზეზი. ყოველი შემთხვევისთვის, ჩემს თავს სიტყვა მივეცი, კამათში არ ჩავერევი და თუ რამეს ვიტყვი, მხოლოდ და მხოლოდ აუცილებელს, რათა არავის შეეძლოს ჩემ შესახებ რაიმე დასკვნის გამოტანა-მეთქი. მთავარი იყო, არ მეკამათა.

ძალზე პატარა ოთახში შვიდი კაცი იქნებოდა, ხოლო ქალებიანად - ათი. დერგაჩევი ოცდახუთი წლის იყო, ცოლშვილიანი. მის ცოლს და ჰყავდა და კიდევ ვიღაც ნათესავი ქალი; ისინიც დერგაჩევისას ცხოვრობდნენ. ოთახი დაუდევრად, თუმცა გვარიანად იყო მოწყობილი და, ასე განსაჯეთ, სუფთადაც კი. კედელზე ეკიდა ლითოგრაფიული პორტრეტი, ძალიან იაფფასიანი; კუთხეში მოუჯედავი ხატი მოეთავსებინათ, ოღონდ წინ კანდელი ენთო. დერგაჩევი მომიახლოვდა, ხელი ჩამომართვა და მთხოვა, დაბრძანდითო.

- დაბრძანდით, აქ სულ შინაურები არიან.

- გთხოვთ, - მყისვე დაუმატა ერთმა სანდომიანმა, ძალიან სადად ჩაცმულმა ყმაწვილმა ქალმა, ოდნავ თავი დამიკრა და მაშინვე გავიდა. ეს გახლდათ დერგაჩევის ცოლი, და როგორც სახეზე ეტყობოდა, მგონი, ისიც კამათობდა. ახლა კი გავიდა, რომ ბავშვისთვის ძუძუ მიეცა. მაგრამ ოთახში დარჩა კიდევ ორი ქალი - ერთი შავკაბიანი, დაბალ-დაბალი, ასე, ოცი წლისა, მიმზიდველი; მეორე - ოცდაათისა, გამხდარი, თვალსხარტი. ეს ქალები ისხდნენ, გულმოდგინედ უსმენდნენ სხვებს, მაგრამ ლაპარაკში არ ერეოდნენ.

რაც შეეხება მამაკაცებს, ყველანი ფეხზე იდგნენ. ვისხედით მხოლოდ მე, კრაფტი და ვასინი; ისინი შესვლისთანავე დამანახვა ეფიმმა, რადგან კრაფტსაც პირველად ვხედავდი ჩემს სიცოცხლეში. წამოვდექი და გასაცნობად მასთან მივედი. არასოდეს დამავიწყდება კრაფტის სახე: განსაკუთრებული სილამაზით ვერ დაიკვეხნიდა, მაგრამ რაღაც ჰქონდა თითქოს მეტისმეტად უწყინარი და სათუთი, თუმცა ყველაფერ-

ში გამოსჭვიოდა პირადი ღირსება. ოცდაექვსი წლისა იქნებოდა, საკმაოდ ხმელ-ხმელი, საშუალოზე მაღალი, ქერა: სერიოზული, მაგრამ ალერსიანი სახით; რაღაც ძალზე მშვიდი შეინიშნებოდა მთელ მის არსებაში. ამავე დროს კი, რომ გეკითხათ - არაფრის გულისთვის არ გავცვლიდი ჩემს იქნებ ძალიანადაც უხამს ფიზიონომიას მის ესოდენ მიმზიდველ სახეში. რაღაც ჰქონდა ისეთი, რასაც მე არ ვინატრებდი, - რაღაც მეტისმეტად მშვიდი, ზნეობრივი გაგებით, იდუმალი, თავისთვისვე უხილავი სიამაყისმაგვარი. თუმცა მაშინ ზუსტად ასე განსჯა უთუოდ არ შემეძლო; ეს ახლა, ესე იგი, მომხდარის მერე მგონია, მაშინ ასე ვიფიქრე-მეთქი.

- ძალიან მოხარული ვარ, რომ მოხვედით, - მითხრა კრაფტმა, - ერთი წერილი მაქვს, რომელიც თქვენ გეხებათ. ცოტა ხანს აქ ვიყოთ, მერე ჩემსას წავიდეთ.

დერგაჩევი გახლდათ შუატანის, მხარბეჭიანი, ძალზე შავგვრემანი, გრძელწვერა ვაჟკაცი; საზრიანი გამოხედვა ჰქონდა და მის მზერაში ყველა მხრივ თავშეკავება იგრძნობოდა, თან მუდმივად ერთგვარი სიფრთხილე ეტყობოდა; თუმცა მეტწილად დუმდა, მაგრამ ჩანდა, საუბრის წამმართველი ის იყო. ვასინის ფიზიონომიას მაინცდამაინც დიდი შთაბეჭდილება არ მოუხდენია ჩემზე, თუმცა გაგონილი მქონდა, ძალზე ჭკვიანი ვინმეაო: ეს გახლდათ ქერა კაცი, დიდრონი, ღია ნაცრისფერი თვალებით და ძალიან ნათელი, თუმცა, იმავდროულად, თითქოს მეტისმეტად მტკიცე სახით; იგრძნობოდა, რომ დიდად გულგახსნილი კაცი არ უნდა ყოფილიყო, თუმცა აშკარად ჭკვიანი, დერგაჩევზე უფრო ჭკვიანი და ღრმა გამოხედვა ჰქონდა - ჭკვიანი ყველა იმათგანზე, ვინც ოთახში იმყოფებოდა; თუმცა იქნება ახლა ყველაფერს ვაზვიადებ. დანარჩენი ახალგაზრდებიდან მაგონდება მხოლოდ ორი: ერთი - მაღალი, შავგვრემანი, შავქილვაშიანი, ასე, ოცდაშვიდი წლის კაცი, მასწავლებელი თუ რაღაც ამდაგვარი, რომელიც ბევრს ლაპარაკობდა, და მეორე - ჩემი ხნის ყმაწვილი, რუსულ ხიფთანში გამოწყობილი, - ის დუმდა, მხოლოდ სხვებს უსმენდა. როგორც მერე შევიტყვე, მართლაც გლეხთაგანი ყოფილიყო.

- არა, ამ საკითხის ასე დაყენება არ შეიძლება, - წამოიწყო შავქილვაშიანმა მასწავლებელმა, ყველაზე მეტს რომ ცხარობდა; ეტყობოდა, წეღანდელ დავას მიუბრუნდა: - მათემატიკურ საბუთებზე არაფერს ვამბობ, მაგრამ ეს იდეა მზად ვარ, ვიწამო მათემატიკური საუბრების გარეშეც...

- დაიცა, ტიხომიროვ, - ხმამაღლა შეაწყვეტინა დერგაჩევმა. - შემოსწრებულებს არ ესმით, რასთან გვაქვს საქმე. იცით რა, აი ეს, - უცებ მომმართა მან მხოლოდ მე და გამოგიტყდებით, თუ მას განზრახვა ჰქონდა გამოვეცადე, როგორც ახალი და აველაპარაკებინე, მაშინ ეს ძალზე მარჯვე ხრიკი იყო; ეს მაშინვე ვიგრძენი და მოვემზადე, - იცით რა, აი ეს გახლავთ ბატონი კრაფტი, ყველა ჩვენგანისთვის კარგად ცნობილი თავისი ხასიათითაც და სოლიდური სიმტკიცითაც. ფრიად ჩვეულებრივმა ფაქტმა იგი მიიყვანა ფრიად არაჩვეულებრივ დასკვნამდე, რომლითაც ყველა გაგვაოცა, მან დაასკვნა, რომ რუსი ხალხი მეორეხარისხოვანი ხალხია...

- მესამეხარისხოვანი! - წამოიძახა ვიღაცამ.

- ...მეორეხარისხოვანი, რომელსაც წილად ერგო, ყოფილიყო მხოლოდ მასალა უფრო კეთილშობილი მოდგმისთვის, იმის ნაცვლად, რომ დამოუკიდებელი როლი შეესრულებინა კაცობრიობის ბედ-იღბალში. თავისი ამ, შესაძლოა, სამართლიანი აზრის გამო, ბატონი კრაფტი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ყოველი რუსი ადამიანის შემდგომი საქმიანობა უნდა მოადუნოს ამ იდეამ, ასე ვთქვათ, ყველამ ხელი უნდა ჩაიქნიოს და...

- მაცალე, დერგაჩევ, ამ საკითხის ასე დაწყება არ შეიძლება! - ისევ მოუთმენლად ჩაერია ტიხომიროვი (დერგაჩევი მაშინვე გაჩუმდა და აცალა ლაპარაკი). - ვინაიდან კრაფტმა სერიოზულად შეისწავლა ეს საკითხი და ფიზიოლოგიის საფუძვლებზე გამოიტანა დასკვნები, რომელთაც მათემატიკურ დასკვნებად აღიარებს, და ვინაიდან მან, იქნებ, ორი წელიც მოანდომა ამ თავის იდეას (რომელსაც მე არხეინად მივიღებდი ა პრიორი (იმთავითვე, თავისთავად, ცდისგან დამოუკიდებლად (ლათ.).)), ამიტომ, ესე იგი, კრაფტის შეშფოთებასა და სერიოზულობის გამო, ეს საქმე ფენომენის სახით წარმოგვიდგება. ყოველივე აქედან იბადება კითხვა, რომელიც კრაფტს ვერ გაუგია, და აი, სწორედ ამას უნდა მივაქციოთ ყურადღება, კრაფტის ამ გაუგებრობას, ვინაიდან ესაა ფენომენი. უნდა გავარკვიოთ, მიეკუთვნება თუ არა ეს ფენომენი კლინიკურს, როგორც ცალკეული შემთხვევა, თუ ესაა თვისება, რომელიც შეიძლება ნორმალურად მეორდებოდეს სხვებში; ეს უკვე საერთო საქმისთვისაა საჭირო და საინტერესო. რუსეთის თაობაზე ვიწამებ კრაფტის აზრს და იმასაც ვიტყვი, რომ მოხარულიც კი ვარ: ეს იდეა რომ ყველამ აიტაცოს, ხელ-ფეხი გაგვეხსნებოდა და ბევრი გათავისუფლდებოდა პატრიოტული ცრურწმენისგან...

- მე პატრიოტიზმის გამო არ ვამბობ ამას, - რაღაცნაირი ძალდატანებით თქვა კრაფტმა. მას, მგონი, არ სიამოვნებდა მთელი ეს კამათი.

- შეიძლება თავი დავანებოთ იმას, არის თუ არა ეს პატრიოტიზმი, - წარმოთქვა აქამდე მდუმარე ვასინმა.

- მაგრამ ერთი მითხარი, რითი უნდა შეასუსტოს კრაფტის დასკვნამ ზოგადსაკაცობრიო საქმისადმი მისწრაფება? - ყვიროდა მასწავლებელი (მარტოკა ის ყვიროდა, დანარჩენები წყნარად ლაპარაკობდნენ) - დაე, რუსეთის ხვედრი მეორეხარისხოვნობა იყოს; მაგრამ ხომ შეიძლება მარტო რუსეთისთვის არ გაისარჯოს კაცი. გარდა ამისა, როგორ შეუძლია კრაფტს იყოს პატრიოტი, თუკი აღარ სწამს რუსეთის?

- კრაფტი გერმანელია, - გაისმა ისევ ვიღაცის ხმა.

- მე რუსი ვარ, - თქვა კრაფტმა.

- ეს საკითხი უშუალოდ საქმეს არ ეხება, - შეაწყვეტინა დერგაჩევმა იმ ვიღაცას.

- გამოდით მაგ თქვენი იდეის ვიწრობიდან, - თავისას გაიძახოდა ტიხომიროვი. - თუ რუსეთის ხვედრია, იყოს მხოლოდ მასალა უფრო კეთილშობილი მოდგმისთვის, ბარემ გამოვიყენოთ კიდეც ის ამ მასალად! ეს ხომ საკმაოდ ლამაზი როლია. რატომაც არ უნდა დავჯერდეთ ამ იდეას ამოცანის გასაფართოებლად? კაცობრიობა თავისი გარდაქმნის კარზეა, ეს გარდაქმნა უკვე დაიწყო. მომავალ ამოცანას მარტო ბრმები თუ უარყოფენ. თავი დაანებეთ რუსეთს, თუ მისი აღარ გწამთ, და გაისარჯეთ მომავლისთვის, - იმ მომავალი ხალხისთვის, რომელიც ჯერ უცნობია, მაგრამ რომელიც შეიქმნა მთელი კაცობრიობისგან, მოდგმათა განურჩევლად. რუსეთი ისედაც მოკვდებოდა როდისმე; ყველაზე ნიჭიერი ხალხიც კი ათას ხუთას, ბევრი-ბევრი, ორი ათას წელს ცოცხლობს; მაშ, განა სულერთი არაა, ორი ათასი წელი იქნება თუ ორასი? რომაელებს ათას ხუთასი წელიც არ უცხოვრიათ, და ისინიც მასალად იქცნენ. ისინი რახანია, აღარ არიან, მაგრამ დაგვიტოვეს იდეა, რომელიც კაცობრიობის ბედ-იღბლის შემდგომი ელემენტი გახდა. როგორ შეიძლება კაცს უთხრა, გასაკეთებელი არაფერიაო? ვერ წარმომიდგენია ისეთი მდგომარეობა, რომ ოდესმე აღარაფერი იქნეს გასაკეთებელი! იშრომეთ კაცობრიობისთვის და დანარჩენზე ნუ ზრუნავთ. საქმე იმდენია, რომ ამისთვის მთელი სიცოცხლე არ გვეყოფა, თუკი დაკვირვებით მიმოვიხედავთ.

- უნდა იცხოვრო ბუნებისა და სიმართლის კანონით, - წარმოთქვა კარს უკან ქ-ნმა დერგაჩევმა, კარი ოდნავ გამოღებული იყო და ჩანდა, თუ როგორ იდგა ის პაწიათი ხელში, მკერდი დაეფარა, ძუძუს აწოვებდა, და თან გატაცებით უსმენდა ამ ლაპარაკს.

კრაფტი ოდნავ ღიმილით უსმენდა, დაბოლოს, ცოტა არ იყოს გატანჯული სახით, თუმცა ძალზე გულწრფელად წარმოთქვა:

- ვერ გამიგია, როგორ შეიძლება ადამიანი დაემონოს რომელიმე გაბატონებულ აზრს, რომელსაც სავსებით დაუმორჩილებია მისი გული და გონება, და კიდევ აცოცხლებდეს რამე სხვა, ამ აზრის გარდა?

- კი მაგრამ, თუ თქვენ გეუბნებიან ლოგიკურად, მათემატიკურად, რომ თქვენი დასკვნა მცდარია, მთელი აზრი მცდარია, რომ არავითარი უფლება არ გაქვთ, გამოთიშოთ თქვენი თავი საყოველთაო სასარგებლო საქმიანობიდან მხოლოდ იმიტომ, რომ რუსეთს მეორეხარისხოვანი როლი აქვს მიკუთვნებული; თუ მიგითითებენ, რომ ვიწრო ჰორიზონტის ნაცვლად თქვენ წინ გადაშლილია უსაზღვროება, რომ პატრიოტიზმის ვიწრო იდეის გარდა...

- ე-ე! - წყნარად ჩაიქნია ხელი კრაფტმა, - ხომ გითხარით, საქმე პატრიოტიზმს არ ეხება-მეთქი...

- აქ, ეტყობა, რაღაც გაუგებრობაა, - ჩაერია უცებ ვასინი. - შეცდომა ისაა, რომ კრაფტს მარტო ლოგიკური დასკვნა კი არა, ასე ვთქვათ, გრძნობად ქცეული დასკვნა გამოაქვს. ყველა ხომ ერთნაირი ბუნების არ არის; ბევრ ადამიანს ლოგიკური დასკვნა ხანდახან გადაექცევა ხოლმე უძლიერეს გრძნობად, რომელიც დაეუფლება მთელ მის არსებას და რომელსაც ასე იოლად ვერც განდევნი და ვერც გადაასხვაფერებ. ასეთი კაცი რომ განკურნო, თვითონ ის გრძნობა უნდა შეუცვალო. ეს კი შეუძლებელია, თუ სანაცვლოდ არ მოინახა რომელიმე სხვა, ისეთივე სიძლიერის გრძნობა. ეს მუდამ ძნელია, ხოლო ხშირ შემთხვევაში - შეუძლებელიც.

- შეცდომაო! - იყვირა მოდავემ. - ლოგიკური დასკვნა თავისთავად დაამსხვრევს ცრურწმენებს. გონივრული რწმენა კვლავ იმავე გრძნობას ჰბადებს. აზრი გამომდინარეობს გრძნობიდან და, თავის მხრივ, ადამიანში დამკვიდრებული რაღაც ახალს აყალიბებს!

- ადამიანები მეტად სხვადასხვაგვარნი არიან, ზოგს ადვილად შეუ-

ძლია გრძნობების შეცვლა, ზოგს უმძიმს, - მიუგო ვასინმა, თითქოს აღარ სურდა კამათის გაგრძელება; მაგრამ მე აღტაცებული ვიყავი მისი იდეით.

- როგორც თქვენ ბრძანეთ, სწორედ ასეა! - უცებ მივმართე მას, დავამსხვრიე ყინული და ერთბაშად ამოვიდგი ენა. - სწორედ რომ ერთი გრძნობის მაგივრად სხვა, სანაცვლო გრძნობაა საჭირო. მოსკოვში ამ ოთხი წლის წინ ერთმა გენერალმა... იცით რა, ბატონებო, მე მას არ ვიცნობდი, მაგრამ... იქნებ ის თავისთავად არც იმსახურებდა პატივისცემას... თან თვითონ ფაქტიც იქნებ უგუნურია, მაგრამ... თუმცა, იცით რა, მას მოუკვდა შვილი, ესე იგი, კაცმა რომ თქვას, ორი გოგონა ზედიზედ დაეხოცა ქუნთრუშით... დაიზაფრა კაცი, ისეთი გაუბედურებული დადიოდა, მის შემხედვარეს გული მოგიკვდებოდათ - და იმით დაასრულა, რომ ნახევარი წელიც არ გასულა და, სული განუტევა. ფაქტია, რომ ამის გამო მოკვდა! მაშასადამე, რითი შეიძლებოდა მისი აღდგომა? პასუხი: თანაბარი სიძლიერის გრძნობით! უნდა ამოეღოთ სამარიდან ის ორი გოგონა და გადაეცათ მისთვის - აი რაღაც ამდაგვარი. ჰოდა, მოკვდა. არადა, შეიძლებოდა მისთვის საუცხოო დასკვნები დაედოთ: რომ ცხოვრება მოულოდნელობითაა აღსავსე, რომ ყველა მოკვდავია; ეჩვენებინათ კალენდრებიდან სტატისტიკა, თუ რამდენი ბავშვი კვდება ქუნთრუშით... ის გადამდგარი გენერალი იყო...

სულშეგუბებული შევჩერდი და გარშემო მიმოვიხედე.

- ეგ სულ სხვა რამაა, - თქვა ვიღაცამ.

- თუმცა თქვენ მიერ მოყვანილი ფაქტი არ არის მთლად ისეთი, როგორიც აქ მოყვანილი შემთხვევა, მაგრამ მაინც წააგავს და საქმესაც შუქს ჰფენს, - მომმართა ვასინმა.

IV

აქ უნდა გამოვტყდე, თუ რატომ მომგვარა აღტაცება ვასინის არგუმენტმა „იდეა-გრძნობის“ შესახებ, ამასთან, უნდა გამოვტყდე იმაშიც, თუ რა საშინლად მომეჭრა თავი. დიახ, მე ვუფრთხოდი დერგაჩევთან მისვლას, თუმცა არა იმ მიზნით, ეფიმს რომ ეგონა, ვუფრთხოდი იმიტომ, რომ ჯერ კიდევ მოსკოვშივე მეშინოდა მათი. ვიცოდი, რომ ისინი (ესე იგი, ისინი ან სხვა მათნაირები - ეს სულერთია) დიალექტიკოსები იყვნენ და უთუოდ გააცამტვერებდნენ „ჩემს იდეას“. ღრმად მწამდა ჩემი თავის, რომ ჩემს იდეას არ გავუმხელდი და არ გადმოვულაგებდი; მაგრამ მათ (ესე იგი, ისევ მათ ან მათნაირებს) შეეძლოთ თვითონ ეთქვათ რამე ისეთი, რაც მევე გამიტეხავდა გულს ჩემს იდეაზე, თუნდაც სიტყვა არ დამცდენოდა მათთან ამის თაობაზე. „ჩემს იდეაში“ ჯერ კიდევ მქონდა გადაუჭრელი საკითხები, მაგრამ არ მინდოდა, ვინმე სხვას გადაეჭრა ისინი. ბოლო ორ წელიწადს წიგნების კითხვასაც კი დავანებე თავი იმის შიშით, ვაითუ ისეთ რამეს წავაწყდე შიგ, რაც ჩემი „იდეის“ საზიანო იქნება და თავზარს დამცემს-მეთქი. და უცებ ვასინმა ერთბაშად გადაჭრა ამოცანა და დამამშვიდა უმაღლესი გაგებით. მართლაცდა: აბა, რისი მეშინოდა, ან რას დამაკლებდნენ, როგორი დიალექტიკაც უნდა ჰქონოდათ? იქნებ ჩემ გარდა იქ სულაც ვერავინ მიხვდა, თუ რა თქვა ვასინმა „იდეა-გრძნობაზე“? რა დიდი რამ უნდა მშვენიერი იდეის უარყოფას? მთავარი ისაა, ასევე მშვენიერით ჩაანაცვლო იგი; ჩემსავით კი არა, რომელსაც არ მსურს, შევეშვა ჩემს გრძნობას, ბოლოს და ბოლოს, უარსაც კი ვიტყვი გულში მათ უარყოფაზე, თუნდაც ძალით, იმის მიუხედავად, ისინი რას იტყვიან. აბა, რა უნდა მოეცათ სანაცვლოდ? ამიტომაც მე შემეძლო უფრო გულადი ვყოფილიყავი, მოვალეც ვიყავი, მეტი ვაჟკაცობა გამომეჩინა. ვასინის სიტყვებით რომ აღვფრთოვანდი, შემრცხვა, ხოლო ჩემი თავი უღირს ბავშვად წარმოვიდგინე.

აქ კიდევ ერთი სამარცხვინო რამ დამემართა, ყინული დავამსხვრიე და ხმა ამოვიღე. ამას ის საზიზღარი გრძნობა კი არ მაიძულებდა, ჩემი ჭკუა-გონებით თავი მოვაწონო-მეთქი, არამედ „კისერზე ჩამოკიდების“ სურვილიც. კისერზე ჩამოკიდების ეს სურვილი, რათა ეთქვათ, კარგი ყმაწვილიაო, გადამეხვეოდნენ, თუ რაღაც ამდაგვარი (ერთი სიტყვით, ღორობაა), ჩემს საძრახ თვისებათა შირის ყველაზე საზიზღარ თვისებად მიმაჩნია; ადრევე, სახელდობრ იმ დროიდან, როდეს-

აც იმდენი წელი თავი მქონდა შერგული ჩემს კუთხეში, ვეჭვობდი, რომ ეს თვისება მქონდა. თუმცა არ კი ვნანობ ამას. ვიცოდი, რომ ხალხში ყოფნისას უფრო კუშტად უნდა დამეჭირა თავი. ყოველი ასეთი თავის მოჭრის მერე გულს იმითღა ვიკეთებდი, რაც უნდა იყოს, „იდეა“ მაინც ჩემთანაა, კვლავინდებურად საიდუმლოებით მოცული, და მათთვის არ გამიმხელია-მეთქი. გული დამელეოდა ხოლმე, როცა წარმოვიდგენდი, რომ ჩემი იდეის გამხელის შემთხვევაში მე უკვე აღარაფერი დამრჩებოდა, ასე რომ, სხვებს დავემსგავსებოდი, ან, იქნებ, იდეაზე ხელიც კი ამეღო. ამიტომაც თვალისჩინივით ვუფრთხილდებოდი მას, ვმალავდი. იმის შიში მკლავდა, სადმე არ წამოვაყრანტალო-მეთქი. და აი, დერგაჩევთან პირველი შეტაკებისთანავე ვეღარ მოვითმინე: რა თქმა უნდა, არაფერი გამიმჟღავნებია, მაგრამ მიუტევებლად წავიგდე ენა, თავი მომეჭრა და ეგ იყო! საძაგელი მოგონებაა! არა, არ შეიძლება ჩემი ადამიანებთან ცხოვრება; ახლაც ასე ვფიქრობ; ორმოცი წლით ადრე ვამბობ ჩემს სათქმელს. ჩემი იდეაა - კუთხე.

V

როგორც კი ვასინმა შემაქო, მაშინვე აუტანლად მომინდა ლაპარაკი.

- ჩემი აზრით, ყველას აქვს უფლება, თავისი გრძნობები გააჩნდეს... თუ ეს რწმენითაა გამოწვეული... ოღონდ აღარავინ უნდა წამოაძახოს მას ეს გრძნობები, - მივმართე ვასინს. თუმცა გვარიანი რიხით ვთქვი, მაგრამ თითქოს მე არ ვლაპარაკობდი, თითქოს სხვისი ენა ტრიალებდა ჩემი პირის ღრუში.

- ვითო-ომ? - მაშინვე აიტაცა და დაცინვით გააგრძელა სიტყვა იმავე ხმამ, რომელიც ლაპარაკს არ აცლიდა დერგაჩევს და კრაფტსაც მიაძახა, გერმანელი ხარო. რაკი მას სრულ არარაობად ვთვლიდი, მივუბრუნდი მასწავლებელს, თითქოს მას წამოეძახოს:

- ჩემი რწმენა ისაა, რომ ვერავის განსჯა ვერ უნდა გავბედო, - ერთნაირად ვკანკალებდი, თან უკვე ვიცოდი, რომ კისრისტეხით მივექანებოდი სადღაც.

- ეგეთი იდუმალება რაღა საჭიროა? - კვლავ გაისმა არარაობის ხმა.

- ყველას თავისი იდეა აქვს, - ჯიქურ მივჩერებოდი მასწავლებელს, რომელიც, პირიქით, ხმას არ იღებდა და ღიმილით მათვალიერებდა.

- თქვენი იდეა რაღაა? - დაიყვირა არარაობამ.

- ასე მოკლედ არ ითქმის... ნაწილობრივ კი, ჩემი იდეა სწორედ ისაა, რომ თავი დამანებო. ვიდრე ორი მანეთი მომეძევება, მინდა ვიცხოვრო მარტოკამ, არავისზე დამოკიდებული არ ვიყო (ნუ წუხხართ, ვიცი, რასაც მეტყვით ამის პასუხად) და არაფერს ვაკეთებდე, - თუნდაც კაცობრიობის იმ დიადი მომავლისთვის, რომლის დასამუშავებლადაც იწვევდით წეღან ბატონ კრაფტს. წინა პლანზეა პირადი თავისუფლება, ესე იგი, საკუთრივ ჩემი, დანარჩენი კი არც მსურს, ვიცოდე.

ჩემი შეცდომა ის იყო, რომ ავპილპილდი.

- ესე იგი, მაძღარი ძროხის სიმშვიდეს ქადაგებთ, არა?

- ეგრე იყოს, მაგ ძროხით შეურაცხყოფას ვერ მომაყენებთ.

არავისი არაფერი მმართებს, საზოგადოებას ფულს ვუხდი სახაზინო გადასახადების სახით, იმისთვის, რომ არავინ გამქურდოს, არ მცემოს და არ მომკლას, მეტის მოთხოვნას კი ვერავინ გამიბედავს. იქნებ სხვა იდეების გამოც ვემსახურო კაცობრიობას, და ათჯერ მეტადაც ვემსახურო, ვიდრე ყველა მქადაგებელი, ოღონდ მე მინდა, რომ ვერავინ გაბედოს, მომთხოვოს ეს; ვერავინ მაიძულოს, როგორც აიძულებთ ბატონ კრაფტს; ჩემი სრული თავისუფლება ისაა, თუ მე თითსაც კი არ გავანძრევ. ხოლო როცა კაცობრიობის სიყვარულით ყველას კისერზე ეკიდებიან და გულაჩვილებულნი ცრემლებს ღვრიან, ეს მხოლოდ მოდაა. ანდა რა აუცილებელია, მიყვარდეს ჩემი მოყვასი ან ის თქვენი მომავალი კაცობრიობა, რომელსაც ვერასოდეს ვიხილავთ; რომელსაც ჩემი არაფერი ეცოდინება და თავის მხრივ, სრულიად უკვალოდ და მოუგონებლად გაქრება (დრო აქ არაფერს ნიშნავს); როდესაც დედამიწა ყინულის ლოდად იქცევა და იქროლებს უჰაერო სივრცეში, ასეთივე ურიცხვ ყინულის ლოდებთან ერთად; ამაზე მეტი უგუნურება წარმოუდგენელია! აი, თქვენი მოძღვრება! ერთი მიბრძანეთ, რატომ უნდა ვიყო მაინცდამაინც კეთილშობილი? მით უმეტეს, რომ ყოველივე მხოლოდ ერთ წუთს გასტანს.

- ვაჰ-ვაჰ! - წამოიძახა იმავე ხმამ. ყოველივე ეს ნერვიულად და გაბოროტებით წამოვისროლე, თავი ავიწყვიტე, ვიცოდი, უფსკრულში მი-

ვექანებოდი, მაგრამ ვჩქარობდი, რადგან მეშინოდა, შემესიტყვებიან-მეთქი. მშვენივრად მესმოდა, რომ ჩემი ლაპარაკი და საცერში სიტყვების ჩაყრა ერთი იყო - მივედ-მოვედებოდი და ვახტებოდი აზრებს, ათ აზრს გამოვტოვებდი და მეთერთმეტეს მივადგებოდი, მაგრამ ვჩქარობდი, დამერწმუნებინა და ამჯერად მე დამემარცხებინა ისინი. ამას ჩემთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა! მე ხომ ამისთვის სამი წელიწადი ვემზადებოდი! მაგრამ გასაოცარი ის იყო, რომ ყველანი ერთბაშად გაჩუმდნენ, კრინტსაც არ ძრავდნენ, მარტოოდენ მისმენდნენ. მე კვლავ მასწავლებელს მივმართავდი:

- სწორედაც ერთი მეტად ჭკვიანი კაცი ამბობდა, სხვათა შორის, რომ არაფერია იმაზე ძნელი, ვიდრე უპასუხო კითხვას: „რატომ უნდა ვიყო მაინცდამაინც კეთილშობილი?“. იცით რა, ქვეყნად სამი ჯურის არამზადები არსებობენ: მიამიტი არამზადები, ე.ი. დარწმუნებულნი, რომ მათი არამზადობა უმაღლესი კეთილშობილებაა; არამზადები, რომელთაც რცხვენიათ, - ესე იგი, ერცხვინებათ საკუთარი არამზადობისა, მაგრამ სურთ, უსათუოდ ბოლომდე მიიყვანონ თავიანთი სიგლახე; და დასასრულ, უბრალოდ არამზადები, წმინდა წყლის არამზადები. ნება მიბოძეთ, მოგახსენოთ: მე ერთი ამხანაგი მყავდა, ლამბერტი, რომელიც ჯერ კიდევ თექვსმეტი წლისა მეუბნებოდა: როცა მდიდარი ვიქნები, ჩემთვის ყველაზე დიდი ნეტარება ის იქნება, რომ პურისა და ხორცის ჭამას დავიწყებ იმ დროს, როცა ღატაკთა შვილები შიმშილის პირას იქნებიან მისულნიო; ხოლო როცა შეშა აღარ ექნებათ, მთელ საწყობ შეშას ვიყიდი, მინდვრად დავაწყობ და ცეცხლს ავაბრიალებ, ღარიბ-ღატაკთ კი ერთ ღერსაც არ მივცემო. აი, მისი გრძნობები! ახლა მიბრძანეთ, რა ვუპასუხო ამ წმინდა წყლის არამზადას კითხვაზე: რატომ უნდა ვიყო მაინცდამაინც კეთილშობილიო, მეტადრე ახლა, ჩვენს დროში, რომელიც თქვენ ასე გადაასხვაფერეთ, ვინაიდან იმაზე უარესი, რაც ახლაა - არასოდეს ყოფილა. ჩვენს საზოგადოებაში სრული გაურკვევლობაა, ბატონებო! თქვენ ხომ ღმერთს უარყოფთ, გმირობას უარყოფთ; მაშ, რა უძრაობამ და სიმყაყემ, ყრუ, ბრმა, ჩლუნგმა უძლურებამ უნდა მაიძულოს, ვიმოქმედო ასე, თუ ჩემთვის სხვაგვარად მოქცევა უფრო ხელსაყრელია? თქვენ ამბობთ: კაცობრიობას რომ გონივრულად მოვეპყრა, ჩემთვისაც ხელსაყრელიაო; მაგრამ თუკი მე უგუნურებად მიმაჩნია ყველა ეგ გონივრულობა, ყველა ეგ ყაზარმა და ფლანგები? რაში მენაღვლება ყოველივე ეს, და ის თქვენი მომავალიც, როცა მხოლოდ ერთხელ ვცხოვრობ ამქვეყნად! ნება მიბოძეთ, თავად გადავწყვიტო, რაა ჩემთვის ხელსაყრელი, ეს უფრო სახალისოა. რა მესაქმება იმასთან, თუ რა მოუვა ათასი წლის მერე თქვენს კაცობ-

რიობას, თუკი ამის წილ, თქვენი კოდექსის თანახმად, არც სიყვარული შემხვდება, არც მომავალი ცხოვრება და არც ჩემი გმირობის აღიარება? არა, ბატონებო, თუ ეგრეა, მაშინ - უზრდელობაში ჩამომართვით და - ვიცხოვრებ ჩემთვის, დანარჩენს კი, თუნდ ყველაფერს, ჯანდაბამდის გზა ჰქონია!

- საუცხოო სურვილია!

- თუმცა მუდამ მზად ვარ, სხვებთან ერთად გავუდგე ჯანდაბის გზას.

- ეგ კიდევ უკეთესია (ამ ყველაფერს იგივე ხმა ამბობდა)! დანარჩენები კვლავ დუმდნენ, მომჩერებოდნენ, მათვალიერებდნენ; მაგრამ ნელა-ნელა ოთახის სხვადასხვა კუთხიდან ხითხითი გაისმა - ჯერ ჩუმი, მერე კი მოურიდებელი, პირდაპირ სახეში შემომხითხითებდნენ. მარტო ვასინი და კრაფტი არ ხითხითებდნენ. შავქილვაშიანიც იღრიჭებოდა; მომჩერებოდა და მისმენდა.

- ბატონებო, - ერთიანად ვცახცახებდი, - ჩემს იდეას არაფრის გულისთვის არ გაგიმხელთ, მაგრამ თქვენ, პირიქით, თქვენივე თვალსაზრისიდან გამომდინარე გკითხავთ, - არ გეგონოთ, ჩემი თვალსაზრისიდან, რადგან იქნებ მე ათასჯერ ძლიერად მიყვარს კაცობრიობა, ვიდრე თქვენ ყველას, ერთად აღებულთ! მითხარით, - ახლა უკვე აუცილებლად უნდა მიპასუხოთ, მოვალე ხართ, მიპასუხოთ, რადგან იცინით, - მითხარით: რითი დამახარბებთ, რომ თქვენ გამოგყვეთ? რითი დამიმტკიცებთ, რომ თქვენთან უკეთესი იქნება? რას უზამთ თქვენს ყაზარმაში ჩემი პიროვნების პროტესტს? მე, ბატონებო, დიდი ხანია, თქვენთან შეხვედრა მსურდა! თქვენ გექნებათ ყაზარმები, საერთო ბინები stricte nécessaire (ყველაზე აუცილებელი რამ (ფრანგ.).), ათეიზმი და გეყოლებათ საზიარო ცოლები უშვილებოდ, - აი, თქვენი ფინალი, მე ხომ ვიცი! და ყოველივე ამისთვის, საშუალო სარფიანობის იმ პატარა ნაწილისთვის, რომლითაც უზრუნველმყოფს თქვენი გონივრულობა ლუკმაპურისა და სითბოს სანაცვლოდ, თქვენ მართმევთ მთელ ჩემს პიროვნებას! ნება მიბოძეთ, მოგახსენოთ: იქ მე ცოლს წამართმევენ; შეძლებთ თქვენ ჩემი პიროვნების დაშოშმინებას, რომ თავი არ გავუხეთქო მეტოქეს? თქვენ მეტყვით ალბათ, რომ მაშინ მეც გონიერი ვიქნები; მაგრამ რაღას იტყვის ასეთ გონიერ ქმარზე ცოლი, თუ ცოტათი მაინც სცემს პატივს საკუთარ თავს? ეს ხომ არაბუნებრივია; გრცხვენოდეთ!

- თქვენ ქალთა საკითხის სპეციალისტი ხართ? - კვლავ გაისმა იმ

არარაობის ნიშნის მომგები ხმა.

ერთი წუთით გამიელვა, მოდი ერთი, ვეცემი ამას და ცხვირ-პირს ამოვუნაყავ-მეთქი. ტანდაბალი, წითური და ჭორფლიანი კაცი იყო... თუმცა, ეშმაკსაც წაუღია მისი გარეგნობა.

- არხეინად ბრძანდებოდეთ, მე ჯერ კიდევ არაფერი მესმის ქალებ-ის, - მოვუჭერი სიტყვა და პირველად მივტრიალდი მისკენ.

- ფასდაუდებელი ცნობაა, ოღონდ შეგეძლოთ, უფრო ზრდილობი-ანად მოგეხსენებინათ, რაკი აქ მანდილოსნები არიან!

მაგრამ უცებ ყველა ერთიანად აწრიალდა; მოძებნეს თავთავიანთი ქუდები და წასვლა დააპირეს, - რა თქმა უნდა, ჩემ გამო არა, უფრო იმ-იტომ, რომ მათი წასვლის დრო იყო; მაგრამ ჩემდამი ამ მდუმარე დამ-ოკიდებულებამ სირცხვილით დამწვა. მეც წამოვიჭერი.

- მაინც ნება მიბოძეთ, ვიკითხო თქვენი გვარი, თქვენ სულ მე მომჩ-ერებოდით! - უსაძაგლესი ღიმილით გამოემართა ჩემკენ მასწავლებე-ლი.

- დოლგორუკი.

- თავადი დოლგორუკი?

- არა, უბრალოდ დოლგორუკი, ვაჟი ყოფილი ყმის, მაკარ დოლგო-რუკისა და უკანონო შვილი ჩემი ყოფილი ბატონის, ვერსილოვისა. ნუ წუხხართ, ბატონებო: ამას იმიტომ როდი მოგახსენებთ, რომ ახლავე გადამეხვიოთ და გულაჩუყებულნი ხბორებივით აბღავლდეთ!

უცებ ისეთმა ხმამაღალმა და ყოვლად მოურიდებელმა ხარხარმა იფეთქა, რომ კარს უკან მიძინებულ ბავშვს გაეღვიძა და აწივლდა. ბრაზისგან ერთნაირად ვცახცახებდი. ყველანი ხელს ართმევდნენ დერგაჩევს და გადიოდნენ, მე კი ზედაც არ მიყურებდნენ.

- წამოდით, - ხელი წამკრა კრაფტმა.

მივედი დერგაჩევთან, რაც ძალი და ღონე მქონდა, ხელი მოვუჭი-რე, და ასევე, რაც ძალი და ღონე მქონდა, რამდენჯერმე მაგრად ჩამო-ვართვი.

- ბოდიშს ვიხდი, კურდიმოვი (ის წითური კაცი) რომ გახელებდათ, - მითხრა დერგაჩევმა.

მე კრაფტს გავეკიდე... არაფრისაც არ მრცხვენოდა.

VI

რა თქმა უნდა, უსაზღვრო განსხვავებაა, ვინც ახლა ვარ და იმას შორის, ვინც მაშინ ვიყავი. ვაგრძელებდი „არაფრისაც არ მრცხვენიას“ და კიბეზე წამოვეწიე ვასინს, ჩამოვრჩი კრაფტს, როგორც მეორეხარისხოვან ვინმეს, და ყოვლად ბუნებრივი სახით, თითქოს არაფერი მომხდარიყოს, ვკითხე:

- თქვენ, მგონი, იცნობ მამაჩემს, ესე იგი, მე მინდოდა მეთქვა: ვერსილოვს?

- კაცმა რომ თქვას, პირადად არ ვიცნობ, - მაშინვე მომიგო ვასინმა (და ოდნავაც არ დასტყობია ის შეურაცხმყოფლად დახვეწილი ზრდილობა, რომელსაც იჩენენ ხოლმე თავაზიანი ადამიანები, როცა ელაპარაკებიან კაცს, ვინც ეს წუთია, თავი შეირცხვინა), - მაგრამ რამდენადმე ვიცნობ; შევხვედრივარ და მომისმენია.

- თუ მოგისმენთ, მაშ, ცხადია, იცნობთ კიდეც, რადგან თქვენ - თქვენ ხართ! რა აზრისა ხართ მასზე? მაპატიეთ, ასე სულწასულად რომ გეკითხებით, მაგრამ ჩემთვის ეს აუცილებელია. პირადად თქვენ რას ფიქრობთ, საკუთრივ თქვენი აზრია ჩემთვის მნიშვნელოვანი.

- ბევრს მთხოვთ. მე მგონია, რომ ამ კაცს შესწევს უნარი, ძალზე დიდი მოთხოვნები წაუყენოს თავის თავს და, იქნებ შეასრულოს კიდეც, - მაგრამ ანგარიშს კი არავის ჩააბარებს.

- ეს მართალია, სწორედ რომ მართალია - მეტად ამაყი ადამიანია! მაგრამ პატიოსანი კაცი თუა? მომისმინეთ, რას ფიქრობთ მის კეთილშობილებაზე? თუმცა დამავიწყდა, იქნებ არც იცოდეთ...

ასე აღელვებული რომ არ ვყოფილიყავი, ცხადია, არ მივაყრიდი ამგვარ კითხვებს, თანაც ასე ფუჭად კაცს, რომელთანაც არასოდეს მისაუბრია და რომლის შესახებაც მხოლოდ გამეგონა. მე ის მიკვირდა, ვასინი რომ ვერ ამჩნევდა ჩემს სიგიჟეს!

- რაღაც მაგდაგვარს მეც მოვკარი ყური, მაგრამ არ ვიცი, რამდენად მართალი უნდა იყოს, - კვლავინდებურად მშვიდად და წყნარად მიპასუხა.

- არაფერიც, ეგ მოუგონეს! ნუთუ გგონიათ, რომ მას შეუძლია, სწამდეს ღმერთი?

- ვერსილოვი ძალიან ამაყი ადამიანია, როგორც თქვენვე თქვით ახლა, ხოლო ბევრ მეტისმეტად ამაყ ადამიანს უყვარს, სწამდეს ღმერთი, მეტადრე ისეთს, ვინც ადამიანებს, ცოტა არ იყოს, ზიზღით უცქერის. მგონი, ბევრ ძლიერ ადამიანს აქვს რაღაცნაირი ბუნებრივი მოთხოვნილება - იპოვოს ვინმე ან რაიმე, რის წინაშეც ქედს მოიხრის. ძლიერ ადამიანს ხანდახან ძალიან უმძიმს საკუთარი სიძლიერის ატანა.

- მომისმინეთ, ეგ უთუოდ საშინლად მართალი უნდა იყოს! - წამოვიყვირე ისევ. - ოღონდ მინდოდა გამეგო...

- აქ მიზეზი ნათელია: ასეთი ადამიანები ამჯობინებენ ღმერთს, რათა ქედი არ მოუხარონ ადამიანებს, - ცხადია, თვითონაც არ უწყიან, როგორ ემართებათ ეს - ღვთის წინაშე ქედის მოხრა არც ისე შეურაცხმყოფელია. ასეთები ხშირად მეტისმეტად მორწმუნენი ხდებიან ხოლმე, - უფრო სწორად, გულმხურვალე მოსურნენი, რომ სწამდეთ; მაგრამ ეს სურვილი მათ თვითრწმენა ჰგონიათ. ასეთები კი ბოლოს განსაკუთრებით ხშირად ხდებიან გულგატეხილები. ბატონ ვერსილოვს, ვფიქრობ, აქვს ხასიათის მეტად გულწრფელი თვისებებიც და, საერთოდ, მან დამაინტერესა.

- ვასინ! - წამოვიყვირე. - თქვენ მახარებთ! ჭკუა კი არ მაოცებს თქვენი, მაოცებს ის, თუ როგორ შეგიძლიათ თქვენ, - ესოდენ უმწიკვლო და ჩემზე ესოდენ უსაზღვროდ მაღლა მდგომ ადამიანს, - მოაბიჯებდეთ ჩემ გვერდით და მელაპარაკებოდეთ ისე უბრალოდ და თავაზიანად, თითქოს არაფერი მომხდარაო!

ვასინმა გაიღიმა.

- მეტისმეტად მაქებთ, იქ გარჩევისას კი მხოლოდ ის მოხდა, რომ თქვენ ზედმეტად გყვარებიათ განყენებული ლაპარაკი. ალბათ მანამდე დიდხანს დუმდით.

- სამი წელიწადი ვდუმდი, სამი წელიწადი ვემზადებოდი სალაპარაკოდ... ცხადია, ბრიყვად არ მოგეჩვენებოდით, ვინაიდან თქვენ თვითონ მეტად ჭკვიანი ხართ, თუმცა ჩემზე ბრიყვულად მოქცევა წარმოუდგენელია, მაგრამ არამზადად კი მიმიჩნევდით!

- არამზადად?

- დიახ, ეჭვგარეშეა! მითხარით, გულის სიღრმეში არ გეზიზღებით იმის გამო, რომ ვთქვი, ვერსილოვის უკანონო შვილი ვარ-მეთქი?.. და თავი მოვიწონე შინაყმის შვილობით?

- მეტისმეტად იტანჯავთ თავს, თუ ფიქრობთ, რომ ცუდად თქვით, მაშინ საკმარისია, აღარ გაიმეოროთ; ორმოცდაათი წელი კიდევ წინ გაქვთ.

- ო, მე ვიცი, რომ ძალიან ჩუმად უნდა ვიყო ხალხში. კისერზე ჩამოკიდება ყველაზე საზიზღარი გარყვნილებაა; წეღან მათ ვუთხარი ეს, და აი, ახლა თქვენ გეკიდებით, მაგრამ ხომ არის განსხვავება, არა? თუ თქვენ მიხვდით ამ განსხვავებას, თუ შეგეძლოთ მიმხვდარიყავით, მაშინ დაილოცოს ეს წუთი!

ვასინმა ისევ გაიღიმა.

- შემოიარეთ ხოლმე ჩემთან, თუ მოგესურვებათ, - მითხრა მან. - ახლა სამუშაო მაქვს და მოუცლელი ვარ, მაგრამ მასიამოვნებთ, თუ შემოივლით.

- თქვენი ფიზიონომიის მიხედვით წეღან დავასკვენი, რომ ზედმეტად მტკიცე ხასიათის ხართ და გულჩათხრობილი.

- ეგ იქნებ ძალიანაც სწორი იყოს. მე ვიცნობდი თქვენს დას, ლიზავეტა მაკაროვნას, შარშან, ლუგაში... აგერ, კრაფტი შეჩერდა და მგონი, გელოდებათ; იქ უნდა შეუხვიოს.

მაგრად ჩამოვართვი ხელი ვასინს და მივირბინე კრაფტთან, რომელიც, ვიდრე მე ვასინს ველაპარაკებოდი, წინ მიდიოდა. უსიტყვოდ მივედით მის ბინაში; ჯერ არ მინდოდა და არც შემეძლო მასთან საუბარი. კრაფტის ხასიათის ერთი უძლიერესი თვისება სათუთი გულისხმიერება იყო.

თავი მეოთხე - I

კრაფტი ადრე სადღაც მსახურობდა, თან შველოდა განსვენებულ ანდრონიკოვს (მისგან საზღაურის აღებით) ზოგიერთი კერძო საქმის წარმოებაში, რაც ამ უკანასკნელს სამსახურის გარეშეც გამოულევად ჰქონდა ხოლმე. ჩემთვის იმასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ კრაფტს, ანდრონიკოვთან განსაკუთრებული სიახლოვის გამო, შეეძლო, ბევრი რამ სცოდნოდა იმ საქმისა, რაც მე ასე მაინტერესებდა. მაგრამ მარია ივანოვნასგან, ნიკოლაი სემიონოვიჩის ცოლისგან, რომელთანაც იმდენი წელიწადი ვიცხოვრე გიმნაზიაში ყოფნის დროს და რომელიც ანდრონიკოვის აღზრდილი და გამორჩევით საყვარელი ღვიძლი დისწული იყო, ვიცოდი, რომ კრაფტს „დავალებულიც კი აქვს“, გადმომცეს რაღაც. უკვე ერთი თვე იყო, რაც ამას ველოდი.

კრაფტი პატარა, ოროთახიან ბინაში ცხოვრობდა, სავსებით განცალკევებით, ხოლო იმჟამად, რაკი ახალი ჩამოსული იყო, მსახურიც კი არ ჰყავდა. ჩემოდანი თუმცა გახსნილი იყო, მაგრამ არ ამოელაგებინა, ყველაფერი სკამზე ეყარა. ხოლო დივნის წინ მრგვალ მაგიდაზე ეწყო: საკვოიაჟი, სამგზავრო კოლოფი, რევოლვერი და სხვა; რომ შევედით, კრაფტი მეტად ჩაფიქრებული იყო, თითქოს სულ გადავავიწყდი. იქნებ არც კი შეუმჩნევია, რომ მთელი გზა ხმა არ გამიცია. იგი მაშინვე რაღაცის ძებნას შეუდგა, მაგრამ თვალი შეავლო თუ არა თავის თავს სარკეში, შეჩერდა და მთელი ერთი წუთი ჩაციებით აკვირდებოდა თავის სახეს. თუმცა შევამჩნიე ეს (მერე კი ყველაფერი ზედმეტადაც მომაგონდა), მაგრამ ნაღვლიანი ვიყავი და ძალიან დარცხვენილი. ზალა არ მქონდა, ყურადღება მომეკრიბა. წამით მომინდა, ავმდგარიყავი, გავცლოდი და საქმისთვისაც სამუდამოდ დამენებებინა თავი. ანდა, კაცმა რომ თქვას, ისეთი რა საქმე მქონდა? განა ძალად არ გავიჩინე საზრუნავი? სასოწარკვეთილება მიპყრობდა, - იქნებ მარტოოდენ გრძნობიერების გამო ვხარჯავ ჩემს ენერგიას რაღაც უღირსი წვრილმანებისთვის მაშინ, როცა წინ ესოდენ ენერგიული ამოცანა მელოდებამეთქი. ამავ დროს, იმის მიხედვით, რაც დერგაჩევისას შემემთხვა, თითქოს აშკარა გახდა, რომ არ შემწევდა სერიოზული საქმის შნო და უნარი.

- კრაფტ, თქვენ კიდევ წახვალთ მათთან? - შევეკითხე უცებ. კრაფტი ნელა მობრუნდა ჩემკენ, თითქოს ხეირიანად ვერ გამიგოო. მე სკამზე დავჯექი.

- აპატიეთ მათ! - მითხრა უცებ კრაფტმა.

ცხადია, მომეჩვენა, დამცინის-მეთქი; მაგრამ დაკვირვებით რომ შევხედე, მის სახეზე ისეთი უცნაური და, ასე განსაჯეთ, გასაოცარი ალ-ალმართლობა დავინახე, რომ თვითონაც გავოცდი, ასე სერიოზულად როგორ მთხოვა, „აპატიეთო“. მან სკამი გამოსწია და ახლოს დამიჯდა.

- თავადაც ვიცი, რომ თავმოყვარეობათა მთელი დომხალი ვარ და სხვა არაფერი, - დავიწყე, - მაგრამ მიტევებას არ ვითხოვ.

- არც არავისთან გაქვთ სათხოვარი, - წარმოთქვა მან ჩუმად და სე-რიოზულად. ჩუმად და ძალიან ნელა ლაპარაკობდა.

- დაე, დამნაშავე ვიყო საკუთარ თავთან... მიყვარს, როცა ჩემს თა-ვთან დამნაშავე ვარ ხოლმე... კრაფტ, მომიტევეთ, რომ თქვენთან ვტ-ყუი. მითხარით, ნუთუ თქვენც იმ წრეში ხართ? აი, რისი კითხვა მინდო-და.

- ისინი არც სხვებზე სულელები არიან და არც ჭკვიანები; შეშლი-ლები არიან, როგორც ყველანი.

- განა ყველანი შეშლილები არიან? - მივუბრუნდი უნებური ცნობის-მოყვარეობით.

- აჰ, საუკეთესონი კაცთა შორის - ყველანი შეშლილები არიან. მარტოოდენ საშუალონი და უნიჭონი არიან მოლხენილნი... თუმცა აღარაფერს აღარა აქვს ფასი.

ამას რომ ამბობდა, სადღაც ჰაერში იცქირებოდა, იწყებდა წინად-ადებას და არ ამთავრებდა. განსაკუთრებით თავზარდამცემი იყო რა-ღაცნაირი სასოწარკვეთილება, მის ხმაში რომ გამოსჭვიოდა.

- ნუთუ ვასინიც მათთანაა? ვასინს ჭკუა აქვს, ვასინს ზნეობრივი იდ-ეა აქვს! - წამოვიძახე მე.

- სადღაა ახლა ზნეობრივი იდეები; უცებ აღმოჩნდა, რომ არც ერთი ზნეობრივი იდეა აღარაა, და, რაც მთავარია, ეს იმგვარად მოხდა, თი-თქოს არც არასოდეს ყოფილა ეს იდეები.

- წინათ არ იყო?

- სჯობს, თავი დავანებოთ ამას, - აშკარად დაქანცულმა წარმოთქვა.

გულზე მომხვდა მისი მწარე სერიოზულობა. ჩემი ეგოიზმის შემრცხვა და მეც მისნაირი ტონი დავიჭირე.

- ახლანდელი დრო, - წამოიწყო ორიოდე წუთის დუმილის შემდეგ, თან კვლავ სადღაც ჰაერში იცქირებოდა, - ახლანდელი დრო, ესაა დრო ოქროს შუალედისა და უგრძნობლობისა; უმეცრებისკენ, სიზანტისკენ სწრაფვის დრო; საქმის გაკეთების შნო აღარავის აქვს, ყველა მზამზარეულს მოითხოვს. არავინ არაფერს უფიქრდება; იშვიათად, ვინმემ რაიმე იდეა შეიქმნას.

ისევ შეწყვიტა და მცირე ხანს გაჩუმდა; მე ყურს ვუგდებდი.

- ახლა რუსეთში ტყეებს აჩანაგებენ, ნიადაგს ფიტავენ, ტრამალად აქცევენ და ყალმუხებისთვის ამზადებენ. რომ გამოჩნდეს ვინმე იმედიანი კაცი და ხე დარგოს - ყველა სიცილს დააყრის: განა შენ მაგას მოესწრებიო? მეორე მხრივ კი, სიკეთის მოსურნენი მსჯელობენ იმაზე, თუ რა იქნება ათასი წლის მერე. შემადუღაბებელი იდეა სულ დაიკარგა. კაცს ეგონება, ყველანი სასტუმრო-ბაკებში ცხოვრობენ და ხვალ რუსეთის დატოვებას აპირებენო; ყველანი „მე რა მენაღვლებასავით“ ცხოვრობენ...

- მოითმინეთ, კრაფტ, თქვენ ბრძანეთ: „იმას დარდობენ, ათასი წლის მერე რა იქნებაო“. მაგრამ თქვენი სასოწარკვეთილება... რუსეთის ხვედრის გამო... განა ეგეც იმგვარივე დარდი არ არის?

- ეს... ეს ყველაზე არსებითი საკითხია ყველა საკითხთა შორის! - გულფიცხად თქვა მან და სწრაფად წამოდგა.

- მართლა! კინაღამ დამავიწყდა! - თქვა უცებ სულ სხვა ხმით, თან გაოგნებული მომაჩერდა. - საქმისთვის წამოგიყვანეთ და მე კი... ღვთის გულისთვის, მაპატიეთ.

კრაფტი ერთბაშად თითქოს რაღაც სიზმრიდან გამოერკვა, თითქმის დაირცხვინა; მაგიდაზე დადებული პორტფელიდან ამოიღო წერილი და მომაწოდა.

- აი, რა მაქვს თქვენთვის გადმოსაცემი. ეს გარკვეული მნიშვნელობის საბუთი გახლავთ, - დაიწყო მან ყურადღებით და ყოვლად საქმ-

იანი სახით.

დიდი დროის გასვლის შემდეგ, როცა იმ დღეს ვიხსენებდი, მაკვირვებდა, თუ რა გულისხმიერი ყურადღებით მოეკიდა სხვის საქმეს, რა მშვიდად და ბეჯითად მიამბო ყველაფერი. ვფიქრობდი (მისთვის ისეთ რთულ მომენტში), რამ შეაძლებინა-მეთქი.

- ეს გახლავთ წერილი სწორედ იმ სტოლბეევისა, რომლის სიკვდილის შემდეგაც შეიქმნა ვერსილოვისა და თავად სკოლსკების დავა მისი ანდერძის გამო. ეს საქმე ახლა სასამართლოშია და უთუოდ ვერსილოვის სასარგებლოდ გადაწყდება; კანონი მის მხარესაა. ამასთან, ამ კერძო წერილში, რომელიც ორი წლის წინაა დაწერილი, ანდერძის დამწერი თავად გამოთქვამს თავის ნებას, ან უკეთ - სურვილს, და უფრო მეტად თავადების სასარგებლოდ გამოთქვამს, ვიდრე ვერსილოვისა. ყოველ შემთხვევაში, იმ პუნქტებს, რომელზედაც თავადი სოკოლსკები ამყარებენ იმედებს ანდერძის თაობაზე დავაში, ძლიერ გაამაგრებდა ეს წერილი. ვერსილოვის მოწინააღმდეგენი არაფერს დაიშურებდნენ ამ საბუთისთვის, თუმცა გადამწყვეტი იურიდიული მნიშვნელობა არა აქვს. ალექსი ნიკანოროვიჩი (ანდრონიკოვი), რომელიც ვერსილოვის საქმეს აწარმოებდა, თვითონ ინახავდა ამ წერილს და სიკვდილის წინა ხანებში გადმომცა, „მოუფრთხილდიო“, - იქნებ გრძნობდა სიკვდილის მოახლოებას და ეშინოდა, ჩემი ქაღალდები არ დაიკარგოსო. ამ შემთხვევაში არ მსურს, განვსაჯო ალექსეი ნიკანოროვიჩის განზრახვანი, და, გამოგიტყდებით, მისი გარდაცვალების მერე, ცოტა არ იყოს, მძიმე დღეში აღმოვჩნდი, ამ საბუთს რა ვუყო-მეთქი? მეტადრე იმის გამო, რომ დღე-დღეზე უნდა გადაწყდეს ეს საქმე სასამართლოში. მაგრამ მარია ივანოვნამ, რომელსაც, მგონია, ალექსეი ნიკანოროვიჩი ძალიან ბევრ რამეს უზიარებდა ხოლმე თავის სიცოცხლეში, გამომიყვანა ამ გაჭირვებიდან: ამ სამი კვირის წინათ დაბეჯითებით მომწერა, რომ ეს საბუთი სახელდობრ თქვენთვის გადმომეცა, და რომ, მგონი (მისი გამოთქმაა), ასეთივე იქნებოდა ანდრონიკოვის ნებაც. მაშ, ასე, აი, საბუთი, და მოხარული ვარ, რომ ბოლოს და ბოლოს შემიძლია გადმოგცეთ.

- გამიგონეთ, - ვუთხარი ამ მოულოდნელი ამბით გაოგნებულმა, - რა უნდა ვუყო ახლა ამ წერილს? როგორ მოვიქცე?

- ეგ უკვე თქვენი ნებაა.

- შეუძლებელია. თქვენ თვითონ დამეთანხმებით, რომ მე საშინლ-

ად შებოჭილი ვარ! ვერსილოვი ისე მოელოდა ამ მემკვიდრეობას... და, იცით, ის დაიღუპება, თუ ეს დახმარება არაა, - აქ კი უცებ აღმოჩნდა ასეთი საბუთი!

- ეგ საბუთი მხოლოდ აქ, ამ ოთახში არსებობს.

- ნუთუ ასეა? - დაკვირვებით შევხედე.

- თუ ამ შემთხვევაში თქვენ ვერ მოგიფიქრებიათ, როგორ მოიქცეთ, მე აბა, რა უნდა გირჩიოთ?

- მაგრამ არც ის შემიძლია, რომ თავად სოკოლსკის გადავცე: ამით ყოველგვარ იმედს ჩავუკლავ ვერსილოვს და, გარდა ამისა, მის თვალში მოღალატეც გამოვჩნდები... მეორე მხრივ, თუ ვერსილოვს გადავცემ, სიღატაკეში ჩავაგდებ უდანაშაულო ადამიანებს, ხოლო ვერსილოვს მაინც გამოუვალ მდგომარეობაში ჩავაყენებ: მან ან უარი უნდა თქვას მემკვიდრეობაზე, ან ქურდი გახდეს.

- თქვენ მეტისმეტად აზვიადებთ საქმის მნიშვნელობას.

- ერთი რამ მითხარით: ამ საბუთს თუ აქვს გადამწყვეტი, საბოლოო მნიშვნელობა?

- არა, არა აქვს. მე ცოტათი იურისტი ვარ. მოწინააღმდეგე მხარის ვექილს, ცხადია, ეცოდინებოდა, როგორ გამოეყენებინა ეს დოკუმენტი, და ყველანაირ სარგებელს გამოწურავდა მისგან, მაგრამ ალექსი ნიკანოროვიჩი დაბეჯითებით ფიქრობდა, რომ ამ წერილს - კიდეც რომ წარადგინოთ, - არ ექნება დიდი იურიდიული მნიშვნელობა. ასე რომ, ვერსილოვს მაინც შეუძლია საქმის მოგება. ეს დოკუმენტი უფრო, ასე ვთქვათ, სინდისის საქმეა...

- სწორედ ეგაა ყველაზე მნიშვნელოვანი, - შევაწყვეტინე. - სწორედ ამიტომ ჩავარდება ვერსილოვი გამოუვალ მდგომარეობაში.

- მაგრამ მას შეუძლია მოსპოს დოკუმენტი და მაშინ, პირიქით, თავიდან აიშორებს ყოველგვარ საფრთხეს.

- თქვენ გაქვთ რაიმე განსაკუთრებული საფუძველი, რომ ასეთი აზრისა იყოთ ვერსილოვზე, კრაფტ? აი, რა მინდა ვიცოდე: ამიტომაც ვარ თქვენთან!

- მე ვფიქრობ, მის ადგილას ყველა ასე მოიქცეოდა.

- თქვენც ასე მოიქცეოდით?

- მე არ ვიღებ მემკვიდრეობას და ამიტომ ჩემ შესახებ ვერაფერს ვიტყვი.

- კეთილი, - ვუთხარი და წერილი ჯიბეში ჩავიდე. - ეს საქმე ჯერჯერობით დამთავრებულია. კრაფტ, გამიგონეთ! მარია ივანოვნამ, რომელმაც, გარწმუნებთ, ბევრი რამ გამიმხილა, მაუწყა, რომ მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ სრული ჭეშმარიტება მითხრათ, თუ რა შეემთხვა ამ წლინახევრის წინ ემსში ვერსილოვს ახმაკოვებთან. ისე გელოდით, ვით მზეს, რომელიც ყველაფერს შუქს მოჰფენს. თქვენ არ იცით, კრაფტ, რა დღეში ვარ. გემუდარებით, სრული სიმართლე მითხარით. მე მხოლოდ ის მინდა ვიცოდე, თუ რა კაცია იგი. ახლა - ახლა უფრო მეტად მესაჭიროება ეს, ვიდრე ოდესმე!

- გაოცებას ვარ, რატომ თვითონ მარია ივანოვნამ არ გიამბოთ ყველაფერი? მას შეეძლო, ყველაფერი შეეტყო განსვენებული ანდრონიკოვისგან და, ცხადია, შეიტყო კიდეც, იქნებ ჩემზე მეტიც იცის.

- როგორც მარია ივანოვნა ამბობს, ანდრონიკოვი თვითონ იბნეოდა ამ ამბავში. ეს საქმე, მგონი, ვერავინ გახსნა. აქ ეშმაკიც კი წაიტეხს ფეხს! მე კი ვიცი, რომ იმ დროს თქვენ თვითონ იყავით ემსში...

- ყველაფერს ვერ ჩავუსწარი, მაგრამ რაც ვიცი, სიამოვნებით გიამბობთ; ოღონდ დაგაკმაყოფილებთ კია ჩემი ნაამბობი?

II

სიტყვასიტყვით არ მოვიყვან მის ნაამბობს, მოკლედ გადმოგცემთ მთავარს.

წლინახევრის წინ ვერსილოვმა, რომელიც მოხუცი თავადი სოკოლსკის მეოხებით ახმაკოვების ოჯახის მეგობარი შეიქნა (მაშინ ყველანი საზღვარგარეთ იყვნენ ემსში), ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა, ჯერ ერთი, თვით ახმაკოვზე, გენერალზე, რომელსაც ჯერ არ ეთქმოდა ბებერი, მაგრამ სამი წლის ცოლქმრობის მანძილზე მთლიანად წაეგო ბანქოში თავისი ცოლის, კატერინა ნიკოლავნას მდიდარი მზითევი და აღვირახსნილი ცხოვრების გამო დამბლაც კი დასცემოდა. ახმაკოვი ამ დამბლამ გონს მოიყვანა და ჯანმრთელობას საზღვარგარეთ აღიდგენდა, ხოლო ემსში თავისი ქალიშვილის გულისთვის ცხოვრობდა, რომელიც პირველ ქორწინებიდან ჰყავდა. ეს გახლდათ ჩვიდმეტი წლის სუსტი, ჭლექიანი ქალიშვილი, თურმე საუცხოო სილამაზისა და, ამასთან, ფანტასტიკური ვინმე ყოფილა. მზითევი არ გააჩნდა; ჩვეულებისამებრ, მოხუცი თავადის იმედით იყვნენ. ამბობენ, კატერინა ნიკოლავნა კეთილი დედინაცვალი იყოო, მაგრამ ქალიშვილი რატომღაც განსაკუთრებით ვერსილოვს შეთვისებია. ვერსილოვი მაშინ „რაღაც მგზნებარეს“ ქადაგებდა, კრაფტის თქმით, რაღაც ახალ ცხოვრებას. „რელიგიურ გუნებაზე იყო, ამ სიტყვის უმაღლესი გაგებით“ - ანდრონიკოვის უცნაური, ან იქნება, დამცინავი გამოთქმით. მაგრამ აღსანიშნავია, რომ ვერსილოვი ყველამ მალე აითვალისწუნა. გენერალს ეშინოდა კიდეც მისი; კრაფტი სულაც არ უარყოფს იმ ხმებს, რომ ვერსილოვმა შთააგონა ავადმყოფ ქმარს, თითქოს კატერინა ნიკოლავნას გული შევარდნოდა ახალგაზრდა თავად სოკოლსკიზე (რომელიც მაშინ ემსიდან პარიზს გაემგზავრა). და ეს ჩაიდინა არა პირდაპირ, არამედ „თავისი ჩვეული“ დასმენით, მინიშნებით და ათასნაირი მიხვეულ-მოხვეული გზით, „რისი დიდი ოსტატიც გახლავთ“, - თქვა კრაფტმა. საერთოდ კი, კრაფტი მას უფრო გაიძვერა და დაბადებიდანვე ინტრიგანად მიიჩნევდა, ვიდრე უმაღლესი ან თუნდაც რაიმე ორიგინალური თვისებებით გამსჭვალულ ადამიანად. მე კი კრაფტის გარეშეც ვიცოდი, რომ ვერსილოვს თავდაპირველად მეტად დიდი გავლენა ჰქონდა კატერინა ნიკოლავნაზე, მერე კი, თანდათანობით, საქმე განხეთქილებამდე მივიდა. ახლა ვერც კრაფტისგან შევიტყვე, თუ რაში მდგომარეობდა მთელი ეს თამაში, ოღონდ ყველა კი ადასტურებდა

იმ სიძულვილს, რაც აღმოცენდა ამ ორ ადამიანს შორის მათი მეგობრობის მერე. შემდეგ ერთი უცნაური ამბავი მოხდა: როგორც ჩანს, კატერინა ნიკოლავნას ავადმყოფ გერს შეჰყვარებოდა ვერსილოვი, ამ უკანასკნელს რაღაცით ძალზე დიდი შთაბეჭდილება მოეხდინა თუ აღეფრთოვანებინა იგი, ან შეიძლება მე არაფერი ვიცი ამისა; ოღონდ ცნობილია, რომ ვერსილოვი ერთხანს თითქმის მთელ დროს ქალიშვილთან ატარებდა. ეს ამბავი იმით დასრულდა, რომ ქალიშვილმა უეცრად გამოუცხადა მამას, ვერსილოვს უნდა წავყვე ცოლადო. რომ ეს ნამდვილად ასე იყო - ამას ადასტურებს ყველა, კრაფტიც, ანდრონიკოვიც, მარია ივანოვნაც და ერთხელ ტატიანა პავლოვნასაც კი წამოსცდა ჩემთან. იმასაც ამტკიცებენ, ვერსილოვს არამცთუ სურდა, არამედ დაჩემებულიც ჰქონდა ქალიშვილთან დაქორწინება, და ამ ორი უთანასწორო არსების, - ხანდაზმულისა და ყმაწვილის - შეთანხმება ორმხრივი იყოო. მამას ამ აზრმა თავზარი დასცა; რაკი კატერინა ნიკოლავნა შეიძულა, რომელიც მანამდე თავს ერჩივნა, ახლა თავის ქალიშვილს აღმერთებდა, მეტადრე მას მერე, რაც დამბლა დაეცა. მაგრამ ყველაზე მეტად გააფთრებული, წინააღმდეგი ამ შესაძლო ქორწინებისა თვით კატერინა ნიკოლავნა გახლდათ. მოხდა უამრავი მეტად საიდუმლო, მეტად უსიამოვნო შეხლა-შემოხლა, დავა, შეურაცხყოფა - ერთი სიტყვით, ათასი სისაძაგლე. ბოლოს მამა მზად იყო დათანხმებულიყო, რაკი ხედავდა შეყვარებული და ვერსილოვის მიერ „გაფანატიკოსებული“ ქალიშვილის სიჯიუტეს, მაგრამ კატერინა ნიკოლავნა კვლავინდებური დაუნდობელი სიძულვილით აღუდგა წინ ამ ამბავს, და აი, აქ იწყება ის დომხალი, რომლისაც ვერავის ვერაფერი გაუგია. თუმცა, აი, პირდაპირი ვარაუდი კრაფტისა, დაფუძნებული მონაცემებზე, მაგრამ მაინც მხოლოდ ვარაუდი:

ვერსილოვმა მოახერხა თავისებურად, დახვეწილად და მომაჯადოებლად ჩაეგონებინა ყმაწვილი ქალისთვის, ვითომ კატერინა ნიკოლავნა იმიტომ არ თანხმდება, რომ მას თვითონ უყვარს ვერსილოვი და უკვე რახანია, სული ამოართვა ეჭვიანობით, მოსვენებას არ აძლევს, ათას ხრიკს მიმართავს, უკვე გამოუტყდა კიდეც, და ახლა ცეცხლში დასაწვავად არ დაზოგავს ვერსილოვს, რაკი მან სხვა ქალი შეიყვარა; მოკლედ, რაღაც ამდაგვარი. ყველაზე ცუდი აქ ის იყო, რომ ვერსილოვმა თითქოს „სიტყვა გადაუკრა“ ამაზე მამასაც, „მოღალატე“ ცოლის ქმარს, თან აუხსნა, თავადი სოკოლსკი მხოლოდ თავშესაქცევად უნდოდაო. ცხადია, ოჯახში ჯოჯოხეთი შეიქნა. სხვა ვარიანტების მიხედვით, კატერინა ნიკოლავნას საშინლად უყვარდა თავისი გერი და ახლა, როცა მის თვალში ჩირქი მოსცხეს, სასოწარკვეთილებამ შეიპყრო,

რომ აღარაფერი ვთქვათ ავადმყოფი ქმრისადმი მის დამოკიდებულებაზე. მაგრამ ამ ვარიანტის გვერდით არსებობს სხვა ვარიანტიც, რომლისაც, ჩემდა სამწუხაროდ, სავსებით სჯეროდა კრაფტს და მჯეროდა მეც (ყოველივე ეს ყურმოკვრით უკვე ვიცოდი). ამტკიცებდნენ (ამბობენ, ანდრონიკოვს თვით კატერინა ნიკოლავნასგან გაუგონიაო), რომ, პირიქით, ვერსილოვმა ჯერ მანამდე, ესე იგი, ვიდრე ყმაწვილ ქალს გრძნობა აღეძვრებოდა, თავისი სიყვარული კატერინა ნიკოლავნას შესთავაზა; რომ ქალმა, რომელიც მეგობრობდა ვერსილოვთან და ერთხანს აღტაცებითაც კი ეპყრობოდა, თუმცა არასოდეს სჯეროდა მისი და მუდამ საწინააღმდეგოს ეუბნებოდა, ეს ტრფიალება მეტისმეტი მძულვარებით მიიღო და მწარედაც დასცინა. შინიდან კი იმისთვის დაითხოვა, რომ ვერსილოვმა პირდაპირ შესთავაზა, ცოლად გამომყევი, რადგან შენს ქმარს, სულერთია, დიდი დღე აღარა აქვს, საცაა, გაუმეორდება დამბლაო. ამრიგად, კატერინა ნიკოლავნას განსაკუთრებით უნდა შესძულებოდა ვერსილოვი, როცა მოგვიანებით შეიტყო, რომ იგი ასე დაუფარავად თხოულობდა ამჯერად უკვე მისი გერის ხელს. მარია ივანოვნას, ყოველივე ამას რომ მიამბობდა მოსკოვში, ორივე ვარიანტი სჯეროდა, ესე იგი - ყველაფერი ერთად: მარწმუნებდა კიდეც, ყოველივე ეს შეიძლებოდა ერთად მომხდარიყოო, რომ ეს იყო რაღაც la haine dans l'amour, მიჯნურის შელახული თავმოყვარეობაო და ა.შ. და ა.შ.; ერთი სიტყვით, მოჩმახა რაღაც უნატიფესად რომანტიკული, თან სულმდაბლობაშერეული რამ, რაც არ ეკადრება არც ერთ სერიოზულ და გონიერ ადამიანს. მაგრამ მარია ივანოვნას ბავშვობიდან თვითონაც თავი ჰქონდა გამოტენილი რომანებით და დღედაღამ მათ კითხვაში იყო, თუმცა საუცხოო ხასიათის ადამიანი გახლდათ. საბოლოოდ კი იკვეთებოდა ვერსილოვის აშკარა სულმდაბლობა, სიცრუე და ინტრიგა, რაღაცა ბნელი და ბილწი, მით უფრო, რომ ეს ამბავი მართლაც ტრაგიკულად დასრულდა: ამბობენ, საცოდავმა აღგზნებულმა ქალიშვილმა ფოსფორის ასანთებით მოიწამლა თავიო, თუმცა, კაცმა რომ თქვას, დღესაც არ ვიცი, მართალია თუ არა ეს უკანასკნელი ჭორი; ერთი კია, რომ ყველანაირად შეეცადნენ ამ ჭორის მიფუჩეჩებას. ქალიშვილმა ორიოდე კვირა იავადმყოფა და სული განუტევა. ამგვარად, ასანთის ამბავი ჯერ კიდევ საეჭვოდ დარჩა. მაგრამ კრაფტს ესეც დაბეჯითებით სჯეროდა. მალე ქალის მამაც მიიცვალა; ამბობენ, დარდისგან დამბლა მეორედ დაეცაო, თუმცა კი მხოლოდ სამი თვის მერე. ქალიშვილის დაკრძალვის შემდეგ ახალგაზრდა თავადი სოკოლსკი პარიზიდან ემსს დაბრუნდა. ბაღში საჯაროდ სილა გააწნა ვერსილოვს, მან კი დუელში არ გამოიწვია; პირიქით, მეორე დღესვე გამოცხადდა პრომენადზე (გასეირნება ქალაქში (ფრანგ. - promenade).), ვითომ აქ

არაფერიაო. აი, აქ კი ყველამ ზურგი შეაქცია. ასევე მოექცნენ პეტერბურგშიც. ვერსილოვმა თუმცა შეინარჩუნა ზოგი ნაცნობობა, მაგრამ უკვე სულ სხვა წრეში. მაღალი წრის ნაცნობები ამტყუნებდნენ მას, თუმცა ცოტა ვინმემ თუ იცოდა ეს საქმე დაწვრილებით; მხოლოდ ყმაწვილი ქალის რომანტიკული სიკვდილისა და სილის თაობაზე იცოდნენ რაღაც. შედარებით სრული ცნობები ორ-სამ პირს თუ ჰქონდა; ყველაზე მეტი იცოდა განსვენებულმა ანდრონიკოვმა, რომელსაც ადრევე ჰქონდა საქმიანი ურთიერთობა ახმაკოვებთან, მეტადრე კი კატერინა ნიკოლავნასთან ერთი შემთხვევის გამო. მაგრამ ამ საიდუმლოს ის თავის ოჯახსაც კი უმალავდა, და მხოლოდ ზოგი რამ გაუმხილა კრაფტსა და მარია ივანოვნას, ისიც იმიტომ, რომ სხვა გზა არ იყო.

- მთავარი ისაა, რომ ახლა არსებობს ერთი დოკუმენტი, - დაასრულა კრაფტმა, - რომლისაც ძლიერ ეშინია ქალბატონ ახმაკოვას.

და აი, რა მიამბო ამის შესახებაც.

კატერინა ნიკოლავნა წინდაუხედავად მოიქცა მაშინ, როცა მოხუცი თავადი, მამამისი, საზღვარგარეთ უკეთ შეიქნა იმ შეტევის მერე. ქალმა ანდრონიკოვს მეტად საიდუმლოდ (კატერინა ნიკოლავნა სავსებით ენდობოდა მას) ერთი ფრიად სახელის გამტეხი წერილი მისწერა. იმხანად თავადმა, რომელმაც პირი სააქიოსკენ ქნა, მართლაც საოცრად დაიწყო ფულის ხარჯვა და თითქმის განიავებაც: საზღვარგარეთ ყიდულობდა სრულიად გამოუსადეგარ, მაგრამ ძვირფას ნივთებს, სურათებს, ლარნაკებს; საჩუქრად ან ღმერთმა უწყის, რა საქმისთვის, შესაწირის სახით არიგებდა კარგა დიდ თანხას - ასე განსაჯეთ, აქაურ სხვადასხვა დაწესებულებასაც კი შესწირა ფული; ვიღაც რუსს, მაღალი წრის ბედოვლათს, კინაღამ აუარება ფული მისცა ერთ გაპარტახებულ და ათასნაირად სადავო მამულში, რომელიც თვალითაც არ ენახა. დასასრულ, მგონი, მართლაც დაიწყო ოცნება ცოლის შერთვაზე. და აი, ყოველივე ამის გამო, კატერინა ნიკოლავნა, რომელიც მამას არ შორდებოდა ავადმყოფობის დროს, წერილით დაეკითხა ანდრონიკოვს, როგორც იურისტს და ძველ მეგობარს: „ კანონის ძალით, შესაძლებელია თუ არა, გამოვაცხადოთ თავადი სამეურვეო ან უნარამოკლებულისმაგვარ მდგომარეობაში; ხოლო თუ შესაძლებელია, როგორ სჯობს მოხდეს ეს სკანდალის გარეშე, რათა ვერც ვერავინ გაგვკიცხოს და თან მამაჩემის გრძნობებიც დავინდოთ და ა.შ. და ა.შ.“ ამბობენ, ანდრონიკოვმა მაშინვე შეაგონა, არ გირჩევთ ამ საქმესო, და დააჯერა კიდეც; შემდეგ ხომ, როცა თავადი სავსებით გამოკეთდა, აღარც შეიძლებოდა, ამ იდეას დაბრუნებოდნენ; მაგრამ წერილი ანდრონიკოვს

დარჩა. და აი, ანდრონიკოვი კვდება; კატერინა ნიკოლავნას მაშინვე გაახსენდა წერილი: განსვენებულის ქაღალდებში რომ აღმოჩენილიყო ის წერილი და ხელთ ჩავარდნოდა მოხუც თავადს, მაშინ, ეჭვი არ არის, სამუდამოდ გააძევებდა თავის ქალიშვილს, წაართმევდა მემკვიდრეობას და თავის სიცოცხლეში ერთ გროშსაც არ აღირსებდა. იმაზე ფიქრი, ღვიძლ ქალიშვილსაც არა სწამს ჩემი და გიჟად გამოცხადებასაც მიპირებდაო, ამ კრავს მხეცად გადააქცევდა. კატერინა ნიკოლავნა კი, ბანქოს მოთამაშე ქმრის წყალობით, დაქვრივების მერე უსახსროდ დარჩა და მამის იმედითღა იყო; გულდაჯერებით სწამდა, მამაჩემი ახალ მზითვებს მომცემს და პირველზე ნაკლები არ იქნებაო.

კრაფტმა ამ წერილის შემდგომ ასავალ-დასავალზე ძალიან ცოტა რამ იცოდა, მაგრამ აღნიშნა, ანდრონიკოვი „არასოდეს არ ხევდა საჭირო ქაღალდებსო“, გარდა ამისა, თუმცა, „დიდი გონების კაცი იყო, მაგრამ ამავ დროს დიდი სინდისისაცო“ (მაშინ გამაოცა კიდეც იმან, რომ ასეთი უკიდურესად დამოუკიდებელი აზრის იყო კრაფტი, რომელსაც ესოდენ შეჰყვარებოდა ანდრონიკოვი და პატივს სცემდა). მაგრამ კრაფტს მაინც სჯეროდა, რომ ეს თავისმომჭრელი დოკუმენტი ვერსილოვის ხელთ იყო, რადგან ვერსილოვი ხომ ანდრონიკოვის ქვრივთან და ქალიშვილებთან იყო დაახლოებული: უკვე ცნობილი გახდა, რომ მათ მაშინვე და თავაზიანად გადმოულაგეს მას, რაც კი ქაღალდები დარჩა განსვენებულს. კრაფტმა ისიც იცოდა, რომ კატერინა ნიკოლავნას შეუტყვია, წერილი ვერსილოვს აქვსო და სწორედ ამის ეშინია, რადგან ფიქრობს, ვერსილოვი მაშინვე მიურბენინებს ამ წერილს მოხუც თავადს, როგორც კი საზღვარგარეთიდან დაბრუნდებაო. ქალმა ამ წერილის ძებნა პეტერბურგში დაიწყო, ინახულა ანდრონიკოვები და ახლაც ეძებს, რადგან მაინც არ დაუკარგავს იმედი, იქნებ წერილი არც აქვს ვერსილოვსო, და, დასასრულ, მოსკოვშიც მხოლოდ და მხოლოდ ამ მიზნით წავიდა და იქ ემუდარა მარია ივანოვნას, მონახეთ თქვენთან შენახულ ქაღალდებშიო. მარია ივანოვნას არსებობა და ისიც, თუ რა ურთიერთობა ჰქონდა ამ უკანასკნელს განსვენებულ ანდრონიკოვთან, კატერინა ნიკოლავნას სულ ახლახან, პეტერბურგში დაბრუნების შემდეგ შეუტყვია.

- თქვენი აზრით, მან ვერ იპოვა წერილი მარია ივანოვნასთან? - ვკითხე მე, თან გულში ჩემსას ვფიქრობდი.

- თუ მარია ივანოვნამ თქვენც კი არაფერი გაგიმხილათ, იქნებ მას მართლაც არაფერი ჰქონდა.

- მაშ, თქვენ ფიქრობთ, რომ დოკუმენტი ვერსილოვს აქვს?

- ყველაზე უფრო ეგაა საფიქრებელი. თუმცა ვინ იცის, ყველაფერი შესაძლებელია, - წარმოთქვა მან აშკარად დაღლილი ხმით.

თავი დავანებე გამოკითხვას. ან რა აზრი ჰქონდა? ჩემთვის ყველაზე მთავარი გაირკვა, მიუხედავად მთელი ამ უღირსი აწეწილ-დაწეწილობისა; გამართლდა ყველაფერი, რისიც მეშინოდა.

- ყოველივე ეს თითქოს სიზმარია და ბოდვა, - ღრმა სევდით ვუთხარი და ქუდს ხელი დავავლე.

- თქვენთვის ძალიან ძვირფასია ის კაცი? - შემეკითხა კრაფტი დაუფარავი და დიდი თანაგრძნობით, რომელიც იმწუთას მის სახეზე ამოვიკითხე.

- აკი გული მიგრძნობდა, - ვუთხარი მე, - რომ თქვენგან მაინც ვერ შევიტყობდი ყველაფერს. ახმაკოვას იმედიღა დამრჩენია. სწორედ მისი იმედი მქონდა. შეიძლება წავიდე კიდეც მასთან, ან იქნებ არც წავიდე.

კრაფტმა, ცოტა არ იყოს, გაოცებით შემომხედა.

- მშვიდობით, კრაფტ! რატომ უნდა მიუჩოჩდე კაცი იმ ადამიანებს, ვისაც არ უნდიხარ? არ ჯობია, მათთან ყოველგვარი კავშირი გაწყვიტო, ჰა?

- და მერე საით? - მკითხა რაღაცნაირად მკაცრად, თან იატაკს ჩასჩერებოდა.

- საკუთარ თავთან! უნდა გაწყვიტო ყოველგვარი კავშირი და წახვიდე საკუთარ თავთან!

- ამერიკაში?

- ამერიკაში! საკუთარ თავთან, მხოლოდ საკუთარ თავთან! აი, ამაშია მთელი „ჩემი იდეა“, კრაფტ! - აღტაცებით მივუგე.

მან უცნაური ცნობისმოყვარეობით შემომხედა.

- მერედა, გაქვთ კი ეგ ადგილი: „საკუთარ თავთან“?

- მაქვს. ნახვამდის, კრაფტ. მადლობას მოგახსენებთ და ვწუხვარ, დრო რომ წაგართვით! თქვენს ადგილას, როცა თავში ეგეთი რუსეთი გაქვთ, ყველას ჯანდაბას იქით გავგზავნიდი; - მომწყდით თავიდან, დაჭამეთ ერთმანეთი, მე რა მესაქმება-მეთქი!

- დარჩით ცოტა ხანს, - მითხრა მან უცებ, როცა უკვე კართან მომაცილა.

ცოტა არ იყოს, გამიკვირდა. მივბრუნდი და ისევ დავჯექი. კრაფტი ჩემ პირდაპირ დაჯდა. გავუღიმეთ ერთმანეთს, - ახლაც თვალწინ მიდგას ყოველივე. კარგად მახსოვს, როგორი განსაცვიფრებელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე.

- მე თქვენი ის მომწონს, კრაფტ, რომ ასეთი თავაზიანი ადამიანი ხართ, - ვუთხარი უცებ.

- მართლა?

- ამას იმიტომ ვამბობ, რომ მე თვითონ იშვიათად ვახერხებ, ვიყო თავაზიანი, თუმცა კი მინდა ხოლმე ვიყო... მაგრამ, ვინ იცის, იქნებ უკეთესიც იყოს, როცა ადამიანები შეურაცხყოფას გვაყენებენ: ყოველ შემთხვევაში, ეს თავიდან აგვაცილებს იმ უბედურებას, რომ შევიყვარო ისინი.

- დღის რომელი მონაკვეთი უფრო გიყვართ? - მკითხა მან, ეტყობოდა, არ მისმენდა.

- მონაკვეთი? რა ვიცი, დაისი არ მიყვარს.

- ჰო? - წარმოთქვა განსაკუთრებული ცნობისმოყვარეობით, მაგრამ მაშინვე ისევ ფიქრს მიეცა.

- თქვენ კვლავ სადღაც მიემგზავრებით?

- დიახ... მივემგზავრები.

- მალე?

- მალე.

- ნუთუ იმისთვის, რომ ვილნოში ჩახვიდეთ, რევოლვერი გჭირდებ-

ათ? - ვკითხე სულ უბრალოდ, ფიქრადაც არ მომსვლია ორაზროვნება! ვკითხე, რადგან თვალში მომხვდა რევოლვერი, მე კი უხერხულობას ვგრძნობდი და არ ვიცოდი, რაზე მელაპარაკა.

კრაფტი შებრუნდა და ჩაციებით შეხედა რევოლვერს.

- არა, ისე დევს, ჩვეულება მაქვს ასეთი.

- მე რომ რევოლვერი მქონდეს, სადმე ცხრაკლიტულში დავმალავდი, ღმერთს გეფიცებით, დიდი მაცდუნებელი რამაა. მე, იქნებ, არც მჯერა თვითმკვლელობის ეპიდემიის, მაგრამ თუ აი, ეს ყოველ წუთს თვალში გეჩხირება კაცს, - ღმერთმანი, არის ხოლმე წუთები, რომ შეიძლება გაცდუნოს.

- ნუ ლაპარაკობ ამაზე, - თქვა და უცებ წამოდგა.

- ჩემს თავზე არ მოგახსენებთ, - დავურთე და მეც წამოვდექი, - მე მაგას არ გამოვიყენებ, სამი სიცოცხლეც რომ მქონდეს, - ისიც არ მეყოფოდა.

- ღმერთმა დიდი დღე მოგცეთ, - თითქოს უნებურად წამოსცდა.

დაბნეულად გაიღიმა და, საოცარია, - ეგრევე დერეფნისაკენ გაემართა, თითქოს თვითონვე მისტუმრებს გარეთო, თუმცა, ცხადია, არც შეუმჩნევია, რას სჩადიოდა.

- ყველანაირ წარმატებას გისურვებთ, კრაფტ, - ვუთხარი უკვე კიბეზე გამოსულმა.

- ეგ შეიძლება, - მტკიცედ მომიგო მან.

- ნახვამდის!

- ეგეც შეიძლება.

მახსოვს მისი უკანასკნელი შემოხედვა.

III

მაშ ასე, აი ადამიანი, რომლის სანახავადაც ამდენი წელიწადი მიძგერდა გული! ან კი, კაცმა რომ თქვას, რა ახალი ამბის გაგებას ველოდი კრაფტისგან?

ქუჩაში რომ გამოვედი, ძალზე მომშივდა; საღამოვდებოდა, მე კი ჯერ ხემსიც არ ჩამსვლოდა პირში; იქვე, პეტერბურგსკაიაზე, დიდ პროსპექტზე, ერთ პატარა ტრაქტირში შევედი იმ განზრახვით, რომ ოცოცდახუთ კაპიკზე მეტი არ დამეხარჯა - მეტის დახარჯვის ნებას მაშინ არაფრის გულისთვის არ მივცემდი ჩემს თავს. მოვიკითხე წვნიანი და, მახსოვს, როცა შევჭამე, ფანჯარაში დავიწყე ცქერა. ოთახში უამრავი ადამიანი ირეოდა; მიხრაკული ერბოს, ტრაქტირის ხელსახოცებისა და თამბაქოს სუნი იდგა. საზიზღრობა იყო. ზემოთ, ზედ ჩემს თავთან, გალია ეკიდა, რომლის ძირსაც ნისკარტს უკაკუნებდა დამუნჯებული, დაღვრემილი და ჩაფიქრებული ბულბული. გვერდით, საბილიარდოდან, ჟრიამული ისმოდა, მაგრამ მე მაინც ვიჯექი და ვფიქრობდი. დაისმა (რატომ გაუკვირდა კრაფტს, რომ დაისი არ მიყვარდა?) რაღაც ახალი, მოულოდნელი და უადგილო გრძნობები აღმიძრა. ერთთავად დედაჩემის წყნარი მზერა მელანდებოდა, მისი საყვარელი თვალები, რომლებიც აგერ მთელი თვეა, კრძალვით მაკვირდებოდნენ. ბოლო ხანებში შინ ძალიან უხეშად ვიქცეოდი, მეტადრე კი დედაჩემთან; მინდოდა უხეშად მოვპყრობოდი ვერსილოვსაც, მაგრამ რაკი ვერ ვუბედავდი, ჩემი სულმდაბალი ჩვეულებით, დედას ვუშრობდი სისხლს. მთლად დავაფრთხე: ხშირად, როცა ანდრეი პეტროვიჩი შემოვიდოდა ოთახში, დედა მუდარით მომაჩერდებოდა, რადგან ეშინოდა, უხამსი არა ჩამედინა რა... გასაოცარი ის იყო, რომ მე ახლა, ტრაქტირში, პირველად მოვისაზრე, - ვერსილოვი შენობით მელაპარაკება, დედა კი თქვენობით-მეთქი. ეს ამბავი წინათაც მაოცებდა, და არა დედაჩემის სასარგებლოდ, აქ კი როგორღაც განსაკუთრებით მოვისაზრე - და ზედიზედ უცნაური ფიქრები მომდიოდა თავში. დიდხანს ვიჯექი, დაღამდა კიდეც. ვფიქრობდი დედაჩემზეც...

საბედისწერო იყო ჩემთვის ის წუთი. რადაც უნდა დამჯდომოდა, უნდა მიმეღო გადაწყვეტილება! ნუთუ გადაწყვეტილების მიღების უნარი არ შემწევს? აბა, რა ძნელი უნდა იყოს ყოველგვარი ურთიერთობის გაწყვეტა, მით უმეტეს, როცა არც მათ ვუნდივარ? დედა და და? მაგრამ

მათ არავითარ შემთხვევაში არ მივატოვებ, - როგორც უნდა შეტრიალდეს საქმე.

მართლაც, ამ კაცის გამოჩენა ჩემს ცხოვრებაში, ესე იგი, ერთი წამით, ისიც პირველად, ბავშვობაში, ის საბედისწერო ბიძგი გახლდათ, რომლითაც ჩაეყარა საფუძველი ჩემს აზროვნებას. მაშინ რომ არ შემხვედროდა, - ჩემი ჭკუა, ჩემი აზრთა წყობა, ჩემი ბედი უთუოდ სხვაგვარად წარიმართებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ბედმა წინასწარ მარგუნა ისეთი ხასიათი, რომელსაც მაინც ვერ ავცდებოდი.

მაგრამ ხომ ირკვევა, რომ ეს კაცი თურმე მხოლოდ ოცნება ყოფილა ჩემი, ბავშვობიდან გამოყოლილი ოცნება. მე თვითონ შევქმენი იგი ასეთი, სინამდვილეში კი სულ სხვა ვინმე აღმოჩნდა, ჩემს ფანტაზიასთან შედარებით გაცილებით დაბლა მდგომი. მე ჩამოვედი პატიოსან, უმწიკვლო ადამიანთან, და არა ამასთან. ან რამ შემაყვარა ეს კაცი ასე სამუდამოდ იმ მცირე წამში, როცა ჯერ კიდევ ბავშვმა ვნახე? ეს „სამუდამოდ“ უნდა გაქრეს. ოდესმე, თუ ადგილი დამრჩა, ავწერ ჩვენს იმ პირველ შეხვედრას: ეს გახლდათ უფუჭესი ანეკდოტი, რომლიდანაც სრულიად არაფერი გამოდნება ხოლმე. მე კი მთელი პირამიდა ავაგე. ამ პირამიდის შენება წამოვიწყე ჯერ კიდევ ბავშვობისას, საბანქვეშ, როცა დაძინებისას შემეძლო მეტირა და მეოცნება - რაზე? - მეც არ ვიცი. იმაზე, რომ მიმატოვეს? იმაზე, რომ მაწამებენ? მაგრამ მე მხოლოდ ცოტა ხანს, სულ ორ წელიწადს მაწამებდნენ ტუშარის პანსიონში, სადაც მაშინ ვერსილოვმა შემტენა და თვითონ სამუდამოდ გაემგზავრა. მერე აღარავინ მაწამებდა: პირიქით, მე თვითონ დავყურებდი ამაყად ამხანაგებს. ისედაც, ვერ ვიტან ამ თავის თავზე მოწუწუნე ობლობას! იმაზე საზიზღარი არაფერია, როცა ობლები, უკანონოდ შობილნი, ყველა ეს მიგდებულები და საერთოდ, მთელი ეს ნაყარ-ნუყარი, რომლებიც მაინც არ აღმიძრავენ სიბრალულს, უცებ ზარ-ზეიმით წამოიჭიმებიან საზოგადოების წინაშე და იწყებენ საცოდავ, მაგრამ შემაგონებელ წკავწკავს: „აი, როგორ გვექცეოდნენ!“ მე რომ მეკითხებოდეს, სულ წკეპლით ავაჭრელებდი ამ ობლებს. ამ საზიზღარ უფერულობათაგან ვერავინ მიმხვდარა, რომ ათჯერ უფრო კეთილშობილი საქციელი იქნებოდა, გაჩუმებულიყვნენ და არ ეწუწუნათ, ჩივილის ღირსი არ გაეხადათ. ხოლო თუ ღირსსა ხდი, მაშინ ახია შენზე, სიყვარულის ნაყოფო! აი, ჩემი აზრი!

მაგრამ სასაცილო ის კი არაა, რომ წინათ „საბანქვეშ“ მასზე ვოცნებობდი, არამედ ის, რომ აქაც მისი გულისთვის, ისევ ამ მოგონილი ადამიანისთვის ჩამოვედი და თითქმის დავივიწყე ჩემი მთავარი მიზნე-

ბი. აქ მოვდიოდი, რათა დავხმარებოდი ცილისწამების გაბათილებაში, მტრების განადგურებაში. ის დოკუმენტი, კრაფტი რომ მელაპარაკა, ანდრონიკოვისადმი მიწერილი წერილი, რომლისაც ასე ეშინოდა იმ ქალს, რომელსაც შეეძლო მისი ბედის გადაწყვეტა და რომელიც ვერსილოვთან ეგულებოდა, - ის წერილი ვერსილოვს კი არა, მე მქონდა ჯიბეში ჩაკერებული! საკუთარი ხელით ჩავიკერე და ძეხორციელმა არ იცოდა. ის ამბავი, რომ რომანტიკულმა მარია ივანოვნამ, რომელთანაც „ინახებოდა“ ეს დოკუმენტი, საჭიროდ ჩათვალა, გადმოეცა წერილი სწორედ ჩემთვის და სხვა არავისთვის, მხოლოდ მისი შეხედულება და ნება იყო, და მოვალე არა ვარ, აგიხსნათ; იქნებ როდისმე სიტყვამ მოიტანოს და გიამბოთ; მაგრამ რაკი მოულოდნელად ასე აღჭურვილი აღმოვჩნდი, არ შეიძლებოდა არ აღმძვროდა მაცდუნებელი სურვილი - მოდი ერთი, პეტერბურგში გამოვცხადდები-მეთქი. რა თქმა უნდა, განზრახული მქონდა, დავხმარებოდი ამ კაცს მხოლოდ და მხოლოდ საიდუმლოდ, ისე, რომ არც გამოვჩენილიყავი და არც ავღელვებულიყავი, არ მოველოდი მისგან არც ქებას, არც ხვევნა-კოცნას. და არასოდეს, არასოდეს არ ვაღირსებდი, მესაყვედურა მისთვის რამე! ან განა მისი ბრალი იყო, რომ ასე შემიყვარდა და ფანტასტიკურ იდეალად გავიხადე? თუ გნებავთ, იქნებ სულაც არ მიყვარდა იგი - მისი ორიგინალური ჭკუა, საინტერესო ხასიათი, მისი რაღაც ინტრიგები და თავგადასავლები, აგრეთვე ის, რომ დედა მასთან იმყოფებოდა; როგორც ჩანდა, ამ ყველაფერს ჩემი შეჩერება აღარ შეეძლო. ისიც საკმარისი იყო, რომ ჩემი ფანტასტიკური ტიკინა დაიმსხვრა და რომ მე იქნებ აღარც შემეძლო მისი სიყვარული. მაშ, რაღა მაკავებდა, სად გავები? - აი, რა იყო საკითხავი. საბოლოოდ გამოდიოდა, რომ მარტო მე ვიყავი ბრიყვი, სხვა კი არავინ.

მაგრამ რაკი სხვებისგან მოვითხოვ პატიოსნებას, თვითონაც პატიოსანი ვიქნები: უნდა გამოვტყდე, რომ ჯიბეში ჩაკერებული დოკუმენტი მხოლოდ იმის მხურვალე სურვილს როდი აღმიძრავდა, გავქანდე და ვერსილოვს ვუშველო-მეთქი. ახლა ეს ჩემთვის სავსებით ნათელია, თუმცა მაშინაც კი მაწითლებდა ამაზე ფიქრი. მელანდებოდა ქალი, მაღალი წრის ამაყი არსება, რომელსაც პირდაპირ შევხვდებოდი; ის ზიზღით მომეპყრობა, დამცინებს, როგორც თაგუნას, და ეჭვითაც კი არ ეცოდინება, ჩემი ბედი ამ კაცის ხელთააო. ეს ფიქრი მართობდა ჯერ კიდევ მოსკოვში ყოფნისას, და მეტადრე ვაგონში, როცა აქეთ მოვემგზავრებოდი; ეს ხომ წეღანაც ვაღიარე. დიახ, მძულდა ეს ქალი, მაგრამ უკვე მიყვარდა კიდეც, როგორც ჩემი მსხვერპლი. და ყოველივე ეს სიმართლეა, ყოველივე ეს ნამდვილად მოხდა. მაგრამ ეს უკვე

ისეთი ბავშვურობა იყო, როგორსაც არ მოველოდი ისეთისგანაც კი, როგორიც მე ვიყავი. მე აღვწერ ჩემს საშინელ გრძნობებს, ესე იგი იმ-ას, რაც თავში მომდიოდა, როცა ვიჯექი ტრაქტირში, ბულბულის გა-ლიის ქვეშ და როცა გადავწყვიტე, ამ საღამოსვე აუცილებლად გავწყვ-ეტ მათთან კავშირს-მეთქი. უცებ მომაგონდა დილანდელი შეხვედრა იმ ქალთან და სირცხვილით ლოყა ამეწვა. რა სამარცხვინო შეხვედრა იყო! რა სამარცხვინო და სულელური შთაბეჭდილება დავტოვე და - რაც მთავარია - რა აშკარა გახდა, საქმის შნო რომ არა მქონია! ვიჯექი და ვფიქრობდი, თუ როგორ დამიმტკიცა ამ შეხვედრამ ჩემი უმწეობა თვით ყოვლად სულელური მისატყუებლების წინაშეც კი. არადა, წეღან განა მე არ ვიყავი, კრაფტს რომ ვუთხარი, მაქვს ჩემი „საკუთარი ადგი-ლი“, ჩემი საქმე და სამი სიცოცხლეც რომ მქონდეს, არ მეყოფოდა-მე-თქი, ამაყად განვუცხადე ეს. ის, რომ შევეშვი ჩემს იდეას და ვერსილ-ოვის საქმეებს გადავყევი, - ასე თუ ისე, რაღაცით მაინც იყო გამართ-ლებული; მაგრამ დამფრთხალ ბაჭიასავით აქეთ-იქით რომ ვაწყდები და ვეთრევინები ყოველ წვრილმანს, ეს, რა თქმა უნდა, მხოლოდ და მხოლოდ ჩემი სისულელის ბრალია. რა მრჯიდა, დერგაჩევთან რომ წავედი და გამოვხტი ჩემი სისულელეებით, როცა დიდი ხანია ვიცი, რომ ჭკვიანურად და დალაგებით ვერაფერს მოვყვები და ჩემთვის ყვე-ლაზე ხელსაყრელი ჩუმად ჯდომა და ხმის ამოუღებლობაა? ვიღაც ვა-სინი კი გულს მიკეთებს, ჯერ „ორმოცდაათი წელიწადი კიდევ წინა გა-ქვთ და, მაშ, სადარდებელიც არაფერიაო“, საუცხოოა მისი პასუხი. თანახმა ვარ და, უდავოდ მის საზრიანობაზე მეტყველებს; საუცხოოა იმით, რომ ყველაზე უბრალო პასუხია, ხოლო ყველაზე უბრალოს მხ-ოლოდ სულ ბოლოს გაიგებ კაცი, როცა მოსინჯავ ყველაფერს, რაცაა ბრძნული და რაცაა ბრიყვული; მაგრამ ეს ხომ ვასინამდე მეც ვიცოდი; ამას სამი წლის წინაც ვგრძნობდი; ვგრძნობდი რას მიქვია - ნაწილო-ბრივ ხომ სწორედ ამაში მდგომარეობდა „ჩემი იდეა“ - აი, რას ვფიქრ-ობდი მაშინ ტრაქტირში.

საძაგლად ვგრძნობდი თავს, როცა სიარულითა და ფიქრით დაქა-ნცულმა, საღამოს ხუთ საათზე, სემიონოვსკის პოლკს მივაღწიე. მთ-ლად ჩამოღამდა, ამინდიც გაფუჭდა; მშრალი დარი იდგა, მაგრამ ამ-ოვარდა პეტერბურგის საძაგელი ქარი, მწვავე და ცივი, ზურგში მირ-ტყამდა და ირგვლივ მტვრისა და ქვიშის კორიანტელს აყენებდა. რა-რიგ მიიჩქარიან თავიანთ კუთხეში სამუშაოდან და საშოვრიდან მომა-ვალი მდაბიო, დაღვრემილი ადამიანები! ყველას სახეზე აწერია თავი-სი მძიმე საფიქრალი და ამ ბრბოში იქნებ ერთიც არაა საერთო, გამაე-რთიანებელი აზრი! მართალია კრაფტი: ყველა თავისთვისაა, განკერ-

ძოებით. შემომხვდა ერთი პატარა ბიჭუნა, ისეთი პატარა, რომ გამიკვირდა, ამ დროს ქუჩაში მარტოკას რა უნდა-მეთქი; მგონი, გზა დაჰბნეოდა; ვიღაც დედაკაცი წუთით შეჩერდა და მოუსმინა, მაგრამ ვერაფერი გაიგო, ხელები გაასავსავა და გზა განაგრძო, ბიჭუნა კი მარტოკა დატოვა ამ სიბნელეში. მივუახლოვდი, მაგრამ რატომღაც ჩემი შეეშინდა და გაიქცა. სახლს რომ მივუახლოვდი, გადავწყვიტე, ვასინთან არასოდეს მივალ-მეთქი. კიბეზე რომ ავდიოდი, საშინლად მომინდა, რომ ჩვენები მარტოკანი ყოფილიყვნენ შინ, უვერსილოვოდ, რათა მის მოსვლამდე მომესწრო და ტკბილი სიტყვა მეთქვა დედასთვის და ჩემი საყვარელი დისთვის, რომლისთვისაც მთელი ეს თვე ერთი განსაკუთრებული სიტყვითაც კი არ მიმიმართავს. ასეც მოხდა, ვერსილოვი შინ არ იყო...

IV

ბარემ, რაკი ჩემს „ჩანაწერებში“ სცენაზე გამომყავს ეს „ახალი პირი“ (ანუ ვერსილოვზე მოგახსენებთ), მოკლედ მოვიყვან მისი ნამსახურობის ნუსხას, თუმცა ეს არაფერს ნიშნავს. ამას ამიტომ ვაკეთებ, რომ უფრო გასაგები იყოს მკითხველისთვის, თანაც მერე, მოყოლას რომ განვაგრძობ, აღარ ვიცი, სად ჩავურთო ეს ნუსხა.

ვერსილოვი სწავლობდა უნივერსიტეტში, მაგრამ მერე გვარდიაში შევიდა, კავალერიის პოლკში. შეირთო ფანარიოტოვის ქალი და სამსახურიდან გადადგა. დადიოდა საზღვარგარეთ და როცა ჩამოდიოდა, ცხოვრობდა მოსკოვში და მაღალ წრეს სიამოვნებით ეტანებოდა. ცოლი რომ მოუკვდა, სოფელში ჩავიდა; იქ დედაჩემთან ის ამბავი შეემთხვა. მერე კარგა ხანს ცხოვრობდა სადღაც, სამხრეთში. ევროპასთან ომის დროს ისევ სამხედრო სამსახურში შევიდა, მაგრამ ყირიმს ჩასვლა აღარ მოუხდა და ომში მონაწილეობა არ მიუღია. ომის დამთავრების შემდეგ სამსახურიდან წამოვიდა, ისევ ხშირად დადიოდა საზღვარგარეთ და ერთხელ დედაჩემიც კი წაიყვანა, თუმცაღა კენიგსბერგში დატოვა. საცოდავ დედას მოუყოლია ხანდახან, რაღაცნაირი შეძრწუნებითა და თავის ქნევით, თუ როგორ გაატარა იქ წელიწად-ნახევარი მარტოდმარტომ, პაწია გოგონათი. გინდა ტყეში ყოფილიყო და გინდა იქ, რადგან ენა არ იცოდა, ბოლოს კი მთლად უფულოდაც დარჩა. მაშინ იყო, ტატიანა პავლოვნამ რომ ჩააკითხა და სადღაც, ნიჟნენოვგოროდის გუბერნიაში წამოიყვანა. მერე ვერსილოვი პირველი მოწვევის მომრიგებელი შუამავალი გახდა და, ამბობენ, თავის საქმეს საუცხოოდ უძღვებოდაო; მაგრამ მალე ამასაც თავი ანება და პეტერბურგში სხვადასხვა კერძო სარჩელთა წარმოებას მიჰყო ხელი. ანდრონიკოვი მუდამ აფასებდა მის ნიჭს, დიდ პატივს სცემდა, ოღონდ ამბობდა, მისი ხასიათის ვერაფერი გამიგიაო. მერე ეს საქმეც მიატოვა და ისევ საზღვარგარეთ გაემგზავრა, უკვე დიდი ხნით, რამდენიმე წლით. ახლა განსაკუთრებით დაუმეგობრდა მოხუც თავად სოკოლსკის. მთელი ამ ხნის განმავლობაში მისი ფულადი სახსრები ორ-სამჯერ რადიკალურად შეიცვალა; ხან ღატაკდებოდა, ხან ერთბაშად კვლავ მდიდრდებოდა და წელში იმართებოდა.

ახლა კი, რაკი ჩემი ჩანაწერები სწორედ ამ პუნქტამდე მივიყვანე, გავბედავ და „ჩემს იდეას“ გიამბობთ. რაც ეს „იდეა“ გამიჩნდა, პირვე-

ლი შემთხვევაა, როცა მას სიტყვებით გამოვთქვამ. ასე ვთქვათ, გავბედავ გავუმჟღავნო მკითხველს, და ამასაც მხოლოდ იმიტომ ჩავდივარ, რომ უფრო ნათელი შეიქნეს შემდგომში ნაამბობი. არა მარტო მკითხველს, თვით მეც კი, შემთხზველს, გამიჭირდება გავერკვე და ავხსნა ჩემი ნაბიჯები, თუ არ ავხსნი, რა მაიძულებდა, რა მიბიძგებდა ამ ნაბიჯთა გადადგმას. ამ „დაფარვის ქარაგმით“, ჩემი უშნოობით, ისევ ჩავიგდე თავი რომანისტთა იმ „კაზმულობაში“, რასაც ზემოთ მევე დავცინე. რაკი შევაღე ჩემი პეტერბურგული რომანის კარი მთელი ჩემი იქაური სამარცხვინო თავგადასავლებით, ეს წინასიტყვაობაც აუცილებლად მიმაჩნია. მაგრამ მარტო „კაზმულობამ“ როდი მაცდუნა, რომ აქამდე ხმა არ ამომიღია. მაცდუნა საქმის არსმაც, ანუ საქმის სიძნელემ; ახლაც კი, როცა ყოველივე გარდახდილმა გაიარა, წარმოუდგენლად მიჭირს ამ „აზრის“ მოყოლა. გარდა ამისა, ეს „აზრი“ უეჭველად უნდა გადმოგცეთ მისი მაშინდელი სახით, ესე იგი ისე, როგორც გამიჩნდა და ლაგდებოდა თავში მაშინ და არა ახლა, თუმცა ესეც ხომ უკვე ახალი სიძნელეა. ზოგი რამის მოყოლა თითქმის შეუძლებელია. ყველაზე ძნელი გასაგები სწორედ ის იდეებია, რომლებიც ყველაზე მარტივია და ნათელი, კოლუმბს რომ ამერიკის აღმოჩენამდე სხვებისთვის გაეზიარებინა თავისი იდეა, დარწმუნებული ვარ, ძალზე დიდხანს ვერ გაუგებდნენ. აკი არც ესმოდათ. ამას რომ ვამბობ, ფიქრადაც არა მაქვს, თავი გავუტოლო კოლუმბს, ხოლო ვინც ამას გულში გაივლებს, სირცხვილი მას და სხვა არაფერი.

თავი მეხუთე - I

ჩემი იდეა ისაა, რომ გავხდე როტშილდი, მკითხველს მოვუწოდებ სიმშვიდისა და სერიოზულობისაკენ.

ვიმეორებ: ჩემი იდეა ისაა, რომ გავხდე როტშილდი, გავხდე ისეთივე მდიდარი, როგორიც როტშილდი იყო; უბრალოდ გამდიდრება კი არ მინდა, სწორედ როტშილდივით მინდა გავმდიდრდე. რისთვის, რატომ, სახელდობრ რა მიზნები მაქვს დასახული - ამაზე მერე მოგახსენებთ. თავდაპირველად კი დაგიმტკიცებთ, რომ ჩემი მიზნის მიღწევა მათემატიკურადაა უზრუნველყოფილი.

საქმე მეტად მარტივია, მთელი საიდუმლოება მდგომარეობს ორად ორ სიტყვაში: შეუპოვრობა და განუწყვეტლობა.

- გაგვიგონია ეგეთი რამეები, - მეტყვიან, - ეგ ახალი ამბავი არაა. ყოველი ფატერი გერმანიაში მაგას ჩასჩიჩინებს თავის შვილებს; მაგრამ ეგეთი როტშილდი (ესე იგი განსვენებული ჯემს როტშილდი, პარიზელი, მე იმაზე მოგახსენებთ) ერთი იყო, ფატერები კი მილიონობითაა.

მე კი მივუგებდი:

- თქვენ ირწმუნებით, გაგვიგონიაო, მაგრამ არაფერიც არ გაგიგონიათ. მართალია, ერთ რამეში თქვენც სამართლიანი ხართ: თუ მე ვთქვი, ეს ძალზე მარტივი საქმეა-მეთქი, დამავიწყდა დამერთო, რომ ყველაზე ძნელიცაა. ყველა რელიგია და ყველა ზნეობრიობა, რაც კი ქვეყნად არსებობს, ერთნაირია ერთ რამეში: „გიყვარდეს სათნოება და გაურბოდე ბიწიერებას“. ხომ თითქოს არაფერია ამაზე ადვილი, არა? აბა, გეთაყვა, სცადეთ ერთი, ჩაიდინეთ სათნო რამ და გაექეცით თქვენს თუნდაც ერთ ბიწიერებას, ჰა? აქაც ასეთი ამბავია.

აი რატომაა, რომ იმ თქვენს უთვალავ ფატერებს უთვალავ საუკუნოთა მანძილზე შეუძლიათ იმეორონ ეს საოცარი ორი სიტყვა, რომელიც მთელ საიდუმლოებას შეადგენს, ამავე დროს კი, როტშილდი კვლავ ერთადერთი რჩება. მაშ, გამოდის, რომ ასეა და არცაა ასე, და თქვენი ფატერები სულ სხვა აზრს იმეორებენ.

ეჭვი არ არის, შეუპოვრობისა და განუწყვეტლობის შესახებ მათაც სმენიათ: მაგრამ ჩემი მიზნის მისაღწევად ფატერების შეუპოვრობა და

ფატერების განუწყვეტელობა როდია საჭირო.

ჯერ მარტო სიტყვის გამო, რომ ის ფატერია, - მარტო გერმანელებზე არ მოგახსენებთ, - რომ მას ჰყავს ოჯახი, ცხოვრობს სხვებივით, ხარჯი აქვს სხვებივით, მოვალეობანი აკისრია სხვებივით - როტშილდი ვერ გახდები, გახდები მხოლოდ თავდაჯერებული ადამიანი. მე კი მეტად ნათლად მესმის, რომ, რაკი როტშილდი გავხდები ან თუნდაც რაკი მოვიწადინებ როტშილდობას, ოღონდ არა ფატერულად, არამედ სერიოზულად, - ამით ერთბაშად ვეთიშები საზოგადოებას.

ამ რამდენიმე წლის წინ გაზეთში წავიკითხე, რომ ვოლგაზე, ერთ გემზე, ვიღაც მათხოვარი მომკვდარა, რომელიც ჩამოკონკილ-ჩამოძონძილი დადიოდა და მოწყალებას თხოულობდა, და რომელსაც იქ ყველა იცნობდა. სიკვდილის მერე ძონძებში გამოკერებული სამი ათასამდე ქაღალდის ფული უპოვეს. ამ დღეებშიც წავიკითხე ვიღაც კეთილშობილთა წრიდან გამოსულ მათხოვარზე, რომელიც ტრაქტირ-ტრაქტირ დადიოდა და ხელგაშვერილი მოწყალებას ითხოვდა. ეს მათხოვარი დააპატიმრეს და თან ხუთი ათასი მანეთი აღმოაჩნდა. აქედან პირდაპირ ორი დასკვნის გამოტანა შეიძლება: პირველი - თუნდაც კაპიკ-კაპიკ დაგროვებაში გამოჩენილ შეუპოვრობას თან უზარმაზარი შედეგი მოაქვს (დროის ხანგრძლივობას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს), და მეორეც - ფულის შოვნის ყველაზე მარტივი ფორმაც კი, ოღონდ განუწყვეტელი იყოს - მათემატიკურად უზრუნველყოფს წარმატებას.

ამავე დროს, იქნებ საკმაოდაც მოიპოვებოდნენ ადამიანები, რომლებიც დარბაისელნიც არიან, ჭკვიანნიც და დამთმენნიც; მაგრამ რომელთაც (რარიგადაც უნდა იმტვრიონ თავი) არ გააჩნიათ არც სამი და არც ხუთი ათასი, მაგრამ საშინლად კი უნდათ, ჰქონდეთ ეს ფული. ეს რიღას ბრალია? პასუხი ნათელია: არც ერთ მათგანს, დიდი ნდომა რომც ჰქონდეს, იმდენად მაინც არ უნდა, რომ, თუ, ვთქვათ, სხვაგვარად ვერასგზით ვერ შეუძენია ქონება, სხვა თუ არაფერი, მათხოვრობა მაინც დაიწყოს; და არც იმდენად შეუპოვარია, რომ, კიდეც რომ დაიწყოს მათხოვრობა, პირველივე ნაშოვნი კაპიკი არ დახარჯოს თავისთვის ან თავისი ოჯახისთვის ზედმეტი ლუკმის საყიდლად; ხოლო დაგროვების ასეთი საშუალების დროს, ესე იგი მათხოვრობისას, ამოდენა ფულის დასაგროვებლად მარტო პურსა და მარილზე უნდა გადადიოდე; ყოველ შემთხვევაში, მე ასე მესმის. უთუოდ ასე იქცეოდნენ ის ზემოთ ნახსენები მათხოვრები. ანუ ჭამდნენ პურს და ღამეს ღია ცის ქვეშ ათევდნენ. ეჭვი არ არის, მათ ფიქრადაც არ ჰქონიათ როტშილდად გახდომა: ესენი იყვნენ მხოლოდ წმინდა წყლის გარპაგონები ან პლი-

უშკინები (გარპაგონი - მოლიერის „ძუნწის“ პერსონაჟი; პლიუშკინი - გოგოლის „მკვდარი სულების“ პერსონაჟი.) და მეტი არაფერი; მაგრამ როცა მიზნად დაისახავს როტშილდად გახდომას და შეუდგება ფულის უკვე სრულიად სხვა სახით, შეგნებულად შოვნას - ამ ორ მათხოვარზე ნაკლები ნდომა და ნებისყოფა როდი იქნება საჭირო. ფატერს ამის ძალა არ ექნება. ქვეყნად ძალა მრავალგვარია, მეტადრე - ნებისყოფისა და ნდომის ძალა. არსებობს წყლის დუღილის ტემპერატურა და რკინის წითლად გავარვარების ტემპერატურაც.

აქაც იგივე მონასტერია, იგივე გმირული ასკეტიზმი. აქ გრძნობაა და არა იდეა. რისთვის? რატომ? ზნეობრივია თუ არა ეს, და სიმახინჯე ხომ არაა, რომ მთელი სიცოცხლე ჩამოკონკილმა იარო და შავი პური ჭამო, თან კი ამდენ ფულს დაატარებდე? ეს კითხვები შემდეგ იყოს, ახლა კი მხოლოდ იმას ვიტყვი, რამდენად შესაძლებელია მიზნის მიღწევა.

როდესაც გამოვიგონე „ჩემი იდეა“ (ხოლო ჩემი იდეა სწორედ ამ გავარვარებულ ტემპერატურაში მდგომარეობს), - შევუდექი ჩემი თავის გამოცნობას: შემწევს თუ არა მონასტერში წასვლისა და ბერობის უნარი-მეთქი? ამ მიზნით მთელი პირველი თვე მარტო პურსა და წყალზე გადავდიოდი. შავ პურს დღეში ორ-ნახევარ გირვანქაზე მეტს არ ვჭამდი. ეს რომ აღმესრულებინა, უნდა მომეტყუებინა ჭკვიანი ნიკოლაი სემიონოვიჩი და ჩემი კეთილმოსურნე მარია ივანოვნა. ავიტეხე, სადილი ჩემს ოთახში მომიტანონ-მეთქი, რამაც ძალზე ატკინა გული მარია ივანოვნას და, ცოტა არ იყოს, გააკვირვა უთავაზიანესი ნიკოლაი სემიონოვიჩი. იქ უბრალოდ ვსპობდი სადილს; წვნიანს ჭინჭარში ვღვრიდი ფანჯრიდან ან კიდევ სხვა ადგილას, ხორცს კი ძაღლს ვუგდებდი, ანდა, ქაღალდში გახვეულს, ჯიბეში ვიდებდი და გარეთ მიმქონდა, და სხვა ამგვარები. რადგან სადილად პურს ორგირვანქა-ნახევარზე ბევრად ნაკლებს მაძლევდნენ, ჩუმად ვყიდულობდი და ვუმატებდი. იმ ერთ თვეს გავუძელი, ოღონდ, ცოტა არ იყოს, კუჭ-ნაწლავი გავიმწვავე, მაგრამ მომდევნო თვიდან პურს წვნიანი წავუმატე, ხოლო დილა-საღამოს - თითო ჭიქა ჩაი - და გარწმუნებთ, ერთი წელიწადი სავსებით ჯანმრთელმა და კმაყოფილმა გავატარე, ხოლო ზნეობრივად ვნეტარებდი და ერთთავად აღფრთოვანებული ვიყავი. არათუ გული არ მწყდებოდა საჭმელზე, აღტაცებულიც კი გახლდით. წელიწადი რომ გავიდა და დავრწმუნდი, შემიძლია ყველანაირი მარხულობის ატანა-მეთქი, მეც მათსავით დავიწყე ჭამა და ისევ მათთან ერთად ვსადილობდი. ამ ცდას აღარ დავჯერდი, ახლა სხვა რამ ვცადე: გარდა ამ ფულისა,

რასაც ნიკოლაი სემიონოვიჩს უხდიდნენ ჩემი რჩენისთვის, თვეში სა-ხარჯოდ ხუთ-ხუთი მანეთი მერგებოდა. გადავწყვიტე, აქედან მხოლოდ ნახევარი დამეხარჯა. ეს მეტად ძნელი გამოცდა იყო, მაგრამ როცა ორ წელზე მეტი გავიდა და პეტერბურგში ჩამოვედი, სხვა ფულის გარდა, ჯიბეში მარტო ამ გზით დაზოგილი სამოცდაათი მანეთი მედო. ამ ორი ცდის შედეგი ჩემთვის ძალზე დიდი იყო: დანამდვილებით გავიგე, რომ შემძლებია იმდენად მოვინდომო, რათა ჩემს მიზანს მივაღწიო-მეთქი, მთელი „ჩემი იდეა“ კი, ვიმეორებ, სწორედ ესაა; ყოველივე შემდგომი სულ უბრალო რამეებია.

II

თუმცა განვიხილოთ ეს უბრალო რამეებიც.

მე ავწერე ჩემი ორი ცდა; პეტერბურგში, როგორც უკვე მოგახსენეთ, მოვახდინე მესამე ცდა - წავედი აუქციონზე და ერთი ხელის მოსმით მოვიგე შვიდი მანეთი და ორმოცდათხუთმეტი კაპიკი. ცხადია, ეს ნამდვილი ცდა კი არა, მხოლოდ თამაში იყო, თავის შექცევა: მომინდა, მომეპარა ჩემი მომავლის ერთი წუთი და მეცადა, ვნახოთ, როგორ ვივლი და ვიმოქმედებ-მეთქი. საერთოდ კი, საქმეზე ნამდვილი იერიშის მიტანა იმთავითვე, ჯერ კიდევ მოსკოვში ყოფნისას, საიმდროოდ გადავდე, როცა მთლად თავისუფალი ვიქნებოდი; კარგად მესმოდა, რომ ჯერ, სხვა რომ არა იყოს რა, გიმნაზია მაინც უნდა დამემთავრებინა (უნივერსიტეტი, როგორც იცით, მსხვერპლად შევწირე ჩემს „იდეას“). უდავოა, პეტერბურგს ფარული გულისწყრომით მივემგზავრებოდი: ის იყო, დავამთავრე გიმნაზია და მეღირსა, თავისუფალი გავმხდარიყავი, რომ უცებ დავინახე, რომ ვერსილოვის საქმეები, ვინ იცის, რამდენი ხნით ჩამომაშორებდნენ ჩემი საქმის წამოწყებას. მიუხედავად იმისა, რომ გაცეცხლებული ვიყავი აქეთ გამომგზავრებისას, ჩემი მიზნის თაობაზე სავსებით არხეინად გახლდით.

მართალია, პრაქტიკა არ მქონია, მაგრამ მთელი ის სამი წელიწადი სულ ამის აწონ-დაწონაში ვიყავი და დასაეჭვებელი აღარაფერი დამრჩენოდა. ათასჯერ წარმოვიდგინე, როგორ შევუდგებოდი საქმეს: უეცრად, ციდან ჩამოვარდნილივით, აღმოვჩნდები ჩვენს ერთ-ერთ დედაქალაქში (დასაწყისისთვის ავირჩიე ჩვენი დედაქალაქი, სახელდობრ, პეტერბურგი, რომელსაც, ზოგიერთის მოსაზრებით, უპირატესობა მივანიჭე). მაშ, ასე - დავეშვი ციდან, მაგრამ სავსებით თავისუფალი ვარ, დამოუკიდებელი, ჯანი მაქვს და ჯიბეშიც, პირველდაწყებითი საბრუნავი კაპიტალისთვის, გადამალული ასი მანეთი მიდევს. ასი მანეთის გარეშე დაწყება შეუძლებელი იყო, რადგან მაშინ წარმატების ყველაზე პირველი პერიოდიც კი კარგა დიდი ხნით გადაიწევდა. ასი მანეთის გარდა, როგორც უკვე მოგეხსენებათ, მე გამაჩნია სიმამაცე, შეუპოვრობა, განუწყვეტლობა, სრული განმარტოება და საიდუმლო. განმარტოება მთავარია: მთლად ბოლო წუთამდე საშინლად არ მიზიდავდა ადამიანებთან თუნდ მცირე ურთიერთობა და ასოციაციები; ზოგადად რომ ვთქვათ, გადავწყვიტე, „იდეა“ უსათუოდ მარტოკას წამომეწყო, ეს

იყო sine qua. ადამიანები გულს მიმძიმებდნენ, და მეც მოუსვენარ გუნებაზე ვიქნებოდი, მოუსვენრობა კი ავნებდა მიზანს. საერთოდ დღემდეც, მთელი ჩემი სიცოცხლის განმავლობაში, როცა ვოცნებობდი იმაზე, თუ როგორ მოვეპყრო ადამიანებს-მეთქი - ყველაფერი მუდამ ძალზე ჭკვიანურად გამომდიოდა; მაგრამ როგორც კი საქმეზე გადავიდოდი - მუდამ სისულელეს ჩავდიოდი. და ვაღიარებ აღშფოთებითა და გულწრფელად, რომ ლაპარაკის დროს მუდამ გამიცია თავი და ავცეტებულვარ, ამიტომაც გადავწყვიტე, ადამიანებს მოვრიდებოდი. სამაგიეროდ მოვიგე დამოუკიდებლობა, სულიერი სიმშვიდე, მიზნის სიცხადე.

თუმცა პეტერბურგში საშინელი სიძვირე იყო, ერთხელ და სამუდამოდ გადავწყვიტე, ჭამა-სმაში თხუთმეტ კაპიკზე მეტი არ დამეხარჯა და ვიცოდი, რომ, რაკი ვთქვი, შევასრულებდი კიდევაც. ჭამა-სმის საკითხზე კარგა ხანს ვფიქრობდი და საფუძვლიანადაც მოვიფიქრე: მაგალითად, გადავწყვიტე, ხანდახან ორი დღე ზედიზედ მარტო პურსა და მარილზე გადავივლი, ოღონდ მესამე დღეს ამ ორი დღის დანაზოგს დავხარჯავ-მეთქი; ჩემი ფიქრით, ეს უფრო სასარგებლო იქნებოდა ჯანმრთელობისთვის, ვიდრე გამუდმებით ერთნაირად მარხულობა თხუთმეტი კაპიკის კვალობაზე. გარდა ამისა, საცხოვრებლად მესაჭიროებოდა კუთხე, სწორედ რომ კუთხე, მხოლოდ იმისთვის, რომ ღამე გამეთია ან, თუ მეტისმეტად ცუდი დარი იქნებოდა, თავი შემეფარებინა. გადავწყვიტე, მეცხოვრა ქუჩაში და, თუ გამიჭირდებოდა, მზად ვიყავი, ღამე სადმე თავშესაფარში გამეთია, სადაც, საწოლის გარდა, ერთ ნაჭერ პურსა და ჭიქა ჩაის იძლევიან. ო, მე მშვენივრად მოვახერხებდი, ისე დამემალა ჩემი ფული, რომ კუთხეში ან თავშესაფარში არავის მოეპარა; თავს დავდებ, თვალსაც ვერავინ შემასწრებდა. „მე მომპარავენ? ნეტავ იქით არ მოვპარო სხვას“, - გავიგონე ერთხელ ქუჩაში ვიღაც ვიგინდარას მხიარულად ნათქვამი. რა თქმა უნდა, ამ განაგონიდან ჩემი მისამართით გამოვიყენებ მხოლოდ სიფრთხილესა და ეშმაკობას, ქურდობა კი გულშიაც არ გამივლია. ეს კიდევ არაფერი: ჯერ მოსკოვშივე, ჩემი „იდეის“ იქნებ პირველი დღიდანვე, გადავწყვიტე, არც მოგირავნეობას მივყოფ ხელს და არც მევახშეობას-მეთქი: საამისოდ ებრაელები გაუჩენია ღმერთს და კიდევ ის რუსები, ვისაც არც ჭკუა გააჩნია და არც ხასიათის სიმტკიცე. გირაო და სარგებელი ჩვეულებრივი, უფერული ადამიანების საქმეა.

რაც შეეხება ტანსაცმელს, გადავწყვიტე, მქონოდა ორი კოსტიუმი: ერთი საშინაო და ერთიც წესიერი. რაკი შევიძენდი ამ კოსტიუმებს,

დარწმუნებული ვიყავი, დიდხან ვიხმარდი; ორწელიწად-ნახევარი საგანგებოდ ვსწავლობდი ტანსაცმლის ხმარებას და საიდუმლოებასაც კი მივაგენი: ტანსაცმელი რომ მუდამ ახალივით იყოს და არ გაცვდეს, რაც შეიძლება ხშირად, დღეში ხუთ-ექვსჯერ მაინც, ჯაგრისით უნდა წმინდო. მაუდს ჯაგრისი ვერაფერს დააკლებს, ამას დანამდვილებით გეუბნებით, მხოლოდ მტვერი და ნაგავია საშიში. მტვერი - თუ მიკროსკოპში ნახავთ - იგივე ქვებია, ჯაგრისი კი, რაც უნდა მაგარი იყოს, მაინც თითქმის იგივე მატყლია. ასევე ვისწავლე ფეხსაცმლის ტარებაც: მთელი საიდუმლოება ისაა, რომ ფეხი ერთბაშად უნდა დადგათ მთელი ლანჩით, რაც შეიძლება იშვიათად უნდა გადაღრიცოთ გვერდზე. ამას ორ კვირაში ისწავლი კაცი, მერე კი ანგარიშმიუცემლად ივლი. ამ გზით ფეხსაცმელს, საშუალოდ, ერთი მესამედით მეტხანს ატარებ. ეს ორი წლის გამოცდილება გახლავთ.

მერე კი თვითონ საქმიანობა იწყებოდა.

გამოვდიოდი შემდეგი მოსაზრებიდან: ასი მანეთი მაქვს, პეტერბურგში კი იმდენი აუქციონია, იმდენი საჯარო გაყიდვა, წვრილ-წვრილი ჯიხურები ჩარჩთა ბაზარზე და იმდენი გაჭირვებული ხალხი, რომ შეუძლებელია, ამა თუ იმ ფასად ნაყიდი რაიმე ნივთი ცოტა უფრო ძვირად მაინც არ გაყიდო კაცმა. ალბომში შვიდი მანეთი და ოცდათხუთმეტი კაპიკი მოვიგე, როცა ჩემი კაპიტალიდან ორი მანეთი და ხუთი კაპიკი დავხარჯე. ეს უზარმაზარი მოგება ურისკოდ მივიღე: თვალებზე ვატყობდი, რომ მყიდველი არ მომეშვებოდა. რა თქმა უნდა, კარგად მესმის, რომ მხოლოდ შემთხვევაა; მაგრამ მეც ხომ სწორედ ასეთ შემთხვევებს დავეძებ, აკი ამიტომაც გადავწყვიტე ქუჩაში ცხოვრება. კეთილი, ვთქვათ, ეს შემთხვევები ძალზე იშვიათია; სულერთია, ჩემი მთავარი წესი ის იქნება, რომ არაფრის რისკი არ გავწიო, და მეორეც - ყოველდღე აუცილებლად მოვიგო თუნდაც მცირე რამ, გარდა ჩემი სახარჯო მინიმუმისა, რათა ერთი დღითაც კი არ შემიწყდეს ფულის დაგროვება.

ამაზე მეტყვიან: ეგ სულ ფუჭი ოცნებაა, თქვენ ქუჩას არ იცნობთ და პირველსავე ნაბიჯზე გაგაცუცურაკებენო. მაგრამ მე მაქვს ნებისყოფა და ხასიათის სიმტკიცე, ხოლო ქუჩის მეცნიერება ისეთივე მეცნიერებაა, როგორიც სხვა მეცნიერება, მას შეუპოვრობით, ყურადღებით და ნიჭით დაძლევს კაცი. გიმნაზიაში მეშვიდე კლასამდე ერთ-ერთი პირველ მოწაფეთაგანი ვიყავი, ძალზე მემარჯვებოდა მათემატიკა. აბა, სად გაგონილა, იმდენად კერპად აქციო გამოცდილება და ქუჩის მეცნიერება, რომ უსათუოდ მარცხი იწინასწარმეტყველო! ამას მუდამ ის გა-

იძახის, ვისაც არასოდეს არაფერი უცდია, არანაირი ცხოვრება არ დაუწყია, რაც ღმერთს მოუცია, იმას დასჯერებია და ასე მიაჩანჩალებს თავის წუთისოფელს. „რაკი ერთმა ცხვირი წაიტეხა, მეორეც აუცილებლად წაიტეხს“. არა, არ წავიტეხ. მე მტკიცე ხასიათი მაქვს, და თუ ყურადღებით ვიქნები, ყველაფერსაც ვისწავლი. აბა, როგორ შეიძლება იმის წარმოდგენა, რომ განუწყვეტელი შეუპოვრობით, თვალმახვილობით, საზრისიანობითა და ანგარიშით, განუწყვეტელი მოქმედებითა და სირბილით ბოლოს მაინც ვერ ისწავლო, როგორ უნდა იშოვო ყოველდღე ზედმეტი აბაზი? მთავარი ისაა, რომ გადავწყვიტე, არასოდეს არ გამოვკიდებოდი მოგების მაქსიმუმს, და მუდამ მშვიდად ვყოფილიყავი. შემდეგში კი, როცა ათასს და მეტს მოვიგებდი, რა თქმა უნდა, ძალაუნებურად გავანებებდი თავს დალალობას და ქუჩაში გადამყიდველობას. ცხადია, ჯერ ძალიან ცოტა რამ ვიცი ბირჟის, აქციების, საბანკო საქმეებისა და სხვათა შესახებ. სამაგიეროდ ხუთი თითივით ვიცი, რომ დრო მოვა, როცა ჩემსავით არავის ეცოდინება ეს ბირჟები და ბანკირობა, და რომ ამ მეცნიერებას სრულიად უბრალოდ შევისწავლი, მხოლოდ იმიტომ, რომ საქმე აქამდე მივა. ვითომ რა ისეთი ჭკუაა საჭირო საამისოდ? რა სოლომონის სიბრძნე ეს არის! მტკიცე ხასიათი იყოს და სხვა რა საფიქრალია? ცოდნა და მოხერხებულობა თავისთავად მოვა. ოღონდ კი „მინდა“ არ შეწყვიტო.

მთავარია, რისკი არ გასწიო, ეს კი მხოლოდ მტკიცე ხასიათის პატრონს შეუძლია. ამას წინებზე, ჩემი აქ ყოფნის დროს, პეტერბურგში რკინიგზის აქციებზე შეიქნა ხელმოწერა; ვინც ხელის მოწერა მოახერხა, კარგა ბლომად ფული მოიგო. ერთხანს აქციები სულ მაღლა-მაღლა იწევდა. და აი, ვთქვათ, უცბად ვინმეს, ვინც ვერ მოასწრო ხელმოწერა ან ძალიან თვალხარბია, დაენახა ჩემს ხელში აქციები და შემოეთავაზებინა: ამდენ და ამდენ პროცენტ პრემიას მოგცემ და შენი აქციები დამითმეო. როგორა ფიქრობთ, რას ვიზამდი? უსათუოდ მაშინვე მივყიდდი. რა თქმა უნდა, სიცილს დამაყრიდნენ: დაგეცადათ, ათ მაგდენს აიღებდითო. მაგრამ, ბატონებო, ჩემი პრემია თუნდაც იმითაა უფრო ნაღდი, რომ ჯიბეში მიდევს, თქვენი კი ჯერ ისევ ჰაერში დაფრინავს. მეტყვიან, ეგრე ბევრს ვერაფერს მოიგებო; მომიტევეთ, მაგრამ სწორედ აქ ცდებით. ცდებით თქვენც და ყველა ეს ჩვენი კოკორევები, პოლიაკოვები, გუბონინები. შეისმინეთ ჭეშმარიტება: მოგებაში და, რაც მთავარია, დაგროვებაში განუწყვეტლობა და შეუპოვრობა უფრო ძალუმია, ვიდრე თუნდაც ასჯერ ასი პროცენტით მიღებული წამიერი მოგება!

საფრანგეთის რევოლუციამდე ცოტა ხნით ადრე პარიზში გამოჩნდა ვინმე ლოუ და წამოიწყო ერთი, პრინციპში, გენიალური პროექტი (რომელმაც შემდეგ საშინელი კრახი განიცადა). მთელი პარიზი აფორიაქდა; ლოუს აქციების ყიდვაზე თავ-პირის მტვრევა შეიქნა. იმ სახლში, სადაც ხელმოწერა ტარდებოდა, მთელი პარიზიდან ისე ცვიოდა ფული, თითქოს ტომარა წამოუპირქვავებიათ და იქიდან ყრიანო; ბოლოს სახლიც აღარ აღმოჩნდა საკმარისი: ხალხი ქუჩაშიც ვერ ეტეოდა - აქ იყო ყველა წოდების, შეძლებისა და ასაკის ადამიანი; ბურჟუები, თავად-აზნაურები, მათი შვილები, გრაფებისა და მარკიზების მეუღლეები, მეძავი ქალები; ყველა შექუჩებულიყო, როგორც ცოფიანი ძაღლისგან დაკბენილი გააფთრებული, სანახევროდ გაგიჟებული ბრბო; ხარისხი, გვარიშვილობისა და სიამაყის ცრურწმენანი, თვით ღირსებაცა და პატიოსანი სახელიც - ყველაფერი ერთ ჭუჭყსა და და ლაფში აირია; ყველაფერს მსხვერპლად სწირავდნენ (ქალებიც კი), ოღონდ რამდენიმე აქცია ჩაეგდოთ ხელში. ბოლოს ხელმოწერა ქუჩაში გადმოიტანეს, მაგრამ საწერი ადგილი არსად იყო. აქ ერთ კუზიანს შესთავაზეს, დროებით დაგვითმე შენი კუზიო, აქციებზე ხელმოსაწერი მაგიდის მაგივრობა გაგვიწიეო. კუზიანი დათანხმდა - ხომ წარმოგიდგენიათ, რა ფულს მოითხოვდა ამისთვის! რამდენიმე (ძალზე მცირე) ხნის შემდეგ ყველა გაკოტრდა, ყველაფერი ჩაიფუშა, მთელი იდეა გაცამტვერდა, და აქციებიც სულ გაუფასურდა. მერედა, ვინ მოიგო? მხოლოდ და მხოლოდ კუზიანმა, სწორედ იმიტომ, რომ აქციებს კი არა, ნაღდ ლუიდორებს იღებდა. ჰოდა, ჩემო ბატონო, მეც სწორედ ის კუზიანი გახლავართ! აკი მეყო საიმისო ძალა, რომ მეშიმშილა და კაპიკობით სამოცდათორმეტი მანეთი დამეგროვებინა; მეყოფა იმის ძალაც, რომ, ყველაზე ცხელ პერიოდშიც კი, როცა სხვები წერას ჰყავს აყვანილი, ჭკუა არ დავკარგო, თავი შევიკავო და დიდ ფულს მცირე, ნაღდი ვამჯობინო. მე მეწვრილმანე ვარ მხოლოდ წვრილმანებში, დიდ საქმეში კი არა. მცირე მოთმინებისთვის, „იდეის“ ჩასახვის მერეც კი, ხშირად არ მყოფნიდა ხასიათის სიმტკიცე, დიდისთვის კი ყოველთვის მყოფნიდა. დილაობით, სანამ სამსახურში წავიდოდი და დედა გაცივებულ ყავას მომიტანდა ხოლმე, ვჯავრობდი და უხეშად ვეპყრობოდი, ამავდროულად კი, სწორედ მე გახლდით ის კაცი, ვინც მთელი თვე პურსა და წყალზე გადადიოდა.

ერთი სიტყვით, არაბუნებრივი იქნებოდა, არ მეშოვა ფული, არ მესწავლა, როგორ უნდა მეშოვა იგი. არაბუნებრივი იქნებოდა ისიც, რომ განუწყვეტელი და თანაბარი დაგროვებით, განუწყვეტელი დაკვირვებითა და საღი ჭკუით, თავშეკავებით, მომჭირნეობით, სულ უფრო და

უფრო მზარდი ენერგიით, ვიმეორებ, არაბუნებრივი იქნებოდა-მეთქი, არ გავმხდარიყავი მილიონერი. რითი დააგროვა თავისი ფული იმ მათხოვარმა, თუ არა ხასიათის ფანატიზმითა და შეუპოვრობით? ნუთუ მასზე უარესი ვარ? „ბოლოს და ბოლოს, დაე, ნურაფერს მივაღწევ, ანგარიშში მოვტყუვდე, დაე, ჩამეშალოს ყველაფერი, სულერთია - მივდივარ. მივდივარ იმიტომ, რომ ასე მსურს“. აი, რას ვამბობდი ჯერ მოსკოვშივე.

ო, გული ხომ მიგრძნობდა, რა ტრივიალური იქნებოდა ყველა შემოპასუხება და რა ტრივიალური ვიქნებოდი თვითონ მე, როცა „იდეის“ გადმოცემას დავიწყებდი: აბა, რისი გამოთქმა შევძელი? მეასედიც კი ვერ გამოვთქვი; ვგრძნობ, რომ რაღაც წვრილმანი, უხეში, ზერელე და ჩემი ასაკისთვის შეუფერებლად ყმაწვილური რამეც კი გამომივიდა.

III

ახლა პასუხგასაცემი მრჩება, თუ „რისთვის“ და „რატომ“, „ზნეობრივია თუ არა ეს „ და სხვა., და სხვა., აკი დაგპირდით, ამ კითხვებზეც გიპასუხებთ-მეთქი.

სევდა მიპყრობს, რომ მკითხველს ერთბაშად გულს გავუტეხ, სევდა მიპყრობს და თან მიხარია. დაე, იცოდნენ, რომ ჩემი „იდეის“ მიზნებში იოტისოდენადაც არაა „შურისძიების“ გრძნობა, არაფერია ბაირონული - არც წყვლა-კრულვა, არც ობლის ჩივილი და წუწუნი, არც უკანონოდ შობილის ცრემლი, არაფერი, სრულიად არაფერი. ერთი სიტყვით, რომანტიკული მანდილოსანი მაშინვე ცხვირს ჩამოუშვებდა, თუ ჩემი ჩანაწერები ჩაუვარდებოდა ხელში. ჩემი „იდეის“ მთელი მიზანია განმარტოება.

- მაგრამ განმარტოებას შეგიძლიათ მიაღწიოთ ისე, რომ არ იქაჩებოდეთ: როტშილდი უნდა გავხდეო, რა შუაშია აქ როტშილდი?

- იმ შუაშია, რომ განმარტოების გარდა მე ძლიერებაც მესაჭიროება.

გავაკეთებ შესავალს: მკითხველი იქნებ შეზაროს ჩემმა გულახდილმა აღსარებამ და ამიტომ დაეკითხოს თავის თავს: ამის დამწერს სირცხვილით რატომ ლოყა არ აეწვებაო? გიპასუხებთ, რომ მე არ ვწერ გამოსაცემად; მკითხველი კი ალბად მხოლოდ ათი წლის მერე მეყოლება, როცა ყველაფერი ისე გამოიკვეთება, გაივლის და დადასტურდება, რომ გასაწითლებელი აღარაფერი მექნება. ამიტომ, თუ ხანდახან ჩემს ნაწერებში მკითხველს მივმართავ ხოლმე, ეს ხერხია მხოლოდ. ჩემი მკითხველი - ფანტასტიკური პირია.

არა, ჩემი „იდეის“ საწყისი როლი არ იყო ის, რომ უკანონო შვილი ვიყავი, რის გამოც ასე მახელებდნენ ტუშართან, ან ბავშვობის ნაღვლიანი წლები, ან შურისძიება და პროტესტის უფლება; ყველაფერი მხოლოდ ჩემი ხასიათის ბრალია. მე მგონია, მას აქეთ, რაც თორმეტი წლისა შევიქენი, ანუ თითქმის მაშინვე, როგორც კი სწორი აზროვნება ჩამომიყალიბდა, გადავწყვიტე, არ მყვარებოდა ადამიანები. არათუ არ მყვარებოდა, მიმძიმდა კიდევაც მათ გვერდით ყოფნა. ხანდახან, ჩემთვის ყველაზე წმინდა წუთებში, მე თვითონაც ძალიან მადარდებდა ის

ამბავი, რომ არაფრით არ შემეძლო, გული გადამეხსნა ახლობელი ადამიანებისთვის, ანუ, შეძლებით კი შემიძლია, მაგრამ არ მინდა, რატომღაც თავს ვიკავებ; რომ უნდობელი ვარ, კუშტი და გულდახურული. ესეც უნდა ვთქვა: კარგა ხანია შევნიშნე ჩემს თავში, ლამის პატარაობიდანვე, რომ ძალზე ხშირად სხვას ვადანაშაულებ ხოლმე, სხვების გამტყუნების მიდრეკილებას ვიჩენ; მაგრამ ამ მიდრეკილებას ფრიად ხშირად მყისვე მოსდევს სხვა, ჩემთვის მეტად აუტანელი, მძიმე ფიქრი: „იქნებ მათ კი არა, მე თვითონ მიმიძღვის ბრალი?“ - მერედა, რა ხშირად ტყუილუბრალოდ დამიდანაშაულებია ჩემი თავი! ამგვარი საკითხები გადასაწყვეტი რომ არ მქონოდა, ბუნებრივია, განმარტოებას ვეძებდი, რადგან ვერაფერს ვპოვებდი ხალხმრავალ საზოგადოებაში, - ვცდილობდი, განა არ ვცდილობდი ამას; ყოველ შემთხვევაში, ყველა ჩემი თანატოლი, ყველა ამხანაგი, უკლებლივ ყველა, ჩემზე ერთი თავით დაბალი აზროვნების აღმოჩნდებოდნენ ხოლმე; ერთი გამონაკლისიც არ მახსენდება.

დიახ, მე დაღვრემილი ვარ, ერთთავად ჩემს ნაჭუჭში მივძვრები. ხშირად მიპყრობს სურვილი, გავერიყო საზოგადოებას. იქნებ გავუკეთო კიდევაც სიკეთე ამ ადამიანებს, მაგრამ ხშირად ვერ ვხედავ თუნდაც მცირეოდენ მიზეზს, რომ მათთვის სიკეთე ჩავიდინო. სრულიადაც არ არიან ადამიანები ისეთი მშვენიერები, რომ მათზე ესოდენ ზრუნვა ღირდეს. რატომ თვითონ არ მოვლენ პირდაპირ და გულღიად, რაღა მაინცდამაინც პირველი მე უნდა ჩამოვეკიდო კისერზე? აი, რას ვეკითხებოდი ჩემს თავს. მე მადლიერი ადამიანი გახლავართ და ათასი სისულელით დავამტკიცე კიდეც ეს. გულღია ადამიანს მეც მყისვე გულღიად შევხვდებოდი და შევიყვარებდი. აკი ასეც ვიქცეოდი; მაგრამ ყველანი მაშინვე მატყუებდნენ ხოლმე და დაცინვით ჩაიკეტავდნენ გულს. ყველაზე გულახდილი ლამბერტი იყო, რომელიც ბავშვობაში მაგრად მიბაგუნებდა; მაგრამ ისიც მხოლოდ გულახდილი არამზადა და ავაზაკი აღმოჩნდა; ეს გულახდილობაც სისულელით სჭირდა. აი, ჩემი ფიქრები, როცა პეტერბურგში ჩამოვედი.

მაშინ, დერგაჩევისგან რომ გამოვედი (რომელთანაც ღმერთმა უწყის, რისთვის მივეხეტებოდი), მივედი ვასინთან და აღტაცებულმა ქება შევასხი. მერე? იმავე საღამოს ვიგრძენი, რომ უკვე გაცილებით ნაკლებად მიყვარდა. რატომ? სწორედ იმიტომ, რომ, რაკი ქება შევასხი, ამით თავი დავიმცირე მის წინაშე. კაცმა რომ თქვას, თითქოს პირიქით უნდა იყოს: თუ კაცი იმდენად სამართლიანი და დიდსულოვანია, რომ, თავისდა საზიანოდ, სხვას აქებს, ასეთი კაცი თავისი ღირსებით ლამის

უფრო მაღლა დგას სხვებზე. მერე რა - ეს მესმოდა, მაგრამ მაინც ნაკლებად მიყვარდა ვასინი, ძალიანაც ნაკლებად მიყვარდა. მე განზრახ მომყავს მკითხველისთვის უკვე ნაცნობი ეს მაგალითი. კრაფტიც კი რაღაც მწარე, უჟმური გრძნობით მაგონდებოდა იმის გამო, რომ თვითონვე წამიძღვა დერეფნისკენ, და ეს გრძნობა შემრჩა მეორე დღემდე, როცა ყველაფერი ბოლომდე გაირკვა კრაფტის თაობაზე და გაჯავრება აღარ შეიძლებოდა. გიმნაზიის დაბალი კლასებიდანვე, საკმარისი იყო, რომელიმე ამხანაგს ეჯობნა ჩემთვის სწავლით ან მოსწრებული პასუხით, ან ღონით, რომ მაშინვე ვებუტებოდი და აღარ ვეამხანაგებოდი. განა მძულდა ან მისთვის სიგლახე მინდოდა; უბრალოდ თავს ვარიდებდი, რადგან ასეთი ხასიათი მაქვს.

დიახ, მთელი ჩემი ცხოვრება ძლიერება მწყუროდა, ძლიერება და განმარტოება. ამაზე ვოცნებობდი ისეთ ასაკშიც კი, როცა ნამდვილად ყველანი მოურიდებლად დამცინებდნენ, რომ სცოდნოდათ, რა იმალებოდა ჩემი თავის ქალის ქვეშ. აი, რატომ შემიყვარდა აგრერიგად საიდუმლო. დიახ, ვოცნებობდი გამწარებით, ვოცნებობდი იმ ზომამდე, რომ ლაპარაკის დროც აღარ მრჩებოდა; აქედან დაასკვნეს, თითქოს უკარება ვიყავი, ხოლო ჩემი გონებადაფანტულობისგან კიდევ უფრო საზიზღარი დასკვნები გამოჰქონდათ, მაგრამ ჩემი ღაჟღაჟა ლოყები საწინააღმდეგოს ამტკიცებდნენ.

განსაკუთრებით ბედნიერი ვიყავი, როცა დავწვებოდი, თავზე საბანს წავიხურავდი და მარტოკა, სრულ განმარტოებაში, ისე, რომ ირგვლივ კაცის ჭაჭანება არ იყო და არც არავის ხმა მესმოდა, შევუდგებოდი ცხოვრების სულ სხვა ყაიდაზე გარდაქმნას. ამგვარი გაშმაგებული ოცნება მაცილებდა „იდეის“ აღმოჩენამდე, - როცა ყველა სულელური ოცნება ერთბაშად გონივრული შეიქნა და რომანის საოცნებო სახემ სინამდვილის გონივრული სახე მიიღო.

ყველაფერმა ერთ მიზანში მოიყარა თავი. კაცმა რომ თქვას, ეს ოცნებები არც მანამდე იყო მაინცდამაინც სულელური, თუმცა უთვალავზე უთვალავი, ურიცხვზე ურიცხვი იყო... მაგრამ მქონდა საყვარელი ოცნებები... თუმცა აქ ხომ არ შევუდგები ახლა მათ ჩამოთვლას.

ძლიერება! დარწმუნებული ვარ, ბევრს სასიცილოდაც არ ეყოფოდა, ჩემი „იდეის“ შესახებ რომ შეეტყო - ეს ვინ ოხერია, ძლიერება რომ მონდომებიაო. მაგრამ უფრო გასაოცარს გეტყვით: იქნებ ჩემი პირველი ოცნებიდანვე, ანუ თითქმის ბავშვობიდანვე, სხვაგვარად ვერ წარმომედგინა ჩემი თავი, თუ არა ყოველთვის პირველ ადგილას და

ცხოვრების ყოველნაირ პირობებში. ამას დავუმატებ უცნაურ აღსარებასაც: იქნებ ეს წარმოდგენა დღემდეც გრძელდება. აქვე შევნიშნავ, რომ მიტევებას არ ვითხოვ.

სწორედ იმაშია ჩემი „იდეა“, მისი ძალა, რომ ფული ერთადერთი გზაა, რომელიც არარაობა ადამიანსაც კი პირველ ადგილზე წამოჭიმავს. იქნებ არცა ვარ არარაობა, მაგრამ, მაგალითად, სარკის წყალობით ვიცი, რომ ჩემს გარეგნობას ჩემთვის ზიანი მოაქვს. მაგრამ აბა, როტშილდივით მდიდარი ვიყო? - ვინ რაში ინაღვლებდა ჩემს სახეს და განა ათასობით ქალი, ოღონდ კი დამესტვინა, არ დამესეოდა მთელი თავისი სიტურფით? დარწმუნებულიც კი ვარ, რომ ისინი თვითონვე, სავსებით გულწრფელად, ყალმით დახატულადაც კი ჩამთვლიდნენ. მე იქნებ ჭკვიანიც გახლავართ, მაგრამ ჭკუის კოლოფიც რომ ვიყო, საზოგადოებაში აუცილებლად მყისვე გამოჩნდებოდა ჩემზე მეტად ჭკუის კოლოფი ვინმე - მაშინ ხომ დავიღუპებოდი; მაგრამ აბა, როტშილდი ვიყო, - განა ის ჭკუის კოლოფი ჩემთან რამედ გამოჩნდებოდა? იმას ხომ ჩემს სიახლოვეს ხმასაც არ ამოაღებინებდნენ! მე იქნებ ენამახვილი ვარ; მაგრამ აი, ჩემ გვერდით არიან ტალეირანი, პირონი - და მე დავიჩრდილე, ხოლო როგორც კი როტშილდი გავხდები - ვინ მიგდია პირონი ან ტალეირანი? ფული, ცხადია, დესპოტური ძალაა, მაგრამ ამავე დროს, უზენაესი თანასწორობაცაა, და ამაშია მისი მთავარი ძალა. ფული ასწორებს ყველა უთანასწორობას. ყოველივე ეს მე ჯერ კიდევ მოსკოვშივე გადავწყვიტე.

ცხადია, ჩემს ასეთ აზრში თქვენ მხოლოდ უტიფრობას, ძალადობას და ტალანტებზე არარაობის გამარჯვებას დაინახავთ. გეთანხმებით, ეს აზრი კადნიერია (და ამიტომაც ტკბილი). მაგრამ დაე, ასე იყოს: თქვენ გგონიათ, მაშინ იმიტომ მწყუროდა ძლიერება, რომ უსათუოდ დამეჩაგრა ვინმე ან შური მეძია? საქმეც ისაა, რომ აუცილებლად ასე მოიქცეოდა ჩვეულებრივი ადამიანი. ეგ კიდევ არაფერი: დარწმუნებული ვარ, ათასობით ნიჭიერი და ჭკვიანი, ამაღლებული ადამიანი, უცებ რომ დაეხვავებინათ მათთვის როტშილდის მილიონები, ვეღარ გაუძლებდა და ისე მოიქცეოდა, როგორც ყველაზე უხამსი არაორდინარული ადამიანები, და ყველაზე მეტად დაჩაგრავდნენ სხვებს. ჩემი იდეა ასეთი არ გახლავთ. მე ფულის არ მეშინია; ფული ვერც დამჩაგრავს და ვერც სხვას დამაჩაგვრინებს.

მე არ მინდა ფული, ან უკეთ, ფული როდი მინდა; ძლიერებაც კი არ მინდა; მე მინდა მხოლოდ ის, რაც ძლიერებით მოიპოვება და რასაც სხვა გზით, თუ არა ძლიერებით, ვერ მოიპოვებ: ესაა განმარტოება და

საკუთარი ძლიერების მშვიდად შეგნების უნარი! აი, ყოვლად სრული განმარტება თავისუფლებისა, რაზეც ასე იმტვრევს თავს ქვეყნიერება! თავისუფლება! როგორც იქნა, დავწერე ეს დიდებული სიტყვა... დიახ, ძლიერების მყუდროდ შეგნების უნარი - მომხიბვლელი და მშვენიერი რამაა. მე მაქვს ძალა, და მშვიდად ვარ. ჭექა-ქუხილი ხომ იუპიტერის ხელთაა? და მერე? ის მშვიდადაა; განა ხშირად გაისმის მისი გრგვინვა? ბრიყვს ეგონება, სძინავსო. მაგრამ აბა, დასვით იუპიტერის ადგილას რომელიმე ლიტერატორი ან ყეყეჩი სოფლელი დედაკაცი - ჰო-ჰო-ჰო, რა გრგვინვა-ქუხილი ატყდება! ოღონდ კი მქონდეს ძლიერება, ვფიქრობდი მე, და სრულიადაც არ დამჭირდება ეს ძლიერება; გარწმუნებთ, მე თვითონ, ჩემი ნებით, ყველგან ბოლო ადგილს დავიკავებდი. როტშილდი რომ ვიყო, ძველი პალტოთი და ქოლგით ვივლიდი. რა მესაქმება იმასთან, რომ ქუჩაში მეჯახებიან, რომ იძულებული ვარ, ხტუნვა-ხტუნვით გადავირბინო ტალახში, რათა ეტლმა არ გამიტანოს. იმის შეგნება, რომ ეს მე, როტშილდი გახლავართ-მეთქი, გამამხიარულებდა კიდეც იმწუთას. ვიცი, რომ შემიძლია მქონდეს ისეთი სადილი, როგორიც სხვას არც მოელანდება, და მყავდეს ქვეყნად საუკეთესო მზარეული. ჩემთვის ისიც საკმარისია, რომ ეს ვიცი. ერთ ნაჭერ პურს და ლორს გეახლებით და მაძღარი ვიქნები ამის შეგნებით. მე ახლაც ამ ჭკუაზე ვარ.

მე კი არ შევეჩხირები არისტოკრატიას, არისტოკრატია თვითონ გამეგება ფეხქვეშ, მე კი არ გამოვედევნები ქალებს, ისინი თავად მომაწყდებიან, როგორც მოვარდნილი წყალი, და შემომაძლევენ ყველაფერს, რისი შემოძლევაც კი ქალს შეუძლია. „უგვანნი“ მომაწყდებიან ფულის გულისთვის, ჭკვიანებს კი ცნობისმოყვარეობა მოიყვანს უცნაურ, ამაყ, გულდახურულ და ყველაფრის მიმართ გულგრილ არსებამდე. მე ალერსით მოვეპყრობი ერთთაც და მეორეთაც, და, იქნებ, ფულიც მივცე, მაგრამ თვითონ არაფერს მივიღებ სამაგიეროს. ცნობისმოყვარეობა ვნებას შობს, იქნებ მეც აღვუძრა ვინმეს ვნება. ისინი ისევე გაბრუნდებიან, როგორც მოვიდნენ, გარწმუნებთ, ოღონდ იქნებ საჩუქრები გავატანო. ამით ორმაგად მეტ ცნობისმოყვარეობას აღვუძრავ.

გასაოცარი ისაა, რომ ეს სურათი (უნდა მოგახსენოთ, სწორი სურათი) ჯერ კიდევ ჩვიდმეტი წლისას მხიბლავდა და მაცდუნებდა.

ვინმეს დაჩაგვრა და წვალება არც მინდა და არც ჩავიდენ ამას. მაგრამ ვიცი, რომ, თუ მოვინდომებდი ამა და ამ კაცის, ჩემი მტრის, დაღუპვას, ხელს ვერავინ შემიშლიდა, პირიქით, პირფერობით გულსაც

მომიგებდნენ; და - ესეც მეყოფოდა. სამაგიეროსაც კი არავის მივუზღავდი. ყოველთვის მიკვირდა, როგორ დათანხმდა ჯემს როტშილდი ბარონობას-მეთქი! რატომ, რისი გულისთვის, როცა ისედაც ქვეყნად ყველაზე მაღლა იდგა? „ო, დაე, შეურაცხმყოს ამ თავხედმა გენერალმა სადგურზე, სადაც ორივენი ფოსტის ცხენებს ველოდებით; მან რომ იცოდეს, ვინ ვარ, გაიქცეოდა, თვითონვე შეაბამდა ცხენებს და კისრისტეხით მოვარდებოდა, რომ ჩემს მოკრძალებულ ტარანტასში ჩავესვი! წერდნენ, რომ ერთმა უცხოელმა გრაფმა თუ ბარონმა ვენის ერთერთ სადგურზე საქვეყნოდ ჩააცვა ფეხსაცმელი იქაურ ბანკირს, ხოლო ეს ბანკირი იმდენად ორდინარული კაცი გამოდგა, რომ ამის ნება მისცა. ო, დაე, დაე, ამ საშინელმა მზეთუნახავმა (სწორედ რომ საშინელია, არიან ასეთებიც!) - გამდიდრებული და დიდგვაროვანი არისტოკრატის ქალიშვილმა, როცა შემთხვევით შემხვდება თბომავალზე ან სხვაგან, ალმაცერად გადმომხედოს და ცხვირაბზუებულმა ზიზღით გაიცინოს, როგორ გაბედა პირველ ადგილზე ჩემ გვერდით ყოფნა ამ უბრალო და ბაჯაჯღანა კაცუნამ, ხელში წიგნი ან გაზეთი რომ უჭირავსო? მაგრამ, აბა იცოდეს, ვინ უზის გვერდით! და ის შეიტყობს კიდეც - შეიტყობს და თვითონვე მომიჯდება გვერდით, მორჩილი, მოკრძალებული, ალერსიანი, ჩემი შეხედვის მონატრული, და გაიხარებს, თუ ღიმილს ვაღირსებ...“. მე განზრახ ვურთავ აქ ამ ადრინდელ სურათებს, რათა უფრო ნათლად გამოვხატო ჩემი აზრი, მაგრამ სურათები მკრთალია და, იქნებ, ტრივიალურიც. მარტო სინამდვილე ამართლებს ხოლმე ყველაფერს.

იტყვიან, სისულელეა ასე ცხოვრება: რატომ არ უნდა გქონდეს სასტუმრო, კარღია სახლი, რატომ არ უნდა მოუყარო ხოლმე თავი საზოგადოებას, არ გქონდეს გავლენა, არ დაოჯახდეო? მაგრამ რაღად გადაიქცეოდა მაშინ როტშილდი? ის ისეთივე იქნებოდა, როგორიც სხვები. გაქრება მთელი მშვენიერება „იდეისა“, მთელი მისი ზნეობრივი ძალა. ჯერ ბავშვობაშივე დავიზეპირე პუშკინის ძუნწი რაინდის მონოლოგი; ამაზე უფრო ამაღლებული, იდეის მხრივ, პუშკინს არაფერი შეუქმნია! მე ახლაც ამ აზრზე ვარ.

„მაგრამ თქვენი იდეალი მეტად მდარეა, - მეტყვიან ზიზღით, - ფულიო, სიმდიდრეო! განა სხვაა საზოგადოებისთვის სარგებლობის მოტანა, ჰუმანური ღვაწლი?

მაგრამ ვინ რა იცის, როგორ მოვიხმარდი ჩემს სიმდიდრეს? ვითომ რითია უზნეო და დამამცირებელი ის, რომ უამრავი ებრაელის მავნე და ბინძური ხელიდან წამოსული მილიონები ფხიზელი და მტკიცე სა-

ქმოსანის ხელში გადაედინება, რომელიც გამჭრიახი თვალით აკვირდება ქვეყნიერებას? საერთოდ, მთელი ეს ოცნებანი მომავალზე, მთელი ეს მორჩილება - ყოველივე ეს ახლა ჯერ კიდევ რომანივითაა და იქნებ ტყუილადაც ვწერ ამეებს; დარჩენილიყო ჩემი თავის ქალის ქვეშ; ვიცი ისიც, რომ იქნებ არც არავინ წაიკითხოს ეს სტრიქონები; მაგრამ კიდეც რომ წაეკითხა ვინმეს, ნეტავ დაიჯერებდა, რომ იქნებ ვერც ამეტანა როტშილდის მილიონები? განა იმიტომ, რომ გამსრესდა, არამედ სულ სხვა, პირუკუ აზრით. ოცნებით გატაცებულს ხშირად ანაზდად დამიჭერია მომავლის ის წუთი, როცა ჩემი შეგნება მეტისმეტად დაკმაყოფილდება, ხოლო ძლიერება მეტად მცირე რამედ მომეჩვენება. მაშინ, - მოწყენილობისა და უსაგნო სევდის გამო კი არა, იმიტომ, რომ განუსაზღვრელად მომინდება კიდევ უფრო მეტი, - მთელ ჩემს მილიონებს ადამიანებს მივცემ; დაე, საზოგადოებამ გაინაწილოს მთელი ჩემი სიმდიდრე, მე კი - მე კვლავ არარაობაში გავერევი! იქნებ იმ მათხოვრადაც კი ვიქცე, რომელიც გემზე მოკვდა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ჩემს ძონძებში ვერაფერს ნახავენ ჩაკერებულს. მარტო შეგნება იმისა, რომ ხელთ მქონდა მილიონები და ვითარცა ყორანმა, ლაფში მოვისროლე, მასაზრდოებდა ჩემს უდაბნოში. მე ახლაც კი მზად ვარ, ისევ ვიაზროვნო. დიახ, ჩემი „იდეა“ ის ციხესიმაგრეა, სადაც მუდამ და ყოველგვარ შემთხვევაში შემეძლება, დავემალო ადამიანებს, თუნდაც როგორც ის მათხოვარი, გემზე რომ მოკვდა. აი, ჩემი პოემა! და იცოდეთ, რომ მე ჩემი ბიწიერი გრძნობა სწორედ რომ მთლიანად მესაჭიროება, - მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, - დავუმტკიცო საკუთარ თავს, რომ შემწევს ძალა, მასზე უარი ვთქვა-მეთქი.

უეჭველია, მიპასუხებენ, ეს უკვე პოეზიაა და არასოდეს ხელიდან არ გაუშვებ მილიონებს, თუკი ხელთ მოიგდებ, და არც სარატოველ მათხოვრად გადაიქცევიო. იქნებ არც გავუშვა ხელიდან; მე მხოლოდ ჩემი ფიქრის იდეალი მოვხაზე, მაგრამ უკვე სერიოზულად დავურთავ: სიმდიდრის დაგროვებაში იმ ციფრებამდე რომ მიმეღწია, რაც როტშილდს აქვს, მაშინ მართლაც შესაძლო იყო, იმით დამემთავრებინა, რომ საზოგადოებისთვის გადამეყარა ჩემი სიმდიდრე (უნდა მოგახსენოთ, რომ როტშილდის ციფრებამდე მიუღწევლად ძნელიც იქნებოდა ამის შესრულება) და განა ნახევარს მივცემდი, რადგან მაშინ მხოლოდ უხამსობა გამოვიდოდა: მხოლოდ ორჯერ უფრო გავღარიბდებოდი - და სხვა არაფერი; მე მივცემდი სწორედ რომ მთელ ფულს, უკანასკნელ კაპიკამდე, ვინაიდან, რაკი გავმათხოვრდებოდი, ერთბაშად როტშილდზე ორჯერ მდიდარი შევიქნებოდი! თუ ამას ვერ გამიგებენ, ჩემი ბრალი არ არის; ახსნა-განმარტებას არ მოვყვები.

„ფაკირობაა, არარაობისა და უძლურების პოეზიაა! - დაასკვნიან, - უნიჭოებისა და საშუალოების ზეიმია“. დიახ, გამოვტყდები, რომ ნაწილობრივ უნიჭოების გამარჯვებაცაა და საშუალოებისაც, ოღონდ არა უძლურების. მე საშინლად მომწონდა, წარმომედგინა ხოლმე სწორედ უნიჭო და საშუალო არსება, რომელიც წამდგარა ქვეყნიერების წინაშე და ღიმილით ამბობს: თქვენ ხართ გალილეები და კოპერნიკები, კარლოს დიდები და ნაპოლეონები; თქვენ ხართ პუშკინები და შექსპირები, ფელდმარშლები და ჰოფმარშლები, აი, მე კი - უნიჭობა და უკანონობა ვარ, და მაინც თქვენზე მაღლა ვდგავარ, რადგან თქვენ დაემორჩილეთ ამას. გამოგიტყდებით, ისეთ უკიდურესობამდე მიმყავდა ეს ფანტაზია, რომ თვით განათლებასაც კი მთლიანად გადავუსვი ხაზი. მეგონა, უფრო ლამაზი იქნებოდა. ამ უკვე უტრირებულმა ოცნებამ მაშინაც კი იმოქმედა ჩემს წარმატებაზე, გიმნაზიის მეშვიდე კლასში; სწორედ ფანტაზიის გამო დავანებე თავი სწავლას: განათლების გარეშე თითქოს სილამაზე ემატებოდა იდეალს. ამ პუნქტში ახლა უკვე სხვა შეხედულების ვარ, - განათლება ხელის შემშლელი აღარ არის.

ბატონებო, ნუთუ აზრის დამოუკიდებლობა, თუნდაც სულ მცირე, ესოდენ სამძიმოა თქვენთვის? ნეტარება მას, ვისაც მოეძევება სილამაზის იდეალი, თუნდაც მცდარი! მე კი მწამს ჩემი იდეალის. ოღონდ ესაა, რომ უხეიროდ გადმოგეცით. ამ ახლანდელს კი დასამახსოვრებლად შევინახავ გონებაში.

IV

მე დავამთავრე „იდეა“. თუ უგვანოდ, ზერელედ აგიწერეთ, - ჩემი ბრალია, და არა „იდეისა“. წინდაწინვე გაგაფრთხილეთ, უმარტივესი იდეები ყველაზე ძნელი გასაგებია-მეთქი; ახლა დავურთავ, რომ უფრო ძნელი გადმოსაცემიცაა, მით უმეტეს, რომ „იდეას“ მისი ადრინდელი სახით აღვწერდი. იდეისთვის არსებობს საპირისპირო კანონიც: უგვანო, ნაჩქარევი იდეები არაჩვეულებრივად ადვილი გასაგებია ხოლმე და გასაგებია უსათუოდ ბრბოსთვის, მთელი ქუჩისთვის; ეგ კიდევ არაფერი, ასეთ იდეებს უდიდეს და უგენიალურეს იდეებად მიიჩნევენ ხოლმე, ოღონდ - მხოლოდ და მხოლოდ მათი წარმოშობის დღეს. ყველაფერს, რაც იაფფასიანია, გამძლეობა აკლია. როცა რაიმეს სწრაფად იგებენ - ეს მხოლოდ ამ გასაგების უგვანობას მოასწავებს. ბისმარკის იდეა თვალის დახამხამებაში იქცა გენიალურად, ხოლო თვით ბისმარკი - გენიოსად; მაგრამ სწორედ ეს სისწრაფეა საეჭვო: მე ველი ბისმარკს ათი წლის შემდეგ და მაშინ ვნახოთ, რა დარჩება მისი იდეისგან ან, იქნებ, თვით ბატონი კანცლერისგან. ცხადია, ეს უაღრესად გარეშე შენიშვნა, რომელიც სათოფედაც არ ეკარება ჩემს საქმეს, შედარებისთვის არ ჩამირთავს, - ესეც დასამახსოვრებლად ვთქვი (ეს ახსნა მეტისმეტად მიუხვედრელი მკითხველისთვისაა განკუთვნილი).

ახლა კი გიამბობთ ორ ანეკდოტს, რათა ამით საბოლოოდ შევეშვა „იდეას“ და თან ისე, რომ შემდეგში მოყოლის დროს ხელი აღარ შემიშალოს.

ზაფხულში, ივლისში, პეტერბურგში წამოსვლამდე ორი თვით ადრე, როცა უკვე სავსებით თავისუფალი გავხდი, მარია ივანოვნამ მთხოვა, ჩავსულიყავი სამების დასახლებაში, იქ მცხოვრებ ერთ მოხუც ქალთან საქმეზე, - ეს საქმე ძალზე უინტერესოა და არ ღირს დაწვრილებით მოყოლა. იმავე დღეს, იქიდან რომ ვბრუნდებოდი, ვაგონში ერთი მაიმახი ყმაწვილი კაცი შევამჩნიე, გვარიანად, მაგრამ უსუფთაოდ ჩაცმული, მუწუკებიანი. - ბინძური შავგვრემანი. ის იმით გამოირჩეოდა, რომ ყოველ სადგურსა და პატარა გაჩერებაზე აუცილებლად ძირს ჩადიოდა და არაყს ყლურწავდა. გზის დასასრულს მის ირგვლივ თავი მოიყარა მხიარულმა, თუმცა ფრიად უხეირო კომპანიამ. ერთი, აგრეთვე ცოტა შექეიფიანებული ვაჭარი განსაკუთრებით აღტაცებული იყო იმით, რომ ამ ყმაწვილ კაცს შეეძლო განუწყვეტლივ ესვა და არ კი

თვრებოდა. ძალიან კმაყოფილი იყო კიდევ ერთი ახალგაზრდა, ძალზე ცერცეტი და ლაქლაქა ვინმე, რომელსაც გერმანულ ყაიდაზე ეცვა და საკმაოდ ცუდი სუნი ასდიოდა, - როგორც მერე შევიტყვე, ლაქია ყოფილიყო; ეს დაუმეგობრდა კიდეც არყის მსმელ ყმაწვილს და, მატარებელი გაჩერდებოდა თუ არა, მიიპატიჟებდა ხოლმე: ახლა კი დროა, არაყს შევექცეთო, - და ორივენი ხელიხელგადახვეულნი ჩამოდიოდნენ სადგურზე. მსმელი ყმაწვილი კაცი თითქმის ხმას არ იღებდა, მოსაუბრეები კი უფრო და უფრო ემატებოდნენ; ის ყველას უსმენდა, ერთთავად იღრიჯებოდა, დადორბლილი ხითხითებდა და დროგამოშვებით, მაგრამ მუდამ მოულოდნელად წარმოთქვამდა რაღაც ბგერებს, „ტიურ-ლიურ-ლიუ!“-ს მაგვარს, თანაც ძალზე სასაცილოდ მიჰქონდა თითი ცხვირთან. სწორედ ეს ამხიარულებდა ვაჭარსაც, ლაქიასაც და ყველას და მეტისმეტად ხმამაღლა და უბოდიშოდ იცინოდნენ. ვერ გაიგებ, რა აცინებს ხანდახან ხალხს. მეც მივედი მათთან და - ვერ გამიგია რატომ, თითქოს მეც მომეწონა ეს ყმაწვილი კაცი; იქნებ იმიტომ, რომ მეტად აშკარად არღვევდა საყოველთაოდ მიღებულ და გაცვეთილ წესებს, მოკლედ, ვერ მივხვდი, რომ ბრიყვთან მქონდა საქმე; მაშინვე ისე დავუძმაკაცდი, რომ შენობით ვლაპარაკობდით. ვაგონიდან გამოსვლისას შევიტყვე, რომ საღამოთი, ასე ცხრა საათისთვის, ტვერის ბულვარში მოვიდოდა. ეს ყმაწვილი კაცი ყოფილი სტუდენტი გამოდგა. მივედი ბულვარზე და აი, რა ოინი მასწავლა: მე და ის დავდიოდით ბულვარიდან ბულვარში და, როგორც კი შევამჩნევდი შორიახლოს მომავალ წესიერი ოჯახის ქალს, მაშინვე ავედევნებოდით ოღონდ მაშინ, როცა ახლომახლო არავინ იყო. ქალს სიტყვასაც არ ვეუბნებოდით, ყოფილი სტუდენტი ერთი მხრიდან ამოუდგებოდა, მე - მეორე მხრიდან და, თითქოს ქალს სულაც ვერ ვამჩნევდით, არხეინად ვაბამდით ყოვლად უწმაწურ ლაპარაკს. ჩვენ ყველა საძაგლობას თავისი ნამდვილი სახელით მოვიხსენიებდით, თან ყოვლად მიამიტი სახით, თითქოს ასეცაა საჭიროო, და მოვყვებოდით ათასნაირი სიბილწის და ღორობის ახსნას ისე წვრილად, რომ ყველაზე გარყვნილი კაცის ყველაზე ბინძურ წარმოსახვაც კი მსგავსს ვერაფერს მოიგონებდა (მე, ცხადია, მთელი ეს ცოდნა ჯერ კიდევ სკოლებში შევიძინე, გიმნაზიაში შესვლამდეც კი, ოღონდ მხოლოდ სიტყვებით, და არა საქმით). ქალი ფრთხებოდა, ფეხს უჩქარებდა, რომ გაგვცლოდა, მაგრამ ჩვენც ავჩქარდებოდით და ჩვენსას განვაგრძობდით. მსხვერპლი, რა თქმა უნდა, ვერაფერს ხდებოდა, ტყუილად ხომ არ იყვირებდა უკაცრიელ ქუჩაში. უცნაურიც კი იქნებოდა, ვინმესთვის რამე შეეჩივლა. ამ თავის შექცევაში რვა დღემ გაიარა; ვერ გამიგია, რას ვხედავდი ამაში მოსაწონს; არც მომწონდა, მაგრამ მაინც. თავდაპირველად ორიგინალურიც კი მეჩვე-

ნა, როგორც ისეთი რამ, რაც თითქოს სცილდებოდა ჩვეულებრივ, საყოველთაო პირობებს; თანაც ქალებს ვერ ვიტანდი. ერთხელ ვუამბე სტუდენტს, ჟან-ჟაკ რუსო თავის „აღსარებაში“ ამბობს, ჭაბუკი რომ ვიყავი, მიყვარდა ჩუმად კუთხეში მიმდგარს გამეშიშვლებინა და გამომეჩინა სხეულის ჩვეულებრივად დაფარული ნაწილები და ამ სახით დავლოდებოდი გამვლელ ქალებსო. სტუდენტმა თავისი ტიურ-ლიურ-ლიუ-თი მიპასუხა. შევამჩნიე, რომ საშინლად უვიცი ვინმე იყო და საოცრად ცოტა რამ აინტერესებდა. არ გააჩნდა არც ერთი ფარული იდეა, რომლის პოვნასაც ვიმედოვნებდი მასში. ორიგინალობის ნაცვლად ერთფეროვნება შემრჩა ხელთ. უფრო და უფრო ნაკლებ მომწონდა სტუდენტი. ბოლოს ყველაფერი სრულიად მოულოდნელად დასრულდა: ერთხელ, უკვე მთლად დაღამებულზე, გადავეკიდეთ ერთ გოგონას, რომელიც აჩქარებით და დამფრთხალი მოაბიჯებდა ბულვარში; თექვსმეტი წლისა თუ იქნებოდა, იქნებ ნაკლებიც; ძალზე უბრალოდ და სადად ეცვა, თავისი შრომით თუ ირჩენდა თავს და სამუშაოდან შინ ბრუნდებოდა მოხუც დედასთან, წვრილშვილიან ქვრივთან; თუმცა რა საჭიროა გრძნობებში გადავარდნა. გოგონა ერთხანს გვისმენდა და თავდახრილი, პირბადეჩამოფარებული, შიშითა და თრთოლვით მიიჩქაროდა, მაგრამ უცებ შეჩერდა. გადაიწია პირბადე თავისი, რამდენადაც მახსოვს, საკმაოდ ეშხიანი, გამხდარი სახიდან და თვალდაკვესებულმა მოგვაძახა:

– აჰ, რა არამზადები ხართ!

ამის მერე იქნებ ატირებულიყო კიდეც, მაგრამ სულ სხვა რამ მოხდა: გაიქნია თავისი პატარა, გალეული ხელი და სტუდენტს ისეთი სილა გააწნა, როგორიც, ალბათ, არავის არასოდეს გაუწნავს მისთვის. ისეთი ტკაცანი გაიღო, რომ რა ვთქვა! სტუდენტმა შეაგინა და გამოეკიდა, მაგრამ მე დავიჭირე და გოგონამ გაქცევა მოასწრო. მარტონი რომ დავრჩით, მაშინვე წავიჩხუბეთ: გადმოვულაგე ყველაფერი, რაც გულში დამიგროვდა: ვუთხარი, რომ ის მხოლოდ საცოდავი უნიჭობა და უფერულობაა და არასოდეს არ ჰქონია იდეის თუნდაც მცირე ნიშანწყალიც კი. იმანაც შემაგინა... (ერთხელ ვუთხარი, რომ უკანონოდ შობილი ვარ), შემდეგ ფურთხებით გავშორდით ერთმანეთს და მას მერე აღარ მინახავს. იმ საღამოს ბრაზი მახრჩობდა, მეორე დღეს ცოტათი მომეშვა გულზე, მესამე დღეს კი საერთოდ გადამავიწყდა ყველაფერი. თუმცა ხანდახან მაინც მაგონდებოდა ის გოგონა, მაგრამ შემთხვევით და გაკვრით. მხოლოდ პეტერბურგში ჩამოსვლის მერე, ორიოდე კვირა რომ გავიდა, უცებ გამახსენდა მთელი ის სცენა, – გამახსენდა

და ერთბაშად ისე შემრცხვა, სირცხვილის ცრემლი დამედინა ლოყებზე, ნამდვილი ცრემლი. მთელი ის საღამო და ღამე ვიტანჯებოდი, ნაწილობრივ ახლაც ვიტანჯები. თავდაპირველად ვერ გამეგო, როგორ შემეძლო მაშინ ასეთი სიმდაბლე, ასე სამარცხვინოდ დაცემა და, რაც მთავარია - როგორ შემეძლო დამევიწყებინა ეს შემთხვევა ისე, რომ არ შემრცხვენოდა, სინანული არ აღმძვროდა. მხოლოდ ახლა გავიაზრე, რასთან მქონდა საქმე: ეს „იდეის“ ბრალი იყო. მოკლედ, პირდაპირ ვასკვნი, რომ როცა ჭკუაში გაგიჯდება რაღაც უძრავი, მარადიული, ძლიერი, რომლის გარდა სხვა არაფრისთვის აღარ გცალია, - ამით თითქოს ქვეყნიერებას ერიყები და უდაბნოში გადადიხარ, და ყველაფერი, რაც ხდება, თითქოს სადღაც შენს მიღმა მიმდინარეობს, მთავარის გვერდის ავლით. შთაბეჭდილებებიც კი არასწორად აღიქმება. და, გარდა ამისა, მთავარი ისაა, რომ მუდამ გაქვს თავის გასამართლებელი. რარიგ ვაწვალებდი მთელი ეს ხანი დედას, რა სამარცხვინოდ ვტოვებდი ჩემს დას: „ე, მე „იდეა“ მაქვს, სხვა დანარჩენი კი წვრილმანია“, - აი, თითქოს რას ვეუბნებოდი ჩემს თავს. მეც მაყენებდნენ შეურაცხყოფას, და მტკივნეულადაც, - მოვდიოდი შეურაცხყოფილი და მერე უცებ ვეუბნებოდი ჩემს თავს: „ე, მე სულმდაბალი ვარ, მაგრამ მაინც მაქვს „იდეა“, მათ კი არაფერი იციან ამის შესახებ“. „იდეა“ მანუგეშებდა და მიადვილებდა შერცხვენასაც და არარაობასაც; ჩემი ყველა სისაძაგლეც თითქოს ამ იდეის უკან იმალებოდა; ის, ასე ვთქვათ, მიმსუბუქებდა ყველაფერს, მაგრამ თან ბურუსითაც ფარავდა, რაც რამ იყო ჩემ წინ; მაგრამ შემთხვევათა და საგანთა ასეთ ბუნდოვან გაგებას, რა თქმა უნდა, შეუძლია ავნოს თვით „იდეასაც“ კი, სხვა რომ არაფერი ვთქვათ.

ახლა მეორე ანეკდოტი.

შარშან, პირველ აპრილს, მარია ივანოვნას დღეობა იყო. საღამოთი რამდენიმე სტუმარი გვეწვია. უცებ, გავიხედეთ და, შემოიჭრა აქოშინებული აგრაფენა და გამოაცხადა, წინკარში, სამზარეულოს წინ, ჩვილი ბავშვი შემოუგდიათ, ტირის და რა ვქნა, არ ვიციო. ამ ამბავმა ყველა აგვაღელვა, გავედით და რას ვხედავთ - დგას პატარა კალათა, კალათაში კი - სამი თუ ოთხი კვირის გოგონა ჭყავის. ავიღე კალათა, შევიტანე სამზარეულოში, და მაშინვე ვიპოვე დაკეცილი ბარათი: „ძვირფასო კეთილისმყოფელო. აღმოუჩინეთ გულმოწყალე შემწეობა არინად მონათლულ გოგონას, ხოლო მე და ის მარად აღვავლენთ ჩვენს ცრემლებს ტრაპეზის წინაშე და გილოცავთ სახელობით დღეს; თქვენთვის უცნობი ადამიანები“. აქ ნიკოლაი სემიონოვიჩმა, ჩემთვის

ესოდენ პატივსაცემმა ადამიანმა, ძალზე მატკინა გული: მან ფრიად სერიოზული სახე მიიღო და გადაწყვიტა, გოგონა დაუყოვნებლივ გაეგზავნა აღმზრდელობით სახლში. სევდა შემომაწვა. ძალიან ხელმოკლედ ცხოვრობდნენ, მაგრამ შვილები არ ჰყავდათ და ნიკოლაი სემიონოვიჩს ეს მუდამ უხაროდა. ფრთხილად ამოვიყვანე არინოჩკა კალათიდან, ხელი ჩავავლე პაწია მხრებში და ავწიე; კალათიდან რაღაცნაირი მჟავე და ცხარე სუნი ამოდიოდა, როგორიც აქვთ ხოლმე დიდი ხნის დაუბანელ ძუძუთა ბავშვებს. ერთხანს შევედავე ნიკოლაი სემიონოვიჩს და მერე უცებ გამოვუცხადე, გოგონას გასაზრდელად ჩემს ხარჯზე ავიყვან-მეთქი. ხომ ძალიან გულკეთილი კაცი იყო, მაგრამ აქ, ცოტა არ იყოს, მკაცრად შემომედავა. და თუმცა თავისი განზრახვა არ შეუცვლია, მაინც ისე მოხდა, როგორც მე მინდოდა: იმავე ეზოში, ოღონდ მეორე ფლიგელში, ერთი ძალზე ღარიბი დურგალი ცხოვრობდა, უკვე ხანში შესული და მსმელი კაცი; მის ცოლს, ჯერ არც ისე ხნიერსა და ძალიან ჯანმრთელ დედაკაცს, იმ ხანებში მოუკვდა ძუძუთა ბავშვი და რაც, მთავარია, ერთადერთი შვილი, რომელიც რვა წლის უშვილობის მერე ეყოლათ. ისიც გოგონა იყო და იმასაც - საოცარი ბედია - არინოჩკა ერქვა. ვამბობ, ბედი-მეთქი, რადგან, როცა სამზარეულოში ვდაობდით, ამ დედაკაცს გაეგო ეს ამბავი, მოირბინა ბავშვის სანახავად და როცა შეიტყო, ესეც არინოჩკააო, - გული აუჩვილდა. რძე ჯერ კიდევ არ გაშრობოდა, მკერდი გადაიღეღა და პაწიას ძუძუ მისცა: მეც შევუჩნდი და არ მოვეშვი: წაიყვანე და ყოველთვე ფულს გადაგიხდიმეთქი. ქალი შიშობდა, ვაითუ ქმარმა არ დამანებოსო, მაგრამ იმ ერთ ღამით წაიყვანა. დილით ქმარმა ნება დართო, აეყვანა თვეში რვა მანეთად და მეც მაშინვე წინდაწინ ჩავუთვალე რვა მანეთი; დურგალმა იმწუთასვე არაყში მიახარჯა ფული. ნიკოლაი სემიონოვიჩი ისევ უცნაურად იღიმებოდა, მაგრამ დამთანხმდა, თავდებად დამდგომოდა დურგალთან, რომ ყოველთვე ბეჯითად გადავიხდიდი რვა მანეთს. მინდოდა ჩემი სამოცი მანეთი მიმეცა ნიკოლაი სემიონოვიჩისთვის, რათა უზრუნველმეყო მისი თავდებობა, მაგრამ არ გამომართვა; თუმცა, ესეცაა - მან იცოდა, რომ ფული მქონდა და მენდობოდა. მისმა ამ სათუთმა დამოკიდებულებამ გააქარვა ჩვენი წუთიერი წაკიდება. მარია ივანოვნა არაფერს ამბობდა, ოღონდ უკვირდა კი, ასეთი საზრუნავი რომ ავიკიდე. განსაკუთრებით დავაფასე მათი სისათუთე იმ მხრივ, რომ არც ერთ მათგანს არ უკადრებია, თუნდაც ოდნავ დაეცინა ჩემთვის, პირიქით, ისე სერიოზულად მოეკიდნენ საქმეს, როგორც საჭირო იყო. მე ყოველდღე, დღეში სამჯერ მაინც, მივრბოდი დარია როდიონოვნასთან, ხოლო ერთი კვირის მერე პირადად მას, ქმრისგან მალულად, კიდევ სამი მანეთი ვაჩუქე, სამი მანეთიც პაწიას საბანსა და ქვეშს-

აგებზე დავხარჯე, მაგრამ ათი დღის მერე არინოჩკა უცებ ავად გახდა. მაშინვე მოვიყვანე ექიმი, რაღაც გამოუწერა, მთელი ღამე თავს დავტრიალებდით, გავაწამეთ პაწია იმ საზიზღარი წამლით, მეორე დღეს კი ექიმმა გამოგვიცხადა, გვიანღაააო, და ჩემს თხოვნაზე - თუ მგონი საყვედურზე, - კეთილშობილურად მიედ-მოედო: „მე ღმერთი არ გახლავართო“. გოგონას ენაზე, ტუჩებსა და მთელ პირში რაღაცამ თეთრად გამოაყარა და საღამოთი სული დალია, თან მომჩერებოდა თავისი დიდრონი, მაყვალივით შავი თვალებით, თითქოს უკვე გაეგებოდა რამე. ვერ გამიგია, რატომ ფიქრად არ მომივიდა, გადამეღო მიცვალებულისთვის სურათი. აბა ვინ დაიჯერებს, რომ იმ საღამოს კი არ ვტიროდი, ვბღაოდი, რისი ნებაც ადრე არასოდეს მიმიცია ჩემი თავისთვის, და მარია ივანოვნა იძულებული შეიქნა, ვენუგეშებინე, - და ისევ, არც მას და არც ნიკოლაი სემიონოვიჩს ოდნავადაც არ დაუცინიათ ჩემთვის. დურგალმავე გააკეთა პაწია ლამაზი კუბო; მარია ივანოვნამ კუბო ლეჩაქით მორთო, ჩადო შიგ პაწია ლამაზი ბალიში, მე კი ყვავილები ვიყიდე და დავაყარე ჩვილს. ასე წაიღეს ჩემი საცოდავი კოკობი, რომელიც, არ დაიჯერებთ, დღემდე ვერ დამივიწყებია. მაგრამ ცოტა ხანი რომ გავიდა, ამ თითქმის უეცარმა ამბავმა ძალიანაც ჩამაფიქრა. რა თქმა უნდა, არინოჩკა ძვირი არ დამჯდომია, - ყველაფერს: კუბოს, დამარხვას, ექიმს, ყვავილებსა და დარია როდიონოვნას გასამრჯელოს სამ თუმანზე მეტი არ მონდომებია. ეს ფული, პეტერბურგში წამოსვლისას, ავინაზღაურე იმ ორმოცი მანეთით, ვერსილოვმა რომ გამომიგზავნა საგზაოდ, და ზოგიც ჩემი ბარგი გავყიდე, ასე რომ, მთელი ჩემი „კაპიტალი“ ხელუხლებელი დარჩა. „მაგრამ, - გავიფიქრე, - მე თუ ასე გადავუხვიე ხილმე ჩემს გზას, კარგადაც წამივა საქმე“. სტუდენტთან მომხდარი ამბიდან გამოდიოდა, რომ „იდეას“ შეუძლია ისე გამიტაცოს, შთაბეჭდილებები გამიბუნდოვანოს და ყურადღება მოვაკლი სინამდვილეს. არინოჩკას ამბიდან კი საწინააღმდეგო გამოდიოდა, რომ არავითარ „იდეას“ არ შეუძლია ისე გატაცება (ყოველ შემთხვევაში - ჩემი), რომ უცებ არ შემაჩეროს რომელიმე გულისმომკვლელმა ფაქტმა და ერთბაშად მსხვერპლად არ მიმატანინოს ყოველივე, რაც წლების მანძილზე შრომით მომიპოვებია „იდეისთვის“. ასეა თუ ისე, ორივე ეს დასკვნა სწორი იყო.

თავი მეექვსე - I

ჩემი იმედი მთლიანად არ გამართლებულა: ჩვენები მარტონი არ დამხვედრიან: თუმცა ვერსილოვი შინ არ იყო, მაგრამ დედაჩემთან იჯდა ტატიანა პავლოვნა - რაც უნდა იყოს, მაინც უცხო ადამიანი. დიდსულოვანი განწყობილება მაშინვე გამინახევრდა, საოცარია, რა ჩქარი ვარ და რა მალე მეცვლება ხოლმე გუნება. ამგვარ შემთხვევაში: იოტისოდენა, ერთი ბეწო რამ საკმარისია, რომ კეთილი ზრახვები გამიქრეს და ცუდი აღმეძრას. ცუდი შთაბეჭდილებები კი, ჩემდა სამწუხაროდ, არცთუ იოლად მიქრება, თუმცა გამყოლი გული არ მაქვს. როცა შევედი, მყის შევამჩნიე, რომ დედამ მაშინვე შეწყვიტა ტატიანა პავლოვნასთან ლაპარაკი, თანაც, მგონი, მეტად გაცხოველებული ლაპარაკი. ჩემი და ის წუთი იყო, სამუშაოდან დაბრუნებულიყო და ჯერ არ გამოსულიყო თავისი სენაკიდან.

ბინა სამი ოთახისგან შედგებოდა. შუა ოთახი ანუ სასტუმრო, სადაც ვისხედით ხოლმე ჩვეულებრივად ყველანი, ყველაზე დიდი და ნორმალური ოთახი იყო. რაც უნდა იყოს, იდგა წითელი და რბილი, თუმცა საკმაოდ გაქექილი (ვერსილოვი ვერ იტანდა შალითებს) სავარძლები, აქა-იქ ხალიჩები, რამდენიმე მაგიდა და გამოუსადეგარი პატარ-პატარა მაგიდები. მარჯვნივ იყო ვერსილოვის ოთახი, პატარა და ვიწრო, ერთსარკმლიანი: შიგ ერთი საცოდავი საწერი მაგიდა იდგა, ზედ ეყარა რამდენიმე წიგნი, რომელთაც არავინ კითხულობდა, და მივიწყებული ქაღალდები, ხოლო მაგიდის წინ იდგა არანაკლებ უბადრუკი რბილი სავარძელი, რომელშიც ზამბარა ამოჩრილიყო; ამ ზამბარას ხშირად აუკვნესებია და აუბუზღუნებია ვერსილოვი. ლოგინსაც ამავე კაბინეტში, რბილსა და ასევე გაქექილ დივანზე უგებდნენ; ვერსილოვს ეჯავრებოდა თავისი კაბინეტი, მგონი, არც არაფერს აკეთებდა იქ და ამჯობინებდა, საათობით უსაქმოდ სასტუმრო ოთახში მჯდარიყო. სასტუმრო ოთახის მარცხნივ მდებარეობდა ზუსტად ასეთივე პატარა ოთახი, იქ დედაჩემს და ჩემს დას ეძინათ. სასტუმროში უნდა შემოსულიყავით დერეფნიდან, რომლის ბოლოს გახლდათ შესასვლელი სამზარეულოში, სადაც ცხოვრობდა მზარეული ქალი ლუკერია და როცა კერძს ამზადებდა, მთელი ბინა უმოწყალოდ ახრჩოლდებოდა ხოლმე მიმწვრის სუნით. ვერსილოვს ხშირად ხმამაღლა დაუწყევლია თავ-ბედი სამზარეულოს კვამლის გამო. და ეს იყო ერთადერთი რამ, რაშიც მეც სავსებით თანავუგრძნობდი; მეც მეჯავრებოდა ასეთი სუნი, თუმცა ჩემთან ვერ აღწევდა: მე ზევით, სახურავქვეშ ვცხოვრობდი ერთ ციცქნა ოთახში, სადაც მეტად დამრეცი და ჭრიალა კიბით ავდიოდი. ჩემს ოთახში

ღირსშესანიშნავი იყო მომრგვალო სარკმელი, საშინლად დაბალი ჭერი, მუშამბის დივანი, რომელზეც ლუკერია ღამით ზეწარს მიგებდა და ბალიშს მიდებდა, ჩემი ოთახის დანარჩენი მორთულობა მხოლოდ ერთი უბრალო ყავრის მაგიდა და დაგლეჯილი წნული სკამი გახლდათ.

თუმცა, უნდა ითქვას, რომ მაინც გვქონდა შემორჩენილი ადრინდელი ფუფუნების ერთგვარი ნაშთი; სასტუმროში, მაგალითად, გვედგა საკმაოდ კარგი ფაიფურის ლამპა; ერთ კედელზე ეკიდა დრეზდენის მადონას დიდი, საუცხოო გრავიურა, ხოლო მის პირდაპირ - ფლორენციის ტაძრის ბრინჯაოს სხმული კარიბჭის ვეება, ძვირფასი ფოტოგრაფია. ამავე ოთახში, კუთხეში ეკიდა დიდი სახატე ძველი, საგვარეულო ხატებით, რომელთაგან ერთს (ყველა წმინდანი რომ იყო გამოსახული) გადაკრული ჰქონდა დიდი, ოქროთი დაფერილი ვერცხლის მოჭედილობა, სწორედ ის, რომლის დაგირავებაც უნდოდათ, ხოლო მეორეს (ღვთისმშობლის ხატს) - ხავერდის სამოსი, მარგალიტით მოოჭვილი. ხატების წინ ეკიდა კანდელი, რომელსაც ყოველი დღესასწაულის წინ ანთებდნენ. ვერსილოვი ხატებს, მათი მნიშვნელობის მხრივ, აშკარად გულგრილად ეკიდებოდა, მხოლოდ შეიჭმუხნებოდა ხანდახან, როცა კანდელის შუქი დაფერილ მოჭედილობაზე აირეკლებოდა და ანარეკლი სახეში მოხვდებოდა, მაგრამ თავს იკავებდა, ოღონდ წუწუნებდა, ეს ანარეკლი თვალებს მიფუჭებსო, თუმცა მაინც არ უკრძალავდა დედას მის ანთებას.

მე, ჩვეულებრივ, მდუმარედ და დაღვრემილი შევდიოდი ოთახში, შესვლისას რომელიმე კუთხეს მივაჩერდებოდი, ხანდახან სალამს კი არ ვამბობდი. ყოველთვის ამაზე ადრე ვბრუნდებოდი და სადილი ჩემთან ზემოთ ამოჰქონდათ ხოლმე. ახლა რომ შევედი, უცებ ვთქვი: „გამარჯობა, დედა“, რაც წინათ არასოდეს მიქნია, თუმცა მორცხვობისგან ვერც ახლა გავუსწორე თვალი და კუთხეში მივჯექი. ძალიან დაღლილი ვიყავი, მაგრამ ახლა ამის დარდი არ მქონდა.

- ეს რეგვენი ისევ თავისებურად უზრდელად შემოდის ოთახში, - შემომსისინა ტატიანა პავლოვნამ; მას წინათაც შევუმკივარ ამნაირად და ეს ორივეს ჩვეულებად გვექცა.

- გაგიმარჯოს... - მომიგო დედამ, თითქოს ცოტა არ იყოს, დაბნეულმა ჩემი მისალმებით.

- სადილი რახანია მზადაა, - დააყოლა მან, თან თითქოს დაირცხვინა და უხერხულად იგრძნო თავი, - ნეტავ წვენი არ გაცივებულიყო,

კატლეტებს კი ახლავე მოვატანინებ... - საჩქაროდ დააპირა წამოდგომა, რათა სამზარეულოში გასულიყო, და მთელ ამ ერთ თვეში იქნებ პირველად შემრცხვა, რომ ის რაღაც მეტისმეტად მკვირცხლად წამოხტა, რათა მე მომმსახურებოდა, დღემდე კი მე თვითონ მოვითხოვდი ხოლმე ამას.

- მადლობას მოგახსენებთ, დედა, სადილი უკვე გეახელით. თუ ხელს არ შეგიშლით, აქ დავისვენებ.

- აჰ... არა უშავს... რატომაც არა, იჯექი...

- ნუ წუხხართ, დედა, ანდრეი პეტროვიჩს უკმეხად აღარ მოვეპყრობი, - ერთბაშად მივახალე.

- ღმერთო დიდებულო, რა დიდსულოვანი ვინმე ყოფილა! - იყვირა ტატიანა პავლოვნამ. - გეთაყვა, სონია, ნუთუ ისევ თქვენობით ელაპარაკებით? რა დიდი ვინმე ეგა ბრძანდება, რომ ეგეთი მოწიწებით ეპყრობოდეს ვინმე, ისიც ღვიძლი დედა! დაიხედე ერთი, რა შემკრთალი დგახარ მის წინაშე. ვაი, სირცხვილო!

- მეც ძალიან მესიამოვნებოდა, დედა, თუ შენობით დამელაპარაკებოდით.

- ახ... ჰოდა, ძალიან კარგი, ეგრე იყოს, - აფუსფუსდა დედაჩემი. - მე ხომ ყოველთვის არა... კარგი, ამას იქით მეცოდინება.

დედა ყურის ბიბილოებამდე გაწითლდა. მართლაც ძალზე მიმზიდველი იყო ხოლმე ხანდახან... მიამიტი, მაგრამ არა უბრალო, ოდნავ ფერმკრთალი, სისხლნაკლული სახე ჰქონდა. ლოყები - ძალიან გამხდარი, ჩაცვივნულიც კი, შუბლზე უკვე საკმაოდ დასჩენოდა ნაოჭები, მაგრამ თვალებთან ჯერ არ აჩნდა და საკმაოდ დიდრონ, ნათელ თვალებში მუდამ უკრთოდა წყნარი და მშვიდი შუქი, რომელმაც პირველი დღიდანვე მიმიზიდა. მიყვარდა ისიც, რომ სახეზე სულაც არ ეწერა ნაღველი ან სიბეჩავე; პირიქით, მხიარული გამომეტყველებაც კი ექნებოდა, ხშირად, ხანდახან ტყუილუბრალოდაც, შეშინებული რომ არ წამომხტარიყო და არ ეშფოთა; ხან სულ არაფრის გამო დაფრთხებოდა, სანამ გაფაციცებით უგდებდა ყურს ვინმეს ლაპარაკს, ვიდრე არ დარწმუნდებოდა, ყველაფერი ძველებურად კარგადააო. ყველაფერი კარგადაა - მისთვის ზუსტად იგივე იყო, რაც „ყველაფერი ძველებურადაა“. ოღონდ არაფერი შეცვლილიყო, ოღონდ არაფერი ახალი არ მო-

მხდარიყო, თუნდაც საბედნიერო!... კაცი იფიქრებდა, ოდესღაც, ბავშვობაში დაუშინებიათო. გარდა თვალებისა, მომწონდა მისი სახის ოვალური მოყვანილობა და, ყვრიმალები ოდნავ ნაკლებგანიერი რომ ჰქონოდა, არამცთუ ახალგაზრდობაში, ახლაც ლამაზად ჩაითვლებოდა. ახლა ოცდაცხრამეტზე მეტის არ იყო, მაგრამ მუქ ქერა თმაში საკმაოდ გარეოდა ჭაღარა.

ტატიანა პავლოვნამ სასტიკი აღშფოთებით შეხედა დედას.

- ამ უცხვირპიროს წინ ასეთი კანკალი გაგონილა?! სასაცილო ხარ, სოფია; გიყურებ და ბრაზი მომდის!

- ახ, ტატიანა პავლოვნა, ახლა მაინც ნუღარ ექცევით ასე! იქნებ ხუმრობთ, ჰა? - დაუმატა დედამ, როცა ღიმილისმაგვარი შენიშნა ტატიანა პავლოვნას. ტატიანა პავლოვნას ლანძღვას ხშირად მართლაც სერიოზულად ვერ მიიღებდა კაცი, მაგრამ ახლა ეს ღიმილი (თუკი მართლაც გაიღიმა), რა თქმა უნდა, დედაჩემმა მოჰგვარა, რადგან საშინლად უყვარდა მისი გულკეთილობა და, ეჭვი არ არის, შეამჩნია, რა ბედნიერი იყო, ჩემს მორჩილებას რომ ხედავდა.

- მე, რა თქმა უნდა, არ შემიძლია, ვერ ვიგრძნო, ტატიანა პავლოვნა, როგორ ეძგერებით ხოლმე ადამიანს, თან სწორედ მაშინ, როცა შემოსვლისთანავე ვთქვი, გამარჯობა, დედა-მეთქი, რაც წინათ არასოდეს გამიკეთებია, - ბოლოს საჭიროდ ჩავთვალე ამის თქმა.

- ერთი ამას უყურეთ, - იფეთქა ტატიანა პავლოვნამ, - რა დიდი პატივი დაგვდო! იქნებ დაგიჩოქოთ, რაკი შენს სიცოცხლეში ერთხელ გამოიჩინე ზრდილობა! ან ეს სადაური ზრდილობაა! რას მისჩერებიხარ ხოლმე კუთხეს, ოთახში რომ შემოდიხარ? განა არ ვიცი, რა დღეს აყრი დედაშენს?! ენა მოგძვრებოდა, მეც რომ მომსალმებოდი? ჩემს ხელში გაიზარდე, შენი ნათლია ვარ.

ცხადია, პასუხის ღირსად არ გავხადე. სწორედ ამ დროს შემოვიდა ჩემი და და მეც მაშინვე მას მივმართე:

- ლიზა, დღეს ვნახე ვასინი, შენი ამბავი მკითხა. იცნობ?

- ჰო, შარშან გავიცანი, ლუგაში, - სავსებით უბრალოდ მომიგო მან. ახლოს მომიჯდა და ალერსიანად შემომხედა. არ ვიცი, რატომ, მაგრამ მეგონა, როგორც კი ვასინს ვუხსენებდი, გაწითლდებოდა. ჩემი და ქერა იყო, ღია ქერა; თმა არც დედას უგავდა, არც მამას, მაგრამ თვალე-

ბი და სახის მოყვანილობა თითქმის დედაჩემისა ჰქონდა. ცხვირი - ძალიან სწორი, პატარა და კოხტა; კიდევ ერთი თვისებურება - სახეზე წვრილად ეყარა ჭორფლი, რაც დედას საერთოდ არ ჰქონდა. ვერსილოვისა ცოტა რამ გამოჰყოლოდა, მხოლოდ ტანკენარობა, სიმაღლე და რაღაცნაირი მომხიბვლელი სიარული. მე კი იოტისოდენადაც არ მგავდა; ჩვენ საპირისპირო პოლუსები ვიყავით.

- მე მათ სამი თვე ვიცნობდი, - დაუმატა ლიზამ.

- ეგ „მათ“ ვასინზე თქვი, ლიზა? უნდა თქვა მას, და არა მათ. მომიტევე, დაო, თუ გისწორებ, მაგრამ გული მტკივა, რომ მგონი, შენი აღზრდისთვის არავის ეცალა.

- დედის თანდასწრებით მაგის შენიშვნა დიდი უსინდისობაა შენი მხრივ, - აპილპილდა ტატიანა პავლოვნა, - თანაც სტყუი, ძალიანაც ეცალათ.

- მე დედაჩემზე არც ვამბობ რამეს, - მკვახედ მოვუჭერი სიტყვა, - იცოდეთ, დედა, რომ მე ლიზას ისე ვუყურებ, როგორც თქვენს მეორე სახებას; თქვენ ის ისეთივე მშვენიერი ხასიათისა და გულკეთილი გამოზარდეთ, როგორც უთუოდ თვითონ იყავით, ხართ ახლა და იქნებით კიდეც მუდამ... მე მხოლოდ გარეგნულ პეწზე მოგახსენებთ, მაღალი წრის ყველა იმ სისულელეზე, რაც მაინც აუცილებელია. მე მხოლოდ იმაზე ვიბოღმები, რომ ვერსილოვი უთუოდ არ გაგისწორებდა, მასთან რომ გეთქვა ვასინის შესახებ „მათო“, - იმდენად ქედმაღლურად და გულგრილად გვეპყრობა. აი, რა მხეთქავს გულზე!

- ერთი ამას დამიხედეთ, თვითონ ნამდვილი დათვია და ესეც რომ პეწის სწავლებაზე დებს თავს. არ გაბედოთ, ვაჟბატონო, დედასთან დღეის იქით არ გაბედოთ თქვათ: „ვერსილოვი“, ნურც ჩემთან გაბედავთ, არ შეგარჩენთ! - თვალები დააკვესა ტატიანა პავლოვნამ.

- დედა, დღეს ჯამაგირი მივიღე, ხუთი თუმანი, აჰა, გამომართვით, გეთაყვა!

მივუახლოვდი და ფული გავუწოდე; დედა მაშინვე შეშფოთდა.

- ახ, არ ვიცი, როგორ გამოგართვა! - თქვა და თითქოს ფულის ხელის მოკიდებისაც კი შეეშინდა. მე ვერაფერს მივხვდი.

- რას ბრძანებთ, დედა, თუ თქვენ ამ ოჯახში შვილად და ძმად მიგ-

აჩნივართ, მაშინ...

- დამნაშავე ვარ შენთან, არკადი; ერთ რამეში გამოგიტყდები, მაგრამ ძალიან მეშინია შენი...

ეს შემკრთალი ღიმილით მითხრა, თან თვალებში შემომყურებდა; მე ისევ ვერ მივხვდი და შევაწყვეტინე:

- მართლა, დედა, იცით, რომ დღეს გადაწყდა ანდრეი პეტროვიჩისა და სოკოლსკების საქმე სასამართლოში?

- ახ, ვიცი! - წამოიძახა მან, თან შიშით ხელისგულები ერთმანეთს მიადო (ეს მისი ჟესტი იყო).

- დღესაო? - ერთიანად შეკრთა ტატიანა პავლოვნა. - ეგ შეუძლებელია, მეტყოდა. შენ გითხრა? - მიუბრუნდა დედაჩემს.

- ახ, დღეს რომ არის, ეგ არ უთქვამს. მთელი კვირაა, შიშით აღარა ვარ. ნეტავ წაეგო, ვილოცებდი, ოღონდ მორჩეს და გათავდეს ყველაფერი, და ისევ ძველებურად ვიყოთ.

- მაშ, თქვენთვისაც არ უთქვამს, დედა! - წამოვიძახე მე - რა კაცია! აი, მისი გულგრილობისა და ქედმაღლობის დადასტურება; განა ამას არ ვამბობდი წეღან?

- როგორ გადაწყდა, როგორ? ვინ გითხრა? - მეცა ტატიანა პავლოვნა. - თქვი, რამ ჩაგიგდო ენა!

- აი ისიც! იქნებ გიამბოთ, - ვაუწყე მე, რადგან დერეფანში ფეხის ხმა გავიგონე და საჩქაროდ მივუჯექი ლიზას.

- ძმაო, ღვთის გულისათვის, შეიბრალე დედა, მოთმინება გამოიჩინე ანდრეი პეტროვიჩთან... - წამჩურჩულა ლიზამ.

- გამოვიჩენ, გამოვიჩენ, აკი მაგ ფიქრით მოვედი კიდევაც, - ხელი მოვუჭირე ხელზე. ლიზამ უნდობლად შემომხედა და მართალიც იყო.

II

იგი ძალზე კმაყოფილი სახით შემოვიდა, ისე კმაყოფილი, რომ საჭიროდაც კი არ ჩაუთვლია, დაეფარა თავისი განწყობილება. და საერთოდაც, უკანასკნელ ხანებში შეეჩვია იმას, რომ სავსებით მოურიდებლად ამჟღავნებდა თავის არა მარტო ცუდ, არამედ სასაცილო მხარესაც კი, - ამისი ხომ ყველას ეშინია ხოლმე; თან მშვენივრად იცოდა, ჩვენ მისხალ-მისხალ მივხვდებოდით ყველაფერს. ამ უკანასკნელ წელიწადს, როგორც ტატიანა პავლოვნამ აღნიშნა, ჩაცმა-დახურვის მხრივ ძალიან მოეშვა: მუდამ წესიერად ეცვა, მაგრამ ძველებს იცვამდა და აღარც ადრინდელი ლაზათი მოსდევდა. ეს კია, ვერსილოვი მზად იყო, ორ-ორი დღე ეტარებინა თეთრეული, რაზედაც დედაჩემს გულიც კი ტკიოდა; ეს, მათი აზრით, დიდი მსხვერპლი იყო, და თავდადებული ქალების მთელი ეს ჯგუფი დიდ გმირობად უთვლიდა ამას. მუდამ რბილ, ფართოფარფლებიან შავ ქუდს ატარებდა; როცა კარში ქუდი მოიხადა, სქელი, მაგრამ გვარიანად შეჭაღარავებული თმა გადმოეყარა. მიყვარდა მისი თმის ცქერა, როცა ქუდს მოიხდიდა ხოლმე.

- გამარჯობათ; ყველას თავი მოგიყრიათ; ესეც აქ ყოფილა? - დერეფანშივე გავიგონე მისი ხმა. - მგონი, ჩემს ლანძღვაში იყავი, არა?

მისი კარგ გუნებაზე ყოფნის ერთი ნიშანი ის იყო ხოლმე, რომ მაშინვე მე დამიწყებდა ხუმრობას. ცხადია, არ ვუპასუხე. შემოვიდა ლუკერია, ნავაჭრით სავსე პარკი შემოიტანა და მაგიდაზე დადო.

- გავიმარჯვე, ტატიანა პავლოვნა. სასამართლო მოვიგე, გასაჩივრებას კი, რა თქმა უნდა, თავადები ვერ გაბედავენ. საქმე ჩემს სასარგებლოდ გადაწყდა! ხელად ვიშოვე ათასი მანეთი სესხად. სოფია, დადე ეგ ხელსაქმე, თვალებს ნუ იწყალებ. ლიზა, მოხვედი სამუშაოდან?

- დიახ, მამა, - ტკბილად მიუგო ლიზამ; ის ვერსილოვს მამას ეძახდა; მე კი არაფრის გულისთვის არ მინდოდა ამას დავმორჩილებოდი.

- დაიღალე?

- დავიღალე.

- დაანებე თავი მუშაობას, ხვალ ნუღარ წახვალ, საერთოდ დაანებე.

- მამა, ჩემთვის ეგ უარესია.

- გთხოვ... საშინლად არ მიყვარს, როცა ქალები მუშაობენ, ტატიანა პავლოვნა.

- უმუშევრად ყოფნა როგორ იქნება? სად გაგონილა, ქალი არ მუშაობდეს...

- ვიცი, ვიცი, ეგ ყველაფერი საუცხოო და სწორია, და წინასწარვე გეთანხმებით; მაგრამ მე უმთავრესად ხელსაქმეზე ვამბობ. წარმოიდგინეთ, ჩემთვის ეს ბავშვობის ერთი მტკივნეული, უფრო სწორად, არასწორი შთაბეჭდილებაა. ხუთი-ექვსი წლის რომ ვიყავი, იმდროინდელი ბუნდოვანი მოგონებიდან ყველაზე ხშირად მაგონდება - და, რა თქმა უნდა, ზიზღით - მრგვალ მაგიდასთან მსხდომი ჭკვიანი, მკაცრი და პირქუში ქალები; მაკრატელი, ნაჭრები, თარგები და მოდური სურათი. ყველანი ერთ განსჯაში არიან, ნელა და მედიდურად აქნევენ თავს, არის ერთი გაზომვა, გაანგარიშება და გამოსაჭრელად მზადება. ყველა ეს ალერსიანი სახე, რომელთაც მე ასე ვუყვარვარ, ერთბაშად უკარება ხდება; ცოტაც რომ წავიცელქო, მაშინვე მომაშორებენ იქაურობას. ჩემი საწყალი ძიძაც, რომელსაც ხელი ჩაუვლია ჩემთვის, ისეთი გატაცებით უსმენს მათ, თითქოს სამოთხის ჩიტი მღერისო, და ყურადღებასაც არ მაქცევს, თუმცა ვყვირი და მოსვენებას არ ვაძლევ. აი, ახლაც კი მტკივნეულად მოქმედებს ჩემზე, როცა გამახსენდება ის მომენტი, როგორი მკაცრი ხდებოდა ეს ჭკვიანი სახეები თარგის გამოჭრის წინ და ისეთ გამომეტყველებას იღებდნენ, თითქოს რაღაც დიად საქმეს აკეთებენო. ტატიანა პავლოვნა, თქვენც საშინლად გიყვართ გამოჭრა! ეგ ძალიანაც არისტოკრატული თვისებაა, მაგრამ მე მაინც ის ქალი უფრო მიყვარს, რომელიც არ მუშაობს. შენს თავზე არ მიიღო, სოფია... თუმცა შენ ხომ წყენა არ იცი! ქალი უამისოდაც უდიდესი ძალაუფლებაა. თუმცა ეს შენც იცი, სონია. თქვენ რა აზრისა ხართ, არკადი მაკაროვიჩ, უთუოდ ამიჯანყდებით, არა?

- არა, რატომ, - მივუგე მე, - განსაკუთრებით კარგია გამოთქმა - ქალი უდიდესი ძალაუფლებაოო, თუმცა ვერ გამიგია, რატომ დაუკავშირეთ ეს მუშაობას. ხოლო, როდესაც ფული არა გაქვს, უმუშევრობა რომ არ შეიძლება, - ეს თქვენც მოგეხსენებათ.

- მაგრამ ახლა კმარა, - მიუბრუნდა იგი დედას, რომელიც ერთიანად გაბრწყინებულიყო (როცა ვერსილოვმა მე მომმართა, დედა საშინლად შეკრთა), - ყოველ შემთხვევაში, თუნდაც პირველ ხანებში აღარ

დავინახო ხელსაქმე, ჩემი გულისთვის, გთხოვ. შენ, არკადი, როგორც ჩვენი დროის ყმაწვილი, უთუოდ ცოტათი წაისოციალისტებ. ჰოდა, არ დაიჯერებ, მეგობარო, მაგრამ უქმად ყოფნა ყველაზე მეტად სწორედ მარად ჯაფაში მყოფ ხალხს უყვარს!

- იქნებ დასვენება და არა უქმად ყოფნა.

- არა, სწორედ რომ უქმად ყოფნა, სრულიად არაფრის კეთება; ამ-აშია იდეალი! მე ვიცნობდი ერთ კაცს, რომელიც თავისი დღე და მოსწ-რება შრომობდა, თუმცა ხალხიდან არ იყო გამოსული; საკმაოდ გან-ვითარებული კაცი იყო და განზოგადებაც შეეძლო. მთელი თავისი ცხ-ოვრება, იქნებ ყოველდღე, გულის გადალევამდე და სასოებით ოცნებ-ობდა სრულ უსაქმურობაზე, ასე ვთქვათ, იდეალი აბსოლუტამდე აჰყ-ავდა, - უსასრულო დამოუკიდებლობამდე, ოცნებისა და უქმი ჭვრეტის მარადიულ თავისუფლებამდე. და ასე იყო, სანამ ხელი არ მოუთავა მუშაობამ; მისი გამოკეთება აღარ შეიძლებოდა; საავადმყოფოში ამ-ოხდა სული. ხანდახან მზად ვარ, სერიოზულად დავასკვნა, რომ უსაქ-მოთა, ცხადია, სათნო უსაქმოთა, მოგონილი შრომა ნეტარებაა. ეს ერთ-ერთი იდეაა წინა საუკუნის მიწურულის „ჟენევის იდეათა“ შორის. ტატიანა პავლოვნა, გუშინწინ გაზეთიდან ამოვჭერი ერთი განცხადება, აი ეს (მან ჟილეტის ჯიბიდან ამოიღო გაზეთის ნაგლეჯი), - ამის დამწე-რი ერთი იმ უსასრულო „სტუდენტთაგანია“, რომლებმაც იციან კლასი-კური ენები და მათემატიკა, და მზად არიან, პროვინციაში წავიდნენ, იცხოვრონ სხვენზე ან სადაც მოხვდებათ. აი, დაუგდეთ ყური: „მასწავ-ლებელი ქალი ამზადებს მოსწავლეებს ყველა სასწავლებლისთვის (გესმით, ყველასთვის) და აძლევს არითმეტიკის გაკვეთილებს“. ერთი პაწია სტრიქონია, მაგრამ კლასიკური რამაა! ამზადებს სასწავლებ-ლებისთვის - მაშ, ცხადია, არითმეტიკაში უნდა ამზადებდეს, ხომ? არა, მას არითმეტიკა განსაკუთრებით გამოუყვია. ეს უკვე წმინდა წყლის შიმშილია, გაჭირვების უკანასკნელი საფეხური. აქ სწორედ ეს უგერ-გილობა მოხვდება კაცს გულზე; ეტყობა, მასწავლებლობისთვის არას-ოდეს ემზადებოდა და, ვინ იცის, არც არაფრის სწავლება შეუძლია. მა-გრამ ისეთ დღეშია, მიაქვს უკანასკნელი მანეთი გაზეთში და ბეჭდავს განცხადებას, რომ ამზადებს მოსწავლეებს ყველა სასწავლებლისთვის და ამას გარდა, არითმეტიკასაც ასწავლის. Per tutto mondo e in altri siti (მთელ დედამიწის ზურგზე და აგრეთვე, სხვა ადგილებშიც (იტ-ალ.).).

- ახ, ანდრეი პეტროვიჩ, დავეხმაროთ! სად ცხოვრობს? - წამოიძახა ტატიანა პავლოვნამ.

- ეჰ, ეგეთებს ვინ მოთვლის! - ვერსილოვმა მისამართი ჯიბეში ჩაიდო. - ამ პარკით მთლიანად მოსაკითხი მოგიტანეთ - აბა, ლიზა, თქვენც, ტატიანა პავლოვნა; მე და სოფის ტკბილეული არ გვიყვარს. კეთილი, შენც, ყმაწვილო კაცო. მე თვითონ ვიყიდე ყველაფერი ელისეევთან და ბალესთან. ძალიან დიდხანს „ვისხედით მშივრები“, როგორც ლუკერია ამბობს ხოლმე (NB. ჩვენსას არასოდეს არავინ მჯდარა მშიერი). ყურძენი მოვიტანე, კანფეტები, დიუშესის (მსხვილი, წვნიანი მსხლის ჯიში (ფრანგ.).) მსხალი და მარწყვის ნამცხვარი; საუცხოო ნაყენიც წამოვიღე, თხილიც. საინტერესოა, ტატიანა პავლოვნა, რაც თავი მახსოვს, სულ მიყვარდა თხილი, თანაც სულ უბრალო ჯიშისა. ლიზა მე დამემგვანა; ეგეც ოღონდ დასვი და თხილი აკნატუნებინე თრითინასავით და მეტი არა უნდა რა. მაგრამ იმაზე საუცხოო არაფერია, ტატიანა პავლოვნა, როცა ხანდახან, მოულოდნელად, ბავშვობის მოგონებებში წასული, წამით წარმოიდგენ, რომ ტყეში ხარ, ბუჩქნარში, და შენ თვითონ კრეფ თხილს... თითქმის შემოდგომაა, მაგრამ მზიანი დარია, ხან გრილა კიდეც, შეეხეტები ტყის სიღრმეში, ფოთლების სუნი დგას... რაღაც სიმპათიურს ვხედავ თქვენს გამოხედვაში, არკადი მარკოვიჩ...

- ჩემი ბავშვობის პირველი წლები მეც სოფლად გავატარე.

- რას ამბობ, შენ ხომ, მგონი, მოსკოვში ცხოვრობდი... თუ არ ვცდები.

- ეგ მოსკოვში, ანდრონიკოვებთან მაშინ ცხოვრობდა, როცა თქვენ ჩამოხვედით, მანამდე კი ცხონებულ დედათქვენთან, ვარვარა სტეპანოვნასთან იზრდებოდა სოფელში, - სიტყვა შეაშველა ტატიანა პავლოვნამ.

- სოფია, ჰა ფული, შეინახე. ამ დღეებში ხუთი ათასს შემპირდნენ.

- მაშ, თავადებს საიმედო აღარაფერი დარჩათ? - ჰკითხა ტატიანა პავლოვნამ.

- სრულიად აღარაფერი, ტატიანა პავლოვნა.

- მე მუდამაც თანაგიგრძნობდით თქვენ, ანდრეი პეტროვიჩ, და ყველა თქვენიანს, თქვენი ოჯახის მეგობარი ვიყავი; მაგრამ, თუმცა თავადები ჩემი არც ნათესავები არიან და არც არაფერი, ღმერთმანი, მეცოდებიან, ნუ გამიწყრებით, ანდრეი პეტროვიჩ.

- ფიქრადაც არ მაქვს, რამე ვუწილადო, ტატიანა პავლოვნა.

- რა თქმა უნდა, თქვენ იცით ჩემი აზრი, ანდრეი პეტროვიჩ. ისინი მოსპობდნენ სარჩელს, თავიდანვე რომ შეგეთავაზებინათ, სანახევროდ გავიყოთო; ახლა, ცხადია, გვიანღაა, თუმცა განსჯას ვერ გავბედავ... მე ხომ იმიტომ ვთქვი, რომ განსვენებული ალბათ არ დაივიწყებდა მათ ანდერძის შედგენისას.

- დაივიწყებდა კი არა, ალბათ ყველაფერს მათ დაუტოვებდა და მარტო მე დამივიწყებდა, დროზე რომ მოეგვარებინა საქმე და ანდერძიც, როგორც კი წესი და რიგია, დაეწერა; მაგრამ ახლა კანონი ჩემს მხარეზეა - და მორჩა. არც შემიძლია და არც მინდა ვუწილადო რამე, ტატიანა პავლოვნა, მორჩა და გათავდა.

ეს ცოტა არ იყოს, გაბოროტებითაც კი წარმოთქვა, რის ნებასაც იშვიათად აძლევდა თავს. ტატიანა პავლოვნამ ხმა ჩაიკმინდა. დედამ ნაღვლიანად დახარა თვალები. ვერსილოვმა იცოდა, რომ ისიც ტატიანა პავლოვნას აზრს იზიარებდა.

„აქ ემსკში გაწნული სილის ამბავია!“ - გავიფიქრე გულში. იმ დოკუმენტს, რომელიც კრაფტმა გადმომცა და ჯიბეში მედო, მწარე ბედი ეწერა, ვერსილოვს რომ ჩავარდნოდა ხელში. უცებ ვიგრძენი, რომ ყოველივე ეს ჯერ კიდევ კისერზე მაწევს. ამ ფიქრმა, ყოველივე დანარჩენთან დაკავშირებით, რა თქმა უნდა, გამაღიზიანა.

- არკადი, მინდა, რომ უკეთ ჩაიცვა, ჩემო მეგობარო; გვარიანად გაცვია, მაგრამ შემდეგისთვის ერთ კარგ თერძს გირჩევდი, ძალზე კეთილსინდისიერი და გემოვნების მქონე კაცია.

- გთხოვთ, მეტად აღარასოდეს გამიმეოროთ ამგვარი წინადადება, - წამოვისროლე უცებ.

- რა დაგემართა?

- რა თქმა უნდა, დამამცირებელს ვერაფერს ვხედავ იმაში, რომ ჭკუას მარიგებდნენ, მაგრამ მე და თქვენ სულაც არა ვართ ასე შეხმატკბილებულნი. პირიქით, უთანხმოებაც კი გვაქვს, რადგან ამ დღეებში, ხვალ, თავს ვანებებ თავადთან სიარულს, რადგან იქ ვერავითარ სამუშაოს ვერ ვხედავ...

- შენი სამსახური ისაა, რომ იქ დადიხარ, მასთან რომ ზიხარ!

- ეგეთი აზრი დამამცირებელია.

- ვერ გამიგია. თუმცა, თუ ეგრე გეთაკილება, ფულს ნუ გამოართმევ, ოღონდ იარე. ძალიან ატკენ გულს, რომ აღარ იარო; ის უშენოდ ვეღარ ძლებს, მერწმუნე... თუმცა, როგორც გენებოს...

ეტყობოდა, არ სიამოვნებდა ეს ამბავი.

- ფულს ნუ გამოართმევო, მეუბნებით, ამავე დროს, თქვენივე წყალობით, დღეს უსინდისობა ჩავიდინე: თქვენ არ გაგიფრთხილებივართ, მეც ავდექი და ერთი თვის გასამრჯელო მოვითხოვე.

- მაშ, შენ უკვე გიზრუნია; მე კი, უნდა გამოგიტყდე, ვფიქრობდი, არ მოსთხოვოს-მეთქი; ძალიან ყოჩაღები კი ხართ ახლანდელები, მე და ჩემმა ღმერთმა! ახლა აღარაა ახალგაზრდობა, ტატიანა პავლოვნა.

საშინლად ბრაზობდა; მეც ძალიან გავგულისდი.

- მე ხომ თქვენ უნდა გაგსწორებოდით... თქვენ მაიძულეთ - ახლა აღარ ვიცი, როგორ მოვიქცე.

- მართლა, სოფი, ახლავე დაუბრუნე არკადის მისი სამოცი მანეთი; შენ კი, ჩემო მეგობარო, ნუ ბრაზდები, ასე რომ ჩქარობ ანგარიშის გასწორებას. სახეზე გატყობ, რომ რაღაც განგიზრახავს და გესაჭიროება... საბრუნავი კაპიტალი... თუ რაღაც ამდაგვარი.

- ვერ გეტყვით, რას გამოხატავს ჩემი სახე, მაგრამ დედაჩემისგან კი არ მოველოდი, თუ იმ ფულის ამბავს გეტყოდათ; მე ხომ ისე ვთხოვე, არაფერი ეთქვა, - თვალები დავუბრიალე დედას. ვერ გამოვთქვამ, როგორი შეურაცხყოფილი ვიყავი.

- არკაშა, გეთაყვა, მაპატიე, ღვთის გულისათვის, არაფრით არ შემეძლო, არ მეთქვა...

- ჩემო მეგობარო, ნუ ჯავრობ, რომ შენი საიდუმლო გამიმხილა, - მომიბრუნდა ვერსილოვი, - მას ხომ კეთილი გულით მოუვიდა ეს - დედას უნდოდა, თავი მოეწონებინა შვილის გრძნობებით. მაგრამ მერწმუნე, უამისოდაც მივხვდებოდი, რომ კაპიტალისტი ხარ. ყველა შენი საიდუმლო ზედ გაწერია მაგ პატიოსან სახეზე. მას „თავისი იდეა“ აქვს, ტატიანა პავლოვნა, აკი გეუბნებოდით.

- თავი დავანებოთ ჩემს პატიოსან სახეს, - კვლავ ვწყვეტდი შემაკავშირებელ ძაფებს, - ვიცი, რომ ხშირად გულთამხილველივით ხედავთ, თუმცა ზოგჯერ ცხვირწინაც ვერაფერს ამჩნევთ, - და მუდამ მაოცებდა თქვენი ეგ გამჭრიახობა. დიახ, მე მაქვს ჩემი „იდეა“. თქვენც რომ ეს გამოთქმა იხმარეთ, რა თქმა უნდა, შემთხვევითი ამბავია, მაგრამ არ მეშინია და მოგახსენებთ: მე მაქვს „იდეა“. არც მეშინია, არც მერცხვინება.

- მთავარი ეგაა, არ გერცხვინებოდეს.

- მაგრამ თქვენ მაინც არასოდეს არ გაგიმხელთ.

- ესე იგი, ღირსად არ მთვლი, რომ გამიმხილო. არც მინდა, ჩემო მეგობარო, მე ისედაც ვიცი, რაცაა შენი იდეის არსი; ყოველ შემთხვევაში, ეგაა:

მე უდაბნოში გავიხიზნები...

ტატიანა პავლოვნა! მე ვფიქრობ, ამას უნდა... გახდეს როტშილდი ან რაღაც ამგვარი, და თავის სიდიადეში განმარტოვდეს. ცხადია, მე და თქვენ დიდსულოვნად დაგვინიშნავს პენსიას, - თუმცა მე, იქნებ, არც დამინიშნოს, - ყოველ შემთხვევაში, ჩვენ მაგას თვალით ვერ ვიხილავთ. ახალ მთვარესავითაა - გამოჩენაც არ მოუსწრია და უკვე ჩადის.

გულში შევკრთი. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს შემთხვევითი იყო: მან არაფერი იცოდა და სულ სხვა რამეს ამბობდა, თუმცა როტშილდი კი ახსენა; მაგრამ როგორ გამოიცნო ასე სწორად ჩემი გრძნობები? გავწყვიტო ამათთან ყოველგვარი კავშირი და გავშორდე? ის ყველაფერს მიმხვდარიყო და წინასწარ უნდოდა თავისი ცინიზმით ფაქტის ტრაგიზმი დაებინძურებინა. ის კი უეჭველი იყო, რომ საშინლად ბრაზობდა.

- დედა! მაპატიეთ, წეღან რომ ვიფეთქე, მით უმეტეს, რომ ანდრეი პეტროვიჩს მაინც არაფერი დაემალება, - ყალბად გავიცინე და ვცადე, თუნდაც ერთი წამით ხუმრობად მექცია ყველაფერი.

- ყველაზე კარგი, ჩემო კარგო, ისაა, რომ გაიცინე. ვერ წარმოიდგენ, ამით რამდენს იგებს ყოველი ადამიანი, გარეგნულადაც კი უფრო მშვენდება. სავსებით სერიოზულად ვამბობ. ამას, ტატიანა პავლოვნა, მუდამ ისეთი სახე აქვს, თითქოს ისეთი დიადი რამ ჩაუფიქრებია, თვ-

ითონაც კი რცხვენილია ამის გამოო.

- მე სერიოზულად გთხოვდით, ანდრეი პეტროვიჩ, უფრო მორიდებულად გელაპარაკათ.

- მართალი ხარ, ჩემო მეგობარო; მაგრამ ხომ უნდა ვთქვათ ერთხელ და სამუდამოდ, რომ მერე აღარ დავუბრუნდეთ ყოველივე ამას. შენ მოსკოვიდან იმიტომ ჩამოხვედი, რომ მყისვე ამბოხებულიყავი, - აი, რა ვიცით ჯერჯერობით შენი ჩამოსვლის შესახებ. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ ჩამოხვედი, რათა რაღაცით გაგვაოცო. გარდა ამისა, აგერ, ერთი თვეა აქა ხარ, და სულ ერთავად გვეჯიჯღინები - ამავ დროს კი, გეტყობა, ჭკვიანი ადამიანი ხარ და, ამ მხრივ შეგეძლო ეგ ჯიჯღინი იმათთვის გადაგელოცა, ვისაც სხვა არაფერი შეუძლია, თუ არა შური იძიოს ადამიანებზე თავისი არარაობის გამო. მუდამ გულჩახვეული ხარ, ამავე დროს კი შენი პატიოსანი სახე და ღაჟღაჟა ლოყები აშკარად მოწმობენ, რომ სრული უმანკოებით შეგიძლია პირდაპირ თვალებში უყურო ყველას. ეს ჰიპოქონდრიკია, ტატიანა პავლოვნა; ვერ გამიგია, რა მიზეზია, ეს ახლანდელი ახალგაზრდები რომ ჰიპოქონდრიკები არიან?

- თქვენი ისიც კი არ იცით, სად ვიზრდებოდი. აბა საიდანღა გეცოდინებათ, რა მიზეზია, რომ ადამიანი ჰიპოქონდრიკია?

- აი, სად ყოფილა ძაღლის თავი დამარხული: გული მოგივიდა, რომ შემეძლო დამვიწყებოდა, სად იზრდებოდა!

- სრულიადაც არა, ნუ მომაწერთ სისულელეებს. დედა, ანდრეი პეტროვიჩმა შემაქო, რომ გავიცინე; ასე ჯდომას ის ჯობია, ვიცინოთ! გნებავთ, ჩემს თავზე მოგიყვებით ანეკდოტებს? მით უფრო, რომ ანდრეი პეტროვიჩმა არაფერი იცის იმისა, რაც თავს გადამხდენია.

გული ბოღმით მქონდა სავსე. ვიცოდი, რომ ასე აღარასოდეს ვისხდებით ყველანი ერთად და, ამ სახლიდან რომ გავიდოდი, აღარასოდეს შემოვბრუნდებოდი, - ამიტომ ყოველივე ამის გამო აღარც შემეძლო თავის შეკავება. თვითონ ვერსილოვმა გამომიწვია ასეთი ფინალისთვის.

- ეგ, რა თქმა უნდა, ძალიან კარგია, თუ მართლაც იქნება რამე სასაცილო, - შენიშნა ვერსილოვმა, თან დაკვირვებით დამაშტერდა, - შენ ცოტათი გატლანქებულხარ, ჩემო მეგობარო, იქ, სადაც იზრდებო-

დი, თუმცა ჯერ კიდევ წესიერი ხარ. დღეს არკადი ძალზე საყვარელი ვინმეა, ტატიანა პავლოვნა, და მშვენივრად მოიქეცით, რომ, როგორც იქნა, გახსენით ეგ პარკი.

მაგრამ ტატიანა პავლოვნა იღუშებოდა, არც კი მოუხედავს ამ სიტყვებზე, პარკს ხსნიდა და მოტანილ ძღვენს თეფშებზე ალაგებდა. დედა გაოგნებული იჯდა, რა თქმა უნდა, გრძნობდა, რომ სასიკეთო არაფერი გამოგვივიდოდა. ჩემმა დამ ერთხელ კიდევ მომქაჩა იდაყვზე.

III

- მე მხოლოდ ის მინდა გიამბოთ ყველას, - დავიწყე ყოვლად თავხედური სახით, - თუ ერთმა მამამ როგორ ნახა პირველად თავისი საყვარელი ვაჟი; ეს მოხდა სწორედ „იქ, სადაც შენ იზრდებოდი“...

- ჩემო მეგობარო, ეგ ამბავი ხომ არ იქნება... მოსაწყენი? ხომ იცი tous les genres...(ყველა ჟანრი... (ფრანგ.).)

- წარბი ნუ შეკარით, ანდრეი პეტროვიჩ, გულშიაც არ გამივლია ის, რაც თქვენ გგონიათ. მე სწორედ ის მინდა, რომ ყველამ ვიცინოთ.

- ღმერთმა გისმინოს, ჩემო კარგო. მე ვიცი, რომ ყველანი გიყვარვართ და... არ მოინდომებ ამ საღამოს ჩაშხამებას, - ამოილუღლუღა მან როგორღაც ნაძალადევად, დაუდევრად.

- თქვენ, რა თქმა უნდა, სახეზე შემატყვეთ, რომ მიყვარხართ?

- ჰო, ნაწილობრივ სახეზეც.

- აი, ტატიანა პავლოვნას კი დიდი ხანია შევატყვე, რომ მე შევყვარებივარ. ეგრე გააფთრებით ნუ მიყურებთ, ტატიანა პავლოვნა, სჯობს ვიცინოთ! სჯობს ვიცინოთ!

ტატიანა პავლოვნა უცებ მომიბრუნდა და წუთით ისე მომაჩერდა, თვალებით კინაღამ გამბურღა.

- დამაცადე! - მუქარით დამიქნია თითი, მაგრამ ისე სერიოზულად, რომ ეს არანაირად არ შეიძლებოდა შეხებოდა ჩემს ტუტუცურ ხუმრობას, ეს იყო გაფრთხილება რაღაც სხვა საქმეში: „გუნებაში ხომ არა გაქვს, რომ დაიწყოო?“

- ანდრეი პეტროვიჩ, მაშ, აღარ გახსოვთ, როგორ შევხვდით ერთმანეთს მე და თქვენ პირველად ჩვენს სიცოცხლეში?

- ღმერთმანი, დამავიწყდა, ჩემო მეგობარო, და სულითა და გულით ვგრძნობ დანაშაულს. მხოლოდ ის მახსოვს, რომ ეს მოხდა ძალიან დიდი ხნის წინ და სადღაც...

- დედა, თქვენ ხომ არ გახსოვთ, სოფელში რომ ჩამოხვედით, სადაც მე ვიზრდებოდი ექვს თუ შვიდ წლამდე და, მთავარი ისაა, მართლა იყავით იმ სოფელში ოდესმე, თუ მხოლოდ სიზმარივით მელანდება, რომ პირველად იქ გნახეთ? რახანია, მინდოდა ამის კითხვა და ვერ კი მოვახერხე: ახლა დადგა დრო.

- როგორ არა, არკაშენკა, როგორ არა! სამჯერ ვესტუმრე იქ ვარვარა სტეპანოვნას; პირველად მაშინ ჩამოვედი, როცა ერთი წლის იყავი, მეორედ - როცა მეოთხე წელში გადადექი, მერე კიდევ - როცა ექვსი შეგისრულდა.

- ჰოდა, აი ამის კითხვა მინდოდა მთელი ერთი თვეა.

დედაჩემს უეცარი მოგონებებისგან სახე აუყირმიზდა და გრძნობამორევით მკითხა:

- ნუთუ იმ დროიდან გახსოვარ, არკაშენკა?

- მე არაფერი მახსოვს და არაფერი ვიცი. ხოლო რაც სამუდამოდ ჩამრჩა გულში, თქვენი სახეა და, გარდა ამისა, იმის ცოდნა, რომ ჩემი დედა ხართ. იმ სოფელს ახლა სიზმარივით ვხედავ, ჩემი გადიაც კი დამავიწყდა. ის ვარვარა სტეპანოვნა ბუნდოვნად მახსოვს მხოლოდ იმიტომ, რომ ერთავად ყბაახვეული დადიოდა. მახსოვს კიდევ სასხლთან ვეება ხეები, მგონი ცაცხვები, ღია ფანჯრებიდან შემოსული მზის ძლიერი შუქი, ყვავილნარი, ბილიკი, თქვენი ხსოვნა კი, დედა, ნათლად შემომინახა მხოლოდ ერთმა წამმა: როცა იქაურ ეკლესიაში მაზიარეთ, ხელში ამიყვანეთ ზიარების მისაღებად და ბარძიმის სამთხვევლად; ეს ზაფხულში მოხდა, და გუმბათის ერთი სარკმლიდან მეორეში მტრედმა გადაიფრინა...

- ღმერთო ჩემო! სწორედ ეგრე იყო, - ხელები გაასავსავა დედამ. - მტრედიც კი მახსოვს, თითქოს გუშინ ყოფილიყო. შენ ბარძიმის წინ აფართხალდი და „მტრედი, მტრედიო!“ აყვირდი.

- თქვენი სახე თუ გამომეტყველება ისე ჩამრჩა ხსოვნაში, რომ ხუთი წლის მერე, მოსკოვში, მაშინვე გიცანით, თუმცა კაციშვილს არ უთქვამს მაშინ, რომ ჩემი დედა ხართ. ხოლო როცა ანდრეი პეტროვიჩს შევხვდი პირველად, მაშინ ანდრონიკოვებისგან წამომიყვანეს; მანამდე ხუთი წელიწადი წყნარად და მხიარულად მივაგორებდი დროს მათთან. წვრილმანიც კი მახსოვს მათი სახაზინო ბინისა, - ყველა მან-

დილოსანი და ქალიშვილი, რომლებიც ახლა ასე მობერებულან; მახსოვს სახლი, თვითონ ანდრონიკოვი; მახსოვს, როგორ ეზიდებოდა თვითონ ქალაქიდან მთელ ხორაგეულობას, ქათმებს, ფარგასა და გოჭებს, და სუფრას რომ მივუსხდებოდით, თავისი ამპარტავანი მეუღლის მაგივრად თვითონ ჩამოგვირიგებდა ხოლმე წვნიანს. ჩვენ ეს სასიცილოდ არ გვყოფნიდა, თვითონ კი ყველაზე გულიანად იცინოდა. იქ ქალიშვილებმა ფრანგული მასწავლეს, მაგრამ ყველაზე უფრო კრილოვის იგავ-არაკები მიყვარდა, სულ დავიზეპირე და ყოველდღე წარმოვთქვამდი ხოლმე თითო იგავ-არაკს ანდრონიკოვის წინაშე; დავადებდი თავს და, ეცალა თუ არ ეცალა, მაინც შევიდოდი ხოლმე მის პაწია კაბინეტში. ჰოდა, სწორედ იგავ-არაკის გამო გაგიცანით თქვენ, ანდრეი პეტროვიჩ... ვხედავ, რომ უკვე გახსენდებათ.

- რაღაც მახსენდება, ჩემო კარგო, მაშინ რაღაც წამიკითხე კიდეც... მგონი იგავ-არაკი იყო თუ „ვაი ჭკუისგან“? მაინც რა მეხსიერება გაქვს!...

- მეხსიერებაო! ოღონდაც! მთელი ჩემი სიცოცხლე მხოლოდ ეგ მახსოვდა!

- კეთილი, კეთილი, ჩემო კარგო, გამახალისე კიდეც.

ვერსილოვმა, ასე განსაჯეთ, გაიღიმა კიდეც, მას აჰყვნენ დედაჩემი და ჩემი და. გულითადობა კვლავ ისადგურებდა; მაგრამ ტატიანა პავლოვნა, რომელმაც მაგიდა ტკბილეულობით გააწყო და კუთხეში მიმჯდარიყო, ისევ ავად მიყურებდა.

- ისე მოხდა, - განვაგრძე მე, - რომ უცებ, ერთ მშვენიერ დილას, მომაკითხა ჩემი ბავშობის მეგობარმა ტატიანა პავლოვნამ, რომელიც მუდამ უცებ ჩნდებოდა ჩემს ცხოვრებაში, როგორც თეატრში ხდება ხოლმე; კარეტით წამიყვანეს და მიმიყვანეს ერთ ბატონკაცურ სახლში, მდიდარ ბინაში. თქვენ მაშინ ფანარიოტოვასთან ჩერდებოდით ხოლმე, ანდრეი პეტროვიჩ, მის ცარიელ სახლში, რომელიც ერთ დროს მას თქვენვე მიჰყიდეთ; თვითონ იმ დროს საზღვარგარეთ იყო. მანამდე სულ ქურთუკები მეცვა; მაშინ კი უცებ გამომაწყვეს საუცხოო თეთრეულსა და კოხტა ლურჯ სერთუკში. ტატიანა პავლოვნა მთელი დღე ჩემ გვერდით ფუსფუსებდა და უამრავი რაღაც მიყიდა; მე კი დავეხეტებოდი იმ ცარიელ ოთახებში და ყველა სარკეში ვუყურებდი ჩემს თავს. ამ ხეტიალში მეორე დილით, ასე, ათი საათი იქნებოდა, უეცრად, სულ უცაბედად, თქვენს კაბინეტში შემოვედი. წინა დღესაც გნახეთ, როცა

ის იყო, მომიყვანეს, მაგრამ კიბეზე შეგხვდით, ხეირიანად ვერც კი შეგხედეთ. კიბეზე ჩამოდიოდით, რათა კარეტაში ჩამჯდარიყავით და სადღაც წასულიყავით; მაშინ მარტოკა ჩამოხედვით მოსკოვში, მანამდე დიდი ხანი არ ყოფილიყავით და ახლაც მცირე ხნით იყავით ჩამოსული, ასე რომ, ყველგან გეპატიჟებოდნენ და შინ თითქმის არ იყავით. როცა მე და ტატიანა პავლოვნას შეგხვდით, თქვენ მხოლოდ თქვით: „ა!“ - და არც კი შეჩერებულხართ.

- განსაკუთრებული სიყვარულით აღწერს, - მიუბრუნდა ვერსილოვი ტატიანა პავლოვნას. ამ უკანასკნელმა ზურგი აქცია და არაფერი მიუგო.

- თითქოს დღეს მომხდარიყოს ის შეხვედრა, ისე მახსოვხართ. რა ჯან-ღონით სავსე და ლამაზი იყავით მაშინ. გასაოცრად დაბერდით და დაუშნოვდით ამ ცხრა წელიწადში, მაპატიეთ გულახდილობა; თუმცა თქვენ მაშინაც ოცდაჩვიდმეტი წლის იქნებოდით, მაგრამ თვალი ვეღარ მოგწყვიტეთ: რა საოცარი თმა გქონდათ, თითქმის სულ შავი, კრიალი გაჰქონდა, ისე გიბზინავდათ, ერთი ღერი ჭაღარა არ გერიათ; ულვაში და ქილვაში საიუველირო ნაკეთობას მიგიგავდათ, - სხვაგვარად ვერ მითქვამს: სახე მქრქალ-ფერმკრთალი, ახლანდელივით ავადმყოფურად ფერმკრთალი კი არა, არამედ ისეთი, როგორიც ახლა აქვს თქვენს ქალიშვილს, ანა ანდრეევნას, რომლის ნახვის პატივიც დღეს მერგო; ანთებული და მუქი თვალები, მოელვარე კბილები, მეტადრე, როცა იცინოდით. თქვენ სწორედ რომ გაიცინეთ, როცა მე შემოვედი და ამხედ-დამხედეთ; მაშინ ბევრი არაფერი გამეგებოდა და თქვენმა ღიმილმა გული გამიხსნა. იმ დილით მუქი ლურჯი ხავერდის პიჯაკი გეცვათ, სოლფერინოს (ხასხასა წითელი.) ფერი შარფი დაგფენოდათ ალანსონური მაქმანებით გაწყობილ დიდებულ პერანგზე, სარკესთან იდექით, ხელში რვეული გეჭირათ და ამუშავებდით ჩაცკის უკანასკნელ მონოლოგს, მეტადრე ბოლო წამოძახილს:

კარეტა ჩქარა, კარეტა!

- აჰ, ღმერთო ჩემო, - წამოიძახა ვერსილოვმა, - მართალს ამბობს! მაშინ, თუმცა მცირე ხნით ვიყავი მოსკოვში, მაგრამ ჟილეიკოს ავადმყოფობის გამო ვიკისრე ჩაცკის როლის თამაში ალექსანდრა პეტროვნა ვიტოვტოვასთან, შინაურ სცენაზე!

- ნუთუ დაგავიწყდათ? - გაეცინა ტატიანა პავლოვნას.

- ამან მომაგონა! და, უნდა გამოვტყდე, მოსკოვში გატარებული მაშინდელი რამდენიმე დღე იქნებ საუკეთესო წუთი იყო მთელი ჩემი ცხოვრებისა! მაშინ ყველანი ჯერ ისე ახალგაზრდები იყავით... და ყველანი ისე გულმხურვალედ ველოდით... მაშინ მოსკოვში მოულოდნელად იმდენი რამ... მაგრამ განაგრძე, ჩემო კარგო, ამჯერად ძალიან კარგი ქენი, ასე წვრილად რომ გამახსენე...

- მე ვთქვი, მოგჩერებოდით-მეთქი, და უცებ წამოვიყვირე: „აჰ, რა კარგია, ნამდვილი ჩაცკი ხართ!“ - თქვენ უცებ მომიბრუნდით და მშვენიერ გუნებაზე მყოფი შეექეცით ყავას, - ისეთი კარგი სანახავი იყავით, მინდოდა დამეკოცნეთ. მაშინ მე გითხარით, რომ ანდრონიკოვებისას ყველანი ძალიან ბევრს კითხულობენ, ხოლო ქალიშვილებმა ბევრი ლექსი ზეპირად იციან, „ვაი ჭკუისგან“ კი ცალკეული სცენებითაც წარმოუდგენიათ. ყველანი ხმამაღლა ვკითხულობდით „მონადირის ჩანაწერებს“, რომ მე ყველაზე უფრო კრილოვის იგავ-არაკები მიყვარს და ზეპირადაც ვიცი. თქვენ მიბრძანეთ, ზეპირად მეთქვა რამე, მეც ავდექი და წაგიკითხეთ „წუნია საპატარძლო“:

გასათხოვი ქალიშვილი იყო საქმროს რჩევაში...

- სწორედ ეგრე იყო, სწორედ, ახლა ყველაფერი მომაგონდა, - ისევ წამოიძახა ვერსილოვმა, - მაგრამ, ჩემო მეგობარო, ახლა შენც ნათლად გამახსენდი, მაშინ ისეთი კარგი, ცქრიალა ბიჭუნა იყავი, და გეფიცები, შენც ძალიან გამოცვლილხარ ამ ცხრა წელიწადში.

ამ სიტყვებზე ყველას და თვით ტატიანა პავლოვნასაც კი გაეცინა. ცხადი იყო, ანდრეი პეტროვიჩმა გახუმრება ინება და „სამაგიერო გადამიხადა“ ჩემს გამკენწლავ შენიშვნაზე, დაბერდით-მეთქი, წეღან რომ ვუთხარი. ყველანი გამხიარულდნენ; ღვთის წინაშე, მშვენივრადაც იყო ნათქვამი.

- მე რომ ლექსს ვამბობდი, თქვენ თანდათან ღიმი გეფინებოდათ სახეზე, მაგრამ ნახევარიც არ მქონდა წაკითხული, რომ შემაჩერეთ, ზარი დარეკეთ და შემოსულ მსახურს უბრძანეთ, ტატიანა პავლოვნას სთხოვეთო. ტატიანა პავლოვნამაც მაშინვე მოირბინა, ისეთი მხიარული სახე ჰქონდა, ვეღარც კი ვიცანი. მე ისევ თავიდან დავიწყე და ბრწყინვალედ დავამთავრე, წარმოიდგინეთ, ტატიანა პავლოვნამაც გაიღიმა, ხოლო თქვენ, ანდრეი პეტროვიჩ, „ბრავოც“ კი შემოსძახეთ! და გულმხურვალედ შენიშნეთ, „ჭრიჭინა და ჭიანჭველა“ რომ წამეკითხა, არ იქნებოდა გასაკვირი, მაგრამ ჩემი ასაკის ბიჭმა როგორ ჭკვიანურ-

ად წავიკითხე ეს იგავ-არაკი:

„გასათხოვი ქალიშვილი იყო საქმროს არჩევაში.

ეს ჯერ ცოდვა არ არის!“

ერთი დახეთ, როგორ გამოთქვამს: „ეს ჯერ ცოდვა არ არის!“ ერთი სიტყვით, აღტაცებული იყავით. მერე უცებ ფრანგულად გაუბით ლაპარაკი ტატიანა პავლოვნას, ისიც მაშინვე მოიღუშა და რაღაცას შეგედავათ, თანაც ძალზე ცხარობდა; მაგრამ რაკი შეუძლებელია, ანდრეი პეტროვიჩს უარი ეთქვას რამეზე, რასაც კი მოიწადინებს, ამიტომ ტატიანა პავლოვნამ საჩქაროდ წამიყვანა თავისთან: იქ ხელახლა დამბანეს ხელ-პირი, გამომიცვალეს თეთრეული, ფერ-უმარილი წამისვეს, თმაც კი დამიხვიეს. საღამოთი კი ტატიანა პავლოვნა თვითონაც ისეთი დიდი ამბით გამოეწყო, არც კი ველოდი, და კარეტით წამიყვანა. ჩემს სიცოცხლეში პირველად ვიყავი თეატრში, ვიტოვტოვასთან გამართულ შინაურულ სპექტაკლზე; სანთლები, ჭაღები, მანდილოსნები, სამხედროები, გენერლები, ქალიშვილები, ჩამწკრივებული სკამები - ამის მსგავსი ჯერ არაფერი მენახა. ტატიანა პავლოვნამ უკანა რიგში გვერდით მომისვა, რა თქმა უნდა, ჩემნაირი ბავშვებიც იყვნენ, მაგრამ მე აღარაფერს უყურებდი, წარმოდგენის მოლოდინში გული მელეოდა. როდესაც სცენაზე თქვენ გამოხვედით. ანდრეი პეტროვიჩ, ისეთი აღტაცება დამეუფლა, ლამის ავტირდი, - თვითონაც ვერ გამიგია, რა დამემართა. აღტაცების ცრემლი რაღა იყო? - აი, ეს მაკვირვებდა მთელი ცხრა წელიწადი, როცა ის საღამო გამახსენდებოდა! გარინდებული ვადევნებდი თვალს კომედიას; რა თქმა უნდა, იმის მეტი ვერაფერი გავიგე, რომ სოფიამ უღალატა ჩაცკის, რომ ამის გამო დასცინიან მას ბრიყვი ადამიანები, მის ფრჩხილადაც რომ არ ღირან. როცა ჩაცკი წარმოთქვამდა თავის მონოლოგს მეჯლისზე, მესმოდა, რომ ის დამცირებულია და შეურაცხყოფილი, რომ ის კიცხავს ყველა ამ კაცუნას, მაგრამ რომ ის - დიდია, დიდებული ადამიანია! ცხადია, ანდრონიკოვებთან მიღებული განათლებაც მიადვილებდა ამის გაგებას, მაგრამ - თქვენი თამაშიც, ანდრეი პეტროვიჩ! მე პირველად ვხედავდი სცენას! ხოლო როცა წასვლისას ჩაცკიმ წამოიძახა: „კარეტა ჩქარა, კარეტა!“ (თქვენ კი საოცრად წამოიძახეთ), მე წამოვიჭერი სკამიდან, მთელი დარბაზის ტაშის გრიალს ჩემი ტაშიც შეუერთდა და რაც ძალი და ღონე მქონდა, ბრავო-მეთქი, დავიყვირე! კარგად მახსოვს, რომ სწორედ იმ წუთში თითქოს ქინძისთავი შემესო უკან, „წელს ქვევით“ - ეს ტატიანა პავლოვნას გააფთრებული ჩქმეტა იყო, მაგრამ ყურადღებაც არ მიმიქცევია! ცხადია, როგორც კი დამთავრდა „ვაი ჭკუისგან“, ტატიანა პავ-

ლოვნამ შინ წამიყვანა. „ცეკვაზე ხომ არ გნებავთ დარჩენა? შენი გულისთვის აღარც მე ვრჩები“, - ასე მესისინებოდით კარეტაში მთელი გზა, ტატიანა პავლოვნა. მთელი ის ღამე სულ ვბოდავდი, მეორე დილას კი, ათ საათზე, უკვე კაბინეტის კართან ვიყავი ატუზული, მაგრამ კარი მოხურული იყო: თქვენთან ვიღაცები იყვნენ და რაღაც საქმეზე ლაპარაკობდით; მერე უცებ მთელი დღით წახვედით და შუაღამემდე აღარ დაბრუნებულხართ - ასე რომ, ვეღარც გნახეთ. რისი თქმა მინდოდა მაშინ თქვენთვის - ცხადია, აღარ მახსოვს, და არც მაშინ ვიცოდი. მაგრამ მხურვალედ მსურდა, რაც შეიძლებოდა ჩქარა მენახეთ. მეორე დილას კი, რვა საათზე, თქვენ სერპუხოვში ინებეთ წასვლა: მაშინ ახალი გაყიდული გქონდათ მამული ტულაში, რათა მევალეები გაგესტუმრებინათ, მაგრამ მაინც კარგა დიდი, გემრიელი ლუკმა გრჩებოდათ; ამიტომაც ჩამობრძანდით მაშინ მოსკოვში, სადაც მანამდე თავს ვერ ჰყოფდით მევალეების შიშით; და აი, სწორედ ის სერპუხოველი ხეპრე რეგვენი, თქვენი ერთ-ერთი მევალე, არ ჯერდებოდა მთელი თანხის ნაცვლად ნახევარის მიღებას. ჩემს კითხვაზე ტატიანა პავლოვნა პასუხსაც არ მაძლევდა: „შენი საქმე არაა, აი, ზეგ პანსიონში წაგიყვან; მოემზადე, რვეულები წამოიღე, წიგნები მოაწესრიგე და შეეჩვიე ბარგის ჩალაგებას, უქნარა ნუ იზრდები, ყმაწვილო“; და ათასი ამგვარი რამ. იმ სამ დღეს ჩიჩინით სული ამომართვა ტატიანა პავლოვნამ! ყველაფერი იმით დასრულდა, რომ ტუშარის პანსიონში მიკრეს თავი თქვენზე შეყვარებულ და უმანკო ბიჭს, ანდრეი პეტროვიჩ, და დაე, სულელური იყოს ეს შემთხვევა, ანუ მთელი ჩვენი შეხვედრა, მაგრამ, არ დაიჯერებთ, რომ ნახევარი წლის მერე, ტუშარიდან რომ მინდოდა გაქცევა, მხოლოდ იმიტომ, რომ თქვენთან მოვრბოდი!

- მშვენივრად გვიამბე და ყველაფერი თვალწინ დამიყენე, - მკაფიოდ წარმოთქვა ვერსილოვმა, - მაგრამ შენს ნაამბობში ყველაზე უფრო ის მაოცებს, თუ რა უხვად და დაწვრილებით იცი ზოგი უცნაური რამ, მაგალითად, ჩემი ვალების ამბავი. არაფერს ვიტყვი იმაზე, რომ სხვისი ამბების ასეთი დაწვრილებითი ცოდნა მთლად წესიერება არ არის, ოღონდ ვერ გამიგია, საიდან შეიტყვე ეს ყველაფერი?

- დაწვრილებით? საიდან შევიტყვე? აკი გეუბნებოდით, მთელი ეს ცხრა წელიწადი სხვა არაფერი მიკეთებია, სულ თქვენს ამბებს ვკითხულობდი-მეთქი.

- ახირებულო აღსარებაა და ახირებული დროს ტარება.

სავარძელში ნახევრად მიწოლილი ვერსილოვი მიბრუნდა და ოდ-

ნავ დაამთქნარა კიდეც - არ ვიცი, განგებ თუ ნამდვილად.

- როგორ გნებავთ განვაგრძო იმის მოყოლა, თუ როგორ გამოვრ-ბოდი თქვენთან ტუშარიდან?

- აუკრძალეთ, ანდრეი პეტროვიჩ, ხმა გააკმენდინეთ და გააგდეთ აქედან, - წამოიძახა უცებ ტატიანა პეტროვნამ.

- ეგ არ გამოვა, ტატიანა პავლოვნა, - შეგონებით მიუგო ვერსილ-ოვმა. - ეტყობა, არკადის რაღაც განუზრახავს და, მაშასადამე, აუცი-ლებლად ბოლომდე უნდა ვაცალოთ. დაე, თქვას! მოგვიყვება და გუ-ლზე მოეშვება. მაგისთვის მთავარი ისაა, რომ გულზე მოეშვას. დაიწ-ყე, ჩემო კარგო, შენი ახალი ისტორია, თუმცა ისე ვამბობ, ახალი-მე-თქი: არხეინად იყავ, მე უკვე ვიცი მაგ ისტორიის ბოლო.

IV

გამოვიქეცი, ანუ მინდოდა გამოვქცეულიყავი... სულ უბრალოდ. ტატიანა პავლოვნა, ხომ გახსოვთ, ტუშართან რომ მიმიყვანეთ, ორი კვირის თავზე მან წერილი მოგწერათ, - არ გახსოვთ? მე კი მერე მარია ივანოვნამ მაჩვენა ის წერილი, ისიც განსვენებული ანდრონიკოვის ქაღალდებში აღმოჩნდა. ტუშარს უცებ გონება გაუნათდა, ცოტა ფული მომცესო, და „ღირსეულად“ გამოგიცხადათ თავის წერილში, ჩემთან სულ თავადისა და სენატორის შვილები იზრდებიან და ჩემს პანსიონს სახელს გაუტეხს ასეთი წარმოშობის მოწაფე, თუ ფულს არ მომიმატებთო.

- Mon cher, შენ შეგეძლო...

- ოჰ, ეს არაფერია, არაფერი, - შევაწყვეტინე მე, - მხოლოდ ტუშარზე მინდა მოგახსენოთ ცოტა რამ. თქვენ, ტატიანა პავლოვნა, ორი კვირის მერე უპასუხეთ ტუშარს და სასტიკი უარი სტკიცეთ. მახსოვს, რა აჭარხლებული შემოვიდა მაშინ ჩვენს საკლასო ოთახში. ტუშარი ძალიან დაბალი და ძალიან ჩასკვნილი, ასე, ორმოცდახუთი წლის კაცი გახლდათ, წარმოშობით ნამდვილი ფრანგი, რა თქმა უნდა, ყოფილი ხარაზი, მაგრამ უხსოვარი დროიდან ფრანგული ენის მასწავლებლად მსახურობდა მოსკოვში, საშტატო ადგილზე და, ასე განსაჯეთ, ჩინებიც ჰქონდა, რითაც ძალზე მოჰქონდა თავი, - ყოვლად გაუნათლებელი კაცი იყო. სულ ექვსი მოსწავლე ვყავდით; აქედან ერთი მართლაც მოსკოვის სენატორის ძმისწული იყო, და ყველანი ისე ვცხოვრობდით, როგორც ოჯახის წევრები; უფრო მეტად მისი ცოლი გვპატრონობდა, მეტად გადაჭყლარტული ქალბატონი, ვიღაც რუსი მოხელის ქალი. მთელი ორი კვირა საოცრად ვყოყოჩობდი ჩემს ამხანაგებთან, თავს ვიწონებდი ლურჯი სერთუკით და ჩემი მამიკოთი, ანდრეი პეტროვიჩით, ხოლო მათი შეკითხვები: მაშ, რატომღა ხარ დოლგორუკი და არა ვერსილოვიო, სრულიად არ მაღელვებდა, სწორედ იმიტომ, რომ არც მე ვიცოდი, რატომ იყო ასე.

- ანდრეი პეტროვიჩ! - თითქმის მუქარით წამოიძახა ტატიანა პავლოვნამ. დედაჩემი კი, პირიქით, თვალს არ მაშორებდა და, ეტყობოდა, უნდოდა, განმეგრძო.

- Ce (ce, cet - ეს (ფრანგ.).) ტუშარი... ახლა მართლაც მაგონდება,

რომ პატარა ტანისა იყო და ცერცეტი, - კბილებში გამოსცრა ვერსილოვმა, - მაგრამ მაშინ საუკეთესოდ დამიხასიათეს...

- Се ტუშარი შემოვიდა ჩემთან, ხელში წერილი ეჭირა, მოვიდა მუხის დიდ მაგიდასთან, რომელსაც ვუსხედით ექვსივენი და რაღაცას ვიზუთხავდით, მაგრად ჩამავლო ხელი მხარში, წამომაყენა სკამიდან და მიბრძანა, შენი რვეულებიც თან წამოიღეო.

- შენი ადგილი აქ კი არა, იქ არის, - მიმითითა მან წინკარის მარცხნივ მდებარე პატარა ოთახისკენ, სადაც უბრალო მაგიდა, დაწნული სკამი და მუშამბის დივანი იდგა - სწორედ ისე იყო მოწყობილი, როგორც ახლა ზევითაა, ჩემს პაწია ოთახში. გაოცებული და თან ძალზე შემკრთალი გავყევი; მანამდე ასე უხეშად არავინ მომქცევია. ნახევარი საათის შემდეგ, როცა ტუშარი გავიდა საკლასო ოთახიდან, მე და ჩემმა ამხანაგებმა შევხედეთ ერთმანეთს და ფხუკუნი აგვივარდა; რა თქმა უნდა, ისინი მე დამცინოდნენ, მაგრამ ვერ ვხვდებოდი და მეგონა, იმიტომ ვიცინით, რომ კარგ გუნებაზე ვართ-მეთქი. ამ დროს შემოიჭრა ტუშარი, მტაცა ხელი ქოჩორში და კარგა ლაზათიანად დამითრია. - არ გაბედო კეთილშობილ ბავშვებთან ჯდომა, შენ ბილწი წარმოშობისა ხარ და თუნდაც ლაქია ყოფილხარო! - და ისე მთხლიშა დაბრაწულ ფუნთუშა ლოყაში, რომ ტკივილისგან თვალთ დამიბნელდა. ეს მაშინვე მოეწონა, და მეორედ და მესამედაც გამარტყა. გულამოსკვნით ვტიროდი, საშინლად გაოცებული ვიყავი. მთელი საათი ვიჯექი სახეზე ხელებაფარებული და ვქვითინებდი. რაღაც ისეთი მოხდა, რასაც ვერაფრით მივმხვდარიყავი. ვერ გამეგო, როგორ შეეძლო ისეთ უბოროტო კაცს, როგორიც ტუშარი იყო, უცხოელს, რომელსაც ასე უხაროდა რუსი გლეხების გათავისუფლება, ჩემნაირი სულელი ბავშვის ცემა. თუმცა მე მხოლოდ გაოცებული ვიყავი, შეურაცხყოფა კი არ მიგრძნია; მაშინ ჯერ კიდევ არ შემეძლო შეურაცხყოფის განცდა. მეგონა, რაღაც დავაშავე, მაგრამ როცა გამოვსწორდები, მაპატიებენ და ყველანი ისევ გავმხიარულდებით, ეზოში ვითამაშებთ და ისე ვიცხოვრებთ, რომ კაცი უკეთესს ვერ ინატრებს-მეთქი.

- ჩემო მეგობარო, ეგ რომ მცოდნოდა... - გააბა ვერსილოვმა, ცოტა არ იყოს, დაღლილი კაცის დაუდევარი ღიმილით, - მაგრამ დამიხედეთ ერთი იმ ტუშარს, რა არამზადა ყოფილა! თუმცა, ჯერ არ დამიკარგავს იმედი, რომ როგორმე მოიკრებ ძალ-ღონეს, ბოლოს და ბოლოს გვაპატიებ ყველაფერს, და კვლავ ისე ვიცხოვრებთ, რომ კაცი უკეთესს ვერ ინატრებს.

მან ბეჯითად და დაუფარავად დაამთქნარა.

- მე ხომ ბრალს არც არავის ვდებ, სრულიადაც არა, და, მერწმუნეთ, არც ტუშარს ვუჩივი! - წამოვიძახე, ცოტა არ იყოს, თავგზააბნეულმა. - ეგეც არ იყოს, სულ რაღაც ორი თვე თუ მცემდა. მახსოვს, მინდოდა რითიმე მომეგო მისი გული, ხელებს ვუკოცნიდი და თან გულამოსკვნილი ვტიროდი. ამხანაგები დამცინოდნენ და ვეზიზღებოდით, რადგან ტუშარი ხანდახან მიმსახურებდა კიდეც; როცა იცვამდა, მიბრძანებდა, ტანსაცმელი მომართვიო. აქ ინსტინქტურად გამომადგა ჩემი ლაქიობა: გულმოდგინედ ვცდილობდი, მეამებინა და სრულიადაც არ მიმაჩნდა ეს დამცირებად, რადგან მაშინ ჯერ არაფერი გამეგებოდა და დღემდე მიკვირს, ისე ბრიყვი როგორ ვიყავი, რომ არ მესმოდა, მათი ტოლო არა ვარ-მეთქი. ეს კია, ამხანაგებმა მაშინვე ამიხსნეს ბევრი რამ, - კარგი სკოლა იყო. ტუშარმა კი იმით დაამთავრა, რომ სახეში აღარ მირტყამდა, პანღურის ამოკვრა ამჯობინა; ხოლო ნახევარი წელი რომ გავიდა, შიგადაშიგ მეფერებოდა კიდეც; მაგრამ ხანდახან, თვეში ერთხელ მაინც, უსათუოდ მიმტყიპავდა, რომ თავს არ გავსულიყავი და არ დამვიწყებოდა ჩემი მდგომარეობა. ბავშვებთანაც მალე დამსვეს და სათამაშოდაც მიშვებდნენ, მაგრამ მთელი ორწელიწადნახევარი ტუშარს ერთხელაც არ დავიწყებია, თუ რაოდენ განვსხვავდებოდით ჩვენი სოციალური მდგომარეობით, და თუმცა ზედმეტად არა, მაგრამ მაინც გამუდმებით მიმსახურებდა ხოლმე. მე ვფიქრობ, სწორედ იმიტომ, რომ შეეხსენებინა ჩემთვის ეს ამბავი.

ხომ გამოვიქეცი, ანუ მინდოდა გამოქცევა, იმ პირველი ორი თვის მერე ხუთი თვე რომ გავიდა. ჯერ საერთოდაც, მუდამ ძნელად თუ დავდგომივარ რაიმე ერთ გადაწყვეტილებას. როცა დავწვებოდი ხოლმე და თავზე საბანს წავიხურავდი, მაშინვე მოვყვებოდი თქვენზე ოცნებას, ანდრეი პეტროვიჩ, მხოლოდ და მხოლოდ თქვენზე; არ ვიცი, როგორ მემართებოდა ეს. სიზმრადაც კი გხედავდით. მთავარი ისაა, რომ მხურვალედ ვოცნებობდი: აი, უცებ შემოდიხართ, მე მოგაშურებთ და თქვენ მაშინვე წამიყვანთ თქვენს სახლში, იმ კაბინეტში; ჩვენ ისევ წავალთ თეატრში, და სხვა ამგვარები. მთავარი ის იყო, რომ ჩვენ აღარ დავშორდებოდით ერთმანეთს - აი, რა იყო მთავარი! ხოლო როცა დილაობით ვიღვიძებდი, მაშინვე იწყებოდა ბიჭების დაცინვა და ზიზღი; ერთმა მათგანმა ცემაც კი დამიწყო და ისეთ დღეში ჩამაგდო, რომ ფეხსაცმელიც კი მიმქონდა ხოლმე მისთვის; რაც კი ქვეყნად სალანძღავი სიტყვაა, ყველას მე მეუბნებოდა, განსაკუთრებით კი იმას ცდილობდა, მოეყოლა ჩემი წარმოშობის ამბავი, რითაც მსმენელები ძალიან

ერთობოდნენ. ხოლო ბოლოს, როცა თვით ტუშარი შემოვიდოდა, რაღაც აუტანელი მემართებოდა. ვგრძნობდი, რომ აქ არავინ არასოდეს მაპატიებდა. ნეკ-ნელა ვხვდებოდი, რას არ მაპატიებდნენ და სახელდობრ, რა ბრალიც მიმიძღოდა! და აი, ბოლოს გადავწყვიტე, გამოვქცეულიყავი. მთელი ორი თვე ვოცნებობდი ამაზე და ბოლოს, როგორც იქნა, გავბედე; სექტემბერი იდგა. დაველოდე, ვიდრე ჩემი ამხანაგები თავთავიანთ სახლში წავიდ-წამოვიდოდნენ შაბათ-კვირას. მალულად, საგულდაგულოდ გამოვკარი ბოღჩაში, რაც აუცილებელი იყო; ორი მანეთი ფულიც მქონდა. მინდოდა დამეცადა, სანამ დაბნელდებოდა. „მერე კიბეზე ჩავალ“, - ვფიქრობდი ჩემთვის, - ქუჩაში გავალ და გზას გავუდგები“. საით? ვიცოდი, რომ ანდრონიკოვი უკვე პეტერბურგში იყო გადაყვანილი და გადავწყვიტე, ფანარიოტოვას სახლი მომეძებნა არბატზე. „ღამეს ხეტიალში გავატარებ, ან სადმე ჩამოვჯდები, დილით კი ვინმეს გამოვკითხავ იმ სახლის ეზოში და შევიტყობ, სად არის ახლა ანდრეი პეტროვიჩი; თუ მოსკოვში არა, რომელ ქალაქში ან სახელმწიფოშია? ნამდვილად მეტყვიან; მეც წავალ, ახლა სხვა ადგილას ვკითხავ ვინმეს: ქალაქის რომელ კარში უნდა გავიდე თუ ამა და ამ ქალაქში მინდა ჩასვლა-მეთქი, მეტყვიან და მეც წავალ. ვივლი და ვივლი; ღამეს სადმე ბუჩქებში გავათევ, ხმელ პურზე გადავივლი, ორი მანეთის პური კი კარგა ხანს მეყოფა“. მაგრამ შაბათს ვერა და ვერ მოვახერხე გამოქცევა; სხვა რა გზა მქონდა, ხვალამდე, კვირამდე უნდა დამეცადა, და, თითქოს განზრახო, ტუშარი და მისი ცოლი კვირას სადღაც გაემგზავრნენ, მთელ სახლში მარტო მე და აგაფია დავრჩით. საშინლად გულდარდიანი ველოდებოდი დაღამებას. მახსოვს, ჩვენს დარბაზში ვიჯექი ფანჯარასთან და გავცქეროდი მტვრიან ქუჩას, ხით ნაგებ ჯუჯა სახლებსა და კანტიკუნტ გამვლელებს. ტუშარი ერთ მიყრუებულ ადგილას ცხოვრობდა და ფანჯრებიდან მოჩანდა ქალაქის კარი: ეს ხომ არაა ის კარი-მეთქი? - მელანდებოდა მე. წითლად გავარვარებული მზე ჰორიზონტს ეფარებოდა, ცა ცივი იყო, და დღევანდელივით ცივი ქარი მტვრის კორიანტელს აყენებდა. როგორც იქნა, დაბნელდა; ხატის წინ დავდექი და ლოცვა დავიწყე, ოღონდ სხაპასხუპით ვკითხულობდი, რადგან ვჩქარობდი, მერე დავავლე ხელი ბოხჩას და თითისწვერებზე დავეშვი ჩვენს ჭრიალა კიბეზე, თან შიშით გული მისკდებოდა, აგაფიამ არ გაიგონოს სამზარეულოში-მეთქი. კარი გასაღებით იყო ჩაკეტილი, გავაღე და უცებ - უკუნი, კუნაპეტი ღამე შემომეფეთა, ვით უსაზღვრო, სახიფათო, იდუმალი რამ, ქარმა კი ქუდი მომგლიჯა თავიდან. ჯერ ქუჩაში გავედი, ქვაფენილის მეორე მხარეს ვიღაც მთვრალის ხმაჩახლეჩილი გინება გაისმა. ერთხანს ვიდექი, ვიყურებოდი აქეთ-იქით და მერე წყნარად შემოვბრუნდი, ავედი ზევით, წყნარად გა-

ვიხადე, დავდე ბოხჩა და უცრემლოდ და უფიქროდ პირქვე დავწექი და აი, სწორედ იმ წუთიდან დავიწყე აზროვნება, ანდრეი პეტროვიჩ! აი სწორედ იმ წუთიდან, როცა შევიგნე, რომ მე, გარდა იმისა, რომ ლაქია ვარ, თან მხდალიც ვყოფილვარ - აქედან დაიწყო ჩემი ჭეშმარიტი განვითარება!

- აი, სწორედ ამ წუთიდან საბოლოოდ მიგიხვდი, ვინც ბრძანებულხარ! - ისე მოულოდნელად წამოიჭრა ტატიანა პავლოვნა, რომ ვერც კი შევემზადე. - შენ მხოლოდ მაშინ კი არ იყავი ლაქია, ახლაც ლაქია ხარ, ლაქიის სული გიდგას! განა არ შეეძლო ანდრეი პეტროვიჩს, ხარაზისთვის მიებარებინე? მადლსაც კი მოისხამდა, ხელობას შეისწავლიდი! მეტს ვინ რას მოჰკითხავდა? მამაშენი, მაკარ ივანოვიჩი, სთხოვდა კი არა, თითქმის მოითხოვდა, რომ თქვენ, მისი შვილები, დაბალი წოდებიდან არ გამოეყვანეთ. არა, შენ არ აფასებ, რომ უნივერსიტეტამდე მიგიყვანა და მისი წყალობით მიიღე უფლებები. დიდი რამე კი მომხდარა, ლაწირაკები აბრაზებდნენ... ამანაც ფიცი დადო, კაცობრიობას სამაგიეროს მივუზღავო... შე არამზადავ, შენა!

უნდა გამოვტყდე, მისმა ამ საქციელმა გამაოგნა. წამოვდექი და ერთხანს გაშტერებული შევცქეროდი, არ ვიცოდი, რა მეთქვა.

- ტატიანა პავლოვნამ მართლაც ახალი რამ მითხრა! - მტკიცედ მივუბრუნდი ბოლოს ვერსილოვს. - მე ხომ მართლაც იმდენად ლაქია ვარ, არ დავჯერდი მხოლოდ იმას, ვერსილოვმა რომ ხარაზს არ მიმაბარა; „უფლებებმაც“ კი ვერ ამიჩვილეს გული. გინდა თუ არა, ვერსილოვი მომეცით მთლიანად, მამა მომართვით-მეთქი... აი, რა მოვითხოვე - ლაქია ვარ, მაშ, ვინ ჯანდაბა ვარ? დედა, აგერ, რვა წელიწადია, სინდისი მაწუხებს, მარტოკა რომ მოხვედით მაშინ ტუშართან და მე კი ისე მიგიღეთ, მაგრამ ახლა ამის დრო არ არის, ტატიანა პავლოვნა არ დამაცლის. ხვალამდე, დედა, იქნებ თქვენ მაინც გნახოთ. ტატიანა პავლოვნა! რას იტყვით, თუ მე ისევ იმ დონის ლაქია ვარ, რომ ვერ წარმომიდგენია, ცოცხალი ცოლის პატრონმა როგორ უნდა მოიყვანოს სხვა ცოლი? აკი სწორედ კინაღამ ასეთი რამ შეემთხვა ემსში ანდრეი პეტროვიჩს! დედა, თუ ვინიცობაა, აღარ მოისურვოთ დარჩეთ ქმართან, რომელიც ხვალ სხვას შეირთავს, მაშინ გაიხსენეთ, რომ გყავთ ვაჟი, რომელიც პირობას გაძლევთ, მუდამ იყოს თქვენი პატივის მცემელი შვილი. გაიხსენეთ და წამოდით, ოღონდ ერთი პირობით: „ან ის, ან მე“ - გნებავთ? მე ხომ ახლა არ გთხოვთ პასუხს: განა რ ვიცი, რომ ასეთ კითხვებზე მაშინვე არ შეიძლება პასუხის გაცემა...

მაგრამ ვეღარ შევძელი დამთავრება, ჯერ ერთი იმიტომ, რომ გავცხარდი და დავიბენი. დედაჩემს მიწისფერი დაედო და თითქოს ხმაც ჩაუწყდა: კრინტი ვერ დაძრა. ტატიანა პავლოვნა ისე ხმამაღლა ლაპარაკობდა, რომ ვერაფერი გავარჩიე, ერთი-ორჯერ მხარზეც წამარტყა მუშტი. მარტო ის დამამახსოვრდა, რომ დამიყვირა: „შენი სიტყვები ყურით მოთრეულია, მაგ შენს მდაბალ სულში ნალოლიავები და მახინჯიო“. ვერსილოვი უძრავად იჯდა, მეტად სერიოზულად და არ იღიმებოდა. მე ზევით გავემართე, ჩემი სენაკისკენ. უკანასკნელი გამოხედვა, რომელიც გამომყვა ოთახიდან, ჩემი დის სიყვარულით აღსავსე მზერა იყო; ის მკაცრად აქნევდა თავს.

თავი მეშვიდე - I

ჩემს თავს არ ვზოგავ და ისე ავწერ ამ სცენებს, რომ ყველაფერი ნათლად გავიხსენო და ის შთაბეჭდილებები აღვიდგინო. ზემოთ რომ ავედი, საერთოდ არ ვიცოდი, სირცხვილი უნდა მეგრძნო თუ უნდა მეზეიმა, როგორც ვალმოხდილ ადამიანს. იოტისოდენად მაინც რომ ვყოფილიყავი გამოცდილი, უნდა მივმხვდარიყავი, რომ უმცირესი დაეჭვებაც კი ასეთ საქმეში უკვე ცუდის ნიშანია. მაგრამ გზა-კვალს მიბნევდა სულ სხვა გარემოება: ვერ გამეგო, რა მიხაროდა, მაგრამ საშინლად გახარებული ვიყავი, თუმცა ვეჭვობდი და აშკარად შეგნებული მქონდა, ჩავიჭერი-მეთქი. ის ამბავიც კი, რომ ტატიანა პავლოვნამ ასე გაბოროტებით გამთათხა, კი არ მაბრაზებდა, მაცდუნებდა და მართობდა. ეს უთუოდ იმის გამო მჭირდა, რომ მაინც გავწყვიტე ბორკილი და პირველად ვიგრძენი, თავისუფალი ვარ-მეთქი.

ვგრძნობდი იმასაც, რომ მდგომარეობა გავიუარესე: კიდევ უფრო ბნელით მოსილი აღმოჩნდა საკითხი, რა მექნა იმ წერილისთვის, მემკვიდრეობას რომ ეხებოდა. ახლა ნამდვილად იფიქრებდნენ, ვერსილოვზე უნდა შური იძიოსო. მაგრამ ჯერ კიდევ ქვევით, იმ ჩვენი შელაპარაკების დროს, გადავწყვიტე, - წერილის ამბავს სამედიატორო სასამართლოს მივანდობ და საამისოდ მივმართავ ვასინს, როგორც მსაჯულს, ხოლო თუ ვასინი ვერ ვნახე, კიდევ ერთ პიროვნებას ვნახავ-მეთქი. უკვე ვიცოდი, ვისაც ვნახავდი. ერთხელ, მხოლოდ ამ საქმეზე მივალ ვასინთან, - ვფიქრობდი გულში, - მერე კი კარგა ხნით, რამდენიმე თვით გადავიკარგები; მხოლოდ ხანგამოშვებით იქნებ დედა და და ვინახულო. ეს ფიქრები არეულ-დარეული იყო; ვგრძნობდი, რომ რაღაც ისე ვერ მოვიმოქმედე, როგორც მინდოდა და - კმაყოფილი კი ვიყავი; ვიმეორებ, მაინც მახარებდა რაღაც.

გადავწყვიტე ადრე დავწოლილიყავი, რადგან ვიცოდი, ხვალ ბევრი სიარული მომიწევდა. გარდა იმისა, რომ ბინა მქონდა დასაქირავებელი და აქედან უნდა გადავსულიყავი, მივიღე ზოგიერთი გადაწყვეტილება, რაც, რადაც უნდა დამჯდომოდა, უსათუოდ უნდა შემესრულებინა. მაგრამ იმ საღამოს არ ეწერა უკურიოზოდ დასრულება, და ვერსილოვმა მაინც შეძლო ჩემი უარესად განცვიფრება. ჩემს სენაკში არასდროს ფეხი არ შემოედგა და უცებ, ჯერ ერთი საათის ამოსულიც არ ვიყავი ზევით, კიბეზე მომესმა მისი ნაბიჯების ხმა: მეძახდა, გამომინათეო. გამოვიტანე სანთელი, გავუწოდე ხელი, რომელზეც ჩამეჭიდა, და ვუშველე ზემოთ ამოფოფხება.

- მერცი, მეგობარო, აქ ჯერ არასოდეს ამოვმძვრალვარ, მაშინაც კი, როცა ბინას ვქირაობდი. გული მეუბნებოდა, როგორიც უნდა ყოფილიყო აქაურობა, მაგრამ ასეთი სორო მაინც არ მეგონა, - გაჩერდა ჩემი პაწია ოთახის შუაგულში, თან ცნობისმოყვარეობით იხედებოდა გარშემო. - ეს ხომ კუბოა, ნამდვილი კუბო!

მართლაც რაღაცით წააგავდა კუბოს შიდა მხარე, და გამიკვირდა კიდეც, ერთი შეხედვით რა ზუსტად დაინახა მსგავსება-მეთქი. სენაკი ვიწრო იყო და გრძელი; ჩემი მხრის სიმაღლეზე იწყებოდა კედლისა და სახურავის კუთხე, რომლის ბოლოსაც ხელისგულით ვწვდებოდი. თავდაპირველად ვერსილოვი ძალაუნებურად წელში მოხრილი იდგა, ჭერს თავი არ ავარტყაო, მაგრამ არ აურტყამს და საკმაოდ არხეინად მოკალათდა დივანზე, რომელზეც ჩემი ლოგინი ეგო. რაც შემეხება მე, ფეხზე ვიდექი და ორმაგად განცვიფრებული მივჩერებოდი.

- დედაშენმა მითხრა, არ ვიცოდი, გამომერთმია თუ არა ის ფულიო - წეღან რომ შეაძლიე, შენი ამ ერთ თვეში დანახარჯის. ამ კუბოს რომ ვუყურებ, გამოგართვათ კი არა, პირიქით, ჩვენ უნდა დაგვექვითოს! აქ არასოდეს ვყოფილვარ და... ვერც კი წარმომიდგენია, აქ ცხოვრება თუ შეიძლება.

- შევეჩვიე. აი, იმას კი ვერასგზით ვერ შევჩვევივარ, რომ იმის მერე, რაც ქვევით მოხდა, თქვენ აქ გხედავთ.

- ჰო, ეგ მართალია, ქვევით გაცილებით უკმეხი იყავი, მაგრამ... მეც მაქვს ჩემი განსაკუთრებული მიზნები, რომლებსაც აგიხსნი, თუმცა, კაცმა რომ თქვას, ჩემს მოსვლაში არაფერია არაჩვეულებრივი; თვით ისიც კი, რაც ქვევით მოხდა, სავსებით ბუნებრივია; ოღონდ ამიხსენი, ღვთის გულისთვის: იქ, ქვევით რაც გვიამბე და რისთვისაც ისეთი ამბით გვამზადებდი და ემზადებოდი, მხოლოდ ეგ იყო, რისი აღმოჩენაც და შეტყობინებაც გქონდა განზრახული, თუ კიდევ გქონდა სათქმელი?

- მეტი არაფერი. ანუ დავუშვათ, რომ არაფერი.

- ცოტაა, ჩემო მეგობარო; გამოგიტყდები, ისეთი ამბით ემზადებოდი და ჩვენც ისე გვიწვევდი, ვიცინოთო, ერთი სიტყვით, ისე ძალიან გინდოდა გეამბნა, რომ მეტს მოველოდი.

- განა თქვენთვის სულერთი არ არის?

- მე, კაცმა რომ თქვას, ზომიერების გრძნობა მალაპარაკებს: არ

ღირდა ისეთი ბრახაბრუხი, და ვერც ზომიერება დაიცავი. მთელი ერთი თვე კრინტს არ ძრავდი, ემზადებოდი და უცებ - არაფერი.

- ბევრი რამის მოყოლა მინდოდა, მაგრამ რაც გიამბეთ, ნეტავ ისიც არ მეამბნა. ყველაფერს ვერ იტყვი, ზოგი რამ ჯობია, არასოდეს მოჰყვე კაცმა. მე ხომ საკმარისი გითხარით, მაგრამ აი, თქვენ ვერ მიმიხვდით.

- ა! შენც იტანჯები ხოლმე ხანდახან, რომ ფიქრები სიტყვებად ვერ ჩამოიქნა! ეგ კეთილშობილი ტანჯვაა, ჩემო მეგობარო, და მხოლოდ რჩეულთა ხვედრია; ბრიყვი მუდამ კმაყოფილია თავისი ნათქვამის და თანაც, მუდამ უფრო მეტს იტყვის, ვიდრე საჭიროა; თადარიგის დაჭერა უყვარს!

- მაგალითად, როგორც მე მოვიქეცი ქვევით; მეც მეტი ვთქვი, ვიდრე საჭირო იყო; მე „მთელი ვერსილოვი“ მოვითხოვე, ეს გაცილებით მეტია, ვიდრე საჭიროა; სრულიადაც არ მესაჭიროება ვერსილოვი.

- ჩემო მეგობარო, როგორც ვატყობ, გინდა აინაზღაურო, რაც ქვემოთ წააგე. ეტყობა, ნანობ, ხოლო ვინაიდან სინანული ჩვენში იმას ნიშნავს, რომ ისევ ეცე ვიღაცას, ამიტომ შენც არ გინდა მეორედ ამაცდინო. ადრე მომივიდა ამოსვლა, შენ ჯერ არ განელებულხარ და თანაც, გიჭირს კრიტიკის ატანა. მაგრამ დაჯექი, თუ ღმერთი გწამს, რაღაც მინდა შეგატყობინო; აი, ეგრე, გმადლობთ. იმის მიხედვით, რაც ქვევით უთხარი დედაშენს ოთახიდან გამოსვლისას, მეტად ცხადი შეიქნა, რომ, ყოველ შემთხვევაში, გვიჯობს, გავშორდეთ და ეს ყველაფერი უსკანდალოდ მოხდეს, რათა უფრო არ ატკინო გული დედაშენს და არ შეაშინო. ჩემი ნებით რომ ამოვედი აქ, ესეც კი ეყო, რომ გამხნევებულიყო: რაღაცნაირად სჯერა, რომ ჩვენ ჯერ კიდევ მოვახერხებთ შერიგებას, და რომ ყველაფერი ძველებურად გაგრძელდება. მგონია, ახლა ჩვენ რომ აქ ერთი-ორჯერ ხმამაღლა გადავიხარხაროთ, მათ აღტაცებით აევსებათ დამფრთხალი გულები. დაე, უბრალო და მიამიტი გული ჰქონდეთ, მაგრამ მოყვარულნი, ალალნი და გულუბრყვილონი არიან, მაშ, რატომ არ უნდა მივულოლიავოთ, თუკი არის შესაძლებლობა? ეს ერთი. მეორე: რატომ უნდა გავშორდეთ ერთმანეთს უსათუოდ შურისგების წყურვილით აღვსილნი, კბილთა ღრჭენით, წყევლა-კრულვით და სხვა ამგვარით? ეჭვგარეშეა, სრულებითაც არაა საჭირო, ერთმანეთს კისერზე ჩამოვეკიდოთ, მაგრამ ხომ შეიძლება ისე დავშორდეთ, რომ, ასე ვთქვათ, პატივს ვცემდეთ ერთმანეთს, ჰა?

- ეგ სისულელეა! სიტყვას გაძლევთ, უსკანდალოდ გადავალ - და საკმარისია. თქვენ ხომ დედაჩემის დარდი გაქვთ? მე კი მგონია, დედაჩემის სიმშვიდე ამ შემთხვევაში სულ არ გენაღვლებათ და მარტო სიტყვის მასალად ამბობთ ამას.

- არ გჯერა?

- ისე მელაპარაკებით, თითქოს მართლა ბალღი ვიყო!

- ჩემო მეგობარო, მზად ვარ, ათასჯერ გთხოვო პატიება ყოველივე იმისთვის, რასაც ვალად მდებ, იმ შენი ბავშვების წლებისთვის და ასე შემდეგ, მაგრამ cher enfant, რა გამოვა აქედან? შენ იმდენად ჭკვიანი ხარ, რომ თვითონვე არ ისურვებ ასეთ სულელურ მდგომარეობაში ჩავარდნას. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ დღემდეც ვერ გამიგია ხეირიანად - რას მსაყვედურობ. მართლაც, რა ბრალს მდებ, კაცმა რომ თქვას? იმას, რომ ვერსილოვად არ დაიბადე? თუ რა? ბიჭოს! შენ ზიზღით იცინი და ხელებს იქნევ, მაშ, ეს არ ყოფილა მიზეზი?

- მერწმუნეთ არა, დამიჯერეთ, ვერავითარ პატივს ვერ ვხედავ იმაში, რომ ვერსილოვად არ ვიწოდები.

- პატივს თავი დავანებოთ: თანაც შენი პასუხი უსათუოდ დემოკრატიული უნდა იყოს; მაგრამ თუ ეგრეა, მაშ, რა ბრალს მდებ?

- ტატიანა პავლოვნამ ახლა მითხრა ყველაფერი, რაც უნდა მცოდნოდა და მე კი ვერ გამეგო, სანამ არ მითხრა: რაკი არ მიმაბარეთ ხარაზს, მაშ, მადლობელიც უნდა ვიყო. ვერ გამიგია, ახლა მაინც რატომ ვარ უმადური, როცა ეს შემაგნებინეს და თვალი ამიხილეს? იქნებ თქვენი ამაყი სისხლი მალაპარაკებს, ანდრეი პეტროვიჩ?

- ალბათ არა, და, გარდა ამისა, დამეთანხმები, რომ შენმა ყველა გამოხტომამ, ქვემოთ რაც ჩაიდინე, ნაცვლად იმისა, რომ მე მომხვედროდა, როგორც განზრახული გქონდა, მხოლოდ დედაშენი დატანჯა და აწამა. მაგრამ, ვგონებ, შენი განსასჯელი მას არაფერი სჭირს. ან კი რა დანაშაული მიუძღვის შენ წინაშე? ბარემ ესეც ამიხსენი, ჩემო მეგობარო: რისი გულისთვის ან რა მიზნით მოსდე ქვეყანას სკოლაშიც, გიმნაზიაშიც და ყოველ პირველ შემხვედრთან, როგორც ყური მოვკარი, უკანონი შვილი ვარო? როგორც მითხრეს, ამას რაღაც განსაკუთრებული ხალისით სჩადიოდი. უნდა მოგახსენო, რომ ეს სისულელეა და ბინძური ცილისწამება: შენ კანონიერი შვილი ხარ, დოლგორუკი,

მაკარ ივანოვიჩ დოლგორუკის, პატივსაცემი და საუცხოო ჭკუისა და ხასიათის კაცის ვაჟი. თუ შენ უმაღლესი განათლება მიიღე, ეს მართლაც შენი ყოფილი ბატონის, ვერსილოვის წყალობით. მაგრამ რა გამოდის აქედან? მთავარი კი ისაა, რომ, როცა აცხადებდი, უკანონო შვილი ვარო, რაც თავისთავად ცილისწამებაა, შენ ამით საქვეყნოდ ამჟღავნებდი დედაშენის საიდუმლოს და, რაღაც ცრუ სიამაყის გამო, დედაშენს პირდაპირ მიათრევდი პირველივე გათახსირებული ადამიანის სამსჯავროზე, ჩემო მეგობარო. ეს ძალიან არაკეთილშობილური საქციელია. მით უმეტეს, რომ დედაშენს პირადად არანაირი დანაშაული არ მიუძღვის: ის უფაქიზესი ხასიათის ადამიანია, ხოლო თუ ვერსილოვის გვარს არ ატარებს, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ დღემდე სხვაზეა გათხოვილი.

- კმარა, სავსებით გეთანხმებით და იმდენად მწამს თქვენი ჭკუაგონების, რომ სრული იმედი მაქვს, დიდხანს არ მოუნდებით ჩემს შეხურებას. თქვენ ხომ გიყვართ ზომიერება; ამასთან, უნდა მოგახსენოთ, რომ ყველაფერს აქვს ზომა, თვით თქვენს მაგ უეცარ სიყვარულსაც დედაჩემისადმი. აი, რა აჯობებს: რაკი გადაწყვიტეთ, ამოსულიყავით ჩემთან და მეოთხედი ან ნახევარი საათი მჯდარიყავით (მე ჯერ კიდევ არ ვიცი, რატომ; კეთილი, ვთქვათ, დედაჩემის სიმშვიდისთვის) - თანაც ქვევით მომხდარის მიუხედავად, ასეთი ხალისით მელაპარაკებით, მაშინ უკეთესი იქნება, ბარემ მამაჩემზე მიამბოთ - აი, იმ მაკარ ივანოვიჩზე, იმ ყარიბ მოგზაურზე. სწორედ თქვენგან მინდა მოვისმინო მისი ამბავი; რახანია მინდოდა, მეკითხა თქვენთვის. რაკი უნდა გავიყაროთ, და იქნებ, დიდი ხნითაც, ძალიან მინდოდა თქვენვე გეპასუხათ კიდევ ერთ კითხვაზე: ნუთუ ამ ოცი წლის მანძილზე ვერ იმოქმედეთ დედაჩემის, ახლა კი ჩემი დის ცრუწმენებზე იმდენად, რომ თქვენი ცივილიზებული გავლენით გაგეფანტათ მის გარშემო აქამდე არსებული უკუნი? ო, მე მის სიწმინდეზე არ მოგახსენებთ! ის ზნეობრივად უამისოდაც უსასრულოდ ბევრად მაღლა იდგა თქვენზე, მომიტევეთ, მაგრამ... იგი მხოლოდ უსაზღვროდ ამაღლებული გვამია. ერთადერთი მხოლოდ ვერსილოვი ცოცხლობს, ხოლო ყოველივე დანარჩენი, რაც მის ირგვლივაა და რაც მასთანაა დაკავშირებული, ძლივსღა ფეთქავს იმ აუცილებელი პირობით, რომ ჰქონდეს პატივი, ასაზრდოოს იგი თავისი ძალ-ღონით, თავისი ახალგამოწურული წვენებით. მაგრამ ოდესმე ხომ ისიც იყო ცოცხალი, რაღაც ხომ შეგიყვარდათ მასში ოდესღაც? ისიც ხომ იყო ქალი?

- ჩემო მეგობარო, თუ სიმართლე გინდა, არც არასდროს ყოფილა, -

მომიგო მან, თან მყისვე გააქრო ის პირველყოფილი მანერა, ადრე რომ ამჟღავნებდა ჩემ მიმართ, რაც ნათლად მახსოვდა აქამდე და რომელიც ასე მაცოფებდა; ანუ, შეხედავ - ნამდვილი გულწრფელი მიამიტობაა, დაუკვირდები და - მასში ყველაფერი მარტოოდენ უღრმესი დაცინვაა. ასე რომ, ხანდახან ვერასგზით ვერ გამერკვია მისი ნამდვილი სახე. - არასდროს არ ყოფილა! რუსი ქალი ქალი არასდროს არ არის!

- პოლონელი, ფრანგი ქალები კი არსებობენ? ან იტალიელი, ვნებიანი იტალიელი ქალი, აი, რას შეუძლია დაატყვევოს მაღალი წრის ცივილიზებული რუსი, ვერსილოვის ყაიდისა?

- რას ვიფიქრებდი, სლავიანოფილს თუ გადავეყრებოდი? - გაიცინა ვერსილოვმა.

სიტყვასიტყვით მახსენდება მისი ნაამბობი; დიდი ხალისით და აშკარა სიამოვნებით დაიწყო მოყოლა. უკვე ნათელი იყო, რომ ჩემთან სულ სხვა მიზნით ამოვიდა და ფიქრადაც არ ჰქონია ლაყბობა ან დედაჩემის დამშვიდება.

II

- მე დედაშენმა მთელი ეს ოცი წელიწადი რუსული დუმილით გავატარეთ, - დაიწყო მან ჩვეული ლაყბობა (უაღრესად ყალბად და არა ბუნებრივად), - და ყველაფერი, რაც ჩვენ შორის მოხდა, ასევე მდუმარედ მოხდა. მთელი ჩვენი ოცი წლის კავშირის მთავარი ხასიათი მდუმარება იყო. მგონი, ერთხელაც კი არ წავკიდებულვართ. მართალია, ხშირად წავსულვარ ხოლმე და მარტო დამიტოვებია, მაგრამ ეს იმით მთავრდებოდა, ყოველთვის უკანვე ჩამოვსულვარ. Nous revenons toujours (ჩვენ მუდამ ვბრუნდებით ხოლმე (ფრანგ.).), და ასეთია მამაკაცთა ძლიერი თვისება; ეს მათ დიდსულოვნებით სჭირთ. ქორწინების საქმე მარტო ქალებზე რომ იყოს დამოკიდებული - არც ერთი ქორწინება არ შენარჩუნდებოდა ბოლომდე. თვინიერება, უსიტყვობა, სიბეჩავე და, იმავე დროს, სიმტკიცე, ძალა, ნამდვილი ძალა - აი, დედაშენის ხასიათი. არ დაივიწყო, რომ ესაა საუკეთესო ქალი, როგორსაც კი შევხვედრივარ ქვეყნად. ხოლო მას რომ ძალა აქვს - ამას მე დაგიდასტურებ: მე ხომ ვხვდები, როგორ ასულდგმულებდა მას ეს ძალა, იქ, სადაც საქმე ეხება არა რწმენას - აბა აქ რა ჭეშმარიტ რწმენაზე შეიძლება ლაპარაკი - არამედ იმას, რაც მათ რწმენად მიაჩნიათ, და, მაშასადამე, მათებურად წმინდაცაა, იქ თუ გინდა ჯვარს ეცმებიან, წამებას აიტანენ. აბა, შენ თვითონ თქვი: განა ვგავარ მწამებელს? აი, რატომ იყო, რომ ვამჯობინე, თითქმის ყველაფერზე გავჩუმებულიყავი, და არა იმიტომ მხოლოდ, რომ ეს უფრო ადვილია: და გამოგიტყდები, არც ვნანობ. ამრიგად, ყველაფერი თავისთავად მოგვარდა, გულხალვათად და ჰუმანურად, ასე რომ, სულ არ მიმითვლია ჩემთვის საქებარ საქმედ. სხვათა შორის, ფრჩხილებში გეტყვი: რატომღაც ეჭვი მაქვს, რომ დედაშენს არასოდეს სწამდა ჩემი ჰუმანურობა და ამიტომ მუდამ შიშით ძრწოდა; ძრწოლით კი ძრწოდა, მაგრამ ვერავითარ კულტურას ვერ დავუმორჩილე. ისინი როგორღაც ახერხებენ ამას, ჩვენ კი აქ რაღაცას ვერ მივმხვდარვართ, და საერთოდ, ისინი ჩვენზე უკეთესად აგვარებენ თავიანთ საქმეებს. მათ შეუძლიათ განაგრძონ თავისებური ცხოვრება მათთვის ყოვლად არაბუნებრივ მდგომარეობაში და ამ არამართებულ მდგომარეობაში სავსებით თავისთავადნი კი დარჩნენ. ჩვენ ამას ვერ ვახერხებთ.

- ვინ ისინი? ვერაფერი გამიგია.

- ხალხი, ჩემო მეგობარო, ხალხზე ვამბობ. მან ზნეობრივადაც და პოლიტიკურადაც დაამტკიცა თავისი დიადი, ცხოველმოსილი ძალა და ისტორიული სიღრმე, თავის ფართო ბუნება. მაგრამ ჩვენს საკითხს თუ დავუბრუნდებით, დედაშენზე გეტყვი, რომ ყოველთვის როდი დუმს; ხანდახან იტყვის კიდეც, მაგრამ იტყვის ისე, რომ აშკარად დაინახავ, რა ტყუილუბრალოდ დაგიკარგავს დრო ლაპარაკში, თუნდაც მანამდე ბარე ხუთი წელიწადი თანდათან შეგემზადებინა საამისოდ. თანაც მისი სიტყვის შემობრუნება მუდამ ყოვლად მოულოდნელია. ესეც იცოდე, რომ მე სრულიადაც არ ვეძახი მას სულელს; პირიქით, აქ თავისებური ჭკუაა, თანაც უშესანიშნავესი ჭკუა; თუმცა შენ იქნებ არც გწამს მისი ჭკუის...

- რატომაც არა? ის უფრო არ მჯერა, რომ თქვენ გწამთ მისი ჭკუა და არ თვალთმაქცობთ.

- მართლა? ეგეთი ქამელეონი გგონივარ? ჩემო მეგობარო, მე, ცოტა არ იყოს, ზედმეტის ნებას გაძლევ... როგორც განებივრებულ შვილს... მაგრამ დაე, ამჯერად ასე დარჩეს.

- მიამბეთ მამაჩემზე, სიმართლე მიამბეთ, თუ შეგიძლიათ.

- მაკარ ივანოვიჩზე? მაკარ ივანოვიჩი, როგორც უკვე იცი, არის შინაყმა, რომელმაც, ასე ვთქვათ, ერთგვარი დიდების მოპოვება მოისურვა.

- სანაძლეოს ჩამოვალ, რომ აი, ამწუთას თქვენ მისი გშურთ კიდეც!

- პირიქით, ჩემო მეგობარო, პირიქით, და თუ გინდა იცოდე, მეტად მოხარული ვარ, რომ ასეთ იკლიკანტურ გუნებაზე გხედავ; გეფიცები, სწორედ ახლა ვარ მონანიების გუნებაზე და სწორედ ახლა, ამწუთას, იქნებ მეათასეჯერ, უმწეოდ ვნანობ ყველაფერს, რაც ამ ოცი წლის წინ მოხდა... თანაც, ღმერთია მოწმე, ყოველივე ეს უაღრესად უცაბედად მოხდა... ჰოდა, შემდეგ, რამდენადაც ძალა შემწევდა, ჰუმანურადაც; ო, მაშინ თავგამოდებით ვთესდით სიკეთეს, ვემსახურებოდით სამოქალაქო მიზნებს, მაღალ იდეებს; ვკიცხავდით ჩვენს საგვარეულო უფლებებს, ჩვენს სოფლებსა და ლომბარდსაც კი, ყოველ შემთხვევაში, ზოგი ჩვენგანი... გეფიცები. ჩვენ ცოტანი ვიყავით, მაგრამ კარგად ველაპარაკებოდით, და, გარწმუნებ, ხანდახან კარგადაც ვიქცეოდით.

- ეგ როცა მხარზე დაჰქვითინებდით?

- ჩემო მეგობარო, წინასწარ გეთანხმები ყველაფერში; სხვათა შორის, მაგ მხრის თაობაზე ჩემგანვე გაქვს განაგონი და, მაშასადამე, ახლა ბოროტად იუენებ ჩემსავე მიამიტობას და ჩემსავე მონდობას; მაგრამ დამეთანხმე, რომ ეს მხარი, ღმერთმანი, არც ისე ცუდი იყო, როგორც ერთი შეხედვით ჩანს, მეტადრე იმ დროისთვის; ჩვენ ხომ მაშინ ის-ის იყო, ვიწყებდით. მე, რა თქმა უნდა, ვკეკლუცობდი, მაგრამ მაშინ ხომ ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რომ ვკეკლუცობდი. განა შენ, მაგალითად, პრაქტიკულ შემთხვევაში არასოდეს კეკლუცობ?

- წეღან, ქვევით, ცოტათი გრძნობებიც კი მომერია, და, აქ რომ ამოვედი, სირცხვილით დავიწვი, როცა გავიფიქრე, რომ თქვენ ამას კეკლუცობაში ჩამომართმევდით. ის კი მართალია, რომ ზოგ შემთხვევაში თუმცა გულწრფელად განიცდი ხოლმე ადამიანი, მაგრამ ხანდახან თამაშობ; ქვევით კი, გეფიცებით, ყველაფერი ხალასი იყო.

- მეც მანდა ვარ; საუცხოოდ გამოხატე მაგ ერთი სიტყვით: „თუმცა გულწრფელად განიცდი ხოლმე, მაგრამ მაინც თამაშობო“; ჰოდა, მეც სწორედ ეგრე დამემართა: თუმცა ვთამაშობდი, მაგრამ სავსებით გულწრფელად ვფიქრობდი. არ ვდაობ, მაკარ ივანოვიჩი უფრო გონებამახვილი რომ ყოფილიყო, შეეძლო ეს მხარი დაცინვადაც მიეღო; მაგრამ მაშინ მის გამჭრიახობას მისმა პატიოსნებამ შეუშალა ხელი. ოღონდ ის არ ვიცი, შევეცოდე თუ არა; მახსოვს, ძალიან მინდოდა, შევცოდებოდი.

- იცით, რა გეტყვით, - შევაწყვეტინე, - თქვენ აი, ახლაც, მაგას რომ ამბობთ, დამცინით. და საერთოდ, მთელი ეს ხანი, მთელი ეს ერთი თვე, როცა მელაპარაკებოდით, სულ დამცინოდით. რატომ იქცეოდით ყოველთვის ასე?

- ეგრე გგონია? - წყნარად მომიგო. - ძალიან ეჭვიანი ხარ; რომც დავცინო ვინმეს, შენ არ დაგცინებ, ან, ყოველ შემთხვევაში, მარტო შენ არა, არხეინად იყავი. მაგრამ ახლა არ დაგცინი, მაშინ კი - ერთი სიტყვით, მაშინ მე მოვიმოქმედე ყველაფერი, რაც კი შემეძლო, და, მერწმუნე, ჩემს სასარგებლოდ არ მიმოქმედია. ჩვენ, ესე იგი, მშვენიერ ადამიანებს, ხალხისგან განსხვავებით, სულ არ გვეხერხებოდა ჩვენს სასარგებლოდ მოქმედება: პირიქით, სიგლახის მეტს არაფერს ვუკეთებდით საკუთარ თავს და, ეჭვი მაქვს, რომ სწორედ ეს იყო ჩვენს თვალში მაშინ რაღაც „უმაღლესი და ჩემთვისვე სასარგებლო „, ცხადია, საუკეთესო გაგებით. მოწინავე ადამიანების ახლანდელი თაობა გაცილებით უფრო მომხვეჭელია. მაშინ მე, ჯერ კიდევ, ვიდრე შევცოდა-

ვდით, ყველაფერი არაჩვეულებრივი პირდაპირობით ავუხსენი მაკარ ივანოვიჩს. ახლა თანახმა ვარ, რომ ბევრი რამ სულაც არ უნდა ამეხსნა, მით უმეტეს, ისეთი პირდაპირობით: ჰუმანურობაზე რომ არაფერი ვთქვათ, უფრო ზრდილობიანი საქციელი იქნებოდა; მაგრამ მოდი და, თავი შეიკავე, როცა ცეკვის ეშხზე მოსულს ერთი კარგი ილეთის გაკეთება მოგინდება. ან იქნებ, მართლაც ასეთია მშვენიერისა და უზენაესის მოთხოვნილებანი, - მთელი ჩემი დღე და მოსწრება ამის გადაწყვეტაში ვარ და ვერ კი გადამიწყვეტია. თუმცა, ჩვენი ამ ზერელე საუბარისთვის ეს მეტისმეტად ღრმა თემაა, მაგრამ, გეფიცები, ახლა რომ გამახსენდება ხოლმე, ხანდახან სირცხვილი მკლავს. მაშინ მაკარ ივანოვიჩს სამი ათასი მანეთი შევაძლიე და, მახსოვს, ხმა არ ამოუღია. მარტო მე ვლაპარაკობდი. წარმოიდგინე, მეგონა, ჩემი, ესე იგი ჩემი, როგორც ბატონის, უფლების ეშინია-მეთქი, და, მახსოვს, არაფერს ვზოგავდი, რომ გამემხნევებინა; ვარწმუნებდი, ნურაფრის გეშინია, მითხარი, რაც გსურს, ნურც გაკრიტიკების მოგერიდება-მეთქი. საგარანტიოდ აღვუთქვი, თუ ხელს არ გაძლევს ჩემი პირობები, ანუ სამი ათასი ფულად, აზატობის ქაღალდი (მასა და მის ცოლს, რა თქმა უნდა) და ვოიაჟი ოთხივე მხარეს (ცოლის გარეშე, რა თქმა უნდა) - მაშინ პირდაპირ მითხარი და ახლავე აზატობის ქაღალდსაც მოგცემ, ცოლსაც გაგატან, ორივეს დაგასაჩუქრებთ იმავე სამი ათასით და თქვენ კი აღარ წახვალთ ოთხივ მხრივ ხსნილი გზით, მე თვითონ გაგეცლებით, მარტოდმარტო წავალ იტალიაში სამი წლით-მეთქი. მონ ამი (ჩემო ძვირფასო (ფრანგ.).), დარწმუნებული იყავი, რომ იტალიაში თან არ წავიყვანდი მ-ლლე საპოჟკოვას; იმ წუთში მეტად წმინდა ვიყავი. მერე არ იკითხავ, რა მოხდა? მაკარს მშვენივრად ესმოდა, რომ რაკი ვეუბნებოდი, შევასრულებდი კიდეც; მაგრამ ხმას მაინც არ იღებდა, და მხოლოდ მაშინ, როცა მესამედ უნდა დავმხობოდი მხარზე, გამეცალა, ხელი ჩაიქნია და, მერწმუნე, გვარიანი მოურიდებლობითაც კი გავიდა, რამაც გამაოცა. მაშინ უცაბედად სარკეში დავინახე ჩემი თავი და დღემდე ვერ დამივიწყებია. საერთოდ, როცა ხმას არ იღებენ - ისინი ყველაზე უარესნი არიან ხოლმე, ხოლო მაკარ ივანოვიჩი ხომ საერთოდ, დიდი უცხვირპირო ვინმე იყო; გამოგიტყდები, როცა კაბინეტში დავიბარე, არამც თუ არ ვენდობოდი, საშინლად მეშინოდა კიდეც: მათ წრეში ძალზე ბევრია ისეთი ბუნების, რომლებიც, ასე ვთქვათ, უწესოების განსახიერებანი არიან, ეს კი ყოველგვარ ცემა-ტყეპაზე მეტ შიშს ჰგვრის ადამიანს. Sic. მერედა, რა რისკს ვწევდი, რა რისკს! ერთიც ვნახოთ, ამ სამაზრო ჰურიას (ჰურია - ბიბლიის მიხედვით, იუდეველთა მეფის, დავითის მამაცი და ღვთისმოსავი მეომარი. დავითს მისი ცოლი, ბერსამე შეუყვარდა და ბრძანა, ჰურია დაეყენებინათ ბრძოლის ველის

ყველაზე სახიფათო ადგილზე, სადაც მოკლეს კიდეც.) ისეთი ყვირილი აეტეხა, ისე ეღრიალა, რომ მთელი ეზო შეეყარა, - აბა, რა დღეში უნდა ჩავვარდნილიყავი მაშინ მე, ეს ჩია დავითი, ან რა უნდა მექნა? აი, რატომ იყო, რომ, უწინარეს ყოვლისა, სამი ათასი ვუხსენე, ეს ინსტინქტურად მომივიდა, მაგრამ, საბედნიეროდ, შევცდი: მაკარ ივანოვიჩი სულ სხვა ხილი გამოდგა...

- მითხარით, ცოდვა ჩადენილი ჰქონდათ? თქვენ წეღან თქვით, ქმარი შეცოდებამდე მოვიხმეო.

- ესე იგი, იცი რა, როგორ გითხრა...

- მაშ, ჩადენილი გქონიათ, თქვენ კი ეს წუთია, თქვით, შევცდი, სულ სხვა ხილი გამოდგაო; მაინც რანაირი გამოდგა?

- ხეირიანად დღემდე მეც ვერ გავრკვეულვარ. მაგრამ რაღაც სხვანაირი და ფრიად წესიერიც კი გამოდგა; ეს იქიდან დავასკვენი, რომ ბოლოს კიდევ უფრო მეტად ვგრძნობდი სინდისის ქენჯნას მის შეხედვაზე. მეორე დღესვე ულაპარაკოდ დამთანხმდა ვოიაჟზე, რა თქმა უნდა, არაფერი არ დაივიწყა, რასაც დავპირდი.

- ფული გამოგართვათ?

- მერედა, როგორ! უნდა გითხრა, ჩემო მეგობარო, ამ საკითხში გამაოცა კიდეც. სამი ათასი მაშინ, რა თქმა უნდა, ხელზე არ მქონდა, მაგრამ შვიდასი მანეთი ვიშოვე და სახელდახელოდ ჩავუთვალე, მერე არ იკითხავ, რა ქნა? დანარჩენი ორი ათას სამასი მანეთიც მომთხოვა. ჩამომართვა ნასყიდობის ბარათი ერთი ვაჭრის სახელზე, რომ უფრო ნაღდი ყოფილიყო. მერე, ორი წელი რომ გავიდა, სასამართლოში მიჩივლა და იმ ბარათით გადამახდევინა ფულიც და პროცენტიც. ასე რომ, კვლავ გამაოცა, მით უფრო, რომ კალმასობდა. ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ღვთის ტაძრის ასაგებად ფულს აგროვებდა და მას აქეთ აგერ ოცი წელიწადია, დადის და დაეხეტება. ვერ გამიგია, რად უნდა მწირ მოგზაურს ამდენი ფული... ფული ხომ ძალზე საერისკაცო რამაა... რა თქმა უნდა, იმწუთას მე გულწრფელად და, ასე ვთქვათ, ცხელ გულზე შევთავაზე, მაგრამ მერე, ესოდენ მრავალი წუთი რომ გავიდა, ბუნებრივია, შემეძლო, გადამეფიქრებინა... და იმედი მქონდა, დამზოგავს-მეთქი... ან, ასე ვთქვათ, დაგვზოგავს-მეთქი მე და დედაშენს, ან, სხვა თუ არაფერი, მადროვებს-მეთქი, მაგრამ არ მადროვა...

(აქ აუცილებელია ნოტაბენე: თუ ვინიცობაა, ბატონი ვერსილოვი დედაჩემზე ადრე მოკვდებოდა, დედაჩემი სრულიად ულუკმაპუროდ დარჩებოდა სიბერეში, თუ არა მაკარ ივანოვიჩის ის სამი ათასი, რომელიც რახანია, პროცენტით ერთიორად გაზრდილიყო და შარშან მთლიანად, უკანასკნელ კაპიკამდე, ანდერძით დაუტოვა დედას. მაკარ ივანოვიჩმა ჯერ კიდევ მაშინ გამოიცნო ვერსილოვის ხასიათი).

- თქვენ ერთხელ მითხარით, რომ მაკარ ივანოვიჩი რამდენჯერმე ჩამოვიდა და ყოველთვის დედაჩემთან ბინავდებოდა?

- ჰო, ჩემო მეგობარო, და გამოგიტყდები, პირველად საშინლად მეშინოდა ხოლმე ამ სტუმრობის. მთელი ამ ოცი წლის განმავლობაში სულ ექვსჯერ თუ შვიდჯერ გვეწვია და, პირველ ხანებში, როცა ჩამოდიოდა ხოლმე, თუ შინ ვიყავი, ვემალებოდი. თავდაპირველად არც კი მესმოდა: რას უნდა ნიშნავდეს მისი ჩამოსვლა, ან რატომ ჩამოდის-მეთქი? მაგრამ მერე, ზოგიერთი მოსაზრებით, იმ აზრზე დავდექი, რომ ეს არცთუ ისე სულელური საქციელია მისი მხრიდან-მეთქი. შემდეგში, როგორღაც, ცნობისმოყვარეობამ შემიპყრო და გამოვედი მის სანახავად. და, გარწმუნებ, მეტად ორიგინალური შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. ეს უკვე მისი მესამე თუ მეოთხე სტუმრობისას მოხდა, სწორედ იმ ხანებში, როცა მომრიგებელ შუამავლად ვიწყებდი მუშაობას და როცა, ცხადია, გაცხარებით შევუდექი რუსეთის შესწავლას. ბევრი მეტად ახალი რამეც კი შევიტყვე მისგან. გარდა ამისა, მასში დავინახე სწორედ ის, რასაც სრულიად არ მოველოდი: ერთგვარი დიდსულოვნება, მშვიდი ხასიათი და, რაც ყველაზე გასაოცარი იყო, ლამის სიმხიარულეც. არც ერთი თუნდაც გადაკვრით ნათქვამი სიტყვა იმაზე (tu comprends? (ხომ გესმის? (ფრანგ.).)) და უაღრესი უნარი საქმიანი და საუცხოო ლაპარაკისა, ანუ არ მიუმართავს მათი სულელური შინაყმური ღრმააზროვნებისთვის, რომელსაც მე, უნდა გამოგიტყდე, მთელი ჩემი დემოკრატიზმის მიუხედავად, ვერ ვიტან; და იმ ნაძალადევი რუსიზმებისთვის, რომლითაც მეტყველებენ ჩვენს რომანებსა და სცენაზე „ნამდვილი რუსი ადამიანები“. ამასთან, ძალზე ცოტა ლაპარაკობდა რელიგიაზე, ისიც მაშინ, თუ თავად ჩამოუგდებდი სიტყვას, თან, თუ დაინტერესდებოდი, ძალზე თავისებურ და საყვარელ ამბებს ჰყვებოდა მონასტრებისა და იქაური ცხოვრების შესახებ. მთავარი კი არის მოწიწება, ის მოკრძალებული მოწიწება, რომელიც აუცილებელია უმაღლესი თანასწორობისთვის. უფრო მეტს გეტყვი, ურომლისოდაც, ჩემი აზრით, პირველობასაც ვერ მიაღწევ. სწორედ აქ, თუ მთლიანად განდევნი თუნდაც იოტისოდენა ყოყოჩობასაც, მიღწეული იქნება უმაღლესი

რიგიანობა და წარმოდგება ადამიანი, რომელიც უეჭველად პატივს სცემს საკუთარ თავს, თან მისსავე მდგომარეობაში, რანაირიც უნდა იყოს ეს მდგომარეობა და რა ხვედრიც უნდა არგუნოს ბედმა. ეს უნარი - პატივი სცე საკუთარ თავს შენსავე მდგომარეობაში - მეტად იშვიათია ამქვეყნად, ყოველ შემთხვევაში, ისევე იშვიათია, როგორც ჭეშმარიტი პირადი ღირსება... იცხოვრებ და შენც დარწმუნდები ამაში, მაგრამ ყველაზე მეტად გამაოცა შემდეგში, სწორედ შემდეგში და არა თავდა-პირველად (დაურთო ვერსილოვმა), - იმან, რომ ეს მაკარი საოცრად წარმოსადეგი და, გარწმუნებ, მეტად ლამაზი ვინმეა. მართალია, მოხ-უცია, მაგრამ შავგვრემანია, მაღალი შოლტი, უბრალო და დიდებული; გამიკვირდა კიდეც ჩემი საწყალი სოფიასგან, როგორ მამჯობინა მაშინ მე; მაშინ მაკარ ივანოვიჩი ორმოცდაათისა იქნებოდა, მაგრამ მაინც ვაჟკაცურად გამოიყურებოდა, მე მის გვერდით ერთი ცანცარა ვინმე ვჩანდი. თუმცა მახსოვს, მაშინ უკვე შეუწყნარებლად ჭაღარა იყო, მა-შასადამე, როცა შეირთო, მაშინაც ჭაღარა უნდა ყოფილიყო... ამან თუ იმოქმედა.

ვერსილოვს მაღალი წრისთვის დამახასიათებელი ერთი უსაზიზღ-რესი ზნე სჭირდა: როგორც კი რამდენიმე ძალზე ჭკვიანურსა და მშვე-ნიერ რამეს იტყოდა (სხვანაირად არც იქნებოდა), განზრახ დააყოლ-ებდა რამე ამდაგვარ სისულელეს, როგორც ახლა - ვითომ გამოიცნო, რომ მაკარ ივანოვიჩის ჭაღარის ბრალი იყო დედაჩემის საქციელი. ამ-ას განზრახ სჩადიოდა, მაღალი წრის სულელური ჩვეულების გამო და უთუოდ თვითონაც არ იცოდა, რატომ იქცეოდა ასე. რომ უსმინო, - თი-თქოს ძალიან სერიოზულად ლაპარაკობს - გუნებაში კი თითქოს კეკ-ლუცობს ან იცინისო.

III

არ ვიცი, მაშინ ისე საშინლად რამ გამაცეცხლა. საერთოდ, დიდი უკმაყოფილებით ვიხსენებ ხოლმე ზოგიერთ მაშინდელ საქციელს; უცებ წამოვდექი სკამიდან:

- იცით, რას გეტყვით, - ვუთხარი, - თქვენ თქვით, უმთავრესად იმიტომ ამოვედი აქ, რომ დედას ეგონოს, შევრიგდითო. საკმაო ხანი გავიდა საიმისოდ, რომ ასე ეგონოს; იქნებ ინებოთ და მარტოკა დამტოვოთ.

სახე ოდნავ შეუწითლდა და წამოდგა:

- ჩემო კარგო, შენ მეტისმეტად უბოდიშოდ მექცევი, თუმცა, ნახვამდის; ძალით ვერ ჩამოგეკიდები კისერზე, მხოლოდ ერთი შეკითხვის ნებას მივცემ თავს: ნამდვილად გინდა, თავი დაანებო თავადთან მუშაობას?

- აჰა! განა არ ვიცოდი, რომ განსაკუთრებული მიზნები გქონდათ...

- ესე იგი, ეჭვი გაქვთ, თითქოს აქ იმიტომ ამოვედი, რომ მინდა დაგიყოლიოთ თავადთან დარჩენაზე, რადგან ამით ხეირს ვნახავ? ჩემო მეგობარო, იქნებ იმასაც ფიქრობ, რომ მოსკოვიდან აქ რომ გიბარებდი, მაშინაც ჩემთვის სახეირო რამე მქონდა მხედველობაში? ო, რა ეჭვიანი ხარ! პირიქით, სიკეთე მინდოდა შენთვის და იმიტომაც დაგიბარე. და ახლაც, როცა ასე გამომიკეთდა მდგომარეობა, მინდა ხანდახან მაინც დაგვრთო ნება მე და დედაშენს, დაგეხმაროთ.

- მე თქვენ არ მიყვარხარ, ვერსილოვ!

- აჰა, უკვე „ვერსილოვიც“ გავხდი შენთვის. რაკი სიტყვას მოჰყვა, გეტყვი: ძალიან ვწუხვარ, რომ არ შემეძლო შენთვის ამ გვარის მოცემა. ვინაიდან, კაცმა რომ თქვას, მარტოოდენ ესაა ჩემი დანაშაული, თუკი საერთოდ მიმიძღვის დანაშაული, ხომ ასეა? მაგრამ, ეგეც არ იყოს, თავად განსაჯე, ქმრიან ქალს ხომ ვერ შევირთავდი?

- ალბათ ამიტომაც გინდოდათ უქმროს შერთვა?

ვერსილოვს მსუბუქმა კრთომამ გადაურბინა სახეზე.

- მაგას ემსზე ამბობ? გამიგონე, არკადი, წეღან, ქვევით, დედაშენის თანდასწრებით, შენს თავს ნება მიეცი, საძრახისად მოქცეულიყავი, თან ხელს ჩემკენ იშვერდი. მაშ, იცოდე, რომ სწორედ ამ ამბავში ცდები ყველაზე მეტად. განსვენებული ლიდია ახმაკოვას ამბისა იოტისოდენაც არაფერი იცი. არც ის იცი, თუ რამდენად ერია ამ ამბავში დედაშენი, დიახ, ერია, თუმცა იქ არ ყოფილა, და თუ ოდესმე მაინც მინახავს სათნო ქალი, ვნახე მაშინ, დედაშენის შემყურემ. მაგრამ კმარა, ყოველივე ეს ჯერჯერობით საიდუმლოა, შენ კი - კაცმა არ იცის, რაებს ამბობ, ჭორებს აჰყოლიხარ.

- სწორედ ამ დილას მითხრა თავადმა თქვენზე, ქორფა გოგონების მოტრფიალეაო.

- ეგ თავადმა თქვა?

- დიახ, გნებავთ, ზუსტად მოგახსენოთ, რატომ ამოხვედით ჩემთან? მთელი ეს ხანი ვიჯექი და ჩემს თავს ვეკითხებოდი: რაშია ამ დარბაზობის საიდუმლოება-მეთქი და ბოლოს, მგონი, მივხვდი.

ვერსილოვი უკვე გადიოდა, მაგრამ შეჩერდა და მოლოდინით ჩემკენ იბრუნა პირი.

- წეღან სხვათა შორის წამომცდა ტუშარის წერილი, ტატიანას რომ მისწერა და ანდრონიკოვის საქაღალდეში რომ მოხვდა, მისი სიკვდილის მერე მოსკოვში, მარია ივანოვნასთან აღმოჩნდა-მეთქი. კარგად შევნიშნე, როგორ შეკრთით, და მხოლოდ ახლა, როცა ისევ შეკრთით, მივხვდი: წეღან, ქვევით, ფიქრმა გაგიელვათ, თუკი ანდრონიკოვის ერთი წერილი აღმოჩნდა მარია ივანოვნასთან, რატომ არ შეიძლება მეორეც იმასთანვე აღმოჩენილიყოო? ანდრონიკოვს კი შეიძლებოდა მეტად მნიშვნელოვანი წერილები დარჩენოდა, ჰა? ხომ ასეა?

- და მე იმიტომ ამოვედი, რომ შენთვის რამე წამომეცდენინებინა?

- თავადაც იცით.

ვერსილოვს მიწისფერი დაედო.

- მაგას შენ თვითონ ვერ მოიფიქრებდი; აქ ქალის გავლენაა; რაოდენი სიძულვილია მაგ შენს სიტყვებში, მაგ უხეშ მიხვედრილობაში!

- ქალის გავლენა? ის ქალი სწორედ ამ დილას ვნახე! იქნებ იმიტომ

გწადიათ ჩემი თავადთან დარჩენა, რომ იმ ქალს თვალი ვადევნო?

- ერიჰა, შენ დიდი წარმატება გელის მაგ შენს ახალ სარბიელზე. ეგ ხომ არ იყო „შენი იდეა“? განაგრძე, ჩემო მეგობარო, უეჭველად დიდ ნიჭიერებას იჩენ სამძებრო დარგში. ღმერთს ნიჭი მოუმადლებია, უნდა განავითარო კიდეც.

ვერსილოვმა სულის მოსათქმელად პაუზა გააკეთა.

- მიფრთხილდით, ვერსილოვ, ნუ გადამიმტერებთ!

- ჩემო მეგობარო, ასეთ დროს თავის უკანასკნელ ფიქრებს არავინ ამბობს ხოლმე, გულში ინახავს. ახლა კი, სანთელი გამომინათე, გეთაყვა. მტერი კი ხარ, მაგრამ ისეთი მტერი მაინც არ იქნები, რომ კისრის მოტეხა Tiens, mon ami მისურვო. წარმოიდგინე, - განაგრძობდა ძირს ჩამავალი, - მე მთელი ეს თვე ერთი გულკეთილი ვინმე მეგონე. შენ ისე გინდა იცოცხლო და ისე გწყურია სიცოცხლე, მგონი, სამი სიცოცხლეც რომ გქონდეს, ისიც არ გეყოფოდა. ეს ზედ გაწერია სახეზე: ჰოდა, ასეთები მეტწილად გულკეთილები არიან. დახე თურმე, როგორ შევმცდარვარ!

IV

ვერ გამოვთქვამ, როგორ შემეკუმშა გული, როდესაც მარტოკა დავრჩი; ასე მეგონა, ჩემივე ხორცის ნაჭერი ჩამოვითალე-მეთქი. რამ გამაბრაზა უცებ ან რად შეურაცხვყავ - ისე განზრახ და მოწადინებით - ვერ გეტყვით და, რა თქმა უნდა, ვერც მაშინ გეტყოდით. თან როგორ გაფითრდა?! იქნებ ის გაფითრება სწორედ ყველაზე გულწრფელ და წმინდა გრძნობას და ღრმა გულისტკივილს გამოხატავდა და არა გაბრაზებასა და შეურაცხყოფას. მუდამ მეჩვენებოდა, რომ იყო ხოლმე წუთები, როდესაც ძალიან ვუყვარდი. რატომ, რატომ არ უნდა მჯეროდეს ეს ახლა? მით უმეტეს, რომ ამდენი რამაა სავსებით გარკვეული.

იქნებ მართლაც იმიტომ გავბრაზდი და გავაგდე, რომ უეცრად მივხვდი: ჩემთან იმიტომ მოვიდა, რომ შეიტყოს, მარია ივანოვნას ანდრონიკოვის სხვა წერილებიც ხომ არ დარჩაო? ვიცოდი, რომ მას უნდა ეძებნა ეს წერილები და ეძებს კიდეც. თუმცა, ვინ იცის, იქნებ მაშინ, სწორედ იმწუთას, საშინლად შევცდი?! და იქნებ მევე, სწორედ ჩემი ამ შეცდომით, გავახსენე მარია ივანოვნა და გულისხმაში ჩავაგდე, მართლაც შესაძლოა, წერილები მას ჰქონდესო?

და, დასასრულ, ისევ უცნაურობა: მან კვლავ სიტყვასიტყვით გაიმეორა ჩემი აზრი (სამი სიცოცხლის შესახებ), რომელიც წეღან კრაფტს ვუთხარი, და, რაც მთავარია, ჩემივე სიტყვებით გაიმეორა. სიტყვები რომ დაემთხვა, ეს კვლავ შემთხვევის ამბავია, მაგრამ საიდან იცნობს ჩემს ბუნებას? რა თვალი აქვს, რა მიხვედრა! თუმცა, თუკი ასე ესმის ერთი, რატომ სრულიად ვეღარ გაუგია მეორე? ნუთუ თავს არ იკატუნებდა და მართლაც ვერ ხვდებოდა, რომ მე ვერსილოვის გვარიშვილობა კი არ მინდოდა, ჩემი გაჩენის უპატიებლობა კი არ მაწუხებდა, არამედ ის, რომ მთელი სიცოცხლე თვითონ ვერსილოვი მსურდა, მთლიანად ეს ადამიანი, მამა, და რომ ეს აზრი ძვალსა და რბილში მქონდა გამჯდარი? ნუთუ ასეთი ალღოიანი ადამიანი ესოდენ ჩლუნგი და სქელკანიანია? ხოლო თუ არა, მაშინ რატომღა მაცოფებს, რატომ თვალთმაქცობს?

თავი მერვე - I

დილით შევეცადე, რაც შეიძლებოდა, ადრე ავმდგარიყავი. ჩვეულებრივად ჩვენსას რვა საათზე ვდგებოდით, ესე იგი, მე, დედაჩემი და ჩემი და; ვერსილოვი ათის ნახევრამდე ნებივრობდა. ზუსტად ცხრის ნახევარზე დედაჩემს ყავა შემოჰქონდა ხოლმე. მაგრამ ამჯერად ყავას აღარ დაველოდე და სწორედ რვა საათზე გავიპარე. ჯერ წუხელვე შევადგინე მთელი ამ დღის მოქმედების ზოგადი გეგმა. მაგრამ უკვე ვგრძნობდი, რომ ამ გეგმაში, თუმცა მხურვალედ გადავწყვიტე, მყისვე უნდა შევუდგე მის შესრულებას-მეთქი, ყველაზე მნიშვნელოვან პუნქტებში ბევრი რამ იყო სუსტი და გაურკვეველი; აი, რატომ იყო, რომ თითქმის მთელი ღამე ძილ-ღვიძილში გავატარე, თითქოს ვბოდავდი, უამრავი სიზმარი ვნახე და თითქმის ერთხელაც ვერ ჩავიძინე რიგიანად. მიუხედავად ამისა, ასე მხნედ და კარგ გუნებაზე არასოდეს ავმდგარვარ. დედაჩემის ნახვა კი განსაკუთრებით არ მინდოდა. იმ ერთი თემის გარდა სხვაზე ახლა ვეღარაფერზე გამოველაპარაკებოდი და მეშინოდა, ვაითუ ახალმა და მოულოდნელმა შთაბეჭდილებამ დასახულ მიზნებს დამაცილოს-მეთქი.

სუსხიანი დილა იყო და ყველაფერს ნესტიანი, რძისფერი ბურუსი დაჰფენოდა. არ ვიცი რისგანაა, მაგრამ პეტერბურგის ადრიანი, საქმიანი დილა, თუმცა საკმაოდ უხეირო სანახავია, ყოველთვის მომწონს, და საქმეზე აჩქარებით მიმავალ ამ ეგოისტ და მუდამ ჩაფიქრებულ ხალხს ჩემთვის, დილის რვა საათზე, განსაკუთრებული მიმზიდველობა აქვს. განსაკუთრებით მიყვარს, როცა აჩქარებით მიმავალი ან მე ვკითხავ ვინმეს რამე საქმიანს, ან მე მკითხავენ: შეკითხვაცა და პასუხიც მუდამ მოკლეა, ნათელი, საზრიანი, დაუყოვნებლივ ნათქვამი და თითქმის მუდამ მეგობრული; პასუხიც განსაკუთრებული ხალისით იციან ხოლმე დღის ამ დროს. როცა დღე ჩამოდგება ან მოსაღამოვდება, პეტერბურგელი ნაკლებად გულთანაზიარი ხდება და ერთ ბეწო რამეზეც მზადაა შეგიკურთხოს ანდა მასხრად აგიგდოს; სულ სხვაა დილაადრიან, ვიდრე საქმეს შესდგომია, ყველაზე ფხიზელ და სერიოზულ დროს. ეს უკვე შემინიშნავს.

მე ისევ პეტერბურგსკაიასკენ გავემართე. რადგან თორმეტ საათზე უსათუოდ უკან უნდა გავბრუნებულიყავი ფონტანკაზე, ვასინთან (რომელსაც უფრო ხშირად თორმეტ საათზე თუ დაიჭერდა შინ კაცი), მეც ვჩქარობდი და არ შევჩერებულვარ, თუმცა კუჭი მიწრიალებდა და გული მიმიწევდა ყავის დასალევად. თან ეფიმ ზვერევისთვისაც უსათუოდ

შინ უნდა მიმესწრო; მე მასთან მივდიოდი და მართლაც, კინაღამ დავიგვიანე; ის-ის იყო, ყავის სმას ათავებდა და წასასვლელად ემზადებოდა.

- რა ჩემთან სიარული აგიტყდა? - შემომაგება სიტყვა და არც კი წამოდგა.

- ახლავე აგიხსნი.

ყოველი ადრიანი დილა, მათ შორის პეტერბურგისაც, გამომაფხიზლებლად მოქმედებს ადამიანის ბუნებაზე. მგზნებარე ღამეული ოცნება თითქოს დილის შუქთან და სიცივესთან ერთად ქრება. ზოგჯერ თვითონაც, დილაობით რომ გამხსენებია ჩემი წინა ღამის ოცნებები, ხოლო ხანდახან საქციელიც, სინანული მიგრძნია და შემრცხვენია, ოღონდ გაკვრით მაინც უნდა შევნიშნო, რომ პეტერბურგის დილას, ამ თითქოსდა ყველაზე პროზაულ დილას დედამიწის ზურგზე, - ღამის ყველაზე უფრო ფანტასტიკურ დილად მივიჩნევ ამქვეყნად. ეს გახლავთ ჩემი პირადი შეხედულება ან, უკეთ, შთაბეჭდილება, მაგრამ თავგამოდებით დავიცავ. პეტერბურგის ასეთ დამყაყებულ, ნესტიან და ბურუსიან დილას, ოცნება პუშკინის რომელიმე გერმანს „პიკის ქალიდან“ (კოლოსალური სახე, არაჩვეულებრივი, სავსებით პეტერბურგული ტიპი, - პეტერბურგის პერიოდის ტიპი!) - ვფიქრობ, კიდევ უფრო მეტად უნდა განუმტკიცდეს. ასეთ ბურუსში ასჯერ დამბადებია უცნაური, მაგრამ აკვიატებული ოცნება: „რა მოხდება, ეს ბურუსი რომ გაიფანტოს და მაღლა გაემართოს; თან ხომ არ გაჰყვება მთელი ეს დამყაყებული, მოლიპული ქალაქი, აჰყვება ბურუსს და კვამლივით გაქრება, და დარჩება მხოლოდ წინანდელი ფინური ჭაობი, შუა ჭაობში კი, სილამაზისთვის, ბრინჯაოს მხედარი - ამხედრებული გაქაფულ ცხენზე, რომელსაც პირიდან გავარვარებული ოხშივარი სდის?“. ერთი სიტყვით, ვერ გამომითქვამს ჩემი შთაბეჭდილებანი, რადგან ყოველივე ეს გახლავთ ფანტაზია, დაბოლოს პოეზია, და მაშასადამე, სისულელეა; მიუხედავად ამისა, ხშირად დამბადებია და მებადება ერთი მართლაცდა სავსებით უაზრო კითხვა: „აი, ესენი ყველანი დაფუსფუსებენ და აქეთ-იქით აწყდებიან, მაგრამ ვინ იცის, იქნებ ყოველივე ეს სიზმარია ვინმესი, და ერთი სულიერიც არაა აქ ნამდვილი, ჭეშმარიტი, არც ერთი საქციელი არაა ნამდვილი? უცებ გაეღვიძება ვიღაცას, ვისაც ეზმანება ყოველივე ეს - და გაქრება ყველაფერი“. თუმცა, შევტოპე.

წინასწარ ვიტყვი: კაცის ცხოვრებაში ყველაფერი თითქოს იმდენად ექსცენტრიკული წადილი და ოცნებაა, რომ ერთი შეხედვით შეუცდო-

მლად შეიძლება სიგიჟედ ჩაითვალოს. აი, ერთ-ერთმა ასეთმა ფანტა-ზიამ მიმიყვანა იმ დილას ზვერევთან - ზვერევთან, რადგან სხვა არავ-ინ მეგულებოდა პეტერბურგში, ვისთვისაც შემეძლებოდა იმჯერად მიმემართა. ამასთან, სწორედ ეფიმი იყო ის პირი, ვისაც, არჩევანი რომ მქონოდა, ყველაზე ბოლოს მივმართავდი ასეთი წინადადებით. როდესაც პირისპირ დავუჯექი, მომეჩვენა, რომ მე, განსახიერებული ბოდვა და ციებ-ცხელება, წინ დავუჯექი ფრთხილი მოქმედებისა და პროზის განსახიერებას. მაგრამ ჩემს მხარეზე იყო იდეა და უტყუარი გრძნობა; მის მხარეზე კი - მხოლოდ პრაქტიკული დასკვნა - ასე არას-ოდეს არ ხდებაო. ერთი სიტყვით, მოკლედ და მკაფიოდ ავუხსენი, რომ პეტერბურგში მის მეტი სრულიად არავინ მყავს, ვისაც შემიძლია სეკუ-ნდანტობა ვთხოვო, ვინაიდან საქმე კაცურ ღირსებას ეხება; რომ ის ჩე-მი ძველი ამხანაგია და ამიტომ უფლებაც კი არა აქვს, უარი მითხრას, და რომ მინდა, დუელში გამოვიწვიო გვარდიის პორუჩიკი თავადი სო-კოლსკი, რადგან მან წელიწადზე ცოტა მეტი ხნის წინ, ემსში სილა გა-აწნა მამაჩემს, ვერსილოვს. აქ უნდა შევნიშნო, რომ ეფიმმა ზედმიწე-ვნით წვრილად იცოდა მთელი ოჯახური ამბები, ვერსილოვისადმი ჩე-მი დამოკიდებულება და თითქმის ყველაფერი, რაც თავად ვიცოდი ვე-რსილოვის ისტორიიდან; თვითონ მქონდა ნაამბობი სხვადასხვა დრ-ოს ყველაფერი, გარდა, ცხადია, ზოგიერთი საიდუმლოებისა. ეფიმი იჯდა და, როგორც ჩვეოდა, გალიაში გამომწყვდეულ ბეღურასავით აფხორილი მისმენდა, მდუმარე და სერიოზული, გაბერილი, თეთრთმ-ააჩეჩილი. ტუჩებიდან არ სცილდებოდა უძრავი, დამცინავი ღიმილი. ეს ღიმილი მით უფრო ცუდი იყო, რომ სრულიად უნებურად იღიმებო-და; ეტყობოდა, ამ წუთში ნამდვილად და ჭეშმარიტად ჩემზე მაღლა მდგომად თვლიდა თავს ჭკუითაც და ხასიათითაც. ასევე, ეჭვი მქონდა, რომ ვეზიზღებოდი კიდევაც დერგაჩევთან გუშინ გამართული სცენის გამო; ეს ასეც უნდა ყოფილიყო: ეფიმი - ბრბოა, ეფიმი - ქუჩაა, ხოლო ბრბო და ქუჩა მუდამ მხოლოდ წარმატებას სცემდა თაყვანს.

- ვერსილოვმა თუ იცის ეს ამბავი? - მკითხა მან.

- რა თქმა უნდა, არა.

- მაშ, რა უფლება გაქვს, მის საქმეებში რომ ერევი? ეს ერთი. მეორ-ეც, რა გინდა მაგით დაამტკიცო?

ვიცოდი, რასაც მიპასუხებდა და მაშინვე ავუხსენი, ეს სულაც არაა ისეთი სისულელე, როგორც შენ ფიქრობ-მეთქი. ჯერ ერთი, იმ თავხედ თავადს დავუმტკიცებ, რომ კიდევ მოიპოვებიან ადამიანები, რომელთ-

აც ჩვენს წოდებაშიც გაეგებათ ღირსების ფასი; მეორეც, ამით შევარცხვენ თვით ვერსილოვს, ეს მისთვის გაკვეთილი იქნება. მესამე და მთავარი ისაა, რომ თუნდაც ვერსილოვი მართალი ყოფილიყო, როცა რაღაც მოსაზრებებით დუელში არ გამოიწვია თავადი და სილა შეარჩინა, ყოველ შემთხვევაში, დაინახავს, რომ არის ქვეყნად ადამიანი, ვინც ისე ძლიერ განიცდის მის შეურაცხყოფას, რომ საკუთარ შეურაცხყოფად მიიჩნევს და მზადაა, მისი ინტერესების დასაცავად სიცოცხლეც არ დაიშუროს... მიუხედავად იმისა, რომ მალე სამუდამოდ გაეცლება...

- დაიცა, ნუ ყვირი, დეიდაჩემს არ უყვარს ხმაური. ახლა ეს მითხარი, ეგ ხომ ის თავადი სოკოლსკია, ვისთანაც ვერსილოვს დავა აქვს მემკვიდრეობის თაობაზე? თუ ასეა, მაშინ ეს იქნება დავის მოგების სრულიად ახალი და ორიგინალური ხერხი - მოწინააღმდეგის დუელში მოკვლა. მე en toutes lettres (დაუფარავად (ფრანგ.).) ავუხსენი, ყეყეჩი და თავხედი ვინმე ხარ და თუ ეგ დამცინავი ღიმილი უფრო და უფრო გემატება, ეს მხოლოდ შენს თვითკმაყოფილებას და ორდინარულობას მოწმობს-მეთქი; ხომ არ გგონია, რომ ეგ მოსაზრება მათი დავის თაობაზე მე არ გამხსენებია და მხოლოდ მაგ შენს ჭკუის კოლოფ თავს ეწვია-მეთქი. მერე მოვახსენე, რომ დავა უკვე მოგებულია, თანაც თავადი სოკოლსკი კი არა, სოკოლსკები დაობენ. ასე რომ, ერთი თავადი კიდეც რომ მოკვდეს, სხვები დარჩებიან, თუმცა, ეჭვი არაა, დუელში გამოწვევა უნდა გადაიდოს აპელაციის ვადის გასვლამდე (თუმცა თავადები აპელაციას არ მიმართავენ), მაგრამ მხოლოდ წესიერების გულისთვის. როგორც კი ვადა გავა, დუელიც მაშინ შედგება; რომ ახლა იმიტომაც მოვედი, - დუელი ახლა არ შედგება, მაგრამ მინდოდა სიტყვა ჩამომერთმია მისთვის, რადგან სეკუნდანტი არ მყავს, აქ არავის ვიცნობ: ჰოდა, თუ ის, ეფიმი, უარს მეტყვის, უნდა ვიცოდე, რათა იმ დროისათვის სხვა ვინმე მაინც მოვნახო. აი, ამიტომ მოვედი-მეთქი.

- ჰოდა, შენც ადექი და მაშინ მოდი, ახლა რას მოეხეტებოდი ათ ვერსზე!

ეფიმი ადგა და ქუდს დაავლო ხელი.

- მაშინ წამომყვები?

- არა, რა თქმა უნდა, არა.

- რატომ?

- თუნდაც იმიტომ, რომ ახლა თუ დაგეთანხმე, სანამ აპელაციის ვადა გავა, დაიწყებ ყოველდღე ჩემთან წანწალს და სულს ამომხდი, მთავარი კი ისაა, რომ ეგ ყველაფერი სისულელეა. შენმა მზემ, შენი გულისთვის კარიერას გავიფუჭებ! ერთიც ვნახოთ და, თავადმა მკითხოს: „ვინ გამოგგზავნათ?“ - „დოლგორუკიმ“. - „მერედა, რა ესაქმება დოლგორუკის ვერსილოვთან?“. მაშინ დავჯდე და შენი საგვარეულო ნუსხა ვუამბო, თუ? ხომ დამაყარა სიცილი!

- შენც ადექი და მიაფეთე სახეში!

- ეს ზღაპრებია.

- გეშინია? შენ ხომ მაღალი ხარ; გიმნაზიაში ყველაზე ღონიერი იყავი.

- მეშინია, რა თქმა უნდა, მეშინია. თან თავადი თუნდაც იმიტომ არ მიიღებს გამოწვევას, რომ დუელში თავის სწორს მიჰყვებიან ხოლმე.

- მეც ჯენტლმენი ვარ განვითარებით, მე განათლება მიმიღია, მისი სწორი ვარ... პირიქით, თვითონ არაა ჩემი სწორი.

- არა, შენ პატარა ხარ.

- რას ჰქვია, პატარა ვარ?

- იმას, რომ პატარა ხარ; მე და შენ ორივენი პატარები ვართ; ის კი დიდია.

- რა ჩერჩეტი ხარ! მე აგერ, წელიწადია, რაც, კანონით, შემიძლია ცოლი შევირთო.

- შეირთე მერე, ვინ გიშლის, მაგრამ მაინც დ...კი ხარ: შენ ჯერ კიდევ იზრდები!

რა თქმა უნდა, მივხვდი, რომ ჩემი მასხრად აგდება უნდოდა. ეჭვი არაა, შეიძლებოდა სულაც არ მეამბნა ეს სულელური ანეკდოტი და უკეთესიც კი იქნებოდა, თუ კაციშვილი ვერ შეიტყობდა; თანაც ეს ამბავი საზიზღრად წვრილმანია და არცაა საჭირო, თუმცა საკმაოდ სერიოზული შედეგები კი მოჰყვა.

მაგრამ რათა უფრო მეტად დავისაჯო თავი, ბარემ ბოლომდე გიამ-

ბობთ. როცა მივხვდი, ეფიმი დამცინის-მეთქი, თავს ნება მივეცი, მისთვის მხარში გამეკრა მარჯვენა ხელი, ან, უკეთ, მარჯვენა მუშტი. მაშინ მან ორივე ხელი მხრებში ჩამავლო, პირი მინდვრისკენ მაქნევინა და საქმით დამიმტკიცა, რომ მართლაც ყველაზე ღონიერი იყო ჩვენს გიმნაზიაში.

II

მკითხველს, რა თქმა უნდა, ეგონა, რომ როცა ეფიმისგან გამოვედი, საშინელ გუნებაზე ვიყავი, მაგრამ შეცდა. ძალზე კარგად მივხვდი, რომ ეს იყო მოწაფური, გიმნაზიური შემთხვევა, ხოლო საქმის სერიოზულობას კი იოტისოდენაც არაფერი მოჰკლებია. ყავა ვასილის კუნძულზე გეახელით, განგებ ავუქციე გვერდი ჩემს გუშინდელ ტრაქტირს პეტერბურგსკაიაზე; ეს ტრაქტირიც და ბულბულიც უფრო მეტად შემძაგდა. საოცარი ხასიათი მაქვს, შემიძლია ისე შევიძულო ადგილები და საგნები, თითქოს ადამიანები ყოფილიყვნენ. სამაგიეროდ, პეტერბურგში მაქვს რამდენიმე ბედნიერი ადგილი, ესე იგი, ისეთი ადგილები, სადაც ოდესღაც რაიმე მიზეზით ბედნიერი ვყოფილვარ, - და იცით, რა? ვუფრთხილდები ამ ადგილებს და განზრახ, რაც შეიძლება გვიან-გვიან გავივლი ხოლმე იქითკენ, რათა მერე, როცა მთლად მარტოკა და უბედური ვიქნები, მოვინახულო, ვინაღვლო და გავიხსენო. ყავის სმის დროს სავსებით სამართლიანად შევაფასე ეფიმი და მისი გონიერება. დიახ, ის ჩემზე პრაქტიკული იყო, მაგრამ ვეჭვობ, უფრო რეალისტური ყოფილიყო. რეალიზმი, რომელიც საკუთარი ცხვირის წვეტით განისაზღვრება, ყველაზე უგუნურ ფანტასტიკურობაზე უფრო საშიშია, ვინაიდან ბრმაა. მაგრამ სამართლიანად რომ შევაფასე ეფიმი (რომელიც იმწუთას უთუოდ ფიქრობდა ჩემზე: აი, ქუჩაში მიდის და მაგინებსო) - მაინც არაფერი დავუთმე ჩემი შეხედულებებიდან, როგორც არ ვთმობ აქამდე. შემხვედრიან ისეთი ადამიანები, რომლებიც, როგორც კი ცივი წყალი გადაევლებათ, მაშინვე უარს ამბობენ არა მარტო თავის საქციელზე, არამედ იდეაზეც, და თვითონვე დასცინიან იმას, რაც ერთი საათის წინ წმიდათაწმიდად მიაჩნდათ; ო, რა იოლად ახერხებენ ამას! დაე, ეფიმი, თუნდაც არსებითად, ჩემზე მართალი ყოფილიყო, მე კი ბრიყვზე ბრიყვი ვიყავი და მხოლოდ ვკეკლუცობდი, მაგრამ საქმეს შიგნით, სიღრმეში, მაინც ჰქონდა ერთი ისეთი წერტილი, რომელზე დგომის დროსაც მეც მართალი ვიყავი, მეც მქონდა რაღაც სამართლიანი და, რაც მთავარია, ისეთი, რასაც ისინი ვერასოდეს მიხვდებოდნენ.

სემიონოვსკის ხიდთან, ფონტანკაზე, ვასინისას, სრულ თორმეტ საათზე გავჩნდი, მაგრამ შინ არ დამხვდა. მას გაკვეთილები ვასილის კუნძულზე ჰქონდა ხოლმე, შინ კი მუდამ ერთსა და იმავე დროს მოდიოდა, სხვათა შორის, თითქმის მუდამ თორმეტ საათზე. ვინაიდან, ამის

გარდა, რაღაც დღესასწაულიც იყო, მეგონა, ნამდვილად შინ დამხვდება-მეთქი; რაკი არ დამხვდა, დავჯექი, რომ დავლოდებოდი, თუმცა მის სახლში პირველად ვიყავი.

მე ასე ვმსჯელობდი: წერილი, მემკვიდრეობას რომ ეხება, სინდისის საქმეა, და რაკი ამის მსაჯულად ვასინი ავირჩიე, ამით ვუცხადებ მას ჩემს ღრმა პატივისცემას, რაც, ცხადია, მისთვის საამო უნდა იყოს. რა თქმა უნდა, ნამდვილად მაწუხებდა ამ წერილის ამბავი და მართლაც დარწმუნებული ვიყავი, სამედიატორო გადაწყვეტილება აუცილებელია-მეთქი: მაგრამ ეჭვი მაქვს, რომ მაშინ უკვე შემეძლო სხვის დაუხმარებლადაც დამეღწია თავი ამ გასაჭირისთვის. და, რაც მთავარია, თვითონაც ვიცოდი, რომ ასე იყო; სახელდობრ: საკმარისი იყო, გადამეცა წერილი თვითონ ვერსილოვისთვის და როგორც უნდოდა, ისე მოქცეულიყო: აი, გადაწყვეტილება. ამ სახის საქმეში ჩემი თავის უმაღლეს მსაჯულად და მოსამართლედ გამოყვანა ძალიანაც მცდარი საქციელი იყო. წერილი ხელიდან ხელში და სწორედ უსიტყვოდ რომ გადამეცა, ამით გავეცლებოდი და მაშინვე მოვიგებდი კიდეც, რადგან ვერსილოვზე მაღლა დავდგებოდი, რაკი უარს ვიტყოდი, რამდენადაც მე მეხებოდა, მემკვიდრეობიდან რაიმე გამორჩენაზე (ვინაიდან მე, როგორც ვერსილოვის შვილს, ცხადია, რამე მერგებოდა ამ ფულიდან ახლა თუ არა, შემდეგში მაინც), - ამით სამუდამოდ შევინარჩუნებდი უზენაეს ზნეობრივ შეხედულებას ვერსილოვის მომავალ საქციელზე. ვერც იმას მისაყვედურებდა ვინმე, თავადები დაღუპეო, რადგან ამ საბუთს გადამწყვეტი იურიდიული მნიშვნელობა არ ჰქონდა. ყოველივე ეს ავწონ-დავწონე და საბოლოოდ გავარკვიე, როცა ვასინის გამოცარიელებულ ოთახში ვიჯექი, და უცებ იმანაც კი გამიელვა, ვასინს მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ მოვაკითხე რჩევა-დარიგებისთვის, რომ დაენახა, მე თვითონ რა ყოვლად კეთილშობილი და უანგარო კაცი ვარ-მეთქი, და მაშასადამე, ამით შურსაც ვიძიებდი მის წინაშე ჩემი გუშინდელი დამცირების გამო.

ყოველივე ამას რომ მივხვდი, ძალიან მეწყინა; მაგრამ მაინც არ წამოვედი და დავრჩი, თუმცა დაბეჯითებით ვიცოდი, რომ ჩემი წყენა ყოველ ხუთ წუთში უფრო და უფრო იმატებდა.

უწინარეს ყოვლისა, საშინლად არ მომეწონა ვასინის ოთახი. „მაჩვენე შენი ოთახი და მივხვდები, რა ხასიათისაც ხარ“, - მე და ჩემმა ღმერთმა, შეიძლებოდა ასე თქმა. ვასინს დაქირავებული ჰქონდა ავეჯით გაწყობილი ოთახი ვიღაც, როგორც ჩანს, ღარიბი ბინადრებისა, რომლებსაც თავი იმით გაჰქონდათ, რომ ვასინის გარდა სხვა მდგმ-

ურებიც ჰყავდათ. ვიცი ეს ვიწრო ოთახები, სადაც თითო-ოროლა ავეჯი დგას და კომფორტულობის პრეტენზია კი აქვთ; ასეთ ოთახებში უსათუოდ დგას ჩარჩთა ბაზარზე ნაყიდი რბილი დივანი, რომლის ადგილიდან დაძვრაც საშიშია, ხელსაბანი და თეჯირით გადაღობილი რკინის საწოლი. ეტყობოდა, ვასინი ყველაზე უკეთესი და საიმედო მდგმური იყო: ასეთი საუკეთესო მდგმური დიასახლისებს მუდამ თითო ჰყავთ ხოლმე, და ამიტომ განსაკუთრებულადაც ევლებიან თავზე, მის ოთახს უფრო გულმოდგინედ ალაგებენ, დივანთან ჰკიდებენ რაიმე ლითოგრაფიას, მაგიდის ქვეშ გაქუცულ ნოხს აგებენ. ის ადამიანები, რომელთაც უყვართ ეს დამყაყებული სისუფთავე და, რაც მთავარია, დიასახლისის მაამებლური პატივისცემა - თვითონაც საეჭვონი არიან. დარწმუნებული ვიყავი, რომ საუკეთესო მდგმურის სახელი თვითონ ვასინსაც სიამოვნებდა. რატომღაც თანდათან უფრო და უფრო მაცოფებდა წიგნებით დატვირთული ამ ორი მაგიდის ცქერა. წიგნები, ქაღალდები, სამელნე - ყველაფერი ყოვლად საზიზღარ წესრიგში იყო, ასეთი იდეალი ემთხვევა დიასახლისის - გერმანელი ქალისა და მისი მოახლის მსოფლმხედველობას. წიგნები ბლომად იყო, - ჟურნალ-გაზეთები კი არა, ნამდვილი წიგნები, - ვასინი, როგორც ჩანდა, კითხულობდა ამ წიგნებს და, უთუოდ, როცა საკითხავად ან საწერად ჯდებოდა, ამას დიდი ამბით და აკურატული სახით სჩადიოდა. რა მოგახსენოთ, მაგრამ მე უფრო ის მიყვარს, როცა წიგნები არეულ-დარეულადაა მიყრილ-მოყრილი, ყოველ შემთხვევაში, როცა საქმიანობას მღვდელმსახურებად არ აქცევენ. ეს ვასინი უთუოდ მეტად თავაზიანად ეპყრობა მომსვლელებს, მაგრამ მისი ყოველი მოძრაობა უთუოდ ეუბნება მოსულს: „აი, საათ-ნახევარია, გესაუბრები, მერე კი, როცა წახვალ, საქმეს შევუდგები“. უთუოდ შეიძლება მასთან საინტერესო საუბარი და ახალსაც მოისმენ კაცი, მაგრამ - „ახლა ჩვენ ცოტას წავისაუბრებთ და ძალიანაც დაგაინტერესებ, ოღონდ როცა წახვალ, მაშინ უფრო საინტერესო საქმეს მოვკიდებ ხელს“... და მაინც არ მოვდიოდი, ისევ ვიჯექი. ხოლო მისი რჩევა რომ სრულიად არ მესაჭიროებოდა, ამაში საბოლოოდ დავრწმუნდი.

უკვე საათზე მეტი იყო, ველოდი, ფანჯარასთან ორი წნული სკამი იდგა და ერთ-ერთზე ვიჯექი. გულზე მხეთქავდა ისიც, რომ დრო გადიოდა, მე კი საღამომდე ბინაც მქონდა საშოვნელი. ჯერ დავაპირე რამე წიგნი ამეღო დროის მოსაკლავად, მაგრამ აღარ ავიღე: იმ ფიქრმა, თავი უნდა გავირთო-მეთქი, უფრო შემზარა. საათზე მეტხანს გასტანა უკიდურესმა სიჩუმემ, და აი, უცებ, სადღაც ძალიან ახლოს, იმ კარს უკან, რომელსაც დივანი ეფარებოდა, უნებურად და თანდათან გავარჩიე

ჩურჩული, რომელიც უფრო და უფრო მატულობდა. ეტყობოდა, ორი ქალი ლაპარაკობდა, ეს გავარჩიე, ოღონდ სიტყვები არ ისმოდა; და მაინც, მოწყენილობას როგორღაც ნელ-ნელა დავაღწიე თავი. ცხადი იყო, რომ ცხარედ და მხურვალედ ლაპარაკობდნენ და რომ აქ საქმე თარგებს არ ეხებოდა. რაღაცაზე თათბირობდნენ თუ დაობდნენ, თუ ერთი ხმა არწმუნებდა და სთხოვდა, მეორე კი არ უჯერებდა და ეკამათებოდა. უთუოდ სხვა მდგმურები იყვნენ. მალე მომბეზრდა და ყურიც შევაჩვიე, ასე რომ, თუმცა კვლავ ვუსმენდი, მაგრამ მექანიკურად, ხანდახან კი მავიწყდებოდა კიდეც, რომ ვუსმენდი, როცა უცებ არაჩვეულებრივი რამ მოხდა: თითქოს ვიღაც წამოხტა სკამიდან თუ უცებ წამოიჭრა და ფეხები დააბაკუნა; მერე გაისმა კვნესა და მერე ყვირილი. ყვირილიც არ იყო, ეს იყო წივილი, პირუტყვული, გაბოროტებული და ისეთი, რომ იმ ვიღაცისთვის უკვე სულერთი იყო, გაიგონებდა ვინმე უცხო თუ არა. კარს ვეცი და გამოვაღე; ამავე დროს გაიღო მეორე კარიც დერეფნის ბოლოს - დიასახლისის კარი, როგორც შემდეგ შევიტყვე, - საიდანაც ორი ცნობისმოყვარე თავი გამოჩნდა. მაგრამ ყვირილი იმწამსვე მიწყდა, უცებ გაიღო მეზობელი ოთახის კარი და ერთი, როგორც მომეჩვენა, ყმაწვილი ქალი, სწრაფად გამოვარდა და კიბეზე დაეშვა. მეორეს, ხანდაზმულს, უნდოდა შეეჩერებინა, მაგრამ ვერ შეძლო და მხოლოდ კვნესა აღმოხდა:

- ოლია, ოლია, სად მიხვალ? ოჰ!

მაგრამ ორი გამოღებული კარი რომ დაინახა, სწრაფად მოხურა თავისი, მხოლოდ ღრიჭო დატოვა და იქიდან აყურადებდა კიბეს, ვიდრე ქვევით საბოლოოდ არ მიწყდა სირბილით მიმავალი ოლიას ფეხის ხმა. მე ჩემს ფანჯარას მივუბრუნდი. ყველაფერი მიწყნარდა. უბრალო ამბავი იყო, იქნებ სასაცილოც, და თავი დავანებე ამაზე ფიქრს.

თხუთმეტი წუთი იქნებოდა გასული, რომ დერეფანში, ზედ ვასინის კართან, გაისმა მამაკაცის ხმამაღალი და მოურიდებელი ლაპარაკი. ვიღაცამ ხელი მოავლო კარის სახელურს და გამოაღო იმდენად, რომ შემეძლო გამერჩია დერეფანში ვიღაც მაღალი მამაკაცი, რომელმაც, ეტყობოდა, მეც დამინახა და მათვალიერებდა კიდეც, მაგრამ ჯერ ოთახში არ შემოდიოდა და კარის სახელურს ჩაფრენილი ელაპარაკებოდა დერეფნის ბოლოში მდგარ დიასახლისს. დიასახლისი წრიპინა და მხიარული ხმით პასუხობდა და ხმაზეც ეტყობოდა, რომ ამ სტუმარს დიდი ხანია იცნობს, პატივს სცემს და აფასებს, როგორც პატივცემულ სტუმარსაც და როგორც მხიარულ ბატონსაც. მხიარული ბატონი ყვიროდა და ხუმრობდა, მაგრამ საქმე ეხებოდა მხოლოდ იმას, რომ ვასი-

ნი შინ არაა, რომ უსაშველო შეიქნა მისი ნახვა, რომ ეს, ეტყობა, თავიდანვე დაჰბედებია და მაშინდელივით ისევ დაუცდის, - და ყოველივე ეს, ეჭვი არ არის, დიასახლისს საოცარ ენამახვილობად მიაჩნდა. ბოლოს, როგორც იქნა, სტუმარმა კარი ისე გააღო, კინაღამ კოჭებიდან ამოაგდო, და შემოვიდა.

ეს გახლდათ კარგად ჩაცმული კაცი, რომელიც, უეჭველია, საუკეთესო თერძს უკვეთავდა ტანსაცმელს „ბატონკაცურად“, როგორც იტყვიან ხოლმე, ამასთან, სწორედ ბატონკაცური არ ეცხო არაფერი, თუმცა, ვგონებ, ძალიანაც უნდოდა, სცხებოდა. მოურიდებელი კი არა, როგორღაც ბუნებრივად უტიფარი ვიღაც იყო, - რაც უნდა იყოს, ეს მაინც ნაკლებშეურაცხმყოფელია, ვიდრე ისეთი კაცი, ვინც სარკესთან სწავლობს უტიფარ ქცევებს. ქერა, ოდნავ ჭაღარაშერეული თმა, შავი წარბები, გრძელი წვერი და მსხვილი თვალები არამცთუ არაფერს სძენდნენ დამახასიათებელს, პირიქით, სწორედ ყველას მსგავსს ხდიდნენ. ამნაირი კაცი იცინის კიდეც და მზადაც არის, იცინოს, მაგრამ რატომღაც მასთან ყოფნისას არასოდეს მხიარულ გუნებაზე არ ხართ, ამწუთას სიცილისაგან ფერდები რომ ასკდება, მეორე წუთს მედიდურ სახეს იღებს, მერე მედიდურობა ეცვლება და უწმაწური ხდება ან თვალს გიპაჭუნებთ, მაგრამ ყოველივე ამას როგორღაც უთავბოლოდ და უმიზეზოდ სჩადის... თუმცა, რა საჭიროა წინასწარი აღწერა. ეს ვაჟბატონი მერე გაცილებით უკეთ და უფრო ახლოს გავიცანი და ამიტომ ახლა უნებლიეთ, უფრო წინასწარი შეგნებით წარმოგიდგენთ, ვიდრე დავახასიათებდი მაშინ, როცა კარი შემოაღო და ოთახში შემოვიდა. ეს კია, რომ ახლაც გამიჭირდებოდა მის შესახებ რაიმე ზუსტისა და გარკვეულის თქმა, რადგან ასეთ ადამიანებში მთავარი სწორედ მათი მოუთავებლობა, უთავბოლობა და გაურკვევლობაა.

ჯერ არც კი დამჯდარიყო, რომ უცებ მომეჩვენა, ეს უთუოდ ვასინის მამინაცვალი უნდა იყოს-მეთქი, ვინმე ბატონი სტებელკოვი, რომლის შესახებაც რაღაც გამეგონა, მაგრამ ისე ყურმოკვრით, რომ ვერ გეტყოდით, სახელდობრ რა: ის კი მახსოვდა, რომ ცუდი მქონდა გაგონილი. ვიცოდი, რომ დაობლებული ვასინი კარგა ხანს იმყოფებოდა მის ხელში, მაგრამ დიდი ხანია, თავი იხსნა მისი გავლენისაგან, რომ მათი მიზნები და ინტერესები სხვადასხვაა და სავსებით განცალკევებით ცხოვრობენ. დამამახსოვრდა ისიც, რომ ამ სტებელკოვს გარკვეული კაპიტალი ჰქონდა და, მგონი, სულაც ერთი სპეკულანტი და ცერცეტი ვინმე იყო; ერთი სიტყვით, იქნებ ვიცოდი კიდეც მის შესახებ რამე უფრო დაწვრილებით, მაგრამ დამავიწყდა. მან თვალი შემავლო და არც

კი მომსალმებია, თუმცა თავისი შლაპა-ცილინდრი დივნის წინ მდგარ მაგიდაზე დადო, მაგიდა ფეხით გამოათრია აქეთ და კი არ დაჯდა, გაითხლაშა დივანზე, რომელზედაც მე ვერ გავბედე დაჯდომა; ისე გაითხლაშა, რომ ჭრიალი აუყენა, ფეხები ძირს გადმოჰკიდა, მაღლა ასწია თავისი ლაკის ფეხსაცმლის ჭვინტი და ნეტარებით მიაჩერდა. რა თქმა უნდა, მაშინვე ჩემკენ მობრუნდა და ისევ შემავლო თავისი მსხვილი, ცოტა არ იყოს, უძრავი თვალები.

- ვერ იქნა და ვერ დავიჭირე შინ! - წამიკანტურა თავი.

მე ხმა არ გამიცია.

- აკურატულობას ვერ დაიტრაბახებს! საკუთარი შეხედულებები აქვს საქმეზე. პეტერბურგსკაიადან?

- ესე იგი პეტერბურგსკაიადან მოხვედით? - კითხვა შევუნაცვლე მე.

- არა, თქვენ გეკითხებით.

- მე... მე პეტერბურგსკაიადან მოვედი, მაგრამ როგორ მიხვდით?

- რანაირად? ჰმ. - თვალი ჩამიპაჭუნა, მაგრამ ახსნა-განმარტების ღირსი არ გამხადა.

- მე პეტერბურგსკაიაზე არ ვცხოვრობ, მაგრამ ახლა იქ ვიყავი და იქიდან მოვედი.

ის კვლავ დუმდა და მნიშვნელოვნად იღიმებოდა, რაც საშინლად არ მომეწონა... ეს თვალის პაჭუნიც სულელური იყო.

- ბატონ დერგაჩევთან? - წარმოთქვა მან ბოლოს.

- დერგაჩევთან რა? - თვალები ვჭყიტე.

გამარჯვებული კაცის სახით მომჩერებოდა.

- არც კი ვიცნობ.

- ჰმ.

- როგორც გენებოთ, - მივუგე. უფრო და უფრო შემძაგდა.

- ჰმ, დიახ, არა, ბატონო ჩემო, ნება მიბოძეთ, მოგახსენოთ: თქვენ ყიდულობთ დუქანში რაიმე ნივთს; იქვე, მეორე დუქანში, მეორე მუშტარი ყიდულობს სხვა ნივთს, და აბა, თუ გამოიცნობთ, რას? ფულს, ბატონო ჩემო, ვაჭრისგან, რომელსაც მევახშეს ეძახიან... ვინაიდან ფულიც იგივე ნივთია, ხოლო მევახშეც იგივე ვაჭარია... ყურადღებით მისმენთ?

- მგონი, გისმენთ.

- მოდის მესამე მუშტარი, უთითებს ერთ-ერთ დუქანზე და ამბობს: „ეს მყარია“, ხოლო მეორეზე რომ უთითებს, ამბობს: „ეს არამყარია“. რა უნდა ვიფიქროთ ასეთ მუშტარზე?

- მე რა ვიცი.

- არა, ბატონო ჩემო, მადროვეთ... მაგალითისთვის გეუბნებით; კაცი კარგი მაგალითით ცხოვრობს. მივდივარ ნევსკიზე და ვხედავ, გაღმა ტროტუარზე მიდის ვიღაც კაცი, ვისი ხასიათის გაგებასაც ვისურვებდი. სხვადასხვა მხრიდან ორივენი მივადექით მორსკაიას შესახვევს, სწორედ იმ ადგილას, სადაც ინგლისური მაღაზიაა, ვამჩნევთ მესამე გამვლელს, რომელიც ეს წუთია, ცხენს გაუტანია. ახლა ჩაუკვირდით: მოდის მეოთხე კაცი და სურს გაიგოს სამივეს - ჩემი, იმ მეორე გამვლელისა და გასრესილის - ხასიათი პრაქტიკულობისა და სიმყარის მნიშვნელობით... ყურადღებით მისმენთ?

- მომიტევეთ, მაგრამ ძალიან მიჭირს გაგება.

- კეთილი; მეც ეგრე ვფიქრობდი. მაშ, თემას შევცვლი. გერმანიაში ვარ მინერალურ წყლებზე, როგორც ვყოფილვარ არაერთგზის, რომელზე - სულერთია. დავდივარ წყლებზე და ვხედავ ინგლისელებს. როგორც იცით, ინგლისელთან ნაცნობობის გაბმა ძნელია; მაგრამ აი, ორი თვის მერე, მკურნალობის ვადას რომ ვათავებთ, ყველანი ერთად, წვეტიანი ჯოხებით ხელში, ავდივართ რომელიმე მთაზე - სულერთია, რომელზე. მოსახვევში, ესე იგი, ეტაპზე, და სწორედ იქ, სადაც ბერები შარტრეზის არაყს ხდიან ხოლმე, - ეს დაიმახსოვრეთ, - ვხვდები აქაურ მცხოვრებს, რომელიც განმარტოებით დგას და ჩუმად მოგვჩერებია. მე მსურს დასკვნა გამოვიტანო მისი სიმყარის შესახებ: როგორ ფიქრობთ, შემეძლებოდა დასკვნისათვის მიმემართა ინგლისელთა ჯგუფისთვის, რომელთან ერთადაც დავდიოდი მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ვერ მოვახერხე მათთან გამოლაპარაკება წყლებზე?

- მე რა ვიცი. მაპატიეთ, მაგრამ ძალიან მიჭირს გულისყურით მოსმენა და გაგება.

- გიჭირთ?

- დიახ, ძალიან მღლით.

- ჰმ. - თვალი ჩამიპაჭუნა და ხელით რაღაც მოძრაობა გააკეთა, რაც უთუოდ ძალზე საზეიმო და გამარჯვებული რამის გამომხატველი უნდა ყოფილიყო; მერე ძალიან დინჯად და მშვიდად ამოიღო ჯიბიდან გაზეთი, რომელიც, ეტყობოდა, ის წუთია, ეყიდა, გაშალა და დაიწყო უკანასკნელი გვერდის კითხვა. როგორც ჩანდა, მომეშვა. ერთი ხუთი წუთი ზედაც არ მიყურებდა.

- ბრესტო-გრაევსკი ხომ არ გაბითურებულა, ჰა? ხედავთ, როგორ მაღლა მიიწევს? ბევრი ვიცი, მაშინვე რომ გაბითურებულა.

მან ტკბილად შემომხედა.

- მაგ ბირჟისა ჯერ არაფერი გამეგება, - მივუგე მე.

- უარყოფთ?

- რას?

- ფულს, ბატონო ჩემო.

- ფულს არ უარვყოფ, მაგრამ... მაგრამ, მე მგონია, ჯერ იდეა უნდა გქონდეს, მერე კი ფული.

- ესე იგი, მოითმინეთ, ბატონო ჩემო... ვთქვათ, ადამიანს აქვს საკუთარი კაპიტალი...

- ჯერ უმაღლესი იდეაა, მერე კი ფული, ხოლო თუ უმაღლესი იდეა არ იქნა, მარტოკა ფულით საზოგადოება შორს ვერ წავა, დაიღუპება.

არ ვიცი, რამ გამაცხარა. ერთხანს, ცოტა არ იყოს, გამოშტერებული მიყურებდა, თითქოს ვერ გარკვეულაო, მაგრამ მერე სახე ერთბაშად ძალზე მხიარულმა და ეშმაკურმა ღიმილმა გაუბადრა:

- ვერსილოვს დამიხედეთ, ჰა? მაინც რომ დააძრო! გუშინ მიაკუთვნა სასამართლომ, ჰა?

უცებ და მოულოდნელად დავინახე, რომ მან კარგა ხანია იცის, ვინცა ვარ და, იქნებ, სხვაც ბევრი რამ იცის. ოღონდ ვერ გამიგია, რამ გამაწითლა უცებ და ისე სულელურად თვალმოუწყვეტლივ რატომ მივჩერებოდი. ეტყობა, გაიხარა, მხიარულად შემომცქეროდა, თითქოს ძალზე მზაკვრულად გამომიჭირა და მამხილა რაღაცაში.

- არა, ბატონო ჩემო, - აწკიპა ორივე წარბი, - ბატონი ვერსილოვის ამბავი მე მკითხეთ! რას გეუბნებოდით ახლა სიმყარის შესახებ? წლინახევრის წინ, იმ ბავშვის გამო, მას შეეძლო ერთი საუკეთესო საქმე მოეკვარახჭინებინა, - დიახ, ბატონო ჩემო, მაგრამ ფეხი წაიტეხა, დიახ.

- რომელ ბავშვზე ამბობთ?

- აი, იმ ძუძუთა ბავშვზე, რომელიც ახლაც სადღაც ჰყავს და ჰპატრონობს, ოღონდ ამ საქმიდან ვერაფერს იხეირებს... რადგან...

- რომელი ძუძუთა ბავშვი? რაებს ამბობთ?

- რა თქმა უნდა, მისი საკუთარი შვილი, ბატონო ჩემო. mademoiselle ლიდია ახმაკოვასთან რომ ეყოლა... „ტურფა ასული მეფერებოდა“... ფოსფორის ასანთი ხომ ძაან იყო, ჰა?

- რა სისულელეა, რაებს ჩმახავთ! ვერსილოვს არასოდეს ჰყოლია შვილი ახმაკოვასგან!

- ერთი უყურეთ! მაშ, მე სად ვიყავი? მე ხომ ექიმიც ვარ და მეანიც, ბატონო ჩემო. ჩემი გვარი სტებელკოვია, არ გაგიგონიათ? მართალია, მაშინ კარგა ხნის დანებებული მქონდა თავი ამ ხელობისთვის, მაგრამ პრაქტიკული რჩევის მიცემა შემეძლო პრაქტიკულ საქმეში.

- მეანი ვარო... ახმაკოვა თქვენ მოალოგინეთ?

- არა, ბატონო ჩემო, არავინაც არ მომილოგინებია. იქ, ფორშტატში (ქალაქის გარეუბანი (ფრანგ.).), იყო ერთი წვრილი ცოლ-შვილის პატრონი ექიმი გრანცი, რომელსაც ტალერ-ნახევარს აძლევდნენ ხოლმე გასამრჯელოდ, ისეა იქ ექიმების საქმე, თანაც კაციშვილი არ იცნობს, ჰოდა, აი, ამ გრანცმა გასწია ჩემი მაგივრობა... მე თვითონ ვურჩიე მისი მოწვევა, საიდუმლოება უფრო შეინახება-მეთქი. ყურადღებით მისმენთ? მე კი მხოლოდ ერთი პრაქტიკული რჩევა მივეცი ვერსილოვს ანდრეი პეტროვიჩის საკითხზე, უსაიდუმლოეს საკითხზე, როცა

მარტოკანი ვიყავით, პირისპირ. მაგრამ ანდრეი პეტროვიჩმა ორი კურდღლის დაჭერა ამჯობინა.

გაშტერებული ვუსმენდი.

- ორი კურდღლის მდევარი ვერც ერთს ვერ დაიჭერსო, ამბობს ხალხური, ან უკეთ, მდაბიური ანდაზა. მე კი ასე ვამბობ: გამონაკლისი, რომელიც განუწყვეტლივ მეორდება, უკვე ზოგად კანონად იქცევა. მეორე კურდღელს, ესე იგი, რუსულად რომ ვთარგმნოთ, მეორე ქალბატონს გამოუდგა - მაგრამ ვერ მიართვეს. თუკი რამეს ხელს ჩაავლებ, მაგრადაც უნდა ჩააფრინდე. სადაც საქმე დაჩქარებას მოითხოვს, იქ ეგ გაჯანჯლებას მოჰყვება ხოლმე. ვერსილოვი ხომ „დიაცთა წინასწარმეტყველია“ - აი, რა კოხტად მონათლა მაშინ ახალგაზრდა თავადმა სოკოლსკიმ ჩემი თანდასწრებით. არა, ბატონო ჩემო, ჩემთან მობრძანდით! თუ გინდათ, ბლომად შეიტყოთ ვერსილოვის ამბები, ჩემთან მობრძანდით!

ეტყობოდა, დიდ ნეტარებას ჰგვრიდა, განცვიფრებით პირდაღებული რომ მივჩერებოდი. მანამდე არასოდეს არაფერი გამეგონა ძუძუთა ბავშვის შესახებ. და აი, იმ წუთში უცებ გაისმა მეზობელი ოთახის კარის ჯახუნი და ვიღაც სწრაფი ნაბიჯით შევიდა ოთახში.

- ვერსილოვი ცხოვრობს სემიონოვსკის პოლკში, მოჟაისკის ქუჩაზე, ლიტვინოვას სახლში. ნომერი ჩვიდმეტი, მე თვითონ ვიყავი მაგ მისამართზე! - გაისმა ქალის ხმამაღალი, გაგულისებული წამოძახილი; ჩვენ ყოველი სიტყვა გვესმოდა. სტებელკოვმა წარბები აწკიპა და თითი აიშვირა.

- ჩვენ აქ მის ხსენებაში ვართ, და თურმე იქაც მასზე ლაპარაკობენ... აი, ამას ჰქვია გამონაკლისი, რომელიც განუწყვეტლივ მეორდება! Quand on parle d’une corde...(როდესაც თოკს ახსენებენ... (ფრანგ.).)

სტებელკოვი სწრაფად შეხტა დივანზე და ყური მიადო იმ კარს, რომელთანაც დივანი იყო მიდგმული.

მეც სახტად დავრჩი. უმალ მოვისაზრე, ეს ალბათ სწორედ ის ყმაწვილი ქალია, წეღან ისე აღელვებული რომ გაიქცა-მეთქი, მაგრამ როგორ მოხდა, რომ იქაც ვერსილოვს ახსენებდნენ? უცებ კვლავ გაისმა წეღანდელი წივილი, გააფთრებული წივილი ბრაზით გამხეცებული ადამიანისა, რომელსაც რაღაცას არ აძლევენ, ან რაღაცის ჩადენას არ

ანებებენ. წეღანდელისგან განსხვავება ის იყო, რომ ახლა ყვირილ-წივილმა უფრო მეტხანს გასტანა. ისმოდა ბრძოლა, აჩქარებული, ხშირი სიტყვები: „არ მინდა, არ მინდა, მომეცით, ახლავე მომეცით!“ - თუ რაღაც ამდაგვარი - კარგად ვერ მომიგონებია. მერე, წეღანდელივით, ვიღაც სწრაფად მივარდა კარს და გააღო. ორივენი დერეფანში გაცვივდნენ, ერთი, ეტყობოდა, წეღანდელივით აჩერებდა მეორეს. სტებელკოვი, რომელიც რახანია, წამომხტარიყო დივნიდან და ნეტარებით აყურადებდა, მაშინვე კარს ეცა და ყოვლად დაუფარავად გავარდა დერეფანში, პირდაპირ იმ მეზობლებთან. ცხადია, მეც მივირბინე კართან. მაგრამ მისმა გამოჩენამ მეზობლებზე ისე იმოქმედა, თითქოს ცივი წყალი გადაასხესო: ორივენი სწრაფად მიეფარნენ თვალს და ხმაურით მოიჯახუნეს კარი. სტებელკოვმა დააპირა შეჰყოლოდა, მაგრამ შეჩერდა, თითი ასწია და გაღიმებული ჩაფიქრდა; ამჯერად მის ღიმილში რაღაც ძალზე ცუდი, ბნელი და ავის მომასწავებელი შევნიშნე. სტებელკოვმა თვალი მოჰკრა დიასახლისს, რომელიც ისევ თავისი ოთახის კართან იდგა, ფეხის წვერებზე გაირბინა დერეფანი და მასთან გაჩნდა; ორიოდ წუთს რომ ეჩურჩულა და, რა თქმა უნდა, გამოჰკითხა, რაც უნდოდა, უკვე რიხითა და მტკიცედ შემობრუნდა ოთახში, მაგიდიდან აიღო თავისი ცილინდრი, გავლით ჩაიხედა სარკეში, თმა აიჩეჩა და თავდაჯერებული ღირსებით გაემართა მეზობლებისაკენ ისე, რომ ჩემთვის ზედაც არ შემოუხედავს. წამით ყური მიადო კარს და სმენად გაიკრიფა, მერე გამარჯვებული კაცის სახით თვალი ჩაუკრა დერეფნის ბოლოში მდგარ დიასახლისს, რომელმაც თითი დაუქნია და თავი ისე გადააქნ-გადმოაქნია, თითქოს ტუქსავსო: „ოხ, შე ცელქო, შენა!“. ბოლოს მტკიცე, მაგრამ ყოვლად თავაზიანი სახით - ლამის წელშიც მოიხარა თავაზიანობისაგან - მეზობლებს მიუკაკუნა.

- ვინ ხართ? - გაისმა ხმა.

- ნებას ხომ არ დამრთავთ, რომ შემოვიდე ერთ ფრიად მნიშვნელოვან საქმეზე? - ხმამაღლა და რიხით წარმოთქვა სტებელკოვმა.

ერთხანს დააყოვნეს, მაგრამ მაინც გაუღეს კარი ჯერ ოდნავ, მხოლოდ მეოთხედით; მაგრამ სტებელკოვმა მყისვე მაგრად ჩაავლო ხელი კარის საკლიტულს და აღარ დაახურვინა. დაიწყეს ლაპარაკი; სტებელკოვი ხმამაღლა ლაპარაკობდა და ოთახისკენ მიიწევდა; ახლა აღარ მახსოვს მისი სიტყვები, ოღონდ ვერსილოვზე კი ლაპარაკობდა, შემიძლია შეგატყობინოთ რაღაცა და ყველაფერი აგიხსნათო - „არა, ეგ მე მკითხეთ“, „თქვენ ჩემთან მობრძანდით“ - ამდაგვარ რაღაცებს ეუბნებოდა. მალე შეუშვეს კიდეც. მე დივანთან მოვბრუნდი და დაყუ-

რადება დავაპირე, მაგრამ ყველაფერი ვერ გავარჩიე, ის კი გავიგონე, რომ ვერსილოვს ხშირად ახსენებდნენ. ხმის კილოთი ვხვდებოდი, რომ სტებელკოვმა უკვე ხელთ იგდო ლაპარაკის სადავე და ახლა შეპარვით კი არა, მბრძანებლურად ამბობდა: „ყურადღებით მისმენთ?“, „ახლა, კეთილი ინებეთ და ჩაუკვირდით ამას“ და სხვ., თან ნამდვილად წეღანდელივით სკამზე იქნებოდა გადათხლაშული, თუმცა ქალებთან უთუოდ არაჩვეულებრივად თავაზიანი უნდა ყოფილიყო. ორჯერ უკვე გაისმა მისი ხმამაღალი ხარხარი, რომელიც სრულიად უადგილო იყო, რადგან მის ხმასთან ერთად ისმოდა ორივე ქალის ხმა, არავითარ მხიარულებას რომ არ გამოხატავდა; მეტწილად ისმოდა იმ ყმაწვილი ქალის ხმა, რომელიც წეღან წიოდა; ნერვიულად, სხაპასხუპით და ბევრს ლაპარაკობდა, ეტყობოდა, ვიღაცას ამხელდა და ჩიოდა, სამართალსა და მსაჯულს ეძებდა. მაგრამ სტებელკოვი არ ეშვებოდა, ხმას უმაღლებდა და ხარხარსაც მოუხშირა; ასეთი ადამიანები ხომ სხვას არ უსმენენ ხოლმე. მალე წამოვდექი დივნიდან, რადგან ვიფიქრე, დაყურადება სირცხვილია-მეთქი, და დავუბრუნდი ჩემს ძველ ადგილს - ფანჯარასთან მდგარ წნულ სკამს. დარწმუნებული ვიყავი, რომ ვასინი არაფრად აგდებდა ამ კაცს, მაგრამ საკმარისი იქნებოდა, მეც ისეთივე შეხედულება გამომეთქვა, მყისვე გამოექომაგებოდა და დარიგებით მეტყოდა, რომ ესაა „პრაქტიკული კაცი, ახლანდელი, საქმიანი ადამიანი, რომელსაც ვერ განვსჯით ჩვენი ზოგადი და განყენებული თვალსაზრისის მიხედვით“. თუმცა, მახსოვს, იმწუთას რაღაცნაირად განადგურებული ვიყავი ზნეობრივად, გული ამოვარდნაზე მქონდა და უეჭველად რაღაცის მოლოდინმა ამიტანა. ათიოდე წუთი გავიდა და უცებ, როცა სტებელკოვმა კიდევ ერთხელ გულიანად გადაიხარხარა, შუა ხარხარში ვიღაც ზუსტად წეღანდელივით წამოიჭრა სკამიდან, მერე გაისმა ორივე ქალის ყვირილი, გავიგონე, როგორ წამოხტა სტებელკოვიც და ახლა უკვე სულ სხვა ხმით დაუწყო ლაპარაკი, თითქოს თავს იმართლებს, თითქოს ემუდარება, ბოლომდე მომისმინეთო... მაგრამ არ მოუსმინეს; გაისმა გაცეცხლებული ყვირილი: „გაეთრიეთ! თქვენ არამზადა ხართ, სინდისგარეცხილი არამზადა!“. მოკლედ, ცხადი იყო, რომ გარეთ აგდებდნენ. მე სწორედ იმ წუთს გამოვაღე კარი, როცა მეზობელმა ქალებმა სტებელკოვი გამოაგდეს ხელის კვრით, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. სტებელკოვმა რომ დამინახა, უცებ ჩემკენ გამოიშვირა ხელი და იყვირა:

- აი, ვერსილოვის შვილი! ჩემი თუ არ გჯერათ, აი მისი ვაჟი, ინებეთ! - და ღონივრად ჩამაფრინდა მკლავში.

- ეს მისი ვაჟია, მისი ღვიძლი შვილი! - იმეორებდა და ქალებისაკენ მიმათრევდა, თუმცა სხვას არაფერს ამბობდა, რომ კაცს რამე გაეგო.

ყმაწვილი ქალი დერეფანში იდგა, ხანდაზმული - რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით, კარში ჩამდგარიყო. ისღა დამამახსოვრდა, რომ ეს საცოდავი ქალიშვილი ოციოდე წლისა თუ იქნებოდა; სანდომიანი სახე ჰქონდა, მაგრამ გამხდარი იყო, ავადმყოფური შესახედაობისა. უფრო წითური ეთქმოდა და სახით თითქოს, ცოტა არ იყოს, წააგავდა ჩემს დას; ამ მსგავსებამ მაშინვე გამიელვა და დამამახსოვრდა კიდეც; ოღონდ ლიზა არასოდეს ყოფილა და, ცხადია, ვერც ვერასოდეს იქნებოდა ისე გამწარებული და გააფთრებული, როგორადაც ეს ჩემ წინ მდგარი არსება: ტუჩები ჩათეთქვოდა, ბაცი ნაცრისფერი თვალები ელვას აკვესებდნენ, აღშფოთებისაგან მთელი სხეულით თრთოდა. მახსოვს ისიც, რომ მე თვითონ ყოვლად სულელურ და უკადრის დღეში ვიყავი, რადგან ამ უტიფრის წყალობით ვერაფრის თქმა ვერ მომეხერხებინა.

- მერე რა ვუყოთ, თუ მისი ვაჟია! რაკი თქვენთანაა, ეგეც არამზადა იქნება. თქვენ თუ ვერსილოვის ვაჟი ხართ, - მომიბრუნდა ქალი უეცრად, - გადაეცით მამათქვენს, რომ არამზადაა, უპატიოსნო და სინდისგარეცხილი! რომ მისი ფული არ მინდა... აჰა, აჰა, აჰა, ახლავე გადაეცით ეს ფული!

მან სწრაფად ამოიღო ჯიბიდან რამდენიმე ქაღალდის ფული, მაგრამ ხანდაზმულმა (ესე იგი, დედამისმა, როგორც შემდეგ გამოირკვა) ხელი სტაცა:

- ოლია, იქნებ ტყუილია, იქნებ არცაა მისი შვილი!

ოლიამ სწრაფად შეხედა დედას, ჭკუაში დაუჯდა მისი ნათქვამი, ზიზღით შემომხედა და ოთახში შებრუნდა, მაგრამ ვიდრე კარს მოაჯახუნებდა, ზღურბლზე შედგა და კიდევ ერთხელ გააფთრებით დაუყვირა სტებელკოვს:

- წაეთრიეთ!

და ფეხიც კი დაუბაკუნა. მერე კარი მოაჯახუნა და გასაღებით ჩაკეტა. სტებელკოვმა, რომელიც ისევ მხარში ჩამფრენოდა, ასწია თითი, პირი ყურამდე მისულმა და ფიქრიანმა ღიმილმა დაუღმიჭა და კითხვით აღსავსე თვალები მომაშტერა.

- თქვენი საქციელი სასაცილო იყო და უღირსი, - აღშფოთებით წა-

ვიბურტყუნე მე.

მაგრამ ის არც მისმენდა, თუმცა თვალს არ მაშორებდა.

- ეს კაცმა უნდა გა-მო-არკვი-ოს! - წარმოთქვა ფიქრიანად.

- როგორ გაბედეთ ჩემი ჩათრევა ამ საქმეში? ვინ არის ეს ქალი? თქვენ მხარში ხელი ჩამავლეთ და მიმიყვანეთ, რა ხდება?

- ე, ეშმაკმა იცის მაგათი თავი! უმანკოებადაკარგული ვიღაცაა... „ხშირად გამეორებული გამონაკლისი“ - ყურადღებით მისმენთ?

და მკერდზე თითი მომაბჯინა.

- ჯანდაბას თქვენი თავი! - მოვიშორე მისი თითი.

მაგრამ უეცრად და სრულიად მოულოდნელად უხმოდ, გაბმით და მხიარულად გაიცინა. ბოლოს დაიხურა თავისი შლაპა და ერთბაშად შეცვლილი, ახლა უკვე დაბღვერილი სახით შენიშნა:

- აი, დიასახლისი კი უნდა გააფრთხილოს კაცმა... უნდა გაყაროს სახლიდან, - თან რაც შეიძლება ჩქარა, თორემ ეგენი... აი, ნახავთ! დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვა, ნახავთ! ე, ეშმაკმა დალახვროს! - ანაზდად ისევ გამხიარულდა. - თქვენ ხომ დაელოდებით გრიშას?

- არა, არ დაველოდები, - მტკიცედ მივუგე მე.

- ჰოდა, სულერთია...

კრინტი აღარ დაუძრავს, მიტრიალდა, გავიდა და კიბეზე ისე დაეშვა, რომ ზედაც არ შეხედა დიასახლისს, რომელიც, ეტყობოდა, ამბის მოყოლას ელოდა. მეც ავიღე ქუდი, დიასახლისს ვუთხარი, ვასინს გადაეცით, დოლგორუკი იყო-თქო, და კიბე ჩავირბინე.

III

მხოლოდ დრო დავკარგე და ეგ იყო. გამოვედი თუ არა, მაშინვე ბინის ძებნას შევუდექი; მაგრამ გონებადაფანტული ვიყავი, რამდენიმე საათი ქუჩა-ქუჩა ვიყიალე და თუმცა ბარე ხუთ-ექვს ბინადართან შევედი, ვისაც მდგმურებს აჰყავდა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ოც ბინას მაინც ჩავუარე გვერდი ისე, რომ არ შემიმჩნევია. კიდევ უფრო გულდასაწყვეტი ის იყო, რომ არ მეგონა, თუ ასე ძნელი იქნებოდა ბინის შოვნა. ყველგან ვასინის ოთახისნაირი და უარესი ოთახები იყო, თან ისეთ ქირას მთხოვდნენ, რომ ვერ შევწვდებოდი. მე ვითხოვდი მხოლოდ და მხოლოდ კუთხეს, სადაც მიბრუნ-მობრუნება შემეძლებოდა, და ამაზე ზიზღით მაგრძნობინებდნენ, თუ ასეა, იქ მიაკითხე, სადაც კუთხეს აქირავებენო. გარდა ამისა, ყველგან ბლომად იყვნენ უცნაური მდგმურები, რომელთა გვერდითაც ვერ ვიცხოვრებდი თუნდაც მხოლოდ მათი გარეგნობის გამო; ეგ კი არა, ფულსაც გადავიხდიდი, ოღონდ მათ გვერდით არ მეცხოვრა. ესენი იყვნენ ვიღაც უსერთუკო, ჟილეტის ამარა, წვერულვაშგაბურძგნილი, უტიფარი და ცნობისმოყვარე ვაჟბატონები. ერთ პაწაწკინტელა ოთახში ათიოდე კაცი მისჯდომოდა ბანქოსა და ლუდს, და მათ გვერდით შემომაძლიეს ოთახი, სხვაგან კიდევ ბინის პატრონის შეკითხვებზე მე თვითონ ისე დაბნეულად ვპასუხობდი, რომ გაოცებით მიყურებდნენ, ერთგან კი ჩხუბიც მომივიდა. თუმცა ხომ არ მოვყვები ახლა ყველა ამ არარაობათა აღწერას; მარტო იმის თქმა მინდა, რომ საშინლად დავიღალე, და თითქმის დაღამებული იყო, როცა რაღაცით დავნაყრდი ერთ საკუხმისტროში (პატარა რესტორანი, სასადილო (გერმ.).). ბოლოს გადავწყვიტე, ახლა წავალ და მე თვითონ, მარტოკა, გადავცემ ვერსილოვს იმ წერილს მემკვიდრეობის თაობაზე (არავითარ ახსნა-განმარტებას არ მოვყვები), ჩამოვიტან ზევიდან ჩემოდანსა და ბოხჩას და სასტუმროშიც რომ მომიწიოს ღამეს გათევამ, მაინც ამაღამვე გადავალ-მეთქი. ვიცოდი, რომ ობუხოვოს პროსპექტის ბოლოს, ტრიუმფალურ კარიბჭესთან, არის სასტუმრო-ბაკები, სადაც ექვს შაურად ცალკე ოთახსაც კი იშოვის კაცი; გადავწყვიტე, ამ ერთ ღამეს არ მეძუნწა. ოღონდ კი ვერსილოვთან არ გამეთია ღამე. და აი, ის იყო, ტექნოლოგიურ ინსტიტუტს ჩავუარე, რომ უცებ, რატომღაც, მომეხასიათა შემევლო ტატიანა პავლოვნასთან, რომელიც იქვე, ინსტიტუტის პირდაპირ ცხოვრობდა. შევლის საბაბად ისევ და ისევ მემკვიდრეობის წერილი მქონდა, მაგრამ ჩემს ამ დაუძლეველ სურვილს, ცხადია, უფრო სხვა მიზეზი ჰქონდა, რომლებსაც,

კაცმა რომ თქვას, ვერც ახლა აგიხსნით: გონებაში სულ ერთიმეორეში ამერია „ძუძუთა ბავშვი“ და „გამონაკლისები, რომლებიც ზოგად წესს მიეკუთვნებიან“. არ ვიცი, მინდოდა მეამბნა ყოველივე ეს ტატიანა პავლოვნასთვის, თუ თავი მომეწონებინა, მეჩხუბა, თუ იქნებ მეტირა კიდეც, - ოღონდ ეს კია, რომ ავედი. მანამდე აქ მხოლოდ ერთხელ ვიყავი ნამყოფი, ისიც დედამ გამომგზავნა რაღაც საქმეზე, როცა ახალი ჩამოსული გახლდით მოსკოვიდან და მახსოვს: რომ მოვედი და დანაბარები გადავეცი, მაშინვე წამოვედი, არც კი დავმჯდარვარ, არც ტატიანა პავლოვნას უთხოვია, დარჩიო.

ზარი რომ დავრეკე, კარი მყისვე გამიღო მზარეულმა ქალმა და უხმოდ შემიშვა ოთახებში. სწორედ ასე წვრილად უნდა მოვყვე, რათა გასაგები გახდეს, როგორ დამემართა ის სიგიჟე, რამაც შემდეგ ვეება გავლენა იქონია ყველაფერზე. ჯერ ერთი, ამ მზარეულ ქალზე უნდა მოგახსენოთ. ეს გახლდათ ერთი როკაპი და პაჭუა ჩუხონელი დედაკაცი, რომელსაც, მგონი, სძულდა თავისი ქალბატონი, ტატიანა პავლოვნა, ხოლო ეს უკანასკნელი, პირიქით, ვერ ელეოდა რაღაც ახირების გამო, - შინაბერებმა იციან ხოლმე ასე ბებერი, სველდინგა გოშიების ან ერთთავად მძინარე კატების ამოჩემება. ეს ჩუხონელი დედაკაცი ან ჯავრობდა და თავხედობდა, ან არადა, იბუტებოდა, კვირაობით დუმდა და ამითი სჯიდა თავის ქალბატონს. როგორც ჩანს, მე ერთ-ერთ ასეთ მდუმარე დღეს მოვხვდი მათთან, რადგან ჩემს კითხვაზე: ქალბატონი შინ თუ ბრძანდება-მეთქი - დანამდვილებით მახსოვს, რომ ვკითხე, - არაფერი მიპასუხა და უხმოდ შევიდა სამზარეულოში. ამის შემდეგ, ბუნებრივია, დავრწმუნდი, შინაა-მეთქი, შევედი ოთახში და, რაკი არავინ დამხვდა, ცდა დავიწყე, რადგან ვფიქრობდი, ტატიანა პავლოვნა საცაა, გამოვა საწოლი ოთახიდან-მეთქი; აბა, ისე რატომ შემომიშვებდა მზარეული? არ დავმჯდარვარ და ორი-სამი წუთი ასე ვიცადე; თითქმის უკვე ღამდებოდა და ტატიანა პავლოვნას ბნელ ბინას კიდევ უფრო პირქუშს აჩენდა ჩითი, რომელიც უსაშველოდ ყველგან ეკიდა. ორიოდე სიტყვა ამ უბადრუკი ბინის თაობაზე, რათა წარმოიდგინოთ ადგილი, სადაც მერე ის ამბები დატრიალდა. ტატიანა პავლოვნა, თავისი ჯიუტი და მბრძანებლური ხასიათის და აგრეთვე მემამულის ძველი ჩვევების გამო, ვერ იტანდა ბინადრებისგან ნაქირავებ ავეჯიან ოთახში ცხოვრებას და ამიტომ დაქირავებული ჰქონდა ეს პაროდია ბინისა, ოღონდ კი განცალკევებით ეცხოვრა და თავისი თავის ბატონი ყოფილიყო. ეს მესამე სართულზე განლაგებული, ეზოში გადამზირალი ორი ოთახი ზედგამოჭრილი თუთიყუშის გალიები იყო, ერთმანეთზე მიტყეპებული და ერთიმეორეზე უფრო მოციცქნული. ბინაში რომ შეხვიდ-

ოდით, თავს ამოჰყოფდით ვიწრო, არშინ-ნახევრიანი სიგანის დერეფანში, მარცხნივ მდებარეობდა ზემოთ აღნიშნული ის ორი გალია, ხოლო პირდაპირ, დერეფნის სიღრმეში, მოთავსებული იყო ერთი ციცქნა სამზარეულო. ის ერთ-ნახევარი კუბური საჟენი ჰაერი, რაც აუცილებელია ადამიანისთვის თორმეტი საათის განმავლობაში, იქნებ იყო კიდეც ამ ოთახებში, ამაზე მეტი კი არაფრის დიდებით არ იქნებოდა. ოთახები უმსგავსად ჭერდაბალი იყო, მაგრამ ყველაზე სულელური ის გახლდათ, რომ კარ-ფანჯრებზე, ავეჯსა და ყველაფერზე ეკიდა ან ეფარა ჩითი, მშვენიერი ფრანგული ჩითი, ჩაფრასტებით განწყობილი; მაგრამ ამის გამო ოთახი კიდევ უფრო ჩაბნელებული ჩანდა და სამგზავრო კარეტის შიდა მოწყობილობას მოგაგონებდათ. იმ ოთახში, სადაც მე ველოდებოდი, კიდევ მოახერხებდა კაცი მიტრიალ-მოტრიალებას, თუმცა იქაურობა გამოტენილი იყო ავეჯით - რაკი სიტყვამ მოიტანა, საკმაოდ კარგი ავეჯითაც: აქ იდგა ნაირ-ნაირი პატარ-პატარა, ბრინჯაოთი გაწყობილი მაგიდები, ყუთები, კოხტა და, ასე განსაჯეთ, მდიდარი ტუალეტი. მაგრამ მეორე პაწია ოთახში, საიდანაც მოველოდი ტატიანა პავლოვნას, ესე იგი საწოლ ოთახში, რომელსაც ამ ოთახისაგან სქელი ფარდა ჰყოფდა, ერთი საწოლის მეტი არაფერი იდგა, როგორც შემდეგ გამოირკვა. ყველა ეს წვრილმანი აუცილებელია, რათა გასაგები შეიქნას ის სისულელე, მე რომ ჩავიდინე.

მაშ ასე, ველოდი და ეჭვიც არაფრის მქონდა, რომ უცებ ზარი გაისმა. გავიგონე, რა აუჩქარებლად გაიარა დერეფანი მზარეულმა ქალმა და ისევე უსიტყვოდ შემოუშვა მოსულები, როგორც წეღან მე შემომიშვა. ეს გახლდათ ორი მანდილოსანი და ორივენი ხმამაღლა ლაპარაკობდნენ, მაგრამ როგორი იყო ჩემი განცვიფრება, როცა ხმით ვიცანი, რომ ერთი იყო ტატიანა პავლოვნა, მეორე კი - სწორედ ის ქალი, რომლის შესახვედრადაც ყველაზე ნაკლებ ვიყავ მზად ახლა, ისიც ასეთ გარემოებაში! შეუძლებელი იყო, შევმცდარიყავი, ეს მჟღერი, ძლიერი, ლითონისებური ხმა მოვისმინე გუშინ, მართალია, მხოლოდ სამი წუთი ვისმინე, მაგრამ გულში ჩამრჩა. დიახ, ეს გახლდათ „გუშინდელი ქალი“. რა მექნა? მკითხველს კი არ ვეკითხები ამას, მე მხოლოდ წარმოვიდგენ მაშინდელ წუთს და ახლაც კი ვერაფრის გულისთვის ვერ აგიხსნით, როგორ მოხდა, რომ უცებ ფარდის უკან შევვარდი და ტატიანა პავლოვნას საწოლ ოთახში ამოვყავი თავი. მოკლედ, დავიმალე და ძლივს მოვასწარი წამოხტომა, რომ ისინიც შემოვიდნენ. რატომ არ შევეგებე და დავიმალე - არ ვიცი; ყველაფერი უცაბედად, უაღრესად ანგარიშმიუცემლად მოხდა.

საწოლ ოთახში რომ შევხტი და ლოგინს წავაწყდი, მაშინვე შევამჩნიე სამზარეულოში გამავალი კარი, - მაშ, ყოფილა გამოსავალი ამ უბედურებიდან და შემიძლია სულაც გავიქცე აქედან, მაგრამ - ჰოი, საშინელებავ! - კარი ჩაკეტილი გამოდგა, ხოლო ჭუჭრუტანაში გასაღები არ იდო. სასოწარკვეთილი დავეშვი ლოგინზე; აშკარა იყო, რომ, უჩუმრად უნდა მომესმინა მათი ლაპარაკი, ხოლო პირველივე ფრაზებით, პირველივე სიტყვებით მივხვდი, რომ მეტად საიდუმლო და საჩოთირო ლაპარაკი ჰქონდათ. ო, რა თქმა უნდა, პატიოსანი და კეთილშობილი კაცი უნდა ამდგარიყო, თუნდაც ახლა, გამოსულიყო და ხმამაღლა ეთქვა: „მე აქ ვარ, მოითმინეთ!“ - და, თუმცა სასაცილო დღეში კი ჩავარდებოდა, გვერდით უნდა ჩაევლო და გასულიყო; მაგრამ არ ავდექი და არ გამოვედი; ვერ გავბედე, სულმდაბლად დავფრთხი.

- გენაცვალე, კატერინა ნიკოლავნა, გულს ძალიან მტკენთ, - ეეედრებოდა ტატიანა პავლოვნა, - დამშვიდდით ერთხელ და სამუდამოდ, სხვა არა იყოს რა, თქვენს ბუნებას არ ეკადრება ეგ. სადაც თქვენა ხართ ხოლმე, იქ მუდამ სიხარულია, ახლა კი უცებ... მგონი, ჩემზე მაინც არ გაგტეხიათ გული, ხომ იცით, რა თავდადებული ვარ თქვენთვის, არა ნაკლებ, ვიდრე ანდრეი პეტროვიჩისთვის, რომლისადმი ჩემს მარადიულ ერთგულებას არც ვფარავ... მაშ, დამიჯერეთ, პატიოსნებას გეფიცებით, არა აქვს მას ის დოკუმენტი, და იქნებ არც არავისა აქვს; არც იკადრებს ეგეთ გაიძვერობას, ღმერთს ნუ სცოდავთ და ეგეთ რამეს ნუ დასწამებთ. ორივემ თქვენ თვითონ შეთხზეთ ეგ რაღაც მტრობა და...

- დოკუმენტი არსებობს, და ისიც ყველაფერს იკადრებს. თანაც შევდივარ გუშინ და პირველი ადამიანი, ვისაც ვხვდები - არის ce petit espion (ის პატარა ჯაშუში (ფრანგ.).) , რომელიც მან თავს მოახვია მამაჩემს.

- ეხ, რა ce petit espion. ჯერ ერთი, არავითარი espion ის არაა, რადგან მე, მე დავიჟინე მისი თავადთან მოწყობა, თორემ მოსკოვში ან ჭკუაზე შეირყეოდა, ანდა შიმშილით სული ამოსძვრებოდა, - აი, როგორ დაგვიხასიათეს ის მოსკოვიდან; ეგეც არ იყოს, ის გაუთლელი ლაწირაკი ნამდვილი ბრიყვია, ჯაშუშობის თავი სადა აქვს?

- მართლაც ყეყეჩი ვიღაც უნდა იყოს, მაგრამ ეს ხელს როდი შეუშლის, რომ არამზადა გახდეს. გუშინ ძალიან გულმოსული ვიყავი, თორემ სიცილით მოვკვდებოდი: ფერი დაეკარგა, მოირბინა, დაიწყო ლაციცი, ფრანგულად ატიტინდა. მოსკოვში კი მარია ივანოვნა მარწმუნ-

ებდა, გენიოსიაო. ის საუბედურო წერილი რომ არ დაკარგულა და სადღაც ყველაზე სახიფათო ადგილისაა - ამაში, უწინარეს ყოვლისა, იმ მარია ივანოვნას სახემ დამარწმუნა.

- ჩემო მზეთუნახავო! აკი თქვენ თვითონ ამბობთ, მარია ივანოვნას არაფერი აქვსო!

- საქმეც ისაა, რომ აქვს, ოღონდ ტყუის. დიდი მოხერხებული ქალი კია, უნდა მოგახსენოთ! მოსკოვში ჩასვლამდე კიდევ ვიმედოვნებდი, არავითარი ქაღალდები აღარ დარჩა-მეთქი, მაგრამ იქ კი, იქ...

- ახ, ჩემო კარგო, პირიქით, ამბობენ, კეთილი და გონიერი ქალიაო, განსვენებულს თავის დისწულებში გამორჩევით უყვარდა და აფასებდაო. მართალია, მე ისე კარგად არ ვიცნობ, მაგრამ - თქვენ უნდა გეცდუნებინათ, ჩემო მზეთუნახავო! თქვენთვის ხომ იოლი საქმეა ადამიანის დამორჩილება, მე რომ დედაბერი ვარ - აი, მეც ხომ შეყვარებული ვარ თქვენზე და ახლა მოგდგებით და დაგკოცნით... აბა, რა იქნებოდა, რომ გეცდუნებინათ!

- განა არ ვცადე, ტატიანა პავლოვნა, ვცადე, აღტაცებაშიც კი მოვიყვანე, მაგრამ ძალიან ეშმაკი ქალიცაა... არა, აქ ნამდვილი ხასიათია, თანაც განსაკუთრებული, მოსკოვური ხასიათი... და წარმოიდგინეთ, მირჩია მიმემართა ერთი აქაური კრაფტისთვის, ანდრონიკოვის ყოფილი თანაშემწისთვის, იქნებ მან იცოდეს რამეო. იმ კრაფტზე მე უკვე მაქვს წარმოდგენა და ბუნდოვნად მახსოვს კიდეც; ოღონდ, როგორც კი ის კრაფტი მიხსენა, მაშინვე დავრწმუნდი, რომ მარია ივანოვნამ არამცთუ უბრალოდ არაფერი იცის, პირიქით, ტყუის და ყველაფერიც იცის.

- რატომ, გეთაყვა, რატომ? თუმცა რა მოხდება, რომ კრაფტს ჰკითხოთ! ეს გერმანელი კრაფტი ენაჭარტალა ვინმე არაა და, როგორც მახსოვს, პატიოსანზე პატიოსანი კაცია, - ღმერთმანი, უნდა მიაკითხოთ! ოღონდ, მგონი, ახლა პეტერბურგში არ უნდა იყოს!..

- არა, ჯერ კიდევ გუშინ ჩამოსულა, ახლა იქ ვიყავი... იმიტომაც მოვედი თქვენთან ასე შეშფოთებული, სულ ხელ-ფეხი მიკანკალებს; ერთი რამ მინდოდა მეთხოვა: ტატიანა პავლოვნა, ჩემო ანგელოზო, რაკი ყველას იცნობთ, ვერ მოვახერხებთ, რომ მისი ქაღალდებიდან შევიტყოთ რამე? მას ხომ უსათუოდ დარჩებოდა ქაღალდები და ვინ იცის, ახლა ვის ხელში გადავა? იქნებ ისევ ვინმე საშიშ კაცს ჩაუვარდეს ხე-

ლში? რჩევის საკითხავად შემოვირბინე თქვენთან.

- რა ქაღალდებს ამბობთ? - ვერაფერი გაეგო ტატიანა პავლოვნას. - აკი თქვით, ახლა კრაფტთან ვიყავიო?

- ვიყავი, ვიყავი, ახლა ვიყავი, მაგრამ თავი მოუკლავს! გუშინ საღამოთი.

ლოგინიდან წამოვიჭერი. შემეძლო წყნარად ვმჯდარიყავი, როცა ჯაშუშსა და იდიოტს მეძახდნენ. და რაც უფრო მეტად შეტოპავდნენ ლაპარაკში, მით უფრო ნაკლებშესაძლებლად მეჩვენებოდა გამოსვლა. ეს წარმოუდგენელი რამ იქნებოდა. გულში გადავწყვიტე, ასე გატრუნული ვიჯდები, სანამ ტატიანა პავლოვნა სტუმარს არ გაისტუმრებს- მეთქი (თუ ჩემდა ბედად მანამდე თვითონ არ შემოვიდოდა საწოლ ოთახში რაიმესთვის); მერე კი, როცა ახმაკოვა წავიდოდა, - მერე თუნდაც მე და ტატიანა პავლოვნას ერთმანეთისთვის დაგვეცხო!.. მაგრამ ახლა, როცა კრაფტის ამბის გაგონებაზე ზეზე წამოვხტი, ერთიანად კრუნჩხვამ დამიარა. აღარაფერზე აღარ ვფიქრობდი, აღარც ვაზროვნებდი და არც არაფერი მესმოდა. ფეხი წავდგი, ფარდა ავწიე და მათ წინ წარვდექი. ჯერ კიდევ იმდენი სინათლე იყო, რომ დავენახე ფერწასული და აცახცახებული... ორივემ შეჰკივლა. მაშ, რას იზამდნენ?

- კრაფტი? - ბუტბუტით მივმართე ახმაკოვას. - თავი მოიკლა? გუშინ? მზის ჩასვლისას?

- სად იყავი? საიდან გაჩნდი? - იწივლა ტატიანა პავლოვნამ და მხრებში ჩამაფრინდა. - ჯაშუშობდი? გვაყურადებდი?

- მე რაღას გეუბნებოდით წეღან? - წამოდგა დივნიდან კატერინა ნიკოლავნა და ჩემზე მიუთითა.

მოთმინება დავკარგე.

- სიცრუეა, ტყუილია! - გააფთრებულმა შევაწყვეტინე სიტყვა. - თქვენ ახლა ჯაშუშს მიწოდებდით, ო, ღმერთო ჩემო! ამქვეყნად ჯაშუშობა კი არა, სიცოცხლეც არ ღირს თქვენნაირების გვერდით! დიდსულოვანი ადამიანი თავს იკლავს; კრაფტმა თავი მოიკლა იდეისთვის, ჰეკუბასთვის... თუმცა რა გაგეგებათ თქვენ ჰეკუბასი!.. აქ კი - მოდი და იცხოვრე ამ თქვენს ინტრიგებში, აჩანჩალე დღეები ამ თქვენი სიცრუის, ყალთაბანდობის, ერთმანეთისთვის სამარის გათხრის შემყურემ... კმარა!

- ერთი ყბაში გაულაწუნეთ! ყბაში! - წამოიყვირა ტატიანა პავლოვნამ. კატერინა ნიკოლავნა თუმცა თვალმოუშორებლივ მომჩერებოდა (ყველაფერი წვრილად მახსოვს), მაგრამ ადგილიდან არ დაძრულა. წუთიც და, ტატიანა პავლოვნა თვითონვე შეასრულებდა თავის რჩევას, მაგრამ მე უნებურად ხელი ავწიე, რათა სახე დამეფარა; ჩემი ეს მოძრაობა რომ დაინახა, მოეჩვენა, თითქოს მე თვითონ მოვუქნიე ხელი.

- აჰა, დამარტყი, დამარტყი! დაამტკიცე, რომ დაბადებიდანვე გაუთლელი ხეპრე ხარ! ქალებს ხომ მოერევი, რაღას უდგახარ!

- კმარა ცილისწამება, კმარა! - შევყვირე. - არასოდეს არ აღმიმართავს ხელი ქალზე! უსირცხვილო ხართ, ტატიანა პავლოვნა, თქვენ მე ყოველთვის გეზიზღებოდით. ო, ადამიანებს ისე უნდა ეპყრობოდე, რომ პატივს არ სცემდე! თქვენ იცინით, კატერინა ნიკოლავნა, უთუოდ ჩემს აღნაგობას დასცინით; დიახ, ღმერთმა არ მარგუნა თქვენი ადიუტანტებივით ტანადი ვყოფილიყავი და მაინც თავს დამცირებულად როდი ვგრძნობ თქვენ წინაშე, პირიქით, ამაღლებულად... თუმცა სულერთია, რანაირადაც გეტყვით, ოღონდ მე დამნაშავე არა ვარ! მე აქ შემთხვევით მოვხვდი, ტატიანა პავლოვნა, ამაში ბრალი მიუძღვის მარტო თქვენს დედაკაცს, ან, უკეთ, თქვენს მისდამი ახირებულ სიყვარულს: რატომ არაფერი მიპასუხა ჩემს შეკითხვაზე და პირდაპირ აქ შემომიყვანა? მერე კი, დამეთანხმებით, ქალის საწოლი ოთახიდან გამოხტომა იმდენად მონსტრუოზულ (საშინელი, საზარელი რამ, ფიზიკური ან მორალური თვალსაზრისით (ფრანგ.).) რამედ მომეჩვენა, რომ გადავწყვიტე, უმალ უსიტყვოდ ამეტანა თქვენი ლანძღვა-გინება, ვიდრე გამოვჩენილიყავი... თქვენ ისევ იცინით, კატერინა ნიკოლავნა?

- გადი აქედან, გაეთრიე, მოშორდი! - დამიყვირა ტატიანა პავლოვნამ, თან თითქოს მიჯიკავებდა... - ყურს ნუ ათხოვებთ ამის როშვას, კატერინა ნიკოლავნა, აკი გითხარით, იქიდან შერეკილად დაგვიხასიათეს-მეთქი!

- შერეკილადო? იქიდან? ნეტავ ეგ ვინ ან საიდან უნდა ყოფილიყო? სულერთია, კმარა. კატერინა ნიკოლავნა! ვფიცავ, რაც წმიდა გამაჩნია, რომ ეს ლაპარაკიც და ყველაფერი, რაც აქ შევიტყვე, ჩვენ შორის დარჩება... რა ჩემი ბრალია, თუ თქვენი საიდუმლოება შევიტყვე? მით უმეტეს, რომ ხვალვე თავს ვანებებ მამათქვენთან სიარულს, და იმ დოკუმენტის შესახებაც, თქვენ რომ დაეძებთ, არხეინად ბრძანდებოდეთ!

- რას ამბობ?.. რა დოკუმენტს ამბობთ? - შეძრწუნდა კატერინა ნიკოლავნა იმ ზომამდე, რომ გაფითრდა კიდეც, ან, იქნებ, მე მომეჩვენა. მივხვდი, რომ ზედმეტი წამომცდა.

სწრაფად გამოვედი: უსიტყვოდ გამომაყოლეს თვალი, მათ მზერაში უკიდურესი განცვიფრება გამოსჭვიოდა. მოკლედ, გავუჩინე თავსატეხი...

თავი მეცხრე - I

შინ მივიჩქაროდი და - საოცარია - ძალიან კმაყოფილი ვიყავი საკუთარი თავის. რა თქმა უნდა, ასე არ ელაპარაკებიან ქალებს, თანაც ასეთ ქალებს, - უკეთ, ასეთ ქალს, ვინაიდან ტატიანა პავლოვნა რა სათვალავში ჩასაგდები იყო. იქნებ არაფრის გულისთვის არ შეიძლება პირში უთხრა ამ ჯურის ქალს: „მიმიფურთხებია თქვენს ინტრიგებზეო“, მაგრამ მე ვუთხარი და კმაყოფილიც სწორედ ამით ვიყავი. სხვა თუ არაფერი, ის მაინც მჯეროდა, რომ ამ ტონით გავაბათილე ყოველივე, რაც სასაცილოს მხდიდა მათ თვალში. მაგრამ ამაზე ბევრი ფიქრისთვის არ მეცალა: თავიდან ვერ მომეშორებინა კრაფტი. იმას კი არ ვამბობ, ძალიან მტანჯავდა მასზე ფიქრი-მეთქი, მაგრამ გულის სიღრმემდე კი შემძრა მისმა ამბავმა; იმდენადაც კი, რომ ერთგვარი კმაყოფილების ის ჩვეულებრივი გრძნობა, რომელსაც განიცდის ხოლმე ადამიანი სხვისი უბედურებისას, ანუ, როცა ვინმე ფეხს მოიტეხს, სახელი გაუტყდება, საყვარელი არსება დაეღუპება და სხვ., - სულმდაბალი კმაყოფილების ეს ჩვეულებრივი გრძნობაც კი უკვალოდ გამიქრა და ადგილი დაუთმო სხვა, შემთხვევითობით გამოწვეულ სრულ შეგრძნებას, სწორედ რომ მწუხარებას, დანანებას კრაფტის გამო; დანანება იყო თუ არა, არ ვიცი, მაგრამ რაღაც ძალზე ძლიერი და კეთილი გრძნობა კი აღმეძრა და ამითიც კმაყოფილი გახლდით. საოცარია, რამდენი გარეშე ფიქრი გაუელვებს ხოლმე გონებაში ადამიანს სწორედ მაშინ, როცა ერთიანად შეძრულია რაღაც დიდი ამბით, რომელსაც, სინამდვილეში, უნდა ჩაეხშო სხვა გრძნობები და გაეფანტა დანარჩენი, მეტადრე - წვრილმანი ფიქრები; არადა, პირიქით ხდება ხოლმე ასეთ დროს - სწორედ წვრილმანი ფიქრები დაესევიან და საშველს არ აძლევენ. მახსოვს ისიც, რომ თანდათან ერთიანად ამიტანა საგრძნობლად ნერვიულმა კანკალმა, რომელმაც რამდენიმე წუთს გასტანა და არც მაშინ მომშორებია, როცა შინ მივედი და ვერსილოვთან ლაპარაკი მომიხდა.

ეს ლაპარაკი უცნაურ და უჩვეულო გარემოებაში მოხდა. ზემოთ ერთგან უკვე აღვნიშნე, რომ ეზოში განცალკევებულ ფლიგელში ვცხოვრობდით; ამ ბინას მეცამეტე ნომერი ეწერა. ჯერ ალაყაფშიც არ შევსულიყავი, რომ შემომესმა ქალის ხმა, რომელიც ვიღაცას ხმამაღლა, მოუთმენლად და გულმოსულად ეკითხებოდა: „სადაა აქ მეცამეტე ბინა?“. ქალს შეეღო იქვე, ჭიშკრის ახლოს მდებარე საწვრილმანოს კარი და იქ კითხულობდა; მაგრამ იქ, მგონი არაფერი უთხრეს თუ გამოაგდეს კიდეც, და კიბეზე რომ ჩამოდიოდა, გატანჯული და თან გაჯავრებული ხმით იყვირა:

- ბოლოს და ბოლოს, მეეზოვე არის აქ თუ არა? - თან ფეხი დააბაკუნა. რახანია, ვიცანი ეს ხმა.

- მე მივდივარ მეცამეტე ბინაში, - მივუახლოვდი ქალს. - ვინ გნებავთ?

- ერთი საათია დავეძებ მეეზოვეს, ყველას ვეკითხები, ავდივარ და ჩავდივარ ამ კიბეებზე.

- ეგ ბინა ეზოში გახლავთ. ვერ მცნობთ?

მაგრამ ქალმა უკვე მიცნო.

- თქვენ ვერსილოვი გნებავთ; თქვენ მასთან საქმე გაქვთ და მეც საქმე მაქვს, - განვაგრძე მე, - მოვედი, რათა სამუდამოდ გამოვეთხოვო. წამომყევით.

- თქვენ მისი ვაჟი ხართ?

- ეს არაფერს ნიშნავს. მაგრამ დავუშვათ, რომ მისი ვაჟი ვარ, თუმცა მე დოლგორუკი გახლავართ, უკანონო შვილი. ამ ვაჟბატონს აურაცხელი უკანონო შვილი ჰყავს. როცა სინდი-ნამუსი მოითხოვს, მაშინ ღვიძლი შვილიც ტოვებს სახლს. ამაზე ჯერ კიდევ ბიბლიაშია ნათქვამი. ესეც არ იყოს, მან მემკვიდრეობა მიიღო, მე კი არ მინდა მოწილადე ვიყო და მივდივარ, რათა საკუთარი შრომით ვირჩინო თავი. როცა საჭიროა, დიდსულოვანი კაცი სიცოცხლესაც კი მსხვერპლად გაიღებს; კრაფტმა თავი მოიკლა იდეის გულისთვის. წარმოიდგინეთ, ყმაწვილმა კაცმა, რომელზეც დიდ იმედებს ამყარებდნენ... აქეთ მობრძანდით! ჩვენ ცალკე ფლიგელში ვცხოვრობთ. ჯერ კიდევ ბიბლიაშია ნათქვამი, რომ შვილები მამებს ტოვებენ და საკუთარ ბუდეს იშენებენ... თუკი იდეა იტაცებთ... თუკი იდეა აქვთ! მთავარია იდეა, იდეაშია ყველაფერი...

სულ ასე ველაყბებოდი, ვიდრე ზევით ავიდოდით. მკითხველი უთუოდ ამჩნევს, რომ ჩემს თავს მაინცდამაინც არ ვზოგავ და, სადაც საჭიროა, საუცხოოდ ვახასიათებ: მინდა სიმართლის თქმა ვისწავლო. ვერსილოვი შინ იყო. პალტო არ გამიხდია, ისე შევედი. ქალიც შემომყვა. საშინლად მსუბუქად ეცვა, მუქი ფერის კაბაზე წამოეგდო რაღაც ძონძი, რაც ვითომ მოსასხამი უნდა ყოფილიყო; თავზე ეხურა ძველი, გაქუცული მეზღვაურული ქუდი, რომელიც ძალიან აუშნოებდა. როცა სასტუმრო ოთახში შევედით, დედაჩემი ხელსაქმეს უჯდა თავის ჩვეულებრივ ადგილას, ჩემმა დამ კი თავისი ოთახიდან გამოიხედა და კა-

რთან გაჩერდა. ვერსილოვი ჩვეულებისამებრ არაფერს აკეთებდა და ჩვენი შესვლისთანავე ფეხზე წამოდგა; მან მკაცრი, კითხვით აღსავსე მზერა მომაპყრო.

- მე არაფერ შუაში ვარ, - საჩქაროდ მივუგდე სიტყვა და განზე გავდექი, - ეს ადამიანი ალაყაფთან შემხვდა; თქვენ გკითხულობდათ და კაციშვილმა ვერ მოასწავლა. მე კი ჩემს საკუთარ საქმეზე მოვედი, რომელსაც მერე მოგახსენებთ...

ვერსილოვი მაინც ცნობისმოყვარეობით მომჩერებოდა.

- ნება მიბოძეთ, - მოუთმენლად დაიწყო ქალიშვილმა. ვერსილოვი მას მიუბრუნდა. - დიდხანს ვფიქრობდი, რატომ მოგეხასიათათ გუშინ ჩემთვის ფულის დატოვება... მე... ერთი სიტყვით... აჰა, თქვენი ფული! - წეღანდელივით თითქმის დაიწივლა მან და ფულის დასტა მაგიდაზე დააგდო. - სამისამართო ბიუროში გეძებდით, თორემ უფრო ადრე მოგიტანდით. გამიგონეთ, თქვენ! - მიუბრუნდა უცებ დედაჩემს, რომელიც ერთიანად გაფითრდა. - არ მინდა შეურაცხგყოთ, პატიოსანი ჩანხართ და, იქნებ, ეს თქვენი ქალიშვილიცაა. არ ვიცი, ცოლი ხართ ამისი თუ რა, მაგრამ იცოდეთ, რომ ეს ვაჟბატონი გაზეთებიდან ჭრის განცხადებებს, რომელთა დასაბეჭდად გუვერნანტი და მასწავლებელი ქალები უკანასკნელი ლუკმაპურის ფულს იხდიან, მერე ჩამოუვლის ამ საცოდავებს, ეძებს უპატიოსნო ხეირს და ფულით უნდა გააბას ისინი უბედურებაში. ვერ გამიგია, როგორ გამოვართვი გუშინ ფული! ისეთი პატიოსანი კაცი ჩანდა!.. შორს ჩემგან! კრინტი არ დაძრათ! თქვენ არამზადა ხართ, მოწყალეო ხელმწიფევ! პატიოსანი ზრახვებიც რომ გქონოდათ, მაინც არ მინდა თქვენი მოწყალება. ხმა! კრინტი! ო, რა მიხარია, თქვენს ქალებთან რომ გამხილეთ! წყეულიმც იყავით!

ის სწრაფად გაიჭრა, მაგრამ კართან წამით მობრუნდა, რათა დაეყვირა:

- ამბობენ, მემკვიდრეობა მიგიღიათ!

და მერე აჩრდილივით გაქრა. კიდევ მოგაგონებთ: იგი გააფთრებული, გონგადასული ვინმე იყო. ვერსილოვი თავზარდაცემული იდგა; თითქოს ჩაფიქრებულა თუ რაღაცას საზრისობსო; ბოლოს უცებ მე მომიბრუნდა:

- შენ ამ ქალს საერთოდ არ იცნობ?

- წეღან შემთხვევით ვნახე, რა ცოფებს ყრიდა ვასინის დერეფანში, წიოდა და წყევლა-კრულვით გიხსენიებდათ; მაგრამ ლაპარაკი არ გამიბამს და არც არაფერი ვიცი, ახლა კი ალაყაფთან შემხვდა. უთუოდ ეს ის გუშინდელი მასწავლებელია, „არითმეტიკასაც ასწავლისო“, არა?

- ეგაა. ჩემს სიცოცხლეში ერთხელ ჩავიდინე სიკეთე და... მართლა, შენ რაღა საქმე გქონდა?

- აი, წერილი, - მივუგე მე. - ახსნა-განმარტება ზედმეტად მიმაჩნია: ეს წერილი კრაფტმა გადმომცა, მას კი განსვენებული ანდრონიკოვისგან ჩავარდნია ხელთ. წაიკითხეთ და შეიტყობთ. დავუმატებ, რომ ახლა ქვეყნიერებაზე არავინ იცის ამ წერილის არსებობა ჩემ გარდა, რადგან კრაფტმა გუშინ გადმომცა ეს წერილი, და როგორც კი წამოვედი, თავი მოიკლა...

ვიდრე მე სულმოუთქმელად და სხაპასხუპით ვლაპარაკობდი, მან გამომართვა წერილი, მარცხენა ხელით განზე დაიჭირა, თან ყურადღებით მომჩერებოდა. როცა განვაცხადე, კრაფტმა თავი მოიკლა-მეთქი, საგანგებოდ დავაკვირდი სახეზე, რომ მენახა, როგორ იმოქმედებდა ეს ამბავი. მერედა, არ იკითხავთ? - ამ ცნობამ არავითარი შთაბეჭდილება არ მოახდინა, წარბიც კი არ შეუხრია! პირიქით, რაკი ნახა, რომ გავჩუმდი, ამოიღო თავისი ლორნეტი, რომელიც გამუდმებით ზედ ეკიდა შავი ლენტით, წერილი სანთელთან მიიტანა, დახედა ხელმოწერას და გულმოდგინედ დაიწყო კითხვა. ვერ აგიწერთ, როგორ შეურაცხმყო ამ ქედმაღალმა უგრძნობლობამ. მას ძალიან კარგად უნდა სცნობოდა კრაფტი; თან, რაც უნდა იყოს, ასეთი არაჩვეულებრივი რამ ვაცნობე! დასასრულ, ბუნებრივია, მინდოდა, რამე ეფექტი მოეხდინა ამ ამბავს. წუთ-ნახევარი დაველოდე და რაკი ვიცოდი, რომ წერილი დიდი იყო, მოვბრუნდი და გამოვედი. ჩემოდანი რახანია მზად მქონდა, ახლა მარტო ბოხჩის გამოკვრაღა დამრჩენოდა. ვფიქრობდი დედაჩემზე და იმაზე, რომ მაინც არ მივედი მასთან. ათი წუთის მერე, როცა უკვე მთლიანად მზად ვიყავი და ეტლის მოსაყვანად ვაპირებდი წასვლას, ჩემს სენაკში ჩემი და შემოვიდა.

- აი, დედა გიგზავნის შენს ექვს თუმანს და ისევ გთხოვს, მაპატიე, ამ ფულის ამბავი ანდრეი პეტროვიჩს რომ გავუმხილეო; ესეც ოცი მანეთი. გუშინ შენი სახარჯო ხუთი თუმანი მიგიცია: დედა ამბობს, სამ თუმანზე მეტს ვერაფრით ვერ გამოგართმევ, რადგან შენზე ხუთი თუმანი არ დახარჯულაო, და ოც მანეთს ხურდას გიგზავნის.

- ჰოდა, გმადლობთ, თუკი სიმართლეს ამბობს. მშვიდობით, დაო, მივდივარ.

- საით გაგიწევია?

- ჯერჯერობით სასტუმრო-ბაკებში, ოღონდ კი აქ არ გავათიო ღამე. დედაჩემს გადაეცი, რომ მიყვარს.

- დედამ ეგ იცის. დედამ იცის, რომ შენ ანდრეი პეტროვიჩიც გიყვარს. არა გრცხვენია, ის უბედური ქალი რომ მოიყვანე?

- გეფიცები, მე არ მომიყვანია; ალაყაფთან შემხვდა.

- არა, შენ მოიყვანე.

- გარწმუნებ...

- დაფიქრდი, დაეკითხე შენს თავს და ნახავ, რომ შენც ხარ მიზეზი.

- ეს კია, ძალიან მიხაროდა, ვერსილოვს რომ თავი მოსჭრა. არ დაიჯერებ, თურმე ძუძუთა ბავშვი ჰყოლია ლიდია ახმაკოვასგან... თუმცა, შენთან ეს რა სალაპარაკოა...

- ანდრეი პეტროვიჩს? ძუძუთა ბავშვი? ის ხომ მისი შვილი არაა! ვინ გითხრა ეგ ჭორი?

- ეჰ, შენ არ გაგეგება.

- არ გაგეგებაო? მე არ ვუვლიდი იმ ბავშვს ლუგაში? გამიგონე, ძმაო: კარგა ხანია ვხედავ, რომ შენ საერთოდ არაფერი იცი და ტყუილად შეურაცხყოფ ანდრეი პეტროვიჩს და დედასაც.

- თუ ვერსილოვი მართალია, მაშინ მე ვიქნები მტყუანი, მორჩა და გათავდა, თქვენ კი ისევ ისე მიყვარხართ. ეგრე რატომ გაწითლდი, დაო? ახლა მთლად ცეცხლი მოგედო. კეთილი, მაგრამ იმ თავადს მაინც დუელში გამოვიწვევ ვერსილოვისათვის გაწნული სილის გამო. თუ ვერსილოვი ახმაკოვას ამბავში მართალია, მით უმეტეს.

- ძმაო, გონს მოდი, რას ამბობ!

- მით უფრო, რომ სასამართლოში უკვე გათავებულია საქმე... ახლა მთლად დაგეკარგა ფერი.

- თავადი არ გამოგყვება დუელში, - მიმქრალი ღიმილი გაუკრთა შეშფოთებულ სახეზე.

- მაშინ საჯაროდ შეურაცხვყოფ. რა მოგდის, ლიზა?

ლიზა ისე გაფითრდა, რომ ფეხზე დგომა ვეღარ შეძლო და დივანზე დაეშვა.

- ლიზა! - მოისმა ქვევიდან დედაჩემის ძახილი.

ლიზა გონს მოვიდა და წამოდგა; ალერსიანად მიღიმოდა.

- ძმაო, გაანებე თავი მაგ უბრალო რამეებს ანდა მოითმინე, ვიდრე ბევრ რამეს შეიტყობდე. ძალზე ცოტა რამ იცი.

- მე მემახსოვრება, ლიზა, როგორ გაფითრდი, როცა გაიგონე, დუელში გამოვიწვევ-მეთქი!

- ჰო, ჰო, ეგეც გაიხსენე! - კიდევ ერთხელ გამიღიმა და ძირს ჩავიდა.

მეეტლე მოვიყვანე და მისი დახმარებით ძირს ჩავიტანე ჩემი ბარგი-ბარხანა. ჩვენებს არაფერი უთქვამთ და არც შევუჩერებივარ. დედასთან გამოსათხოვებლად არ შევედი, რათა ვერსილოვს არ შევხვედროდი. როდესაც ეტლში ჩავჯექი, უეცრად ფიქრმა გამიელვა.

- ფონტანკაზე, სემიონოვსკის ხიდისკენ, - შევძახე მეეტლეს რიხიანად და კვლავ ვასინთან გავეშურე.

II

უცებ გავიფიქრე, ვასინს უკვე ეცოდინება კრაფტის ამბავი და, იქნებ, ასჯერ ჩემზე მეტიც იცოდეს-მეთქი; ასეც გამოდგა. ვასინმა მაშინვე და თავაზიანად მიამბო ყველა წვრილმანი, თუმცა არცთუ გულმხურვალედ; დავასკვენი, დაღლილია-მეთქი, და ასეც იყო. ვასინი თვითონ ყოფილიყო იქ დილით. კრაფტს თავი რევოლვერით (სწორედ იმით) მოეკლა გუშინ, სრულ ბინდბუნდში, რაც მისი დღიურიდან ირკვეოდა. უკანასკნელი ჩანაწერი დღიურში გასროლის წინ გაეკეთებინა, და იქ წერს, თითქმის ბნელა, ასოებს ძლივსღა ვარჩევ, მაგრამ სანთელს არ ვანთებ, რომ ჩემ მერე ხანძარი არ გაჩნდესო. „ხოლო ავანთო იმისთვის, რომ გასროლის წინ ისევ ჩავაქრო, ვით ჩემი სიცოცხლე, არ მინდა“, - უცნაურად დაერთო უკანასკნელ სტრიქონში. ეს სიკვდილისწინა დღიურის წერა გუშინწინ, პეტერბურგში დაბრუნებისთანავე, ჯერ კიდევ დერგაჩევთან მისვლამდე დაეწყო. ჩემ მერე თურმე ყოველ თხუთმეტ წუთში წერდა; უკანასკნელი სამი-ოთხი ჩანაწერი კი ყოველ ხუთ წუთში ერთხელ დაეწერა. ხმამაღლა გავიოცე, რომ ვასინმა, რომელსაც იმდენ ხანს თვალწინ ჰქონდა ეს დღიური (წასაკითხად მიეცათ), არ გადაიღო ასლი, მით უფრო, რომ მთლიანად ერთ ფურცელზე მეტი არ ყოფილა და ისიც - სულ მოკლე-მოკლე ჩანაწერები, - „ბოლო ფურცელი მაინც გადაგეღოთ!“. ვასინმა ღიმილით მითხრა, ისედაც მახსოვსო. თან ჩანაწერები ყოვლად უსისტემო იყო, რაც კი თავში მოსვლია, ყველაფერი ჩაუწერიაო. მე მოვყევი მტკიცებას, ამჟამად სწორედ ეგაა ძვირფასი-მეთქი, მაგრამ მერე თავი გავანებე და შევუჩნდი, რამე მაინც გაიხსენეთ-მეთქი. მანაც გაიხსენა რამდენიმე სტრიქონი, გასროლამდე დაახლოებით ერთი საათით ადრე ჩაწერილი, იმის შესახებ, რომ მას „აჟრჟოლებს“; რომ „გასათბობად არყის გადაკვრა დავაპირე, მაგრამ როცა გავიფიქრე, ამის გამო ალბათ უფრო ძლიერ ჩამექცევა სისხლი-მეთქი, შევეშვი“. ყველა ჩანაწერი ამდაგვარი იყოო, - დაასრულა ვასინმა.

- და ამაზე იძახდით, საგულისხმო არაფერიაო? - წამოვიძახე.

- როდის ვიძახდი? ოღონდ ასლი არ გადამიღია. თუმცა უმნიშვნელო არაა, მაგრამ დღიური მართლაც საკმაოდ ჩვეულებრივია ან, უკეთ, ბუნებრივია, სწორედ ისეთი, როგორიც უნდა იყოს ასეთ შემთხვევაში...

- მაგრამ ეს ხომ მისი უკანასკნელი ფიქრებია, უკანასკნელი!

- უკანასკნელი ფიქრები ზოგჯერ მეტად უმნიშვნელოა. ერთი ეგეთივე თვითმკვლელი სწორედ იმავეს ჩივის ამდაგვარსავე დღიურში; ასეთ მნიშვნელოვან საათში ერთი „უზენაესი ფიქრი“ მაინც მწვეოდა, პირიქით, სულ ერთთავად წვრილმანი და უბრალო ფიქრები მომდისო.

- რომ აჟრჟოლებს, ესეც უბრალო ფიქრია?

- თქვენ საკუთრივ ჟრჟოლაზე ამბობთ თუ სისხლის ჩაქცევაზე? ცნობილი ფაქტია, რომ ბევრნი, ვისაც უნარი შესწევთ, იფიქრონ საკუთარ სიკვდილზე, ნებაყოფლობითი იქნება იგი თუ ძალადობრივი, ძალზე ხშირად ზრუნავენ თავიანთ გარეგნობაზე - რანაირი შესახედი იქნება ჩემი გვამიო. ამ მხრივ კრაფტს ზედმეტი სისხლისჩაქცევის შეეშინდა.

- მე არ ვიცი, ცნობილია თუ არა ეგ ფაქტი... და ეგრეა თუ არა, - წავიბუტბუტე, - მაგრამ მაკვირვებს, ყველაფერი ასე ბუნებრივად რომ მიგაჩნიათ; განა აგერ, ახლახან არ იყო, რომ კრაფტი ლაპარაკობდა, ღელავდა, ჩვენ შორის იჯდა? არ გებრალებათ მაინც?

- ო, შებრალებით როგორ არ მებრალება, და ეგ სულ სხვა საქმეა; მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, თვითონ კრაფტმა თავისი სიკვდილი ლოგიკური დასკვნის სახით დაგვიხატა. ირკვევა, რომ რაც დერგაჩევისას თქვეს გუშინ კრაფტის შესახებ, ყველაფერი სამართლიანი ყოფილა; მისი სიკვდილის მერე დარჩა აი, ამოდენა რვეული, სავსე მეცნიერული დასკვნებით იმის თაობაზე, რომ რუსები - ფრენოლოგიის, კრანიოლოგიისა და თვით მათემატიკის საფუძველზეც კი - მეორეხარისხოვანი მოდგმის ხალხია, და რომ, მაშასადამე, არც ღირს რუსად სიცოცხლე. თუ გნებავთ, აქ ყველაზე დამახასიათებელი ისაა, რომ შეიძლება გამოიყვანოთ როგორიც გნებავთ, ლოგიკური დასკვნა, მაგრამ ამ დასკვნის შედეგად რომ ადგეთ და თავი მოიკლათ - ეს, რა თქმა უნდა, ყოველთვის როდი ხდება.

- სხვა თუ არაფერი, ბარაქალა მისი ხასიათის სიმტკიცეს.

- იქნებ მარტო ხასიათის სიმტკიცეს არა, - ისეთნაირად თქვა ვასინმა, რომ ცხადი იყო, სისულელეს ან ჭკუანაკლებობას გულისხმობდა, ყოველივე ეს მაბრაზებდა.

- გუშინ თქვენ თვითონ ლაპარაკობდით გრძნობებზე, ვასინ.

- არც ახლა უარვყოფ; მაგრამ მომხდარი ფაქტის გამო რაღაც ისე უხეშ შეცდომად გამოიყურება ამ ამბავში, რომ მკაცრად თუ შევხედავთ საქმეს, უნებურად თვით სიბრალულიც კი რაღაცნაირად მცირდება.

- იცით რა, წეღან თვალებში შეგატყვეთ, კრაფტს ძაგებას რომ დაუწყებდით. და ეგ ძაგება რომ არ გამეგონა, გადავწყვიტე, არ მეკითხა, თქვენ რა აზრის ხართ-მეთქი; მაგრამ თვითონვე გამოთქვით იგი და მეც, უნებურად, იძულებული ვარ, დაგეთანხმოთ; თუმცა უნდა მოგახსენოთ, რომ უკმაყოფილო ვარ თქვენი! მე მებრალება კრაფტი.

- იცით, ჩვენ ძალიან შორს შევტოპეთ...

- დიახ, დიახ, - შევაწყვეტინე სიტყვა, - მაგრამ სხვა თუ არაფერი, სანუგეშო ისაა, რომ ასეთ შემთხვევაში ცოცხლად დარჩენილებს, განსვენებულის მსაჯულებს, შეუძლიათ თქვან თავიანთ გულში: „თუმცა თავი მოიკლა კაცმა, რომელიც ყოველგვარი დანანებისა და შეწყნარების ღირსია, მაგრამ, რაც უნდა იყოს, დავრჩით ჩვენ და, მაშასადამე, სადარდებელიც ბევრი არაფერია“.

- დიახ, რა თქმა უნდა, თუ მაგ თვალსაზრისით შევხედავთ... ახ, თქვენ მგონი იხუმრეთ! და ძალზე ჭკვიანურადაც იხუმრეთ. ამ დროს მე ჩაის გეახლებით ხოლმე და ახლა ვუბრძანებ, მოიტანონ, თქვენც, უთუოდ, დამეწვევით.

ვასინი გავიდა, თან თვალი შეავლო ჩემს ჩემოდანსა და ბოხჩას.

მე მართლაც მინდოდა ძალიან მწარე რამე მეთქვა, კრაფტის გამო ჯავრი მეყარა. ვთქვი კიდეც, როგორც შემეძლო, მაგრამ საინტერესოა, რომ მან ჩემი სიტყვები: ჩვენნაირები კი დარჩნენ-მეთქი, თავდაპირველად სერიოზულად მიიღო. ასე იყო თუ ისე, ის მაინც ჩემზე მართალი იყო თავის გრძნობებში. ამაში რომ გამოვუტყდი ჩემს თავს, არავითარი უკმაყოფილება არ განმიცდია, ოღონდ ნამდვილად ვიგრძენი, რომ არ მიყვარდა ვასინი.

ჩაი რომ შემოიტანეს, ავუხსენი, მხოლოდ ერთი ღამით გთხოვთ სტუმართმოყვარეობას და თუ არ შეიძლება, მითხარით, სასტუმრობაკებში გადავალ-მეთქი. მერე მოკლედ ავუხსენი ამის მიზეზი, პირდაპირ და დაუფარავად ვუამბე, საბოლოოდ წავეკიდე ვერსილოვს-მეთქი, თუმცა დაწვრილებით არ ამიხსნია საქმის ვითარება. ვასინმა ყურადღებით მომისმინა, თუმცა ამ ამბავს სრულიად არ აუღელვებია.

საერთოდ მხოლოდ ჩემს შეკითხვებს პასუხობდა, თუმცა ხალისით და საკმაოდ ამომწურავადაც კი. იმ წერილზე კი, რომლის თაობაზეც მინდოდა დილით რჩევა მოეცა, - კრინტიც აღარ დამიძრავს, ხოლო დილანდელი მოსვლა უბრალო სტუმრობად წარმოვუდგინე. რაკი ვერსილოვს სიტყვა მივეცი, ამ წერილის ამბავი ჩემ გარდა არავის ეცოდინება-მეთქი, გადავწყვიტე, უფლება აღარ მქონდა, ვინმესთვის რამე მეთქვა. რატომღაც, განსაკუთრებით ვასინისთვის არ მინდოდა ზოგი რამის მოყოლა. ზოგისა, მაგრამ არა სხვა საქმისა; მაინც მოვახერხე მისი დაინტერესება - ვუამბე დილით დერეფანში და მეზობლებთან მომხდარი ამბავი, რომელიც ვერსილოვის ბინაში დასრულდა. დიდი ყურადღებით მოისმინა ჩემი ნაამბობი, მეტადრე, რაც სტებელკოვს შეეხებოდა. ორჯერ მაამბობინა, რა გკითხათ დერგაჩევის შესახებო, და ჩაფიქრდა კიდეც; თუმცა დასასრულ მაინც ჩაიცინა. იმწუთას უცებ მომეჩვენა, რომ ვასინს ვერასოდეს ვერაფერი ჩააგდებს მძიმე დღეში. თუმცა, მახსოვს, პირველად რომ ეს გავიფიქრე, საკმაოდ საქებარ თვისებად ჩავუთვალე.

- საერთოდ, ბევრს ვერაფერს მივხვდი ბატონი სტებელკოვის ნალაპარაკევიდან, - დავასრულე სტებელკოვის შესახებ, - რაღაც აბნეულად ლაპარაკობს... და თითქოს არის რაღაც ქარაფშუტული მის ბუნებაში...

ვასინმა მაშინვე სერიოზული სახე მიიღო.

- დიდი ოქროპირი მართლაც არაა, მაგრამ ეს ერთი შეხედვით ჩანს ეგრე; ხშირად მეტად მახვილი შენიშვნები აქვს ხოლმე; და საერთოდ - ასეთ ხალხს აფერა (საეჭვო, უკეთური საქმე პირადი გამორჩენის მიზნით (ფრანგ.).) უფრო ემარჯვება, ვიდრე განმაზოგადებელი ფიქრი; ისინი ამ მხრივ უნდა განვსაჯოთ...

ბიჭოს, სწორად მივმხვდარვარ წეღან!

- საშინლად კი იბობოქრა თქვენს მეზობელ ქალებთან, და ღმერთმა უწყის, რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა ამ ამბავს.

მეზობლების შესახებ ვასინმა მითხრა, სამი კვირა იქნება, რაც აქ ცხოვრობენ, რომელიღაც პროვინციიდან არიან ჩამოსულნიო; სულ პაწია ოთახი აქვთ ნაქირავები და ყველაფერზე ეტყობათ, რომ ძალიან ხელმოკლედ ცხოვრობენ; სხედან და რაღაცას ელიანო. ვასინს არ სცოდნია, რომ იმ ყმაწვილ ქალს განცხადება მიეცა გაზეთში მასწავლ-

ებლობაზე, ის კი შეეტყო, რომ ვერსილოვი მასთან ყოფილიყო; ეს მისი შინ არყოფნის დროს მომხდარიყო და დიასახლისს ეამბნა. თვითონ ეს მეზობელი ქალები კი, პირიქით, ყველას გაურბიან, დიასახლისსაც კი არიდებენ თავსო. ბოლო დღეებში ვასინსაც შეუმჩნევია, რომ მათ თავს მართლაც რაღაც ამბავი იყო, მაგრამ ისეთი სცენები, რაც დღეს მოხდა, არ ყოფილა. ჩვენს მთელ ამ საუბარს მეზობელ ქალებზე ვიხსენებ იმის გამო, რაც მერე მოხდა; თვით მეზობლებთან კი ამ დროს სამარისებური სიჩუმე სუფევდა. განსაკუთრებული ინტერესით მომისმინა ვასინმა, როცა ვუთხარი: სტებელკოვი ამბობდა, უსათუოდ უნდა მოველაპარაკო დიასახლისსო და სულ გაიძახოდა: აი, ნახავთ, აი, ნახავთო!

- მართლაც ნახავთ, - დაურთო ვასინმა, - რომ ტყუილად არ მოსვლია თავში ეგ აზრი; ასეთ რამეებს ერთი შეხედვით გამოიცნობს ხოლმე.

- მაშ, თქვენი აზრით, დიასახლისს მათი გაყრა ვურჩიოთ?

- არა, არ ვამბობ, გაყაროს-მეთქი, ოღონდ რამე ისტორია კი არ გამოვიდეს... თუმცა, ყველა ეგეთი ისტორია, ამგვარად თუ იმგვარად, მაინც მთავრდება ხოლმე... თავი დავანებოთ ამას.

როცა ვკითხე, ნეტავ რატომ უნდა მოსულიყო ვერსილოვი იმ ქალებთან-მეთქი, ვასინმა მტკიცე უარი განაცხადა რაიმე აზრის გამოთქმაზე:

- ყველაფერი ხდება; კაცს ჯიბეში ფული გაუჩნდა... თუმცა ისიც შესაძლებელია, რომ უბრალოდ ადგა და მოწყალება გაიღო; ეს შეესატყვისება მის მამა-პაპათა ჩვეულებას, ან, იქნებ, მის მიდრეკილებებსაც.

მე ვუამბე სტებელკოვის ყბედობა „ძუძუთა ბავშვის“ შესახებ.

- სტებელკოვი ამ შემთხვევაში სასტიკად ცდება, - განსაკუთრებული სერიოზულობით და ხაზგასმით წარმოთქვა ვასინმა (და ეს ძალიან კარგად დამამახსოვრდა). - სტებელკოვი, - განაგრძო მან, - ზოგჯერ მეტისმეტად ენდობა ხოლმე თავის პრაქტიკულ გონებას და ამიტომაც ჩქარობს დასკვნის გამოტანას თავისი, ხშირად მეტად გამჭრიახი ლოგიკის მიხედვით; ამავე დროს კი, ამა თუ იმ ამბავს სინამდვილეში შეიძლება გაცილებით უფრო ფანტასტიკური და მოულოდნელი ეფექტი ჰქონდეს, თუ მოქმედ პირებს მივიღებთ მხედველობაში. აქაც ასე

მოხდა: რაკი ნაწილობრივ ჩახედული იყო ამ საქმეში, სტებელკოვმა დაასკვნა, ბავშვი ვერსილოვისა�ა; მაგრამ ვერსილოვის არ არის.

არ მოვეშვი და, ჩემდა გასაოცრად, აი, რა შევიტყვე: ბავშვი თავად სერგეი სოკოლსკის ყოფილა. ლიდია ახმაკოვა, თავისი ავადმყოფობის, ან იქნებ, უბრალოდ, ფანტასტიკური ხასიათის გამო, ხანდახან შეშლილივით იქცეოდა. მას ჯერ კიდევ ვერსილოვის გაცნობამდე შეუყვარდა თავადი სოკოლსკი, ხოლო თავადმა „ინება მისი სიყვარულის მიღება“, როგორც გამოთქვა ვასინმა. ეს კავშირი წამიერი გამოდგა და, როგორც ცნობილია, წაკიდებით დამთავრდა. ლიდიამ გააგდო თავადი, „რამაც, მგონი, ძალიან გაახარა“ ეს უკანასკნელი.

- მეტად უცნაური ქალიშვილი გახლდათ, - დაურთო ვასინმა, - ძალიან, ძალიან ადვილი შესაძლებელია, რომ არც არასოდეს ყოფილიყო სრულ ჭკუაზე. მაგრამ პარიზში რომ მიდიოდა, სოკოლსკის წარმოდგენაც არ ჰქონდა, რა დღეშიც ტოვებდა თავის მსხვერპლს, არ იცოდა ბოლო წუთამდე, პარიზიდან დაბრუნებამდე. ვერსილოვმა, რომელიც დაუმეგობრდა ყმაწვილ ქალს, სწორედ იმიტომ შესთავაზა ქორწინება, რომ იცოდა მისი მდგომარეობა (რისი ეჭვი, მგონი, მშობლებსაც კი არ ჰქონდათ იქამდე). შეყვარებული ქალიშვილი აღტაცებული იყო და ვერსილოვის წინადადებაში „არ ხედავდა მხოლოდ და მხოლოდ თავის შეწირვას“, თუმცა ამასაც აფასებდა. რა თქმა უნდა, ვერსილოვმა მოახერხა ამის გაკეთება, - დაუმატა ვასინმა. - ბავშვი (გოგონა) ერთი თვით თუ ექვსი კვირით ადრე დაიბადა, სადღაც გერმანიაში მოათავსეს, მაგრამ ვერსილოვმა წამოიყვანა და ახლა სადღაც რუსეთში უნდა ჰყავდეს, იქნებ პეტერბურგშიცაა.

- ფოსფორის ასანთზე რაღას იტყვით?

- მაგისი არაფერი ვიცი, - დაასრულა ვასინმა. - ლიდია ახმაკოვა მშობიარობიდან ორი კვირის თავზე გარდაიცვალა; რა მოხდა - არ ვიცი. თავადმა მხოლოდ პარიზიდან დაბრუნების მერე შეიტყო, ბავშვი ეყოლაო და, მგონი, თავდაპირველად არც დაიჯერა, რომ მისი იყო... საერთოდ, მთელი ეს ამბავი დღემდე ყოველმხრივ უდიდესი საიდუმლოებითაა მოცული.

- ერთი დამიხედეთ თავადს! - აღშფოთებით წამოვიძახე. - რა უღირსად მოჰქცევია ავადმყოფ გოგონას!

- მაშინ არც ისე ავადმყოფი იყო... თანაც ქალმა ხომ თვითონ გააგ-

დო... ეს კია, რომ თავადმა მეტისმეტად იჩქარა და მაშინვე შეუსრულა ქალს სურვილი - გამეცალე და არ დამენახვოო.

- თქვენ ამართლებთ ასეთ არამზადას?

- არა, ოღონდ არც არამზადას ვუწოდებ. აქ, პირდაპირი არამზადობის გარდა, ბევრი სხვა რამეცაა. საერთოდ, ეს საკმაოდ ჩვეულებრივი საქმეა.

- მითხარით, ვასინ, ახლოს იცნობდით მას? განსაკუთრებით მინდა თქვენს აზრს დავენდო, რადგან ერთი გარემოებაა, რომელიც ძალიან მეხება მე.

მაგრამ ამაზე ვასინმა ძალზე თავშეკავებით მიპასუხა. ის თავადს იცნობდა, მაგრამ რა პირობებში გაიცნო - აშკარად შევამჩნიე, ამაზე შეგნებულად არაფერი მითხრა. ისიც თქვა, ისეთი ხასიათის პატრონია, ერთგვარი შეწყნარების ღირსიაო. „ძალზე პატიოსანი მიდრეკილებები აქვს და შთაბეჭდილების მომხდენი კაცია, მაგრამ საიმისოდ არც გონება ჰყოფნის და არც ნებისყოფა, რომ სათანადოდ წარმართოს თავისი სურვილები“. ეს არის გაუნათლებელი კაცი, მრავალი იდეისა და მოვლენის რომ არაფერი გაეგება, მაგრამ ხარბად კი ეტანება. ის, მაგალითად, გადაგეკიდებათ და სულს ამოგართმევთ ასეთი მტკიცებით: „მე თავადი ვარ და რიურიკის შთამომავალი, მაგრამ ვითომ რატომ არ უნდა ვიყო ხარაზთა ქარგალი, თუკი ლუკმაპური საშოვნელი მაქვს და სხვა არაფრის შნო არ მოუცია ღმერთს? აბრაზე ეწერება: „ხარაზი თავადი ეს და ეს“ - კეთილშობილი საქციელიც კი იქნებაო“. იტყვის და შეასრულებს კიდეც - აი, რა არის მთავარი, - დაუმატა ვასინმა, - და ამავე დროს, აქ რწმენის ძალა კი არა, მარტოოდენ ქარაფშუტული შთაბეჭდილებებია. სამაგიეროდ, მერე უეჭველად სინანული შეიპყრობს, და მზად იქნება, სულ სხვა უკიდურესობაში გადავარდეს; ამაშია მთელი მისი ცხოვრება. ჩვენს დროში ცოტა ვინმე როდი გაბმულა ხათაბალაში ამრიგად, - დაასკვნა ვასინმა, - სწორედ იმით, რომ ჩვენს დროში დაიბადნენ.

მე უნებურად ჩავფიქრდი.

- ამბობენ, წინათ პოლკიდან გამოაგდესო, მართალია? - შევეკითხე.

- არ ვიცი, გამოაგდეს თუ არა, ეს კია, რომ რაღაც უსიამოვნება მა-

რთლა მოუვიდა და ისე დატოვა პოლკი. იცით, რომ შარშან, შემოდგომაზე, უკვე სამსახურიდან გადამდგარი, ორი თუ სამი თვე ლუგაში ცხოვრობდა?

- მე... მე ვიცი, რომ თქვენ ცხოვრობდით მაშინ ლუგაში.

- დიახ, მცირე ხანს მეც ვცხოვრობდი. თავადს ლიზავეტა მაკაროვნასთანაც ჰქონდა ნაცნობობა.

- ჰო? არ ვიცოდი. უნდა გამოგიტყდეთ, მე ისე ცოტას ველაპარაკები ხოლმე ჩემს დას... მაგრამ ნუთუ თავადი მიღებული იყო დედაჩემის სახლში? - წამოვიყვირე მე.

- ო, არა, თავადი მხოლოდ შორიდან იცნობდა, მესამე პირთა მეშვეობით.

- ჰო, მართლა, რას მეუბნებოდა ჩემი და იმ ბავშვზე? განა ბავშვიც ლუგაში იყო?

- ცოტა ხანს.

- ახლა სადღაა?

- ნამდვილად პეტერბურგშია.

- არასოდეს არ დავიჯერებ, - წამოვიძახე უაღრესი მღელვარებით, - რომ დედაჩემს თუნდაც რაიმე მხრივ მონაწილეობა მიეღო ამ ისტორიაში, ლიდიას ამბებში!

- ამ ისტორიაში, გარდა ყველა იმ ინტრიგისა, რომელთა გარკვევასაც მე არ ვკისრულობ, საკუთრივ ვერსილოვის როლი არაფრით ყოფილა განსაკუთრებით საძრახისი, - შემწყნარებელი ღიმილით შენიშნა ვასინმა. ეტყობოდა, უკვე უმძიმდა ჩემთან ლაპარაკი, ოღონდ არ იმჩნევდა.

- არასოდეს, არასოდეს არ დავიჯერებ, - ისევ წამოვიძახე მე, - რომ ქალმა თავისი ქმარი დაუთმოს სხვა ქალს, მაგას ვერ დავიჯერებ!.. გეფიცებით, დედაჩემი ამაში არ მონაწილეობდა!..

- მგონი, წინააღმდეგ არ წასულა და...

- მის ადგილას მე, თუნდაც სიამაყის გამო, არაფერს ვიტყოდი!

- ჩემი მხრივ, მე უარს ვამბობ ეგეთი საქმის განსჯაზე, - დაასრულა ვასინმა.

მართლაც, ვასინს, თავისი ჭკუის მიუხედავად, იქნებ არაფერი გაეგებოდა ქალებისა, ასე რომ, იდეებისა და მოვლენების მთელი ციკლი მისთვის უცნობი რჩებოდა. გავჩუმდი. ვასინი დროებით მსახურობდა ერთ სააქციონერო საზოგადოებაში და ვიცოდი, რომ სამუშაო შინ მოჰქონდა ხოლმე. ძალიან რომ ჩავაცივდი, გამომიტყდა, ახლაც მაქვს სამუშაო - საანგარიშოო, და მეც მხურვალედ ვთხოვე, ნუ მომერიდებით-მეთქი. ეს მგონი, ესიამოვნა; მაგრამ, ვიდრე თავის ქაღალდებს ჩაუჯდებოდა, დივანზე ჩემთვის ლოგინის გაშლას შეუდგა. თავდაპირველად თავის საწოლს მითმობდა, მაგრამ როცა არ ვქენი, მგონი, ესეც ესიამოვნა. დიასახლისს გამოართვა ბალიში და საბანი; ვასინს მეტისმეტად ზრდილობიანად და თავაზიანად ეჭირა თავი, მაგრამ რატომღაც მიმძიმდა, ჩემ გამო ასეთ დავიდარაბაში რომ ჩავაგდე. გაცილებით უფრო მომეწონა, როცა ერთხელ, ამ სამიოდე კვირის უკან, შემთხვევით ეფიმთან გავათიე ღამე. მახსოვს, რა ამბით მიწყობდა ლოგინს აგრეთვე დივანზე და დეიდის უჩუმრად, რადგან, რატომღაც, ეგონა, გამიჯავრდება, რომ გაიგებს, ჩემთან ამხანაგები ათევენ ღამესო. ბევრი ვიცინეთ, ზეწრის მაგიერ პერანგი დავაგეთ, ბალიშის მაგივრობა კი დაკეცილმა პალტომ გამიწია. მახსოვს, ამ საქმეს რომ მორჩა, ზვერევმა სიყვარულით წაუწკიპურტა დივანს და მითხრა:

- Vous dormirez comme un petit roi (პატარა ხელმწიფესავით დაიძინებთ (ფრანგ).).

ეფიმის სულელურმა სიმხიარულემ და ფრანგულმა ფრაზამ, რომელიც ისე უხდებოდა, როგორც ძროხას უნაგირი, ის ქნა, რომ მაშინ უდიდესი სიამოვნებით გამოვიძინე იმ ტაკიმასხარასთან. რაც შეეხება ვასინს, ძალზე გამიხარდა, როცა, როგორც იქნა, ზურგი შემაქცია და თავის ქაღალდებში ჩარგო თავი. გავიშოტე დივანზე, მივჩერებოდი მის ზურგს და დიდხანს და ბევრ რამეზე ვფიქრობდი.

III

მქონდა კიდეც საფიქრალი. ჩემს სულში სრული ბურუსი იდგა და გამოკვეთილ-გამორჩეული სახე კი არაფერს ჰქონდა: მაგრამ ზოგი განცდა ძალზე გარკვევით იკვეთებოდა, თუმცა სავსებით ვერც ერთმა ვერ ამიყოლია, რადგან მეტად ბევრი მქონდა ასეთი განცდა, ყველაფერი რაღაცნაირად უკავშიროდ და უწესრიგოდ ირეოდა, ხოლო მე თვითონ, მახსოვს, სულაც არ მინდოდა რამეზე შემეჩერებინა ყურადღება ან მომეწესრიგებინა რაიმე. თვით კრაფტზე ფიქრმაც კი შეუმჩნევლად მეორე პლანზე გადაინაცვლა. ყველაზე მეტად მაღელვებდა ჩემი საკუთარი მდგომარეობა, რომ აი, მე უკვე „გავწყვიტე კავშირი“, ჩემოდანიც ჩემთანაა, შინ აღარ ვარ, და ყველაფერი ახლებურად დავიწყე. თითქოს აქამდე მთელი ჩემი ზრახვანი და მზადებანი ხუმრობა იყო, და მხოლოდ „ახლა, ერთბაშად და, რაც მთავარია, ნამდვილად დაიწყო ყველაფერი“. ეს იდეა მხნეობას მმატებდა და, ხომ ისედაც ბევრი რამის გამო მქონდა სული აწეწილი, - მაინც კარგ გუნებაზე მაყენებდა. მაგრამ... მაგრამ მქონდა სხვა განცდებიც; ერთი მათგანი განსაკუთრებით ლამობდა სხვებისგან გამოყოფას, რათა დაუფლებოდა ჩემს სულს და, საოცარია, ეს განცდაც მამხნევებდა, თითქოს რაღაც ძალზე სამხიარულოდ მაქეზებდა. კაცმა რომ თქვას, შიშიც კი ჩამეჭრა: რახანია, ჯერ კიდევ დილას აქეთ, შიშმა ამიტანა: აღელვებისა და მოულოდნელობისგან ახმაკოვასთან დოკუმენტის თაობაზე ზედმეტი წამოვროშე-მეთქი. „ჰო, ზედმეტი ვთქვი, - ვფიქრობდი, - და ალბათ რაღაცას მიხვდებიან... ხათაბალაა! რა თქმა უნდა, საშველს აღარ მომცემენ, თუ ეჭვი აიღეს, მაგრამ... ჯანდაბას! ვერც კი მიპოვიან - დავემალები! ერთიც ვნახოთ და, მართლაც დამიწყეს დევნა...“ და აი, უკანასკნელ წვრილმანამდე და უფრო და უფრო მეტი სიამოვნებით დავიწყე იმის გახსენება, თუ როგორ ვიდექი წეღან კატერინა ნიკოლავნას წინ და როგორ ჯიქურ მომჩერებოდნენ მისი კადნიერი, მაგრამ საშინლად გაოცებული თვალები. რომ გამოვედი, ისეთივე გაოცებული დავტოვე, - გამახსენდა მე; „სულაც არ ჰქონია შავი თვალები... წამწამები აქვს ძალზე შავი და თვალებიც იმიტომ მოუჩანს ასეთი მუქი...“

და უცებ, მახსოვს, საშინელი ზიზღი მომგვარა ამ მოგონებებმა... გული მომდიოდა მათზედაც და ჩემზედაც. რაღაცაში ვკიცხავდი ჩემს თავს და ვცდილობდი, სხვა რამეზე მეფიქრა. „რატომ არ აღმაშფოთა ვერსილოვმა, ვასინის მეზობელ ქალს რომ ისე მოექცა?“ - გამიელვა

ანაზდად. ჩემდათავად, ღრმად ვიყავი დარწმუნებული, რომ მან სასიყვარულო როლი გაითამაშა და დროს გასატარებლად მივიდა მათთან, მაგრამ სწორედ ამას არ აღვუშფოთებივარ. ასე განსაჯეთ, სხვანაირად ვერც კი წარმომედგინა ვერსილოვი, და თუმცა მართლა მოხარული ვიყავი, თავლაფი რომ დაასხეს, მაგრამ არ ვადანაშაულებდი. ჩემთვის ეს როდი იყო მთავარი; ჩემთვის მთავარი იყო, გაბოროტებით რომ შემომხედა, როცა მე და ის ქალი შევედით, შემომხედა ისე, როგორც მანამდე არასოდეს შემოუხედავს. „ძლივს იმანაც არ შემომხედა სერიოზულად!“ - გავიფიქრე და გული ნეტარებით ამევსო. ო, ვერსილოვი რომ არ მყვარებოდა, ასე არ გამახარებდა მისი სიძულვილი!

როგორც იქნა, ჩამთვლიმა და ჩამეძინა კიდეც. ბურანში მახსოვს მხოლოდ, თუ როგორ ადგა ვასინი, როცა სამუშაოს მორჩა, აკურატულად მიალაგა ყველაფერი, დაკვირვებით გამოიხედა ჩემი დივნისკენ, ტანთ გაიხადა და სანთელი ჩააქრო. ნაშუაღამევის პირველი საათი იყო.

IV

ორი საათი იქნებოდა გასული, რომ გადარეულივით წამოვიჭერი და დივანზე წამოვჯექი. მეზობელი ქალების ოთახიდან საშინელი ყვირილი, ტირილი და ღრიალი ისმოდა. ჩვენი კარი ყურთამდე ღია იყო, ხოლო დერეფანში, სადაც სინათლე აენთოთ, ხალხი ყვიროდა და მიმორბოდა. ვასინს დავუძახე, მაგრამ მივხვდი, რომ ლოგინში აღარ იყო. რაკი არ ვიცოდი, ასანთი სად მეძებნა, ხელის ფათურით მოვნახე ჩემი ტანსაცმელი და ფაციფუცით დავიწყე ჩაცმა სიბნელეში. ეტყობოდა, მეზობლებთან მიცვენილიყვნენ დიასახლისიც და, იქნებ, მდგმურებიც. თუმცა, ყვიროდა ერთი ხმა, ხნიერი ქალისა, ხოლო გუშინდელი ახალგაზრდა ხმა, რომელიც ძალზე კარგად დამამახსოვრდა - საერთოდ არ ისმოდა; მახსოვს, მყისვე თავში გამკრა ამ ამბავმა. ჯერ ჩაცმა არ მომემთავრებინა, რომ აჩქარებით შემოვიდა ვასინი, დაჩვეული ხელით მყისვე მონახა ასანთი და ოთახი გაანათა. საცვლების, ხალათისა და ფეხსაცმლის ამარა იყო და მაშინვე ჩაცმას შეუდგა.

- რა მოხდა? - მივაძახე.

- ძალზე საწყენი და სახათაბალო საქმე! - თითქმის გაბოროტებით მომიგო. - იმ ახალგაზრდა მეზობელმა, რომელზეც წუხელ მიამბობდით, თავი ჩამოიხრჩო თავის ოთახში.

ვიყვირე. ვერ გადმოგცემთ, როგორ მომიკვდა გული! დერეფანში გავცვივდით. გამოგიტყდებით, ვერ გავბედე მეზობლების ოთახში შესვლა და მხოლოდ შემდეგში დავინახე ის საცოდავი, როცა თოკიდან ჩამოხსნეს, თუმცა მაშინაც შორიდან - ზეწარი ეფარა და ფეხსაცმლის ვიწრო ლანჩები მოუჩანდა. სახეზე რატომღაც მაინც ვერ შევხედე. დედამისი საშინელ დღეში იყო; მასთან შესულიყო ჩვენი დიასახლისი, რომელიც არც ისე შეშინებული ჩანდა. მდგმურებიც იქვე ტრიალებდნენ. ცოტანი იყვნენ; ესენი გახლდნენ ერთი ხანში შესული მეზღვაური, მუდამ ბუზღუნა და მიზეზიანი კაცი, რომელიც ახლა მთლად მიყუჩებულიყო; და ტვერის გუბერნიიდან ჩამოსული მოხუცი ცოლ-ქმარი, საკმაოდ დარბაისელი და ჩინოსანი ხალხი. აღარ შევუდგები მთელი ღამის ფაციფუცის, ხოლო შემდეგ ოფიციალური ვიზიტების აღწერას; გათენებამდე სულ მაჟრიალებდა და თავს მოვალედ ვთვლიდი, არ დავწოლილიყავი, თუმცა, კაცმა რომ თქვას, არაფერს ვაკეთებდი. ეგ

კი არა, ყველა მეტად მხნედ, რაღაც განსაკუთრებულად მხნედაც კი გამოიყურებოდა. ასე განსაჯეთ, ვასინი სადღაც წავიდა კიდეც. დიასახლისი საკმაოდ დარბაისელი ქალი გამოდგა, გაცილებით უკეთესი, ვიდრე მეგონა. დავარწმუნე (და ამას ჩემს დიდ დამსახურებად ვთვლი), დედის მარტოკა დატოვება ქალიშვილის გვამთან არ შეიძლება და ხვალამდე მაინც თქვენსას გადაიყვანეთ-მეთქი. დიასახლისი მყისვე დამეთანხმა და, თუმცა დედა ტიროდა და თავს იკლავდა, მიცვალებულს არ დავტოვებო, ბოლოს მაინც შევიდა დიასახლისთან, რომელმაც მაშინვე სამოვარი შემოადგმევინა. ამის მერე მდგმურებიც თავთავიანთ ოთახებში წავიდ-წამოვიდნენ და კარები ჩაიკეტეს. მე მაინც არ დავწექი და კარგა ხანს ვიჯექი დიასახლისთან, რომელსაც უხაროდა კიდეც უცხო ადამიანის იქ ყოფნა, თანაც ისეთი ადამიანისა, რომელსაც შეეძლო, თავის მხრივაც ეცნობებინა რამე ამ საქმის ირგვლივ. სამოვარი ძალიან გამოგვადგა, და საერთოდ, სამოვარი ყოვლად აუცილებელი რუსული რამაა სწორედ საშინელ, უეცარ და ექსცენტრიკულ კატასტროფათა და უბედურებათა დროს; დაღუპულის დედამაც კი მიირთვა ორი ფინჯანი ჩაი, რა თქმა უნდა, ბევრი ხვეწნისა და თითქმის ძალდატანების მერე. ამავე დროს კი, გულწრფელად მოგახსენებთ, არასოდეს მინახავს იმაზე სასტიკი და დაუფარავი მწუხარება, რასაც ეს საცოდავი ქმნილება განიცდიდა. პირველი ისტერიკისა და გულამოსკვნილი ქვითინის შემდეგ ხალისითაც კი დაიწყო მოყოლა და მეც გაფაციცებით ვუსმენდი მის ნაამბობს. არიან უბედურები, მეტადრე ქალთა შორის, რომელთათვის აუცილებელიც კია, აცალო, რაც შეიძლება მეტი ილაპარაკონ ასეთ შემთხვევებში. გარდა ამისა, არის ხოლმე ხასიათი, რომელიც, ასე ვთქვათ, ძალზე გაუთელ-დაუძაბუნებია მწუხარებას, რომელსაც, ათასი წვრილმანის გამო, ბევრი გადაუტანია დარდიც და გამუდმებული საწუხარიც; ასეთებს ვერავითარი უეცარი კატასტროფებით ვერ გააკვირვებ და, რაც მთავარია, უსაყვარლესი არსების კუბოსთანაც კი არ დაავიწყდებათ ადამიანებისადმი პირმოთნე მოპყრობის არც ერთი წესი, ასე ძვირად რომ დაუსწავლიათ. არც ვკიცხავ; ეს ეგოიზმი და განვითარების სიტლანქე როდია; იქნებ მათ გულში უფრო მეტი იყოს ბაჯაღლო ოქრო, ვიდრე გარეგნულად უკეთილშობილეს გმირ ქალთა გულში, მაგრამ ხანგრძლივი დამცირებულობის ჩვევა, თავის გადარჩენის ინსტინქტი, ხანგრძლივი დაშინებულობა და დაბეჩავებულობა თავისას შვრება. ამ მხრივ საბრალო თვითმკვლელი არ ჰგავდა თავის დედილოს. თუმცა, სახით, მგონი ჰგავდნენ ერთმანეთს. ეს კია, რომ განსვენებული ნამდვილად სანდომიანი იყო. დედას კი ჯერ მოხუცი არ ეთქმოდა, ორმოცდაათი წლისა თუ იქნებოდა. ისეთივე ქერა იყო, მაგრამ თვალები და ლოყები ჩასცვივნოდა და ყვითელი, მსხ-

ვილი და უსწორმასწორო კბილები ჰქონდა. რაღაცნაირი სიყვითლე გადაჰკრავდა: პირისახისა და ხელების კანი პერგამენტს მიუგავდა; სიძველისგან მუქი კაბა მთლიანად გახუნებოდა, ხოლო ერთ ფრჩხილზე, მარჯვენა ხელის საჩვენებელ თითზე, რატომღაც, გულმოდგინედ და აკურატულად დაეწებებინა ყვითელი ცვილი.

ამ საცოდავი ქალის ნაამბობი შიგადაშიგ უთავბოლოც იყო. გიამბობთ, რასაც მივხვდი და როგორც დამამახსოვრდა.

V

დედა-შვილი მოსკოვიდან ჩამოვიდა. დედა დიდი ხნის ქვრივია, „ოღონდ კარის მრჩევლის მეუღლე კი გახლავართ“. ქმარი მსახურობდა, მაგრამ თითქმის ცარიელ-ტარიელი დატოვა, „მარტო ორასი მანეთი პენსია დამრჩა. ორასი მანეთი აბა, რა ფულია?“. მაგრამ ოლია გაზარდა და გიმნაზიაში მიაბარა... „მერედა, როგორ სწავლობდა, რა ბეჯითი იყო; ვერცხლის მედალზე დაამთავრა“... (აქ, რა თქმა უნდა, ხანგრძლივი სლუკუნი). ცხონებულ ქმარს თითქმის ოთხი ათასი მანეთი დაუკარგავს ერთ აქაურ პეტერბურგელ ვაჭართან, რომელიც გაკოტრებულიყო. უცებ ეს ვაჭარი ისევ გამდიდრებულა. „მე საბუთები მაქვს, მივიკითხ-მოვიკითხე, მირჩიეს, ეძიეთ, უსათუოდ მიიღებთ ყველაფერსო... მეც მოვკიდე ხელი ამ საქმეს. ვაჭარი თითქოს უარს არ იყო. თქვენ თვითონ წადით პეტერბურგშიო, მირჩევდნენ. ავბარგდით მე და ოლია და აგერ, ერთი თვეა, ჩამოვედით. აბა რა ქონების პატრონი ჩვენა ვართ; ვიქირავეთ ეს ოთახი, რადგან ყველაზე პატარა იყო და თან, ვხედავთ, პატიოსან სახლშია, ჩვენთვის კი ეს იყო ყველაზე მთავარი: გამოუცდელი ქალები ვართ, ჩვენს დაჩაგვრას რა დიდი რამ უნდა. ჰოდა, თქვენ ერთი თვის ქირა მოგართვით, ეს აქეთო, ის - იქითო - პეტერბურგში ცხოვრება ცეცხლის ფასი ჯდება, ჩვენი ვაჭარი კი უარზეა. ვინა ხართ და რა ხართ, მაგ საქმის არაფერი ვიციო; დოკუმენტი კი არაა მთლად სწორად შედგენილი, მეც ვიცი. ჰოდა, მირჩიეს: ერთი განთქმული ვექილია, იმასთან მიდითო; პროფესორი იყო, უბრალო ვექილი კი არა, იურისტი, ისე, რომ დანამდვილებით უნდა ერჩია, როგორ მოვქცეულიყავით. წავედი და წავუღე ჩვენი უკანასკნელი თხუთმეტი მანეთი; გამოვიდა ის ვექილი და სამი წუთიც კი არ უთხოვებია ყური: ვხედავო, მითხრა, ვიციო. თუ მოიწადინებს ის ვაჭარი, მოგცემთო, და თუ არ მოიწადინებს - არ მოგცემთო, ხოლო თუ სარჩელს აღძრავთ - ემანდ თქვენვე არ გადაგახდევინონ კიდევ ფულიო. ყველაფერს ის ჯო-

ბია, მორიგდეთო. თან სახარებიდანაც კი იხუმრა: „მორიგდი, ვიდრემდე ხარ გზასა ზედა, ვიდრე არა მიჰსცე უკანასკნელი კოდრატიო“. სიცილით გამომაცილა. ჩემმა თხუთმეტმა მანეთმა ჭირი მოგჭამათ! მოვედი შინ ოლიასთან, ვსხედვართ ერთმანეთის პირისპირ. ტირილი წამსკდა. ოლია არ ტირის, ამაყად ზის, თავის გულს ასკდება. ეგეთი მყავდა მთელი სიცოცხლე, პატარაც კი ეგეთი იყო. არ მახსოვს, დაეჩივლოს ან ეტიროს, იჯდა ხოლმე თავისთვის, კოპებშეკრული. მეც კი შემშინებია ხოლმე შეხედვა. არ დაიჯერებთ: მეშინოდა მისი, ძალიან მეშინოდა, დიდი ხანია მეშინოდა; ხანდახან მინდოდა მეტირა და გული მომეოხებინა, მაგრამ ვერ ვბედავდი. უკანასკნელად მივედი იმ ვაჭართან, გული ვიჯერე ტირილით. კმარაო, მითხრა, ყურიც არ მათხოვა. ამასობაში კი, არ დაგიმალავთ, რაკი ცოტა ხნით ვიყავით ჩამოსულები, უკვე კარგა ხანი იყო, გროშიც აღარ გვებადა. მივდექი ნელ-ნელა ტანისამოსის ზიდვას: თუ რამეს დავაგირავებდი, იმით გაგვქონდა თავი. აღარაფერი შემოგვრჩა, ოლიამ თავისი საცვლები მომცა, წაიღე, დააგირავეო, თვითონ კი აღარაფერი დარჩა. ამის დამნახავმა თავი ვეღარ შევიკავე და მწარედ ავტირდი. გაჯავრდა ოლია, ფეხები დამიბაკუნა, წამოხტა და თვითონ გაიქცა ვაჭართან. ქვრივი იყო ის ვაჭარი; ესაუბრა ოლიას: ზეგ მოდით ხუთ საათზე, იქნებ რამე გითხრათ კიდეცო. გამხიარულებული დაბრუნდა: ხომ ხედავო, მითხრა, იქნებ მართლაც რამე გამოვიდესო. მეც გამიხარდა, მაგრამ თან გული გადამიქანდა: ემანდ არაფერი მოხდეს-მეთქი, მაგრამ გამოკითხვას კი ვერ ვუბედავდი. ზეგ დაბრუნდა ოლია ვაჭრისგან, ფერი აღარ აძევს, კანკალებს, საწოლზე დაეცა - ყველაფერს მივხვდი და ვეღარაფრის კითხვა ვერ გავუბედე. თურმე ნუ იტყვით: გამოუტანია იმ ავაზაკს თხუთმეტი მანეთი. „ხოლო თუ მთლად უბიწო გამოდგები, ოთხ თუმანსაც წაგიმატებო“. სწორედ ასე, პირდაპირ ეთქვა იმ სინდისგარეცხილს. მივარდა თურმე ოლია, მაგრამ ვაჭარს ხელი ეკრა და მეორე ოთახში შეკეტილიყო შეშინებული. ისეთ დღეში ჩავცვივდით, რომ, გულახდილად გეტყვით, ლუკმაპური თითქმის აღარ გვქონდა. წავიღეთ ქათიბი, კურდღლის ბეწვის, გავყიდეთ. წავიდა ოლია და მაშინ იყო, გაზეთში რომ გამოაქვეყნა: ვამზადებ ყველა საგანში და არითმეტიკაშიო: ექვს-ექვს შაურს ხომ მომცემენო. ბოლო ხანებში ისეთი შეიქნა, დედავ და შვილო, მეშინოდა კიდეც: არ მელაპარაკებოდა, საათობით იჯდა ფანჯარასთან, პირდაპირ რომ სახლია, იმის სახურავს მისჩერებოდა და უცებ წამოიყვირებდა: „სარეცხი მაინც მარეცხინა, ან მიწა მაინც მათხრევინაო!“. აი, ეგეთ რამეს წამოიყვირებდა ხოლმე და თან ფეხს დააბაკუნებდა. ნაცნობიც არავინ გვყავდა აქ, ვერავის მივაკითხავდი. რა გვეშველება-მეთქი, ვფიქრობდი. ოლიას კი ისევ ვერ ვუბედავდი გამოლ-

აპარაკებას. ერთხელ, დღისით, ეძინა. გაიღვიძა, გაახილა თვალი და მომაჩერდა; მე ზანდუკზე ვზივარ და ვუყურებ; უსიტყვოდ ადგა, მომიახლოვდა და მაგრად ჩამეხვია; აქ კი ვერც ერთმა ვეღარ შევიკავეთ თავი და ავტირდით. ვსხედვართ და ვტირით, თან ერთმანეთს ხელს არ ვუშვებთ. ასეთი რამ პირველად დაემართა თავის სიცოცხლეში. ვსხედვართ ასე და, გავიხედოთ, შემოდის თქვენი ნასტასია და გვეუბნება: იქ ვიღაც ქალბატონია და თქვენ გკითხულობთო. ეს ამ ოთხი დღის წინ მოხდა. შემოვიდა ქალბატონი. ვხედავთ, ძალიან კარგად აცვია, რუსულად კი ლაპარაკობს, მაგრამ თითქოს გერმანული აქცენტი აქვს: თქვენ დაბეჭდეთ გაზეთში, გაკვეთილებს ვაძლევო? გავიხარეთ, დავსვით, ისიც ალერსიანად იცინოდა: „მე კი არ მჭირდებით, ჩემს დისწულს ჰყავს პატარა ბავშვები; თუ გნებავთ, ჩვენთან მობრძანდით, იქ მოვილაპარაკოთო“. მისამართი მოგვცა, ვოზნესენსკის ხიდთან, ესა და ეს #, ესა და ეს ბინაო. წავიდა. გაეშურა ოლეჩკა, იმ დღესვე გაიქცა; ვხედავ - ორი საათიც არ გასულა, დაბრუნდა, ისტერიკა დაემართა, ვერაფერი მოვუხერხე. მერე მიამბო: ვეკითხები მეეზოვეს: სადაა აქ ესა და ეს ნომერი-მეთქი? მეეზოვემ შემომხედა: მერე თქვენ იმ ბინაში რა გესაქმებათო? ეს ისე უცნაურად ეთქვა იმ დალოცვილს, რომ მაშინვე უნდა მიმხვდარიყო ოლეჩკა, მაგრამ ძალზე თავნება და მოუთმენელი ხასიათის მყავდა, გამოკითხვასა და უკმეხობას ვერ იტანდა; აგერ, იქ ადითო, უთქვამს მეეზოვეს, ხელით უნიშნებია კიბეზე, თვითონ კი მიბრუნებულა და თავის სოროში შესულა. მერე არ იკითხავთ, რა მომხდარა? შესულა ოლეჩკა, უკითხავს, და იმწუთასვე გამოცვენილან ყოველი მხრიდან ქალები: „მობრძანდით, მობრძანდითო!“ - სულ ქალები ყოფილან, იციან თურმე, ელოდებიან, ესევიან; შეთხიპნილები არიან უზნეო ქალები, ფორტეპიანოზე უკრავენ, მიათრევენ ოლიას. „მინდოდა თავი დამეღია, მაგრამ ვეღარ მოვიშორეო“. შეშინებულა, ფეხები მოეკვეთა თურმე, რაც გინდა ქენი - არ უშვებენ, ტკბილად ელაპარაკებიან, უნდათ დაიყოლიონ; პორტერი (ლუდი, ორნახადი.) გაუხსნიათ, მიურთმევიათ, უმასპინძლდებიან. წამომხტარა ოლია, უყვირია, მაგრამ რა უყვირია, თან სულ კანკალებს თურმე: „გამიშვით, გამიშვითო!“. კარისკენ გაქცეულა, გზა შეუკრავთ, ოლია კი ღრიალებს; ამ დროს გამომხტარა ის ქალი, ჩვენსას რომ იყო, ორჯერ ლოყაში უტკეცია სილა ჩემი ოლიასათვის და გარეთ გამოუგდია: „რა ღირსი ხარ, რომ კეთილშობილ სახლში იყო, შე გაწლიკულო საფრთხობელაო!“. მეორე კი კიბეზე მოსძახის თურმე: „შენ თვითონ მოხვედი და შეგვეხვეწე, რაკი შიმშილით კუჭი გიხმებოდა, ჩვენ კი ეგეთ მაიმახს ზედაც არ შემოგხედეთო!“. მთელი ის ღამე სულ აცივ-აცხელებდა, ბოდავდა, დილით კი ადგა ბრაზით თვალებანთებული, ერთ ადგილას ვერ ჩერდებოდა, ბო-

ლთას სცემდა. „სასამართლოში ვუჩივლებ იმ ქალსო!“. მე ხმას არ ვიღებ: აბა, სასამართლოში რას გახდები, რით დაუმტკიცებ? დადის ოლია, ხელებს იმტვრევს, ცრემლი სდის. ტუჩებმოკუმული ხმას არ იღებს. მას აქეთ იყო, რომ ჩაუბნელდა მთელი სახე და ბოლომდე ეგრევე დარჩა. მესამე დღეს ცოტა გულზე მოეშვა, აღარაფერს ამბობდა, თითქოს დამშვიდდა. აი, ამ დროს, ნაშუადღევის ოთხ საათზე, გვეწვია ბატონი ვერსილოვი.

პირდაპირ უნდა გითხრათ: აქამდე ვერ გამიგია, როგორ მოხდა, რომ ოლიამ, ასეთმა გულმიუნდობელმა, თითქმის პირველი სიტყვიდანვე ყური ათხოვა? ყველაზე უფრო იმან მიგვიზიდა ორივენი, რომ ისეთი სერიოზული, მკაცრი სახე ჰქონდა, ისე წყნარად, წესიერად და თან სულ ზრდილობიანად, - ზრდილობიანი რას მიქვია, მოწიწებითაც კი გველაპარაკებოდა, ფიქრადაც არ გაივლებდი, გულში ცუდი რამ უდევსო: ხედავ, ალალი გულით მოსულა კაცი. „მე თქვენი განცხადება წავიკითხე გაზეთშიო და ისე არ დაგიწერიათ, ქალბატონო, როგორც საჭიროა, ასე რომ, შეიძლება თქვენს თავს ავნოთ ამითიო“. და დაუწყო ახსნა რაღაც არითმეტიკაზე. მართალი გითხრათ, ვერაფერი გავიგე, ოღონდ ვხედავ, ოლია გაწითლდა და გამოცოცხლდა თითქოს, ყურს უგდებს, თვითონაც ხალისით ელაპარაკება (ეტყობა, ძალიან ჭკვიანი კაცი უნდა იყოს!), მესმის, მადლობასაც უხდის. ვერსილოვმა ყველაფერი დაწვრილებით გამოჰკითხა, - ეტყობოდა, მოსკოვში დიდი ხანი ეცხოვრა, და გიმნაზიის დირექტორი ქალიც პირადად სცნობია. „მე გაკვეთილებს უსათუოდ გიშოვითო, რადგან აქ ბევრი ნაცნობი მყავს და ბევრ გავლენიან კაცსაც შემიძლია ვთხოვოო, ასე რომ, მუდმივი ადგილიც რომ ისურვოთ, ეგეც შეიძლება მხედველობაში მივიღოთო... ჯერჯერობით კი მაპატიეთო, უთხრა, ერთი კითხვა უნდა დაგისვათ პირდაპირ: რამით ხომ არ შემიძლია გემსახუროთ ახლაო? თქვენ კი არ გასიამოვნებთ ამით, პირიქით, მე ვიქნები დიდად ნასიამოვნები, თუ ნებას მომცემთ, ფულით დაგეხმაროთო. გემართოთ ჩემი ვალი და, როგორც კი ადგილს მიიღებთ, მოკლე ხანში შეგეძლებათ დამიბრუნოთ იგიო. მე, ჩემი მხრიდან, ენდეთ ჩემს პატიოსნებას, ოდესმე თუ ეგეთ გაჭირვებაში ჩავვარდებოდი და თქვენ პირიქით, ყველაფერი თავზე საყრელი გექნებოდათ, - პირდაპირ მოვიდოდი და მცირე დახმარებას გთხოვდით, ან არადა, ჩემს ცოლს ან ქალიშვილს გამოგიგზავნიდითო...“. ყველაფერი აღარ მახსოვს, მაგრამ ამ სიტყვებზე ცრემლი მომერია, რადგან ვხედავ, ოლიასაც მადლიერებით შეუტოკდა ტუჩები: „თუ ავიღებ, - უთხრა ვერსილოვს, - იმიტომ, რომ ვენდობი პატიოსანს და ჰუმანურ ადამიანს, რომელიც შეიძლებოდა ჩემი მამა ყოფილიყ-

ოო“... ისე მშვენივრად უთხრა ეს, მოკლედ და კეთილშობილურად - „ჰუმანურ ადამიანსო“. ვერსილოვი მაშინვე წამოდგა. „უსათუოდ, უსათუოდ გიშოვით გაკვეთილებს და ადგილს, დღეიდანვე მოვკიდებ ხელს ამ საქმეს, რადგან თქვენ სავსებით საკმარისი ატესტატი გაქვთო...“ დამავიწყდა მეთქვა, რომ, როგორც კი შემოვიდა, რაც რამ გიმნაზიის დოკუმენტი ჰქონდა, ყველა აჩვენა ოლიამ, მერე თვითონვე გამოსცადა ოლია სხვადასხვა საგანში... „დედილოო, - მეუბნებოდა მერე ოლია, - მან ხომ საგნებში გამომცადა, მერედა, რა ჭკვიანია, ათასში ერთს თუ შეხვდები ეგეთ განვითარებულ და განათლებულ კაცსო“. სახე უბრწყინავდა სიხარულისაგან. ექვსი თუმანი ფული მაგიდაზე იდო; „შეინახეთ, დედილოო, მითხრა: ადგილს რომ მივიღებ, პირველ რიგში, რაც შეიძლება ჩქარა დავუბრუნოთ, დავუმტკიცოთ, რომ პატიოსანი ხალხი ვართ, - კარგად აღზრდილები რომ ვართ, ეს უკვე ნახაო“. მერე გაჩუმდა, ვხედავ, რაღაც ღრმად სუნთქავს: „იცითო, - მეუბნება უცებ, - დედილო, ჩვენ რომ გაუთლელები ვყოფილიყავით, მაშინ, სიამაყის გამო, იქნებ არც მიგვეღო ეს ფული, ხოლო რაკი მივიღეთ, ამით მხოლოდ ჩვენი აღზრდილობა დავუმტკიცეთ, დავუმტკიცეთ, რომ ყველაფერში ვენდობით, როგორც დარბაისელ ჭაღაროსანსო. ასე არ არისო?“. ჯერ ვერ მივხვდი და ვეუბნები: რატომ არ უნდა მიგვეღო, ოლია, მოწყალება კეთილშობილი და მდიდარი კაცისაგან, რომელიც ძალზე გულკეთილიცაა-მეთქი? შემომიბღვირა: „არა, დედილო, ეს სულ სხვა რამეა, მოწყალება კი არ გვინდა, ჰუმანურობაა დასაფასებელიო. იქნებ ჯობდა, ფული საერთოდ აღარ გამოგვერთმია, დედილო? ადგილის შოვნას რომ დაგვპირდა, ესეც კმაროდა... თუმცა კი გვიჭირსო“. - აბა, რას ამბობ, ოლია-მეთქი, ჩვენს დღეში მყოფს უარი როგორ ეთქმოდა-მეთქი, ჩავიცინე კიდეც. გულში მიხარია, ოლიამ კი ერთი საათის შემდეგ სიტყვა გადამიკრა: „თქვენ, დედილო, ჯერ მაგ ფულს ხელს ნუ ახლებთო“, - მტკიცედ მითხრა. რადა-მეთქი? - ვკითხე. „ისეო“, მოკლედ მომიჭრა და გაჩუმდა. მთელი საღამო ხმა აღარ ამოუღია; მარტო ღამით, ორი საათი იქნებოდა, გამეღვიძა და ვხედავ, ოლია ლოგინში წრიალებს: „არა გძინავთ, დედილოო?“ - არა, არა მძინავს-მეთქი. - „იცით, რომ მას ჩვენი შეურაცხყოფა უნდოდაო?“ - მეუბნება. რას ამბობ-მეთქი, მივუგე. - „ნამდვილად ასეაო: ეგ უნამუსო კაცია, არ გაბედოთ მისი ფულის დახარჯვა, კაპიკიც არ მოაკლოთო“. დავუწყე ახსნა, წავიტირე კიდეც ლოგინში. კედლისკენ გადაბრუნდა და მეუბნება: „გაჩუმდით, მაცალეთ ძილიო!“. დილით, ვხედავ, დადის, ადამიანის სახე აღარ აქვს: გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, ღვთის სამსჯავროზე ვიტყვი, რომ მაშინ თავის ჭკუაზე აღარ იყო! მას უკან, რაც იმ გაოხრებულ სახლში შეურაცხყვეს, გულიც აემღვრა და... გონებაც. შევცქერი იმ დი-

ლით და ეჭვმა ამიტანა, ჭკუაზე ხომ არ გადასცდა-მეთქი; მეშინია; რაც უნდა თქვას, არ შევეპასუხები-მეთქი, - გავიფიქრე. „აკი თავისი მისამართი არ დაგვიტოვა, დედილოო“. - ღმერთს ნუ სცოდავ-მეთქი, ოლია: შენ თვითონ უსმინე გუშინ, შენვე აქე მერე, შენვე კინაღამ მადლობის ცრემლები ღვარე-მეთქი. ამის თქმა და იმის აწივლება ერთი იყო, ფეხები დამიბაკუნა: „უნამუსო გრძნობების ქალი ხართო, მეუბნება, ძველი, ბატონყმური აღზრდა გაქვთო!“... რაები არ მითხრა, დასტაცა ხელი შლაპას და გავარდა. მე მივაყვირე, რა მოგივიდა-მეთქი. ვფიქრობ, სად გაიქცა-მეთქი? თურმე სამისამართო ბიუროში გაქცეულა. გაუგია, ბატონი ვერსილოვი სად ცხოვრობს, და მოვიდა: „დღესვეო, ამბობს, ახლავე წავუღებ ფულს და შიგ სახეში მივაყრიო; მას ჩემი შეურაცხყოფა უნდოდა, როგორც საფრონოვსო (იმ ჩვენს ვაჭარს); ოღონდ საფრონოვმა შეურაცხმყო, როგორც გაუთლელმა რეგვენმა, ამან კი, როგორც მზაკვარმა იეზუიტმაო“. ამ დროს, რაღაც ჭირად, კარზე მოგვიკაკუნა იმ გუშინდელმა ბატონმა: „ვერსილოვის ხსენება გავიგონე, შემიძლია რაღაცები გითხრათო“. როგორც კი გაიგონა ოლიამ ვერსილოვის სახელი, მაშინვე ეცა გამწარებული, ელაპარაკება და ელაპარაკება, მე კი ვუყურებ და გაშტერებას ვარ: ისეთი გულდახურული იყო, არავისთან ასე არ ულაპარაკია, ახლა კი ამ სრულიად უცნობ კაცს არ გაუბა ლაპარაკი?! ლოყები წამოენთო, თვალებიდან ცეცხლს ყრის... იმ კაცმა კიდევ: „სრულ სიმართლეს ბრძანებთ, ქალბატონოო. რაღა ვერსილოვი და რაღა ის აქაური გენერლები, რომლებზეც გაზეთებში წერენ ხოლმეო; დაიკიდებს გენერალი რაც რამ ორდენი აქვს და დაუვლის გუვერნანტ ქალებს, რომლებიც გაზეთში განცხადებას ბეჭდავენო. დადის და პოულობს, რასაც ეძებსო; ხოლო თუ ვერ იპოვა, რაც უნდა, დაჯდება, მასლაათს გაუბამს, ქვეყნის რაღაცებს დაჰპირდება და წავა, - მაინც გაერთო და ისიამოვნაო“. ოლიამ გადაიხარხარა კიდეც, ოღონდ ბოროტად, ის ბატონი კი, ვხედავ, იღებს ოლიას ხელს და გულთან მიაქვს: „ქალბატონოო, ეუბნება, მეც საკუთარი კაპიტალი მაქვს და მუდამაც სიამოვნებით შევთავაზებდი მშვენიერ ასულს, ოღონდ ჯობია, ჯერ ლამაზ თათუნაზე ვაკოცოო...“ - და ვხედავ, ტუჩებისკენ მიაქვს ოლიას ხელი. წამოიჭრა ოლია, მეც წამოვხტი და ორივემ გარეთ გამოვაგდეთ. რომ მოსაღამოვდა, გამომართვა ოლიამ ფული, გაიქცა; დაბრუნდა და: „მე, დედილოო, მეუბნება, უნამუსო კაცს სამაგიერო გადავუხადეო!“ - „ახ ოლია, ოლია-მეთქი, ვეუბნები, იქნებ ჩვენს ბედს ვკარით ხელი, კეთილშობილ მწყალობელს შეურაცხყოფა მიაყენე-მეთქი!“. ისე გავბრაზდი ოლიაზე, ტირილი ვერ შევიკავე. აყვირდა: „არ მინდა, არ მინდა! ყველაზე პატიოსანი კაციც რომ იყოს, მისი მოწყალება მაშინაც არ მინდაო! ვინმემ რომ შემიცოდოს, არც ის მინდაო!“. დავწექი და ფი-

ქრადაც არაფერი გამივლია. რამდენჯერ მივჩერებივარ იმ ლურსმანს, კედელზე რომ დაგიტოვებიათ სარკის ჩამოხსნის მერე, - ფიქრადაც არ მომსვლია, არც გუშინ, არც ადრე მიფიქრია, გულშიც არ გამივლია, და ოლიასგანაც სულ არ ველოდი ამას. ჩვეულებრივად, ღრმა ძილი ვიცი, ვხვრინავ ხოლმე, რადგან სისხლი მაწვება თავში, ხან გულზე მომაწვება ხოლმე და ძილში ვყვირი. ოლია მაღვიძებდა ღამე: - „რა მაგარი ძილი იცით, დედილოო, - უთქვამს ხოლმე, - კაცი სულს ვერ ჩაგიდგამთ, რომ დასჭირდესო“. - ჰო-მეთქი, ვეუბნებოდი, ძალიან მაგრად მძინავს-მეთქი. ეტყობა, ეგრევე ამოვუშვი ხვრინვა წუხელ, ოლიამ დრო იხელთა და, რაკი აღარ ეშინოდა ჩემი გაღვიძების, ადგა. ჩემოდნის ის გრძელი ღვედი მთელი თვე სულ თვალში მეჩხირებოდა, გუშინ დილითაც კი ვფიქრობდი: ერთი შევინახო, აქ რას აგდია-მეთქი. სკამს კი ალბათ მერე ჰკრა ფეხი, და ხმაური რომ არ გამოეწვია, გვერდით თავისი კაბა დაუგია. ეტყობა, დიდი ხანი გავიდა, ერთი საათი ან იქნებ მეტიც, რომ გამეღვიძა: ოლია-მეთქი, - ვეძახი: - ოლია! უცებ მომეჩვენა რაღაც, ვეძახი. არ ვიცი, მისი სუნთქვა რომ აღარ მესმოდა თუ სიბნელეში დავინახე, რომ ლოგინი ცარიელი იყო, - ავდექი და ხელი მოვაფათურე: ლოგინში არავინ წევს და ბალიშიც ცივია. გული ჩამწყდა, ვდგავარ ერთ ადგილას გაშეშებული. გონი გადამეკეტა: ალბათ გარეთ გავიდა-მეთქი, - გადავდგი ნაბიჯი, ვხედავ, საწოლთან, კუთხეში, ზედ კართან, თითქოს ოლია დგას. ვდგავარ, ხმას არ ვიღებ, ვუცქერი, ისიც სიბნელეში თითქოს მე მიყურებს, არ იძვრის... ნეტავ სკამზე რაღამ შეაყენა-მეთქი, ვფიქრობ. ოლია, - ვჩურჩულებ, თან შიშით აღარ ვარ, - ოლია, გესმის-მეთქი? და უცებ თითქოს ყველაფერს მივხვდი; გადავდგი ნაბიჯი, ორივე ხელი მისკენ გავიშვირე, მოვხვიე, ის კი ჩემს ხელში ქანაობს, ხელს ვტაცებ, ის კი ქანაობს, ყველაფერს ვხვდები და არც მინდა, მივხვდე... მინდა ვიყვირო, და ვერ ვყვირი... ახ-მეთქი, ვიფიქრე! მოსხლეტილი დავეცი ძირს და მაშინღა ვიყვირე...

...

- ვასინ, - ვუთხარი გათენებისას, უკვე მეექვსე საათი იქნებოდა, - თქვენი სტებელკოვი რომ არა, იქნებ ეს ამბავი არც მომხდარიყო.

- ვინ იცის, ალბათ მაინც მოხდებოდა. აქ ეგრე ვერ განსჯი, უამისოდაც შემზადებული იყო... ეგ კია, რომ სტებელკოვი ხანდახან...

სიტყვა აღარ დაასრულა და ძალზე უსიამოვნოდ დაიღრიჯა. დილის შვიდი საათი იწყებოდა, რომ ვასინი ისევ წავიდა; სულ დარბოდა და რაღაცას ფაციფუცობდა. როგორც იქნა, მარტოკა დავრჩი. უკვე ინათა.

ცოტა არ იყოს, თავბრუ მესხმოდა. გამუდმებით ვერსილოვი მელანდებოდა: მოხუცი ქალის ნაამბობმა სულ სხვანაირად წარმომიდგინა იგი. რათა უკეთ შემძლებოდა ფიქრი, ტანთ და ფეხთ გაუხდელად წუთით ვასინის ლოგინზე მივწექი, დაძინება არც მიფიქრია — და უცებ, არც კი მახსოვს, როგორ მოხდა, ჩამეძინა. თითქმის ოთხი საათი მეძინა; არავის გავუღვიძებივარ.

თავი მეათე - I

თერთმეტის ნახევარი იქნებოდა, რომ გამეღვიძა, და კარგა ხანს თვალს არ დავუჯერე: დივანზე, რომელზეც წუხელ მეძინა, დედაჩემი იჯდა, მის გვერდით კი ის უბედური მეზობელი, თვითმკვლელის დედა. ორივეს ერთმანეთის ხელი ეჭირა, ჩურჩულით ლაპარაკობდნენ, ალბათ მე რომ არ გავეღვიძებინეთ, და ტიროდნენ. წამოვდექი ლოგინიდან, მივვარდი დედას და კოცნა დავუწყე. დედაჩემს სახე გაუბრწყინდა, მაკოცა და მარჯვენა ხელით სამგზის პირჯვარი გადამსახა. ჯერ სიტყვაც არ გვეთქვა: კარი გაიღო და შემოვიდნენ ვერსილოვი და ვასინი. დედა მაშინვე ადგა და მეზობლის ქალი თან წაიყვანა. ვასინმა ხელი ჩამომართვა, ვერსილოვს კი არაფერი უთქვამს ჩემთვის და სავარძელში ჩაეშვა. ეტყობოდა, ის და დედაჩემი კარგა ხნის მოსულები იყვნენ. სახე მოღრუბლული ჰქონდა და შეწუხებული.

- ყველაზე უფრო იმაზე მწყდება გული, - დინჯად მიმართა მან ვასინს, უთუოდ დაწყებულ ლაპარაკს აგრძელებდა, - რომ ვერ მოვასწარი ყოველივე ამის წუხელვე მოგვარება, და ალბათ არც ეს საშინელება მოხდებოდა! დროც საკმაო მქონდა: ჯერ რვა საათიც არ იყო. გუშინ, როგორც კი გამოიქცა ჩვენგან, მაშინვე გადავწყვიტე: შინ მივაკითხავ და გავუქარწყლებ ამ შეხედულებას-მეთქი, მაგრამ ამ გაუთვალისწინებელმა და გადაუდებელმა საქმემ, რომელიც, კაცმა რომ თქვას, მშვენივრად შემეძლო გადამედო ერთი დღით... ერთი კვირითაც კი, - ამ შემაწუხებელმა ამბავმა ხელი შემიშალა და ყველაფერი გააფუჭა. ბედი უნდა ყველაფერს!

- იქნებ ვერც მოგეხერხებინათ გაქარწყლება; აქ უთქვენოდაც, მგონი, კარგა ბლომად დაუდუღდათ დარდი და ვარამი, - გაკვრით შენიშნა ვასინმა.

- არა, მოვახერხებდი, უსათუოდ მოვახერხებდი. კი გამიელვა თავში, მოდი, ჩემ მაგივრად სოფია ანდრეევნას გავგზავნი-მეთქი. მაგრამ მხოლოდ გამიელვა. მარტო სოფია ანდრეევნაც ეყოფოდა, და უბედური ცოცხალი დარჩებოდა. არა, არასოდეს აღარ ჩავეჩხირები... „სამადლო საქმეებში“... ჩემს სიცოცხლეში ამ ერთხელ ჩავეჩხირე! მე კი ვფიქრობდი, ჯერ არ ჩამოვრჩენილვარ დროებას და მესმის თანამედროვე ახალგაზრდობის-მეთქი. დიახ, ჩვენი ძველები ისე ბერდებიან, რომ ლამის მომწიფებასაც ვერ ასწრებენ. კაცმა რომ თქვას, მართლაც საშინლად ბევრია თანამედროვე ადამიანი, რომელსაც, ჩვეულების

გამო, ისევ ახალგაზრდა თაობა ჰგონია თავი, რაკი ჯერ კიდევ გუშინ ასეთი იყო, და იმას კი ვერ ამჩნევს, რომ უკვე გარიყულია.

- ეს გაუგებრობაა, თანაც აშკარა გაუგებრობა, - გონივრულად შენიშნა ვასინმა. - დედამისი ამბობს, რაც იმ საროსკიპოში შეურაცხყვეს, მას აქეთ თითქოს ჭკუაზე აღარ იყოო. ახლა ამას დაუმატეთ გარემო, ვაჭრისაგან მიყენებული პირველი შეურაცხყოფა... ყოველივე ეს შეიძლებოდა ზუსტად ასევე მომხდარიყო წინათაც და, მე მგონი, მაინცდამაინც ახლანდელი ახალგაზრდობისათვის არაა დამახასიათებელი.

- ცოტა არ იყოს, მოუთმენელია ახლანდელი ახალგაზრდობა, სულსწრაფია, ცხადია, აღარაფერს ვამბობ იმაზე, ნაკლები რომ გაეგება სინამდვილისა; ეს გაუგებრობა ყველა დროის ახალგაზრდობას ახასიათებს, მაგრამ ახლანდელებს განსაკუთრებით არ გაეგებათ... ერთი მითხარით, რა ამბები დაატრიალა აქ სტებელკოვმა?

- ყველაფერი ბატონი სტებელკოვის ბრალია, - უცებ ჩავერიე მე. - ის რომ არა, არაფერიც არ მოხდებოდა; მან ცეცხლზე ნავთი დაასხა.

ვერსილოვმა მომისმინა, მაგრამ ზედაც არ შემომხედა. ვასინი მოიღუშა.

- ერთ სასაცილო რამესაც ვუსაყვედურებ ჩემს თავს, - ადრინდელად აუჩქარებლად და ტკეპნით განაგრძო ვერსილოვმა, - მგონი, ჩემი უხეირო ჩვეულებისამებრ, მაშინ რაღაც სამხიარულო, ქარაფშუტული სიცილის ნება მივეცი ჩემს თავს - ერთი სიტყვით, ვერ გამოვიჩინე სათანადო უკმეხობა, სიცივე და პირქუშობა - სამი თვისება, რასაც, მგონი, მეტად დიდი ფასი აქვს დღევანდელი ახალგაზრდობის თვალში... მოკლედ, საბაბი მივეცი, მოხეტიალე სელადონად (მუსუსი, ქალების კუდში მდევნელი.) მივეჩნიე.

- პირიქით, - ისევ მკვახედ ჩავერიე, - დედამისი დაბეჯითებით ირწმუნება, რომ საუცხოო შთაბეჭდილება მოგიხდენიათ სწორედ სერიოზულობით, გულწრფელობით და სიმკაცრითაც კი - მისი სიტყვები გახლავთ. განსვენებულს თვითონვე შეუქიხართ ამ მხრივ, როგორც კი წასულხართ.

- ჰო-ო? - ამოილუღლუღა ვერსილოვმა და ძლივს მაღირსა გაკვრით შემოხედვა. - გამომართვით ეს ქაღალდი, საქმეში ხომ აუცილებელია, - გაუწოდა პაწია ნაგლეჯი ვასინს. მან გამოართვა და, რაკი ნახა,

რომ ცნობისმოყვარეობით ვუყურებდი, წასაკითხად მომცა. ეს გახლდათ ბარათი, ფანქრით, იქნებ სიბნელეში დაჯღაბნილი ორი ოღროჩოღრო სტრიქონი:

„დედილო, გენაცვალეთ, მაპატიეთ, რომ შევწყვიტე ჩემი სიცოცხლის დებიუტი. თქვენი გამამწარებელი ოლია“.

- ამ დილით იპოვეს, - ამიხსნა ვასინმა.

- რა უცნაური ბარათია! - გაოცებით წამოვიძახე მე.

- უცნაური რითია? - შემეკითხა ვასინი.

- განა შეიძლება ასეთ წუთებში იუმორისტული გამოთქმებით წერა?

ვასინი კითხვით მომჩერებოდა.

- იუმორიც უცნაურია, - განვაგრძობდი მე, - გიმნაზიელი ამხანაგების პირობითი ენაა... აბა, ვის შეუძლია ასეთ წუთებში საცოდავი დედისადმი - ხოლო დედა ხომ უყვარდა - მიწერილ ბარათში დაწეროს: „შევწყვიტე ჩემი სიცოცხლის დებიუტი“!

- ვითომ რატომ არ შეიძლება? - ისევ ვერ გაეგო ვასინს.

- არავითარი იუმორი აქ არ არის, - თქვა ვერსილოვმა, - რა თქმა უნდა, შეუფერებელი გამოთქმაა, სულ სხვა ტონით დაწერილი, და მართლაც, შენი თქმისა არ იყოს, გიმნაზიურ ან რომელიმე ამხანაგურ პირობით ენაში შეიძლებოდა წარმოშობილიყო, ან არადა, რომელიმე ფელეტონიდან ამოეღო, მაგრამ განსვენებულმა ეს რომ დაწერა, ალბათ არც შეუმჩნევია, ტონს არ შეეფერებაო. დამერწმუნე, ეს გამოთქმა სავსებით მიამიტად და სერიოზულად იხმარა ამ თავზარდამცემ ბარათში.

- ეგ შეუძლებელია, მან ხომ ვერცხლის მედალზე დაამთავრა გიმნაზია.

- ვერცხლის მედალი ამ შემთხვევაში არაფერს ნიშნავს. ახლა ბევრი ამთავრებს გიმნაზიას ეგრე.

- ისევ ახალგაზრდობას უტევთ, - გაიღიმა ვასინმა.

- სრულიადაც არა, - მიუგო ვერსილოვმა, წამოდგა და შლაპა აიღო, - მართალია, დღევანდელი ახალგაზრდობა ვერ არის მაინცდამაინც ლიტერატურულად განვითარებული, სამაგიეროდ, ეჭვი არაა, მას სხვა ღირსებები გააჩნია. - არაჩვეულებრივი სერიოზულობით დაუმატა. - თანაც „ბევრი“ არ ნიშნავს „ყველას“. აი, თქვენ, მაგალითად, ხომ არ გაბრალებთ ცუდ ლიტერატურულ განვითარებას, და თქვენც ხომ ყმაწვილი კაცი ხართ.

- არც ვასინს დაუნახავს რაიმე ცუდი „დებიუტში“! - ვერ მოვითმინე.

ვერსილოვმა უხმოდ გაუწოდა ხელი ვასინს; ვასინმაც ხელი დაავლო ქუდს, რომ მასთან ერთად გასულიყო და, ნახვამდისო, მომაძახა. ვერსილოვი ისე გავიდა, არც შემოუხედავს ჩემთვის. მეც არ მქონდა დასაკარგავი დრო: რადაც უნდა დამჯდომოდა, ბინის საშოვნელად უნდა გავქცეულიყავი, - ახლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე! დედაჩემი დიასახლისთან აღარ დამხვდა, წასულიყო და ის უბედური ქალიც თან წაეყვანა. განსაკუთრებით მხნე გუნებაზე გამოვედი გარეთ... ახალი და დიდი განცდა მეუფლებოდა. თან, თითქოს განგებ, ყველაფერი ხელს მიწყობდა: არაჩვეულებრივად მალე წავაწყდი სავსებით შესაფერ ბინას: ამ ბინის შესახებ მერე გიამბოთ, ახლა კი მთავარს მოვამთავრებ.

ნაშუადღევი იყო, ვასინთან რომ დავბრუნდი ჩემოდნის წამოსაღებად და ისიც შინ დამხვდა. ჩემს დანახვაზე მხიარული და გულწრფელი სახით წამოიძახა:

- როგორ მიხარია, რომ მომისწარით, ეს წუთია, წასვლას ვაპირებდი! შემიძლია გაცნობოთ ერთი ფაქტი, რომელიც, მგონი, ძალიან დაგაინტერესებთ!

- წინასწარ დარწმუნებული ვარ! - წამოვიძახე მე.

- ოჰო! რა მხნედ გამოიყურებით. მითხარით, თქვენ არაფერი იცოდით ერთი წერილის თაობაზე, რომელიც კრაფტთან ინახებოდა და გუშინ ვერსილოვს ჩავარდნია ხელში? სახელდობრ, არაფერი იცოდით მის მიერ მოგებული მემკვიდრეობის შესახებ? იმ წერილში მოანდერძე გამოთქვამს თავის ნება-სურვილს, რომელიც ეწინააღმდეგება სასამართლოს გუშინდელ გადაწყვეტილებას. წერილი დიდი ხნის წინათაა დაწერილი. ერთი სიტყვით, ზუსტად არ ვიცი, მაგრამ თქვენ ხომ არაფერი იცით?

- როგორ არ ვიცი. კრაფტმა გუშინწინ სწორედ იმიტომ წამიყვანა შინ... რომ ის წერილი მოეცა. მე კი გუშინ ვერსილოვს გადავეცი.

- ჰო? ეგრეც ვიფიქრე. წარმოიდგინეთ, ის საქმე, წეღან რომ ამბობდა აქ ვერსილოვი, - რამაც ხელი შეუშალა, წუხელვე მოსულიყო ამ ქალიშვილთან მოსალაპარაკებლად, - ის საქმე სწორედ ამ წერილის გამო ყოფილა. ვერსილოვი წუხელვე წასულა თავად სოკოლსკის ვექილთან, გადაუცია ის წერილი და უარი უთქვამს მოგებულ მემკვიდრეობაზე. ამჟამად ეს უარი უკვე კანონიერი სახითაა გაფორმებული. ვერსილოვმა კი არ აჩუქა, არამედ აღიარა თავადების სრული უფლება.

მე გავშეშდი, მაგრამ აღტაცებული დავრჩი. სრულიად დარწმუნებული ვიყავ, რომ ვერსილოვი მოსპობდა იმ წერილს. ეგ კი არა: თუმცა კრაფტს ვეუბნებოდი, ეს უსინდისობა იქნება-მეთქი, და გულშიც ვიმეორებდი ტრაქტირში ყოფნისას ამას, და იმასაც, რომ „მე ნამუსიან, ალალ ადამიანთან ჩამოვედი და არა ამასთან-მეთქი“, - მაგრამ გულის კიდევ უფრო შორეულ კუნჭულში, სულის სიღრმეში, ვფიქრობდი, სხვაგვარად მოქცევა არც შეიძლება, ის დოკუმენტი უნდა მოისპოს-მეთქი. ანუ მე ეს ყოვლად ჩვეულებრივ ამბად მიმაჩნდა. თუ მერე ბრალს დავდებდი ვერსილოვს, ამას ჩავიდენდი განზრახ, თვალის ასახვევად, მხოლოდ იმისთვის, რომ მასთან მიმართებაში შემენარჩუნებინა ჩემი ამაღლებული მდგომარეობა. მაგრამ ახლა, ვერსილოვის ეს ვაჟკაცური საქციელი რომ შევიტყვე, გულწრფელი აღტაცება ვიგრძენი, სინანულით და სირცხვილით ვკიცხავდი ჩემსავე ცინიზმსა და სიკეთისადმი გულგრილობას და მაშინვე, რაკი ვერსილოვი უსასრულოდ ამაღლდა ჩემში, კინაღამ გადავეხვიე ვასინს.

- რა კაცია! რა კაცია! სხვა ვინ იზამდა ამას? - გავიძახოდი ნეტარებით.

- გეთანხმებით, ძალზე ბევრი არ იზამდა ამას... და უდავოა, ეს, მეტად უანგარო საქციელია...

- „მაგრამ“?.. დაასრულეთ, ვასინ, თქვენ თქვით „მაგრამ“?

- დიახ, რა თქმა უნდა, „მაგრამ“. მე მგონია, ვერსილოვის საქციელი, ცოტა არ იყოს, ნაჩქარევია და თან არცთუ მთლად წრფელი, - გაიღიმა ვასინმა.

- წრფელი არ არისო?

- დიახ. აქ არის ერთგვარი „კვარცხლბეკი“. ვინაიდან, შეიძლებოდა იგივე მოემოქმედა და თავისი თავი მაინც არ დაეჩაგრა. რაც უნდა გულაზიზი სინდისიერებით შეგვეხედა ამ საქმისთვის, უეჭველია, ვერსილოვს მემკვიდრეობის ნახევარი ერგებოდა, ან რაიმე წილი მაინც, მით უმეტეს, რომ იმ დოკუმენტს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა, ხოლო პროცესი ვერსილოვმა მოიგო. ამ აზრისაა თვით მოწინააღმდეგე მხარის ვექილიც; ეს წუთია, ველაპარაკე. მისი საქციელი ნაკლებ მშვენიერი არ იქნებოდა, მაგრამ მარტოოდენ ახირებული სიამაყის გამო სხვაგვარად მოხდა. მთავარი კი ისაა, რომ ბატონი ვერსილოვი ცხელ გულზე ზედმეტად აჩქარდა: აკი თვითონვე თქვა წეღან, ერთი კვირითაც შემეძლო ამ საქმის გადადებაო...

- იცით, რას გეტყვით, ვასინ! არ შემიძლია არ დაგეთანხმოთ, მაგრამ... მაგრამ ასე უფრო მიყვარს! ასე უფრო მომწონს!

- თუმცა ეს გემოვნების საკითხია. თქვენ თვითონ გამომიწვიეთ, თორემ ხმას არ ამოვიღებდი.

- თუნდაც მართლა „კვარცხლბეკი“ იყოს, მაშინაც უკეთესია! - განვაგრძობდი მე. - კვარცხლბეკი კი კვარცხლბეკია, მაგრამ თავისთავად ძალზე ძვირფასი რამაა. ეს „კვარცხლბეკი“ ხომ იგივე „იდეალია“ და არა მგონია, უკეთესი იყოს ის ამბავი, რომ ზოგიერთს არც გააჩნია ასეთი იდეალი; თუნდაც ცოტა დამახინჯებული იყოს ეს იდეალი, მაგრამ დაე, იყოს! უთუოდ თქვენც ასევე ფიქრობთ, ვასინ, ძვირფასო ვასინ, ჩემო საყვარელო ვასინ! ერთი სიტყვით, მე, ცოტა არ იყოს, ავურიე, მაგრამ თქვენ ხომ გესმით ჩემი. იმიტომაც ხართ ვასინი; და, რაც უნდა იყოს, გეხვევით და გკოცნით, ვასინ!

- სიხარულისგან?

- დიდი სიხარულისგან! რამეთუ კაცი ესე „მკვდარ იყო და განცოცხლდა, დაკარგულ იყო და ხილულ იქმნა!“. ვასინ, მე ერთი საძაგელი ბიჭი ვარ და თქვენს ფრჩხილადაც არ ვღირვარ. სწორედ იმიტომ გამოგიტყდით ამაში, რომ არის წუთები, როცა სულ სხვანაირი ვარ ხოლმე, უფრო ამაღლებული და ღრმა. გუშინწინ რომ იმდენი გაქეთ (და გაქეთ იმიტომ, რომ დამამცირეს და დამჩაგრეს), მერე მთელი ორი დღე მძულდით! იმ ღამესვე სიტყვა მივეცი ჩემს თავს, რომ აღარასოდეს მოვიდოდი თქვენთან და გუშინ დილით მხოლოდ ჯიბრით მოვედი, გესმით? ჯიბრით! ვიჯექი მარტოკა აქ სკამზე და ვაკრიტიკებდი თქვენს ოთახსაც, თქვენც, თქვენს ყოველ წიგნსაც, თქვენს დიასახლისსაც,

ვცდილობდი, დამემცირებინეთ და მასხრად ამეგდეთ...

- ეგ არ უნდა გეთქვათ...

- წუხელ ერთი თქვენი ფრაზით დავასკვენი, არაფერი გაეგება ქალებისა-მეთქი, და გამიხარდა, რომ ამაში მაინც გამოგიჭირეთ. წეღანაც, „დებიუტში“ რომ გამოგიჭირეთ, საშინლად გავიხარე, და ეს ყველაფერი იმიტომ მიხაროდა, რომ მე თვითონ გაქეთ მაშინ ისე უზომოდ...

- მაშ, სხვანაირად როგორ იქნებოდა! - წამოიძახა ბოლოს ვასინმა (ის ისევ იღიმოდა და სულ არ უკვირდა ჩემი საქციელი). - ეგრე ხომ თითქმის ყველას ემართება, თანაც მაშინვე; ოღონდ ამას არავინ ამხელს ხოლმე, და არცაა საჭირო, ვინაიდან ასეთი განწყობილება ბოლოს მაინც გაივლის და ამით არაფერი შავდება.

- ნუთუ ყველას ეგრე ემართება? ყველა ასეთია? ამას ამბობთ თქვენ და ეგრე მშვიდად ხართ? ეგეთი შეხედულებით როგორ შეიძლება სიცოცხლე!

- მაშ, თქვენი აზრით:

მიჯობს სიცრუე აღმზევებელი

ათასგვარ მდაბალ ჭეშმარიტებას?

- მაგრამ ეს ხომ მართებულია! - წამოვიყვირე მე. - ამ ორ სტრიქონში წმინდა აქსიომაა!

- რა მოგახსენოთ; ვერ გეტყვით, რამდენად მართებულია ეს ორი სტრიქონი. უთუოდ, როგორც ყოველთვის, ჭეშმარიტება სადღაც შუაში ძევს: ანუ, ერთ შემთხვევაში წმინდა ჭეშმარიტებაა, მეორე შემთხვევაში კი - სიცრუე. მე მხოლოდ ერთი რამ ვიცი დანამდვილებით: რომ ეს აზრი კიდევ კარგა ხანს იქნება ერთ-ერთი უმთავრესი სადავო პუნქტი ადამიანებს შორის. ყოველ შემთხვევაში, ვხედავ, რომ ახლა ისეთ გუნებაზე ხართ, ლამის იცეკვოთ. რაღას უყურებთ, იცეკვეთ: მოციონი (გასეირნება (ლათინური მოტიო-დან).) სასარგებლოა, მე კი ამ დილას იმდენი საქმე დამაკისრეს, რომ... თანაც დამიგვიანდა თქვენს შემყურეს!

- მივდივარ, მივდივარ, ახლავე გაგეცლებით! კიდევ ერთი სიტყვა, - წამოვიყვირე, როცა ხელი დავტაცე ჩემოდანს, - მე თუ ახლა ისევ „კის-

ერზე ჩამოგეკიდეთ“, ეს მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ დამემართა, რომ, როცა შემოვედი, თქვენ ისეთი გულწრფელი სიამოვნებით შემატყობინეთ ეს ფაქტი და ისე „გაგიხარდათ“, რომ მოგისწარით; და ეს მოხდა წეღანდელი „დებიუტის“ მერე; თქვენი ამ გულწრფელი სიამოვნებით ერთბაშად კვლავ მოიგეთ ჩემი „ნორჩი გული“... ახლა კი მშვიდობით, მშვიდობით, ვეცდები, რაც შეიძლება დიდხანს აღარ გესტუმროთ, და ვიცი, რომ ეს ძალიან გაგახარებთ, თვალებზეც კი გატყობთ, ჩემი მოუსვლელობა კი ხელსაყრელიც იქნება ორივესთვის...

ასეთი ქაქანითა და სიხარულისგან სულმოუთქმელი ლაქლაქით გამოვათრიე ჩემოდანი და ახალი ბინისკენ გავწიე. ყველაზე უფრო ის მომწონდა, რომ ვერსილოვი წეღან აშკარად გაჯავრებული იყო ჩემზე, დალაპარაკება და შემოხედვაც კი არ უნდოდა. ჩემოდანი ოთახში რომ შევიტანე, მაშინვე გავქანდი ჩემს მოხუც თავადთან. უნდა გამოვტყდე, ეს ორი დღე გამიჭირდა კიდეც უიმისოდ. ესეც არ იყოს, ვერსილოვის ამბავი უთუოდ მასაც გაგებული ექნებოდა.

II

აკი ვიცოდი, რომ საშინლად გაუხარდებოდა ჩემი მისვლა, და ვფიცავ, ვერსილოვის ამბავიც რომ არ ყოფილიყო, მაინც შევივლიდი დღეს მასთან. გუშინ და წეღან მარტო ის მაშინებდა, ერთიც ვნახოთ და, კატერინა ნიკოლავნას შევეფეთო-მეთქი; მაგრამ ახლა აღარაფრის აღარ მეშინოდა.

მოხუცი თავადი სიხარულით გადამეხვია.

- რა კაცია ვერსილოვი! შეიტყვეთ? - პირდაპირ მთავარიდან დავიწყე.

- Cher enfant, ჩემო საყვარელო მეგობარო, ეს ისეთი ამაღლებული, ისეთი კეთილშობილური საქციელია, - ერთი სიტყვით, კილიანზეც კი (ეს ის მოხელე გახლდათ, ქვევით რომ იჯდა) გასაოცარი შთაბეჭდილება მოახდინა! არცთუ მთლად გონივრული საქციელია მისი მხრიდან, მაგრამ ბრწყინვალე რამაა, გმირობაა! იდეალს დაფასება უნდა!

- ხომ ეგრეა? ხომ? მე და თქვენ ამ საკითხში მუდამ ერთი აზრისანი ვიყავით.

- ჩემო კარგო, მე და შენ მუდამ ერთნაირი აზრები გვაქვს. სად დაიკარგე? უსათუოდ მინდოდა მე თვითონ მოვსულიყავი შენთან, მაგრამ არ ვიცოდი, სად მეძებნე... იმიტომ რომ, რაც უნდა იყოს, ვერსილოვთან ხომ არ მოვიდოდი... თუმცა ახლა, ყოველივე ამის მერე... იცი, ჩემო მეგობარო, მე მგონი, სწორედ ამით აგიჟებდა ქალებს, აი, ასეთი თვისებებით, ეს უეჭველია...

- მართლა, არ დამავიწყდეს, სწორედ თქვენთვის შემოვინახე. გუშინ ერთმა უღირსმა ლაზღანდარამ დაურიდებლად მიგინა ვერსილოვი და თქვა, „დიაცთა წინასწარმეტყველიაო“. რას იტყვით ამ გამოთქმაზე? თვითონ გამოთქმაზე? თქვენთვის შემოვინახე...

- „დიაცთა წინასწარმეტყველიაო“! Mais... c’est charmant! (მაგრამ... ეს საუცხოოა! (ფრანგ.).) ხა, ხა! ზედგამოჭრილია ვერსილოვზე: არა, სულაც არაა ზედგამოჭრილი - თფუი!... მაგრამ ისეთი მარჯვე ნათქვამია... სულაც არაა მარჯვე ნათქვამი, მაგრამ...

- არაფერია, არაფერი, ნუ გრცხვენიათ, შეხედეთ მხოლოდ როგორც ბონმოს!

- დიდებული ბონმოა და, იცი, რას გეტყვი, ძალზე ღრმა აზრია შიგ... სავსებით სწორი იდეაა! არ დაიჯერებ და... ერთი სიტყვით, ერთ პაწია საიდუმლოს გეტყვი. შეამჩნიე იმ დღეს ოლიმპიადა? გაგიკვირდება და, ცოტა არ იყოს, გული შესტკივა ანდრეი პეტროვიჩზე, ისე შესტკივა, რომ მგონი, ეტრფის კიდეც...

- ეტრფის! აი, ეს ხომ არ ნებავს? - წამოვიძახე აღშფოთებით და სამი თითის კომბინაცია ვუჩვენე.

- ნუ ყვირი, mon cher, ეს ასეა და შენც, შენი მხრივ, მართალი ხარ. მართლა, ჩემო მეგობარო, რა მოგვიდა ამას წინათ, კატერინა ნიკოლავნა რომ შემოვიდა? ისე შეტორტმანდი... ვიფიქრე, საცაა წაიქცევა-მეთქი და ხელი უნდა შემომეშველებინა.

- ახლა მაგის დროს არ არის. მოკლედ რომ გითხრათ, ერთი მიზეზის გამო დავიბენი და შემრცხვა. ეს იყო და ეს...

- ახლაც რომ გაწითლდი?

- თქვენ მაშინვე თუ არ წაუმატეთ, ისე არ იქნება. ხომ იცით, რომ კატერინა ნიკოლავნა მტრობს ვერსილოვს... და ათასი რამ, ჰოდა, მეც ავღელდი: ეხ, თავი დავანებოთ, სხვა დროს იყოს!

- დავანებოთ, დავანებოთ, მეც მოხარული ვიქნები, რომ ყოველივე ამას თავი დავანებოთ... ერთი სიტყვით, დიდად დამნაშავე ვარ ჩემს ქალიშვილთან. თუ გახსოვს, დამიჩივლია კიდეც შენთან... დაივიწყე, ჩემო მეგობარო; გული მეუბნება, რომ ისიც შეიცვლის შენზე აზრს... აი, თავადი სერიოჟაც!

შემოვიდა ახალგაზრდა და ლამაზი ოფიცერი. ხარბად დავაცქერდი, რადგან აქამდე არასოდეს მენახა. ვამბობ, ლამაზი-მეთქი, რადგან ზუსტად ამას ამბობდა ყველა, მაგრამ ამ ახალგაზრდა და ლამაზ სახეში იყო რაღაც, არცთუ მთლად მიმზიდველი. ამას აღვნიშნავ, როგორც პირველი წამის შთაბეჭდილებას, რაც სამუდამოდ შემომრჩა. ხმელ-ხმელი იყო, მშვენიერი აღნაგობის, მუქი ქერა; მის ქორფა სახეს ოდნავ მოყვითალო ფერი გადაჰკრავდა, მტკიცე გამოხედვა ჰქონდა. მისი მშვენიერი მუქი თვალები, ცოტა არ იყოს, მკაცრად გამოიყურებოდნენ მაშინაც კი, როცა სავსებით მშვიდი იყო. მაგრამ მისი მტკიცე გამოხ-

ედვა სწორედ იმიტომ ვერ მიგიზიდავდათ, რომ, რატომღაც, იგრძნობოდა, ასეთი სიმტკიცე ბევრი არაფერი უღირსო. მოკლედ, ვერ გამომითქვამს... რა თქმა უნდა, მის სახეს შეეძლო მკაცრი გამომეტყველება ერთბაშად შეეცვალა საოცრად ალერსიან, თვინიერ და ნაზ გამომეტყველებად და, მთავარი ის გახლდათ, რომ ეს გარდაქმნა ნამდვილად გულმართალი იყო. აი, ეს გულმართლობა იყო მიმზიდველი. შევნიშნავ კიდევ ერთ თვისებას: ხომ ალალი და ალერსიანი სახე ჰქონდა, მაგრამ ეს სახე არასოდეს უხდებოდა მხიარული; მაშინაც კი, როცა თავადი გულიანად იცინოდა, მაინც იგრძნობდით, რომ ნამდვილი, ნათელი, მსუბუქი სიმხიარულე მის გულს თითქოს არასოდეს მიჰკარებია... თუმცა, ძნელია სახის ამგვარი აღწერა. სულ არა მაქვს ამის უნარი. მოხუცმა თავადმა, თავისი სულელური ჩვეულებით, მაშინვე თავს იდო ჩვენი გაცნობა.

- ეს გახლავთ ჩემი ყმაწვილი მეგობარი, არკადი ანდრეევიჩ (ისევ ანდრეევიჩი!) დოლგორუკი.

ახალგაზრდა თავადმა ორმაგად თავაზიანი სახით შემომხედა, მაგრამ ეტყობოდა, ჩემი სახელი არც გაეგონა.

- ეს... ანდრეი პეტროვიჩის ნათესავი გახლავთ, - წაიბუტბუტა ჩემმა გულის გამწყალებელმა თავადმა (რა გულის გამწყალებელნი არიან ხოლმე ზოგჯერ ეს მოხუცები თავიანთი ჩვეულებებით!). ახალგაზრდა თავადი მაშინვე მიხვდა.

- ახ! რახანია, მესმის თქვენი სახელი... - საჩქაროდ წარმოთქვა მან. - მე უდიდესი სიამოვნება მქონდა შარშან, ლუგაში, გავცნობოდი თქვენს დას, ლიზავეტა მაკაროვნას... მასაც უამბია თქვენზე...

გამიკვირდი კიდეც, ისეთი გულწრფელი სიამოვნება გამოეხატა სახეზე.

- მაპატიეთ, თავადო, - ამოვილუღლუღე და ორივე ხელი უკან წავიღე, - გულახდილად უნდა მოგახსენოთ, და მიხარია, რომ ჩვენი ძვირფასი თავადის თანდასწრებით მოგახსენებთ, რომ მწყუროდა კიდეც თქვენთან შეხვედრა, თან არც ისე დიდი ხანია. გუშინ მწყუროდა, მაგრამ სულ სხვა მიზნით. ამას პირდაპირ მოგახსენებთ, რარიგადაც უნდა გაგიკვირდეთ. მოკლედ, მინდოდა დუელში გამომეწვიეთ იმ შეურაცხყოფისთვის, რომელიც ამ წლინახევრის წინ მიაყენეთ ვერსილოვს ემსში ყოფნისას. თქვენ შეიძლება არც მიგეღოთ ჩემი გამოწვევა,

რადგან მე მხოლოდ გიმნაზიელი და არასრულწლოვანი ყმაწვილი ვარ, მაგრამ მაინც გამოგიწვევდით, როგორადაც უნდა მიგეღოთ ჩემი საქციელი და მოქცეულიყავით... და, გამოგიტყდებით, ახლაც იგივე მიზანი მაქვს.

მოხუცმა თავადმა მიამბო შემდეგ, ყოველივე ეს მეტად კეთილშობილურად გამოთქვიო.

ახალგაზრდა თავადს სახეზე გულწრფელი მწუხარება აღებეჭდა.

- თქვენ არ დამამთავრებინეთ სათქმელი, - დაბეჯითებით მომიგო მან. - თუ მე ახლა ასეთი გულითადი სიტყვებით მოგმართეთ, ამის მიზეზი გახლდათ სწორედ ჩემი ახლანდელი, ნამდვილი გრძნობები ანდრეი პეტროვიჩისადმი. ვწუხვარ, რომ ახლა არ შემიძლია შეგატყობინოთ ყველა გარემოება, მაგრამ პატიოსნებას გეფიცებით, რახანია, უღრმესი სინანულით ვიხსენებ ჩემს მაშინდელ საქციელს. პეტერბურგისკენ რომ მოვემგზავრებოდი, გადაწყვეტილი მქონდა ყოველნაირად დამეკმაყოფილებინა ანდრეი პეტროვიჩი. ანუ პირდაპირ, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, პატიება მეთხოვა მისთვის, რა სახითაც კი თვითონ ისურვებდა. უზენაესი და უძლიერესი ზეგავლენა გახდა იმის მიზეზი, რომ შეხედულება შემეცვალა. ჩემს გადაწყვეტილებაზე იოტისოდენადაც არ იმოქმედებდა ის, რომ ჩვენ და ვერსილოვს დავა გვქონდა სასამართლოში. მისმა გუშინდელმა საქციელმა კი, ასე ვთქვათ, სულიერად შემძრა და, თუ დამიჯერებთ, ახლაც კი, ამწუთას, ჯერაც ვერ მოვსულვარ გონს. და აი, უნდა გაცნობოთ, - სწორედ იმიტომაც გეახელით თავადთან, რომ ერთი მეტად მნიშვნელოვანი გარემოება ვაცნობო: ამ სამი საათის წინ, სწორედ იმ დროს, როდესაც ისინი ვექილთან ერთად ადგენდნენ ამ აქტს, ჩემთან გამოცხადდა ანდრეი პეტროვიჩის რწმუნებული და გადმომცა მისი გამოწვევა... ფორმალური გამოწვევა ემსში მომხდარი ისტორიის გამო...

- მან გამოგიწვიათ! - წამოვიძახე და ვიგრძენი, რომ თვალები ამენთო და სისხლი სახეზე მომაწვა.

- დიახ, გამომიწვია; მე უმალ მივიღე გამოწვევა, მაგრამ გადავწყვიტე, ვიდრე შევხვდებოდე, გავუგზავნო წერილი, რომელშიც მოვახსენებ, თუ რა აზრის ვარ ჩემს მაშინდელ საქციელზე და რარიგ ვინანიებ იმ საშინელ შეცდომას... ვინაიდან ეს მხოლოდ შეცდომა იყო, - უბედური, საბედისწერო შეცდომა! უნდა მოგახსენოთ, რომ პოლკში ჩემი მდგომარეობა მაიძულებდა, რისკი გამეწია: დუელის წინ გაგზავნილი ასეთი

წერილით მე ხომ საზოგადოებრივი აზრის განსაქიქი ვხდებოდი... ხომ გესმით? მიუხედავად ამისა, მაინც ასე გადავწყვიტე, ოღონდ ვერ მოვასწარი წერილის გაგზავნა, რადგან ერთი საათიც არ გასულა ამ გამოწვევის მერე, რომ კვლავ მივიღე ბარათი, რომელშიც მთხოვს, მაპატიეთ, რომ შეგაწუხეთ, დაივიწყეთ ის გამოწვევაო, და დაურთავს, ვნანობ „სულმოკლეობისა და ეგოიზმის ამ წუთიერ გულისთქმასო“, - მისი საკუთარი სიტყვები გახლავთ. ამრიგად, ახლა მან უკვე სავსებით გამიადვილა წერილის მიწერა. წერილი ჯერ არ გამიგზავნია, მაგრამ სწორედ იმიტომ მოვედი აქ, რომ ზოგი რამ ვუთხრა თავადს ამის თაობაზე... და, მერწმუნეთ, მე თვითონ გაცილებით მეტი ტანჯვა განმაცდევინა ჩემმა სინდისმა, ვიდრე ვინმემ განიცადა... საკმარისია თქვენთვის ეს ახსნა-განმარტება, არკადი მაკაროვიჩ, თუნდაც ახლა, ჯერჯერობით? დამდებთ პატივს და სრულად იწამებთ ჩემს გულწრფელობას?

ბოლომდე დამარცხებული ვიყავი; ვხედავდი ეჭვმიუტანელ სიწრფელეს, რომელსაც არაფრის გულისთვის არ მოველოდი. და საერთოდ, მსგავსს არაფერს მოველოდი. პასუხად რაღაც წავიბუტბუტე და პირდაპირ გავუწოდე ორივე ხელი; მან სიხარულით ჩამავლო ხელები და მაგრად ჩამომართვა. მერე გაიხმო მოხუცი თავადი და ბარემ ხუთი წუთი მის საწოლ ოთახში ელაპარაკა.

- თუ გნებავთ, რომ ძალიან მასიამოვნოთ, - ხმამაღლა და გულღიად მომმართა მან, როცა საწოლი ოთახიდან გამოვიდა, - წამომყევით და გაჩვენებთ წერილს, რომელსაც ახლა ვუგზავნი ანდრეი პეტროვიჩს, თან მის წერილსაც წაგაკითხებთ.

დიდი ხალისით დავთანხმდი. ჩემი თავადი აფუსფუსდა და მანაც ერთი წუთით გამიხმო თავის საძინებელში.

- მონ ამი, რა მოხარული ვარ, რა მოხარული... ყოველივე ამაზე მერე ვილაპარაკოთ. მართლა, აქ პორტფელში მაქვს ორი წერილი: ერთი პირადად შენ უნდა მიიტანო და აუხსნა საქმის ვითარება, მეორე კი ბანკშია მისატანი, - იქაც ასევე...

და მან დამავალა ორი ვითომდა გადაუდებელი საქმე, ვითომ არაჩვეულებრივ გარჯასა და ყურადღებას რომ მოითხოვდა. საჭირო იყო ამ წერილების მიტანა და ჩაბარება, ხელის მოწერა და სხვ.

- ახ, თქვე ეშმაკო! - წამოვიძახე და წერილები ჩამოვართვი. - ვფიცავ, ყოველივე ეს სისულელეა და არავითარი საქმე არაა, ეს ორი დავა-

ლება კი განგებ მოიგონეთ, რათა დამარწმუნოთ, თითქოს ვმსახურობ და ფულს ტყუილუბრალოდ არ ვიღებ!

- Mon enfant, გეფიცები, ცდები, ეს ორი ყოვლად გადაუდებელი საქმეა... Cher enfant! - წამოიძახა უცებ საშინლად გულაჩუყებულმა. - ჩემო საყვარელო ჭაბუკო (მან ორივე ხელი თავზე დამადო)! კურთხეულ იყავ, კურთხეულ იყოს შენი მომავალი... ვიყოთ მუდამ გულმართალნი, როგორადაც დღეს... ვიყოთ კეთილნი და მშვენიერნი, რაც შეიძლება მეტხანს... გვიყვარდეს ყოველივე მშვენიერი... მისი ყველა, ნაირ-ნაირი სახით... მაშ, Enfin... enfin rendons grâce... et je te bénis!)ახლა კი... ქება და მადლი შევწიროთ... დამილოცნიხარ! (ფრანგ.). -

სიტყვა ვეღარ დაასრულა და ტირილი აუვარდა. გამოგიტყდებით, მეც აღარაფერი მაკლდა ატირებას; ყოველ შემთხვევაში, გულწრფელად და სიამოვნებით გადავეხვიე ჩემს უცნაურ თავადს. გულიანად გადავკოცნეთ ერთმანეთი.

III

თავადმა სერიოჟამ (ესე იგი, თავადმა სერგეი პეტროვიჩმა; ასე ვუწოდებ შემდეგში) კოხტა ეტლით მიმიყვანა თავის ბინაზე და, უწინარეს ყოვლისა, გაოცებული დავრჩი, ასეთი დიდებული ბინა რომ ჰქონდა. დიდებული კი არ იყო, მაგრამ ასეთი ბინა აქვთ ხოლმე მეტად „წესიერ ადამიანებს“: მაღალი, დიდი, ნათელი ოთახები (მე მხოლოდ ორი ოთახი ვნახე, დანარჩენი ოთახების კარი მიხურული იყო) და ავეჯი, - არც ეს იყო Versailles ან Renaissance (ვერსალი... რენესანსი (ფრანგ.).), მაგრამ რბილი, მდიდრული, თანაც უხვად და დიდკაცურად: აქ იყო ნოხები, ჩუქურთმებიანი ხის ავეჯი და ქანდაკებები. ამავე დროს, ყველა გაიძახოდა, ღარიბ-ღატაკები არიან, არაფერი აბადიათო. თუმცა ყურმოკვრით გაგონილი მქონდა, რომ ეს თავადი ძალიან ხელგაშლით ცხოვრობდა ყველგან, სადაც კი შეეძლო - აქაც, მოსკოვშიც, წინანდელ პოლკშიც და პარიზშიც, - ბანქოს თამაშსაც კი მისდევდა და ვალებში იყო. მე დაჭმუჭნილი სერთუკი მეცვა, თანაც ბუმბულში ვიყავი ამოგანგლული, რადგან წუხელ ტანგაუხდელად მეძინა. პერანგი კი, აგერ მეოთხე დღე იყო, არ გამომეცვალა. თუმცა, კაცმა რომ თქვას, ჩემს სერთუკს ჯერ კიდევ არა უშავდა რა, მაგრამ აქ რომ მოვხვდი, გამახსენდა ვერსილოვის რჩევა, ახალი ტანსაცმელი შეიკერეო.

- წარმოიდგინეთ, ერთი თვითმკვლელი ქალის გამოისობით მთელი ღამე ჩაცმულს მეძინა, - შევნიშნე ვითომ დაფანტულად და, რადგან მაშინვე დაინტერესდა, მეც მოკლედ ვუამბე ყველაფერი. მაგრამ, ეტყობოდა, მას ყველაზე მეტად თავისი წერილი აინტერესებდა. მე უფრო ის მიკვირდა, რომ წეღან, როცა პირდაპირ განვუცხადე, დუელში უნდა გამომეწვიეთ-მეთქი, არამცთუ გაიღიმა, უბრალოდაც არ უცდია ამდაგვარი. კაცმა რომ თქვას, არც მივცემდი გაცინების ნებას, მაგრამ ეს მაინც საოცარი იყო ამ ჯურის ადამიანისგან. აქეთ-იქით მივუსხედით შუა ოთახში მდგარ მის ვეება საწერ მაგიდას და მან მომაწოდა უკვე დაწერილი და გადათეთრებული წერილი, რომელსაც ვერსილოვს უგზავნიდა. ეს დოკუმენტი ძალიან ჰგავდა იმას, რაზეც წეღან მელაპარაკა თავადთან ყოფნისას, გულმხურვალედაც კი იყო დაწერილი. ჯერ კიდევ არ ვიცოდი, საბოლოოდ როგორ მიმეღო მისი ასეთი აშკარა სიწრფელე და ყოველივე სასიკეთოსთვის მზადყოფნა, მაგრამ უკვე ვატყობდი, რომ გული მომიგო, რადგან, კაცმა რომ თქვას, ვითომ რატომ არ უნდა დამეჯერებინა? რანაირიც უნდა ყოფილიყო ეს ადამიანი და

რაც უნდა ეამბნათ მასზე, ხომ შეიძლებოდა მაინც კეთილი ზრახვები ჰქონოდა? გადავხედე ვერსილოვის უკანასკნელ ბარათსაც, შვიდიოდე სტრიქონს - გამოწვევაზე უარს რომ ამბობდა. თუმცა ამ ბარათში ვერსილოვი მართლაც სწერდა თავის „სულმოკლეობასა“ და „ეგოიზმზე“, მაგრამ მთლიანად, მთელ ბარათს რაღაცნაირი სიზვიადე დაჰკრავდა... ან უკეთ, მთელ მის საქციელში რაღაცნაირი აგდებული დამოკიდებულება გამოჩნდა. თუმცა ეს არ მითქვამს თავადისთვის.

- ერთი მიბრძანეთ, როგორ აღიქვამთ მის უარს? - შევეკითხე. - ხომ არ ფიქრობთ, რომ ვერსილოვი დაფრთხა?

- რა თქმა უნდა, არა, - გაიღიმა თავადმა, მაგრამ ძალიან სერიოზული ღიმილით, და საერთოდ უფრო და უფრო შეწუხებული ჩანდა, - მეტისმეტად კარგად ვიცი, რომ მამაცი ადამიანია. აქ, რა თქმა უნდა, არის განსაკუთრებული შეხედულება... იდეათა საკუთარი წყობა...

- უეჭველია, - ცხარედ შევაწყვეტინე. - ვინმე ვასინი ამბობს, მის ამ საქციელში, წერილსა და მემკვიდრეობაზე უარის თქმაში, „კვარცხლბეკიაო“... ჩემი აზრით, ასეთ რამეებს მოსაჩვენებლად როდი სჩადიან, ასეთი საქციელი შეესაბამება რაღაც ძირითადს, შინაგანს.

- მე ძალიან კარგად ვიცნობ ბატონ ვასინს, - თქვა თავადმა.

- ჰო, მართლა, ლუგაში გეყოლებათ ნანახი.

უცებ შევხედეთ ერთმანეთს და, მახსოვს, მგონი, ცოტათი გავწითლდი. ყოველ შემთხვევაში, მან საუბარი სხვა რამეზე გადაიტანა. უნდა მოგახსენოთ, რომ ლაპარაკის გუნებაზე ვიყავი. ერთი გუშინდელი შეხვედრის გამო ცდუნებასავით ამეკვიატა ფიქრი, ზოგ რამეს ვკითხავმეთქი, ოღონდ არ ვიცოდი, როგორ დამეწყო. და საერთოდ, მაინცდამაინც ვერ ვიყავი ჩემს ქერქში. საოცრად მოქმედებდა აგრეთვე მისი გასაოცარი თავაზიანობა, ძალდაუტანებელი მანერები - ერთი სიტყვით, მთელი ეს პეწი მათი ტონისა, რასაც ისინი ლამის აკვნიდან ითვისებენ ხოლმე. მის წერილში ორი ყოვლად უხეში გრამატიკული შეცდომა ვნახე. და საერთოდ, ასეთი შეხვედრების დროს არასოდეს თავს არ ვიმდაბლებ ხოლმე, პირიქით, მომეტებულად უკმეხი ვხდები, რაც ზოგჯერ იქნებ ცუდიცაა. ამჯერად ამას განსაკუთრებით უწყობდა ხელს იმის ფიქრიც, რომ ბუმბულში ვიყავი ამოგანგლული, ამიტომ, ცოტა არ იყოს დავიბენი, საქციელი წამიხდა და მოურიდებლად დავიწყე მოქცევა... უჩუმრად შევამჩნიე, რომ თავადი ხანდახან ზედმეტი დაკვირვებით

მათვალიერებდა.

- ერთი ეს მიბრძანეთ, თავადო, - წამოვაყრანტალე უცებ, - გუნებაში სასაცილოდ არ გეჩვენებათ, რომ მე, ჯერ კიდევ ასეთ „ღლაპს“, თქვენი დუელში გამოწვევა მინდოდა, თანაც სხვისი შეურაცხყოფის გამო?

- მამის შეურაცხყოფა ძალიანაც შეიძლება საკუთარ შეურაცხყოფად მიიღოს კაცმა. არა, არ მეჩვენება სასაცილოდ.

- მე კი მგონია, ძალზე სასაცილოა-მეთქი... ზოგის აზრით... ანუ, ცხადია, არა ჩემი აზრით. მით უფრო, რომ მე დოლგორუკი ვარ და არა ვერსილოვი. ხოლო თუ თქვენ სიმართლეს არ მეუბნებით, ან იმიტომ ამბობთ მაგას, რომ როგორმე შემიმსუბუქოთ მდგომარეობა მაღალი საზოგადოების წესიერების გამო, მაშ, გამოდის, რომ სხვა დანარჩენშიაც მატყუებთ?

- არა, არ მეჩვენება სასაცილოდ, - გაიმეორა მან საშინლად სერიოზულად, - განა შეიძლება მამის სისხლს არ გრძნობდეთ ძარღვებში?.. მართალია, თქვენ ჯერ ყმაწვილი ხართ, რადგან... არ ვიცი... მგონი, არასრულწლოვანს არ შეუძლია დუელში ვინმეს გაწვევა და არც მისგან შეიძლება გამოწვევის მიღება... წესით... მაგრამ, თუ გნებავთ, აქ მხოლოდ ერთი სერიოზული შემოდავება შეიძლება: თუ თქვენ დუელში იწვევთ ვინმეს ისე, რომ ამის შესახებ არაფერი იცის მან, ვისი შეურაცხყოფისთვის იწვევთ სხვას, ამით ხომ ერთგვარ უპატივცემულობას იჩენთ მისადმი, არა? ხომ ასეა?

უცებ ლაპარაკი შეგვაწყვეტინა ლაქიამ, რომელიც რაღაცის მოსახსენებლად შემოვიდა. თავადი, მგონი, ელოდა მას და, როგორც კი დაინახა, სიტყვა არ დაუმთავრებია, სწრაფად შეეგება; მანაც რაღაც მოახსენა ხმადაბლა და, ცხადია, მე ვერაფერი გავიგე.

- მაპატიეთ, - მომიბრუნდა თავადი, - ამწუთას გეახლებით.

და გავიდა. მარტოკა დავრჩი; ბოლთას ვცემდი ოთახში და ვფიქრობდი. საოცარი იყო - თავადი მომწონდა კიდეც და თან საშინლად არ მომწონდა. ჰქონდა რაღაც, რასაც, ძალიანაც რომ მომენდომებინა, ვერ დაგისახელებდით, მაგრამ ძალზე არამიმზიდველი რაღაც კი ჩანდა. „თუ არ დამცინის, მაშინ, ეჭვი არაა, საშინლად გულწრფელია, მაგრამ რომ დამცინოდეს, მაშინ იქნებ უფრო ჭკვიანიც მომჩვენებოდა...“ - რაღაც უცნაურად გავიფიქრე. მაგიდასთან მივედი და კიდევ ერთხელ

გადავიკითხე, რას სწერდა ვერსილოვს. ისე გავერთე, რომ დრო გადამავიწყდა, და როცა გონს მოვედი, უცებ შევნიშნე, რომ თავადის „ამწუთას“ სულ ცოტა, თხუთმეტი წუთი მაინც გაგრძელდა. ამან, ცოტა არ იყოს, შემაშფოთა; ერთი კიდევ გავიარ-გამოვიარე ოთახში, ბოლოს ავიღე ქუდი და, მახსოვს, გადავწყვიტე, წავალ, ვინმეს ვნახავ და თავადთან გავგზავნი, რომ მოვიდეს, ხოლო როცა მოვა, მაშინვე გამოვეთხოვები: საქმე მაქვს, მეტი ლოდინი აღარ შემიძლია-მეთქი. ჩემი ჭკუით, ეს ყველაზე წესიერი საქციელი იქნებოდა, რადგან გაკვრით მაინც მაწვალებდა ფიქრი, ამდენ ხანს მარტო რომ დამტოვა, ამიგდო და ეს არის-მეთქი.

ამ ოთახის ორივე მიხურული კარი ერთი და იმავე კედლის თავსა და ბოლოში იყო. რადგან აღარ მახსოვდა, რომელი კარიდან შემოვედით, უფრო კი დაბნეულობით, გამოვაღე ერთ-ერთი კარი და უცებ, გრძელსა და ვიწრო ოთახში, დივანზე მჯდარი ჩემი და, ლიზა დავინახე. მის მეტი არავინ იყო და ისიც, ცხადია, ვიღაცას ელოდა. მაგრამ გაოცებაც ვერ მოვასწარი, რომ უცებ შემომესმა თავადის ხმა, - ვიღაცას ხმამაღლა ელაპარაკებოდა და კაბინეტში ბრუნდებოდა. სწრაფად მივხურე კარი და მეორე კარიდან შემოსულ თავადს არაფერი შეუმჩნევია. მახსოვს, მოჰყვა ერთ ბოდიშობას და ვიღაც ანა ფიოდოროვნა ახსენა... მაგრამ ისე დავიბენი და განვცვიფრდი, რომ ნახევარიც არ გამიგონია. ეს კი წავიბუტბუტე, შინ უნდა წავიდე, საქმე მაქვს-მეთქი, შემდეგ დაბეჯითებით და სწრაფად გამოვედი. ზრდილი თავადისთვის, ცხადია, ცნობისმოყვარეობა უნდა აღეძრა ჩემს საქციელს. წინკარში გამომყვა და შეუჩერებლად მელაპარაკებოდა, მე კი პასუხს არ ვაძლევდი და არც ვუყურებდი.

IV

ქუჩაში რომ გამოვედი, მარცხნივ გავუხვიე და გავწიე, საითაც თვალი მიმიწვდებოდა. თავში ყველაფერი ამერია. ნელა მოვდიოდი და, მგონი, საკმაოდ ბევრი გზაც გავიარე. ხუთასი ნაბიჯი მექნებოდა გამოვლილი, რომ უცებ ვიღაცამ მსუბუქად დამარტყა მხარზე. მოვიხედე და დავინახე ლიზა: წამომწეოდა და ოდნავ დამკრა ქოლგა. საშინლად მხიარული და ცოტაც ეშმაკური რაღაც გამოსჭვიოდა მის გაბრწყინებულ თვალებში.

- როგორ მიხარია, რომ აქეთ წამოხვედი, თორემ დღეს ვეღარ შეგხვდებოდი! - ჩქარი სიარულისაგან ცოტა სული ეხუთებოდა.

- რა მოგივიდა, ძლივს სუნთქავ.

- საშინლად მოვრბოდი, რომ დაგწეოდი.

- ლიზა, ახლა ხომ შენ გნახე?

- სად?

- თავადთან... თავად სოკოლსკისთან...

- არა, მე არ ვყოფილვარ, მე არ გინახავვარ...

გავჩუმდი და ათიოდე ნაბიჯი გავიარეთ. ლიზამ გულიანად გადაიკისკისა.

- მე ვიყავი, რა თქმა უნდა, მე ვიყავი! გამიგონე, აკი შენ თვითონ მნახე იქ, აკი თვალებში შევცქეროდით ერთმანეთს, რაღას მეკითხები, ხომ შენ გნახეო? რა ხასიათი გაქვს! იცი, შენ რომ ისე მომჩერებოდი თვალებში, ერთი გაცინება ქვეყანას მერჩივნა, ძალზე სასაცილოდ მომჩერებოდი.

და ლიზა ისევ აკისკისდა. ვიგრძენი, რომ გულში რაც კი ნაღველი მქონდა, ერთბაშად მომეშვა.

- მითხარი, გეთაყვა, საიდან გაჩნდი იქ?

- ანა ფიოდოროვნასთან ვიყავი.

- ანა ფიოდოროვნა ვინღაა?

- სტოლბეევა. ლუგაში რომ ვცხოვრობდით, მთელი დღე იმასთან ვიყავი ხოლმე; დედაჩემსაც იღებდა და ჩვენთანაც მოდიოდა. უნდა იცოდე, რომ ის იქ თითქმის არავისთან არ დადიოდა. ანდრეი პეტროვიჩის შორეული ნათესავია, თავად სოკოლსკებსაც ენათესავება, თავადს რაღაც ბებიად ეკუთვნის.

- მაშ, თავადთან ცხოვრობს?

- არა, თავადი ცხოვრობს მასთან.

- ბინა ვიღასია?

- სტოლბეევასია, აგერ წელიწადია, მისია მთელი ბინა. თავადი ესესაა, ჩამოვიდა და ანა ფიოდოროვნასთან ჩამოხდა. თვითონ ანა ფიოდოროვნაც სულ ოთხი დღეა, პეტერბურგში ჩამოვიდა.

- იცი რა, ლიზა, ჯანდაბას მისი ბინაც და თვითონაც.

- არა, თვითონ მშვენიერი ქალია...

- ეგრე იყოს! იმას რა ესწავლება! ჩვენ თვითონ ვართ მშვენივრები! ნახე, რა დღეა, რა კარგია! რა ლამაზი ხარ დღეს, ლიზა! თუმცა, რა გელაპარაკო, ნამდვილი ბავშვი ხარ!

- არკადი, გახსოვს ის ქალიშვილი, გუშინდელი.

- ახ, რა საცოდაობაა, ლიზა, რა საცოდაობაა!

- ახ, რა საცოდაობაა! რა ბედისა ყოფილა! იცი, ცოდვაც კია, ჩვენ რომ ასე მხიარულნი მივდივართ, მისი ცოდვილი სული კი მიჰქრის საღღაც წყვდიადში, უძირო წყვდიადში, მთელი თავისი ტკივილითა და შეურაცხყოფით... არკადი, ვინ დაიდო მისი ცოდვა? ახ, რა საშინელებაა! გიფიქრია ოდესმე იმ წყვდიადზე? ახ, როგორ მეშინია სიკვდილის და რა დიდი ცოდვაა ეს შიში! არ მიყვარს სიბნელე, აბა, რა შეედრება ასეთ მზეს! დედა მეუბნება, შიში დიდი ცოდვააო... არკადი, კარგად იცნობ დედას?

- ჯერ არა, ლიზა, ჯერ ცოტათი ვიცნობ.

- ახ, რა ადამიანია; უნდა გაიცნო, უსათუოდ უნდა გაიცნო! მას თავ-ისებურად უნდა გაუგო...

- აკი შენც არ გიცნობდი, ახლა კი თავიდან ბოლომდე გიცნობ. ერთ წუთში მთლიანად გაგიცანი. შენ, ლიზა, თუმცა სიკვდილის გეშინია, მაგრამ ამაყი ხარ, გაბედული და ყოჩაღი. ჩემზე უკეთესი ხარ, ბევრად მჯობიხარ! ძალიან მიყვარხარ, ლიზა. ახ, ლიზა! დაე, მოვიდეს სიკვდი-ლი, როცა საჭირო იქნება, მანამდე კი ვიცოცხლოთ, ვიცოცხლოთ! ის საცოდავი ქალი დავინანოთ, მაგრამ სიცოცხლე მაინც დავლოცოთ, ხომ? ხომ ასეა? მე მაქვს „იდეა“, ლიზა. ლიზა, ხომ იცი, რომ ვერსილ-ოვმა უარი თქვა მემკვიდრეობაზე?

- როგორ არ ვიცი! მე და დედამ სიხარულით ერთმანეთი გადავკო-ცნეთ.

- შენ არ ჩაგიხედავს ჩემს გულში, ლიზა, შენ არ იცი, რას ნიშნავდა ჩემთვის ეს კაცი!..

- ეგრე გეგონოს! ყველაფერიც ვიცი!

- ყველაფერი იცი? თუმცა რა საკითხავია! შენ ჭკვიანი ქალი ხარ; ვასინზე უფრო ჭკვიანი. შენ და დედაჩემს გულში ჩამწვდომი, ჰუმანური თვალები გაქვთ. ვტყუი: თვალები კი არა, გამოხედვა... მე ბევრი სიგ-ლახე მჭირს, ლიზა!

- მაგარი ხელი გაკლია და ეგ არის! ვინმემ უნდა მოგკიდოს ხელი!

- შენ მომკიდე, ლიზა. რა კარგი სანახავი ხარ დღეს. თუ იცი, რომ ძალზე ლამაზი ხარ? დღემდე არ მენახა შენი თვალები... დღეს პირვ-ელად ვხედავ... სად იშოვე დღეს ეგ თვალები, ლიზა? სად იყიდე? რა დაგიჯდა? ლიზა, მე მეგობარი არ მყოლია და ეს იდეა სისულელედაც მიმაჩნია; მაგრამ შენთან მეგობრობა სისულელე არაა... გინდა, ვიმე-გობროთ? ხომ გესმის, რისი თქმა მინდა?...

- ძალიანაც მესმის.

- და იცი, მოდი, ნურც პირობას დავდებთ და ნურც კონტრაქტს - უბრალოდ, დავმეგობრდეთ!

- ჰო, უბრალოდ, უბრალოდ, ოღონდ ერთი პირობით: თუ ოდესმე ერთმანეთს რამეში ბრალს დავდებთ, რამეთი უკმაყოფილონი ვიქნებით, თუ გავბოროტდებით და წავხდებით, დავივიწყებთ ყოველივე ამასაც კი, - ნურასოდეს ნუ დავივიწყებთ ამ დღეს და ამ საათს! მივცეთ ჩვენს თავს ამის პირობა. მივცეთ სიტყვა, რომ მუდამაც გავიხსენებთ ამ დღეს, როცა აი, ასე მივდიოდით მე და შენ ხელიხელჩაკიდებულნი, ასე ვიცინოდით, და მხიარულნი ვიყავით... კარგი? ხომ?

- ჰო, ლიზა, ჰო, და ვფიცავ კიდეც; მაგრამ იცი, ლიზა, ასე მგონია, პირველად გისმენ... ბევრი წაგიკითხავს?

- აქამდე არც გიკითხავს! მხოლოდ გუშინ მაღირსეთ პირველად თქვენი ყურადღება, მოწყალეო ხელმწიფევ, ბატონო ბრძენო, როცა ერთი სიტყვა შემეშალა.

- მერე შენ რაღას უყურებდი, რატომ არ გამომელაპარაკე, თუ მე ასეთი ბაიყუში ვიყავი?

- იმას ვუყურებდი, ჭკუაზე როდის მოვა-მეთქი... თავიდან ბოლომდე გნახეთ და გამოგიცანით, არკადი მაკაროვიჩ, და როგორც კი გამოგიცანით, მას აქეთ ვთქვი ჩემს გულში: „ხომ მოვა თვითონ, ხომ უსათუოდ იმით გაათავებს, რომ მოვა“, - ჰოდა, გადავწყვიტე, თქვენთვის დამეთმო ეს პატივი, რათა თქვენ თვითონ გადმოგედგათ პირველი ნაბიჯი: „არა, გეთაყვა, ახლა შენ თვითონ მდიე-მეთქი“!

- აი, შე პრანჭია! აბა, ლიზა, დაუფარავად მითხარი: დამცინოდი ამ ერთ თვეს თუ არა?

- ოხ, ძალზე სასაცილო ხარ, არკადი, საშინლად სასაცილო! და იცი რა, იქნებ ყველაზე მეტად იმიტომაც მიყვარდი მთელი ეს ერთი თვე, რომ ასეთი უცნაური ვინმე ხარ. მაგრამ ბევრ რამეში ცუდი უცნაური ხარ, - ამას იმიტომ გეუბნები, რომ თავს არ გახვიდე. კიდევ ვინ დაგცინოდა, იცი? დედა დაგცინოდა, ჩემთან ერთად დაგცინოდა: „რა უცნაური ვინმეა, ერთი უყურე, რა უცნაურია!“ - ვეჩურჩულებოდით ერთმანეთს! შენ კი იჯექი ამ დროს და ფიქრობდი, რომ შენი შიშით კანკალი გვაქვს ავარდნილი...

- ლიზა, რას ფიქრობ ვერსილოვზე?

- ძალიან ბევრს ვფიქრობ; მაგრამ იცი, რას გეტყვი? მოდი, ახლა ნურაფერს ვიტყვით მასზე. დღეს ნუ ვილაპარაკებთ, კარგი?

- კეთილი! საშინლად ჭკვიანი ხარ, ლიზა! ნამდვილად ჩემზე უფრო ჭკვიანი ხარ. მაცალე, ლიზა, მოვრჩები ყოველივე ამას და მაშინ იქნებ გითხრა კიდეც რაღაც...

- რად მოიღუშე?

- არა, არ მოვიღუშე, ლიზა, ოღონდ... იცი რა, ჯობია, გამოვტყდე და გითხრა: ისეთი ხასიათი მაქვს, რომ არ მიყვარს, როცა თითებით ეხებიან ჩემი სულის სიმებს... ან, უკეთ რომ გითხრა, ხშირად ზოგიერთი გრძნობის საჯაროდ გამოფენა, აჰა, მოდით, ყველანი დატკბითო, ხომ სირცხვილია, არა? ამიტომაც ხანდახან მოღუშვა და დუმილი უფრო მიყვარს; შენ ჭკვიანი ხარ, უნდა მიმიხვდე.

- რა უშავს მერე, მეც ეგეთი ვარ; ყველაფერს მიგიხვდი. იცი, რომ დედაც ეგეთია?

- ახ, ლიზა! ნეტავ როგორმე დიდხანს გვაცოცხლა ამქვეყნად! ა? რა თქვი?

- მე არაფერი მითქვამს.

- მე მიყურებ?

- შენც ხომ მიყურებ. გიყურებ და მიყვარხარ.

თითქმის სახლამდე მივაცილე და ჩემი მისამართი მივეცი. გამოთხოვებისას, პირველად ჩემს სიცოცხლეში, ვაკოცე...

V

ყველაფერი ეს ძალიან კარგი იქნებოდა, ოღონდ ერთი რამ იყო ცუდი - წუხანდელს აქეთ მაწუხებდა და თავიდან არ მშორდებოდა ერთი მძიმე იდეა; როცა წუხელ ჩვენს ჭიშკართან შევხვდი იმ საცოდავ გოგონას, ვუთხარი, მეც მინდა გავეცალო ამ სახლს, ამ ბუდეს; რომ ბოროტები უნდა დატოვო და შექმნა საკუთარი ბუდე, და რომ ვერსილოვს ბლომად ჰყავს უკანონო შვილები. ასეთი სიტყვები, შვილისგან მამაზე ნათქვამი, რასაკვირველია, კიდევ უფრო განუმტკიცებდნენ იმ ეჭვებს, რაც ვერსილოვის მიმართ აღძროდა და იმას, რომ ვერსილოვმა შეურაცხყო. მე ბრალს ვდებდი სტებელკოვს, მაგრამ იქნებ მთავარი დამ-

ნაშავე მე ვიყავი, იქნებ მე დავასხი ცეცხლზე ნავთი. ეს ფიქრი საშინელი იყო, საშინელია ახლაც... მაგრამ მაშინ, იმ დილას, თუმცა უკვე ვიტანჯებოდი, მაინც მეგონა, რომ ეს სისულელეა: „ე, უჩემოდაც „საკმაოდ დაუდუღდათ დარდი და სიმწარე“, - ვიმეორებდი დროდადრო. - ე, არაფერია, გაივლის! გამოვსწორდები! ამ საქციელს გამოვისყიდი როგორმე... რაიმე კეთილი საქმით... ჯერ ხომ ორმოცდაათი წელიწადი წინაა!“

მაგრამ ეს იდეა მაინც არ მშორდებოდა.

ნაწილი მეორე - თავი პირველი - I

ახლა უნდა გადავახტე თითქმის ორ თვეს; ეს ნუ შეაშფოთებს მკითხველს: ყველაფერი ნათელი გახდება, როცა თხრობას განვაგრძობ. მკვეთრად აღვნიშნავ თხუთმეტი ნოემბრის დღეს - მრავალი მიზეზის გამო, ჩემთვის მეტად სამახსოვრო დღეს. ჯერ ერთი, ვისაც კი ამ ორი თვის წინათ ვუნახავვარ, ვეღარ მიცნობს; ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად მაინც, ესე იგი, ცნობით კი მიცნობს, მაგრამ თავგზა აებნევა. ერთი ისაა, რომ ფრანტივითა ვარ გამოწყობილი. იმ „კეთილსინდისიერმა და გემოვნებიანმა თერძმა“, ვერსილოვი რომ მეუბნებოდა ოდესღაც, მიგასწავლიო, თავით ფეხებამდე რომ გამომაწყო, იმას აღარც ვკადრულობ: ახლა სხვა, უფრო სახელგანთქმული, საუკეთესო თერძები მიკერავენ და, ასე განსაჯეთ, ანგარიშიც კი მაქვს მათთან გახსნილი. ერთ განთქმულ რესტორანშიც მაქვს პირადი ანგარიში, მაგრამ აქ ჯერ მაინც ვშიშობ და, ფული ჩამივარდება თუ არა ხელში, მაშინვე ვისტუმრებ რესტორნის ვალს, თუმცა ვიცი, რომ ეს მოვეტონია (ცუდი ტონი (ფრანგ.).), და რომ ამით სახელსაც კი ვიტეხ. ნევის პროსპექტზე რომ ფრანგი დალაქია, ძმაკაცურად მეპყრობა და, როცა მასთან თმას ვიკრეჭ, ანეკდოტებს მიყვება ხოლმე. და, გამოგიტყდებით, მასთან ლაპარაკით ფრანგულშიც ვიწაფავ ენას. თუმცა ვიცი ფრანგული, საკმაოდ კარგადაც, მაგრამ დიდ საზოგადოებაში ჯერ მაინც ვერ ვბედავ საუბრის დაწყებას; თანაც ალბათ არც გამოთქმა მექნება მთლად პარიზული. მყავს მატვეი, მეეტლე, თოხარიკი ცხენი, და როცა კი ვეტყვი, მუდამ მზადაა, მემსახუროს. ბაცი ქურანი ულაყი ჰყავს (არ მიყვარს რუხი ცხენები). თუმცა, ზოგი რამ ჯერაც მოუგვარებელი მაქვს: თხუთმეტი ნოემბერია, უკვე სამი დღეა, დაზამთრდა, მე კი ენოტის ძველი, ვერსილოვის ნახმარი ქურქი მაცვია: გაყიდვაზე რომ მიდგეს საქმე, ოცდახუთ მანეთზე მეტს არ მომცემენ. ახალი მაქვს საყიდელი, ჯიბეში კი გროში არ მიჭყავის. ეგეც არ იყოს, დღესვე, რადაც უნდა დამიჯდეს, უნდა გავაჩინო ამ საღამოსთვის საჭირო ფული, - თორემ „უბედური ვიქნები და დავიღუპები“; ეს ჩემი საკუთარი, მაშინდელი გამოთქმაა. ო, სიმდაბლევ! რა მოხდა, საიდან გამოჩნდა უცებ ეს ათასები, ეს ცხენები და ბორელები (ბორელი - ფრანგული გვარი; მის ერთ-ერთ წარმომადგენელს პეტერბურგში ცნობილი რესტორანი ჰქონდა.)? როგორ მოხდა, რომ ასე ერთბაშად დავივიწყე ყველაფერი და ასე გამოვიცვალე? ვაი, სირცხვილო! მკითხველო, ახლა ვიწყებ ჩემი სირცხვილისა და თავის მოჭრის ისტორიას, და ქვეყნად არაფერი აღარ იქნება ჩემთვის ამ მოგონებებზე უფრო სამარცხვინო!

ისე ვლაპარაკობ, ვითარცა მსაჯული, და ვიცი, რომ დამნაშავე ვარ. იმ ორომტრიალში რომ ჩავები, თუმცა მარტოკა ვიყავი, არც ხელმძღვანელი მყოლია ვინმე და არც მრჩეველი, მაგრამ ვფიცავ, უკვე მესმოდა ჩემი დაცემა, და ამიტომ არ არსებობს ჩემთვის პატიება. თან მთელი ეს ორი თვე თითქმის ბედნიერი ვიყავი, - „თითქმის“ რას მიქვია? ძალიანაც ბედნიერი ვიყავი! იმდენადაც, რომ, როცა წუთით (რა ხშირი იყო ეს წუთები!) გამიელვებდა, სამარცხვინო საქმეს ჩავდივარ-მეთქი, როცა ეს შეგნება სულს შემიძრავდა, - სწორედ ეს შეგნება - დამიჯერებთ? - კიდევ უფრო მაბრუებდა: „რა მოხდა, თუ დაცემაა, დაცემა იყოს; მაინც არ დავეცემი, გამოვძვრები! ისეთ ვარსკვლავზე ვარ დაბადებული!“ - ნაფოტით ნაგებ ვიწრო და უმოაჯირო ხიდით გავდიოდი ზედ უფსკრულის თავზე, და გულს უხაროდა, ასე რომ მივდიოდი; უფსკრულსაც კი ჩავხედავდი ხოლმე. რისკი იყო, სიხარული იყო. „იდეა“ რაღა იქნა? „იდეა“ მერე, იდეა დაიცდის; ყოველივე, რაც იყო, - „იყო მხოლოდ გვერდზე გადახვევა“. „ვითომ რატომ არ უნდა გავერთო?“. კიდევ ვიმეორებ, აი სწორედ ამითაა ცუდი „ჩემი იდეა“, რომ დასაშვებს ხდის ყოველგვარ გადახვევას; ეს იდეა ასე მტკიცე და რადიკალური არ ყოფილიყო, იქნებ შემშინებოდა კიდეც.

ჯერჯერობით კი კვლავ დაქირავებული მქონდა ჩემი უბადრუკი ოთახი. დაქირავებული მქონდა, მაგრამ იქ არც კი ვცხოვრობდი; იქ ეწყო ჩემი ჩემოდანი, ხელჩანთა და ზოგიც სხვა რაღაცები; მთავარი რეზიდენცია კი თავად სერგეი სოკოლსკისთან მქონდა. ხანდახან მთელი კვირა მასთან ვიჯექი, მასთანვე მეძინა... როგორ მოხდა ეს, ამას ახლავე მოგახსენებთ, ჯერ კი ჩემი ბინის შესახებ მინდა გითხრათ. ეს ბინა ჩემთვის უკვე ძვირფასი იყო: აქ მეწვია ვერსილოვი თვითონ, ჩვენი მაშინდელი წაკიდების შემდეგ პირველად, და მერეც მრავალჯერ მოსულა. ვიმეორებ, ჩემი ცხოვრების ეს ხანა საშინელი შერცხვენა და თავის მოჭრა იყო, მაგრამ უდიდესი ბედნიერებაც... თანაც მაშინ ყველაფერში მიმართლებდა, ყველაფერი შემომღიმოდა! „ან კი რა საჭირო იყო ის ჩემი ადრინდელი უცხვირპირობა, - ვფიქრობდი ზოგჯერ, ნეტარების წუთებში, - რა საჭიროა ის ძველი ავადმყოფური გამწარება და გულმდუღარება, ჩემი ობოლი და კუშტი ბავშვობა, ჩემი სულელური ოცნებები საბანქვეშ, ფიცი, ანგარიშსწორება და თუნდაც „იდეა“? ეს სულ ჩემი წარმოდგენით შექმნილი და შეთხზული რამაა, რეალურად კი თურმე სულ სხვა რამ ყოფილა; ხომ გახარებული ვარ ახლა და შვებამოგვრილი: მყავს მამა - ვერსილოვი, მყავს მეგობარი - თავადი სერიოჟა, გარდა ამისა...“, მაგრამ „გარდა ამისას“ შევეშვათ. ვაგლახ, ყველაფერს სიყვარულის, დიდსულოვნებისა და ღირსების გულისთვის

ჩავდიოდი, და ყველაფერი უმსგავსი, უტიფარი და უღირსი კი გამოდ-
გა.

კმარა.

II

ის ჩვენი მაშინდელი წაკიდების მესამე დღეს მოვიდა ჩემთან. შინ არ ვიყავი და დამელოდა. შინ არ ვიყავი და დამელოდა. მთელი ის სამი დღე ხომ ველოდი, მაგრამ ჩემს მოციცქულ სენაკში რომ შევედი, თვალთ დამიბნელდა და გულმა ისეთნაირად შემომკრა, შევჩერდი კიდევაც კართან. საბედნიეროდ, იგი ჩემი ბინის პატრონს ემუსაიფებოდა, რომელსაც საჭიროდ ჩაეთვალა, მყისვე გასცნობოდა, ემანდ სტუმარმა არ მოიწყინოსო, და ახლა გაცხარებით უყვებოდა რაღაცას. ეს გახლდათ ტიტულოვანი მრჩეველი, ორმოც წელს მიღწეული კაცი, ძალზე ჩოფურა, ღარიბი, ჭლექიანი ცოლისა და ავადმყოფი ბავშვის პატრონი; მეტად გულზიარი და თვინიერი, თანაც საკმაოდ მორიდებულიც. გამიხარდა მისი იქ ყოფნა, მან მიხსნა კიდეც, თორემ, აბა რა უნდა მეთქვა ვერსილოვისთვის? მთელი ეს სამი დღე ვიცოდი, სერიოზულად ვიცოდი, რომ ვერსილოვი პირველი თვითონ მოვიდოდა, - სწორედ ისე, როგორც მე მინდოდა, რადგან ქვეყნად არაფრის გულისთვის არ მივიდოდი პირველი. განა იმიტომ, რომ გავჭირვეულდებოდი, არამედ სწორედ იმიტომ, რომ მიყვარდა, რაღაცნაირად ეჭვიანად მიყვარდა, - ვერ გამომითქვამს ეს გრძნობა. და საერთოდ, მკითხველი ნუ ეძებს ჩემს ნაამბობში მჭევრმეტყველებას. მიუხედავად იმისა, რომ მთელი სამი დღე ველოდი და განუწყვეტლივ იმის წარმოდგენაში ვიყავი, როგორ შემოვა-მეთქი, წინასწარ მაინც ვერაფრით წარმომედგინა, თუმცა ტვინს ვიჭყლეტდი, რაზე უნდა დავიწყოთ ლაპარაკი მას მერე, რაც მაშინ მოხდა-მეთქი.

- აი, შენც მოხვედი, - მეგობრულად გამომიწოდა ხელი დამჯდარმა. - მოდი, შემოგვიერთდი; საუცხოო რამეს მიამბობს პიოტრ იპოლიტოვიჩი იმ ლოდზე, პავლეს ყაზარმებთან რომაა... თუ სადღაც აქვე...

- დიახ, ვიცი ეგ ლოდი, - საჩქაროდ მივუგე და მათ გვერდით, სკამზე ჩამოვჯექი. ისინი მაგიდას უსხდნენ. მთელი ოთახი ზუსტად ორსაჟენიანი ოთხკუთხედი იყო. სული ძლივს მოვითქვი.

ვერსილოვს კმაყოფილების ნაპერწკალი გაუკრთა თვალებში: მგონი, ეჭვობდა, დაიწყებს ახლა ჟესტების გამოყენებასო. იგი დამშვიდდა.

- მოდით, თავიდან დაიწყეთ, პიოტრ იპოლიტოვიჩ, - ისინი უკვე სა-

ხელითა და მამის სახელით მიმართავდნენ ერთმანეთს.

- ეს ამბავი, თქვენ ხართ ჩემი ბატონი, მაშინ მოხდა, როცა ცხონებული ხელმწიფე ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, - ნერვიულად და გატანჯული სახით მომიბრუნდა პიოტრ იპოლიტოვიჩი, თითქოს წინასწარ იტანჯება, ეფექტს მოვახდენ თუ არაო, - ხომ იცით ის ლოდი - შტერულად გდია ქუჩაში, რისი მაქნისია, ვის უნდა, უშლის ყველას და ეგ არის, არა? გაივლიდა ხელმწიფე, ლოდი იქ ეგდო; გამოივლიდა - ისევ თვალში ეჩხირებოდა. ბოლოს მოჰბეზრდა, და მართლაც, აბა, რას ჰგავს: მთასავით წამოყუდებულა ქუჩაში და აუშნოებს იქაურობას: „აღარ ვნახო აქ ეს ლოდიო!“. ჰოდა, აღარ ვნახოო, თქვა, - ხომ გესმით, რას ნიშნავს ეს „აღარ ვნახოო?“ გახსოვთ, რა ხასიათის იყო განსვენებული? რა მოუხერხონ ახლა ამ ლოდს? ყველა საგონებელს მიეცა, შეიქნა ერთი ამბავი. აქ ქალაქის სათათბირო დატრიალდა, იქ კიდევ, აღარ მახსოვს სახელი, ერთი იმდროინდელი ყველაზე პირველი დიდებული, რომელსაც ეს საქმე დააკისრეს. ჰოდა, თქვენ ხართ ჩემი ბატონი, ამ დიდებულს მოახსენეს: თხუთმეტი ათასზე ნაკლები არ ეყოფა ამ საქმეს, ისიც ვერცხლითო (იმიტომ, რომ ცხონებული ხელმწიფის დროს ასიგნაციები ვერცხლზე გადაიყვანეს). „რის თხუთმეტი ათასი, რას მიჰქარავთო!“ ჯერ იყო და, ინგლისელებმა დააპირეს, გავიყვანოთ ზედ ლოდთან ლიანდაგი, დავდოთ ის ლოდი და ორთქლით დავძრათო; მაგრამ ხომ ცეცხლის ფასი დაუჯდებოდათ? რკინიგზა მაშინ სად იყო, მარტო ცარსკოე სელოში იყო გაყვანილი...

- ისინიც ამდგარიყვნენ და გაეხერხათ, - მოვიღუშე მე; ბრაზი მომდიოდა და მრცხვენოდა ვერსილოვის; მაგრამ ვერსილოვი აშკარა სიამოვნებით უსმენდა. კარგად მესმოდა და ვხედავდი, რომ მასაც უხაროდა ბინის პატრონის იქ ყოფნა, რადგან მასაც რცხვენოდა ჩემთან დარჩენის; მახსოვს, გულიც კი ამიჩვილდა, ეს რომ შევნიშნე.

- სწორედ რომ უნდა გაეხერხათ, სწორედ ეგ იდეა დაებადათ და სწორედ მონფერანს (არქიტექტორი, რომლის პროექტითაცაა აშენებული მრავალი ღირსშესანიშნავი შენობა მოსკოვსა და პეტერბურგში.); ის ხომ მაშინ ისააკის ტაძარს აშენებდა. გავხერხოთ და მერე გადავიტანოთო. კეთილი, ბატონო, მაგრამ ამას რა ფული დასჭირდებოდა?

- არაფერიც არ დასჭირდებოდა, გაეხერხათ და გაეტანათ.

- ერთი ეს მიბრძანეთ, ორთქლის მანქანა ხომ დასჭირდებოდათ, ანდა სად უნდა წაეღოთ? თანაც ამოდენა მთა? ათი ათასი მაინც დაჯდე-

ბა, ათი ან თორმეტი ათასიო, - გაიძახოდნენ.

- მოიცათ, პიოტრ იპოლიტოვიჩ, ეგ ხომ სისულელეა, ეგრე არ ყოფილა... - მაგრამ ამ დროს ვერსილოვმა ჩუმად თვალი ჩამიკრა და ამ თვალის ჩაკვრაში ბინის პატრონისადმი ისეთი სათუთი სიბრალული, ასე განსაჯეთ, მისი გულისთვის ტანჯვაც კი დავინახე, რომ საშინლად მომეწონა და გამეცინა.

- დიახ, დიახ, მაგას მოგახსენებთ, - გაიხარა ბინის პატრონმა, რომელმაც ვერაფერი შენიშნა და, როგორც ამბების მოყოლის მოყვარულ ადამიანებს სჩვევიათ, საშინლად ეშინოდა, ემანდ არ დამაბნიონ შეკითხვებითო. - ოღონდ სწორედ ამ დროს მიუახლოვდა მათ ერთი მდაბიო ახალგაზრდა, ნამდვილი რუსი კაცი, თხაწვერა; გრძელკალთებიანი ხიფთანი ეცვა და მგონი, ცოტა გადაკრულშიც გახლდათ... თუმცა, არა, არ ყოფილა; დგას და უსმენს ინგლისელებისა და მონფერანის ლაპარაკს. ის პირიც, ვისაც ეს საქმე ჰქონდა დაკისრებული, ეტლით მობრძანდა, ყურს უგდებს და ბრაზობს: რა გახდა ეს საქმე, რომ ვერ იქნა და ვერ გადაუწყვეტიათო; უცებ გაიხედა და ხედავს, ის მდაბიო განზე გამდგარა და ეგრე ტყუილის ღიმილით იღიმება. ტყუილის კი არა, სწორად ვერა ვთქვი, ოღონდ...

- დაცინვით, - ფრთხილად შეეშველა ვერსილოვი.

- დიახ, დაცინვით, ცოტათი დაცინვით, ხომ იცით ის კეთილი რუსული ღიმილი. ის დიდკაცი ჯერ ისედაც ვერ იყო გუნებაზე, ხომ მოგეხსენებათ: „აქ რა გესაქმება, წვერიანო? ვინა ხარო?“

- აიო, - ეუბნება, - ამ კენჭს ვუყურებ, თქვენო ბრწყინვალებავ!..

მგონი, სწორედ ბრწყინვალება გახლდათ; მგონი სულაც თავადი სუვოროვი იყო, იტალიელი, მთავარსარდლის შთამომავალი... თუმცა არა, სუვოროვი არ უნდა ყოფილიყო, რა ღმერთი გამიწყრა, რამ დამავიწყა, ვინ იყო. ეს კია, რომ თუმცა ბრწყინვალება ბრძანდებოდა, ოღონდ წმინდა წყლის რუსი კაცი იყო, აი, რუსული ტიპი, პატრიოტი, განვითარებული რუსული გული. ჰოდა, მიუხვდა.

- ვითომ რაო, - უთხრა, - იქნებ შენ გადაიტან: რას იღრიჭებიო?

- ინგლისელები უფრო ძვირი დაგიჯდებათ, თქვენო ბრწყინვალებავ, ძალზე უნამუსო ფასს ადებენ; რა ენაღვლებათ, რუსებს ქისა სავსე აქვთ, მაგათ კი შინ ლუკმაპური მონატრებიათ. ათი თუმანი მიბოძეთ,

თქვენო ბრწყინვალებავ და ხვალ საღამოს ეს ლოდი აქ აღარ დაგხვდებათო.

თქვენ თვითონ ბრძანეთ, რას ეტყოდნენ ამ წინადადებაზე. გაგიხარია, გუნება გაუფუჭდათ ინგლისელებს, შესაჭმელად არ ენანებათ ის კაცი; მონფერანი იცინის; მარტო მისმა ბრწყინვალებამ, იმ რუსულმა გულმა ბრძანა: „მიეცით ათი თუმანი! ნუთუ მართლა გადაიტანო?“

- ხვალ საღამოს ისე იქნება აქაურობა, როგორც თქვენს გულს გაუხარდება, თქვენო ბრწყინვალებავ!

- როგორ იზამ მაგ საქმეს?

- ეგ კი, თუ თქვენი ბრწყინვალება არ გამიწყრება, ჩვენი საიდუმლოაო, - ეუბნება აი, ისეთი, ხომ იცით, ჩვენებური რუსული ენით. მოუწონა: „ჰეი, მიეცით, რასაც ითხოვსო!“. ადგნენ და წავიდნენ; როგორ ფიქრობთ, რა ქნა?

ბინის პატრონი შეჩერდა და გულაჩვილებული მზერა მოგვავლო.

- არ ვიცი, - იღიმებოდა ვერსილოვი, მე ვიბღვირებოდი.

- აი, რა ქნა, თქვენ ხართ ჩემი ბატონი, - ისეთი ზარზეიმით წარმოთქვა პიოტრ იპოლიტოვიჩმა, თითქოს მას გაეკეთებინოს ის საქმე: - დაიქირავა რამდენიმე უბრალო, ნამდვილი რუსი გლეხკაცი თავიანთი ბარებით და ზედ ლოდის პირას დაიწყეს ორმოს თხრა. მთელი ის ღამე თხარეს. უზარმაზარი, სწორედ იმ ლოდისოდენა ორმო ამოთხარეს, მარტო ერთი გოჯით იყო ცოტათი უფრო ღრმა. თხრას რომ მორჩნენ, ახლა უკვე თვითონ ლოდის ქვეშ დააწყებინა მიწის გამოთხრა ნელ-ნელა და ფრთხილად. ბუნებრივია, როგორც კი გამოთხარეს, ქვა აბა რაღაზე გაჩერდებოდა, წონასწორობა ხომ შეერყა; ხოლო რაკი წონასწორობა შეერყა, ისინიც ადგნენ და ახლა ხელებით მიაწვნენ ლოდს მეორე მხრიდან; რუსულად, ერთი გაწევით მიაწვნენ: ბრახ და ორმოში მოადინა ბრაგვანი ლოდმა! მაშინვე ნიჩბებით წააყარეს მიწა, სატკეპნით დატკეპნეს, ქვებით მოკირწყლეს - სადღაა ლოდი, მოკრიალებულია იქაურობა!

- წარმოგიდგენიათ?! - თქვა ვერსილოვმა.

- შეგროვდა ხალხი, მაგრამ რა ხალხი, თვალს ვერ უწვდენდა კაცი; ის ინგლისელებიც იქვე დგანან, კარგა ხანია, მიხვდნენ და გულზე სკ-

დებიან; მონფერანიც მობრძანდა: ეგაო, თქვა, გლეხკაცურია, მეტისმეტად იოლიაო. საქმეც ისაა, რომ იოლია, თქვენ კი ვერ მიხვდით, თქვე ბრიყვებო! ახლა არ იკითხავთ, იმ უფროსმა, სახელმწიფო კაცმა რა ქნა? გადაეხვია, გადაკოცნა: „კაცი შენა ყოფილხარ; ვინა ხარ და სადაურიო?“ - „იაროსლავლის გუბერნიიდან ვარ, თქვენო ბრწყინვალებავ. ჩვენ, კაცმა რომ თქვას, ხელობით თერძი გახლავართ, ზაფხულობით კი ქალაქს მოვდივართ ხილის გასაყიდადო“. ეს ამბავი უფროსებმაც შეიტყვეს; ბრძანეს, მედალი დაჰკიდეთ გულზეო; ეგრე დადიოდა, გულზე მედალჩამოკიდებული, მაგრამ ამბობენ, გალოთდაო; მოგეხსენებათ რუსი კაცის ხასიათი, ვერ შეიკავებს თავს! ამისგანაც გვჭირს, რომ დღემდე სულ უცხოელები გვჭამენ, დიახ, ჩემო ბატონო!

- დიახ, რა თქმა უნდა, რუსული ჭკუა... - წამოიწყო ვერსილოვმა.

მაგრამ, საბედნიეროდ, პიოტრ იპოლიტოვიჩს მისმა სნეულმა ცოლმა დაუძახა და ისიც გაიქცა, თორემ თავს ვეღარ შევიკავებდი. ვერსილოვი სიცილით კვდებოდა.

- ჩემო კარგო, მთელი ერთი საათი მართობდა, სანამ შენ მოხვიდოდი. ეს ლოდი... უფრო პატრიოტულად უთავბოლო არაფერია ამგვარ ამბებში, მაგრამ, აბა, როგორ უნდა შეაწყვეტინო: ხომ ნახე, რარიგ ნეტარებდა. ეგეც არ იყოს, ის ლოდი, მგონი, დღესაც იქ ძევს, თუ არ ვცდები, და სულაც არ ჩაუგდიათ ორმოში...

- ახ, ღმერთო ჩემო! - წამოვიძახე, - ეგ ხომ მართლაც ეგრეა. როგორ გაბედა!..

- რა დაგემართა? შენ, მგონი, მართლაც აღშფოთებული ხარ. კარგი ერთი, თუ ღმერთი გწამს. ნამდვილად აერია: რაღაც მაგდაგვარი ჩემს ბავშვობაში გამიგონია რომელიღაც ლოდის შესახებ, ოღონდ, ცხადია, არა ეგეთი ამბავი და არა ამ ლოდის შესახებ. რას ამბობ: „უფროსებმაც შეიტყვეს“. ხომ ნახე, რა დღეში იყო, სული უმღეროდა, როცა „უფროსებს შეატყობინა“. მაგ ბედშავებს უამისობა არ შეუძლიათ. მსგავსი ანეკდოტები ბლომად აქვთ, თანაც - სულ თავშეუკავებლობისაგან სჭირთ ეს. თავის დღეში არაფერი უსწავლიათ, დანამდვილებით არაფერი იციან, ჰოდა, ბანქოსა და დაწინაურებათა შესახებ საუბრის გარდა, მოუნდება ხოლმე კაცს ხანდახან წაიმასლაათოს ზოგადსაკაცობრიო, პოეტურ რამეზე... ვინ არის ეგ პიოტრ იპოლიტოვიჩი, რა მოხელეა?

- ერთი ღარიბ-ღატაკი, უბედური კაცია.

- ხომ ხედავ; ვინ იცის, იქნებ ბანქოსაც კი არ თამაშობს. ვიმეორებ, ამ აბდაუბდას რომ გვიამბობს, ამითი იკმაყოფილებს მოყვასის სიყვარულს: მას ხომ ჩვენი გაბედნიერებაც უნდოდა. პატრიოტიზმის გრძნობაც დაიკმაყოფილა; მაგალითად, მაგათ ასეთი ანეკდოტიც აქვთ, თითქოს ინგლისელებმა მილიონიც კი შეაძლიეს ზავიალოვს, ოღონდ შენს საქონელს შენი ნიშანი არ დაადოო...

- ახ, ღმერთო, ეგ ანეკდოტი მეც გამიგონია.

- ვის არ გაუგონია; ისიც, როცა გიამბობს, ნამდვილად დარწმუნებულია, გაგონილი ექნებაო, მაგრამ მაინც გიამბობს, განგებ წარმოიდგენს, რომ არ გაგიგონია. შვედების მეფის ზმანება, მგონი, უკვე მოუძველდათ; ჩემს ყმაწვილკაცობაში კი ნეტარებით იმეორებდნენ, თანაც ისეთივე იდუმალი ჩურჩულით ჰყვებოდნენ, როგორც იმ ამბავს, თითქოს ამ საუკუნის დასაწყისში ვიღაცა მუხლმოყრილი იდგა სენატში სენატორების წინო. კომენდანტ ბაშუცკიზეც ბლომად დადიოდა ანეკდოტები იმის თაობაზე, თუ როგორ წაიღეს ძეგლი. ასეთ ხალხს საშინლად უყვარს სამეფო კარის ამბების მოყოლა; მაგალითად, ჰყვებიან წინა მეფის მინისტრის, ჩერნიშევის, ამბებს, თუ როგორ ახერხებდა, სამოცდაათი წლისას დამსგავსებოდა და თვით ცხონებული ხელმწიფეც კი, საზეიმო გამობრძანების დროს, გაოცებას იყო ხოლმეო...

- ეგეც გამიგონია.

- ვის არ გაუგონია? ყველა ეს ანეკდოტი უთავბოლობის მწვერვალია, მაგრამ იცოდე, რომ ასეთი უთავბოლო ტიპი გაცილებით უფრო ძლიერ და ბლომადაა გავრცელებული, ვიდრე ჩვენ გვგონია. ჩვენს ყველაზე წესიერ საზოგადოებაშიც კი წააწყდები ადამიანებს, ვისაც სურთ იცრუონ, რათა გააბედნიერონ მოყვასი, ვინაიდან ყველას გვჭირს ეს თავშეუკავებლობა გულისა. ოღონდ ჩვენ სხვა ხასიათის ამბები ვიცით; ჯერ მარტო ამერიკა აიღე, რაებს ჰყვებიან ამერიკაზე - გაგიჟდება კაცი, თანაც სულ სახელმწიფო მოხელეები! გამოგიტყდები, მეც ამ უთავბოლოთა ტიპს მივეკუთვნები და მთელი სიცოცხლე სულ წაგებას ვიყავი ამის გამო...

- ჩერნიშევზე მეც ხშირად მომიყოლია.

- თვითონ მოგიყოლია??

- აქ, ჩემ გარდა, კიდევ ერთი მოხელე ჰყავთ მდგმურად, ისიც ჩოფ-

ურაა, უკვე მოხუცია, ოღონდ საშინელი პროზაიკოსი ვინმეა, და როგორც კი პიოტრ იპოლიტოვიჩი დაიწყებს ხოლმე მოყოლას, მაშინვე პირში ეცემა, ეგ არ მომხდარაო. და ისეთ დღეში ჰყავს, რომ ეს საცოდავი ყმასავით ემსახურება და სულ მის სიამოვნებაშია, ოღონდ კი მომისმინეო!

- ეგ უთავბოლობის სხვა ტიპია და იქნებ პირველზე უფრო შესაზარიც. პირველი ტიპი - თავიდან ბოლომდე აღტაცებაა! „ოღონდ მაცალე ვიცრუო - ნახე, რა კარგი რამე გამოვაო“. მეორე კი ცარიელი შავნაღვლიანობა და პროზაა: „არ გაცლი ტყუილის თქმას, სად მოხდა ეგ, როდის მოხდა, რომელ წელს?“ - ერთი სიტყვით, უსულგულო ადამიანია. ჩემო მეგობარო, ყოველთვის აცალე ადამიანს, ცოტა იცრუოს - ამით ვის რა დაუშავდება. ბევრიც აცალე. ჯერ ერთი, ამით შენს ზრდილობას გამოაჩენ, მეორეც, სანაცვლოდ შენც გაცლიან ტყუილს - ერთბაშად ორი უდიდესი ხეირია. Que diable! (ეშმაკმა დალახვროს! (ფრანგ.).) უნდა გიყვარდეს მოყვასი შენი. ახლა წავალ. შენ მშვენივრად მოწყობილხარ, - დაუმატა მან, თან წამოდგა. - ვუამბობ სოფია ანდრეევნას და შენს დას, რომ შემოვიარე და კარგად მყოფი გნახე. ნახვამდის, ჩემო კარგო.

რაო, ნუთუ სულ ეს იყო? მე ხომ ასე არ მინდოდა; მე ველოდი სხვას, მთავარს, თუმცა კარგად მესმოდა, რომ სხვაგვარად არც შეიძლებოდა. სანთელი ავიღე და კიბემდე გამოვყევი; ჩემი ბინის პატრონი გამოხტა, მაგრამ ვერსილოვის უჩუმრად, რაც ძალი და ღონე მქონდა, ხელი ვტაცე და გააფთრებულმა განზე მივაგდე. ჯერ გაოცებით შემომხედა, მაგრამ მაშინვე გაქრა.

- ეს რა კიბეა... - სიტყვების ტკეპნით ლუღლუღებდა ვერსილოვი, რათა რაიმე ეთქვა და თან, ეტყობოდა, ეშინოდა, მე არ მეთქვა რამე, - ეს რა კიბეა. გადავეჩვიე, შენ კი მესამე სართულზე ყოფილხარ, თუმცა აწი გავიგნებ გზას... ნუღარ წუხდები, ჩემო კარგო, არ გაცივდე.

მაგრამ მე არ გავბრუნდი. უკვე მეორე კიბეზე ჩავდიოდით.

- მთელი ეს სამი დღეა, თქვენს მოლოდინში ვიყავი, - უეცრად როგორღაც თავისთავად წამომცდა; სული მეხუთებოდა.

- გმადლობთ, ჩემო კარგო.

- ვიცოდი, რომ უსათუოდ მოხვიდოდით.

- მე კი ვიცოდი, რომ შენ იცოდი, უსათუოდ მოვიდოდი. გმადლობთ, ჩემო კარგო.

ვერსილოვი გაჩუმდა. ქუჩაში გასასვლელ კართან მივედით, მე კი ისევ უკან მივდევდი. მან კარი გამოაღო; სწრაფად შემოჭრილმა ქარმა სანთელი ჩამიქრო. ამ დროს ხელში ვტაცე ხელი; თვალში თითს ვერ მიიტანდა კაცი, ისე ბნელოდა. ვერსილოვი შეკრთა, მაგრამ დუმდა. დავწვდი მის ხელს და ხარბად დავუწყე კოცნა, რამდენჯერმე, ბევრჯერ ვაკოცე.

- ჩემო კარგო ბიჭუნა, რატომ გიყვარვარ ეგრე ძალიან? - წარმოთქვა მან, ახლა უკვე სულ სხვა ხმით. ხმა აუკანკალდა და სულ ახალი რაღაც გაისმა მის ხმაში, თითქოს ის კი არა, ვიღაც სხვა ლაპარაკობსო.

მინდოდა რაღაც მეპასუხა, მაგრამ ვერ შევძელი და ზევით გავიქეცი. ის კი იცდიდა იმავე ადგილას, და როცა ჩემს ბინაში ავირბინე, მხოლოდ მაშინ გავიგონე, როგორ გაიღო ქვევით შემოსასვლელი კარი და ხმაურით მიიხურა. გვერდი ავუქციე ბინის პატრონს, რომელიც რატომღაც, ისევე შემომეფეთა, ჩემს ოთახში შევვარდი, კარი დავკეტე, სანთელი არ ამინთია, ისე დავემხე ლოგინზე, სახე ბალიშში ჩავრგე და ავტირდი. ტუშართან ყოფნის მერე პირველი შემთხვევა იყო, რომ ვტიროდი! ვტიროდი ისე, რომ გული კინაღამ ამომვარდა, და ისეთი ბედნიერი ვიყავი... მაგრამ რა საჭიროა ამის აღწერა!

დავწერე ახლა ეს და არ მრცხვენია, რადგან, ვინც იცის, მიუხედავად მთელი უგუნურებისა, იქნებ ყველაფერი ეს კარგიც იყო.

III

ცუდი დღე კი დაადგა მას ჩემგან ამისთვის! საშინელი დესპოტი გავხდი. თავისთავად ცხადია, შემდგომში სიტყვაც არ დაგვიძრავს იმაზე, რაც მაშინ ჩვენ შორის მოხდა. პირიქით, მესამე დღესვე ისე შევხვდით ერთმანეთს, ვითომ არაფერი მომხდარიყოს - ეს კიდევ არაფერი: ჩვენი მეორე შეხვედრის საღამოს თითქმის უხეში ვიყავი, ისიც ცივად მექცეოდა. ეს შეხვედრა კვლავ ჩემთან მოხდა; რატომღაც ისევ ვერ მივედი მასთან მე თვითონ, თუმცა დედაჩემის ნახვა კი მინდოდა.

მთელი ის ხანი, ანუ თითქმის მთელი ორი თვე, ყოვლად განყენებულ საგნებზე ვლაპარაკობდით. და აი, სწორედ ეს მაოცებს. ერთთავად განყენებულ საგნებზე ვლაპარაკობდით, - ცხადია, ზოგადსაკაცობრიო და ყოვლად აუცილებელ რამეებზე, ოღონდ ისეთზე, რაც სათოფეზე არ ეკარებოდა რაიმე არსებითს. თან ბევრი, ძალზე ბევრი არსებითი რამ უნდა განგვესაზღვრა და გაგვერკვია, ეს აუცილებელიც კი იყო, მაგრამ სწორედ ამაზე არ ვიღებდით ხმას. ეგ კი არა, დედაჩემსა და ლიზაზეც კი არაფერს ვეუბნებოდი და... და, დასასრულ, არც ჩემს თავზე, ჩემს ამბავზე. არ ვიცი, რისი ბრალი იყო ეს - სირცხვილის თუ რაღაცნაირი ბავშვური სისულელის. უთუოდ სისულელისა, რადგან სირცხვილს როგორმე მოევლებოდა. საშინლად დესპოტურად კი ვეპყრობოდი, იმ ზომამდე, რომ ხანდახან უტიფრობამდეც მივდიოდი, თუმცა გული სულ სხვას მკარნახობდა: რაღაც თავისთავად, უნებურად მემართებოდა ეს, თავს ვერ ვიკავებდი. ის კი ადრინდელი მოსწრებული დაცინვით, თუმცა, ყველაფრის მიუხედავად, მეტად ალერსიანად მელაპარაკებოდა. მაოცებდა ისიც, რომ მას ჩემთან უფრო უყვარდა მოსვლა. ასე რომ, ბოლოს უკვე ძალზე იშვიათად მივდიოდი დედასთან, კვირაში ერთხელ თუ შევივლიდი, მეტადრე ბოლო ხანებში, როცა მთლად გავქსუვდი. ის ყოველთვის საღამოობით მოდიოდა, იჯდა და ლაპარაკობდა; ძალზე უყვარდა ჩემი ბინის პატრონთან საუბარიც; ეს უკანასკნელი გარემოება გულზე მხეთქავდა ისეთი ადამიანისგან, როგორიც ვერსილოვი იყო. ხანდახან იმასაც კი გავიფიქრებდი ხოლმე: ნუთუ ჩემ მეტი წასასვლელი არსად აქვს-მეთქი? მაგრამ დანამდვილებით ვიცოდი, რომ ნაცნობები ჰყავდა; ბოლო ხანებში მაღალ საზოგადოებაშიც კი განაახლა ძველი ნაცნობობა, წლების წინ რომ დაევიწყებინა; მაგრამ, მგონი, ეს ამბავი მაინცდამაინც არ იზიდავდა და ბევრთან ნაცნობობა მხოლოდ ოფიციალურად აღადგინა, - ჩემთან სიარული ერჩივნა. ხა-

ნდახან გულიც კი ამჩვილებია, როცა საღამოობით თითქოს შიშით შემოაღებდა კარს და პირველ წუთს უცნაური შეშფოთებით მომაჩერდებოდა თვალებში: „ხელი ხომ არ შეგიშალე? თუ ეგრეა, მითხარი და წავალ“. ხანდახან კიდეც მეუბნებოდა ამას. ერთხელ, მაგალითად, სწორედ ბოლო ხანებში, იმ დროს შემოვიდა, როცა გამოვეწყვე თერძისგან, ის-ის იყო, მოტანილ ახალ კოსტიუმში და „თავად სერიოჟასთან“ მივდიოდი, რათა ერთად წავსულიყავით ერთ ადგილას (მერე აგიხსნით, სად). ვერსილოვი შემოვიდა და დაჯდა. ეტყობოდა, ვერ მიხვდა, რომ წასვლას ვაპირებდი; ხანდახან ძალზე უცნაურად დაბნეული ხდებოდა ხოლმე. თითქოს ჯიბრზეო, ჩემი ბინის პატრონზე ჩამომიგდო სიტყვა. მე ვიფეთქე:

- ჯანდაბას მაგის თავი!

- ახ, ჩემო კარგო, - წამოდგა უცებ ვერსილოვი, - მგონი, წასვლას აპირებ, მე კი ხელი შეგიშალე... მომიტევე, გეთაყვა.

და მორჩილად აჩქარდა. აი, სწორედ ეს მორჩილება ამ მაღალი წრიდან გამოსული დამოუკიდებელი კაცისა, რომელსაც ესოდენ ბევრი ჰქონდა მისეული და თავისებური, ერთბაშად განმიახლებდა ხოლმე მისდამი მთელ სინაზეს და რწმენას. მაგრამ თუკი ასე ვუყვარდი, რატომ არ შემაჩერა, როცა ისე სამარცხვინოდ ვიქცეოდი? ერთი სიტყვაც რომ დასცდენოდა მაშინ - იქნებ თავი შემეკავებინა. თუმცა შეიძლება არც შემეკავებინა. მაგრამ ხომ ხედავდა ჩემს ფრანტობას, ბაქიბუქობას, მატვეის (ერთხელ როგორღაც ჩემი მარხილითაც კი მინდოდა მიმეყვანა შინ, მაგრამ არ ჩაჯდა, რამდენიმეჯერაც კი იყო შემთხვევა, რომ არ ჩაჯდა), ხომ ხედავდა, რომ ბზესავით ვაპნევდი ფულს - და სიტყვაც არ უთქვამს, ერთი სიტყვაც, არც დაინტერესებულა! აქამდე მაკვირვებს ეს ამბავი, ახლაც მიკვირს. მე კი, ცხადია, მაშინ სულაც არ ვერიდებოდი და თვალში ნაცარს ვაყრიდი, თუმცა, რა თქმა უნდა, არც მე ვძრავდი კრინტს, რომ რამე ამეხსნა. ის არაფერს მეკითხებოდა, მეც არ ვეუბნებოდი.

ორ-სამჯერ თითქოს წამოვიწყეთ არსებითზე საუბარი. ერთხელ - დასაწყისში, აი, იმ ხანებში, როცა უარი თქვა მემკვიდრეობაზე, შევეკითხე: ცხოვრებას რითი აპირებთ-მეთქი.

- როგორმე გავიტანთ თავს, ჩემო მეგობარო, - მომიგო ძალზე მშვიდად.

ახლა ვიცი, რომ ტატიანა პავლოვნას ერთი ბეწო კაპიტალიც კი, ხუთასი ათასი, უკვე განახევრებულიყო, რადგან უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ვერსილოვს ახარჯავდა.

მეორედ კიდევ როგორღაც დედაჩემზე ჩამოვარდა სიტყვა:

- ჩემო მეგობარო, - მითხრა უცებ ნაღვლიანად, - ხშირად მითქვამს სოფია ანდრეევნასთვის ურთიერთობის დასაწყისში, - თუმცა დასაწყისშიც ვეუბნებოდი, შუაშიც და ბოლოშიც: „ჩემო კარგო, გტანჯავ და მოგინელებ კიდეც, და ვიდრე ჩემ თვალწინ ტრიალებ, არ მეცოდები; მაგრამ შენ რომ მოკვდე, ვიცი, თავს არ ვიცოცხლებ-მეთქი“.

თუმცა, მახსოვს, იმ საღამოს განსაკუთრებით გულახდილი იყო:

- ნეტავ სუსტი ხასიათის ვინმე მაინც ვიყო და ვიტანჯებოდე ამის შეგნებით! მაგრამ რომ არა ვარ?! მე ხომ ვიცი, რომ უსაზღვროდ ძლიერი ვარ, მერე არ იკითხავ, რითი? სწორედ იმ უშუალო ძალით, რომელიც მაძლებინებს, შევეგუო ყველაფერს, რაც უნდა იყოს, და რომელიც ესოდენ ახასიათებს ჩვენი თაობის ყველა ჭკვიან რუს ადამიანს. მე ვერაფრით გამანადგურებ, ვერ მომსპობ და ვერც რამით გამაკვირვებ. ნაგაზივით გამძლე ვარ. შემიძლია ერთსა და იმავე დროს განვიცადო ორი სრულიად საწინააღმდეგო გრძნობა - და, რა თქმა უნდა, ჩემდა უნებურად. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ვიცი, რომ ეს უსინდისობაა, უმთავრესად იმიტომ, რომ მეტისმეტად გონივრულია. თითქმის ორმოცდაათ წელს მივატანე და დღემდე არ ვიცი: კარგია, ამ ხნის რომ მოვიყარე თუ ცუდი. რა თქმა უნდა, მიყვარს სიცოცხლე, და ეს პირდაპირ საქმიდან გამოდის; მაგრამ უნამუსობაა, რომ ჩემნაირ კაცს სიცოცხლე უყვარდეს. ბოლო დროს დაიწყო რაღაც ახალი, და კრაფტები ვეღარ ეგუებიან, თავს იკლავენ. მაგრამ ხომ ნათელია, რომ კრაფტები ბრიყვები არიან; ხოლო ჩვენ ჭკვიანები ვართ - მაშასადამე, აქაც ვერაფრით გავავლებთ პარალელებს და საკითხი მაინც ღიად რჩება. ნუთუ დედამიწა მხოლოდ ჩვენისთანებისთვისაა? ჭკუასთან ახლოა, რომ ასეა; მაგრამ ეს იდეა მეტად უსიხარულოა. თუმცა... საკითხი მაინც ღიად რჩება.

ნაღვლიანად ლაპარაკობდა და მე მაინც არ ვიცოდი, იყო თუ არა გულწრფელი. მუდამ რაღაცნაირი, თავისებური აზრთა წყობა ჰქონდა, რომელსაც არაფრის გულისთვის არ ცვლიდა.

IV

მე შეკითხვებს ვაყრიდი, ისე დავაცხრებოდი, როგორც დამშეული კაცი პურს. ყოველთვის ხალისით და გულწრფელად მპასუხობდა, მაგრამ საბოლოოდ ყველაფერი ზოგად აფორიზმებამდე დაჰყავდა. ასე რომ, კაცმა რომ თქვას, ვერაფერს დავაცდენინებდი ხოლმე. მე კი მთელი ჩემი სიცოცხლე მაწვალებდა ეს საკითხი და, გულახდილად გეტყვით, ჯერ მოსკოვში ყოფნისას გადავწყვიტე, არავითარ დასკვნებს არ მივიღებ ამ საკითხებზე, ვიდრე პეტერბურგს არ ჩავალ და ვერსილოვს არ შევხვდები-მეთქი. პირდაპირ განვუცხადე კიდეც ეს, და არ დაუცინია - პირიქით, მახსოვს, ხელიც კი ჩამომართვა. საყოველთაო პოლიტიკასა და სოციალურ საკითხებზე თითქმის ვერაფერი ვათქმევინე, მე კი, ჩემს „იდეასთან“ დაკავშირებით, ყველაზე მეტად სწორედ ეს საკითხები მაწუხებდა. ისეთების თაობაზე, როგორიც დერგაჩევი იყო, ერთხელ წამოვაცდენინე, „ყოველგვარ კრიტიკაზე დაბლა დგანანო“, მაგრამ იმავე დროს უცნაურად დაურთო, „უფლებას ვიტოვებ, ჩემს შეხედულებას არავითარი მნიშვნელობა არ მივცეო“. კითხვაზე, რანაირი ბოლო ექნებათ თანამედროვე სახელმწიფოებსა და სამყაროს, და სოციალური სამყარო კვლავ რითი განახლდება-მეთქი, საშინლად დიდხანს წამიყრუა, მაგრამ, ბოლოს, როგორც იქნა, რამდენიმე სიტყვა ამოვათქმევინე:

- ჩემი აზრით, ყოველივე ეს, როგორღაც, მეტისმეტად უბრალოდ მოხდება, - მითხრა ერთხელ. - ყველა სახელმწიფო, მიუხედავად მისი ბიუჯეტების ბალანსისა და „დეფიციტის უქონლობისა“, un beau matin (ერთ მშვენიერ დილას (ფრანგ.).) საბოლოოდ გაებმება ვალებში და ყოველი მათგანი ისურვებს, აღარ გადაიხადოს, რათა ამ საყოველთაო გაკოტრებით უკლებლივ განაახლონ ყველაფერი. მაგრამ მთელი მსოფლიოს ყველა კონსერვატორული ელემენტი წინ აღუდგება ამას, ვინაიდან სწორედ ის იქნება აქციონერი და კრედიტორი, და ამ გაკოტრებას არ დაუშვებს. მაშინ, ცხადია, დაიწყება, ასე ვთქვათ, საყოველთაო დამწნილება; მოვლენ ურიცხვი ურიები, და შეიქმნება სამეფო ჰურიათა; მერე კი ყველა ისინი, რომელთაც არასოდეს ჰქონიათ აქციები, ესე იგი, ყველა ღატაკი, ბუნებრივია, არ მოისურვებს ამ დამწნილებაში მონაწილეობის მიღებას... დაიწყება ბრძოლა, და სამოცდაჩვიდმეტი დამარცხების მერე ღატაკები მოსპობენ აქციონერებს, წაართმევენ აქციებს და დასხდებიან მათ ადგილას, ცხადია, აქციონერებადვე. იქ-

ნებ თქვან კიდეც რაიმე ახალი, მაგრამ იქნებ არც თქვან. ჭკუასთან ახლოსაა, რომ ისინიც გაკოტრდებიან. აი, მერე რა მოხდება, მაგისას ვეღარაფერს გეტყვი, ჩემო მეგობარო; რა ბედი ელის ქვეყნიერებას, რა შეუცვლის სახეს. თუმცა, ჩაიხედე „გამოცხადებაში“...

- ნუთუ ყოველივე ასე მატერიალურია? ნუთუ მარტოოდენ ფინანსები მოუღებენ ბოლოს ახლანდელ ქვეყნიერებას?

- ო, ცხადია, მე მხოლოდ საერთო სურათის ერთი კუთხე ავიღე, მაგრამ ეს კუთხეც ხომ, ასე ვთქვათ, უწყვეტი ძაფებითაა დაკავშირებული ყველაფერთან.

- მაშ, რა უნდა ვიღონოთ?

- ახ, ღმერთო ჩემო, სული ნუ მიგდის: ეს ამბავი ხომ მალე არ მოხდება. საერთოდ კი, საუკეთესო ის იქნება, არაფერი ვიღონოთ; სხვა რომ არა, სინდისი მაინც გექნება დამშვიდებული, არაფერში გავრეულვარო, იტყვი.

- გეყოფათ ერთი, საქმეზე ილაპარაკეთ. მინდა ვიცოდე, პირადად მე რა ვქნა და როგორ ვიცხოვრო?

- შენ რა ქნა, ჩემო კარგო? პატიოსანი იყავი, ნურასოდეს იცრუებ, არა ისურვო სახლი მოყვასისა შენისა. მოკლედ, წაიკითხე ათი მცნება: იქ სამარადისოდაა ჩაწერილი ყველაფერი.

- გეყოფათ, გეყოფათ, ეგ ყველაფერი ძალზე მოძველებული და თანაც ცარიელი სიტყვებია; ახლა სიტყვები კი არა, საქმეა საჭირო.

- მაშინ, თუ ძალიან მოგერიოს მოწყენილობა, შეეცადე, შეიყვარო ვინმე ან რამე, ან თუნდაც, გულით შეეთვისო რამეს.

- თქვენ ხუმრობთ! ეგეც არ იყოს, მე მარტოკამ რა მოვუხერხო მაგ თქვენს ათ მცნებას!

- ადექი და შეასრულე ეს მცნებები, მიუხედავად ყველა შენი კითხვისა და ეჭვისა, და დიდი ადამიანი შეიქნები.

- რომელსაც არავინ იცნობს.

- არა არს საიდუმლო, რომელი არა გაცხადდეს.

- ნამდვილად დამცინით!

- რაკი ეგრე გულთან მიგაქვს ეს ამბავი, მაშინ ყველაფერს ისა სჯობს, საჩქაროდ შეიძინო სპეციალობა, ხელი მოჰკიდე მშენებლობას ან ვექილობას და მაშინ, რადგან ნამდვილ და სერიოზულ საქმეს მოეკიდები, დამშვიდდები და სისულელეებიც დაგავიწყდება.

არაფერი ვუპასუხე; აბა, რა დასკვნა უნდა გამომეტანა აქედან? და მაინც, ყოველი ამგვარი ლაპარაკის მერე ადრინდელზე მეტად ვღელავდი. ეგეც არ იყოს, აშკარად ვხედავდი, რომ მასში მუდამ რჩებოდა რაღაც საიდუმლო; აი, ამით იყო, უფრო და უფრო რომ მიზიდავდა.

- გამიგონეთ, - სიტყვა შევაწყვეტინე ერთხელ, - მუდამ ვეჭვობდი, რომ ყოველივე ამას გაბოროტება და ტანჯვა გალაპარაკებდათ, თორემ იდუმალად, გულის სიღრმეში, სწორედ თქვენა ხართ რომელიმე უზენაესი იდეის ფანატიკოსი, ოღონდ მალავთ ამას ანდა გრცხვენიათ გამხელა.

- გმადლობთ, ჩემო კარგო.

- გამიგონეთ, არაფერია იმაზე ამაღლებული, რომ სარგებლობა მოგქონდეს ადამიანს. მითხარით, აი, ამწუთას ყველაზე უფრო რითი შემიძლია სარგებლობის მოტანა? ვიცი, თქვენ ვერ გადაჭრით ამ საკითხს, მაგრამ მე მხოლოდ თქვენი აზრი მინდა; მითხარით და, გეფიცებით, რასაც თქვენ იტყვით, მეც იმას გავყვები! აბა, რაში იმალება დიადი აზრი?

- თუნდაც ქვის პურად გადაქცევა ვთქვათ - აი, დიადი აზრი.

- ყველაზე დიადი? თქვენ მართლაც სრული გზა მიმითითეთ; მაშ, მითხარით: ეს ყველაზე დიადია?

- ძალიან დიადია, ჩემო მეგობარო, ძალიან დიადი, მაგრამ ყველაზე დიადი არაა; დიადია, მაგრამ მეორეხარისხოვანი, დიადი მხოლოდ ამ ეტაპზეა: გამოძღება ადამიანი და არაფერიც არ გაახსენდება; პირიქით, მაშინვე იტყვის: „აჰა, გავძეხი კიდევაც; ახლა რაღა ვქნა?“. ეს საკითხი სამარადჟამოდ ღია დარჩება.

- თქვენ ერთხელ „ჟენევის იდეებზე“ ლაპარაკობდით; ვერ მივხვდი, რა არის „ჟენევის იდეები“?

- „ჟენევის იდეები“, ჩემო მეგობარო, გახლავს სათნოება უქრისტეღმერთოდ - ახლანდელი იდეები, ან, უკეთ რომ ვთქვათ, მთელი ახლანდელი ცივილიზაციის იდეა. ერთი სიტყვით, ეს ერთ-ერთი ის გრძელი ისტორიაა, რომლის დაწყებაც ძალზე მოსაწყენია და გაცილებით უკეთესი იქნებოდა, თუ სხვა რამეზე ვისაუბრებდით, და კიდევ უკეთესი იქნებოდა, თუ გავჩუმდებოდით სხვა რამეზე.

- თქვენ ოღონდ გაჩუმებული იყოთ და სხვა არაფერი გინდათ!

- ჩემო მეგობარო, გაიხსენე, რომ დუმილი კარგია, უხიფათო და ლამაზია.

- ლამაზიო?

- რა თქმა უნდა. დუმილი ლამაზია, ხოლო მდუმარე ადამიანი მუდამ უფრო ლამაზია, ვიდრე მოლაპარაკე.

- მართლაც, გინდა გავჩუმებულვართ და გინდა ისე გვილაპარაკია, როგორც ახლა მე და თქვენ. ჯანდაბას ასეთი სილამაზე, და კიდევ უფრო ჯანდაბას ასეთი ხელსაყრელი რამ!

- ჩემო კარგო, - მითხრა მან უცებ, ცოტათი ტონშეცვლილმა, ასე განსაჯეთ, გრძნობითაც კი, და რაღაც განსაკუთრებული დაბეჯითებით, - ჩემო კარგო, სრულიადაც არ მინდა შენი იდეალების სანაცვლოდ რომელიმე ბურჟუაზიულ სიკეთეს დაგახარბო. არ ჩაგჩიჩინებ, დევგმირობას ბედნიერება სჯობია-მეთქი; პირიქით, დევგმირობა ყოველგვარ ბედნიერებაზე მაღლა დგას, და თუნდაც მარტოოდენ უნარი ამისა - თავისთავად ბედნიერებაა. ამრიგად, ეს ჩვენ შორის გადაწყვეტილი საკითხია. სწორედ იმიტომაც გცემ პატივს, რომ ამ ჩვენს დამყაყებულ დროში შეძელი, საკუთარ სულში გაგეჩინა რაღაც „შენი იდეა“ (არხეინად იყავი, კარგად დავიმახსოვრე). მაგრამ მაინც შეუძლებელია, არ ვიფიქროთ ზომიერებაზე, ვინაიდან შენ სწორედ ახლა გსურს გიჟმაჟი სიცოცხლე, გინდა რაღაც ააგიზგიზო, დაამსხვრიო, მთელ რუსეთზე მაღლა დადგე, საავდრო ღრუბელივით გადაუარო თავზე, ყველანი შიშითა და აღტაცებით მოცულნი დატოვო, თავად კი გადაიმალო ჩრდილო ამერიკის შტატებში. ხომ უთუოდ რაღაც ამდაგვარი გიდევს გულში, და ამიტომაც მიმაჩნია საჭიროდ, გაგაფრთხილო, ვინაიდან გულწრფელად შემიყვარდი, ჩემო კარგო.

აბა, რა დასკვნა უნდა გამომეტანა აქედან? მის სიტყვებში მხოლოდ

წუხილი ჩანდა ჩემი მატერიალური ხვედრის გამო, ჩემ გამო; ჩანდა მშობელი თავისი პროზაული, თუმცა კეთილი გრძნობებით, მაგრამ განა ეს მინდოდა იმ იდეების სანაცვლოდ, რომელთა გულისთვის ყოველმა პატიოსანმა მამამ სასიკვდილოდაც კი უნდა გაწიროს შვილი, ვით უძველესმა ჰორაციუსმა გაწირა თავისი ვაჟები რომის იდეის გამო?

ხშირად შევჩენივარ რელიგიის თაობაზე, მაგრამ აქ ყველაზე მეტი ბურუსი მხვდებოდა. კითხვაზე: ამ მხრივ როგორ მოვიქცე-მეთქი? - ის ყოვლად სულელურად მპასუხობდა, როგორც ბალღს:

- უნდა გწამდეს ღმერთო, ჩემო კარგო.

- და თუკი არ მწამს ეს ყოველივე? - წამოვიძახე ერთხელ გულმოსულმა.

- ჰოდა საუცხოოა, ჩემო კარგო.

- როგორ თუ საუცხოოა?

- ეგ საუკეთესო ნიშანია, ჩემო მეგობარო, ყოვლად კეთილსაიმედოც კი, ვინაიდან რუსი ათეისტი, თუ ის მართლა ათეისტია და სულ მცირე ჭკუა მაინც აქვს - საუკეთესო ადამიანია მთელ დედამიწის ზურგზე და მუდამ მზადაა, მიეფეროს ღმერთს იმიტომ, რომ უსათუოდ კეთილია, ხოლო კეთილია იმიტომ, რომ უზომოდ კმაყოფილია თავისი ათეისტობით. ჩვენი ათეისტები დარბაისელი და უაღრესად კეთილსაიმედო ხალხია, ასე ვთქვათ, ბურჯია მამულისა...

ეს, რა თქმა უნდა, რაღაც მაინც იყო, მაგრამ ეს როდი მინდოდა; მხოლოდ ერთხელ მოხდა და გამოთქვა თავისი აზრი, ოღონდ ისე უცნაურად, რომ ძალზე გამაკვირვა, მეტადრე, მისი იმ კათოლიკობისა და ბორკილების გამო, რაც ყურმოკვრით გამეგონა.

- ჩემო კარგო, - მითხრა ერთხელ შინ კი არა, ქუჩაში, როცა კარგა ხნის საუბრის შემდეგ გასაცილებლად გავყევი. - ჩემო მეგობარო, შეუძლებელია, გიყვარდეს ადამიანები ისეთნი, როგორნიც არიან. და მაინც უნდა გიყვარდეს. ამიტომ მოერიე შენს გრძნობებს, ცხვირზე ხელი მოიჭირე, თვალები დახუჭე (ეს უკანასკნელი აუცილებელია), და ისე თესე სიკეთე. მოითმინე მათგან სიავე, შეძლებისდაგვარად, გულს ნუ მოიყვან, „გახსოვდეს, რომ შენც ადამიანი ხარ“. ცხადია, მკაცრად მოქცევა გმართებს, რაკი საშუალოებზე ცოტათი ჭკვიანი მაინც გაუჩ-

ენიხარ გამჩენს. ადამიანები თავიანთი ბუნებით სულმდაბალნი არიან და მოსწონთ, როცა შიშის გამო უნდა უყვარდეთ ვინმე; არ წამოეგო ასეთ სიყვარულზე და განუწყვეტლივ გეზიზღებოდეს. ყურანში ალაჰი უბრძანებს თავის წინასწარმეტყველს, „ჭირვეულთ“ ისე მოეპყარი, როგორადაც თაგვებს, სიკეთე უყავი და გვერდი აუარეო - ცოტა ქედმაღლური ნათქვამია, მაგრამ მართალია. შეძელი, გეზიზღებოდეს მაშინაც კი, როცა კარგები არიან, ვინაიდან მეტწილად სწორედ აქ არიან ხოლმე ისინი ცუდები. ო, ჩემო კარგო, ამას რომ გეუბნები, ჩემი თავის მიხედვით ვსჯი! ვისაც ჭკუა ოდნავ მაინც აქვს, მას არ შეუძლია იცოცხლოს და არ ეზიზღებოდეს თავისი თავი, სულერთია - პატიოსანია თუ უპატიოსნო. გიყვარდეს მოყვასი და არ გეზიზღებოდეს - შეუძლებელია. მე თუ მკითხავ, ადამიანი ისეა შექმნილი, რომ ფიზიკურად არც შეუძლია მოყვასის სიყვარული. აქ იმთავითვე რაღაც შეცდომაა სიტყვებში, და „კაცობრიობის სიყვარულში“ უნდა ვიგულისხმოთ მხოლოდ ის კაცობრიობა, რომელიც თავადვე შეიქმენი საკუთარ სულში (სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საკუთარი თავი რომ შეიქმენი და საკუთარი თავის სიყვარული) და რომელიც, სწორედ ამიტომ, არც არასოდეს იქნება სინამდვილეში.

- არასოდეს იქნება?

- ჩემო მეგობარო, გეთანხმები, რომ ეს, ცოტა არ იყოს, სულელური იქნებოდა, მაგრამ ამაში მე არ მიმიძღვის ბრალი; ხოლო ვინაიდან სამყაროს შექმნისას ჩემთვის არაფერი უკითხავთ, ამიტომ მეც ვიტოვებ უფლებას, ამ მხრივ საკუთარი შეხედულება ვიქონიო.

- როგორღა გეძახიან ამის შემდეგ ქრისტიანს, - წამოვიძახე, - ბორკილებიან ბერს, მქადაგებელს? ვერ გამიგია!

- მერედა, ვინ მეძახის ასე?

მე ვუამბე. ყურადღებით კი მომისმინა, მაგრამ ლაპარაკი შეწყვიტა.

ვეღარ ვიგონებ, რა მიზეზით წამოვიწყეთ მაშინ ეს ჩემთვის ესოდენ სამახსოვრო საუბარი, მაგრამ ვერსილოვი გაცხარდა კიდეც, რაც თითქმის არასოდეს დამართია. გულმხურვალედ ლაპარაკობდა, დაუცინავად, თითქოს მე არც მელაპარაკებოდა. მაგრამ მაინც არ დავუჯერე: აბა, როგორ შეიძლებოდა, ასეთ რამეებზე სერიოზულად ელაპარაკა ჩემნაირ ბიჭთან?

თავი მეორე - I

იმ დილით, თხუთმეტ ნოემბერს, ვერსილოვი სწორედ „თავად სერიოჟასთან“ დამხვდა. მევე დავაახლოვე იგი თავადს, მაგრამ უჩემოდაც ბლომად ჰქონდათ შემაკავშირებელი პუნქტები (მე მოგახსენებთ მათ ადრინდელ ისტორიებზე საზღვარგარეთ და სხვ.). გარდა ამისა, თავადმა სიტყვა მისცა, მემკვიდრეობიდან მესამედს მაინც გამოგიყოფო, რაც ოცი ათასს უსათუოდ შეადგენდა. მახსოვს, მაშინ ძალიან გამიკვირდა, რომ მარტო მესამედს შეჰპირდა და არა ნახევარს; მაგრამ ხმა არ ამომიღია. ეს პირობა თავადმა მაშინ თვითონ მისცა; ვერსილოვს სიტყვაც არ დაუძრავს ამაზე, სიტყვაც არ დასცდენია; თავადმა თვითონ იმეტიჩრა, ხოლო ვერსილოვმა ნება დართო და მერე ერთხელაც აღარ შეუხსენებია, არც კი იმჩნევდა, რომ ოდნავ მაინც ახსოვდა ეს დაპირება. ბარემ აღვნიშნავ, რომ თავადი თავდაპირველად მოხიბლული იყო ვერსილოვით, მეტადრე მისი ლაპარაკით, ასე განსაჯეთ, აღტაცებაშიც კი მოდიოდა და რამდენჯერმე ჩემთვისაც უთქვამს ეს. ხანდახან, როცა მარტონი ვიყავით, რაღაცნაირი სასოწარკვეთილებით წამოიძახებდა ხოლმე, რომ თვითონ - „ასე გაუნათლებელია, ასეთ მცდარ გზას ადგას!...“. ო, მაშინ ჯერ კიდევ ვმეგობრობდით... მაშინ ვცდილობდი, ვერსილოვისთვისაც მხოლოდ კარგი რამ ჩამეგონებინა თავადზე, ვამართლებდი მის ნაკლოვანებებს, თუმცა თვითონაც კარგად ვხედავდი მათ; მაგრამ ვერსილოვი ან დუმილით მიპასუხებდა, ანდა იღიმოდა.

- თუ ნაკლი აქვს, ყოველ შემთხვევაში, ღირსებაც იმდენივე აქვს, რამდენიც ნაკლი! - წამოვიძახე ერთხელ, როცა მე და ვერსილოვი მარტონი ვიყავით.

- ღმერთო, რა გუნდრუკს უკმევ, - გაიცინა მან.

- ეს რა გუნდრუკის კმევაა? - თავდაპირველად ვერ მივხვდი.

- ღირსებაც იმდენი აქვსო! რამდენიც ნაკლი აქვს, ღირსებაც რომ იმდენი მისცა, მაშინ მისი წმიდა ნაწილები უნდა გამოგვეცხადოს!

მაგრამ ეს ხომ შეხედულება არ იყო. საერთოდ, მაშინ რატომღაც გაურბოდა თავადზე ლაპარაკს, ისევე როგორც საერთოდ გაურბოდა ყოველივე არსებითზე ლაპარაკს; მაგრამ თავადზე განსაკუთრებით ერიდებოდა აზრის გამოთქმას. მე ჯერ მაშინაც კი ვეჭვობდი, რომ ვერსილოვი უჩემოდაც დადიოდა თავადთან და რომ მათ რაღაც განსაკ-

უთრებული ურთიერთობა ჰქონდათ, თუმცა ეს დასაშვებად მიმაჩნდა. არც იმაზე ვეჭვიანობდი, რომ თავადს გაცილებით უფრო სერიოზულად ელაპარაკებოდა, ვიდრე მე - უფრო, ასე ვთქვათ, კეთილგანწყობით და ნაკლები ირონიით; მაგრამ მაშინ ისეთი ბედნიერი ვიყავი, რომ მომწონდა კიდეც ეს ამბავი. ამას იმითაც ვამართლებდი, რომ თავადი, ცოტა არ იყოს, გონებაშეზღუდული კაცი იყო, ამიტომ სიტყვების დაზუსტება უყვარდა, ხოლო ზოგ მახვილსიტყვაობას საერთოდ ვერ იგებდა. და აი, ბოლო ხანებში თავადმა თითქოს ემანსიპაცია განიცადა. ვერსილოვისადმი გრძნობებიც თანდათან შეეცვალა. გულისხმიერმა ვერსილოვმა ეს შეამჩნია. აქვე ვიტყვი, რომ თავადმა იმხანად ჩემზედაც იცვალა გული, თანაც საკმაოდ დაუფარავად; იმ ჩვენი თავდაპირველი, თითქმის მხურვალე მეგობრობიდან მარტოოდენ მკვდარი ფორმებიღა შემოგვრჩა. მაგრამ მე მაინც განვაგრძობდი მასთან სიარულს. თუმცა, კაცმა რომ თქვას, როგორღა შემეძლო არ მევლო, როცა ასე ჩამითრია ყოველივემ. ო, რა გამოუცდელი ვიყავი მაშინ. ნუთუ მხოლოდ მიამიტობა მიიყვანს ადამიანს ასეთ უუნარობასა და დამცირებამდე? მე ვართმევდი თავადს ფულს და ვფიქრობდი, არა უშავს, ასეც უნდა იყოსმეთქი. თუმცა ასე არ არის: მაშინაც ვიცოდი, რომ ასე არ უნდა მოვქცეულიყავი, მაგრამ - უბრალოდ, ძალზე ცოტას ვფიქრობდი ამაზე. ფულის გამო როდი დავდიოდი, თუმცა საშინლად მჭირდებოდა ფული. ვიცოდი, რომ ფულის გამო არ დავდიოდი, თუმცა მესმოდა, რომ ყოველდღე ფულის გამოსართმევად მივდიოდი. მაგრამ აჟიტირებული ვიყავი და, ყოველივე ამის გარდა, სულ სხვა რამ ხდებოდა მაშინ ჩემს სულში, - თითქოს მიმღეროდა სული!

როცა შევედი, ასე, დილის თერთმეტ საათზე, ვერსილოვი იქ დამხვდა, ის-ის იყო, ამთავრებდა რაღაც უსაშველოდ გრძელ ტირადას; თავადი ოთახში მიმოდიოდა და ისე უსმენდა, ვერსილოვი კი იჯდა. თავადი, ცოტა არ იყოს, აღელვებული ჩანდა. ვერსილოვს ყოველთვის შეეძლო მისი აღელვება. თავადი მეტისმეტად მგრძნობიარე არსება იყო, მისი ეს თვისება მიამიტობამდეც მიდიოდა, რის გამოც ხშირ შემთხვევაში ქედმაღლურადაც კი ვუყურებდი. მაგრამ, ვიმეორებ, ამ ბოლო ხანს რაღაც ავად იღრინებოდა. მე რომ დამინახა, შეჩერდა და სახის ნაკვთები შეუტოკდა. ვხვდებოდი, რით უნდა ამეხსნა ამ დილით ეს გამომეტყველება, მაგრამ არ ველოდი, ჩემს დანახვაზე აგრერიგად თუ შეეცვლებოდა სახე. ვიცოდი, რომ ათასნაირი საწუხარი გაუჩნდა, მაგრამ საზიზღრობა ის იყო, რომ მეათედი თუ ვიცოდი - დანარჩენი ჩემთვის მაშინ ღრმა საიდუმლოს წარმოადგენდა. საზიზღრობა და სიბრიყვე იმიტომ იყო, რომ ხშირად ვეჩხირებოდი ჩემი ნუგეშით, რჩევა-დარიგებ-

ას ვაძლევდი და ქედმაღლურად დავცინოდი კიდეც, რა გლახაკი ხარ, რომ „უბრალო რამეების გამო“ მოთმინებას კარგავ-მეთქი. პასუხად არაფერს მეუბნებოდა, მაგრამ შეუძლებელია, იმ წუთებში საშინლად არ ვძულებოდი. მეტად ყალბ მდგომარეობაში ვიყავი და ეჭვითაც არ ვგრძნობდი ამას. ო, ღმერთია მოწმე, რომ მთავარ რამეს საერთოდ არ ვეჭვობდი!

თავადმა მაინც თავაზიანად გამომიწოდა ხელი, ვერსილოვმა კი ისე დამიქნია თავი, რომ ლაპარაკი არ შეუწყვეტია. მე დივანზე გავიშოტე. ან რა ტონი იყო ეს! რა ქცევები მახასიათებდა იმ ხანებში, როგორ მეჭირა თავი! უარესადაც ვიქცეოდი ხანდახან - მის ნაცნობებს ისე შინაურულად და აგდებულად ვეპყრობოდი, თითქოს ჩემი ძმაკაცები ყოფილიყვნენ... ო, ახლა რომ შეიძლებოდეს ყველაფრის შეცვლა, სულ სხვანაირად მოვიქცეოდი!

ორიოდე სიტყვა, რომ არ დამავიწყეს: თავადი მაშინ ისევ იქ ცხოვრობდა, ოღონდ ახლა მთელი ბინა თვითონ ეკავა; სახლის პატრონმა, სტოლბეევამ, მხოლოდ ერთი თვე დაჰყო შინ და მალე სადღაც გაემგზავრა.

II

ისინი თავადაზნაურობაზე ლაპარაკობდნენ. შევნიშნავ, რომ ეს იდეა ხანდახან ძალიან აღელვებდა თავადს, მიუხედავად მისი ვითომდა პროგრესულობისა, და ეჭვიც კი მაქვს, რომ ბევრი ცუდი რამ, რაც შეემთხვა ცხოვრებაში, სწორედ ამ იდეის გამო დაიწყო: რაკი დიდად აფასებდა თავის თავადიშვილობას, თან კი ღარიბ-ღატაკი იყო, ცრუ სიამაყის გამო მთელი თავისი სიცოცხლე ფულებს ფანტავდა და ვალებში ჩავარდა. ვერსილოვმა რამდენჯერმე გადაკვრით უთხრა, თავადიშვილობა მაგაში არ მდგომარეობსო, უნდოდა მის გულში კეთილშობილი აზრი ჩაენერგა, მაგრამ თავადს ბოლო ხანებში გული მოსდიოდა, რას ჰქვია, ჭკუას მარიგებენო. ეტყობოდა, რაღაც ამდაგვარი მოხდა ამ დილითაც, ოღონდ მათი საუბრის დასაწყისს ვერ მივუსწარი. ვერსილოვის სიტყვები თავდაპირველად რეტროგრადული მეჩვენა, მაგრამ მალე გამოასწორა.

- სიტყვა ღირსება ნიშნავს მოვალეობას, - ამბობდა ის (მე გადმოგცემთ მხოლოდ ნათქვამის აზრს, როგორადაც დამამახსოვრდა). - როცა სახელმწიფოს განაგებს გაბატონებული თავადაზნაურობა, მაშინ ქვეყანაც მტკიცეა. გაბატონებულ თავადაზნაურობა მუდამ აქვს ღირსება და შეუძლია ამ ღირსების აღიარება. იქნებ მცდარიც იყოს ეს, მაგრამ თითქმის ყოველთვის შემაკავშირებელი რამაა და განამტკიცებს ქვეყანას, სასარგებლოა ზნეობრივად, მაგრამ კიდევ უფრო მეტად - პოლიტიკურად. იჩაგრებიან მხოლოდ მონები, ესე იგი, ყველანი, ვინც არ მიეკუთვნებიან ამ წოდებას. რათა არ დაიჩაგრონ - მათ უფლებრივად ათანასწორებენ. ასეც მოიქცნენ ჩვენში, და საუცხოოცაა, მაგრამ სადაც კი სცადეს ასეთი გათანასწორება (ესე იგი, ევროპაში), მოხდა ის, რომ დაეცა ღირსების გრძნობა, და, მაშასადამე, მოვალეობის გრძნობაც. ადრინდელი შემაკავშირებელი იდეა ეგოიზმმა შეცვალა, ყველაფერი დაქუცმაცდა და ცალკე პიროვნებათა თავისუფლებად იქცა. გათავისუფლებულებმა კი, რაკი შემაკავშირებელი აზრი აღარ ჰქონდათ, ბოლოს ისე დაკარგეს ყოველგვარი უზენაესი კავშირი, რომ ამ მიღებული თავისუფლების დაცვაზეც კი აიღეს ხელი. მაგრამ თავადაზნაურობის რუსული ტიპი არასოდეს ჰგავდა ევროპულს. ჩვენი თავადაზნაურობა ახლაც კი, როცა უფლებები დაკარგა, შეძლებდა დარჩენილიყო უმაღლეს წოდებად, რადგან ღირსების, სინათლის, მეცნიერებისა და უზენაესი იდეის დამცველი იქნებოდა, და, რაც მთავარია, შეძლებ-

და, აღარ ჩაკეტილიყო განცალკევებულ კასტაში, რაც მომაკვდინებელი იქნებოდა იდეისთვის. პირიქით. წოდებათა კარი ჩვენ ძალზე დიდი ხანია, გავაღეთ; ახლა კი დადგა ჟამი, საბოლოოდ გავაღოთ იგი. დაე ყველას, ვისაც კი რაიმე ღვაწლი მიუძღვის ღირსების, მეცნიერებისა და ვაჟკაცობის მხრივ, ჰქონდეს უფლება, მიეკედლოს ადამიანთა ზედა რიგს. ამრიგად, წოდება თავისთავად იქცევა მხოლოდ და მხოლოდ რჩეულ ადამიანთა ნაკრებად, ამ სიტყვის პირდაპირი და ჭეშმარიტი, და არა პრივილეგირებული კასტის ადრინდელი გაგებით. მხოლოდ ამ ახალი, ან, უკეთ, განახლებული სახით თუ შეძლებდა თავადაზნაურობა არსებობის შენარჩუნებას.

თავადი გაიღრიჯა:

- ეგ რაღა თავადაზნაურობა იქნება? თქვენ მასონთა ლოჟას ქადაგებთ, და არა თავადაზნაურობას.

ვიმეორებ, საშინლად გაუნათლებელი ვინმე იყო. გულმოსული გადავტრიალდი დივანზე, თუმცა სავსებით არც ვერსილოვს ვეთანხმებოდი. ვერსილოვი მიხვდა, რომ თავადი კლანჭებს აჩენდა.

- არ ვიცი, თქვენ რა აზრით ახსენეთ მასონობა, - მიუგო მან, - თუმცა, კაცმა რომ თქვას, თუ რუსი თავადიც კი უარს ამბობს ასეთ იდეაზე, მაშ, ცხადია, იდეას დრო ჯერ არ დადგომია. ღირსებისა და განათლების იდეა, როგორც აღთქმა ყოველი ადამიანისა, ვისაც სწადია, მიეკედლოს კარჩაუკეტავ და განუწყვეტლად განახლებად თავადაზნაურობას, ცხადია, უტოპიაა, მაგრამ შეუძლებელი რატომღაა? რაკი ეს აზრი საზრდოობს თუნდაც მცირეთა გონებაში, მაშინ ის კი არ დაღუპულა, არამედ ანათებს, ვით ცეცხლოვანი წერტილი წყვდიადში.

- თქვენ გიყვართ სიტყვები: „უზენაესი აზრი“, „დიადი აზრი“, „შემაკავშირებელი იდეა“ და სხვ.; ერთი მიბრძანეთ, რას გულისხმობთ მაგ „დიად აზრში“?

- ღმერთმანი. არ ვიცი, რა გიპასუხოთ ამაზე, ჩემო კარგო თავადო, - ჩაიცინა ვერსილოვმა. - უფრო მართებული იქნება, თუ გამოგიტყდებით, რომ ვერც კი აგიხსნით. დიადი აზრი - უფრო ხშირად არის გრძნობა, რომელიც ხანდახან მეტად დიდხანს რჩება განსაზღვრების გარეშე. მხოლოდ ერთი რამ ვიცი, რომ ის მუდამ სათავე იყო, საიდანაც მოედინებოდა ცოცხალი სიცოცხლე, ესე იგი, არა გონებრივი და შეთხზული, არამედ მოუწყენელი და ხალისიანი; ასე რომ, უზენაესი იდეა, რომლი-

სგანაც გამომდინარეობს დიადი აზრი, ჭეშმარიტად აუცილებელია, თუმცა, ცხადია, ეს ამბავი არავის სიამოვნებს.

- რატომ არ სიამოვნებს?

- იმიტომ, რომ იდეებით ცხოვრება მოსაწყენია, უიდეებოდ კი მუდამ მხიარულად ცხოვრობს კაცი.

თავადმა გადაყლაპა შეგონება.

- ეგ ცოცხალი სიცოცხლე რაღაა, თქვენი აზრით? (ეტყობოდა, ბრაზობდა.)

- არც ეგ ვიცი, თავადო; ვიცი ის, რომ ეს უნდა იყოს რაღაც საშინლად მარტივი, ყოვლად ჩვეულებრივი, რაც ყველას თვალში ეცემა, ყოველდღიური და ყოველწუთიერი, თან იმდენად უბრალო, რომ ვერაფრით დაგვიჭერებია, ასეთი უბრალო როგორ იქნებაო, და უკვე მრავალი ათასი წელია, ბუნებრივად გვერდს ვუვლით და ვერ ვამჩნევთ, ვერ შევიცანით.

- მე მხოლოდ იმის თქმა მინდოდა, რომ ეგ თქვენი თავადაზნაურობის იდეა იმავე დროს თავადაზნაურობის უარყოფაცაა, - უთხრა თავადმა.

- თუ მაინცდამაინც გნებავთ, ჩვენში იქნებ არც არასოდეს ყოფილა თავადაზნაურობა.

- ეგ ყველაფერი საშინლად ბუნდოვანია და გაუგებარი. თუ ლაპარაკობთ, მაშინ, ჩემი აზრით, უნდა განავითაროთ კიდეც აზრი...

თავადმა შუბლი შეიკრა და სწრაფად გახედა კედლის საათს. ვერსილოვი წამოდგა და ქუდს წამოავლო ხელი:

- განვავითარო? - თქვა მან. - არა, ჯობია, ნუ განვავითარებთ, თანაც საშინლად მიყვარს აზრის განუვითარებლად ლაპარაკი. ღმერთმანი, ასეა. კიდევ ერთი უცნაურობა მჭირს: დავიწყებ თუ არა იმ აზრის განვითარებას, რომელიც მწამს, როგორც კი დავასრულებ, ვხედავ, რომ მე თვითონვე აღარ მწამს, რასაც სხვას ვუხსნიდი; მეშინია, ახლაც ასე არ დამემართოს. ნახვამდის, ძვირფასო თავადო: როცა თქვენთან ვარ, ყოველთვის მიუტევებლად ბევრს ვყბედობ.

ვერსილოვი გავიდა; თავადმა თავაზიანად გააცილა, მაგრამ მე გულნატკენი დავრჩი.

- ნეტავი თქვენ რაღას იფხორებით? - ერთბაშად მომახალა ისე, რომ ზედაც არ შემოუხედია, გვერდით ჩამიარა და მაღალი საწერი მაგიდისკენ გაემართა.

- იმიტომ ვიფხორები, - დავიწყე აკანკალებული ხმით, - რომ ვხედავ, რა უცნაურად შეიცვალეთ ჩემდამი და თვით ვერსილოვის მიმართაც კი... რა თქმა უნდა, ვერსილოვმა შეიძლება ცოტა რეტროგრადულადაც დაიწყო, თუმცა მერე გამოასწორა და... იქნებ მის სიტყვებში ღრმა აზრი იმალებოდა, მაგრამ თქვენ უბრალოდ ვერ გაუგეთ და...

- მე არ მინდა, რომ წამომიხტნენ თავიანთი ჭკუის სწავლებით და პატარა ბიჭი ვეგონო ვინმეს! - თითქმის გაცეცხლებულმა მომიჭრა სიტყვა.

- თავადო, ეს სიტყვები...

- თუ შეიძლება, თავი დაანებეთ თეატრალურ ჟესტებს, დამდეთ პატივი. ვიცი, რომ, რასაც ჩავდივარ - უსინდისობაა, რომ მფლანგველი ვარ, ბანქოს მოთამაშე, იქნებ ქურდიც... დიახ, ქურდი, რადგან ვანიავებ ოჯახის ქონებას, მაგრამ სრულიად არ ვსაჭიროებ მსაჯულებს. არ ვსაჭიროებ და არც დავუშვებ ამას. ჩემი თავის მსაჯული თავად ვარ. ან რა საჭიროა ორაზროვნება? თუ რამის თქმა უნდოდა, პირდაპირ ეთქვა, რას მოჰყვა რაღაც გაუგებარი აბდაუბდის წინასწარმეტყველებას? მაგრამ იმისთვის, რომ მე შემახსენოს ეს, თვითონ უნდა იყოს პატიოსანი...

- ჯერ ერთი, მე თქვენი საუბრის დასაწყისი არ მომისმენია და არ ვიცი, რას ლაპარაკობდით, ხოლო მეორეც, ნება მიბოძეთ გკითხოთ, რითია ვერსილოვი უპატიოსნო?

- კმარა, გთხოვთ, კმარა. გუშინ სამასი მანეთი მთხოვეთ, აჰა... - მან ჩემს წინ, მაგიდაზე დადო ფული, თვითონ კი სავარძელში ჩაჯდა, ნერვიულად მიაწვა მის საზურგეს და ფეხი ფეხზე გადაიდო. შემკრთალი გავჩერდი.

- აღარ ვიცი... - წავიბუტბუტე. - თხოვნით კი გთხოვეთ, მაგრამ... და თუმცა ახლა ძალიან მჭირდება ფული, მაგრამ ეგეთი ტონის მერე...

- თავი დაანებეთ ჩემს ტონს. თუ მკვახედ გითხარით რამე, მაპატიეთ, გარწმუნებთ, რომ მაგის გუნებაზე არ ვარ. მომისმინეთ, რა ხდება: წერილი მივიღე მოსკოვიდან; ჩემი ძმა, საშა, ჯერ კიდევ ბავშვი, თქვენ იცით, ამ ოთხი დღის წინ გარდაიცვალა. მამაჩემს, როგორც აგრეთვე იცით, აგერ ორი წელია, დამბლა დაეცა. ახლა კი მწერენ, უარესადაა, ენას ვეღარ ძრავს და ცნობიერებაც დაკარგაო. გაიხარეს, მემკვიდრეობა რომ მივიღეთ და საზღვარგარეთ უპირებენ წაყვანას; მაგრამ ექიმი მწერს, ორ კვირასაც ვეღარ გაატანსო. მაშასადამე, დავრჩით დედაჩემი, ჩემი და და მე. გამოდის, ახლა მე თითქმის მარტო ვარ... ერთი სიტყვით, მარტოკა ვარ... ეს მემკვიდრეობა... ეს მემკვიდრეობა - ოჰ, იქნებ უკეთესიც ყოფილიყო, სულაც არ მიმეღო! მაგრამ აი, რა მინდოდა თქვენთვის შემეტყობინებინა: ამ მემკვიდრეობიდან მინიმუმ ოცი ათასს ანდრეი პეტროვიჩს შევპირდი... თან, წარმოიდგინეთ, სხვადასხვა ფორმალობათა გამო დღემდე ვერაფერი გავახერხე. ჯერ ჩემზე... ჩვენზე, ესე იგი... ესე იგი მამაჩემზე არც კი დაუმტკიცებიათ იმ მამულის მფლობელობა. თანაც, ამ უკანასკნელ სამ კვირაში აუარება ფული დავკარგე, ის არამზადა სტებელკოვიც ტყავს მაძრობს სარგებლით... ეგ ფული რომ მოგეცით, მე თითქმის აღარაფერი დამრჩა...

- ო, თავადო, თუ ეგრეა...

- ამის გამო არ ვამბობ, არა. სტებელკოვი მომიტანს ალბათ დღეს და სახარჯოდ მეყოფა, მაგრამ ეშმაკმა იცის იმ სტებელკოვის თავი! ვეხვეწე, ათი ათასი მიშოვე-მეთქი, რომ ათი ათასი მაინც მიმეცა ანდრეი პეტროვიჩისთვის. აკი შევპირდი მესამედის მიცემას და ამან დამტანჯა, ჯვარს მაცვა. სიტყვა მივეცი და უნდა შევასრულო კიდეც. გეფიცებით, მინდა ამ მხრივ მაინც შევასრულო ჩემი მოვალეობა. დამტანჯა ამ მოვალეობებმა, მიმძიმს, ვეღარ ვუძლებ! ის ურთიერთობა ახლაც მძიმე ლოდად მაწევს... ვერ ვიტან ანდრეი პეტროვიჩის ნახვას, რადგან თვალს ვერ ვუსწორებ... რატომ სარგებლობს ამით ბოროტად?

- რითი სარგებლობს ბოროტად, თავადო? - განცვიფრებული წინ დავუდექი. - განა ოდესმე სიტყვა მაინც გადაუკრავს?

- ო, არა, და ამას ძალიანაც ვაფასებ, მაგრამ მე თვითონ გადავუკრავ ხოლმე სიტყვას ჩემს თავს. დასასრულ, სულ უფრო და უფრო გავები... ეს სტებელკოვიც...

- გამიგონეთ, თავადო, დამშვიდდით, გეთაყვა; ვხედავ, რაც დრო გადის, უფრო და უფრო ღელავთ, თანაც, ვინ იცის, იქნებ ეგ ყველაფე-

რი მხოლოდ მირაჟია. ო, მეც მიუტეევებლად, უსინდისოდ გავები; მაგრამ ხომ ვიცი, რომ ეს მხოლოდ დროებითი ამბავია... ნეტავ კი მოვიგო გარკვეული თანხა და, მაშინ... მითხარით, ამ ფულიანად ხომ ორი ათას ხუთასამდე მმართებს თქვენი?

- მგონი, თქვენთვის ვალი არ მომითხოვია, - უცებ შემომღრინა თავადმა.

- თქვენ ამბობთ: ვერსილოვს ათი ათასი უნდა მივცეო. მე თუ ახლა გართმევთ ფულს, ცხადია, ეს ფული ვერსილოვის ოცი ათასის ანგარიშში შევა; სხვანაირად ამას არ დავუშვებ. მაგრამ... აუცილებლად დაგიბრუნებთ... ნუთუ გგონიათ, რომ ვერსილოვი ფულის გულისთვის დადის თქვენთან?

- ნეტავ ფულის გულისთვის დადიოდეს, გულზე მომეშვებოდა. - იდუმალად წარმოთქვა თავადმა.

- თქვენ წეღან რაღაც „ლოდივით დაწოლილი კავშირი“ ახსენეთ... ეგ თუ მე და ვერსილოვს გვეხება, ღმერთმანი, ძალზე საწყენია. დასასრულ, თქვენ გაიძახით: რატომ თვითონ არაა ისეთი, როგორც სხვას უქადაგებსო - აი, თქვენი ლოგიკა! ჯერ ერთი - ნება მიბოძეთ, მოგახსენოთ, ეგ არაა ლოგიკა, ვინაიდან ის, კიდევაც რომ არ იყოს ისეთი, მაინც შეუძლია იქადაგოს ჭეშმარიტება... და, დასასრულ, რა სიტყვაა „ქადაგებს“? გაიძახით: „წინასწარმეტყველიო“. მითხარით, თქვენ შეარქვით მას გერმანიაში „დიაცთა წინასწარმეტყველი“?

- არა, მე არ შემირქმევია.

- სტებელკოვმა მითხრა, თითქოს თქვენ შეარქვით.

- მოუტყუებიხართ. მე დასაცინი მეტსახელების შერქმევა არ მეხერხება. მაგრამ თუ ვინმე ქადაგებს პატიოსნებას, თვითონაც პატიოსანი უნდა იყოს - აი, ჩემი ლოგიკა, და თუ არაა სწორი, სულერთია. მინდა, რომ ასე იყოს, და იქნება კიდეც და ნურავინ, ნურავინ გაბედავს ჩემს სახლში სიარულს, რათა განმსაჯოს და ჩვილ ბავშვად ჩამთვალოს! კმარა, - წამოიძახა მან და ხელი ამიქნია, რომ აღარ გამეგრძელებინა.. - ა, ძლივს არ მოხვედით?

კარი გაიღო და ოთახში სტებელკოვი შემოვიდა.

III

ის ისეთივე იყო, ძველებურად კოხტად ჩაცმული. ისევე მკერდგაბრეექილი მოდიოდა და ტუტუცურად გაშტერდებოდათ თვალებში; ისევე ეგონა, ჩემნაირი ეშმაკი სხვა არ დაბადებულაო, და ძალიან კმაყოფილი იყო საკუთარი თავის. მაგრამ ამჯერად, რომ შემოვიდა, უცნაურად მიიხედ-მოიხედა; რაღაც განსაკუთრებით ფრთხილი და გამჭოლი უკრთოდა მზერაში, თითქოს უნდოდა, ჩვენი ფიზიონომიის მიხედვით რაღაცას მიმხვდარიყო. თუმცა მყისვე დაშოშმინდა და ტუჩებზე თავდაჯერებული ღიმილი მოეფინა, ის „მავედრებელ-უტიფარი“ ღიმილი, რომელიც ვერ ავწერ, ისე მეზიზღებოდა.

კარგა ხანია, ვიცოდი, რომ თავადს სისხლს უშრობდა. ერთი-ორჯერ ჩემს იქ ყოფნის დროსაც მოვიდა. მე... მეც მქონდა მასთან შეხება ბოლო დროს ერთი საქმის გამო, მაგრამ ამჯერად, ერთი ამბის გამო, ცოტა არ იყოს, გამიკვირდა მისი მოსვლა.

- ახლავე, - უთხრა თავადმა ისე, რომ არ მისალმებია, ზურგი შეაქცია და საწერი მაგიდიდან საჭირო ქაღალდებისა და ანგარიშების ალაგებას შეუდგა. რაც შემეხება მე, ნამდვილად მატკინა გული თავადის უკანასკნელმა სიტყვებმა; ვერსილოვის უპატიოსნებაზე ნართაულად ნათქვამი ისე აშკარა იყო (და ისე საოცარი!), რომ ამის ასე დატოვება, თუ რადიკალურ ახსნა-განმარტებას არ მოვთხოვდი, არ შეიძლებოდა. მაგრამ სტებელკოვის თანდასწრებით ეს შეუძლებელი იყო. ისევ გავიშხლართე დივანზე და გადავშალე წიგნი, რომელიც იქვე, ჩემ წინ იდო.

- ბელინსკი, ნაწილი მეორე! აი, ახალი ამბავი! განათლებას ეწაფებით? - გავძახე თავადს და, მგონი, ძალიან არაბუნებრივადაც.

მას არ ეცალა და ჩქარობდა, მაგრამ ჩემს სიტყვებზე უცებ მომიბრუნდა.

- გთხოვთ, თავი დაანებოთ მაგ წიგნს, - მკვახედ წარმოთქვა.

ეს ყოველგვარ ზღვარს სცილდებოდა და, რაც მთავარია, სტებელკოვი იყო იქ! თითქოს განგებო, სტებელკოვი ეშმაკურად და საზიზღრად გაიღრიჯა და მალულად მანიშნა თავადზე. მე ზურგი ვაქციე ამ რეგ-

ვენს.

- ნუ მიწყრებით, თავადო; დამითმია თქვენი თავი ყველაზე მთავარი ადამიანისთვის, მე კი ჯერჯერობით გაგეცლებით...

გადავწყვიტე, უტიფრად დამეჭირა თავი.

- ჩემზე ბრძანეთ, მთავარი ადამიანიო? - აიტაცა სიტყვა სტებელკოვმა და მხიარულად მანიშნა თავის თავზე.

- დიახ, თქვენზე; სწორედ თქვენა ხართ მთავარი ადამიანი, და თქვენც მშვენივრად მოგეხსენებათ, რომ ასეა.

- არა, ბატონო ჩემო, მოითმინეთ. ქვეყნად ყველგანაა მეორე ადამიანი. მე მეორე ადამიანი ვარ. არსებობს პირველი ადამიანი და არსებობს მეორე ადამიანი. პირველი ადამიანი გააკეთებს, მეორე კი აიღებს. მაშასადამე, მეორე ადამიანი გამოდის პირველი ადამიანი, ხოლო პირველი ადამიანი - მეორე ადამიანი. ასეა თუ არა?

- იქნებ ეგრეცაა, ოღონდ, ჩვეულებისამებრ, არ მესმის თქვენი ნათქვამი.

- მოითმინეთ. საფრანგეთში მოხდა რევოლუცია და ყველას თავი მოჰკვეთეს. მოვიდა ნაპოლეონი და ყველაფერი ხელთ იგდო. რევოლუცია - პირველი ადამიანია, ხოლო ნაპოლეონი - მეორე ადამიანი. მაგრამ გამოდის, რომ ნაპოლეონი გახდა პირველი ადამიანი, ხოლო რევოლუცია - მეორე. ასეა თუ არა?

სხვათა შორის, უნდა შევნიშნო: საფრანგეთის რევოლუციაზე რომ დამიწყო ლაპარაკი, ამაში მისი ძველი ეშმაკობა შევნიშნე, რომელიც ძალიან მართობდა ხოლმე: მას ისევ რევოლუციონერი ვეგონე და როცა შემხვდებოდა, მუდამ აუცილებლად მიაჩნდა რამე ამდაგვარზე ელაპარაკა.

- წამოდით, - უთხრა თავადმა და ორივენი მეორე ოთახში გავიდნენ. მარტოკა რომ დავრჩი, საბოლოოდ გადავწყვიტე, როგორც კი სტებელკოვი წავა, დავუბრუნებ თავადს მის სამას მანეთს-მეთქი. ეს ფული საშინლად მჭირდებოდა, მაგრამ ასე გადავწყვიტე.

ათიოდე წუთი დაყვეს იმ ოთახში. ჯერ ჩამიჩუმი არ ისმოდა, მერე კი უცებ აუწიეს ხმას. ორივე ერთად ალაპარაკდა, მაგრამ თავადმა უცებ

იყვირა, როგორც ბრაზით გადარეულმა კაცმა. ხანდახან ისეთი აფეთ-ქება იცოდა ხოლმე, მეც კი ვჩუმდებოდი. მაგრამ სწორედ იმწუთას ლაქია შემოვიდა რაღაცის მოსახსენებლად; მე იმ ოთახზე მივუთითე და იქ ყველაფერი ერთბაშად მიწყნარდა. თავადი სწრაფად გამოვიდა - შეფიქრიანებული, მაგრამ გაღიმებული; ლაქია გაიქცა და ნახევარი წუთის შემდეგ თავადთან სტუმარი შემოვიდა.

ეს გახლდათ ერთი მეტად საპატიო სტუმარი, აქსელბანდებითა და ვენზელებით დამშვენებული, არა უმეტეს, ოცდაათი წლისა. მაღალი წრის კაცის იერი ჰქონდა და მკაცრი შესახედაობა. წინასწარ ვამცნობ მკითხველს, რომ თავადი სერგეი პეტროვიჩი ჯერ კიდევ არ მიეკუთვ-ნებოდა პეტერბურგის მაღალ საზოგადოებას, თუმცა გულმხურვალედ ეწადა (ეს მეც ვიცოდი), ამიტომ ძალიანაც უნდა დაეფასებინა ასეთი სტუმრობა. როგორც ვიცოდი, ეს ნაცნობობა სულ ახალი ამბავი იყო და თავადი ბევრსაც გაისარჯა მის გასაბმელად; სტუმარი სადარბაზოდ ეწვია, მაგრამ, საუბედუროდ, მოულოდნელად. დავინახე, წამით რა ტანჯვით და დაბნევით გახედა თავადმა სტებელკოვს, მაგრამ სტებე-ლკოვმა გაუძლო ამ მზერას, ვითომც აქ არაფერიაო, და ფიქრადაც არ გაუვლია, გასცლოდა იქაურობას, უბოდიშოდ დაჯდა დივანზე და დაიწ-ყო ხელით თმის წიწკნა. ამით უთუოდ უნდოდა ეჩვენებინა, არავის არაფრად ვაგდებო. ისეთი სახეც კი მიიღო, ვითომ დიდი ვინმე ბრძან-დებოდა. ერთი სიტყვით, ნამდვილად აუტანელი სანახავი იყო. რაც შე-მეხება მე, ცხადია, ვიცოდი თავის დაჭერა და, რა თქმა უნდა, არავის შევარცხვენდი, მაგრამ როგორ გავოცდი, როცა შევნიშნე, რომ თავ-ადმა მეც ისეთივე დაბნეული, საცოდავი და ავი თვალებით შემომხედა: მაშასადამე, მას ერცხვინებოდა ორივესი, და მე სტებელკოვთან გამ-ათანაბრა. ამ იდეამ გამაცოფა; უფრო მეტად გავითხლაშე დივანზე და დავიწყე წიგნის ფურცვლა ისეთი სახით, თითქოს მე არაფერი მეხებო-და. სტებელკოვმა კი პირიქით, თვალები ჭყიტა, მკერდი გამობრიქა და ყური მიუგდო მათ საუბარს, უთუოდ, ეგონა, ზრდილობაც ესაა და თავ-აზიანობაცო. სტუმარმა ერთი-ორჯერ თვალი შეავლო მას, თუმცა მეც შემათვალიერა.

ოჯახურ ახალ ამბებზე გააბეს მასლაათი; ამ ბატონს ოდესღაც სცნობოდა თავადის დედა, რომელიც ცნობილი გვარის შთამომავალი იყო. რამდენადაც შევატყვე, სტუმარი, თუმცა თავაზიანი იყო და, ერთი შეხედვით, გულღიაც, ძალზე ამპარტავანი ვინმე ბრძანდებოდა და, ცხ-ადია, იმდენად იფასებდა თავს, რომ შეეძლო თავისი სტუმრობა დიდ პატივად ჩაეთვალა ყველასთვის, ვინც უნდა ყოფილიყო. თავადი რომ

მარტოკა ყოფილიყო, ესე იგი ჩვენ გარეშე, დარწმუნებული ვარ, გაცილებით ღირსეულად დაიჭერდა თავს და უფრო საზრისიანიც იქნებოდა; ახლა კი თავით ფეხამდე გასცა რაღაც განსაკუთრებულმა თრთოლამ, მეტისმეტად თავაზიან ღიმილში რომ გამოსჭვიოდა, და რაღაც უცნაურმა დაბნეულობამ.

ხუთი წუთიც არ გასულა, რაც ისინი დასხდნენ, რომ უცებ თავადს კვლავ მოახსენეს სტუმრის მოსვლა და, თითქოს განგებო, ისიც დამაინტრიგებელი ვინმე გამოდგა. ახალ სტუმარს კარგად ვიცნობდი და მასზე ბევრიც მსმენოდა, თუმცა ის არ მიცნობდა. ეს გახლდათ ჯერ კიდევ ძალზე ყმაწვილი კაცი, ოცდასამი წლისა, საუცხოოდ ჩაცმული, კარგი ოჯახიშვილი და ყალმით ნახატი, მაგრამ - ეჭვმიუტანლად ცუდი საზოგადოებიდან. შარშან ჯერ კიდევ მსახურობდა გვარდიის ერთ განთქმულ კავალერიის პოლკში, მაგრამ იძულებული შეიქნა, თვითონვე ეთხოვა სამსახურიდან გადადგომა, და ყველამ იცოდა, რა მიზეზითაც. მისმა ახლობლებმა გაზეთებითაც კი გამოაცხადეს, პასუხს არ ვაგებთ მის ვალებზეო, მაგრამ ახლაც არ იშლიდა დროს ტარებას. თვეში ათი პროცენტით აღებული სესხით გამწარებული თამაშობდა ბანქოს მოთამაშეთა საზოგადოებებში და რაც რამ ჰქონდა, ერთ განთქმულ ფრანგის ქალს ახარჯავდა. საქმე ის იყო, რომ ერთი კვირის წინ, ერთ საღამოს, თორმეტი ათასი მოიგო და დიდ ამბავში იყო. თავადთან მეგობრობდა: ხშირად ერთსა და იმავე საზოგადოებაში და საზიაროდაც უთამაშიათ; მაგრამ ახლა რომ დაინახა, თავადი შეკრთა კიდეც, მე ეს ჩემი ადგილიდანვე შევნიშნე; ეს ბიჭი ყველგან ისე გრძნობდა თავს, თითქოს საკუთარ სახლშიაო, ყოვლად მოურიდებლად ხმამაღლა და მხიარულად ამბობდა ყველაფერს, რაც კი ენაზე მოადგებოდა და, ცხადია, ფიქრადაც არ მოუვიდოდა, თუ ჩვენს მასპინძელს შიშით აციებდა, ეს რა ხალხში მხედავს ჩემი საპატიო სტუმარიო.

მან შემოსვლისთანავე შეაწყვეტინა ლაპარაკი თავადსა და მის სტუმარს, და, ჯერ არც კი დამჯდარიყო, დაიწყო წუხანდელი თამაშის ამბების მოყოლა.

- მგონი, თქვენც ბრძანდებოდით, - მიუბრუნდა ის ორიოდე წინადადების მერე საპატიო სტუმარს, რადგან ვიღაც თავისიანს მიამსგავსა, მაგრამ მაშინვე დააკვირდა და წამოიძახა: - ახ, მომიტევეთ, სხვაში შემეშალეთ!

- ალექსეი ვლადიმიროვიჩ დარზან, იპოლიტ ალექსანდროვიჩ ნაშჩოკინ! - საჩქაროდ გააცნო ისინი ერთმანეთს თავადმა; ამ ბიჭის გა-

ცნობით არაფერი დაშავდებოდა, კარგი და სახელოვანი გვარის იყო, მაგრამ ჩვენი თავი არ წარუდგინა და ისევ ისე ვისხედით ჩვენ-ჩვენს კუთხეში. სრულიად არ მინდოდა მათკენ თავის მიბრუნება; მაგრამ სტ-ებელკოვი ყმაწვილი კაცის დანახვაზე სიხარულით გაიღრიჯა და ლაპ-არაკის დაწყება დააპირა. ყოველივე ეს თავშესაქცევიც კი მეჩვენა.

- მე შარშან ხშირად მინახავხართ გრაფინია ვერიგინასთან, - უთ-ხრა დარზანმა.

- მახსოვხართ, ოღონდ მაშინ, მგონი, სამხედრო ფორმა გეცვათ. - ალერსიანად მიუგო ნაშჩოკინმა.

- დიახ, სამხედრო ფორმა მეცვა, მაგრამ ვინაიდან... ა, სტებელკოვ, უკვე აქ ხარ? ამას აქ რა უნდა? აი, სწორედ ასეთი ვაჟბატონების წყალ-ობით აღარ ვარ სამხედრო ფორმაში, - მიუთითა მან პირდაპირ სტებე-ლკოვზე და გადაიხარხარა. სტებელკოვმაც მხიარულად გაიცინა, ეტ-ყობოდა, ეს სიტყვები თავაზიანობად მიიჩნია. თავადი გაწითლდა და საჩქაროდ რაღაც ჰკითხა ნაშჩოკინს, დარზანი კი სტებელკოვთან მი-ვიდა და გაცხარებით, ოღონდ ხმადაბლა გაუბა ლაპარაკი.

- საზღვარგარეთ ყოფნისას თქვენ, მგონი, კარგად იცნობდით კატე-რინა ნიკოლავნა ახმაკოვას? - ჰკითხა სტუმარმა თავადს.

- როგორ არა, ვიცნობდი...

- მგონი, მალე ერთ ახალ ამბავს შეიტყობთ. ამბობენ, ბარონ ბიორ-ინგს მიჰყვება ცოლადო.

- ეგ მართალი გახლავთ! - წამოიძახა დარზანმა.

- თქვენ... დანამდვილებით იცით? - აშკარა მღელვარებითა და გა-ნსაკუთრებული ხაზგასმით შეეკითხა თავადი ნაშჩოკინს.

- ასე კი მითხრეს და; მგონი, ეს ამბავი დამალული აღარ არის; თუ-მცა, დანამდვილებით არ ვიცი.

- ო, ნამდვილი ამბავია! - მიუახლოვდა მათ დარზანი. - დუბასოვმა მითხრა გუშინ; ასეთ ამბებს ყველაზე ადრე ის იგებს ხოლმე. თავადსაც უნდა სცოდნოდა...

ნაშჩოკინმა აცალა დარზანს ლაპარაკი, მერე კი ისევ თავადს მიუ-

ბრუნდა:

- კატერინა ნიკოლავნა ახლა იშვიათად ჩნდება ხოლმე საზოგადოებაში.

- აგერ, ერთი თვეა, მამამისი ავადმყოფობს, - მშრალად შენიშნა თავადმა.

- მგონი, მაგ ქალბატონს ბევრი რამ გადახდენია თავს! - წამოროშა უცებ დარზანმა.

მე თავი ავიღე და გავსწორდი.

- მაქვს პატივი, პირადად ვიცნობდე კატერინა ნიკოლავნას და თავი მოვალედ მიმაჩნია, დაგარწმუნოთ, რომ ის სკანდალური ხმები მონაჩმახია... იმათი შეთხზულია... ვინც თავს დასტრიალებდნენ და ვერაფერს კი გახდნენ.

ასე ტუტუცურად რომ შევაწყვეტინე სიტყვა, გავჩუმდი, მაგრამ ყოველ მათგანს ალმურმოდებული სახით და წელში გამართული შევცქეროდი. ყველამ ჩემკენ მოიხედა, მაგრამ უეცრად სტებელკოვი ახითხითდა; დარზანი გაქვავებული იდგა.

- არკადი მაკაროვიჩ დოლგორუკი, - მოუთითა თავადმა დარზანს ჩემზე.

- ახ, მერწმუნეთ, თავადო, - გულღიად და კეთილად მომიბრუნდა დარზანი, - მე კი არ ვამტკიცებ ამას; თუ რამე ხმები დადიოდა, ღმერთმა იცის, მე არ გამივრცელებია იგი.

- თქვენზე არ მოგახსენებთ! - საჩქაროდ მივუგე, მაგრამ სტებელკოვმა მიუტევებლად გაიცინა. როგორც შემდეგ გაირკვა, თურმე იმიტომ გაიცინა, დარზანმა რომ თავადი მიწოდა. ამ ჩემმა დაწყევლილმა გვარმა აქაც წამიხდინა საქმე. ახლაც კი ვწითლდები, როცა გამახსენდება, რომ იმწუთას, - რა თქმა უნდა, სირცხვილის გამო, - ვერ გავბედე ამ სისულელის ატაცება და ხმამაღლა არ განვაცხადე, უბრალოდ დოლგორუკი ვარ-მეთქი. ეს პირველი შემთხვევა იყო ჩემს სიცოცხლეში. დარზანი გაოგნებული მოგვჩერებოდა მე და მოცინარ სტებელკოვს.

- ახ, მართლა! ვინ იყო ის ლამაზი ცუგრუმელა და თეთრყირმიზა ქა-

ლი, კიბეზე რომ შემხვდა? - მიუბრუნდა ის უცებ თავადს.

- არ ვიცი, ღმერთმანი, ვისზე ბრძანებთ, - მიუგო თავადმა სწრაფად, თან გაწითლდა.

- მაშ, ვინ უნდა იცოდეს? - გაეცინა დარზანს.

- თუმცა... ეგ შეიძლებოდა ყოფილიყო... - რაღაცნაირად ენა დაება თავადს.

- ეგ... აი, სწორედ ამათი და გახლდათ, ლიზავეტა მაკაროვნა, - უცებ ჩემკენ გამოიშვირა ხელი სტებელკოვმა. - იმიტომ, რომ წეღან მეც შემხვდა...

- ახ, მართლაც! - ჩამოართვა სიტყვა თავადმა, ამჯერად მეტად დინჯი და სერიოზული სახით: - ეგ უთუოდ ლიზავეტა მაკაროვნა იქნებოდა, კარგი ნაცნობია ანა ფიოდოროვნა სტოლბეევასი, რომელთანაც მე ვცხოვრობ ამჟამად. ალბათ დარია ანისიმოვნა ინახულა, ისიც ანა ფიოდოროვნას კარგი ნაცნობია და როცა მიემგზავრებოდა, სახლი მას ჩააბარა...

ეს მართლაც ასე იყო. დარია ანისიმოვნა გახლდათ იმ საცოდავი ოლიას დედა, რომლის ამბავიც უკვე გიამბეთ და რომელიც ტატიანა პავლოვნამ სტოლბეევასთან დააბინავა. მშვენივრად ვიცოდი, რომ ლიზა დადიოდა სტოლბეევასთან, ხოლო ხანდახან საცოდავ დარია ანისიმოვნასთანაც შეივლიდა, რომელიც ჩვენებმა ძალიან შეიყვარეს; მაგრამ იმწუთას, თავადის ამ მეტად საქმიანი განცხადებისა და სტებელკოვის ტუტუცური საქციელის გამო, ან იქნებ იმიტომაც, რომ ის-ის იყო, თავადი მიწოდეს, ერთიანად გავწითლდი. ბედად, სწორედ ამ დროს ნაშჩოკინი წასასვლელად გაემზადა და წამოდგა; მან დარზანსაც გაუწოდა ხელი. როცა მე და სტებელკოვი მარტოკა დავრჩით, თავის ქნევით მანიშნა დარზანზე, რომელიც ჩვენკენ ზურგშექცეული კართან იდგა. მუშტი მოვუღერე სტებელკოვს.

ერთი წუთის მერე დარზანი შეუთანხმდა თავადს, ხვალ უსათუოდ შევხვდეთ ამა და ამ ადგილასო - ცხადია, სამორინეში - და ისიც წავიდა. რომ გადიოდა, რაღაც გადასძახა სტებელკოვს და მეც ოდნავ დამიკრა თავი. როგორც კი გავიდა, სტებელკოვი წამოხტა, შუა ოთახში გაჩერდა და თითი მაღლა აიშვირა:

- ამ ვაჟბატონმა წინა კვირას ასეთი ოინი ჩაიდინა: თამასუქი გასცა,

ხოლო ბლანკი ყალბი გვარით შეავსო - ავერიანოვი დააწერა. თამასუქიც ამ სახით არსებობს, ოღონდ ასეთი რამეები არ შეიძლება! სისხლის სამართლის საქმეა. რვა ათასის ამბავია.

- და ის თამასუქი უთუოდ თქვენს ხელთაა, ხომ? - თვალები გადავუბრიალე მე.

- მე მაქვს ბანკი, მე მაქვს mont de piété (ლომბარდი (ფრანგ).), და არა თამასუქი. გაგიგონიათ, რა არის mont de piété პარიზში? პური და მადლის ქმნა ღატაკთათვის; ჩემს ხელთაა mont de piété...

თავადმა უხეშად და ბრაზიანად შეაწყვეტინა სიტყვა:

- რა ამბავში ხართ? ვითომ რა იყო, აქ რომ გამომეჭიმეთ?

- ა! - სწრაფად აახამხამა თვალები სტებელკოვმა. - მერე ის ამბავი? განა ის არ იქნება?

- არა, არა, არა! - იყვირა თავადმა და ფეხი დააბაკუნა, - ხომ გითხარით!

- ჰო, თუ ეგრეა... ეგრე იყოს. ოღონდ ეგ ეგრე არაა...

სტებელკოვი სწრაფად მიბრუნდა, თავი დაღუნა, ზურგში მოიხარა და მსწრაფლ გავიდა. თავადმა მიაძახა:

- იცოდეთ, ვაჟბატონო, რომ მე თქვენი სრულებითაც არ მეშინია!

ძალზე გაგულისებული იყო. დაჯდომა დააპირა, მაგრამ მე რომ შემომხედა, აღარ დაჯდა. მისი შემოხედვა თითქოს მეც მეუბნებოდა: „ან შენ რაღას გადათხლაშულხარო აქ?“

- მე, თავადო... - წამოვიწყე.

- ღმერთმანი, არ მცალია, არკადი მაკაროვიჩ, სხვაგან მივდივარ.

- ერთი წუთით, თავადო, ძალიან დიდი საქმე მაქვს; ჯერ ერთი, დაიბრუნეთ თქვენი სამასი მანეთი.

- ეს რაღა ამბავია?

თავადი ბოლთას სცემდა ოთახში, მაგრამ შეჩერდა.

- ის ამბავია, რომ ყოველივე იმის მერე, რაც მოხდა... და ისიც, რაც თქვენ ილაპარაკეთ ვერსილოვზე, უპატიოსნო კაციაო, დაბოლოს, მთელი თქვენი წეღანდელი საქციელი... ერთი სიტყვით, ამ ფულს ვერაფრის გულისთვის ვერ გამოგართმევთ.

- კი მაგრამ, მთელი ეს თვე ხომ მართმევდით.

თავადი უცებ სკამზე დაჯდა. მე მაგიდასთან ვიდექი, ცალი ხელით უთავბოლოდ ვფურცლავდი ბელინსკის წიგნს, მეორეში კი ქუდი მეჭირა.

- მაშინ სხვა გრძნობები გვქონდა, თავადო... და, დასასრულ, მე არასოდეს გადავამეტებდი გარკვეულ თანხას... ამ ბანქოს თამაშმა... ერთი სიტყვით, არ შემიძლია!

- თქვენ ვერაფრით გამოიჩინეთ თავი და ამიტომ ყრით ცოფებს; გთხოვთ, შეეშვათ მაგ წიგნს.

- რას ნიშნავს „ვერაფრით გამოიჩინეთ თავი“? დაბოლოს, თქვენ, თქვენი სტუმრების თვალწინ, თითქმის სტაბელკოვს გამათანაბრებთ.

- აი, თურმე რა ყოფილა! - გესლიანად გაიცინა თავადმა. - თანაც ლამის დამბლა დაგეცათ, დარზანმა თავადი რომ გიწოდათ.

იგი ბოროტად იცინოდა. მე ვიფეთქე:

- არც კი მესმის... მაგ თქვენს თავადიშვილობას მუქთადაც არ ვისურვებდი...

- ვიცი თქვენი ხასიათი. რა სასაცილოდ წამოხტით წეღან ახმაკოვას გამოსაქომაგებლად... თავი დაანებეთ-მეთქი წიგნს!

- ეს რას ნიშნავს? - ვიყვირე.

- თავი და-ა-ნე-ბეთ წიგნს! - იღრიალა უცებ და ისე გააფთრებით გასწორდა სავარძელში, თითქოს საცაა, უნდა მეცესო.

- ეს უკვე მეტისმეტია, - წარმოვთქვი და სწრაფად გამოვედი ოთახიდან. შუა დარბაზშიც არ ვიყავი მისული, რომ კაბინეტის კარიდან მომაძახა:

- არკადი მაკაროვიჩ, დაბრუნდით! და-ბრუნ-დით! და-ბრუნდით! ახლავე და-ბრუნ-დით!

მაინც ვაგრძელებდი გზას. თავადი ჩქარი ნაბიჯით დამეწია, ხელი მტაცა და კაბინეტისკენ წამათრია. წინააღმდეგობა აღარ გამიწევია.

- გამომართვით! - მითხრა მღელვარებისგან გაფითრებულმა და გამომიწოდა სამასი მანეთი, მე რომ გადავუყარე. - იცოდეთ, გამომართვით... თორემ მე და თქვენ... აუცილებლად!

- თავადო, როგორღა გამოგართვათ?

- კეთილი, პატიებას გთხოვთ, გნებათ? კარგი, მაპატიეთ!..

- თავადო, მე თქვენ ყოველთვის მიყვარდით და თუ თქვენც...

- მეც. გამომართვით...

გამოვართვი. თავადს ტუჩები უკანკალებდა.

- მე მესმის, თავადო, რომ იმ არამზადამ გაგაცეცხლათ... მაგრამ ისე არ გამოგართმევთ, თუ არ გადავკოცნით ერთმანეთს, როგორც წინათ ვიცოდით ხოლმე, როცა წავეკიდებოდით...

ამას რომ ვეუბნებოდი, მეც ვკანკალებდი.

- ეს რაღა სინაზე მოიგონეთ, - შემკრთალი ღიმილით წაიბურტყუნა თავადმა, მაგრამ დაიხარა და მაკოცა. შევკრთი: იმწუთას, როცა მკოცნიდა, მის სახეზე ნამდვილად შევნიშნე ზიზღი.

- ფული მაინც თუ მოგიტანათ?..

- ე, სულერთია.

- თქვენთვის ვამბობ, თორემ...

- მომიტანა, მომიტანა.

- თავადო, ჩვენ მეგობრები ვიყავით... და, დასასრულ, ვერსილოვი...

- ჰო, ჰო, კარგი!

- და, დასასრულ, ღმერთმანი, საბოლოოდ არ ვიცი, ეს სამასი მანეთი...

ფული ხელში მეჭირა.

- გამომართვით, გა-მო-მართ-ვით! - ჩაიცინა ისევ, მაგრამ რაღაც ძალზე უკეთური გაუკრთა ღიმილში.

მე გამოვართვი.

თავი მესამე - I

გამოვართვი იმიტომ, რომ მიყვარდა თავადი. ვინც არ დამიჯერებს, იმას ვუპასუხებ, რომ, როცა იმ ფულს ვართმევდი, მტკიცედ მწამდა, თუკი მოვიწადინებ, ამაზე მეტსაც ვიშოვი სხვა წყაროდან-მეთქი. მაშასადამე, იმიტომ კი არ გამოვართვი, რომ სხვა გზა არ მქონდა, არამედ იმიტომ, რომ მისთვის არ მეწყენინებინა. ვაგლახ, ასე ვფიქრობდი მაშინ! მაგრამ მაინც ძალზე გულდამძიმებული წამოვედი მისგან: იმ დილით უჩვეულო ცვლილება შევამჩნიე ჩემდამი დამოკიდებულებაში; ასე ჩემთან დღემდე არასოდეს ულაპარაკია; ხოლო ვერსილოვის წინააღმდეგ ნათქვამი ხომ ნამდვილი ჯანყი იყო. ცხადია, სტებელკოვმა წეღან რაღაც ისეთი უთხრა, რომ გადარია კაცი, მაგრამ ჯერ კიდევ სტებელკოვამდე დაიწყო ეს ყველაფერი. ვიმეორებ: წინანდებურად რომ აღარ მექცეოდა, ამას ბოლო დღეებშიც ვატყობდი, მაგრამ ამ ზომამდე არასოდეს მისულა - აი, რა იყო მთავარი.

იქნებ იმ ფლიგელ-ადიუტანტის, ბარონ ბიორინგის, სულელურმა ამბავმაც იმოქმედა... მეც აღელვებული გამოვედი, მაგრამ... საქმეც ისაა, რომ მაშინ სულ სხვა რამ მინათებდა გონებას და ამიტომაც ქარაფშუტასავით ვერ ვამჩნევდი ბევრ რამეს: ვისწრაფოდი, არ შემემჩნია, ყველა სადარდებელს თავს ვარიდებდი და ვიხედებოდი იქითკენ, საიდანაც ის სხვა რამ მინათებდა..

ჯერ ნაშუადღევის პირველი საათიც არ იყო, თავადისგან რომ გამოვედი - არ დაიჯერებთ და - ჩემს მატვეის პირდაპირ სტებელკოვთან წასვლა ვუბრძანე! საქმეც ის იყო, რომ წეღან იმდენად მისმა თავადთან მოსვლამ არ გამაოცა (რადგან შეპირებული იყო მისვლას), რამდენადაც იმან, რომ, თავისი ტუტუცური ჩვეულების გამო, სულ თვალს მიპაჭუნებდა, მაგრამ არა იმ თემაზე, რომელზეც ველოდი. წინა ღამით ქალაქის ფოსტით მივიღე მისი ერთობ იდუმალი ბარათი. მთხოვდა, მასთან მივსულიყავი სწორედ დღეს, ორ საათზე, რადგან „მას შეეძლო შეეტყობინებინა ჩემთვის მეტად მოულოდნელი ამბები“. წეღან კი, თავადთან ყოფნისას, თავი ისე ეჭირა, ვითომ ის წერილი არც მოეწეროს. რა საიდუმლოება უნდა გვქონოდა მე და სტებელკოვს? ამაზე ფიქრი სასაცილოც კი იყო; მაგრამ ყოველივე მომხდარის მერე ახლა, მასთან რომ მივდიოდი, ცოტა არ იყოს, ვღელავდი. რა თქმა უნდა, მიმიმართავს მისთვის - ერთხელ, ამ ორიოდე კვირის წინ. ფული მჭირდებოდა და არც მას უთქვამს უარი, მაგრამ, რატომღაც, ვეღარ მოვრიგდით და მე თვითონვე აღარ გამოვართვი. მაშინ, თავის ჩვეულებისამებრ, გაუგე-

ბრად რაღაც წაიბურტყუნა და მომეჩვენა, რომ რაღაც განსაკუთრებული პირობების შემოთავაზება სურდა; მაგრამ რადგან ყოველთვის, როცა თავადთან შევხვდებოდი, ქედმაღლურად ვექცეოდი, ამაყად უკუვაგდე ფიქრი ყოველგვარ განსაკუთრებულ პირობებზე და გამოვედი, თუმცა კარამდე მომდია. მაშინაც თავადს გამოვართვი ფული.

სტებელკოვი სავსებით განცალკევებით და კარგადაც ცხოვრობდა: ოთხი მშვენიერი ოთახი, საუკეთესო ავეჯი, მსახურები და მოახლეები ჰყავდა და ვიღაც, უნდა ითქვას, საკმაოდ ხნიერი, მნე ქალი. გაჯავრებული შევედი მასთან.

- გამიგონეთ, - კარშივე დავიწყე: - ჯერ ერთი, რას ნიშნავს ის ბარათი? მე არ დავუშვებ მიმოწერას ჩემსა და თქვენ შორის. ან რატომ წეღან, თავადთან ყოფნისას, არ მითხარით, რაც გნებავდათ: იქ არ ვიყავი?

- თქვენ რატომღა დუმდით და არაფერი მკითხეთ? - კმაყოფილებით დაიღრიჯა სტებელკოვი.

- იმიტომ, რომ მე კი არ მჭირდებით, თქვენ გაქვთ საქმე ჩემთან, - წამოვიძახე ერთბაშად გაცეცხლებულმა.

- თუ ეგრეა, აქ რატომღა მობრძანდით? - სიამოვნებისგან კინაღამ ერთ ადგილზე შეხტა-შეპროწიალდა სტებელკოვი. მაშინვე მოვტრიალდი და წამოსვლა დავაპირე, მაგრამ მხარში წამავლო ხელი.

- არა, არა, გეხუმრეთ. დიდი საქმე მაქვს; თქვენვე დარწმუნდებით.

დავჯექი. მართალი მოგახსენოთ, ცნობისმოყვარეობამ მძლია. დიდ საწერ მაგიდას მივუსხედით პირისპირ. მან ეშმაკურად გაიღიმა და თითი აიშვირა.

- თუ შეიძლება, თავი დაანებეთ თქვენს ოინებს და თითებს, და რაც მთავარია - ყოველგვარ ალეგორიას, პირდაპირ საქმეზე მელაპარაკეთ, თორემ ახლავე წავალ! - ისევ წამოვენთე.

- თქვენ... ამაყი ხართ! - წარმოთქვა მან სულელური გაკილვით, სავარძელი ჩემკენ მოაჩოჩა და რაც რამ ნაოჭი ჰქონდა, სულ შუბლზე წამოიყარა.

- ეგრე იმსახურებთ.

- თქვენ... დღეს თავადს გამოართვით ფული; სამასი მანეთი; მე მაქვს ფული. ჩემი ფული სჯობია.

- რა იცით, რომ გამოვართვი? - საშინლად გავოცდი. - ნუთუ თვითონ გითხრათ?

- მან მითხრა. ნუ ღელავთ, სხვათა შორის მითხრა. სიტყვამ მოიტანა, მხოლოდ ერთმა სიტყვამ, განზრახ არ უთქვამს. მან მითხრა. არადა, შეიძლებოდა მისთვის არ გამოგერთმიათ. ასეა თუ არა?

- მაგრამ თქვენ თურმე აუტანელ პროცენტს ართმევთ ხალხს, ტყავს აძრობთ.

- Mont de piété მაქვს, და ტყავს არავის ვაძრობ. მარტო მეგობრებისთვის მაქვს, სხვებს კი არ ვაძლევ. სხვებისთვის გირაოთი სესხებაა.

ეს mont de piété გახლდათ ფულის ყოვლად ჩვეულებრივი გასესხება გირაოთი. ვიღაცის სახელზე, სხვის ბინაში ჰქონდა და კარგადაც მიუდიოდა საქმე.

- მეგობრებს კი დიდ თანხას ვაძლევ.

- განა თავადი ეგეთი დიდი მეგობარია თქვენი?

- მე-გო-ბარი-ა, მაგრამ... მიეთ-მოეთობს. და არ უნდა ბედავდეს მიეთ-მოეთობას.

- განა ეგრე გყავთ გამოჭერილი? ბევრი მართებს?

- მას... ბევრი მართებს.

- გადაგიხდით, მან მემკვიდრეობა მიიღო...

- ეს ხომ მისი მემკვიდრეობა არ არის; ფულიც მართებს ჩემი და კიდევ სხვა რამეც. მემკვიდრეობა ცოტაა. თქვენ უპროცენტოდ მოგცემთ.

- მეც როგორც „მეგობარს“? რითი დავიმსახურე? - გამეცინა.

- თქვენ აწი დაიმსახურებთ. - მთელი ტანით ჩემკენ გადმოიწია და თითი გაფშიკა.

- სტებელკოვ! თავი დაანებეთ თითებს, თორემ წავალ.

- გამიგონეთ... მან შეიძლება ანა ანდრეევნა შეირთოს! - და საზიზღრად მოჭუტა მარცხენა თვალი.

- გამიგონეთ, სტებელკოვ, ეს ლაპარაკი იმდენად სკანდალურ ხასიათს იღებს, რომ... როგორ ბედავთ ანა ანდრეევნას სახელის ხსენებას?

- ნუ ჯავრობთ.

- ძლივს ვიკავებ თავს და მხოლოდ იმიტომ გისმენთ, რომ ნათლად ვხედავ რაღაც მზაკვრობას და მინდა შევიტყო... მაგრამ იქნებ ვეღარ მოვითმინო, სტებელკოვ!

- ნუ ჯავრობთ, ნუ ხართ ამაყი. ცოტა ხანს ნუ იამაყებთ და მომისმინეთ. მერე კი ისევ იამაყეთ. ანა ანდრეევნას ამბავი გეცოდინებათ! აი, შეიძლება თავადმა შეირთოსო... ხომ იცით?

- მაგ ამბისთვის, რა თქმა უნდა, ყური მომიკრავს და ყველაფერი ვიცი; მაგრამ თავადთან არასოდეს მილაპარაკია ამაზე. მხოლოდ ის ვიცი, რომ ეს იდეა მოხუც თავად სოკოლსკის დაებადა, რომელიც ახლა ავადაა; მაგრამ ამაზე არასოდეს არაფერი მიკითხავს და არც რაიმე მონაწილეობა მიმიღია. ამას გიცხადებთ მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ გაგაგებინოთ. ახლა კი ნება მიბოძეთ, გკითხოთ. ჯერ ერთი: რატომ წამომიწყეთ ამაზე ლაპარაკი? და მეორეც, ნუთუ თავადი თქვენ გეუბნებათ ასეთ რამეებს?

- ის როდი მეუბნება. მას არ უნდა ჩემთან ლაპარაკი, მე ველაპარაკები და ის არ მისმენს. წეღან დამიყვირა.

- მაშ, რას იზამდა! ძალიანაც კარგი უქნია.

- ის ბერიკაცი, თავადი სოკოლსკი, დიდ მზითევს მისცემს ანა ანდრეევნას; ანა ანდრეევნამ ძალიან შეაყვარა თავი. მაშინ თავადი სოკოლსკის სიძე სულ მომცემს, რაც კი ფული მართებს. იმ არაფულად ვალსაც გადამიხდის. ნამდვილად გადამიხდის! ახლა კი თვითონ რა აქვს, რომ მე მომცეს?

- მე? მე რიღასთვის გჭირდებით?

- მთავარი საკითხისთვის: თქვენ მათ იცნობთ; ყველას იცნობთ. თქვენ შეგიძლიათ ყველაფერი შეიტყოთ.

- ეშმაკმა დალახვროს... რა უნდა შევიტყო?

- სწადია თუ არა თავადს, ანა ანდრეევნას, თვითონ მოხუც თავადს, დანამდვილებით შეიტყოთ.

- როგორ მიბედავთ შემომთავაზოთ, თქვენი ჯაშუში გავხდე და ისიც - ფულზე?! - აღშფოთებით წამოვიჭერი.

- ნუ ამაყობთ, ნუ. კიდევ ცოტა ხანს ნუ იამაყებთ, სულ ხუთი წუთი მოითმინეთ. - მან ისევ დამსვა. ეტყობოდა, სულაც არ აშინებდა ჩემი ხელის ქნევა და წამოძახილები. გადავწყვიტე, ბოლომდე მომესმინა.

- მე უნდა შევიტყო, საჩქაროდ უნდა შევიტყო, ვინაიდან... ვინაიდან მალე იქნებ გვიანაც იყო. ხომ ნახეთ, წეღან როგორ გაისუსა, როცა ოფიცერმა ბარონსა და ახმაკოვაზე ჩამოაგდო ლაპარაკი?

ნამდვილად თავს ვიმცირებდი, ისევ რომ ვუსმენდი, მაგრამ ცნობისმოყვარეობამ ამიტანა და თავს ვეღარ ვერეოდი.

- გამიგონეთ... თქვე უხეირო ადამიანო, - ვუთხარი მტკიცედ. - თუ აქ ვზივარ, გისმენთ და ნებას გაძლევთ, ილაპარაკოთ ასეთ რამეებზე... და მეც გპასუხობთ, იმიტომ კი არა, თითქოს დასაშვებად მიმაჩნია, რომ თქვენ ამის უფლება გაქვთ. უბრალოდ ვხედავ, რომ რაღაც უნამუსობას აქვს ადგილი... ჯერ ერთი, რა იმედი უნდა ჰქონდეს თავადს, რომ კატერინა ნიკოლავნას შეირთავს?

- არავითარი; მაგრამ ცოფებს ყრის.

- ეგ ტყუილია.

- ცოფებს ყრის. ახლა, მაშასადამე, ახმაკოვა - პას (ბანქოს თამაშში: არ ვთამაშობ.). აქ პლიე (ბანქოს სათამაშო ტერმინი.) წააგო. ახლა ანა ანდრეევნაღა დარჩა. ორი ათასს მოგცემთ... არც სარგებელი მინდა და არც თამასუქი.

ეს რომ თქვა, მტკიცედ და დიდი ამბით გადაწვა სავარძელზე და დაჭყეტილი მზერა მომაპყრო. მეც თვალდაჭყეტილი მივჩერებოდი.

- თქვენ ბოლშაია მილიონაიაზე შეკერილ ტანსაცმელს ატარებთ; ფული გესაჭიროებათ, ფული. ჩემი ფული უკეთესია, ვიდრე მისი. ორი ათასზე მეტს მოგცემთ...

- რისთვის? ეშმაკმა დალახვროს, რისთვის?

დავაბაკუნე ფეხი. სტებელკოვი ჩემკენ გადმოიხარა და მნიშვნელოვანი გამომეტყველებით წარმოთქვა:

- იმისთვის, რომ არ ჩაერიოთ ამ საქმეში.

- მე ხომ უმაგისოდაც არ ვერევი! - წამოვიძახე მე.

- ვიცი, რომ ხმას არ იღებთ. ეგ კარგია.

- სულ არ ვსაჭიროებ თქვენს შექებას. ძალიანაც მინდა ეს ამბავი მოგვარდეს, მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს ჩემი საქმე არაა, და ურიგოც კი იქნება ჩემი ჩარევა.

- აი ხომ ხედავთ, ურიგოც იქნება! - ასწია მან თითი.

- რას ხომ ვხედავ?

- ურიგო იქნება... ხე! - და უცებ გაიცინა. - მესმის, მესმის, რომ თქვენი ჩარევა ურიგო იქნება, მაგრამ... ხელს არ შეუშლით? - თვალი ჩამიკრა, მაგრამ ამ თვალის ჩაკვრაში ისეთი უტიფარი, ასე განსაჯეთ, დამცინავი და მდაბალი რამ იყო! სწორედ ჩემით აპირებდა სულმდაბლობას და ამის იმედი ჰქონდა... ეს აშკარა იყო, მაგრამ ვერაფრით მივმხვდარიყავი საქმის ვითარებას.

- ანა ანდრეევნაც ხომ თქვენი და არის, - წარმოთქვა მან შეგონებით.

- მაგაზე არ გაბედოთ ლაპარაკი. და საერთოდ, ანა ანდრეევნას ხსენება არ გაბედოთ!

- ნუ იჩენთ სიამაყეს, კიდევ ერთი წუთი მომისმინეთ! გამიგონეთ: თავადი ფულს მიიღებს და ყველას უზრუნველყოფს, - დაბეჯითებით თქვა სტებელკოვმა: - ყველას, ყველას. ყურადღებით მისმენთ?

- მაშ, თქვენ გგონიათ, რომ მე ფულს გამოვართმევ?

- ახლა ხომ ართმევთ?

- ახლა ჩემსას ვართმევ.

- რომელ თქვენსას?

- ეს ვერსილოვის ფულია: ვერსილოვის ოცი ათასი მართებს.

- ვერსილოვის მართებს, თქვენი ხომ არა?

- ვერსილოვი ჩემი მამაა.

- არა, თქვენ დოლგორუკი ხართ და არა ვერსილოვი.

- ეგ სულერთია! - მართლა შემეძლო მაშინ ასე მსჯელობა! ვიცოდი, რომ სულერთი არ იყო, არც ასე ბრიყვი ვიყავი, მაგრამ ისევ და ისევ „ხათრის“ გამო ვმსჯელობდი მაშინ ამგვარად.

- კმარა! - წამოვიძახე. - არაფერი გამეგება. როგორ გაბედეთ, ასეთი სისულელის გულისთვის რომ დამიბარეთ?

- ნუთუ მართლა არ გესმით? თავს იკატუნებთ თუ რა არის? - ნელა წარმოთქვა სტებელკოვმა და გამჭოლი, თან უნდო ღიმილით დამაკვირდა.

- გეფიცებით, არ მესმის!

- გეუბნებით, ყველას უზრუნველყოფს-მეთქი, ყველას, ოღონდ ნუ ჩაერევით და ნუ გადაათქმევინებთ.

- ნამდვილად ჭკუაზე შეიშალეთ! რას გადამეკიდეთ მაგ „ყველათი“? იქნებ ვერსილოვს უზრუნველყოფს?

- თქვენსა და ვერსილოვს გარდა სხვებიც არიან. და ანა ანდრეევნა ისეთივე დაა თქვენი, როგორიც ლიზავეტა მაკაროვნა!

თვალებგაფართოებული მივჩერებოდი. უცებ მის საზიზღარ მზერაში ჩემდამი სიბრალულის მსგავსი რაღაცაც კი გამოკრთა:

- არ გესმით და მით უკეთესი! კარგია, ძალიან კარგი, რომ არ გესმით. საქებარია... თუ მართლაც არაფერი გესმით.

სულ გადავირიე.

- თავიდან მომ-წყდი-ით მაგ თქვენი სისულელეებით, თქვე შეშლილო ადამიანო! - წამოვიძახე და ქუდს დავტაცე ხელი.

- ეს უბრალო საქმე არაა! მაშ, შევთანხმდით? იცით, რას გეტყვით? თქვენ კიდევ მომაკითხავთ.

- არა, - მოკლედ მოვუჭერი კარის ზღურბლიდან.

- მოხვალთ, და მაშინ... მაშინ სხვანაირად ვილაპარაკებთ. მთავარი ლაპარაკი მაშინ გვექნება. ორი ათასი, გახსოვდეთ!

II

მან ჩემზე ისეთი ბილწი და ბუნდოვანი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ, როცა გამოვედი, ვცდილობდი, არ მეფიქრა და მხოლოდ ვიფურთხებოდი. ფიქრმა, თავადს შეეძლო მასთან ელაპარაკა ჩემზე და იმ ფულზე-მეთქი, ეკალივით მიჩხვლიტა. „მოვიგებ და დღესვე მივცემ“, - მტკიცედ გადავწყვიტე გულში.

ხომ რა ბრიყვი და ენაბლუ იყო სტებელკოვი, მაგრამ მაინც დავინახე ჭეშმარიტი არამზადა მთელი თავისი ბრწყინვალებით, ხოლო მთავარი ის გახლდათ, რომ აქ რაღაც ინტრიგა იმალებოდა, უამისობა არ იქნებოდა. ოღონდ სად მეცალა მაშინ ინტრიგების გამოსაქექად, და სწორედ ეს მოუცლელობა იყო ჩემი სიბრმავის მთავარი მიზეზი! შეშფოთებით დავხედე საათს, მაგრამ ჯერ ორიც არ გამხდარიყო; მაშასადამე, კიდევ მოვასწრებდი ერთ ვიზიტს, თორემ სამ საათამდე მღელვარებისგან სული გამძვრებოდა. გავეშურე ანა ანდრეევნა ვერსილოვასთან, ჩემს დასთან. დიდი ხანი იყო, რაც დავუახლოვდი ჩემი მოხუცი თავადის სახლში, სწორედ მისი ავადმყოფობის დროს. სინდისი მქენჯნიდა, როცა გამახსენდებოდა, რომ აგერ, სამი-ოთხი დღე იქნებოდა, თავადი არ მენახა; მაგრამ სწორედ ანა ანდრეევნამ მიხსნა: თავადს საოცრად შეუვარდა გული მასზე და ჩემთანაც კი თავის მფარველ ანგელოზს ეძახდა. აქვე ვიტყვი, მისი თავად სერგეი პეტროვიჩზე მითხოვება მართლაც ჩემს ბებერს მოუვიდა თავში და ჩემთვისაც გაუმხელია ეს, ოღონდ, რა თქმა უნდა, საიდუმლოდ. ეს აზრი მე ვერსილოვს გავუზიარე, რადგან ადრევეც შევნიშნე, რომ თუმცა ესოდენ გულგრილი იყო ყოველივე არსებითისადმი, მაგრამ ყოველთვის განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა, როცა ვუამბობდი ხოლმე რაიმეს ჩემსა და ანა ანდრეევნას შეხვედრების შესახებ. მაშინ ვერსილოვმა წაიბურტყუნა, ანა ანდრეევნა საკმაოდ ჭკვიანია და ასეთ საჩოთირო საქმეში სხვის რჩევა-დარიგებას არ საჭიროებსო. ცხადია, სტებელკოვი მართალი იყო, მოხუცი თავადი მას კარგ მზითევს მისცემდა, მაგრამ თვითონ როგორ ბედავდა, ამ საქმეში რაღაცის იმედი ჰქონოდა? წეღან თავადმა მიაძახა, სულ არ მეშინია შენიო: მართლაც ანა ანდრეევნაზე ხომ არ ელაპარაკებოდა წეღან კაბინეტში სტებელკოვი? წარმომიდგენია, როგორ გავცოფდებოდი, მის ადგილას რომ ვყოფილიყავი.

ანა ანდრეევნასთან ბოლო ხანებში საკმაოდ ხშირადაც კი დავდიო-

დი. მაგრამ მუდამ ერთი უცნაურობა ხდებოდა: ყოველთვის თვითონ დამიბარებდა ხოლმე, მოდიო, და უსათუოდ მელოდა კიდეც, მაგრამ როგორც კი შევიდოდი, აუცილებლად ისეთ სახეს მიიღებდა, თითქოს მოულოდნელად და უცაბედად შევედი; ეს ჩვევა შევამჩნიე, მაგრამ მაინც ძალიან შევეთვისე. ანა ანდრეევნა ცხოვრობდა ფანარიოტოვასთან, თავის ბებიასთან, რა თქმა უნდა, როგორც მისი აღზრდილი (ვერსილოვი მათ სარჩენად არაფერს აძლევდა), - მაგრამ ისე კი არა, როგორადაც ჩვეულებრივად აღწერენ ხოლმე აღზრდილთა ყოფას მდიდარი ქალბატონების სახლში, როგორც აღწერა, მაგალითად, პუშკინმა თავის „პიკის ქალში“ მოხუცი გრაფინიას აღზრდილის ცხოვრება. ანა ანდრეევნა თვითონაც გრაფინიასავით ცხოვრობდა. ამ სახლში სრულიად განცალკევებით იყო. თუმცა ფანარიოტოვებთან ერთ სართულზე იმყოფებოდა, მაგრამ თავისთვის ჰქონდა ორი ოთახი, ასე რომ მე, მაგალითად, რამდენჯერ შევსულვარ და გამოვსულვარ, ფანარიოტოვთაგან კი არავის შევხვედრივარ. მას უფლება ჰქონდა, მიეღო ვინც სურდა, და მთელი თავისი დრო ისე მოეხმარა, როგორც ესიამოვნებოდა. ეს კია, რომ უკვე ოცდასამი წლის ხდებოდა. ბოლო წელს თითქმის აღარ გამოდიოდა საზოგადოებაში, თუმცა ფანარიოტოვა არ ძუნწობდა თავისი შვილიშვილის ხარჯებში, რადგან, როგორც გაგონილი მქონდა, ძალიან უყვარდა. პირიქით, მე სწორედ ის მომწონდა ანა ანდრეევნასი, რომ ყოველთვის, როცა კი შევხვედრივარ, სადა კაბა ეცვა, მუდამ რაღაცას აკეთებდა, წიგნს კითხულობდა ან ხელსაქმობდა. რაღაც მონასტრული, თითქმის მონაზვნური გამოსჭვიოდა მის გარეგნობაში და ეს მომწონდა. ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა, მაგრამ ყოველთვის ღირსეულად ლაპარაკობდა და საშინლად კარგი მოსმენა იცოდა, რაც მე არასოდეს მეხერხებოდა. როცა ვეტყოდი ხოლმე, ხომ არაფრით ჰგავხართ ვერსილოვს, მაგრამ მაინც ძალიან მაგონებთ-მეთქი, ოდნავ შეუყირმიზდებოდა სახე. ხშირად იცოდა გაწითლება და მუდამ ანაზდად, და ძალიან მიყვარდა მისი სახის ეს თვისება. მასთან ყოფნისას ვერსილოვს არასოდეს გვარით არ ვახსენებდი, აუცილებლად ანდრეი პეტროვიჩს ვიტყოდი. ეს, როგორღაც, თავისთავად ხდებოდა. მშვენივრად ვხვდებოდი, რომ ფანარიოტოვებს რატომღაც, ეთაკილებოდათ ვერსილოვი; კაცმა რომ თქვას, ეს მარტო ანა ანდრეევნას შევამჩნიე, თუმცა მაინც არ ვიცი, შეიძლება თუ არა აქ გამოვიყენო სიტყვა „ეთაკილებოდათ“; მაგრამ რაღაც ამდაგვარი კი იყო. თავად სერგეი პეტროვიჩზეც ველაპარაკებოდი ხოლმე, ისიც მისმენდა და, როგორც მეჩვენებოდა, აინტერესებდა მისი ამბები; ოღონდ ისე გამოდიოდა, რომ მე თვითონ ვუამბობდი ხოლმე თავადის ამბებს, თვითონ კი არასოდეს უკითხავს. მათი შესაძლო ქორწინების თაობაზე ვერასოდეს

ვუბედავდი ლაპარაკს, თუმცა ხშირად დამიპირებია, რადგან ნაწილობრივ მეც მომწონდა ეს იდეა. როცა მის ოთახში ვიყავ, საშინლად ბევრი რამის თქმას ვერ ვბედავდი - და, პირიქითაც, საშინლად კარგად ვგრძნობდი თავს. მიყვარდა ისიც, რომ ძალზე განათლებული ქალი იყო, ნაკითხი, საფუძვლიანი წიგნებიც კი ჰქონდა წაკითხული; ჩემზე გაცილებით ნაკითხი იყო.

პირველად მან თვითონ მიმიპატიჟა. ვიფიქრე, იქნებ იმედი აქვს, ხანდახან მაინც რამე წამომაცდენინოს-მეთქი. ო, მაშინ ბევრ ვინმეს შეეძლო ძალიან ბევრი რამ დაეტყუებინა ჩემთვის! „მერე რა მოხდა, - ვფიქრობდი, - მარტო ამიტომ ხომ არ მეპატიჟება“; ერთი სიტყვით, მოხარულიც კი ვიყავი, რომ შემეძლო რამეში გამოვდგომოდი, და... და როცა მასთან ვიჯექი, გუნებაში მუდამ მეჩვენებოდა, ჩემ გვედით ჩემი და ზის-მეთქი, თუმცა უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენს ნათესაობაზე ერთხელაც არ დაგვიძრავს სიტყვა, გადაკვრითაც კი არაფერი გვითქვამს, ვითომ სულაც არაფერი ვყოფილიყავით ერთმანეთისა. როცა მასთან ვიჯექი ხოლმე, რაღაც სრულიად წარმოუდგენლად მეჩვენებოდა ამაზე რაიმეს თქმა და, ღმერთმანი, რომ შევყურებდი, ხანდახან ასეთი უგუნური ფიქრიც კი მომსვლია: იქნებ სულაც არაფერი იცის ამ ნათესაობის-მეთქი, - ისეთნაირად ეჭირა თავი.

III

შევედი და უცებ ლიზა არ დამხვდა იქ? ამან ცოტათი გამაოცა. ვიცოდი, რომ ისინი ადრეც შეხვედროდნენ ერთმანეთს; ეს მოხდა „ძუძუთა ბავშვთან“. მერე, თუ ადგილი დამრჩა, იქნებ გიამბოთ, რაში მოეხასიათება ამაყ და კდემამოსილ ანა ანდრეევნას იმ ბავშვის ნახვა და როგორ შეხვდა იქ ლიზას; მაგრამ მაინც არაფრის გულისთვის არ მოველოდი, რომ ანა ანდრეევნა როდისმე თავის სახლში მიიწვევდა ლიზას. ამან საამოდ განმაცვიფრა. რა თქმა უნდა, არაფერი შევიმჩნიე, მივესალმე ანა ანდრეევნას, მხურვალედ ჩამოვართვი ხელი ლიზას და გვერდით მივუჯექი. ორივე საქმით იყო გართული: მაგიდასა და მუხლებზე გაეშალათ ანა ანდრეევნას საგარეო, ძვირფასი, მაგრამ უკვე ძველი, ანუ სამჯერ ჩანაცვამი კაბა და უნდოდათ, როგორმე გადაეკეთებინათ. ლიზა ასეთი რამეების დიდი „ოსტატი“ გახლდათ, გემოვნებაც კარგი ჰქონდა და ამიტომაც მოეწყოთ „ბრძენ ქალთა“ საზეიმო საბჭო. გამახსენდა ვერსილოვის სიტყვები და გამეცინა; საერთოდაც, ბრწყინვალე ხასიათზე ვიყავი.

- დღეს ძალიან მხიარული ხართ და ძალიან სასიამოვნოა, - დიდი ამბით და მკაფიოდ წარმოთქვა ანა ანდრეევნამ. დაბალი და ჭკრიალა კონტრალტო ჰქონდა, მაგრამ ყოველთვის მშვიდად და წყნარად ლაპარაკობდა, ცოტათი დახრიდა თავის გრძელ წამწამებს და ფერმიხდილ სახეზე ოდნავ გაუკრთებოდა ღიმილი.

- ლიზამ იცის, რა უსიამოვნო სანახავი ვარ, როცა გუნებაზე ვერ ვარ, - მხიარულად მივუგე.

- იქნებ ეგ ანა ანდრეევნამაც იცოდეს, - გადამიკრა ონავარმა ლიზამ. საყვარელი ლიზა! მცოდნოდა მაინც, რა ცეცხლი უტრიალებდა გულში!

- ახლა რასა იქმთ? - მკითხა ანა ანდრევნამ (შევნიშნავ, რომ სწორედ მან მთხოვა დღეისთვის მოსვლა.)

- ახლა ვზივარ აქ და ვეკითხები ჩემს თავს: რატომაა, რომ უფრო მაშინ მსიამოვნებს თქვენი ცქერა, როცა წიგნს კითხულობთ, და არა მაშინ, როცა ხელსაქმობთ? არა, ღმერთმანი, ხელსაქმე რატომღაც არ გიხდებათ. ამ მხრივ მე ანდრეი პეტროვიჩს ვგავარ.

- ჯერ კიდევ ვერ გადაწყვიტეთ უნივერსიტეტში შესვლა?

- მადლობელი გახლავართ, რომ არ გავიწყდებათ ჩვენი საუბრები; ეს იმას ნიშნავს, რომ ხანდახან ჩემზეც ფიქრობთ; მაგრამ... უნივერსიტეტის თაობაზე ჯერ ვერაფერი გადავწყვიტე, ესეც არ იყოს, ჩემი მიზნები მაქვს.

- ესე იგი, მას თავისი საიდუმლო აქვს, - შენიშნა ლიზამ.

- ნუ ხუმრობ, ლიზა. ამ დღეებში ერთმა ჭკვიანმა კაცმა თქვა, მთელ ამ ჩვენს პროგრესულ მოძრაობაში ბოლო ოცი წლის მანძილზე, უწინარეს ყოვლისა, ის დავამტკიცეთ, რომ ბინძურად გაუნათლებლები ვართო. ამაში, ცხადია, ჩვენი უნივერსიტეტებიც იგულისხმებოდა.

- მაგას ალბათ მამა იტყოდა; ძალიან ხშირად იმეორებ მის აზრებს, - შენიშნა ლიზამ.

- ლიზა, შენ მაინც იცი, რომ მე ჩემი ჭკუა მაქვს.

- ჩვენს დროში სასარგებლოა, მოუსმინო ჭკვიან ადამიანებს და დაიმახსოვრო მათი ნათქვამი, - გამომექომაგა ანა ანდრეევნა.

- სწორედაც, ანა ანდრეევნა, - მხურვალედ ავუბი მხარი. - ის რა მოქალაქეა, ვისაც არ უფიქრია რუსეთის დღევანდელობაზე! რუსეთს მე უცნაური თვალსაზრისითაც კი ვუყურებ: ჩვენ გავუძელით თათართა შემოსევას, მერე ორსაუკუნოვან მონობას და, რა თქმა უნდა, იმიტომ, რომ ერთიცა და მეორეც მოგვეწონა. ახლა თავისუფლება გვაქვს მონიჭებული და უნდა გავუძლოთ: შევძლებთ კი? მოგვეწონება ეს თავისუფლება? - აი, კითხვა.

ლიზამ სწრაფად შეხედა ანა ანდრეევნას, მან კი მაშინვე თვალები დახარა და რაღაცის ძებნას შეუდგა თავის ახლომახლო; ვხედავდი, რომ ლიზა თავის შეკავებას ცდილობდა, მაგრამ უეცრად, როგორღაც, ჩვენი მზერა ერთმანეთს შეხვდა, და ლიზამ გადაიხარხარა; მე წამოვენთე.

- კაცი ვერაფერს გაგიგებს, ლიზა!

- მაპატიე! - მითხრა უცებ თითქმის ნაღვლიანად და სიცილი შეწყვიტა. - ღმერთმა იცის, რა მიტრიალებს თავში...

მართლაც, უეცრად ცრემლი გაერია ხმაში. საშინლად შემრცხვა: ავიღე მისი ხელი და მაგრად ვაკოცე.

- თქვენ ძალიან კეთილი ხართ, - ტკბილად შენიშნა ანა ანდრეევნამ, როცა დაინახა, რომ ლიზას ხელზე ვკოცნიდი.

- ყველაზე უფრო ის მახარებს, ლიზა, რომ ამჯერად მოცინარს გხედავ, - ვუთხარი. - არ დაიჯერებთ, ანა ანდრეევნა: ამ ბოლო დროს ყოველთვის უცნაური მზერით მხვდებოდა. მისი მზერა თითქოს მეკითხებოდა: „რაო, ხომ არაფერი შეგიტყვია? ყველაფერი კარგადაა?“. ღმერთმანი, რაღაც ამგვარი სჭირდა.

ანა ანდრეევნამ ნელი და გამჭრიახი მზერა მიაპყრო, ლიზამ თვალები დახარა. მაგრამ კარგად ვხედავდი, რომ გაცილებით უკეთ და ახლოს იცნობდნენ ერთმანეთს, ვიდრე მეგონა წეღან, როცა შემოვედი; ეს ფიქრი სიამოვნებას მგვრიდა.

- თქვენ მითხარით, კეთილი ხართო; არ დაიჯერებთ, როგორ ვიცვლები ხოლმე და ვკეთილშობილდები, როცა აქ ვარ, და რარიგ მსიამოვნებს თქვენთან ყოფნა, ანა ანდრეევნა, - ვუთხარი გრძნობამორეულმა.

- მე კი ძალიან მიხარია, რომ სწორედ ახლა ამბობთ ამას, - საგულისხმოდ მითხრა მან.

უნდა მოგახსენოთ, რომ მას არასოდეს კრინტიც არ დაუძრავს ჩემს უწესო ცხოვრებასა და იმ მორევზე, რომელშიც გადავეშვი, თუმცა, როგორც ვიცოდი, ეს ამბები არათუ იცოდა, არამედ სხვებისთვისაც გამოეკითხა. ასე რომ, ეს იყო პირველი გადაკრული სიტყვა, და ამით კიდევ უფრო მოიგო ჩემი გული.

- რასა იქმს ჩვენი ავადმყოფი? - ვკითხე.

- ო, გაცილებით უკეთაა: უკვე ადგა, გუშინ და დღეს ეტლითაც გაისეირნა. განა არც დღეს შეგივლიათ მასთან? ძალიან გელოდებათ.

- დიდად დამნაშავე ვარ, მაგრამ ახლა თქვენ დადიხართ მასთან და სავსებით უწევთ ჩემ მაგივრობას. დიდი მოღალატე ვინმეა, თქვენზე გამცვალა.

ანა ანდრეევნამ ძალზე სერიოზული სახე მიიღო: შესაძლოა, ჩემი

ხუმრობა ტრივიალური იყო.

- წეღან თავად სერგეი პეტროვიჩთან გახლდით, - ავლუღლუღდი, - და მე... მართლა, ლიზა, წეღან დარია ანისიმოვნასთან იყავი?

- ჰო, ვიყავი, - უცნაურად მოკლედ მომიჭრა სიტყვა ისე, რომ თავი არ აუღია. - შენ ხომ თითქოს ყოველდღე დადიხარ ავადმყოფ თავადთან? - მკითხა უეცრად, ალბათ რაიმე რომ ეთქვა.

- როგორ არა, მივდივარ, მაგრამ იქამდე ვეღარ ვაღწევ ხოლმე, - ჩავიცინე. - შევდივარ და მარცხნივ ვუხვევ.

- თავადმაც კი შეამჩნია, რომ ძალზე ხშირად შედიხართ კატერინა ნიკოლავნასთან. გუშინ ამბობდა და იცინოდა, - მითხრა ანა ანდრეევნამ.

- რა აცინებდა, რა?

- ხომ იცით მისი ხასიათი, ხუმრობდა. მან თქვა, რომ პირიქით, ახალგაზრდა და მშვენიერი ქალი თქვენი ხნის ყმაწვილში მხოლოდ აღშფოთებასა და ბრაზს იწვევს... - გაიცინა უცებ ანა ანდრეევნამ.

- გამიგონეთ... ძალზე მოსწრებულად უთქვამს, - წამოვიძახე, - ის კი არა, ამას უთუოდ თქვენ იტყოდით?

- რატომ? არა, იმან თქვა.

- კეთილი, მაგრამ თუ ის მზეთუნახავი ყურადღებას მიაქცევს იმ ყმაწვილს, ხოლო ის ისეთი არარაობაა, რომ ატუზულა კუთხეში და ბრაზობს, „პატარა“ ვარო, - ქალი კი მაინც იმას ამჯობინებს გარს შემოხვეულ თაყვანისმცემელთა მთელ ხროვას, მაშინ? - ვკითხე უცებ ყოვლად გაბედული და გამომწვევი სახით. გულმა ბაგაბუგი დამიწყო.

- მაშინ დაღუპულხარ და ეგ არის, - გაიცინა ლიზამ.

- დავღუპულვარ? - წამოვიძახე. - არა, მე არ დავიღუპები. მგონი, არ დავიღუპები. თუ ქალი გზას გადამიჭრისა, უნდა გამომყვეს კიდეც. ჩემს გზასმე დაუსჯელად ვერავინ გადაჭრის...

კარგა ხნის მერე ლიზამ ერთხელ, ამ ამბავს რომ იხსენებდა, გაკვრით მითხრა, რომ მაშინ ეს ფრაზა საშინლად უცნაურად, სერიოზულ-

ად და რაღაცნაირი ჩაფიქრებით ვთქვი; მაგრამ თან „ისე სასაცილოდ, რომ ვერაფრის გულისთვის თავს ვერ შეიკავებდა კაცი“; მართლაც, ანა ანდრეევნამ ისევ გაიცინა.

- დამცინეთ, დამცინეთ! - წამოვიძახე ნეტარებით, რადგან მთელი ეს ლაპარაკი და მისი მიმართულება საშინლად მომწონდა. - თქვენგან ეგეთი ქცევა მარტო სიამოვნებაა და სხვა არაფერი. მე მიყვარს თქვენი სიცილი, ანა ანდრეევნა! ერთი თვისება გაქვთ: დუმხართ და ერთბაშ-ად გაიცინებთ, ერთ წამში, ისე, რომ უცებ ვერც კი შეგატყობთ კაცი. ერთ მანდილოსანს ვიცნობდი მოსკოვში, შორიდან, კუთხეში ვიდექი და ვუყურებდი: თქვენსავით მშვენიერი იყო, მაგრამ ასეთი სიცილი არ იცოდა, და მისი თქვენებრ მიმზიდველი სახე მიმზიდველობას კარგავ-და; თქვენ კი საშინლად მიმზიდველი ხართ... სწორედ აი, მაგ თვისებ-ით... რახანია, თქვენთვის ამის თქმა მინდოდა.

როდესაც ვახსენე, მანდილოსანი თქვენსავით მშვენიერი იყო-მე-თქი, წავიეშმაკე: ისეთი სახე მივიღე, ვითომ უცაბედად წამომცდა და არ დავუკვირდი; ძალიან კარგად ვიცოდი, რომ ასეთ „წამოცდენილ“ შექებას უფრო მეტი ფასი აქვს ქალის თვალში, ვიდრე ნებისმიერ მო-ხდენილ ქათინაურს. და თუმცა არ გაწითლდა ანა ანდრეევნა, მაინც ვიცოდი, რომ ესიამოვნა. ის ვიღაც მანდილოსანიც მოგონილი იყო: არავისაც არ ვიცნობდი მოსკოვში; მხოლოდ იმიტომ მოვიგონე, რომ შემექო ანა ანდრეევნა და მესიამოვნებინა მისთვის.

- მართლა შეიძლება იფიქროს კაცმა, - მომაჯადოებლად ჩაიცინა მან, - რომ თქვენ ამ ბოლო დროს ვიღაც მშვენიერი ქალის გავლენას განიცდიდით.

თითქოს სადღაც მივექანებოდი... ასე განსაჯეთ, მინდოდა მათთვის ზოგი რამ გამემხილა, მაგრამ თავი შევიკავე.

- სხვათა შორის, არც ისე დიდი ხანია, ძალზე მტრულად რომ ახსე-ნებდით კატერინა ნიკოლავნას.

- თუ ოდესმე ცუდი მითქვამს, - თვალები დავაკვესე, - იმის ბრალი იყო, რომ საშინელი ცილი დასწამეს, ვითომ ანდრეი პეტროვიჩს მტრ-ობსო; ცილი დასწამეს ანდრეი პეტროვიჩსაც, თითქოსდა კატერინა ნიკოლავნა უყვარდა, ცოლობა სთხოვაო და სხვა ამგვარი სისულელ-ეები. ეს იდეა ისევე საშინელია, როგორც სხვა ჭორი კატერინა ნიკოლ-ავნაზე, თითქოს მას, ჯერ კიდევ ქმრის სიცოცხლეში, სიტყვა მიეცეს

თავად სერგეი პეტროვიჩისთვის, როცა დავქვრივდები, ცოლად წამოგყვებიო, და არ შეესრულებინოს სიტყვა. მაგრამ პირველწყაროებიდან ვიცი, რომ სრულიადაც არ ყოფილა ასე, და მხოლოდ ხუმრობა იყო. პირველწყაროებიდან ვიცი. ერთხელ, საზღვარგარეთ, ხუმრობის დროს, მან მართლაც უთხრა თავადს: ვნახოთო, მომავალში; მაგრამ რას ნიშნავდა ეს, თუ არა მსუბუქ ფლირტს? ძალიან კარგად ვიცი, რომ თავის მხრივ არც თავადს შეუძლია ასეთ დაპირებას რაიმე მნიშვნელობა მიანიჭოს, და არც აქვს ამის განზრახვა, - დავურთე, რადგან უცებ გონს მოვედი. - წეღან ნაშჩოკინმა თქვა, კატერინა ნიკოლავნა ბარონ ბიორინგს მიჰყვება ცოლადო: მერწმუნეთ, სერგეი პეტროვიჩმა ეს ამბავი ისე მიიღო, რომ უკეთესს ვერ ინატრებს კაცი, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ.

- ნაშჩოკინი იყო მასთან? - უცებ მტკიცედ და თითქოს გაოცებით შემეკითხა ანა ანდრეევნა.

- ო, დიახ. მგონი ,ისეთი წესიერი ადამიანი გახლავთ, რომ...

- და ნაშჩოკინმა უთხრა ბიორინგის ქორწინების ამბავი? - ზედმეტად დაინტერესდა ანა ანდრეევნა.

- ქორწინების კი არა, ქორწინების შესაძლებლობის შესახებ ჭორი უთხრა; საზოგადოებაში ასეთი ხმები დადისო; მე თუ მკითხავთ, დარწმუნებული ვარ, რომ სისულელეა.

ანა ანდრეევნა ჩაფიქრდა და თავის საკერავს მიუბრუნდა.

- მე მიყვარს თავადი სერგეი პეტროვიჩი, - დავურთე მოულოდნელად ცხარედ. - უდავოა, მას აქვს ნაკლი, ამაზე მისაუბრია კიდევაც თქვენთან, სახელდობრ, მხოლოდ ერთი იდეისკენ სწრაფვა... მაგრამ ნაკლოვანებებიც კი მის კეთილშობილ სულზე მეტყველებენ, ხომ მართალია? დღეს, მაგალითად, მე და თავადი კინაღამ წავიკიდეთ ერთი იდეის გამო: მისი მრწამსი ისაა, რომ, თუ კეთილშობილებაზე ლაპარაკობ, შენც კეთილშობილი უნდა იყო, სხვაგვარად ყველაფერი, რასაც იტყვი - სიცრუეაო. აბა, სადაური ლოგიკაა, ერთი მიბრძანეთ? ამავე დროს კი, სწორედ ეს მოწმობს იმას, თუ პატიოსნების, მოვალეობის, სამართლიანობის რა მაღალი მოთხოვნილებები აქვს გულში, ხომ მართალია?.. ახ, ღმერთო ჩემო, რომელი საათია? - წამოვიძახე, როცა უცაბედად შევხედე ბუხრის თავზე მდგარი საათის ციფერბლატს.

- სამს ათი წუთი აკლია, - მშვიდად წარმოთქვა მან, საათს რომ შეხედა. მთელი ის ხანი, როცა თავადზე ვლაპარაკობდით, თვალდახრილი მისმენდა რაღაც მზაკვრული, მაგრამ საყვარელი ჩაცინებით; იცოდა, რატომაც ვაქებდი. ლიზა თავდახრილი კერავდა, მისმენდა და უკვე კარგა ხანი იყო, აღარ ერეოდა ლაპარაკში.

დამდუღრულივით წამოვვარდი.

- სადმე დაგაგვიანდათ?

- დიახ... არა... თუმცა დამაგვიანდა, მაგრამ ახლავე წავალ. მხოლოდ ერთი სიტყვა, ანა ანდრეევნა, - მღელვარებით დავიწყე მე, - არ შემიძლია დღეს არ გითხრათ! მინდა გამოგიტყდეთ, რომ უკვე რამდენჯერმე დაგლოცეთ იმ გულკეთილობისა და სათუთი თავაზიანობისთვის, რომლითაც მომიწვიეთ, რათა თქვენსას მევლო... თქვენს ოთახში ყოფნისას თითქოს სულიერად ვიწმინდები და აქედან იმაზე უკეთესი გავდივარ, ვიდრე ვარ. ეს ნამდვილად ასეა. როცა თქვენ გვერდით ვზივარ, ცუდ რამეზე არამცთუ ლაპარაკი, ფიქრიც კი არ შემიძლია; ყოველივე ცუდი ქრება თქვენს სიახლოვეს და თუ თქვენ გვერდით მყოფს თუნდაც წამით გამიელვებს ხოლმე ცუდი რამ, მაშინვე შემრცხვება, შევკრთები და სულის სიღრმეში ვწითლდები. და, იცით, განსაკუთრებით მეამა, რომ დღეს ჩემი და ვნახე თქვენსას... ეს თქვენს ისეთ კეთილშობილებას მოწმობს... ისეთ მშვენიერ დამოკიდებულებას... ერთი სიტყვით, თქვენ გამოიჩინეთ რაღაც ისეთი ძმური, თუ ნებას მომცემთ, გავალხო ეს ყინული, რომ მე...

ვიდრე ვლაპარაკობდი, ანა ანდრეევნა ნელ-ნელა წამოდგა და თანდათანობით შეეფინა სიწითლე; მაგრამ უეცრად თითქოს შეაშინა რაღაცამ, რომელიღაც ხაზმა, რომელსაც არ უნდა გადავხტომოდი, და სწრაფად შემაწყვეტინა:

- მერწმუნეთ, რომ სულითა და გულით შევძლებ დავაფასო თქვენი გრძნობები... ამას უსიტყვოდ მივხვდი... და კარგა ხანიცაა...

დარცხვენილი გაჩუმდა და ხელი ჩამომართვა. უცებ ლიზამ შეუმჩნევლად ჩამომქაჩა სახელოზე. გამოვეთხოვე და გამოვედი, მაგრამ ლიზა მეორე ოთახშივე წამომეწია.

IV

- ლიზა, რატომ მომქაჩე სახელოზე? - შევეკითხე.

- საძაგელი, ეშმაკი ვინმეა, ღირსი არ არის... იმიტომ ჩაგფრენია, რომ რამე წამოგაცდენინოს, - სხაპასხუპით, ავი ჩურჩულით მითხრა. ჯერ არასოდეს მენახა ლიზას ასეთი სახე.

- ლიზა, რას ამბობ, მშვენიერი ქალიშვილია!

- მაშ, მე ვარ საძაგელი.

- რა დაგემართა?

- მე ძალიან ცუდი ვარ. ის იქნებ ყველაზე საუცხოო ქალიშვილია, მე კი ცუდი ვარ. კმარა, თავი დავანებოთ. გამიგონე: დედამ შემოგითვალა ის, „რის თქმასაც თვითონ ვერ გიბედავს“, სწორედ ასე მითხრა. შემოგევლე, არკადი! თავი დაანებე ბანქოს თამაშს, ჩემო კარგო, გემუდარები... დედაც გთხოვს...

- ლიზა, მეც ვიცი, მაგრამ... ვიცი, რომ უბადრუკი სულმდაბლობაა, მაგრამ... ეს უბრალო რამაა და სხვა არაფერი! იცი რა, მე სულელი, ვალებში ჩავვარდი და მინდა იმდენი მოვიგო, რომ გადავიხადო. მოგება შეიძლება, იმიტომ რომ მე უანგარიშოდ, წინდაუხედავად, ბრიყვულად ვთამაშობდი, ახლა კი ყოველ მანეთს ხელის კანკალით ჩამოვალ... კაცი არ ვიყო, თუ არ მოვიგო! არ შევჩვევივარ; ბანქოს თამაში მთავარი არაა ჩემთვის, ეს მხოლოდ წუთიერია, გარწმუნებ! ძალზე ძლიერი ვარ. ვიცი, რომ, როცა მომესურვება, არ გამიძნელდება თავის დანებება. გავისტუმრებ ვალებს და მაშინ განუყოფლად თქვენი ვიქნები. დედასაც ასე გადაეცი, ერთი ნაბიჯით აღარ მოგშორდები-თქო...

- რად გიღირდა ის სამასი მანეთი!

- შენ საიდან იცი? - გველნაკბენივით შევხტი.

- დარია ანისიმოვნამ წეღან ყველაფერი გაიგონა...

მაგრამ ამ დროს ლიზამ უცებ ხელი წამკრა, სქელი ფარდის უკან შემაგდო და ორივემ ეგრეთ წოდებულ „ფარანში“ ამოვყავით თავი,

ანუ უსარკმლო პატარა, მრგვალ ოთახში. გონს მოსვლა ვერ მოვასწარი, რომ შემომესმა ნაცნობი ხმა, დეზების ჩხარაჩხური, და ნაცნობი ფეხის ხმაც შევიცანი.

- თავადი სერიოჟა, - წავიჩურჩულე.

- ისაა, - მიჩურჩულა ლიზამ.

- რამ შეგაშინა?

- არაფერმა; ოღონდ არ მინდოდა, შემხვედროდა...

- Tiens, ემანდ, ხომ არ გეარშიყება? - ჩავიცინე. - სეირს ვაჩვენებდი. სად მიდიხარ?

- წავიდეთ. მეც წამოვალ.

- განა იქ უკვე გამოეთხოვე?

- გამოვეთხოვე. ჩემი ქურქი წინკარში კიდია...

გამოვედით კიბეზე ანაზდად ერთმა აზრმა გამიელვა:

- იცი, რას გეტყვი, ლიზა, იქნებ სულაც იმიტომ მოვიდა, რომ ხელი სთხოვოს?

- ა-რა... არ სთხოვს ხელს... - მტკიცედ და ნელა, ხმადაბლა წარმოთქვა ლიზამ.

- შენ არ იცი, ლიზა, თუმცა წეღან კი წავიკიდეთ მე და თავადი სერიოჟა, - რაკი უკვე გიამბეს, - მაგრამ, ღმერთმანი, სულით და გულით მიყვარს და ამ საქმეში წარმატებას ვუსურვებ. მერე შევრიგდით. როცა კაცი ბედნიერია, ისეთი კეთილია ხოლმე... იცი რა, ძალზე ბევრი მშვენიერი მიდრეკილება აქვს... ჰუმანურობაც აქვს... ყოველ შემთხვევაში, ჩანასახის დონეზე მაინც... ხოლო თუ ისეთ მტკიცე და ჭკვიან ქალიშვილს ჩაუვარდა ხელში, როგორიც ვერსილოვაა, მთლიანად გამოუსწორდება ხასიათი და ბედნიერი იქნება. აფსუს, რომ დრო არა მაქვს... წამოდი, ცოტა ხანს ერთად ვიაროთ, რაღაცას გეტყვი...

- არა, შენ წადი, მე იქით არ მოვდივარ. სადილად მოხვალ?

- მოვალ, მოვალ, აკი დაგპირდი. გამიგონე, ლიზა: ერთ არამზადას,

ერთი სიტყვით, ერთ უსაძაგლეს არსებას, მოკლედ, სტებელკოვს, თუ გაგიგონია, ძალზე დიდი გავლენა აქვს თავადი სერიოჟას საქმეებზე... თამასუქები აქვს... ერთი სიტყვით, მისი სული სტებელკოვის ხელთაა და ისე ჰყავს გამოჭერილი, ხოლო თავადიც ისე დამცირდა, რომ ახლა ორივენი ხსნას იმაშიღა ხედავენ, თავადმა ანა ანდრეევნა შეირთოსო. კაცმა რომ თქვას, კარგი იყო, მეთქვა ეს ანა ანდრეევნასთვის; თუმცა, სისულელეა, თვითონაც გამოასწორებს თავის საქმეებს. როგორ ფიქრობ, უარს ეტყვის ცოლობაზე?

- მშვიდობით, არ მცალია, - შემაწყვეტინა ლიზამ და მის წამიერ შემოხედვაში უცებ იმდენი სიძულვილი დავინახე, რომ მაშინვე შეშინებულმა წამოვიყვირე:

- ლიზა, ძვირფასო, ეგრე რატომ მიყურებ?

- შენ რა შუაში ხარ! ოღონდ ნუღარ ითამაშებ...

- ახ, ბანქოზე ამბობ! აღარ ვითამაშებ, აღარ.

- ახლა თქვი: როცა კაცი ბედნიერიაო, მაშ, ძალიან ბედნიერი ხარ?

- საშინლად, ლიზა, საშინლად! ღმერთო ჩემო, უკვე სამი საათია, გადასცილდა კიდეც!.. მშვიდობით, ლიზოკ. ლიზოჩკა, გეთაყვა, მითხარი: განა შეიძლება ალოდინო ქალი? განა ეს დასაშვებია?

- პაემანზე ამბობ თუ? - ოდნავ გაიღიმა ლიზამ ჩამკვდარი, მოცახცახე ღიმილით.

- მომეცი შენი ხელი, ბედნიერება მისურვე.

- ბედნიერება? ჩემი ხელი? არაფრის გულისთვის! - ძალზე სერიოზულად წამოიძახა და სწრაფად გამშორდა. მე ჩემს მარხილში შევხტი.

დიახ, დიახ, სწორედ ეს „ბედნიერება“ იყო მაშინ მთავარი მიზეზი იმისა, რომ ბრმა თხუნელასავით საკუთარი თავის მეტს ვერაფერს ვხედავდი და არც არაფერი გამეგებოდა!

თავი მეოთხე - I

ახლა მოყოლისაც კი მეშინია. მას მერე კარგა ხანმა განვლო, მაგრამ ყოველივე ეს ჩემთვის დღესაც მირაჟივითაა. როგორ შეეძლო ამნაირ ქალს პაემანი დაენიშნა ისეთი საზიზღარი ლაწირაკისთვის, როგორიც მე ვიყავი? - აი, რა იყო ერთი შეხედვით საოცარი! როცა ლიზა მივატოვე, გავქანდი და გული ამიფართხალდა. მაშინ ვიფიქრე: ახლა კი ვგიჟდები-მეთქი: დანიშნული პაემნის ფიქრი უცებ ისეთ აშკარა უგუნურებად მეჩვენა, რომ შეუძლებელი იყო დაჯერება. მაგრამ გაგიკვირდებათ და - სულაც არ დავეჭვებულვარ; ეგ კი არა, რაც უფრო აშკარა იყო პაემნის უგუნურება, მით უფრო მწამდა, რომ ეს ნამდვილი გახლდათ.

ვწუხდი, რომ საათმა უკვე სამი ჩამოჰკრა: „თუკი პაემანი დამინიშნეს, როგორღა ვიგვიანებ ამ პაემანზე?“ - ვფიქრობდი. სულელურმა კითხვებმაც გამიელვა თავში: „რა მიჯობს ახლა, გამბედაობა თუ გაუბედაობა?“. მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ გამიელვებდა შიგადაშიგ, რადგან მთავარი გულში მქონდა, თანაც ისეთი რამ, რაც ვერ გამერკვია. წინა დღეს ასე იყო ნათქვამი: „ხვალ სამ საათზე ტატიანა პავლოვნასთან ვიქნები“ - ეს იყო და ეს. მაგრამ, ჯერ ერთი, მე თავისთან, თავის ოთახში, ყოველთვის მარტოკას მიმიღებდა ხოლმე და შეეძლო იქვე ეთქვა ყველაფერი, რაც სურდა, ტატიანა პავლოვნასთან გადაუსვლელად; მაშ, რაღა საჭირო იყო შეხვედრისთვის ადგილის ტატიანა პავლოვნასთან დანიშვნა? ან კიდევ: ტატიანა პავლოვნა შინ იქნება? თუ ეს პაემანია, მაშინ, ცხადია, ტატიანა პავლოვნა შინ არ იქნება. მაგრამ როგორ მოხერხდება ეს, თუ ტატიანა პავლოვნას წინასწარვე არ ეცოდინება ყველაფერი? მაშ, ტატიანა პავლოვნაც გარეული ყოფილა ამ საქმეში? ეს აზრი ველური, არაკდემამოსილი და თითქმის უხეშიც მეჩვენებოდა.

და, დასასრულ, იქნებ მას მოეხასიათა, სტუმრებოდა ტატიანა პავლოვნას და ეს ამბავი გუშინ სრულიად უმიზნოდ, უბრალოდ მითხრა, მე კი, ეშმაკმა იცის, რა არ წარმოვიდგინე. თანაც ეს ამბავი ისე გაკვრით, დაუდევრად და მშვიდად იყო ნათქვამი ფრიად მოსაწყენი სეანსის მერე, რადგან მთელი ის ხანი, გუშინ მასთან რომ დავყავი, რატომღაც თავგზააბნეულივით ვიყავი: ვიჯექი, ვლუღლუღებდი, არ ვიცოდი, რა მეთქვა, ვბრაზობდი და საშინლად ვფრთხოდი; ის კი, როგორც შემდეგ გამოირკვა, თურმე სადღაც აპირებდა წასვლას და უთუოდ გაუხარდა, წამოსასვლელად რომ ავდექი. აი, ამ ფიქრებით მქონდა თავი სავსე.

ბოლოს გადავწყვიტე, რომ შევალ, ზარს დავრეკავ, მზარეული ქალი გამიღებს კარს და ვკითხავ: შინაა ტატიანა პავლოვნა? თუ შინ არაა, მაშასადამე, „პაემანი“ ყოფილა. თუმცა, ეჭვი არ მეპარებოდა, არა!

ავირბინე კიბე და - კიბეზევე, კარის წინ, შიში სრულიად გამიქრა: „ჯანდაბას, რაც იქნება, იქნება, - გავიფიქრე, - ოღონდ მალე კი მოეღოს ბოლოს!“ მზარეულმა ქალმა კარი გამიღო და თავისებური საზიზღარი სიზანტით წაიდუდღუნა, ტატიანა პავლოვნა შინ არ არისო. სხვა ხომ არავინ არის, ტატიანა პავლოვნას ხომ არავინ ელოდება-მეთქი, მინდოდა მეკითხა, მაგრამ აღარ ვკითხე: „აჯობებს, მე თვითონ ვნახო“; დავუცდი-მეთქი, წავიბუტბუტე, ქურქი იქვე მივაგდე და კარი შევაღე...

კატერინა ნიკოლავნა ფანჯარასთან იჯდა და „ტატიანა პავლოვნას ელოდებოდა“.

- შინ არ არის? - თითქოს შეწუხებით და წყენით მკითხა უცებ, როგორც კი დამინახა. ხმაც და სახეც იმდენად არ შეეფერებოდა ჩემს მოლოდინს, რომ კარშივე გავშეშდი.

- ვინ არ არის შინ? - წავილუღლუღე.

- ტატიანა პავლოვნა! აკი გთხოვეთ გუშინ, გადაეცით, რომ სამ საათზე მოვალ-მეთქი?

- მე... ის თვალითაც არ მინახავს.

- დაგავიწყდათ?

მკვდარივით დავეშვი სკამზე. აი, თურმე რა ყოფილა! და, რაც მთავარია, ყველაფერი ნათელი იყო, როგორც ორჯერ ორი, მე კი - მე ისევ ჯიუტად მჯეროდა.

- არ მახსოვს, თუ მთხოვეთ, რომ გადამეცა. თქვენ ხომ არ გითხოვიათ: უბრალოდ, მითხარით, სამ საათზე მივალო, - მოუთმენლად შევაწყვეტინე, სახეში არ ვუყურებდი.

- ახ! - უეცრად წამოიძახა, - მაშ, თუ დაგავიწყდათ გეთქვათ, და თან იცოდით, რომ აქ ვიქნებოდი, თქვენ რატომღა მოხვედით?

თავი ავწიე: არც დაცინვა ეწერა სახეზე, არც მრისხანება, მხოლოდ ნათელი, მხიარული ღიმილი და რაღაც დაჟინებული ონავრობა იკით-

ხებოდა მის გამომეტყველებაში, თუმცა, ეს მისი მუდმივი გამომეტყველება იყო, თითქმის ბავშვური ონავრობა: „აი, ხომ თავით ფეხამდე გამოგიჭირე: ახლა რაღას იტყვი?“ - თითქოს მეუბნებოდა მისი სახე.

არ მინდოდა მეპასუხა და ისევ დავხარე თვალები. დუმილმა ნახევარ წუთს გასტანა.

- ახლა პაპა ინახულეთ და იქიდან მოდიხართ? - მკითხა უცებ.

- ანა ანდრეევნასგან მოვდივარ, თავად ნიკოლაი ივანოვიჩთან კი საერთოდ არ ვყოფილვარ... და თქვენ ეს იცოდით, - დავუმატე უცებ.

- ანა ანდრეევნასთან ხომ არაფერი შეგემთხვათ?

- ესე იგი, გადარეულს ვგავარ? არა, ანა ანდრეევნასთან მისვლამდეც გადარეულს ვგავდი.

- და მასთანაც ვერ მოჭკვიანდით?

- ვერა, ვერ მოვჭკვიანდი. გარდა ამისა, იქ ყური მოვკარი, რომ ბარონ ბიორინგს მიჰყვებით ცოლად.

- ეგ ანა ანდრეევნამ გითხრათ? - დაინტერესდა უცებ კატერინა ნიკოლავნა.

- არა, მას მე ვუთხარი, მე კი ნაშჩოკინისაგან შევიტყვე, თავად სერგეი პეტროვიჩთან იყო წეღან სტუმრად.

სახეში ისევ არ ვუყურებდი; შეხედვა იმას ნიშნავდა, რომ მომფენოდა სინათლე, სიხარული, ბედნიერება, მე კი არ მინდოდა ბედნიერი ვყოფილიყავი. აღშფოთების ნესტარმა შიგ გულში დამგესლა, და უდიდესი გადაწყვეტილება ერთ წამში მივიღე. მერე ერთბაშად დავიწყე ლაპარაკი, მეც არ მახსოვს, რას ვლაპარაკობდი. სული მეხუთებოდა და ვლუღლუღებდი, მაგრამ ახლა უკვე თამამად ვიყურებოდი. გულს ბაგაბუგი გაჰქონდა. ვლაპარაკობდი რაღაცას, რაც არაფერ შუაში იყო, თუმცა, იქნებ, დალაგებულადაც ვლაპარაკობდი. ჯერ მისმენდა ჩვეული ზომიერი, სულგრძელი ღიმილით, რომელიც არასოდეს შორდებოდა სახიდან, მაგრამ მის ჩაციებულ მზერაში თანდათან გაკრთა ჯერ გაოცება, ხოლო მერე, ასე განსაჯეთ, შიშიც. ღიმილი ჯერ ისევ ეფინა სახეზე, მაგრამ დროგამოშვებით თითქოს უკრთოდა.

- რა დაგემართათ? - შევეკითხე, როცა შევნიშნე, რომ ერთიანად შეკრთა.

- მეშინია თქვენი, - თითქმის შეშფოთებით მიპასუხა.

- მერედა, რატომ არ მიდიხართ? რაკი ტატიანა პავლოვნა შინ არაა და თქვენ იცით, რომ არც მოვა, ხომ უნდა ადგეთ და წახვიდეთ?

- მინდოდა დავლოდებოდი, მაგრამ რა... მართლაც...

წამოდგომა დააპირა.

- არა, არა, იჯექით, - შევაჩერე, - აი, ისევ შეკრთით, მაგრამ თქვენ მაშინაც კი იღიმით, როცა გეშინიათ... თქვენ ყოველთვის იღიმით. აი, ახლა მთლიანად გაიღიმეთ...

- ბოდავთ?

- ვბოდავ.

- მეშინია... - ისევ წაიჩურჩულა მან.

- რისი?

- რომ თქვენ... კედელს დაუწყებთ ნგრევას... - ისევ გაიღიმა, ოღონდ ახლა ნამდვილად შეშინებული იყო.

- ვერ ვიტან თქვენს ღიმილს!..

და მე ისევ ავლაპარაკდი. თითქოს სადღაც მივექანებოდი, რაღაც მიბიძგებდა. არასოდეს, არასოდეს მილაპარაკია მასთან ასე, ყოველთვის ვფრთხებოდი. ახლაც საშინლად მეშინოდა, მაგრამ ვლაპარაკობდი; მახსოვს, თავის სახეზე დავუწყე ლაპარაკი: „მე აღარ შემიძლია თქვენი ღიმილის ატანა! - წამოვიძახე ანაზდად. - რატომ წარმომედგინეთ ჯერ კიდევ მოსკოვში ყოფნისას, რომ მრისხანე ხართ, დიდებული, და გიყვართ გესლიანი სიტყვების თქმა, რაც ასე ახასიათებს მაღალ წრეს? დიახ, მოსკოვში ყოფნისას ასე წარმომედგინეთ; ჯერ მოსკოვშივე ვლაპარაკობდით ხოლმე თქვენზე მე და მარია ივანოვნა და წარმოვიდგენდით, როგორი უნდა ყოფილიყო... გახსოვთ მარია ივანოვნა? თქვენ იყავით მასთან. აქეთ რომ მოვემგზავრებოდი, მთელი ღამე მესიზმრებოდით ვაგონში. აქ, სანამ ჩამოხვიდოდით, მთელი თვე

მივჩერებოდი თქვენს პორტრეტს, მამათქვენის კაბინეტში რომ ჰკიდია, და ვერაფერი ვერ გამოვიცანი. თქვენი სახის გამომეტყველება ბავშვური ონავრობაა და უსასრულო მიამიტობა - აი, რაა! მთელი ეს ხანი, რაც თქვენთან დავდივარ, საშინლად მაოცებდა ეს ამბავი. ო, თქვენც შეგიძლიათ ხოლმე ამაყად უცქიროთ ადამიანს და მზერით მოსპოთ: მახსოვს, როგორ შემომხედეთ, მოსკოვიდან რომ ჩამოხვედით და მამათქვენთან დაგხვდით... ხომ გნახეთ მაშინ, მაგრამ როცა გამოვედი, ვინმეს რომ ეკითხა, რანაირიაო? - ვერ ვეტყოდი. იმასაც კი ვერ ვეტყოდი, რა სიმაღლის ხართ. როგორც კი გნახეთ, თითქოს თვალისჩინი წამერთვა. თქვენი პორტრეტი სულ არ გგავთ: თვალები მუქი კი არა, პირიქით, ღია ფერის გაქვთ, და მხოლოდ მაგ გრძელი წამწამებისგან ჩანან მუქი. თქვენ სრული ხართ, შუა ტანისა, მაგრამ მკვრივი; მსუბუქი სისრულე გაქვთ, ჯანიანი სოფლელი ყმაწვილი ქალის სისრულე. სახეც ხომ მთლად სოფლური გაქვთ, სოფლელი მზეთუნახავის სახე - არ გეწყინოთ, ეს ხომ ძალიან კარგია, უკეთესიც კია - მრგვალი, ლოყაწითელი, ნათელი, გაბედული, მოცინარი და... მორცხვი სახე! ღმერთმანი, მორცხვი. მორცხვი სახე აქვს კატერინა ნიკოლავნა ახმაკოვას! მორცხვი და კდემამოსილი, ვფიცავ! კდემამოსილი ცოტაა, უფრო მეტიც - ბავშვური! - აი, რანაირი სახე გაქვთ! ერთთავად გაოცებული ვიყავი და ვეკითხებოდი ჩემს თავს: ნუთუ ეს ის ქალია-მეთქი? ახლა ვიცი, ძალიან ჭკვიანი ბრძანდებით, მაგრამ თავდაპირველად ხომ ვფიქრობდი, რომ, ცოტა არ იყოს, მჩატე ჭკუის იყავით. მხიარული გონება გაქვთ, შეუფერადებელ-შეულამაზებელი... კიდევ ის მიყვარს თქვენში, რომ ღიმილი არ გშორდებათ სახიდან: ეს ჩემი სამოთხეა! მიყვარს ასევე თქვენი სიმშვიდე, თქვენი უშფოთველობა, და კიდევ ის, რომ სიტყვებს ნარნარად, მშვიდად და თითქმის ზანტად წარმოთქვამთ, - სწორედ ეს სიზანტე მიყვარს. ასე მგონია, ხიდიც რომ ჩაგენგრეთ ფეხქვეშ, მაშინაც ნარნარად და წყნარად იტყვით რამეს... გულზვიადობისა და ვნებათა მწვერვალად წარმომედგინეთ, თქვენ კი მთელი ეს ორი თვე ისე მელაპარაკებოდით, როგორც სტუდენტი სტუდენტს... არასოდეს წარმომედგინა, რომ მაგ დიდებული თმის ქვეშ ეგეთი შუბლი გექნებოდათ: ოდნავ დაბალი, როგორც ქანდაკებას, მაგრამ ქათქათა და ნაზი, ვით მარმარილო. მაღალი მკერდი გაქვთ, მსუბუქი სიარული, უჩვეულო სილამაზის პატრონი ხართ, თავმომწონება კი საერთოდ არ გახასიათებთ; მე ხომ ეს მხოლოდ ახლა ვიწამე, მანამდე არ მჯეროდა!“

მას ფართოდ გაეხილა დიდრონი თვალები და ისე ისმენდა ჩემს ამ გადარეულ ტირადას; ხედავდა, რომ ვცახცახებდი. საყვარელი, შემკრთალი მოძრაობით რამდენჯერმე ასწია თათმანიანი ხელი, რათა შევე-

ჩერებინე, მაგრამ ყოველთვის უკანვე მიჰქონდა გაოგნებულსა და შეშინებულს, ხან უკან გადაქანდებოდა ხოლმე. ორ-სამჯერ კვლავ გაუკრთა სახეზე ღიმილი; ერთი პირობა გაწითლდა, მაგრამ ბოლოს ნამდვილად შეშინდა და თანდათან გაფითრდა. როგორც კი სული მოვითქვი და შევჩერდი, ხელი გამოიშვირა და მუდარით სავსე, მაგრამ მაინც ნარნარი ხმით წარმოთქვა:

- ასე ლაპარაკი არ შეიძლება... ასე ლაპარაკი შეუძლებელია...

და უცებ წამოდგა, ნელა დაავლო ხელი თავის ყელსახვევს და სიასამურის ქუროს (ბეწვიანი სათბობი, ორივე ხელზე წამოსაცმელი.).

- მიდიხართ? - წამოვიძახე მე.

- ნამდვილად მეშინია თქვენი... თქვენ ბოროტად იყენებთ... - მითხრა თითქოს სინანულითა და საყვედურით.

- გამიგონეთ, ღმერთმანი, კედელს არ დავუწყებ ნგრევას.

- თქვენ უკვე დაუწყეთ ნგრევა, - თავი ვერ შეიკავა და კვლავ გაიღიმა. - არც კი ვიცი, გამატარებთ თუ არა, რომ გავიდე? - და, მგონი, მართლაც ეშინოდა, ვაითუ, არ გამიშვასო.

- მე თვითონ გაგიღებთ კარს, მიბრძანდით, ოღონდ იცოდეთ: მე უდიდესი გადაწყვეტილება მივიღე; და თუ ისურვებთ, შუქი მოჰფინოთ ჩემს სულს, მაშინ მობრუნდით, დაჯექით და მოისმინეთ მხოლოდ ორი სიტყვა. მაგრამ თუ გსურთ, წაბრძანდით, მე თვითონ გაგიღებთ კარს!

შემომხედა და ისევ დაჯდა.

- რა აღშფოთებული გავიდოდა თქვენს ადგილას სხვა ქალი. თქვენ კი დაჯექით! - წამოვიძახე ნეტარებით.

- წინათ არასოდეს გაგიბედავთ ასე ლაპარაკი.

- წინათ ყოველთვის მეშინოდა. ახლაც შემოვედი და არ ვიცოდი, რას გეტყოდით. გგონიათ, ახლა არ მეშინია? მეშინია. მაგრამ უცებ მივიღე უდიდესი გადაწყვეტილება და ვიგრძენი, რომ შევასრულებ კიდეც. ხოლო როგორც კი მივიღე ეს გადაწყვეტილება, მაშინვე გავგიჟდი და დავიწყე ამის ლაპარაკი... გამიგონეთ, აი, ჩემი ორი სიტყვა: ვარ თუ არა თქვენი ჯაშუში? მიპასუხეთ - აი, ჩემი კითხვა!

მაშინვე ალმური მოედო სახეზე.

- ჯერ ნუ მიპასუხებთ, კატერინა ნიკოლავნა, მომისმინეთ ყველაფერი და მერე მითხარით სრული სიმართლე.

ერთბაშად გავანგრიე ყველა ზღუდე და კისრისტეხით გადავეშვი სივრცეში.

II

- ორი თვის წინ აქ ვიდექი, ფარდის უკან... თქვენ იცით... ტატიანა პავლოვნას ელაპარაკებოდით წერილის თაობაზე. მე გამოვხტი და, გონს გადასულმა წამოვაყრანტალე წერილის შესახებ. თქვენ მაშინვე მიხვდით, რომ რაღაც ვიცოდი... არც შეგეძლოთ, არ მიმხვდარიყავ-ით... თქვენ დაეძებდით მნიშვნელოვან დოკუმენტს და გული გელეოდ-ათ. მოითმინეთ, კატერინა ნიკოლავნა, ჯერ ნურაფერს იტყვით. გიცხა-დებთ, რომ თქვენი ეჭვი საფუძვლიანი იყო: ის დოკუმენტი არსებობს... ესე იგი, არსებობდა... მე მინახავს; ეს გახლდათ თქვენი წერილი ანდ-რონიკოვისადმი, ხომ მართალია?

- თქვენ ნახეთ ის წერილი? - სწრაფად მკითხა მან, შემკრთალმა და აღელვებულმა. - სად ნახეთ?

- ვნახე... კრაფტს ჰქონდა... აი, იმას, თავი რომ მოიკლა...

- მართლა? თქვენ თვითონ ნახეთ? მერე რა იქნა?

- კრაფტმა დახია.

- თქვენ თვალწინ, თქვენ ნახეთ?

- დიახ. მან, ალბათ, სიკვდილის წინ დახია... მაშინ ხომ არ ვიცოდი, რომ თავს მოიკლავდა...

- მაშ, წერილი აღარ არსებობს, მადლობა ღმერთს! - წარმოთქვა მან ნელა, ამოიხვნეშა და პირჯვარი გადაისახა.

ტყუილი არ მითქვამს. ანუ კი ვიცრუე, რადგან დოკუმენტი მე მქონ-და და კრაფტს თვალითაც არასოდეს ენახა, მაგრამ ეს მხოლოდ წვრ-ილმანი იყო, მთავარში კი არ მომიტყუებია, რადგან იმწუთას, როცა ვტყუოდი, ჩემს თავს სიტყვა მივეცი, წერილს ამ საღამოსვე დავწვავ-მეთქი. გეფიცებით, იმწუთას ჯიბეში რომ მქონოდა, ამოვიღებდი და მი-ვცემდი; მაგრამ თან არ მქონდა, შინ დავტოვე. თუმცა იქნებ არც მიმე-ცა, რადგან ძალიან შემრცხვებოდა, გამოვტყდომოდი, რომ მე მქონდა და ამდენ ხანს დადარაჯებული ვიყავი, ველოდი და არ ვაძლევდი. სულერთი იყო: ყოველ შემთხვევაში, შინ დავწვავდი. ამიტომ არ მომ-

იტყუებია! ვფიცავ, იმწუთას წმინდა ვიყავი.

- ხოლო თუ ასეა, - განვაგრძე ლამის გონდაკარგულმა, - მაშინ მითხარით: იმიტომ მომიზიდეთ, მეფერებოდით და მიღებდით, რომ ეჭვად გქონდათ, რაღაც იცის დოკუმენტის შესახებო? მოითმინეთ, კატერინა ნიკოლავნა, კიდევ ერთი წუთი ნურაფერს იტყვით, ბოლომდე მათქმევინეთ: მთელი ეს ხანი, რაც თქვენთან დავდიოდი, სულ ვეჭვობდი, იმიტომ მეფერება, რომ გამომტყუოს წერილის ამბავი, ისეთ დღეში ჩამაგდოს, რომ წამომცდეს-მეთქი... წუთით კიდევ მოითმინეთ: ვეჭვობდი, მაგრამ ვიტანჯებოდი. თქვენი ორპირობა აუტანელი იქნებოდა ჩემთვის, იმიტომ რომ... იმიტომ რომ, თქვენში ვპოვე უკეთილშობილესი არსება! პირდაპირ გეუბნებით, პირდაპირ: თქვენი მტერი ვიყავი, მაგრამ თქვენში ვპოვე უკეთილშობილესი არსება და ყველაფერმა ერთბაშად იმძლავრა. მაგრამ ორპირობა, ეჭვი ორპირობისა, გულს მიკლავდა... ახლა ყველაფერი უნდა გადაწყდეს, უნდა გაირკვეს, დადგა ამის დრო; ცოტა კიდევ მოითმინეთ, ნურაფერს იტყვით, გაიგეთ, როგორ ვუყურებ მე თვითონ ყოველივე ამას, სწორედ ახლა, აი, ამწუთას; პირდაპირ გეუბნებით: თუნდაც ასე ყოფილიყო, არ გავჯავრდები... მინდოდა მეთქვა - არ მეწყინება-მეთქი, ვინაიდან, ხომ მესმის, ეს ძალზე ბუნებრივია. აბა, რა უნდა იყოს ამაში არაბუნებრივი და ცუდი? თქვენ დოკუმენტის ჯავრი გაქვთ, ეჭვობთ, რომ ამა და ამ კაცმა ყველაფერი იცის. რა გასაკვირია, რომ გინდოდეთ ამა და ამ კაცის ალაპარაკება... ამაში არაფერი, სრულიად არაფერია ცუდი. გულწრფელად მოგახსენებთ. მაგრამ მაინც საჭიროა, რომ ახლა რამე მითხრათ... გამომიტყდეთ (მაპატიეთ ეს სიტყვა). მე სიმართლე მინდა. რატომღაც ასეა საჭირო! მაშ, მითხარით: იმის გამო დამიყვავეთ, რომ დაგეცინცლათ ის დოკუმენტი... კატერინა ნიკოლავნა?

ისე ვლაპარაკობდი, თითქოს სადღაც მივექანებოდი, და შუბლი მიხურდა. ახლა უკვე შეუშფოთებლად მისმენდა, პირიქით, გრძნობა გამოესახა სახეზე; მაგრამ კრძალვით მიცქეროდა, თითქოს რცხვენოდა.

- იმის გამო, - წარმოთქვა ნელა და ხმადაბლა. - მაპატიეთ, დამნაშავე ვიყავი, - დაუმატა და ოდნავ გამოიწვდინა ჩემკენ ზეაღმართული ხელები. ამას არაფრით არ მოველოდი. ყველაფერს მოველოდი, ამ ორ სიტყვას კი არა; თვით მისგანაც კი, ვისაც უკვე ვიცნობდი.

- და თქვენ მეუბნებით: „დამნაშავე ვიყავიო“! ასე პირდაპირ ამბობთ: „დამნაშავე ვიყავიო“? - წამოვიძახე.

- ო, კარგა ხანია ვიგრძენი, რომ დამნაშავე ვარ თქვენთან... და ახლა მიხარია კიდეც, რომ გამომჟღავნდა...

- კარგა ხანია, გრძნობდით? მაშ, რატომ ადრევე არ მითხარით?

- არ ვიცოდი, როგორ მეთქვა, - გაიღიმა, - თქმას კი მოვახერხებდი, - ისევ გაიღიმა, - მაგრამ სულ სინდისი მაწუხებდა... რადგან თავდაპირველად მართლაც მხოლოდ ამიტომ „გიზიდავდით“, როგორც თქვენ თქვით, მერე კი მალევე შემეზიზღა... და მომბეზრდა მთელი ეს თვალთმაქცობა, გარწმუნებთ! - დაუმატა მწარედ. - და მთელი ეს საზრუნავი და ფაციფუცი!

- მერედა, რატომ მაშინვე პირდაპირ არ მკითხეთ? ადგებოდით და მეტყოდით: ხომ იცი წერილის ამბავი, რაღას თვალთმაქცობ-თქო? და მეც მაშინვე გეტყოდით ყველაფერს, გამოგიტყდებოდით!

- მე თქვენი... ცოტა არ იყოს, მეშინოდა. გამოგიტყდებით, თან არც გენდობოდით. მართლაც: მე თუ ვეშმაკობდი, არც თქვენ ყოფილხართ ნაკლები, - ჩაიცინა.

- დიახ, დიახ, ღირსი არ ვიყავი! - წამოვიძახე თავზარდაცემულმა. - ო, თქვენ კიდევ არ იცით, რა უფსკრულებში გადავჩეხილვარ!

- კარგი, გეთაყვა, რა უფსკრულებზე ლაპარაკობთ! ვცნობ თქვენს სტილს, - წყნარად გაიღიმა. - ის წერილი, - დაუმატა სევდიანად, - ყველაზე სამწუხარო და თავქარიანი საქციელი იყო ჩემს ცხოვრებაში. ამ საქციელის შეგნება მარადი მხილება გახლდათ ჩემთვის. გარემოებათა და საშიშროებათა გავლენით ჩემი საყვარელი, დიდსულოვანი მამის მდგომარეობაში ეჭვი შემეპარა. რაკი ვიცოდი, რომ შესაძლო იყო, ის წერილი ხელში ჩავარდნოდათ ბოროტ ადამიანებს... რაკი სრული საფუძველი მქონდა, ასე მეფიქრა (დაუმატა გულმხურვალედ), შიშით აღარ ვიყავი, ვაითუ გამოიყენონ, პაპა-ს უჩვენონ-მეთქი... ხოლო მასზე ეს ამბავი განსაკუთრებით იმოქმედებდა... მის მდგომარეობაში... ჯანმრთელობაზე იმოქმედებდა... და შემიძულებდა... დიახ, - დაუმატა მან, თან ნათელი მზერა მომაპყრო, უთუოდ რაღაც გამიკრთა თვალებში და შემამჩნია, - დიახ, მეშინოდა ჩემი ხვედრისაც: ვშიშობდი, რომ... ავადმყოფობის გამო... მას შეეძლო წაერთმია ჩემთვის ყველა წყალობა... ეს გრძნობაც მომერია, მაგრამ ალბათ ამაშიც დამნაშავე ვარ მასთან: ის ისეთი კეთილი და დიდსულოვანია, რომ, თქმა არ უნდა, მაპატიებდა. ეს იყო და ეს. ხოლო თქვენ რომ ასე მოგექეცით... არ უნდა გამეკე-

თებინა, - დაასრულა და კვლავ დაირცხვინა. - შემარცხვინეთ და ეგ არის.

- არა, შესარცხვენი თქვენ არაფერი გაქვთ! - წამოვიყვირე.

- მე მართლაც იმედი მქონდა... თქვენი გულფიცხობისა... და ვაღიარებ ამას, - წარმოთქვა თვალდახრილმა.

- კატერინა ნიკოლაევნა! მითხარით, ვინ, ვინ გაიძულებთ, ხმამაღლა რომ გამომიტყდით ასეთ რამეში? - წამოვიძახე დარეტიანებულივით. - აბა, რა იქნებოდა იმაზე ადვილი, რომ ამდგარიყავით და საუკეთესო, ყოვლად დახვეწილი გამოთქმებით დაგემტკიცებინათ ჩემთვის, როგორც ორჯერ ორი, რომ ასე არ ყოფილა, მიუხედავად იმისა, რომ იყო? - აკი ასე იციან ხოლმე ჩვეულებრივად თქვენს მაღალ წრეში, როცა საქმე სიმართლეს ეხება? მე ხომ სულელი და გაუთლელი ვარ. მაშინვე დაგიჯერებდით, ყველაფერს დაგიჯერებდით, რაც უნდა გეთქვათ! ხომ ყველაზე ადვილი იყო თქვენთვის ასე მოქცევა? მართლა ხომ არ გეშინიათ ჩემი? როგორ დაიმცირეთ თავი ასე, თქვენი ნებით, ვიღაც არამკითხე მოამბის, საცოდავი ყმაწვილის წინაშე?

- მაინც არ დამიმცირებია თავი თქვენ წინაშე, - წარმოთქვა უაღრესი ღირსებით, ეტყობოდა, ვერ მიხვდა ჩემს წამოძახილს.

- ო, პირიქით, პირიქით! აკი მეც მაგას გავიძახი!..

- ახ, ეს ისეთი ცუდი და ქარაფშუტული საქციელი იყო ჩემი მხრიდან! - წამოიძახა და ხელი პირისკენ წაიღო, თითქოს უნდა, ზედ მიიფაროსო. - გუშინვე შემრცხვა და იმიტომაც იყო, რომ ადგილზე ვერ ვჩერდებოდი... თუ სიმართლე გნებავთ, - დაუმატა, - ახლა ჩემი საქმეები ისე მოეწყო, რომ აუცილებლად უნდა ვიცოდე, რა ბედი ეწია ბოლოს და ბოლოს იმ ბედუკუღმართ წერილს, თორემ თითქმის მავიწყდებოდა კიდეც... ვინაიდან სრულიადაც აღარ გიღებდით მარტოოდენ ამის გამო, - დაუმატა უცებ.

გული ამიფანცქალდა.

- რა თქმა უნდა, არა, - გაიღიმა, - რა თქმა უნდა, არა! მე... წეღან თქვენ ძალიან მახვილად აღნიშნეთ, არკადი მაკაროვიჩ, რომ ჩვენ ხშირად ისე ველაპარაკებოდით ერთმანეთს, როგორც სტუდენტი ელაპარაკება ხოლმე სტუდენტს. გარწმუნებთ, ხანდახან ძალიან მწყინდება ხოლმე ხალხში; განსაკუთრებით მას მერე, რაც საზღვარგარეთ ვიყავი

და ჩვენს ოჯახს იმდენი უბედურება დაატყდა თავს... ასე განსაჯეთ, სტუ-მრადაც კი იშვიათად დავდივარ, და ეს მხოლოდ სიზარმაცის ბრალი როდია, ხშირად მომნატრებია სოფელში წასვლა. იქ გადავიკითხავდი ჩემს საყვარელ წიგნებს, რომლებიც რახანია, გადავარჩიე, მაგრამ ვე-რა და ვერ მოვახერხე წაკითხვა. ადრეც მითქვამს თქვენთვის ეს, გახ-სოვთ, დამცინოდით კიდეც, რომ რუსულ გაზეთებს ვკითხულობ, დღ-ეში ორ-ორ გაზეთს?

- მე არ დაგცინოდით...

- რა თქმა უნდა, იმიტომ, რომ ეს თქვენც გაღელვებდათ, ხოლო მე დიდი ხანია, გამოგიტყდით: რუსი ვარ და მიყვარს რუსეთში ყოფნა. გახსოვთ, ჩვენ ერთთავად „ფაქტებს“ ვკითხულობდით, როგორც თქ-ვენ უწოდებდით (გაიღიმა), თუმცა თქვენ ძალზე ხშირად რაღაც... უცნ-აური ხართ, მაგრამ ხანდახან ისე გახალისდებოდით ხოლმე, რომ ყოველთვის იტყოდით მოსწრებულ სიტყვას, და გაინტერესებდათ სწ-ორედ ის, რაც მეც მაინტერესებდა. როცა „სტუდენტობთ“, ღმერთმანი, ძალზე საყვარელი და ორიგინალური ხართ. აი, დანარჩენი როლები კი, მგონი, ნაკლებად გიხდებათ, - დაურთო მომხიბვლელი ეშმაკური ჩაცინებით. - გახსოვთ, ხანდახან საათობით ვლაპარაკობდით მარტო-ოდენ ფაქტებზე, ვიყავით ერთ განსჯასა და აწონ-დაწონაში, თავს ვიმ-ტვრევდით იმაზე, თუ რამდენი სკოლა გვაქვს, საით მიემართება გან-ათლება. ვითვლიდით მკვლელობებსა და სისხლის სამართლის საქმ-ეებს, ვადარებდით სანუგეშო ცნობებს... გვინდოდა შეგვეტყო, საით მიექანება ყოველივე ეს და, დასასრულ, რა მოგველის ჩვენ თვითონ. მე თქვენში გულწრფელობა ვპოვე. მაღალ საზოგადოებაში ჩვენ, ქა-ლებს, ასე არასოდეს გველაპარაკებიან. იმ კვირას როგორღაც თავა-დს წამოვუწყე ლაპარაკი ბისმარკზე, რადგან ძალიან მაინტერესებდა და ჩემით ვერ გავერკვიე. წარმოიდგინეთ, გვერდით მომიჯდა, ძალზე წვრილადაც კი მომიყვა ყველაფერი, მაგრამ სახეზე არ მოშორებია ირონია და სწორედ ის შემწყნარებლობა, რომელსაც ვერ ვიტან და რომლითაც გველაპარაკებიან ხოლმე ჩვეულებრივად „დიდნი კაცნი“ ჩვენ, ქალებს, თუ „ჩვენთვის შეუფერებელ საქმეში“ ჩავეჩრებით... ჩვენ კი, გახსოვთ, კინაღამ ვიჩხუბეთ ბისმარკის თაობაზე? თქვენ მიმტკიცე-ბდით, რომ გაქვთ საკუთარი იდეა, რომელთანაც „ ბისმარკი რას მო-ვა“, - გაიცინა უცებ, - ჩემს ცხოვრებაში ორად ორი ადამიანი შემხვე-დრია, რომლებიც სავსებით სერიოზულად მელაპარაკებოდნენ: განს-ვენებული ჩემი ქმარი, ძალიან, ძალიან ჭკვიანი და... კე-თილ-შობილი კაცი, - წარმოთქვა დაბეჯითებით, - და კიდევ - თქვენც იცით, ვინ...

- ვერსილოვი! - წამოვიძახე მე, ზედ დავკანკალებდი მის ყოველ სიტყვას.

- დიახ. ძალიან მიყვარდა მისი მოსმენა, ბოლოს მასთან სავსებით... იქნებ მეტისმეტადაც გულახდილი გავხდი, მაგრამ სწორედ მაშინ აღ-არ დამიჯერა.

- არ დაგიჯერათ?

- დიახ, მაშინ ხომ არც არავის სჯეროდა ჩემი.

- კი მაგრამ, ვერსილოვს, ვერსილოვს?

- არათუ არ დამიჯერა, - წარმოთქვა მან თვალდახრით და რაღაც უცნაური ღიმილით, - არამედ ჩათვალა, რომ „ყველა ნაკლი“ ჩემშია თავმოყრილი.

- თქვენ ხომ არც ერთი ნაკლი არა გაქვთ!

- არა, ზოგი მეც მაქვს.

- ვერსილოვს არ უყვარდით, იმიტომაც ვერ მიგიხვდათ! - წამოვიძა-ხე თვალანთებულმა.

რაღაცამ გადაურბინა სახეზე...

- დავანებოთ თავი ამას და ნურასოდეს ნურაფერს მეტყვით იმ... იმ ადამიანზე... - დაურთო მხურვალედ და მომთხოვნი ტონით. - კმარა, წასვლის დროა (წამოდგა) - რას მეტყვით, მაპატიებთ? - წარმოთქვა და მომაპყრო თავისი ნათელი თვალები.

- მე... თქვენ... გაპატიოთ! მომისმინეთ, კატერინა ნიკოლავნა, და ნუ გამიჯავრდებით! ამბობენ, თხოვდებაო, მართალია?

- ეგ ჯერ სრულებით არ არის გადაწყვეტილი, - წარმოთქვა დარცხვ-ენით, თითქოს რაღაცის შეეშინდაო.

- კარგი ადამიანია? მაპატიეთ, მაპატიეთ ეს შეკითხვა!

- დიახ, ძალიან კარგი ადამიანი...

- მეტს ნურაფერს მიპასუხებთ, ნუ მაღირსებთ პასუხს! მე ხომ ვიცი,

რომ ასეთი შეკითხვები ჩემგან არ შეიძლება! მხოლოდ ის მინდოდა შემეტყო, თქვენი ღირსი თუ არის-მეთქი, მაგრამ ამას მე თვითონ შევიტყობ.

- ახ, გამიგონეთ, - შიშით წარმოთქვა მან.

- არა, არაფერს არ შევიტყობ, არა. გვერდს ავუვლი... ოღონდ აი, რას გეტყვით: ღმერთმა მოგცეთ ყველანაირი ბედნიერება, ყველანაირი, როგორსაც თავად აირჩევთ... იმის წილ, როგორიც თქვენ მარგუნეთ ახლა, ამ ერთ საათში! დღეიდან სამარადისოდ აღიბეჭდეთ ჩემს სულში. მე ვპოვე საუნჯე: ფიქრი იმისა, რომ თქვენ სრულყოფილი არსება ხართ. ვეჭვობდი, ცბიერობს, ტლანქად კეკლუცობს-მეთქი და უბედური ვიყავი... რადგან არ შემეძლო ამ ფიქრის თქვენთან დაკავშირება... ამ ბოლოს დროს დღედაღამ ამაზე ვდარდობდი; და ერთბაშად ყველაფერი დღესავით ნათელი შეიქნა! რომ მოვდიოდი, მეგონა, აქედან იეზუიტობა წამყვებოდა, ეშმაკობა, რომელიც ახასიათებს გველს, რომელიც რაიმეს წამოგაცდენინებთ, და ვპოვე პატიოსნება, დიდება, სტუდენტი!.. იცინით? დაე, ეგრე იყოს! თქვენ ხომ წმინდანი ხართ, თქვენ არ შეგიძლიათ დასცინოთ იმას, რაც წმიდათაწმიდაა...

- არა, მე მხოლოდ იმაზე გამეცინა, რომ საშინელი სიტყვების თქმა იცით ხოლმე... აბა, რა არის „გველი, რომელიც რაიმეს წამოგაცდენინებთ“? - გაიცინა.

- თქვენ დღეს ერთი უძვირფასესი სიტყვა წამოგცდათ, - განვაგრძობდი აღტაცებული. - როგორ მოგიბრუნდათ ენა, გეთქვათ ჩემთვის: თქვენი გულფიცხობის იმედი მქონდაო? კეთილი, თქვენ წმიდანი ხართ და ესეც აღიარეთ, იმიტომ, რომ გეგონათ, მართლაც დამნაშავე ვარო და გინდოდათ თავი დაგესაჯათ... თუმცა, რა სათქმელია, არავითარი ბრალი არ მიგიძღვით. თუ იყო კიდეც რამე, თქვენგან ყველაფერი წმიდაა! მაგრამ მაინც შეგეძლოთ მაინცდამაინც ეგ სიტყვა არ გეთქვათ, ეგ გამოთქმა!.. ასეთი გულწრფელობა არაბუნებრივიც კია და მხოლოდ თქვენს უმაღლეს კდემამოსილებას ამჟღავნებს, იმას, რომ პატივს მცემთ, რომ გწამთ ჩემი, - უთავბოლოდ გავიძახოდი. - ო, ნუ წითლდებით, ნუ წითლდებით... ვინ, ვინ დაგწამათ ცილი და თქვა, რომ თქვენ ვნებიანი ქალი ხართ? ო, მაპატიეთ: ტანჯვა გამოგესახათ სახეზე, მიუტევეთ გახელებულ ყმაწვილს მისი მოუხეშავი სიტყვები! ანდა განა სიტყვებსა და გამოთქმებს ეხება ახლა საქმე? განა თქვენ ყოველგვარ გამოთქმაზე მაღლა არ დგახართ?.. ერთხელ ვერსილოვმა თქვა, ოტელომ იმიტომ კი არ მოკლა დეზდემონა და მერე თვითონაც მოიკლა თა-

ვი, რომ ეჭვიანობდა, არამედ იმიტომ, რომ წაართვეს იდეალიო... მე მივუხვდი მას, იმიტომ რომ დღეს დამიბრუნეს ჩემი იდეალი!

- მეტისმეტად მაქებთ: ღირსი არა ვარ, - წარმოთქვა მან გრძნობით. - გახსოვთ, რა გითხარით თქვენს თვალებზე? - დაუმატა ხუმრობით.

- რომ მე თვალების ნაცვლად მაქვს ორი მიკროსკოპი და ყოველი ბუზი ჩემს თვალში აქლემად იქცევა! არა, ჩემო ბატონო, არ არის აქ აქ-ლემი!... ვაიმე, უკვე მიდიხართ?

შუა ოთახში იდგა და ხელში ქურო და წამოსასხამი ეჭირა.

- არა, დავიცდი, სანამ თქვენ გახვალთ, მე კი მერე წავალ. ორიოდე სიტყვა მინდა დავუწერო ტატიანა პავლოვნას.

- ახლავე წავალ, ახლავე. ოღონდ ერთხელ კიდევ: იბედნიერეთ, მარტოკა იქნებით თუ თქვენს რჩეულთან ერთად, ღმერთმა გაბედნი-ეროთ! მე კი - მე მხოლოდ იდეალი მინდა.

- ჩემო კარგო, კეთილო არკადი მაკაროვიჩ, მერწმუნეთ, რომ მე თქვენ შესახებ... მამაჩემი მუდამ ასე გიხსენიებთ ხოლმე: „კარგი, კე-თილი ბიჭიო!“. მერწმუნეთ, მუდამ მემახსოვრება თქვენი ნაამბობი იმ საბრალო ბიჭუნაზე, უცხო ხალხს რომ მიუგდეს, მემახსოვრება მისი მარტოსული ოცნებები... ძალზე კარგად მესმის, როგორ ჩამოგიყალი-ბდათ სული... მაგრამ ახლა, თუმცა სტუდენტები ვართ, - დაურთო მან მუდარით აღსავსე, დარცხვენილი ღიმილით და ხელზე ხელი მომიჭი-რა: - ამას იქით წინანდებურად ვეღარ შევხვდებით ერთმანეთს და... უთუოდ გესმით ეს, არა?

- ვეღარ შევხვდებით?

- ვეღარ, დიდხანს ვეღარ შევხვდებით... ეს უკვე ჩემი ბრალია... ვხ-ედავ, რომ ახლა ეს სავსებით შეუძლებელია... ჩვენ ხანდახან შევხვდ-ებით ხოლმე პაპა-სთან...

„თქვენ გაშინებთ ჩემი გრძნობების „გულფიცხობა“, არ გჯერათ ჩე-მი?“ - მინდოდა მეყვირა, მაგრამ უცებ ისე დაირცხვინა, რომ ენა აღარ მომიბრუნდა ამ სიტყვების სათქმელად.

- მითხარით, - შემაჩერა უცებ, როცა უკვე კართან ვიყავი მისული, - თქვენ თვითონ ნახეთ, რომ... ის წერილი... დახიეს? კარგად გახსოვთ?

საიდან იცით, რომ ის წერილი სწორედ ანდრონიკოვისადმი იყო?

- კრაფტმა მიამბო მისი შინაარსი და მაჩვენა კიდეც... მშვიდობით! როცა თქვენს კაბინეტში ვიყავი ხოლმე, სიმხდალე მიპყრობდა, ხოლო როცა ოთახიდან გადიოდით, მზად ვიყავი, იატაკზე დავცემულიყავი და დამეკოცნა ის ადგილი, სადაც ფეხი გედგათ... - წარმოვთქვი ანგარიშმიუცემლად, მეც არ ვიცი, როგორ და რატომ, და სასწრაფოდ გამოვედი ისე, რომ არც კი შემიხედავს მისთვის.

შინისკენ გავეშურე. სულში აღტაცება ვგრძნობდი. ყველაფერი გრიგალივით მიტრიალებდა თავში, გული სავსე მქონდა. დედაჩემის სახლს რომ მივუახლოვდი, უცებ გამახსენდა, რა უმადურად ეპყრობა ლიზა ანა ანდრეევნას, რა სასტიკი, საზარი სიტყვები თქვა წეღან-მეთქი, და უცებ გული ამიკვნესდა! „რა გაგულქვავებულნი არიან ყველანი! ლიზას რაღა დაემართა?“ - გავიფიქრე, როცა პარმაღზე შევდგი ფეხი.

მატვეი გავუშვი და ვუბრძანე, ცხრა საათზე მომაკითხე ბინაში-მეთქი.

თავი მეხუთე - I

სადილად დამაგვიანდა, მაგრამ ჯერ არ დამსხდარიყვნენ და მელოდნენ. იქნებ იმიტომ, რომ მათთან იშვიათად ვსადილობდი ხოლმე. ზოგი რამ წაემატებინათ საუზმისთვის - გაჩნდა სარდინი და სხვ. მაგრამ, ჩემდა გასაოცრად და სამწუხაროდ, ყველანი რაღაცით შეწუხებულნი და დაღვრემილნი დამხვდნენ: ლიზამ ძლივს გამიღიმა, ხოლო დედაჩემი აშკარად შეშფოთებული ჩანდა; ვერსილოვი იღიმოდა, მაგრამ ნაძალადევად. „ხომ არ იჩხუბეს?“ - გამიელვა თავში. თუმცა, თავდაპირველად ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ ვერსილოვი ცოტათი შეიჭმუხნა, როცა გუფთის წვნიანს დახედა, ხოლო როცა ზრაზი (კარტოფილის ღვეზელი.) შემოიტანეს, დაიჭყანა:

- საკმარისია განვაცხადო, ჩემი კუჭი ვერ იტანს ამა და ამ საჭმელსმეთქი, რომ მეორე დღესვე სუფრაზე ის კერძი გაჩნდება, - წყენით აღმოხდა.

- რა ვქნა, ანდრეი პეტროვიჩ, სხვა რა მოვიფიქრო? ვერაფრით მომიფიქრებია რამე ახალი კერძი, - შიშნარევი ხმით უთხრა დედამ.

- დედაშენი, ზოგიერთი ჩვენი გაზეთისგან განსხვავებით, რომლებიც ამბობენ, რაც ახალია, კარგიც ის არისო, სრულიად საწინააღმდეგოს ამტკიცებს. - სცადა ენაკვიმატობა ვერსილოვმა, რაც შეიძლებოდა მხიარულად და გულითადად, მაგრამ არ გამოუვიდა და უფრო დააფრთხო დედაჩემი, რომელმაც, ცხადია, ვერაფერი გაიგო, როცა გაზეთებს შეადარეს და გაოცებული იხედებოდა აქეთ-იქით. ამ დროს შემოვიდა ტატიანა პავლოვნა. ნასადილევი ვარო, განაცხადა, და დედაჩემს დივანზე გვერდით მიუჯდა.

მე ჯერ კიდევ ვერ მოვახერხე ამ არსების გულის მოგება; პირიქით, უფრო მიტევდა ხოლმე, თან სულ ტყუილუბრალოდ. განსაკუთრებით ამ ბოლო ხანებში იყო ჩემით უკმაყოფილო: ჩემი ფრანტული ტანსაცმლის დანახვაც კი არ შეეძლო, ხოლო როგორც ლიზამ მიამბო, კინაღამ დამბლა დასცემია, როცა შეუტყვია, რომ კოხტა ცხენ-ეტლიანი მატვეი მყავდა. ბოლოს იმით დავამთავრე, რომ შეძლებისამებრ გავურბოდი მასთან შეხვედრას. ამ ორი თვის წინ, როცა ვერსილოვმა მემკვიდრეობა გადასცა თავადს, შევირბინე ტატიანა პავლოვნასთან, რათა ენა მომექავებინა ვერსილოვის საქციელის გამო, მაგრამ იოტისოდენა თანაგრძნობაც კი ვერ ვპოვე მისგან; პირიქით, საშინლად გაცეცხლე-

ბული იყო: ძალზე არ მოეწონა, რომ მას მთლიანად გადასცა მემკვიდრეობა და არა ნახევარი; მე კი მკვახედ მომახალა:

- სანაძლეოს ჩამოვალ, ფულიც მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ მისცა და დუელშიც იმიტომ გამოიწვია, რომ არკადი მაკაროვიჩის თვალში ამაღლებულიყო.

თითქმის გამოიცნო: მაშინ მეც რაღაც ამდაგვარს ვგრძნობდი.

როგორც კი შემოვიდა, მაშინვე მივხვდი, რომ უსათუოდ შემომიტევდა, ცოტა არ იყოს, დარწმუნებულიც კი ვიყავი, სულაც ამისთვის მოვიდა-მეთქი, ამიტომ ერთბაშად არაჩვეულებრივად უტიფარი გავხდი; ეს სულაც არ გამჭირვებია, იმიტომ, რომ წეღანდელის მერე ისევ სიხარულით აღტაცებული და გაბრწყინებული ვიყავი. ვიტყვი ერთხელ და სამუდამოდ, რომ უტიფრობა არასოდეს მშვენოდა, პირიქით, მუდამ სამარცხვინო მდგომარეობაში მაგდებდა. ახლაც ასე დამემართა: უეცრად წამოვროშე, არავითარი ცუდი განზრახვა არ მქონია. ჩემი ქარაფშუტობით შევნიშნე, რომ ლიზა ძალზე მოწყენილია და უცებ, არც დავფიქრებულვარ, რას ვამბობდი, წამოვაყრანტალე:

- ათასში ერთხელ ვსადილობ აქ. შენ კი, ლიზა, თითქოს განგებო, მოწყენილი ხარ!

- თავი მტკივა, - მომიგო ლიზამ.

- ახ, ღმერთო ჩემო, - ეცა ტატიანა პავლოვნა, - მერე რა მოხდა, რომ ავად ხარ? რაკი არკადი მაკაროვიჩმა ინება სადილად მობრძანება, უნდა იცეკვო და იმხიარულო.

- თქვენ ნამდვილად ჩემი ცხოვრების უბედურება ხართ, ტატიანა პავლოვნა; არასოდეს აღარ მოვალ აქ, როცა თქვენ იქნებით! - და გულწრფელად გაჯავრებულმა მაგიდას დავკარი ხელი. დედა შეკრთა, ხოლო ვერსილოვმა უცნაურად შემომხედა. უცებ გავიცინე და ყველას ბოდიში მოვუხადე.

- ტატიანა პავლოვნა, უკანვე მიმაქვს ჩემი სიტყვა უბედურების შესახებ, - არ ვიშლიდი უტიფრობას.

- არა, არა, - მომიჭრა მან, - ჩემთვის გაცილებით მისაღებია, ვიყო შენი უბედურება, ვიდრე პირიქით. ამაში დარწმუნებული ბრძანდებოდე.

- ჩემო კარგო, ცხოვრების პატარ-პატარა უბედურებათა ატანა უნდა შეგეძლოს, - ღიმილით წაილუღლუღა ვერსილოვმა, - უბედურება თუ არ იქნა, ცხოვრება არც ღირს.

- იცით რა, თქვენ ხანდახან საშინელი რეტროგრადი ხართ! - წამოვიძახე ნერვიული სიცილით.

- ჩემო მეგობარო, მაგის მეტი დარდი ნუ მოგცა ღმერთმა.

- არა, ძალიანაც მედარდება! რატომ არ ეტყვით ვირს პირდაპირ, ვირი ხარო?

- შენს თავზე ხომ არ ამბობ? ჯერ ერთი, მე არავის განსჯა არ მინდა, არც შემიძლია.

- რატომ არ გინდათ, რატომ არ შეგიძლიათ?

- მეზარება კიდეც და ზიზღსაც მგვრის. ერთმა ჭკვიანმა ქალმა მითხრა ერთხელ, უფლება არა გაქვს, სხვები განსაჯო, რადგან „ტანჯვის შნო არა გაქვს“, ხოლო სხვების მსაჯული რომ იყო, ტანჯვით უნდა მოიპოვო განსჯის უფლებაო. ცოტა მაღალფარდოვანი ნათქვამია, მაგრამ იქნებ მართალიცაა. ასე რომ, სიამოვნებითაც კი დავემორჩილე ამ განსჯას.

- ნუთუ ეგ ტატიანა პავლოვნამ გითხრათ? - წამოვიძახე.

- შენ საიდან მიხვდი? - ცოტა არ იყოს, გაკვირვებით შემომხედა ვერსილოვმა.

- ტატიანა პავლოვნას სახემ მიმახვედრა: ერთბაშად შეკრთა.

შემთხვევით გამოვიცანი. როგორც შემდეგ გაირკვა, ეს ფრაზა მართლაც ტატიანა პავლოვნას ეთქვა ვერსილოვისთვის წინადღეს, ცხარე კამათის დროს. და საერთოდ, ვიმეორებ, ძალზე უდროო დროს შემოვიჭერი მათთან ჩემი სიხარულითა და ექსპანსიური ქცევებით; ყოველ მათგანს თავისი სადარდებელი და საფიქრალი ჰქონდა.

- ვერაფერი გამიგია, იმიტომ, რომ ყოველივე ეს ძალზე განყენებულია; ან რა თვისება გაქვთ: საშინლად გიყვართ განყენებული ლაპარაკი, ანდრეი პეტროვიჩ; ეგ ეგოისტური თვისებაა: განყენებული ლაპარაკი მხოლოდ ეგოისტებს უყვართ.

- გვარიანი ნათქვამია, მაგრამ იქნებ დავანებოთ თავი.

- არა, ერთი მიბრძანეთ, - არ ვეშვებოდი ჩემი ექსპანსიურობით, - რას ნიშნავს „ტანჯვით უნდა მოიპოვო განსჯის უფლებაო“? ვინც პატიოსანია, მსაჯულიც ისაა - აი, ჩემი აზრი.

- მაშ, ვერ შეგიგროვებია მსაჯულები და ეგაა.

- ერთს უკვე ვიცნობ.

- ეგ ვინღაა?

- ის ახლა წინ მიზის და მელაპარაკება.

ვერსილოვმა უცნაურად ჩაიცინა, ზედ ჩემს ყურთან დაიხარა, მხარზე ხელი დამადო და წამჩურჩულა: „ის ყველაფერს გატყუებს“.

დღემდე ვერ გამიგია, რა აზრი ედო გულში მაშინ, მაგრამ, ცხადია, იმწუთას მეტისმეტად შეეშფოთებინა რაღაცას (როგორც მერე მივხვდი, ერთი ამბავი შეეტყო). მაგრამ ეს სიტყვა: „ ის ყველაფერს გატყუებს „ - ისე მოულოდნელად და სერიოზულად, ისეთი უცნაური, არასახუმარო გამომეტყველებით იყო ნათქვამი, რომ ნერვიულად შევკრთი, თითქმის შევშინდი და ჭკუათხელივით შევხედე; მაგრამ ვერსილოვმა ეგრევე გაიცინა.

- მადლობა ღმერთს! - თქვა დედამ, რომელიც შეშინდა, რას ეჩურჩულებაო. - მე კი ვიფიქრე... ნუ გვიწყრები, არკაშა; ჭკვიანი ადამიანები უჩვენოდაც იქნებიან შენთან, მაგრამ შენ ვისღა ეყვარები, თუკი ჩვენ არ ვეყოლებით ერთმანეთს?

- ნათესაური სიყვარული იმიტომაცაა უზნეო, დედა, რომ დაუმსახურებელია. სიყვარულს დამსახურება უნდა.

- ვინ იცის, როდის დაიმსახურებ, აქ კი უარაფროდაც უყვარხარ ყველას.

ყველამ გაიცინა.

- დახეთ, დედა, იქნებ გასროლა გულშიაც არ გაგივლიათ, მაგრამ ფრინველი კი მოკალით! - წამოვიძახე და მეც გავიცინე.

- შენ კი მართლაც წარმოიდგინე, რომ სიყვარულის ღირსი ხარ, - მეცა ისევ ტატიანა პავლოვნა, - გგონია, რომ მუქთად უყვარხართ? მხოლოდ ზიზღნარევად უყვარხართ!

- ვერ მოგართვეს! - მხიარულად წამოვიძახე. - იქნებ ვინ მითხრა დღეს, მიყვარხარო, ხომ არ იცით?

- დაცინვით გითხრა! - რაღაც არაბუნებრივი გაბოროტებით აიტაცა სიტყვა ტატიანა პავლოვნამ, თითქოს სწორედ ჩემგან ელოდა ამ სიტყვებს. - სათუთ ადამიანს, მეტადრე ქალს, ჯერ მარტო შენი სულიერი სიბინძურე შეზარავს. თმა გვერდზე გადაგიყვია, ძვირფასი თეთრეული ჩაგიცვამს, ტანსაცმელს ფრანგ თერძს აკერინებ, - ყველაფერი ეგ ხომ სიბინძურეა! ვინ გამოგაწყო, ვინ გაჭმევს, რულეტის სათამაშო ფულს ვინ გაძლევს? აბა, მოიგონე, ვის ართმევ ფულს და არც კი გრცხვენია?

დედაჩემი ისე გაწითლდა, რომ აქამდე არასოდეს მენახა მის სახეზე ასეთი სირცხვილი. დავიღმიჭე.

- თუ ვხარჯავ, ჩემს ფულს ვხარჯავ და ანგარიშს არავის ვაბარებ, - მოვუჭერი მთლად გაჭარხლებულმა.

- რომელ შენს ფულს? სადაურ შენს ფულს?

- ჩემი თუ არაა, ანდრეი პეტროვიჩის ხომაა. ის უარს არ მეტყვის... ვართმევდი თავადს იმ ვალის ანგარიშში, რომელიც ანდრეი პეტროვიჩისთვის აქვს მისაცემი.

- ჩემო მეგობარო, - მტკიცედ წარმოთქვა უცებ ვერსილოვმა, - იქ ჩემი კაპიკიც კი არაა.

ეს ფრაზა საშინლად მნიშვნელოვანი იყო. სახტად დავრჩი. ო, ცხადია, რომ მახსენდება ჩემი მაშინდელი პარადოქსული და თავზეხელაღებული განწყობილება, რა თქმა უნდა, შევძლებდი თავის დაძვრენას რომელიმე „უკეთილშობილესი“ გულისთქმით ანდა რიხიანი სიტყვებით, ან კიდევ სხვა რამით, მაგრამ უცებ ლიზას მოღუშულ სახეზე შევნიშნე რაღაცნაირი ავი, ბრალმდებელი გამომეტყველება, უსამართლო გამომეტყველება, თითქმის დაცინვა, და თითქოს ეშმაკი შემიჯდა.

- თქვენ, ქალბატონო, - მივუბრუნდი უცებ ლიზას, - მგონი, ხშირად დადიხართ დარია ანისიმოვნასთან თავადის სახლში? ხომ არ ინებე-

ბთ, თქვენ თვითონ გადასცეთ თავადს აი, ეს სამასი მანეთი, რის გამოც დღეს ასე შემახურეთ?

ამოვიღე ფული და გავუწოდე. დამიჯერებთ, რომ მაშინ ეს უხამსი სიტყვები ყოველგვარი განზრახვის გარეშე წარმოვთქვი? ოდნავადაც არ მიფიქრია, სიტყვა გადამეკრა რამეზე. და არც შეიძლებოდა გადამეკრა, იმიტომ, რომ იმწუთას სრულიად არაფერი ვიცოდი. იქნებ მხოლოდ ის მსურდა, რომ რაიმეთი, შედარებით უწყინარი რაიმეთი, მეჩხვლიტა მისთვის თუნდაც ამგვარად, რომ, აი, ქალიშვილია და სხვის საქმეში კი ერევა. მაშ, ხომ არ ინებებთ, რაკი მაინცდამაინც გნებავთ ჩაერიოთ, თვითონ შეხვდეთ იმ თავადს, ყმაწვილ კაცს, პეტერბურგელ ოფიცერს, და გადასცეთ, „რაკი ეგრე გნებავთ ყმაწვილი კაცების საქმეებში ჩარევა“. მაგრამ როგორ გავშტერდი, როცა უცებ დედა წამოდგა, მუქარით ცხვირწინ გამიქნია თითი და დამიყვირა:

- არ გაბედო! არ გაბედო!

მსგავსი არაფერი შემეძლო წარმომედგინა მისგან და მეც წამოვხტი, წამოვხტი არა შიშით, არამედ რაღაცნაირი ტანჯვით, მტკივნეული გულის იარით, რადგან უცებ მივხვდი, რომ სამძიმო რაღაც მოხდა. მაგრამ დედამ თავი დიდხანს ვეღარ შეიკავა: პირზე ხელები მიიფარა და სწრაფად გავიდა ოთახიდან. ლიზას ჩემთვის არც შემოუხედავს და დედას გაედევნა. ტატიანა პავლოვნამ ნახევარი წუთი დუმილით მიცქირა:

- ნუთუ მართლა რაიმეს წამოროშვას აპირებდი? - იდუმალად წამოიძახა და უაღრესი გაოცებით შემომხედა, მაგრამ ჩემს პასუხს აღარ დაელოდა და ისიც მათ გაეკიდა. ვერსილოვი მტრული, თითქმის გაბოროტებული სახით წამოდგა, კუთხეში მივიდა და თავისი შლაპა აიღო.

- ვფიქრობ, არც ისეთი ბრიყვი უნდა იყო, მაგრამ მიამიტი ხარ, - წაიბუტბუტა მან. - თუ მოვლენ, უთხარი, ტკბილეულობას უჩემოდ შეექცნენ, ნუ დამელოდებიან: ცოტას გავივლი.

მარტოკა დავრჩი. ჯერ გავოცდი, მერე მეწყინა, ბოლოს კი აშკარად დავინახე, რომ დამნაშავე ვიყავი. თუმცა არ ვიცოდი, რა ბრალი მიმიძღოდა, მაგრამ რაღაც ვიგრძენი. ფანჯარასთან ვიჯექი და ვუცდიდი. ათიოდე წუთი ვიცადე, მერე მეც ავიღე შლაპა და წავედი ზევით, ჩემს ყოფილ სენაკში. ვიცოდი, რომ ისინი იქ იყვნენ, - დედა და ლიზა, და რომ ტატიანა პავლოვნა უკვე წავიდა. ასეც იყო: ორივენი ჩემს დივანზე ისხ-

დნენ და რაღაცას ჩურჩულებდნენ. რომ შევედი, ჩურჩული შეწყვიტეს. ჩემდა გასაოცრად, გულმოსული არ იყვნენ; ყოველ შემთხვევაში, დედამ გამიღიმა.

- დედა, დამნაშავე ვარ, - დავიწყე მე...

- კარგი, კარგი, არაფერია, - შემაწყვეტინა დედამ, - ოღონდ გიყვარდეთ ერთმანეთი, ნურასოდეს იჩხუბებთ და ღმერთი ბედნიერებას არ მოგაკლებთ.

- გეუბნებით, დედა, ეგ არასოდეს მაწყენინებს! - დაბეჯითებით და გრძნობით წარმოთქვა ლიზამ.

- სულ ტატიანა პავლოვნას ბრალია, ის რომ არა, არაფერიც არ მოხდებოდა, - წამოვიძახე. - საძაგელი ქალია!

- ხედავთ, დედა? გესმით? - მიუთითა ლიზამ ჩემზე.

- აი, რას გეტყვით ორივეს, - გამოვუცხადე, - თუ ქვეყნად რამეა საძაგელი, ვარ მხოლოდ მე, დანარჩენი ყველაფერი მშვენიერია.

- არკაშა, ნუ გამიწყრები, გეთაყვა, მაგრამ მართლა რომ თავი დაგენებებინა...

- თამაშისთვის? თამაშზე ამბობთ? დავანებებ, დედა; დღეს უკანასკნელად მივდივარ, მეტადრე მას მერე, რაც ანდრეი პეტროვიჩმა თვითონვე განაცხადა ხმამაღლა, ჩემი ფული იქ კაპიკიც არ არისო. არ დაიჯერებთ, როგორ ვწითლდები... თუმცა, მე უნდა მოველაპარაკო... დედა, გენაცვალე, ამას წინათ აქ ვთქვი... უხერხული სიტყვა... დედილო, ვცრუობდი: მე მინდა გულწრფელად მწამდეს, მე მხოლოდ ვბაქიბუქობდი და ძალიან მიყვარს ქრისტე ღმერთი...

ამას წინათ მართლაც ამდაგვარი ლაპარაკი მოგვივიდა; დედა ძალიან შეწუხებული და შეფიქრიანებული დარჩა. ახლა რომ მომისმინა, გამიღიმა, როგორადაც ბავშვს გაუღიმებენ ხოლმე.

- ქრისტე, არკაშა, ყველაფერს მოგიტევებს: შენს გმობასაც მოგიტევებს და მაგაზე უარესსაც. ქრისტე - მამაა ჩვენი, ქრისტე არაფერს საჭიროებს და ყოვლად უკუნ წყვდიადშიც იბრწყინებს...

გამოვეთხოვე მათ და გამოვედი, თან იმასაც ვფიქრობდი, სად ვნ-

ახო დღეს ვერსილოვი-მეთქი; მასთან ძალიან ბევრი მქონდა სალაპარაკო, წეღან კი არ გამოდიოდა. ეჭვი მქონდა, ვაითუ, ჩემს ბინაში მელოდება-მეთქი. ფეხით წამოვედი; ცოტათი ყინავდა და თბილი ოთახიდან გამოსულს მესიამოვნა ფეხით გავლა.

II

ვოზნესენსკის ხიდთან ვცხოვრობდი, ერთი ვეებერთელა სახლის ეზოში. უკვე ალაყაფში შევდიოდი, რომ შევეფეთე ვერსილოვს, რომელიც ჩემი ბინიდან გამოდიოდა.

- ჩემი ჩვეულებისამებრ, სეირნობა-სეირნობით შენს სახლთან მოვედი, დაგელოდე კიდეც პიოტრ იპოლიტოვიჩთან, მაგრამ მომწყინდა. ნეტავი რა აჩხუბებთ, დღეს მისი ცოლი ლოგინადაც კი ჩავარდა და ტირის. ვუყურე, ვუყურე და წამოვედი.

რატომღაც, გავბრაზდი.

- თქვენ ალბათ მხოლოდ ჩემთან დადიხართ. ჩემსა და პიოტრ იპოლიტოვიჩის გარდა მთელ პეტერბურგში არავინ გყავთ?

- ჩემო მეგობარო... განა სულერთი არ არის?

- ახლა სადღა მიდიხართ?

- არა, შენთან აღარ დავბრუნდები. თუ გინდა - წამო, გავიაროთ, საუცხოო საღამოა.

- თქვენ რომ განყენებული მსჯელობების ნაცვლად ადამიანურად მელაპარაკებოდეთ ხოლმე და, მაგალითად, თუნდაც გადაკვრით დაგეძრათ სიტყვა ჩემს წყეულ თამაშზე, ასე ტუტუცურად იქნებ არც ჩავეთრიე, - ვუთხარი უცებ.

- ნანობ? ეგ ურიგო არაა, - გამოსცრა მან, - ყოველთვის ეჭვად მქონდა, რომ შენთვის თამაში მთავარი საქმე კი არაა, მხოლოდ დროებითი გადახვევაა... მართალი ხარ, ჩემო მეგობარო, თამაში ღორობაა, თანაც შეიძლება წააგო კიდეც.

- და წააგო სხვისი ფული.

- შენ რაო, სხვისიც წააგე?

- თქვენი ფული წავაგე. თავადს თქვენს ხარჯზე ვართმევდი. რა თქმა უნდა, საშინელი უგუნურებაა, თქვენი ფული ჩემად მივითვალო, მა-

გრამ იმედი მქონდა, ისევ ამოვიგებ-მეთქი.

- კიდევ ერთხელ გაგიმეორებ, ჩემო მეგობარო, რომ იქ ჩემი ფული არ არის. ვიცი, რომ ის ყმაწვილი კაცი თვითონაც მწარე დღეშია და მისგან არაფერს ველი, თუმცა კი აღმითქვა.

- მაშ, მე ორმაგად უარეს დღეში ვყოფილვარ... კომიკურ მდგომარეობაში! რატომ უნდა მაძლიოს ფული, ან მე რისთვის უნდა გამოვართვა ამის მერე?

- ეგ უკვე შენი საქმეა... მართლაც რამის გულისთვის ხომ არ ართმევ ფულს, ჰა?

- გარდა ამხანაგობისა...

- არა, ამხანაგობის გარდა? ხომ არაფერია ისეთი, რის გამოც შენ შესაძლოდ მიგაჩნდეს მისთვის ფულის გამორთმევა, ჰა? ვთქვათ, რაიმე მოსაზრებით?

- რა მოსაზრებას ამბობთ? ვერ გამიგია.

- მით უკეთესი, რომ ვერ გაგიგია, და, გამოგიტყდები, ჩემო მეგობარო, დარწმუნებულიც ვიყავი ამაში. Brisons-la, mon cher (თავი დავანებოთ ამას, ჩემო ძვირფასო (ფრანგ.).) , და შეეცადე როგორმე, აღარ ითამაშო.

- ნეტავ ადრე გეთქვათ! ახლაც ისე მეუბნებით, თითქოს გეზარებათ და იცოხნებით.

- ადრე რომ მეთქვა, მხოლოდ ვიჩხუბებდით და ასეთი ხალისით აღარ შემომიშვებდი ხოლმე შენთან საღამოობით. იცოდე, ჩემო კარგო, რომ ყველა ეს წინასწარი მხსნელი რჩევები სხვა არაფერია, თუ არა სხვის სინდისში შეჭრა სხვის ხარჯზე. საკმაოდ ხშირად შევჭრილვარ ხოლმე სხვის სინდისში და საბოლოოდ მხოლოდ წკიპურტები და დაცინვა მიმიღია. უსიამოვნებასა და დაცინვებზე, რა თქმა უნდა, მიმიფურთხებია, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ამ ხერხით ვერც ვერაფერს მიაღწევ: რამდენიც უნდა შეეჩხირო, არავინ დაგიჯერებს... და ყველანი გულს აიყრიან შენზე.

- მოხარული ვარ, რომ განყენებულ რამეებზე აღარ მელაპარაკებით. ერთი რამ მინდა გკითხოთ კიდევ, დიდი ხანია მინდა, მაგრამ რო-

გორღაც ვერ გეკითხებოდით. კარგია, რომ ქუჩაში ვართ. გახსოვთ, იმ საღამოს, თქვენსას, იმ უკანასკნელ საღამოს, ორი თვის წინ, ჩემს „კუ-ბო“ ოთახში რომ ვისხედით და დედაჩემსა და მაკარ ივანოვიჩზე რომ გეკითხებოდით, - გახსოვთ, რა „უტიფრად“ გელაპარაკეთ? აბა, რა წე-სი იყო, ცხვირმოუხოცავ ლაწირაკს ისეთი ტერმინებით ელაპარაკა დედაზე? მერე? ერთი პატარა სიტყვითაც კი არაფერი მაგრძნობინეთ: პირიქით, თქვენ თვითონ „გადამიშალეთ გული“, და მეც უფრო მეტად ავიშვი თავი.

- ჩემო მეგობარო, ძალზე მიხარია, შენგან რომ მესმის... ეგეთი გრძნობები... ჰო, კარგად მახსოვს, მართლაც ველოდი მაშინ, აი, ახლა კი მოერევა სიწითლე-მეთქი, და თუ მე თვითონაც ცეცხლს გიმატებდი, სწორედ იმიტომ, რომ მინდოდა, ისეთ ზღვრამდე მიმეყვანე...

- და მხოლოდ მომატყუეთ მაშინ და უფრო მეტად ამიმღვრიეთ სუ-ლში თავანკარა წყარო! დიახ, მე ერთი საცოდავი ყმაწვილი ვარ და ხშ-ირად არ ვიცი, რა არის ავი და რა - კეთილი. იოტისოდენადაც რომ გე-ჩვენებინათ მაშინ ჩემთვის გზა, მივხვდებოდი და მაშინვე სწორ გზას დავადგებოდი. მაგრამ თქვენ მხოლოდ გამაგულისეთ.

- Cher enfant, ყოველთვის მეუბნებოდა გული, რომ მე და შენ, ასე თუ ისე, მაინც მოვნახავდით საერთო ენას: აი, ხომ „მოგერია სიწით-ლე“ შენდა უნებურად, ისე, რომ ჩემი მითითებები არ დაგჭირვებია, ეგ კი, გეფიცები, შენთვისვე სჯობია... ჩემო კარგო, როგორც ვატყობ, ამ ბოლო დროს ბევრი რამ შეიძინე... ნუთუ იმ მშიერი თავადის საზოგად-ოება მოგიხდა?

- ნუ მაქებთ, ეგ არ მიყვარს. ნუ ჩამიტოვებთ გულში მძიმე ეჭვს, რომ მაქებთ იეზუიტობის გამო, ჭეშმარიტების საპირისპიროდ, ოღონდ კი კვლავ მომაწონოთ თავი. ხოლო ამ ბოლო დროს... იცით რა... მე ქა-ლებთან დავდივარ. თქვენ იცით, მაგალითად, რომ მე ძალიან კარგად მეპყრობიან ანა ანდრეევნასთან?

- ეგ ანა ანდრეევნასგანვე ვიცი, ჩემო მეგობარო. ჰო, მართლაც ძა-ლზე საყვარელი და ჭკვიანი ქალია. mais brisons-la, mon cher, დღეს რაღაც ისეთ ცუდ გუნებაზე ვარ, საოცარიც კია - შავი ნაღველი შემომ-აწვა თუ რა არის? მე უფრო ბუასილს მივაწერ. შინ რა ამბავია? არა უშ-ავთ? რა თქმა უნდა, შერიგდით და იყო ერთი ხვევნა-კოცნა, ხომ? Cela va sans dire (ეს თავისთავად ცხადია (ფრანგ.).). ხანდახან ყველაზე უგემური გასეირნების მერეც კი მიჭირს მათთან დაბრუნება, ნაღვლიან

გუნებაზე ვდგები. ღმერთმანი, ზოგჯერ შორ გზას მოვივლი ხოლმე წვიმაში, ოღონდ კი რაც შეიძლება გვიან დავბრუნდე იმ წიაღში... მერე რა მოწყენილობაა, ღმერთო ჩემო, რა მოწყენილობაა!

- დედაჩემი...

- დედაშენი უსრულყოფილესი და უშესანიშნავესი არსებაა, mais... ერთი სიტყვით, ალბათ, მათი ღირსი არა ვარ. მართლა, რა დაემართათ დღეს? ამ ბოლო დროს ყველანი რაღაცნაირები გახდნენ... უნდა გითხრა, რომ ყოველთვის ვცდილობ, არად ჩავაგდო ეგეთი რამეები, მაგრამ დღეს თითქოს რაღაცას თავი მოება... არაფერი შეგიმჩნევია?

- სრულიად არაფერი ვიცი და ალბათ სულაც ვერაფერს შევამჩნევდი, ის წყეული ტატიანა პავლოვნა რომ არა, რომელიც ვერ მოისვენებს, თუ კბილი არ გამკრა. მართალს ამბობთ: იქ რაღაც ამბავია. წეღან ლიზა ანა ანდრეევნასთან ვნახე; ჯერ იქაც რაღაცნაირი იყო... გამაკვირვა კიდეც. თქვენ ხომ იცით, რომ ანა ანდრეევნასთან მიღებულია?

- ვიცი, ჩემო მეგობარო. შენ... შენ... წეღან რა დროს იყავი ანა ანდრეევნასთან, რომელ საათზე? ეს ერთი ფაქტისთვის მესაჭიროება.

- ორიდან სამ საათამდე. და წარმოიდგინეთ, მე რომ გამოვედი, თავადი მოვიდა...

აქ ზედმიწევნით წვრილად ვუამბე მთელი ჩემი ვიზიტის შესახებ. მან ყველაფერი დუმილით მოისმინა; კრინტიც არ დასცდენია, რომ ვუთხარი, მგონი, თავადი ანა ანდრეევნას შერთვას აპირებს-მეთქი; როცა აღტაცებით შევაქე ანა ანდრეევნა, მან კვლავ წაილუღლუღა, საყვარელი ქალიაო.

- ძალზე განცვიფრებული დარჩა დღეს, როცა ვუამბე სულ ახალთახალი ამბავი, კატერინა ნიკოლავნა ახმაკოვა ბარონ ბიორინგს მიჰყვება ცოლად-მეთქი. - ვთქვი უცებ, თითქოს წამომცდა.

- ჰოო? შენ წარმოიდგინე, სწორედ ეგ „ახალთახალი“ ამბავი მან ჯერ კიდევ ამ დილით მაცნობა, ესე იგი, გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე შენი ნათქვამით განაცვიფრებდი.

- რას ამბობთ? - ერთ ადგილას გავშეშდი. - მერედა, საიდან უნდა შეეტყო? თუმცა, რას ვამბობ? ცხადია, შეეძლო ჩემზე ადრე გაეგო. მაგრამ ერთი უყურეთ: ისე მომისმინა, თითქოს სულ ახალ ამბავს ვეუბ-

ნებოდი! თუმცა... თუმცა, რას ვამბობ? გაუმარჯოს სიხალვათეს! დასაშ-ვები უნდა იყოს ხასიათის სიხალვათე, ხომ? მე, მაგალითად, მაშინვე ქვეყანას მოვდებდი, მან კი ცხრაკლიტულში ჩაკეტა... ეგრე იყოს, ეგ-რე, - ის მაინც უმშვენიერესი არსებაა და უშესანიშნავესი ხასიათის ქა-ლია!

- ე, ეჭვი არ არის, ყველა თავისებურად შესანიშნავია! და ყველაზე ორიგინალური აი, რა არის: ამ უშესანიშნავესი ხასიათის ადამიანებმა ზოგჯერ მეტად თავისებურად იციან ხოლმე კაცის საგონებელში ჩაგ-დება; წარმოიდგინე, ანა ანდრეევნამ ამ დილას უეცრად ისეთი რამ მკ-ითხა, სახტად დავრჩი: გიყვარს თუ არა კატერინა ნიკოლავნა ახმაკოვ-აო?

- რა ახირებული და წარმოუდგენელი კითხვაა? - წამოვიძახე კვლავ გაშტერებულმა. თვალთაც კი დამიბნელდა. ჯერ არასოდეს მელაპარა-კა მასთან ამ თემაზე და - აი, მან თვითონ...

- რითი დაასაბუთა ეს აზრი?

- არაფრით, ჩემო მეგობარო, სრულიად არაფრით; ცხრაკლიტული მაშინვე ჩაიკეტა და ადრინდელზე მაგრადაც, და, რაც მთავარია, არ დაგავიწყდეს, რომ არც მე დამიშვია არასოდეს ჩემთან ამგვარი ლაპ-არაკის თუნდაც შესაძლებლობა და არც მას... თუმცა, შენ თვითონ ამ-ბობ, ვიცნობ მის ხასიათსო, ამიტომ ხომ წარმოგიდგენია, როგორ შვ-ენის ამგვარი შეკითხვა... იქნებ შენ იცოდე რამე?

- მეც თქვენსავით გაოცებული ვარ. იქნებ მხოლოდ ცნობისმოყვა-რეობაა ან ხუმრობა?

- ო, პირიქით, ყოვლად სერიოზული შეკითხვა იყო, შეკითხვა კი არა, თითქმის, ასე ვთქვათ, მოთხოვნა და, როგორც ეტყობოდა, ყო-ვლად საგანგებო და კატეგორიული მიზეზების გამო. ხომ არ შეივლი მასთან? იქნებ შეიტყო რამე? გთხოვ კიდეც, რადგან იცი, რა...

- მაგრამ შესაძლებლობა, რაც მთავარია - მარტო შესაძლებლობაც კი იმის ვარაუდისა, რომ შესთავაზოთ კატერინა ნიკოლავნას თქვენი სიყვარული... მომიტევეთ, მაგრამ ჯერაც ვერ მოვსულვარ გონს. არას-ოდეს, არასოდეს მიმიცია ნება ჩემი თავისთვის, თქვენთან ამ ან ამდა-გვარ თემაზე მელაპარაკა...

- და გონივრულადაც იქცეოდი, ჩემო კარგო.

- თქვენი ძველი ინტრიგები და ურთიერთობები, - თქმა არ უნდა, ეს თემა ჩვენ შორის უკადრისია და სისულელეც კი იქნებოდა ჩემი მხრივ; მაგრამ სწორედ ამ ბოლო დროს რამდენჯერ წამომიძახია გულში: რა იქნებოდა, თქვენ რომ თუნდაც ოდესმე, თუნდაც ერთი წუთით გყვარებოდათ ეს ქალი? - ო, არასოდეს დაგემართებოდათ ის საშინელი შეცდომა, რომელიც გამომჟღავნდა მერე, როცა გაირკვა, თუ რა შეხედულების იყავით მასზე! ის, რაც მერე გამომჟღავნდა - მე ვიცი: თქვენი ურთიერთმტრობა და თქვენი, ასე ვთქვათ, ურთიერთზიზღი, ვიცი, გამიგონია ამაზე, ბევრიც გამიგონია ჯერ კიდევ მოსკოვში, მაგრამ, უწინარეს ყოვლისა, ხომ სწორედ ამაში ჩანს აშკარად გაბოროტებული ზიზღის ფაქტი, მძულვარების, სწორედ რომ უსიყვარულობის გაბოროტება. ანა ანდრეევნა კი უცებ გეკითხებათ: გიყვართ თუ არაო? ნუთუ ის ასე ცუდადაა რანსენირებული (ამბის ცოდნა, საქმეში ჩახედულობა.)? გადასარევი ამბავია! გეხუმრათ, მერწმუნეთ, გეხუმრათ!

- ვატყობ, ჩემო კარგო, - გაისმა მის ხმაში ნერვიული და გულთბილი, გულის სიღრმემდე ჩამწვდომი რაღაც, რაც ძალიან იშვიათად ემართებოდა, - ვატყობ, რომ თვითონაც მეტად გულმხურვალედ ლაპარაკობ ამაზე. ეს არის, ახლახან თქვი, ქალებთან დავდივარო... ჩემთვის, რა თქმა უნდა, ამ თემაზე გამოკითხვა... შენი თქმისა არ იყოს, რაღაც... მაგრამ „ის ქალიც“ ხომ არ შედის შენს ახალ მეგობართა სიაში?

- ის ქალი... - ამიკანკალდა უცებ ხმა, - გამიგონეთ, ანდრეი პეტროვიჩ, გამიგონეთ: ეს ის ქალია, რასაც თქვენ დღეს თავადთან „ცოცხალ სიცოცხლეს“ უწოდებდით - გახსოვთ? თქვენ თქვით, რომ ეს ცოცხალი სიცოცხლე იმდენად პირდაპირი და მარტივი რამაა, იმდენად პირდაპირ შემოგცქერით, რომ სწორედ აი, ამ პირდაპირობისა და სიცხადის გამო შეუძლებელიც კია, იწამო: სწორედ ესაა, რასაც მთელი სიცოცხლის მანძილზე ასე გამწარებით ვეძიებთო... აი, ასეთი შეხედულების მქონე კაცი შეხვდით კიდეც ქალის იდეალს და ამ სრულყოფილ არსებაში, ამ იდეალში დაინახეთ „ყველა ნაკლი“! ეგრე მოგიხდებათ!

მკითხველს შეუძლია განსაჯოს, რა გადარეულივით ვიყავი.

- „ყველა ნაკლი“! ოჰო! ეგ ფრაზა მეცნობა! - წამოიძახა ვერსილოვმა. - და თუ საქმე იქამდე მისულა, რომ ეგ ფრაზა გაცნობეს, იქნებ მოსალოციც გაქვს? ეს მოწმობს ისეთ ინტიმურობას თქვენ შორის, რომ იქნებ უნდა შეგაქო კიდეც, ეგეთი მოკრძალებული რომ ყოფილხარ და

ნამუსის შენახვა გცოდნია, რისი უნარიც იშვიათად შესწევს ხოლმე ყმაწვილ კაცს...

მის ხმაში ისმოდა საყვარელი, მეგობრული, ალერსიანი სიცილი... გამომწვევი და საყვარელი რაღაც იყო მის სიტყვებში, მის ნათელ სახეში, რამდენადაც შემეძლო ღამით გამერჩია. საოცრად აღგზნებული იყო. უნებლიეთ ერთიანად მომეფინა ნათელი.

- მოკრძალება, ნამუსის შენახვა! ო, არა, არა! - გავიძახოდი, თან ვწითლდებოდი და ხელს ვუჭერდი ხელზე, როგორღაც ჩემდა შეუმჩნევლად რომ ჩავფრენოდი და აღარ ვუშვებდი. - არა, არაფრის გულისთვის!.. ერთი სიტყვით, მოსალოცი არაფერი მაქვს და არც არასოდეს, არასოდეს შეიძლება რამე მოხდეს, - სუნთქვა მეკვროდა და სადღაც მივფრინავდი, და ისე მინდოდა გაფრენა, ისე მსიამოვნებდა, - იცით რა... კეთილი, დაე იყოს ეს ერთხელ, მხოლოდ ამ ერთხელ! აი, რას გეტყვით, ჩემო ძვირფასო, საყვარელო მამა, - ნება მომეცით, მამა გიწოდოთ, - არათუ მამა-შვილს, არც არავის შეუძლია ელაპარაკოს მესამე პირს თავის დამოკიდებულებაზე ქალთან, უსპეტაკესიც რომ იყოს ეს დამოკიდებულება! ის კი არა, რაც უფრო სპეტაკია, მით უფრო უნდა აღკვეთო ადამიანმა! ეს ზიზღის მომგვრელი ტლანქი რამაა, ერთი სიტყვით - კონფიდენტი (ვისაც საიდუმლოს გაანდობენ, გულის მესაიდუმლე (ფრანგ.).) შეუძლებელია! მაგრამ თუ სრულიად, სრულიად არაფერი არ არის, მაშინ ხომ შეიძლება ილაპარაკო, ხომ შეიძლება?

- როგორც გული გიკარნახებს.

- ერთი საჩოთირო, ძალზე საჩოთირო რამ უნდა გკითხოთ. თქვენი ცხოვრების განმავლობაში ხომ გყოლიათ ქალები, ხომ გქონიათ კავშირი?.. მე ზოგადად გეკითხებით, ზოგადად, კერძოდ კი არა! - ვწითლდებოდი და თან აღტაცებისგან სული მეხუთებოდა.

- დავუშვათ, მქონია ცოდვები.

- ჰოდა, აი - ერთ შემთხვევას მოგიყვებით, თქვენ კი, როგორც უფრო გამოცდილმა კაცმა, ამიხსენით: ქალი გამოგეთხოვათ და მერე თითქოს უცაბედად გეუბნებათ, თან განზე იხედება: „ხვალ სამ საათზე ვიქნები ამა და ამ ადგილას“... ვთქვათ, ტატიანა პავლოვნასთან, - ავიწყვიტე და უკვე საბოლოოდ გადავეშვი სადღაც. გულმა ერთი შემომკრა და გამიჩერდა. ლაპარაკიც კი ვეღარ შევძელი, გავჩერდი. იგი საშინელი გულისყურით მისმენდა.

- და აი, ხვალ სამ საათზე მე ტატიანა პავლოვნასთან ვარ, შევდივარ და ვფიქრობ: „მზარეული კარს გამიღებს თუ არა, - თქვენ იცნობთ იმ მზარეულ ქალს, - მაშინვე ვკითხავ: შინ არის ტატიანა პავლოვნა-მეთქი? თუ მეტყვის: ტატიანა პავლოვნა შინ არ არის, ხოლო ვიღაც სტუმარი ქალი ზის და ელოდებაო“, - რა უნდა დავასკვნა მაშინ, მითხარით, თუ თქვენ... ერთი სიტყვით, თუ თქვენ...

- უბრალოდ, უნდა დაასკვნა, რომ შენთვის პაემანი დაუნიშნავთ. მაშ, ასე მოხდა? და ეგ მოხდა დღეს? ჰო?

- ო, არა, არა, არაფერი, არაფერი! ეს იყო, მაგრამ ასე არ ყოფილა, პაემანი იყო, მაგრამ ამისთვის კი არა, და ამას გიცხადებთ უწინარეს ყოვლისა, რათა არამზადა არ გამოვიდე, პაემანი იყო, მაგრამ...

- ჩემო მეგობარო, ყოველივე ეს ისეთ ცნობისმოყვარეობას აღმიძრავს, რომ მოდი და...

- მე თვითონ განმიკითხავს ხოლმე მათხოვრები და თუმნიანები და ოცდახუთიანები მიმიცია გადასახუხად! მხოლოდ რამდენიმე კაპიკი, პორუჩიკი გევედრებათ, ყოფილი პორუჩიკი გთხოვთ! - გზა გადაგვიღობა ვიღაც მათხოვრის, იქნებ მართლაც პორუჩიკის მაღალმა ფიგურამ. ყველაზე საყურადღებო ის იყო, რომ ძალზე კარგადაც ეცვა თავისი პროფესიისთვის და სამათხოვროდ კი გაეშვირა ხელი.

III

განგებ არ მინდა გამოვტოვო ეს ციცქნა ანეკდოტი იმ უბადრუკი პორუჩიკის შესახებ, რადგან ახლა, როცა მთლიანად ვიხსენებ ვერსილოვს, ისე ვერ გამიხსენებია, რომ უმცირესი წვრილმანებიც კი თვალწინ არ დამიდგეს, რაც მოხდა მისთვის იმ საბედისწერო წუთს. საბედისწერო წუთი იყო, მე კი არ ვიცოდი!

- თუ არ ჩამოგვეხსნებით, ბატონო ჩემო, დაუყოვნებლივ პოლიციას დავუძახებ, - მოულოდნელად რაღაც არაბუნებრივად აუწია ხმას ვერსილოვმა და პორუჩიკის წინ შედგა. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, თუ ასეთი ფილოსოფოსი ასე გაცეცხლდებოდა, ისიც ასეთი პატარა რამის გამო. არ დაგავიწყდეთ, რომ ლაპარაკი შევწყვიტეთ მისთვის ყველაზე საინტერესო ადგილას, რაც თვითონაც განაცხადა.

- დავიჯერო, სამშაურიანიც არა გაქვთ? - უხეშად წამოიყვირა პორუჩიკმა და ხელი ჩაიქნია. - ან კი რომელ მუდრეგს აქვს ახლა სამშაურიანი! რაკალიები!(არამზადები (ფრანგ.).) არამზადები! წავის ბეწვში გამოწყობილა და სამშაურიანის გულისთვის სახელმწიფოებრივ საკითხებს ებდღვნა!

- პოლიციელო! - დაიყვირა ვერსილოვმა.

მაგრამ ყვირილი არც იყო საჭირო; პოლიციელი იქვე, კუთხეში იდგა და თავისი ყურით გაიგონა, პორუჩიკი რომ ილანძღებოდა.

- გთხოვთ, დამემოწმოთ, რომ შეურაცხყოფა მომაყენეს, თქვენ კი გთხოვთ, განყოფილებაში წამობრძანდეთ, - წარმოთქვა ვერსილოვმა.

- ე-ე, რა მენაღვლება, მაინც ვერაფერს დაამტკიცებთ! მთავარი კი ისაა, რომ თქვენი გონებით ვერ დაამტკიცებთ!

- არ გაუშვათ, პოლიციელო, და გამოგვყევით, - დაბეჯითებით დაასრულა ვერსილოვმა.

- ნუთუ პოლიციის განყოფილებაში უნდა წავიდეთ? ჯანდაბას მაგისი თავი! - წავჩურჩულე.

- აუცილებლად, ჩემო კარგო. უწესობაა, ჩვენს ქუჩებში რაც ხდება,

უმსგავსოდ მოსაბეზრებელია, და თითოეული კაცი რომ ასრულებდეს თავის მოვალეობას, ყველასთვის აჯობებდა. C'est comique, mais c'est, ce que nous ferons (ეს სასაცილოა, მაგრამ ასე კი უნდა მოვიქცეთ (ფრანგ.).).

სანამ ასიოდე ნაბიჯს გავივლიდით, პორუჩიკი ძალზე ცხარობდა, იხტიბარს არ იტეხდა და დიდ გულზეც იყო; ეს სადაური საქციელიაო, სამშაურიანის გულისთვის რა ამბავი დააწიეთო, და სხვ. და სხვ. ბოლოს პოლიციელს გაუბა ჩურჩული. პოლიციელი, წინდახედული და, როგორც ჩანდა, ქუჩის უსიამოვნებათა მტერი, მგონი, მხარს უჭერდა, ოღონდ გარკვეული თვალსაზრისით. პორუჩიკის შეკითხვებზე ხმადაბლა ბუტბუტებდა, ახლა აღარ შეიძლებაო, უკვე მომხდარი ამბავიაო და „მაგალითად, ბოდიში რომ მოგეხადათ და ბატონიც რომ დაგჯერებოდათ ბოდიშს, მაშინ კი...“

- აბა, ი-ი-ერთი გამიგონეთ, მოწყალეო ხელმწიფევ, აბა, სად მივდივართ? თქვენ გეკითხებით: საით მივისწრაფით და სადაა აქ გონებამახვილობა? - ხმამაღლა წამოიყვირა პორუჩიკმა. - თუ უბედურ კაცს ბედმა არ გაუმართლა და თანახმაა, ბოდიში მოგიხადოთ... თუ, დასასრულ, თქვენ გჭირდებათ მისი დამცირება... ეშმაკმა დალახვროს, სადარბაზო ოთახში ხომ არ ვართ! ქუჩისთვის კი ბოდიშიც საკმარისია...

ვერსილოვი შეჩერდა და უეცრად გადაიხარხარა; ისიც კი გავიფიქრე, მთელი ეს ისტორია თავშესაქცევად მოიგონა-მეთქი, მაგრამ ასე არ იყო.

- სავსებით მიპატიებია, ბატონო ოფიცერო, და გარწმუნებთ, რომ უნარი და ნიჭი არ გაკლიათ. ეგრე იმოქმედეთ სადარბაზო ოთახშიც - მალე იქაც სავსებით საკმარისი იქნება ასეთი ბოდიში, ახლა კი ინებეთ ორაბაზიანი, გადაჰკარით და წაიხემსეთ; ბოდიშს ვიხდი, პოლიციელო, რომ შეგაწუხეთ, თქვენც მოგართმევდით გასამრჯელოს, მაგრამ ვერ გკადრებთ... ჩემო კარგო, - მომიბრუნდა მე, - აქვე ერთი დუქანია, კაცმა რომ თქვას, საშინელი კლოაკაა, მაგრამ იქ შეიძლება ჩაი დალიოს კაცმა და მეც გთავაზობ... აი, აქვეა, წამოდი...

ვიმეორებ, ასეთი აგზნებული არასოდეს მენახა, თუმცა სახე მხიარული ჰქონდა და ზედ ნათელი მოჰფენოდა; მაგრამ როცა საფულიდან ორაბაზიანს იღებდა ოფიცრისთვის, შევამჩნიე, რომ ხელები უკანკალებდა და თითები არ ემორჩილებოდა. ასე რომ, ბოლოს მე მთხოვა, ამ-

ოიღე ფული და პორუჩიკს მიეციო. ეს ვერ დამივიწყებია.

ერთ პატარა სამიკიტნოში მიმიყვანა, ქვემოთკენ, თხრილზე რომ იდგა. ხალხი ცოტა იყო. მოშლილი, ხრინწიანი ორღანი უკრავდა, ირგვლივ გაქონილი ხელსახოცების სუნი იდგა. კუთხეში მივსხედით.

- შენ იქნებ არ იცი? მოწყენილობისგან... საშინელი სულიერი მოწყენილობისგან... მიყვარს ხოლმე ხანდახან აი, ასეთ კლოაკებში შევლა. ეს გარემო, ეს ბლუკუნა არია „ლუჩიადან“(იტალიელი კომპოზიტორის, დონიცეტის (1797-1848) ოპერა.), ეს მსახურები, რომელთაც უზრდელობამდე რუსული ტანსაცმელი აცვიათ, თამბაქოს კვამლი, ეს ყვირილი, საბილიარდოდან რომ ისმის - ყოველივე ისე უხამსი და პროზაულია, რომ ფანტასტიკურობამდეც კი მიდის. მერე, ჩემო კარგო? იმ ძემ მარსისა (ძველი რომაული მითოლოგიით, ომის ღვთაება.), მგონი, ყველაზე საინტერესო ადგილას შეგვაწყვეტინა... აი, ჩაიც, მიყვარს აქ ჩაის დალევა... წარმოიდგინე, წეღან პიოტრ იპოლიტოვიჩმა უცებ დაუწყო მტკიცება იმ მეორე, ჩოფურა მდგმურს, რომ წინა საუკუნეში ინგლისის პარლამენტში საგანგებოდ დაინიშნა კომისია იურისტების შემადგენლობით, რათა გაერჩიათ ქრისტეს მთელი პროცესი მღვდელმთავრებისა და პილატეს წინაშე, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ გაეგოთ, როგორ გადაწყდებოდა ეს საკითხი ჩვენი კანონების მიხედვითო. და რომ ყველაფერი ჩატარდა, როგორც წესი და რიგია, ვექილებით, პროკურორებით და სხვა... ჰოდა, ნაფიცი მსაჯულები იძულებული გამხდარან გამამტყუნებელი განაჩენი გამოეტანათ... გასაოცარი რამაა! ის ჩერჩეტი მდგმური მოჰყვა დავას, გაბრაზდა, წაეჩხუბა და განუცხადა, ხვალვე გადავალ აქედანო... პიოტრ იპოლიტოვიჩის ცოლმა ტირილი მორთო, რადგან შემოსავალი ეკარგება... Mais passons (მაგრამ ამას თავი დავანებოთ (ფრანგ.).) . ამ სამიკიტნოებში ხანდახან ბულბულები ჰყავთ ხოლმე. იცი ძველი მოსკოვური ანეკდოტი, à la პიოტრ იპოლიტოვიჩ? გალობს თურმე მოსკოვის სამიკიტნოში ბულბული, შემოდის ერთი „ჩემს სურვილზე უნდა ვიარო“ ვაჭარი: „რა ღირს ბულბული?“ - „ასი მანეთი“. - „შეწვით და მომართვით!“ - შეწვეს და მიართვეს. „ორი შაურის ჩამომიჭერი“. პიოტრ იპოლიტოვიჩს ვუამბე ერთხელ, მაგრამ არ დაიჯერა და აღშფოთდა...

კიდევ ბევრ რაღაცას მოჰყვა. ეს ნაწყვეტები ნიმუშად მომყავს. როგორც კი პირს დავაღებდი, რომ ჩემი ამბავი გამეგრძელებინა, მაშინვე სიტყვას მაწყვეტინებდა და რაღაც სხვა, უადგილო აბდაუბდას წამოიწყებდა; აღგზნებულად, მხიარულად ლაპარაკობდა; ღმერთმა უწყის, რაზე იცინოდა და ხითხითებდა, რაც მანამდე არასოდეს შემიმჩნევია

მისთვის. სულმოუთქმელად გადაჰკრა ერთი ჭიქა ჩაი და მეორე დაისხა. ახლა უკვე მესმის: ის ჰგავდა იმ ადამიანს, რომელმაც ძვირფასი, საყურადღებო და დიდი ხნის ნანატრი წერილი მიიღო, მაგრამ წინ დაიდო და განგებ არ ხსნის; პირიქით, დიდხანს ატრიალებს ხელში, აკვირდება კონვერტს, ბეჭედს, მეორე ოთახში გადის განკარგულების გასაცემად, ერთი სიტყვით, აჭიანურებს ყველაზე უფრო საინტერესო წუთს, რადგან იცის, რომ ეს წუთი ვერსად წაუვა, - და ყოველივე ამას სჩადის იმიტომ, რომ უფრო მეტად დატკბეს.

ცხადია, ვუამბე ყველაფერი, სულ თავიდან, და იქნებ ერთი საათიც კი ვუამბობდი, ან კი სხვანაირად როგორ იქნებოდა; ჯერ წეღანაც მწყუროდა ლაპარაკი. დავიწყე ჩვენი პირველი შეხვედრიდან, თავადთან რომ ვნახე მაშინ, მოსკოვიდან ჩამოსვლის დღეს; მერე ვუამბე, როგორ ვითარდებოდა თანდათან ჩვენი ნაცნობობა, არაფერი გამომიტოვებია, და ვერც გამოვტოვებდი: ის თვითონ მახვედრებდა, ხვდებოდა, მიკარნახებდა. ისეთი წამებიც იყო, როცა მეგონა, ფანტასტიკური რაღაც ხდება, მთელი ეს ორი თვე ყოველთვის სადღაც იქვე მჯდარა, ან კარს უკან მდგარა-მეთქი: წინასწარ იცოდა ჩემი ყოველი ჟესტი, ყოველი გრძნობა. განუსაზღვრელ ნეტარებას მგვრიდა ეს აღსარება, რადგან ვხედავდი, რა გულისხმიერად სათუთი იყო ის, ვხედავდი ღრმა ფსიქოლოგიურ სიმახვილეს, შუა სიტყვაზე ყველაფრის მიხვედრის გასაოცარ უნარს. ისე ნაზად მისმენდა, როგორც ქალებმა იციან ხოლმე მოსმენა. რაც მთავარი იყო, მან როგორღაც მოახერხა, რომ არაფრის არ შემრცხვენოდა; ხანდახან უცებ შემაჩერებდა რაიმე წვრილმანზე; ხშირად მაჩერებდა და ნერვიულად იმეორებდა: „წვრილმანები არ დაგავიწყდეს, მთავარია - წვრილმანები არ დაგავიწყდეს, რაც უფრო პატარაა რაიმე ხაზი, მით უფრო მნიშვნელოვანია ხოლმე ხანდახან“. და ამგვარად რამდენჯერმე შემაწყვეტინა. ო, ცხადია, თავდაპირველად ქედმაღლურად დავიწყე, კატერინა ნიკოლავნას მიმართ ქედმაღლურად, მაგრამ მალევე მივუბრუნდი ჭეშმარიტებას. გულწრფელად ვუამბე, მზად ვიყავი, დამეკოცნა იატაკის ის ადგილი, სადაც ფეხი ედგა-მეთქი. ყველაზე მშვენიერი, ყველაზე ნათლით მოსილი ის იყო, რომ ვერსილოვი დიდებულად მიხვდა: „შეიძლება გაწამოს დოკუმენტის შიშმა“ და იმავე დროს დარჩე უმანკო და უზადო არსება, როგორადაც წარმომიდგა დღეს კატერინა ნიკოლავნა. მეტად კარგად მიხვდა აგრეთვე სიტყვას „სტუდენტი“. მაგრამ როცა ვამთავრებდი, შევნიშნე, რომ კეთილ ღიმილთან ერთად დროდადრო მის მზერაში მეტისმეტად სულწასული, თითქოს დაფანტული და უკმეხი რაღაც გამოკრთოდა. როცა „დოკუმენტამდე“ მივედი, გუნებაში გავიფიქრე: ვუთხრა სიმართლე თუ

არა-მეთქი? - და მაინც არ ვუთხარი, თუმცა აღტყინებული ვიყავი. ამას იმიტომ აღვნიშნავ, რომ მთელი ჩემი სიცოცხლე მახსოვდეს. მასაც ისევე ავუხსენი საქმის ვითარება, როგორც კატერინა ნიკოლავნას, ანუ კრაფტს გადავაბრალე. თვალები აენთო. უცნაური ნაოჭი დააჩნდა შუბლზე, ძალზე პირქუში ნაოჭი:

- ნამდვილად გახსოვს, ჩემო კარგო, რომ ის წერილი კრაფტმა სანთელზე დაწვა? არ გეშლება?

- არ მეშლება, - დავუდასტურე.

- საქმე ისაა, რომ იმ წერილს ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს მისთვის და ხელთ რომ გქონოდა, შეგეძლო დღესვე... - მაგრამ რა „შემეძლო“, აღარ მოათავა. - იქნებ ხელთა გაქვს ახლა?

შინაგანად ერთიანად შევკრთი, მაგრამ გარეგნულად არა. გარეგნულად არაფრით გამიცია თავი, თვალიც არ დამიხამხამებია; კიდევ არ მინდოდა დამეჯერებინა მისი შეკითხვა:

- როგორ თუ ხელთა მაქვს? ხელთა მაქვს ახლა? თუკი კრაფტმა დაწვა, მაშინ?

- ჰოო? - მომაპყრო ანთებული, უძრავი მზერა, ჩემთვის დაუვიწყარი მზერა. ეს კია, რომ იღიმებოდა. მაგრამ მთელი მისი გულკეთილობა, გამომეტყველების მთელი სინაზე, აქამდე რომ ჰქონდა, ერთბაშად გაქრა. რაღაცნაირად გაურკვეველი და აშლილი ჩანდა; უფრო და უფრო დაბნეული ხდებოდა. უკეთ რომ შესძლებოდა თავის შეკავება, სწორედ ისე, როგორც იმ წუთამდე იკავებდა, მაშინ არ დამისვამდა შეკითხვას დოკუმენტის თაობაზე; რაკი შემეკითხა, ალბათ მხოლოდ იმიტომ, რომ თვითონ იყო გონგადასული. თუმცა ამას მხოლოდ ახლა ვამბობ; მაშინ სწრაფად ვერ გავარკვიე, რა დაემართა და რამ გამოცვალა; ისევ მივფრინავდი სადღაც, ხოლო სულში კვლავ იგივე მუსიკა უკრავდა. მაგრამ ამბავი უკვე დავამთავრე, ვიჯექი და მივჩერებოდი.

- გასაკვირი ამბავია, - წარმოთქვა უცებ, როცა ყველაფერი ვუამბე, უკანასკნელ წვრილმანამდეც კი, - ძალზე საოცარი ამბავია, ჩემო მეგობარო: შენ ამბობ, რომ სამიდან ოთხ საათამდე იქ იყავი და ტატიანა პავლოვნა შინ არ იყო?

- ზუსტად სამიდან ხუთის ნახევრამდე.

- მაშ, წარმოიდგინე, მე შევიარე ტატიანა პავლოვნასთან სწორედ ოთხის ნახევარზე, არც ადრე და არც გვიან, და სამზარეულოში დამხვდა; მე ხომ თითქმის ყოველთვის ეზოდან შევდივარ ხოლმე.

- რას ამბობთ, სამზარეულოში დაგხვდათ? - წამოვიძახე და განცვიფრებული უკან გადავქანდი.

- ჰო, და გამომიცხადა, ვერ მიგიღებო; ორიოდე წუთი გავჩერდი მასთან, მხოლოდ იმიტომ შევიარე, რომ სადილად დამეპატიჟა.

- იქნებ იმ წუთის მოსული იყო?

- არ ვიცი; თუმცა - რა თქმა უნდა, არა. თავისი შილიფი კოფთა ეცვა. ეს ამბავი ზუსტად ოთხის ნახევარზე მოხდა.

- მაგრამ... ტატიანა პავლოვნამ არ გითხრათ ჩემზე, აქ არისო?

- არა, არ უთქვამს, აქ არისო... თორემ მეცოდინებოდა და აღარ დაგიწყებდი გამოკითხვას.

- გამიგონეთ, ეს ძალზე საყურადღებოა...

- ჰო... გააჩნია, რა მხრივ; გაფითრდი კიდეც, ჩემო კარგო; თუმცა, კაცმა რომ თქვას, განა ისეთი რა მოხდა?

- ბავშვივით გამამასხარავეს!

- უბრალოდ, „შეეშინდა შენი გულფიცხობისა“, როგორც თვითონვე გითხრა - ჰოდა, ტატიანა პავლოვნათი დაიზღვია თავი.

- მაგრამ, ღმერთო, ეს რა თვალთმაქცობა იყო! გამიგონეთ, მან ყველაფერი მალაპარაკა მესამე პირის, ტატიანა პავლოვნას თანდასწრებით; მაშასადამე, მას ყველაფერი ესმოდა, რაც წეღან გიამბეთ! ეს... ამის წარმოდგენაც კი საშინელებაა!

- C’est selon, mon cher (ეს გარემოებაზეა დამოკიდებული, ჩემო ძვირფასო (ფრანგ.).). ეგეც არ იყოს, წეღან შენ თვითონ თქვი, ქალზე საერთოდ „ხალვათი“ შეხედულება უნდა გვქონდესო და წამოიძახე: „გაუმარჯოს სიხალვათესო!“

- მე რომ ოტელო ვყოფილიყავი, თქვენ კი იაგო, ამაზე უკეთ ვერ

შეძლებდით... თუმცა მე ვხარხარებ! რომელ ოტელოზე ვლაპარაკობ, როცა არავითარი მსგავსი ურთიერთობა არ არსებობს. ან კი როგორ არ ვიხარხარო! ეგრე იყოს! მე მაინც მწამს ის, რაც ჩემზე უსასრულოდ მაღლა დგას და არ ვკარგავ ჩემს იდეალს!.. თუ მისი მხრიდან ეს ხუმრობაა, მიპატიებია. გაეხუმრა საცოდავ ყმაწვილს - ეგრე იყოს! მე ხომ არც მიფიქრია, ვინმე გავმხდარიყავი მისთვის, ხოლო სტუდენტი - სტუდენტი ისედაც იყო და დარჩა, მიუხედავად ყველაფრისა. მის სულში იყო, მის გულში იყო, არსებობს და კვლავაც იარსებებს! კმარა! მომისმინეთ, რას იტყვით: ხომ არ წავიდეთ მასთან, რომ სრული სიმართლე შევიტყო?

ვხარხარებ-მეთქი, ვამბობდი, მაგრამ თვალზე ცრემლი მადგა.

- რა უჭირს? წადი, ჩემო მეგობარო, თუ გინდა.

- თითქოს სული გავიბინძურე, თქვენ რომ მოგიყევით ყველაფერი. ნუ მიწყენთ, გეთაყვა, მაგრამ ქალზე, ვიმეორებ ამას - ქალზე არ უნდა უამბო მესამე პირს; კონფიდენტი ვერ მიგიხვდება. ანგელოზი რომ ანგელოზია, ისიც ვერ მიგიხვდება. თუ ქალს პატივს სცემ - ნუ გაიჩენ კონფიდენტს! ახლა აღარ ვცემ ჩემს თავს პატივს. ნახვამდის. ჩემს თავს ვერ ვაპატიებ...

- კარგი ერთი, ჩემო კარგო, აზვიადებ და ეგ არის. აკი შენვე თქვი, ჩვენ შორის არაფერი ყოფილაო.

თხრილზე გადმოვედით და ერთმანეთს გამოვეთხოვეთ.

- ნუთუ შენ არასოდეს მაკოცებ გულიანად, ბავშვურად, როგორც შვილი მამას? - მითხრა ხმის უცნაური კანკალით. მე მხურვალედ ვაკოცე.

- ჩემო კარგო... მუდამ ეგეთი სული გქონდეს, როგორც ახლა.

ჩემს სიცოცხლეში არასოდეს მიკოცნია მისთვის და ვერასოდეს წარმოვიდგენდი, თვითონ თუ მოიწადინებდა ამას.

თავი მეექვსე - I

„ცხადია, უნდა წავიდე! - გადავწყვიტე, შინისკენ რომ მივიჩქაროდი. - ახლავე უნდა წავიდე. ადვილი შესაძლებელია, შინ მარტოკა დამხვდეს; მარტოკა იქნება თუ არა - სულ ერთია: გამოძახება შეიძლება. მიმიღებს; გაუკვირდება, მაგრამ მიმიღებს. ხოლო თუ არ მიმიღო, არ მომეშვები, სანამ არ მიმიღებს, შევუთვლი, გადაუდებელი საქმე მაქვს-მეთქი. ეგონება, დოკუმენტის შესახებ უნდა მითხრას რამეო, და მიმიღებს. და ყველაფერს შევიტყობ ტატიანას თაობაზე. მერე კი... მერე რას ვიზამ? თუ მტყუანი გამოვდექი, გამოვისყიდი ჩემს დანაშაულს, ხოლო თუ მე მართალი ვარ, ის კი მტყუანი, მაშინ ხომ გათავდა ყველაფერი! ორივე შემთხვევაში გათავდა ყველაფერი! მაშ რას ვკარგავ? არაფერსაც არა ვკარგავ. უნდა წავიდე! უნდა წავიდე!“

და აი, არასოდეს დამავიწყდება და სიამაყით მოვიგონებ, რომ არ წავედი! ამას ვერავინ შეიტყობს, ეს ამბავი ჩემთანავე მოკვდება, მაგრამ ისიც საკმარისია, რომ მე ვიცი და რომ ასეთ წუთში შევძელ მქონოდა უკეთილშობილესი წამი! „ეს ცთუნებაა, მაგრამ მე გვერდს ავუვლი ამ ცთუნებას, - გადავწყვიტე ბოლოს, გონს რომ მოვეგე, - ფაქტით მაშინებდნენ, მაგრამ არ დავიჯერე და არ დავკარგე კატერინა ნიკოლაევნას სიწმინდის რწმენა! ან რატომ უნდა წავიდე, რა უნდა გავარკვიო? მაინცდამაინც რატომ უნდა ეწამა ჩემი ისევე, როგორც მე მწამდა მისი, რატომ უნდა ეწამა ჩემი „სიწმინდე“, არ შეშინებოდა „გულფიცხობისა“ და არ დაეზღვია თავი ტატიანათი? მე ხომ ჯერ არ დამიმსახურებია ეს მის თვალში. დაე, დაე ნუ ეცოდინება, რომ მე ვიმსახურებ ამას, რომ არ ავყვები „ცთუნებებს“, რომ არ მჯერა მის შესახებ დარხეული ბოროტი ხმები: მე ხომ მეცოდინება და პატივისცემა მექნება საკუთარი თავისა, პატივისცემა მექნება საკუთარი გრძნობისა. ო, დიახ, მან ტატიანას თანდასწრებით მალაპარაკა ჩემი სათქმელი, მან დაუშვა ტატიანა. მან იცოდა, რომ ტატიანა იქვე ზის და ჩუმად აყურადებს (რადგან მას არ შეეძლო არ დაეყურადებინა), იცოდა, რომ ტატიანა დამცინოდა, - ეს საშინელებაა, საშინელება! მაგრამ... მაგრამ თუკი უამისობა არ იქნებოდა? რა უნდა ექნა წეღანდელ მდგომარეობაში და რაღაცნაირად გავამტყუნო? მე თვითონაც ხომ ვიცრუე წეღან კრაფტის შესახებ, მეც ხომ მოვატყუე, იმიტომ რომ არც მე შემეძლო უამისობა, და უნებურად, უწყინრად ვიცრუე. ღმერთო ჩემო! - წამოვიძახე და საშინლად გავწითლდი. - მე თვითონ, თვითონ მე რა ჩავიდინე ახლა: განა მე არ გამოვათრიე ის იმავ ტატიანას თვალწინ, განა მე არ ვუამბე ახლა ყველაფერი ვერსილოვს? თუმცა რას ვამბობ? ეს სხვა ამბავია. აქ ლაპარაკი იყო

მხოლოდ დოკუმენტზე; მე, კაცმა რომ თქვას, ვერსილოვს ვუამბე მხოლოდ დოკუმენტის შესახებ, რადგან სხვა არაფერი მქონდა მოსაყოლი და არც შეიძლებოდა მქონოდა. განა პირველმა მე არ გავაფრთხილე ვერსილოვი და მე არ გავიძახოდი, ეს არც შეიძლებოდა-მეთქი? ვერსილოვი ისეთი კაცია, ყველაფერს გაუგებს ადამიანს. ჰმ... მაინც რა ძალიან შესძულებია ეს ქალი, რომ აქამდე ატარებს მის სიძულვილს! ნეტავ რა დრამა დატრიალდა მათ შორის და რისი გულისთვის? რა თქმა უნდა, თავმოყვარეობის გულისთვის! ვერსილოვს არცა აქვს უნარი სხვა რამ გრძნობისა, გარდა უსაზღვრო თავმოყვარეობისა!“

დიახ, ეს უკანასკნელი ფიქრი წამომცდა მაშინ და არც კი შემიმჩნევია. აი რა ფიქრებმა გამიელვეს მაშინ ზედიზედ, და გულწრფელიც ვიყავ საკუთარი თავის წინაშე: არ ვეშმაკობდი, თავს არ ვიტყუებდი; და თუ რაიმე ბოლომდე ვერ გავიაზრე მაშინ, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ჭკუა არ მეყო, თორემ საკუთარი თავის წინაშე კი არ ვიეზუიტობდი.

საშინლად ატაცებულ და რატომღაც საშინლად მხიარულ, თუმცა ძალზე მოუსვენარ გუნებაზე დავბრუნდი შინ. მაგრამ მეშინოდა ღრმად ჩაკირკიტება და ყოველნაირად ვცდილობდი თავი გამერთო. მაშინვე ჩემი დიასახლისისაკენ გავეშურე: ცოლ-ქმარი მართლაც საშინლად წაკიდებულიყო. ეს გახლდათ ძალზე ჭლექიანი ქალი. იქნებ კეთილიც იყო, მაგრამ, როგორც ყველა ჭლექიანი, მეტისმეტად მიზეზიანობდა. მაშინვე შევუდექი მათ შერიგებას, მდგმურსაც მივაკითხე. ეს იყო ერთი ძალზე გაუთლელი, ჩოფურა ბრიყვი, მეტისმეტად თავმოყვარე მოხელე, ჩერვიაკოვი, რომელიც სადღაც ბანკში მსახურობდა; ეს ჩერვიაკოვი არც მე მეხატა გულზე, მაგრამ სიამტკბილობით კი ვცხოვრობდით, იმიტომ რომ - ჩემი სიგლახე და სულმდაბლობა - ხშირად ერთად დაგვიცინია პიოტრ იპოლიტოვიჩისთვის. მაშინვე დავითანხმე ჩერვიაკოვი, რომ აღარ გადასულიყო სხვა ბინაზე, თუმცა არც თვითონ იყო აქედან გადამსვლელი. ეს ამბავი იმით გათავდა, რომ ჩემი დიასახლისი საბოლოოდ დავამშვიდე და, თანაც, საუცხოოდ გავუსწორე თავქვეშ ბალიში: „პიოტრ იპოლიტოვიჩი ასე ვერასოდეს ვერ მოახერხებს“, - ნიშნისგებით დაასკვნა დიასახლისმა, მერე სამზარეულოში დავტრიალდი მდოგვის ტლეებისთვის და საკუთარი ხელით მოვუმზადე ორი საუცხოო ტლე. საწყალი პიოტრ იპოლიტოვიჩი შემომჩერებოდა და შურით კვდებოდა, მაგრამ ახლოსაც არ წავაკარე და ჯილდოდ მივიღე ჩემი დიასახლისის მადლიერი ცრემლები, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. და აი, მახსოვს, ერთბაშად ყოველივე ეს მომბეზრდა, და უც-

ებ მივხვდი, რომ გულკეთილობით კი არ ვუვლიდი ავადმყოფს, არამ-ედ ისე, რატომღაც, რაღაც სულ სხვა მიზეზით.

ნერვიულად ველოდი მატვეის: გადავწყვიტე ამ საღამოს უკანასკნ-ელად მეცადა ბედი და... და, ბედის გარდა, თამაშის საშინელ მოთხო-ვნილებას ვგრძნობდი; სხვაგვარად აუტანელ დღეში ჩავვარდებოდი. თუ არსად წავიდოდი, იქნებ ვეღარ მომეთმინა და და კატერინა ნიკო-ლაევნასთან წავსულიყავ. საცა იყო მატვეი უნდა გამოჩენილიყო, მა-გრამ აზადად გაიღო კარი და შემოვიდა მოულოდნელი სტუმარი, და-რია ანისიმოვნა. შევიჭმუხნე და გავოცდი. ჩემი სახლი იცოდა, რადგან ერთხელ, ოდესღაც, დედაჩემის დავალებით შემოიარა. დავსვი და კითხვით მივაჩერდი. ის ხმას არ იღებდა, ოღონდ შიგ თვალებში მომ-ჩერებოდა და საცოდავად იღიმებოდა.

- ლიზას ხომ არ გამოუგზავნიხართ? - მომაფიქრდა კითხვა.

- არა, ბატონო ჩემო, ისე მოვედი.

გავაფრთხილე, ახლა უნდა წავიდე-მეთქი; მან კვლავ მომიგო, „ისე მოვედი“ და ახლავე წავალო. უცებ რატომღაც შემეცოდა. უნდა აღვნ-იშნო, რომ ყველა ჩვენგანი, დედაჩემი და განსაკუთრებით ტატიანა პა-ვლოვნა, დიდი თანაგრძნობით მოეკიდნენ, მაგრამ სტოლბეევასთან რომ დააბინავეს, ყველამ როგორღაც ნელ-ნელა მიივიწყა და ლიზა თუ მოინახულებდა ხოლმე ხანდახან. ამის მიზეზი მგონი თვითონ დარია ანისიმოვნა იყო, რადგან მთელი მისი სიბეჩავისა და პირმოთნე ღიმ-ილის მიუხედავად, რაღაცნაირად იცოდა ხოლმე თავის შორს დაჭერა და თვალში არავის ეჩხირებოდა. პირადად მე კი არ მომწონდა მისი ეს პირმოთნე ღიმილი და ისიც, რომ ეტყობოდა, ყოველთვის ფერ-უმარ-ილით იგლისავდა სახეს, და ერთხელ ისიც კი გავიფიქრე, თავისი ოლ-ია რა მელე გამოიგლოვა-მეთქი... მაგრამ ახლა რატომღაც შემებრა-ლა.

და აი უცებ, ხმისამოუღებლად, დაიხარა, თვალებიც დაიდო, უეცრ-ად ორივე ხელი წელზე შემომხვია, ხოლო სახით მუხლებზე ჩამემხო. ხელი დამავლო ხელზე, მეგონა ზედ უნდა მაკოცოს-მეთქი, მაგრამ ჩე-მი ხელი თვალებთან მიიტანა და ცხარე ცრემლით დამინამა. ქვითინ-ისაგან სულ ერთიანად ცახცახებდა, მაგრამ წყნარად ტიროდა. ამის შემხედვარეს გული მომიკვდა, თუმცა თან თითქოს გავბრაზდი კიდეც. მაგრამ დარია ანისიმოვნა სავსებით გულდანდობილად მეხვეოდა და სულ არ შიშობდა, გაჯავრებაო, თუმცა ის წუთი იყო შიშნეულად და

მონურად მიღიმოდა. მე თხოვნა დავუწყე დაწყნარდით-მეთქი.

- დედაშვილობამ, აღარ ვიცი, რა მოვუხერხო ამ ჩემს თავს. მოსაღამოვდება თუ არა, ვეღარა ვძლებ; როგორც კი მოსაღამოვდება, გული შინ აღარ მიდგება, სულ ქუჩაში, სიბნელეში მიმიწევს. და მთავარი ისაა, რომ ოცნება მეწევა გარეთ. თავში გამიჯდა ოცნება, რომ - აი, გავალ თუ არა ქუჩაში, უცებ შევხვდები-მეთქი. დავდივარ და თითქოს ვხედავ. ესე იგი სხვები დადიან, მე კი განგებ უკან მივდევ და ვფიქრობ: ის ხომ არ არის, აგე-აგე ის, ჩემი ოლია-მეთქი? და სულ ვფიქრობ, ვფიქრობ. სულ გამოვჩერჩეტდი ამ სიბერეში, ფეხებში ვედები ხალხს, გული მიწუხს. მთვრალივით დავეხეტები, ზოგი შემომიკურთხებს ხოლმე. ჩემს გულში ვიკლავ დარდს და არავისთან არ დავდივარ. ან სად წავიდე? საცა მივალ, უარესად მიწუხს გული, ახლა თქვენს ახლოს მივდიოდი, ვიფიქრე: მოდი შევივლი, ის ყველაზე კეთილია, და თანაც იმ დროს იქ იყო-მეთქი. მაპატიეთ, გეთაყვათ, მე გლახას; ახლავე გაგეცლებით და წავალ...

უცებ წამოდგა და აჩქარდა. სწორედ ამ დროს მატვეიც მოვიდა; დარია ანისიმოვნა მარხილში ჩავისვი და გზად მივიყვანე მის ბინაზე, სტოლბეევას სახლში.

II

სულ ბოლო ხანებში რულეტის სათამაშოდ ზერშჩიკოვთან დავდიოდი. მანამდე კი დავიარებოდი სამიოდ სახლში, სულ ერთთავად თავადთან ერთად, რომელიც „შემიყვანა“ კიდეც ამ ადგილებში. ერთ-ერთ ამ სახლში მეტწილად ბანკს თამაშობდნენ და ძალზე მსხვილ-მსხვილ ფულსაც ჩამოდიოდნენ. მაგრამ იქ გული არ მიმიწევდა: ვხედავდი, რომ იქ ყოფნა მაშინაა კარგი, თუ ბევრი ფული გაქვს. გარდა ამისა, ძალზე ბლომად იყო თავხედი ხალხი და მაღალი წრის „ჩხარუნა“ ყმაწვილკაცობა. სწორედ ეს უყვარდა თავადს; თამაში ხომ უყვარდა, მაგრამ ამ შფოთისთავებთან მეგობრობაც უყვარდა. შევამჩნიე, რომ ამ საღამოებზე თუმცა ზოგჯერ ერთად შევდიოდით, მაგრამ საღამოს განმავლობაში როგორღაც მშორდებოდა და „თავისიანებში“ არავის მაცნობდა. მე კი მთლად ველურად გამოვიყურებოდი და ზოგჯერ ეს იმდენად თვალში საცემი იყო, რომ მამჩნევდნენ კიდეც. როცა სათამაშო მაგიდას ვუსხედით, ხანდახან ზოგ ვისმეს გამოვლაპარაკებივარ კიდეც; მაგრამ ერთხელ ვცადე მეორე დღეს, იმავე ოთახებში, მივსალმებოდი ერთ ვაჟბატონს, რომელიც წინდღეს გვერდით მეჯდა და არამცთუ ვლაპარაკობდით, ვიცინოდით კიდეც, და ორი ქაღალდიც კი ამოვუცანი, ახლა კი - არ იკითხავთ? - სრულებით ვეღარ მიცნო. ეს იგი უარესიც: ტყუილის გაოცებით შემომხედა და ღიმილით ჩამიარა. ამრიგად, მალე გავანებე თავი იქ სიარულს და დავეჩვიე ერთ კლოაკას - სხვა სახელი ვერ მომინახავს. ეს გახლდათ საკმაოდ უბადრუკი, პატარა რულეტი, რომლის მეპატრონეც იყო ვიღაცის ხასა დედაკაცი, თუმცა თვითონ არასოდეს გამოჩენილა დარბაზში. იქ ყველაფერი საშინლად დაურიდებლად ხდებოდა, და თუმცა ოფიცრებიც და მდიდარი ვაჭრებიც დაიარებოდნენ, მაგრამ ყველაფერს თან ახლდა რაღაცნაირი უწმაწურობა, და ბევრს სწორედ ეს იზიდავდა. გარდა ამისა, იქ ხშირად მწყალობდა ბედი. მაგრამ აქ სიარულიც მივატოვე ერთი საზიზღარი ისტორიის მერე, რომელიც გახურებული თამაშის დროს მოხდა და იმით დამთავრდა, რომ ვიღაც ორმა მოთამაშემ ერთმანეთს ცხვირპირი დაუნაყა, და დავიწყე სიარული ზერშჩიკოვთან, - აქაც თავადის მიყვანილი ვიყავი. ზერშჩიკოვი გახლდათ გადამდგარი შტაბს-როტმისტრი და მის საღამოებზე მეფობდა ფრიად ასატანი, სამხედრო ტონი, მოკლე და საქმიანი, აქ გაღიზიანებული სიფრთხილით იცავდნენ ღირსებისა და პატიოსნების ფორმებს. მაგალითად, ლაზღანდარებსა და თავზეხელაღებულ ლოთიფონებს აქ ვერ ნახავდით. გარდა ამისა, სა-

პასუხო ბანკი ძალიანაც არასახუმარო იყო, აქ ბანკსა და რულეტს თამაშობდნენ. ამ საღამომდე, თხუთმეტ ნოემბრამდე, ორჯერ ვიყავ ნამყოფი და ზერშჩიკოვი, მგონი, უკვე სახითაც მცნობდა; მაგრამ ნაცნობები ჯერ არ მყავდა. თითქოს განგებ, თავადიც და დარზანიც იმ საღამოს მხოლოდ შუაღამეს მოვიდნენ იმ მაღალი ჭრის შფოთისთავების ბანკიდან, სადაც სიარულს მე თავი დავანებე: ამრიგად, იმ საღამოს უცხო ვიყავ ბრბოში.

მკითხველი რომ მყავდეს და ჭაიკითხოს ყოველივე, რაც თავს გადამხდა და რაც უკვე ავწერე, ეჭვი არ არის, უკვე ზედმეტი იქნებოდა ამეხსნა მისთვის, რომ ნამდვილად ღმერთს არ გავუჩენივარ საზოგადოებისთვის. რაც მთავარია, სულ არ მეხერხება საზოგადოებაში თავის დაჭერა. როცა შევდივარ ხოლმე სადმე, სადაც ბევრი ხალხია, ყოველთვის ისეთი გრძნობა მაქვს, რომ ყველა თვალი მე მომჩერებია და მაელექტროებენ. ნამდვილად გული მერევა ხოლმე, ფიზიკურად მერევა გული ისეთ ადგილებშიც კი, როგორიცაა თეატრი, კერძო სახლებზე ხომ აღარაფერს ვამბობ. ამ რულეტებსა და თავყრილობებზე ვერ იქნა და ვერ დავისწავლე ღირსეულად თავის დაჭერა: ხან ვიჯექი ბაიყუშივით და ჩემს თავს ვკიცხავდი ზედმეტად რბილი ხასიათისა და ზრდილობიანობისთვის, ხან კი უცებ ავდგებოდი და რაღაც სიხეპრეს მოვიმოქმედებდი. ამავ დროს კი რა საოცრად ეჭირათ თავი, ჩემთან შედარებით, ზოგ-ზოგ არამზადებს - აი ეს მაცოფებდა ყველაზე მეტად, იმდენად, რომ სულ უფრო და უფრო ვკარგავდი სიმშვიდეს. პირდაპირ ვიტყვი, მარტო ახლა კი არა, მაშინაც მთელი ეს საზოგადოება და, თუ გნებავთ, თვით მოგებაც - ბოლოს და ბოლოს საზიზღარი და მტანჯველი შეიქნა ჩემთვის. ნამდვილად - მტანჯველი. მე, რა თქმა უნდა, უაღრეს ნეტარებას განვიცდიდი, მაგრამ ამ ნეტარებას ტანჯვით ვღებულობდი; ყოველივე ეს, ესე იგი ეს ადამიანები, თამაში, და, რაც მთავარია, საკუთარი თავიც მათთან ერთად, საშინლად ბინძურად მეჩვენებოდა. „ოღონდ მოვიგო და მაშინვე მივაფურთხებ ყველაფერს!“ - ვეუბნებოდი ხოლმე ჩემს თავს ყოველთვის, როცა მთელი ღამის ნათამაშევი გათენებისას ვიძინებდი ჩემს ბინაში. ან თუნდაც ამ მოგებაზე მოგახსენებთ: ხომ სრულებით არ მიყვარს ფული. ესე იგი არ დავაფრქვევ საზიზღრად გაცვეთილ სიტყვებს, ჩვეულებრივად რომ იციან ხოლმე მსგავსი თავშესაქცევის გასამართლებლად, ვითომც ვთამაშობდი თამაშის გულისათვის, შეგრძნების, რისკის, აზარტის და სხვათა გულისათვის, და არა მოგებისათვის. ფული საშინლად მჭირდებოდა, და თუმცა ეს არ იყო ჩემი გზა, ჩემი იდეა, მაგრამ ასე იყო თუ ისე, მაშინ მაინც ცდის სახით მოვსინჯე ფულის შოვნა ამ გზითაც. ამ მხრივ სულ ერთთ-

ავად თავგზას მიბნევდა ერთი მაგარი აზრი: „შენ ხომ უკვე დაამტკიცე, რომ თუ ხასიათის სათანადო სიმტკიცეს გამოიჩენ, აუცილებლად შეგიძლია გახდე მილიონერი; შენ ხომ უკვე მოსინჯე შენი ხასიათი; მაშ მოდი აქაც გამოიჩინე თავი: ნუთუ რულეტს ხასიათის მეტი სიმტკიცე საჭიროება, ვიდრე შენს იდეას?“ - აი რას ვუმეორებდი ჩემს თავს. ხოლო რადგან დღემდე მწამს, რომ აზარტულ თამაშში, თუკი შეინარჩუნებ სრულ სიმშვიდეს, ჭკუისა და ანგარიშის მთელ სიმახვილეს, შეუძლებელია არ აჯობო ბრმა შემთხვევის სიტლანქეს და არ მოიგო, - ბუნებრივია, სულ უფრო და უფრო უნდა გავხელებულიყავი, როცა ვხედავდი, რომ ყოველ წამს მღალატობს ხასიათი და პატარა ბიჭივით ვცეტობ. „შიმშილს გავუძელ და უბრალო რამეში ვერ მოვრევივარ თავს!“ - აი რა მხეთქავდა გულზე. თანაც შეგნება იმისა, რომ ჩემში, რაც უნდა სასაცილო და დამცირებული ვჩანდე, დაბუდებულია ძალის ის საუნჯე, რომელიც ოდესმე მათ ყველას აიძულებს შეიცვალონ აზრი ჩემზე. ამის შეგნება - თითქმის ჩემი დამცირებული ბავშვობის წლებიდან - შეადგენდა მაშინ ჩემი სიცოცხლის ერთადერთ წყაროს, ჩემს სინათლესა და ჩემს ღირსებას, ჩემს იარაღსა და ჩემს ნუგეშს, თორემ სხვაგვარად იქნებ ჯერ კიდევ ბავშვობასვე მომეკლა თავი. ამიტომაც განა შემეძლო გული არ მომსვლოდა ჩემს თავზე, როცა ვხედავდი, თუ რა საცოდავ არსებად ვიქცეოდი, როგორც კი სათამაშო მაგიდას მივუჯდებოდი? აი რატომ აღარ შემეძლო თამაშისთვის თავის დანებება: ახლა ნათლად ვხედავ ყოველივე ამას. ეს იყო მთავარი მიზეზი, მაგრამ გარდა ამისა პატარკაცური თავმოყვარეობაც მელახებოდა: წაგება მამცირებდა თავადის თვალში, ვერსილოვის თვალში, თუმცა ის ამაზე ლაპარაკის ღირსსაც არ მხდიდა, ყველას, თვით ტატიანა პავლოვნას თვალშიც კი - ასე მეჩვენებოდა, ასე ვგრძნობდი. დასასრულ, გამოგიტყდებით კიდევ ერთ რამეშიც. მაშინ მე უკვე გავირყვენი; უკვე შევეჩვიე შვიდი თავისაგან შემდგარ სადილებს რესტორანში, მატვეის, ინგლისურ მაღაზიას, ჩემი პარფიუმერის აზრს, ჰოდა, უკვე მიჭირდა ყოველივე ამაზე უარის თქმა. ამას მაშინაც ვხვდებოდი, მაგრამ მხოლოდ ხელს ვიქნევდი; ახლა კი, ამას რომ ვწერ, ვწითლდები.

III

რაკი მარტოკა მოვედი და უცხო ხალხში აღმოვჩნდი, თავდაპირველად მაგიდის კუთხეში მოვკალათდი, პატარა-პატარა თანხის ჩამოსვლა დავიწყე და ორი საათი ისე ვიჯექი, ძვრა არ მიქნია. მთელი ეს ორი საათი ძალზე უხეიროდ მომდიოდა - არც აქით იყო, არც იქით. გასაოცარ შანსებს ხელიდან ვუშვებდი და ვცდილობდი არ გავბრაზებულიყავ, სიმშვიდით და გულდაჯერებით მომეგო. იმით დასრულდა, რომ ამ ორ საათში არც წამიგია და არც მომიგია: სამი მანეთიდან ათითხუთმეტი მანეთი წავაგე. ასეთმა უმნიშვნელო შედეგმა გამაბრაზა, თანაც ერთი ყოვლად უსიამოვნო, საძაგელი ამბავი შემემთხვა. მე ვიცი, რომ ამ რულეტებზე ზოგჯერ შეხვდებით ხოლმე ქურდებს, ესე იგი, ქუჩიდან შემოსულ ქურდებს კი არა, არამედ უბრალოდ - განთქმულ მოთამაშეთაგან. მე, მაგალითად, დარწმუნებული ვარ, რომ განთქმული მოთამაშე აფერდოვი - ქურდია; ის ახლაც დადის ქალაქში; ამას წინათ შემხვდა კიდეც საკუთარი ეტლით, რომელშიც ორი თავისი პონი ჰყავდა შებმული, - მაგრამ ის ქურდია და მე მომპარა. თუმცა ამ ისტორიას მერე გიამბობთ; ამ საღამოს კი მხოლოდ პრელუდია მოხდა: მთელი ის ორი საათი ვიჯექ მაგიდის კუთხეში, ხოლო ჩემს ახლოს, მარცხნივ, მთელი ეს ხანი იჯდა ერთი დამყაყებული ფრანტუკა, მგონი, ურია; სადღაც უნდა მსახურობდეს, სულაც მგონი წერს და ბეჭდავს კიდეც. სულ უკანასკნელ წუთში უეცრად ოცი მანეთი მოვიგე. ორი წითელი ქაღალდის ფული ჩემს წინ იდო და უცებ, ვხედავ, ამ ურიამ გამოიწოდა ხელი და არხეინად დაითრია ერთი ცალი. მისი შეჩერება დავაპირე, მაგრამ ყოვლად უტიფრად, ხმის აუმაღლებლად, უცებ გამომიცხადა, ეს ჩემი მოგებაა, ეს წუთია მეც ჩამოვედი და მოვიგეო; ასე გასინჯეთ, ლაპარაკის გაგრძელებაც კი აღარ ისურვა და ზურგი მაქცია. თითქოს განგებ, სწორედ იმ წუთში ძალზე სულელურ გუნებაზე ვიყავ: დიდი იდეა მქონდა გულში ჩათქმული, ამიტომ არაფრად ჩავაგდე. სწრაფად ავდექი და გავეცალე, შელაპარაკება აღარ ვინდომე და ის წითელი ქაღალდი ვაჩუქე. უკვე ძნელიც იყო ამ უტიფარ ქურდბაცაცასთან შედავება, რადგან შესაფერი დრო ხელიდან გავუშვი; თამაში გაგრძელდა და კარგა შორს წავიდა. და აი სწორედ ეს გახლდათ ჩემი უდიდესი შეცდომა, რომლის შედეგსაც არ დაუყოვნებია: იქვე მჯდარმა სამმა-ოთხმა მოთამაშემ შეამჩნია ჩვენი წაკინკლავება, და, რაკი ნახეს, რომ ასე იოლად მოვეშვი, უთუოდ მეც იმავე ჯურის კაცად ჩამთვალეს. ზუსტად თორმეტი საათი იყო; მეორე ოთახში გავედი, დავფიქრდი, ახალი გე-

გმა მოვისაზრე, დავბრუნდი და ჩემი ქაღალდის ფული ნახევარიმპერიალებად გადავახურდავებინე ბანკში. ორმოცზე მეტი ნახევარიმპერიალი გამიჩნდა. ათ ნაწილად დავყავი და გადავწყვიტე ზედიზედ ათჯერ ჩასვლა, თითო ჩასვლაზე ოთხ-ოთხ ნახევარიმპერიალის დადება ძერო-ზე. „თუ მოვიგებ - ჩემი ბედი ყოფილა, წავაგებ და - კიდევ უკეთესი; აღარასოდეს აღარ ვითამაშებ“. უნდა აღვნიშნო, რომ მთელი ეს ორი საათი ძერო ერთხელაც არ გამოსულა, ასე რომ ბოლოს უკვე აღარავინ ჩამოდიოდა ძერო-ზე.

ფეხზე მდგომი, უხმოდ წარბშეკრული და კრიჭაშეკრული ჩამოვდიოდი. მესამე ჩამოსვლაზე ზერშჩიკოვმა ხმამაღლა გამოაცხადა ძერო, რომელიც მთელი დღე არ გამოსულა. ას ორმოცი ოქროს ნახევარიმპერიალი გადმომითვალეს. შვიდი ჩამოსვლა კიდევ დამრჩა და განვაგრძე, თან ჩემს ირგვლივ ყველაფერი დატრიალ-დაბზრიალდა.

- აქეთ გადმობრძანდით! - გავძახე მაგიდის მეორე ბოლოში მჯდარ ერთ მოთამაშეს, ჭაღარაულვაშა, სახეჭარხალა და ფრაკში გამოწყობილ კაცს, რომლის გვერდითად ვიჯექ წეღან და რომელიც უკვე რამდენიმე საათი იყო აუწერელი მოთმინებით ჩამოდიოდა წვრილ-წვრილ თანხას და ზედიზედ აგებდა. - აქეთ გადმოდით! ბედი აქ გეწევათ!

- მე მეუბნებით? - რაღაცნაირი მუქარით სავსე გაოცებით გამომეხმაურა მაგიდის ბოლოდან ულვაშა.

- დიახ, თქვენ! მანდ სულ გაიფცქვნებით!

- ეგ თქვენ არ გეკითხებათ და გთხოვთ ხელს ნუ მიშლით!

მაგრამ მე უკვე აღარ შემეძლო თავის შეკავება. მაგიდის იქითა მხარეს, ჩემს პირდაპირ, ერთი ხნიერი ოფიცერი იჯდა. ჩემს ფულებს რომ შეხედა, თავის მეზობელს წაუბუტბუტა:

- საოცარია: ძერო. არა, ძერო-ზე ჩამოსვლას ვერ გავბედავ.

- გაბედეთ, პოლკოვნიკო! - დავუყვირე და კიდევ ჩამოვედი კარგა დიდ თანხას.

- გთხოვთ მეც თავი დამანებოთ, თქვენი რჩევა არ მესაჭიროება, - მკვახედ მომიჭრა სიტყვა. - რაღაც ძალიან ბევრს გაყვირით აქ.

- კარგ რჩევას გაძლევთ; გნებავთ დაგენაძლევებით, რომ ახლა ის-

ევ ძერო გამოვა: აჰა, ათ ოქროს ჩამოვდივარ, გნებავთ?

და ათი ნახევარიმპერიალი ჩამოვალაგე.

- ათი ოქრო, სანაძლეოზე? ეგ შემიძლია, - მშრალად და მკაცრად წარმოთქვა მან. - გენაძლევებით, რომ ძერო არ გამოვა.

- ათი ლუიდორი, პოლკოვნიკო.

- რომელი ათი ლუიდორი?

- ათი ნახევარიმპერიალი, პოლკოვნიკო, ხოლო ამაღლებული სტილით - ლუიდორი.

- ჰოდა ეგრე თქვით, ნახევარიმპერიალი-თქო, და თუ შეიძლებოდეს ნუ მეხუმრებით.

ცხადია, სანაძლეოს მოგების იმედი არ მქონდა: ოცდათექვსმეტი შანსი იყო ერთის წინააღმდეგ, რომ ძერო არ გამოვიდოდა; მაგრამ სანაძლეო შევთავაზე, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ვმეტიჩრობდი, ხოლო, მეორეც - იმიტომ, რომ მინდოდა რაიმეთი მომეზიდა ყველანი. ძალზე კარგად ვხედავდი, რომ რატომღაც აქ არავის ვეპიტნავები და განსაკუთრებული სიამოვნებითაც მაგრძნობინებენ ამას. რულეტი დაბზრიალდა - და რარიგ განცვიფრდა ყველა, როცა უცებ ისევ ძერო გამოვიდა! ყვირილიც კი აღმოხდათ. ახლა კი მთლად გამაბრუა მოგებამ. ისევ გადმომითვალეს ას ორმოცი ნახევარიმპერიალი. ზერშჩიკოვმა მკითხა, ქაღალდის ფულად ხომ არ მიიღებთ ნაწილსო, მაგრამ მე რაღაც წავიზმუილე, რადგან სწორედ რომ აღარ შემეძლო მშვიდად და მკაფიოდ ლაპარაკი. თავს ბრუ მესხმოდა და ფეხები მიდუნდებოდა. ერთბაშად ვიგრძენი, რომ ახლა საშინელ რისკზე წავალ; გარდა ამისა, მინდოდა კიდევ რაიმე მომეგონებინა, კიდევ ვინმეს დავნაძლევებოდი, ვინმესთვის გადამეთვალა რამდენიმე ათასი. ანგარიშმიუცემლად ვბოჭავდი ჩემ წინ ქაღალდის ფულსა და ოქროებს და თავი ვერ მომება, ვერ დამეთვალა. ამ დრო უცებ ჩემ უკან შევნიშნე თავადი და დარზანი: ისინი ეს წუთი იყო დაბრუნებულიყვნენ თავიანთი ბანკიდან და, როგორც მერე შევიტყვე, რაც ფული ჰქონდათ, სულ წაეგოთ.

- ა, დარზან, - გავსძახე მე, - აი სადაა ბედი! ძერო-ზე ჩამოდით!

- წავაგე, ფული აღარა მაქვს, - მომიგო მან მშრალად; თავადი კი გადაჭრით ვითომ ვერც მამჩნევდა და ვერც მცნობდა.

- აი ფული! - დავუძახე და დავანახე ჩემი ოქროების გროვა. - რამდენი გნებავთ?

- ეშმაკმა დალახვროს! - დამიყვირა დარზანმა და ჭარხალივით გაწითლდა. - მგონი, არ მითხოვია თქვენთვის ფული.

- თქვენ გეძახიან, - სახელოზე დამწია ზერშჩიკოვმა.

თურმე აგერ რამდენჯერმე და თითქმის ლანძღვით დაეძახა პოლკოვნიკს, რომელსაც დანაძლევებული ათი იმპერიალი მოვუგე.

- კეთილ ინებეთ და მიიღეთ! - დამიყვირა მან ბრაზისაგან გაჭარხლებულმა. - მოვალე არა ვარ თქვენ წინ ვიდგე; თორემ მერე იტყვით, არ მოუციაო. დაითვალეთ.

- მჯერა, მჯერა, პოლკოვნიკო, დაუთვლელადაც მჯერა; ოღონდ, გეთაყვათ, ეგრე ნუ მიყვირით და ნუ მიწყრებით, - და ხელით მოვხვეტე მისი ოქროები.

- მოწყალეო ხელმწიფევ, მე თქვენ გთხოვთ, მაგ თქვენი აღტაცებით სხვას ჩამოეკიდეთ კისერზე და არა მე, - მკვახედ მომაყვირა პოლკოვნიკმა. - მე და თქვენ ღორები არ გვიმწყემსია ერთად!

- უცნაურია, რატომ უშვებენ ასეთებს, - ვინ არის, - ვიღაც ყმაწვილია, - გაისმა ხმადაბალი წამოძახილები.

მაგრამ მე აღარ ვუსმენდი, ცუდუბრალოდ ჩამოვდიოდი და ძეროზე აღარ ვსვამდი. ასმანეთიანების მთელ დასტას ჩამოვედი პირველ თვრამეტზე.

- წავიდეთ, დარზან, - მომესმა უკან თავადის ხმა.

- შინ მიდიხართ? - მივუბრუნდი მათ. - დამიცადეთ, ერთად წავიდეთ, შაბაშ - ვათავებ.

ამჯერადაც მე მოვიგე; ეს ძალზე დიდი მოგება იყო.

- მორჩა! - წამოვიძახე, აკანკალებული ხელებით დავიწყე ოქროების მობოჭვა და ჯიბეებში ჩაჩრა, არ ვითვლიდი და რაღაც უაზროდ ვკეცავდი თითებით ქაღალდის ფულებს, რომლებიც მინდოდა ერთად ჩამეკუჭა გვერდის ჯიბეში. უცებ ბეჭდიანი მსუქანი ხელი აფერდოვისა,

რომელიც ჩემს მარჯვნივ იჯდა და ჩემსავით მსხვილ-მსხვილ თანხას ჩამოდიოდა, ზედ დაეფარა ჩემს სამ ასმანეთიანს და ხელისგული დაა-ფარა.

- უკაცრავად, ეს თქვენი არ გახლავთ, - მკაცრად და მკაფიოდ, თუ-მცა საკმაოდ რბილად მითხრა მან.

აი სწორე ეს გახლდათ ის პრელუდია, რომელსაც შემდეგ. რამდე-ნიმე დღის მერე, ისეთი შედეგები უნდა მოჰყოლოდა. ახლა კი, პატიო-სნებას ვფიცავ, ის სამი ას-ას მანეთიანი ჩემი იყო, მაგრამ რა ვუთხრა ჩემს ავ ბედს: თუმცა დარწმუნებული ვიყავ, ჩემია-მეთქი, მაგრამ ერთი მეათედით მაინც შევეჭვდი, ხოლო პატიოსანი კაცისთვის ეს ყველაფ-ერია; მე კი პატიოსანი კაცი გახლავართ. მთავარი ისაა, რომ მე მაშინ დანამდვილებით არ ვიცოდი, აფერდოვი თუ ქურდი იყო; მაშინ მისი გვარიც კი არ ვიცოდი, ასე რომ, იმ წუთას მართლაც შემეძლო მეფიქ-რა, შევცდი და ეს სამი ასმანეთიანი არ არია იმ ფულში, ახლა რომ მო-მითვალეს-მეთქი. მთელი ამ თამაშის დროს არ დამითვლია ჩემი ფუ-ლი და მხოლოდ ხელით ვბოჭავდი ჩემკენ, აფერდოვის წინაც სულ ელ-აგა ფული, იქვე. ჩემი ფულის ახლოს, ოღონდ ელაგა წესიერად და და-თვლილი. დასასრულ, აფერდოვს აქ იცნობდნენ, მდიდარ კაცად თვ-ლიდნენ, პატივისცემით ეპყრობოდნენ: ყოველივე ამან ჩემზეც მოახ-დინა გავლენა და აქაც გავჩუმდი და პროტესტი არ განვაცხადე. ეს სა-შინელი შეცდომა იყო! უმთავრესი ღორობა კი ის იყო, რომ აღტაცებუ-ლი ვიყავი.

- ძალზე ვწუხვარ, რომ დანამდვილებით არ მახსოვს; მაგრამ საში-ნლად მგონია, რომ ჩემია, - წარმოვთქვი აღშფოთებისაგან აკანკალე-ბული ტუჩებით. ამ სიტყვებმა მაშინვე დრტვინვა გამოიწვია.

- როცა ეგეთ რამეს ამბობთ, დანამდვილებით უნდა გახსოვდეთ, ხოლო თქვენ კი თვითონვე გვაუწყეთ, არა დანამდვილებით მახსოვსო, - აუტანელი ქედმაღლობით წარმოთქვა აფერდოვმა.

- ბოლოს და ბოლოს ვინ არის? ვინ მისცა ნება? - გაისმა რამდენიმე წამოძახილი.

- ეს პირველად არ ემართება; წეღანაც ამგვარივე ამბავი მოუვიდა რებერგთან თუმნიანის გულისთვის, - გაისმა იქვე ვიღაცის ბედასლი ხმა.

- კარგი, კმარა, გეყოფათ! - წამოვიძახე. - აღარაფერს ვამბობ, აიღეთ! თავადო... თავადი და დარზანი რა იქნებ? წავიდნენ? ბატონებო, ხომ არ დაგინახავთ, საით წავიდნენ თავადი და დარზანი? - და მე, როგორც იქნა, ხელი დავავლე მთელს ჩემს ფულს, ხოლო რამდენიმე ნახევარიმპერიალის ჯიბეში ჩადება ვერ მოვასწარი, მუჭაში მეჭირა, და ამ ყოფით გამოვეკიდე თავადსა და დარზანს. მკითხველი, მგონია, ხედავს, რომ თავს არ ვიზოგავ და თავიდან ბოლომდე ვიხსენებ, რანაირი ვიყავ იმ წუთას, არც ერთ სიგლახესაც კი არ ვტოვებ, რათა გასაგები იყოს, თუ რა უნდა მოჰყოლოდა ამას შემდეგში.

თავადი და დარზანი უკვე კიბეზე ჩადიოდნენ და იოტისოდენა ყურადღებაც არ მოუქცევიათ ჩემი ძახილისა და ყვირილისათვის. მე უკვე წამოვეწიე, მაგრამ წამით შევჩერდი მეკარესთან და, ეშმაკმა იცის რატომ, ხელში ჩავჩურთე სამი ნახევარიმპერიალი; მან გაოგნებით შემომხედა და მადლობაც კი არ უთქვამს. მაგრამ ჩემთვის სულ ერთი იყო, და ახლა მატვეიც რომ აქ ყოფილიყო, ალბათ, იმასაც ერთ მუჭა ოქროს მივცემდი, მგონი ასეც მინდოდა მოქცევა, მაგრამ პარმაღზე რომ გამოვირბინე, უცებ გამახსენდა, აკი წეღან შინ გავუშვი-მეთქი. ამ დროს თავადს მოართვეს მისი მარხილი და ისიც ჩაჯდა.

- მეც თქვენთან ერთად და თქვენსას მოვდივარ, თავადო! - წამოვიძახე, ხელი დავტაცე მარხილის კალთას და გადავწიე, რათა ჩავმჯდარიყავ; მაგრამ უცებ, ჩემს გვერდით, დარზანი ჩახტა მარხილში, ხოლო მეეტლემ ხელიდან გამომგლიჯა მარხილის კალთა და ბატონებს მიაფარა.

- ეშმაკმა დალახვროს! - წამოვიძახე გააფთრებულმა. ისე გამოდიოდა, თითქოს ლაქია ვიყავი და დარზანს გადავუწიე მარხილის კალთა.

- შინისკენ! - დაიძახა თავადმა.

- სდექ! - ვიღრიალე და მარხილს ხელი ჩავავლე, მაგრამ ცხენი გაიჭრა და მე თოვლზე გავგორდი. მგონი მათი სიცილიც კი მომესმა. წამოვხტი, მყისვე დავიქირავე პირველივე გზადშემოხვედრილი მარხილი და გავქანდი თავადისკენ, თან რაც შემეძლო ვერეკებოდი ჩემს ჯაგლაგს.

IV

თითქოს ჯიბრზეო, ის ჯაგლაგი დაუჯერებლად ნელა მიღოღავდა, თუმცა მეეტლეს მანეთს შევპირდი. ის მხოლოდ შოლტს უტყლაშუნებდა და, რა თქმა უნდა, მანეთისა უტყლაშუნა. გული მელეოდა: მეეტლეს გამოველაპარაკე, მაგრამ სიტყვებს ხეირიანად ვერც კი გამოვთქვამდი და რაღაც სისულელეს ვბუტბუტებდი. აი რა დღეში ვიყავ, თავადთან რომ შევირბინე. ის წუთი იყო დაბრუნებულიყო; დარზანი შინ მიეყვანა და ახლა მარტო იყო. კიდევ ერთხელ გავიმეორებ: მან საშინლად წააგო. რაღაც დაბნეული გაოცებით შემომხედა.

- ისევ მოხვედით! - შუბლი შეიკრა მან.

- მოვედი, რათა ანგარიში გაგისწოროთ, ბატონო ჩემო! - წარმოვთქვი და სული შემეხუთა. - როგორ გაბედეთ, ისე რომ მომექეცით?

კითხვით შემომაჩერდა.

- თუ დარზანთან ერთად მოდიოდით, შეგეძლოთ ეგრევე გეთქვათ, დარზანთან ერთად მივდივარო, თქვენ კი ცხენს აღვირი მოსწიეთ და მე...

- ახ, მართლა, თქვენ, მგონი, თოვლში წაიქეცით, - და მან პირში შემომცინა.

- ეგეთი საქციელის პასუხად დუელში იწვევენ ხოლმე, ამიტომ ჯერ ანგარიში გავასწოროთ...

და მე აკანკალებული ხელით დავიწყე ჯიბიდან ფულების ამოლაგება. გროვა-გროვად, მუჭა-მუჭად, დასტა-დასტად ვალაგებდი დივანზე, მარმარილოს მაგიდაზე და მგონი რომელიღაც გადაშლილ წიგნზეც; რამდენიმე ცალი ნოხზე გაგორდა.

- ჰო, მართლა, თქვენ მგონი მოიგეთ?.. მეც არ გამიკვირდა, რა ტონით მელაპარაკება-მეთქი.

ასე უტიფრად ჯერ ჩემთან არასოდეს ელაპარაკნა. ადამიანის ფერი აღარ მედო.

- აქ... არ ვიცი რამდენია... დათვლა უნდა. თქვენი სამი ათასი მანეთი მმართებს... თუ რამდენი?.. მეტი თუ ნაკლები?

- მგონი, არ გაიძულებთ გადახდას.

- არა, ბატონო ჩემო, მე თვითონ მინდა გადაგიხადოთ და თქვენ უნდა იცოდეთ, რატომაც მინდა. მე ვიცი, რომ ამ ასმანეთიანების დასტაში ათასი მანეთია, აი! - და აკანკალებული ხელებით დავიწყე თვლა, მაგრამ თავი დავანებე. - სულ ერთია, მე ვიცი, რომ ათასია. ჰოდა აი ამ ათას მანეთს მე ვიღებ, დანარჩენი კი, მთელი ეს აუარება ფული, ვალში გქონდეთ, ვალის ნაწილი იყო: აქ, ჩემის აზრით, ორი ათასამდე თუ მეტიცაა.

- ათასს ხომ მაინც იტოვებთ? - გაიღრიჭა თავადი.

- თქვენ გჭირდებათ? მაშინ... მე მინდოდა... მე ვფიქრობდი, იქნებ არ ინდომოს-მეთქი... მაგრამ თუ გინდათ - აჰა...

- არა, არ მინდა, - ზიზღით ზურგი მაქცია და ისევ დაიწყო ოთახში ბოლთის ცემა.

- ეშმაკმა იცის რაში მოგეხასიათათ მოცემა? - მომიბრუნდა უცებ საშინლად გამომწვევი სახით.

- იმიტომ გაძლევთ, რომ ანგარიში მოგთხოვოთ! - ვიღრიალე მეც.

- მომწყდით თავიდან თქვენი მუდმივი ფრაზებითა და ჟესტებით! - დამიბაკუნა უცებ ფეხები თითქმის მთლად გადარეულმა. - კარგა ხანია მინდოდა გამეგდეთ ორივენი, თქვენცა და თქვენი ვერსილოვიც.

- გაგიჟდით! - წამოვიძახე მე. მართლაც გიჟსა ჰგავდა.

- სული ამომართვით ორივემ მაგ თქვენი მყვირალა ფრაზებით, სულ ფრაზები, ფრაზები, ფრაზები - ისე ენას არ მოაბრუნებთ! პატიოსნებაზე, მაგალითად! თფუი! დიდი ხანია მინდოდა თქვენი თავიდან მოშორება... მიხარია, მიხარია, რომ დადგა ამის წუთი. თავს შებოჭილად ვგრძნობდი და ვწითლდებოდი, რომ იძულებული ვიყავ მიმეღეთ... ორივენი! ახლა კი აღარ ვთვლი ჩემს თავს შებოჭილად აღარაფრით, აღარაფრით, იცოდეთ! თქვენი ვერსილოვი მაგულიანებდა, რომ თავს დავსხმოდი ახმაკოვას და სახელი გამეტეხა მისთვის... ნუღარ გაბედავთ ამის მერე ჩემთან პატიოსნებაზე ლაპარაკს, იმიტომ, რომ თქვენ

უპატიოსნო ხალხი ხართ... ორივენი, ორივენი; ან თქვენ განა არ გრცხვენოდათ, ფულს რომ მართმევდით?

თვალთ დამიბნელდა.

- მე გართმევდით, როგორც ამხანაგი, - დავიწყე საშინლად ჩუმად, - თქვენ თვითონ შემომთავაზეთ და მეც ვიწამე თქვენი მეგობრობა...

- მე თქვენი ამხანაგი არა ვარ! გაძლევდით, მაგრამ მაგიტომ არა, თქვენ კარგად იცით, რატომაც გაძლევდით.

- ვერსილოვის ანგარიშში გართმევდით; რა თქმა უნდა, ეს სისულელე იყო, მაგრამ მე...

- თქვენ არ შეგეძლოთ ვერსილოვის ანგარიშში გამოგერთმიათ, მისი ნებართვა თუ არ იქნებოდა, და არც მე შემეძლო მომეცა მისი ფული, თუ მისი ნებართვა არ იქნებოდა... მე თქვენ ჩემს ფულს გაძლევდით; და თქვენ იცოდით; იცოდით და მართმევდით; მე კი ვიტანდი ჩემს სახლში ამ საძაგელ კომედიას!

- რა ვიცოდი? რა კომედიას ამბობთ? რისთვის მაძლევდით?

- Pour vos beaux yeux, mon cousin! (მაგ თქვენი მშვენიერი თვალების გულისთვის, ბიძაშვილო! (ფრანგ.).) - შიგ სახეში შემომხარხარა მან.

- ჯანდაბას! - ვიღრიალე მე. - სულ გამომართვით, აჰა ეს ათასიც! ახლა ბარიბარსა ვართ და ხვალ...

და ვესროლე ასმანეთიანების დასტა, რომელიც ჩემთვის დავიტოვე, რათა ფული მომეგო. დასტა ჟილეტზე მოხვდა და იატაკზე დავარდა. სამი სწრაფი, უზარმაზარი ნაბიჯით ჯიქურ მომეჭრა:

- გაბედავთ და იტყვით, - გააფთრებით და მკაფიოდ, დამარცვლით წარმოთქვა მან, - რომ როცა ფულს მართმევდით მთელი ეს ერთი თვე, არ იცოდით, რომ თქვენი და ორსულადაა და რომ მე დავაორსულე?

- რაო? რას ამბობთ! - წამოვიძახე, უცებ ფეხები მომეკვეთა და უღონოდ დავეშვი დივანზე. შემდეგში თვითონ მითხრა, ისე გაფითრდი, ზეწრის ფერი დაგედოო. ჭკუა ამერია. მახსოვს, უსიტყვოდ შევჩერებოდით ერთმანეთს სახეში. მას თითქოს შიშმა გადაურბინა სახეზე; ერ-

თბაშად დაიხარა, ბეჭებში ხელი ჩამავლო და ხელი შემაშველა. ძალზე კარგად მახსოვს მის სახეზე შეციებული ღიმილი; ამ ღიმილში უნდობლობაც გამოსჭვიოდა და გაკვირვებაც. დიახ! არ მოელოდა, თუ მისი სიტყვები ასეთ ეფექტს მოახდენდა, რადგან დარწმუნებული იყო ჩემს დანაშაულში.

ყველაფერი იმით გათავდა, რომ გული შემიწუხდა, მაგრამ მხოლოდ ერთი წუთით; გონს მოვედი, წამოვდექი, შევცქეროდი თავადს და ვსაზრისობდი - და უცებ ჩემს ასე დიდხანს მძინარე გონებას თვალწინ გადაეშალა მთელი ჭეშმარიტება! ჩემთვის რომ წინასწარ ეთქვათ ეს ამბავი და ეკითხათ, რას უზამ იმ წუთშიო? - უთუოდ ვუპასუხებდი, ნაკუწ-ნაკუწ დავგლეჯ-მეთქი. მაგრამ სულ სხვაგვარად და სრულიად ჩემდა უნებურად კი მოხდა: უცებ ორივე ხელი სახეზე ავიფარე და მწარედ, გულამოსკვნით ავტირდი. ეს თავისთავად მოხდა! ყმაწვილ კაცში უცებ თავი იჩინა პატარა ბალღმა. მაშ იმხანად სანახევროდ ჯერ კიდევ პატარა ბალღი ცოცხლობდა თურმე ჩემს სულში. დივანზე დავეშვი და ვსლუკუნებდი: „ლიზა! ლიზა! საცოდავო, უბედურო!“. თავადმა ერთბაშად და სავსებით დამიჯერა.

- ღმერთო, რა დამნაშავე ვარ თქვენთან! - წამოიძახა მან ღრმა მწუხარებით. - ო, რა უხამსი აზრისა ვიყავ თქვენზე ჩემი ეჭვიანი ხასიათის გამო... მაპატიეთ, არკადი მაკაროვიჩ!

უცებ წამოვხტი, მინდოდა რაღაც მეთქვა მისთვის, წინ გავუჩერდი, მაგრამ აღარაფერი მითქვამს და გარეთ გამოვვარდი. შინ ფეხით მოვეხეტე და აღარც კი მახსოვს, გზა როგორ გამოვიარე. დავემხვე ჩემს საწოლზე, სახე ბალიშში ჩავრგე და იმ სიბნელეში ვფიქრობდი, ვფიქრობდი. ასეთ წუთებში დალაგებულად და თანმიყოლებით ვერასოდეს ფიქრობს კაცი. ჩემი გონება და წარმოსახვა თითქოს წყდებოდა და, მახსოვს, ვფიქრობდი სრულიად გარეშე რამეებზე, ეშმაკმა უწყის რაზე. მაგრამ უცებ ისევ ტკივილითა და ნაღველით გამახსენდებოდა ჩემი დარდი და უბედურება, ისევ ხელებს ვიმტვრევდი და გავიძახოდი: „ლიზა! ლიზა!“ - და ისევ ვტიროდი. არ მახსოვს, როგორ ჩამეძინა, ოღონდ მაგრად, ტკბილად კი მეძინა.

თავი მეშვიდე - I

დილის რვა საათი იქნებოდა, როცა გამომეღვიძა; მაშინვე ჩავკეტე კარი, ფანჯარასთან მივჯექი და ფიქრს მივეცი თავი. ასე ვიჯექი ათ საათამდე. მოახლემ ორჯერ მაინც მომიკაკუნა, მაგრამ დავითხოვე. ბოლოს, თერთმეტი საათი იქნებოდა, ისევ დამიკაკუნეს. მე ისევ დავუყვირე, მაგრამ ლიზა გამოდგა. მას მოახლეც შემოჰყვა, ყავა მომიტანა და ღუმელის დასანთებად მოკალათდა. მოახლის გაგდება შეუძლებელი იყო და მთელი ის ხანი, ვიდრე ფიოკლა შეშას აწყობდა ღუმელში და ცეცხლს აჩაღებდა, დიდი ნაბიჯებით ბოლთას ვცემდი ჩემს პატარა ოთახში, ლაპარაკს არ ვიწყებდი და ვცდილობდი კიდეც არ შემეხედნა ლიზასთვის. მოახლე განგებ აუწერლად ზანტად ირჯებოდა. ასე იციან ხოლმე მოხელეებმა, როცა ატყობენ, ბატონებს ლაპარაკში ხელს ვუშლითო. ლიზა ფანჯარასთან მდგარ სკამზე ჩამოჯდა და თვალს მაყოლებდა.

- ყავა გაგიცივდება — მითხრა მან უცებ.

შევხედე: იოტისოდენადაც კი არ იყო დარცხვენილი, სრული სიმშვიდე ეხატებოდა სახეზე და იღიმებოდა კიდეც.

- რა ხართ ქალები! - ვეღარ მოვითმინე და მხრები ავიჩეჩე. როგორც იქნა მოახლემ ღუმელი დაანთო და ახლა ოთახის დალაგებას მიჰყო ხელი, მაგრამ მოთმინება დამელია, გარეთ გავაგდე და კარი ჩავრაზე.

- ერთი მითხარი, კარი რატომღა დაკეტე? - მკითხა ლიზამ.

მის წინ გავჩერდი.

- ლიზა, აბა რა მომაფიქრებდა, რომ შენ ასე მომატყუებდი! - წამოვიძახე უცებ, თუმცა ფიქრადაც არ მომსვლია, რომ ასე დავიწყებდი, და ამჯერად ცრემლები კი არა, თითქმის რაღაც ბოროტი გრძნობა შემომაწვა გულზე, რასაც მეც არ ველოდი. ლიზა გაწითლდა, მაგრამ არაფერი უპასუხნია, ოღონდ კვლავ მომჩერებოდა შიგ თვალებში.

- დაიცა, ლიზა, დაიცა, ო, რა ბრიყვი ვიყავი! თუმცა ვიყავი კია? რაც კი რამ გადაკრული სიტყვა უთქვამთ, ყველაფერმა წუხელ მოიყარა თავი, მანამდე კი საიდან უნდა შემეტყო? იქიდან, რომ შენ სტოლბეევასთან და იმ... დარია ანისიმოვნასთან დადიოდი? მაგრამ მე ხომ შენ მზ-

ედ გთვლიდი, ლიზა, და რანაირად მომივიდოდა თავში რამე? გახსოვს, ამ ორი თვის წინათ რომ შეგხვდი მის ბინაში, მერე ერთად რომ მოვდიოდით მზით გაკაშკაშებულ ქუჩაში და ვხარობდით... მაშინ უკვე იყო? იყო?

ჰო-ს ნიშნად თავი დახარა.

- მაშ შენ მაშინაც მატყუებდი! აქ უკვე ჩემი სიბრიყვე კი არა, ლიზა, უმალ ჩემი ეგოიზმია მიზეზი, ჩემი გულის ეგოიზმი და - და, შესაძლოა, სიწმინდის რწმენა. ო, მე ყოველთვის მწამდა, რომ თქვენ ყველანი უსაზღვროდ მაღლა დგახართ ჩემზე და — აი! დასასრულ გუშინ, ერთ დღეში, ვერც კი მოვახერხე მოსაზრება, თუმცა იმდენი გადაკრული სიტყვა მითხრეს... არც მეცალა გუშინ ამისთვის!

აქ უცებ გამახსენდა კატერინა ნიკოლაევნა და რაღაცამ ისევ მტკივნეულად, ქინძისთავივით მიჩხვლიტა გულში და სულ ერთიანად გავწითლდი. ბუნებრივია, იმ წუთას არ შემეძლო კეთილი ვყოფილიყავი.

- რას იმართლებ თავს? არკადი, შენ მგონი გინდა საჩქაროდ იმართლო თავი რაღაცაში, თავის სამართლებელი რა გაქვს? - წყნარად და მშვიდად, მაგრამ ძალზე მტკიცედ და დაჯერებული ხმით მკითხა ლიზამ.

- როგორ თუ რა მაქვს? მე რაღა ვქნა ახლა? - აი თუნდაც ეს საკითხი! შენ კი გაიძახი, თავის სამართლებელი რა გაქვსო? არ ვიცი, როგორ მოვიქცე! არ ვიცი, რანაირად იქცევიან ძმები ასეთ შემთხვევებში... მე ვიცი, რომ დამბაჩით ხელში აიძულებენ ხოლმე ცოლად შეირთონ... ისე მოვიქცევი, როგორც პატიოსან ადამიანს ეკადრება! ოღონდ რომ არ ვიცი რანაირად უნდა მოიქცეს ამ შემთხვევაში პატიოსანი ადამიანი!... რატომ? იმიტომ, რომ ჩვენ თავადიშვილები არა ვართ, ის კი თავადია და თავის კარიერაზე ზრუნავს; ჩვენ, პატიოსან ადამიანებს, ყურსაც არ გვათხოვებს. მე და შენ ხომ და-ძმაც არა ვართ, ვიღაც უგვარო, უკანონო შვილები ვართ, შინაყმის შვილები; და განა თავადები ცოლად ირთავენ შინაყმის ქალებს? ო, რა სისაძაგლეა! შენ კი ზიხარ და გაკვირვებული შემომცქერი.

- მჯერა, რომ იტანჯები, - ისევ გაწითლდა ლიზა, - მაგრამ ჩქარობ და შენ თვითონ იტანჯავ თავს.

- ჩქარობთ? ნუთუ შენი აზრით, საკმაოდ არ დავიგვიანე! განაშენ,

,ენ უნდა მეუბნებოდე ამას, ლიზა? - გამიტაცა, ბოლოს, სრულმა აღშფოთებამ. — რამდენი სირცხვილი გადავიტანე და რანაირად უნდა ვზიზღებოდი თავადს! ო, ჩემთვის ახლა ნათელია ყველაფერი და მთელი სურათი თვალწინ მიდგას: მან სავსებით წარმოიდგინა, რომ მე უკვე კარგა ხანია მიმხვდარ ვარ თქვენს ამბავს, მაგრამ ხმას არ ვიღებ, ხანდახან ცხვირსაც ვიბზეკ და თავი მომაქვს „პატიოსნებით“ - აი ესეც კი შეეძლო ეფიქრა ჩემზე! და რომ ჩემს დაში, დის შერცხვენაში ფულს ვართმევ! აი რისი დანახვა ჰზარავდა, და არც ვამტყუნებ. ცამდე მართალია: ყოველდღე რომ ხედავდე და ღებულობდე არამზადას - იმიტომ რომ იმ ქალის ძმაა და პატიოსნებაზე კი ლაპარაკობს... გული გაგიხმება ადამიანს, თუნდაც თავადის გული იყოს! და შენ დაუშვი ასეთი რამ, არც არაფერი მითხარ! მას იმდენად ვეზიზღებოდი, რომ სტებელკოვსაც კი ელაპარაკა ჩემზე და წუხელ თვითონვე მითხრა. შენ და ვერსილოვი უნდა გამეგდეთო. ახლა იკითხე, სტებელკოვი რას მიშვრებოდა! „ანა ანდრეევნა ხომ ისეთივე დაა თქვენი, როგორიც ლიზავეტა მაკაროვნაო“, თან კიდევ მომაძახა: „ჩემი ფული სჯობიაო“. მე კი, მე თავხედურად ვიჭიმებოდი იმის დივნებზე და სწორივით ვერეოდი მის ნაცნობებში, ეშმაკსაც წაუღია იმათი თავი! და შენ დაუშვი ყოველივე ეს! ალბათ დარზანმაც იცის უკვე ეს ამბავი, ისეთნაირად მელაპარაკა წუხელ... ყველამ, ყველამ იცის ჩემ გარდა!

- არავინ არაფერი იცის, არც ერთი ნაცნობისთვის არ უთქვამს და ვერც ეტყოდა, - შემაწყვეტინა ლიზამ, - იმ ვიღაც სტებელკოვზე კი მხოლოდ ის ვიცი, რომ სტებელკოვი სტანჯავს და რომ სტებელკოვს შეეძლო მხოლოდ მიმხვდარიყო... შენ შესახებ კი რამდენჯერმე ვუთხარი და სჯეროდა, რომ არაფერი იცოდი, ოღონდ აღარ ვიცი, რატომ და რანაირად გამოგივიდათ გუშინ ეგ ამბავი.

- ო, სხვა თუ არაფერი, ფული მაინც ხომ მივეცი გუშინ და ეს სიმძიმე მაინც მომშორდა გულზე! ლიზა, დედამ იცის? თუმცა როგორ არ ეცოდინება: რანაირად წამოიმართა გუშინ!... ახ, ლიზა! ნუთუ ყველაფერში მართალი ggონია თავი და სულ ერთი ბეწო დანაშაულსაც არა გრძნობ? არ ვიცი, ახლანდელ დროში რანაირად უცქერიან ასეთ საქმეს ან შენ რას ფიქრობ, ესე იგი დედის, მამის, ჩემს შესახებ... ვერსილოვმა თუ იცის?

- დედას მისთვის არაფერი უთქვამს; თვითონაც არ უკითხავს; ალბათ არ სურს იკითხოს.

- იცის და არ უნდა იცოდეს, ასე იქნება, ეს ზედგამოჭრილია მისი ხა-

სიათისთვის! კეთილი, დასცინე შენი ძმის, სულელი ძმის როლს, როცა ის დამბაჩებზე ლაპარაკობს. მაგრამ დედა, დედა? ნუთუ არ იფიქრე, ლიზა, რომ ეს დედასთვის ყვედრება და მხილება იქნებოდა? მთელი ღამე ამის ფიქრმა გამტანჯა; დედას პირველი ფიქრი ახლა ის იქნება: „ეს იმიტომ მოხდა, რომ მეც დავაშავე, ხოლო რაც დედაა ქალიშვილიც ის გამოვაო!“

- ო, რა ბოროტად და სასტიკად თქვი! - წამოიძახა ლიზამ. ცრემლი წამომცვივდა, წამოდგა და სწრაფად გაემართა კარისკენ.

- მოიცა, მოიცა! - ხელი მოვხვიე, ისევ დავსვი და გვერდით მივუჯექი ისე, რომ ხელი აღარ მომიშორებია.

- აკი ვიცოდი, აქ როცა მოვდიოდი, რომ ასე იქნებოდა, და შენ უსათუოდ დაგჭირდებოდა, რომ უსათუოდ მე თვითონ მეღიარებინა ჩემი დანაშაული. ინებე, აღმიარებია. მე ახლა მხოლოდ სიამაყის გამო ვდუმდი, არაფერს ვამბობდი, თორემ თქვენა და დედა საკუთარ თავზე უფრო მეცოდებით... - სიტყვა ვეღარ დაასრულა და უცებ მწარედ ატირდა.

- კარგი, ლიზა, რა საჭიროა, არაფერი არაა საჭირო. აბა სადაური შენი მსაჯული მე ვარ. ლიზა, დედა რას ამბობს? მითხარი, დიდი ხანია იცის?

- ვფიქრობ, დიდი ხანია; მაგრამ მე თვითონ ამას წინათ ვუთხარი, როცა ეს მოხდა, - წყნარად წარმოთქვა და თვალი დახარა.

- მერე რა გითხრა?

- მითხრა: „ატარეო“! - კიდევ უფრო წყნარად წარმოთქვა ლიზამ.

- ახ, ლიზა, ჰო, „ატარე“! არაფერი აუტეხო შენს თავს, ღმერთმა დაგიფაროს!

- არაფერს ავუტეხ, - მტკიცედ მიპასუხა მან და ისევ მომაპყრო თვალები. - არხეინად იყავ, - დაურთო მან, - აქ სულ სხვა რამაა.

- ლიზა, საყვარელო, მე მხოლოდ იმას ვხედავ, რომ არაფერი ვიცი ამ ამბებისა, მაგრამ სამაგიეროდ მხოლოდ ახლა შევიტყვე, თუ რარიგ მყვარებიხარ. ოღონდ ერთი რამ ვერ გამიგია, ლიზა: ყველაფერი ნათელია, ოღონდ ერთ რამეს ვერ მივმხვდარვარ: რამ შეგაყვარა? რანა-

ირად შეგეძლო ეგეთი კაცის შეყვარება? აი კითხვა!

- და ალბათ ეგეც გტანჯავდა მთელი ღამე? - ნელა გაიღიმა ლიზამ.

- მოიცა, ლიზა, ეს სულელური კითხვაა და შენც დამცინი; დამცინე, ოღონდ განა შეიძლება არ მიკვირდეს: შენ და ის - ისეთი საწინააღმდეგო ადამიანები ხართ! ის - მე შევისწავლე მისი ხასიათი - ერთი უცხვირპირო, ეჭვიანი კაცია, იქნებ ძალზე კეთილიცაა, - იყოს, მაგრამ სამაგიეროდ, უწინარეს ყოვლისა, ყველაფერში მხოლოდ სიგლახეს ხედავს (თუმცა ამ მხრივ სულ ჩემნაირია!). გაგიჟებით პატივს სცემს კეთილშობილებას - ეს დასაშვებად მიმაჩნია, ამას ვხედავ, მაგრამ, მგონი, მხოლოდ იდეალში წარმოდგენილს. ო, მას შეუძლია მონანიება, მთელი თავისი სიცოცხლე, განუწყვეტლივ თავბედს იწყევლის და ერთს მონანიებაშია, მაგრამ სამაგიეროდ არც არასოდეს უკეთესდება, თუმცა იქნებ ამაშიც სულ ჩემნაირია, ათასი ცრურწმენა და ცრუ აზრები აქვს და - თან აზრის ნატამალიც კი არ გააჩნია! ეძიებს, რა ჩავიდინო საგმიროო, და წვრილ-წვრილ ამბებში კი სისაძაგლეებს ჩადის. მაპატიე, ლიზა, მე ხომ ბრიყვი ვარ: ამას რომ გეუბნები, გულსა გტკენ და ვიცი ეს; ეს მესმის...

- პორტრეტი სწორი იქნებოდა, - გაიღიმა ლიზამ, - მაგრამ შენ ძალზე გაბოროტებული ხარ ჩემ გამო და ამიტომ არც აღარაფერია სწორი. ის თავიდანვე უნდობლად გეპყრობოდა და შენ არ შეგეძლო თავით ბოლომდე დაგენახა, რანაირი ადამიანია, ჩემთან კი ჯერ კიდევ ლუგაში ყოფნიდან... ლუგადან მოყოლებული ჩემს მეტს ვეღარავისა ხედავდა. ჰო, ეჭვიანი და ავადმყოფია და უჩემოდ გაგიჟდებოდა; და თუ მიმატოვა, გაგიჟდება, არა და ტყვიას დაიხლის; მგონი მიხვდა ამას და იცის, - დაუმატა ლიზამ თითქოს თავისთვის და ფიქრიანად. - ჰო, განუწყვეტლად სუსტია, მაგრამ სწორედ ეგეთ სუსტებს შესწევთ უნარი როდისმე ძალზე ძლიერი რამ მოიმოქმედონ... რა უცნაურად თქვი წეღან დამბაჩის შესახებ, არკადი: ამ საქმეში ეგ არაა საჭირო, და მე თვითონაც ვიცი, რაც მოხდება. მე კი არ დავდევ, ის თვითონ დამდევს. დედაჩემი თავს იკლავს, ტირის, მეუბნება: „თუ ცოლად წაყვები, უბედური იქნები, გულს აიყრის შენზეო“. არა მჯერა; იქნებ მართლაც უბედური ვიქნე, მაგრამ გულს კი არ აიყრის. ეს კი არ იყო მიზეზი, აქამდე რომ არ ვთანხმდებოდი ცოლობას, მიზეზი სხვა იყო. აგერ ორი თვეა, თანხმობას არ ვეუბნებოდი, დღეს კი ვუთხარი; ჰო, გამოგყვები-მეთქი. არკაშა, იცი, ის გუშინ (ლიზას თვალები უბრწყინავდა; უცებ ორივე ხელი ყელზე შემომხვია), - გუშინ მივიდა ანა ანდრეევნასთან და პირდაპირ, სავსებით გულახდილად უთხრა. არ შემიძლია შენი სიყვარულიო...

ჰო, ყველაფერი უთხრა და იმ ხმებს ახლა ბოლო მოუღო! მას არც არასოდეს მიუღია მონაწილეობა იმ ხმებში, ეგ სულ თავად ნიკოლაი ივანოვიჩის ნაოცნებარია; თან ის ღვთის გარეგნებიც არ ეშვებოდნენ, სტებელკოვი და ერთიც ვიღაც... ჰოდა, მეც იმიტომ დღეს ჰო ვუთხარი. არკადი, გენაცვალე, ძალიან გიხმობს, და ნუ გაუწყრები გუშინდელის გამო: დღეს ვერაა კარგად, მთელი დღე შინ ზის. მართლა შეუძლოდაა, არ იფიქრო, გასამართლებლად მოიმიზეზაო. საგანგებოდ გამომგზავნა შენთან და მთხოვა გადმოგცე, რომ „სჭირდები“, რომ ბევრი რამ აქვს შენთვის სათქმელი, ხოლო შენთან, ამ ოთახში, ლაპარაკი უხერხული იქნებოდა. აბა, მშვიდობით. ახ, არკადი, მრცხვენია ამის თქმა, თორემ აქ რომ მოვდიოდი, გული საგულეს აღარ მქონდა, მეგონა აღარ გიყვარდი და მთელი გზა სულ პირჯვარს ვიწერდი, შენ კი რა კეთილი და საყვარელი ბიჭი ხარ! ამას არასოდეს დაგივიწყებ! დედასთან მივდივარ. შენ კი ცოტათი შეიყვარე სერიოჟა, ჰა?

გულმხურვალედ გადავეხვიე და ვუთხარი:

- ლიზა, მე ვფიქრობ, რომ შენ მაგარი ხასიათი გაქვს. ჰო, მჯერა, რომ შენ კი არ დასდევ, ის დაგდევს, მაგრამ მაინც...

- მაგრამ მაინც „რამ შეგაყვარა - აი კითხვა!“ - სიტყვა ჩამომართვა ლიზამ, უცებ ძველებური ანცი სიცილით ჩაიცინა. და სულ ჩემნაირად წარმოთქვა: „აი კითხვა!“, თან სულ ისე ასწია საჩვენებელი თითი თავისი თვალების წინ, როგორც მე ვიცი ხოლმე ამ ფრაზის თქმისას. ერთმანეთი გადავკოცნეთ, მაგრამ როცა ოთახიდან გავიდა, ისევ ამიკვნესდა გული.

II

აღვნიშნავ აქ მხოლოდ ჩემთვის: ლიზას წასვლის მერე იყო წუთები, როცა ყოვლად მოულოდნელი ფიქრები დამესეოდნენ და ეს ფიქრები კმაყოფილებასაც კი მგვრიდნენ. „ნეტავ რას ვიკლავ თავს, - ვფიქრობდი მე, - მე რა მენაღვლება? თითქმის ყველას თავს ეს ამბავია. რა მოხდა მერე, თუ ლიზას ეს ამბავი შეემთხვა? ვითომ რაო, „ოჯახის ღირსება“ უნდა დავიცვა თუ?“. ყველა ამ უსინდისობას იმიტომ აღვნიშნავ, რომ დაგანახვოთ, თუ ჯერ კიდევ რამდენად გაურკვეველი ვიყავ ავისა და კარგის გარჩევაში. ერთი გრძნობა მშველოდა: ვიცოდი, რომ ლიზა უბედურია, რომ დედაჩემი უბედურია, და ეს ვიცოდი იმ გრძნობის წყალობით, რომელიც მიპყრობდა ხოლმე მათი გახსენებისას, და ამიტომაც ვგრძნობდი, რომ ყოველივე, რაც მოხდა, კარგი რამ არ უნდა ყოფილიყო.

ახლა წინასწარ მოგახსენებთ, რომ ამ დღიდან მოყოლებული კატასტროფამდე — ჩემს ავად გახდომამდე - მოვლენები ისე წაეწყვნენ ერთმანეთს, რომ ახლა, როცა გამახსენდება, მიკვირს კიდეც, რანაირად გავუძელ, რომ ქვეშ არ მომიყოლია ბედმა. ამ მოვლენებმა დამიუძლურეს ჭკუა და თვით გრძნობაც, და დასასრულ, რომ ვინიცობაა ვეღარ ამეტანა და რაიმე დანაშაული ჩამედინა (ხოლო დანაშაული მართლაც კინაღამ არ მოხდა), - ძალიანაც შესაძლებელია, რომ მსაჯულებს გავემართლებინე. მაგრამ შევეცდები სრული თანმიმდევრობით ავწერო ყველაფერი, თუმცა გაფრთხილებთ, მაშინ ფიქრები ვერ მქონდა მაინცდამაინც მოწესრიგებული. ამბები ქარაშოტივით დატრიალდნენ და ფიქრები შემოდგომის ხმელი ფოთლებივით ამერივნენ თავში. რადგან მე სულ ერთიანად სხვისი აზრებისა და ფიქრებისაგან შევდგებოდი, აბა სად მომენახა საკუთარი აზრები, როცა საჭირო შეიქნა მე თვითონ, დამოუკიდებლად მიმეღო რაიმე გადაწყვეტილება? ჭკუის დამრიგებელი კი არავინა მყავდა.

გადავწყვიტე თავადთან საღამოთი წავსულიყავი, რათა თავისუფლად გველაპარაკა ყველაფერზე, საღამომდე კი შინ დავრჩი. მაგრამ საღამო ხანს ქალაქის ფოსტით ისევ მივიღე სტებელკოვის სამსტრიქონიანი ბარათი, სადაც დაჟინებით და „უბეჯითესად“ მთხოვდა, ხვალ, დილის თერთმეტ საათზე, მეწვიეთ, „უმნიშვნელოვანესი საქმე მაქვს, და თქვენვე ნახავთ, რომ საქმე მქონიაო“. ვიფიქრე, ვიფიქრე და გად-

ავწყვიტე ისე მოვქცეულიყავ, როგორც გარემოებანი მიკარნახებდნენ, რადგან ხვალამდე საკმაო დრო იყო.

უკვე რვა საათი იყო; აქამდეც წავიდოდი სახლიდან, მაგრამ ვერსილოვს ველოდი; ბევრი რამ მქონდა მისთვის სათქმელი, გულზე ცეცხლი მედებოდა, მაგრამ ვერსილოვი არ ჩანდა და არც მოსულა. დედასთან და ლიზასთან ჩემი გამოჩენა ჯერ არ შეიძლებოდა, თან გული მეუბნებოდა, ვერსილოვს დღეს იქ ალბათ არც შეუვლიაო. ფეხით წავედი და გზად მიმავალს თავში მომივიდა, მოდი ერთი გუშინდელ სამიკიტნოში შევივლი, თხრილზე რომ არის-მეთქი. მართლაც ვერსილოვი გუშინდელ ადგილზე იჯდა.

- გული მეუბნებოდა, რომ აქ მოხვიდოდი, - უცნაურად გაიღიმა და უცნაურად შემომხედა მან. რაღაც უკეთური ღიმილი ჰქონდა, როგორიც კარგა ხანი იყო აღარ მენახა მის სახეზე.

მაგიდას მივუჯექი და წვრილად, სულ ფაქტებით მოვუყევი ყველაფერს თავადისა და ლიზას შესახებ, ვუამბე თავადთან მომხდარი გუშინდელი სცენაც რულეტის მერე; არც რულეტში მოგება დამვიწყნია... ძალზე ყურადღებით მომისმინა და გამამეორებინა, რომ თავადს გადაუწყვეტია ლიზა შეირთოს.

- Pauvre enfant(საბრალო ბავშვი (ფრანგ.).), ვინ იცის, ვერც ვერაფერი მოიგოს. მაგრამ, მე მგონი, ეგ არ მოხდება... თუმცა თავადის ამბავი რომ ვიცი...

- მითხარით, როგორც მეგობარს: თქვენ ხომ იცოდით ეს ამბავი, ხომ გრძნობდით?

- ჩემო მეგობარო, აბა რა შემეძლო? ყოველივე ეს გრძნობისა და სხვისი სინდისის საქმეა, თუნდაც ამ საცოდავი გოგონას მხრივ. გიმეორებ: მას ჟამსა შინა საკმაოდ ხშირად შევჭრილვარ სხვების სინდისში - ყოვლად უვარგისი ხერხია! არ დავიზარებ კი უბედურებაში ხელი გავუწოდო ვისმეს, რამდენადაც ძალა მეყოფა და თავს გავართმევ. შენა, ჩემო კარგო, შენ მთელი ეს ხანი მართლა ეჭვადაც არაფერი იცოდი?

- რანაირად შეგეძლოთ, - წამოვიძახე და მთლად ავენთე, - რანაირად შეგეძლოთ, თუკი ოდნავ მაინც ეჭვობდით, რომ მე ვიცი თავადისა და ლიზას დამოკიდებულება და ამავ დროს ფულს ვართმევ თავადს, - რანაირადღა შეგეძლოთ ჩემთან ლაპარაკი, ჩემთან ჯდომა, ჩემთვის

ხელის ჩამორთმევა, - ჩემთვის, ვინც არამზადად უნდა ჩაგეთვალეთ! იმიტომ რომ, სანაძლეოს ჩამოვალ, თქვენ, უთუოდ, ეჭვი გქონდათ, თითქოს მე ყველაფერი ვიცი და შეგნებულად ფულს ვართმევ თავადს ჩემს დაში!

- ეგეც, ვიმეორებ, სინდისის საქმეა, - ჩაიცინა მან. - და რა იცი, - რაღაც იდუმალი გრძნობით მკაფიოდ დაურთო მან, - რა იცი, რომ მე, როგორც შენა თქვი გუშინ სხვა შემთხვევის გამო, არ მეშინოდა დამეკარგა ჩემი „იდეალი“ და ჩემი გულფიცხი და პატიოსანი ბიჭის მაგიერ არამზადა არ შემრჩენოდა ხელში? ვშიშობდი და ვაჭიანურებდი ამის გაგების წუთს. რატომ არ გინდა დაუშვა, რომ სიზანტის ან ვერაგობის ნაცვლად უფრო უწყინარი, დაე თუნდაც სულელური, მაგრამ უფრო კეთილშობილი რამ მამოქმედებდა. Que diable! მეტად ხშირად ვარ ხოლმე სულელი, და თან არც კეთილშობილი. რა ხეირი იქნებოდა ჩემთვის, შენ რომ უკვე ეგეთი მიდრეკილებები გქონოდა? ჭკუის დარიგება და გამოსწორება ასეთ შემთხვევებში სულმდაბლობაა; კიდეც რომ გამოსწორებულიყავი, ჩემს თვალში ყოველგვარი ფასი დაგეკარგებოდა...

- ლიზა გეცოდებათ, გეცოდებათ?

- ძალიან მეცოდება, ჩემო კარგო, რატომ გგონია, რომ ეგეთი უსულგულო ვარ... პირიქით, ყოველ ღონეს ვიხმარ... შენ რასა იქ, შენი საქმე როგორღაა?

- ჩემს საქმეს თავი დავანებოთ; მე ახლა აღარა მაქვს ჩემი საქმეები. გამიგონეთ, რატომ ეჭვობთ, რომ შეირთავს? თავადი გუშინ ანა ანდრეევნასთან ყოფილა და გადაჭრით უარი უთქვამს... აი ამ სულელურ აზრზე... თავად ნიკოლაი ივანოვიჩს რომ დაებადა - მათს დაქორწინებაზე გადაჭრით უარი უთქვამს.

- ჰო? ეგ როდის მომხდარა? და სახელდობრ ვინ გითხრა? - ცნობისმოყვარეობით იკითხა მან. მე ვუამბე, რაც ვიცოდი.

- ჰმ, - წარმოთქვა ჩაფიქრებით და საგონებელს მიეცა, - მაშასადამე, ეს ამბავი მოხდა ზუსტად ერთი საათით ადრე... ვიდრე მეორე ამბავი მოხდებოდა. ჰმ... ჰო, რა თქმა უნდა, შესაძლებელია ასეთი ლაპარაკი ჰქონოდათ... ღონდ ეს კია, რომ მე ვიცი. აქამდე არასოდეს არაფერი თქმულა არც ერთისა და არც მეორის მხრივ... ჰო, რა თქმა უნდა, ამისთვის ორიოდ სიტყვა კმარა... მაგრამ აი რა, - უცნაურად ჩაიცინა

მან უცებ, - ახლა, რა თქმა უნდა, დაგაინტერესებ ერთი მეტად არაჩვეულებრივი ამბით: შენს თავადს გუშინ კიდეც რომ ეთხოვა ანა ანდრეევნასთვის, ცოლად წამომყევიო (რასაც მე, რაკი ლიზას ამბავს ვეჭვობდი, არაფრის გულისთვის არ დავუშვებდი, entre nous soit dit (ჩვენს შორის რომ ვთქვათ (ფრანგ.).), ანა ანდრეევნა ნამდვილად და ყოველგვარ შემთხვევაში მაშინვე უარს ეტყოდა. შენ, მგონი, ძალიან გიყვარს ანა ანდრეევნა, პატივს სცემ და აფასებ? ეს მოსაწონია შენი მხრივ, და ამიტომ, უთუოდ, გაგიხარდება: ის, ჩემო კარგო, თხოვდება, და მისი ხასიათი რომ ვიცი, მგონი ნამდვილადაც გათხოვდება, მეც, რა თქმა უნდა, დავლოცავ.

- თხოვდება? ვის მიჰყვება? - წამოვიყვირე საშინლად გაოცებულმა.

- აბა გამოიცან. თუმცა არ გაგაწვალებ: თავად ნიკოლაი ივანოვიჩს, შენს საყვარელ ბერიკაცს.

გაშტერებული მივჩერებოდი.

- როგორც ჩანს, ანა ანდრეევნას კარგა ხანია გულში ედო ეს ფიქრი, და, ცხადია, ყოველმხრივ მხატვრულად დაამუშავა, - ზანტად და დანაწევრებით განაგრძობდა ვერსილოვი. - მე ვფიქრობ, „თავადი სერიოჟა“ რომ ესტუმრა (იმასაც რა მიარბენინებდა! ძალიან დრო კი შეურჩევია!) - ზუსტად ერთი საათის მერე ეს ამბავი მოხდა. ანა ანდრეევნა უბრალოდ მოვიდა ნიკოლაი ივანოვიჩთან და ცოლობა შესთავაზა.

- როგორ თუ „ცოლობა შესთავაზა“? ესე იგი ნიკოლაი ივანოვიჩმა შესთავაზა?

- არა, სადა აქვს მაგის თავი! ანა ანდრეევნამ შესთავაზა, ანა ანდრეევნამ. იმიტომაცაა, რომ ნიკოლაი ივანოვიჩი უზომოდ აღტაცებულია. ამბობენ, ზის და გაკვირვებას არის, ასეთი რამე რატომ მე თვითონ არ მომაფიქრდაო. ყური მოვკარი, ცოტა ავადაც შეიქნაო... ალბათ ესეც აღტაცებისგან დაემართა.

- დაიცათ, თქვენ ისე დაცინვით ლაპარაკობთ... თითქმის ვერ დამიჯერებია. ან რანაირად შესთავაზა? რა უთხრა?

- გწამდეს, ჩემო მეგობარო, რომ გულწრფელად მოხარული ვარ, - მომიგო მან და უცებ საკვირვლად სერიოზული სახე მიიღო, - რა თქმა უნდა, ნიკოლაი ივანოვიჩი მოხუცია, მაგრამ ცოლის შერთვა შეუძლია

ყოველგვარი კანონითა და წესებით, ხოლო ანა ანდრეევნა - აქ ისევ სხვისი სინდისის საქმეა, ის, რაზეც უკვე გელაპარაკე, ჩემო მეგობარო. თუმცა, ანა ანდრეევნა საკმაოდ კომპეტენტურია საიმისოდ, რომ თავისი შეხედულება და თავისი გადაწყვეტილება ჰქონდეს. ხოლო საკუთრივ წვრილმანების თაობაზე ვერაფერს გეტყვი, ჩემო მეგობარო, არც ის ვიცი, რა სიტყვებით უთხრა სათქმელი. მაგრამ, რა თქმა უნდა, ანა ანდრეევნა მოახერხებდა თქმას, და ისე მოახერხებდა, რომ იქნებ მე და შენ ვერც მოგვეხერხებინა. ყველაზე კარგი ამ ამბავში ისაა, რომ მაღალი წრის თვალში აქ არავითარი სკანდალი არაა, ყველაფერი très comme il faut (ძალზე წესიერადაა (ფრანგ.).). რა თქმა უნდა, ძალზე აშკარაა, რომ ანა ანდრეევნამ მოინდომა საზოგადოებაში მდგომარეობის შექმნა, მაგრამ ის ხომ ღირსიც არის ამისა. ყოველივე ეს, ჩემო მეგობარო, სავსებით დასაშვები და ჩვეულებრივი რამაა მაღალ წრეში. რაც შეეხება შეთავაზებას, უთუოდ, დიდებულად და მოხდენილად შესთავაზა. ის მკაცრი ტიპია, ჩემო მეგობარო, მონაზონი-ქალიშვილი, როგორც შენ შეაფასე ერთხელ: „მშვიდი ქალიშვილი“, როგორც მე ვუწოდებ კარგა ხანია. ანა ანდრეევნა ხომ, შენც იცი, თითქმის თავადის აღზრდილია და ბევრი სიკეთეც ახსოვს მისგან. დიდი ხანია მარწმუნებდა, თავადს ძალზე პატივს ვცემ, ძალზე ვაფასებ, ძალზე მეცოდება და სიმპათიით ვეპყრობიო და სხვა ამგვარები, ასე რომ ნაწილობრივ შემზადებულიც შევხვდი ამ ამბავს. ყველაფერი ეს ანა ანდრეევნას სახელითა და მისი თხოვნით მაცნობა ჩემმა ვაჟმა, ხოლო მისმა ძმამ ანდრეი ანდრეევიჩმა, რომელსაც შენ, მგონი, არ იცნობ და რომელსაც მე აკურატულად ექვს თვეში ერთხელ ვხვდები, ის მოწიწებით იწონებს თავის დის ამ ნაბიჯს.

- მაშ ეს ამბავი უკვე საქვეყნოდ გახმაურდა? ღმერთო, რა განცვიფრებული ვარ!

- არა, ჯერ მთლად არ გახმაურებულა გარკვეულ დრომდე... არ ვიცი, საერთოდ მე სავსებით განზე ვდგავარ, მაგრამ ნამდვილი კია.

- მაგრამ ახლა კატერინა ნიკოლაევნა... როგორა გგონიათ, ბიორინგს არ მოეწონება ეს ჩასაკოკლოზინებელი?

- ეგ აღარ ვიცი... სახელდობრ რა არ მოეწონება; მაგრამ, მერწმუნე, ანა ანდრეევნა ამ მხრივაც უაღრესად წესიერი ადამიანია. მაგრამ დამიხედეთ ანა ანდრეევნას! სწორედ მანამდე, გუშინ დილას, გამომკითხა: გიყვარს თუ არა ქალბატონი ახმაკოვის ქვრივიო? გახსოვს, გაკვირვებულმა გიამბე გუშინ: მე თუ ნიკოლაი ივანოვიჩის ქალიშვილს შე-

ვირთავდი, თვითონ ხომ ვეღარ წაყვებოდი ჩემი ცოლის მამას? ახლა მიხვდი?

- ჰო, მართლაც! - წამოვიძახე მე. - მაგრამ ნუთუ ანა ანდრეევნას მართლა შეეძლო ეფიქრა, რომ თქვენ... შეგეძლოთ მოგეწადინებინათ კატერინა ნიკოლაევნას ცოლად შერთვა?

- ეტყობა ასეა, ჩემო მეგობარო, თუმცა... თუმცა მგონი დროა წახვიდე, სადაც მიდიხარ. მე რაღაც სულ ერთთავად თავი მტკივა. ვუბრძანებ ლიუჩია დაუკრან. მიყვარს მოწყენილობის ზარ-ზეიმი, თუმცა ეს უკვე გითხარი... მიუტევებლად ვმეორდები... თუმცა იქნებ წავიდე კიდეც აქედან. მე მიყვარხარ, ჩემო კარგო, მაგრამ მშვიდობით; როცა თავი ან კბილი მტკივა, ყოველთვის განმარტოება მწყურია ხოლმე.

სახეზე რაღაც ტანჯვა გამოეხატა; ახლა მჯერა, რომ მაშინ მართლაც ტკიოდა თავი, განსაკუთრებით თავი...

- ხვალამდე, - ვუთხარი მე.

- რას ჰქვია ხვალამდე და რა იქნება ხვალ? - მოღრეცით ჩაიცინა მან.

- თქვენთან მოვალ, ან თქვენ მოხვალთ ჩემთან.

- არა, მე არ მოვალ, შენ კი მოირბენ...

რაღაც მეტისმეტად უკეთური ჰქონდა სახეში, მაგრამ მე მისთვისაც კი აღარ მეცალა: მაშ რა იქნებოდა — ასეთი ამბავი შევიტყვე!

III

თავადი მართლაც შეუძლოდ იყო, თავი სველი პირსახოცით წაეკრა და მარტოკა იჯდა შინ. მოუთმენლად მიმელოდა; მაგრამ მარტო თავი როდი ტკიოდა, უფრო ზნეობრივად იყო ავად მთლიანად. კვლავ წინასწარ ვამბობ: მთელი ამ ბოლო დროის მანძილზე, სანამ კატასტროფა მოხდებოდა, როგორღაც სულ ერთთავად იმ ზომამდე აღგზნებულ ადამიანებს ვხვდებოდი, რომ სიგიჟეს აღარაფერი უკლდათ, ასე რომ მეც უნებურად უნდა გადმომდებოდა. ვაღიარებ, ცუდი გრძნობებით მივედი, თანაც ძალზე მრცხვენოდა, გუშინ მის თვალწინ ტირილი რომ წამსკდა. თან, რაც არ უნდა იყოს, მან და ლიზამ ისე კოხტად ამიხვიეს თვალი, რომ აბა როგორ შემეძლო ბრიყვად არ დამენახა საკუთარი თავი. ერთი სიტყვით, მასთან რომ შევედი, ყალბი სიმები მიხმიანებდა სულში. მაგრამ ყოველივე ნაძალადევი და ყალბი სწრაფად გამიქრა. კუთვნილი უნდა მივაგო: როგორც კი გაუქარწყლდებოდა ეჭვი, მაშინვე სულითა და გულით მოგენდობოდათ; თითქმის ბალღურად ალერსიანი, გულმიმნდობი და მოსიყვარულე ხდებოდა; თვალცრემლიანმა გადამკოცნა და მაშინვე საქმეზე დაიწყო ლაპარაკი... დიახ, მართლაც ძალზე ვჭირდებოდი. მის სიტყვებსა და აზრთა წყობაში მეტისმეტად დიდი არევ-დარევა იყო.

სავსებით მტკიცედ განმიცხადა, განზრახული მაქვს ლიზა შევირთოო და რაც შეიძლება ჩქარაო. „ლიზა რომ თავადის ქალი არ არის, მერწმუნეთ, ეს წუთითაც არ მაფიქრებდა, - მითხრა მან, - პაპაჩემს ცოლად ჰყავდა შინაყმის ქალი, რომელიც ერთი მეზობელი მემამულის საკუთარი, შინაყმათაგან შემდგარი თეატრის მომღერალი იყო. ცხადია, ჩემი ოჯახი ერთგვარ იმედს ამყარებდა ჩემზე, მაგრამ ახლა სხვა გზა არა აქვთ, უნდა დამითმონ, თუმცა არც შემებრძოლებიან. მე მინდა საბოლოოდ გავწყვიტო ყველაფერი, ყველაფერი ახლანდელი! ყველაფერი სხვა უნდა იყოს, სხვაგვარად უნდა იყოს! ვერ გამიგია, რისთვის შემიყვარა თქვენმა დამ; მაგრამ იმას კი თქმა არ უნდა, რომ უიმისოდ მე, ალბათ, აღარც ვიქნებოდი ამქვეყნად. სულითა და გულით ვფიცავ, რომ ახლა ლიზასთან შეხვედრა ლუგაში ღვთის განგებად მიმაჩნია. ვფიქრობ, იმიტომ შემიყვარა, რომ „უსაზღვროდ დავეცი“... თუმცა მიმიხვდებით ამას, არკადი მაკაროვიჩ?“

- სავსებით! - წარმოვთქვი უაღრესი დაბეჯითებით. მე სავარძელში

ვიჯექი მაგიდასთან, ის კი ოთახში დადიოდა.

- დაუფარავად უნდა გიამბოთ ჩვენი შეხვედრის მთელი ეს ფაქტი. დაიწყო ჩემი სულიერი საიდუმლოთი, რომელიც მხოლოდ მან შეიტყო, რადგან მხოლოდ მას გავუტყდი. და დღემდეც არავინ იცის. ლუგაში მაშინ სასოწარკვეთილი ჩავედი და სტოლბეევასას ვცხოვრობდი, არ ვიცი რატომ, იქნებ სრულ განმარტოებას ვეძიებდი. მაშინ ახალი დანებებული მქონდა თავი ***-ის პოლკში სამსახურისთვის. საზღვარგარეთიდან რომ დავბრუნდი, ანდრეი პეტროვიჩთან იქ შეხვედრის მერე, იმ პოლკში მაშინ შევედი. მაშინ ფული მქონდა. ვანიავებდი, ხელგაშლით ვცხოვრობდი, მაგრამ ოფიცერ ამხანაგებს არ ვუყვარდი, თუმცა ვცდილობდი, მაგრამ ოფიცერ ამხანაგებს არ ვუყვარდი, თუმცა ვცდილობდი არავისთვის მეწყენინებინა. და გამოგიტყდებით, არასოდეს არავის არ ვუყვარდი. იქ ერთი კორნეტი იყო, ვინმე სტეპანოვი, გამოგიტყდებით, ძალზე ქარაფშუტა, არარა და ბეჩავიც კი, ერთი სიტყვით, არაფრით არ გამოირჩეოდა, თუმცა უდავოდ პატიოსანი კაცი იყო. აი ეს სტეპანოვი შემომეჩვია, მეც არ ვებოდიშებოდი, მთელი დღეები იჯდა ხოლმე ჩემთან კუთხეში თავისთვის, ხმას არ იღებდა, ოღონდ ღირსებით კი ეჭირა თავი, თუმცა ხელს არ მიშლიდა სრულებით. ერთხელ ვუამბე ერთი მორიგი ანეკდოტი, რომელშიც კარგა ბლომად გავურიე ათასი მონაჩმახი, ვითომ პოლკოვნიკის ქალიშვილს ჩემზე გული შეუვარდა და პოლკოვნიკიც, რაკი სიძედ ვუნდივარ, რა თქმა უნდა, რასაც კი მოვიწადინებ, ყველაფერს შემისრულებს... ერთი სიტყვით, წვრილად აღარ მოგიყვებით, ოღონდ მთელი იმ ნალაპარაკევიდან მერე ყოვლად დახლართული და საზიზღარი ჭორი შეიქმნა. ეს ჭორი სტეპანოვმა კი არა, ჩემმა დენშჩიკმა გაავრცელა, დაეყურადებინა და ყველაფერი დაეხსომებინა, რადგან აქ ერია ერთი სასაცილო ანეკდოტი, რომელიც სახელს უტეხდა ყმაწვილ ქალს. აი იმ დენშჩიკმა, როცა ჭორი ყველას მოედო და ოფიცრებმა დაჰკითხეს, სტეპანოვი დაასახელა, ესე იგი თქვა, რომ მე ეს ამბავი სტეპანოვს ვუამბე. სტეპანოვი ისეთ მდგომარეობაში ჩავარდა. ვეღარ იტყოდა, არ უთქვამსო: ეს სინდისის საქმე იყო. ხოლო რადგან იმ ანეკდოტში ორი მესამედი ტყუილი ვთქვი, ოფიცრები აღფოთდნენ და პოლკის უფროსიც იძულებული შეიქნა თავი მოეყარა ოფიცრებისთვის და გამოერკვია ეს ამბავი. აი აქ სტეპანოვს ყველას თანდასწრებით ჰკითხეს: გითხრა თუ არაო? და იმანაც სიმართლე უამბო. ახლა არ იკითხავთ, როგორ მოვიქეცი მე, ათასწლოვანი გვარის თავადი? უარვყავი და სტეპანოვს პირში ვუთხარი, ტყუი-მეთქი, ზრდილობიანად ვუთხარი. ესე იგი იმ აზრით, რომ ვერ გაგიგიათ-მეთქი და სხვ. კვლავ გამოვტოვებ წვრილმანებს. ოღ-

ონდ ჩემი მდგომარეობა იმით იყო ხელსაყრელი, რომ, ვინაიდან სტეპ-ანოვმა ჩემთან სიარულს დაუხშირა, მე შემეძლო საქმე ისე წარმომედ-გინა, თითქოს მან პირი შეჰკრა ჩემს დენშჩიკთან, რადგან რაღაც ხე-ირს ელოდა, და ჩემი ასეთი მტკიცება შეუძლებლად არავის ეჩვენებო-და. სტეპანოვმა მხოლოდ უსიტყვოდ შემომხედა და მხრები აიჩეჩა. მახსოვს მისი შემოხედვა და არც არასოდეს დამავიწყდება. მერე დაუყ-ოვნებლივ ითხოვა სამსახურიდან გადადგომა, მაგრამ როგორ გგონი-ათ, რა მოხდა? ყველა ოფიცერი, გამოუკლებლივ და ერთად, ვიზიტით მივიდა და გადაათქმევინეს გადადგომა. ორი კვირის მერე მეც გამო-ვედი პოლკიდან: არავის გამოვუგდივარ, არც არავის შემოუთავაზებ-ია, გადადგომა ითხოვეო, ოჯახური მდგომარეობა მოვიმიზეზე და გა-მოვედი. ის ამბავიც ასე დამთავრდა. თავდაპირველად სრულებით არ-ად ვაგდებდი ამ ამბავს და გულიც კი მომდიოდა მათზე; ვცხოვრობდი ლუგაში, გავიცანი ლიზავეტა მაკაროვნა. მაგრამ მერე, ერთი თვე რომ გავიდა, უკვე რევოლვერს დავუწყე ცქერა და სიკვდილზე ფიქრი გამი-ხშირდა. მე ყოველ საქმეს დაღვრემით ვუყურებ, არკადი მაკაროვიჩ. გავამზადე წერილი პოლკის უფროსისა და ამხანაგების სახელზე, სრ-ულად ვაღიარე ჩემი სიცრუე და აღვადგინე სტეპანოვის სახელი. წერი-ლი რომ დავწერე, ამოცანა წამომეჭრა: „გავგზავნო და ვიცოცხლო, თუ გავგზავნო და მოვკვდე?...“ ამ საკითხს მე ვერ გადავწყვეტდი. შემთხვ-ევამ, ბრმა შემთხვევამ, ლიზავეტა მაკაროვნასთან ერთი ნაჩქარევი და უცნაური საუბრის მერე, უცებ დამაახლოვა მასთან. მანამდე კი ის სტო-ლბეევასთან დადიოდა; ერთმანეთს ვხვდებოდით ხოლმე, ვესალმებ-ოდით და ხანდახან ვლაპარაკობდით კიდეც. მე ერთბაშად ყველაფერი ვუამბე. აი მაშინ გამომიწოდა ხელი.

- მერე რანაირად გადაგიჭრათ თქვენი საკითხი?

- აღარ გავგზავნე წერილი. ლიზავეტა მაკაროვნამ გადაწყვიტა არ გამეგზავნა. მან ეს ასე დამისაბუთა: თუ წერილს გავგზავნი, რა თქმა უნდა, ჩავიდენ კეთილშობილ საქციელს, რომელიც საკმაო იქნება, რათა მთელი ჭუჭყი ჩამომერეცხოს და მეტიც, მაგრამ ავიტან კი ამას მე თვითონ? მისი აზრით, ვერც ვერავინ აიტანდა, რადგან მაშინ ხომ მომავალი დაიღუპებოდა და ახალი ცხოვრებისთვის აღდგომაც შეუძ-ლებელი გახდებოდა. სტეპანოვი რომ დაზარალებულიყო, კიდევ ჰო; მაგრამ ის ხომ ისედაც გაამართლა ოფიცერთა საზოგადოებამ. ერთი სიტყვით - პარადოქსია; მაგრამ მან შემაჩერა და მეც მთლიანად მივ-ენდე.

- იეზუიტურად გადაუწყვეტია, ოღონდ ქალურად კი! - წამოვიძახე

მე. - მას მაშინ უკვე ჰყვარებიხართ!

- სწორედ ამან მომაბრუნა ახალი ცხოვრებისკენ. ჩემს თავს სიტყვა მივეც, სულ სხვაგვარად ვიცხოვრებ, დავიმსახურებ ჩემს წინაშეც და მის წინაშეც-მეთქი - და აი რითი გათავდა ეს ამბავი! გათავდა იმით, რომ მე და თქვენ დავდიოდით რულეტის სათამაშოდ, ბანკს ვთამაშობდით; ვერ გამოვდექი მაგარი, მემკვიდრეობა რომ მივიღე, გამახარა კარიერამ, ხალხში გარევამ, საკუთარმა ცხენებმა... ვტანჯავდი ლიზას - ვაი სირცხვილო!

შუბლი მოისრისა და ოთახში გაიარ-გამოიარა.

- მე და თქვენ, არკადი მაკაროვიჩ, ორივეს რუსული ბედი გვეწია: თქვენ არ იცით, რა ჰქნათ; და არც მე ვიცი, რა ვქნა? საკმარისია რუსი კაცი თუნდაც ოდნავ ამოვარდეს მისთვის ჩვეულებით დაკანონებული კალაპოტიდან - და მაშინვე აღარ იცის, რა ქნას. როცა კალაპოტშია, ყველაფერი ნათელია: შემოსავალი, ჩინები, მდგომარეობა მაღალ საზოგადოებაში, ეკიპაჟი, დარბაზობები, სამსახური, ცოლი. ხოლო როგორც კი რამე შეიცვლება - რაღა ვარ? ფოთოლი, რომელსაც ქარი მიაქროლებს. მე არ ვიცი, რა ვქნა! ეს ორი თვეა ვცდილობდი შევრჩენოდი კალაპოტს, შემიყვარდა კალაპოტი, ჩამითრია კალაპოტმა. თქვენ კიდევ არ იცით რა ღრმად დავეცი აქ: ლიზა მიყვარდა, გულწრფელად მიყვარდა, და იმავ დროს ახმაკოვაზე ვფიქრობდი!

- ნუთუ? - გულისტკივილით წამოვიძახე, - მართლა, თავადო, რას მეუბნებოდით წუხელ, ვერსილოვი მაქეზებდა, რომ რაღაც სისაძაგლე ჩამედინა კატერინა ნიკოლაევნას წინააღმდეგო?

- იქნებ, გადავაჭარბე და ჩემი ეჭვიანობით მასთანაც ისეთივე დამნაშავე ვარ, როგორც თქვენთან. თავი დავანებოთ ამას. ნუთუ თქვენ ფიქრობთ, რომ მთელი ეს ხანი, იქნებ ლუგაში ყოფნიდან მოყოლებული, გულით არ ვატარებდი ცხოვრების მაღალ იდეალს? გეფიცებით, გამუდმებით თვალწინ მედგა და ოდნავადაც არ დაუკარგავს თავისი სილამაზე ჩემს სულში. მე მახსოვდა, ლიზავეტა მაკაროვნას რომ შევფიცე, განვახლდები-მეთქი. ანდრეი პეტროვიჩი რომ აქ გუშინ თავადაზნაურობაზე ლაპარაკობდა, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, არაფერი ახალი არ უთქვამს ჩემთვის. ჩემი იდეალი მტკიცეა. რამდენიმე ათეული დესეტინა მიწა (და მხოლოდ რამდენიმე დესეტინა, რადგან მემკვიდრეობიდან თითქმის აღარაფერი მრჩება); შემდეგ სრული, სრულზე სრული ჩამოშორება მაღალი წრისა და კარიერისგან; სოფლის სა-

ხლი, ოჯახი და მე თვითონ - მხვნელ-მთესველი ან რამე ამდაგვარი. ო, ჩვენს გვარში ეს ახალი ამბავი არაა: მამაჩემის ძმაც თავისი ხელით ხნავდა, პაპაჩემიც. ჩვენ - მხოლოდ ათასწლოვანი თავადები გახლავართ და როგანებივით კეთილშობილნი, მაგრამ ღატაკები ვართ. და ჩემს შვილებსაც ამას შევასწავლიდი: „მთელი შენი სიცოცხლე გახსოვდეს, რომ თავადი ხარ, რომ შენს ძარღვებში მიედინება რუსი თავადების წმიდა სისხლი, მაგრამ ნუ ითაკილებ იმას, რომ მამაშენი თვითონ ხნავდა მიწას: ამას ის თავადიშვილურად აკეთებდა“. მე მათ მიწის ამ ნაკვეთის მეტს ვერაფერს დავუტოვებდი, მაგრამ სამაგიეროდ უმაღლეს განათლებას მივაღებინებდი, ამას კი ვიკისრებდი. ო, ამაში ლიზა დამეხმარებოდა. ლიზა, შვილები, შრომა, ო, რარიგ ვოცნებობდით ორივენი ამაზე, აქ ვოცნებობდით, აი ამ ოთახებში, და მერე? მე იმავ დროს ვფიქრობდი ახმაკოვაზე, თუმცა სულ არ მიყვარდა, ვფიქრობდი მაღალი წრის შვილთან, მდიდარ ქალთან ქორწინებაზე! და მხოლოდ გუშინ, როცა ნაშჩოკინმა ამბავი მოიტანა, ბიორინგს მიყვებაო, მხოლოდ გუშინ გადავწყვიტე ანა ანდრეევნასთან წასვლა.

- თქვენ ხომ იმიტომ წახვედით, რომ უარი გეთქვათ! მაგაზე პატიოსანი საქციელი რაღა იქნება?

- თქვენ ეგრე ფიქრობთ? - შეჩერდა ის ჩემ წინ. - არა, თქვენ კიდევ ვერ იცნობთ ჩემს ბუნებას! ან... ანდა მე თვითონ არ ვიცი რაღაც, რადგან აქ, იქნებ, მარტო ბუნება არ ურევია. მე თქვენ გულწრფელად მიყვარხართ, არკადი მაკაროვიჩ, და, გარდა ამისა, ძალზე დამნაშავე ვარ თქვენთან მთელი ამ ორი თვის საქციელის გამო, ამიტომაც მინდა, რომ თქვენ, როგორც ლიზას ძმამ, ყველაფერი შეიტყოთ: ანა ანდრეევნასთან იმიტომ წავედი, რომ ცოლობა მეთხოვა, და არა იმიტომ, რომ უარი მეთქვა.

- განა ეგ შესაძლებელია? მაგრამ ლიზამ მითხრა...

- მე მოვატყუე ლიზა.

- მოითმინეთ: თქვენ ფორმალური წინადადება მიეცით და ანა ანდრეევნამ უარი გითხრათ? ასე იყო? ამ ამბის დაწვრილებით ცოდნას ჩემთვის ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს, თავადო.

- არა, წინადადება სრულიადაც არ მიმიცია, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ ვერ მოვასწარი; მან დამასწრო, - რა თქმა უნდა, პირდაპირ არ უთქვამს, მაგრამ ძალზე ნათლად და გამჭვირვალე „თავაზიანობ-

ით“ მიმახვედრა, რომ ეს აზრი ამიერიდან შეუძლებელია.

- მაშასადამე, ეგ იგივეა, გინდაც არ მიგეცეთ წინადადება და თავმოყვარეობაც არ შეგლახვიათ!

- ნუთუ თქვენ შეგიძლიათ ეგრე მსჯელობა! მერედა საკუთარი სინდისის სამსჯავრო, მერედა ლიზა, რომელიც მოვატყუე და... მაშასადამე, მინდოდა მიმეტოვებინა? მერედა აღთქმა, რომელიც მივეცი ჩემს თავს და ჩემი წინაპრების მთელს საგვარეულოს - განვახლდები და გამოვისყიდი ყველა ადრინდელ სულმდაბლობას-მეთქი! გემუდარებით, ნუ ეტყვით ამას ლიზას. იქნებ სწორედ ამას ვერ მაპატიებდა! გუშინს აქეთ ავად ვარ. ხოლო რაც მთავარია, მგონი ახლა ყველაფერი გათავებულია და თავად სოკოლსკების უკანასკნელი ნაშიერი კატორღის გზას გაუდგება. საწყალი ლიზა! მთელი დღე მოუთმენლად გელოდით, არკადი მაკაროვიჩ, რათა გული გადამეშალა თქვენთვის, როგორც ლიზას ძმისთვის, და მეთქვა ის, რაც მან ჯერ არ იცის. მე სისხლის სამართლის დამნაშავე ვარ და ***-ის რკინიგზის ყალბი აქციების მონაწილე.

- ეს რაღა ამბავია! რა კატორღას ამბობთ! - წამოვიჭერი და თავზარდაცემული შევაჩერდი. მისი სახე უღრმეს, დაღვრემილ და გამოუვალ მწუხარებას გამოხატავდა.

- დაჯექით, - მითხრა მან და თვითონაც მოპირდაპირე სავარძელში ჩაჯდა. - ჯერ ერთი, შეიტყვეთ ფაქტი: წელიწადზე მეტია, აი იმ ზაფხულს მერე, ემსის, ლიდიას და კატერინა ნიკოლაევნას, ხოლო შემდეგ პარიზის მერე, სწორედ იმ დროს, როცა ორი თვით პარიზს გავემგზავრე, ცხადია, პარიზში ფული შემომაკლდა. სწორედ ამ დროს, სად იყო და სად არა, გამოტყვრა სტებელკოვი, რომელსაც მანამდეც ვიცნობდი. ფული მომცა და შემპირდა, კიდევ მოგცემო, ოღონდ თავის მხრივ დახმარება მთხოვა: მას ესაჭიროებოდა არტისტი, მხატველი, გრავიორი, ლითოგრაფი და სხვა. ქიმიკოსი და ტექნიკოსი, და - გარკვეული მიზნებისთვისაც. ამ მიზნების შესახებ თავდაპირველადვე საკმაოდ მისახვედრად მითხრა. მერე რა გგონიათ? იცოდა ჩემი ხასიათი, - ამ ამბავმა მხოლოდ სიცილი მომგვარა. საქმე ისაა, რომ მე ჯერ კიდევ სკოლიდან ვიცნობდი ერთ კაცს, ამჟამად რუს ემიგრანტს, თუმცა წარმოშობით არარუსს, რომელიც სადღაც ჰამბურგში ცხოვრობდა. რუსეთში ყოფნისას ერთხელ უკვე გარეული იყო ყალბი ქაღალდების კეთების ერთ ისტორიაში. აი ამ კაცის იმედი ჰქონდა სტებელკოვს, ოღონდ საჭირო იყო რეკომენდაცია ჰქონოდა, და მე მომმართა. მეც ორი სტრიქონი

დავუწერე და მაშინვე დამავიწყდა ეს ამბავი. მერე სტებელკოვი კიდევ რამდენჯერმე შემხვდა, და მაშინ სულ სამი ათასამდე მივიღე მისგან. ამ საქმისა ნამდვილად აღარაფერი მახსოვდა. აქ ყოველთვის თამასუქითა და გირაოთი ვართმევდი ხოლმე ფულს, და ისიც მონასავით ფეხქვეშ მეგებოდა, გუშინ კი უცებ პირველად ვიგებ მისგან, რომ სისხლის სამართლის დამნაშავე ვყოფილვარ.

- რა დროს გუშინ?

- რა დროს და გუშინ დილას, კაბინეტში რომ ვყვიროდით ნაშჩოკინის მოსვლამდე. ეს პირველი იყო, ასე სავსებით აშკარად რომ გაბედა ანა ანდრეევნაზე სიტყვის გადაკვრა. ხელი ავწიე და უნდა გამერტყა, რომ უცებ წამოდგა და გამომიცხადა, ჩემი თანამოზიარე ხარ და არ დაივიწყო, რომ შენც მონაწილე და ჩემსავით არამზადა ბრძანდებიო, - ერთი სიტყვით, თუმცა ეს სიტყვები არ უთქვამს, მაგრამ აზრი ეს იყო.

- რა სისულელეა, ეგ რა მოუჩმახავს?

- არა, არ მოუჩმახავს! დღეს იყო ჩემთან და უფრო დაწვრილებით ამიხსნა. ის აქციები თურმე დიდი ხანია გამოუშვიათ და კვლავაც აპირებენ გამოშვებას, მაგრამ, მგონი, ზოგან უკვე გაბმულან. რა თქმა უნდა, მე ამაში ხელი არ მირევია, მაგრამ „თქვენ არ ბრძანდებოდით, ბატონო ჩემო, ის ბარათი რომ მიბოძეთ?“ - აი რა მითხრა სტებელკოვმა.

- თქვენ ხომ არ იცოდით, რისთვის უნდოდა, თუ იცოდით?

- ვიცოდი, - წყნარად მომიგო თავადმა და თვალები დახარა, - ესე იგი, იცით რას გეტყვით, ვიცოდი კიდეც და არც ვიცოდი. მე ვიცინოდი, მხიარულ გუნებაზე ვიყავი. მაშინ არაფერი არ მიფიქრია, მით უმეტეს, რომ მე ხომ სრულიად არ მესაჭიროებოდა ყალბი აქციები და მე ხომ არ ვაპირებდი მათს დამზადებას. მაგრამ მაშინ მომცა სამი ათასი მანეთი და მერე ვალშიც არ ჩამითვალა. მე ხომ დავუშვი ასეთი რამ. თუმცა, რა იცით, იქნებ მეც ყალბი ფულის მჭრელი ვარ? მე არ შემეძლო არ მცოდნოდა - პატარა ხომ არა ვარ; ვიცოდი, მაგრამ მხიარულ გუნებაზე ვიყავ და ხელი შევუწყვე არამზადა-კატორღელებს... და ხელის შეწყობაში ფული ავიღე! მაშ მეც ყალბი ფულის მკეთებელი ვყოფილვარ!

- ო, თქვენ აზვიადებთ; დამნაშავე ხართ, მაგრამ აზვიადებთ!

- მთავარი ისაა, რომ აქ არის ვინმე ჟიბელსკი, ჯერ კიდევ ახალგა-

ზრდა კაცი, სასამართლოს ხაზით მსახურობს, აბლაკატუნას თანაშემწეა თუ რაღაც ამგვარი. ისიც რაღაც მონაწილეა ამ აქციებისა; იმ ჰამბურგელი კაცისგან ჩამოდიოდა ხოლმე ჩემთან, რა თქმა უნდა, სულ უბრალო რამეებისთვის, მეც არ ვიცოდი რისთვის, აქციების ხსენებაც არ ყოფილა... მაგრამ მას ხელთა აქვს ჩემი ორი დოკუმენტი, სულ ორ-ორ სტრიქონიანი ბარათები და, ცხადია, ესეც გამოადგებათ დასამოწმებლად; ამას კარგად მივხვდი დღეს. სტებელკოვს რომ ჰკითხოს კაცმა სულ ის ჟიბელსკია, ყველაფერს რომ ხელს უშლის: რაღაც მოუპარია, ვიღაცის ფული, მგონი სახელმწიფო ფული, მაგრამ განზრახული აქვს კიდევ მოიპაროს და მერე ემიგრაციაში წავიდეს; ჰოდა მას ესაჭიროება სულ ცოტა რვა ათასი, როგორც დახმარება ემიგრაციაში წასასვლელად. სტებელკოვი სჯერდება იმ ფულს, რომლებიც მემკვიდრეობიდან მერგება წილად, მაგრამ მეუბნება, ჟიბელსკისაც უნდა მისცეო... ერთი სიტყვით, მათი უკანასკნელი სიტყვა ისაა, რომ ხელი ავიღო ჩემს წილ მემკვიდრეობაზე და კიდევ ათი ათასიც მივცე. და მაშინ დამიბრუნებენ იმ ორ ბარათს, ცხადია, პირი აქვთ შეკრული.

- აშკარა სისულელეა! თქვენ თუ დაგასმენენ, თვითონაც ხომ ჩავარდებიან! არავითარ შემთხვევაში არ დაგასმენენ.

- მესმის. არც მემუქრებიან, დაგასმენთო; ისინი მხოლოდ მეუბნებიან: „ჩვენ, რა თქმა უნდა, არ დაგასმენთ, მაგრამ ერთიც ვნახოთ და ეს საქმე გაიხსნა, მაშინ...“ - აი ამას მეუბნებიან, სხვას არაფერს; მაგრამ ვფიქრობ, ეს საკმარისია! საქმე ეს არაა: რაც არ უნდა მოხდეს, და გინდაც ის ბარათები ახლა ჯიბეში მეწყოს, მთელი ჩემი სიცოცხლე, მუდამ, მუდამ ხომ იმ არამზადების თანამოზიარე უნდა ვიყოო! უნდა ვატყუო რუსეთი, ვატყუო შვილები, ვატყუო ლიზა, ვატყუო ჩემი სინდისი!...

- ლიზამ იცის?

- არა, ყველაფერი არ იცის. მის მდგომარეობაში ამას ვერ გადაიტანდა. მე ახლა ჩემი პოლკის მუნდირს ვატარებ და ჩემი პოლკის ყოველ ჯარისკაცთან შეხვედრისას, ყოველ წამს ვგრძნობ, რომ არ უნედა ვბედავდე ამ მუნდირის ტარებას.

- გამიგონეთ, - წამოვიყვირე უცებ, - აქ სალაპარაკო არაფერია; ახლა ხსნის ერთი, ერთადერთი გზა დაგრჩენიათ; წადით თავად ნიკოლაი ივანოვიჩთან, გამოართვით ათი ათასი, სთხოვეთ მოგცეთ, ოღონდ ნურაფერს გაუმხელთ, მერე მოიხმეთ ის ორი არამზადა, გაუსწორდით

საბოლოდ და შეისყიდეთ თქვენი ბარათები... მორჩა და გათავდა! წადით მერე მიწის სახნავად! შორს ფანტაზია და მიენდეთ ცხოვრებას!

- ეგ მეც ვიფიქრე, - თქვა მან მტკიცედ. - დღეს მთელი დღე მაგის ფიქრში ვიყავ და, ბოლოს, გადავწყვიტე. მხოლოდ თქვენ გელოდით; წავალ. იცით თუ არა, რომ ჩემს სიცოცხლეში კაპიკი არ გამომირთმევია, თავად ნიკოლაი ივანოვიჩისთვის. ის კარგად ეპყრობა ჩვენს ოჯახს და... დაგვხმარებია კიდეც, მაგრამ პირადად მე არასოდეს გამომირთმევია ფული. ახლა კი გადავწყვიტე... არ დაგავიწყდეთ, ჩვენი შტო სოკოლსკებისა უფრო ძველია, ვიდრე თავად ნიკოლაი ივანოვიჩის შტო: ისინი უმცროსი, ასე გასინჯეთ, გარეშე შტოა, თითქმის სადავო... ჩვენს წინაპრებს მტრობა ჰქონდათ ერთმანეთისა. პეტრეს რეფორმების დასაწყისში ჩემი პაპის პაპა, იმასაც პეტრე ერქვა, სექტანტი იყო და ასევეც დარჩა, კოსტრომის ტყეებში დაეხეტებოდა. იმ თავადმა პეტრემ მეორეჯერაც უბრალო გვარიშვილის ქალი შეირთო... ჰოდა აი მაშინ დაწინაურდნენ ის სოკოლსკები, მაგრამ მე... დაიცათ, რაებს ვლაპარაკობ?

ძალზე დაღლილი იყო, თითქმის არეულად ლაპარაკობდა.

- დამშვიდდით, - წამოვდექი და ქუდს ხელი დავავლე, - ჯერ ერთი, დაწექით და დაიძინეთ. ნიკოლაი ივანოვიჩი კი არაფრის გულისთვის უარს არ გეტყვით, მეტადრე ახლა, როცა ასე გახარებულია. გაიგეთ იქაური ამბავი? ნუთუ არ გაგიგიათ? უცნაური რამ შევიტყვე, ნიკოლაი ივანოვიჩი ცოლს ირთავს; ეს საიდუმლოა, მაგრამ, ცხადია, თქვენგან დასამალი რაა.

და მე, უკვე ქუდით ხელში და ფეხზე მდგარმა, ყველაფერი ვუამბე. მას არაფერი სცოდნოდა. მაშინვე წვრილად გამომკითხა ყველაფერი, უფრო კი ის, თუ რა დროს ან სად მოხდა ეს ამბავი და რამდენად დასაჯერებელია. მე, რა თქმა უნდა, არ დავუმალე, რომ ნაამბობის მიხედვით, ეს უნდა მომხდარიყო ანა ანდრეევნასთან მისი გუშინდელი ვიზიტის მერე, მაშინვე. ვერ გამოვთქვამ, რა მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა მასზე ამ ამბავმა; სახე დაეღრიჯა, თითქოს მოექცა. და ნაძალადევმა ღიმილმა დაუმანჭა ტუჩები; ბოლოს საშინლად გაფითრდა, თვალები დახარა და ღრმად ჩაფიქრდა. უცებ ძალზე ნათლად დავინახე, რა საშინლად შეულახა თავმოყვარეობა ანა ანდრეევნას გუშინდელმა უარმა. იქნებ, რაკი ასეთი ავადმყოფური განწყობილება ჰქონდა, მას ამ წუთში ძალზე ნათლად წარმოუდგა, თუ რა სასაცილო და დამამცირებელი ყო მისი როლი იმ ქალიშვილის წინაშე, რომლის თანხმობაში,

როგორც ახლა ირკვეოდა, ეჭვიც არ ეპარებოდა მთელი ეს ხანი და არხეინად იყო. და, დასასრულ, იქნებ იმ აზრმაც გაუელვა, რომ ასე უსინდისოდ მოექცა ლიზას და სულ ტყუილად კი! საინტერესოა, რა შეხედულებისანი არიან ეს მაღალი წრის ფრანტები ერთმანეთზე და რა საფუძველი აქვთ ერთმანეთის პატივისცემისა: ამ თავადს ხომ უნდა ეფიქრა, რომ ანა ანდრეევნამ უკვე იცის მისი კავშირი ლიზასთან, სინამდვილეში მის დასთან, ხოლო თუ არ იცის, როდისმე მაინც ხომ შეიტყობს; და აი, „ეჭვიც არ ეპარებოდა ანა ანდრეევნას პასუხში“!

- ნუთუ თქვენ შეგეძლოთ გეფიქრათ, - ამაყად და ამპარტავნად ამომხედა მან უცებ, - რომ ახლა, ამ ამბის შეტყობის მერე, მე, მე შემიძლია წავიდე თავად ნიკოლაი ივანოვიჩთან და ფული ვთხოვო! მას, იმ საპატარძლოს საქმროს, რომელმაც ეს არის ახლა უარი მითხრა, - რა გლახაკობაა, რა ლაქიობა! არა, ახლა ყველაფერი დაღუპულია, და თუ იმ მოხუცისგან დახმარების მიღება ჩემი უკანასკნელი იმედი იყო, დე ეს იმედიც დამემსხვრეს!

გუნებაში დავეთანხმე; მაგრამ სინამდვილეს მაინც უფრო ფართოდ უნდა შეხედოს კაცმა: აბა რა საქმროა ბერიკაცი თავადი? თავში ერთბაშად რამდენიმე იდეა გამიჩნდა. თუმცა წეღან უიმისოდაც გადავწყვიტე, ხვალ მოხუცს უსათუოდ ვინახულებ-მეთქი. ახლა კი შევეცადე შემემსუბუქებინა შთაბეჭდილება საცოდავი თავადისთვის და დამეყოლიებინა, რომ დაწოლილიყო: „გამოიძინეთ და ნახავთ, რომ უფრო ნათელი იდეები გაგიჩნდებათ!“. მხურვალედ ჩამომართვა ხელი, მაგრამ აღარ გადავუკოცნივარ. პირობა მივეცი, ხვალ საღამოს მოვალ და გული ვიჯეროთ ლაპარაკით: ძალზე ბევრი სალაპარაკო დაგვიგროვდა-მეთქი. ამ სიტყვებზე რაღაც ფატალურად გაიღიმა.

თავი მერვე - I

მთელი ღამე რულეტი, თამაში, ოქრო და ანგარიში მესიზმრებოდა. ვითომ სათამაშო მაგიდას ვუჯექი და სულ ვანგარიშობდი რაღაცას, რომელიღაც ჩამოსვლას, რომელიღაც შანსს, და მთელი ღამე კოშმარში გავატარე. სიმართლე რომ ვთქვა, მთელი ის დღე, ხომ რა არაჩვეულებრივი შთაბეჭდილებებით ვიყავ სავსე, მაგრამ წამწუთიერ მაგონდებოდა, ზერშჩიკოვთან რომ ფული მოვიგე. ვიშორებდი ამ ფიქრს, მაგრამ ის შთაბეჭდილება კი ვერ მოვიშორე და რომ გამახსენდებოდა, ვკრთოდი. ამ მოგებამ გულზე მიკბინა. ნუთუ მოთამაშედ დავბადებულვარ? ყოველ შემთხვევაში - ეჭვი არ არის, რომ მოთამაშისთვის საჭირო თვისებები მაქვს, ახლა კი, როცა ვწერ ყოველივე ამას, ხანდახან მიყვარს ხოლმე თამაშზე ფიქრი! ხან საათებს ვატარებ ისე, რომ ჩუმად ვზივარ, ჩემი ჭკუა-გონება თამაშის ანგარიშებშია და ოცნებით წარმოვიდგენ ხოლმე, რანაირად მიმდინარეობს ყველაფერი, რანაირად ჩამოვდივარ და ვიგებ. დიახ, ჩემში აუარება ნაირ-ნაირი „თვისებებია“ და მოუსვენარი სული მაქვს.

ათი საათისთვის სტებელკოვთან ვაპირებდი ფეხით წასვლას. მატვეი, როგორც კი მოვიდა, შინ გავისტუმრე. ვიდრე ყავას შევექცეოდი, ვცდილობდი კარგად მომესაზრებინა ყველაფერი. რატომღაც კმაყოფილი ვიყავ; წუთით რომ ჩავუკვირდი ჩემს თავს, მივხვდი, უმთავრესად იმით ვიყავ კმაყოფილი, რომ „დღეს ნიკოლაი ივანოვიჩის სახლში ვიქნები!...“ მაგრამ ეს დღე ჩემს სიცოცხლეში საბედისწერო და მოულოდნელი იყო და სწორედ სიურპრიზით დაიწყო.

ზუსტად ათ საათზე ვიღაცამ პირთამდე ხეთქა ჩემი კარი, და ოთახში შემოიჭრა - ტატიანა პავლოვნა. ყველაფერს მოველოდი ამ ქვეყნად, ოღონდ მის მოსვლას კი არა, და შეშინებული წამოვხტი. სახე გააფთრებული ჰქონდა, მოძრაობა უთავბოლო და ვისმეს რომ ეკითხა, იქნებ თვითონაც ვერ ეთქვა: რატომ შემოვარდა ჩემთან? წინასწარ გეტყვით: მან ის წუთი იყო შეიტყო ერთი არაჩვეულებრივი ამბავი, რომელმაც გადარია და ჯერაც გონს ვერ მოსულიყო. ის ამბავი კი მეც შემეხებოდა. თუმცა ჩემთან მხოლოდ ნახევარი წუთი დაჰყო, ვთქვათ ერთი წუთიც, ოღონდ ამაზე მეტი კი არა. შემოსვლა და შემოტევა ერთი იყო.

- აი თურმე რა ამბავში ხარ! - ცხვირწინ გამიჩერდა მთლად წინ გადმოხრილი. - ახლ შე ლაწირაკო! რა ამბავი დაატრიალე? თუ ჯერ არ იცი? ყავას შეექცევა! ახ შე ენაჭარტალა, შე წისქვილის სარეკელა, ახ

შე ქაღალდის მიჯნურო... წკეპლით უნდა გაგაჭრელოს კაცმა, წკეპლ-ით, წკეპლით!

- ტატიანა პავლოვნა, რა მოხდა? რა ამბავია? დედას თავს ხომ არ-აფერია?

- შეიტყობ! - მრისხანედ წამოიყვირა და ოთახიდან ისევ გავარდა, თვალი ძლივს შევასწარი. რა თქმა უნდა, გავეკიდებოდი, მაგრამ შემა-ჩერა ერთმა ფიქრმა, ფიქრმა კი არა, რაღაც ბუნდოვანმა მოუსვენრ-ობამ: გული მეუბნებოდა, რომ მის ყვირილში მთავარი იყო „ქაღალდ-ის მიჯნური“. რა თქმა უნდა, მე თვითონ ვერაფერს მივხვდებოდი. ამ-იტომ სწრაფად გამოვედი სახლიდან, რათა მალე მომეთავებინა საქმე სტებელკოვთან და თავად ნიკოლაი ივანოვიჩთან წავსულიყავი. „იქაა ყველაფრის გასაღები!“ - გავიფიქრე ინსტინქტურად.

საკვირველი იყო საიდან შეეტყო, მაგრამ სტებელკოვმა უკვე იც-ოდა ანა ანდრეევნას ამბავი, და, ასე გასინჯეთ, წვრილადაც იცოდა; არ აგიწერთ მის ლაპარაკსა და ქცევებს, ოღონდ აღტაცებული, აღტაცებ-ისაგან გაშმაგებულიც კი იყო ამ „გმირობის ხელოვანებით“.

- აი ქალიც ამას ჰქვია! აი მესმის, ბატონო ჩემო, ქალი! - გაიძახოდა ის. - ჩვენ კი არა გვგავს; ვზივართ და ვართ ჩვენთვის, მას კი მოეხასია-თა ნამდვილი წყაროს წყალი - და დაეწაფა კიდეც. ეს... ეს უძველესი ქანდაკება. ეს, თქვენ ხართ, ჩემი ბატონი, მინერვას (ძვ. რომაელთა სიბრძნის ქალღმერთი.) ძველი ქანდაკებაა, ოღონდ ეგაა, რომ დადის და თანამედროვე ტანსაცმელი აცვია!

ვთხოვე, საქმეზე ილაპარაკეთ-მეთქი; როგორც წინასწარვე მიხვ-ედრილი ვიყავ, ის საქმე ჰქონდა, რომ მთხოვა, დაიჯერე და დაიყოლიე თავადი, წავიდეს ნიკოლაი ივანოვიჩთან და დახმარება სთხოვოსო. „თორემ შეიძლება ძალიან, ძალიან ცუდად წაუვიდეს საქმე და ჩემი ბრალი აღარ იქნება. ასეა თუ არა?“

თვალებში შემომციცინებდა, მაგრამ, მგონი, ფიქრადაც არ მოსვლ-ია, თუ იმაზე მეტი რამ მქონდა შეტყობილი, რაც გუშინ ვიცოდი. ან კი რანაირად წარმოიდგენდა: თავისთავად ცხადია, არც ერთი სიტყვით, გადაკვრითაც კი არ ვაგრძნობინე, რომ რაიმე ვიცი „აქციების თაობა-ზე“. დიდხანს კი არ გვილაპარაკია, მაშინვე შემპირდა, ფულს მოგცე-მო; „ბევრ ფულს, ბევრს, ბატონო ჩემო, ოღონდ დამეხმარეთ, რომ თა-ვადი წავიდეს ნიკოლაი ივანოვიჩთან. საჩქარო საქმეა, ძალზე საჩქა-

რო, ძალაც ისაა, რომ ამაზე საჩქარო არა იქნება რა!“

გუშინდელივით დავა-კამათი აღარ ვინდომე და წამოსასვლელად ავდექი, ყოველი შემთხვევისთვის სიტყვა მივუგდე, შევეცდები-მეთქი. მაგრამ უცებ გამოუთქმელად გამაკვირვა: ის იყო კარისკენ გავემართე, რომ მან, ანაზდად, ნაზად მომხვია ხელი წელზე და ლაპარაკი დამიწყო... ყოვლად გაუგებარ რამეებზე.

დაწვრილებით არ მოგიყვებით და არ გადმოგცემთ მთელს ლაპარაკს, რათა თავი არ მოგაბეზროთ. მთავარი აზრი ის გახლდათ, რომ შემომთავაზა, გამაცანით ბატონი დერგაჩევი, თქვენ აკი დადიხართ მათსაო!

მაშინვე გავყუჩდი და როგორც კი შემეძლო, შევეცადე არ გამეცა თავი რაიმე მოძრაობით. თუმცა მაშინვე მივუგე, სრულიად არავის ვიცნობ იქ, ხოლო თუ ვიყავი, მხოლოდ ერთხელ, ისიც შემთხვევით-მეთქი.

- ეგ ეგრეა, მაგრამ რაკი ერთხელ შეგიშვეს, მაშ მეორეჯერაც შეგიძლიათ მისვლა. ასეა თუ არა?

მე პირდაპირ, მაგრამ ძალზე მშვიდად ვკითხე, იქ რა გესაქმებათ-მეთქი? და აი დღემდე ვერ გამიგია, რანაირად ხდება ხოლმე, რომ ასეთი, უთუოდ, ჭკვიანი და „საქმიანი“ კაცი, როგორადაც ვასინმა დამიხასიათა ესოდენ მიამიტობას იჩენს? მან სავსებით პირდაპირ ამიხსნა, ეჭვი მაქვს, რომ დერგაჩევთან „უთუოდ აკრძალული, სასტიკად აკრძალული რამეები ხდება, და ამიტომ, რაკი გამოვარკვევ, ჩემთვის სახეიროდ გამოვიყენებო“. და ღიმილით ჩამიპაჭუნა მრაცხენა თვალი.

მე დასტური არ მიმიცია, ოღონდ თავი ისე დავიჭირე, თითქოს ჩავფიქრდი და აღვუთქვი, მოვიფიქრებ-მეთქი, მერე კი საჩქაროდ წამოვედი. საქმე რთულდებოდა; ვასინთან გავქანდი და ბედად შინ მივუსწარი.

- ა, თქვენც მოხვედით! - იდუმალად წარმოთქვა მან ჩემს დანახვაზე.

მე ამ სიტყვებს არ გამოვდევნებივარ, პირდაპირ საქმეს შევუდექი და ვუამბე. ეტყობოდა ჩემმა ნაამბობმა ძალიან იმოქმედა, თუმცა ოდნავადაც არ დაუკარგავს სიმშვიდე. ყველაფერი ხელახლა და წვრილად გამომკითხა.

- იქნებ თქვენ სწორად ვერ მიუხვდით?

- არა, ნამდვილად სწორად მივუხვდი, სრულიად პირდაპირ მითხრა.

- ყოველ შემთხვევაში ძალიან მადლობელი ვარ თქვენი, - დაუმატა მან გულწრფელად. - ჰო, მართლაც, თუ ყველაფერი ეგრე იყო, მას იმედი ჰქონდა, რომ თქვენ ვერ გაუძლებდით ფულით ცთუნებას.

- თანაც მეტისმეტად კარგად იცის ჩემი მდგომარეობა; მთელი ეს ხანი სულ ვთამაშობდი, ძალზე ცუდად ვიქცეოდი, ვასინ.

- ყური მოვკარი.

- ყველაზე მეტად რა ვერ გამიგია, იცით? მან ხომ იცის, რომ თქვენც დაიარებით იქ? - გავბედე შეკითხვა.

- მან ძალზე კარგად იცის, - სავსებით უბრალოდ მიპასუხა ვასინმა, - რომ იქ მე არაფერში ვურევივარ. მართალი გითხრათ, ის ახალგაზრდები უფრო ყბედობენ და სხვა არაფერი; თუმცა ეს თქვენც ყველაზე უკეთ უნდა გახსოვდეთ.

მომეჩვენა, თითქოს რაღაცაში არ მენდობოდა.

- ყოველ შემთხვევაში, ძალზე მადლობელი ვარ თქვენი.

- ყური მოვკარი, რომ ბატონ სტებელკოვს კარგად ვერა აქვს საქმე, - ვცადე კიდევ შეკითხვა, - ყოველ შემთხვევაში რაღაც აქციების შესახებ მითხრეს...

- რა აქციებს ამბობთ?

განგებ ვახსენე „აქციები“, ოღონდ, ცხადია, იმიტომ კი არა, რომ მეამბნა მისთვის თავადის გუშინდელი საიდუმლოება. მე მხოლოდ მინდოდა სიტყვა გადამეკრა, შემეხედნა და სახესა და თვალებზე შემეტყო, იცოდა რაიმე აქციებზე თუ არა? მიზანს მივაღწიე: უჩინრად და წამიერად სახეზე რაღაცამ გადაურბინა და მივხვდი, რომ იქნებ ამ ამბისაც იცოდა ზოგი რამ. მის კითხვას, რა აქციებს ამბობთო, დუმილით ვუპასუხე; მან კი, და ეს საინტერესოა, სიტყვა აღარ გააგრძელა ამაზე.

- ლიზავეტა მაკაროვნა როგორა გრძნობს თავს? - იკითხა თანაგრძნობით.

- კარგად გახლავთ. ჩემი და თქვენ მუდამ პატივს გცემდათ...

თვალებში კმაყოფილებამ გაუელვა: კარგა ხანი იყო მიმხვდარი ვიყავი, რომ ლიზა გულში ჩავარდნოდა.

- ამ დღეებში თავადი სერგეი პეტროვიჩი მეწვია, - მაცნობა უცებ.

- როდის? - წამოვიყვირე.

- სწორედ ამ ოთხი დღის უკან.

- გუშინ ხომ არ ყოფილა?

- არა, გუშინ არ ყოფილა. - მან კითხვით შემომხედა. - მერე იქნებ დაწვრილებით გიამბოთ ჩვენი შეხვედრა, მაგრამ ახლა საჭიროდ მიმაჩნია გაგაფრთხილოთ (იდუმალად წარმოთქვა ვასინმა), რომ ისე მომეჩვენა, თითქოს სულიერად და... ჭკუითაც ვერ უნდა იყოს მთლად ნორმალურად. თუმცა მე კიდევ ერთი ვიზიტი მქონდა, - გაიღიმა უცებ, - ეს წუთია ახლა, სანამ თქვენ მოხვიდოდით; და იძულებული ვიყავი ამჯერადაც დამესკვნა, ჩემი სტუმარი ვერაა მთლად ნორმალურად-მეთქი.

- თავადი ახლა იყო?

- არა, თავადი არ ყოფილა, ახლა თავადზე არ გელაპარაკებით. ახლა ჩემთან იყო ანდრეი პეტროვიჩ ვერსილოვი და... თქვენ არაფერი იცით? ხომ არაფერი შემთხვევია?

- იქნებ შეემთხვა კიდეც, მაგრამ სახელდობრ თქვენსა და მას შორის რა მოხდა? - აჩქარებით შევეკითხე მე.

- რა თქმა უნდა, საიდუმლო უნდა შემენახა... მე და თქვენ რაღაც უცნაურად, მეტისმეტად საიდუმლოდ ვლაპარაკობთ, - კვლავ გაიღიმა მან. - თუმცა, კაცმა რომ თქვას, ანდრეი პეტროვიჩს არ დავუნამუსებივარ, საიდუმლოა და არავისთან წამოგცდესო. მაგრამ თქვენ მისი ვაჟი ხართ, და რაკი ვიცი თქვენი გრძნობები მისდამი, ამიტომ ახლა, მგონი, კარგსაც ვიზამ, თუ გაგაფრთხილებთ. წარმოიდგინეთ. იმიტომ მოვიდა, რომ ეკითხა: „თუ, ვთქვათ, ამ დღეებში, ძალზე ჩქარა, დუელ-

ში მომიხდა გასვლა, დამთანხმდებით თუ არა სეკუნდანტობას?“. რა თქმა უნდა, უარი ვუთხარი.

უსაზღვროდ გავოცდი; ეს ახალი ამბავი ყველაზე უფრო შემაშფოთებელი იყო; რაღაც ამბავია, რაღაც მოხდა, აუცილებლად მოხდა რაღაც, რაც მე ჯერ კიდევ არ ვიცი! უცებ გაკვრით გამახსენდა, ვერსილოვმა რომ მითხრა გუშინ: „მე კი არ მოვალ შენთან, შენ მოირბენო“. გავქანდი თავად ნიკოლაი ივანოვიჩთან, რადგან ახლა კიდევ უფრო მეტად მეუბნებოდა გული, გამოცანას იქ ამოხსნიო. გამომშვიდობებისას ვასინმა კიდევ ერთხელ გადამიხადა მადლობა.

II

მოხუცი თავადი ბუხართან იჯდა და ფეხებზე პლედი შემოეხვია. რომ შემომხედა, კითხვაც კი აღებეჭდა თვალებში, თითქოს უკვირს, რამ მოიყვანაო, თუმცა თვითონ ლამის ყოველდღე მიგზავნიდა ხალხს, მოდიო. ტკბილად კი მომესალმა, მაგრამ პირველ კითხვებზე ცოტა არ იყოს ზიზღით და რაღაც საშინლად დაბნეულად მპასუხობდა. დროდადრო თითქოს რაღაცას საზრისობდა და ჩაციებით მაკვირდებოდა, თითქოს დაავიწყდა და უნდა გაიხსენოს რაღაც, რაც უეჭველად მე უნდა შემხებოდა. პირდაპირ ვუთხარი, ყველაფერი შევიტყვე და ძალზე მოხარული ვარ-მეთქი. მაშინვე ალერსიანი და კეთილი ღიმილი მოეფინა სახეზე და გამოცოცხლდა; წეღანდელი სიფრთხილე და უნდობლობა ხელად მოშორდა თითქოს დაავიწყდაო. და, რა თქმა უნდა, დაავიწყდა კიდეც.

- ჩემო საყვარელო მეგობარო, განა არა? ვიცოდი, რომ პირველი შენ მოხვიდოდი, და, არ დაიჯერებ, ჯერ წუხელვე გამახსენდი: ვის გაეხარდება? იმას გაეხარდება-მეთქი, სხვას კი არავის; მაგრამ ეს არაფერია, ხალხს მწარე ენა აქვს, მაგრამ ეს რა ანგარიშგასაწევია. Cher enfant, ყოველივე ეს ისე ამაღლებული და საუცხოო რამაა... მაგრამ შენ თვითონაც ხომ კარგად იცნობ ანა ანდრეევნას. შენზე ძალზე კარგი აზრისაა. ეს, ეს მკაცრი და მშვენიერი სახეა, ინგლისური კიპსეკიდან (გრავიურების, ნახატების მდიდრული გამოცემა. მეტწილად ქალთა სახეებია; ხანდახან ტექსტიც ახლავს ხოლმე.) გადმოსული სახე. ესაა უმშვენიერესი ინგლისური გრავიურა, როგორიც კი შეიძლება არსებობდეს... შარშანწინ მთელი კოლექცია მქონდა ასეთი გრავიურებისა... ყოველთვის, ყოველთვის მქონდა ეს განზრახვა, ყოველთვის; ის მიკვირს ოღონდ, რატომ არასდროს არ მომივიდა აზრად.

- თქვენ, რამდენადაც მახსოვს, მუდამ გამორჩევით გიყვარდათ ანა ანდრეევნა.

- ჩემო მეგობარო, ჩვენ არ გვინდა ვისმე რამე დავუშავოთ. მეგობრებთან, ნათესავებთან, გულით საყვარელ ადამიანებთან ერთად ცხოვრება - აი სამოთხე. ყველანი პოეტები არიან... ერთი სიტყვით, ეს ჯერ კიდევ წინაისტორიული დროიდანაა ცნობილი. იცი, მომავალ ზაფხულს ჩვენ ჯერ სოდენში წავალთ, მერე კი ბადჰაშტეინში. რა ამ სიტყვ-

ის პასუხია და, რა ხანია არ მოსულხარ, ჩემო მეგობარო; რა დაგემართა? გელოდი. რა დიდი ხანი გავიდა მას მერე, არა? ოღონდ ისა მწყინს, რომ მშვიდად ვერა ვარ; როგორც კი მარტო დავრჩები, მაშინვე მოუსვენრობა ამიტანს ხოლმე. აი ამიტომაც არ შეიძლება ჩემი მარტო დარჩენა, ხომ მართალია? ეს ხომ ორჯერ ორია. ანა ანდრეევნამ ორიოდე სიტყვა მითხრა და მაშინვე მივხვდი ამას. ო, ჩემო მეგობარო, მან მხოლოდ ორი სიტყვა მითხრა, მაგრამ ეს... ეს იყო უდიდებულესი ლექსის მაგვარი რაღაც. თუმცა შენ ხომ მისი ძმა ხარ, თითქმის ძმა ხარ, ხომ მართალია? ჩემო კარგო, ტყუილად როდი მყვარებიხარ ასე ძალიან! გეფიცები, გული მეუბნებოდა, რომ ყველაფერი ასე მოხდებოდა, ხელზე ვაკოცე ანა ანდრეევნას და ავტირდი.

ცხვირსახოცი ამოიღო, თითქოს ისევ ატირებას აპირებდა. ძალზე შეძრწუნებული იყო და, მგონი, რაც ვიცნობდი, ასეთ დღეში არ მენახა მის ყველაზე ცუდ „მდგომარეობაშიც“ კი. ჩვეულებრივად და თითქმის ყოველთვის გაცილებით უფრო უკეთ და მხნედ გამოიყურებოდა ხოლმე.

- მე ყველას მივუტევებდი, ჩემო მეგობარო, - განაგრძობდა ტიტინს. - მე მინდა ყველას მივუტევო და კარგა ხანია აღარავის ვუწყრები. ხელოვნება, la poésie dans la vie (პოეზია ცხოვრებაში (ფრანგ.).), ღატაკთა განკითხვა და ანა ანდრეევნას ბიბლიური მშვენება. Quelle charmante personne, ah? Les chants de Salomon... non, ce n’est pas Salomon, c’est David qui mettait une jeune belle dans son lit pour se chauffer dans sa vieillesse. Enfin David, Salomon(რა მომხიბვლელი არსებაა, ჰა? სოლომონის საგალობლები... არა, სოლომონი კი არა, დავითი იყო, სარეცელზე ქორფა მზეთუნახავს რომ იწვენდა, რათა თავისი სიბერე გაეთბო, მოკლედ დავითი, სოლომონი (ფრანგ.).), ყველაფერი ამერია თავში - ნამდვილი ქაოსი მაქვს. ყოველი საგანი, cher enfant, შეიძლება დიადიც იყოს და იმავ დროს სასაცილოც. Cette jeune belle de la vieillesse de David — c’est tout un poème (ბებერი დავითის ეს ქორფა მზეთუნახავი - ეს ხომ მთელი პოემაა (ფრანგ.).), პოლ-დე-კოკს კი ამ ამბიდან რაღაც scène de bassinoire (აქ - საჩარჩოო სცენა (ფრანგ.).) გამოუვიდოდა და ჩვენც სიცილით დავიხოცებოდით, პოლ-დე-კოკმა არც ზომა იცის და არც გემოვნება აქვს, თუმცა ნიჭიერი კია... კატერინა ნიკოლაევნა იღიმება... მე ვუთხარი, ხელს არ შეგიშლით-მეთქი. ჩვენ დავიწყეთ ჩვენი რომანი და დაგვაცალონ მისი დასრულება. დაე ეს ოცნება იყოს, მაგრამ ნუ წაგვართმევენ ამ ოცნებას.

- როგორ თუ ოცნებას, თავადო?

- ოცნება? რა ოცნება? კეთილი, ოცნება იყოს, ოღონდ დაგვაცალონ ამ ოცნებით მოვკვდეთ.

- ო, თავადო, სასიკვდილო რა გაქვთ? უნდა იცოცხლოთ, სწორედ ახლა უნდა იცოცხლოთ!

- მაშ მე რაღას ვამბობ? მეც მაგას გავიძახი. ვერ გამიგია, რატომაა სიცოცხლე ასე ხანმოკლე. რა თქმა უნდა, რათა მოსაწყენი არ შეიქნეს, ვინაიდან სიცოცხლეც თვით შემოქმედის მხატვრული ნაწარმოებია, რომელიც პუშკინის ლექსის დასრულებული და წუნდაუდებელი ფორმითაა მოცემული. მხატვრულობის პირველი პირობა სიმოკლეა. მაგრამ თუკი ვისმეს არ მოსწყენია, იმას უნდა აცალონ დიდხანს სიცოცხლე.

- ერთი ეს მიბრძანეთ, თავადო, ეს ამბავი უკვე გახმაურდა?

- არა, ჩემო კარგო, სრულიადაც არა. ჩვენ ეგრეც შევთანხმდით. ეს ოჯახურად მოხდა, მხოლოდ და მხოლოდ ოჯახურად. ჯერჯერობით მე მხოლოდ კატერინა ნიკოლაევნას გავუმხილე ყველაფერი, რადგან თავს დამნაშავედ ვთვლი მის წინაშე. ო, კატერინა ნიკოლაევნა ანგელოზია, ნამდვილი ანგელოზი!

- დიახ, დიახ!

- ჰო?შენც ამას ამბობ? მე კი მეგონა, სწორედ შენ იყავ მისი მტერი. ჰო, მართლა, მან ხომ მთხოვა, რომ აღარ მიმეღე. და წარმოიდგინე, რომ შემოხვედი, უცებ აკი დამავიწყდა მისი თხოვნა.

- ეგ რა ბრძანეთ? - წამოვიჭერი მე. — რისთვის? როდის?

(წინათგრძნობას არ უღალატნია ჩემთვის; დიახ, სწორედ რაღაც ამდაგვარს ვგრძნობდი ტატიანას სიტყვების მერე!).

- გუშინ, ჩემო კარგო, გუშინ, და არც კი მესმის, რანაირად შემოხვედი, რადგან ზომები მიღებულია. როგორ შემოხვედი?

- ჩვეულებრივად.

- ეგ ჭკუასთან ახლოა. ეშმაკობა რომ გეხმარა, უთუოდ დაგიჭერდნ-

ენ, მაგრამ რაკი უბრალოდ შემოხვედი, ამათაც შემოგიშვეს. უბრალოება, mon cher, კაცმა რომ თქვას, უმაღლესი ეშმაკობაა.

- ვერაფერი გამიგია, მაშ თქვენც გადაწყვეტილი გქონდათ არ მიგეღოთ?

- არა, ჩემო მეგობარო, მე ვუთხარი, ეგ მე არ მეხება-მეთქი... ესე იგი სრული თანხმობა მივეც. და დარწმუნებული იყავ, ჩემო კარგო ბიჭუნავ, რომ ძალიან მიყვარხარ. მაგრამ კატერინა ნიკოლაევნამ ძალიან, ძალიან დაბეჯითებით მოითხოვა... აი ისიც!

იმ წუთში უცებ კარებში გამოჩნდა კატერინა ნიკოლაევნა. საგარეოდ გამოწყობილიყო და, როგორც წინათ იცოდა ხოლმე, შემოიარა მამასთან, რათა ეკოცნა, რომ დამინახა, შეჩერდა, დაიბნა, სწრაფად გაბრუნდა და გავიდა.

- Voilà! - წამოიძახა თავზარდაცემულმა და საშინლად აღელვებულმა თავადმა.

- ეს გაუგებრობაა! — წამოვიყვირე მე. - ეს სულ წუთიერი რაღაცაა... მე... მე ახლავე მოვალ, თავადო!

და კატერინა ნიკოლაევნას გავეკიდე.

მერე ყველაფერი, რაც ამას მოჰყვა, ისე სწრაფად მოხდა, რომ არამცთუ არ შემეძლო რაიმეს მოსაზრება, სულ ცოტათიც კი ვერ შევემზადე, როგორ მოვიქცე-მეთქი. ეს რომ შემძლებოდა, ცხადია, სულ სხვაგვარად მოვიქცეოდი! მაგრამ პატარა ბიჭივით დავიბენი. ჯერ მისი ოთახებისკენ გავქანდი, მაგრამ გზად შემოხვედრილმა ლაქიამ მითხრა, კატერინა ნიკოლაევნა უკვე გავიდა და საცაა კარეტაში ჩაბრძანდებაო. კისრისტეხით ჩავქანდი სადარბაზო კიბეზე. კატერინა ნიკოლაევნას თავისი ქურქი ეცვა და ძირს ჩადიოდა; გვერდით მიჰყვებოდა, ან, უკეთ რომ ვთქვათ, მიჰყავდა კატერინა ნიკოლაევნა მაღალ, ტანად ოფიცერს, რომელსაც ფორმა ეცვა და ხმალი ეკეთა, ფარაჯა კი არ ეცვა; ფარაჯა ეკავა ლაქიას, რომელიც უკან მისდევდა. ეს გახლდათ ბარონი, პოლკოვნიკი, ასე ოცდათხუთმეტი წლისა. ოფიცრის კოხტა ტიპი, ხმელ-ხმელი, ცოტა არ იყოს მეტისმეტად მოგრძო სახისა, თმაწითური, წამწამებიც კი წითური ჰქონდა. სახით თუმცა ულამაზოც კი ეთქმოდა, მაგრამ მკვეთრი და გამომწვევი ფიზიონომია ჰქონდა. ნაჩქარევად აგიწერთ, როგორადაც დავინახე იმ წუთში. მანამდე კი არას-

ოდეს მენახა. უქუდოდ და უქურქოდ მივდევდი კიბეზე. პირველმა კატერინა ნიკოლაევნამ შემნიშნა და საჩქაროდ გადაუჩურჩულა რაღაც. პოლკოვნიკმა მომხედა, მაგრამ მაშინვე თავით ანიშნეა მსახურსა და მეკარეს. უკვე გასასვლელ კართან ვიყავი, რომ მსახურმა ფეხი გადმოდგა ჩემკენ, მაგრამ ხელით მოვიშორე და პარმაღზე გავხტი. ბიორინგი ეტლში სვამდა კატერინა ნიკოლაევნას.

- კატერინა ნიკოლაევნა! კატერინა ნიკოლაევნა! - გავიძახოდი უაზროდ (როგორც ბრიყვი! როგორც ბრიყვი! ო, ყველაფერი მაგონდება, მე უქუდოდ ვიყავი!).

ბიორინგი მრისხანედ მიუბრუნდა მსახურს და ხმამაღლა დაუყვირა რაღაც, ერთი თუ ორი სიტყვა, ვერ გავარჩიე. ვიგრძენი, რომ ვიღაცამ იდაყვზე ხელი მტაცა. ამ დროს კარეტა დაიძრა; მე ისევ ვიყვირე და კარეტას გამოვუდექი. კარგად დავინახე, რომ კატერინა ნიკოლაევნა კარეტის სარკმლიდან იხედებოდა და, მგონი, ძალზე შეშფოთებულიც იყო. მაგრამ როცა გამოვუდექი, ისე სწრაფად მომივიდა, რომ უცებ, სულაც არ მიფიქრია, ღონივრად დავეჯახე ბიორინგს და, მგონი, ძალზე მაგრადაც დავადგი ფეხი. მან ოდნავ წამოიყვირა, კბილები გააღრჭიალა, ხელი ღონივრად ჩამავლო მხარში და გაბრაზებულმა ისე მკრა, რომ სამ ნაბიჯზე გავვარდი. ამ დროს ფარაჯა მიართვეს, მან მოიხურა, მარხილში ჩაჯდა, მარხილიდან კიდევ ერთხელ მრისხანედ დაუყვირა ლაქიას და მეკარეს და ჩემზე ანიშნა. მათ ხელი დამავლეს და შემაკავეს: ერთმა მსახურმა ქურქი მომახურა, მეორემ ქუდი მომაწოდა და - აღარ მახსოვს, რას მეუბნებოდნენ; ისინი რაღაცას მეუბნებოდნენ, მე კი ვიდექი და ყურს ვუგდებდი, თუმცა არაფერი მესმოდა. მაგრამ უცებ მივატოვე და გავიქეცი.

III

გზაში ვერაფერს ვხედავდი, ხალხს ვეჯახებოდი. ბოლოს, როგორც იქნა, მივირბინე ტატიანა პავლოვნას ბინაზე, ვერც კი მოვისაზრე ეტლი მექირავებინა. ბიორინგმა ხელი წამკრა კატერინა ნიკოლაევნას თვალწინ! ცხადია, ვატკინე ფეხი და მანაც ინსტინქტურად წამკრა ხელი, როგორც კაცმა, რომელსაც ბებერაზე ფეხი დაადგეს (იქნებ მართლაც ბებერა ვატკინე!). მაგრამ კატერინა ნიკოლაევნამ დაინახა ისიც, რომ მსახურებმა ხელი მტაცეს, და ყველაფერი ეს მის თვალწინ მოხდა, მის თვალწინ! როცა ტატიანა პავლოვნასთან შევირბინე, პირველ წუთას ვერაფრის თქმა მოვახერხე და ქვედა ყბა ხურვებაშეყრილივით მიკანკალებდა. მჭირდა კიდეც ხურვება, და გარდა ამისა, ვტიროდი... ო, ისე შეურაცხყოფილი ვიყავ!

- აა! რაო? გამოგაპანღურეს? ეგრე მოგიხდება, ეგრე! - წარმოთქვა ტატიანა პავლოვნამ; უხმოდ დავეშვი დივანზე და მივაჩერდი.

- რა ვქნა, რა დაემართა?! - დაკვირვებით ამათვალიერ-ჩამათვალიერა მან. - აჰა, დალიე ერთი ჭიქა, დალიე წყალი, დალიე! მითხარი, კიდევ რა მოიმოქმედე?

მე წავიბუტბუტე, გამომაგდეს, ბიორინგმა კი ქუჩაში ხელი წამკრამეთქი.

- შეგიძლია რამე შეისმინო თუ ჯერ არა? აჰა, წაიკითხე და დასტკბი, - აიღო მაგიდიდან ბარათი, მომცა, თვითონ კი წინ გამიჩერდა მოლოდინით. მაშინვე ვიცანი ვერსილოვის ხელი, სულ რამდენიმე სტრიქონი იყო: ეს გახლდათ კატერინა ნიკოლაევნასადმი მიწერილი ბარათი. შევკრთი და წამით მთელი ძალით დამიბრუნდა გაგების უნარი. აი სიტყვასიტყვით ამ საშინელი, უმსგავსი, სულელური, ავაზაკური ბარათის შინაარსი:

„მოწყალეო ხელმწიფავ,

კატერინა ნიკოლაევნა.

რარიგ გარყვნილიც არ უნდა იყვეთ თქვენი ბუნებითა და თქვენი ხელოვანებით, მაინც მეგონა, რომ მოერეოდით თქვენს ვნებებს და სხ-

ვა თუ არაფერი, ბავშვებთან მაინც არაფერს შეეცდებოდით. მაგრამ თქვენ ესეც კი არ ითაკილეთ. გაცნობებთ, რომ თქვენთვის ცნობილი დოკუმენტი ნამდვილად არ დაუწვავთ სანთლის ალზე და არც არასოდეს ჰქონია კრაფტს, ასე რომ, აქ ვერაფერს მოიგებთ. ამიტომაც ტყუილ-უბრალოდ ნუ რყვნით ჭაბუკს. დაინდეთ, ის ჯერ ასაკოვანი არაა, თითქმის ბიჭია, განუვითარებელი გონებრივადაც და ფიზიკურადაც; რა ხეირია თქვენთვის? გული შემტკივა მისთვის და ამიტომაც გავბედე ამ ბარათის მოწერა, თუმცა წარმატების იმედი კი არა მაქვს. მაქვს პატივი გაგაფრთხილოთ, რომ ბარათის ასლს ამასთან ერთად ვუგზავნი ბარონ ბიორინგს.

ვერსილოვი“.

კითხვის დროს ფერი მიმდიოდა, მაგრამ მერე ერთბაშად ავენთე და აღშფოთებისაგან ტუჩები ამიკანკალდა.

- ამას ჩემზე წერს! იმაზე წერს, რაც გუშინწინ გავუმხილე! - წამოვიძახე გააფთრებულმა.

- საქმეც ეგაა, რომ გაუმხილე! - ხელიდან გამომგლიჯა ბარათი ტატიანა პავლოვნამ.

- მაგრამ... მე სხვა, სულ სხვა რამ ველაპარაკე! ო, ღმერთო, ვინ იცის რას ფიქრობს ახლა ჩემზე კატერინა ნიკოლავნა! მაგრამ ვერსილოვი ხომ გიჟია? ის გიჟია... გუშინ ვნახე. წერილი როდისღა გაუგზავნია?

- გუშინ დილით გაუგზავნია, კატერინა ნიკოლავნამ საღამოთი მიიღო, დეს კი მე გადმომცა პირადად.

- მაგრამ მე გუშინ ვნახე ვერსილოვი, ის გიჟია! ასეთი ბარათის დაწერა ვერსილოვს არ შეეძლო, ეს გიჟის დაწერილია! ასე ვინ წერს ქალს?

- აი სწორედ ეგეთი გიჟები სწერენ, როცა გააფთრდებიან, ეჭვიანობისა და ბრაზისაგან ბრმავდებიან და ყრუვდებიან, სისხლის ნაცვლად კი შხამი და დარიშხანა სდით ძარღვებში... შენ ჯერ არ იცი, რა კაციცაა! აი ახლა ნახავს თავის სეირს, სულს რომ გააფრთხობინებენ. თვითონვე უშვერს თავს ხმალს! ისა სჯობდა, გასულიყო ღამით ნიკოლოზის რკინიგზაზე და თავი ლიანდაგზე დაედო, - წააცლიდნენ იმ თავს და ის იქნებოდა, რაკი დამძიმებია მისი ტარება! შენ კიდევ რამ წამოგაროშვინა? რას ახელებდი? წატრაბახება მოგინდა?

- მაინც რა სიძულვილია! რა სიძულვილი! - თავში ხელი ვიტკიცე. - და რისი გულისთვის? რისთვის? ქალის ასე შეძულება! ისეთი რა დაუშავა? ისეთი რა დამოკიდებულება ჰქონდათ, რომ ასეთი წერილების წერა შეიძლებოდეს?

- სი-ძულ-ვი-ლი! - გააფთრებული დაცინვით გამომაჯავრა ტატიანა პავლოვნამ.

ისევ სისხლი სახეში ამივარდა: ანაზდად თითქოს სულ ახალ რამეს მივხვდი; გამწარებული ჩავაჩერდი კითხვით აღსავსე თვალებით.

- მოოომწყდი თავიდან! — დაიწივლა მან, სწრაფად შემაქცია ზურგი და ხელი ამიქნია. - მეყო, რაც გელოლიავეთ ყველას! კმარა! ისემც მომხდარა, დედამიწა გახეთქილა და თან ჩაუტანიხართ ყველანი!... მარტო დედაშენი მეცოდება კიდევ...

ცხადია, ვერსილოვთან გავიქეცი. მაინც ეს რა ვერაგობაა! რა ვერაგობაა!

IV

ვერსილოვი მარტო არ დამხვედრია. წინასწარ აგიხსნით: რაკი გუშინ ისეთი წერილი გაუგზავნა კატერინა ნიკოლავნას და მართლაც (მარტოოდენ ღმერთმა უწყის რისთვის) ასლი ბარონ ბიორინგს გაუგზავნა, ბუნებრივია, მას დღესვე, დღის განმავლობაში, მოლოდინი უნდა ჰქონოდა თავისი საქციელით გამოწვეული გარკვეული „შედეგებისა“, ამიტომაც თავისებურად ზომები მიეღო: დილიდანვე დედაჩემი და ლიზა (რომელიც, როგორც მერე შევიტყვე, დილით, დაბრუნებულიყო თუ არა, ავად შექნილიყო და იწვა) გადაეყვანა ზევით, „კუბოში“, ხოლო ოთახები, განსაკუთრებით კი ჩვენი „სასტუმრო“. გულმოდგინედ მიელაგებინათ და გამოეხვეტათ. მართლაც, ნაშუადღევის ორ საათზე მობრძანებულა ვინმე ბარონი რ., პოლკოვნიკი, სამხედრო, ორმოციოდე წლის კაცი, წარმოშობით გერმანელი, მაღალ-მაღალი, ხმელ-ხმელი და, როგორც ეტყობოდა, ფიზიკურად ძალზე ღონიერი, ბიორინგივით წითური, ოღონდ ცოტათი მელოტი. ეს გახლდათ ერთი იმ ბარონთაგანი, რომლებიც ძალზე ბლომად არიან რუსეთის სამხედრო სამსახურში, ასეთ ადამიანებს ძალიან თავი მოაქვთ თავიანთი ბარონობით, სულს იქით არაფერი აბადიათ, მარტო ჯამაგირით ცხოვრობენ და ძალზე თავგადადებული და ბეჯითი მოსამსახურეები არიან. მათი საუბრის დასაწყისს ვერ მივუსწარი, ორივენი ძალზე გაცხარებით ლაპარაკობდნენ, ან კი როგორ არ ილაპარაკებდნენ გაცხარებით. ვერსილოვი მაგიდასთან, დივანზე იჯდა, ბარონი კი გვერდით მდგარ სავარძელში. ვერსილოვს ფერი არ ედო, მაგრამ თავშეკავებით და სიტყვების ცრით ლაპარაკობდა, ბარონი კი ხმას უმაღლებდა და, ეტყობოდა, ფიცხელი მოძრაობები უყვარდა; ძლივს იკავებდა თავს, მაგრამ მკაცრად, ქედმაღლურად და, ასე გასინჯეთ, ზიზღით იყურებოდა, თუმცა, ცოტა არ იყოს, გაოცებასაც გამოხატავდა. მე რომ დამინახა, მოიღუშა, მაგრამ ვერსილოვს თითქმის გაუხარდა ჩემი დანახვა:

- გამარჯობა, ჩემო კარგო. ბარონო, აი ეს გახლავთ ის ყმაწვილი კაცი, რომელზეც ლაპარაკია ბარათში და, მერწმუნეთ, ხელს არ შეგვიშლის, იქნებ დაგვჭირდეს კიდეც (ბარონმა ზიზღით ამათვალიერა). ჩემო კარგო, - მომიბრუნდა ვერსილოვი, - მოხარულიც კი ვარ, რომ მოხვედი, ამიტომ, გეთაყვა, კუთხეში დაჯექი, სანამ მე და ბარონი ლაპარაკს მოვრჩებოდეთ. ნუ სწუხართ, ბარონო, კუთხეში დაჯდება თავისთვის.

ჩემთვის სულ ერთი იყო, რადგან გადაწყვეტილება უკვე მიღებული მქონდა. ეგეც არ იყოს, ყოველივე ეს მაოცებდა; უსიტყვოდ დავჯექი კუთხეში, რაც შეიძლებოდა უფრო კუთხეში, და მათი ლაპარაკის დასრულებამდე ისე ვიჯექი, არ გავნძრეულვარ და თვალი არ დამიხამხამებია...

- კიდევ გიმეორებთ, ბარონო, - სიტყვების მტკიცე გამოკვეთით ეუბნებოდა ვერსილოვი, - რომ კატერინა ნიკოლაევნა ახმაკოვას, რომელსაც მივწერე ის უღირსი და ავადმყოფური წერილი, მე ვთვლი არა მხოლოდ უკეთილშობილეს, არამედ ყოვლად უნაკლო, სრულქმნილ არსებად!

- საკუთარი სიტყვების ეგეთი უარყოფა, როგორც უკვე მოგახსენეთ, მათს ხელახლა დადასტურებას ჰგავს, - წაიზმუვლა ბარონმა. - თქვენი სიტყვები აშკარად უპატივცემულოა.

- და მაინც ყველაზე სწორი ის იქნება, თუ ჩემს სიტყვებს ზუსტი მნიშვნელობით მიიღებთ. მე, უნდა მოგახსენოთ, გულყრა მჭირს და... სხვა და სხვა მოშლილობა, ასე გასინჯეთ, ვმკურნალობ კიდეც, და ამიტომაც ისე მოხდა, რომ ერთ-ერთ ასეთ წუთს...

- ეგეთი განმარტება არაფრით არ მიიღება. კიდევ და კიდევ გეუბნებით, რომ თქვენ ჯიუტად განაგრძობთ შეცთომას, იქნებ განზრახაც გინდათ, რომ ცთებოდეთ. თავიდანვე გაგაფრთხილეთ, რომ მთელი საკითხი იმ მანდილოსნის თაობაზე, ესე იგი გენერლის ქვრივ ახმაკოვასადმი თქვენი წერილის თაობაზე, ჩვენი ახლანდელი საუბრისას საბოლოდ უნდა იქნას აცილებული; თქვენ კი კვლავ უბრუნდებით. ბარონმა ბიორინგმა მთხოვა და დამავალა განსაკუთრებით გამერკვია საკუთრივ მხოლოდ ის, რაც მარტო მას ეხება, ესე იგი თქვენი თავხედური „ასლი“, ხოლო მერე მინაწერი, რომ „მზად ხართ ამისთვის პასუხი გასცეთ რითაც და როგორც ინებებს“.

- მე მგონია, ეს უკანასკნელი ამბავი უახსნაგანმარტებოდაც აშკარაა.

- მესმის, ეგ უკვე თქვით. თქვენ ბოდიშსაც კი არ იხდით, მხოლოდ დაჟინებით იმეორებთ, რომ „მზად ხართ პასუხი გასცეთ რითაც და როგორც ინებებს“. მაგრამ ეს ძალზე იაფი რამ იქნება. ამიტომ მე ახლა, რაკი თქვენ ჯიუტად გინდათ ასეთი ხასიათი მისცეთ ლაპარაკს, უკვე უფლებას მივცემ ჩემს თავს დაურიდებლად გითხრათ ყველაფერი, ესე

იგი: მე იმ დასკვნამდე მივედი, რომ ბარონ ბიორინგს არა-ვი-თარ შემ-თხვევაში არ შეუძლია იქონიოს თქვენთან საქმე... როგორც ტოლს ტოლთან.

- ეგეთი გადაწყვეტილება, რა თქმა უნდა, ყველაზე უფრო ხელსაყრ-ელია თქვენი მეგობარი ბარონი ბიორინგისთვის, და გამოგიტყდებით, სრულიადაც არ გამაკვირვეთ: მე ამას ველოდი.

ფრჩხილებში შევნიშნავ: პირველივე სიტყვებიდან, პირველივე შე-ხედვიდან ჩემთვის ძალზე აშკარა შეიქნა, რომ ვერსილოვს უნდა ამ ფხუკიანმა ბარონმა იფეთქოს, ამიტომ იწვევს და ახელებს მას და იქ-ნებ მეტისმეტადაც ცდის მის მოთმინებას. ბარონს სახე დაეღმიჭა.

- გამიგონია, რომ ხუმრობა გემარჯვებათ, მაგრამ ხუმრობა ჯერ კი-დევ არაა ჭკუის ნიშანი.

- მეტად ღრმააზროვანი შენიშვნაა, პოლკოვნიკო.

- მე არ მითხოვია თქვენთვის, შემაქეთ-მეთქი, - წამოიყვირა პოლ-კოვნიკმა. - არც წყლის სანაყავად მოვსულვარ! კეთილ ინებეთ და მო-მისმინეთ: ბარონი ბიორინგი საგონებელში ჩავარდა. თქვენი წერილი რომ მიიღო, იმიტომ რომ ის წერილი საგიჟეთზე მეტყველებდა. და, რა თქმა უნდა, შესაძლებელი იყო მაშინვე გამონახულიყო საშუალება, რათა თქვენ... დაემშვიდებინეთ. მაგრამ, ზოგი განსაკუთრებული მო-საზრების გამო, თქვენ მოწყალედ მოგექცნენ, და გაიკითხ-გამოიკითხ-ეს თქვენი ამბავი: გამოირკვა, რომ თუმცა კარგ საზოგადოებას მიეკ-უთვნებოდით და ოდესღაც გვარდიაშიც გიმსახურნიათ, მაგრამ საზო-გადოებიდან გაუძევებიხართ და ძალზე საეჭვო რეპუტაცია გაქვთ. არც ამას მივაქციეთ ყურადღება და მოვედი თქვენთან, რათა პირადად დავრწმუნებულიყავი და აი, გარდა ამისა, თქვენ სიტყვების თამაშის ნებასაც აძლევთ თავს და თქვენვე დაადასტურეთ, გულყრა მჭირსო... კმარა! ბარონ ბიორინგს მისი მდგომარეობა და რეპუტაცია ნებას არ აძლევს თავი დაიმდაბლოს ამ საქმეში... ერთი სიტყვით, მოწყალეო ხელმწიფევ, მაქვს რწმუნება განგიცხადოთ, რომ თუ ამას მოჰყვება ადრინდელი საქციელის განმეორება ან თუნდაც მსგავსი რამ, დამერ-წმუნეთ, დაუყოვნებლივ მივმართავთ ფრიად სწრაფსა და უტყუარ საშ-უალებებს თქვენს დასაწყნარებლად. ჩვენ კეთილმოწყობილ საზოგ-ადოებაში ვცხოვრობთ და არა ტყეში!

- ეგრე დარწმუნებული ხართ მაგაში, ჩემო კეთილო ბარონო რ.?

- ეშმაკმა დალახვროს, - წამოდგა უცებ ბარონი, - მეტისმეტად მაცთუნებთ, რათა ახლავე დაგიმტკიცოთ, რომ არცთუ მაინცდამაინც „თქვენი კეთილი ბარონი რ.“ გახლავართ.

- ახ, კიდევ ერთხელ გაფრთხილებთ, - წამოდგა ვერსილოვიც, - რომ აქვე ახლოს ჩემი ცოლი და ქალიშვილი არიან... ამიტომ გთხოვდით ეგრე ხმამაღლა ნუ ილაპარაკებთ, რადგან იქ ისმის თქვენი ყვირილი.

- თქვენი ცოლი... ეშმაკმა დალახვროს... მე თუ ახლა ვიჯექი აქ და გელაპარაკებოდით, მხოლოდ და მხოლოდ იმ მიზნით, რომ გამერკვია ეს ბინძური საქმე, - ადრინდელი გულისწყრომით განაგრძო ბარონმა და სრულიადაც არ დაუწევია ხმა. - კმარა! - წამოიძახა მან გააფთრებით. - თქვენ არა მარტო გამორიცხული ხართ წესიერ ადამიანთა წრიდან, თქვენ მანიაკიც ხართ, ნამდვილი ჭკუაზე შემცდარი მანიაკი და ეგრეც დაგახასიათეს! თქვენ შეწყნარების ღირსი არა ხართ, და გიცხადებთ, რომ თქვენს თაობაზე დღესვე იქნება მიღებული ზომები და გამოგიძახებენ ერთ ადგილას, სადაც შესძლებენ ჭკუა დაგიბრუნონ... და ქალაქიდან გაგაბრძანონ!

ბარონი სწრაფი და დიდი ნაბიჯებით გავიდა. ვერსილოვს არ გაუცილებია. იდგა, დაბნეული მიყურებდა და ვერც კი მამჩნევდა! უცებ გაიღიმა, თავი გაიქნია,ქუდს ხელი დაავლო და თვითონაც კარისკენ გაემართა. მე ხელში ვტაცე ხელი.

- ჰო, მართლა, შენც აქა ხარ? შენ... გაიგონე? - შეჩერდა ჩემ წინ.

- როგორ შეგეძლოთ ეგრე მოქცევა? როგორ შეგეძლოთ ეგრე დაგემახინჯებინათ, ეგრე წაგებილწათ ყველაფერი!... ეგრე ვერაგულად!

ის დაშტერებით მიყურებდა, მაგრამ ღიმილი უფრო და უფრო ემატებოდა და აშკარად სიცილით ეცვლებოდა.

- თქვენ ხომ თავი მომჭერით... კატერინა ნიკოლავნას წინაშე! მის წინაშე! მე მის თვალში მასხარად ამიგდეს, ბარონმა კი... ხელი მკრა! - წამოვიძახე გამწარებულმა.

- რას ამბობ? ახ, საბრალო ბიჭუნავ, რა მეცოდები... მაშ შენ იქ... მასხარად აგი-გდეს!

- თქვენ იცინით, მე დამცინით! თქვენ გეცინებათ!

სწრაფად გამომტაცა ხელი, ქუდი დაიხურა და სიცილით, უკვე ნამდვილი სიცილით, გარეთ გავიდა. რომ გამოვდევნებოდი კიდეც, რა აზრი ექნებოდა? რისთვის გამოვდევნებოდი? ყველაფერს მივხვდი - და ყველაფერი დავკარგე ერთ წუთში! უცებ დედა დავინახე; ზემოდან ჩამოსულიყო და დამფრთხალი იხედებოდა აქეთ-იქით.

- წავიდა?

მე უსიტყვოდ მოვეხვიე, და ისიც მაგრად, მაგრად მომეკრა.

- დედა, გენაცვალეთ, ნუთუ შეგიძლიათ აქ დარჩენა? წამოდით ახლა, მე შეგიფარებთ, მე თქვენთვის კატორღელივით ვიმუშავებ, თქვენთვის და ლიზასთვის... მივატოვოთ ყველანი, ყველანი და წავიდეთ. მარტო ჩვენ ვართ ერთად. დედა, გახსოვთ, ტუშართან რომ მოდიოდით ხოლმე ჩემს სანახავად და მე კი არ მინდოდა თქვენი ცნობა?

- მახსოვს, შვილო, მთელი სიცოცხლე დამნაშავე ვარ შენთან, გშობე და არ კი გიცნობდი.

- ისაა დამნაშავე, დედა, ყველაფერში ისაა დამნაშავე; მას არასოდეს ვუყვარდით.

- არა, ვუყვარდით.

- წავიდეთ, დედა.

- აბა როგორ დავტოვო, რა ბედნიერი ის არის?

- ლიზა სადაა?

- წევს; მოვიდა თუ არა, ჩაწვა; მეშინია. ძალზე გაჯავრებული არიან ანდრეი პეტროვიჩზე? რას უზამენ? სად წავიდა? ის ოფიცერი რას იმუქრებოდა?

- არაფერი მოუვა, დედა, იმას არასოდეს არაფერი ემართება; არასოდეს არაფერი მოუვა და არც შეიძლება მოუვიდეს, ისეთი კაცია! აი ტატიანა პავლოვნა, ამას ჰკითხეთ, თუ ჩემი არა გჯერათ, აი ისიც (ტატიანა პავლოვნა უცებ შემოვიდა ოთახში), მშვიდობით, დედა. მალე მოვალ, და როცა მოვალ, კვლავ ამასვე შეგეკითხებით...

სირბილით გამოვიჭერი გარეთ; მარტო ტატიანა პავლოვნასი კი

არა, საერთოდ არავისი ნახვა არ შემეძლო, დედა კი მტანჯავდა. მარტოობა მინდოდა, მარტოობა.

V

მაგრამ ერთი ქუჩაც არ მქონდა გავლილი, და ვიგრძენი, რომ აღარ შემიძლია სიარული, უაზროდ ვეჯახები იმ ხალხს, უცხოსა და გულგრილს; მაგრამ სად წავიდე? ვის ვუნდივარ და - რა მინდა მე ახლა? ანგარიშმიუცემლად მივბარბაცდი თავად სერგეი პეტროვიჩთან ისე, რომ მასზე არც კი მიფიქრია, შინ არ დამხვდა. პეტრეს (მის მსახურს) ვუთხარი, კაბინეტში დაველოდები-მეთქი (რაც ათასჯერ მიქნია). მისი კაბინეტი დიდი, ძალზე მაღალი, ავეჯით გაჭედილი ოთახი იყო. მივბარბაცდი ყველაზე ბნელ კუთხეში, დივანზე დავჯექი, იდაყვები მაგიდაზე დავაწყე და თავი ხელებზე დავასვენე. დიახ, აი, კითხვა: „რა მინდა მე ახლა?“. თუ შემეძლო კიდეც ამ კითხვის ჩამოყალიბება, პასუხის გაცემა მაინც არაფრით აღარ შემეძლო.

მაგრამ ხეირიანად აღარც ფიქრი შემეძლო, აღარც შეკითხვა. ზევით უკვე მოგახსენეთ, რომ იმ დღეების მიწურულს „ამბებმა გამსრისეს“; ახლა ვიჯექი და ყველაფერი ქაოსივით მიტრიალებდა გონებაში. „ჰო, მე ვერსილოვში ყველაფერი გამომეპარა და გულისყურს ვერ მოველ“, - გამიელვებდა დროდადრო. „ახლა მან შიგ სახეში შემომცინა: ჩემთვის კი არ დაუცინია; აქ სულ ბიორინგის ამბებია, და არა ჩემი. გუშინწინ რომ ვსადილობდით, მან უკვე ყველაფერი იცოდა და დაღვრემილი იჯდა. ის ჩაებღაუჭა ჩემს ტუტუცურ აღსარებას სამიკიტნოში და სიმართლე სულ დაამახინჯა. ან კი რად უნდოდა სიმართლე? თვითონაც არ სჯერა არც ერთი სიტყვა იმისა, რაც მისწერა. მას მხოლოდ კატერინა ნიკოლაევნას შეურაცხყოფა უნდოდა, უაზრო შეურაცხყოფა, თვითონაც რომ არ იცოდა, რისთვის, საბაბი იშოვნა და კუდი გამოაბა, საბაბი კი მე მივეცი... ცოფიანი ძაღლის საქციელია! ნეტავ ახლა ბიორინგის მოკვლა ხომ არ უნდა? რისთვის? მისმა გულმა უწყის, რისთვის! მე კი აღარაფერი ვიცი, რა უდევს გულში... არა, არა, ახლაც არ ვიცი. ნუთუ ასე ძლიერ უყვარს? ან ასე ძლიერ სძულს? მე არ ვიცი, მაგრამ თვითონ კი იცის? რატომ ვუთხარი დედას, არაფერი მოუვა-მეთქი; ამით რისი თქმა მინდოდა? დავკარგე ვერსილოვი თუ არ დამიკარგავს?“

„... მან დაინახა, როგორ მკრეს ხელი... ნეტავ ისიც იცინოდა თუ

არა? მე გავიცინებდი! ჯაშუში მიტყიპეს, ჯაშუში!...“

„რას ნიშნავს (გამიელვა უცებ), რას ნიშნავს, ვერსილოვმა რომ ჩაურთო ამ ბინძურ წერილში, დოკუმენტი არავისაც არ დაუწვავს, არსებობსო?...“

„ვერსილოვი არ მოჰკლავს ბიორინგს, ხოლო ახლა ალბათ სამიკიტნოში ზის და ლიუჩიას ისმენს! თუმცა იქნებ ლიუჩიას მერე წავიდეს და მოჰკლას ბიორინგი. ბიორინგმა ხელი მკრა, აკი თითქმის დამარტყა; დამარტყა კია? ბიორინგი ვერსილოვთანაც თაკილობს დუელს, მე რაღას გამომყვება? იქნებ სჯობდეს ხვალ ქუჩაში დავუხვდე და რევოლვერით მოვკლა...“. და ამ აზრმა ანგარიშმიუცემლად გამიარა გონებაში ისე, რომ ზედ არც კი შევჩერებულვარ.

ზოგი წუთი იყო, ოცნებით წარმოვიდგენდი, აი ახლა გაიღება კარი, შემოვა კატერინა ნიკოლაევნა, ხელს გამომიწვდის და ორივენი გავიცინებთ... ო, სტუდენტო, ჩემო ძვირფასო! ეს მელანდებოდა, ესე იგი მენატრებოდა, როცა ოთახში უკვე ძალიან ჩამობნელდა. „განა რა დიდი ხანი გავიდა მას მერე, რაც მის წინ ვიდექი, ვეთხოვებოდი, ის კი ხელს მართმევდა და მიცინოდა? როგორ უნდა მომხდარიყო, რომ ასე მოკლე ხანში ასეთი საშინელი მანძილი აღიმართა ჩვენ შორის! უბრალოდ უნდა წავიდე ახლა მასთან და ახლავე ავუხსნა ყველაფერი, ამ წუთში, უბრალოდ, უბრალოდ! ღმერთო, ასე უცებ რანაირად დაიწყო სულ ახალი სამყარო! ჰო, ახალი სამყარო, სრულიად, სრულიად ახალი... ხოლო ლიზაც, თავადიც, ესენი კიდევ ძველი სამყაროდან არიან... აი მე ახლა აქ თავადთან ვარ. დედაჩემიც, - რანაირად შეეძლო მასთან ცხოვრება, თუ ასე იყო? მე შევძლებდი, მე ყველაფერს შევძლებდი, მაგრამ დედას რანაირად შეეძლო? ახლა რა მოხდება?“. აი ასე, როგორც გრიგალში იცის ხოლმე, ჩემს სნეულ ტვინში აირივნენ ლიზას, ანა ანდრეევნას, სტებელკოვის, თავადის, აფერდოვის, ყველას ფიგურები. მაგრამ ფიქრები სულ უფრო და უფრო უფორმო და მოუხელთებელი ხდებოდა; მიხაროდა, როცა მოვახერხებდი რაიმე აზრის ჩამოყალიბებასა და ჩაჭიდებას.

„მე მაქვს „იდეა“! - გავიფიქრე უცებ. - მაგრამ მაქვს კია? იქნებ ტყუილად დავიჟინე? ჩემი იდეა - სიბნელეა და განმარტოება, მაგრამ განა ახლა უკვე შესაძლებელია სიბნელეში დაბრუნება? ახ, ღმერთო ჩემო, მე ხომ ჯერ არ დამიწვავს „დოკუმენტი“! აკი დამავიწყდა გუშინწინ დამეწვა. შინ რომ მივალ, სანთლის ალზე დავწვავ, სწორედ სანთლის ალზე; ოღონდ აღარ ვიცი, ისევ იმ ჭკუაზე ვარ თუ არა...“.

კარგა ხანი იყო დაბნელდა და პეტრემ სანთლები შემოიტანა. თავზე დამადგა და მკითხა: ჭამეთ რამე თუ არაო? მე მხოლოდ ხელი ჩავიქნიე. მაგრამ ერთი საათის მერე ჩაი შემომიტანა და ხარბად შევსვი ერთი დიდი ფინჯანი. მერე ვიკითხე, რომელი საათია-მეთქი. ცხრის ნახევარი იყო, და არც კი გამკვირვებია, აგერ უკვე ხუთი საათი რომ ვიჯექი.

- ბარე სამჯერ კი შემოგაკითხეთ, - მითხრა პეტრემ, - მაგრამ მგონი გეძინათ.

მე კი არ მახსოვდა მისი შემოსვლა. არ ვიცი რატომ, მაგრამ უცებ საშინლად შემაშინა იმან, რომ „მეძინა“, ავდექი და მოვყევი ოთახში სიარულს, რათა ისევ არ „დამძინებოდა“. ბოლოს ძალზე ამტკივდა თავი. ზუსტად ათ საათზე შემოვიდა თავადი და გამიკვირდა, რომ ველოდებოდი; სრულიად, სრულიად აღარ მახსოვდა თავადი.

- აქ ყოფილხართ, მე კი თქვენთან ვიყავი, უნდა წამომეყვანეთ, - მითხრა მან. დაღვრემილი და მკაცრი სახე ჰქონდა, ოდნავი ღიმილიც კი არ გადაჰკრავდა. თვალებში უძრავი ფიქრი ჩასდგომოდა.

- მთელი დღე თავი ვიმტვრიე, რა არ ვიღონე, - განაგრძო მან გაშტერებით, - არაფერმა გამიმართლა, მომავალი კი საშინელების მეტს არას მიქადის... (NB. მართლაც არ წასულიყო თავად ნიკოლაი ივანოვიჩთან). ჟიბელსკი ვინახულე, აუტანელი კაცია. საქმე ასეა: ჯერ ფული უნდა ვიშოვო, მერე კი ვნახოთ. ხოლო თუ ფულითაც ვერაფერს გავხდი, მაშინ... მაგრამ გადავწყვიტე დღეს ამაზე აღარ ვიფიქრო. დღეს მხოლოდ ფული ვიშოვოთ, ხვალ კი ვნახოთ. თქვენი გუშინწინდელი მოგებისთვის კაპიკიც არ მომიკლია. სამი ათასს სამი მანეთი აკლია. თქვენი ვალი რომ გამოვქვითოთ, სამას ორმოცი მანეთი უნდა მოგცეთ. აიღეთ ეს თქვენი ფული და კიდევ შვიდასი მანეთი, რომ ათასი შეასრულოთ, მე კი დანარჩენ ორი ათასს ავიღებ. მერე წავიდეთ ზერშჩიკოვთან, ორ სხვადასხვა ბოლოში დავსხდეთ და შევეცადოთ მოვიგოთ ათი ათასი - იქნებ რამეს გავხდეთ, თუ არ მოვიგებთ - მაშინ... თუმცა, სხვა აღარაფერი დამრჩენია.

მან ფატალურად შემომხედა.

- ჰო, ჰო! - წამოვიძახე უცებ, თითქოს მკვდრეთით აღვდექი. - წავიდეთ! მეც სწორედ თქვენ გელოდით...

უნდა აღვნიშნო, რომ ამ საათებში წამითაც კი არ მიფიქრია რულ-

ეტზე.

- მერე უსინდისობა? მერე საქციელის სიმდაბლე? - მკითხა უცებ თავადმა.

- რულეტის თამაშზე ამბობთ? ესაა ყველაფერი! - წამოვიძახე მე. - ფულია ყველაფერი! მარტო მე და თქვენა ვართ წმიდანები, თორემ ბიორინგმა ხომ გაყიდა თავი. ანა ანდრეევნამ აკი გაყიდა თავი, ხოლო ვერსილოვი - შეიტყვეთ, რომ ვერსილოვი მანიაკია? მანიაკია! მანიაკი!

- თავს როგორა გრძნობთ, არკადი მაკაროვიჩ? რაღაც უცნაური თვალები გაქვთ.

- მაგას იმიტომ ამბობთ, რომ უჩემოდ წახვიდეთ? ახლა აღარ მოგეშვებით, ძალიანაც რომ მოინდომოთ. ტყუილად კი არ მესიზმრებოდა მთელი ღამე თამაში. წავიდეთ, წავიდეთ! - გავიძახოდი, თითქოს უცებ ვპოვე ყველაფრის ახსნა.

- მაშ წავიდეთ, თუმცა თქვენ გაცივ-გაცხელებთ და თავად უნდა იყოთ, იქ კი...

სიტყვა არ დაასრულა. მძიმე, საშინელი სახე ჰქონდა. უკვე ოთახიდან გავდიოდით.

- იცით თუ არა, - შეჩერდა უცებ კარებში, - რომ თამაშის გარდა არის კიდევ ერთი გამოსავალი გასაჭირიდან?

- რომელი?

- თავადიშვილური!

- მაინც რა? რომელი?

- მერე შეიტყობთ, რაცაა. ეს კი იცოდეთ, რომ მე უკვე აღარ ვარ ღირსი თავადიშვილური გამოსავლისა, იმიტომ რომ დავიგვიანე. წავიდეთ, თქვენ კი დაიხსომეთ ჩემი სიტყვა. ვცადოთ ლაქიური გამოსავალი... განა არ ვიცი, რომ შეგნებულად, სრული ნებაყოფლობით, მივდივარ და ვმოქმედობ, როგორც ლაქია!

VI

მე გავქანდი რულეტის სათამაშოდ, თითქოს იქ იყო მთელი ჩემი ხსნა, მთელი

გამოსავალი, ამასთან კი, როგორც უკვე ვთქვი, თავადის მოსვლამდე არც კი გამხსენებია თამაში. ეგეც არ იყოს, ჩემთვის ხომ არ ვაპირებდი თამაშს, თავადის ფულით უნდა მეთამაშა ისევ თავადისთვის; ვერ მომისაზრებია, რა მიზიდავდა იქით, მაგრამ დაუძლეველად კი მიზიდავდა. ო, არასოდეს მჩვენებია ეს ხალხი. ეს სახეები, ეს კრუპირები (კაცი, ვინც მებანკის მოვალეობას ასრულებს და თვალყურს ადევნებს თამაშს ბანქოს სამორინეში.), ეს თამაშის შეძახილები, ზერშჩიკოვის მთელი ეს უნამუსო დარბაზი - ყველაფერი ეს არასოდეს მჩვენებია ისე შემზარავი, ისე პირქუში, ისე უხეში და სევდიანი, როგორც ამჯერად! მეტად კარგად მახსოვს ის სევდა და ნაღველი, გულზე რომ მომაწვებოდა მთელი იმ საათების განმავლობაში, როცა მაგიდას ვუჯექი. მაშ რატომღა არ ვტოვებდი იქაურობას? რატომ ვიტანდი ამას? თითქოს ხვედრად მრგებოდეს იქ ჯდომა, თითქოს მსხვერპლად მიმქონდა თავი და რაღაც საგმირო ღვაწლს ვეწეოდი? მხოლოდ ერთს ვიტყვი: გამიჭირდება იმის თქმა, მაშინ სრულ ჭკუაზე ვიყავი-მეთქი. ამასთან კი არასოდეს მითამაშია ისე გონივრულად, როგორც იმ საღამოს. საშინლად მდუმარე და გულისყურიანი, ყურადღებიანი და ანგარიშიანი ვიყავი; მომთმენი და ძუნწი ვიყავ, და იმავ დროს გაბედულიც გადამწყვეტ წუთებში. მე ისევ ძერო-ს მივუჯექი, ესე იგი ისევ შუაში ჩავუჯექი ზერშჩიკოვსა და აფერდოვს, რომელიც ყოველთვის ზერშჩიკოვის ხელმარჯვნივ ჯდებოდა ხოლმე; ეს ადგილი გულს მირევდა, მაგრამ აუცილებლად მინდოდა ძერო-ზე ჩამოვსულიყავი, ხოლო ყველა სხვა ადგილი ძერო-სთან დაკავებული იყო. საათზე მეტ ხანს ვთამაშობდი; ბოლოს, ჩემი ადგილიდან დავინახე, რომ თავადი უცებ წამოდგა, ფერმიხდილი ჩვენკენ წამოვიდა და მაგიდის იქითა მხარეს, ჩემს პირდაპირ გაჩერდა: ყველაფერი წაეგო და უსიტყვოდ უცქეროდა ჩემს თამაშს. თუმცა, ალბათ, აღარაფერი ესმოდა თამაშისა და აღარც კი ფიქრობდა ამაზე. სწორედ ამ დროისთვის ბედმა მომხედა და მოგება დავიწყე, ზერშჩიკოვმაც გადმომითვალა ფული. უცებ აფერდოვმა, ხმის ამოუღებლად, ჩემ თვალწინ, ყოვლად უტიფრად, აიღო და მის წინ დახვავებულ ფულს ერთი ჩემი ასმანეთიანიც შეუერთა. ვიყვირე და ხელში ვტაცე ხელი. აქ ჩემთვისვე მოულოდნელი რამ დამემართა: თითქოს ავიწყვიტე; თითქ-

ოს ამ დღის მთელმა საშინელებამ და შეურაცხყოფამ თავი მოიყარა ამ ერთ წამში, ამ ასმანეთიანის გაქრობაში. თითქოს მთელი ბოღმა და უბედურება, რაც გულში დამგროვებოდა, მხოლოდ ამ წამს ელოდა, რომ ამოეხეთქა.

- ეს ქურდია, მან ახლა ასმანეთიანი მომპარა! - გავიძახოდი და გამწარებული აქეთ-იქით ვაცეცებდი თვალს.

აღარ ავწერ, რა ალიაქოთი შეიქნა; ასეთი ისტორია აქ სრულიად ახალი რამ იყო. ზერშჩიკოვისას ყველას კარგად ეჭირა თავი და იქაური თამაში განთქმულიც იყო ამით. მაგრამ მე მთლად გადავირიე. ამ ალიაქოთსა და ყვირილში უცებ გაისმა ზერშჩიკოვის ხმა:

- აქ რომ ფული ეწყო, სადღაა! ოთხასი მანეთი დაიკარგა!

ერთბაშად ახალი ისტორიაც წაემატა: დაიკარგა ფული ბანკში, ზერშჩიკოვის ცხვირწინ, ოთხასმანეთიანი დასტა. ზერშჩიკოვი მიუთითებდა იმ ადგილზე, სადაც ეწყო ფული, „ეს წუთი ეწყო“, და ეს ადგილი სწორედ ჩემს ახლოს იყო, თითქმის ეხებოდა იმ ადგილს, სადაც ჩემი ფული ეწყო, ესე იგი გაცილებით უფრო ახლოს იყო ჩემთან, ვიდრე აფერდოვთან.

- აგერ ქურდი! ისიც ამან მოიპარა, გაჩხრიკეთ! - გავიძახოდი და აფერდოვს ვაშვერდი თითს.

- ასეთი რამეები იმიტომ ხდება, - გაისმა საერთო ღრიანცელში ვიღაცის მჭექარე და რიხიანი ხმა, რომ კაცმა არ იცის, ვინ დადის აქ. ურეკომენდაციოდ უშვებენ ხალხს! ვინ შემოიყვანა ამ სახლში ეს ყმაწვილი? ვინ არის?

- ვიღაც დოლგორუკია.

- თავადი დოლგორუკი?

- თავადმა სოკოლსკიმ შემოიყვანა, - დაიძახა ვიღაცამ.

- გესმით, თავადო, - გამწარებული ღრიალით მივმართე მაგიდის იქითა მხარეს მდგარ თავადს. - ეს წუთია გამქურდეს აქ და მევე მთვლიან ქურდად! უთხარით, უთხარით, ვინცა ვარ!

და აი აქ მოხდა ყველაზე საშინელი რამ, რაც კი გადამხდა იმ დღეს -

და იქნებ მთელს ჩემს სიცოცხლეშიც: თავადმა ხელი ამაღო. დავინახე, როგორ აიჩეჩა მხრები და, როცა შეკითხვები დააყარეს, მკვახედ და მკაფიოდ წარმოთქვა:

- არავისთვის არ ვაგებ პასუხს. გთხოვთ თავი დამანებოთ.

ამასობაში აფერდოვი ჩამდგარიყო ხალხში და ხმამაღლა მოითხოვდა, გამჩხრიკეთო. თვითონვე იტრიალებდა ჯიბეებს. მაგრამ მის მოთხოვნაზე პასუხობდნენ ყვირილით: „არა, არა, ქურდი ვინცაა, ვიცით“. ორმა ლაქიამ, რომლებსაც უხმეს, უკნიდან მტაცეს ხელი.

- თავს არ გაგაჩხრეკინებთ, ნებას არ მოგცემთ! - გავყვიროდი და ხელიდან გამოსხლტომას ვლამობდი.

მაგრამ გვერდით ოთახში გამათრიეს და იქ, ამოდენა ბრბოში, თავით ფეხამდე გამჩხრიკეს. მე ვყვიროდი და ხელიდან ვუსხლტებოდი.

- ალბათ გადააგდო, იატაკზე უნდა მოძებნა, - გადაწყვიტა ვიღაცამ.

- ახლა რაღას იპოვი იატაკზე!

- ალბათ როგორღაც მოასწრო და მაგიდის ქვეშ შეაგდო!

- რა თქმა უნდა, ახლა კვალსაც ვეღარ ნახავ!

გამომიყვანეს, მაგრამ მე როგორღაც მოვასწარი კარებში შეჩერება და უაზრო გააფთრებით ვიღრიალე მთელი დარბაზის გასაგონად:

- რულეტის თამაში აკრძალულია პოლიციის მიერ. დღესვე დაგასმენთ ყველას!

ძირს ჩამომიყვანეს, ჩამაცვეს და... გამიღეს ქუჩაში გამომავალი კარი.

თავი მეცხრე - I

ის დღე კატასტროფით დასრულდა, მაგრამ წინ იყო ღამე და აი რა დამამახსოვრდა ამ ღამიდან.

ვფიქრობ, შუაღამეს გადაცილებული იქნებოდა, ქუჩაში რომ ამოვ-ყავი თავი. კაშკაშა, წყნარი ღამე იყო და ყინავდა. თითქმის მოვრბო-დი, საშინლად ვჩქარობდი, მაგრამ შინ კი არ მივიჩქაროდი. „შინ რა მინდა? განა ახლა შეიძლება მქონდეს შინა? შინ ცხოვრობენ, ხვალ გამეღვიძება, რომ ვიცხოვრო, - და განა ეს შესაძლებელია ახლა? სი-ცოცხლე დასრულდა, ახლა სრულებით აღარ შეიძლება სიცოცხლე“. და აი, მე მივეხეტებოდი ქუჩებში, სრულიად ვერ ვარჩევდი, საით მივდ-იოდი, და არც ვიცი, მინდოდა თუ არა სადმე მისვლა? ძალზე მცხელო-და და წამდაუწუმ ვიღეღავდი ჩემს მძიმე ენოტის ქურქს. „ახლა აღარ-ავითარ მოქმედებას აღარ შეიძლებოდა ჰქონდეს რაიმე მიზანი“, - მეჩ-ვენებოდა იმ წუთს. უცნაურია: სულ ერთთავად მეჩვენებოდა, რომ ირგვლივ ყველაფერი, ჰაერიც კი, რომლითაც ვსუნთქავდი, თითქოს სხვა პლანეტისა იყო, გინდაც უცებ მთვარეზე ამომეყოს თავი. ყოვე-ლივე ეს - ქალაქი, გამვლელები, ტროტუარი, რომელზეც მივრბოდი, - ყოველივე ეს უკვე ჩემი აღარ იყო. „აი - სასახლის მოედანი, აი - ისაა-კი, - მელანდებოდა მე, - მაგრამ ახლა მე მათთან აღარაფერი მესაქმე-ბა“; ყველაფერი როგორღაც უცხო შეიქნა, ყოველივე ეს უცებ არა ჩე-მად იქცა. „მე მყავს დედა, ლიზა - მერა რა ვუყოთ, რაღა ფასი აქვთ ახ-ლა ჩემთვის ლიზას და დედას? ყველაფერი დასრულდა, ყველაფერი ერთბაშად დასრულდა, გარდა ერთი რამისა: იმისა, რომ მე სამუდამ-ოდ ქურდი დავრჩი“.

„რითი დავამტკიცო, რომ ქურდი არა ვარ? განა ახლა ეს შესაძლებ-ელია? ამერიკაში წავიდე? მერედა ამით რას დავამტკიცებ? ვერსილო-ვი პირველი დაიჯერებს, რომ მე მოვიპარე! „იდეა“? რომელი „იდეა“? რაღა ფასი აქვს ახლა „იდეას“? ორმოცდაათი, ასი წლის მერეც რომ გავიარო, ყოველთვის გამოჩნდება კაცი, ვინც ჩემკენ გამოიშვერს ხე-ლს და იტყვის: „ეს ქურდია. მან თავისი „იდეა“ იმით დაიწყო, რომ რულეტის თამაშის დროს ფული მოიპარა...“

გაბრაზებული ვიყავი თუ არა? არ ვიცი, იქნებ, ვიყავი. უცნაურია. ყოველთვის, იქნებ სულ პატარაობიდანვეც, მქონდა ასეთი თვისება: თუ ისეთ სიგლახეს მიზამდნენ, რომ იმაზე უარესი არაფერი შეიძლე-ბოდა, შეურაცხმყოფდნენ იმ ზომამდე, რომ მეტი აღარ იქნებოდა, მაშ-

ინვე მიჩნდებოდა დაუოკებელი სურვილი პასიურად დავმორჩილებოდი შეურაცხყოფას და შეურაცხმყოფელზე მეტადაც კი დამემცირებინა თავი: „აჰა, თქვენ დამამცირეთ, მაგრამ მე თვითონ კიდევ უფრო მეტად დავიმცირებ თავს, აი, მიყურეთ, დასტკბით!“. ტუშარი მიბაჟუნებდა და უნდოდა ეჩვენებინა, რომ სენატორის ვაჟი კი არა, ლაქია ვარ, და მეც მაშინვე შევიფერე ლაქიობა. მარტო იმას როდი ვჯერდებოდი, რომ ტანსაცმელი მიმერთმია, მე თვითონვე დამიტაცნია ხოლმე ხელი ჯაგრისისთვის და გულდაგულ გამიწმენდია მისი ტანსაცმელი, თუმცა ეს არ უთხოვნია და არ უბრძანებია, მე თვითონ გავკიდებივარ ზოგჯერ ჯაგრისით ხელში ლაქიური გულმოდგინებით, რათა მომეშორებინა მისი ფრაკიდან მტვრის ნამცეციც კი, ასე რომ ხანდახან თვითონვე შევუჩერებივარ: „კმარა, კმარა, არკადი, კმარა“. ისეც მომხდარა, რომ მოსულა, გაუხდია ზედა ტანსაცმელი, - მე კი გამიწმენდია, ფრთხილად დამიკეცია და ზედ კუბოკრული აბრეშუმის ხელსახოცი გადამიფარებია. ვიცი, რომ ამხანაგები დამცინიან და ვეზიზღები ამის გამო, მშვენივრად ვიცი, მაგრამ მეც სწორედ ეს მსიამოვნებს: „რაკი ისურვეთ, რომ ლაქია ვყოფილიყავ, აჰა, მეც ლაქია ვარ; რაკი ხეპრე ვარ, ვიქნები კიდეც“. ამგვარი პასიური სიძულვილი და ფარული გაბრაზება შემეძლო წლების მანძილზე მეტარებინა გულში. მერე? ზერშჩიკოვთან მთელი დარბაზის გასაგონად დავიყვირე მთლად გამწარებულმა: ყველას დაგასმენთ, რულეტის თამაში პოლიციის მიერ აკრძალულია-მეთქი! და აი გეფიცებით, რომ აქაც რაღაც ამდაგვარი იყო: მე დამამცირეს, გამჩხრიკეს, ქურდად გამომაცხადეს, მომკლეს, - „მაშ ყველამ იცოდეთ, რომ თქვენ გამოიცანით, მე მარტო ქურდი კი არა, მაბეზღარაც ვარ!“. ახლა რომ ვიხსენებ იმ ამბავს, სწორედ ასეთი დასკვნა გამომაქვს და ასე ვხსნი ჩემს მდგომარეობას; მაშინ კი რა მენაღვლებოდა; მაშინ არავითარი განზრახვა არ მქონია, ისე დავიყვირე, ერთი წამით ადრეც კი არ ვიცოდი, თუ ამას დავიყვირებდი: თავისთავად წამომაყვირა რაღაცამ, - ასეთი თვისება მქონდა ხასიათში და რა მექნა.

როცა გავრბოდი, ეჭვი არ არის, უკვე ბოდვა მეწყებოდა, მაგრამ კარგად მახსოვს, რომ მესმოდა, რასაც ჩავდიოდი. თან კი დაბეჯითებით ვამბობ, რომ ჩემთვის მაშინ უკვე შეუძლებელი იყო ზოგ-ზოგი იდეისა და დასკვნების მთელი ციკლი; მე იმ წუთებშიც კი ვგრძნობდი ჩემს გულში, რომ „ასეთი და ასეთი ფიქრები შემიძლია მქონდეს, სხვა ფიქრები კი არაფრით აღარ შეიძლება მქონდეს“. ასევე ზოგიერთ ჩემს გადაწყვეტილებას, თუნდაც ნათელი გონებით მიღებულს, შეიძლებოდა არ ჰქონოდა სულ მცირე ლოგიკაც კი. ეს კიდევ არაფერი: ძალიან კარგად მახსოვს, რომ იყო წუთები, როცა შემწევდა უნარი სავსებით შემეგნო,

ჩემი ესა თუ ის გადაწყვეტილება ყოვლად უგუნურია-მეთქი და იმავ დროს კი სრული შეგნებით მაშინვე შევდგომოდი მის განხორციელებას, დიახ, იმ ღამეს შესაძლო იყო დანაშაული ჩამედინა და მხოლოდ შემთხვევას უნდა ვუმადლოდე, რომ არაფერი ჩამიდენია.

ანაზდად გამიელვა ტატიანა პავლოვნას ერთმა ნათქვამმა ვერსილოვის შესახებ: „წასულიყო ნიკოლოზის რკინიგზაზე და ლიანდაგზე დაედო თავი: წააცლიდნენ და მორჩებოდა“. ეს ფიქრი ერთი წამით დაეუფლა მთელს ჩემს გრძნობებს, მაგრამ მყისვე ტკივილით მოვიშორე თავიდან: „დავდებდი თავს ლიანდაგზე და მოვკვდებოდი, მაგრამ ხვალ იტყოდნენ: მოიპარა და სირცხვილმა ჩაადენინა ესო, - არა, არაფრის გულისთვის!“. და აი, ამ წუთას, მახსოვს, უცებ საშინლად გავბოროტდი. „რა ვუყოთ, - გამიელვა გონებაში, - თავის მართლება უკვე აღარ შეიძლება, ახალი ცხოვრების დაწყებაც შეუძლებელია, ამიტომ - დავემორჩილები: ვიქცევი ლაქიად, ფინიად, მღილად, მაბეზღარად, უკვე ნამდვილ მაბეზღარად, თვითონ კი ჩუმად შევუდგები მზადებას და ოდესმე - ყველაფერს ერთბაშად ავაფეთქებ ჰაერში, ყველაფერს გავანადგურებ. ყველას, ბრალიანსაც და უბრალოსაც, და უცებ ყველა შეიტყობს, რომ ეს ჩაიდინა იმან, ვისაც ქურდი უწოდეს... მერე კი თავსაც მოვიკლავ“.

არ მახსოვს, რანაირად შევირბინე შესახვევში, სადღაც კონნოგვარდეისკი ბულვარის ახლოს. ამ შესახვევს ორივე მხარეს, თითქმის ას ნაბიჯზე, გასდევდა მაღალი ქვითკირის გალავანი - უკანა ეზოების ღობეები. ერთი კედლის გადაღმა, მარცხნივ, დავინახე უშველებელი საყიდელი შეშა ისე ჩაემწკრივებინათ, როგორც შეშის საწყობში იციან ხოლმე, ბლომად ეწყო და ერთი საჟენით აშორებოდა კედელს. უცებ შევჩერდი და ფიქრი დავიწყე. ჯიბეში თან მქონდა ვერცხლის საასანთეში ჩაწყობილი სანთლის ასანთი. ვიმეორებ, სავსებით მკაფიოდ მესმოდა მაშინ ის, რასაც ვფიქრობდი და რისი ჩადენაც მინდოდა, და ახლაც ასევე მახსენდება; ოღონდ რისთვის მინდოდა ამის ჩადენა - არ ვიცი, სულ არ ვიცი. მარტო ის მახსოვს, რომ უცებ ძალიან მომინდა. „ღობეზე აძრომა რაც ისე ძნელი საქმეა“, - ვიყავ განსჯაში; სწორედ იქვე, ორ ნაბიჯზე, აღმოჩნდა კედელში დატანებული ალაყაფის კარი, რომელიც უთუოდ მთელი თვეობით დაყრუებული იყო ხოლმე. „თუ ქვედა შვერილზე დავადგი ფეხი, - განვაგრძობდი ფიქრს, - ხელს ჩავავლებ ალაყაფის ზედა მხარეს და ავძვრები კედელზე - ვერავინ შემნიშნავს, კაციშვილი არ ჭაჭანებს, სიჩუმეა! აქ კი მოვკალათდები კედელზე და მშვენივრად წავუკიდებ ცეცხლს შეშას ისე, რომ ეზოში არც გადავ-

ალ, შეშა ხომ თითქმის ზედა კედელზეა მოწყობილი. სიცივე რომაა, უფრო მაგრად მოეკიდება, ოღონდ ერთი არყის ხის ღერი უნდა დავითრიო ხელით... თუმცა არც მინდა შეშის დათრევა: შეიძლება პირდაპირ, კედელზე მჯდარმა, ქერქი ავაფცქვნა არყის ხის ღერს და ასანთი წავუკიდო, წავუკიდებ და შეშაში შევჩურთავ - ხანძარიც მზად იქნება. მე კი ჩამოვხტები და წავალ; გაქცევაც კი არ დამჭირდება, რადგან კარგა ხანს ვერ შეამჩნევენ...". ასე გავიაზრე ყველაფერი და უკვე სავსებით დავადექ კიდეც ამ აზრს; უდიდესი კმაყოფილება და ნეტარება ვიგრძენ და ავძვერი. საუცხოოდ ვიცი ცოცვა: ტანვარჯიში ჩემი სპეციალობა იყო ჯერ კიდევ გიმნაზიაში, მაგრამ ახლა კალოშები მეცვა და საქმე უფრო ძნელი გამოდგა, მაგრამ მაინც მოვახერხე ხელი ჩამევლო ერთი ოდნავ შესამჩნევი შვერილის ზევით და ავიწიე, მეორე ხელი ავიქნიე, რათა ახლა კედლის ზედა კიდისთვის ჩამევლო, მაგრამ უცებ მოვწყდი და გულაღმა დავეშვი ქვევით. ვფიქრობ, კეფა დავარტყი მიწას და, ალბათ, ერთი თუ ორი წუთი უგონოდ ვიწექი. გონს რომ მოვედი, ანგარიშმიუცემლად შემოვიფუთნე ქურქი, რადგან ერთბაშად აუტანელი სიცივე ვიგრძენი, და ჯერ კიდევ კარგად არ მესმოდა რას ჩავდიოდი, ისე მივცოცდი ალაყაფის კუთხეში, მოკრუნჩხული და მობუზული ჩავჯექი ალაყაფისა და კედლის შუა სიღრმეში. აზრები მერეოდა, უთუოდ, ძალზე მალე ჩამთვლიმა. სიზმარივით ბუნდად მახსენდება, რომ უცებ ყურში ჩამესმა ზარის ყრუ, მძიმე რეკვა და მეც ნეტარებით სმენად ვიქეცი.

II

ზარი მაგრად და გარკვევით რეკდა ყოველ ორ ან სამ წამში ერთხელ, მაგრამ ეს განგაშის ზარი კი არა, რაღაც საამო, ნარნარი რეკვა იყო, და უცებ გავარჩიე, რომ ეს ხომ ნაცნობი რეკვაა, ნიკოლას ეკლესიაში რეკავენ, ტუშარის პანსიონის პირდაპირ, - მოსკოვის ძველ ეკლესიაში, რომელიც ასე კარგად მახსოვს და რომელიც ჯერ კიდევ ალექსეი მიხაილოვიჩის დროსაა აგებული, ნაყშიანი, მრავალგუმბათიანი და „სვეტებიანი“, - და რომ აი ეს წუთია ახლა დამთავრდა აღდგომის კვირიაკე და ტუშარის ბაღნარის არყის ხეებზე უკვე თრთოლვით ირხევა ახალამოყრილი ხასხასა მწვანე პაწია ფოთლები. დაისის კაშკაშა მზე ირიბ სხივებს ღვრის ჩვენს საკლასო ოთახში, მე კი ვზივარ ჩემს პაწია ოთახში, მარცხნივ, რომელიც ტუშარმა შარშანვე მომიჩინა, რათა „გრაფისა და სენატორების შვილებისაგან“ გამოვეცალკევებინე, და სტუმარი მყავს. დიახ, მე, უთვისტომოს, უცებ სტუმარი მეწვია - ეს პირველია მას აქეთ, რაც ტუშართან ვარ. შემოვიდა თუ არა ეს სტუმარი, მაშინვე ვიცანი; ეს გახლდათ დედაჩემი, თუმცა მას უკან, რაც სოფლის ეკლესიაში ვყავდი ზიარებაზე და გუმბათში მტრედმა გაიფრინა, ერთხელაც აღარ მენახა. ჩვენ ორნი ვისხედით და მე უცნაურად ვაკვირდებოდი. მხოლოდ შემდეგში, მრავალი წლის მერე შევიტყვე, რომ მაშინ ვერსილოვი უეცრად საზღვარგარეთ წასულიყო და დედაჩემი, რაკი თავი დაიმარტოხელა, თვითნებურად ჩამოსულიყო მოსკოვს თავისი საცოდავი გროშებით, თითქმის გამოპარვოდა იმათ, ვისაც დავალებული ჰქონდა მაშინ მისი პატრონობა, და ეს ჩაედინა მხოლოდ იმისთვის, რომ მე ვენახე. უცნაური იყო ისიც, რომ როცა შემოვიდა და ტუშარს მოელაპარაკა, თვითონ ჩემთვის ერთი სიტყვაც კი არ უთქვამს - დედაშენი ვარო... იჯდა ჩემ გვერდით და, მახსოვს. მიკვირდა კიდეც, რა ცოტას ლაპარაკობს-მეთქი. თან მოეტანა ბოხჩა, რომელიც გახსნა: შიგ აღმოჩნდა ექვსი ფორთოხალი, რამდენიმე თაფლის პური და ორი ჩვეულებრივი ფრანგული პური. ფრანგული პურის დანახვაზე გული მომივიდა და შეურაცხყოფილი სახით ვუთხარი, აქ ძალიან კარგი „საკვები“ გვაქვს და ჩაიზე ყოველ დღე თითო ფრანგულ ბულკს გვაძლევენ-მეთქი.

- რა უშავს, გენაცვალე, მე ხომ ალალი გულით ვიფიქრე: იქნებ იქ, სკოლაში, ცუდად აჭმევენ-მეთქი, ნუ გამიწყრები, გეთაყვა.

- ანტონინა ვასილიევნასაც (ტუშარის ცოლს) ეწყინება. ამხანაგებიც მასხარად ამიგდებენ...

- მაშ არ გამომართმევ? იქნებ გეჯამა?

- კარგი, დატოვეთ...

ძღვენს არც კი წავკარებივარ; ფორთოხლები და თაფლის პურები მაგიდაზე ელაგა ჩემ წინ, მე კი ვიჯექ თვალდახრილი, მაგრამ საკუთარი ღირსების გამომხატველი სახით. ვინ იცის, იქნებ ისიც ძალიან მინდოდა, რომ არ დამეფარა მისთვის, შენი სტუმრობა ამხანაგების თვალშიც კი თავს მჭრის-მეთქი; თუნდაც ოდნავ მეჩვენებინა მისთვის ეს, რომ მიმხვდარიყო: აი თავს მჭრი და არც კი გესმის-მეთქი. მე მაშინ უკვე კუდში დავდევდი ტუშარს ჯაგრისით ხელში, რომ ერთი ციცქნა მტვერიც კი მომეშორებინა მისთვის! წარმოვიდგენდი იმასაც, როგორ ამიკლებენ ბიჭები დაცინვით, როგორც კი დედაჩემი წავა; იქნებ თვითონ ტუშარმაც მასხარად ამიგდოს-მეთქი, - და სულ პაწია კეთილი გრძნობაც კი არ მქონდა გულში დედაჩემისადმი. მხოლოდ ცერად ვათვალიერებდი მის მუქ, ძველ კაბას, საკმაოდ უხეშ, თითქმის მუშის ხელებს, მის მთლად უშნო და უხეშ ფეხსაცმელებს და ძალიან გამხდარ სახეს; შუბლზე უკვე ნაოჭები დამჩნეოდა, თუმცა ანტონინა ვასილიევნამ კი მითხრა მერე, საღამოთი, როცა დედა წავიდა: თქვენი მამან ოდესღაც ალბათ ლამაზი ქალი იქნებოდაო.

ასე ვისხედით, და უცებ შემოვიდა აგაფია ხელში ლანგრით, რომელზეც ფინჯანი ყავა იდგა. სადილობა გადასული იყო და ამ დროს ტუშარები მუდამ ყავას შეექცეოდნენ ხოლმე თავიანთ სასადილო ოთახში. მაგრამ დედამ მადლობა მოახსენა და ფინჯანი კი არ აიღო: როგორც მერე შევიტყვე, დედა მაშინ სულ არ სვამდა ყავას, რადგან გულის ფრიალი აუტყდებოდა ხოლმე. საქმე ისაა, რომ დედაჩემის სტუმრობა და მისთვის ჩემი ნახვის ნების მიცემა ტუშარებმა, ეტყობა, თავის მხრივ ძალზე დიდ წყალობად ჩათვალეს, ასე რომ, ის ერთი ფინჯანი ყავა რომ გამოუგზავნეს, ეს უკვე, ასე ვთქვათ, ნამდვილი ჰუმანური გმირობა იყო, რაც მეტად დიდ ღირსებას ჰმატებდა მათ ცივილიზებულ გრძნობებს და ევროპულ შეხედულებებს. დედაჩემმა კი, თითქოს განგებო, უარი თქვა.

ტუშართან მიხმეს, მიბრძანეს ამეღო ჩემი რვეულები და წიგნები და მეჩვენებინა დედასთვის: „რათა ნახოს, რამდენი რამ შეიძინეთ ჩემს სასწავლებელში“. აქ თავის მხრივ ანტონინა ვასილიევნამ ტუჩი აიპ-

რუწა და წყენითა და დაცინვით წამსისინა:

- მგონი თქვენმა მამან დაიწუნა ჩვენი ყავა.

თავი მოვუყარე რვეულებს და წავუღე დედაჩემს, რომელიც მელოდებოდა, გვერდი ჩავუარე „გრაფებისა და სენატორების შვილებს“, რომლებსაც საკლასო ოთახში მოეყარათ თავი და მე და დედას გვითვალთვალებდნენ. და აი, მომეწონა კიდეც ტუშარის ბრძანების სიტყვასიტყვით შესრულება. მეთოდურად ვშლიდი რვეულებს და ვუხსნიდი: „აი ეს - ფრანგული გრამატიკის გაკვეთილებია, ეს - კარნახით სავარჯიშოები, ესაა უღვლილება დამხმარე ზმნებისა avoir და être. ეს კიდევ გეოგრაფიაა, ევროპისა და ქვეყნის ყველა ნაწილის მთავარი ქალაქების აღწერა“, და ა. შ. და ა. შ. ნახევარ საათს თუ უფრო მეტ ხანს ვუხსნიდი თანაბარი, წვრილი ხმით და უმანკოდ თვალდახრილი. ვიცოდი, რომ დედას მეცნიერებისა არაფერი გაეგება, იქნებ წერაც არ იცის, მაგრამ სწორედ ამიტომ მომწონდა ჩემი როლი. მაგრამ მისი დაღლა ვერ შევძელი, - დიდი ყურადღებით და სასოებითაც კი მისმენდა, არ მაწყვეტინებდა, ასე რომ ბოლოს მევე მომწყინდა და გავჩუმდი. ეს კია, რომ გამოხედვა ნაღვლიანი და სახეც რაღაც საცოდავი ჰქონდა.

ბოლოს წასასვლელად წამოდგა; უცებ თვითონ ტუშარი შემოვიდა და ბრიყვულად მედიდური სახით ჰკითხა: როგორი კმაყოფილი ბრძანდებით თქვენი ვაჟის წარმატებებითო? დედაჩემი მოჰყვა უთავბოლო ბუტბუტს და მადლობას; ანტონინა ვასილიევნაც შემოვიდა. დედაჩემმა ახლა მუდარა დაუწყო ორივეს, „ნუ მოიძულებთ ობოლს, ობოლი ეთქმის, მაშ რა არის, ნუ მოაკლებთ თქვენს წყალობასო...“ და თვალცრემლიანმა ორივეს ცალ-ცალკე მდაბლად დაუკრა თავი, სწორედ ისე, როგორც იციან ხოლმე „მდაბიოებმა“. როცა რაიმეს სათხოვნელად მიდიან დიდკაცებთან. ტუშარები ამას არც მოელოდნენ, ხოლო ანტონინა ვასილიევნა, ეტყობოდა, მოლბა და, რა თქმა უნდა, ხელად შეიცვალა აზრი იმ ერთი ფინჯანი ყავის თაობაზე. ტუშარმა კიდევ უფრო მეტი ზვიადობით, ჰუმანურად მიუგო, რომ მან „ბავშვების გამორჩევა არ იცის, რომ აქ ყველანი მისი შვილები არიან, თვითონ კი მათი მამაა, რომ მე თითქმის გათანაბრებული ვყავარ სენატორებისა და გრაფების შვილებთან და რომ ამას დაფასება უნდა“, და სხვ., და სხვ... დედა მხოლოდ თავს უკრავდა, თუმცა წითლდებოდა, ბოლოს მე მომიბრუნდა, თვალებზე ცრემლი უკიაფებდა, და წარმოთქვა: „მშვიდობით, გენაცვალე“. და მაკოცა, ესე იგი მე ნება დავრთე ეკოცნა. ეტყობოდა უნდოდა კიდევ და კიდევ დავეკოცნე, მომხვეოდა, გულში ჩავეკარ, მაგრამ არ ვიცი თვითონვე დაირცხვინა სხვების წინაშე თუ რაღაცამ მწარედ ატ-

კინა გული, ან თუ უკვე მიხვდა, რომ მერცხვინებოდა მისი - ოღონდ ერთხელ კიდევ აჩქარებით თავი დაუკრა ტუშარებს და კარისკენ გაემართა. მე ვიდექი.

- Mais suivez donc votre mère, - წაილაპარაკა ანტონინ ვასილიევნამ. - il n'a pas de cœur cet enfant" (გააცილეთ დედათქვენი... ამ ბავშვს გული არა აქვს! (ფრანგ.).)

ტუშარმა საპასუხოდ მხრები აიჩეჩა, რაც, რა თქმა უნდა, ამას ნიშნავდა: ტყუილად კი არ ვექცევი, როგორც ლაქიასო.

მე გამგონედ ჩავყევი ძირს დედას; პარმაღზე გამოვედით. ვიცოდი, რომ ახლა ყველანი ფანჯრიდან გვიცქეროდნენ. დედა ეკლესიისკენ მიბრუნდა და სამჯერ ფართოდ გადაისახა პირჯვარი, ტუჩები უთრთოდა, დიდი ზარი ხმიანად და თანაბრად გუგუნებდა სამრეკლოდან. დედა მე მომიბრუნდა და - თავი ვეღარ შეიკავა, ორივე ხელი თავზე დამადო და ატირდა.

- დედი, გეყოფათ... სირცხვილია... ისინი ახლა ხომ ფანჯრიდან გვიყურებენ...

დედა შეფრთხიალდა და აჩქარდა:

- მაშ ღმერთი... მაშ ღმერთი იყოს შენი მფარველი... გფარვიდნენ ზეციერნი ანგელოზნი, დედა ღვთისა, ნიკოლოზ სათნომყოფელი... ღმერთო, ღმერთო! - სხაპასხუპით იმეორებდა ის, თან სულ პირჯვარს მსახავდა, სულ ცდილობდა რაც შეიძლება ჩქარ-ჩქარა და მეტჯერ გადაეწერა ჩემთვის პირჯვარი, - ჩემო მტრედო, ჩემო საყვარელო! დაიცა, გენაცვალე...

მან საჩქაროდ ჩაიყო ჯიბეში ხელი და ამოიღო ცხვირსახოცი, ლურჯი კუბოკრული ცხვირსახოცი, რომლის ერთი წვერი გამოკრული იყო, და დაიწყო ამ ნასკვის გახსნა... მაგრამ ვერ იქნა და ვერ გახსნა...

- სულ ერთია, ცხვირსახოციანად წაიღე, სუფთაა, იქნებ გამოგადგეს, ოთხი აბაზიანია მანდ, იქნებ დაგჭირდეს, მაპატიე, ჩემო მტრედო, მეტი მეც არა მაქვს... მაპატიე, გენაცვალე.

მე გამოვართვი ცხვირსახოცი, კინაღამ ვუთხარი, ბატონი ტუშარი და ანტონინა ვასილიევნა ძალიან კარგად გვინახავენ და არაფერი გვაკლია-მეთქი, მაგრამ თავი შევიკავე და გამოვართვი ცხვირსახოცი.

- კიდევ ერთხელ გადამსახა პირჯვარი, კიდევ ერთხელ წაიჩურჩულა რაღაც ლოცვა და უცებ - და უცებ ზუსტად ისე დამიკრა თავი, როგორც ზემოთ ტუშარებს - მდაბლა, ნელა, ხანგრძლივად დამიკრა თავი, - ეს არასოდეს დამავიწყდება! სულ ერთიანად შევკრთი, და მეც არ ვიცოდი, რამ შემაკრთო. რა უნდოდა ეთქვა ამ თავის დაკვრით: „ჩემთან რომ დამნაშავეა. ის თუ აღიარა?“ - როგორც გავიფიქრე ერთხელ, უკვე კარგა ხნის მერე - არ ვიცი, მაგრამ მაშინვე კიდევ უფრო შემრცხვა, რომ „ზემოდან გვიცქერიან, ლამბერტი კი, ალბათ, მიმბეგვავს კიდეც“.

ბოლოს, როგორც იქნა, წავიდა. ფორთოხლები და თაფლის პურები ჩემს დაბრუნებამდე შეეჭამათ სენატორებისა და გრაფების შვილებს, ხოლო ოთხი აბაზიანი მაშინვე წამართვა ლამბერტმა; ამ ფულით საშაქარლამოში ღვეზელი და შოკოლადი იყიდეს და არც კი მიწილადეს.

გავიდა ნახევარი წელიწადი და უკვე ქარიანი და ავდრიანი ოქტომბერი დადგა. დედა სულ დამავიწყდა: ო, მაშინ უკვე გამჯდარი მქონდა გულში ყველაფრის სიძულვილი, ყრუ სიძულვილი; თუმცა წინანდებურად ჯაგრისით ვუწმენდდი ტანსაცმელს ტუშარს, მაგრამ უკვე თვალის დასანახავად მძაგდა ის და რაც დღე გადიოდა, უფრო და უფრო მძაგდებოდა. და აი მაშინ, ერთ ნაღვლიან საღამოს, რატომღაც დავიწყე ჩემი უჯრის გადაქექვა და უცებ, ერთ კუთხეში, დავინახე დედაჩემის ლურჯი ბატისტის ცხვირსახოცი; მაშინ რომ ჩავაგდე ყუთში, მას მერე იქ ეგდო. ამოვიღე და ცნობისმოყვარეობითაც კი დავათვალიერე; ცხვირსახოცის ერთ წვერს კიდევ სავსებით შეენარჩუნებინა გამოკრული ფულის მრგვალი ანაბეჭდი; ცხვირსახოცი იქვე ჩავდე და უჯრა შევწიე. ეს მოხდა უქმის წინა დღეს, და ეკლესიის ზარმაც გუგუნით ჩამოჰკრა მწუხრის ლოცვა. სადილი გათავდა თუ არა, ბავშვები თავთავიანთ სახლებში წავიდ-წამოვიდნენ, მაგრამ ამჯერად ლამბერტი საკვირაოდაც დარჩა; არ ვიცი, რატომ არ მოაკითხეს. იმხანად თუმცა ძველებურად მიბაჟუნებდა, მაგრამ ძალზე ბევრ რამეს მიმხელდა ხოლმე და ვჭირდებოდი. მთელი საღამო ვილაპარაკეთ ლეპაჟის დამბაჩებზე, რომლებიც არც ერთს თვალით არ გვენახა, ჩერქეზულ ხმლებზე და იმაზე, თუ რა მჭრელია ეს ხმლები, თუ რა კარგი იქნებოდა ყაჩაღთა რაზმის შედგენა, და დასასრულ ლამბერტმა დაიწყო ლაპარაკი ცნობილ ბილწ თემაზე, რაც მას ასე უყვარდა და რაც თუმცა გუნებაში თავზარს მცემდა ხოლმე, მაგრამ მოსმენა კი ძალიან მიყვარდა. ამჯერად უცებ ვეღარ ავიტანე და ვუთხარი, თავი მტკივა-მეთქი. ათ საათზე დასაძინებლად დავწექით; მე საბანში გავეხვიე, თავიც შიგ ჩავრგე და ბალიშქვეშიდან

დავითრიე ლურჯი ცხვირსახოცი: ერთი საათის უკან რატომღაც ისევ წავედი და ამოვიღე უჯრიდან, ხოლო როგორც კი ლოგინი გაგვიშალეს, ბალიშქვეშ ამოვდე. მაშინვე პირზე მივიკარ და უცებ კოცნა დავუწყე: „დედა, დედა“, - ვჩურჩულებდი, მაგონდებოდა დედა და გული ისე მეწურებოდა, თითქოს მარწუხებს მიჭერენო. თვალებს ვხუჭავდი და ვხედავდი მის სახეს, მის მთრთოლვარე ტუჩებს, ვხედავდი, როგორ იწერდა პირჯვარს, როცა ეკლესიას უყურებდა, მერე მე მსახავდა პირჯვარს, მე კი ვეუბნებოდი: „სირცხვილია, გვიყურებენ“. „დედიკო, დედა, ჩემს სიცოცხლეში ერთხელ იყავ ჩემთან... დედიკო, სადა ხარ ახლა, ჩემო შორეულო სტუმარო? თუღა გახსოვს ახლა შენი საბრალო ბიჭი, რომელთანაც მოხვედი... ერთხელ მაინც მეჩვენე ახლა, სიზმრად მაინც დამესიზმრე, რათა გითხრა მხოლოდ, თუ როგორ მიყვარხარ, რათა მოგეხვიო მხოლოდ და დაგიკოცნო ლაჟვარდი თვალები, გითხრა, რომ ახლა სულ აღარ მერცხვინება შენი და რომ მაშინაც მიყვარდი, მაშინაც მიკვნესოდა გული, ოღონდ ლაქიასავით ვიჯექი. ვერასოდეს შეიტყობ, დედა, თუ როგორ მიყვარდი მაშინ! დედილო, სადა ხარ ახლა, თუ გესმის ჩემი? დედა, დედა, გახსოვს ის მტრედი, სოფელში?“

- ახ, ეშმაკმა დალახვროს... რა დაემართა! - ბუზღუნებს ლამბერტი თავის საწოლში. - დამაცა, გაჩვენებ სეირს! ვეღარ დამიძინია შენს გადამკიდეს... - ბოლოს წამოხტება ლოგინიდან, მოირბენს და ცდილობს ამაგლიჯოს საბანი, მაგრამ მე მაგრად, ძალიან მაგრად ვაფრინდები საბანს, რომელშიაც თავიანად ვარ ჩამძვრალი.

- ზლუქუნებ, რა გაზლუქუნებს, ბღიყვო! ესეც შენ! ესეც შენ! - და მცემს, მაგრამ მიშენს მუშტებს ზურგსა და ფერდებში, უფრო და უფრო მაგრად მირტყამს და მტკივა და... და უცებ თვალს ვახელ...

უკვე კარგა გათენებულა, ეკალივით ყინვა კიაფობს თოვლზე, კედელზე... ჩემს ქურქში მოკრუნჩხული, ცოცხალ-მკვდარი, გათოშილი ვზივარ, თავზე ვიღაც დამდგომია, მაღვიძებს, ხმამაღლა იგინება და მაგრად მირტყამს მარჯვენა ფეხის წვერს ფერდში. წამოვიწიე, ვხედავ: დამდგომია ვიღაც კაცი, მდიდრული დათვის ქურქი აცვია, სიასამურის ქუდი ჰხურავს, შავი თვალები აქვს, კუპრივით შავი კოხტა ქილვაშები, კეხიანი ცხვირი, თეთრ კბილებს მიკრეჭს, ნიღაბივით თეთრი, ღაჟღაჟა სახე შემომცინის... ძალზე ახლოს დახრილა ჩემთან და ყოველ ამოსუნთქვაზე სუსხიანი ორთქლი ამოსდის პირიდან.

- გაითოშე, არყის ბოღლიწო, ბღიყვო! ადექ, ძაღლივით გაიყინები, აეთრიე!

- ლამბერტ! - ვყვირი მე.

ის სწრაფად იხრება ჩემს სახესთან.

- ვინა ხარ?

- დოლგორუკი!

- დოლგორუკი ვინ ოხერია?

- უბრალოდ დოლგორუკი!... ტუშარი... აი, ის, ვისაც გვერდში ჩანგალი გაუყარე სამიკიტნოში!...

- ჰა-ა-ა-ა! - გაიძახის ის და რაღაცნაირად გრძლად იღიმება. რამეს რომ იხსენებენ ხოლმე, ისეთი ღიმილით (ნუთუ დავავიწყდი!). - ჰა, მაშ შენა, შენ!

ხელს მკიდებს, ფეხზე მაყენებს; მე ძლივს ვდგავარ, ძლივს ვინძრევი, ის ხელს მაშველებს და მივყავარ. თვალებში შემომციცინებს, თითქოს რაღაცას საზრისობს და იხსენებსო, თან გაფაციცებით მისმენს; მეც სიჩქარით, შეუჩერებლად, განუწყვეტლივ ვტიტინებ და ისე მიხარია, რომ ვლაპარაკობ, მიხარია ისიც, რომ ეს ლამბერტია. რატომღაც ჩემი „ხსნა“ დავინახე მასში თუ იმიტომ ვეცი იმ წუთს, რომ სულ სხვა სამყაროდან მოსულ ადამიანად მეჩვენა, არ ვიცი, მაშინ ამის განსჯაში არ ვყოფილვარ, მაგრამ უფიქრებლად შევფოფინე. სრულებით არ მახსოვს, რა ველაპარაკე მაშინ, და არა მგონია თუნდ ოდნავ მაინც დალაგებულად შემძლებოდეს ლაპარაკი ან თუნდაც სიტყვების მკაფიოდ გამოთქმა. მაგრამ ის გაფაციცებული მისმენდა. როგორც კი ეტლი შემოგვხვდა, მაშინვე დაიქირავა და რამდენიმე წუთს მერე სითბოში ვიჯექი, მის ოთახში.

III

ყოველ ადამიანს, ვინც არ უნდა იყოს, უთუოდ შემონახული აქვს ხსოვნაში რაიმე მოგონება ისეთი ამბისა, რაც მას გადახდენია და რაც მას შეუფასებია ან მზადაა შეაფასოს როგორც ფანტასტიკური, უჩვეულო, იშვიათი, თითქმის სასწაულებრივი რამ, სიზმარი იქნება ეს, შეხვედრა, მკითხაობა, წინაგრძნობა თუ რაღაც ამგვარი. მე დღემდე მზად ვარ მაშინდელი შეხვედრა ლამბერტთან შევაფასო, როგორც თუნდაც წინასწარმეტყველური რამ... ყოველ შემთხვევაში, თუ გარემოებათა და ამ შეხვედრის შედეგთა მიხედვით განვსჯით. თუმცა ყოველივე ეს, ყოველ შემთხვევაში, ერთი მხრივ, უაღრესად ბუნებრივად მოხდა: მას მოეთავებინა ერთი ღამეული საქმე (რა საქმეც იყო - მერე გაირკვევა) და შეზარხოშებული ბრუნდებოდა, შესახვევში წუთით შეჩერდა ალაყაფთან და მე დამინახა. მაშინ სულ რამდენიმე დღის ჩამოსული იყო პეტერბურგში.

ოთახი, რომელშიც თავი ამოვყავი, გახლდათ ერთი მომცრო, ფრიად სადად მოწყობილი ნომერი პეტერბურგის ჩვეულებრივი, საშუალო შამბრ-გარნისა.((ფრანგ. chambro garnie) - ავეჯით გაწყობილი, გასაქირავებელი ოთახები.) თუმცა თვითონ ლამბერტს საუცხოოდ და მდიდრულად ეცვა. იატაკზე ეგდო ორი, მხოლოდ სანახევროდ ამოლაგებული ჩემოდანი. ოთახის კუთხეში იდგა საწოლი, რომელსაც თეჯირი ეფარებოდა.

- Alphonsine! - დაიძახა ლამბერტმა.

- Présente! (აქ ვარ! (ფრანგ.).) - გაისმა თეჯირს იქიდან ქალის დანჟღრეული ხმა პარიზული აქცენტით, და ორი წუთიც არ გასულა, გამოხტა მ-ალე Alphonsine, რომელიც ის წუთი იყო ლოგინიდან წამომდგარიყო და სახელდახელოდ გადაეცვა შილიფი, უღილო მოკლე ხალათი, - რაღაც უცნაური არსება, მაღალი და ნაფოტივით ხმელი, შავგვრემანი, წელგრძელი და სახეგრძელი ქალი; ჩაცვივნული ლოყები ჰქონდა და მოუსვენარი თვალები, - საშინლად ნათრევი არსება!

- ჩქარა! (მე ვთარგმნი, ლამბერტი კი ფრანგულად ელაპარაკებოდა). იკითხე, სამოვარი უკვე ადუღებული ექნებათ; ცქვიტად მოიტანე მდუღარე წყალი, წითელი ღვინო და შაქარი, ჭიქაც მოიტა, ჩქარა, სულ გაითოშა, ეს ჩემი მეგობარია... მთელი ღამე თოვლში ეძინა.

- Malheureux! (საცოდავი (ფრანგ.).) - წამოიყვირა ქალმა და თეატრალურად გაასავსავა ხელები.

- აბა, აბა! - ისე შეუწყრა ლამბერტი, თითქოს ფინიას უწყრებაო, და თითი დაუქნია მუქარით; ქალმა თავი ანება ხელების პარჭყვას და ბრძანების შესასრულებლად გაიქცა.

ლამბერტმა თვალით და ხელით გამსინჯა; მაჯა მინახა, შუბლსა და საფეთქლებზეც მომისვა ხელი.

- გასაოცარია, - ბურტყუნებდა, - რამ გადაგარჩინა, რომ არ გაიყინე... თუმცა სულ ერთიანად ქურქში იყავ ჩამძვრალი, თავიც კი შიგ ჩაგეყო, გინდაც ბეწვის ორმოში მჯდარიყავი...

გაჩნდა ქაფქაფა ჩაი, ხარბად შევსვი და მაშინვე მოვცოცხლდი; ისევ მოვყევი ტიკტიკს; ნახევრად მიწოლილი ვიყავ დივანის კუთხეში და შეუჩერებლად ვლაპარაკობდი, - სული მეგუბებოდა, ისე ვჩქარობდი, - მაგრამ სახელდობრ რას ან როგორ ვყვებოდი, თითქმის სრულებით არ მახსოვს; რამდენიმე წუთი ან დროის მთელი მონაკვეთიც კი სულ ამომივარდა მეხსიერებიდან. ვიმეორებ: არ ვიცი გაიგო თუ არა ლამბერტმა მაშინ რამე ჩემი ნაამბობიდან; ერთ რამეს კი უკვე მერე ძალზე კარგად მიხვდი, სახელდობრ აი რას: საკმარისად გაიგო საიმისოდ, რათა მიმხვდარიყო, რომ ჩემთან შეხვედრა უყურადღებოდ დასატოვებელი არ იყო... შემდეგ, თავის ადგილას, აგიხსნით, რა ანგარიში შეიძლებოდა ჰქონოდა.

მე არა მხოლოდ საშინლად გამოვცოცხლდი, არამედ ზოგი წუთი იყო, მგონი მხიარულიც კი ვიყავი. მახსენდება მზე, რომელმაც უეცრად გაანათა ოთახი, როცა ფარდები ასწიეს, და ატკაცუნებული ღუმელი, რომელიც ვიღაცას დაენთო, - ვის და როდის - არ მახსოვს. მახსოვს აგრეთვე შავი პაწია ფინია, რომელიც m-lle Alphonsine-ს ეჭირა ხელში და კეკლუცად იკრავდა გულში. ეს ფინია რატომღაც ძალიან მახალისებდა, იმდენად, რომ ამბის მოყოლას თავს ვანებებდი და ერთიორჯერ ხელიც გავუწოდე, მაგრამ ლამბერტმა ხელი აიქნია და ალფონსინაც და მისი ფინიაც ხელად გაქრნენ თეჯირს უკან.

თვითონ ლამბერტი ძალზე ჩუმად იყო, პირდაპირ მეჯდა. ჩემსკენ ძალზე გადმოხრილი, და გაფაციცებით მისმენდა; ხან იღიმებოდა თავისი გრძელი, ხანგრძლივი ღიმილით, იკრიჭებოდა და თვალებს ჭუტავდა, თითქოს გამწარებული საზრისობს რაღაცას და რაღაცის გამო-

ცნობას ლამობსო. ძალზე ნათლად მახსოვს მხოლოდ ის, რომ, როცა „დოკუმენტის“ შესახებ ვუამბობდი, ვერაფრით ვერ მომეხერხებინა გასაგებად და დალაგებულად მეამბნა, და ძალზე კარგად ვატყობდი, რომ ვერაფერს მიმხვდარა, მაგრამ ძალიან კი სწადია მიხვდეს, ასე გასინჯეთ, რისკიც გასწია - შეკითხვა მომცა და შემაჩერა, რაც სახიფათო იყო, რადგან როგორც კი შემაწყვეტინებდნენ, მევე ვწყვეტდი მოყოლას და მავიწყდებოდა, რას ვლაპარაკობდი. რამდენ ხანს ვიჯექით ასე და ვლაპარაკობდით - არ ვიცი და ვერც მომისაზრებია. ლამბერტი უცებ წამოდგა და ალფონსინას დაუძახა:

- ამას მოსვენება ესაჭიროება; იქნებ ექიმის დაძახებაც მოგვიხდეს. რაც ითხოვოს - ყველაფერი შეუსრულე, ესე იგი... vous comprenez, ma fille? vous avez l’argent (გესმით, ჩემო კარგო? ფული გაქვთ? (ფრანგ.).), არა? აჰა! - და ათმანეთიანი ამოიღო. თან ჩურჩული გაუბა: - Vous comprenez! vous comprenez! - იმეორებდა, თან თითით ემუქრებოდა და მკაცრად ჭმუხნიდა წარბებს. ვხედავდი, რომ ალფონსინას ძალიან ეშინოდა მისი.

- ახლავე მოვალ, შენ კი სჯობს გამოიძინო, - გამიღიმა და ქუდს ხელი დაავლო.

- Mais vous n’avez pas dormi du tout, Maurice! (თქვენ ხომ სულ არ გიძინიათ, მორის! (ფრანგ.).) - პათეტიკურად მიაძახა ალფონსინამ.

- Taisez-vous, je dormirai après (ენა ჩაიგდეთ, მერე გამოვიძინებ! (ფრანგ.).), - მიუგო ლამბერტმა და გავიდა.

- Sauvée! (გადავრჩი! (ფრანგ.).) - პათეტიურად წაიჩურჩულა ალფონსინამ და ხელი გაიშვირა იქით, საითაც ლამბერტი გავიდა.

- Monsieur, monsieur! - გაჩერდა ხელად შუა ოთახში, პოზა მიიღო და დეკლამაციასავით გააბა, - jamais homme ne fut si cruel, si Bismark, que cet être, qui regarde uno femme comme une saleté de hasard. Une femme, qu’est-ce que ça dans notre époque? «Tue-la!» — voilà le dernier mot de l’Académie française!...(ბატონო, ბატონო! არასოდეს ყოფილა ადამიანი ისეთი სასტიკი, იმ ზომამდე ბისმარკი, როგორც ეს არსება, რომელიც ქალს ისე უყურებს, როგორც შემთხვევითს ჭუჭყს. რას წარმოადგენს ჩვენს დროში ქალი? „მოჰკალ იგი!“ - აი უკანასკნელი სიტყვა საფრანგეთის აკადემიისა!... (ფრანგ.).)

თვალდაჭყეტილი მივჩერებოდი, ყველაფერი ორად მეჩვენებოდა, ახლა უკვე ორ ალფონსინას ვხედავდი... უეცრად შევამჩნიე, რომ ალფონსინა ტიროდა, შევკრთი და მივხვდი, რომ ის ძალზე დიდი ხანია მელაპარაკებოდა მე კი, მაშასადამე მთელი ეს დრო მეძინა ან უგონოდ ვიყავ.

- ... Hylas! de quoi m'aurait servi de le découvrir plutôt, - გაიძახოდა ის, - et n'aurais-je pas autant gagnye tenir ma honte cachye toute ma vie? Peut-etre, n'est-il pas honnyte e une demoiselle de s'expliquer si librement devant monsieur, mais enfin je vous avoue que s'il m'etait permis de vouloir quelque chose, oh, ce serait de lui plonger au cyur mon couteau, mais en detournant les yeux, de peur que son regard execrable ne fet trembler mon bras et ne glaset mon courage! Il a assassiné ce pope russe, monsieur, il lui arracha sa barbe rousse pour la vendre? un artiste en cheveux au pont des Marechaux, tout prys de la Maison de monsieur Andrieux — hautes nouveautés, articles de Paris, linge, chemises, vous savez, n'est-ce pas?.. Oh, monsieur, quand l'amitié rassemble e table epouse, enfants, syurs, amis, quand une vive allégresse enflamme mon cyur, je vous le demande, monsieur: est-il bonheur preferable e celui dont tout jouité Mais il rit, monsieur, ce monstre execrable et inconcevable et si ce n'etait pas par l'entremise de monsieur Andrieux, jamais, oh, jamais je ne serais... Mais quoi, monsieur, qu'avez vous, monsieur? (... ვაგლახ! რარიგ კარგი იქნებოდა, ეს ადრევე შემეტყო, და განა უფრო არ მოვიგებდი, მთელი ჩემი სიცოცხლე რომ დამემალა ჩემი შერცხვენა? იქნებ არ შეჰფერის ქალიშვილს ასე თავისუფლად ლაპარაკი მამაკაცთან, მაგრამ ბოლოს და ბოლოს გამოგიტყდებით, რომ თუკი ნება მექნებოდა რაიმე მენატრა, მე ვინატრებდი ერთ რამეს: ხანჯლით გამეგმირა მისი გული, მაგრამ თან თვალს მოვარიდებდი,რადგან შემეშინდებოდა, მის შესაზარ შემოხედვაზე ხელი არ შემიდრკეს და გამბედაობა არ მომიდუნდეს-მეთქი! მან მოჰკლა ის რუსი ხუცესი, ბატონო ჩემო, დააგლიჯა წითური წვერი, და მიჰკიდა ერთ დალაქს, მარშალის ხიდის ყურას რომ იყო, ბატონ ანდრიეს მაღაზიის გვერდით, - თქვენ, რა თქმა უნდა, იცით: უკანასკნელი სიახლენი, პარიზული ნივთები, თეთრეული, პერანგები... ო, ბატონო ჩემო! როცა მეგობრობა ერთი მაგიდის ირგვლივ მოუყრის თავს ცოლს, შვილებს, დებს, მეგობრებს, როცა გულს მხიარულება მივსებს, მე ვეკითხები, განა ასეთი ბედნიერება არ სჯობია იმ ბედნიერებას, რომელიც ყველასა აქვს? მაგრამ ის იცინის, ბატონო ჩემო, ის საზიზღარი და წარმოუდგენელი ურჩხული, და თუ არ ბა-

ტონ ანდრიეს შუამავლობა, მე არასოდეს, ო, არასოდეს არ ვიქნებოდი... მაგრამ, ბატონო ჩემო, რა მოგდით, ბატონო ჩემო? (ფრანგ.).)

ალფონსინა მომვარდა: მგონი შემაცივა, ან იქნებ გულიც შემიწუხდა. ვერ გამოვთქვამ, რა მძიმე, ავადმყოფურ შთაბეჭდილებას ახდენდა ჩემზე ეს ნახევრად გიჟი არსება. იქნებ წარმოიდგინა, რომ უნდა გავერთე, ყოველ შემთხვევაში, ერთი წუთითაც არ მშორდებოდა, იქნებ ოდესმე სცენაზე თამაშობდა; საშინლად პროწიალობდა, დეკლამაციით კითხულობდა, შეუსვენებლად ლაპარაკობდა, მე კი კარგა ხნის გაჩუმებული ვიყავი. მისი ლაპარაკიდან მხოლოდ იმას მივხვდი, რომ რაღაცით მჭიდროდაა დაკავშირებული რომელიღაც „la Maison de monsieur Andrieux — hautes nouveautes, articles de Paris, etc.“(ბატონ ანდრიეს მაღაზიასთან – უკანასკნელი სიახლენი, პარიზული ნივთები და ა. შ. (ფრანგ.).), და იქნებ წარმოშობითაც la maison de monsieur Andrieux-ში უნდა წარმოშობილიყო, მაგრამ როგორღაც მოეშორებინათ Andrieux-საგან, monsieur Andrieux, par ce monstre furieux et inconcevable (ამ უწყალო და წარმოუდგენელ ურჩხულს. (ფრანგ.).), და აი სწორედ ამაში მდგომარეობდა ტრაგედია... ალფონსინა ქვითინებდა, მაგრამ მე მეჩვენებოდა, რომ ეს მხოლოდ წესისთვისაა, თორემ სულ არ ტირის; ხან მეჩვენებოდა, რომ ის ერთბაშად დაიშლება, როგორც ჩონჩხი; რაღაც ბეჩავი, დანჟღრეული ხმით წარმოთქვამდა სიტყვებს: სიტყვას préférable, მაგალითად, ის წარმოთქვამდა préféra-ble და a მარცვალზე ცხვარივით ბღაოდა. ერთხელ, გონს რომ მოველ, დავინახე, რომ შუა ოთახში პირუეტი გამოჰყავდა, მაგრამ კი არ ცეკვავდა: პირუეტი რაღაცნაირად უკავშირდებოდა იმას, რასაც მიამბობდა, და ალფონსინა მხოლოდ სახეებად წარმოადგენდა. უცებ გავარდა და სახურავი ახადა ოთახში მდგარ პატარა, ძველ, მოშლილ პიანინოს, გააბა ბრახუნი და სიმღერა... მგონი ათი წუთით თუ მეტითაც სულ დავკარგე გონება, დამეძინა. მაგრამ ფინიამ წამოიწკავწკავა და გამოვფხიზლდი: წუთით სავსებით დამიბრუნდა გონება და თავისი შუქი მომფინა; თავზარდაცემული წამოვიჭერი.

„ლამბერტი, მე ლამბერტთან ვარ!“ - გავიფიქრე, დავავლე ხელი ქუდს და ჩემს ქურქს ვეცი.

- Où allez-vous, monsieur? (საით ბატონო? (ფრანგ.).) - თვალი შემასწრო ალფონსინამ.

- წასვლა მინდა, უნდა წავიდე! გამიშვით, ნუ მაკავებთ...

- Oui, monsieur! - გულმოდგინედ დამიდასტურა ალფონსინამ, თვითონვე მივარდა დერეფანში გამავალ კარს და გამიღო - Mais ce n’est pas loin, monsieur, c’est pas loin du tout, ya ne vaut pas la peine de mettre votre chouba, c’est ici pres, monsieur! (ეგ ხომ შორს არაა ბატონო, სულ არაა შორს. არ ღირს ქურქის ჩაცმა, აქვეა, ბატონო! (ფრანგ.).) - გაჰყვიროდა ის მთელს დერეფანში.

ოთახიდან გამოვვარდი და მარჯვნივ გავუხვიე.

- Par ici, monsieur, c’est par ici! (აქეთ, ბატონო, აქეთ! (ფრანგ.).) - გაიძახოდა გამწარებით, ქურქში ჩამავლო თავისი გრძელი, გამხმარი თითები, მეორე ხელით კი მიმითითებდა დერეფნის მარცხნივ, საითკენღაც, საითაც სულ არ მინდოდა წასვლა. ხელიდან გამოვუსხლტი და კიბეზე გასასვლელად კარისკენ გავიქეცი.

- Il s’en va, il s’en va! (ის მიდის, ის მიდის! (ფრანგ.).) - მომდევდა ალფონსინა და მომყვიროდა თავისი გაფხრეწილი ხმით, mais il me tuera, monsieur, il me tuera! (ის ხომ მომკლავს, ბატონო, მომკლავს! (ფრანგ.).) - მაგრამ მე უკვე კიბეზე გამოვხტი და თუმცა ალფონსინა კიბეზეც გამომეკიდა, მაინც მოვასწარი სადარბაზო კარის გაღება. ქუჩაში გამოვარდნა და პირველსავე ეტლში ჩახტომა. მეეტლეს დედაჩემის მისამართი მივეცი...

IV

მაგრამ გონება, რომელიც წუთით გამიკრთა, ხელად ჩამიქრა. ისღა მახსოვს ბუნდოვნად, თუ როგორ მივაღწიე შინ და დედასთან შემიყვანეს, მაგრამ იქ თითქმის მაშინვე სრულიად დავკარგე გონება. მეორე დღეს, როგორც შემდეგ მიამბეს (თუმცა ეს მეც დამამახსოვრდა), გონება წუთით ისევ გამინათდა. მახსოვს ჩემი თავი ვერსილოვის ოთახში, მის დივანზე; მახსოვს ირგვლივ ვერსილოვის დედაჩემის, ლიზას სახეები, კარგად მახსოვს, რომ ვერსილოვი მელაპარაკებოდა ზერშჩიკოვზე, თავადზე, მაჩვენებდა რაღაც წერილს, მამშვიდებდა, მერე მიამბეს, თურმე დაფეთებული ვკითხულობდი ვიღაც ლამბერტის ამბავს და სულ რომელიღაც ფინიას ყეფა მესმოდა. მაგრამ გონების სუსტი შუქი მალე ჩამიქრა: ამ მეორე დღეს, საღამოთი, უკვე ნამდვილი ხურვება მქონდა. მაგრამ გავუსწრებ ამბებს და წინასწარ მოგიყვებით.

როცა იმ საღამოს ზერშჩიკოვისაგან გამოვიქეცი და იქაურობა ცოტათი მიწყნარდა, ზერშჩიკოვმა, თამაში რომ განახლდა, უცებ ხმამაღლა გამოაცხადა, რომ მოხდა სამწუხარო გაუგებრობა: დაკარგული ფული, ოთხასი მანეთი, აღმოჩნდა დანარჩენი ფულის გროვაში და ბანკის ანგარიში სავსებით სწორი გამოდგა. მაშინ თავადი, რომელიც იქ დარჩა, მიადგა ზერშჩიკოვს და დაჟინებით მოითხოვა, საჯაროდ გამოეცხადებინა, რომ მე ბრალი არ მქონია და, გარდა ამისა, წერილობით მოეხადა ბოდიში ჩემთან. ზერშჩიკოვმა თავის მხრივ, ეს მოთხოვნა საპატიოდ მიიჩნია და ყველას თანდასწრებით სიტყვა მისცა, ხვალვე გავუგზავნი წერილს, რომელშიაც ყველაფერს ავუხსნი და ბოდიშსაც მოვუხდიო. თავადმა მას ვერსილოვის მისამართი დაუტოვა და მართლაც ვერსილოვმა მეორე დღესვე პირადად ზერშჩიკოვისაგან მიიღო ჩემს სახელზე გამოგზავნილი წერილი და ათას სამას მანეთზე მეტი ფული, რომელიც მე მეკუთვნოდა და რულეტის სათამაშო მაგიდაზე დამრჩენოდა. ასე და ამრიგად ზერშჩიკოვის საქმეს ბოლო მოეღო; ამ სასიხარულო ცნობამ ძალზე შეუწყო ხელი ჩემს გამოჯანმრთელებას, როცა გონს მოვედი.

თავადმა, თამაშიდან რომ დაბრუნდა, იმ დღესვე დაწერა ორი წერილი - ერთი მე გამომიგზავნა, მეორე კი იმ პოლკში, სადაც წინათ მსახურობდა და სადაც კორნეტ სტეპანოვთან ის ამბავი შეემთხვა. ორივე წერილი მეორე დილითვე გაგზავნა. მერე დაწერა პატაკი უფროსების

სახელზე, ამ პატაკით ხელში, დილაადრიანად, თვითონვე გამოცხადდა თავისი პოლკის მეთაურთან და განუცხადა, სისხლის სამართლის დამნაშავე ვარ, ***-ის ყალბი აქციების მონაწილე, ამიტომ მართლმსაჯულებას ვბარდები და გთხოვთ გამასამართლოთო. ამასთან ჩააბარა პატაკიც, სადაც ყოველივე ეს წერილობით იყო გადმოცემული. თავადი დააპატიმრეს.

აი სიტყვასიტყვით ის წერილი, რომელიც იმ ღამეს მომწერა:

„ძვირფასო არკადი მაკაროვიჩ,

რაკი ლაქიური „გამოსავალი“ ვცადე, ამით მოვისპე უფლება თუნდ ცოტათი მაინც შვება განმეცადა იმ ფიქრით, ბოლოს და ბოლოს მეც მეყო გამბედაობა და შევძელი სამართლიანი ვაჟკაცობის გამოჩენა-მეთქი. დამნაშავე ვარ სამშობლოს წინაშე და ჩემი გვარის წინაშეც და ამიტომ მე თვითონ, უკანასკნელი წარმომადგენელი ჩემი გვარისა, ვისჯი თავს. ვერ გამიგია, როგორ შემეძლო ჩავჭიდებოდი თავის გადარჩენის სულმდაბალ ფიქრს და ერთ ხანს მეოცნება იმაზე, ფულით გამოვიხსნი იმათგან თავს-მეთქი? მე თვითონ, ჩემი სინდისის წინაშე, ხომ მაინც სამუდამოდ დამნაშავე დავრჩებოდი. ის ხალხი კი, კიდეც რომ დაებრუნებინათ ჩემი სახელისგამტეხი ბარათები, მაინც არაფრის გულისთვის არ მომეშვებოდა მთელი სიცოცხლის მანძილზე! რაღა დამრჩენოდა: მათთან ცხოვრება, მთელი სიცოცხლე მათთან შეთანხმებით ყოფნა — აი რა ხვედრი მელოდა! ამის შეგუება არ შემეძლო და, როგორც იქნა, აღმომაჩნდა იმდენი სიმტკიცე, ან, იქნებ, მხოლოდ სასოწარკვეთილება, რომ მოვიქცე ისე, როგორადაც ვიქცევი ახლა.

წერილი მივწერე ჩემს ძველ პოლკში ძველ ამხანაგებს და გავამართლე სტეპანოვი. ამ საქციელში არაა და არც შეიძლება იყოს არავითარი ვაჟკაცობა, რომლითაც რაიმეს გამოვისყიდდე: ეს მარტოოდენ სიკვდილის წინ დაწერილი ანდერძია იმისა, ვინც ხვალ მკვდარი იქნება, ასე უნდა შევხედოთ ამ საქციელს.

მაპატიეთ, რომ ზურგი გაქციეთ სამორინოში.(სათამაშო სახლი მენარდეთა, მეჭადრაკეთა და მისთანათა.) ეს იმიტომ დამემართა, რომ იმ წუთში დაბეჯითებით არ ვიცოდი თუ მართალი იყავით. ახლა, როცა მე უკვე მკვდარი ადამიანი ვარ, ასეთი აღსარების თქმაც კი შეიძლია... საიქიოდან.

საბრალო ლიზა! მან არაფერი იცოდა ამ გადაწყვეტილებისა; წყევ-

ლა-კრულვას ნუ დამიწყებს და თვითონვე განსაჯოს. მე კი არ შემიძლია თავის მართლება და ვერც სიტყვებს ვპოულობ, რომ ავუხსნა თუნდაც რაიმე. ესეც იცოდეთ, არკადი მაკაროვიჩ, რომ გუშინ დილით, როცა ლიზა უკანასკნელად მოვიდა ჩემთან, მე გავუმხილე ჩემი სიცრუე და გამოვუტყდი, ანა ანდრეევნასთან ხელის სათხოვნელად ვიყავი-მეთქი. ჩემი სინდისი ვეღარ ზიდავდა ამ ამბავს, როცა უკვე მიღებული მქონდა ეს უკანასკნელი გადაწყვეტილება, როცა ვხედავდი მის სიყვარულს, - და ამიტომ გამოვუტყდი. მან მაპატია, ყველაფერი მაპატია, მაგრამ არ მჯერა; ეს პატიება არაა; მის ადგილას მე ვერ შევძლებდი პატიებას.

მომიგონებდეთ.

თქვენი უბედური უკანასკნელი თავადი სოკოლსკი“.

ზუსტად ცხრა დღე ვიყავი ლოგინად ჩავარდნილი ისე, რომ გონს არ მოვსულვარ.

ნაწილი მესამე - თავი პირველი - I

ახლა სულ სხვა რამის შესახებ.

სულ გაუწყებთ ხოლმე: სხვა რამის შესახებ, სხვა რამის შესახებ-მეთქი, და მაინც კვლავ მარტო ჩემი ამბებით ვაჭრელებ სტრიქონებს. ათასჯერ განვაცხადე, რომ სრულიადაც არ მინდა ჩემი თავის აღწერა, და მტკიცედაც არ მინდოდა, როცა წერა დავიწყე: მეტად კარგად მესმის, რომ მე სრულებითაც არ ვესაჭიროები მკითხველს. მე აღვწერ და მინდა აღვწერო სხვები, და არა საკუთარი თავი, ხოლო თუ მაინც სულ მე გამოვტყვრები ხოლმე. ეს მხოლოდ სამწუხარო შეცთომაა, რადგან როგორადაც არ უნდა მინდოდეს, მაინც ვერაფრის გულისთვის გვერდს ვერ ავუვლი ჩემს თავს. ყველაზე მეტად კი ისა მწყინს, რომ რაკი ასე გულმხურვალედ აღვწერ, რაც საკუთრივ მე გადამხდა, საბაბს გაძლევთ იფიქროთ, რომ ახლაც ისეთივე ვარ, როგორიც მაშინ ვიყავი. თუმცა მკითხველს ახსოვს, რომ არა ერთხელ წამოვიძახე: „ო, რომ შეიძლებოდეს ძველის შეცვლა და სულ ხელახლა დაწყება!“. მე რომ ახლა რადიკალურად არ გამოვცლილიყავ და სულ სხვა ადამიანი არ გავმხდარიყავ, ამას ვერ წამოვიძახებდი. ეს მეტად აშკარაა; ნეტავ ვისმეს შეეძლოს წარმოიდგინოს, რარიგ მომბეზრდა ამდენი მობოდიშება და წინასიტყვაობანი, იძულებული რომ ვარ წამწუთიერ ჩავურთო ჩემი ჩანაწერების შუაგულშიც კი!

ახლა საქმეს მივხედოთ.

ცხრა დღეს უგრძნობლად ყოფნის მერე გონს მოველ განახლებული, ოღონდ გამოსწორებული კი არა; თუმცა, ცხადია, ჩემი განახლება სულელური იყო, თუ ფართო გაგებით შევაფასებთ, და იქნებ, ახლა რომ მომხდარიყო, სხვაგვარად ყოფილიყო. იდეა, ესე იგი გრძნობა, კვლავ მხოლოდ იმაში მდგომარეობდა (როგორც ათასჯერ იყო წინათაც), რომ მიმეტოვებინა ყველანი, ოღონდ ახლა კი უეჭველად წავსულიყავი, თორემ წინათაც ათასჯერ გადამიწყვეტია და ვერც კი შემისრულებია. პატიოსნებას ვფიცავ, არავისთვის არ მინდოდა სამაგიეროს მიზღვა, - თუმცა ყველამ მატკინა გული. გადაწყვეტილი მქონდა წავსულიყავი ისე, რომ არ ყოფილიყო არც ზიზღი, არც წყევა-კრულვა, მაგრამ მინდოდა მქონოდა საკუთარი, ოღონდ უკვე ნამდვილი, ძალა, რომელიც მთელს დედამიწის ზურგზე არავისზე არ იქნებოდა დამოკიდებული; მე კი ცოტას გაწყდა არ შევურიგდი ყველაფერს ამ ქვეყნად! ამ ჩემს მაშინდელ ოცნებას ვწერ არა როგორც აზრს, არამედ როგორც მა-

შინდელ შეუმართებელს შეგრძნებას. ვიდრე ლოგინად ვიწექ, არ მინდოდა ამ შეგრძნების ფორმულირება. ავადმყოფი და ღონემიხდილი ვიწექი ვერსილოვის ოთახში, რომელიც მე დამითმეს, და გულისტკივილით ვგრძნობდი, თუ უძლურების რა დაბალ საფეხურზე ვიყავ: საწოლზე ეგდო რაღაც ჩალის ღერო, და არა ადამიანი, და მარტო ავადმყოფობა არ იყო ამის მიზეზი - ეს იყო მწარე! და აი, ჩემი არსების სიღრმიდან მთელის ძალით წამოვიდა პროტესტი და ლამის მახრჩობდა უსაზღვროდ გაზვიადებული ქედმაღლობისა და სხვათა გამოწვევის რაღაცნაირი გრძნობა. არ მახსოვს სხვა დრო მთელს ჩემს ცხოვრებაში, როცა ისე სავსე ვყოფილიყავ ქედმაღლური შეგრძნებით, როგორც ჩემი გამოჯანმრთელების პირველ დღეებში, ესე იგი, როცა საწოლზე ეგდო ჩალის ღერო.

მაგრამ ჯერჯერობით ვდუმდი და ისიც კი გადავწყვიტე, არაფრის ფიქრსა და განსჯას არ დავიწყებ-მეთქი! სულ ერთთავად სახეში მივჩერებოდი მათ და ვცდილობდი მივმხვდარიყავი ყველაფერს, რაც მესაჭიროებოდა. ეტყობოდა არც მათ სურდათ ჩემი გამოკითხვა და ცნობისმოყვარეობის გამოჩენა, და სულ სხვა ამბებზე მელაპარაკებოდნენ. მათი ასეთი საქციელი მომწონდა და იმავ დროს გულიც მწყდებოდა; არ მოვყვები ამ წინააღმდეგობის ახსნას. ლიზას დედაჩემზე უფრო იშვიათად ვხედავდი, თუმცა დღეში ორჯერ მაინც მნახულობდა. მათი ნაწყვეტ-ნაწყვეტი ლაპარაკიდან და მთელი მათი შესახედაობიდან დავასკვენი, რომ ლიზას ძალზე ბევრი საზრუნავი გასჩენია და ხშირად შინ არც კია ხოლმე ამ თავისი საქმეების გამო: ჯერ მარტო ფიქრიც კი იმისა, რომ მას შეიძლებოდა ჰქონოდა „თავისი საქმეები“, ჩემთვის გულსატკენი იყო! თუმცა, კაცმა რომ თქვას, ყოველივე ეს მხოლოდ ავადმყოფური, წმინდა ფიზიოლოგიური შეგრძნებანი იყო, რომელთა აღწერა არც ღირს. ტატიანა პავლოვნაც თითქმის ყოველდღე მნახულობდა, და თუმცა ზედ არ მადნებოდა, მაგრამ აღარც მთათხავდა ადრინდულად, რამაც ძალიან დამწყვიტა გული, იმდენად, რომ პირდაპირ ვუთხარი: „ტატიანა პავლოვნა, ძალზე მოსაწყენი ბრძანდებით, როცა არ ილანძღებით“. - „თუ ეგრეა, აღარ მოვალ“, - მომიჭრა სიტყვა და წავიდა. მე კი გამიხარდა, რომ ერთი ადამიანი მაინც გავაგდე.

ყველაზე მეტად დედაჩემს ვუშრობდი სისხლს და მასზე ვიყრიდი ჯავრს. გამგელებულ მადაზე მოველ და ძალიან ვბუზღუნებდი ხოლმე, საჭმელს მიგვიანებთ-მეთქი (არასოდეს კი არ დაუგვიანებიათ). დედამ აღარ იცოდა, რითი ეამებინა. ერთხელ წვნიანი მომიტანა და, ჩვეულებისამებრ, თვითონ დაიწყო ჭმევა, მე კი ვჭამდი და თან სულ ვჯიჯღინ-

ებდი. და უცებ ბრაზი მომივიდა, რომ ვჯიჯღინებდი: „იქნებ ამის მეტი არც არავინ მიყვარს და სწორედ ამას კი ვაწვალებ“. მაგრამ სიბრაზე არ მინელდებოდა და ბრაზისაგან უცებ ავტირდი, საწყალ დედას კი ეგონა, გული ამიჩვილდა და ამიტომ ვტირი,დაიხარა და კოცნა დამიწყო. თავი შევიკავე, ძლივძლივობით ავიტანე მისი კოცნა და იმ წამში მართლაც მძულდა. მაგრამ დედაჩემი ყოველთვის მიყვარდა, მაშინაც მიყვარდა და სრულებით არ მძულდა, ხოლო მჭირდა ის, რაც ყოველთვის ხდება ხოლმე: ვინც მეტად გვიყვარს, სხვაზე მეტად მას ვატკენთ გულს.

ამ პირველ დღეებში კი მხოლოდ ექიმი მძულდა. ეს გახლდათ ერთი ამპარტავანი სახის ყმაწვილი კაცი, რომელიც მკვახედ და უზრდელადაც კი ლაპარაკობდა. იტყოდით, თავიანთ მეცნიერებაში სწორედ გუშინ უეცრად რაღაც განსაკუთრებული შეუტყვიათო, სინამდვილეში კი გუშინ განსაკუთრებული არაფერი მომხდარა; მაგრამ მუდამ ასეთნი არიან „შუათანანი“ და „ქუჩა“. კარგა ხანს ვითმინე, მაგრამ ბოლოს ერთბაშად ამომხეთქ ადა ჩვენები ყველანი იქ იყვნენ, როცა განვუცხადე, ტყუილად დაეთრევი, უშენოდაც მოვრჩები-მეთქი, კაცმა რომ შეგხედოს, რეალისტი ეგონები, ცრურწმენებით კი ხარ სავსე და ვერ გაგიგია, რომ მედიცინას ჯერ კაციშვილი არ მოურჩენია-მეთქი; დასასრულ, გეტყობა, საშინლად გაუნათლებელი ხარ, როგორიც არიან ახლა ჩვენში ტექნიკოსები და სპეციალისტები, რომლებიც ამ ბოლო დროს ძალზე მაღლა სწევენ ცხვირს-მეთქი. ექიმმა ეს ძალიან იწყინა (რითაც მშვენივრად დაამტკიცა, რა შვილიც ბრძანდებოდა), მაგრამ მაინც არ შეუწყვეტია სიარული ბოლოს განვუცხადე ვერსილოვს, თუ აქ სიარულს თავს არ დაანებებს, ათასჯერ უარეს რამეებს ვეტყვი-მეთქი. ამის პასუხად ვერსილოვმა მხოლოდ ის მითხრა, რაც შენ უკვე უთხარი, იმაზე ორჯერ უარესსაც ვეღარ იტყვის კაცი, არამცთუ ათჯერ უარესსო. გამიხარდა, ეს რომ შეენიშნა.

რა კაცია მაინც! ვერსილოვზე მოგახსენებთ. მხოლოდ და მხოლოდ ის, ის იყო ყველაფრის მიზეზი - და არ იკითხავთ? - მხოლოდ იმას არ ვუბრაზდებოდი. განა მარტო იმით მომიგო გული, ისეთნაირად რომ მექცეოდა. ვფიქრობ, ორივემ ვიგრძენით მაშინ, რომ ბევრი რამ გვაქვს ერთმანეთისთვის სათქმელი და ასახსნელი... და რომ სწორედ ამიტომ ყველაფერს ის აჯობებს, თუ არასოდეს არაფერს ვეტყვით ერთმანეთს. ძალზე სასიამოვნოა, როცა ცხოვრება ამგვარ მდგომარეობაში ჩაგაგდებს კაცს და ამ დროს ჭკვიან ადამიანს წააწყდები! ჩემი ნაამბობის მეორე ნაწილში მე გავუსწარი ამბებს. და უკვე გიამბეთ, რომ

ვერსილოვმა ძალზე მოკლედ და ნათლად გადმომცა, თუ რა მომწერა დაპატიმრებულმა თავადმა, რანაირად მომბანა სირცხვილი ზერშჩიკოვმა და სხვ. და სხვ.; რაკი გადავწყვიტე, ამაზე ხმას არ ამოვიღებ-მეთქი, ამიტომ მხოლოდ ორიოდე ყოვლად მოკლე შეკითხვა მივეცი, ისიც ძალზე მშრალად; მანაც ნათელი და ზუსტი პასუხი მომცა, არავითარი ზედმეტი სიტყვები არ დაუხარჯავს და, რაც ყველაზე უკეთესი იყო, არავითარი ზედმეტი გრძნობები არ გამოუმჟღავნებია. მე კი სწორედ ზედმეტი გრძნობებისა მეშინოდა მაშინ.

ლამბერტის შესახებ ხმას არ ვიღებ, მაგრამ მკითხველი, ცხადია, მიმხვდარია, რომ ძალიან ბევრს ვფიქრობდი მასზე. სანამ უგონოდ ვიყავ და ვბოდავდი, რამდენჯერმე ვახსენე ლამბერტი; მაგრამ როცა გონს მოველ და ჩვენებს დავუკვირდი, მივხვდი, რომ ლამბერტის შესახებ არავინ, ვერსილოვმაც კი, არაფერი იცის, და რომ ყველაფერი საიდუმლოდ დარჩა. მაშინ გავიხარე და შიშმაც გამიარა, მაგრამ როგორც მერე შევიტყვე, ჩემდა გასაოცრად, თურმე ვცდილობდი: ჩემი ავადმყოფობის დროს ის უკვე ყოფილიყო ჩვენსას, მაგრამ ვერსილოვს არაფერი უთქვამს ამის თაობაზე და მეც გადავწყვიტე, ლამბერტს ჩემი გზა-კვალი დაეკარგა-მეთქი. მიუხედავად ამისა მაინც ხშირად ვფიქრობდი მასზე; ეს კიდევ ცოტაა; როცა მასზე ვფიქრობდი, ზიზღს ხომ არ ვგრძნობდი და არა, და არა მხოლოდ ცნობისმოყვარეობით, არამდე, ასე გასინჯეთ, თანაგრძნობითაც კი ვიგონებდი, თითქოს გული მეუბნებოდა, აქაა რაღაც ახალი და ხვავიანი, რაც შეესატყვისება ახალ გრძნობებს და გეგმებს, მე რომ მებადებიან-მეთქი. ერთი სიტყვით, გადავწყვიტე, როგორც კი გავბედავ, რომ დავიწყო ფიქრი, ყველაზე უწინ ლამბერტის ამბავს მოვიფიქრებ-მეთქი. ერთი უცნაურობა უნდა აღვნიშნო: სრულიად დამავიწყდა, სად ცხოვრობდა და რომელ ქუჩაზე მოხდა მაშინ ის ამბავი. ოთახიც მახსოვდა, ალფონსინაც, ფინიაც, დერეფანიც, - ხელად დაგიხატავდით; მაგრამ სად მოხდა ყველაფერი, ესე იგი, რომელ ქუჩაზე და რომელ სახლში - სულ აღარ მახსოვდა. და ყველაზე უცნაური ისაა, რომ ამას მხოლოდ გონზე მოსვლის მესამე თუ მეოთხე დღეს მივხვდი, როცა უკვე კარგა ხანი იყო ლამბერტი გამიხდა საზრუნავი.

ასეთი იყო ჩემი პირველი შეგრძნებანი, როცა სააქაოსკენ ვქენი პირი. მე მხოლოდ ყველაზე ზერელე რამეები აღვნიშნე, და, უთუოდ, ვერ შევძლებდი მთავარის აღნიშვნას. მართლაც, იქნებ სწორედ მაშინ გაირკვა და ჩამოყალიბდა ჩემს გულში ყველაფერი მთავარი; მართლაც და მართლაც, მარტო იმაში ხომ არ მიდიოდა დრო, რომ ვჯავრობდი

და ვბრაზობდი, ბულიონს მიგვიანებენ-მეთქი. ო, მახსოვს, რა ნაღვლიან გუნებაზე ვდგებოდი მაშინ ზოგჯერ და როგორ ვდარდობდი, მეტადრე როცა დიდი ხნით ვრჩებოდი მარტოკა. ისინი კი, თითქოს განგებ, მალე მიხვდნენ, რომ მათთან ყოფნა მიმძიმდა, მათი თანაგრძნობა მაღიზიანებდა, და უფრო და უფრო ხშირად მტოვებდნენ მარტოკას: ზედმეტად გამახვილებული მიხვედრილობა.

II

მეოთხე დღე იყო, რაც გონს მოვედი, ნაშუადღევის სამი საათი იქნებოდა, ვიწექი ჩემს საწოლზე, ოთახში არავინ იყო. მზიანი დარი იდგა და ვიცოდი, რომ ოთხ საათზე, როცა მზე ჩასვლას იწყებს, მისი ირიბი წითელი სხივი ჩემი კედლის კუთხეს მოხვდებოდა და წითელ ლაქად გაანათებდა იმ ადგილს. წინა დღეებშიც ასე იყო და იმიტომ ვიცოდი და იმ ამბავმა, რომ ეს აუცილებლად მოხდება ერთ საათში, ხოლო, რაც მთავარია, იმან, რომ მე ეს წინასწარ ვიცოდი, როგორც ორჯერ ორი, საშინლად გამაბრაზა და გამაბოროტა. მოუსვენრად გადმოვტრიალდი მთელი ტანით და უცებ, ამ ღრმა სიჩუმეში, მკაფიოდ შემომესმა სიტყვები: „უფალო, იესო ქრისტევ, ღმერთო ჩვენო, შეგვიწყალენ ჩვენ“. ეს სიტყვები ნახევრად ჩურჩულით იყო ნათქვამი, მერე ვიღაცამ ისე ამოიოხრა, თითქოს გული მთლად თან ამოატანაო, და კვლავ სრული სიჩუმე გამეფდა. მაშინვე თავი წამოვწიე.

ადრევეც, ესე იგი წინადღეს და ორი დღის წინაც კი, უკვე შევამჩნიე განსაკუთრებული რაღაც ჩვენს ქვედა სამ ოთახში. სასტუმრო ოთახის იქით რომ პატარა ოთახი იყო, სადაც წინათ დედა და ლიზა ცხოვრობდნენ, ეტყობოდა, ახლა ვიღაც სხვა დამდგარიყო. უკვე რამდენჯერმე შემომესმა რაღაც ხმები დღისითა და ღამითაც, მაგრამ ეს მხოლოდ თითო წამით იყო ხოლმე და მყისვე რამდენიმე საათით სრული სიჩუმე ისადგურებდა, ასე რომ ყურადღება აღარ მიმიქცევია. წინდღეს ერთი პირობა ვიფიქრე, იქ ალბათ ვერსილოვი გადავიდა-მეთქი, მით უმეტეს, რომ მალე თვითონაც შემოვიდა ჩემთან, თუმცა ამასთან მათივე ლაპარაკიდან დანამდვილებით ვიცოდი, რომ ვერსილოვი, ჩემი ავადმყოფობის გამო, დროებით გადავიდა რომელიღაც სხვა ბინაში და ღამესაც იქ ათევდა. ხოლო დედა და ლიზა რომ ზევით, ჩემს ყოფილ „კუბოში“ გადავიდნენ (მე რომ არ შემაწუხონ-მეთქი, ვფიქრობდი), ეს დიდი ხნის შეტყობილი მქონდა და ისიც კი გავიფიქრე: რანაირად დაეტივნენ იქ ორივენი-მეთქი? და უცებ ახლა ირკვევა, რომ მათ ადრინდელ ოთახში ცხოვრობს ვიღაც კაცი და რომ ეს კაცი ვერსილოვი არ ყოფილა. არც კი ველოდი, ისე მსუბუქად გადმოვყავ საწოლიდან ფეხები (მანამდე შეფერებული ვიყავ, მთლად უილაჯო ვარ-მეთქი), ჩავყავ ფეხსაცმელი, წამოვიხურე კრაველის რუხი ხალათი, რომელიც იქვე იდო (და რომელიც ვერსილოვს შემოეწირა ჩემთვის), გავიარე ჩვენი სასტუმრო და დედაჩემის ძველ საწოლ ოთახს მივადექი. იქ დანახულმა

მთლად ამიბნია თავგზა; მსგავსს ვერაფერს წარმოვიდგენდი და გაშეშებული გავჩერდი კარებში.

იქ იჯდა თოვლივით თმაგადაპენტილი მოხუცი, რომელსაც დიდი, საშინლად თეთრი წვერი ჰქონდა; ეტყობოდა, კარგა ხანია, რაც აქ იყო. ლოგინზე კი არა, დედაჩემის დაბალ, პატარა სკამზე იჯდა, ოღონდ ზურგით მიყრდნობოდა საწოლს. ისე წელგამართული იჯდა, იტყოდით, არც კი სჭირდება რაიმე საყრდენიო, თუმცა, ეტყობოდა, ავად იყო. პერანგზემოთ ეცვა ბეწვის ტყაპუჭი, მუხლებზე დედაჩემის პლედი ეფარა, ფეხი ფლოსტებში გაეყარა, ადვილად მიხვდებოდით, რომ მაღალი, წარმოსადეგი ტანისა უნდა ყოფილიყო, მხარბეჭიანი იყო, მიუხედავად ავადმყოფობისა, ძალზე მხნედ გამოიყურებოდა, თუმცა ცოტა ფერმიხდილი და გამხდარი ჩანდა, მოგრძო სახე ჰქონდა, ძალზე ხშირი, მაგრამ არცთუ ძალიან გრძელი თმა, სამოცდაათ წელს გადაცილებული იქნებოდა. იქვე, ხელმისაწვდომად, მაგიდაზე იდო სამი თუ ოთხი წიგნი და ვერცხლის სათვალე. თუმცა მანამდე გულშიც არ გამივლია, მას თუ შევხვდებოდი, მაინც იმავ წამს მივხვდი, ვინც იყო, ოღონდ ჯერ კიდევ ვერ მომესაზრებინა, რანაირად გაატარა ეს დღეები თითქმის ჩემ გვერდით ისე წყნარად, რომ აქამდე ჩამიჩუმიც არ გამეგონა.

ჩემს დანახვაზე არ განძრეულა, ოღონდ ჩაციებით და უსიტყვოდ მომჩერებოდა, ისევე, როგორც მე მივჩერებოდი. იმ განსხვავებით, რომ მე უზომო გაოცებით შევცქეროდი, მას კი ოდნავი განცვიფრებაც არ ეხატებოდა სახეზე. პირიქით, როცა თითქოს იმ ხუთი თუ ათი წამის დუმილის დროს თავით ბოლომდე კარგად დამათვალიერა, უცებ გამიღიმა და წყნარად და ჩუმად გაიცინა კიდეც, და თუმცა სიცილმა მალე გადაუარა, მაგრამ ნათელი და მხიარული კვალი დაუტოვა სახეზე და, რაც მთავარია, ძალზე ლაჟვარდ, სხივიან, დიდრონ თვალებში, რომლებსაც ზედ ჩამოსწოლოდა სიბერისგან შესიებული ქუთუთოები და გარს შემოსჯარვოდა ურიცხვი პაწია ნაოჭი. ყველაზე უფრო მისმა ამ სიცილმა იმოქმედა ჩემზე.

მე თუ მკითხავთ, როცა ადამიანი იცინის, უმეტეს შემთხვევაში საზიზღარი შესახედავია. ადამიანთა სიცილში მეტწილად მჟღავნდება ხოლმე რაღაც უხამსი, რაღაც ისეთი,რაც ამცირებს მოცინარს, თუმცა თვით მოცინარმა თითქმის არასოდეს იცის, თუ რა შთაბეჭდილებას ახდენს სხვებზე. არ იცის ისევე, როგორც, საერთოდ არავინ იცის, თუ როგორი სახე აქვს, როცა ძინავს. ზოგ მძინარეს ძილშიც ჭკვიანი სახე აქვს, ზოგს კი, ჭკვიანიც რომ იყოს, ძილში ძალზე სულელური და ამიტ-

ომაც სასაცილო სახე უხდება. არ ვიცი, რისი ბრალია ეს: მე მხოლოდ იმის თქმა ამინდა, რომ მოცინარმა, ისევე, როგორც მძინარემ, მეტწილად არაფერი იცის თავისი სახის შესახებ. ადამიანთა დიდ უმრავლესობას საერთოდ არ ეხერხება სიცილი. თუმცა მოხერხება რა სათქმელია: ეს ნიჭია, და ხელოვნურად ვერ გამოიმუშავებ. მხოლოდ იმით თუ გამოიმუშავებ, რომ საკუთარ თავს გარდაქმნი, უკეთესობისკენ წახვალ და მოერევი შენი ხასიათის ცუდ ინსტინქტებს: მაშინ ასეთ კაცს, ადვილი შესაძლოა, სიცილიც უკეთესი გაუხდეს. ზოგი კაცი მთლიანად გასცემს ხოლმე თავს სიცილით, და ერთბაშად შეიტყობთ, რა შვილიც ყოფილა. უდავოდ ჭკვიანური სიცილიც კი ხანდახან შესაზარია ხოლმე. სიცილი უწინარეს ყოვლისა გულწრფელობას მოითხოვს, მერედა სადა აქვთ გულწრფელობა ადამიანებს? სიცილი უბოროტობას მოითხოვს, ადამიანები კი მეტწილად ბოროტად იცინიან. გულწრფელი და უბოროტო სიცილი მხიარულებაა, მერედა სადა აქვთ ადამიანებს მხიარულება ჩვენს საუკუნეში და იციან კი მხიარულება? (ჩვენს საუკუნეში მხიარულების შესახებ ეს ნათქვამი ვერსილოვისაა და მე დამამახსოვრდა). მხიარულება ადამიანის ის თვისებაა, რომელიც ყველაზე მეტად, თავიან-ფეხიანად გასცემს ხოლმე ადამიანს. ზოგი ხასიათია ისეთი, დიდხანს კარგად ვერ გაუსინჯავ კბილს, მაგრამ გაიცინებს ადამიანი უცებ ძალზე გულწრფელად და მთელი მისი ხასიათი თითქოს ხელისგულზე გადაგეშალაო. მხოლოდ უმაღლესად და ყოვლად ბედნიერად განვითარებულ ადამიანს შეუძლია იმხიარულოს გულთანაზიარად, ესე იგი წარმტაცად და გულკეთილად. გონებრივ განვითარებაზე კი არ მოგახსენებთ, არამედ ხასიათზე, მთლიანად ადამიანზე. მაშ ასე: თუ გნებავთ გაიგოთ ადამიანი და გაერკვეთ მის სულში, დაუკვირდით არა იმას, თუ როგორ სდუმს ან როგორ ლაპარაკობს, ანდა როგორ ტირის, ან თუნდაც როგორ აღელვებს მას უკეთილშობილესი იდეები, არამედ უმჯობესია დაუკვირდეთ, როდესაც იცინის. თუ კარგად იცინის - მაშ კარგი ადამიანი ყოფილა. თან დაუკვირდით ყოველივეს, რაც ნიშანდობლივია: მაგალითად, ადამიანის სიცილი არავითარ შემთხვევაში არ უნდა გეჩვენოთ სულელური, რა გინდ მხიარული და გულუბრყვილოც არ იყოს ის. როგორც კი შენიშნავთ, რომ სიცილი თუნდაც სულ ოდნავ სულელურია, მაშასადამე, ეჭვი არ არის, ის ადამიანი გონებრივად შეზღუდულია, თუნდაც სულ იდეებს აფრქვევდეს. თუ სულელურად არ იცინის, მაგრამ თვითონ ადამიანი, როცა გაიცინებს, უეცრად რატომღაც სასაცილო ხდება, თუნდაც სულ ცოტათი, - იცოდეთ, რომ ამ ადამიანს არ გააჩნია ნამდვილი საკუთარი ღირსება, ყოველ შემთხვევაში სრულად მაინც არ გააჩნია. ან, დასასრულ, თუ სიცილი გულთანაზიარი კია, მაგრამ მაინც რატომღაც ცოტა უხამსი მოგე-

ჩვენათ, იცოდეთ, რომ იმ ადამიანის ბუნებაც უხამსია, და ყოველივე კეთილშობილი და ამაღლებული, რაც ადრე შეგინიშნავთ მასში, - ან განზრახ ხელოვნურია, ანდა შეუგნებლად ნასესხები, და რომ ეს ადამიანი შემდეგში აუცილებლად უარესისკენ იზამს პირს, ხელს მოჰკიდებს „სასარგებლო“ საქმიანობას, ხოლო კეთილშობილ იდეებს დაუნანებლად უკუაგდებს, ვით ყმაწვილურ შეცთომასა და გატაცებას.

ამოდენა ტირადა სიცილის შესახებ განზრახ მოვათავსე აქ და ამბის მიმდინარეობასაც კი შეველიე, ვინაიდან ჩემი ცხოვრების ერთ-ერთ სერიოზულ დასკვნად ეს მიმაჩნია. განსაკუთრებით ვურჩევ ამ ჩემს შეხედულებას საპატარძლო ქალიშვილებს, რომლებიც უკვე მზად არიან ცოლად გაჰყვნენ თავიანთ რჩეულს, მაგრამ ჯერ მაინც ჩაფიქრებითა და უნდობლობით აკვირდებიან და საბოლოოდ ვერ გადაუწყვეტიათ წაყოლა. მასხარად ნუ აიგდებენ უბადრუკ ყმაწვილს იმის გამო, რომ თავისი დარიგებებით ეჩრება საქორწინო საქმეებში, რომლისაც არაფერი გაეგება. მაგრამ მე გამეგება მხოლოდ ის, რომ სიცილი სულის შეუმცდარი ჭაშნიკია. შეხედეთ ბავშვს: მხოლოდ ბავშვებმა იციან უზადოდ კარგი სიცილი - იმიტომაც არიან მომხიბვლელნი. მტირალა ბავშვი მეზიზღება, მოცინარი და მხიარული კი სამოთხის შუქია, მომავლის გამოცხადებაა, როცა ადამიანი, ბოლოს და ბოლოს, ბავშვივით უმანკო და გულუბრყვილო შეიქნება. და აი რაღაც ბავშვური და საარაკოდ მიმზიდველი რამ გაკრთა ამ მოხუცის წუთიერ სიცილში. მაშინვე მივუახლოვდი.

III

- დაჯექი, ჩაიმუხლე, ვინ იცის, ფეხები ჯერ ისევ გღალატობენ, - ტკბილად მიმიწვია და თავის გვერდით მიმითითა, თან არ მაშორებდა სხივოსან თვალებს. ახლოს დავუჯექი და ვუთხარი:

- მე გიცნობთ, თქვენ მაკარ ივანოვიჩი ხართ.

- ეგრეა, საყვარელო, მიხარია, რომ წამოდექი. შენ - ჭაბუკი ხარ, გასახარლად უნდა იყო. ბერიკაცს სამარისკენ უდევს გზა, ჭაბუკმა კი უნდა იცოცხლოს.

- განა ავადა ხართ?

- ავადა ვარ, მეგობარო, უფრო კი ფეხები მაწუხებენ; აქამდე მომიყვანეს ფეხებმა, აქ კი, დავჯექი თუ არა — დამისივდა. გასულ ხუთშაბათს დამეწყო, აი მაშინ, გრადუსებმა რომ დაიჭირა (NB: ესე იგი ყინვამ დაიჭირა). აქამდე მალამოთი ვიზელდი ხოლმე; შარშანწინ ლიხტენმა, ექიმმა ედმუნდ კარლიჩმა გამომიწერა, მოსკოვს რომ ვიყავ, და ძაანაც მიხდებოდა; ახლა კი აღარ მიხდება. გულიც დაჭერილი მაქვს. გუშინს აქეთ ისე მტეხს, თითქოს ძაღლები მგლეჯენო... ღამე ძილი აღარა მაქვს.

- ესე როგორა ხართ აქ, რომ თქვენი ბაიბურიც არ ისმის? - სიტყვა შევაწყვეტინე.

მან შემომხედა, თითქოს რაღაცას საზრობსო.

- შენ ემანდ დედაშენი არ გააღვიძო, - დაურთო, თითქოს უცებ რაღაც გაახსენდაო, - მთელი ღამე აქ ტრიალებდა ისე უჩუმრად, გეგონება ბუზიაო; ახლა კი, ვიცი, წამოწვა. ოხ, რა მწარეა მოხუცის ავადმყოფობა - ამოიხვნეშა მან. - ხომ თითქოს, სული აში უდგიაო, მაგრამ მაინც რომ ცოცხალია და შეჰხარის ქვეყნიერებას; და ვგონებ, მთელი სიცოცხლე თავიდან რომ ჰქონდეს დასაწყები, არც ეს შეუკრთობდა სულს; თუმცა იქნებ ასეთი ფიქრი ცოდვაცაა.

- რატომაა ცოდვა?

- ოცნებაა ეს, ასეთი ფიქრი, მოხუცმა კი ლამაზად უნდა დაუტევოს

საწუთრო. კვლავაც გეტყვი, თუ დრტვინვით ან არადა უკმაყოფილებით შეხვდა სიკვდილს, ესე არს ცოდვა უდიდესი. ხოლო თუ სულის სიმხიარულემ შეაყვარა სიცოცხლე, მაშინ, ვფიქრობ, უფალიც მიუტევებს, თუნდაც ბერიკაცს. უჭირს ადამიანს იცოდეს ყველა შეცოდება, გაერკვეს რა არის ცოდვა და რა არა: აქ საიდუმლოებაა, რომელსაც კაცის გონება ვერ შესწვდება. მოხუცს მუდამჟამს კმაყოფილება ჰმართებს, ხოლო უნდა მოკვდეს სრული გონებით, ნეტარი და საამური, მაძღარი თავისი წუთისოფლით, უნდა შენატროდეს აღსასრულსა თვისსა და ხარობდეს, რა განვალ ვითარცა ხუვილი (თავთავი.) მოწეული მჭელეულსა (ძნა), აღავსენ საიდუმლოი შენი.

- თქვენ სულ „საიდუმლოს“ გაიძახით; „აღავსენ საიდუმლოი შენი“ რა არის? - ვკითხე და კარისკენ მივიხედე. მიხაროდა, რომ მარტოკანი ვიყავით, და რომ ირგვლივ ისეთი აღუშფოთველი სიჩუმე სუფევდა. ჩამავალი მზე სხივებს აფრქვევდა ფანჯარაში. ის ცოტა არ იყოს მაღალფარდოვნად და არცთუ მთლად ზუსტად ლაპარაკობდა, მაგრამ ძალზე გულწრფელი კი იყო და თან რაღაც ძლიერ აღგზნებული. თითქოს მართლაც გახარებოდეს ჩემი მისვლა. მაგრამ აშკარად ეტყობოდა, ავადმყოფურად აღგზნებული, მეტისმეტად აღგზნებული რომ იყო. მას უკან, რაც აქ შემოველ, მეც ავად შევიქენ, მეც აღგზნებული ვიყავ.

- საიდუმლოება რა არის? ყველაფერი საიდუმლოებაა, მეგობარო, ყველაფერი უფლის საიდუმლოებაა. ეს საიდუმლოებაა დატანებული ყოველ ხეში, ბალახის ყოველ ღეროში. პაწია ჩიტუნა გალობს თუ ვარსკვლავთა ხომლი კაშკაშებს ღამით ზეცაში - სულ ერთი, ერთნაირი საიდუმლოებაა, ხოლო ყველაზე დიდი საიდუმლოება ისაა, თუ რა ელის სულს კაცისას იმქვეყნად. ასეა, მეგობარო!

- არ ვიცი, რა აზრით ბრძანებთ... მე, რა თქმა უნდა, იმიტომ კი არ მოგახსენებთ, რომ თქვენი გამოჯავრება მინდა, და, მერწმუნეთ, ღმერთი მწამს; მაგრამ ყველა ეს საიდუმლოება რა ხანია ამოხსნა გონებამ, ხოლო რაც ჯერ არ ამოუხსნია, იმასაც ამოხსნის, სავსებით დანამდვილებით, და იქნებ ძალიანაც მალე. ბოტანიკამ ზედმიწევნით იცის, რანაირად იზრდება ხე, ფიზიოლოგმა და ანატომმა ისიც კი იციან, ან მალე შეიტყობენ, თუ რატომ გალობს ჩიტი, ხოლო რაც შეეხება ვარსკვლავებს, არამცთუ ყველა დათვლილია, მათი ყოველი მოძრაობაც კი წუთის სიზუსტითაა გამოანგარიშებული, ასე რომ ათასი წლით ადრეც კი შეუძლიათ წუთის სიზუსტით იწინასწარმეტყველონ რომელიმე ცთომილის გამოჩენა... ახლა თვით უშორეს ვარსკვლავთა შემადგენლობაც კი ცნობილი შეიქნა. აიღეთ მიკროსკოპი - ეს გახლავთ გამადი-

დებელი შუშა, რომელიც საგანს მილიონჯერ ადიდებს - დააკვირდით წყლის წვეთს და იქ დაინახავთ მთელ ახალ სამყაროს, ცოცხალ არსებათა მთელს ცხოვრებას; ესეც ხომ საიდუმლოება იყო, მაგრამ აკი აღმოაჩინეს.

- გამიგონია ეგენი, გეთაყვა, ბევრჯერ გამიგონია, ხალხს უთქვამს. თქმა არ უნდა: დიდი და სასახელო საქმეა; ყველაფერი ღვთის ნებით მინიჭებია ადამიანს; ტყუილად როდი შთაბერა უფალმა ადამიანს სიცოცხლის სუნთქვა: „იცოცხლე და შეიცან“.

- ეგ ზოგადი სიტყვებია, მაგრამ თქვენ მეცნიერების მტერი, რადიკალი ხომ არ ბრძანდებით? ესე იგი არ ვიცი, გამიგებთ თუ არა...

- არა, გეთაყვა, პაწაობიდან მეცნიერებას პატივს მივაგებდი, და თუმცა თვით არ ვზიარებივარ სწავლულებას, არა ვდრტვინავ: მე თუ არა, სხვას ხომ ხვდა წილად. იქნებ უმჯობესიც იყოს, იმიტომ რომ ყველას თავისი განეკუთვნება. იმიტომ, საყვარელო მეგობარო, რომ მეცნიერებაც ყველას როდი არგებს. ყველანი თავშეუკავებლები არიან, ყველას უნდა ქვეყნიერება განაცვიფროს, ხოლო მე, იქნებ, სხვებზე მეტად მოვინდომებდი, ნასწავლი თუ ვიქნებოდი. ხოლო რაკი ახლა ფრიად უსწავლელი ვარ, როგორღაც გავამპარტავნდები, როცა თვით არაფერი ვიცი? შენ კი ყმაწვილი ხარ და ფხიზელი ჭკუისა, და ასეთი ხვედრი გერგო, შენც ადექ და ისწავლე. შეიცან ყოველივე, რამეთუ როცა შეეყრები უღმერთოს ვისმეს ან თავაშვებულს, შეგეძლოს პასუხი მიაგო, რათა მან არ გაგაბრუოს მკრეხელობით და არ აგიმღვრიოს უმწიფარი ფიქრები. ხოლო ეგ შუშა კი არც ისე დიდი ხანია ვნახე.

მან სული მოითქვა და ამოიოხრა. აშკარად ძალზე დიდი სიამოვნება მივანიჭე, რომ მოვედი. ავადმყოფური წყურვილი ჰქონდა გამოლაპარაკებისა. გარდა ამისა, ნამდვილად არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ხან რაღაც არაჩვეულებრივი სიყვარულითაც კი მიყურებდა: ალერსით მადებდა ხელს ხელზე, მხარზე მისვამდა ხელს... მაგრამ ხან კი, უნდა გამოვტყდე, თითქოს სულ ვავიწყდებოდი, გინდამც მარტოკა მჯდარიყო, და თუმცა გულმხურვალედ განაგრძობდა ლაპარაკს, მაგრამ თითქოს სადღაც ჰაერში ლაპარაკობდა.

- გენადის უდაბნოში, - განაგრძო მან, - არის ერთი ფრიად ჭკვიანი კაცი, მეგობარო. კეთილშობილი შთამომავლობისაა, პოდპოლკოვნიკის ხარისხი აქვს და უზომო სიმდიდრე. ერისკაცად რომ ცხოვრობდა, ქორწინება არ ისურვა; ხოლო განერინა ქვეყნიერებას აგერ ათი წე-

ლია, შეიყვარა წყნარი და მდუმარე ნავსაყუდელი და დაიოკა გრძნობანი თვისნი ქვეყნიერი ამაოებისაგან. მონასტრის მთელ წესდებას იცავს, ბერად შედგომა კი არ სურს. წიგნები აქვს იმდენი, ჩემო მეგობარო, რომ ამდენი ჯერ არსად მინახავს - თვითონ მითხრა, რვა ათასისა იქნება. პიოტრ ვალერიანიჩი ჰქვია. ბევრი რამ უსწავლებია ჩემთვის სხვადასხვა დროს. ფრიად მიყვარდა მისი მოსმენა. ერთხელ ვეუბნები: „ჩემო ბატონო, ეგზომ ჭკვიანი ბრძანდებით, სრულად განეკვეთეთ ნებას თქვენსას და აგერ ათი წელია მორჩილად შემდგარხართ, - რატომ ბერად არ აღიკვეცებით, რათა ბარემ უფრო სრულყოფილი შეიქნათ?“ მან კი მომიგო: „რას მელაპარაკები, მოხუცო, ჩემს ჭკუაზე; იქნებ მე კი არ მომითოკია ჩემი ჭკუა, არამედ მან დამიპყრო მევე. ან რას სჯი ჩემს მორჩილებაზე: იქნებ უკვე კარგა ხანია დავკარგე ზომა ჩემი. ან რას მელაპარაკები ჩემს ნებისაგან განკვეთაზე? აი ახლავე დავთმობ ჩემს ფულს, არც ჩინ-მედლებს დავინანებ, მთელს კავალერიასაც ამ წუთშივე მაგიდაზე გადმოგილაგებ, მაგრამ ათი წელია ვებრძვი ჩემს თავს, და ჩიბუხისთვის ვერ დამინებებია თავი. აბა სადაური მონაზონი ვარ ამის მერე და ნებისყოფის რომელ განკვეთას მიქებ?“. და განმაცვიფრა მაშინ ასეთმა თავმდაბლობამ მისმა. იმას ვამბობდი, შარშან ზაფხულს, პეტრეპავლობა დღეს, ისევ იმ უდაბნოში მიმიყვანა უფალმა და ვხედავ სენაკში უდგას სწორედ ეგ მიკროსკოპი, - დიდძალი ფული გადაეხადა და საზღვარგარეთიდან გადმოეწერა. „დაიცა, მოხუცო, - მეუბნება - ერთ საოცრებას გაჩვენებ, ასეთი რამ შენს დღეში არ გენახვება. აი წყლის წვეთი, ცრემლივით კრიალა, აბა ჩახედე, რა ყოფილა შიგ და ნახავ, რომ მექანიკოსები მალე ღვთის ყველა საიდუმლოებას მიაგნებენ, მე და შენ აღარაფერს დაგვიტოვებენ“, - სწორედ ასე მითხრა, მახსოვს. მე კი ეს მიკროსკოპი ჯერ კიდევ ოცდათხუთმეტი წლის წინათ მქონა ნახული ალექსანდრ ვლადიმიროვიჩ მალგასოვთან, - ჩვენი ბატონი იყო, ანდრეი პეტროვიჩს ბიძად მოხვდებოდა დედის მხრივ და მისი მამულ-დედული სიკვდილის მერე ანდრეი პეტროვიჩს ერგო კიდეც. დიდგვარი ბატონი იყო დიდი გენერალი, ძაღლებით ნადირობა უყვარდა და აუარება ძაღლიც ჰყავდა, მეც მრავალი წელი ბაზიერად ვყავდი. ჰოდა, იმანაც თან ჩამოიტანა მაშინ ეს მიკროსკოპი და დადგა, თან უბრძანა მთელ საჯალაბოს, ქალიან-კაციანა, თითო-თითო მოდით და ჩაიხედეთო, მაშინ ხან რწყილს და ტილს აჩვენებდნენ შიგ, ხან ნემსის ყუნწს, ხან თმას და ხან კიდევ წვეთ წყალს. ძალიან სეირი კი იყო: ჩახედვისაც ეშინოდათ, თან ბატონის შიშიც ჰქონდათ, რადგან ძალზე გულფიცხი ვინმე იყო. ზოგმა ისიც არ იცოდა, როგორ ჩაეხედა, მოჭუტავდნენ თვალებს და ვერაფერს კი ვერ ხედავდნენ; სხვებმა შიშით ყვირილი მორთეს, მამასახლისმა სავინ მაკაროვმა კი ორივე ხელი აიფარა

თვალებზე და აღრიალდა: „რაც გინდათ მიყავით — არ ჩავიხედავ!“. იყო ერთი სიცილი. მაგრამ პიოტრ ვალერიანიჩისთვის არ გამიმხელია, რომ ადრევე, ოცდათხუთმეტი წლის წინათ მქონდა ნახული ეს საკვირველება რადგან ვხედავ - უდიდესი სიამოვნებით მაჩვენებს კაცი; მეც, პირიქით, ისეთი სახე მივიღე, ვითომ ძალიან მიკვირს და მეშინია. ერთ ხანს მაცალა და მერე მკითხა: „ახლა რაღას იყვი, მოხუცო?“. მე მდაბლად თავი დავუკარ და მოვახსენე: „რქვა უფალმა: იყავნ ნათელი და იქმნა ნათელი“, მან კი უცებ პასუხად ეს მომიგო: „თუ იყავნ ბნელიო?“. და ისე უცნაურად თქვა, არც კი ჩაუცინია. გამიკვირდა, ის კი თითქოს გაწყრა კიდეც. ხმა აღარ ამოუღია.

- უბრალოდ რომ ვთქვათ, ეგ თქვენი პიოტრ ვალერიანიჩი მონასტერში წანდილს შეექცევა და არის ერთ მეტანიობაში, ხოლო ღმერთი არ სწამს, თქვენ კი ასეთ წუთში მოხვდით ხელში - ესაა და ეს, - ვუთხარი მე. - ეგეც არ იყოს, საკმაოდ სასაცილო ადამიანია: ხომ უეჭველია, რომ ის მიკროსკოპი მანამდე ბარემ ათჯერ მაინც ექნებოდა ნახული, მაშ მეთერთმეტეჯერ რაღამ გადარია? რაღაც ნერვიული შთაბეჭდილებიანობაა... მონასტერში გამოუმუშავებია.

- ალალი კაცია და დიდი ჭკუის პატრონი, - შეგონებით წარმოთქვა მოხუცმა, - არც უღმერთოა. ჭკუით სავსეა, ოღონდ გული აქვს მოუსვენარი. ახლა ასეთი ხალხი ბლომად გაჩნდა ბატონთა და სწავლულთა წოდებაში. და აი კიდევ რას გეტყვი: კაცი თვითონ ისჯის თავს. ადექი და გვერდი აუარე ასეთ ხალხს და თავს ნუ მოაბეზრებ, ხოლო ძილის წინ ლოცვაში მოიხსენიე ისინი, რამეთუ ასეთნი ღმერთს ეძიებენ. ძილის წინ თუ ლოცულობ?

- არა, ეს ფუჭ წესად მიმაჩნია. თუმცა უნდა გამოგიტყდეთ, თქვენი პიოტრ ვალერიანიჩი მომწონს: რაც არ უნდა იყოს, თივის ზვინი არაა, კაცია მაინც, და ცოტათი წააგავს ერთ ჩვენს ახლობელ კაცს, რომელსაც ორივენი ვიცნობთ.

მოხუცმა ჩემი პასუხის მხოლოდ პირველ ფრაზას მიაქცია ყურადღება:

- ტყუილად არა ლოცულობ, მეგობარო; ლოცვა კარგია; გულს ახალისებს ძილის წინაც, გამოღვიძებისასაც და ღამითაც, თუ გაგეღვიძება. ერთ ამბავს გეტყვი. ზაფხულში, ივლისის თვე იყო, ღვთისმშობლის მონასტრისკენ მივეშურებოდით დღესასწაულზე. რაც უფრო ვუახლოვდებოდით დანიშნულ ადგილს, მით უფრო ბლომად გვემატებოდა ხა-

ლხი და ბოლოს ლამის ორასამდე კაცი შევგროვდით, ვისაც სული მიგვდიოდა, რომ მალე ვმთხვეოდით ორი დიდი სასწაულმოქმედის ანიკისა და გრიგოლის წმინდა უხრწნელ ნაწილებს. ღამე მინდვრად გავათიეთ, ძმობილო, და უთენია გამომეღვიძა; ჯერ კიდევ ყველას ეძინა და მზესაც არ ამოეწვერა ტყის გადაღმიდან. დავემხე მიწაზე, საყვარელო, თაყვანი ვეც, მოვავლე თვალი გარემოს და ამოვიოხრე: რა ენით უთქმელი სილამაზეა ყველგან! ყველაფერი სდუმს, ჰაერი მსუბუქია; ბალახი ხარობს - იხარე, ღვთის ბალახო; ჩიტუნა ჟღურტულებს - იჟღურტულე, ღვთის ჩიტუნავ; ჩვილმა დაიჭყივლა დედის მკლავებში - გფარვიდეს უფალი, პაწია ადამიანო, იზარდე ბედნიერი, პაწაწავ! და აი თითქოს მაშინ პირველად ჩემს სიცოცხლეში, მთლიანად აღვიქვი, ჩემში მოვიქციე ყოველივე ეს... კვლავ წავდე თავი და ისე მსუბუქად დამეძინა. კარგია ქვეყნად სიცოცხლე, საყვარელო! ცოტა რომ შემეშვებოდეს, გაზაფხულზე ისევ გავუდგებოდი გზას. ხოლო საიდუმლოება რომაა, ეს ხომ უკეთესიცაა; ჰკრთის გული და ჰკვირობს და შიში ესე სიხარულით აღავსებს: „შენშია ყოველი, უფალო, და შენში ვარ მეც, და მიმიღენ მე!“. ნუ დრტვინავ, ყმაო: მით უფრო მშვენიერია, რომ საიდუმლოებაა, - დაუმატა მან სასოებით.

- „მით უფრო მშვენიერია, რომ საიდუმლოებაა.“. ამ სიტყვებს დავიხსომებ. თქვენ საშინლად არაზუსტად გამოთქვამთ სათქმელს, მაგრამ მე მესმის... ის მაკვირვებს, რომ გაცილებით მეტი იცით და გესმით, ვიდრე გამოთქმა შეგიძლიათ; ოღონდ ისე ხართ, თითქოს ბოდავთ... - აღმომხდა, როცა შევხედე მის ანთებულ თვალებს და ფერმიხდილ სახეს. მაგრამ გონი არც გაუგონია ჩემი სიტყვები.

- იცი თუ არა, საყვარელო ყრმაო, - წამოიწყო ისევ, თითქოს წეღანდელ ლაპარაკს აგრძელებსო, - იცი თუ არა, რომ ადამიანის ხსოვნას ამა ქვეყნად ზღვარი აქვს? ადამიანის ხსოვნის ზღვარი ასი წელია მხოლოდ. სიკვდილის მერე ასი წელიწადი იქნებ კიდევ ახსოვდეთ ადამიანი მის შვილებს ან შვილთაშვილებს, ვისაც სახით უნახავს, მერე კი თუმცა შეიძლება გასტანოს მისმა ხსოვნამ, მაგრამ მხოლოდ ზეპირი, აზრითი ხსოვნა იქნება, ვინაიდან გარდავლენ ყველანი, ვისაც უნახავს სახება მისი ცოცხალი. და დაფარავს სამარეს მისას ბალახი, დაიბზარება ზედ დადებული თეთრი ლოდი და დაივიწყებენ მას ადამიანები და თვით შთამომავლობაც, დაივიწყებენ თვით მის სახელსაც, რამეთუ მხოლოდ მცირენი თუ შემორჩებიან კაცთა ხსოვნას - და დაე ასე იყოს! დაე დამივიწყონ, ძვირფასნო, მე კი სამარიდანაც მიყვარხართ. მესმის, ბალღებო, თქვენი მხიარული ხმები, მესმის თქვენი ნაბიჯები მამა-პა-

პათა საფლავებზე სულთაობა დღეს; იცოცხლეთ ჯერ მზისქვეშეთში, იხარეთ, მე კი უფალს შევავედრებ თქვენს თავს, სიზმრად ხილვაში მოგევლინებით... სულ ერთია, სიკვდილის მერეც სიყვარულია!...

მთავარი ის იყო, რომ მეც მასავით აღგზნებული ვიყავ; იმის მაგიერ, რომ წამოვსულიყავ ან შემეგონებინა, დამშვიდდით-მეთქი, ან იქნებ ლოგინშიც ჩამეწვინა, რადგან მართლაც ბოდავდა, - უცებ დავტაცე ხელში ხელი, დავიხარე მისკენ, ხელზე ხელი მოვუჭირე და ცრემლმორეულმა აღელვებული ჩურჩულით წარმოვთქვი:

- მიხარია თქვენი ნახვა. მე, იქნებ, დიდი ხანია გელოდით. ამათგან არავინ არ მიყვარს: კეთილსახიერება არა აქვთ... მე მათ არ გავყვები, არ ვიცი, საით წავალ, მე თქვენ გამოგყვებით...

მაგრამ საბედნიეროდ, უცებ დედა შემოვიდა, თორემ არ ვიცი, რით გავათავებდი. ახალგამოღვიძებული და შეშფოთებული სახე ჰქონდა, ხელში წამლის შუშა და სუფრის კოვზი ეჭირა; ჩვენ რომ დაგვინახა, წამოიძახა:

- აკი ვიცოდი! ქინაქინის წამლის დროზე დალევინება დამაგვიანდა, და სულ ერთიანად კანკალებს! ვეღარ გავიღვიძე, მაკარ ივანოვიჩ, გეთაყვა.

მე ავდექი და გამოვედი. დედამ მაინც დაალევინა წამალი და დააწვინა. მეც დავწექი ჩემს საწოლში, მაგრამ ძალზე აღელვებული ვიყავ. უდიდესი ცნობისმოყვარეობით შეპყრობილი დავბრუნდი და გაფაციცებით ვფიქრობდი ამ შეხვედრაზე. არ ვიცი, რას მოველოდი მაშინ ამ შეხვედრისგან. ცხადია, უთავბოლოდ ვფიქრობდი და გონებაში აზრები კი არა, მხოლოდ აზრის ნაფლეთები მიტრიალებდა. კედლისკენ გადაბრუნებული ვიწექი და უცებ დავინახე ჩამავალი მზის კაშკაშა, ნათელი ლაქა, სწორედ ის ლაქა, რომელსაც წეღან ისეთი წყევლა-კრულვით ველოდი, და აი, მახსოვს, შეიფრთხიალა ჩემმა სულმა და თითქოს ახალი შუქი ჩამეღვარა გულში. მახსოვს ის ტკბილ წუთი და არც მინდა დავივიწყო. ეს იყო მარტოოდენ წამი ახალი იმედისა და ახალი ძალისა... მე მაშინ სააქაოსკენ ვიბრუნე პირი და მაშასადამე, ასეთი აღმაფრენა მხოლოდ ჩემი ნერვების მდგომარეობის გარდუვალი შედეგი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ის ნათელი იმედი ახლაც მწამს - აი რისი ჩაწერა და გახსენება მინდოდა ახლა. რა თქმა უნდა, მაშინაც მტკიცედ ვიცოდი, რომ მაკარ ივანოვიჩს არ გავყვები საყარიბოდ, და რომ მეც არ ვიცი, რაში მდგომარეობდა ეს ახალი მისწრაფება რომელმაც

მაშინ ამიტაცა, მაგრამ ერთი სიტყვა კი, თუმცა ბოდვაში, უკვე წარმოთქვი: „მათ არა აქვთ კეთილსახიერება!“ - „რა თქმა უნდა, - ვფიქრობდი გამწარებული, - ამ წუთიდან მე „კეთილსახიერებას“ ვეძებ, მათ კი ეს არ გააჩნიათ და ამიტომაც ვტოვებ მათ“.

ჩემს უკან რაღაც გაშრიალდა, მოვიხედე; დედა იდგა, ჩემკენ დახრილიყო და შიშნარევი ცნობისმოყვარეობით ჩამცქეროდა თვალებში. ანაზდად ხელი წავავლე ხელში.

- დედა, რატომ არ მითხარით, თუ ასეთი ძვირფასი სტუმარი გვყავდა? - ვკითხე უცებ ისე, რომ მეც არ ველოდი, ამას თუ ვეტყოდი. დედას მაშინვე მოშორდა სახეზე შეშფოთება და ზედ თითქოს სიხარული აენთო, მაგრამ არაფერი მომიგო, გარდა ერთი სიტყვისა:

- ლიზასაც ნუ დაივიწყებ, ლიზასაც; შენ ლიზა დაგავიწყდა.

ეს აჩქარებით წარმოთქვა, გაწითლდა და მაშინვე წასვლა დააპირა, რადგან მასაც საშინლად არ უყვარდა გრძნობებზე სიტყვის გაბრტყელება და ამ მხრივ სულ მე მგავდა, ესე იგი მორცხვი იყო და კდემამოსილი; თანაც, ცხადია, არ ენდომებოდა ჩემთან მაკარ ივანოვიჩზე ლაპარაკის წამოწყება; საკმარისი იყო ისიც, რაც უსიტყვოდ, თვალებით ვუთხარით ერთმანეთს. მაგრამ სწორედ მე, რომელსაც მძულდა გრძნობებზე სიტყვის ყოველგვარი გაბრტყელება, სწორედ მე ძალათი გავაჩერე ხელით: ტკბილად შევყურებდი თვალებში, წყნარად და ნაზად ვიცინოდი, მეორე ხელისგულს კი ვუსვამდი საყვარელ სახეზე, ჩაცვენილ ლოყებზე. დედა დაიხარა და შუბლით მომეკრა შუბლზე.

- ქრისტე ღმერთი იყოს შენი მფარველი, - მითხრა მან უცებ და თავი მომადო მთლად სახეგაბრწყინებულმა, - გამოკეთდი. არ დაგივიწყებ ამას. ავადაა მაკარ ივანოვიჩი, ძალიან ავადაა... კაცის სიცოცხლე ღვთის ხელთაა... ახ, ეს რა ვთქვი, ღმერთმა დაიფაროს, რომ რამე მოუვიდეს!...

დედა წავიდა. მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე შიშით, ძრწოლით და სასოებით ძალზე პატივს სცემდა თავის კანონიერ ქმარსა და ყარიბს მაკარ ივანოვიჩს, რომელმაც დიდსულოვნად და ერთხელ და სამუდამოდ მიუტევა შეცოდება მისი.

თავი მეორე - I

ლიზა კი არ „დამვიწყებია“, შეცდა დედაჩემი. გულგრძნობიერი დედა ხედავდა, რომ და-ძმას შორის თითქოს გულგრილობამ დაისადგურა, მაგრამ აქ უფრო ეჭვიანობა იყო, თორემ განა არ გვიყვარდა ერთმანეთი. რაკი შემდეგ საჭირო იქნება, ორიოდე სიტყვით ახლავ აგიხსნით.

საცოდავ ლიზას თავადის დაპატიმრების დღიდანვე რაღაც ამპარტავანი სიამაყე, რაღაც მოუწვდომელი, თითქმის აუტანელი ქედმაღლობა დაეტყო; მაგრამ ჩვენები ყველანი მიხვდნენ ჭეშმარიტებას და იმასაც, თუ როგორ იტანჯებოდა ლიზა, ხოლო თუ მე თავდაპირველად ვიბუტებოდი და გული მომდიოდა, ასე რატომ გვექცევა-მეთქი, ამის მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ ჩემი წვრილმანი სიფიცხე იყო, რაც ათასჯერ უფრო გამიძლიერა ავადმყოფობამ, - აი რას ვფიქრობ ახლა ამაზე. ლიზას სიყვარული კი ოდნავადაც არ გამნელებია, პირიქით, უფრო მეტადაც შემიყვარდა, ოღონდ არ მინდოდა პირველს გადამედგა ნაბიჯი, თუმცა კარგად მესმოდა, რომ თვითონ არაფრის გულისთვის პირველი არ მომაშურებდა.

საქმე ის იყო, რომ როგორც კი გაირკვა ყველაფერი თავადის თაობაზე მისი დაპატიმრებისთანავე, ლიზამ უწინარეს ყოვლისა ისე დაიჭირა თავი ჩვენს მიმართაც და ყველას მიმართაც ვინც გნებავთ, თითქოს ფიქრადაც კი არ უნდოდა გაევლო რომ შეიძლება მის შებრალება ან ნუგეშისცემა და თავადის გამართლება. პირიქით, - ცდილობდა არავისთვის არაფერი აეხსნა და არავის შედავებოდა, - თითქოს ერთთავად თავი მოჰქონდა თავისი უბედური საქმროს საქციელით და უმაღლეს გმირობად მიიჩნევდა. ის თითქოს ყოველ წუთს ყველას იმას გვეუბნებოდა (ვიმეორებ: სიტყვასაც კი არა სძრავდა, ისე): „თქვენ ხომ არც ერთი არ მოიქცევით ასე, თქვენ ხომ არ გაიმეტებთ თავს ღირსებისა და მოვალეობის გულისთვის; თქვენ ხომ არც ერთს არა გაქვთ ასეთი სათუთი და წმინდა სინდისი? ხოლო რაც შეეხება მის ზოგ საქციელს, ისეთი ვინ არის, ცუდი არაფერი ჩაედინოს? ოღონდ ყველგან ფარავენ თავიანთ სიგლახეს ამ კაცმა კი უმალ დაღუპვა ამჯობინა, ვიდრე საკუთარ თვალში უღირს ადამიანად დარჩენა“. აი, უთუოდ, რას გამოხატავდა ლიზას ყოველი ქცევა. არ ვიცი, მაგრამ მის ადგილას მეც სწორედ ასე მოვიქცეოდი. არც ის ვიცი, ამასვე ფიქრობდა თუ არა ის გუნებაში; ეჭვი მაქვს, რომ არა. თავისი გონების მეორე, ნათელი ნახევრით ის უსათუოდ უნდა მიმხვდარიყო თავისი „გმირის“ მთელს არარაობას;

ვინაიდან ვინ არ დამეთანხმება ახლა, რომ ეს უბედური, თუმცა თავისებურად კეთილშობილი კაცი იმავე დროს უაღრესად არარა ადამიანი იყო? თვით ის ამბავი, ლიზას რომ ასე გოროზად ეჭირა თავი და პირში გვეცემოდა ხოლმე ყველას, სულ ერთთავად რომ ეჭვი ეპარებოდა, სხვაგვარი აზრი გაქვთ ჩემს საქმროზეო - ნაწილობრივ მიგახვედრებდათ, რომ გულის სიღრმეში იქნებ სხვა აზრიც შექმნოდა თავის უბედურ მეგობარზე. მაგრამ ვისწრაფვი დავურთო, ოღონდ უკვე ჩემდათავად, რომ, ჩემი აზრით, ლიზა თუნდაც სანახევროდ მართალი იყო; მას ჩვენზე მეტად ეპატიებოდა კიდევაც, საბოლოო დასკვნის გამოტანაში რომ ჭოჭმანობდა. მე თვითონ გულწრფელად ვაღიარებ, რომ დღესაც კი, როცა ყველაფერმა გაიარა, სრულებით არ ვიცი, რანაირად ან როგორ შევაფასო ეს უბედური კაცი, რომელმაც ყველას ასეთი თავსატეხი გაგვიჩინა.

მიუხედავად ამისა შინ, ლიზას წყალობით, თითქმის პატარა ჯოჯოხეთი შეიქმნა. ლიზა, რომელიც ესოდენ დიდ სიყვარულს ატარებდა გულით, უთუოდ ძალიან იტანჯებოდა. ისეთი ხასიათისა იყო, რომ ჩუმად ტანჯვა ამჯობინა. ხასიათით მე მგავდა, ესე იგი თავნება იყო და ამაყი, და მუდამ ვფიქრობდი, მაშინაც და ახლაც, რომ თავადიც თავნებობის გამო შეიყვარა, სწორედ იმიტომ, რომ თავადი სუსტი ხასიათისა იყო და პირველი სიტყვიდანვე და პირველი საათიდანვე მთლიანად დაემორჩილა ლიზას. ეს რაღაც თავისთავად ხდება ხოლმე გულში, ყოველგვარი წინასწარი ანგარიშის გარეშე; მაგრამ ასეთი სიყვარული, ძლიერისგან სუსტის სიყვარული, ხანდახან გაცილებით უფრო ძალუმია და მტანჯველი, ვიდრე ერთნაირი ხასიათის ადამიანთა სიყვარული, რადგან უნებურად პასუხისმგებლობას კისრულობ შენი სუსტი მეგობრისთვის. ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვფიქრობ. მას უკან, რაც ეს ამბავი მოხდა, ჩვენები უნაზესი მზრუნველობით თავს ევლებოდნენ ლიზას, მეტადრე დედა; მაგრამ ლიზას გული არ მოულბა, არ გამოეხმაურა მათს თანაგრძნობას და თითქოს უარი თქვა ყოველგვარ დახმარებაზე. პირველად დედას კიდევ ელაპარაკებოდა ხოლმე, მაგრამ დღითიდღე უფრო სიტყვაძუნწი, მკვახე და სასტიკიც კი ხდებოდა. თავდაპირველად ვერსილოვს რჩევას ეკითხებოდა ხოლმე, მაგრამ მალე, როგორც გაკვირვებით შევიტყვე შემდეგში, მრჩევლად და დამხმარედ აირჩია ვასინი... ის ყოველდღე დადიოდა ვასინთან, დადიოდა აგრეთვე სასამართლოში, თავადის უფროსებთან, ვექილებთან, პროკურორთან; უკანასკნელ ხანებში თითქმის მთელი დღეობით შინ არ შემოდიოდა. ცხადია, ყოველდღე, დღეში ორჯერ, ნახულობდა თავადსაც, რომელიც ციხეში იჯდა თავადაზნაურთა განყოფილებაში, მაგრამ ეს

პაემნები, როგორც შემდეგში დავრწმუნდი, ძალზე სამძიმო იყო ლიზასთვის. რა ლაპარაკი უნდა, რომ მესამე პირი ვერასოდეს სავსებით ვერ შეიტყობს ორი შეყვარებულის საქმეს. მაგრამ მე ვიცი, რომ თავადი ყოველ წამს ღრმად შეურაცხყოფდა მას და მერე რითი? გასაოცარი საქმეა: განუწყვეტელი ეჭვიანობით; თუმცა ამაზე მერე გიამბობთ; ოღონდ დავუმატებ ერთ აზრს: ძნელი სათქმელია, რომელი უფრო აწვალებდა მეორეს? ზოგი რამის მიხედვით, რაზეც აგრეთვე მერე გიამბობთ. ეჭვი მაქვს, რომ ლიზა, რომელსაც ასე თავი მოსწონდა ჩვენთან თავისი გმირით, იქნებ სულ სხვაგვარად ეპყრობოდა მას, როცა პირისპირ რჩებოდნენ.

მაშ ასე, რაც შეეხება ჩემს გრძნობებსა და დამოკიდებულებას ლიზასადმი, ყოველივე, რაც გარეგნულად ჩანდა, მხოლოდ მოჩვენებითი, ეჭვიანი სიცრუე იყო ორივეს მხრივ, თორემ არასოდეს ასე ძლიერ არ გვყვარებია ერთმანეთი, როგორც იმხანად. დავურთავ იმასაც, რომ მაკარ ივანოვიჩის მოსვლის დღიდანვე, ლიზა, პირველ გაოცებისა და ცნობისმოყვარეობის მერე, რატომღაც თითქმის აგდებულად, ასე გასინჯეთ, ქედმაღლურადაც კი ეპყრობოდა მოხუცს, თითქოს განზრახ იოტისოდენა ყურადღებასაც არ აქცევდა.

რაკი, როგორც წინა თავში აგიხსენით, ჩემს თავს სიტყვა მივეც, „ჩუმად ვიქნები“ და ხმას არ ამოვიღებ-მეთქი, მე, რა თქმა უნდა, თეორიაში, ესე იგი ჩემს ოცნებებში, ვფიქრობდი კიდეც ამ სიტყვის შესრულებას. ო, ვერსილოვს, მაგალითად, უმალ ზოოლოგიაზე ან რომაელ იმპერატორებზე დავუწყებდი საუბარს, ვიდრე, მაგალითად, კატერინა ნიკოლაევნაზე ან, მაგალითად, იმ მნიშვნელოვან სტრიქონზე, რომელიც მისდამი წერილში იყო და რომლითაც ატყობინებდა, „დოკუმენტი არავის დაუწვავს, ცოცხალია და გამოგეცხადებათო“, - ამ სტრიქონზე, რომელზე ფიქრიც კვლავ დავიწყე მაშინვე, როგორც კი ავადმყოფობის მერე გონს მოველ და აზროვნება დამიბრუნდა. მაგრამ ვაგლახ! პირველი პრაქტიკული ნაბიჯებიდანვე, და თითქმის ამ ნაბიჯებამდე, მივხვდი, თუ რაოდენ ძნელი და შეუძლებელია თავის შეკავება, როცა წინასწარ მიიღებ ამგვარ გადაწყვეტილებებს: მაკარ ივანოვიჩის გაცნობის მეორე დღესვე საშინლად ამაღელვა ერთმა მოულოდნელმა გარემოებამ.

II

მე ამაღელვა დარია ანისიმოვნას (დოსტოევსკის სიცოცხლეშივე დაბეჭდილი რომანის ორივე გამოცემაში მესამე ნაწილიდან თავისმკვლელ ოლიას დედა იწოდება უკვე ნასტასია ეგოროვნად და არა დარია ანისიმოვნად, როგორც ეს პირველსა და მეორე ნაწილშია.), განსვენებული ოლიას დედის, მოულოდნელმა სტუმრობამ. დედაჩემისგან ვიცოდი, რომ ჩემს ავადმყოფობაში ერთი ორჯერ ყოფილიყო და ძალიან აინტერესებდა ჩემი ჯანმრთელობა. არ მიკითხავს, - ჩემი გულისთვის დადიოდა ეს „სათნო ქალი“, როგორც ახსენებდა მუდამ დედაჩემი, თუ უბრალოდ, დედას ეწვეოდა ხოლმე, როგორც წინათ იცოდა. შინაურ ამბებს დედა ჩვეულებრივად მაშინ მიამბობდა, როცა წვნიანს მაჭმევდა (როცა ჯერ კიდევ მე თვითონ არ შემეძლო ჭამა) — რათა გავერთე; მე კი ამ დროს ჯიუტად ვცდილობდი ყოველთვის ისეთი სახე მიმეღო, ეგ ამბები სრულიადაც არ მაინტერესებს-მეთქი, ამიტომ აღარც დარია ანისიმოვნას ამბავი გამომიკითხავს დაწვრილებით, ეს კი არა, საერთოდ ხმა არ ამომიღია.

თერთმეტი საათი იქნებოდა; ის იყო დავაპირე, საწოლიდან ავდგები და მაგიდასთან მდგარ სავარძელში ჩავჯდები-მეთქი, რომ შემოვიდა. მე განგებ აღარ ავდექი. დედას რაღაც საქმე ჰქონდა ზევით და დარია ანისიმოვნას მოსვლაზე ძირს არ ჩამოსულა, ასე რომ უცებ მარტოკანი აღმოვჩნდით. ჩემს პირდაპირ დაჯდა, კედელთან მდგარ სკამზე, იღიმებოდა და ხმას არ იღებდა. გული მეუბნებოდა, დუმილობია გველისო; და საერთოდ მისმა მოსვლამ ძალიან გამაღიზიანებლად იმოქმედა ჩემზე. თავიც კი არ დამიკრავს და პირდაპირ შევცქეროდი თვალებში; მაგრამ ისიც პირდაპირ მომჩერებოდა.

- ახლა რაც თავადი აღარაა იმ ბინაზე მოგწყინდებოდათ მარტოკას? - ვკითხე უცებ მოთმინებადაკარგულმა.

- არა, ჩემო ბატონო, იმ ბინაზე აღარ გახლავართ. ახლა ანა ანდრეევნას წყალობით იმათ ბავშვს ვუვლი.

- ვის ბავშვს ამბობთ?

- ანდრეი პეტროვიჩისა, - კონფიდენციალური ჩურჩულით წარმოთქვა მან და თან კარისკენ მიიხედა.

- იქ ხომ ტატიანა პავლოვნაა...

- ტატიანა პავლოვნაცაა, ანა ანდრეევნაც, ორივენი, ლიზავეტა მაკაროვნაც, დედათქვენიც... - ყველანი იქ არიან, ჩემო ბატონო. ყველანი პატრონობენ. ტატიანა პავლოვნა და ანა ანდრეევნა ახლა ძალიან დამეგობრდნენ.

აი ახალი ამბავი. ლაპარაკში ძალზე გამოცოცხლდა. მე სიძულვილით შევცქეროდი.

- რაღაც ძალზე გამოცოცხლებულხართ მას მერე, ჩემთან რომ იყავით უკანასკნელად.

- ახ, დიახ, ჩემო ბატონო.

- მგონი გასუქებულხართ კიდეც?

მან უცნაურად შემომხედა:

- ისინი ძალიან შემიყვარდნენ, ჩემო ბატონო, ძალიან.

- ეგ ვინ ისინი შეგყვარებიათ?

- ვინა და ანა ანდრეევნა. ძალიან, ჩემო ბატონო. ისეთი კეთილშობილი ყმაწვილი ქალია და ისეთი ჭკვიანი...

- აი თურმე რა ყოფილა. რასა იქმს, ახლა როგორ არის?

- ძალიან მშვიდად ბრძანდება, ჩემო ბატონო, ძალიან.

- ის მუდამაც მშვიდი იყო.

- მუდამ, ჩემო ბატონო.

- თქვენ თუ ჭორებით მოსულხართ, - ვეღარ მოვითმინე და ვიყვირე უცებ, - იცოდეთ, რომ არაფერში აღარ ვერევი, გადავწყვიტე მივატოვო ყველაფერი, ყველა, ჩემთვის სულ ერთია — მე წავალ!...

გავჩუმდი, იმიტომ რომ გონს მოველ. დამამცირებლად ჩავთვალე მისთვის ჩემი ახალი მიზნების ახსნა. ისე მომისმინა, არც გაჰკვირვებია და არც აღელვებულა, ოღონდ კვლავ დუმილი ჩამოვარდა. უცებ ადგა, კართან მივიდა და მეზობელ ოთახში გაიხედა. რაკი დარწმუნდა, იქ

არავინაა და მარტოკანი ვართო, არხეინად დაბრუნდა და თავის ძველ ადგილზე დაჯდა.

- ეგ კარგი ჰქენით! - გამეცინა უცებ.

- იმ ბინას, მოხელეებთან რომ ქირაობდით, ისევ დაიტოვებთ, ჩემო ბატონო? - მკითხა უეცრად, ოდნავ გადმოიხარა ჩემკენ და ხმას დაუწია, თითქოს ეს იყო ყველაზე მთავარი საკითხი, რისთვისაც მოსულიყო.

- ბინას? - არ ვიცი. იქნებ გადავიდე... აბა რა ვიცი?

- ბინის პატრონები კი ძალიან გელიან; იმ მოხელეს მოთმინება აღარ ყოფნის, მის მეუღლესაც. ანდრეი პეტროვიჩმა დაუმოწმა, ნამდვილად დაბრუნდებაო.

- თქვენ რაღა გესაქმებათ?

- ანა ანდრეევნასაც უნდოდა ამის გაგება; ძალიან კმაყოფილი დარჩა, როცა შეიტყო, რომ იქვე რჩებით.

- საიდან იცის ეგრე დაბეჯითებით, რომ უსათუოდ იმ ბინაზე დავრჩები?

მინდოდა დამერთო: ან რა ესაქმება-მეთქი? - მაგრამ თავმოყვარეობამ ნება არ მომცა გამოკითხვა დამეწყო.

- ბატონმა ლამბერტმაც ეგრევე დაუმოწმა.

- რა-ა-ა-ო?

- ბატონმა ლამბერტმა, ჩემო ბატონო. ანდრეი პეტროვიჩსაც თავგამოდებით არწმუნებდა, არ გადავაო, და ანა ანდრეევნაც დააჯერა.

ამ ამბავმა სულ ერთიანად შემძრა. რა სასწაულები ხდება! მაშ ლამბერტი უკვე იცნობს ვერსილოვს, ლამბერტმა ვერსილოვთან გზა გაიკვლია — ლამბერტი და ანა ანდრეევნა, - მან ანა ანდრეევნასთანაც გაიკვლია გზა! ცეცხლი მომედო, მაგრამ ხმა არ ამომიღია. სიამაყის საშინელმა ტალღამ გადამიარა მთელს სულზე, სიამაყისა თუ რა ვიცი რისა. მაგრამ იმ წუთში უცებ თითქოს ვუთხარი ჩემს თავს: „ერთი სიტყვაც რომ ვკითხო ამ ამბების ასახსნელად, ისევ ჩამითრევს ამათი სამ-

ყარო და ვეღარასოდეს გადავწყვეტ მათთან საქმეს“. სიძულვილი ამ-ენთო გულში. გადავწყვიტე ხმა არ ამომეღო და უძრავად ვიწექი; ისიც მთელი ერთი წუთით გაჩუმდა.

- თავადი ნიკოლაი ივანოვიჩი რასა იქმს? - ვკითხე უცებ გონედაკა-რგულივით. საქმე ისაა, რომ მხოლოდ და მხოლოდ თემის გამოსაც-ვლელად ვკითხე და კვლავ, უცაბედად, ყველაზე კაპიტალური კითხვა კი მივეცი, გიჟივით მე თვითონვე დავუბრუნდი იმ სამყაროს, საიდანაც გაქცევა ის წუთი იყო ისეთი მწარე ტკივილით გადავწყვიტე.

- ცარსკოე სელოში გახლავთ, ჩემო ბატონო. ცოტა შეუძლოდ ბრძ-ანდება, ქალაქს კი ეს ახლანდელი ხურვება მოედო, და ყველამ ურჩია ცარსკოეში გადასვლა, იქ ხომ საკუთარი სახლი აქვთ და ჰაერი კარგი-აო, ამბობენ, ჩემო ბატონო.

მე არაფერი ვუპასუხე.

- ანა ანდრეევნა და გენერლის მეუღლე ყოველ მესამე დღეს დადი-ან მის სანახავად! ერთად დადიან, ჩემო ბატონო.

ანა ანდრეევნა და გენერლის მეუღლე (ესე იგი ის) - მეგობრები არ-იან! ერთად დადიან! მე ხმას არ ვიღებდი.

- ისე დამეგობრდნენ, ჩემო ბატონო, და ანა ანდრეევნა ისე კარგად ახსენებს ხოლმე კატერინა ნიკოლაევნას...

მე ისევ ვდუმდი.

- კატერინა ნიკოლაევნა კი ისევ მაღალ საზოგადოებაში „გადავარ-და“, ერთი ზეიმიდან მეორეზე დაბრძანდება, ყველგან ბრწყინავს, ჩე-მო ბატონო; ამბობენ, მეფის კარზე კაცი არ არის, რომ მას არ შესტრ-ფოდესო... ბატონ ბიორინგთან კი ყველაფერი გათავებულია, ქორწი-ლი აღარ იქნება; ყველა ამას გაიძახის... სწორედ იმ დღის მერეო, ამბ-ობენ.

ესე იგი ვერსილოვის წერილის მერე. მე სულ ერთიანად ავკანკალ-დი, მაგრამ სიტყვა არ დამიძრავს.

- ანა ანდრეევნა ისე წუხს თავად სერგეი პეტროვიჩზე, კატერინა ნიკოლაევნაც ძალიან წუხს, ჩემო ბატონო, ყველანი იმას გაიძახიან, გაამართლებენო, აი იმას, სტებელკოვს კი მიუსჯიანო...

მე სიძულვილით შევხედე. დარია ანისიმოვნა წამოდგა და უცებ ჩემკენ დაიხარა:

- ანა ანდრეევნამ საგანგებოდ მიბრძანა შემეტყო თქვენი ჯანმრთელობის ამბავი, - წარმოთქვა მან მთლად ჩურჩულით, - და ძალიან მიბრძანა გთხოვოთ, როგორც კი სიარულს შეიძლებთ, მეწვიეთო. მშვიდობით, ჩემო ბატონო. გამოკეთდით, ჩემო ბატონო, მეც ეგრე გადავცემ...

დარია ანისიმოვნა წავიდა. ლოგინზე წამოვწექი, შუბლზე ცივმა ოფლმა დამასხა, მაგრამ შიშს როდი ვგრძნობდი: მაგალითად, ამ ჩემთვის ამოუცნობმა და უმსგავსმა ცნობამ ლამბერტისა და მისი ქვებუდანობის შესახებ თავზარი როდი დამცა, თუ განვსჯით იმ, იქნებ, უანგარიშო შიშის მიხედვით, როგორითაც მაგონდებოდა ავადმყოფობისასაც და გამომჯობინების პირველ დღეებშიც ჩვენი იმღამინდელი შეხვედრა. პირიქით, იმ პირველ ბუნდოვან წამს, როცა დარია ანისიმოვნა წავიდა, მე არც კი შევჩერებულვარ ლამბერტზე, არამედ...: ყველაზე მეტად გამიტაცა მისმა ამბავმა, იმან, რომ ბიორინგთან ყველაფერი გათავებულია, რომ ბედნიერია მაღალ საზოგადოებაში, მისი დღესასწაულების, წარმატების, „ბრწყინვალების“ ამბავმა. „ყველგან ბრწყინავს, ჩემო ბატონო“, - ყურში ჩამესმოდა დარია ანისიმოვნას სიტყვები. და უეცრად ვიგრძენი, რომ ჩემი ძალებით ვერ გავუმკლავდებოდი იმ ორომტრიალს, თუმცა იმდენი კი შეძელი, რომ თავი შევიკავე, ხმა არ ამომიღია და გამოკითხვა არ დამიწყია დარია ანისიმოვნასთვის იმ გასაოცარი ამბების მერე, რაც მან მომიტანა! მთლიანად შემიპყრო და ამიტანა ამ ცხოვრების, მათი ცხოვრების უზომო წყურვილმა და... კიდევ რაღაც სხვა ნეტარმა წყურვილმა, რომელიც ბედნიერებასაც განმაცდევინებდა და მტანჯველ ტკივილსაც. ფიქრები როგორღაც მერეოდა თავში, მაგრამ არც მიცდია მათი შეჩერება. „საფიქრალი რა არის!“ - ასეთი გრძნობა მქონდა. „მაგრამ დედამაც რომ არ მითხრა, ლამბერტი იყოო, - ვფიქრობდი უთავბოლოდ და ნაწყვეტ-ნაწყვეტ, - ვერსილოვი ეტყოდა, არ წამოგცდესო... მოვკვდები და ვერსილოვს კი არაფერს ვკითხავ ლამბერტზე!“ - „ვერსილოვი, - გამიელვებდა ისევ, - ვერსილოვი და ლამბერტი, ო, რამდენი ახალი ამბები გაუჩნდათ! ყოჩაღია ვერსილოვი! ხომ აჩვენა ფეთება იმ წერილით გერმანელ ბიორინგს; მან ცილი დასწამა კატერინა ნიკოლაევნას: la calomnie... il en reste toujours quelque chose (ცილისწამება... ყოველთვის ტოვებს რაღაც კვალს (ფრანგ.).), და მეფის კარზე მიღებულ გერმანელს სკანდალისა შეეშინდა - ხახა... კარგი გაკვეთილია კატერინა ნიკოლაევნასთვის!“ -

„ლამბერტი... კატერინა ნიკოლაევნასთანაც ხომ არ გაიკვლია გზა ლამბერტმა? რატომაც არა! ვითომ რატომ არ უნდა „დაიჭიროს საქმე“ ლამბერტთან?“

აქ უცებ თავი დავანებე მთელ ამ სისულელეზე ფიქრს და სასოწარკვეთილი გულაღმა გადავვარდი ბალიშზე. „ეს რა მოხდება!“ - წამოვიძახე უეცარი სიმტკიცით. ლოგინიდან წამოვხტი, ფლოსტები და ხალათი ჩავიცვი და პირდაპირ გავემართე მაკარ ივანოვიჩის ოთახისაკენ, თითქოს იქ იყო განრინება ყოველგვარ ცთუნებათაგან, იქ იყო ხსნა, ღუზა, რომელსაც ჩავეჭიდებოდი და გადავრჩებოდი.

მართლაც, შესაძლებელია ეს აზრი მაშინ მთელი სულითა და გულით ვიგრძენი; მაშ რატომღა წამოვიჭრებოდი ისე თავშეუკავებლად და ერთბაშად ადგილიდან და ისეთს ზნეობრივ მდგომარეობაში მყოფი რატომღა მივაშურებდი მაკარ ივანოვიჩს?

III

მაგრამ მაკარ ივანოვიჩთან, სრულიად მოულოდნელად, ხალხი დამხვდა - დედაჩემი და ექიმი. რაკი რატომღაც აუცილებლად წარმომედგინა, მოხუცი გუშინდელივით მარტოკა დამხვდება-მეთქი, ყეყეჩივით გაოგნებული გავჩერდი კარებში. მაგრამ მოღუშვაც ვერ მოვასწარი, რომ ვერსილოვიც მოვიდა, მას უცებ ლიზაც მოჰყვა... მაშ ყველამ რატომღაც თავი მოიყარა მაკარ ივანოვიჩთან და „სწორედ მაშინ, როცა არავინ ეხვეწებოდა!“

- თქვენი ჯანმრთელობის ამბავი მინდოდა გამეგო, - წარმოვთქვი და პირდაპირ მივედი მაკარ ივანოვიჩთან.

- გმადლობთ, საყვარელო, გელოდი, ვიცოდი, რომ მოხვიდოდი! წუხელ შენზე ვფიქრობდი!

ალერსიანად შემომცქეროდა თვალებში და ვხედავდი, რომ იქნებ ყველაზე უკეთ ვუყვარვარ, მაგრამ მაშინვე და უნებურად შევამჩნიე, რომ თუმცა სახე მხიარული ჰქონდა, ავადმყოფობა კარგად მორეოდა იმ ერთ ღამეში ის წუთი იყო, ექიმმა ფრიად სერიოზულად გასინჯა. მერე შევიტყვე, რომ ეს ექიმი (აი ის ყმაწვილი კაცი, რომელსაც მე წავეკიდე და რომელიც მაკარ ივანოვიჩს მკურნალობდა მისი ჩამოსვლის დღიდან) ფრიად ყურადღებით ეპყრობოდა პაციენტს და, - ოღონდ არ მეხერხება მათი სამედიცინო ენით ლაპარაკი, - მის ორგანიზმში ათასნაირი ავადმყოფობის გართულებას ხედავდა. პირველი შეხედვისთანავე შევატყვე, რომ მაკარ ივანოვიჩი ძალიან დამეგობრებოდა ექიმს; ეს ამბავი მაშინვე არ მომეწონა; თუმცა, კაცმა რომ თქვას, რა თქმა უნდა, იმ წუთას მე თვითონაც ძალიან ცუდად ვიყავი.

- მართლაც, ალექსანდრ სემიონოვიჩ, როგორაა დღეს ჩვენი ძვირფასი ავადმყოფი? - იკითხა ვერსილოვმა. ძალზე შეძრწუნებული ვიყავ, თორემ უწინარეს ყოვლისა ყველაზე საინტერესო ის იქნებოდა, თვალი მიმეტანებინა, თუ როგორ ეპყრობოდა ვერსილოვი ამ მოხუცს, რაზეც ჯერ კიდევ გუშინ ვფიქრობდი. ახლა ყველაზე მეტად განმაცვიფრა ვერსილოვის სახის ძალზე ალერსიანმა და საამო გამომეტყველებამ; რაღაც სავსებით გულწრფელი გამოსჭვივოდა მასში. ერთხელ მგონი აღვნიშნე კიდეც, რომ ვერსილოვს გასაოცრად უმშვენდებოდა ხოლმე სახე, როგორც კი ოდნავ მაინც გულწრფელი ხდებოდა.

- აი სულ ვჩხუბობთ, - მიუგო ექიმმა.

- მაკარ ივანოვიჩს ეჩხუბებით? ვერ დავიჯერებ: მასთან ჩხუბი შეუძლებელია.

- არ მიჯერებს; ღამე არ სძინავს...

- კარგი ერთი, ალექსანდრ სემიონოვიჩ, გეყო თათხვა, - გაიცინა მაკარ ივანოვიჩმა. - გეთაყვა, ანდრეი პეტროვიჩ, რა უქნეს ჩვენს ბატონის ქალს? ეს ისეთ დღეშია მთელი დილა, სულ ხვნეშის, ჯავრით აღარ არის, - დაურთო მან და დედაჩემზე მიუთითა.

- ახ, ანდრეი პეტროვიჩ, - წამოიძახა მართლაც ძალზე შეწუხებულმა დედამ, - ნუ დაგვხოცე, ბარემ გვიამბე: რა გადაუწყვიტეს იმ საცოდავს?

- მიუსაჯეს ჩვენს ბატონის ქალს!

- ახ! - წამოიძახა დედამ.

- ციმბირი არ მიუსჯიათ, დამშვიდდი - სულ თხუთმეტი მანეთით დაჯარიმეს; ნამდვილი კომედია იყო!

ვერსილოვი დაჯდა, ექიმმაც მას მიჰბაძა. ისინი ტატიანა პავლოვნაზე ლაპარაკობდნენ, მე ჯერ სრულებით არაფერი ვიცოდი ამ ამბისა. მე მარცხნივ ვუჯექი მაკარ ივანოვიჩს, ლიზა კი ჩემს პირდაპირ დაჯდა, მარჯვნივ; ეტყობოდა დღეს მას რაღაც თავისი განსაკუთრებული სადარდებელი გასჩენოდა და იმიტომაც მოვიდა დედასთან; შეწუხებული და გაგულისებული სახე ჰქონდა. იმ წუთში ჩვენ როგორღაც ერთმანეთს შევხედეთ და უცებ გავიფიქრე: „ორივენი ჩირქმოცხებულნი ვართ და მე უნდა გადავდგა პირველი ნაბიჯი“. უცებ გული მომილბა. ამასობაში კი ვერსილოვმა დაიწყო დილანდელი ამბის მოყოლა.

საქმე ის გახლდათ, რომ იმ დილით ტატიანა პავლოვნას სამომრიგებლო სასამართლოში პროცესი ჰქონდა თავის მზარეულ ქალთან. უაღრესად უბრალო საქმე იყო; ერთხელ უკვე აღვნიშნე, რომ ეს გულბილწი ფინელი დედაკაცი, თუ გაბრაზდებოდა, ხანდახან მთელი კვირობით ხმას არ იღებდა და ერთ სიტყვასაც არ უპასუხებდა თავის ქალბატონს, როცა ის რამეს შეეკითხებოდა; აღვნიშნე ისიც, რომ ტატიანა პავლოვნა ყველაფერს უთმენდა და არაფრის გულისთვის არ უნდოდა მისი ერთხელ და სამუდამოდ თავიდან მოშორება. მე თუ მკითხავთ,

შინაბერებისა და ქალბატონების ყველა ეს ფსიქოლოგიური ახირებანი დიდად ღირსია ზიზღისა და არა ყურადღებისა, და თუ ვბედავ ვახსენო აქ ეს ისტორია, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ეს მზარეული ქალი ჩემი თხრობის შემდგომს მიმდინარეობაში რამდენადმე დიდსა და საბედისწერო როლს ითამაშებს. და აი, ბოლოს, ტატიანა პავლოვნა მოთმინებიდან გამოიყვანა ჯიუტმა ფინელმა, რომელიც აგერ რამდენიმე დღე იყო არაფერზე არ პასუხობდა, - ადგა და გაარტყა, რაც წინათ არასოდეს მოხდარა. დედაკაცს კრინტიც არ დაუძრავს ამ საქციელზე, ოღონდ იმავ დღეს მიაკითხა ერთ გადამდგარ მიჩმანს ოსეტროვს, რომელიც იმავე უკანა კიბეზე, სადღაც ქვევით, ნაქირავებ კუთხეში ცხოვრობდა, ნაირ-ნაირ საქმეებზე დაიარებოდა და, ცხადია, ამგვარ საქმეებსაც აღძრავდა ხოლმე სასამართლოში, რათ ალუკმა პური ეშოვნა. ამას მოჰყვა ის, რომ ტატიანა პავლოვნა მომრიგებელ მოსამართლესთან დაიბარეს, ხოლო ვერსილოვს რატომღაც მოუხდა მოწმედ გამოსვლა საქმის გარჩევის დროს.

ყოველივე ამას ვერსილოვი არაჩვეულებრივად მხიარულად და ხუმრობით მოჰყვა, ისე რომ დედამაც კი გაიცინა; მან სახეებით წარმოადგინა ტატიანა პავლოვნაც, მიჩმანიცა და მზარეული ქალიც. მზარეულმა დასაწყისშივე განუცხადა სასამართლოს, ფულადი ჯარიმა მინდაო, „თორემ ქალბატონი რომ ციხეში ჩასვათ, საჭმელი ვიღას მოვუმზადო“. მოსამართლის შეკითხვებს ტატიანა პავლოვნა უდიდესი ქედმაღლობით პასუხობდა და ღირსადაც არავინ გახადა, რომ თავი ემართლებინა; პირიქით, ასე დაასრულა: მივტყეპე და კვლავაც მივტყეპავო, რის გამოც დაუყოვნებლივ სამი მანეთი ჯარიმა შეაწერეს სასამართლოსთვის უკმეხი პასუხების გამო. მიჩმანმა, ერთმა აყლაყუდა, კაფანდარა კაცმა კარგა დიდი სიტყვა წამოიწყო თავისი კლიენტი ქალის დასაცავად, მაგრამ სამარცხვინოდ დაიბნა და მთელი დარბაზი გააცინა. საქმის გარჩევა მალე დამთავრდა და ტატიანა პავლოვნას შეურაცხყოფილი მარიასთვის თხუთმეტი მანეთის გადახდა მიუსაჯეს. მანაც მაშინვე ამოიღო საფულე და ფული რომ უნდა მიეცა, ხელად საიდანღაც გამოტყვრა მიჩმანი და ხელი გაუწოდა ფულის გამოსართმევად, მაგრამ ტატიანა პავლოვნამ თითქმის დაარტყა, ისე გააწევინა ხელი, მერე მარიას მიუბრუნდა. „კარგი ერთი, ქალბატონო, თავის შეწუხებად არა ღირს, ჩემს ანგარიშს მიაწერეთ, ამას კი მე გავუსწორდები“. - „ხედავ, მარია, რა ვირგლა ვიღაც მოგინახავს!“ - მიუთითა მიჩმანზე ტატიანა პავლოვნამ, რომელმაც საშინლად გაიხარა, რომ მარიამ როგორც იქნა ხმა გასცა. „მართლაც ნამდვილი ვირგლა ვიღაცაა, ქალბატონო, - ეშმაკურად მიუგო მარიამ. - კოტლეტები მუხუდოთი ხომ არ მიბრძან-

ეთ ამ დილას? წეღან კარგად ვერ გავიგონე, აქეთ მომეჩქარებოდა“. - „ახ, არა, მარია, კომბოსტოთი გითხარი, ოღონდ, გეთაყვა, გუშინდელივით არ მიგეხრაკოს“. - „დღეს განსაკუთრებით მოვინდომებ, ქალბატონო, თქვენი ხელი მიბოძეთ“, - და შერიგების ნიშნად ხელზე ეამბორა ქალბატონს. ერთი სიტყვით, მთელი დარბაზი გაამხიარულა.

- რა ქალია! - თავი გააქნია დედამ, ის ძალზე კმაყოფილი იყო ამბითაც და ანდრეი პეტროვიჩის მოყოლითაც, მაგრამ თან მალული შეშფოთებით გადახედავდა ხოლმე ლიზას.

- პატარაობიდანვე თავნება გახლდათ ბატონის ქალი, - ჩაიცინა მაკარ ივანოვიჩმა.

- ეგ იმის ბრალია, ნაღველა რომ გადმოენთხა და საქმე არა აქვს, - გაეხმიანა ექიმი.

- ჩემზე ამბობთ, თავნებაა, ნაღველა გადმოენთხა და საქმე არა აქვსო? - შემოვიდა უცებ ტატიანა პავლოვნა, რომელიც, ეტყობოდა, ძალზე კმაყოფილი ყო საკუთარი თავისა, - შენ მაინც ნუ ამბობს ისულელეს, ალექსანდრ სემიონოვიჩ; ათი წლის ბიჭი რომ იყავ, მას მერე მიცნობ და იცი, რა უქნარაცა ვარ; ნაღველას გადმონთხევას რომ გაიძახი, მთელი წელიწადია მმკურნალობ და ვერ მოგირჩენივარ; ესეც შენი სირცხვილია და თავის მოჭრა. კარგი, გეყოფათ ჩემი დაცინვა; გმადლობთ, ანდრეი პეტროვიჩ, რომ გაისარჯე და სასამართლოში მოხვედი. შენ რასა იქ, მაკარუშკა, მარტო შენს სანახავად მოვედი, ამისა კი არა (მან ჩემზე ანიშნა, მაგრამ მაშინვე მეგობრულად დამკრა მხარზე ხელი; ასეთ კარგ გუნებაზე ჯერ არასოდეს არ მენახა).

- რას იტყვი? - დაამთავრა მან და უცებ მიუბრუნდა ექიმს შეწუხებული.

- ლოგინში არა წვება, ეგრე ჯდომით კი უფრო ისუსტებს თავს.

- რა მოხდება ცოტა ხანს ვიჯდე, ხალხში ვიქნები. - ბავშვივით მავედრებელი სახით წაიბუტბუტა მაკარ ივანოვიჩმა.

- ჰო, ეგ გიყვარს, ძალიან გიყვარს; გიყვარს ენის მოფხანა, როცა გარს ხალხი გვახვევია; ვიცნობ მაკარუშკას, - თქვა ტატიანა პავლოვნამ.

- რანაირი კაცი ხარ, სული ცხვირში გაქვს, - ისევ გაიღიმა მოხუცმა

და ექიმს მიუბრუნდა. - დამაცა, მათქმევინე: დავწვები, გეთაყვა, ოღ-ონდ ჩვენებურად მაგას აი რას ეძახიან: „თუ დაწვები, ვეღარც ადგებ-იო“, - აი რა მელის, მეგობარო.

- ვიცოდი მაგას იტყოდით, ეგ ხალხის ცრურწმენაა: „რომ დავწვე, ვაითუ ვეღარ ავდგეო“, - აი რისი ეშინია ხალხს და ურჩევნიათ ფეხზე მოიხადონ ავადმყოფობა. ვიდრე საავადმყოფოში დაწვნენ. თქვენ კი, მაკარ ივანოვიჩ, დარდმა დაგრიათ ხელი, შარაგზებზე ხეტიალი გენა-ტრებათ, თავისუფლება; აი რითი ხართ ავად; გადაჩვეული ხართ დიდ-ხანს ერთ ადგილას ცხოვრებას. თქვენ ხომ ეგრეთ წოდებული მსხემი ხართ, ყარიბი? ჰოდა, ჩვენს ხალხს ლამის ვნებად ექცეს წანწალი. ეს ხშირად შემიმჩნევია. ჩვენი ხალხი მეტწილად მაწანწალაა.

- მაშ, შენ რომ გკითხოს კაცმა მაკარი მაწანწალა ყოფილა? - აიტა-ცა სიტყვა ტატიანა პავლოვნამ.

- ო, მაგ აზრით არ მოგახსენებთ; ეს სიტყვა მისი ზოგადი მნიშვნელ-ობით ვიხმარე, თუ გნებავთ, რელიგიური მაწანწალა ვუწოდოთ ან ღვთისმოსავი, მაგრამ მაინც მაწანწალაა. საუკეთესო, საპატიო გაგებ-ით, მაგრამ მაწანწალაა... მედიცინის თვალსაზრისით მოგახსენებთ...

- გარწმუნებთ, - მივმართე მე უცებ ექიმს, - რომ უმალ მე და თქვენ, და ყველა აქ მყოფი ვართ მაწანწალები, ვიდრე ეს მოხუცი, რომლისგ-ანაც ბევრი რამ უნდა ვისწავლოთ, რადგან მას აქვს მტკიცე რამ ცხოვ-რებაში, ჩვენ კი, ვინც აქა ვართ, არაფერი მტკიცე არ გაგვაჩნია... თუ-მცა თქვენ ამას რას მიხვდებით.

ეტყობა მკვახედ წარმოვთქვი ეს სიტყვები, მაგრამ აკი ამ განზრახვ-ით მოვედი კიდეც. მართალი რომ ვთქვა, არ ვიცი, რატომ განვაგრძ-ობდი იქ ჯდომას, და გონგადასულივით ვიყავ.

- რა ამბავში ხარ? - ეჭვით შემომხედა ტატიანა პავლოვნამ, - რას იტყვი, მაკარ ივანოვიჩ, იმ ყმაწვილზე?

- დალოცოს ღმერთმა, ენამჭრელი ახალგაზრდაა, - სერიოზულად წარმოთქვა მოხუცმა, მაგრამ სიტყვა „ენამჭრელზე“ თითქმის ყველას გაეცინა. მე ძლივს შევიკავე თავი: ყველაზე მეტს ექიმი იცინოდა ცუდი ის იყო, რომ არაფერი ვიცოდი მათი წინასწარი შეთანხმება-მოლაპა-რაკებისა. ვერსილოვი, ექიმი და ტატიანა პავლოვნა ჯერ კიდევ სამი დღის წინ შეთანხმებულიყვნენ, რომ ყველაფერი ეღონათ, რათა დედ-

ასთვის აეცილებინათ ცუდი წინათგრძნობა და შიში მაკარ ივანოვიჩის გამო, რომელიც გაცილებით უფრო უიმედო ავადმყოფი იყო, ვიდრე მაშინ მეგონა. აი ამიტომაც ყველანი ხუმრობდნენ და ცდილობდნენ ეცინათ. ოღონდ ექიმი ყეყეჩი ვინმე იყო და, ბუნებრივია, ხუმრობის შნო არა ჰქონდა: ამიტომაც ისე გამოვიდა მერე ყველაფერი, მეც რომ მცოდნოდა მათი შეთანხმების ამბავი, იმას არ ჩავიდენდი, რაც მერე მოხდა. არც ლიზამ იცოდა რამე.

ვიჯექი და ცალი ყურით ვუსმენდი; ისინი ლაპარაკობდნენ და იცინოდნენ, მე კი თავიდან ვერ მომეშორებინა დარია ანისიმოვნასგან შეტყობილი ამბები; სულ თვალწინ მედგა, თუ რანაირად ზის და მიცქერის, მერე ფრთხილად დგება და მეორე ოთახში იჭვრიტება. ბოლოს ყველამ უცებ გაიცინა; ტატიანა პავლოვნამ, არ ვიცი რას მოაყოლა, უცებ ექიმს უღმერთო უწოდა: „თქვენ, ექიმები, ხომ ყველანი უღმერთოები ხართ!...“

- მაკარ ივანოვიჩ! - წამოიძახა ექიმმა და ყოვლად ბრიყვულად გაითამაშა დაჩაგრული და სამართლის მაძიებელი კაცის როლი - უღმერთო ვარ თუ არა?

- აბა სადაური უღმერთო შენა ხარ? არა, შენ არა ხარ უღმერთო, - დინჯად მიუგო მოხუცმა და ჩაციებით შეხედა, - არა, მადლობა უფალს! - თავი გაიქნია მან. - მხიარული კაცი ხარ და ეგ არის.

- რაკი კაცი მხიარულია, მაშ უღმერთო აღარაა, ხომ? - დაცინვით შენიშნა ექიმმა.

- ეგ, კაცმა რომ თქვას, თავისებურად იდეაა! - შენიშნა ვერსილოვმა, ოღონდ სულაც არ გაუცინია.

- ეგ მაგარი იდეაა! - წამოვიძახე უნებლიეთ იმ იდეით შეძრულმა. ექიმი კი აქეთ-იქით იხედებოდა და სახეზე კითხვა გამოხატვოდა.

- ამ ნასწავლი ხალხისა, აი ამ პროფესორებისა (უთუოდ მანამდე პროფესორებზე ლაპარაკობდნენ რაღაცას), - დაიწყო ოდნავ თვალდახრით მაკარ ივანოვიჩმა, - პირველად, უჰ, რა ძალიან მეშინოდა: მათ რომ შევხვდებოდი, გამბედაობა მეკარგებოდა, რადგან ყველაზე უფრო უღმერთოსი მეშინოდა. იმის ფიქრში ვიყავ, რომ სული ხომ ერთი მაქვს; თუ წავიწყმედ, სხვას ვეღარ ვიშოვნი-მეთქი; მერე კი გული გავიმაგრე: რა მოხდა-მეთქი, ღმერთები ხომ არ არიან, ეგენიც ხომ

ჩვენნაირი ადამიანები არიან-მეთქი. თანაც ცნობისწადილი მკლავდა: ერთი ისიც შევიტყო, ეს უღმერთობა რა არის-მეთქი? ოღონდ, მეგობარო, მერე ეს ცნობისწადილიც გამიქრა.

მაკარ ივანოვიჩი შეჩერდა, მაგრამ აპირებდა ლაპარაკის გაგრძელებას იმავე წყნარი და დინჯი ღიმილით. არის ხოლმე ისეთი მიამიტობა, რომელიც მიენდობა ყველასა და ყველაფერს და ეჭვადაც არა აქვს, დამცინიანო. ასეთი ადამიანები მუდამ გონებაშეზღუდულები არიან, ვინაიდან შეუძლიათ პირველ შემხვედრს გადაუშალონ გული და რაც კი რამ სანუკვარი აქვთ, გადმოულაგონ. მაგრამ მაკარ ივანოვიჩს, მე მგონი, რაღაც სხვა ჰქონდა და მარტო მიამიტი გულმართლობა როდი აიძულებდა ლაპარაკს: მასში თითქოს პროპაგანდისტი გამოსჭვიოდა. სიამოვნებით შევამჩნიე თითქმის მზაკვრული ღიმილი, რომლითაც მიმართავდა ექიმს ან იქნებ ვერსილოვსაც. ეს ლაპარაკი, ეტყობოდა, გაგრძელება იყო იმ დავა-კამათისა, რაც მთელი ეს ერთი კვირა ჰქონდათ; მაგრამ, საუბედუროდ, კვლავ გამოტყვრა ის საბედისწერო სიტყვა, რომელმაც ისე ელექტრონივით დამიარა გუშინ და ისეთი რამ ჩამადენინა, რაც აქამდე სანანებლად მაქვს.

- უღმერთო ადამიანს, - გულისხმიერად განაგრძო მოხუცმა, - იქნებ ახლაც შევუშინდე; ოღონდ აი რას გეტყვი, მეგობარო ალექსანდრ სემიონოვიჩ, უღმერთო კაცი ერთხელაც არ შემხვედრია, მის მაგიერ მინახავს მხოლოდ მოუსვენარი კაცი - ამაზე უკეთეს სახელს ვერ მოვუნახავ; ასეთი ხალხი ათასი ჯურისაა; ვერც კი მიხვდები, რა ხალხია; დიდი ვინმეებიც არიან და პატარებიც; ბრიყვებიც და ნასწავლებიც; ეგ კი არა, მდაბიოთაგანაც ურევია ხოლმე და სულ ფუსფუსი და ამაოებაა ყველაფერი. ვინაიდან მთელი თავისი დღე და მოსწრება სულ კითხულობენ, წიგნიერი სიტკბოთი გამაძღარნი ერთს მსჯელობაში არიან, თვითონ კი მაინც ვერაფერში გარკვეულან და არაფრის გადაწყვეტის შნო და უნარი არა აქვთ. ზოგი სულ დაიბნა, საკუთარ თავსაც ვეღარ ამჩნევს. ზოგი ქვაზე უმეტეს გაგულცივებულა, გულში კი ოცნებები უტრიალებს; ზოგიც უგრძნობი და ქარაფშუტაა და დაცინვისა და ქირქილის მეტი არაფერი ენაღვლება. ზოგმა იმ წიგნებიდან მარტო ის ამოკრიბა, რაც სასიამოვნო იყო, თანაც მისი ჭკუა-გემოვნებით; თვითონ კი მოუსვენარია და არც შორს განჭვრეტის უნარი გააჩნია. ისევ ვიტყვი: მოწყენილობაა ბევრი. პატარა კაცი ხელმოკლედაც არის, პურიც აკლია, ვერც შვილები შეუნახავს, ხმელ ჩალაზე ძინავს, მაგრამ მაინც გულმხიარულია, სიმძიმე არ აწევს; ღმერთსაც შესცოდავს, უხეშიცაა, მაგრამ გული მაინც მსუბუქი აქვს. დიდკაცს კი საჭმელი არ აკლია და

სასმელი, ყელამდე ოქროშია, მაგრამ გულში მაინც ნაღვლის მეტი არაფერი აქვს. ზოგს რაც რამ მეცნიერებაა, ყველა შეუსწავლია - და მაინც ნაღველი ჰკლავს. მე რომ მკითხონ, რაც უფრო ემატება ჭკუა კაცს, მით უფრო მოწყენას ვერ გაქცევია. ან კი, კაცმა რომ თქვას, რაც დედამიწა გაჩენილა, მას მერე ასწავლიან, მაგრამ აბა რა სიკეთე ასწავლეს, რომ ქვეყანა ყველაზე მშვენიერი, მხიარული და ათასნაირი სიხარულით აღსავსე საცხოვრებელი გამხდარიყო? ერთსაც ვიტყვი: კეთილსახიერება არა აქვთ და არც კი უნდათ, რომ ჰქონდეთ; ყველანი დაღუპულნი არიან, ოღონდ ყოველი კაცი აქებ-ადიდებს თავის დაღუპვას და ფიქრადაც არ მოსდის, რომ ერთიან ჭეშმარიტებას მიაშუროს; უღმერთოდ ცხოვრება კი მარტოდენ ტანჯვაა და სხვა არაფერი. და გამოდის, რომ ასეა. ან კი რა აზრი აქვს: კაცი ისე ვერ იქნება, თუ რამეს არ ეთაყვანა; ვერ გაუძლებს თავის თავს ასეთი კაცი, ვერც ვერანაირი კაცი. ღმერთიც რომ უარჰყოფს, კერპს დაუწყებს თაყვანისცემას - ხის, ოქროის თუ გონების კერპს. სულ კერპთაყვანისმცემლები არიან ასეთები, და არა უღმერთონი, აი რა უნდა დავარქვათ მათ. უღმერთო ვითომ რატომ არ უნდა იყოს ქვეყნად? არიან ისეთები, რომლებიც მართლაც უღმერთონი არიან, ოღონდ ისინი ბევრად უფრო საშიშნი არიან ამათზე, რადგან პირზე ღვთის სახელი აკერიათ. ბევრი მსმენია ასეთებზე, მაგრამ არც კი შემხვედრიან ჯერ. არიან ასეთები, მეგობარო, და ჩემი ჭკუით, უნდა იყვნენ კიდეც.

- არიან, მაკარ ივანოვიჩ, - დაემოწმა უცებ ვერსილოვი. - არიან ასეთები და „უნდა იყვნენ კიდეც“.

- უსათუოდ არიან და „უნდა იყვნენ კიდეც“! - აღმომხდა შეუკავებლად და ცხარედ, არ ვიცი რატომ; მაგრამ მე ამიყოლია ვერსილოვის ტონმა და ერთგვარად მომხიბლა რაღაც იდეამ სიტყვაში: „უნდა იყვნენ კიდეც“. ეს ლაპარაკი ჩემთვის სულ მოულოდნელი იყო. მაგრამ ამ დროს მოხდა ერთი აგრეთვე სულ მოულოდნელი რამ.

IV

საოცრად კაშკაშა დღე იყო; ჩვეულებრივად, ექიმის ბრძანებით, მაკარ ივანოვიჩის ოთახში მთელი დღე ჩამოშვებული იყო ხოლმე სქელი ფარდები; მაგრამ ახლა ფანჯარაზე ეკიდა თხელი ფარდა, ასე რომ ფანჯრის სულ ზედა ნაწილი მაინც არ იყო დაფარული; ასე იმიტომ მოაწყვეს, რომ როცა ადრე სქელი ფარდა ეფარა, მოხუცი სულ ვერ ხედავდა მზეს და გული უწუხდა. და აი ახლა სწორედ იქამდე შევყევით საუბარს, სანამ მზის შუქი უცებ შიგ სახეში არ მოხვდა მაკარ ივანოვიჩს. ლაპარაკით გართულმა თავდაპირველად ყურადღება არ მიაქცია ამას, მაგრამ ანგარიშმიუცემლად, ლაპარაკის დროს, რამდენჯერმე განზე გასწია თავი, რადგან ელვარე შუქი ძალზე აწუხებდა და უღიზიანებდა სნეულ თვალებს. იქვე მდგომმა დედაჩემმა რამდენჯერმე შეშფოთებით ახედა ფანჯარას; ყველაზე კარგი ის იქნებოდა, რომ რამე ჩამოეფარებინათ ზედ, მაგრამ დედამ, ლაპარაკს ხელი არ შევუშალოო, სცადა გვერდზე, მარჯვნივ გაეწია პატარა სკამი, რომელზეც მაკარ ივანოვიჩი იჯდა: სულ სამ თუ ოთხ გოჯზე გაწევა იკმარებდა. რამდენჯერმე დაიხარა და ხელი ჩაავლო სკამს, მაგრამ ძვრა ვერ უყო: სკამი, ზედ მჯდომი მაკარ ივანოვიჩიანად, არ იძვროდა. ლაპარაკით გატაცებული მაკარ ივანოვიჩი ქვეცნობიერად გრძნობდა დედაჩემის წვალებას და რამდენჯერმე წამოწევაც სცადა, მაგრამ ფეხები არ ემორჩილებოდა. დედა მაინც არ ეშვებოდა და დიდი გაჭირვებით ეწეოდა, და აი, ბოლოს, ყოველივე ამან საშინლად გააცეცხლა ლიზა. მახსოვს, გულმოსულმა რამდენჯერმე თვალები დაუბრიალა, ოღონდ პირველ წუთს არ ვიცოდი, რისთვის მიმეწერა ასეთი შეხედვა, თანაც ლაპარაკმა წამართვა გულისყური. და აი უცებ მან მკვახედ შეუყვირა მაკარ ივანოვიჩს:

- ცოტათი მაინც წამოიწიეთ, ხომ ხედავთ, დედა რა დღეშია!

მოხუცმა სწრაფად შეხედა, მაშინვე მიხვდა და მყისვე დააპირა წამოწევა, მაგრამ ვერას გახდა: ორიოდ გოჯზე წამოიწია და ისევ დაეცა სკამზე.

- არ შემიძლია, გეთაყვა, - რაღაც საცოდავად მიუგო ლიზას და მორჩილად შეხედა.

- წიგნებისოდენა ამბების მოყოლა შეგიძლიათ და წამოწევის ძალა

აღარა გაქვთ?

- ლიზა! - მიაძახა ტატიანა პავლოვნამ. მაკარ ივანოვიჩმა ისევ მოიკრიბა უკანასკნელი ძალ-ღონე.

- აიღეთ ყავარჯენი, მანდვე დევს, ყავარჯნით წამოიწიეთ! - ისევ მკვახედ მოუჭრა ლიზამ.

- ეგ კი აღარ მომაგონდა, - თქვა მოხუცმა და მაშინვე სწრაფად მისწვდა ყავარჯენს.

- ჩვენ წამოგაყენებთ! - წამოდგა ვერსილოვი; ექიმიც დაიძრა, ტატიანა პავლოვნაც წამოხტა, მაგრამ მისვლაც ვერ მოასწრეს, რომ მაკარ ივანოვიჩი მთელი ძალ-ღონით დაეყრდნო ყავარჯენს, ერთბაშად წამოიწია და, გახარებული, ზეიმით ფეხზე წამოდგა, თან ირგვლივ მიმოიხედა.

- აკი არ ავდექი! - წარმოთქვა ცოტა არ იყოს თავმოწონებით და მხიარულად ჩაიცინა. - მადლობელი ვარ, გენაცვალე, რომ ჭკუა მასწავლე, მე კი მეგონა, ფეხები სულ აღარ მემორჩილება-მეთქი...

მაგრამ დიდხანს კი ვეღარ გაჩერდა, ამის თქმა ვერც მოასწრო, რომ ყავარჯენი, რომელსაც მთელი სიმძიმით ეყრდნობოდა, აუცურდა და რაკი ფეხები თითქმის სულ ვეღარ იჭერდნენ, მოსხლეტით დაენარცხა იატაკზე. ეს თითქმის შემზარავი სანახავი იყო, მახსოვს, ყველას ოხვრა აღმოხდა და მისცივდნენ ასაყენებლად, მაგრამ, მადლობა ღმერთს, არ დაშავებულა; მხოლოდ მძიმედ, ბრაგვანით დაეცა იატაკზე ორივე მუხლით, მაგრამ მოასწრო, მარჯვენა ხელი შეაშველა და თავი შეიკავა. წამოაყენეს და საწოლზე ჩამოსვეს. ძალიან გაფითრდა, ოღონდ შიშით კი არ მოსვლია, წაქცევისას შეინჯღრა და იმის ბრალი იყო. ექიმი ამბობდა, ყველაფრის გარდა, გულიც დაავადებული აქვსო. დედაჩემი შიშით გადაირია. და უცებ მაკარ ივანოვიჩმა, რომელსაც ჯერ ისევ მკვდრის ფერი ედო, მთელი ტანი უცახცახებდა და თითქმის ჯერაც გონს ვერ მოსულიყო. ლიზასკენ იბრუნა პირი და თითქმის ნაზი, წყნარი ხმით უთხრა:

- არა, გენაცვალე, ჩანს მართლაც აღარ მემორჩილება ფეხები!

ვერ აგიწერთ ჩემს მაშინდელ შთაბეჭდილებას. საქმე ისაა, რომ საცოდავი მოხუცის სიტყვებში იოტისოდენაც არ ყოფილა დაჩივლება ან საყვედური; პირიქით, აშკარად ჩანდა, რომ მას თავიდანვე სრულებით

არ შეუმჩნევია ლიზას გაბოროტება, ხოლო მისი შეყვირება ისე მიიღო, თითქოს ასეც უნდა ყოფილიყო, ესე იგი სწორედ ასე უნდა „შეეხურებინათ“ მისი დანაშაულის გამო. ყოველივე ამან საშინლად იმოქმედა ლიზაზე. მაკარ ივანოვიჩი რომ დაეცა, ლიზაც სხვებივით წამოიჭრა, მთლად ჩამკვდარი იდგა და, ცხადია, იტანჯებოდა, რადგან ყველაფრის მიზეზი თვითონ იყო, მაგრამ ამ სიტყვების გაგონებაზე უცებ, თითქმის ერთ წამში, სულ ერთიანად წამოჭარხლდა სირცხვილისა და სინანულისგან.

- კმარა! - ბრძანა უცებ ტატიანა პავლოვნამ. - ამოდენა ლაპარაკმა ასე იცის! დავიშალოთ ახლა; რა სიკეთეს უნდა ელოდე, როცა თვითონ ექიმიც ენად გაიკრიფა!

- მართალი ბრძანებაა! - დაემოწმა ალექსანდრ სემიონოვიჩი, რომელიც ავადმყოფს უტრიალებდა. - ბოდიშს ვიხდი, ტატიანა პავლოვნა, მოსვენება ეჭირვება!

მაგრამ ტატიანა პავლოვნა არ უსმენდა; ნახევარი წუთი სდუმდა და ჯიქურ მისჩერებოდა ლიზას.

- მოდი აქ, ლიზა, და თუ გინდა მაკოცე მე ბებერ ჩერჩეტს, - წარმოთქვა მან მოულოდნელად.

და აკოცა ლიზას, არ ვიცი რატომ, მაგრამ სწორედ ასე კი იყო საჭირო; ასე რომ კინაღამ მე თვითონ მივვარდი ტატიანა პავლოვნას საკოცნელად. სწორედ რომ არ უნდა ამოგვეძრო სული ლიზასთვის ყვედრებით, არამედ სიხარულითა და მილოცვით უნდა შევხვედროდით იმ ახალ მშვენიერ გრძნობას, რომელიც უსათუოდ უნდა გაჩენილიყო მის არსებაში. მაგრამ ყველა ამ გრძნობათა სანაცვლოდ მე უცებ წამოვდექი და მტკიცედ, დამარცვლით დავიწყე:

- მაკარ ივანოვიჩ, თქვენ ისევ იხმარეთ სიტყვა: „კეთილსახიერება“, მე კი სწორედ გუშინ და მთელი ეს დღეები მტანჯავდა ეს სიტყვა... ეგ კი არა, მთელი ჩემი სიცოცხლე ვიტანჯებოდი, ოღონდ წინათ არ ვიცოდი, რა მტანჯავდა, სიტყვების ეს დამთხვევა საბედისწეროდ, თითქმის სასწაულად მიმაჩნია... ვაცხადებ ამას თქვენი თანდასწრებით...

მაგრამ მაშინვე შემაჩერეს, ვიმეორებ: მე არაფერი ვიცოდი მათი შეთანხმების შესახებ დედაჩემისა და მაკარ ივანოვიჩის თაობაზე: ჩემზე კი, წინანდელი ამბების გამო, ცხადია, იმ აზრისანი იყვნენ, ჭკუა არ

დაუშლის, რომ თავისებურად რაიმე სკანდალი მოახდინოსო.

- გააჩუმეთ, გააჩუმეთ! - სულ გადაირია ტატიანა პავლოვნა. დედას კანკალი აუვარდა. მაკარ ივანოვიჩმა რომ ნახა, ყველა შეშინებულიაო, თვითონაც შეშინდა.

- არკადი, კმარა! - მკაცრად დამიყვირა ვერსილოვმა.

- ჩემთვის, ბატონებო, - კიდევ უფრო ავუწიე ხმას, - ყველა თქვენგანის დანახვა ამ ბალღის გვერდით (მაკარზე მივუთითე) - უმსგავსობაა. აქ მხოლოდ ერთი წმინდანია - დედაჩემი, მაგრამ ისიც...

- თქვენ მას შეაშინებთ! - დაბეჯითებით წარმოთქვა ექიმმა.

- მე ვიცი, რომ მთელი ქვეყნიერების მტერი ვარ, - წავილუღლუღე (თუ რაღაც ამდაგვარი), მაგრამ კიდევ ერთხელ რომ მივიხედ-მოვიხედე, გამომწვევად შევხედე ვერსილოვს.

- არკადი! - დამიყვირა მან ისევ. - ზუსტად ასეთი სცენა ერთხელ უკვე მოხდა ჩვენს შორის აქ. გემუდარები, ახლა თავი შეიკავე!

ვერ გამოვთქვამ, რა ძლიერი გრძნობით წარმოთქვა ეს სიტყვები. არაჩვეულებრივი, გულწრფელი, სრული ნაღველი გამოეხატა სახეზე. ყველაზე საოცარი ის იყო, რომ დამნაშავესავით გამოიყურებოდა: მე მსაჯული ვიყავ, ის კი დამნაშავე. ყოველივე ამან ბოლო მომიღო.

- დიახ! - შევყვირე მე მის პასუხად. - ზუსტად ასეთი სცენა უკვე მოხდა, როცა მე დავასამარე და გულიდან ამოვიგლიჯე ვერსილოვი... მაგრამ მერე ამას მოჰყვა მკვდრეთით აღდგომა, ახლა კი... ახლა რიჟრაჟიც აღარაა! მაგრამ... მაგრამ თქვენ ყველანი ნახავთ, რა შემიძლია! არც კი მოელით, ისეთ რამეს დაგიმტკიცებთ!

ესა ვთქვი და ჩემს ოთახში გავვარდი, ვერსილოვი გამომეკიდა...

V

ავადმყოფობამ შემიბრუნა; ძლიერ შემახურა, ღამით კი ბოდვას მოვყევ, მაგრამ ყველაფერი ბოდვა როდი იყო: მქონდა ურიცხვი სიზმრები, უზომო და უსასრულო, რომელთაგან ერთი სიზმარი თუკი სიზმრის ნაწყვეტი სამარის კარამდე მემახსოვრება. გიამბობთ ყოველგვა-

რი ახსნა-განმარტების გარეშე; ეს წინასწარმეტყველება გახლდათ და ვერ გამოვტოვებ.

ერთბაშად თავი ამოვყავი ერთს დიდსა და მაღალ ოთახში. გულში რაღაც დიადი და ამაყი განზრახვა მედო; ეს არ იყო ტატიანა პავლოვნას ოთახი: ძალზე კარგად მახსოვს ის ოთახი; ამას წინასწარ აღვნიშნავ. ამ ოთახში თუმცა მარტოკა ვარ, მაგრამ განუწყვეტლივ ვგრძნობ, შეშფოთებითა და ტანჯვით, რომ სრულიადაც არა ვარ მარტო, რომ მე მელოდებიან და რომ ჩემგან რაღაცას მოელიან. სადღაც კარს უკან სხედან ვიღაცეები და ელიან, თუ რას მოვიმოქმედებ. აუტანელი განცდაა: „ო, ნეტავი მარტოკა ვიყო!“. და უცებ შემოდის ის ქალი. გაუბედავად მიცქერის, საშინლად ეშინია და თვალებში შემომციცინებს. მე ხელში მიჭირავს დოკუმენტი. ის მიღიმის, რათა მომხიბლოს, მელაციცება; მებრალება, მაგრამ თან უკვე ზიზღიც აღმეძვრის. უცებ სახეზე ხელებს იფარებს. გამოუთქმელი ზიზღით მაგიდაზე ვაგდებ „დოკუმენტს“. „ნუ მეხვეწებით, აჰა, მე თქვენი არაფერი მინდა! მთელი ჩემი შერცხვენისთვის ზიზღით მოგიგებთ სამაგიეროს!“. პირთამდე მოსული უზომო სიამაყით აღსავსე გამოვდივარ ოთახიდან. მაგრამ კარებში, სიბნელეში, ხელს მტაცებს ლამბერტი: „ბღიყვო, ბღიყვო! - ჩამჩურჩულებს ის რაც ძალი და ღონე აქვს, თან ხელში ჩამფრენია და არ მიშვებს, - მაგან ვასილის კუნძულზე კეთილშობილი პანსიონი უნდა გახსნას გოგოებისთვის“. NB: ესე იგი, რომ თავი ირჩინოს, თუკი მამამისი, დოკუმენტის ამბავს შეიტყობს ჩემგან, მემკვიდრეობას წაართმევს და სახლიდან გააგდებს. მე სიტყვასიტყვით ვიწერ ლამბერტის ნათქვამს, როგორც დამესიზმრა).

- არკადი მაკაროვიჩი „კეთილსახიერებას“ ეძებს, - ისმის სადღაც იქვე, კიბეზე, ანა ანდრეევნას ხმა; მაგრამ მის სიტყვებში ქება კი არა, აუტანელი დაცინვა ისმის. მე ოთახში ვბრუნდები ლამბერტთან ერთად. მაგრამ ლამბერტის დანახვაზე მას უცებ ხარხარი აუტყდება. ჩემი პირველი შთაბეჭდილებაა საშინელი შიში, ისეთი შიში, რომ ვჩერდები და არ მინდა ახლოს მისვლა. შევცქერი მას და არა მჯერა; თითქოს ერთბაშად ნიღაბი ჩამოიხსნა პირიდან: იგივე ნაკვთები აქვს, მაგრამ თითქოს ყოველი ნაკვთი უსაზომო უტიფრობით დამანჭვია. „გამოსასყიდი გვიბოძეთ, ქალბატონო, გამოსასყიდი!“ - ყვირის ლამბერტი და ორივენი კიდევ უფრო მეტად ხარხარებენ, მე კი გული მელევა: „ო, ნუთუ ეს ურცხვი ქალია ის, ვისი ერთი შემოხედვაც სათნოებით მივსებდა გულს?“

- აი რას არ იკადრებენ ეს მაღალი საზოგადოების ამაყი არსებანი

ფულის გულისთვის! - გაიძახის ლამბერტი. მაგრამ ის უსირცხვილო ქალი ამასაც არაფრად აგდებს; მე რომ ასე შეშინებულს მხედავს, სწორედ ეს ახარხარებს. ო, ის მზადაა გაიღოს გამოსასყიდი, ამას ვხედავ და... რა მომდის? აღარც სიბრალულს ვგრძნობ, აღარც ზიზღს; ასეთი კანკალი არასოდეს არ ამვარდნია... სუ ერთიანად მიპყრობს ახალი, გამოუთქმელი გრძნობა, რომელიც დღემდე არასოდეს განმიცდია და რომელიც ისე ძალუმია, როგორც მთელი ქვეყნიერება... ო, ახლა არასგზით აღარ შემიძლია წასვლა! ო, რარიგ მომწონს, რომ ყოველივე ასე უსირცხვილოდაა! მე ხელს ვტაცებ მას ხელებში, და მიმაქვს ტუჩები მის უტიფარ, მარჯნისფერ, სიცილით ათრთოლებულ ტუჩებთან, რომლებიც მიწვევენ.

ო, შორს ეს მდაბალი მოგონება! წყეული სიზმარი! ვფიცავ, ამ საზიზღარ სიზმრამდე ამ სამარცხვინო ფიქრის მსგავსიც კი არასოდეს არაფერი მომსვლია თავში! რაიმე უნებური ამდაგვარი ოცნებაც კი არ მქონია (თუმცა „დოკუმენტი“ ჯიბეში გამოკერებული დამქონდა, და ზოგჯერ ხელს ვიტაცებდი ხოლმე ჯიბეზე და უცნაურად ჩავიცინებდი). საიდანღა გამოტყვრა ყოველივე ეს ასე მზამზარეულად? ეს იმიტომ მოხდა, რომ ბაბაჭუას სული იყო დაბუდებული ჩემს არსებაში! ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველივე ძალზე დიდი ხანია ჩასახულიყო და ბუდობდა ჩემს გარყვნილ გულში, ჩემს სურვილში, მაგრამ გულს ჯერ კიდევ ერცხვინებოდა ამის სააშკარაოზე გამოტანა და ჭკუას ჯერ კიდევ ვერ გაებედნა ასეთი რამის შეგნებულად წარმოდგენა. სიზმრად კი ჩემმა სულმა თვითონ წარმოიდგინა და გადმოალაგა ყველაფერი, რაც გულში მქონდა, გადმოალაგა სავსებით ზუსტად, სრულად და - წინასწარმეტყველური სახით. და ნუთუ ამის დამტკიცება მინდოდა მათთვის, როცა ამ დილას მაკარ ივანოვიჩის ოთახიდან გამოვვარდი? მაგრამ კმარა, ჯერ აღარაფერს ვიტყვი ამაზე! ეს მაშინ ნახული სიზმარი ერთი ყველაზე უფრო უცნაური რამაა, რაც კი გადამხდენია ცხოვრებაში.

თავი მესამე - I

სამი დღის მერე დილითვე წამოვდექი და, როგორც კი ფეხზე დავდექი, მაშინვე ვიგრძენი, რომ ლოგინად აღარ ჩავვარდებოდი. მთელი არსებით განვიცადე გამოჯანმრთელების მოახლოება. ასე დაწვრილებით ყველაფრის ჩაწერა იქნებ არც ღირდა, მაგრამ მაშინ დადგა რამდენიმე დღე, რომელთა განმავლობაშიც თუმცა განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, მაგრამ რომლებიც მთლიანად ჩამრჩა მეხსიერებაში, როგორც რაღაც სასიხარულო და მშვიდი, - ასეთი რამ კი იშვიათია ჩემს მოგონებებში. ჩემს მაშინდელ სულიერ მდგომარეობას ჯერ არ ჩამოვაყალიბებ; მკითხველმა რომ შეიტყოს, რას წარმოადგენდა ჩემი სულიერი მდგომარეობა, რა თქმა უნდა, არ დამიჯერებს. ფაქტებით უკეთ აიხსნება ყველაფერი შემდეგში. ჯერჯერობით კი მხოლოდ ერთ რამეს ვიტყვი: მკითხველმა დაიხსომოს ბაბაჭუას სული. თანაც ისეთი კაცისა, ვისაც უნდოდა „კეთილსახიერების“ გულისთვის მიეტოვებინა ისინიც და მთელი ქვეყნიერებაც! ეს წყურვილი კეთილსახიერებისა უაღრესი იყო, და, ნამდვილად ასე იყო, მაგრამ რაგვარად უთავსდებოდა სხვა, ღმერთმა უწყის რანაირ წყურვილებს - ჩემთვის ამოუხსნელი რამაა. მუდამაც ამოუხსნელი იყო და ათასჯერ გამკვირვებია ეს თვისება ადამიანისა (და, მგონი, უპირატესად რუსი ადამიანისა), რომელიც სულში ატარებს უმაღლეს იდეალს უდიდეს სულმდაბლობასთან ერთად, და თანაც ყოველივე ეს ძალზე გულწრფელია. საკითხავი ისაა, თუ რა არის ეს - რუსი ადამიანისთვის დამახასიათებელი ხოვრიელობა, რომელიც მას შორს წაიყვანს, თუ სიმდაბლე და სხვა არაფერი?!

მაგრამ თავი დავანებოთ ამას. ასე იყო თუ ისე, სიმშვიდე და მყუდროება ჩამოვარდა. უბრალოდ მივხვდი, რომ რადაც უნდა დამიჯდეს და რაც შეიძლება მალე უნდა მოვრჩე, რათა რაც შეიძლება მალე დავიწყო მოქმედება, ამიტომ გადავწყვიტე ჰიგიენურად მეცხოვრა და დამეჯერებინა ექიმისთვის (ვინც უნდა ყოფილიყო ის), ხოლო ჩემი ბობოქარი ზრახვანი, ძალზე გონივრულად (ხოვრიელობის ნაყოფი), გადავდე მანამდე სანამ გარეთ გამოვიდოდი, ესე იგი, სანამ მოვრჩებოდი. რანაირად ვათავსებდი ყველა ამ მშვიდობიან შთაბეჭდილებებსა და მყუდროებით ტკბობას მტანჯველად ტკბილსა და შფოთიერ გულისცემასთან, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ გული მეუბნებოდა, საცაა ბობოქარ გადაწყვეტილებათა მიღების დრო დადგებაო - არ ვიცი, მაგრამ მაინც ყველაფერს „ხოვრიელობას“ მივაწერ, ოღონდ ამასწინანდელი მოუსვენრობა უკვე აღარ მქონდა; ყველაფერი გადავდე გარკვეულ დრომდე და წინანდებურად აღარ ვკრთოდი მომავლის შიშით, ისე

ვიყავი, როგორც დიდი ქონების პატრონი კაცი, რომელიც დარწმუნებულია თავის სახსრებსა და ძალაში. უფრო და უფრო მემატებოდა ქედმაღლობა და გამოწვევა მოსალოდნელი ბედისა, და ვფიქრობ, ეს ნაწილობრივ იმის ბრალიც იყო, რომ მართლა სააქაოსკენ ვქენი პირი და სასიცოცხლო ძალები მიბრუნდებოდა. საბოლოო და ნამდვილი გამოჯანმრთელების აი სწორედ ამ რამდენიმე დღეს ვიხსენებ ახლა სრული სიამოვნებით.

ო, მათ მაპატიეს ყველაფერი, ესე იგი ის საქციელი - და ესენი იყვნენ სწორედ ის ადამიანები რომლებსაც მე პირში მივახალე, უმსგავსნი ხართ-მეთქი! ეს მიყვარს ადამიანებისა, ამას ვეძახი ჭკუას გულისას; ყოველ შემთხვევაში ამან მაშინვე მიმიზიდა, ცხადია, რამდენადაც შესაძლებელი იყო. მაგალითად, მე და ვერსილოვი ისევ კარგი ნაცნობებივით ველაპარაკებოდით ერთმანეთს, მაგრამ გარკვეული ზომით: როგორც კი ოდნავ გამოგვერეოდა ხოლმე ექსპანსიურობა (ასეთი შემთხვევები კი იყო), ორივენი მაშინვე თავს ვიკავებდით, თითქოს ცოტა არ იყოს გვრცხვენოდა რაღაცისა. ხდება ხოლმე, რომ გამარჯვებულს არ შეიძლება არ ერცხვინებოდეს დამარცხებულისა, და ერცხვინება სწორედ იმიტომ, რომ აჯობა. როგორც ჩანს, გამარჯვებული მე ვიყავი; და მეც მრცხვენოდა.

იმ დილით, როცა ავადმყოფობის შებრუნების მერე პირველად წამოვდექი ლოგინიდან, ვერსილოვი მეწვია და მაშინ შევიტყვე პირველად, რომ ყველანი შეთანხმებულიყვნენ, დედა და მაკარ ივანოვიჩი არ შევაშინოთო; თანაც დაურთო, თუმცა მოხუცმა ცოტათი მოიკეთა, მაგრამ ექიმი ამბობს, დაბეჯითებით ვერაფერს ვიტყვიო. სულითა და გულით აღვუთქვი, ამას იქით მეც უფრო ფრთხილად მოვიქცევი-მეთქი. როცა ვერსილოვი ამ ამბავს მიამბობდა, პირველად მაშინ, უეცრად, შევნიშნე, რომ თვითონაც ძალზე გულწრფელად შესტკივა გული ამ მოხუცზე, ესე იგი, გაცილებით უფრო მეტად, ვიდრე მოველოდი მისებრი კაცისგან, და რომ ის მარტო დედას გულისთვის კი არ იქცევა ასე, არამედ მაკარ ივანოვიჩი მისთვისაც რატომღაც განსაკუთრებით ძვირფასი არსებაა. ამან მაშინვე დამაინტერესა, თითქმის გამაოცა და, გამოგიტყდებით, ვერსილოვი რომ არა, ბევრ რამეს ვერ შევამჩნევდი და ვერ დავაფასებდი ამ მოხუცში, რომელმაც ყველაზე მყარი და ორიგინალური მოგონება ჩამიტოვა გულში.

ვერსილოვს თითქოს ეშინოდა ჩემი დამოკიდებულებისა მაკარ ივანოვიჩთან, ესე იგი არ ენდობოდა არც ჩემს ჭკუას, არც ჩემს ტაქტს, ამიტომ ძალზე კმაყოფილი დარჩა, როცა ნახა, რომ ხანდახან მეც შემწე-

ვს უნარი მივხვდე, თუ როგორ უნდა მოვექცე სრულიად სხვა შეხედულებებისა და თვალსაზრისის ადამიანს, ერთი სიტყვით, რომ, როცა საჭიროა, შემიძლია დამთმობიც ვიყო და ხოვრიელიც. ვაღიარებ იმასაც (და ვფიქრობ ეს არ დამამცირებს), რომ ხალხიდან გამოსულ ამ არსებაში ვპოვე აგრეთვე ჩემთვის სრულიად ახალი რამ ზოგ გრძნობათა და თვალსაზრისთა მიმართ, ჩემთვის უცნობი, გაცილებით უფრო ნათელი და სანუგეშო რამ, ვიდრე გამეგებოდა მანამდე. მიუხედავად ამისა, ხანდახან შეუძლებელი იყო გულზე არ გამსკდარიყავი კაცი, როცა ხედავდი ზოგ ურყევ ცრურწმენას, რომლებიც სწამდა ყოვლად აღუშფოთველი სიმშვიდითა და უდრეკელობით, მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, მხოლოდ მისი გაუნათლებლობის ბრალი იყო, სული კი საკმაოდ კარგად ჰქონდა ორგანიზებული და იმდენადაც, რომ ამ მხრივ ჯერ უკეთესი არაფერი შემხვედროდა ადამიანებში.

II

როგორც ზემოთაც აღვნიშნე, მაკარ ივანოვიჩი უწინარეს ყოვლისა მიგიზიდავდათ თავისი მეტისმეტი გულმართლობითა და იმით, რომ სულ პატარა თავმოყვარეობაც კი არ ჰქონდა; წინასწარვე იგრძნობდით, რომ საქმე გქონდათ თითქმის უცოდველი გულის ადამიანთან. აქ იყო „სიმხიარულე“ გულისა, და ამიტომ „კეთილსახიერებაც“. სიტყვა „სიმხიარულე“ ძალიან უყვარდა და ხშირადაც ხმარობდა. მართალია, ზოგჯერ მოუვლიდა ხოლმე რაღაცნაირი ავადმყოფური აღტაცება, რაღაცნაირი გულჩვილობის ავადმყოფობა, - ვფიქრობ, ეს, ნაწილობრივ, იმიტომაც ემართებოდა, რომ, თუ სიმართლეს ვიტყვით, მთელი ეს ხანი ერთთავად აცივ-აცხელებდა; მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა კეთილსახიერებას. ჰქონდა კონტრასტებიც: ხომ გასაოცრად მიამიტი იყო, ხანდახან დაცინვასაც კი ვერ ამჩნევდა (რაც ხშირად მაბრაზებდა), მაგრამ ამავე დროს ჰქონდა რაღაც ეშმაკი სიმახვილე, მეტადრე პოლემიკურ შეტაკებებში. პოლემიკა კი უყვარდა, ოღონდ მხოლოდ ზოგჯერ და მაშინაც თავისებურად. ეტყობოდა, რუსეთი შემოვლილი ჰქონდა, ბევრი რამ ენახა და გაეგონა, მაგრამ, ვიმეორებ, ყველაზე მეტად გულის აჩვილება და ამიტომაც გულისამაჩვილებელი რამ უყვარდა, თვითონაც ხომ სულ გულისამაჩვილებელ რამეებს ყვებოდა. საერთოდ ძალზე უყვარდა მოყოლა. ბევრჯერ უამბნია ჩემთვის თავისი ხეტიალის ამბავიც, ყველაზე უძველეს „ღვაწლმოსილთა“ ცხოვრების ლეგენდებიც. მე ამ ამბებისა არაფერი ვიცი, მაგრამ, ვფიქრობ, ბევრ რამეს ამახინჯებდა ამ ლეგენდებიდან, რადგან მეტწილად ხალხისგან ჰქონდა განაგონი ზეპირად. ზოგს ისეთს რასმე მოყვებოდა, რაც ყოვლად წარმოუდგენელი იყო. მაგრამ ამ აშკარა გადაკეთებასა ან თუნდაც ტყუილთან ერთად მუდამ გამოსჭვიოდა გასაოცრად მთლიანი, ხალხური გრძნობით აღსავსე და მუდამ გულისამაჩვილებელი რაღაც... ამ ნაამბობიდან დამახსოვდა, მაგალითად, ერთი კარგა გრძელი ამბავი - „ცხოვრებაი მარიამ ეგვიპტელისა“. ამ „ცხოვრებისა“ და, საერთოდ, ამგვარი რამეების თაობაზე მანამდე ბაიბურშიც არ ვიყავი. პირდაპირ მოგახსენებთ: თითქმის შეუძლებელი იყო ეს ამბავი მოგესმინათ და ცრემლი არ მოგრეოდათ, და ამ ცრემლს გულის აჩვილება კი არ იწვევდა, არამედ რაღაც უცნაური აღტაცება: იგრძნობოდა რაღაც უჩვეულო და მხურვალე, ვით ის გავარვარებული ქვიშით დაფარული და ლომებით სავსე ტრამალი, სადაც დაეხეტებოდა წმიდა მარიამი. თუმცა არ მინდა ამაზე გელაპარაკოთ, თან არც დიდად ჩახედული ვარ ამ ამბებში.

გულის აჩვილების გარდა მომწონდა მისი ხანდახან მეტად ორიგინალური შეხედულებანი თანამედროვე ცხოვრების ზოგი ფრიად სადავო რამის შესახებ. ერთხელ, მაგალითად, მიამბო ერთი ამას წინათ მომხდარი ამბავი, ჯარიდან ჩამოსულ სალდათს რომ შემთხვეოდა; ამ ამბის მომსწრე თითქმის თვითონ ყოფილა, სალდათობა რომ მოუთავებია, დაბრუნებულა ის სალდათი თავის სოფელში, გლეხებთან, და აღარ მოსწონებია გლეხკაცებთან ცხოვრება, აღარც გლეხკაცებს მოსვლიათ თვალში. გზას აცდენილა, გალოთებულა და სადღაც ვიღაც გაუქურდნია; აშკარად სამხილებელი არაფერი ჰქონიათ, მაგრამ დაჭერით კი დაუჭერიათ და სასამართლო დაუნიშნავთ. სასამართლოში ვექილმა ის იყო სულ გაამართლა - რას გაამტყუნებდნენ, როცა სამხილი არაფერი ჰქონდათ; ნასალდათარს უგდია ყური, უგდია, მერე ერთბაშად წამომდგარა და სიტყვა შეუწყვეტინებია ვექილისთვის: მოიცა, შენ გაჩუმდიო, და ყველაფერი უამბნია. „ერთი ციცქნაც არაფერი დაუმალნია“, ტირილითა და მონანიებით გამოტეხილა ყველაფერში. მსაჯულები გასულან, ჩაკეტილან, უმსჯელნიათ, მერე ყველანი გამოსულან: არა, არაა დამნაშავეო, უთქვამთ. გახარებია ყველას, შექმნილა ერთი ყვირილი, ნასალდათარი კი დგას თურმე და არ იძვრის, თითქოს გაშეშებულაო, ვერაფერი გაუგია; ვერც იმისი გაუგია ვერაფერი, რაც თავმჯდომარემ დაარიგა და შეაგონა გათავისუფლებისას. წამოსულა ნასალდათარი და კიდევ ვერ დაუჯერებია, რომ თავისუფალია. დადარდიანებულა, ფიქრს შეუპყრია. აღარც ჭამს, აღარც სვამს, კაციშვილს არ ელაპარაკება, მეხუთე დღეს კი ამდგარა და თავი ჩამოუხრჩვია. „აი, რა იცის, როცა კაცს სული ცოდვით დამძიმებია!“ - დაასკვნა მაკარ ივანოვიჩმა. რა თქმა უნდა, ეს უბრალო ამბავია და ასეთებს აუარებას ნახავთ ყველა გაზეთში, მაგრამ მე მომეწონა ამ ნაამბობის ტონი, ყველაზე მეტად კი ზოგ-ზოგი გამოთქმა, რომელშიც ნამდვილად ახალი აზრი იყო. მაგალითად, ის ამბავი, სოფელში დაბრუნებული სალდათი გლეხებს არ მოეწონათო, მაკარ ივანოვიჩმა ასე გამოთქვა: „სალდათი რაცაა, ხომ ყველამ იცის; სალდათი - „ჯადონაქნარი გლეხია“. იმ ვექილზე რომ მიამბობდა, რომელმაც კინაღამ მოიგო საქმე, ესა თქვა. „ვექილი რაცაა, ხომ ყველამ იცის: ვექილი - „დაქირავებული სინდისია“. ორივე ეს გამოთქმა ისე იხმარა, სულ არ უმტვრევია თავი ამის მოსაფიქრებლად და თვითონაც არ შეუმჩნევია, ამ ორ გამოთქმაში კი, კაცმა რომ თქვას, გამოხატულია მთელი შეხედულება ამ ორივე საგანზე და თუმცა ეს, ცხადია, არაა მთელი ხალხის შეხედულება, მაგრამ ხომ საკუთრივ მაკარ ივანოვიჩისაა და არა ნასესხები! ისეთი წინასწარი დასკვნები ხალხში ზოგ-ზოგი თემის თაობაზე ჭეშმარიტად საუცხოოა ხოლმე ხანდახან თავისი ორიგინალობით.

- თავის მოკვლა როგორი ცოდვაა, მაკარ ივანოვიჩ, რას იტყვით? - ვკითხე, როცა ის ამბავი მიამბო.

- თავის მოკვლა ყველაზე უდიდესი ცოდვაა კაცთათვის, - ამოოხვრით მომიგო მან, - - მაგრამ აქ მსაჯული უფალია მხოლოდ, რამეთუ მარტოდენ მან უწყის ყოველი, ყოველი ზღვარი და ყოველი ზომა. ხოლო ჩვენ უცილობლად უნდა ვილოცოთ ასეთი ცოდვილისთვის. ყოველთვის, როცა კი შეიტყობ ასეთ ცოდვას, ძილის წინ სასოებით ილოცე იმა ცოდვილისთვის, თუნდაც ოხვრა აღავლინე ღმერთთან მის გამო; კიდეც რომ სულ არ იცნობდე მას, - მით უფრო აღაღწევს ლოცვა შენი ზეცას.

- უშველის კი ჩემი ლოცვა, თუ ის უკვე განსაჯა უფალმა?

- ვინ იცის? ბევრს, ოხ, ძალიან ბევრს არა სწამს და ამით აბრუებენ არმცოდნეთ; შენ კი ნუ უსმენ, რამეთუ თვითონ არ უწყიან, საით მიეხეტებიან. ღვთისგან მისჯილისთვის ლოცვა ჯერეთ ცოცხალი ადამიანისა მუდამაც მიაღწევს. იმან რაღა ჰქნას, ვისაც სულ აღარავინ დარჩენია მისთვის მლოცველი? ამიტომ, როცა ძილის წინ ლოცვად დადგები, ბოლოს დაურთე: „შეიწყალე, უფალო, ისინიც, ვისაც აღარავინ შთენია მისთვის მლოცველი“. უმალ აღევლინება ლოცვა ესე და სიამეს მოჰფენს. ასევე ყველა ცოდვილისთვისაც. ვინც ჯერეთ ცოცხალია: „უფალო, რომელმან უწყინ საქმენი მათნი, აცხოვნენ ყოველნი შეუნანებელნი“, - ეს ლოცვაც კარგია.

აღვუთქვი, ვილოცებ-მეთქი, რადგან ვგრძნობდი, რომ ამ დაპირებით დიდად ვაამებდი. და მართლაც, სახეზე სიხარულის ნათელი მოეფინა; ვჩქარობ დავურთო, რომ ამგვარ შემთხვევაში არასოდეს არ მეპყრობოდა ქედმაღლურად, ესე იგი როგორც ბრძენი მოხუცი ვიღაც ყმაწვილს; პირიქით, ძალიან ხშირად უყვარდა ჩემი მოსმენაც ნაირნაირ თემებზე, თავდავიწყებითაც კი მისმენდა ხოლმე, რადგან ფიქრობდა, რომ თუმცა საქმე ჰქონდა „ყრმაწვილთან“, როგორც გამოთქვამდა ხოლმე მაღალფარდოვნად (მან მშვენივრად იცოდა, რომ უნდა ეთქვა „ყმაწვილი“ და არა „ყრმაწვილი“), მაგრამ თან ისიც ესმოდა, რომ ეს „ყრმაწვილი“ განათლებით უსაზღვროდ მაღლა დგას მასზე. ხშირად უყვარდა, მაგალითად, ლაპარაკი მეუდაბნოობაზე და „უდაბნოს“ გაცილებით მაღლა აყენებდა, ვიდრე „ყარიბობას“. მე ცხარედ ვედავებოდი, ეგ ადამიანები ეგოისტები არიან, მარტოდენ საკუთარი თავის ხსნაზე ზრუნავენ და ამ ეგოისტური იდეის გულისთვის ხელს იღებენ ამქვეყნიურ ცხოვრებასა და იმ სარგებლობაზე, რომლის მოტანაც

შეუძლიათ კაცობრიობისთვის-მეთქი. თავდაპირველად ვერაფერი გაეგო და, ეჭვი მაქვს, რომ სულაც ვერაფერს მიხვდა; მაგრამ უდაბნოს თავგამოდებით იცავდა: „ჯერ, რა თქმა უნდა, გენანება თავი (ესე იგი როცა დასახლდები უდაბნოში), მერე კი დღითიდღე უფრო და უფრო გიხარია, ხოლო ბოლოს უფალიც გამოგეცხადება“. აქ მე თვალწინ გადავუშალე სრული სურათი იმისა, თუ რა სასარგებლო საქმიანობა შეუძლია სწავლულს, მეცნიერს ან საერთოდ კაცობრიობის მეგობარს ამქვეყნად, და სრულს აღტაცებაში მოვიყვანე, რადგან მე თვითონაც გულმხურვალედ ვლაპარაკობდი, ისიც წამდაუწუმ მიდასტურებდა: „ეგრეა, გეთაყვა, ეგრეა, გაკურთხოს უფალმა, ჭეშმარიტად აზროვნებ“; მაგრამ როდესაც დავასრულე, სავსებით მაინც არ დამეთანხმა: „ეგრე კია, - ღრმად ამოიოხრა მან, - მაგრამ განა ბევრია ისეთი, რომ გაუძლოს და არ კი გაერთოს? ფული თუმცა ღმერთი არაა, მაგრამ მაინც ნახევარღმერთია - უდიდესი ცთუნებაა; ახლა დედათა სქესიო, ეჭვიო, შურთო. ჰოდა, დაივიწყებენ დიდს საქმეს და წვრილმანს გამოეკიდებიან. სხვა საქმეა უდაბნო. იქ კაცი განიმტკიცებს თავს ყოველნაირი ღვაწლისთვის. მეგობარიო! ან კი რა არის ეგ შენი „ამქვეყნად“? - წამოიძახა მან დიდის გრძნობით. - განა მარტოდენ ოცნება არაა? აიღე ქვიშა და დათესე ქვაზე; როცა ის ქვიშა იმ ქვაზე ამოვა და გაიხარებს, მაშინ შენი ოცნებაც ამქვეყნად ხორცს შეისხამს, - ასე იტყვიან ჩვენში. ქრისტე კი აი რას ამბობს: „წარვედ და რაოდენი გაქვს, მიეც გლახაკთა და იყავნ მსახურ ყოველთა“ და შეიქნები უმდიდრესი ადრინდელზე უთვალავგზის; რამეთუ არა საჭმლითა, არა ძვირფასი ტანსაცმლითა, არა სიამაყითა და არა შურითა იქნები ბედნიერი, არამედ უთვალავჯერ გამრავლებული სიყვარულითა. და მოიხვეჭ უკვე არა მცირე სიმდიდრეს, არა ასი ათასს, არა მილიონს, არამედ მთელს სამყაროს! ახლა უძღომლად ვიხვეჭთ და უგუნურად ვანიავებთ, ხოლო მაშინ არღა იქნებიან არცა ობოლნი, არცა უპოვარნი, რამეთუ ყველა ჩემიანი, ყველა ახლობელი შეიქნა, ყველა შევიძინე, ყველა ვიყიდე უკლებლივ! ახლა არაიშვიათია, როცა ყოვლად მდიდარი და დიდებული გულგრილია დღეთა თვისთა მიმართ და თვითაც არ უწყის, რა მოიგონოს თავშესაქცევად; მაშინ კი დღენი შენნი და ჟამნი ათასგზის გამრავლდებიან, რამეთუ წამის დაკარგვასაც აღარ ინდომებ, და წამსა ყოველსა განიცდი გულისა სიხარულითა. მაშინ შეიძენ სიბრძნესაც არა მარტოდენ წიგნთაგან, არამედ პირისპირ იხილავ უფალს; და აღმობრწყინდება დედამიწა უფროს მზისა, და არღა იქნება არცა ურვა, არცა მწუხარება, არამედ მარტოდენ სამოთხე ფასდაუდებელი...“

აი სწორედ მისი ეს აღფრთოვანებული ქცევანი უყვარდა, მგონი,

ვერსილოვს ძალიან. ამჯერად ვერსილოვიც ოთახში იყო.

- მაკარ ივანოვიჩ! - შევაწყვეტინე უცებ სიტყვა და მე თვითონაც უზომოდ აღვფრთოვანდი (მახსოვს ის საღამო). - თუ ეგრეა, თქვენ ხომ კომუნიზმს ჰქადაგებთ, ნამდვილ კომუნიზმს!

და რაკი მან სრულიად არაფერი იცოდა კომუნისტური მოძღვრებისა და თვით ეს სიტყვაც კი პირველად ახლა გაიგონა, მეც მაშინვე დავუწყე ყველაფრის მოყოლა, რაც კი რამ ვიცოდი ამ თემაზე. გამოგიტყდებით, მე თვითონაც ძალზე ცოტა რამ და ძალზე უთავბოლოდ ვიცოდი, და ვერც ახლა დავიკვეხნი, ამ საქმეში დიდად გარკვეული ვარ-მეთქი, მაგრამ რაც ვიცოდი, ის კი უდიდესი გულმხურვალებით ვუამბე. მიუხედავად ყველაფრისა, დღემდე სიამოვნებით ვიგონებ იმ არაჩვეულებრივ შთაბეჭდილებას, მოხუცზე რომ მოვახდინე. შთაბეჭდილება არც კი ექთნის. თითქმის ელდა იყო. ამასთან საშინლად აინტერესებდა ისტორიული დეტალები: „სად? როგორ? ვინ მოაწყო? ვინ თქვა?“. სხვათა შორის, შენიშნული მაქვს, რომ ეს საყოველთაო თვისებაა მდაბიო ადამიანებისა: ისინი, თუ ძალიან დაინტერესდებიან, არ სჯერდებიან ზოგად იდეას და უცილებლად მოითხოვენ სავსებით მტკიცე და ზუსტ წვრილმანებს. მე კი სწორედ დაწვრილებითს ამბებში ვიბნეოდი, და რადგან ვერსილოვიც იქ იყო, ცოტა არ იყოს მეკრძალებოდა მისი და ამიტომაც კიდევ უფრო მეტად ვცხარობდი. ეს ამბავი იმით დასრულდა, რომ გულაჩვილებული მაკარ ივანოვიჩი ბოლოს ჩემს ყოველ სიტყვაზე გაიძახოდა: „ეგრეა, ეგრე!“, მაგრამ, ეტყობოდა უკვე აღარაფერი გაეგებოდა და საუბრის ძაფი გასწყდომოდა. გული მომივიდა, მაგრამ ვერსილოვმა უცებ შეგვაწყვეტინა ლაპარაკი, წამოდგა და განაცხადა, ძილის დროაო. მაშინ ყველანი თავმოყრილნი ვიყავით და გვიანაც იყო. როცა რამდენიმე წუთის მერე ჩემს ოთახში შემოიხედა, მაშინვე ვკითხე: რას იტყვით საერთოდ მაკარ ივანოვიჩზე და რა აზრისა ხართ-მეთქი? ვერსილოვმა მხიარულად ჩაიცინა (მაგრამ კომუნიზმის თაობაზე ჩემს შეცდომებს როდის დასცინოდა - პირიქით, ამაზე კრინტიც არ დაუძრავს). ისევ ვიმეორებ: ნამდვილად თითქოს შეეხორცა მაკარ ივანოვიჩს და ის იყო; და, როცა მოხუცს უსმენდა ხოლმე, ხშირად შემიმჩნევია მის სახეზე ძალზე მიმზიდველი ღიმილი, თუმცა ასეთ ღიმილს ხელი არ შეუშლია მისი კრიტიკისთვის.

- მაკარ ივანოვიჩი, უწინარეს ყოვლისა, გლეხკაცი კი არა, შინაყმაა, - წარმოთქვა მან დიდი ხალისით, - ყოფილი შინაყმა და ყოფილი მსახური, რომელიც მსახურად დაიბადა და მსახურმა შვა. ძველად შინაყმები და მსახურები ძალზე ხშირად და უხვად იზიარებდნენ ხოლმე

თავიანთი ბატონების პირადი, სულიერი და გონებრივი ცხოვრების ინტერესებს. არ დაგავიწყდეს, რომ მაკარ ივანოვიჩს დღესაც მეტწილად ბატონებისა და მაღალი წრის ცხოვრების ამბები აინტერესებს. შენ ჯერ კიდევ არ იცი, რა ზომამდე აინტერესებს მას რუსეთში ამ ბოლო დროს მომხდარი ზოგი ამბავი. თუ იცი, რომ ის უდიდესი პოლიტიკოსია? ნურც ასმევ და ნურც აჭმევ, ოღონდ უამბე, ვინ სად ომობს და ვიომებთ თუ არა ჩვენ. წინათ ამგვარ რამეებს ვუამბობდი ხოლმე, რომ ნეტარებამდე მიმყავდა. ძალზე პატივს სცემს მეცნიერებას და ყველა მეცნიერებათაგან ასტრონომია უყვარს სხვაზე მეტად. ამასთან ერთად ისეთი თავისთავადი, დამოუკიდებელი რაღაც გამოიმუშავა თავის ბუნებაში, რასაც ვერასგზით ძვრას ვერ უზამ, აქვს თავისი რწმენანი, თანაც მაგარი, საკმაოდ ნათელი... და ჭეშმარიტი. სრული უვიცობის მიუხედავად უცებ ზოგი ცნების ისეთ საოცარ ცოდნას გამოამჟღავნებს ხოლმე, რომ სულ არ მოელი და გაგაშტერებს. აღტაცებით აქებს უდაბნოს, მაგრამ თვითონ არაფრის გულისთვის არ წავა არც უდაბნოში და არც მონასტერში, რადგან უაღრესად „მაწანწალა“ ვინმეა, როგორც საუცხოოდ უწოდა ალექსანდრ სემიონოვიჩმა, რომელსაც, სხვათა შორის, სულ ტყუილად შესწყერი. სხვა რაღა გითხრა: ცოტათი მხატვარია, ბევრი აქვს საკუთარი სიტყვები, მაგრამ ამავე დროს აქვს არა საკუთარიც. ლოგიკურ გადმოცემაში ცოტა არ იყოს მოიკოჭლებს, ზოგჯერ ძალზე განყენებულია. ხანდახან მოუვლის ხოლმე სენტიმენტალობა, მაგრამ სავსებით ხალხური ან, უკეთ რომ ვთქვათ, ის ზოგადხალხური გულის აჩვილება, რაც ასე უხვად შეაქვს ჩვენს ხალხს თავის რელიგიურ გრძნობაში. მის ალალმართლობასა და უწყინარობაზე არაფერს ვიტყვი, რა მე და შენი საქმეა ამ თემაზე ლაპარაკი...

III

რათა გავათავო მაკარ ივანოვიჩის დახასიათება, გადმოგცემთ მის რომელიმე ნაამბობს, უკვე საკუთრივ კერძო ცხოვრებიდან. ყველა ეს ნაამბობი უცნაური ხასიათისა იყო, უკეთ, მათ არ ჰქონდათ არავითარი საერთო ხასიათი; ვერც რაიმე სამოძღვრებელს გამოიტანდით მისი ნაამბობიდან და ვერც ზოგად მიმართულებას, ესაა ოღონდ, რომ ყველა მათგანი ცოტად თუ ბევრად გულისამაჩუყებელი იყო. მაგრამ იყო არაგულისამაჩუყებელიც, მხიარულიც კი, ასე გასინჯეთ, დასცინოდა კიდეც ზოგს ავხორც ბერს, ასე რომ ამაების მოყოლით ზიანსაც აყენებდა თავის იდეას, - რაც ვუთხარი კიდეც; მაგრამ ვერ მიმიხვდა თქმულს. ზოგჯერ ძნელი გამოსაცნობი იყო, რა აიძულებდა ამდენი რამის მოყოლას, ასე რომ ხანდახან მაოცებდა მისი ასეთი მრავალსიტყვაობა და ნაწილობრივ მის სიბერესა და ავადმყოფობას მივაწერდი.

- მაკარ ივანოვიჩი ის აღარაა, რაც იყო. - წაიჩურჩულა ერთხელ ვერსილოვმა, — წინათ სულ სხვანაირი იყო. მალე მოკვდება, გაცილებით უფრო მალე, ვიდრე ჩვენ გვგონია, და მზად უნდა ვიყოთ.

დამავიწყდა მეთქვა, რომ ჩვენსას „საღამოების“ მაგვარი რაღაც შეიქმნა. გარდა დედაჩემისა, რომელიც წუთითაც არ შორდებოდა მაკარ ივანოვიჩს, საღამოობით მის ოთახში მიდიოდა ვერსილოვი: მეც მივდიოდი ყოველთვის, ან კი სად მქონდა წასასვლელი; ბოლო დღეებში თითქმის ყოველთვის, თუმცა სხვებზე დაგვიანებით, შემოდიოდა ლიზა და მუდამ თითქმის ჩუმად იჯდა. ტატიანა პავლოვნაც დადიოდა ხოლმე და, თუმცა იშვიათად, ექიმიც შემოივლიდა. ექიმს როგორღაც ერთბაშად დავუახლოვდი; ძალიან არა, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ადრინდულად უსაქციელოს აღარაფერს ჩავდიოდი. მომწონდა მისი რაღაცნაირი მიამიტობა, რომელიც, როგორც იქნა, დავინახე მასში, მომწონდა ისიც, რომ ასერიგად შეეთვისა ჩვენს ოჯახს, ასე რომ ბოლოს და ბოლოს გადავწყვიტე მეპატიებინა მისთვის მედიცინური ქედმაღლობა და, გარდა ამისა, დავასწავლე თუნდაც ხელის ბანა და ფრჩხილების წმენდა, რაკი სუფთა საცვლების ტარება არ შეეძლო. პირდაპირ ავუხსენი, ეს არც ფრანტობისთვისაა საჭირო და არც რაიმე ნატიფი ხელოვნებისთვის, ექიმის ხელობაში სიფაქიზე ბუნებრივად შედის-მეთქი, და დავუმტკიცე კიდეც ეს. დასასრულ, ხშირად თავისი სამზარეულოდან კარს მოადგებოდა ხოლმე ლუკერია და, კარს უკან მდგომი,

ყურს უგდებდა მაკარ ივანოვიჩის თხრობას. ერთხელ ვერსილოვმა დაუძახა და უთხრა, შენც აქ დაჯექიო. ეს საქციელი მომეწონა; მაგრამ ამის მერე ლუკერია კართან აღარ მოსულა. ყველას თავის ზნე და ხასიათი აქვს.

ვათავსებ ერთ-ერთ ნაამბობს, ამოურჩევლად, მხოლოდ იმიტომ, რომ სხვაზე მეტად ეს უფრო სრულად დამახსოვდა. ესაა ერთი ვაჭრის ამბავი და, ვფიქრობ, ასეთი ამბები ათასობით ხდება ჩვენს ქალაქებსა და სოფლებში, ოღონდ დანახვის შნო კი ჰქონდეს კაცს. ვისაც სურს, შეუძლია არ წაიკითხოს ეს ამბავი, მით უმეტეს, რომ მაკარ ივანოვიჩის სიტყვებით, მის ყაიდაზე ვყვები.

IV

„ახლა იმას გეტყვი, რა სასწაული მოხდა ჩვენს ქალაქ აფიმიევსკში. ერთი ვაჭარი იყო, სკოტობიონიკოვს ეძახდნენ, მაქსიმ ივანოვიჩ, და იმის უმდიდრესი მთელს იმ ოლქში არავინ მოიძევებოდა. ჩითეულის ფაბრიკა ააშენა, რამდენიმე ასეული მუშაც ჰყავდა. და თავს აღარავის უყადრებდა. და უნდა ასე ვთქვათ, რომ უკვე ყველაფერი მის ჭკუაზე ეწ-ყობოდა, თვითონ უფროსებიც არაფერში ეწინააღმდეგებოდნენ და არქიმანდრიტიც გულმოდგინებისთვის მადლს მოახსენებდა: ფულს ბლომად სწირავდა მონასტერს და, როცა წამოუვლიდა ხოლმე, სულ ხვნეშა-ოხვრით ლაპარაკობდა თავის სულზე და გვარიანადაც ფიქრ-ობდა მერმისა მის საუკუნესა ზედა. ქვრივი იყო და უშვილო: ხმები კი დადიოდა, ცოლი პირველსავე წელს მოინელა, და ჯერ ჯეილობითვე უბაჟუნებდა ყველასო; ოღონდ დიდი ხანი კი იყო გასული მას მერე; მე-ორედ დაქორწინება კი აღარ იკისრა. არაყსაც შეექცეოდა და, როცა დრო დაუდგებოდა, გაილეშებოდა, დედიშობილა დარბოდა ქალაქში და ღრიალებდა; ჩვენი ქალაქი დიდი ვერაფერი შვილი იყო, მაგრამ მაინც სირცხვილი იყო. როცა დრო გაუვიდოდა, ცუდ გუნებაზე დგებო-და და რანაირადაც მოიქცეოდა, კარგიც ის იყო, რასაც ბრძანებდა, სა-უცხოოც ის იყო. ხალხს, როგორც მოეგუნებებოდა, ისე უსწორდებო-და; აიღებდა საანგარიშოს, წამოისკუპებდა სათვალეს: „შენ რამდენი გერგება, თომა?“ - „შობას აქეთ არ ამიღია, მაქსიმ ივანოვიჩ, სამი თუ-მანი და ცხრა მანეთია თქვენზე“. - „უჰ, ამდენი ფული რა ამბავია! შენ-თვის ბევრია; თავიანფეხებიანად არა ღირხარ ამდენი, სხვა არა იყოს რა, არც მოგიხდება; თუმანი გადავაგდოთ, აჰა, ორი თუმანი და ცხრა მანეთი“. და კაციც ხმას არ იღებდა; დედიმისის შვილი იყო, ვინმე ხმას ამოიღებდა, ყველას ენა ჰქონდა ჩავარდნილი.

- მე ვიცი, რაც უნდა მივცე. - გაიძახოდა: - აქაურ ხალხთან სხვანაი-რი მოქცევა არ შეიძლება. აქაური ხალხი გათახსირებულია; მე რომ არა, სულ შიმშილით ამოწყდებოდნენ ყველანი, ვინც აქ არიან. ეგეც არ იყოს, აქაური ხალხი ქურდია, - რასაც თვალს მოჰკრავს, აწაპნის, ვაჟკაცობისა არაფერი სცხია. ახლა ისიც ვთქვათ, რომ ლოთიც არის; ფული რომ მისცე, სამიკიტნოში წავა, ზის მერე იქ გაფცქვნილი - გრ-ოში აღარა აქვს, გამოდის იქიდან გაფხეკილი. ეგ კიდევ არაფერი - არამზადაც რომ არის? ჩამოჯდება ქვაზე სამიკიტნოს პირდაპირ და მოყვება მოთქმას: „დედილო, შენი ჭირიმე, რად გამაჩინე ასეთი

ლოთბაზარა? ნეტავ მაშინვე მოგესპე, როცა დავიბადე ასეთი ლოთი ოხერი!“ განა ის ადამიანია?

მხეცია და არა ადამიანი; ჯერ ადამიანის სახე უნდა მისცე, და მერე უნდა აძლიო ფული. მე ვიცი, როდის უნდა მივცე.

აი ასეთ რამეებს ამბობდა მაქსიმ ივანოვიჩი აფიმიევსკელ ხალხზე; ხომ ცუდ რაღაცეებს ამბობდა, მაგრამ მაინც სიმართლე იყო: სუსტი ხასიათის ხალხი იყო, თავის შეკავება არ შეეძლო.

მერე ვაჭარიც ცხოვრობდა იმ ქალაქში, ოღონდ მოკვდა; ყმაწვილი კაცი იყო, ქარაფშუტა, გაკოტრდა და რაც რამ კაპიტალი ებადა, სულ დაკარგა. უკანასკნელ წელს ბევრს ეცადა, სულ ქვიშაზე გამორიყული თევზივით იფართხალა, მაგრამ უწია აღსასრულის დღემ. მაქსიმ ივანოვიჩთან სულ ერთთავად ცუდი დამოკიდებულება ჰქონდა და ყელამდე მის ვალში იყო. სულის ამოსვლის ჟამსაც სულ მაქსიმ ივანოვიჩის წყევლაში იყო, რომ გარდაიცვალა, ქვრივი დარჩა, ჯერ კიდევ ყმაწვილი ქალი, და თან ხუთი ბავშვი. ჯერ მარტოხელა ქალისთვის რა განსაცდელია ქვრივად დარჩენა მსგავსად მიუსაფარი ბარტყისა - და ახლა ხუთი წვრილშვილის პატრონი რაღა დღეში ჩავარდებოდა, როცა მათთვის საჭმელიც არ ჰქონდა: ერთი საცოდავი სამკვიდრო დარჩა, ხის სახლი, იმასაც მაქსიმ ივანოვიჩი ართმევდა ვალში. ადგა ის ქალი და ეკლესიის კარიბჭესთან ჩაამწკრივა შვილები: უფროსი ბიჭი რვა წლისა იყო, დანარჩენი ოთხი კი გოგონები იყვნენ, სულ ერთიმეორის მომდევნო, ერთი ერთმანეთზე პატარები; უფროსი გოგონა ოთხი წლისა იყო, უმცროსი კი ხელში ეჭირა, ჯერ ისევ ძუძუთა. წირვა გათავდა, გამოვიდა მაქსიმ ივანოვიჩი, და ოთხივე ბავშვმა ერთმანეთის გვერდით დაიჩოქა, - დედას დაერიგებინა წინასწარ, - პაწია ხელები აღაპყრეს, თვითონ ქალი კი, მეხუთე ბავშვით ხელში, მათ უკან დადგა, მთელი მილეთის ხალხის თვალწინ მდაბლად დაუკრა თავი: „ბატონო, მაქსიმ ივანოვიჩ, შეიბრალე ობლები, ნუ წაართმევ უკანასკნელ ლუკმას, ნუ აგვყრი საკუთარი ბუდიდან!“ ყველა იქ მყოფს ცრემლი მოერია — ისე კარგად დაესწავლებინა ქვრივს პატარებისთვის. ფიქრობდა: ხალხში რომ ვეტყვი თავს მოიწონებს და გვაპატიებს, ობლებს მისცემს სახლსო, მაგრამ შენც არ მომიკვდე. შედგა მაქსიმ ივანოვიჩი: „შენ, ყმაწვილო ქვრივო, შვილების დარდი კი არ გატირებს, ქმარი გინდა და იმის ჯავრი გაქვს. განსვენებული სიკვდილის სარეცელზეც ჩემს წყევლაში იყო“, - ეს უთხრა და გასცილდა, სახლი არ მისცა. „მაგათ პამპულობას ხომ არ ავყვები (ესე იგი არ გავანებივრებო)? სიკეთე რომ ვუქნა, უარესად დამიწყებენ ლანძღვა-თრევას; მაგათ მაინც არაფერი ეშველება

და ჭორები კი, მოგეცა ლხენა, მოედება ქვეყანას“. ჭორი კი მართლაც დადიოდა, თითქოს მაქსიმ ივანოვიჩს ამ ქვრივისთვის ჯერ ამ ათი წლის უკან, ქალიშვილობაში, კაცი მიეგზავნა და დიდძალ ფულს შეპირებოდა (ძალზე ლამაზი ყოფილა თურმე), ის კი დავიწყებოდა, რომ ეს ისეთივე შეცოდებაა, გინდამც ტაძარი ღვთისა გაეძარცვოს; მაგრამ ვერაფერს გამხდარა მაშინ. ასეთ სისაძაგლეს კი ძალზე ხშირად სჩადიოდა ქალაქშიაც და მთელს გუბერნიაშიც და ამ შემთხვევაში ძალზეც გადააჭარბა.

შეექნათ დედა-შვილთ ერთი მოთქმა-გოდება. გამორეკა მაქსიმ ივანოვიჩმა ობლები სახლიდან და განა მარტო ბოროტებით ჩაიდინა ეს, ზოგმა ადამიანმა თვითონაც არ იცის ხოლმე, რა მიზეზით დაიჟინებს რამეს. პირველ ხანებში ეხმარებოდნენ ქვრივ-ობლებს, მერე კი საშოვარზე გავიდა ქალი. მაგრამ ჩვენში, ფაბრიკის გარდა, აბა სად უნდა ეშოვნა ადამიანს შემოსავალი; რა ექნა საცოდავ ქალს: ვის იატაკს მოურეცხავდა, ვის ბოსტანს გაუმარგლავდა, ვის კიდევ აბანოს გაუხურებდა, და ჩვილით ხელში გოდებას მოჰყვებოდა; ოთხი დანარჩენი ბავშვი კი იქვე დარბოდნენ ქუჩაში პერანგის ამარანი. როცა ეკლესიის კარიბჭესთან დააჩოქა, მაშინ კიდევ ეცვათ ფეხზე, ავი იყო თუ კარგი, მაინც სალოპები ეცვათ, ასე იყო თუ ისე, ვაჭრის შვილებიაო, იტყოდით; ახლა კი ფეხშიშველებმაც დაიწყეს სირბილი: ბავშვს რა ჩასაცმელი გაუძლებს. პატარებს რა ენაღვლებათ: მზე იყოს და ესეც ეყოფათ, რომ გაიხარონ; ვერ გრძნობენ, რომ იღუპებიან, ჩიტუნებივით არიან, ზარივით წკრიალა ხმით ჟივჟივებენ. ქვრივი ფიქრობს: „დაზამთრდება და რა გიყოთ? ნეტა მანამდე ღმერთმა მიიბაროს თქვენი სული!“... ოღონდ არ კი დასცალდა დაზამთრება. ჩვენში არის ბავშვების ხველა, ყელჭირვებას ეძახიან, გადამდები რაღაცაა. ჯერ იყო და ძუძუთა გოგონა მოუკვდა, მერე დანარჩენებიც ავად დაუხდნენ და იმ შემოდგომაზე ოთხივე გოგონა ზედიზედ დაეხოცა. თუმცა ერთი გოგონა ეტლმა გაიტანა ქუჩაში. რა გგონია? დაასაფლავა და მოჰყვა მოთქმას, მერე რა მოთქმას, ჯერ ხომ წყევლიდა, მაგრამ როცა ღმერთმა წაჰგვარა, გული დაეწვა. დედის გული ხომ იცი!

უფროსი ბიჭიღა შერჩა და თავს ევლებოდა, ზედ დაჰკანკალებდა. სუსტი ბიჭი იყო, გოგონასავით ნაზი და ლამაზი. ადგა დედა და ფაბრიკაში წაიყვანა, ბიჭის ნათლია იქ მმართველი იყო, თვითონ კი ძიძად დაუდგა ერთ მოხელეს. ერთხელაც დარბის ბიჭუნა ეზოში, გავიხედოთ და ორცხენიანი ეტლით არ მოგრიალდა მაქსიმ ივანოვიჩი! რაღაც ჭირად გადაკრულში იყო; ბიჭი ამ დროს კიბეზე ჩამორბოდა, უცაბედად

ფეხი აუცურდა და აკი ზედ არ შეასკდა მაქსიმ ივანოვიჩს, როცა ის ეტლიდან გადმოვიდა, თან ორივე ხელი შიგ მუცელში ატაკა. მაქსიმ ივანოვიჩმა სტაცა ხელი თმაში და იღრიალა: „ეს ვისი ოხერია? წკეპლები მოიტათ! ახლავე, ჩემ თვალწინ გაწკეპლეთ“. ბიჭს ფერი წაუვიდა. ცემა რომ დაუწყეს, იყვირა: „რაო? ჰყვირი კიდეც? ურტყით, სანამ ხმას არ ჩაიწყვეტს!“. ვინ იცის რამდენი ურტყეს, მაგრამ მაინც ყვიროდა, სანამ სულ არ მიასიკვდილეს. ამ დღეში რომ ნახეს, შეშინდნენ და ცემას თავი დაანებეს - ბიჭი აღარ სუნთქავდა. უგრძნობლად ეგდო. მერე ამბობდნენ. ცემით იმდენი არ უცემიათ, რაც შიშით გახდა ცუდადო. მაქსიმ ივანოვიჩი შეკრთა: „ვისია ეს ბიჭიო?“ - იკითხა. უთხრეს, ვისაც იყო: „დახე! დედას მიუყვანეთ; რას დაეხეტებოდა ფაბრიკაში?“. ორი დღე გავიდა ხმა არ ამოუღია, მერე ისევ იკითხა: „ბიჭი რას შვრებაო?“. ბიჭი კი ცუდ დღეში ჩავარდნილიყო: ავად გამხდარიყო, ფილტვების ანთება დამართნოდა, დედამისთან იწვა თურმე ნაქირავებ კუთხეში, ქალსაც ამის გამო მოხელესთან მუშაობისთვის თავი დაენებებინა. „დახე! - წარმოთქვა. - საამისო რა მოხდა? მაგრად რომ ეცემნათ, კიდევ ჰო. პატარა წაუთაქეს. ყველას ეგრე ვცემ ხოლმე, მაგრამ ამისთანა სისულელეები არ მოჰყოლია“. ელოდა, დედამისი მიჩივლებსო, და გაბღენძილი სდუმდა; მაგრამ აბა რას გაბედავდა ქალი ჩივილს. მაშინ ადგა მაქსიმ ივანოვიჩი და თხუთმეტი მანეთი და თავისი მკურნალი გაუგზავნა: განა შეშინდა. მაგრამ საგონებელს კი მიეცა. ამასობაში ლოთობის დრომაც უწია და ისიც ბარე სამი კვირა გამოუნელებლად სვამდა.

გავიდა ზამთარი და სწორედ აღდგომა დღეს ისევ იკითხა მაქსიმ ივანოვიჩმა: „რას შვრება ეს ბიჭიო?“ მანამდე კი მთელი ზამთარი ისე გავიდა, ერთიც არ უხსენებია. უთხრეს: „გამოკეთდა, დედამისთან ცხოვრობს, ქალი კი დღიურ ქირაზე დადისო“. ადგა მაქსიმ ივანოვიჩი და იმ დღესვე გაემგზავრა ქვრივთან. შინ არ შესულა, ჭიშკართან მოიხმო, თვითონ კი ეტლში იჯდა. „აი რას გეტყვი, ღირსო ქვრივო, მინდა შენი შვილი ჭეშმარიტად გავაბედნიერო და უსაზღვრო წყალობა ვუყო: ამიერიდან ჩემთან წავიყვან ჩემს სახლში. თუ ცოტათი მაინც მაამა, გვარიან ქონებას დავუტოვებ; ხოლო თუ სულ მომიგო გული, ჩემი სიკვდილის მერე მთელი ქონების მემკვიდრედ დავამტკიცებ, როგორც ღვიძლ შვილს, ოღონდ იმ პირობით, რომ თქვენმა ბრწყინვალებამ, თუ დიდი უქმე არ იქნა, ჩემს სახლში ფეხი არ შემოდგას. თუ ჭკუაში დაგიჯდეს, ხვალ დილას მომგვარე ბიჭი, სულ კოჭობანა ხომ არ უნდა ითამაშოს“. ეს უთხრა და წავიდა, დედა ქალი კი თითქმის გადარეული დასტოვა. ხალხმა რომ ეს ამბავი შეიტყო, ყველა წაესია ქალს: „წამოიზრ-

დება ბიჭი და მაგის საყვედურს ვეღარ აუხვალ, ასეთი ბედი რად დამაკარგვინეო“. მთელი ის ღამე ტირილით გაათენა, დილით კი წაჰგვარა ბავშვი. ბიჭი ცოცხალ-მკვდარი მისდევდა.

მაქსიმ ივანოვიჩმა ბატონიშვილივით გამოაწყო ბიჭი, მასწავლებელი უქირავა და მაშინვე წიგნებს მიუსვა; საქმე იქამდე მივიდა, რომ თვალიდან არ იშორებდა ბიჭს, სულ თავისთან ჰყავდა. როგორც კი ბიჭი თავს აიღებდა ან გაიხედ-გამოიხედავდა, მაშინვე მიაყვირებდა: „წიგნს მოჰკიდე ხელი! ისწავლე: კაცი მინდა გამოგიყვანოო“. ბიჭი კი სუსტი იყო, აი იმ ცემის მერე ხველება დასჩემდა. „ამას თუ კარგი ცხოვრება არა ჰქვია, აღარ ვიცი! - გაკვირვებას იყო მაქსიმ ივანოვიჩი. - დედამისთან რომ იყო, ფეხშიშველა დარბოდა და პურის ქერქს ლოღნიდა; რა ღმერთი უწყრება, რომ ახლა უფრო დასუსტდა?“. მასწავლებელმაც აიღო და უთხრა: „ყველა ბიჭს თამაში უნდა, სულ სწავლა სად გაგონილა; უნდა გაინძრეს, უამისობა არ იქნებაო“, და დაუსაბუთა კიდეც. მაქსიმ ივანოვიჩი ჩაფიქრდა: „მაგას მართალს ამბობსო“. უნდა გითხრა, რომ ეს მასწავლებელი, პიოტრ სტეპანოვიჩი, ღმერთმა აცხონოს, ერთი სალოსივით ვინმე იყო; ბევრსა სვამდა, ზომაზე მეტსაც კი, და ამიტომაც კარგა ხანი იყო არც ერთ სამუშაოზე აღარ ღებულობდნენ და თითქმის მოწყალებით გაჰქონდა თავი; ისე კი დიდი ჭკვიანი და განსწავლული კაცი იყო. „რა ჩემი საქმეა აქ ყოფნა, - უთქვამს ხოლმე თავის თავზე, - მე უნივერსიტეტში უნდა ვიყო პროფესორად, აქ კი ჭუჭყში ვიძირები და „თვით სამოსსაც ჩემსას ერცხვინვის ჩემიო“. ზის მაქსიმ ივანოვიჩი და უყვირის ბიჭს: „ითამაშე!“ - ბიჭი კი ისეთ დღეშია, შიშით სულს ვერ ითქვამს. და იქამდე მივიდა საქმე, რომ ბიჭი მის ხმასაც კი ვეღარ იტანდა, - შიშით სულ კანკალი აუვარდებოდა ხოლმე. მაქსიმ ივანოვიჩი სულ უფრო გაოცებას არის: „ვერ გამიგია, რანაირია; ჭუჭყიდან ამოვიყვანე, დრადედამებში (განსაკუთრებული ხარისხის თხელი მაუდი.) გამოვაწყვე; მატერიის წაღები და ამოქარგული ხალათი აცვია, გენერლის შვილივით მყავს, რატომ არ მოუდის გული ჩემზე? რას გაჩუმებულა მგლის ლეკვივით?“. და თუმცა დიდი ხანია აღარავის აღარაფერი უკვირდა მაქსიმ ივანოვიჩისა, მაგრამ ახლა ყველა ისევ განცვიფრდა: ცოფებს ყრის კაცი: გადაეკიდა ამ პატარა ბალღს, თავისას არ იშლის და არ ეშვება. „თავი ცოცხალი არ მინდა, თუ მაგას ხასიათი არ გამოვუცვალე. მაგისი მამა სულს რომ აბარებდა და წმიდა ზიარება მიღებული ჰქონდა. მაშინაც ჩემს წყევლაში იყო; მაგასაც მამამისის ხასიათი აქვს“. ეს კია, რომ წკეპლა ერთხელაც არ უხმარია (იმ შემთხვევის მერე შიშობდა). ოღონდ დააშინა ბიჭი და ის იყო. უწკეპლოდ დააშინა.

და ასეთი ამბავი მოხდა. ერთხელ ის იყო მაქსიმ ივანოვიჩი ოთახიდან გამოვიდა, რომ ბიჭმა თავი ანება წიგნს და სკამზე შეხტა: მანამდე თურმე ბურთი შევარდნოდა განჯინის თავზე. ჩამოღება რომ დააპირა, განჯინაზე მდგარ ფაიფურის ლამპას წამოსდო სახელო; ლამპა იატაკზე დაენარცხა და დაიმსხვრა, ისეთი ხმა მოიღო, მთელს სახლში გაისმა; ლამპა კი ძვირფასი იყო, საქსონური ფაიფურისა. ამ დროს მაქსიმ ივანოვიჩი მესამე ოთახში იყო და მსხვრევის ხმა რომ გაიგონა, იღრიალა. იშვირა ბიჭმა ფეხი და შეშინებული გავარდა, საითაც თვალი მიუწვდებოდა; ჯერ ტერასაზე გავარდა, მერე ბაღი გადირბინა, უკანა ჭიშკარში გაიჭრა და პირდაპირ სანაპიროზე ამოჰყო თავი. იმ სანაპიროს ბულვარი გასდევს ბებერი ტირიფები დგას, მხიარული ადგილია. ჩაირბინა მდინარესთან, ხალხს დაუნახავს, ზედ იმ ადგილას, სადაც ბორანი მიადგება ხოლმე, აიქნია ხელები და - წყლისა შეეშინდა თუ რა იყო - იქვე გაშეშდა. ეს ადგილი ძალზე ფართოა, მდინარე ჩქარა მიედინება, ზედ ნავები დადიან. გაღმა მხარეს დუქნებია, მოედანი, ტაძარი დგას, კაშკაში გააქვს თავისი ოქროს გუმბათებით. სწორედ ამ დროს ბორნისკენ მოიჩქაროდა პოლკოვნიკ ფერზინგის ცოლი თავისი გოგონათი - ქვეითი პოლკი იდგა მაშინ ჩვენს ქალაქში. გოგონაც პატარა იყო, რვა წლისა იქნებოდა. მოდის თეთრ კაბაში გამოწყობილი, შესცქერის ბიჭს და იცინის, ხელში სოფლური პატარა ხელძარი უჭირავს, ხელძარში კი ზღარბი უზის. „ნახეთ, დედილო, როგორ მისჩერებია ეს ბიჭი ჩემს ზღარბს“. - „არა, გენაცვა, - ეუბნება პოლკოვნიკის ცოლი, - ეგ რაღაცას შეუშინებია. რამ შეგაშინა, ლამაზო ბიჭუნავ? (მერე მოყვნენ ყველაფერს წვრილად) რა მშვენიერი ბიჭია და რა კარგად აცვია; ვისი ხარ, ბიჭუნა?“. ბიჭს კი ზღარბი თავის დღეში არ ენახა, მიუახლოვდა და უცქერის, ყველაფერი დაავიწყდა — რა არის ბავშვი! „ეგ რა გაქვთ?“ - „ეს ზღარბია, - ეუბნება გოგონა, - ერთ სოფლელ გლეხს ტყეში ეპოვნა და ვიყიდეთ“. - „რანაირად უპოვნია ასეთი ზღარბი?“ - და უკვე იცინის ბიჭუნა, თითს ატაკებს ზღარბს, ზღარბი იბურძგნება, გოგონას კი უხარია, ბიჭი რომ გახალისდა: „შინ მიგვყავს, უნდა მოვაშინაუროთ“. - „ახ, მაჩუქეთ ეგ თქვენი ზღარბი!“. ისე საყვარლად შეეხვეწა. და ის იყო ესა თქვა, რომ უცებ მაქსიმ ივანოვიჩმა დასჭექა: „ა! აი თურმე სად ყოფილხარ! დაიჭით, არ გაუშვათ!“ (ისე გამხეცებულიყო, თვითონაც უქუდოდ გამოვარდნილიყო სახლიდან და გამოჰკიდებოდა). ბიჭს რომ გაახსენდა ყველაფერი, იყვირა, მდინარეს მიაშურა, მუშტები გულზე მიიკრა, ცას ახედა (დაუნახავთ, დაუნახავთ!) - და წყალში მოადინა შვლეპა! შეიქნა ყვირილი, ისკუპეს ბორნიდან, სცადეს დაჭერა, მაგრამ მდინარე ჩქარი იყო და წყალმა წაიღო, ხოლო როცა ამოიყვანეს, უკვე გაგუდულიყო, - მომკვდარიყო. სუსტი იყო, წყალი ვერ აიტანა, ან კი რა ბე-

ვრი უნდოდა ასეთ ძალმილეულსა და ნაზს? კაციშვილი არ მოსწრებია ჩვენში, რომ ასეთ პატარა ბავშვს თავი მოეკლას! რამოდენა ცოდნაა! ან რა უნდა მოახსენოს უფალ ღმერთს ამ პაწია სულმა იმქვეყნად!

სწორედ ამის მერე ჩაუფიქრდა მაქსიმ ივანოვიჩი ამ ამბებს. ისე გამოიცვალა კაცი, ვეღარც იცნობდი. ძალზე დადარდიანდა. ჯერ სმას მიჰყო ხელი, ბევრსა სვამდა, მაგრამ მერე თავი ანება, რადგან ამან ვერ უშველა. ფაბრიკაში სიარულზე ხელი აიღო, გაგონება აღარავისი უნდოდა. ელაპარაკებიან რასმე - ის კი ხმას არ იღებს, ანდა ხელს ჩაიქნევს. იარა ასე ერთი ორი თვე, მერე კი თავის თავს დაუწყო ლაპარაკი. დადის და თავის თავს ელაპარაკება. იქვე ქალაქთან მდებარე პატარა სოფელ ვასკოვაში ცეცხლი გაჩნდა, ცხრა კომლი დაიწვა; მაქსიმ ივანოვიჩი წავიდა სანახავად. შემოესივნენ დაზარალებულნი, შესტირეს — აღუთქვა, დაგეხმარებითო და საამისო ბრძანებაც გასცა, მერე კი მოიხმო მოურავი და სიტყვა უკან წაიღო: ნურაფერს ნუ მისცემო, უთხრა, - ის კი აღარა თქვა, თუ რატომო. „რაკი უფალმა ხალხის პირში მიმცა სათრეველად, ვითა მტარვალი ვინმე, დაე აგრეც იყოს. ქარივით გაქრა ჩემი სახელი და დიდება“; თვით არქიმანდრიტი ეწვია, ძალზე მკაცრი ბერი იყო და მონასტერში ზოგადცხოვრება შემოიღო. „რა ამბებში ხარ?“ - ჰკითხა მკაცრად. „აი რა ამბებში, - უთხრა მაქსიმ ივანოვიჩმა, გადაშალა წიგნი და წაუკითხა:

„ხოლო რომელმან აცდუნოს ამათ მცირეთაგანი ერთი ჩემდა მიმართ მორწმუნეთა, უმჯობეს არს მისსა, დამო-თუ-იკიდოს წისქვილი ვირით საფქველი ქედსა და დაინთქას იგი უფსკრულსა ზღვისასა“ (მათე, 18,6).

- ჰო, - უთხრა არქიმანდრიტმა, - თუმცა პირდაპირ მაგის თაობაზე არაა თქმული, მაგრამ მაინც ემთხვევა. ვაი იმ კაცს, ვისაც თავისი ზომა დაუკარგავს; დაიღუპება ის კაცი. შენ კი გაგოროზდი.

მაქსიმ ივანოვიჩი კი ზის, გეგონება, გახევდაო. უყურა არქიმანდრიტმა, უყურა და უთხრა:

- ისმინე და დაიხსომე. თქმულა: „სასომიხდილის სიტყვები ქარს მიაქვსო“. ისიც გაიხსენე, რომ ზეციერი ანგელოზნიც კი არ არიან სრულყოფილნი, ხოლო სრულყოფილი და უცოდველია მარტოდენ ერთი ღმერთი ჩვენი იესო ქრისტე, ანგელოზნიც მას მსახურებენ. არც შენ გინდოდა იმ ყრმის სიკვდილი, უგუნური იყავ მარტოდენ. ოღონდ აი რა გამკვირვებია: განა ცოტა ჩაგიდენია უარესი, განა ცოტასთვის გაგიხდ-

ია საქმე სამათხოვროდ, ცოტა გაგიხრწნია, ცოტა დაგიღუპავს, - გინდამც მოგეკლას? და განა მისი დები უფრო ადრე არ დაიხოცნენ, ოთხივე ბალღი, თითქმის შენს თვალწინ? რატომღა შეგძრა ესოდენ ამ ერთმა ბალღმა? ყველა დანარჩენზე ხომ, მგონი, არამც თუ არ სწუხარ, აღარც კი გახსოვს. რატომღა შეგაშინა ამ ყრმამ, ვისა წინაშე არც ბრალი მიგიძღვის?

- სიზმრად ვხედავ, - წარმოთქვა მაქსიმ ივანოვიჩმა.

- მერე?

მაგრამ ამის მეტი აღარაფერი გაუმხელია — იჯდა ეგრე მდუმარედ. გაკვირდა არქიმანდრიტი და წარვიდა ამაოდ: აქ კაცი ვერას გახდებოდა.

კაცი გაგზავნა მაქსიმ ივანოვიჩმა და მასწავლებელი, პიოტრ სტეპანოვიჩი მოიხმო; იმ შემთხვევის მერე აღარც ენახათ ერთმანეთი.

- გახსოვს? - შეეკითხა.

- მახსოვს, - მიუგო.

- შენ აქაურ სამიკიტნოში საღებავებით დაგითხაპნია ხოლმე სურათები და მღვდელმთავრის სურათის ასლიც გადაგიღია. შეგიძლია მეც დამიხატო საღებავებით ერთი სურათი?

- მე ყველაფერიც შემიძლია; ყველაფერის ნიჭი მაქვს და ყველაფერი მეხერხება.

- მაშ დამიხატე ყველაზე დიდი სურათი, მთელი კედლისოდენა, და ზედ დახატე უპირველეს ყოვლისა მდინარე, დაღმართიც და ბორანიც, იცოდე, ყველა ის ხალხი, ვინც მაშინ იქ იყო, ზედ უნდა იყოს გამოხატული. პოლკოვნიკის ცოლიც და გოგონაც უნდა დახატოს. ის ზღარბიც არ დაგავიწყდეს. გაღმა ნაპირიც მთლიანად მოხატე, რომ როგორც არის, ისე ჩანდეს, - ეკლესიაც, მოედანიც, დუქნებიც, მეეტლეების სადგომებიც, - ყველაფერი ისე მოხატე, როგორც არის. იქვე, ზედ მდინარესთან, საცა ბორანია, სწორედ იმ ადგილას დახატე ბიჭი, იცოდე, უსათუოდ მჯიღები გულზე ჰქონდეს მიკრული, ეს აუცილებელია. და გაღმა, ეკლესიის თავზე, ცა გახსენი მის წინ, და შარავანდედიანი ანგელოზები ფრენით შემოაგებე. შესძლებ გამიკეთო?

- მე ყველაფერს შევძლებ.

- შენნაირ ტრიფონს კი არა, საუკეთესო მხატვარსაც გამოვიწერდი მოსკოვიდან ან თუნდაც თვით ლონდონიდან, ოღონდ ისაა, რომ შენ მისი ხატება გახსოვს. თუ არ ემგვანება ან მარტო ცოტათი ემგვანება. ხუთ თუმანზე მეტს არ მოგცემ, თუკი სულ ემგვანება, ორას მანეთს მოგცემ. არ დაგავიწყდეს, ცისფერი თვალები ჰქონდა... იცოდე, რაც შეიძლება დიდი სურათი უნდა გამოვიდეს.

მოამზადეს ყველაფერი; დაიწყო ხატვა პიოტრ სტეპანოვიჩმა, და უცებ აკი კარზე არ მოადგა:

- არა, ამნაირად დახატვა არ შეიძლება.

- ვითომ რატომაო?

- იმიტომ, რომ თავის მოკვლაზე დიდი ცოდვა არაფერია ქვეყნად, რანაირადღა შემოეგებებიან ანგელოზები?

- რას მიედ-მოედები - ის ხომ ჩვილი იყო, არ მოეკითხება.

- ჩვილი კი არა, ყრმა იყო უკვე; რვა წლისა იყო, როცა ეს საქმე ჩაიდინა. რაღაც პასუხი მაინც უნდა გასცეს ღმერთს.

უფრო მეტი თავზარი დაეცა მაქსიმ ივანოვიჩს.

- აი რა მოვიფიქრე, - უთხრა პიოტრ სტეპანოვიჩმა: - ნურც ზეცას გავხსნით და ნურც ანგელოზებს დავხატავთ; ავდგები და ზეციდან მისკენ ჩამოვუშვებ სხივს; მხოლოდ ერთი ნათელი შუქი იქნება: ეს იგივეა, ვითომც საცაა ვიღაც გამოვა იმ სხივიდანო.

ადგნენ და მართლა ჩამოუშვეს შუქი. კარგა ხნის მერე მეც ვნახე ის სურათიც, ის სხივიც და მდინარეც - მთელ კედელზე გაჭიმულიყო მთლად ლურჯი მდინარე; ის ბიჭუნაც იქ იყო, ორივ მჯიღი გულზე მიეკრა, ის პატარა გოგონაც, ის ზღარბიც - ყველაფერი ისე დაეხატა, როგორც მაქსიმ ივანოვიჩს ეამებოდა. ოღონდ მაქსიმ ივანოვიჩმა მაშინ სურათი არავის აჩვენა, კაბინეტში ჩაკეტა და თვალით არავის ანახვა. ახლა არ იკითხავ, რა სული მისდიოდა ყველას, რომ ენახათ: მაქსიმ ივანოვიჩმა ყველა იფრინა. შეიქნა ერთი მითქმა-მოთქმა. პიოტრ სტეპანოვიჩს ხომ სულ თავში აუვარდა: - „მე ახლა ყველაფერი შემიძლია; ჩემი ადგილი სანკტ-პეტერბურგის სამეფო კარზეაო“, - გაიძახოდა. უსაყვარ-

ლესი კაცი იყო, მაგრამ უზომო ტრაბახი უყვარდა. ჰოდა, აი რა ბედი ეწია: როგორც კი შეპირებული ორასი მანეთი მიიღო, მაშინვე სმას მიჰყო ხელი და ყველას აჩვენებდა ფულს, ნახეთ რამდენი მაქვსო; და ერთხელაც ღამით ერთმა ჩვენებურმა მდაბიომ, ვისთან ერთადაც ქეიფობდა, მოჰკლა და მერე გაძარცვა: ყოველივე ეს აკი გამოირკვა მეორე დილით.

მთელი ეს ამბავი კი იმით გათავდა, რომ ახლაც იმ ქალაქში ყველაზე უწინ ამას გაიხსენებენ ხოლმე. ერთ მშვენიერ დღეს მაქსიმ ივანოვიჩი ადგა და ეწვია იმ ქვრივს: გარეუბანში მდგმურად იდგა ერთი მდაბიო ქალის ქოხში. ამჯერად ეზოში შევიდა; გაჩერდა ქალის წინ და მდაბლად დაუკრა თავი. ქალი იმ უბედურების მერე ავად იყო და ძლივს ინძრეოდა. „მოიღე სიკეთე, ღირსო ქვრივო, - შეჰღაღადა, - წამომყევ ცოლად მე, ღვთის პირისგან შეჩვენებულს, მაცოცხლე ამქვეყნად!“. ქალი ცოცხალ-მკვდარი შეჰყურებს. „მინდა კიდევ ბიჭი გაგიჩნდეს, და თუ გვეყოლა, მაშ ბიჭუნას უპატიებია ორივესთვის, შენთვისაც და ჩემთვისაც. ასე მიბრძანა იმ ბიჭუნამ“. ხედავს ქალი, თითქმის ჭკუაზე აღარაა კაცი, გადარეულივითაა, მაგრამ მაინც გულმა არ მოუთმინა:

- სისულელეა ეგ, სულმოკლეობაა და სხვა არაფერი, ეგეთმა სულმოკლეობამ დამაკარგვინა ჩემი ბარტყები. თქვენი დანახვაც კი მზარავს, თორემ ეგეთ საუკუნო ტანჯვას როგორ ვიდებ კისრად.

გაბრუნდა მაქსიმ ივანოვიჩი, მაგრამ თავისი არ დაიშალა. მთელი ქალაქი ააწრიალა ამ საოცრებამ. მაქსიმ ივანოვიჩმა კი დაასია მაჭანკლები. თავისი ორი დეიდა დაიბარა გუბერნიიდან, სადაც მდაბიოებად ცხოვრობდნენ. ღვიძლი დეიდები არ იყვნენ, მაგრამ რაც არ უნდა იყოს, ნათესავებად მოხვდებოდნენ, და, მაშასადამე, ღირსეულად და პატიოსნად იქნებოდა ყველაფერი; შეუჩნდნენ ეს დეიდები ქალს, დაუწყეს ჩიჩინი, საშველი არ მისცეს, ლამის ჩაუსახლდნენ ქოხში. ქალაქელი მაჭანკლებიც მიუგზავნა, ვაჭართა წრის მაჭანკალიც, დეკანოზის ცოლიც, მოხელეთა მაჭანკალიც; მთელი ქალაქი დაასია; ქალი კი ზიზღით გაიძახის: „ჩემი ობლები რომ და ცოცხლდებოდნენ, კიდევ ჰო, ახლა კი რა თავში ვიხლი რამეს? ჩემი ობლების წინაშე ასეთ ცოდვას როგორ ჩავიდენ!“. მაქსიმ ივანოვიჩმა არქიმანდრიტიც გადმოიბირა, იმანაც ჩასძახა ქალს: „შენ შეგიძლია მასში ახალი ადამიანი გააღვიძოო“. თავზარი დაეცა ქალს. ხალხი კი გაოცებას იყო: „სად თქმულა და სად ნახულა, რომ ასეთი ბედისთვის ხელი ეკრათო!“. ბოლოს კი აი რითი დაიყოლია: „რაც უნდა იყოს, თავი მოიკლა ბიჭმა, ჩვილი აღარ

ეთქმოდა, ყრმა იყო უკვე და ასაკის მიხედვითაც წმინდა ზიარებაზე პირდაპირ აღარ დაიშვებოდა, მაშასადამე, რაღაც პასუხი მაინც უნდა გასცეს ღმერთს თავის მოკვლისთვის, ხოლო თუ ცოლად წამომყვები, დიდ ფიცსა ვდებ: ახალ ტაძარს ავაგებ მხოლოდ და მხოლოდ მისი სულის მარად მოსახსენებლად“. ამას კი ვეღარ აღუდგა ქალი და დათანხმდა. ასე და ამრიგად ჯვარი დაიწერეს.

ყველას გასაკვირი საქმე მოხდა. პირველი დღიდანვე დიდი პირუთვნელი თანხმობით ცხოვრობდნენ, სათუთად იცავდნენ თავის ცოლქმრობას, და ცხოვრობდნენ ვით ერთი სული ორ სხეულად. ქალი იმავ ზამთარს დაორსულდა და მოჰყვნენ ორივენი სალოცავებში სიარულს, ღვთის რისხვისა ეშინოდათ. სამი მონასტერი მოიარეს და ისმინეს წინასწარმეტყველებანი. მაქსიმ ივანოვიჩმა ააგებინა დაპირებული ტაძარი, და ქალაქშიც საავადმყოფო და დავრდომილთა თავშესაფარი ააშენა. ქვრივ-ოხრებისთვის ფული გამოჰყო. გაიხსენა ყველა, ვინც კიოდესმე დაეჩაგრა და თავისი დანაშაულის გამოსყიდვა მოიწადინა; ფულს კი ისე უანგარიშოდ და უზომოდ არიგებდა, რომ ახლა უკვე ცოლი და არქიმანდრიტი ჩაერივნენ საქმეში: „გეყოფა, ისედაც საკმაოდ გაეცით“. დაუჯერა მაქსიმ ივანოვიჩმა, ოღონდ თქვა: „წიგნებზე თომას რომ ანგარიშს ვუსწორებდი, მოვატყუეთ“. ადგნენ და მისცეს თომას, რაც დააკლო. თომამ ტირილიც კი მორთო: „მეო ისედაც კმაყოფილი გახლავართ და სულ თქვენთვის ვილოცებო“. ჩანს ყველას გულში ჩასწვდა ეს ამბავი და მაშ მართალი თქმულა“, კაცს კარგი მაგალითი აცოცხლებსო. იქაური ხალხი კი კეთილია.

ფაბრიკას თვითონ ცოლი ჩაუდგა სათავეში და ისე პატრონობდა, დღემდე მის ხსენებაში არიან. მაქსიმ ივანოვიჩს სმისთვის თავი არ დაუნებებია, ოღონდ როცა ლოთობის დრო დაუდგებოდა, ცოლი უვლიდა, მერე კი წამლობდა. ლაპარაკიც უფრო დინჯი შეექნა, არ დაიჯერებ და ხმაც კი გამოეცვალა. ისეთი გულჩვილი გახდა, ენით არ ითქმის; პირუტყვიც კი ებრალებოდა: ერთხელ სარკმლიდან თვალი მოჰკრა, გლეხკაცი მათრახს რომ უშენდა ცხენს ცხვირპირში, მაშინვე კაცი გაგზავნა და ის ცხენი ორჯერ ძვირად იყიდა. და მომადლა ღმერთმა ცრემლის ნიჭი: ვინც არ უნდა გამოლაპარაკებოდა, სულ ცრემლად იღვრებოდა. როდესაც ქალს მშობიარობის ჟამი დაუდგა, ისმინა, როგორც იქნა, უფალმა მათი ვედრება და ვაჟი უბოძა. იმ უბედურების მერე პირველი იყო, რომ მაქსიმ ივანოვიჩს სახეზე ნათელი მოეფინა; მოწყალება უხვად გაიღო, ბევრს ვალი აპატია, ხოლო ნათლობაზე მთელი ქალაქი აწვია. მთელი ქალაქი კი აწვია, მაგრამ მეორე დღეს ღამესავით

მოქურუშებული გამოვიდა. ნახა ცოლმა რომ რაღაც ემართა კაცს, და მიჰგვარა ჩვილი: „გვაპატია ყრმამ, ისმინა, რაც მისთვის ცრემლი ვღვარეთ და ლოცვა აღვავლინეთ“, ხოლო უნდა გითხრა, რომ მთელი ის წელიწადი ისე გავიდა, არც ერთს სიტყვაც არ უთქვამს ამ საგანზე, ორივე გულში იკლავდა დარდს. ღამესავით ბნელი სახით შეხედა მაქსიმ ივანოვიჩმა: „დაიცა, აგერ მთელი წელიწადია არ გამომცხადებია, წუხელ კი ისევ დამესიზმრა“. - „ეს უცნაური სიტყვები რომ მითხრა, პირველად მაშინ ამიტანა შიშმა“, - იხსენებდა მერე ქალი.

თურმე ტყუილად როდი დასიზმრებია ყრმა. ესა თქვა თუ არა მაქსიმ ივანოვიჩმა, თითქმის იმავ წამს ახალშობილს რაღაც დაემართა: უცებ ავად შეიქნა. რვა დღე იავადმყოფა პაწიამ, დღედაღამ ლოცულობდნენ და ექიმები დაასიეს, მოსკოვიდანაც გამოიწერეს რკინიგზით უპირველესი ექიმი. ჩამოვიდა ექიმი და გაჯავრდა: „მე უპირველესი ექიმი ვარ, მთელი მოსკოვი მელოდებაო“. წვეთები გამოუწერა და ფაცხაფუცხით უკანვე გაბრუნდა. რვაასი მანეთი დააძრო. პაწიამ კი საღამოთი სული დალია.

მერე არ იკითხავ, რა მოხდა? მაქსიმ ივანოვიჩმა მთელი თავისი ქონება საყვარელ მეუღლეს დაუტოვა, ჩააბარა რაც რამ ფული და საბუთები ჰქონდა, ყოველივე სამართლიანად და კანონიერად მოაგვარა, მერე კი მივიდა და მდაბლად თავი დაუკრა: „გამიშვი, სანუკვარო მეუღლევ, ვიხსნა სული, ვიდრე გვიან არ არის. თუ რაც დღე და წუთისოფელი დამრჩენია ამქვეყნად, სულის ხსნა ვერ შევძელ, მაშინ აღარც დავბრუნდები უკან. მაგარი ვიყავი და სასტიკი, დარდსა და ვარამში ვაგდებდი ხალხს, მაგრამ ვგონებ რომ ჩემგან გამოვლილი მწუხარებისა და მომავალი ყარიბობისთვის არ დამტოვებს უფალი მოუმადლებლად, რამეთუ დატევება ყოველივე ამისა არა არს ჯვარი მცირე და არცა მწუხარება მცირე“; ბევრი ცრემლი დაღვარ აქალმა, ემუდარა: „შენს მეტი ვინღა მივის ამა ქვეყნად, ვისთვისღა დავრჩე? ამ ერთ წელიწადში შეგეთვისე და შეგიყვარეო“. ერთი თვე შეაგონებდა მთელი ქალაქი. ემუდარებოდნენ, ძალით გაჩერებაც კი გადაწყვიტეს და თვალყურს ადევნებდნენ. მაგრამ არავის უსმინა, ერთ ღამეს გაიპარა, და მას მერე არც არავის უნახავს. ხმები კი დადის, დღემდეც ყარიბობს და ითმენს, საყვარელ მეუღლეს კი ყოველ წელს ხმას აწვდენსო...“

თავი მეოთხე - I

ახლა მიუბრუნდები ორ საბოლოო კატასტროფას, რომლითაც მთავრდება ჩემი ჩანაწერები. მაგრამ რათა შემდეგ გავაგრძელო, უნდა გავუსწრო ამბებს და აგიხსნათ ერთი რამ, რაც სრულებით არ ვიცოდი მაშინ, როცა ვმოქმედებდი, მაგრამ რაც შევიტყვე და რაშიც გავერკვიე გაცილებით გვიან, ესე იგი მაშინ, როცა ყველაფერი გათავდა. უამისოდ ვერ შევძლებ გასაგებად გიამბობთ, რადგან სულ გამოცანებით მომიხდებოდა წერა. ამიტომ პირდაპირ და უბრალოდ აგიხსნით საქმის ვითარებას, გავწირავ ეგრეთ წოდებულ მხატვრულობას, და ისე მოვიქცევი, თითქოს მე არც ვწერდე, ჩემი გული არ მონაწილეობდეს, თითქოს ეს იყოს entrefilet (მოკლე შენიშვნა (ფრანგ.).), გაზეთებში რომ ბეჭდავენ.

საქმე ისაა, რომ ჩემი სიყრმის ამხანაგი ლამბერტი თამამად, პირდაპირაც კი, შეიძლება მიეკუთვნოს იმ წვრილფეხა ნაძირალათა საზიზღარ ხროვას, რომლებსაც ერთმანეთთან საქმე აქვთ იმის გულისთვის, რასაც ახლა შანტაჟი ეწოდება და რისთვისაც ახლა გადაწყვეტილებებსა და სასჯელს ეძებენ კანონთა კრებულში. ამ ნაძირალებმა, რომლებიც ლამბერტი ერია. თავდაპირველად მოსკოვში აიდგეს ფეხი და იქ უკვე საკმაოდ ბევრი რამ ჩაედინათ (შემდეგში ეს ხროვა ნაწილობრივ აღმოჩენილი იქნა). შემდეგ შევიტყვე, რომ მოსკოვში მათ ერთ ხანს ხელმძღვანელობდა ერთი ძალზე გამოქექილი და საკმაოდ ჭკვიანი, თან უკვე ხნიერი კაცი. მათს საქმიანობაში ხან მთელი ხროვა მონაწილეობდა, ხანაც ცალ-ცალკე მოქმედებდნენ. ამასთან, ყოვლად ბინძური და უცენზურო საქმეების გარდა (გაზეთებშიც კი იყო ცნობები ამის თაობაზე), თავისი შეფის მეთაურობით, საკმაოდ რთულ და ოსტატურ რამეებსაც კი ჩადიოდნენ. ზოგი მათი ნამოქმედარი მერე კი შევიტყვე, მაგრამ წვრილად არ მოგიყვებით. ერთ რამეს მოგახსენებთ მხოლოდ: მათი თავიდათავი ხერხი და ხრიკი ის იყო, რომ შეეტყოთ საკმაოდ მაღალი თანამდებობის, თან ზოგჯერ ყოვლად პატიოსანი ადამიანების რაიმე საიდუმლოება; მერე გამოეცხადებოდნენ ამ ადამიანებს და ემუქრებოდნენ, სააშკარაოზე გამოვიტანთ ამ დოკუმენტებსო (რომლებიც ზოგჯერ არც ჰქონდათ) და დაურთავდნენ, თუ გინდათ ნამუსი შეგინახოთ, ამდენი და ამდენი ფული მოგვეცითო. ხშირად არის ხოლმე ისეთი რამ, რაც არც დიდი ცოდვაა და არც დიდი დანაშაული, მაგრამ რისი გამჟღავნებაც შეაშინებს ძალზე პატიოსან და მაგარ ადამიანსაც კი. ამ ხროვას მეტწილად ოჯახური საიდუმლოებანი ჰქონდა მიზანში ამოღებული. რათა გაჩვენოთ, თუ რა მარჯვედ მოქმედებდა

ზოგჯერ მათი შეფი, მოკლედ, სამიოდე სტრიქონით გიამბობთ მათს ერთს ნამოქმედარს.

ერთს ფრიად პატიოსან სახლში მართლაც ცოდვა და დანაშაული დატრიალდა: სახელდობრ, ერთი ცნობილი და პატივცემული კაცის ცოლმა საიდუმლოდ საქმე დაიჭირა ერთ ყმაწვილ და მდიდარ ოფიცერთან. ამ ნაძირალებს ეს ამბავი როგორღაც შეეტყოთ და ასე მოიქცნენ: იმ ყმაწვილ კაცს პირდაპირ აცნობეს, ქმარს ვეტყვით მაგ ამბავსო. ერთი ბეწო საბუთიც არა ჰქონდათ და ყმაწვილმა კაცმა ეს მშვენივრად იცოდა, თან, ღვთის წინაშე, არც ისინი მალავდნენ, საბუთი არა გვაქვსო; მაგრამ მთელი ოინი და მთელი ეშმაკობა ამ შემთხვევაში ის იყო, რომ თუ ქმარს ეტყოდნენ, სულაც არავითარი საბუთი რომ არ ჰქონოდათ, მაინც ისევე მოიქცეოდა და ისეთსავე ნაბიჯს გადადგამდა, გინდამც ყოვლად მათემატიკური საბუთები წარედგინათ. ამ ამბავში იმით მოქმედებდნენ, რომ იცოდნენ იმ კაცის ხასიათი და მისი ოჯახის გარემოებანი. მთავარი ის იყო, რომ ამ ხროვაში ერია ერთი ყოვლად წესიერი წრის ყმაწვილი კაცი, და სწორედ მან მოჰკრიბა წინასწარ ცნობები. ქალის სატრფოს დიდძალი ფული ააფცქვნეს სულ არხეინად და თავიანთთვის უხიფათოდ, რადგან მათ მსხვერპლს თვითონ სწყუროდა, რომ საიდუმლო არ გამჟღავნებულიყო.

ლამბერტი თუმცა მონაწილეობდა ამ ამბებში, ოღონდ მთლიანად არ ეკუთვნოდა მოსკოველთა ხროვას; ხოლო რაკი ამ საქმიანობას გემო გაუგო, ნელ-ნელა და სასინჯად მარტოკამ დაიწყო მოქმედება. წინასწარვე გეტყვით: საამისო შნო სულ არ ჰქონდა. საკმაოდ ჭკვიანი და ანგარიშიანი გახლდათ, მაგრამ ფიცხი იყო და, გარდა ამისა, გულუბრყვილო ან, უკეთ რომ ვთქვათ, არიფი, ესე იგი არც ადამიანებს იცნობდა და არც საზოგადოებას. მაგალითად, მგონი სულ არ გაეგებოდა იმ მოსკოველი შეფის მნიშვნელობა და ეგონა, ასეთი საქმეების მოწყობა და მეთაურობა რა დიდი რამეაო. დასასრულ, თითქმის ყოველი ადამიანი ისეთივე არამზადა ეგონა, როგორიც თვითონ იყო. ან, მაგალითად, რაკი ერთხელ წარმოიდგენდა, ამა და ამ კაცს ეშინია ან უნდა ეშინოდეს ამიტომ და ამიტომო, მერე უკვე ეჭვიც არ შედიოდა, რომ მართლაც ეშინოდა, როგორც აქსიომაშია ხოლმე. ვერ ვახერხებ ამის ახსნას; შემდეგში უფრო ნათლად აგიხსნით ფაქტებით, მაგრამ, ჩემი აზრით, ლამბერტი საკმაოდ უხეშად იყო განვითარებული, ხოლო ზოგი სათნო, კეთილშობილი გრძნობა არამცთუ არა სწამდა, იქნებ წარმოდგენაც კი არ ჰქონდა ამეებზე.

პეტერბურგში იმიტომ ჩამოვიდა, რომ კარგა ხანია გულში ჰქონდა

ამოჭრილი ეს ქალაქი, როგორც მოსკოვზე უფრო ფართო სარბიელი, და კიდევ იმიტომ, რომ მოსკოვში სადღაც და როგორღაც ერთ ხათაბალაში გაბმულიყო და ვიღაც დაეძებდა ყოვლად უკეთური ზრახვებით. პეტერბურგში რომ ჩამოვიდა, მაშინვე საქმე დაიჭირა ერთ ადრინდელ ამხანაგთან, მაგრამ ძალზე პატარა სარბიელი და წვრილ-წვრილი საქმეები დახვდა. ნაცნობობა მერე კი გაიფართოვა, მაგრამ სახეირო არაფერი გამოდიოდა: „რა უხეირო ხალხი ყოფილა აქ, სულ ლაწირაკები არიან“, - თვითონვე უთქვამს მერე ჩემთვის. და აი, ერთ მშვენიერ დილას, რიჟრაჟზე, უცებ მპოულობს მესერთან გათოშილს და ზედ აწყდება, მისი აზრით, „უმდიდრესი საქმის“ კვალს.

ყველაფრის მიზეზი კი ყოფილა თურმე ჩემი ტყუილი როტვა მაშინ, მის ბინაზე რომ მოვსულიერდი გათოშილი. ო, მაშინ ისეთ დღეში ვიყავი, ლამის ვბოდავდი! მაგრამ ჩემი სიტყვებიდან მაინც აშკარად გამოჩნდა, რომ იმ საბედისწერო დღეს ყველა შეურაცხყოფათაგან სხვაზე მეტად დამახსოვდა და გულში ჩამრჩა მარტოდენ ბიორინგისა და მისგან მოყენებული შეურაცხყოფა: სხვაგვარად რომ ყოფილიყო, მაშინ მარტო ამის ბოდვას არ მოვყვებოდი ლამბერტთან; ვიბოდებდი, მაგალითდა, ზერშჩიკოვის თაობაზეც; მაგრამ, როგორც მერე თვითონ ლამბერტმა მითხრა, თურმე მხოლოდ იმ პირველ ამბავზე ვბოდავდი. ამასთან აღტაცებული ვიყავ და იმ საშინელ დილას ლამბერტსა და ალფონსინას ისე შევყურებდი, როგორც ჩემს მხსნელებსა და გადამრჩენლებს. შემდეგში, როცა თუმცა ისევ ლოგინად ვიწექ, მაგრამ მოვიხედე და ვფიქრობდი: რა შეეძლო შეეტყო ლამბერტს ჩემი ბოდვიდან და რა ზომამდე დავფქვი ყველაფერი-მეთქი, - არც ერთხელ ეჭვადაც კი არ გამივლია, თუ ამდენი რამის შეტყობა შეეძლო მაშინ! ო, რა თქმა უნდა, სინდისი იმრიგად მქენჯნიდა, რომ ჯერ მაშინაც ვგრძნობდი, ალბათ, ბევრი ზედმეტი რამ წამოვროშე-მეთქი, მაგრამ, ვიმეორებ, არ მეგონა. თუ ამ ზომამდე ვიყბედე! იმის იმედიც მქონდა, რომ მასთან ყოფნისას ისეთ დღეში ვიყავ, სიტყვების მკაფიოდ გამოთქმა არ შემეძლო, რაც ძალიან კარგად მახსოვდა, სინამდვილეში კი გამოირკვა, რომ თურმე ძალიანაც მკაფიოდ მილაპარაკნია, ვიდრე მეგონა და ვიმედოვნებდი. მაგრამ მთავარი ის გახლდათ, რომ ყველაფერი ძალზე გვიან და დიდი ხნის მერე გამოირკვა. და ჩემი უბედურებაც სწორედ ეს იყო.

ამ ჩემი ბოდვის, როტვის, ლუღლუღის, აღტაცებათა და სხვათა წყალობით მან შეიტყო, ჯერ ერთი, თითქმის ყველას გვარი ზუსტად, და ზოგის მისამართიც კი; მეორეც, საკმაოდ მიახლოებითი წარმოდგენა

შეექმნა, თუ რამდენად მნიშვნელოვანნი არიან ზოგიერთი ამათგანნი (მოხუცი თავადი, კატერინა ნიკოლაევნა, ბიორინგი, ანა ანდრეევნა და ვერსილოვიც კი); მესამე: შეიტყო, რომ მე შეურაცხყოფილი ვარ და ვიმუქრები, შურს ვიძიებ-მეთქი და, დასასრულ, მეოთხე უმთავრესი: შეიტყო, რომ არსებობს საიდუმლო და დამალული დოკუმენტი, წერილი. და თუ იმ წერილს აჩვენებენ ნახევრად გამოჩერჩეტებულ მოხუც თავადს, წაიკითხავს თუ არა და შეიტყობს, ღვიძლ ქალიშვილს გიჟი ვეგონე და „ეთათბირა კიდეც ვექილებს“ ჩემი საგიჟეთში მოთავსების თაობაზეო, - ან სულ მთლად გაგიჟდება, ან გააძევებს თავის ქალს და წაართმევს მემკვიდრეობას, ანდა, შეირთავს ვინმე მ-ლლე ვერსილოვას, რომლის შერთვა ისედაც უნდა და არ ანებებენ კია. მოკლედ, ლამბერტმა ძალზე ბევრი რამ შეიტყო; ეჭვი არაა ძალზე ბევრიც ბნელით მოცული დარჩა მისთვის, მაგრამ შანტაჟების ოსტატმა მაინც სწორ კვალს მიაგნო. როცა მე შემდეგ ალფონსინას გამოვექეცი, ლამბერტმა მაშინვე გაიგო ჩემი მისამართი (ძალზე უბრალოდ: სამისამართო მაგიდას მიაშურა); მერე დაუყოვნებლივ გაიკითხ-გამოიკითხა და შეიტყო, რომ ის პირები, რომელთა სახელებსაც მე ვბოდავდი, მართლაც არსებობენ. მაშინ ადგა და პირდაპირ შეუდგა საქმეს.

მთავარი ის იყო, რომ არსებობს დოკუმენტი, რომელიც ჩემს ხელთაა, და რომ ეს დოკუმენტი დიდი ღირებულებისაა: ამაში ლამბერტს ეჭვი არ ეპარებოდა. აქ გამოვტოვებ ერთ გარემოებას, რომელზე ლაპარაკიც შემდეგში და თავის ადგილას აჯობებს, აღვნიშნავ მხოლოდ იმას, რომ უმთავრესად სწორედ ამ გარემოებამ დაარწმუნა ლამბერტი, ნამდვილად არსებობს ეს დოკუმენტი და, რაც მთავარია, მართლაც დიდი ღირებულებისააო (წინასწარ ვაცხადებ, რომ ეს იყო საბედისწერო გარემოება, რომელსაც მე ვერაფრის გულისთვის ვერ მოვისაზრებდი არა მხოლოდ მაშინ, არამდე თვით მთელი ამ ისტორიის დასასრულსაც კი, როცა ყველაფერი ერთბაშად ინგრეოდა და თავისთავად გაირკვა). მაშ ასე, რაკი მთავარში დარწმუნებული იყო, ლამბერტის პირველი ნაბიჯი ის გახლდათ, რომ ანა ანდრეევნას ეწვია.

უნდა გამოვტყდე, ჩემთვის დღესცა გამოცანაა: რანაირად მოახერხა ლამბერტმა დაახლოებოდა და აკვიატებოდა ისეთ მიუკარებელ და მაღალ წრის ქალს, როგორიც ანა ანდრეევნა იყო? მართალია, ცნობები ჰქონდა, მაგრამ მერე რა? მართალია, საუცხოოდ ეცვა, პარიზულად ლაპარაკობდა და ფრანგული გვარისაც იყო, მაგრამ რანაირად შეიძლებოდა ანა ანდრეევნას მაშინვე არ შეემჩნია, რა არამზადაც იყო? ანდა უნდა ვიფიქროთ, რომ მაშინ მას სწორედ არამზადა ესაჭიროებო-

და. მაგრამ ნუთუ ასე იყო?

ვერა და ვერ შევიტყვე წვრილად, თუ რანაირი იყო მათი შეხვედრა, მაგრამ შემდეგში მრავალჯერ წარმომიდგენია ხოლმე ეს სცენა გონებით. უთუოდ ლამბერტმა პირველივე სიტყვითა და ჟესტით გაითამაშა მის წინაშე ჩემი ბავშვობის მეგობარი, რომელიც საყვარელი და ძვირფასი მეგობრის დარდით აღარ არის. მაგრამ, რა თქმა უნდა, ამ პირველი შეხვედრისთანავე ძალზე აშკარად გადაუკრა სიტყვა ამაზეც, რომ მე მაქვს „დოკუმენტი“, აგრძნობინა, რომ ეს საიდუმლოა, და რომ მხოლოდ მან, ლამბერტმა, იცის ეს საიდუმლო, რომ მე ვაპირებ ამ დოკუმენტით შური ვიძიო გენერალ ახმაკოვის ქვრივზე და სხვ. და სხვ.; რაც მთავარია, შეეძლო რაც შეიძლება ზუსტად აეხსნა მისთვის ამ ქაღალდის მნიშვნელობა და ღირებულება. რაც შეეხება ანა ანდრეევნას, ის მაშინ სწორედ ისეთ დღეში იყო ჩავარდნილი, რომ არ შეეძლო არ ჩასჭიდებოდა ამგვარ ცნობას, არ შეეძლო დიდი ყურადღებით არ მოესმინა და... არ შეეძლო არ წამოგებულიყო ანკესზე - „არსებობისთვის ბრძოლის გამო“. მას სწორედ იმ ხანად წაართვეს საქმრო, წაიყვანეს ცარსკოეში და მეთვალყურეობა დაუწესეს, თან თვით მარსზეც თვალყური დაიჭირეს. და უცებ სულზე მისწრებასავით ნაპოვნი: აქ განა დედაკაცური ყურში ფუჩუნი, ცრემლის მომგვრელი წუწუნი, დაბეზღება და ჭორებია, - აქაა წერილი, მანუსკრიპტი, ესე იგი მათემატიკური დასაბუთება იმისა, თუ რა ვერაგი ზრახვები ჰქონია. მის ქალს და ყველა იმათ, ვინც საქმროს ართმევს, და რომ, მაშასადამე თავადმა თავს უნდა უშველოს, თუნდაც გაქცევით, და გაიქცეს მასთან, ისევ ანა ანდრეევნასთან, და ჯვარი დაიწეროს თუნდაც ოცდაოთხ საათში; თორემ ხელად საგიჟეთში ამოაყოფინებენ თავს.

ან იქნებ ლამბერტს სრულიადაც არ დაუწყია ეშმაკობა ამ ქალიშვილთან, წუთითაც არ უთაღლითნია, იქნებ ადგა და პირდაპირ მიახალა: „mademoiselle“, ან ეგრე შინაბერად დარჩით, ანდა თავადის მეუღლე და მილიონების პატრონი გახდთ. აი დოკუმენტი, მე ავაცანცლი იმ ყმაწვილს და თქვენ გადმოგცემთ... ოცდაათი ათასის თამასუქს თუ მიბოძებთ“. ვფიქრობ კიდეც, რომ სწორედ ასე იქნებოდა. ო, მას ხომ ყველა თავისთანა არამზადა ეგონა; ვიმეორებ, მას ჰქონდა რაღაც მიამიტობა არამზადისა, გულუბრყვილობა არამზადისა... ასე იყო თუ ისე, ადვილი შესაძლებელია, რომ ანა ანდრეევნა ასეთი საუბრის დროსაც არ დაბნეულა, საუცხოოდ დაიჭირა თავი და მოუსმინა თავისი სტილით მოლაპარაკე შანტაჟისტს - და ეს სულ „ხოვრიელობის“ გამო. ცხადია, თავდაპირველად ცოტა სიწითლემ შეაფინა, მაგრამ გული გაიმაგრა და

ბოლომდე მოუსმინა. და როცა წარმოვიდგენ, რომ ამ მიუკარებელმა, ამაყმა, მართლაც ღირსეულმა და ჭკვიანმა ქალიშვილმა პირი შეკრა ლამბერტთან, მაშინ... საქმეც ისაა, რომ ჭკვიანია! რუსულ ჭკუას, როცა ის ამოდენაა, ძალიან უყვარს ხოვრიელობა; ისიც ქალის ჭკუას და ისიც ასეთს გარემოებაში!

ახლა შევაჯამებ: ჩემი მორჩენისა და ქუჩაში გამოსვლის დღე და საათი რომ დადგა, იმ დროისთვის ლამბერტი ორ შემდეგს აზრზე იდგა (ეს ახლა უკვე დანამდვილებით ვიცი): პირველი, გამოერთმია ანა ანდრეევნასთვის დოკუმენტის საფასურად თამასუქი არა ნაკლებ ოცდაათი ათასისა და მხარი მიეცა მისთვის, ერთად დაეშინებინათ მოხუცი თავადი, გამოეტაცნათ ის და ხელად ჯვარი დაეწერებინათ ანა ანდრეევნაზე — მოკლედ, რაღაც ამდაგვარი, მთელი გეგმაც კი ჰქონდათ შედგენილი; ახლა მარტო ჩემს დახმარებასღა ელოდნენ, ესე იგი თვით დოკუმენტს.

მეორე პროექტი: ემუხლთნა ანა ანდრეევნასთვის. მიეტოვებინა და, თუ ხელსაყრელი იქნებოდა, მიეყიდნა ბარათი გენერალ ახმაკოვის ქვრივისთვის. ამ ვარიანტში ბიორინგზეც ამყარებდა იმედს. ოღონდ ახმაკოვას ჯერ არ სჩვენებია ლამბერტი, მხოლოდ მიაკვლია, ამ საქმეშიც მე მელოდა.

ო, მე მას ძალიან ვჭირდებოდი, ესე იგი მე კი არა, დოკუმენტი! ჩემს თაობაზეც ორი გეგმა შეედგინა. პირველი ის, რომ, თუ უამისობა არ მოხერხდებოდა, ჩემთან ერთად ემოქმედნა და წილი დაედო ჩემთვის, ოღონდ წინასწარ უნდა დავემორჩილებინე ზნეობრივადაც და ფიზიკურადაც. მაგრამ მეორე გეგმა უფრო ხელსაყრელი იყო მისთვის; ეს გეგმა ის იყო, რომ გავებრიყვებინე, როგორც პატარა ბიჭი, და მოეპარა ანდა თუნდაც ძალით წაერთმია დოკუმენტი. ამ გეგმას უკვე კარგა ხანი იყო გულში ატარებდა და ელოლიავებოდა. ვიმეორებ: ერთი ისეთი გარემოება იყო, რომლის გამოისობითაც თითქმის არც ეპარებოდა ეჭვი, რომ მისი მეორე გეგმა წარმატებით დაგვირგვინდებოდა, მაგრამ, უკვე მოგახსენეთ, ამას მერე აგიხსნით. ყოველ შემთხვევაში, სულწასული მელოდა: ჩემზე იყო დამოკიდებული, თუ რა გზას დადგომოდა და რა ნაბიჯი გადაედგა.

ერთი რამ კი უნდა ვთქვა: ხომ ისეთი ფიცხი იყო, და მაინ გარკვეულ დრომდე დიდი მოთმინება გამოიჩინა. რაც ხანი ავად ვიყავ, შინ არ მოუკითხავს — მხოლოდ ერთხელ მოსულიყო და ვერსილოვი ენახა; არ მაშფოთებდა და არ მაფრთხობდა, და ჩემი მორჩენისა და შინიდან

გამოსვლის დროისთვის სრულიად დამოუკიდებლად ეჭირა თავი ჩემს წინაშე. ხოლო იმის თაობაზე, რომ მე შემეძლო სხვისთვის გადამეცა ან გამემხილა, ანდა მომესპო დოკუმენტი, ლამბერტი არხეინად იყო. მასთან ყოფნისას რაც ვროშე, იქიდან შეეძლო დაესკვნა, თუ მე თვითონაც რარიგ ვუფრთხილდები ამ საიდუმლოს და შიშით გული მისკდება, დოკუმენტის არსებობა არავინ შეიტყოს-მეთქი. არ იმაში ეპარებოდა რაიმე ეჭვი, რომ წამოვდგებოდი თუ არა, სხვა არავისთან არ წავიდოდი და მას მივაკითხავდი: დარია ანისიმოვნამ ნაწილობრივ მისი ბრძანებით მინახულა და ლამბერტმა იცოდა, რომ ცნობისმოყვარეობა და შიში უკვე აღძრული იყო და ვერ მოვითმენდი... ესეც არ იყოს, მან ყველაფერი იღონა და ჩემი გარეთ გამოსვლის დღეც კი შეეძლო შეეტყო, ასე, რომ ძალიანაც რომ მნდომოდა, თავს ვერ ავარიდებდი.

ლამბერტი ხომ მელოდა და მელოდა, მაგრამ იქნებ მასზე მეტი სულწასულობით მელოდა ანა ანდრეევნა. პირდაპირ უნდა ეთქვა: ლამბერტი ეგებ მართალიც იყო, მის ღალატს რომ აპირებდა, და ამაში ბრალი ანა ანდრეევნას მიუძღოდა. თუმცა აშკარად შეთანხმებულნი იყვნენ (რა სახით, რა ვიცი, მაგრამ ეჭვი არ მეპარება, რომ ასე იყო), მაგრამ ანა ანდრეევნა სულ უკანასკნელ წუთამდე სავსებით გულახდილი არ ყოფილა მასთან, სრულად არ გადაუშლია გული ლამბერტისთვის. მან მხოლოდ სიტყვა გადაუკრა, - ჩემი მხრივ ყველა პირობაზე და ყოველმხრივ თანახმა ვარო, - გადაუკრა და მეტი არაფერი; იქნებ წვრილად მოისმინა ლამბერტის მთელი გეგმა, მაგრამ მოიწონა მხოლოდ დუმილით. მაგარი საფუძველი მაქვს ასე ვიფიქრო. ხოლო ამის მიზეზი ის იყო, რომ - მე მელოდა; მას ერჩია საქმე დაეჭირა ჩემთან, და არა იმ არამზადა ლამბერტთან - აი ეჭვმიუტანელი ფაქტი! ეს ჩემთვის გასაგებია, მაგრამ ანა ანდრეევნას შეცდომა ის იყო, რომ, ბოლოს, ლამბერტიც მიუხვდა ამას. ხოლო ლამბერტისთვის ძალზე არახელსაყრელი იქნებოდა, ანა ანდრეევნას რომ უმისოდ დაეტყუებინა ჩემთვის დოკუმენტი და მე შემთანხმებოდა. ესეც არ იყოს, ლამბერტი იმხანად უკვე დარწმუნებული იყო, ეს ძალზე მაგარი „საქმეაო“. მის ადგილას რომ სხვა ყოფილიყო, შიში ექნებოდა და ეჭვი არ მოასვენებდა; მაგრამ ლამბერტი ახალგაზრდა იყო, თავხედი; სულწასულად სწყუროდა ბლომად ფულის შოვნა, ადამიანებს ნაკლებ იცნობდა და ბეჯითად სწამდა, ყოველი კაცი ფლიდი და უნამუსოაო; ასეთი კაცი არ დაეჭვდებოდა, მით უფრო, რომ ანა ანდრეევნას უკვე გამოსტყუა ყველაფერი, რაც მის მიხვედრას ადასტურებდა.

ახლა უკანასკნელი და უმნიშვნელოვანესი სიტყვა: იცოდა თუ არა

რაიმე ვერსილოვმა იმ დღისთვის და მონაწილეობდა თუ არა უკვე მაშინ ლამბერტთან ერთად მის თუნდაც შორეულ გეგმებში? არა, არა და არა, მაშინ ჯერ კიდევ არ მონაწილეობდა, თუმცა იქნებ უკვე გადაკვრით იყო თქმული ის საბედისწერო სიტყვა... მაგრამ კმარა, კმარა, მეტისმეტად გავუსწარი ამბებს.

ახლა მე რაღა დღეში ვიყავ? ვიცოდი თუ არა რამე, ან რა ვიცოდი იმ დროისთვის, როცა უკვე უნდა გარეთ გამოვსულიყავი? ეს entrefilet რომ დავიწყე, ადრევე გაგაფრთხილეთ, გარეთ გამოსვლის დღეს არაფერი ვიცოდი, ყველაფერი ძალზე გვიან შევიტყვე და თითქმის მაშინ, როცა ყველაფერი უკვე აღსრულდა-მეთქი. ეს სიმართლეა, მაგრამ სრული სიმართლე კია? არა, არც ასეა; ზოგი რამ უკვე დაბეჯითებით ვიცოდი, მეტად ბევრიც კი, მაგრამ რანაირად? გაიხსენოს მკითხველმა სიზმარი! რაკი შესაძლო იყო ასეთი სიზმარი, რაკი ის ამოსკდა ჩემი გულიდან და ასეთი სახით ჩამოყალიბდა, მაშ მე ძალზე ბევრი რამ - კი არ მცოდნია, არამედ გული მეუბნებოდა ასეაო ისეთ რამეზე, რაც ახლა აგიხსენით და რაც მართლაც მხოლოდ მაშინ შევიტყვე, „როცა ყველაფერი უკვე აღსრულდა“. ცოდნით არაფერი ვიცოდი, მაგრამ გული ამოვარდნაზე მქონდა წინათგრძნობისგან და ავი სულები უკვე დაეუფლნენ ჩემს სიზმრებს. და აი, ასეთი კაცისკენ მიმიწევდა გული, თუმცა ვიცოდი, რა კაციც იყო და ლამის დაწვრილებით ვგრძნობდი ყველაფერს! რატომღა მიმიწევდა გული? წარმოიდგინეთ: აი ამ წუთში, როცა ამას ვწერ, ასე მგონია, მაშინ უკვე დაწვრილებით ვიცოდი, რატომაც ვისწრაფოდი მის ნახვას, თუმცა, ვიმეორებ, მაშინ ჯერ არაფერი ვიცოდი. იქნებ მკითხველი მიმიხვდეს. ახლა კი მივუბრუნდეთ საქმეს და ფაქტებს მივსდიოთ.

II

დაიწყო იმით, რომ ჯერ კიდევ ჩემს გამოსვლამდე ორი დღით ადრე ლიზა ძალზე აფორიაქებული დაბრუნდა საღამოთი. საშინლად შეურაცხყოფილი იყო; და მართლაც აუტანელი რამ შემთხვეოდა.

მე უკვე მოვიხსენიე ზევით, ლიზა ვასინთან დადიოდა-მეთქი. მას მხოლოდ იმიტომ კი არ მიმართა, რომ ეჩვენებინა ჩვენთვის, არავინ მჭირდებითო, არამედ იმიტომაც, რომ მართლაც ძალიან აფასებდა ვასინს. მათ ლუგაში ყოფნისას გაეცნოთ ერთმანეთი და ყოველთვის მეჩვენებოდა, რომ ვასინს მოსწონდა ლიზა. ბუნებრივია, როცა ასეთი უბედურება დაატყდა თავს, ლიზამ ისურვა რჩევა ეკითხა ისეთი ჭკვიანი, მშვიდი და მუდამ ამაღლებული კაცისთვის, - როგორადაც მიაჩნდა ვასინი. ესეც არ იყოს, ქალები ვერაფერი დიდი შემფასებლები არიან მამაკაცის ჭკუა-გონებისა, თუკი მათ მოსწონთ მამაკაცი, და პარადოქსებს სიამოვნებით ღებულობენ მკაცრ დასკვნებად, თუ ეს პარადოქსები არ ეწინააღმდეგება მათს საკუთარ სურვილებს. ლიზას ვასინისა ის უყვარდა, რომ გრძნობდა საკუთარი მდგომარეობისადმი მის სიმპათიას და, როგორც პირველ ხანებში მოეჩვენა, - თავადისადმი სიმპათიასაც. რაკი ეჭვი ჰქონდა, მგონი უნდა მოვწონდეო, მით უფრო აფასებდა მის სიმპათიას მეტოქისადმი. თავადი კი, რომელსაც ლიზამ თვითონვე უამბო, რჩევის საკითხავად ხანდახან ვასინთან დავდივარო, თავიდანვე საშინლად შეშფოთდა; ეჭვიანობა დაიწყო. ლიზამ ეს შეურაცხყოფად მიიღო და ახლა უკვე განგებ განაგრძობდა ვასინთან სიარულს. თავადი აღარაფერს ამბობდა, მაგრამ გუნებაზე ვერ იყო. ლიზა კი შემდეგ თვითონვე გამომიტყდა (ძალზე კარგა ხნის მერე), ვასინზე ძალიან მალე გამიტყდა გულიო; ვასინი მშვიდი იყო და სწორედ ეს მუდამ ერთნაირი სიმშვიდე, რაც ლიზას თავდაპირველად ესოდენ მოსწონდა, მერე უკვე საკმაოდ საზიზღარ რამედ ეჩვენა. ვასინი თითქოს საქმეში შევიდა და მართლაც მისცა რამდენიმე ერთი შეხედვით კარგი რჩევა, მაგრამ, თითქოს ჯიბრზეო, ყველა ეს რჩევა განუხორციელებელი გამოდგა. ხოლო ხანდახან ძალზე ქედმაღლურად მსჯელობდა და სულ არ ერიდებოდა ლიზასი, - რაც დრო გადიოდა, მით უფრო ნაკლებ ერიდებოდა, - ამას კი ლიზა იმით ხსნიდა, უნებურად უფრო და უფრო აგდებულად უყურებს ჩემს მდგომარეობასო. ერთხელ ლიზამ მადლობა უთხრა, ჩემს ძმას ასე გულმოწყალედ ეპყრობით და თუმცა მასზე გაცილებით უფრო ჭკვიანი ხართ. მაინც ტოლივით ელაპარაკებითო (ესე იგი

გადასცა ჩემივე სიტყვები). ვასინმა მიუგო:

- ეგრე არაა და მიზეზიც ეგ არაა. ასე იმიტომ ვიქცევი, რომ ვერ ვხედავ, რა განსხვავებაა მასსა და სხვებს შორის. არც ჭკვიანებზე უფრო სულელად მიმაჩნია და არც კეთილებზე უფრო ბოროტად. მე ყველას ერთნაირად ვეპყრობი, რადგან ჩემს თვალში ყველა ერთნაირია.

- რას ბრძანებთ, ნუთუ სხვაობას ვერ ხედავთ?

- ო, რა თქმა უნდა, ყველანი რაღაცით განსხვავდებიან ერთმანეთისგან, მაგრამ ჩემს თვალში ეს განსხვავება არ არსებობს, რადგან ადამიანთა შორის არსებული სხვაობა მე არ მეხება; ჩემთვის ყველა თანაბარია და ყველაფერი სულ ერთია, ამიტომაც ყველას ერთნაირად კეთილად ვეპყრობი.

- მერედა განა ეგ მოსაწყენი არ არის?

- არა; მე მუდამ კმაყოფილი ვარ ჩემი თავისა.

- და არც არაფერი გსურთ?

- მაგას ვინ ამბობს? მაგრამ არცთუ ძალიან. მე თითქმის არაფერი მინდა, მანეთიც კი არ მინდა იმაზე მეტი, რაცა მაქვს. ფარჩა-დიბები მეცმება თუ ასე ვიქნები ჩაცმული, როგორც ახლა ვარ - სულ ერთია; ფარჩა-დიბები ვერაფერს შემატებენ ვასინს. ჭინჭები მე ვერ მაცთუნებენ: განა რომელიმე თანამდებობას და პატივს ექნება ის ფასი, რა ფასიც მე მაქვს?

ლიზა პატიოსნებას იფიცავდა, სიტყვასიტყვით ასე თქვაო. თუმცა ამის განსჯა არ შეიძლება, კაცმა უნდა იცოდეს, თუ რა გარემოებაში წარმოთქვა ეს სიტყვები.

თანდათან ლიზა იმ დასკვნამდე მივიდა, ვასინი თავადსაც იქ ნებ მხოლოდ იმიტომ ეპყრობა მოწყალედ, რომ მისთვის ყველა თანაბარია და „არაა სხვაობა“, და არა ჩემდამი სიმპათიის გამოო; მაგრამ ბოლო ხანებში ვასინს აშკარად უმტყუნა მისმა გულგრილობამ და თავადს არა მარტო ჰკიცხავდა, არამედ ზიზღნარევი ირონიითაც კი იხსენიებდა. ამან ლიზა გააცეცხლა, მაგრამ ვასინმა თავისი არ დაიშალა. მთავარი ის იყო, რომ ვასინი მუდამ ლმობიერად ლაპარაკობდა; როცა კიცხავდა, მაშინაც აღშფოთებას კი არ გამოთქვამდა, არამედ მხოლოდ ლოგიკურად უმტკიცებდა, ეგ შენი გმირი სრული არარაობაა; მა-

გრამ სწორედ ამ ლოგიკურობაში მდგომარეობდა ირონია. ბოლოს, თითქმის პირდაპირ და დაუფარავად გააგებინა, თუ რა „უგუნურებაა“, რა ჯიუტი ნაძალადეობაა მთელი ეს სიყვარული. „თქვენ შესცდით თქვენს გრძნობებში, ხოლო შეცთომას რაკი ერთხელ შეიგნებთ, აუცილებლად უნდა გამოასწოროთ კიდეც“.

ეს სწორედ იმ დღეს მომხდარიყო; ლიზა აღშფოთებული წამოდგა და წამოსვლა დააპირა, მაგრამ არ იკითხავთ, რა ჰქნა და რით დაასრულა იმ გონიერმა კაცმა: ყოვლად კეთილშობილური სახითა და ასე გასინჯეთ გრძნობითაც კი შესთავაზა, ცოლად გამომყევითო. ლიზამ პირდაპირ მიახალა, ბრიყვი ხართო, და წამოვიდა.

მაინც რა ჭკუისანი არიან ეს ადამიანები - შესთავაზა იმ უბედურის ღალატი, რადგან ის უბედური შენი „ღირსი არ არისო“ და, რაც მთავარია, შესთავაზა ქალს, რომელიც ფეხმძიმედ იყო იმ უბედურებისგან! მე თუ მკითხავთ, ესაა საშინელი თეორიულობა და სრული უცოდინარობა ცხოვრებისა, რაც მისი უზომო თავმოყვარეობის ბრალია. გარდა ამისა ლიზამ ძალზე აშკარად შეამჩნია, რომ ვასინს თავიც კი მოსწონდა თავისი ამ საქციელით, თუნდაც იმიტომ, მაგალითად, რომ უკვე იცოდა, ფეხმძიმედაააო. აღშფოთებისგან ცრემლმორეულმა ლიზამ თავადს მიაშურა, და თავადმა აკი გადააჭარბა ვასინს: ლიზას ნაამბობს ხომ უნდა დაერწმუნებინა, რომ საეჭვიანო აღარაფერი იყო; მაგრამ აკი სწორედ აქ არ გადაირია. რას იზამ, ყველა ეჭვიანი ასეთია! საშინელი სცენა გაუმართა და ისე შეურაცხჰყო, რომ ლიზამ გადასწყვიტა, ახლავე თავს დავანებებო.

შინ რომ მოვიდა, მაინც მოახერხა თავის შეკავება, მაგრამ დედისთვის რომ არ ეთქვა, აღარ შეეძლო. ო, იმ საღამოს კვლავ ძველებური სიახლოვე ჩამოვარდა მათ შორის: ყინული გალხვა; რა თქმა უნდა, ჩვეულებისამებრ ერთმანეთს ჩაესკვნენ და ორივემ გული იჯერა ტირილით, და ეტყობოდა ლიზა დამშვიდდა, თუმცა ძალიან დაღვრემილი კი იყო. მთელი საღამო მაკარ ივანოვიჩის ოთახში გაატარა. და თუმცა ხმა არ ამოუღია, მაგრამ არც ოთახიდან გასულა. გულდასმით უსმენდა მაკარ ივანოვიჩს. მას უკან, მაშინ რომ უყვირა, თქვენ თვითონ წამოდექით, მეტისმეტი და რაღაც გაუბედავი მოწიწებით ეპყრობოდა, თუმცა კვლავ სიტყვაძუნწობდა.

მაგრამ ამჯერად მაკარ ივანოვიჩმა რაღაც მოულოდნელად და საოცრად შეცვალა საუბარი; უნდა აღვნიშნო, რომ ვერსილოვი და ექიმი დილით ძალზე დაღვრემით ლაპარაკობდნენ მის ჯანმრთელობაზე.

აღვნიშნავ იმასაც, რომ აგერ ამდენიმე დღე იყო, რაც ჩვენსას ემზადებოდნენ დედაჩემის დაბადების დღისთვის, რომელიც ზუსტად ხუთი დღის მერე იყო, და ბევრი ლაპარაკიც იყო ამის თაობაზე. ამ დღის გამოისობით მაკარ ივანოვიჩი რატომღაც მოგონებებში გადავარდა, გაიხსენა დედაჩემის ბავშვობა და ის დრო, როცა დედა „ფეხზეც ვერა დგებოდა“. „სულ ხელში აყვანილი დამყავდა, - იხსენებდა მოხუცი. - მახსოვს, სიარულს რომ ვასწავლიდი, დავაყენებდი კუთხეში სამიოდ ნაბიჯზე და მერე დავუძახებდი; მობაჯბაჯებდა ჩემსკენ კისკისით, სულ არ ეშინოდა, როცა მოირბენდა, კისერზე ჩამომეკიდებოდა. მერე ზღაპრებს გიამბობდი ხოლმე, სოფია ანდრეევნა; ძალიან კი გიყვარდა ზღაპრები; ორ-ორი საათობით მუხლზე მეჯდა ხოლმე და მისმენდა. ქოხში ყველა გაკვირვებას იყო: რანაირად შეეჩვიაო. ხან კიდევ ტყეში დამყავდი, მოვნახავდი ჟოლოს ბუჩქს, დაგსვამდი, მე კი სასტვენებს გიჭრიდი. სეირნობით რომ გულს იჯერებდა, ხელში აყვანილი მომყავდა შინ - ეძინა პაწიას. ერთხელ მგლისა შეეშინდა, მომაშურა, თუმცა მგლის ჭაჭანებაც არსად იყო“.

- ეგ მახსოვს, - თქვა დედამ.

- რას ამბობ, გახსოვს?

- ბევრი რამ მახსოვს. რაც თავი დამხსომებია, მას აქეთ თქვენი სიყვარული და წყალობა არ მომკლებია, - გულში ჩამწვდომი ხმით წარმოთქვა დედამ და უცებ გაწითლდა.

მაკარ ივანოვიჩმა ცოტა ხანს შეისვენა:

- მშვიდობით, შვილებო, ვკვდები. დადგა ჟამი ჩემი აღსასრულისა. სიბერეში ვპოვე ნუგეში ყველა დარდისა; მადლი მომიხსენებია, ჩემო კარგებო.

- რას ბრძანებთ, მაკარ ივანოვიჩ, გეთაყვათ, - ცოტა არ იყოს შეშფოთებით წამოიძახა ვერსილოვმა, - წეღან ექიმმა მითხრა, გაცილებით უკეთააო...

დედა გულგახეთქილი უსმენდა.

- აბა რა გაეგება იმ შენს ალექსანდრ სემიონიჩს, - გაიღიმა მაკარ ივანოვიჩმა, — ერთი საყვარელი კაცია და სხვა არაფერი. კმარა, მეგობრებო, იქნებ გგონიათ, სიკვდილისა მეშინოდეს? დღეს, დილის ლოცვას რომ მოვრჩი, გულმა მითხრა, აქედან ვეღარ გახვალო; იყო თქ-

მული. რას იზამ, კურთხეულ იყოს სახელი უფლისა; ნეტავ თქვენი ცქერით გამაძღო და სხვა აღარაფერი მინდა. მრავალტანჯული იობიც, თავის ახალ შვილებს რომ შეჰყურებდა, შვებას ჰპოვებდა, მაგრამ განა დავიწყებოდა თავისი წინანდელი შვილები, ან კი შეეძლო განა მათი დავიწყება - შეუძლებელი არს ეგე! ოღონდ წლები რომ გადის, მწუხარება თითქოს შეერთვის სიხარულს, ნათელ ოხვრად გარდაიქმნება. ასეა ამქვეყნად: ყოველი სულიერი ტანჯვასაც ნახულობს და ნუგეშსაც ჰპოვებს. მინდა, შვილებო, ერთი პატარა სიტყვა გითხრათ, - განაგრძო მან წყნარი, მშვენიერი ღიმილით, რომელიც არასოდეს დამავიწყდება, და უცებ მე მომიბრუნდა: - შენ, ჩემო კარგო, წმიდა ეკლესიას ეყავ ქომაგად, ხოლო ოდეს გიხმოს ჟამმა, თავიც დასდე მისთვის; დაიცა, ნუ ფრთხები, ახლა კი არ უნდა დასდო თავი, - ჩაიცინა მან. - ახლა, იქნებ, არც ფიქრობ ამაზე, იქნებ მერე იფიქრო. ოღონდ ერთი რამ უნდა გითხრა კიდევ: თუ რაიმე სიკეთის ქნას განიზრახავ, ღვთისთვის მოიმოქმედე და არა შურისა გამო. მტკიცედ ადექ საქმეთა შენთა და არა დაუტევო სულმოკლეობით; ხოლო მოიმოქმედე ნელნელაობით, ნუ მიაწყდ-მოაწყდები ყველაფერს და ნუ დაიბნევი. ამის თქმა მინდოდა შენთვის. კარგი იქნებოდა ყოველდღიურ და განუდრეკელ ლოცვას მისჩვეოდი. ამას ისე გეუბნები, იქნებ ოდესმე გაგახსენდეს. ანდრეი პეტროვიჩ, ბატონო, თქვენთვისაც მინდოდა რაღაც მეთქვა, მაგრამ უფალი უჩემოდაც იპოვის თქვენს გულს. ეგეც არ იყოს, კარგა ხანია მე და თქვენ ამაზე ლაპარაკს თავს ვანებებთ, მას აქეთ, რაც ისარმა ამან დამლახვრა. ახლა კი, სულის ამოსვლის ჟამს, მხოლოდ შეგახსენებთ... რაც მაშინ აღმითქვით...

ეს უკანასკნელი სიტყვები თითქმის ჩურჩულითა და თვალდახრით წარმოთქვა.

- მაკარ ივანოვიჩ! - დარცხვენით წარმოთქვა ვერსილოვმა და წამოდგა.

- კარგი, კარგი, ნუ გრცხვენიათ, ბატონო, მხოლოდ შეგახსენეთ... ხოლო ამ საქმეში ყველაზე მეტი ბრალი მე მიმიძღვის ღვთის წინაშე; რამეთუ თუმცა ბატონი ბრძანდებოდით ჩემი, მაინც არ უნდა შემეწყო ხელი ამა სისუსტისთვის. ამიტომ ნურც შენ აღიშფოთებ სულს, სოფია, მეტისმეტად, რამეთუ მთელი შენი შეცოდება - ჩემია, ხოლო შენ, ვფიქრობ, მაშინ უთუოდ ბევრი არც გაგეგებოდა, და, მგონი, არც თქვენ გაგეგებოდათ, ბატონო, - გაიღიმა მან და ტუჩები რაღაც ტკივილმა აუტოკა, - და თუმცა შემეძლო მაშინ, ჩემო მეუღლევ, ჭკუა მესწავლებინა შენთვის თუნდაც კვერთხით, მოვალეც ვიყავ ასე მოვქცეულიყავ, მა-

გრამ შემებრალე. რამეთუ დაემხვე ჩემს წინ ქვითინით და ყველაფერში გამომიტყდი... ფეხები დამიკოცნე. შენს დასაყვედრებლად არ გამიხსენებია, უსაყვარლესო, არამედ ანდრეი პეტროვიჩს უნდა მოვაგონო... რამეთუ თვითონვე გახსოვთ, ბატონო, თქვენი აზნაურული აღთქმა, ხოლო ჯვრისწერა სირცხვილ-ნამუსს იცავს... შვილების თანდასწრებით გეუბნებით, ბატონო, თქვენი ჭირიმე...

მეტისმეტად აღელვებული იყო და ისე შესცქეროდა ვერსილოვს, თითქოს მისგან დამადასტურებელ სიტყვას ელოდა. ვიმეორებ, ყოველივე ეს ისე მოულოდნელი იყო, რომ უძრავად ვიჯექი. ვერსილოვიც მასზე ნაკლებად როდი იყო აღელვებული; უსიტყვოდ მიუახლოვდა დედას და მაგრად მოხვია ხელი; მერე დედა, ასევე უსიტყვოდ, მივიდა მაკარ ივანოვიჩთან და მდაბლად დაუკრა თავი.

ერთი სიტყვით, შემაძრწუნებელი სცენა იყო; ამჯერად ოთახში მხოლოდ ჩვენიანები ვიყავით, ტატიანა პავლოვნაც კი არ ყოფილა. ლიზა რაღაცნაირად სულერთიანად გაიმართა სადაც იჯდა და ხმაამოუღებლივ უსმენდა; უცებ წამოდგა და მტკიცედ უთხრა მაკარ ივანოვიჩს:

- მეც დამლოცეთ, მაკარ ივანოვიჩ, დიდი ტანჯვისთვის. ხვალ გადაწყდება მთელი ჩემი ბედი... თქვენ კი დღეს ილოცეთ ჩემთვის.

და ოთახიდან გავიდა. მე ვიცი, რომ მაკარ ივანოვიჩს დედამ უამბო ყველაფერი, რაც ლიზას გადახდა. მაგრამ იმ საღამოს პირველი ყო, რომ ვერსილოვი და დედაჩემი ერთად ვნახე; მანამდე ვხედავდი მხოლოდ მხევალს ვერსილოვის ახლოს. საშინლად ბევრი რამ არ ვიცოდი და ჯერ კიდევ არ შემემჩნია იმ ადამიანში, რომელიც უკვე დავგმე, ამიტომ ძალზე შემკრთალი დავბრუნდი ჩემს ოთახში. და უნდა ვთქვა, რომ სწორედ იმ დროისთვის უფრო ბევრი დაგროვდა ყველაფერი, რითაც გაოგნებას აღმიძრავდა ეს კაცი; არასოდეს არ წარმომიდგენია ვერსილოვი ესოდენ იდუმალ და ამოუცნობ ადამიანად, როგორც სწორედ იმხანად; მაგრამ მთელი ამბავიც, რომელსაც ვწერ, ხომ სწორედ ამის შესახებაა; ყველაფერს თავის ადგილას მოგახსენებთ.

„მაშასადამე, - გავიფიქრე ჩემს გულში, როცა ვწვებოდი, - როგორც ჩანს, მაკარ ივანოვიჩისთვის „აზნაურული აღთქმა“ მიუცია, ჯვარს დავიწერ, თუ დაქვრივდებაო. ჩემთვის კი ამის თაობაზე არაფერი უთქვამს, როცა მაკარ ივანოვიჩზე მიამბობდა ხოლმე“.

მეორე დღეს ლიზა მთელი დღე შინ არ ყოფილა, ხოლო როცა კა-

რგა გვიან დაბრუნდა, პირდაპირ მაკარ ივანოვიჩთან შევიდა. ვიფიქრე, არ შევალ, რომ ხელი არ შევუშალო-მეთქი, მაგრამ მალე შევნიშნე, რომ დედაც იქ იყო და ვერსილოვიც, და მეც შევედი. ლიზა მოხუცს გვერდით მიჯდომოდა, თავი მის მხარზე დაედო და ტიროდა; მოხუცს სახეზე მწუხარება აღბეჭდოდა და ხმისამოუღებლად ხელს უსვამდა თავზე.

ვერსილოვმა ამიხსნა (მერე, ჩემს ოთახში), რომ თავადმა თავისი გაიტანა და გადაწყვიტა პირველი შესაძლებლობისთანავე, ვიდრე სასამართლო რაიმე განაჩენს გამოიტანდა, ჯვარი დაეწერა ლიზაზე. ლიზას უჭირდა ამის გადაწყვეტა, თუმცა თითქმის უკვე უფლებაც აღარ ჰქონდა უარის თქმისა. თან მაკარ ივანოვიჩიც „უბრძანებდა“, ჯვარი უნდა დაიწეროო. რა თქმა უნდა, შემდეგში ყოველივე თავისთავად მოგვარდებოდა, და ლიზა უეჭველად თვითონვე დაიწერდა ჯვარს, არც იყოყმანებდა და არც არავითარი ბრძანება დასჭირდებოდა, მაგრამ იმ წუთას ისე შეურაცხყოფილი იყო მისგან, ვინც უყვარდა, და ისე დამცირებული იყო ამ სიყვარულით საკუთარ თვალშიც კი, რომ ძალზე უჭირდა ამის გადაწყვეტა, მაგრამ შეურაცხყოფის გარდა იყო ერთი ახალი გარემოებაც, რომელიც ეჭვითაც არ შემეძლო მცოდნოდა.

- გაიგე, რომ მთელი ის პეტერბურსკაიას ახალგაზრდობა წუხელ დაუპატიმრებიათ - დაურთო უცებ ვერსილოვმა.

- რას ამბობთ? დერგაჩევი? - წამოვიძახე მე.

- ჰო, და ვასინიც.

თავზარი დამეცა, მეტადრე, როცა ვასინიც ახსენა.

- განა ის რამეში ურევია? ღმერთო ჩემო, რას უზამენ ახლა იმათ? და თითქოს განგებო, სწორედ მაშინ, როცა ლიზამ ისეთი ბრალი დასდო ვასინს! როგორ გგონიათ, რას უზამენ? ეს სტებელკოვის ოინებია! გეფიცებით, სტებელკოვის ხელი ურევია!

- გავანებოთ ამას თავი, - მითხრა ვერსილოვმა და უცნაურად შემომხედა (სწორედ ისე, როგორადაც უცქერიან ხოლმე კაცს, ვისაც არაფერი ესმის და ვერაფერს ხვდება), - ვინ იცის, რაშია საქმე და ვინ იცის რა მოუვათ? მაგას არ ვამბობ: ყური მოვკარ, ხვალ თურმე ქალაქში გასვლას აპირებ. ხომ არ შეივლიდი თავად სერგეი პეტროვიჩთან?

- პირველ რიგში; თუმცა, გამოგიტყდებით, ძალიან კი მიმძიმს. ხომ

არაფერი გადავცე?

- არა, არაფერი. მე თვითონ ვინახულებ. ლიზა მეცოდება. რა უნდა ურჩიოს მაკარ ივანოვიჩმა? მას თვითონ არაფერი გაეგება არც ადამიანებისა და არც ცხოვრებისა. კიდევ აი რა უნდა მეთქვა, ჩემო კარგო (რა ხანია ჩემთვის აღარ უთქვამს „ჩემო კარგო“), აქაც არიან... ზოგიერთი ყმაწვილი კაცები... რომელთაგან ერთი შენი ყოფილი ამხანაგია, ლამბერტი... მე მგონია, ყველა ეს ყმაწვილები - დიდი არამზადები არიან... ამას იმიტომ გეუბნები, რომ გაგაფრთხილო... თუმცა, რა თქმა უნდა, ეს შენი საქმეა, და კარგად მესმის, რომ უფლება არა მაქვს...

- ანდრეი პეტროვიჩ, - ვტაცე ხელი ხელში დაუფიქრებლად და თითქმის შთაგონებით, რაც ხშირად მემართება ხოლმე (თითქმის სიბნელე იყო), - ანდრეი პეტროვიჩ, მე ხმას არ ვიღებდი, - ხომ ხედავდით, სულ არ ვიღებდი ხმას აქამდე, იცით რატომ? რომ არ შემეტყო თქვენი საიდუმლოებანი. მე პირდაპირ გადავწყვიტე, არასოდეს არ მცოდნოდა არაფერი. მე მხდალი ვარ, მეშინია, რომ თქვენი საიდუმლოებანი საბოლოდ ამომგლეჯენ გულიდან თქვენს სახეს, და ეს კი არ მინდა. და თუ ასეა, თქვენ რატომღა უნდა იცოდეთ ჩემი საიდუმლოებანი? მოდით თქვენთვისაც სულ ერთი იყოს, საითაც უნდა მივდიოდე! ხომ ასეა?

- მართალი ხარ, მაგრამ გემუდარები, მეტს ნურას იტყვი! - წარმოთქვა მან და გავიდა. ამრიგად ჩვენ უნებური და სულ პაწია ახსნა-განმარტება გვქონდა. მაგრამ მან მხოლოდ მომიმატა მღელვარება, რომლითაც ვემზადებოდი ხვალინდელი ახალი ნაბიჯისთვის, ასე რომ მთელი ის ღამე ძილ-ღვიძილში გავატარე; მაგრამ თავს კარგად ვგრძნობდი.

III

მეორე დღეს თუმცა დილის ათი საათი იყო, შინიდან რომ გამოვედი, მაგრამ შევეცადე უჩუმრად გამოვსულიყავ, არც ვისმე გამოვთხოვებივარ და არც არაფერი დამიბარებია; ერთი სიტყვით, გამოვიპარე. რატომ მოვიქეცი ასე - არ ვიცი, მაგრამ დედაჩემსაც რომ დავენახე შინიდან გამოსვლისას და გამომლაპარაკებოდა, გაბრაზებით ვუპასუხებდი რაიმეს. როცა ქუჩაში ამოვყავ თავი და ქუჩის ცივი ჰაერი შევისუნთქე, შევკრთი კიდეც ძლიერი - თითქმის ცხოველური განცდისგან, რომელსაც მე ავხორცობას ვუწოდებდი. რატომ მივდიოდი, საით მივდიოდი? ეს სავსებით გაურკვეველი და იმავ დროს რაღაც ავხორცული რამ იყო. შიშიც მზარავდა და თანაც მიხაროდა.

„ჩავიდენ სიბინძურეს დღეს თუ არ ჩავიდენ?“ - ვითომ ყოჩაღად გავიფიქრე, თუმცა ძალიანაც ვიცოდი, რომ, რა ნაბიჯიც არ უნდა გადავდგა დღეს, ეს იქნება გადამწყვეტი ნაბიჯი, რომელსაც მთელი ჩემი სიცოცხლე ვეღარ გამოვასწორებ. მაგრამ რა საჭიროა გამოცანებით ლაპარაკი.

მე პირდაპირ ციხეში მივედი თავადთან. აგერ სამი დღე იყო, რაც ტატიანა პავლოვნამ წერილი მიმიწერა ზედამხედველთან და მანაც საუცხოოდ მიმიღო. ვერ ვიტყვი კარგი კაცია თუ არა, და, მგონი, ეს ზედმეტიცაა; ეს კია, რომ ჩემი და თავადის შეხვედრა მოაწყო თავის ოთახში, რომელიც თავაზიანად დაგვითმო. ჩვეულებრივი ოთახი იყო, - ასეთი ოთახები აქვთ ხოლმე გარკვეული ჯურის მოხელეებს სახაზინო ბინებში, - მგონი ამის აღწერაც ზედმეტია. ამრიგად, მე და თავადი მარტოკანი დავრჩით.

თავადი რაღაც ნახევრად სამხედრო საშინაო ტანსაცმელში გამოწყობილი გამოვიდა, სამაგიეროდ უფაქიზესი პერანგი ეცვა და კოხტა ჰალსტუხი ეკეთა, დაბანილ-დარცხვენილი იყო, თუმცა საშინლად გამხდარიყო და ზაფრანის ფერი დასდებოდა. თვალებშიც კი ზაფრანის ფერი შევნიშნე. ერთი სიტყვით, ისე შეცვლილიყო, რომ გაოგნებული შევჩერდი.

- რარიგ გამოცვლილხართ! - წამოვიძახე.:

- არა უშავს! დაბრძანდით, გეთაყვა, - ცოტა არ იყოს ქარაფშუტულ-

ად მიმითითა სავარძელზე, თვითონ კი პირდაპირ დამიჯდა. - პირდაპ-ირ მთავარ საქმეზე ვილაპარაკოთ: იცით რა, ჩემო კარგო ალექსეი მაკაროვიჩ...

- არკადი, - გავუსწორე მე.

- რა ბრძანეთ? ჰო, მართლა; მაგრამ სულ ერთია. ჰო, მართლა! - უცებ გონს მოეგო; - მაპატიეთ, გეთაყვა, მთვარეზე ვილაპარაკოთ...

ერთი სიტყვით, საშინლად ჩქარობდა რაღაცის თქმას. სულ ერთი-ანად, თავით ფეხამდე რაღაცით იყო გამსჭვალული, რაღაც უმთავრესი იდეით, რაც სურდა ჩამოეყალიბებინა და ჩემთვის გაეზიარებინა. საში-ნლად ბევრს და სხაპასხუპით ლაპარაკობდა, დაძაბული და დატანჯუ-ლი, ხელების ქნევით მიხსნიდა რაღაცას, მაგრამ თავდაპირველად სრულიად ვერაფერი გავიგე.

- მოკლედ რომ გითხრათ (მანამდე ბარე ათჯერ მაინც თქვა ეს „მო-კლედ რომ გითხრათ“). მოკლედ რომ გითხრათ, - დაასკვნა მან, - თუ შეგაწუხეთ, არკადი მაკაროვიჩ, და ისე დაჟინებით შემოგითვალეთ გუშინ ლიზას პირით, მინახულეთ-მეთქი, იმიტომ, რომ, თუმცა ეს საჩქ-არაა, მაგრამ რაკი განსაკუთრებული და საბოლოო გადაწყვეტილებ-აა მისაღები, ამიტომ...

- მაპატიეთ, თავადო, - შევაწყვეტინე სიტყვა, - გუშინ შემომითვალ-ეთ? ლიზას ჩემთვის სრულიად არაფერი უთქვამს.

- რას ამბობთ! - წამოიძახა და ძალზე გაოგნებული, თითქმის შეში-ნებული შეჩერდა.

- სრულიად არაფერი უთქვამს. წუხელ ისეთი მოშლილი დაბრუნდა, არც კი დამლაპარაკებია.

თავადი სკამიდან წამოიჭრა.

- ნუთუ მართალს მეუბნებით, არკადი მაკაროვიჩ? თუ ეგრეა, მა-შინ... მაშინ...

- რა მოხდა, ქვეყანა ხომ არ დაიქცა? ეგრე რამ შეგაშფოთათ? ალ-ბათ დაავიწყდა ან რაიმე მიზეზი იყო...

თავადი დაჯდა, მაგრამ თითქოს გახევდაო. ჩემმა სიტყვებმა, ლიზას

არაფერი უთქვამს-მეთქი, მთლად ჩაჰკლა. მერე ერთბაშად ალაპარაკდა და ხელების ქნევას მოჰყვა, მაგრამ ისევ საშინლად ძნელი გასაგები იყო, რას ამბობდა.

- დაიცათ! - წარმოთქვა მან უცებ, გაჩუმდა და თითი ზევით აიშვირა. - დაიცათ: მაშინ... მაშინ... თუ არ ვცდები... ეს სულ ოინებია! - წაიბუტბუტა მან მანიაკის ღიმილით. - და იმას ნიშნავს, რომ...

- არაფერსაც არ ნიშნავს! - შევაწყვეტინე მე. - და ვერ გამიგია, რატომ გტანჯავთ ასეთი უბრალო გარემოება... ახ, თავადო, მას უკან, აი იმ ღამის მერე, - გახსოვთ...

- რომელი ღამის მერე, რაებს ამბობთ? - მიზეზიანად წამოიძახა აშკარად ნაწყენმა რომ შევაწყვეტინე.

- სადა და ზერშჩიკოვთან, სადაც უკანასკნელად შევხვდით მე და თქვენ, აი, თქვენ რომ წერილი მომწერეთ, მანამდე. მაშინაც საშინლად აღელვებული იყავით, მაგრამ სად მაშინდელი მღელვარება და სად ახლანდელი, - ახლა რომ გიყურებთ, მაშინებს კიდეც თქვენი მდგომარეობა... იქნებ აღარ გახსოვთ?

- ჰო, მართლა, - წარმოთქვა მან მაღალი საზოგადოების ადამიანის ხმით, თითქოს უცებ გაახსენდაო, - ჰო, მართლა! ის საღამო... ყური მოვკარი... ჯანზე როგორა ხართ ან რასა იქთ იმ ამბების მერე, არკადი მაკაროვიჩ?... მაგრამ გვეყოფა, მოდით, ისევ მთავარს მივუბრუნდეთ. მე, უნდა მოგახსენოთ, სამი რამ მაქვს მიზნად; სამი ამოცანაა ჩემს წინაშე და მე...

მან კვლავ სწრაფად დაიწყო ლაპარაკი თავის „მთავარ“ რაღაცაზე. ბოლოს, როგორც იქნა, მივხვდი, რომ ჩემ წინაა კაცი, რომელსაც, სისხლს თუ არ გამოუშვებენ, სხვა თუ არაფერი, აი ახლავე შუბლზე უნდა დაადონ ძმარში დასველებული ტილო. მთელი მისი აბდაუბდა, რა თქმა უნდა, იმას ეხებოდა, თუ როგორ ჩატარდება პროცესი, რა განაჩენია მოსალოდნელი; მიამბო ისიც, თუ როგორ ეწვია თვით პოლკის უფროსი და კარგა ხანს ჩასჩიჩინებდა და ურჩევდა რაღაცაზე ხელისაღებას, მაგრამ მან არა ჰქნა; რომ აი ეს წუთია სადღაც რაღაც ბარათი გაგზავნა; პროკურორიც ახსენა; ისიც თქვა, უფლებას რომ ამყრიან, ალბათ სადმე ჩრდილოეთ რუსეთში გადამასახლებენო; შესაძლებელი იქნება იქ დასახლება, ტაშკენტში სამსახური და დაწინაურებაო; ჩემს ვაჟს (მომავალ ვაჟს, ლიზას რომ ეყოლებოდა) ამას და ამას ვასწავლი და

ამასა და ამას გადავცემ, „მიყრუებულ ადგილას, არხანგელსკში, ხოლმოგორში“. „თუკი თქვენი აზრის შეტყობა მოვინდომე, არკადი მაკაროვიჩ, მერწმუნეთ, ჩემთვის იმრიგად ძვირფასია ეს გრძნობა... რომ იცოდეთ, არკადი მაკაროვიჩ, ჩემო კარგო, ჩემო ძმაო, რომ იცოდეთ, რა არის ჩემთვის ლიზა, რა იყო ის ჩემთვის აქ, ახლა, მთელი ამ ხნის განმავლობაში“, - წამოიძახა უცებ და ორივე ხელი თავზე იტაცა.

- სერგეი პეტროვიჩ, ნუთუ დაღუპავთ ლიზას და თან წაიყვანთ ხოლმოგორში! - აღმომხდა უცებ თავშეუკავებლად. ერთბაშად ნათლად და თითქოს პირველად წარმოუდგა ჩემს შეგნებას, თუ რა ბედი ელოდა ლიზას, მთელი სიცოცხლე ამ მანიაკთან რომ გაეტარებინა. თავადმა შემომხედა, კვლავ წამოდგა, ნაბიჯი გადადგა, მობრუნდა და ისევ დაჯდა, თან ხელებს არ იშორებდა თავიდან.

- სულ ბაბაჭუები მესიზმრება! — მითხრა უცებ.

- საშინლად აღელვებული ხართ, თავადო, გირჩევთ დაწვეთ და ახლავე ექიმი გამოითხოვეთ.

- არა, დამაცადეთ, მერე იყოს. უმთავრესად იმიტომ დაგიბარეთ, რომ ჯვრისწერის თაობაზე მოგელაპარაკოთ. ჯვრისწერა, როგორც მოგეხსენებათ, აქვე მოხდება, ეკლესიაში, მე უკვე მოველაპარაკე. ყველაფერზე თანხმობა მითხრეს, და მომიწონეს კიდეც... რაც შეეხება ლიზას...

- თავადო, გეთაყვათ, შეიბრალეთ ლიზა, - წამოვიძახე მე, - ახლა მაინც ნუ აწვალებთ, ნუ ეჭვიანობთ!

- რას ამბობთ! - წამოიძახა მან, თვალები ლამის ამოცვენაზე ჰქონდა, ისე მომჩერებოდა ჯიქურ და მთელი სახე რაღაც გრძელმა, უაზრო, შემკითხველმა ღიმილმა მოუღრიცა. ეტყობოდა, რატომღაც საშინლად თავზარი დასცა სიტყვამ „ნუ ეჭვიანობთ“.

- მაპატიეთ, თავადო, უნებურად წამომცდა. ო, თავადო, იმ ბოლო დროს გავიცანი ერთი მოხუცი, უფრო მშვიდად... ლიზაც ძალიან აფასებს.

- ჰო, მართლა, ლიზა... ჰო, მართლა, ის მამათქვენია? ან... pardon, mon cher მაპატიეთ, ჩემო კარგო (ფრანგ.).), რაღაც ამდაგვარი... მახსოვს... ლიზამ მიამბო... ბერიკაცი... დარწმუნებული ვარ, დარწმუნებული. მეც ვიცნობდი ერთ ბერიკაცს... mais passons, მომენტის მთელ

არსს რომ მიხვდეთ, ამისთვის მთავარია...

წამოსასვლელად ავდექი. მის შემყურეს გული მიკვდებოდა.

- არ მესმის! - მკაცრად და დიდი ამბით განაცხადა მან, როცა ნახა, რომ წამოსასვლელად წამოვდექი.

- გული მტკივა, თქვენ რომ გიყურებთ, - ვუთხარი.

- არკადი მაკაროვიჩ, ერთი სიტყვა, კიდევ ერთი სიტყვა! - სულ სხვა სახითა და მოძრაობით დამავლო მხრებში ხელი და სავარძელში ჩამსვა. - შეიტყვეთ იმათი ამბავი, ხომ გესმით, ვისზეც ვამბობ? - დაიხარა ჩემსკენ.

- ახ, დერგაჩევზე ამბობთ? აქ, უთუოდ, სტებელკოვის ხელი ურევია! - თავი ვერ შევიკავე და წამოვიძახე.

- ჰო, სტებელკოვი და... არ იცით?

სიტყვა გაუწყდა და ისევ მომაჩერდა, თვალები ისევ ამოცვენაზე ჰქონდა და სახე კვლავ მოუღრიცა იმავ გრძელმა, შფოთიანმა, უაზრო და შემკითხველმა ღიმილმა, რომელიც უფრო და უფრო ედებოდა სახეზე. ფერიც თანდათან მისდიოდა. ერთბაშად თითქოს რაღაცამ შემძრა: გამახსენდა, რანაირად შემომხედა გუშინ ვერსილოვმა, როცა ვასინის დაპატიმრების ამბავი შემატყობინა.

- ო, ნუთუ მართალია? - წამოვიძახე შეშინებულმა.

- იცით, არკადი მაკაროვიჩ, იმიტომაც გიხმობდით, რომ ამეხსნა... მე მინდოდა... - სწრაფად აჩურჩულდა ის.

- მაშ ვასინი თქვენი დასმენილი ყოფილა! - წამოვიძახე.

- არა, იცით რა, იქ ერთი ხელნაწერი იყო. ვასინმა სწორედ წინდღეს გადასცა ლიზას... შესანახად. ლიზამ კი მე დამიტოვა, რომ გადამეხედა, მერე კი ისე მოხდა, რომ მეორე დღეს წაიკიდნენ...

- თქვენ უფროსებს წარუდგინეთ ხელნაწერი!

- არკადი მაკაროვიჩ, არკადი მაკაროვიჩ!

- მაშ თქვენ, - წამოვხტი მე, - თქვენ გადაეცით ლიზასთვის მიბარე-

ბული ხელნაწერი მხოლოდ და მხოლოდ ეჭვიანობის გამო. მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ის უბედური ვასინი - თქვენი მეტოქეა, სხვა არც არაფერი გამოძრავებდათ და სხვა მიზანი არ გქონიათ... ვის გადაეცით? ვის? პროკურორს?

მაგრამ მან ვერ მოასწრო პასუხის გაცემა და ალბათ ვერც გამცემდა, რადგან გაშტერებული იდგა ჩემს წინ იმავე ავადმყოფური ღიმილითა და უძრავი მზერით; ანაზდად გაიღო კარი და ლიზა შემოვიდა. ერთად რომ დაგვინახა, თითქოს გაშეშდა.

- აქა ხარ? მაშ შენ აქა ხარ? - წამოიძახა, ერთბაშად სახე დაეღმიჭა და ხელი მტაცა. - მაშ შენ... იცი?

მაგრამ მან უკვე ჩემს სახეზე ამოიკითხა, რომ „ვიცი“. სწრაფად, თავშეუკავებლად და მაგრად, მაგრად მოვეხვიე! და მხოლოდ იმ წუთში ვიგრძენ მთელი სისრულით, თუ რა გამოუვალი, უსასრულო და წყვდიადით მოცული მწუხარება დააწვა თავს სამუდამოდ ამ თავისი ნება-სურვილით ტანჯვის მაძიებელი ქალის მთელს ცხოვრებას!

- განა შეიძლება ახლა ამასთან ლაპარაკი? - მომწყდა უცებ ლიზა. - განა შეიძლება მასთან ყოფნა? აქ რა გინდა? შეხედე, ერთი შეხედე! განა შეიძლება მისი განსჯა?

უსაზღვრო ტანჯვა და თანაგრძნობა ეწერა სახეზე ლიზას, როცა იმ უბედურზე მანიშნებდა. თავადი სავარძელში იჯდა და პირისახეზე ხელები აეფარებინა. მართალი იყო ლიზა: ეს იყო უკვე ხურვებაშეყრილი ადამიანი, რომელსაც პასუხი აღარ მოეთხოვებოდა; და, ვინ იცის, იქნებ ამ სამი დღის უკანაც აღარ მოეთხოვებოდა პასუხი. თავადი იმავ დილას საავადმყოფოში დააწვინეს, ხოლო საღამოთი უკვე ტვინის ანთება გამოაჩნდა.

IV

თავადი ლიზას ანაბარა დავტოვე და, ნაშუადღევის პირველი საათი იქნებოდა, როცა ჩემს ადრინდელ ბინაზე შევიარე. დამავიწყდა მეთქვა: ნესტიანი, უფერული დღე იყო, გაზაფხული მოახლოვებულიყო და ისეთი თბილი ჰაერი ქროდა, სპილოსაც კი ძარღვებს აუშლიდა. ბინის პატრონს გაეხარდა ჩემი მისვლა, აწრიალდა და აფუსფუსდა, რაც ჭირივით მეზარება ხოლმე სწორედ ასეთ წუთებში. მე ცივად მოვეპყარ და მაშინვე ჩემს ოთახს მივაშურე, მაგრამ იქაც შემომყვა და თუმცა გამოკითხვას ვერ მიბედავდა, ცნობისმოყვარეობა უელავდა თვალებში; თან ისე შემომყურებდა, თითქოს უკვე რაღაც უფლებაც კი ჰქონდა ცნობისმოყვარეობა გამოეჩინა. ჩემთვისვე იყო ხელსაყრელი, რომ თავაზიანად მოვქცეოდი; მაგრამ თუმცა ძალზე აუცილებელი იყო ზოგი რამ შემეტყო (და ვიცოდი კიდეც, რომ შევიტყობდი), მაინც ზიზღს მგვრიდა ის აზრი, გამოკითხვა უნდა დავუწყო-მეთქი. ცოლის ჯანმრთელობა ვკითხე და ორივენი შევედით მის სანახავად. დიასახლისი თუმცა ყურადღებით შემხვდა, მაგრამ მეტად საქმიანად და სიტყვაძუნწად ეჭირა თავი; ამან ცოტათი დამაშოშმინა, მოკლედ, ამჯერად ფრიად საოცარი ამბები შევიტყვე.

აბა რა თქმა უნდა, რომ მოსულა ლამბერტი, მაგრამ მერე კიდევ ორჯერ ყოფილა და „დაუთვალიერებია ყველა ოთახი“, იქნებ ვიქირავოო. რამდენჯერმე დარია ანისიმოვნაც მოსულიყო, ეს კი ღმერთმა უწყის რატომ: „ისიც ძალზე დაინტერესებული გახლდათ“, - დაურთო ბინის პატრონმა, მაგრამ არ გავახარე, არა ვკითხე, რა აინტერესებდა-მეთქი. საერთოდ არაფერს ვეკითხებოდი, მხოლოდ ის ლაპარაკობდა, მე კი ისე მეჭირა თავი, ვითომ ჩემს ჩემოდანში ვიქექებოდი (თუმცა შიგ თითქმის აღარაფერი ეწყო). მაგრამ ყველაზე უფრო საწყენი ის იყო, რომ მანაც გადაწყვიტა იდუმალება ეთამაშნა და, რაკი შენიშნა, თავს იკავებს და არაფერს მეკითხებაო, მანაც თავი მოვალედ ჩათვალა ხამუშ-ხამუშ, თითქმის იდუმალად ელაპარაკნა.

- ქალიშვილიც მოდიოდა ხოლმე, - დაუმატა მან, თან უცნაურად მომჩერებოდა.

- ვინ ქალიშვილს ამბობთ?

- ანა ანდრეევნა; ორჯერ გახლდათ, ჩემს ცოლს გაეცნო. ძალზე სა-

სიამოვნო, საყვარელი არსება გახლავთ. ასეთი ნაცნობობა დიახაც დასაფასებელია, არკადი მაკაროვიჩ... - ეს რომ თქვა, ნაბიჯიც კი წამოდგა ჩემსკენ; ძალზე უნდოდა, რომ რაღაცას მივმხვდარიყავი.

- ნუთუ ორჯერ იყო? - გამიკვირდა.

- მეორეჯერ ძმაც ახლდა.

„ლამბერტი იქნებოდა“, - გამიელვა უცებ უნებლიეთ.

- არა, ბატონი ლამბერტი არ ხლებია, - ხელად მიმიხვდა ბინის პატრონი, თითქოს თვალებით შიგ სულში ჩამიხტაო, - მათი ნამდვილი ძმა, ყმაწვილი ბატონი ვერსილოვი ახლდა. მგონი კამერ-იუნკერი ბრძანდება?

ძალზე შევკრთი; მიცქეროდა და საშინლად ალერსიანად მიღიმოდა.

- მართლა, იცით ვინა გკითხულობდათ - აი ის მამზელი, ფრანგის ქალი, მამზელ ალფონსინა დე-ვერდენი. ახ, რა საუცხოოდ მღერის და ლექსებსაც რა მშვენივრად კითხულობს! მალულად ეწვია მაშინ ცარსკოეში თავად ნიკოლაი ივანოვიჩს, რომ ფინია მიეყიდა, იშვიათი ჯიშისა ყოფილა, ნახშირივით შავი, მუშტში ჩაეტევა თურმე კაცს...

ვთხოვე, მარტოკა დამტოვეთ-მეთქი, თავის ტკივილი მოვიმიზეზე. მყისვე შემისრულა თხოვნა, წინადადებაც კი არ მოუთავებია, და არამცთუ იოტისოდენადაც არ სწყენია, თითქმის კმაყოფილიც დარჩა; იდუმალად დამიქნია ხელი, თითქოს მეუბნებოდა: „მესმის, ჩემო ბატონო, მესმის“, და თუმცა არ კი უთქვამს ეს სიტყვები, მაგრამ ოთახიდან ფეხაკრეფით გავიდა, რითაც თვითონვე დიდად ისიამოვნა. რამდენი აუტანელი ადამიანია ქვეყნად.

ბარე საათნახევარი ვიჯექ მარტოკა და ვსაზრისობდი; თუმცა კი არ ვსაზრისობდი, მხოლოდ დაფიქრებული ვიყავ. შემკრთალი კი ვიყავი, მაგრამ გაკვირვებით არაფერს გავუკვირვებივარ. ეგ კი არა, მეტ რამესაც მოველოდი, უფრო მეტ სასწაულს. „ვინ იცის უკვე მოიმოქმედეს კიდეც ეს სასწაულები“, - გავიფიქრე. კარგა ხანია, ჯერ კიდევ შინ რომ ვიჯექი, მტკიცედ ვიყავი დარწმუნებული, მანქანა უკვე დაქოქილიც ექნებათ და ამუშავებულიც-მეთქი. „მარტო მე ვაკლივარ და ეგ არის“, - გავიფიქრე ისევ რაღაცნაირი გაღიზიანებული და სასიამოვნო თვითკმაყოფილებით. დღესავით ნათელი იყო, რომ მოუთმენლად მელიან

და რისთვისაც სჭირდებათ ჩემი ოთახი. „მოხუც თავადს ხომ არ უნდათ ჯვარი დასწერონ? თავდასხმას უწყობენ თავადს და ეგ არის. ოღონდ რატომ არ იკითხავთ, ბატონებო, ნებას დაგრთავთ თუ არა?“ - კვლავ დავასკვენი ზვიადი კმაყოფილებით.

„თუ ერთი დავიწყე, ისევ ნაფოტივით ჩამითრევს ეს მორევი. თავ-დაღწეული მქვია ახლა, ამჟამად, თუ უკვე ჩათრეული ვარ? შემეძლება თუ არა ამ საღამოს, დედასთან რომ დავბრუნდები, კვლავ ვუთხრა ჩემს თავს, როგორც ვეუბნებოდი მთელი ეს ხანი: მე ჩემთვისა ვარ-მეთქი?“

აი ჩემი კითხვების, ან, უკეთ, ჩემი გულის ბაგაბუგთა ესენცია იმ საათნახევრის განმავლობაში, ლოგინის კუთხეში რომ ვიჯექ მუხლებზე იდაყვებდაყრდნობილი და ხელებზე თავდანდობილი. მაგრამ მე ხომ ვიცოდი, მაშინაც უკვე ვიცოდი, რომ ყველა ეს კითხვა მტკნარი სისულელეა, და რომ მე მიზიდავს მხოლოდ ის ქალი - მხოლოდ და მხოლოდ ის! როგორც იქნა, პირდაპირ ვთქვი ეს და კალმით დავწერე ქაღალდზე, ვინაიდან ახლაც კი, როცა ერთი წელი გავიდა და ამას ვწერ, ჯერ კიდევ არ ვიცი, რა დავარქვა ჩემს მაშინდელ გრძნობას!

ო, ლიზა მებრალებოდა და ყოვლად პირუთვნელად მტკიოდა გული! თითქოს თუნდაც მარტო ამ გულისტკივილს უნდა დაეოკებინა ან წარეშალა ჩემში, დროებით მაინც, ავხორცობა (კვლავ ვახსენებ ამ სიტყვას). მაგრამ მიზიდავდა უზომო ცნობისმოყვარეობა და რაღაც შიში, თან რაღაცნაირი გრძნობა - არ ვიცი რანაირი, მაგრამ ვიცი და მაშინაც ვიცოდი, რომ სასიკეთო არ იყო ეს გრძნობა. იქნებ მინდოდა მუხლი მომეყარა მის ფერხთით, ან იქნებ მინდოდა გამეწირა სატანჯველად და „მალე, მალე“ დამემტკიცებინა მისთვის რაღაც. ვერავითარი გულისტკივილი და თანაგრძნობა ლიზასადმი ვეღარ შემაჩერებდა. განა შემეძლო ახლა ავმდგარიყავ და წავსულიყავ შინ... მაკარ ივანოვიჩთან?

„განა არ შემიძლია მხოლოდ მივიდე მათთან, შევიტყო ყველაფერი და უცებ მივატოვო სამუდამოდ, უვნებლად ჩავუარო გვერდი ამ სასწაულებსა და ურჩხულებს?“

სამი საათი იქნებოდა, როცა გონს მოველ და მოვისაზრე, რომ თითქმის დამიგვიანდა. საჩქაროდ გამოვედი, ეტლი ვიქირავე და გავქანდი ანა ანდრეევნასთან.

თავი მეხუთე - I

როგორც კი მოგახსენეს ჩემი მისვლა, ანა ანდრეევნამ თავი ანება საკერავს და წინა ოთახში გამომეგება - რაც წინათ არასოდეს მომხდარა. ორივე ხელი გამომიწოდა და ერთბაშად გაწითლდა. უსიტყვოდ შემიყვანა თავის ოთახში, ისევ თავის ხელსაქმეს მიუჯდა და მეც გვერდით დამისვა; მაგრამ საკერავს აღარ მიბრუნებია, კვლავ ხმისამოუღებლად მომჩერებოდა და მხურვალე თანაგრძნობით მათვალიერებდა.

- დარია ანისიმოვნა გამოგეგზავნათ ჩემთან, - დავიწყე პირდაპირ, რადგან ცოტა არ იყოს გულს მიმძიმებდა ეს ძალზე ეფექტური თანაგრძნობა, თუმცა მსიამოვნებდა კი.

ჩემს კითხვაზე არაფერი უპასუხნია, უცებ დაიწყო:

- ყველაფერი გაგებული მაქვს, ყველაფერი ვიცი. ის საშინელი ღამე იყო... ო, რამდენი რამ უნდა გადაგეტანათ! ის მართალია, რომ უგრძნობლად გიპოვნეს ქუჩაში გათოშილი?

- ეგ თქვენ... ლამბერტმა... - წავიბუტბუტე და გავწითლდი.

- მაშინვე შევიტყვე ყველაფერი მისგან; მაგრამ მე თქვენ გელოდით. ო, რა შეშინებული მოვიდა ჩემთან! თქვენს ბინაზე... იქ, სადაც ავადმყოფი იწექით, არ უნდოდათ შემოეშვათ თქვენთან... და უცნაურად შეხვედრიან... მართალი გითხრათ, არ ვიცი, რა მოხდა, ოღონდ მან ყველაფერი მიამბო იმღამინდელი; მითხრა, რომ როგორც კი გონს მოსულხართ, მაშინვე ჩემი სახელი გიხსენებიათ და... თქვენი ჩემდამი ერთგულება დაგიმოწმებიათ. ამან გული ამიჩვილა, არკადი მაკაროვიჩ, არც კი ვიცი, რითი დავიმსახურე თქვენი მხრივ ეგეთი მხურვალე თანაგრძნობა, მით უმეტეს, როცა თქვენ თვითონ ისეთ დღეში იყავით! ერთი მითხარით, ბატონი ლამბერტი თქვენი ბავშვობის ამხანაგია?

- დიახ, მაგრამ ეს შემთხვევა... უნდა გამოგიტყდეთ, წინდაუხედავად მოვიქეცი და, იქნებ, ცოტა არ იყოს ზედმეტი რამეც ვუთხარი.

- ო, იმ შავბნელი, საშინელი ინტრიგის ამბავს უიმისოდაც შევიტყობდი! ყოველთვის, ყოველთვის მეუბნებოდა გული, რომ ამ დღეში ჩაგაგდებდნენ. ერთი ეს მითხარით, მართლა გაბედა ბიორინგმა და ხელით შეგეხოთ?

ისე მელაპარაკებოდა, თითქოს მარტო ბიორინგისა და იმ ქალის მიზეზით ამოვყავი თავი მესერის ძირას. კაცმა რომ თქვას, მართალს მეუბნება-მეთქი, გამიელვა, მაგრამ ავენთე:

- ხელით რომ შემხებოდა, დაუსჯელი ვერ წავიდოდა, და არც მე ვიჯდებოდი დღეს თქვენს წინაშე, თუ სამაგიეროს არ მივუზღავდი, - მივუგე ცხარედ. მთავარი ის იყო, რომ მომეჩვენა, რატომღაც უნდა გამაგულისოს, ვიღაცის წინააღმდეგ შემაგულიანოს-მეთქი (თუმცა ცხადია, ვის წინააღმდეგაც); და მაინც წამოვეგე ანკესზე.

- თქვენ თუ ლაპარაკობთ, რომ გული გეუბნებოდათ, რომ ამ დღეში ჩამაგდებდნენ, კატერინა ნიკოლაევნას მხრივ, ცხადია, მხოლოდ და მხოლოდ გაოგნება იყო... თუმცა ისიც მართალია, რომ მან რაღაც ძალზე მალე შეცვალა ჩემდამი კეთილი განწყობა ამ გაოგნებით...

- მეც მაგას ვამბობ, რომ ძალზე მალე შეცვალა! - რაღაცნაირი აღტაცებული თანაგრძნობითაც კი ჩამომართვა სიტყვა ანა ანდრეევნამ. - ო, ნეტავ იცოდეთ, რა ინტრიგას ატრიალებენ ახლა იქ! რა თქმა უნდა, არკადი მაკაროვიჩ, თქვენ ახლა გაგიჭირდებათ მიხვდეთ თუ რაოდენ საჩოთირო მდგომარეობაში ვარ, - წარმოთქვა მან, გაწითლდა და თვალი დახარა. - მას აქეთ, სწორედ იმ დილას, როცა მე და თქვენ უკანასკნელად ვნახეთ ერთმანეთი, მე გადავდგი ისეთი ნაბიჯი, რომელსაც ყველა ვერ გაიგებს და ვერც ვერავინ გაერკვევა ისე, როგორც გაიგებდა თქვენსავით ჯერ დაუავადებელი ჭკუის, თქვენნაირი გაურყვნელი, ხალასი გულის მქონე და მოყვარული ადამიანი. დარწმუნებული იყავით, ჩემო მეგობარო, რომ შემწევს უნარი დავაფასო თქვენი ერთგულება და მარად მადლობელი ვიყო თქვენი. თქმა არ უნდა, მაღალ საზოგადოებაში ქვებს აჰკრეფენ ჩემს ჩასაქოლად და უკვე აკრიფეს კიდეც. მაგრამ თუნდაც მართალნი იყვნენ თავიანთი ბილწი თვალსაზრისით, მაშინაც კი რომელ მათგანს შეუძლია, რომელი მათგანი გაბედავს ჩემს განსჯას? მე ბავშვობაშივე მიმატოვა მამაჩემმა; ჩვენ, ვერსილოვები - უძველესი, დიდი გვარიშვილობის შთამომავალნი - ვიგინდარები შევიქენით, და მე სამადლოდ მინახავენ, სხვის ნაწყალობევ ლუკმა პურს ვჭამ. განა ბუნებრივი არ იყო მიმემართა იმისთვის, ვინც ბავშვობიდანვე მამის მაგივრობას მიწევდა და ვისი წყალობაც არ მომკლებია ამდენი წლის მანძილზე? ჩემი მისდამი გრძნობების განმკითხავი მარტოდენ ღმერთია, და ნებას არ მივცემ, მაღალი საზოგადოების სამსჯავრომ განსაჯოს ჩემი ეს ნაბიჯი! ხოლო, როცა, გარდა ამისა, აქაა ყოვლად ვერაგი, ყოვლად ბნელი ინტრიგა და როცა ღვიძლ ქალიშვილს პირი შეუკრავს დაღუპოს გულმიმნდობი, დიდსულოვანი მამა. განა

შესაძლებელია ამის ატანა? არა, დაე თუნდაც სახელი გამიტყდეს, მე ვიხსნი მას! მზად ვარ ლალად დავუდგე, მისი დარაჯი ვიყო, მისი მომვლელი ქალი, ოღონდ კი არ გაიმარჯვოს მაღალი საზოგადოების ადამიანის ცივმა, შემაზრზენმა ანგარებამ!

არაჩვეულებრივი აღფრთოვანებით ლაპარაკობდა, იქნებ ეს აღფრთოვანება ცოტა არ იყოს მოგონილსაც ჰგავდა, მაგრამ მაინც გულწრფელი იყო, იმიტომ რომ ეტყობოდა, რამდენად ჩაეთრევინებ-ჩაჰყოლოდა ამ ამბავს. ო, ვგრძნობდი, რომ ტყუოდა (თუმცა გულწრფელად ტყუოდა, რადგან გულწრფელადაც შეიძლება იცრუო კაცმა) და რომ ის ახლა ცუდი ადამიანია; მაგრამ საოცარი რამ სჭირთ ქალებს: ამ გარეგნულმა წესიერებამ, ამ უმაღლესმა ფორმებმა, ამ მაღალი საზოგადოების დონისა და ამაყი კდემამოსილების მიუწვდომლობამ — ყოველივე ამან თავგზა ამიბნია და, ვიდრე მასთან ვიჯექი, ყველაფერზე ვეთანხმებოდი; ყოველ შემთხვევაში - შესიტყვება ვერ გავუბედე. ო, მამაკაცი ნამდვილად ზნეობრივად ემონება დედაკაცს, მეტადრე თუ დიდსულოვანია! დიდსულოვან მამაკაცს ასეთი ქალი რასაც გნებავთ იმას დააჯერებს. „ესა და ლამბერტი - ღმერთო ჩემო!“ - ვფიქრობდი და გაოგნებული შევცქეროდი. თუმცა, ბარემ ყველაფერს ვიტყვი: მე დღემდეც კი ვერ მომიხერხებია მისი განსჯა; მისი გრძნობების დანახვა მართლაც მარტოოდენ ღმერთს შეეძლო, თანაც ადამიანი იმდენად რთული მანქანაა, რომ ზოგ შემთხვევაში ვერაფერს გაარკვევ კაცი, ხოლო ახლა ამას ისიც დავუმატოთ, რომ ეს ადამიანი - ქალია.

- ანა ანდრეევნა, სახელდობრ რას მოელით ჩემგან? - ვკითხე უცებ საკმაოდ მტკიცედ.

- რაო? რას ნიშნავს თქვენი შეკითხვა, არკადი მაკაროვიჩ?

- ყველაფრის მიხედვით... და ზოგი სხვა მოსაზრებითაც... მე მგონია... - დავიწყე ბოდიალი, - კაცს რომ მიგზავნიდით, რაღაცას ელოდით ჩემგან; მაშ სახელდობრ რას ელით?

პასუხი არ მოუცია, ოღონდ მაშინვე ისე აჩქარებით და აღფრთოვანებით კვლავ ალაპარაკდა:

- მაგრამ მე არ შემიძლია, მე საკმაოდ ამაყი ვარ საამისოდ, რომ ახსნა-განმარტება დავუწყო ან რაიმეში შევუთანხმდე ისეთ უცნობ პირებს, როგორიცაა ბატონი ლამბერტი! მე გელოდით თქვენ, და არა ბატონ ლამბერტს. ჩემი მდგომარეობა უკიდურესია, საშინელია, არკადი

მაკაროვიჩ! იმ ქალის ქვებუდანობა გარს მახვევია და მოვალე ვარ ვიეშმაკო, - ეს კი აუტანელია ჩემთვის. ისე დავმცირდი, რომ ლამის ინტრიგას ვეწევი და ისე მოგელოდით, როგორც მხსნელს. არ გამემტყუნება, თუ ხარბად ვიხედები ირგვლივ, რათა გამოვნახო თუნდაც ერთი მეგობარი, და ამიტომაც არ შემეძლო არ გამხარებოდა მეგობრის პოვნა: ის, ვისაც შეეძლო იმ ღამეს, თითქმის გათოშილს, გავხსენებოდი და სულ ერთთავად მხოლოდ ჩემი სახელის ხსენებაში ყოფილიყო, რა თქმა უნდა, ჩემი ერთგულია. ამას ვფიქრობდი მთელი ეს ხანი და ამიტომაც მქონდა თქვენი იმედი.

ის სულწასული კითხვით შემომჩერებოდა თვალებში. და აი, კვლავ არ მეყო გამბედაობა გამეწბილებინა და პირდაპირ ამეხსნა, ლამბერტმა მოგატყუათ და სრულიადაც არ მითქვამს მისთვის, თითქოს ასე ძალიან ერთგული ვიყო თქვენი და არც „სულ ერთავად მხოლოდ თქვენი სახელის ხსენებაში“ ვყოფილვარ-მეთქი. ამგვარად, ჩემი დუმილით თითქოს დავადასტურე ლამბერტის სიცრუე. ო, ხომ დარწმუნებული ვარ, თვითონაც ძალზე კარგად ესმოდა, რომ ლამბერტმა გააზვიადა და უბრალოდ მოატყუა კიდეც მხოლოდ იმიტომ, რომ წესიერი მიზეზი ჰქონოდა მასთან მისასვლელად და ურთიერთობის გასაბმელად; ხოლო თუკი ახლა თვალებში ისე მომჩერებოდა, თითქოს სწამს ჩემი სიტყვებისა და ჩემი ერთგულების ჭეშმარიტებაო, რა თქმა უნდა, იცოდა, რომ, ასე ვთქვათ, ხათრითა და სიყმაწვილით ვერ გავბედავ ამის უარყოფას. თუმცა კაცმა რომ თქვას, არ ვიცი - სწორია თუ არა ჩემი მიხვედრა. იქნებ ძალზე გათახსირებული ვარ.

- მე ჩემი ძმა გამომექომაგება, - წარმოთქვა მან უცებ გულმხურვალედ, რაკი ნახა, რომ პასუხის გაცემა არ მინდა.

- ყოფილხართ კიდეც თურმე ჩემს ბინაზე თქვენა და თქვენი ძმა, - წავიბუტბუტე საქციელწამხდარმა.

- მაშ რა ჰქნას საცოდავმა თავადმა ნიკოლაი ივანოვიჩმა, სადღა დაემალოს მთელს ამ ინტრიგას ან, უკეთ რომ ვთქვათ, თავის ღვიძლ ქალიშვილს, თუ არა თქვენს ბინაზე, ესე იგი მეგობრის ბინაზე; ხომ შეუძლია, სხვა თუ არაფერი, მეგობრად მაინც გიგულოთ!... და მაშინ, თუკი ისურვებთ რაიმეს გაკეთებას მის სასარგებლოდ, ეს მაინც გაუკეთეთ - თუკი შეგიძლიათ, თუკი გაქვთ დიდსულოვნება და გამბედაობა... და, დასასრულ, თუკი მართლა შეგიძლიათ რაიმეს გაკეთება. ო, ჩემთვის არ გეხვეწებით, ჩემთვის არა, იმ უბედური მოხუცისთვის, ვისაც ერთადერთს უყვარდით გულწრფელად, ვინც ღვიძლი შვილივით

შეგითვისათ და აქამდეც კი ენატრებით! მე თვითონ კი აღარაფერს ვე-ლი, თქვენგანაც კი - თუკი ღვიძლი მამაც ისე ვერაგულად და ბოროტ-ად მომექცა!

- მე მგონია, ანდრეი პეტროვიჩმა... - დავიწყე მე.

- ანდრეი პეტროვიჩმა, - მწარე ღიმილით შემაწყვეტინა სიტყვა, - ანდრეი პეტროვიჩმა, როცა პირდაპირ შევეკითხე, პატიოსანი სიტყვა მომცა, კატერინა ნიკოლაევნას მიმართ არასოდეს გულში არაფერი გამივლიაო, და მცე, ჩემს ნაბიჯს რომ ვდგამდი, სავსებით დავუჯერე; თურმე მხოლოდ მანამდეა გულმშვიდად, სანამ რამეს შეიტყობდეს რომელიმე ბატონ ბიორინგის შესახებ.

- აქ სხვა ამბავია! - წამოვიყვირე მე. - ერთი წამი იყო, როცა მეც და-ვიჯერე, ის ქალი უყვარს-მეთქი, მაგრამ სხვა ამბავია... გინდაც სხვა ამ-ბავი არ იყოს, ახლა მაინც ხომ შეეძლო სრულიად მშვიდად ყოფილი-ყო... რაკი იმ ვაჟბატონს უარი უთხრეს.

- რომელ ვაჟბატონს?

- ბიორინგს.

- ვინ მოგახსენათ, უარი უთხრესო? იქნებ ის ვაჟბატონი არასოდეს არც ყოფილა ისე ძალმოსილი, როგორც ახლაა, - გესლიანად ჩაიცინა ანა ანდრეევნამ; ისიც კი მომეჩვენა, მეც დაცინვით შემომხედა-მეთქი.

- დარია ანისიმოვნამ მითხრა, - წავილუღლუღე და ვერ დავფარე შეკრთომა, რაც ძალზე კარგად შემამჩნია.

- დარია ანისიმოვნა ძალზე საყვარელი არსებაა და, რა თქმა უნდა, ვერ ავუკრძალავ ჩემს სიყვარულს, მაგრამ მას არავითარი შესაძლებ-ლობა არა აქვს იცოდეს ის, რაც მას არ ეხება.

გული ამიკვნესდა; და ვინაიდან ანა ანდრეევნა სწორედ იმას იმე-დოვნებდა, ცეცხლს შევუნთებ და აღვაშფოთებო, მართლაც აღვშფოთ-დი, მაგრამ ჩემი აღშფოთება იმ ქალს კი არა, ჯერჯერობით თვით ანა ანდრეევნას ეხებოდა. მე წამოვდექი.

- როგორც პატიოსანმა კაცმა, უნდა გაგაფრთხილოთ, ანა ანდრეევ-ნა, რომ თქვენი მოლოდინი... ჩემს მიმართ... შესაძლოა უაღრესად ამ-აო იყოს...

- მე ველი, რომ თქვენ გამომექომაგებით, - მტკიცედ შემომხედა მან, - გამომექომაგებით ყველასგან მიტოვებულს... თქვენს დას, თუ გნებავთ, არკადი მაკაროვიჩ!

წუთიც და ატირდებოდა.

- მაშ სჯობია ნუ ელით, იმიტომ რომ „იქნებ“ არაფერიც არ იყოს, - წავილუღლუღე გამოუთქმელად მძიმე გრძნობით.

- როგორ გავიგო ეგ სიტყვები? - წარმოთქვა რაღაც მეტისმეტი სიფრთხილით.

- როგორ და მიგატოვებთ ყველას და - მორჩა! - წამოვიძახე უცებ თითქმის გააფთრებულმა. - დოკუმენტს კი-დავხევ. მშვიდობით!

თავ დავუკარი და უსიტყვოდ გამოვედი, თან თითქმის ვერ გავბედე შეხედვა; მაგრამ კიბეზე ჩამოსულიც არ ვიყავ, რომ დარია ანისიმოვნა წამომეწია, ხელში ორად გაკეცილი საფოსტო ქაღალდი ეჭირა. ვერ გამიგია, საიდან გაჩნდა დარია ანისიმოვნა და სად იჯდა, როცა მე ანა ანდრეევნას ველაპარაკებოდი. კრინტი არ დაუძრავს. ისე მომაჩეჩა ქაღალდი და უკანვე გაიქცა. გავხსენი ქაღალდი: ზედ გარკვევით და ნათლად ეწერა ლამბერტის მისამართი, და ეტყობოდა, რამდენიმე დღის წინათ გაემზადებინა. უცებ გამახსენდა, რომ, როცა დარია ანისიმოვნამ მინახულა, წამომცდა, არ ვიცი სად ცხოვრობს ლამბერტი-მეთქი, ოღონდ ეს იმ აზრით ვთქვი, რომ არ ვიცი და არც მინდა ვიცოდე-მეთქი. მაგრამ იმ წუთას უკვე ვიცოდი მისი მისამართი ლიზასგან, რომელსაც საგანგებოდ ვთხოვე, სამისამართო მაგიდას მიაკითხე-მეთქი. ანა ანდრეევნას ეს საქციელი უკვე მეტისმეტად გაბედული და ცინიკურიც კი მეჩვენა: მიუხედავად იმისა, რომ დახმარებაზე უარი ვუთხარ, ის, თითქოს იოტისოდენაც არაფერი სჯეროდა ჩემი, პირდაპირ მგზავნიდა ლამბერტთან. მეტად აშკარა შეიქნა, რომ მან უკვე ყველაფერი იცოდა დოკუმენტის თაობაზე — და ვისგან უნდა შეეტყო, და თუ არა ლამბერტისგან, ვისთანაც იმიტომაც მგზავნიდა, რომ პირი შეგვეკრა?

„ნამდვილად ყველა ესენი უკლებლივ ფიქრობენ, რომ ერთი უნებისყოფო და უხასიათო ბალღი ვარ და რასაც უნდათ, იმას მიზამენ!“ - გავიფიქრე აღშფოთებულმა.

II

მაგრამ მაინც წავედი ლამბერტთან. მაშ სად უნდა მომეკლა ჩემი მაშინდელი ცნობისმოყვარეობა? ლამბერტი, როგორც გამოირკვა, ძალიან შორს ცხოვრობდა, კოსოი შესახვევში, საზაფხულო ბაღთან, თანაც ისევ იმ ნომრებში; მაგრამ მაშინ რომ გამოვექეცი, იმდენად არ შემიმჩნევია გზა და მანძილი, რომ როცა ამ ოთხი დღის უკან ლიზამ მისამართი მომიტანა, გამიკვირდა და თითქმის ვერც დავიჯერე, რომ იქ ცხოვრობდა. კიბეზე რომ ავდიოდი, მესამე სართულზე, ნომრების კართან, შევნიშნე ორი ყმაწვილი კაცი და გავიფიქრე, ჩემზე ადრე დაურეკიათ და ელიან, როდის გაუღებენ კარს-მეთქი. სანამ ავდიოდი, ორივემ ზურგი აქცია კარს და გულდასმით დამიწყეს თვალიერება. „აქ ხომ ნომრებია, ალბათ სხვა მდგმურებთან მიდიან“, - მოვიღუშე, როცა მივუახლოვდი. ძალზე არ მესიამოვნებოდა, ლამბერტთან რომ ვინმე დამხვედროდა. შევეცადე არ შემეხედა მათთვის და ხელი წავიღე ზარისკენ.

- ატანდე! - დამიძახა ერთმა.

- თუ შეიძლება ჯერ ნუ დარეკავთ, - წკრიალა და ნაზი ხმით, თან სიტყვების ოდნავ გაგრძელებით წარმოთქვა მეორე ახალგაზრდამ. - აი გავათავებთ და მერე სამივემ ერთად დავრეკოთ, გნებავთ?

შევჩერდი. ორივე ჯერ სულ ყმაწვილი კაცი იყო, ოცი თუ ოცდაორი წლისა იქნებოდნენ; უცნაურ რაღაცას აკეთებდნენ აქ კართან და გაშტერებული ვცდილობდი მივმხდარიყავ, რას სჩადიან-მეთქი. ის, ვინც „ატანდე“ დამიძახა, ძალზე მაღალი, სულ ცოტა ათი ვერშოკი მაინც იქნებოდა, ხმელ-ხმელი და მჭლე, მაგრამ ძალზე ჩასხმული; ტანთან შეუფერებელი ძალზე პატარა თავი ჰქონდა და უცნაური, რაღაც კომიკურად პირქუში გამომეტყველება ცოტა არ იყოს ჩოფურა, მაგრამ საკმაოდ ჭკვიან და ასე გასინჯეთ სასიამოვნო სახეზეც. მისი თვალები რაღაც უზომოდ ჩაციებით და თან სავსებით უსარგებლო და ზედმეტი სიმტკიცით გამოიყურებოდნენ. ძალზე ცუდად ეცვა - პატარა გაქუცული ენოტის საყელოიანი ერთი ძველი, დაბამბული მაზარა, - ეტყობოდა, ნასხვისარი; დახეული, თითქმის გლეხური ჩექმები, და საშინლად შელანძღული, გამოხუნებული ცილინდრი თავზე. ყველაფერზე ეტყობოდა, რომ უსუფთაო კაცი იყო: უხელთათმანო ხელები ჩაბინძურებოდა,

გრძელ ფრჩხილებში ჭუჭყი ჩასჯდომოდა. მის ამხანაგს, პირიქით, კოხტად ეცვა, თუ განვსჯით მსუბუქი ქრცვინის ქურქით, მოხდენილი შლაპითა და ნატიფ თითებზე წამოცმული ღია ფერის ახალი ხელთათმანებით; ჩემი სიმაღლისა იქნებოდა, ოღონდ მისი ქორფა და ყმაწვილ სახეს ძალზე საყვარელი გამომეტყველება ჰქონდა.

წოწოლა ყმაწვილი კისრიდან იძრობდა ჰალსტუხს - სულერთიანად გაქუცულ და გაქონილ ლენტს, ან თითქმის უკვე ზონარს, ხოლო ლამაზ ბიჭს ჯიბიდან ამოეღო მეორე, ახალთახალი, იმ წუთას ნაყიდი შავი ჰალსტუხი და უკეთებდა იმ წოწოლა ყმაწვილს, რომელსაც ფარაჯა მხრებზე გადაეწია და მორჩილად და საშინლად სერიოზული სახით წაეგრძელებინა ძალზე ყინტორა კისერი.

- არა, ეს არ შეიძლება, რაკი ეგეთი ჭუჭყიანი პერანგი გაცვია, - წარმოთქვა ლამაზმა ბიჭმა, - ეფექტი იქნება კი არა, უფრო ჭუჭყიანიც გამოჩნდება. აკი გითხარი, საყელო გაიკეთე-მეთქი... მე არ შემიძლია... იქნებ თქვენ შესძლოთ? - მომიბრუნდა უცებ.

- რა? - შევეკითხე.

- აი, იქნებ ჰალსტუხი გაუკეთოთ. იცით რა, როგორმე ისე უნდა გაუკეთოთ, რომ ჭუჭყიანი პერანგი არ გამოუჩნდეს. თორემ, რაც გნებავთ ბრძანეთ, და მთელი ეფექტი დაიკარგება. საგანგებოდ ვუყიდე ახლა ჰალსტუხი ფილიპე დალაქთან, მანეთი მივეცი.

- იმ მანეთს ამბობ? - წაიბურტყუნა წოწოლამ.

- ჰო, იმას; ახლა გროში აღარ მაბადია; მაშ არ შეგიძლიათ? სხვა გზა არაა, ალფონსინკას უნდა შევეხვეწოთ:

- ლამბერტთან მიდიხართ? - მკვახედ მახალა უცებ წოწოლამ.

- ლამბერტთან, - მივუგე არანაკლები სიმტკიცით და თვალებში შევაჩერდი.

- dolgorowky? - გაიმეორა მან იმავე კილოთი და იმავე ხმით.

- არა, კროვკინი არ გახლავართ, - მივუგე ისევე მკვახედ, რადგან სწორად ვერ გავიგონე გვარი.

- dolgorowky?! - გაიმეორა მან იმავე კილოთი და იმავე ხმით. და

ლამის მუქარით წამოიწია ჩემსკენ. მისმა ამხანაგმა გადაიხარხარა.

- ეს კოროვკინს კი არა dolgorowky-ს ამბობს, - ახსნა მან. - მოგეხსენებათ, ფრანგები „Journal des débats“-ში ხშირად ამახინჯებენ რუსულ გვარებს...

- „Independance“-ში, - დაიზმუილა წოწოლამ.

- ... სულ ერთია, „Independance“-შიც. დოლგორუკის, მაგალითად, წერენ dolgorowky - ჩემი თვალით წამიკითხავს, ვ-ვს კი მუდამ წერენ comte Wallonieff.

- doboyny! - წამოიყვირა წოწოლამ.

- ჰო, ვიღაც doboyny ყოფილა კიდევ; მე თვითონ წავიკითხე და ორივემ ვიცინეთ: ვიღაც რუსი ქალი madame doboyny ყოფილა, საზღვარგარეთ... ოღონდ რა საჭიროა ყველას ხსენება? - მიუბრუნდა უცებ წოწოლას.

- მაპატიეთ, თქვენ ბატონი დოლგორუკი ბრძანდებით?

- დიახ, დოლგორუკი გახლავართ, თქვენ საიდან იცით?

წოწოლამ უცებ რაღაც წასჩურჩულა სანდომიანი სახის ბიჭს, ის კი მოიღუშა და უარზე დადგა; მაგრამ წოწოლა უცებ მე მომიბრუნდა:

- Monseigneur le prince, vous n’avez pas de rouble d’argent pour nous, pas deux, mais un seul, voulez-vous? (თავადო,ხომ არ მოგეძევებათ ჩვენ ორივესთვის ვერცხლის მანეთიანი, მხოლოდ ერთი, ჰა? (ფრანგ.))

- ახ, რა ცუდი ხარ! - წამოიძახა ბიჭმა.

- nous vous rendons (ჩვენ დაგიბრუნებთ (ფრანგ).), - დაასკვნა წოწოლამ, რომელიც უხეშად და უხეიროდ გამოთქვამდა ფრანგულ სიტყვებს.

- ეს ცინიკოსი გახლავთ, - ჩაცინებით მითხრა ბიჭმა, - იქნებ ფიქრობთ, ფრანგული არ იცისო? პირწავარდნილი პარიზელივით ლაპარაკობს, ოღონდ აჯავრებს იმ რუსებს, რომლებსაც საზოგადოებაში ყოფნისას საშინლად უნდათ ერთმანეთს ხმამაღლა ელაპარაკონ ფრანგ-

ულად, და არ კი იციან...

- Dans les wagons (ვაგონებში (ფრანგ.).), - ამიხსნა წოწოლამ.

- ჰო, ვაგონებშიც; ახ, რა მოსაწყენი ვინმე ხარ! გეყოფა ტაკიმასხარობა. ნეტავი შენ, რომ არ გეზარება თავის მოსულელება.

- nous vous rendons, - წაიბურტყუნა მან, დამალა მანეთიანი, მერე უცებ მიუბრუნდა კარს და სავსებით უძრავი და სერიოზული სახით და, რაც მთავარია, ყოვლად აუღელვებლად, დაუწყო ბრახუნი თავისი ვეება უხეში ჩექმის წვერით.

- ახ, ისევ ჩხუბი მოგივათ შენა და ლამბერტს! - შეშფოთებით შენიშნა ბიჭმა. - სჯობია თქვენ დარეკეთ!

დავრეკე, მაგრამ წოწოლა მაინც ურტყამდა და ურტყამდა.

- Ah, sacré...(აჰ, ეშმაკმა დალახვროს... (ფრანგ.).) - მოისმა უცებ კარს უკან ლამბერტის ხმა და კარი ერთბაშად გაიღო.

- Dites donc, voulez-vous que je vous casse la tête, mon ami! (ერთი ეს მითხარი, ჩემო მეგობარო, ხომ არ გინდათ თავი გაგიხეთქოთ? (ფრანგ.).) - დაუყვირა მან წოწოლას.

- Mon ami, voilà Dolgorowky, l'autre mon ami (ჩემო მეგობარო, აი დოლგორუკი, ჩემი მეორე მეგობარი (ფრანგ.).), - ერთი ამბით და სერიოზულად წარმოთქვა წოწოლამ, თან ჯიქურ მისჩერებოდა ბრაზით გაჭარხლებულ ლამბერტს. ჩემი დანახვა და ლამბერტის სავსებით გარდაქმნა ერთი იყო.

- შენა ხარ, არკადი! მადლობა ღმერთს! როგორც იქნა, გამოკეთდი, ხომ გამოკეთდი?

ხელებში ხელი დამტაცა და მომიჭირა; ერთი სიტყვით, ისე გულწრფელად აღტაცებული იყო, რომ მაშინვე ძალზე მიამა და შემიყვარდა კიდეც.

- პირველად შენსკენ გამოვეშურე!

- Alphonsine! — დაიყვირა ლამბერტმა.

ისიც მაშინვე გამოხტა თეჯირს იქიდან.

- Le voilà! (აი ის! (ფრანგ.).)

- C'est lui! (ეგ ისაა! (ფრანგ.).) - წამოიძახა ალფონსინამ, ხელი ხელს შემოკრა, მერე ისევ გაშალა ხელები და გადასახვევად მომაშურა, მაგრამ ლამბერტმა მიხსნა.

- აბა-აბა-აბა, ტუმბო! - მიაძახა, თითქოს ფინია ყოფილიყო. - იცი რა, არკადი: დღეისთვის ჩვენმა ბიჭებმა მოვილაპარაკეთ, თათრებთან ვისადილოთო. ახლა აღარ გაგიშვებ, ჩვენთან წამოდი. ვისადილოთ; იმათ ხელად გავრეკავ და - მერე გული ვიჯეროთ ლაპარაკით. შემოდი, შემოდი! ჩვენ ხომ ახლავ მივდივართ, ერთი წუთი მოგიწევს ფეხზე დგომა...

შევედი და შუა ოთახში გავჩერდი, თან აქეთ-იქით ვიხედებოდი და ვიხსენებდი. ლამბერტი თეჯირს უკან სასწრაფოდ იცვამდა. წოწოლა და მისი ამხანაგიც შემოგვყვნენ, მიუხედავად ლამბერტის სიტყვებისა. ყველანი ფეხზე ვიდექით.

- Mademoiselle Alphonsine, voulez-vous me baiser? (მადმუაზელ ალფონსინა, რომ არ გნებავთ მაკოცოთ? (ფრანგ.).) - წამოიზმუვლა წოწოლამ.

- Mademoiselle Alphonsine, - მიუჩოჩდა უმცროსიც და ჰალსტუხი აჩვენა, მაგრამ ქალმა გააფთრებით შეუტია ორივეს.

- Ah, le petit vilain! - მიაყვირა უმცროსს. - ne m'approchez pas, ne me salissez pas, et vous, le grand dadais, je vous flanque à la porte tous les deux, savez-vous cela! (ახ, შე პატარა არამზადავ... ახლოს არ მომეკარო, არ გამსვარო, არც შენ, მოზრდილო ყეყეჩო, ორივეს გარეთ გაგყრით, გესმით თუ არა! (ფრანგ.).)

უმცროსმა, მიუხედავად იმისა, რომ ალფონსინა აგდებულად და ზიზღით იშორებდა, თითქოს მართლაც ეშინოდა, არ გამსვაროსო (რაც ვერაფრით ვერ გამეგო, რადგან ისეთი სანდომიანი ბიჭი იყო, და, როცა ქურქი გაიძრო, ისე კარგად ეცვა) - უმცროსმა დაბეჯითებით დაუწყო თხოვნა თავისი მეგობრისთვის, ჰალსტუხი გაუკეთეო, ოღონდ ჯერ ლამბერტის რომელიმე სუფთა საყელო მოარგეო. ალფონსინა ისე აღაშფოთა ამ წინადადებამ, კინაღამ საცემრად დაერია ორთავეს, მაგრამ ლამბერტმა, რომელიც აყურადებდა, თეჯირს იქიდან დაუძახა, ნუ

აჩერებ და რასაც გთხოვენ, შეუსრულეო; „თორემ არ მოგეშვებიან“, დაუმატა: ალფონსინამაც მაშინვე ხელი დასტაცა საყელოს და დაუწყო წოწოლას ჰალსტუხის გაკეთება ისე, რომ ზიზღისა აღარაფერი ეტყობოდა. იმანაც ზუსტად ისევე წაუწვდინა კისერი, როგორც წეღან, კიბეზე.

- Mademoiselle Alphonsine, avez-vous vendu votre bologne? (მადმუაზელ ალფონსინა, ხომ არ გაყიდეთ თქვენი ფინია? (დამახინჯ. ფრანგ.).) - ჰკითხა წოწოლამ.

- Qu’est que ça, ma bologne? (რას ქვია ჩემი bologne? (ფრანგ.).)

უმცროსმა აუხსნა „ma bologne“ - ფინიას ნიშნავსო.

- Tiens, quel est ce baragouin? (მერე რა ჟარგონით ლაპარაკობ? (ფრანგ.).)

- Je parle comme une dame russe sur les eaux minérales (მე ვლაპარაკობ ისე, როგორც ლაპარაკობს რუსი ქალბატონი მინერალურ წყლებზე (დამახინჯ. ფრანგ.).), - შენიშნა le grand dadais-მ, რომელიც ისევ კისერწაწვდილი იდგა.

- Qu’est que ça qu’une dame russe sur les eaux minérales et... o? est donc votre jolie montre, que Lambert vous a donné (რას ქვია რუსი ქალბატონი მინერალურ წყლებზე და... სადაა ის ლამაზი საათი, ლამბერტმა რომ გაჩუქათ? (ფრანგ.).) - მიუბრუნდა ალფონსინა უცებ უმცროსს.

- რაო? ისევ აღარა აქვს საათი? - გაჯავრებით წამოიძახა ლამბერტმა თეჯირს უკან.

- გავანიავეთ, - წაიზმუვლა le grand dadais-მ.

- რვა მანეთად გავყიდე. ვერცხლის საათი იყო, ოქროში დაფერილი, თქვენ კი მითხარით, ოქროსიაო. ეგეთები ახლა მაღაზიაშიც თექვსმეტ მანეთზე მეტი არა ღირს, - უხალისოდ იმართლა თავი უმცროსმა.

- ამას ბოლო უნდა მოეღოს! - უფრო მეტი გაჯავრებით განაგრძო ლამბერტმა.- მე, ჩემო ყმაწვილო მეგობარო, იმიტომ კი არ ვყიდულობ თქვენთვის ტანსაცმელს და იმიტომ კი არ გაძლევთ საუცხოო რამეებს, რომ თქვენს წოწოლა მეგობარს მოახმაროთ... რა ჰალსტუხი ვიყიდ-

ეო?

- მანეთზე მეტი არ მიმიცია; თქვენი ფულით არ მიყიდია. სულ არ ჰქონდა ჰალსტუხი და ქუდიც საყიდელი აქვს.

- რას მიჰქარავთ! - ახლა მართლა ძალზე გაბრაზდა ლამბერტი. - მე ქუდის საყიდლადაც საკმაო ფული მივეცი, მაგან კი მაშინვე ხამანწკებითა და შამპანურით მოილხინა. სუნი ასდის, ისეთი ბინძური ვინმეა; ვერსად გამოაჩენ კაცი. სადილზე რანაირად წავიყვანო?

- ეტლით, - წამოიზმუვლა dadais-მ. - Nous avons un rouble d'argent que nous avons prêté chez notre nouvel ami (ჩვენ გვაქვს ვერცხლის მანეთი, რომელსაც ამ ჩვენს ახალ მეგობარს ვესესხეთ (დამახინჯ. ფრანგ.).).

- არაფერი მისცე მაგათ, - არკადი! — ისევ იყვირა ლამბერტმა.

- მოითმინეთ, ლამბერტ; მე ახლავე მოვითხოვ თქვენგან ათ მანეთს, - გაჯავრდა უცებ ბიჭი იმრიგად, რომ სულ ერთიანად გაწითლდა კიდევაც და ამიტომ უფრო მეტად გალამაზდა. - და აღარასოდეს გაბედოთ ისეთი სისულელის თქმა, რაც ახლა დოლგორუკის უთხარით. მე მოვითხოვ ათ მანეთს, რათა ახლავე მივცე მანეთი დოლგორუკის, დანარჩენით კი ამ წუთში ქუდს ვუყიდი ანდრეევს - აი ნახავთ.

ლამბერტი გამოვიდა თეჯირს იქიდან:

- აჰა სამი ყვითელი ქაღალდი, სამი მანეთიანი, მეტს სამშაბათამდე ვეღარაფერს მიიღებთ და არ გაბედოთ... თორემ...

le grande dadais-მ ხელიდან გამოგლიჯა ფული.

- Dolgorowky, აჰა მანეთი, nous vous rendons avec beaucoup do grâce (გიბრუნებთ მას დიდი მადლობით (ფრანგ.).). პეტია, წავიდეთ! - მიაძახა ამხანაგს, მერე უცებ ის ორი ქაღალდის ფული ზევით ასწია, ფრიალი დაუწყო, თან ჯიქურ მიაჩერდა ლამბერტს და რაც ძალი და ღონე ჰქონდა იღრიალა:

- Oh?, Lambert! où est Lambert, as-tu vu Lambert? (ო, ლამბერტ, სადაა ლამბერტი, არ გინახავს ლამბერტი? (ფრანგ.).)

- არ გაბედო, არ გაბედო! - იღრიალა საშინლად გაცეცხლებულმა

ლამბერტმა; ვხედავდი, რომ ყოველივე ამაში რაღაც მანამდელი იყო, რისაც სრულიად არაფერი ვიცოდი, და განცვიფრებული ვუყურებდი. მაგრამ წოწოლა სულაც არ შეუშინებია ლამბერტის რისხვას; პირიქით, უფრო ძლიერად იღრიალა: ოჰე, ლამბერტ! და ა. შ... ამავე ღრიალით გავიდა კიბეზე. ლამბერტმა გაკიდება დააპირა, მაგრამ მერე მობრუნდა.

- ე, მაგათ მალე სულ კინწისკვრით გავრ-რ-რეკავ! უფრო მეტი მიღირან, ვიდრე მაძლევენ... წამოდი, არკადი! დამიგვიანდა. იქ ერთი კაცი მელოდება... ისიც საჭირო კაცია... გვარიანი პირუტყვია... ესენი სულ პირუტყვები არიან! ვი-გინ-და-ღები, ვიგინდაღები! - წამოიძახა მან კვლავ თითქმის კბილების ღრჭიალით; მაგრამ ერთბაშად მთლად გამოერკვა. - მოხარული ვარ, რომ ბოლოს მაინც მოხვედი. Alphonsine, ფეხი არსად გადგა! წავიდეთ!

კიბესთან მისი კოხტა ცხენ-ეტლი გველოდებოდა; ჩავსხედით; მაგრამ მთელი გზა ისე გავიარეთ, რომ ისევ რაღაც საშინლად გულმოსული იყო იმ ყმაწვილ კაცებზე და ვერ იქნა და ვერ დამშვიდებულიყო. მიკვირდა, ისე სერიოზულად რომ ცხარობდა, მიკვირდა ისიც, რომ ისინი ასე უპატივცემულოდ ეკიდებოდნენ ლამბერტს. ამას კი თითქოს ეშინოდა კიდეც მათი. ბავშვობიდან შესისხლხორცებული შთაბეჭდილებით კვლავ მეგონა, რომ ყველას უნდა შინებოდა ლამბერტისა, რადგან, მთელი ჩემი დამოუკიდებლობის მიუხედავად, უთუოდ იმ წუთში მეც მეშინოდა მისი.

- გეუბნები, ყველანი საშინელი ვიგინდაღები არიან, - არ ცხრებოდა ლამბერტი.: - არ დაიჯერებ: აი იმ მაღალმა არამზადამ ამ სამი დღის უკან გამაწამა ერთ კარგ საზოგადოებაში. გაჩერდა ჩემ წინ და გააბა ყვირილი: „ოჰე, ლამბერტ!“ კარგ საზოგადოებაში! ყველა სიცილით იჭაჭებოდა და ყველამ იცოდა, რომ ამას ფულის გამოსატყუებლად ჩადიოდა - გინახავს ასეთი რამე? მეც ავდექი და მივეცი ფული. ო, ესენი არამზადები არიან! არ დაიჯერებ, იუნკერი იყო პოლკში და გამოაგდეს, თან, - წარმოგიდგენია? - განათლებული კაცია; არც ოჯახშია აღზრდილი; კარგ ოჯახში, გინახავს ასეთი რამე! აზრები აქვს ხოლმე, შეეძლო... ე, ეშმაკმა დალახვროს! ჰერკულესივით ღონიერია. გამოიყენებდა კაცი, ოღონდ ბევრი არაფერი ხეირია. ეგეც არ იყოს, აკი შენი თვალით ნახე: ხელებს არ იბანს. ერთ მოხუც, დიდგვაროვან ქალბატონს წარვუდგინე, მონანიებაშია და სინდისი ისე ქენჯნის, თავის მოკვლას აპირებს-მეთქი, ეს ვაჟბატონი კი მივიდა, დაჯდა და სტვენას მოჰყვა. ის მეორე, ლამაზ-ლამაზი ბიჭი - ერთი გენერლის შვილია; ოჯახ-

მა უარი თქვა მის შვილობაზე, თავს გვჭრისო, მე სასამართლოს გამოვტაცე ხელიდან, გადავარჩინე, ეგ კი აი რითი მიხდის სამაგიეროს. აქ ხომ ხალხი არაა! სულ კინწისკვრით გავრეკავ ყველას, კინწისკვრით!

- მათ ჩემი ვინაობა იციან; შენ უთხარი?

- მომივიდა ეგეთი სისულელე. გეთაყვა, სადილად რომ დავსხდებით, როგორმე გასძელი... იქ კიდე ერთი საშინელი მუდრეგი ვინმე მოვა. აი ის კი მართლა საშინელი მუდრეგია და საშინელი ეშმაკიც; აქ ყველანი რაკალიები (არამზადები, ყალთაბანდები (ფრანგ.).) არიან, ერთი რა არის, ერთ პატიოსან კაცს ვერ ნახავ! თუმცა გავათავებთ საქმეს და მაშინ... რა საჭმელი გიყვარს? თუმცა სულ ერთია, იქ კარგი საჭმელებია. დარდი ნუ გაქვს, მე გპატიჟებ. კარგია, კარგად რომ გაცვია. თუ გინდა, შემიძლია ფული მოგცე. ყოველთვის მოდი ხოლმე, არ დაიჯერებ, ჭამა-სმაზე ჩემთან იყვნენ, ყოველდღე ღვეზელს მიირთმევდნენ; საათი რომ გაყიდა, მეორე შემთხვევაა უკვე? ის პატარა რომაა, ტრიშატოვი - ხომ ნახე; ალფონსინას მისი შეხედვაც კი ზიზღსა ჰგვრის და ახლოს არ იკარებს, - და უცებ რესტორანში, ოფიცრებთან ერთად რომ ვსადილობდით, გამომიცხადა: „ჩიბუხა მინდაო“. მეც მივართვი ჩიბუხა! მაგრამ არ შევარჩენ!

- გახსოვს, ლამბერტ, მოსკოვში მე და შენ სამიკიტნოში რომ წავედით, შენ რომ ჩანგალი მატაკე და ხუთასი მანეთი რომ გქონდა?

- ჰო, მახსოვს! დალახვროს ეშმაკმა, მახსოვს! მე შენ მიყვარხარ. ეს უნდა დამიჯერო. არავის არ უყვარხარ, მე კი მიყვარხარ; ჩემს მეტს არავის უყვარხარ, გახსოვდეს... ის ჩოფურა კაცი, ახლა რომ იქ მოვა — ყველაზე გამოქექილი და ოხერი ვინმეა; თუ ლაპარაკი გაგიბას, ხმა არ გასცე, ხოლო თუ გამოკითხვა დაგიწყო, რამე მოუჩმახე ან გაჩუმდი...

ყოველ შემთხვევაში ლამბერტი ისე იყო აღელვებული, რომ გზაში არაფრის გამოკითხვა არ დაუწყია. შეურაცხყოფილადაც კი ვიგრძენი თავი, ასე დარწმუნებული რომ იყო ჩემში და ეჭვიც კი არ შემპარვია, იქნებ აღარ მენდობაო; მეჩვენებოდა, კვლავ იმ სულელურ აზრზეა, რომ ძველებურად შეუძლია მიბრძანოს-მეთქი. „თანაც რა საშინლად გაუნათლებელი ვინმეა“, - გავიფიქრე, როცა რესტორანში შევდგით ფეხი.

III

იმ რესტორანში, მორსკაიაზე, ადრეც ვყოფილვარ, ჩემი იმ საზიზღარი დაცემისა და გარყვნის დღეებში, ამიტომ უცებ თითქოს ლახვარი ჩამცესო, ისე იმოქმედა იმ შთაბეჭდილებებმა, რაიც შემიქმნეს ამ ოთახებმა, ამ ლაქიებმა, რომლებიც დამაკვირდნენ და მიცნეს ძველი სტუმარი, დასასრულ ლამბერტის მეგობრების იმ იდუმალებით მოცულმა კომპანიამ, რომელშიც ასე ერთბაშად ამოვყავი თავი და თითქოს უკვე განუყოფლად მათ ვეკუთვნოდი, და რაც მთავარია - იმ ბნელმა წინათგრძნობამ, რომ ჩემი ნებით ვებმები რაღაც სისაძაგლეში და უეჭველად ცუდად გავათავებ. ერთი წუთი იყო, კინაღამ წამოვედი; მაგრამ იმ წუთმა განვლო და მეც დავრჩი.

„ჩოფურა“, რომელსაც რატომღაც ასე უფრთხოდა ლამბერტი, უკვე გველოდა. ეს გახლდათ ერთი იმ სულელურად საქმიანი გარეგნობის კაცი, რომელთა ტიპიც ასე მძულს თითქმის პატარაობიდან;ორმოცდახუთი წლისა იქნებოდა, შუა ტანისა, ჭაღარაშერეული, შესაზიზღრად გაპარსული სახე ჰქონდა და პაწია, სწორი და ჭაღარა, შეკრეჭილი ქილვაშები, რომლებიც ორივ მხრივ ძეხვებივით ეკიდა მეტად ბრტყელდა ბოროტ სახეზე. რა თქმა უნდა, ეს გახლდათ ძალზე მოსაწყენი, სერიოზული, სიტყვაძუნწი და, ასე გასინჯეთ, ყველა ამგვარი კაცუნების ჩვეულებისამებრ, რატომღაც ქედმაღალიც. ძალზე ყურადღებით ამათვალიერ-ჩამათვალიერა, მაგრამ სიტყვა არ დაუძრავს, ხოლო ლამბერტი ისეთი ბრიყვი იყო, რომ ერთ მაგიდასთან დაგვსხა და საჭიროდ კი არ ჩათვალა გაგვეცნო ერთმანეთი და, მაშასადამე, იმ ჩოფურას შეეძლო ეფიქრა, ესეც ლამბერტის თანმხლები შანტაჟისტიაო. მთელი სადილის განმავლობაში ხმა არ გაუცია არც იმ ყმაწვილი კაცებისთვის (რომლებიც თითქმის ჩვენთან ერთად მოვიდნენ), თუმცა, ეტყობოდა, ორივეს კარგად იცნობდა. მხოლოდ ლამბერტს ელაპარაკებოდა რაღაცას, იმასაც ჩურჩულით, თანაც თითქმის მხოლოდ ლამბერტი ლაპარაკობდა, ჩოფურა კი მოკლე, გაჯავრებულ და ულტიმატურ პასუხს აძლევდა. თავი ამპარტავნად, ბოროტად და დამცინავად ეჭირა, ლამბერტი კი, პირიქით, დიდად აღგზნებული იყო და, ეტყობოდა, სულ რაღაცას არწმუნებდა, უთუოდ რაღაც საქმეზე უნდოდა დაეყოლიებინა. ერთხელ ხელი გავიწოდე წითელი ღვინის ბოთლისკენ; ჩოფურამ, რომელსაც აქამდე ხმა არ გაუცია ჩემთვის, უცებ ხერესის ბოთლი აიღო და მომაწოდა.

- ეს გასინჯეთ, - მითხრა ბოთლის მოწოდებისას. ახლა მივხვდი უცებ, რომ ალბათ მანაც ყველაფერი იცის - ჩემი ამბავიც, ჩემი ვინაობაც, და იქნებ ისიც, თუ რა იმედებს ამყარებს ჩემზე ლამბერტი. ისევ გამაცოფა იმ აზრმა, ლამბერტის დაქირავებული კაცი ვგონივარ-მეთქი, ლამბერტი კი, როგორც კი ჩოფურა გამომელაპარაკა, საშინლად და სულელურად შეშფოთდა. ჩოფურამ ეს შენიშნა და გაიცინა. „აშკარაა, ლამბერტი ყველას გამოჭერილი ჰყავს“, - გავიფიქრე და იმ წუთში საშინლად მძულდა. ამგვარად, თუმცა მთელი საღამო ყველანი ერთ მაგიდას ვუსხედით, მაგრამ ორ ჯგუფად ვიყავით გაყოფილნი: ფანჯარასთან, პირისპირ მსხდარი ჩოფურა და ლამბერტი, ხოლო აქეთ მე, გაზინზლილი ანდრეევის გვერდით, ჩემს პირდაპირ კი - ტრიშატოვი. ლამბერტი ჩქარობდა სადილს, მსახურს სულის მოთქმას არ აცლიდა, მალე მოგვართვიო. როცა შამპანური მოგვიტანეს, უცებ გამომიწოდა ჭიქა:

- იცოცხლე და გაგიმარჯოს, მოდი ჭიქა მოგიჯახუნო! - წარმოთქვა და შეწყვიტა ჩოფურასთან ლაპარაკი.

- ხომ ნებას მომცემთ მეც მოგიჯახუნოთ ჭიქა? - გადმოიწია მაგიდაზე ლამაზი ტრიშატოვი და თავისი ჭიქა გამომიწოდა. სანამ შამპანურს მოიტანდნენ, რაღაც ძალზე ჩაფიქრებული იყო და ხმას არ იღებდა. dadais ხომ სულ კრინტს არ ძრავდა, ოღონდ ჩუმად და ბევრს ჭამდა.

- სიამოვნებით, - მივუგე ტრიშატოვს; ჭიქები ერთმანეთს მივუჯახუნეთ და გადავკარით.

- მე კი თქვენს სადღეგრძელოს არ დავლევ, - მომიბრუნდა უცებ. dadais, - არ იფიქროთ, თითქოს თქვენი სიკვდილი მინდოდეს, — არ დავლევ, რათა თქვენც აღარ დალიოთ აქ მეტი. - წარმოთქვა მან პირქუშად და მტკიცედ.

- თქვენ სამი ჭიქაც მოგსპობთ. ჩემს დაუბანელ მუშტს მოსჩერებიხართ? - განაგრძო და მუშტი მაგიდაზე დასდო. - არ ვიბან და ამ დაუბანელ მუშტში ვახდევინებ ხოლმე ლამბერტს ქირას, რათა მისთვის საჩოთირო შემთხვევაში თავი გავულეწო ზოგიერთებს. - ეს რომ თქვა, უცებ ისე ღონივრად დაჰკრა მუშტი მაგიდას, რომ თეფშებმა და ჭიქებმა წკრიალი გაიღო. ჩვენს გარდა იმ ოთახში ოთხ მაგიდას უსხდა ხალხი - სულ ოფიცრები და ნაირ-ნაირი ამაყი შესახედაობის ვაჟბატონები იყვნენ. ეს მოდური რესტორანი გახლდათ; მყისვე ყველამ შესწყვიტა ლაპარაკი და ჩვენსკენ მოიხედეს; ესეც არ იყოს, მგონი ჩვენ უკვე კარგა ხანი იყო ცოტა არ იყოს ცნობისმოყვარეობას აღვუძრავდით.

ლამბერტი სულ ერთიანად წამოჭარხლდა.

- ჰა, ისევ დაიწყო! მგონი, გთხოვეთ, ნიკოლაი სემიონოვიჩ, წესიერად მოიქეცით-მეთქი, - გააფთრებით წასჩურჩულა მან ანდრეევსს. ანდრეევმა ნელი და ხანგრძლივი მზერა შეავლო:

- მე არ მინდა, რომ ჩემმა ახალმა მეგობარმა dolgorowky-მ დღეს აქ ბევრი ღვინო დალიოს.

ლამბერტი უფრო მეტად აენთო. ჩოფურა ხმას არ იღებდა, მაგრამ აშკარა სიამოვნებით კი უსმენდა. მას რატომღაც მოეწონა ანდრეევის ქცევა. მარტოკა მე ვერ გამეგო, რატომ არ უნდა დამელია.

- ამას იმიტომ სჩადის, რომ ფული მიიღოს! შვიდ მანეთს მოგცემთ კიდევ, გესმით, ნასადილევს მოგცემთ - ოღონდ გვაცალეთ სადილი, თავს ნუ გვჭრით, - კბილების ღრჭენით უთხრა ლამბერტმა.

- ეგეც შენ! - ზეიმით წაიზმუვლა dadais-მ. მან მთლად აღტაცებაში მოიყვანა ჩოფურა და ბოროტად ახითხითდა.

- გამიგონე, ეს უკვე მეტისმეტია. - შეწუხებით და თითქმის ტანჯვით წაულაპარაკა თავის მეგობარს ტრიშატოვმა, ეტყობოდა, უნდოდა შეეჩერებინა. ანდრეევი გაჩუმდა, მაგრამ მცირე ხნით: მას სხვა ანგარიში ჰქონდა.# ჩვენი მაგიდიდან ხუთიოდ ნაბიჯზე ორი ვაჟბატონი სადილობდა და გაცხოველებით ლაპარაკობდნენ. ორივენი მეტისმეტად საჩოთირო შესახედაობის შუა ხნის კაცები გახლდნენ. ერთი მაღალი იყო და ძალზე მსუქანი; მეორეც მსუქანი იყო, ოღონდ პატარა ტანისა. ორივენი პოლონურად ლაპარაკობდნენ პარიზის ახლანდელ ამბებზე. dadais უკვე კარგა ხანი იყო ცნობისმოყვარეობით შესცქეროდა და ყური იქით ეჭირა. ტანმორჩილი პოლონელი, ეტყობოდა, კომიკურ ფიგურად, ეჩვენა და მაშინვე აითვალწუნა, როგორც ემართებათ ხოლმე ღვარძლიან და ღვიძლით დაავადებულ ადამიანებს, რომლებსაც ასეთი რამ ყოველთვის უცებ და უმიზეზოდაც კი ემართებათ ხოლმე. უცებ ტანმორჩილმა პოლონელმა ახსენა დეპუტატ მადიე'ე დე'მონჟოს სახელი, მაგრამ როგორც ბევრ პოლონელს სჭირს, წარმოთქვა პოლონურად, ესე იგი მახვილი ბოლოდან მეორე მარცვალზე დასვა და მადი'ე დე მონჟო'ს ნაცვლად მა'დიე დე მო'ნჟო გამოვიდა. dadais-საც ეს უნდოდა. მიუბრუნდა პოლონელებს, ყოჩაღად გასწორდა და უცებ დამარცვლით და მკაფიოდ წარმოთქვა, თითქოს ეკითხებაო:

- მა’დიე დე-მო’ნჟო?

პოლონელებმა მრისხანედ მოხედეს.

- რა გნებავთ? - მკაცრად გამოსძახა დიდმა და მსუქანმა პოლონელმა. dadais მცირე ხანს გაჩუმდა.

- მა’დიე დე-მო’ნჟო? - გაიმეორა მან უცებ მთელი დარბაზის გასაგონად და სხვა აღარაფერი უთქვამს ასახსნელად, ზუსტად ისევე, როგორც წეღან მე შემომიტია კართან: dolgorowky? პოლონელები წამოხტნენ, ლამბერტიც წამოიჭრა, ანდრეევთან მივარდნა დააპირა, მერე თავი ანება, პოლონელებთან მიირბინა და დამცირებულად დაუწყო ბოდიშის მოხდა.

- ესენი ტაკიმასხარები არიან. პანე, ტაკიმასხარები! - ზიზღით იმეორებდა აღშფოთებისგან ჭარხალივით გაწითლებული ტანმორჩილი პოლონელი. - მალე აქ აღარც შემოესვლება კაცს! - დარბაზშიც აჩოჩქოლდნენ, გაისმა დრტვინვა, მაგრამ უფრო მეტად იცინოდნენ.

- გადით... გეთაყვათ... წამოდით! - ბუტბუტებდა სულ მთლად თავგზააბნეული ლამბერტი და ცდილობდა როგორმე ოთახიდან გაეყვანა ანდრეევი. ამანაც გამომცდელად შეხედა ლამბერტს და რაკი მიხვდა, ახლა კი მომცემს ფულსო, დათანხმდა უკან გაყოლას. ეტყობოდა, ამგვარი უტიფარი საქციელით ხშირად დაუტყუებია მისთვის ფული. ტრიშატოვმაც დააპირა გადევნება, მაგრამ შემომხედა და დარჩა.

- ახ, რა ცუდი ამბავია! - წარმოთქვა მან და თვალებზე მიიფარა თავისი თლილი თითები.

- ძალზე ცუდი ამბავია, - წაიჩურჩულა ახლა კი გაჯავრებულმა ჩოფურამ. ამასობაში დაბრუნდა თითქმის მთლად ფერმიხდილი ლამბერტი და ხელების ქნევით რაღაცის გაცხარებული ჩურჩული გაუბა ჩოფურას. ჩოფურამ ამასობაში ლაქიას უბრძანა, დააჩქარე ყავის მოტანაო; ზიზღით უსმენდა ლამბერტს; ეტყობოდა, უნდოდა მალე გასცლოდა აქაურობას. და მაინც, კაცმა რომ თქვას, მთელი ეს ამბავი ხომ უბრალო ბავშვური ცელქობა იყო. ტრიშატოვმა თავისი ფინჯანი ყავა აიღო და გვერდით მომიჯდა.

- მე ის ძალიან მიყვარს, - დაიწყო ისეთი გულღია სახით, თითქოს სულ მუდამ ამის ლაპარაკში ვიყავით.

- არ დაიჯერებთ, რა უბედური ვინმეა ანდრეევი. მან სულ გაანიავა თავისი დის მზითევი, და საერთოდ იმ წელს, როცა სამხედრო სამსახურში იყო, სულ შეჭამა რაც რამ ებადათ, და ვხედავ, რარიგ იტანჯება. ხოლო დაუბანელი რომ დადის - ეს სასოწარკვეთილების ბრალია. თანაც საშინლად უცნაური აზრები აქვს: უცებ ადგება და გეტყვით, რომ არამზადა და პატიოსანი ერთი და იგივეა და არაფერი განსხვავება არაა; რომ არც სიკეთე უნდა ჰქნა კაცმა და არც სიგლახე, ან სულ ერთია — შეიძლება სიკეთეც ჰქნა და სიგლახეც, მაგრამ ყველაზე უკეთესი ისაა, რომ თვეობით ტანთ არ გაიხადო და წოლის, ჭამა-სმისა და ძილის მეტი არაფერი აკეთო. მაგრამ მერწმუნეთ - ამას განგებ ამბობს. იცით რას გეტყვით? - მე ისიც კი მგონია, ახლა იმიტომ აამტუტა აქაურობა, რომ უნდა ლამბერტისგან იხსნას თავი. ჯერ გუშინვე მითხრა. არ დაიჯერებთ, ხანდახან ღამღამობით, ან თუ დიდხანს ზის ხოლმე მარტოკა, ტირის, მერედა ნეტავ განახათ, რანაირად ტირის, ეგეთი ტირილი არ მინახავს: აღრიალდება ხოლმე, საშინლად აღრიალდება და, იცით, ეგრე უფრო მეტად საცოდავია... ეგეც არ იყოს, ასეთი დიდი და ღონიერია და უცებ კი ისე აღრიალდება ხოლმე, რა საცოდაობაა, არა? მინდა ვუშველო რამე - მაგრამ მე თვითონ ისეთი ცუდი, ისეთი წყალწაღებული ბიჭი ვარ, არ დაიჯერებთ! შემომიშვებთ თქვენსას, დოლგორუკი, თუ ოდესმე მოვედი?

- ო, მობრძანდით, მე უკვე მიყვარხართ კიდეც.

- განა რითი დავიმსახურე? მაგრამ გმადლობთ. გამიგონეთ, შევსვათ თითო ჭიქა კიდევ. თუმცა რას ვამბობ? სჯობია აღარ დალიოთ. ანდრეევი სიმართლეს გეუბნებოდათ, მეტი აღარ უნდა დალიოთ, - უცებ მნიშვნელოვნად ჩამიკრა თვალი, - მე კი მაინც დავლევ. მე ახლა აღარაფერი მიჭირს, თან, არ დაიჯერებთ, აღარაფერში აღარ შემიძლია თავის შეკავება. აი ახლა რომ მითხრათ, რესტორნებში ვეღარ ისადილებო, ყველაფერს ვიკისრებ, ოღონდ კი ვისადილო. ო, ჩვენ გულწრფელად გვინდა პატიოსნები ვიყოთ, მერწმუნეთ, ოღონდ სულ სახვალიოდ ვდებთ.

წლები კი ჰქრიან, - მერე რა წლები!

ანდრეევის დარდი მაქვს, მეშინია თავი არ ჩამოიხრჩოს. წავა და არავის გაუმხელს. ასეთი კაცია. ახლა ყველა თავს იხრჩობს; ვინ იცის - იქნებ ბევრი არიან ჩვენნაირები? მე, მაგალითად, სიცოცხლე არ შემიძლია, თუ ზედმეტი ფული არა მაქვს. ჩემთვის ეს ზედმეტი ფული უფრო დიდი რამაა, ვიდრე აუცილებელი. ერთი ეს მიბრძანეთ, მუსიკა თუ

გიყვართ? მე საშინლად მიყვარს. როცა გესტუმრებით, რამეს დავუკრავ თქვენთვის. ძალიან კარგად ვუკრავ ფორტეპიანოზე და კარგა ხანს ვსწავლობდი კიდეც. სერიოზულად ვსწავლობდი. მე რომ ოპერას ვწერდე, იცით, „ფაუსტიდან“ ავიღებდი სიუჟეტს. ძალზე მიყვარს ეს თემა. სულ ერთთავად ვქმნი ხოლმე სცენას ტაძარში, ჩემს თავში ვქმნი ხოლმე, წარმოსახვით. გოთური ტაძარი, შიდა ხედი, ქორო, ჰიმნები, შემოდის გრეტჰენი და იცით — შუასაუკუნეობრივი ქორო უნდა იყოს, რათა ნამდვილად მეთხუთმეტე საუკუნე ხმიანობდეს. გრეტჰენს ნაღველი შემოსწოლია გულზე, ჯერ რეჩიტატივი მიდის, წყნარი, მაგრამ საშინელი, მტანჯველი. ქორო კი გუგუნებს კუშტად, სასტიკად, გულცივად:

Dies irae, dies illa! (დღე რისხვისა, დღე იგი! (ლათ.).)

და უცებ - სათაელის ხმა, სათაელის სიმღერა. თვითონ უხილავია, მხოლოდ სიმღერა ისმის ჰიმნების გვერდით, ჰიმნებთან ერთად, თითქმის ერწყმის მათ, და თან სულ სხვა რამაა - როგორმე ასე უნდა გაკეთდეს, გაბმული სიმღერაა, დაუცხრომელი, ტენორი უნდა მღეროდეს, უსათუოდ ტენორი. წყნარად, ნაზად იწყებს: „გახსოვს, გრეტჰენ, ჯერეთ უმწიკვლო, ჯერეთ ბალღი, რომ მოჰყვებოდა დედას ამ ტაძარში და ტიტინებდი ლოცვებს ძველი წიგნიდან?“, მაგრამ სიმღერა თანდათან ძლიერდება, თანდათან უფრო შმაგი, მძაფრი ხდება; ნოტები უფრო და უფრო მაღლა ადის: მათში ისმის ცრემლები, დაუცხრომელი, გამოუვალი ნაღველი და, დასასრულ, სასოწარკვეთილება: „არ არის პატიება, გრეტჰენ, არ არის აქ შენთვის პატიება!“. გრეტჰენს სურს ილოცოს, მაგრამ მკერდიდან მხოლოდღა ყვირილი აღმოხდება — ხომ იცით, მკერდში კრუნჩხვა რომ დაუვლის ხოლმე ადამიანს ცრემლებისგან, - სათაელის სიმღერა კი არ წყდება და არა, უფრო და უფრო ღრმად ესობა გულში, ვით მახვილი, უფრო და უფრო მაღლა ადის - და უცებ წყდება თითქმის ყვირილით: „აღსრულდა ყოველი, დაწყევლილი ხარ!“. გრეტჰენი მუხლებზე ეცემა, ხელებს ერთმანეთს აჭდობს — და აი აქ იქნება მისი ლოცვა, რაღაც ძალზე მოკლე ნახევრად რეჩიტატივი, ოღონდ გულმართალი, შეულამაზებელი, რაღაც უაღრესად შუასაუკუნეობრივი, ოთხი სტრიქონი, ოთხად ოთხი სტრიქონი - სტრადელას (XVII საუკ. მეორე ნახევრის სახელგანთქმული იტალიელი კომპოზიტორი და მომღერალი, უამრავი ორატორიისა და კანტატების ავტორი.) აქვს რამდენიმე ასეთი ნოტი - და უკანასკნელ ნოტს რომ აიღებს - გული შეუწუხდება! ჩოჩქოლი. გრეტჰენს ასწევენ, მიაქვთ - და უცებ ქოროს გუგუნი. დასჭექენ ხმები, გუგუნებს შთაგონებული, ძლევამოსილი, დამთრგუნველი ქორო, რაღაც მსგავსი ჩვენი დორი-ნო-სი-მა ჩინ-მისა (წირვის

საგალობლიდან, „რომელი ქერაბინთა“-დან: „ძღვნის შემწირველთა წესთასა“.) - იმგვარად, რომ ყველაფერი შეირყეს საფუძველში, და ყველაფერი ერთიანდება აღფრთოვანებულ, მოზეიმე საყოველთაო შეძახილში: „ჰოსსანნა!“ - როგორც ყივილი მთელი სამყაროისა; გრეტჰენი კი სულ მიჰყავთ, მიჰყავთ, და აი ამ დროს უნდა დაეშვას ფარდა! არა, იცით რა, რომ შემეძლოს, რაღაცას გავაკეთებდი! მაგრამ ახლა აღარაფერი აღარ შემიძლია, მხოლოდ სულ ერთთავად ვოცნებობ. მე სულ ერთთავად ვოცნებობ, სულ ვოცნებობ; მთელი ჩემი სიცოცხლე იქცა მხოლოდ ოცნებად, ღამითაც კი ვოცნებობ. ახ, დოლგორუკი, წაგიკითხავთ დიკენსის „სიძველეებით სავაჭრო“?

- წამიკითხავს; მერე რა?

- გახსოვთ... დაიცათ, ერთ ჭიქას კიდევ დავლევ, - გახსოვთ იქ ერთი ადგილი ბოლოში, როცა მათ - იმ შეშლილმა მოხუცმა და მშვენიერმა ცამეტი წლის გოგონამ მისმა შვილიშვილმა, თავიანთი ფანტასტიკური გაქცევისა და ხეტიალის მერე, ბოლოს, როგორც იქნა, სადღაც, ინგლისის განაპირას, თავი შეაფარეს რომელიღაც გოთური შუასაუკუნეობრივი ტაძრის ახლოს, და ამ გოგონამ იქ რაღაც თანამდებობა მიიღო, მნახველებს ათვალიერებინებდა ტაძარს... და აი ერთხელ მზე ჩადის, და ის ბავშვი დგას ტაძრის კარიბჭეზე, სულ ერთიანად გასხივოსნებული მზის უკანასკნელი სხივებით, დგას და გასცქერის დაისს, წყნარი, ჩაფიქრებული ჭვრეტა დაუფლებია მის ბავშვურ სულს, მისი სული განცვიფრებულია, ვით რაღაც იდუმალი გამოცანის წინაშე, ვინაიდან ერთიც და მეორეც ხომ იდუმალი გამოცანაა - მზე, ვით ფიქრი ღვთისა, და ტაძარი, ვით ფიქრი ადამიანისა... ხომ ასეა?... ოხ, ვერ გამოვთქვი, ოღონდ უფალს უყვარს ასეთი პირველი ფიქრები ბავშვთაგან... იქვე კი, გოგონას გვერდით, კიბეზე, ზის ის შეშლილი მოხუცი, პაპა, და მიუპყრია მისთვის გაშტერებული მზერა... იცით რა, აქ ისეთი არაფერია, დიკენსის ამ სურათში, სრულიად არაფერი, მაგრამ არასოდეს კი არ დაგავიწყდებათ და ეს დარჩა მთელს ევროპაში - რატომ? აქ მშვენიერებაა! უმანკოებაა! ე! არ ვიცი აქ რა არის, ოღონდ კარგი კია. გიმნაზიაში სულ რომანებს ვკითხულობდი. იცით, სოფელში და მყავს, მარტო ერთი წლითაა ჩემზე უფროსი... ო, ახლა იქ ყველაფერი გაყიდულია და სოფელი აღარ გვაქვს! მე და ჩემი და ვისხედით ტერასაზე, ჩვენი ბებერი ცაცხვების ქვეშ და ვკითხულობდით ამ რომანს, მაშინაც მზე ჩადიოდა, და ჩვენ უცებ თავი ვანებეთ კითხვას და ვუთხარით ერთმანეთს, რომ ჩვენც ისეთივე კეთილნი და მშვენიერები ვიქნებით - მე მაშინ უნივერსიტეტში შესასვლელად ვემზადებოდი და... ახ, დოლგორუკი,

იცით, ყველას აქვს თავისი მოგონებანი!...

და მან უცებ მომადო თავისი ლამაზი თავი მხარზე და — ატირდა. ძალიან, ძალიან შემებრალა. მართალია, ბევრი ღვინო დალია, მაგრამ ისე გულწრფელად და ისე ძმურად მელაპარაკებოდა, ისეთი გრძნობით... უცებ, სწორედ იმ წამში, ქუჩიდან გაისმა ყვირილი და თითების ძლიერი რახუნი ჩვენს ფანჯარაზე (აქ ვეება, მთლიანი ფანჯრები იყო, თანაც პირველი, ქვედა სართულზე, ასე რომ ქუჩიდან შეიძლებოდა დაკაკუნება). ეს გახლდათ გარეთ გაყვანილი ანდრეევი.

- Oh, Lambert! où est Lambert! as-tu vu Lambert? - გაისმა ქუჩიდან მისი ველური ღრიალი.

- ახ, აქ ყოფილა! მაშ არ წასულა? - წამოიძახა ამ ჩემმა ბიჭუნამ და წამოიჭრა.

- მოიტათ ანგარიში! - კბილები დაუღრჭიალა ლამბერტმა მსახურს. როცა ანგარიშს უსწორებდა, ბრაზისგან ხელებიც კი უცახცახებდა, მაგრამ ჩოფურამ არ დაანება თავისი დანახარჯის გადახდა.

- რას ბრძანებთ? აკი მე დაგპატიჟეთ, თქვენ ხომ მიიღეთ ჩემი დაპატიჟება?

- არა, ნება მიბოძეთ, - ამოიღო თავისი საფულე ჩოფურამ. აანგარიშებინა თავისი წილი და ცალკე გადაიხადა.

- მაწყენინებთ, სემიონ სიდორიჩ!

- მე ასე მსურს! - მოუჭრა სემიონ სიდორიჩმა, ქუდს ხელი დაავლო და არავის დამშვიდობებია, ისე მარტოკამ დასტოვა დარბაზი. ლამბერტმა ფული მიუყარა მსახურს და ფაცაფუცით კუდში გამოეკიდა, მეც კი დავავიწყდი, ისე დაიბნა. მე და ტრიშატოვი სულ ბოლოს გამოვედით. ანდრეევი სვეტივით აყუდებულიყო გარეთ და ტრიშატოვს ელოდა.

- არამზადა! - თავი ვეღარ შეიკავა ლამბერტმა.

- აბა, აბა! - შეუტია ანდრეევმა და ხელის ერთი მოსმით თავიდან მოაგლიჯა მრგვალი შლაპა, რომელიც ტროტუარზე გაგორდა. ლამბერტი დამამცირებლად გაქანდა შლაპის ასაღებად.

- Vingt cinq roubles! (ოცდახუთი მანეთი (ფრანგ.).) - აჩვენა ანდრე-

ევმა ტრიშატოვს ქაღალდის ფული, რომელიც წეღან წაღლიტა ლამბ-ერტს.

- გეყოფა, - მიაძახა ტრიშატოვმა. - რა სულ აურზაურსა ტეხ... რა-ტომ წაღლიტე ოცდახუთი მანეთი? შვიდი გვერგებოდა.

- რატომ წავღლიტე? დამპირდა ცალკე ვისადილებთო, ორგიას გა-ვმართავთ, ქალები იქნებიანო, და ქალების მაგიერ კი ჩოფურა მოგვა-ჩეჩა, თანაც ნამდვილად თვრამეტი მანეთის საჭმელიც დამაკარგვინა და გარეთაც გამყინა. შვიდი მანეთი ისედაც გვერგებოდა. - ესეც შენი ოცდახუთი მანეთი.

- დამეკარ-რ-რგეთ ორივენი! - იღრიალა ლამბერტმა. - ორივეს გაგდებთ. თქვენს ოხტში კი მოვალ...

- ლამბერტ, მე გაგდებთ თქვენ და მე მოვალ თქვენს ოხტში! - უყვი-რა ანდრეევმა. - Adieu, mon prince, ღვინოს ნუღარ დალევთ! პეტია, წამოდი! Oh?, Lambert! O? est Lambert? As-tu vu Lambert? - დაიღრია-ლა მან უკანასკნელად და ვეება ნაბიჯებით გაგვეცალა.

- მაშ მე გესტუმრებით, შეიძლება? - საჩქაროდ წამილაპარაკა ტრ-იშატოვმა და თავის მეგობარს დაედევნა.

მე და ლამბერტი მარტოკანი დავრჩით.

- აბა... წავიდეთ! - ამოთქვა მან, თითქოს გაუჭირდა ამოსუნთქვაო, და ცოტა არ იყოს, გაგიჟებულივით იყო.

- სად წავიდეთ? არსადაც არ წამოგყვები! - გამოწვევით მივაძახე.

- რას ქვია არ წამომყვები? - შიშით შეფრთხიალდა ლამბერტი და ერთბაშად გამოფხიზლდა. - რას ამბობ, სულ იმის ნატვრაში ვიყავ, მარტოკანი როდის დავრჩებით-მეთქი!

- სად წამოვიდე? - გამოგიტყდებით, მეც ცოტა არ იყოს შეზარხოშე-ბული გახლდით სამი ჭიქა ღვინისა და ორი სირჩა ხერესისგან.

- აქეთ, აი აქეთ ხედავ?

- მანდ, ხომ ხედავ, ახალი ხამანწკებიო. აწერია. საძაგელი სუნი დგ-ას...

- ეგ იმიტომ, რომ ნასადილევი ხარ, ეს მილიუტინის დუქანია; ხამანწკებს ნუ შევჭამთ, მხოლოდ შამპანურს დაგალევინებ...

- არ მინდა! შენ ჩემი დათრობა გინდა.

- ეგ იმათ გითხრეს; დაგცინოდნენ. შენც უჯერებ არამზადებს!

- არა, ტრიშატოვი არამზადა არაა. უნდა მოგახსენო, რომ მე თვითონაც მაქვს სიფრთხილის შნო!

- ვითომ რაო, საკუთარი ხასიათი გაქვს?

- დიახ, მე მაქვს ხასიათი, შენზე მტკიცე ხასიათი, რადგან შენ პირველსავე შემხვედრს ემონები. თავი მოგვჭერი, პოლონელებს ლაქიასავით ებოდიშებოდი და პატიებას სთხოვდი. ჩანს, ხშირად მიუბეჟიხართ სამიკიტნოებში?

- ჩვენ ხომ სალაპარაკო გვაქვს, შე ბღიყვო! - წამოიძახა მან იმ ზიზღნარევი მოუთმენლობით, რომელიც ლამის ამბობდა: „კუმ ფეხი გამოჰყოო“. - ემანდ ხომ არ გეშინია? მეგობარი ხარ ჩემი თუ არა?

- არაფერი შენი მეგობარი არა ვარ, შენ კი არამზადა ვინმე ბრძანდები. წამოდი, მხოლოდ იმიტომ, რომ დაგიმტკიცო, შენი არ მეშინია. ახ, რა საძაგელი სუნია, ყველის სუნი დგას! რა საზიზღრობაა!

თავი მეექვსე - I

გთხოვთ ერთხელ კიდევ გაიხსენოთ, რომ ცოტა არ იყოს შეზარხოშებული გახლდით; თუ რომ ეს მიზეზი არა, სხვაგვარად ვილაპარაკებდი და სხვარიგად მოვიქცეოდი. ამ დუქანში, უკანა ოთახში. მართლაც შეიძლებოდა ხამანწკებს შექცეოდა კაცი, და ჩვენც მივუსხედით პატარა მაგიდას, რომელსაც საშინლად ჭუჭყიანი სუფრა ეფარა. ლამბერტმა შამპანურის მოტანა უბრძანა; ჩემ წინ გაჩნდა ცივი, ოქროსფერი ღვინით სავსე ჭიქა, რომელიც მაცთუნებლად შემომცქეროდა; მაგრამ მე ჯავრი მომდიოდა.

- იცი რა, ლამბერტ, უმთავრესად ისა მწყინს, რომ შენ გგონია, თითქოს შეგიძლია ახლაც ისევე მიბრძანო, როგორც ტუშართან ყოფნისას, თუმცა შენ თვითონ ყველა აქაურს ემონები და ფეხქვეშ ეგები.

- ბღიყვო! ეო, მოდი ჭიქა მოგიჯახუნო!

- შენ იმის ღირსადაც კი არა მთვლი, რომ თავი მოიკატუნო; დაგეფარა მაინც, რომ ჩემი დათრობა გინდა.

- მიჰქარავ, და მთვრალიცა ხარ. კიდევ უნდა დალიო და უფრო გამხიარულდები. აჰა ჭიქა, გამომართვი!

- რას ჰქვია გამომართვი? სულაც წავალ და, მორჩა, მდიე მერე!

და მართლაც წამოვდექი. ლამბერტი საშინლად გაწყრა:

- ეგ ტრიშატოვმა შეგაგულიანა: ვხედავდი, რომ ჩურჩულებდით. ამის მერე ბღიყვი ხარ და მეტი არაფერი. ალფონსინას ზიზღსა ჰგვრის კიდეც, როცა ეგ მიუახლოვდება ხოლმე... საძაგელი ვინმეა. მე მკითხე, რა კაციცაა.

- ეგ უკვე მითხარი. შენ ალფონსინას მეტი არავინ იცი; ძალზე გონებაშეზღუდული ვინმე ხარ.

- გონებაშეზღუდულიო? - ვერ მიმხვდარიყო ლამბერტი. - ევგენი ახლა ჩოფურას მიეკედლნენ. აი რაშია საქმე! იმიტომაც გავრეკე. ნამუსგარეცხილები არიან. ის ჩოფურა არამზადაა და მაგათაც გააფუჭებს. მე კი მოვითხოვდი ხოლმე, რომ მუდამ კეთილშობილურად მოქცეულიყვნენ.

მე დავჯექი, რაღაც ანგარიშმიუცემლად ავიღე ჭიქა და ერთი ყლუპი მოვსვი.

- მე გაცილებით მაღლა ვდგავარ შენზე განათლებით - ვუთხარი. მაგრამ ლამბერტი სიხარულით გადაირია, ისევ რომ დავჯექი, და მაშინვე ჭიქა შემივსო.

- ხომ გეშინია იმათი? - განვაგრძობდი მის გახელებას (და იმ წუთას, უთუოდ, მასზე უფრო საზიზღარი ვიყავი). - ანდრეევმა ქუდი მოგგლიჯა თავიდან, შენ კი სამაგიეროდ ოცდახუთი მანეთი მიეცი...

- მივეცი, მაგრამ არ შევარჩენ. ამიჯანყდნენ, მაგრამ მოვალ მაგათ ოხტში...

- ძალიან გაღელვებს ის ჩოფურა. იცი რა, მე მგონია, ჩემს მეტი ახლა აღარავინ შეგრჩა. მთელი შენი იმედი და სასოება ახლა მეღა ვარ - ჰა?

- ჰო, არკაშკა, ეგრეა: შენს მეტი მეგობარი აღარ შემრჩა, ეგ კარგად თქვი! - მხარზე ხელი დამკრა ლამბერტმა.

რა გინდა უყო ასეთ გაუთლელ კაცს; სრულიად განუვითარებელი ვინმე გახლდათ და დაცინვა ქებად მიიღო.

- შენ რომ მართლა კარგი ამხანაგი იყო, არკადი, ბევრ ცუდ ამბავს ამაცდენდი, - განაგრძობდა, თან ალერსით მომჩერებოდა.

- რანაირად აგაცდენდი?

- შენ იცი, რანაირად, უჩემოდ ბღიყვივით ხარ და ნამდვილად ჩერჩეტი იქნები, მე კი ოცდაათ ათასს მოგცემდი, სანახევროდ გავიყოფოდით, შენ თვითონ იცი, რანაირადაც. აბა დაიხედე ერთი შენს თავზე, ვინა ხარ და არა ხარ: რაფერი გაგაჩნია — სახელი შენ არა გაქვს და გვარიშვილობა, აქ კი ერთბაშად ამხელა ლუკმა გივარდება პირში; ამოდენა ფული რომ გაგიჩნდება, იცი რა კარიერას დაიწყებ?!

მისმა საქციელმა გამაკვირვა. გუნებაში დარწმუნებული ვიყავ, მელაკუდობას მოყვება-მეთქი, მან კი ასე პირდაპირ, ასე ტინგიცურად დაიწყო. გადავწყვიტე მესმინა მისთვის ჩემი ხოვრიელობისა და... საშინელი ცნობისმოყვარეობის გამო.

- იცი რა, ლამბერტ: შენ ამას ვერ მიხვდები, მაგრამ თანახმა ვარ გისმინო, რადგან მე ხოვრიელი, ფართო ბუნების ადამიანი ვარ, - მტკიცედ განვუცხადე და ისევ მოვსვი ღვინო. ლამბერტმა ხელად შემივსო ჭიქა.

- აი, რას გეტყვი, არკადი: ბიორინგისნაირ კაცს რომ გაველანძღე და ჩემი სათაყვანებელი ქალის თვალწინ ხელი შემოვკრა ჩემთვის, არ ვიცი რას ვუზამდი! შენ კი მოითმინე და მეზიზღები: მჩვარი ხარ და სხვა არაფერი!

- როგორ ბედავ იმის თქმას, რომ ბიორინგმა ხელი შემომკრა! - წამოვიძახე და თან გავწითლდი. - მე უფრო მეთქმის გავარტყი-მეთქი, ვიდრე იმას.

- არაფერიც, იმან შემოგკრა და არა შენ.

- მიჰქარავ, ფეხიც დავადგი!

- სამაგიეროდ მან ხელი წაგკრა და ლაქიებს უბრძანა, გაათრიეთო... ქალი კი იჯდა კარეტაში, გიყურებდა და დაგცინოდა, - მან იცის, რომ მამა არა გყავს და რომ შენი შეურაცხყოფა ადვილია.

- არ ვიცი, ლამბერტ, ჩვენ ისე პატარა ბიჭებივით ვლაპარაკობთ, რომ სირცხვილი მწვავს. განგებ იქცევი ეგრე, რომ გამაბრაზო, თანაც ისე უხეშად და დაუფარავად, თითქოს თექვსმეტი წლის ბიჭი ვიყო. შენა და ანა ანდრეევნამ პირი შეჰკარით! - წამოვიძახე ბრაზით აცახცახებულმა და თან ანგარიშმიუცემლად ვყლურწავდი ღვინოს.

- ანა ანდრეევნა დიდი გაქნილი ვინმეა! ის შენც გაგაცურებს, მეც და მთელ ქვეყანასაც! იმიტომაც გელოდი, რომ შენ უკეთ მოათავებ საქმეს იმ ქალთან.

- რომელ იმ ქალთან?

- მადამე ახმაკოვასთან. მე ყველაფერი ვიცი. შენ თვითონ მითხარი, ეშინია იმ წერილისა, რომელიც მე მაქვსო.

- რომელი წერილი... რასა ჩმახავ... შენ ნახე ის ქალი? - ვბუტბუტებდი შემკრთალი.

- ვნახე. ძალზე ლამაზია. Très belle (მზეთუნახავია (ფრანგ.).), გემ-

ოვნება გქონია.

- ვიცი, რომ ნახე; მაგრამ გამოლაპარაკებას ვერ გაუბედავდი და მე მინდა, რომ არც მის შესახებ ბედავდე ლაპარაკს.

- შენ ჯერ ბავშვი ხარ, ის კი დაგცინის - აი რას გეტყვი! მოსკოვში იყო ერთი ეგეთი განსახიერებული სათნოება: ნეტა გენახა, რა ამპარტავნად ეჭირა თავი! მაგრამ როცა დავემუქრეთ, ყველაფერს დავფქვავთო, იცოცხლე, აკანკალდა და მაშინვე ნებას დაგვყვა; ჩვენ კი ერთიც ავაღლიტეთ და მეორეც: ფულიც და ისიც - ხომ გესმის, რა? ახლა მაღალ საზოგადოებაში ისევ მიუწვდომელია — ეშმაკმა დალახვროს, ისე მაღლა-მაღლა დაფრინავს, ეტლიც ისეთი აქვს, და ნეტავ გენახა, რანაირ საკუჭნაოში მოხდა ის ამბავი! შენ ჯერ ცხოვრებისა არაფერი გაგეგება; რა საკუჭნაოც გინდა იყოს, ეგენი უკან არ დაიხევენ...

- მე ეგ მიფიქრია, - წავიბუტბუტე თავდაუჭერლად.

- თავით ბოლომდე გარყვნილები არიან; შენ არ იცი, რაებს კადრულობენ! ალფონსინა ცხოვრობდა ერთ ეგეთ სახლში და ზიზღით იხრჩობოდა.

- მე ეგ მიფიქრია, - ისევ დავუმოწმე მე.

- შენ კი გიბაჟუნებენ და მაინც გეცოდება...

- ლამბერტ, შენ არამზადა ხარ, წყეულო! - წამოვიძახე უცებ გონმოსულმა და ავკანკალდი. - ყველაფერი ეგ სიზმრად ვნახე. შენ იდექი და ანა ანდრეევნა!... ო, წყეულო! ნუთუ ფიქრობდი, რომ ეგეთი არამზადა ვარ? აკი იმიტომაც გნახე სიზმარში, რომ ვიცოდი, მაგას მეტყოდი. და, დასასრულ, შეუძლებელია ყველაფერი ასე უბრალოდ იყოს, რომ შენ ასე პირდაპირ და უბრალოდ მელაპარაკო იმაზე!

- დახე როგორ გაჯავრდა! ხო-ხო-ხო! - გაბა სიცილითა და ზეიმით. - ჰოდა, ძმაო არკაშკა, ახლა შევიტყვე ყველაფერი, რისი შეტყობაც მინდოდა. ამიტომაც მოგელოდი. გამიგონე, შენ, მაშასადამე, გიყვარს ის ქალი და გინდა შური იძიო ბიორინგზე - აი, ამის გაგება მინდოდა. შენს მოლოდინში რომ ვიყავ, სულ ამის ეჭვი მქონდა. Ceci posé, cela change la question (თუ ეგრეა, მაშინ საქმეც იცვლება (ფრანგ.).). და მით უკეთესი, რადგან მასაც უყვარხარ. მაშ ადექი და ცოლად შეირთე, რაღას უყურებ, ასე სჯობია. სხვაგვარად ვერც მოიქცევი, ნამდვილად სწორ გზას ადგიხარ. ისიც იცოდე, არკადი, რომ შენ გყავს მეგობარი,

ჩემს თავზე გეუბნები, რომელსაც შეგიძლია ზურგზე მოაჯდე. აი ეს მეგობარი დაგეხმარება და ცოლსაც შეგრთავს; ქვესკნელში ჩასვლა რომ დამჭირდეს, ყველაფერს ვიშოვი, არკაშკა! შენ კი სამაგიეროდ გასამრჯელოდ შენს ძველ ამხანაგს ერთი ოცდაათი ათასი აჩუქე, ჰა? მე კი, ეჭვი არ გქონდეს, დაგეხმარები. ყველაფერი ვიცი ეგეთი საქმეებისა, მთელ მზითევს შენ მოგცემენ და შეიქნები კარიერის მქონე, ფულიანი კაცი!

თუმცა თავბრუ მესხმოდა, მაგრამ განცვიფრებული მივჩერებოდი ლამბერტს. ის სერიოზულად მელაპარაკებოდა, ესე იგი ის კი არა, რომ სერიოზულად, მაგრამ აშკარა იყო, რომ სავსებით სწამდა, შესაძლოა ეს ქორწინებაო და, ასე გასინჯეთ, აღტაცებულიც იყო ამ იდეით. ცხადია, ვხედავდი იმასაც, რომ უნდა პატარა ბიჭივით გამომიჭიროს (დანამდვილებით - ვხედავდი მაშინვე); მაგრამ კატერინა ნიკოლაევნასთან ქორწინება ისე მომხვდა გულზე, რომ თუმცა მაკვირვებდა ლამბერტის ამბავი, ეს ფანტაზია რანაირად დაიჯერა-მეთქი, იმავ დროს კი მე თვითონ მაშინვე ვიწამე, თუმცა თან წუთითაც არ დამიკარგავს იმის შეგნება, ეს, რა თქმა უნდა, არასგზით არ მოხდება-მეთქი. ყოველივე ეს რაღაცნაირად შეთავსდა ერთმანეთში.

- განა ეს შესაძლოა? - ამოვილუღლუღე.

- ვითომ რატომ არა? შენ აჩვენებ დოკუმენტს - ისიც დაფრთხება და წამოგყვება, რომ ფული არ დაეკარგოს.

გული გავიმაგრე და არ შევაწყვეტინე ლამბერტს მისი უსინდისო ლაპარაკი, იმიტომ, რომ ისე გულმართლად გადმომილაგა ყველაფერი, ეჭვი არ არის, ფიქრადაც არ მოსვლია, ემანდ უცებ არ აღშფოთდესო; მე მაინც ამოვილუღლუღე, მხოლოდ ძალდატანება თუ იქნა, ეგეთი ქორწინება სულ არ მინდა-მეთქი.

- არაფრის გულისთვის არ მინდა ძალდატანება; რა უნამუსო ხარ, რომ ეგეთი გგონივარ!

- ერთი ამას დამიხედეთ! თვითონ გამოგყვება ცოლად: შენ კი არ ითხოვ, თვითონ დაფრთხება და წამოგყვება. ესეც არ იყოს, ხომ უყვარხარ, - უცებ გონს მოვიდა ლამბერტი.

- მაგას კი მიჰქარავ, მასხარად მიგდებ; საიდან იცი, რომ ვუყვარვარ?

- წყალი არ გაუვა, ვიცი. ანა ანდრეევნაც ეგრე ფიქრობს. ღმერთმანი სერიოზულად გეუბნები, რომ ანა ანდრეევნაც ამას ფიქრობს. ჩემთან რომ მოხვალ, კიდევ ერთ რაღაცას გიამბობ და ნახავ, რომ უყვარხარ. ალფონსინა ცარსკოეში იყო; იქაც შეიტყო...

- იქ რა უნდა შეეტყო?

- აი წამოდი ჩემთან და ნახავ: თვითონ გიამბობს და გესიამოვნება. ან ნეტავ სხვაზე ნაკლები რითი ხარ? სილამაზე არ გაკლია, ზრდილი ყმაწვილი ხარ...

- ჰო, ზრდილი ყმაწვილი ვარ, - წავიჩურჩულე სულშეგუბებულმა. გული ამოვარდნაზე მქონდა და, რა თქმა უნდა, ეს მარტო ღვინის ბრალი არ იყო.

- ლამაზი ხარ, კარგად გაცვია.

- ჰო, კარგად მაცვია.

- კეთილიც ხარ...

- ჰო, კეთილი ვარ.

- ვითომ რატომ არ უნდა დათანხმდეს? სულ ერთია, ბიორინგი უფულოდ არ შეირთავს, შენ კი შეგიძლია ფული დააკარგვინო - ჰოდა დაფრთხება, მაშ რა მოუვა; შენც შეირთავ და ამით შურს იძიებ ბიორინგზე. იმ ღამეს, გაყინული რომ გნახე, აკი შენ თვითონ მითხარი, მე ვუყვარვარო.

- ვითომ გითხარი? უთუოდ სხვანაირად გეტყოდი.

- არა, ასე მითხარი.

- მაშინ ვბოდავდი. დოკუმენტზეც ალბათ მაშინ გითხარი, ხომ?

- ჰო, შენ მითხარი, ასეთი წერილი მაქვსო; მეც ვიფიქრე: თუკი ასეთი წერილი აქვს, ნეტავ თავისას რატომ ჰკარგავს-მეთქი?

- ეგ სულ ფანტაზიებია, და არც ისე ბრიყვი ვარ, რომ დაგიჯერო, - ვბუტბუტებდი მე. — ჯერ ერთი, ის ჩემზე უფროსია, მეორეც - ვერაფერი გვარიშვილი ვარ.

- ნამდვილად წამოგყვება; აბა რატომ არ უნდა წამოგყვეს, როცა ამ-დენი ფული ეკარგება - მაგას მე მოვაგვარებ. თანაც უყვარხარ. ხომ იცი, ის მოხუცი თავადი კარგი თვალით გიყურებს; მისი მფარველობით იცი რა ნაცნობობას გაიჩენ? გვარიშვილობას რომ გაიძახი, ახლა მა-გას ვინღა დაგიდევს: ფულს თუ ააწაპნი - სულ მაღლა-მაღლა წახვალ და ათი წლის მერე ისეთი მილიონერი შეიქნები, მთელ რუსეთს სულ ტკაცატკუცს დააწყებინებ, მაშინ რაღა გვარიშვილობა გინდა? ბარონ-ობას ავსტრიაში იყიდი. ოღონდ როგორც კი შეირთავ, მაშინვე ხელში ჩაიჭირე. მაგათ კარგად უნდა მოუგრიხო კისერი კაცმა. ქალმა თუ შე-იყვარა, ისიც უყვარს, როცა მკაცრად ეპყრობიან. ქალს მამაკაცში ხას-იათი უყვარს. ხოლო წერილით რომ ფეთებას აჩვენებ, იმ საათიდანვე დაანახვებ კიდეც შენს ხასიათს. „ერთი უყურეთ, იტყვის, რა ყმაწვილია და ხასიათი კი ჰქონიაო“.

ჭკუათხელივით ვიჯექი. არასოდეს წავხდებოდი იმ ზომამდე, რომ ვინმე სხვისგან ასეთი სულელური ლაპარაკი მომესმინა. მაგრამ აქ რაღაცნაირი ნეტარი სურვილი მაიძულებდა მესმინა. თანაც ლამბერ-ტი ისეთი ბრიყვი და სულმდაბალი ვინმე იყო, რომ არ შეიძლებოდა მისი შემრცხვენოდა.

- იცი რას გეტყვი, ლამბერტ, - ვუთხარი უცებ - რაც გინდა თქვი, მა-გრამ ძალზე ბევრ სისულელეს ამბობ; მე იმიტომ გელაპარაკებოდი, რომ ამხანაგები ვართ და ერთმანეთისა არ უნდა გვრცხვენოდეს; მა-გრამ სხვა ვინმესთან არაფრის გულისთვის არ დავიმცირებდი თავს. და, რაც მთავარია, რა გულდაჯერებით მარწმუნებ, უყვარხარო? ახლა კარგად თქვი კაპიტალის თაობაზე, მაგრამ იცი რას გეტყვი, ლამბერტ, შენ არ იცნობ მაღალ საზოგადოებას: იქ ასეთი რამეები, ასე ვთქვათ, ყოვლად პატრიარქალურ, გვარიშვილურ ურთიერთობაზეა დამყარე-ბული, ასე რომ ახლა, ვიდრე არ იცის, რისი შნო და უნარი მაქვს ან რას შემიძლია მივაღწიო ცხოვრებაში - ახლა მაინც შერცხვება. მაგრამ არ დაგიმალავ, ლამბერტ, აქ მართლაც არის ერთი, იმედის მომცემი, პუნქტი: ის შეიძლება ცოლად წამომყვეს, იმიტომ რომ მადლიერი იქ-ნება, რომ ვიხსნი ერთი კაცის სიძულვილისგან, მას კი ეშინია იმ კაცი-სა.

- ახ, მამაშენზე ამბობ? ძალიან უყვარს მამაშენს? - არაჩვეულებრი-ვი ცნობისმოყვარეობით აენთო უცებ ლამბერტი.

- ო, არა! - წამოვიძახე. - რა საზარელი და თან რა ყეყეჩი ვინმე ხარ, ლამბერტ! მამაჩემს რომ ყვარებოდა, განა მე გულში გავივლებდი მის

შერთვას; რაც არ უნდა იყოს — მამა და შვილი ვართ, სირცხვილი იქნებოდა. ვერსილოვს დედაჩემი უყვარს, დედაჩემი, მე ვნახე, როგორ მოეხვია დედას, მანამდე კი მეც ვფიქრობდი, კატერინა ნიკოლაევნა უყვარს-მეთქი, მაგრამ ახლა დანამდვილებით ვიცი, რომ იქნებ ოდესმე კი უყვარდა, მაგრამ ახლა რა ხანია სძულს... და უნდა შური იძიოს, კატერინა ნიკოლაევნასაც ეშინია, იმიტომ, რომ, უნდა გითხრა, ლამბერტ, საშინელია ხოლმე, როცა შურისძიებას იწყებს. თითქმის გიჟდება. ვერსილოვი, როცა კატერინა ნიკოლაევნაზე გაჯავრებულია, არაფრის წინაშე არ დაიხევს. ეს ძველი დავაა ამაღლებული პრინციპების გულისთვის. ჩვენს დროში ყველას მიუფურთხებია ამაღლებულ პრინციპებზე; ჩვენს დროში სადღაა ზოგადი პრინციპები, მარტო კერძო შემთხვევებიღაა. ახ, ლამბერტ, არაფერი გაგეგება: ნამდვილად ყეყეჩი ხარ: აი ახლა გელაპარაკები ამ პრინციპებზე, შენ კი, ალბათ, ვერაფერი გაგიგია. საშინლად გაუნათლებელი ხარ. გახსოვს, რომ მცემდი ხოლმე? ახლა მე შენზე ძლიერი ვარ - იცი თუ არა?

- არკაშკა, წამო ჩემსას! ერთად გავატაროთ საღამო და კიდევ ერთი ბოთლი დავცალოთ, ალფონსინა კი გიტარაზე დაამღერებს.

- არა, არ წამოვალ. გამიგონე, ლამბერტ, მე მაქვს „იდეა“. თუ არ გამიმართლა და ვერ შევირთე, მაშინ ჩემს იდეას მივაშურებ; შენ კი არა გაქვს იდეა.

- კეთილი, კეთილი, წამო და მიამბე.

- არ წამოვალ! - ავდექი მე. - არ მინდა და არ წამოვალ. შენსას კი მოვალ, მაგრამ არამზადა ხარ. მოგცემ ოცდაათ ათასს - ჯანდაბას, მაგრამ მე შენზე უფრო წმინდა და მაღალი ვარ... განა არ ვხედავ, რომ გინდა ყველაფერში მომატყუო. ხოლო კატერინა ნიკოლაევნაზე ფიქრსაც კი გიკრძალავ: ის ყველაზე მაღლა დგას, და შენი გეგმები ისეთი სიმდაბლეა, რომ მაკვირვებ კიდეც, ლამბერტ. მე მინდა ცოლის შერთვა — ეს სხვა საქმეა, მაგრამ არაფრად არ მესაჭიროება კაპიტალი, მე მძაგს კაპიტალი. მუხლმოდრეკით რომ შემომაძლიოს თავისი კაპიტალი, არ გამოვართმევ... რაც შეეხება ცოლად შერთვას, ეგ სხვა საქმეა. იცი, ეგ კარგად თქვი, ხელში ჩაიჭირეო. ეგ კარგია — უნდა გიყვარდეს, მხურვალედ გიყვარდეს, მთელი იმ დიდსულოვნებით, რაც მამაკაცს აქვს და რაც არასოდეს არ შეიძლება ჰქონდეს ქალს, მაგრამ თან დესპოტიც უნდა იყო. რადგან, იცი რას გეტყვი, ლამბერტ, - ქალს უყვარს დესპოტიზმი. შენ, ლამბერტ, იცნობ ქალს. მაგრამ სხვა დანარჩენში საოცრად ბრიყვი ხარ. და, იცი, ლამბერტ, სულაც არა ხარ ისეთი საზ-

იზღარი, როგორიც ჩანხარ, შენ - არიფი ხარ. მე შენ ძალიან მიყვარხარ. ახ, ლამბერტ, რატომ ხართ ეგეთი გაიძვერა? მაშინ ისე მხიარულად ვიცხოვრებდით! იცი, ტრიშატოვი ძალზე საყვარელი ბიჭია.

ყველა ეს უკანასკნელი უთავბოლო ფრაზები უკვე ქუჩაში წავილუღლუღე. ო, მე ვიხსენებ ყოველ წვრილმანს, რათა მკითხველმა ნახოს, რომ მთელი ჩემი აღტაცებისა და ყველა იმ ფიცის მიუხედავად, უკეთესი უნდა გავხდე და კეთილსახიერება უნდა ვეძებო-მეთქი, შემეძლო მაშინ ასე ადვილად დავცემულიყავი და თანაც ისეთ სიბინძურეში! და ვფიცავ, სავსებით და სრულად რომ არ ვიყო დარწმუნებული, ახლა სულ სხვა ვარ და პრაქტიკული ცხოვრებით უკვე გამოვიმუშავე მტკიცე ხასიათი-მეთქი, არაფრის გულისთვის არ გამოვუტყდებოდი მკითხველს ყველაფერში.

დუქნიდან რომ გამოვედით, ლამბერტმა ოდნავ მომხვია წელზე ხელი და ვითომ შემეშველა. უცებ შევხედე და დავინახე მისი თითქმის ისეთივე დაჟინებული, დაკვირვებული, საშინლად ყურადღებიანი და უაღრესად ფხიზელი მზერა, როგორიც ჰქონდა მაშინ. იმ დილას, როცა გათოშილი სწორედ ასევე ხელმოხვეული მივყავდი ეტლისაკენ და თან ყურიცა და თვალიც ხარბად მოეპყრო ჩემი უთავბოლო ლუღლუღისთვის. ადამიანებს, რომლებიც თვრებიან, მაგრამ ჯერ მთლად არ გალეშილან, აქვთ ხოლმე სავსებით სრული გამოფხიზლების წუთები.

- არაფრის გულისთვის არ წამოვალ შენთან! - მტკიცედ და მკაფიოდ წარმოვთქვი, თან დაცინვით მივაჩერდი და ხელით მოვიშორე.

- კარგი ახლა, ალფონსინას ვუბრძანებ, ჩაი მოგვართვას, წამოდი!

ლამბერტი საშინლად დარწმუნებული იყო, რომ თავს ვეღარ დავაღწევდი; ის ნეტარებით ხელს მხვევდა და მეშველებოდა, როგორც თავის მსხვერპლს, ხოლო, ცხადია, სწორედ მე ვჭირდებოდი. სწორედ იმ საღამოს და სწორედ იმ მდგომარეობაში! თუ რატომ ვჭირდებოდი - ყველაფერი შემდეგში გაირკვევა.

- არ წამოვალ! - ვიმეორებდი მე. - მეეტლევ!

ბედად მეეტლეც გაჩნდა და მარხილში ვისკუპე.

- საით? რას შვრები! - იღრიალა საშინლად შეშინებულმა ლამბერტმა და ქურქში ჩამავლო ხელი.

- არ გაბედო გამოყოლა! - დავუყვირე. - არ გამომეკიდო.

ამ დროს მარხილი დაიძრა და ჩემი ქურქი ხელიდან დაუსხლტა ლამბერტს.

- მაინც მოხვალ! — მომაძახა გაბოროტებული ხმით.

- მოვალ, თუ მომესურვება - ჩემი ნებაა! — მივუბრუნდი მარხილიდ-ან.

II

რა თქმა უნდა, აღარ გამომკიდებია, იმიტომ, რომ ახლომახლო არსად იყო ეტლი, და მოვასწარი თვალს მივფარებოდი. მე კი მხოლოდ სენნაიამდე მივედი და მარხილი გავუშვი. ძალზე მომინდა ფეხით გავლა. არც დაღლას ვგრძნობდი და არც მაინცდამაინც სიმთვრალეს, საოცარი სიმხნევის მეტს არაფერს ვგრძნობდი; უჩვეულო ენერგიით ავივსე, ყოველნაირი საქმის გაკეთების არაჩვეულებრივი უნარი გამიჩნდა, თან ურიცხვი საამო ფიქრი მიტრიალებდა თავში.

გული გამალებით და მკაფიოდ მიცემდა - ყოველი ფეთქვა მესმოდა. და ყველაფერი ისე საყვარლად, ისე ადვილად მეჩვენებოდა, ჰაუპტვახტას რომ ჩავუარე სენნაიაზე, საშინლად მომინდა მივსულიყავ გუშაგთან და გადამეკოცნა. თოვლი დნებოდა, მოედანი ჩაშავებული იყო და ოხშივარი ასდიოდა, მაგრამ მე მოედანიც ძალიან მომწონდა.

„ახლა ობუხოვის პროსპექტზე გავალ, - ვფიქრობდი მე, - მერე მარცხნივ გავუხვევ და სემიონოვსკი პოლკში ამოვყოფ თავს, შორიდან მოვუვლი, ეს საუცხოოა, ყველაფერი საუცხოოა. ქურქი ხომ გაღეღილი მაქვს - რატომ არავინ გამაძრობს, სად არიან ქურდები? ამბობენ, სენნაიაზე ქურდები არიანო; მოვიდნენ, იქნებ მივცე კიდეც ქურქი. რა ჭირად მინდა ქურქი? ქურქი - საკუთრებაა. La propriété c’est le vol. (საკუთრება - ქურდობა (ფრანგ.).) თუმცა რა სისულელეა, და რა კარგია ყველაფერი. კარგია, რომ დათბა. ყინვა ვის რად უნდა? სულაც არ უნდა იყოს ყინვა. სისულელის ჩმახვაც კარგია. დაიცა, რა ვუთხარი ლამბერტს პრინციპებზე? მე ვუთხარი, სადღაა ზოგადი პრინციპები. ახლა მხოლოდ კერძო შემთხვევებია-მეთქი; ეს კი ტყუილი ვთქვი, თანაც მაგარი ტყუილი! და განგებ ვთქვი, თავი მოვიწონე. ცოტა მრცხვენია, თუმცა - არაფერია, გამოვასწორებ. ნუ გრცხვენიათ, ნუ იწამებთ თავს, არკადი მაკაროვიჩ, არკადი მაკაროვიჩ, მე თქვენ მომწონხართ. მე თქვენ ძალიანაც მომწონხართ, ჩემო ყმაწვილო მეგობარო. აფსუს, რომ პატარა გაიძვერა ხართ... და... და... ოჰ, მართლა... ოჰ!“

ერთბაშად შევჩერდი და გული კვლავ ნეტარებით ამიკვნესდა:

„ღმერთო ჩემო! ის რა მითხრა? მითხრა, უყვარხარო, ო, ის არამზადაა, ბევრი რაღაც მომატყუა; იმიტომ, რომ ღამის გასათევად წავყოლოდი. მაგრამ იქნებ არც მომატყუა. ანა ანდრეევნაც ასე ფიქრობსო...

ვაჰ! სულაც დარია ანისიმოვნა გაუგებდა რამეს: ის ხომ ყველგან დაძვრება. ნეტავ წავყოლოდი! ყველაფერს შევიტყობდი! ჰმ! მას გეგმა აქვს და ამას ძირითძირობამდე მიგრძნობდა გული. მაინც რა იყო ის სიზმარი! კარგა ვეება რამ კი ჩაგიფიქრებიათ, ბატონო ლამბერტ, ოღონდ მიჰქარავთ, ეგრე არ მოხდება. თუმცა იქნებ ეგრეც მოხდეს! იქნებ ეგრეც მოხდეს! განა მას შეუძლია ცოლი შემრთოს? თუმცა იქნებ შეუძლია კიდეც. არიფია და სჯერა. ბრიყვია და უტიფარი, როგორც ყველა საქმის კაცი. ერთად თავმოყრილი სიბრიყვე და უტიფრობა დიდი ძალაა. გამოტყდით, არკადი მაკაროვიჩ, რომ თქვენ მაინც გეშინოდათ ლამბერტისა! ნეტავ რად დასჭირვებია პატიოსანი ხალხი? რა სერიოზულად ამბობდა: აქ ერთი პატიოსანი კაციც არ მოიპოვებაო. შენ თვითონ ვინღა ბრძანდები? ე, რაებს ვამბობ! განა არამზადებს არ ესაჭიროებათ პატიოსანი ხალხი? სხვაზე მეტად სწორედ გაიძვერობაშია საჭირო პატიოსანი ხალხი. ხა-ხა! ოღონდ თქვენ ეს აქამდე არ იცოდით, არკადი მაკაროვიჩ, თქვენი სრული უმწიკვლობის გამო. ღმერთო! ერთიც ვნახოთ და მართლა შემრთო ცოლი!“

მე ისევ შევჩერდი. აქ უნდა გამოვტყდე ერთ სისულელეში (რადგან ეს უკვე დიდი ხნის ამბავია), უნდა გამოვტყდე, რომ მანამდე, დიდი ხნით ადრე მინდოდა ცოლის შერთვა - ესე იგი არ კი მინდოდა, და ეს არც არასოდეს მოხდებოდა (და არც მერე მოხდება, სიტყვას გაძლევთ), მაგრამ მანამდე კარგა ხანი იყო ხშირად მიოცნებია, რა კარგი იქნება ცოლის შერთვა-მეთქი - ესე იგი საშინლად ხშირად, მეტადრე დაძინებისას, ყოველ ღამეს. ეს ამბავი მაშინ დამეწყო, მეთექვსმეტე წელში რომ გადავდექი. გიმნაზიაში ერთი ამხანაგი მყავდა, ჩემი ტოლი ბიჭი, ლავროვსკი - საყვარელი, წყნარი, სანდომიანი ბიჭი იყო. თუმცა, კაცმა რომ თქვას, სხვა არც არაფერი ჰქონია განსაკუთრებული. ხანდახან თითქმის სულ არ ველაპარაკებოდი ხოლმე. ერთხელ როგორღაც ერთად ვისხედით და ძალზე ჩაფიქრებული იყო. უცებ მომიბრუნდა და მეუბნება: „ახ დოლგორუკი, რას იტყვით, კარგი არ იქნებოდა ახლა ცოლის შერთვა? არ ვიცი, ღმერთმანი, როდისღა უნდა შეირთო კაცმა ცოლი, თუ არა ახლა; სწორედ ახლაა საუკეთესო დრო, მარამ რომ არ შეიძლება!“. ისე გულახდით მითხრა. და ერთბაშად სულით და გულით დავეთანხმე, იმიტომ, რომ მეც უკვე ვოცნებობდი რაღაცას. მერე რამდენიმე დღე ზედიზედ ვხვდებოდით ხოლმე ერთმანეთს და სულ ამაზე ვლაპარაკობდით საიდუმლოდ, ეს კია, რომ მხოლოდ ამაზე ვლაპარაკობდით. მერე კი, არ ვიცი რანაირად მოხდა, დავშორდით ერთმანეთს და აღარ ველაპარაკებოდით. აი მას უკან დავიწყე ოცნება. რა თქმა უნდა, არ ღირდა ამის გახსენება, მაგრამ მინდოდა მხოლოდ მეჩვენები-

ნა, თუ რა შორიდან მოდის ხოლმე ზოგჯერ ეს ამბავი...

„აქ ერთი რამაა, რაზეც შეიძლება სერიოზული შემოდავება, - კვლავ ვოცნებობდი მე, თან მივდიოდი. - ო, ცხადია, ეს უმნიშვნელო განსხვავება წლოვანებისა ხელისშემშლელი არაა, მაგრამ აი რა არის: კატერინა ნიკოლაევნა ისეთი არისტოკრატია, მე კი - უბრალოდ დოლგორუკი ვარ! ძალზე ცუდი ამბავია! ჰმ, ვითომ ვერსილოვს არ შეეძლო, დედაჩემს რომ შეირთავდა, ეთხოვნა მთავრობისთვის ნება მიეცათ ვეშვილებინე... ასე ვთქვათ, მამის დამსახურებათა გამო... ხომ მსახურობდა, მაშ დამსახურებანიც ექნებოდა; აკი მომრიგებელი მოსამართლე იყო... ო, დალახვროს ეშმაკმა, რა საძაგლობაა!“

უცებ წამოვიძახე ეს და ერთბაშად, უკვე მესამედ, შევჩერდი, მაგრამ ახლა უკვე თითქოს ადგილზევე მომსპესო. დამეუფლა მტანჯველი გრძნობა დამცირებისა, როცა მივხვდი, რომ შემეძლო მენატრა ასეთი სამარცხვინო რამ — ნეტავ მიშველოს, რომ გვარი შევიცვალო-მეთქი, და მეღალატნა მთელი ჩემი ბავშვობისთვის — ყოველივე ამან თითქმის ერთ წამში მომისპო წეღანდელი განწყობილება და მთელი ჩემი სიხარული კვამლივით გაიფანტა. „არა, ამას ვერავის გავუმხელ, - გავიფიქრე და საშინლად გავწითლდი, - ასე იმიტომ დავმცირდი და წავხდი, რომ... შეყვარებული ვარ და სულელი. არა, თუკი ლამბერტი რამეში მართალია, მხოლოდ იმაში, რომ ახლა აღარავის ესაჭიროება ეს სისულელეები, ახლა, ჩვენს დროში, მთავარია თვით ადამიანი, ხოლო მერე მისი ფულები. ესე იგი - ფულები კი არა, მისი ძლიერება. ასეთი კაპიტალით მე მივაშურებ ჩემს „იდეას“, და ათი წლის მერე მთელს რუსეთს ტკაცატკუცს ავუტეხ და ყველას სამაგიეროს მივუზღავ. კატერინა ნიკოლაევნასთან კი არავითარი ცერემონიები არაა საჭირო, აქაც მართალია ლამბერტი. დაფრთხება და უბრალოდ წამომყვება. ყოვლად უბრალოდ და უხამსად დამთანხმდება და წამომყვება. „შენ არ იცი, არ იცი, რანაირ საკუჭნაოში მოხდა ის ამბავი!“ - გამახსენდა ლამბერტის წეღანდელი სიტყვები. „ესეც მართალია, - ბეჯითად ვიმეორებდი, - ლამბერტი მართალია ყველაფერში, ათასჯერ მართალია, ვიდრე მე და ვერსილოვი და ყველა ეს იდეალისტები! ის რეალისტია. კატერინა ნიკოლაევნა ნახავს, რომ ხასიათი ჰქონია და იყვის: „ოჰო, ამას ხასიათი ჰქონია!“. ლამბერტი არამზადაა, და მარტო იმის დარდი აქვს, რომ ოცდაათი ათასი დამცინცლოს, მაგრამ მაინც მის მეტი მეგობარი არა მყავს. სხვაგვარი მეგობრობა არაა და არც შეიძლება იყოს, ეს სულ იმათი მოგონილია, ვისაც ცხოვრების შნო და ფხა არა აქვს. მე ხომ არც კი ვამცირებ ამით კატერინა ნიკოლაევნას; განა მე მას ვამცირებ? სრუ-

ლიადაც არა: ქალები სულ ასეთები არიან! სად ნახულა ქალი, სულმდაბალი რომ არ იყოს? ამიტომაც უნდა ბატონობდეს მასზე მამაკაცი, ამიტომაც გაუჩენია ქალი ღმერთს დამოკიდებულ არსებად. - ქალი - ბიწია და ცთუნება, მამაკაცი კი - კეთილშობილება და დიდსულოვნება. ასეც იქნება უკუნითი უკუნისამდე. ხოლო მე რომ „დოკუმენტის“ გამოყენებას ვაპირებ - არა უშავს რა. ეს ხელს არ უშლის არც კეთილშობილებას და არც დიდსულოვნებას. ხალასი შილერები არსად უნახავთ - ისინი შეთხზეს. მიზანი იყოს დიადი, თორემ რა უჭირს, პატარა ჭუჭყი თუ გაერევა! მერე ყველაფერი ჩამოირეცხება, გაქარწყლდება. ახლა ეს მხოლოდ ფართოობა, ხოვრიელობაა ადამიანის ბუნებისა, ეს მხოლოდ ცხოვრებაა, მხოლოდ ცხოვრებისეული სიმართლე, - აი რა ეწოდება ახლა ამას!“

ო, ისევ ვიმეორებ: მომიტევონ, თუ აქ თავით ბოლომდე მომყავს მთელი მაშინდელი ნამთვრალევი როტვა. რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ ესენციაა მაშინდელი ფიქრებისა, მაგრამ, მე მგონი, სწორედ ამ სიტყვებით ვლაპარაკობდი კიდეც. უნდა უკლებლივ დამეწერა ყველაფერი, რადგან აკი იმიტომ ჩავუჯექ წერას, რომ განმესაჯა ჩემი თავი. და თუ ამ ჩემს ფიქრებს არ განვსჯი, სხვა რაღა უნდა განვსაჯო? განა ამაზე უფრო სერიოზული რამე იქნება ცხოვრებაში? ღვინო რა გამართლებაა. In vino veritas (ღვინოშია ჭეშმარიტება (ლათ.).).

ასე ოცნებითა და მთლიანად ფანტაზიაში ჩაფლულმა ვერც კი შევამჩნიე, როცა ბოლოს მივაღწიე სახლს, ესე იგი დედაჩემის ბინას. ვერც კი შევამჩნიე, შინ როგორ შევედი; მაგრამ როგორც კი შევდგი ფეხი ჩვენს ერთი ციცქნა დერეფანში, მაშინვე მივხდი, რომ რაღაც უჩვეულო მომხდარიყო. ოთახებში ხმამაღალი ლაპარაკი და წამოძახილები ისმოდა, დედას ტირილიც გავიგონე. კარებში კინაღამ წამაქცია ლუკერიამ, რომელმაც თავგადაგლეჯილმა გაირბინა მაკარ ივანოვიჩის ოთახიდან სამზარეულოში. ქურქი გავიძრე და შევედი მაკარ ივანოვიჩთან, რადგან ყველას აქ მოეყარა თავი.

ვერსილოვი და დედა იქ იდგნენ. დედაჩემი მკლავებზე გადასვენებოდა ვერსილოვს, რომელსაც მაგრად მიეკრა გულზე. მაკარ ივანოვიჩი ჩვეულებისამებრ თავის დაბალ სკამზე იჯდა, მაგრამ რაღაცნაირად დაუძლურებული ჩანდა, ასე რომ ლიზას ხელები მოეხვია მხრებზე და აკავებდა, რომ არ წაქცეულიყო; ეგ კი არა, მოხუცი აშკარად იხრებოდა წასაქცევად. სწრაფად მივუახლოვდი, შევკრთი და მივხვდი: მოხუცი მომკვდარიყო.

ის წუთი იყო, სწორედ ჩემს მოსვლამდე გარდაცვლილიყო. ათი წუთის წინ თურმე ჩვეულებრივად გრძნობდა თავს. მასთან მაშინ მხოლოდ ლიზა ყოფილიყო; ლიზა იჯდა თურმე და ამბობდა თავის სადარდებელს, მაკარ ივანოვიჩი კი, გუშინდელივით, თავზე ხელს უსვამდა. უცებ მოხუცი სულ ერთიანად კანკალს აუტანია (ლიზამ გვიამბო), წამოდგომა დაუპირებია, დაყვირებაც უნდოდა და უსიტყვოდ კი გადაწოლილა მარცხენა მხარეს. „გული გაუსკდა!“ - ამბობდა ვერსილოვი. ლიზას ისე დაეყვირა, რომ მთელი სახლი შეყრილიყო, ყველას მოერბინა - და ეს ყველაფერი მომხდარიყო რაღაც ერთი წუთით ადრე ჩემს მოსვლამდე!

- არკადი! - მომაძახა ვერსილოვმა. - გავარდა ტატიანა პავლოვნასთან, უსათუოდ შინ იქნება. სთხოვე, ახლავე მოვიდეს. ეტლით წადი. ჩქარა, გემუდარები!

თვალები უელავდა - ეს ნათლად მახსოვს. მის სახეში არ შემიმჩნევია არაფერი, მსგავსი ხალასი სიბრალულისა, არც ცრემლები - მხოლოდ დედა, ლიზა და ლუკერია ტიროდნენ. პირიქით, და ეს ძალიან კარგად დამახსოვდა, მის სახეში გაგაოცებდათ რაღაც არაჩვეულებრივი აღგზნება, თითქოს აღტაცება. მე ტატიანა პავლოვნასთან გავქანდი.

როგორც ადრინდელიდან იცით, შორი გზა არ მქონდა. ეტლი არ მიქირავებია, მთელი გზა შეუჩერებლად გავირბინე. ამღვრეული და თან თითქმის აღტაცებული ვიყავ. მესმოდა, რომ რაღაც რადიკალური მოხდა. ხოლო როცა ტატიანა პავლოვნასთან დავრეკე. სიმთვრალის ნიშანწყალიც აღარ დამრჩა და სიმთვრალესთან ერთად გამიქრა ყველა უკეთური აზრი.

ჩუხონელმა ქალმა კარი გამიღო: „შინ არ არის!“ - და უნდოდა მაშინვე მოეხურა.

- რას ქვია შინ არ არის? - ძალით შევვარდი დერეფანში. - შეუძლებელია! მაკარ ივანოვიჩი გარდაიცვალა!

- რაო-ო! - გაისმა უცებ ტატიანა-პავლოვნას ყვირილი სასტუმრო ოთახიდან, რომლის კარიც მოხურული იყო.

- გარდაიცვალა! მაკარ ივანოვიჩი გარდაიცვალა! ანდრეი პეტროვიჩმა გთხოვათ, ახლავე მოდითო.

- მიჰქარავ!...

ურდული გაჩხაკუნდა, მაგრამ კარი მხოლოდ ერთი ბეწოზე გამოიღო: „რა მოხდა, მიამბე!“

- არც მე ვიცი, ეს წუთია მივედი და უკვე მკვდარი იყო. ანდრეი პეტროვიჩი ამბობს, გული გაუსკდაო!

- ახლავე მოვალ, ამ წუთში. გაიქეცი, უთხარი, მოვა-თქო. გასწი, გასწი-მეთქი, გასწი! რაღას უდგეხარ?

მაგრამ ოდნავ გამოღებულ კარში აშკარად ვხედავდი, რომ უცებ ვიღაც გამოვიდა იმ ფარდის იქიდან, რომლის უკანაც ტატიანა პავლოვნას საწოლი იდგა, და დადგა ოთახის სიღრმეში, ტატიანა პავლოვნას უკან. მე ანგარიშმიუცემლად, ინსტინქტურად ჩავავლე ხელი კარს და აღარ დავანებე მოხურვა.

- არკადი მაკაროვიჩ! ნუთუ მართალია, რომ გარდაიცვალა? - მომესმა უცებ ნაცნობი წყნარი, ნარნარი, წკრიალა ხმა, რომლის გაგონებაზე ერთბაშად ამითრთოლდა სულში ყველაფერი: ამ კითხვაში ისმოდა რაღაც, რამაც შესძრა და ააღელვა მისი სული.

- რაკი ეგრეა, - ხელი უშვა ერთბაშად კარს ტატიანა პავლოვნამ, - რაკი ეგრეა, - როგორც გინდათ, ისე მორიგდით. თქვენ თვითონ ისურვეთ და აჰა!

ის სწრაფად გავარდა ბინიდან, გზადაგზა ჩაიცვა ქურქი და მოიხვია თავშალი, და კიბეზე დაეშვა. მარტოკანი დავრჩით. ქურქი გავიძრე, ოთახში შევედი და კარი მოვიხურე. ის იდგა ჩემს წინ, როგორც მაშინ, იმ პაემნისას, სახენათელი და მზერანათელი, და როგორც მაშინ, ორივე ხელი ჩემსკენ გამოეწვდინა. მე, თითქოს რაღაცამ მომცელაო, მის ფერხთით დავეცი.

III

არ ვიცი რატომ და ტირილი წამსკდა; აღარ მახსოვს, როგორ მომისვა გვერდით, ოღონდ ძვირფას მოგონებად ჩამრჩა, თუ როგორ ვისხედით ერთმანეთის გვერდით, ხელიხელჩაკიდებულნი, და სულმოუთქმელად ვლაპარაკობდით; ის მეკითხებოდა, მოხუცისა და მისი სიკვდილის ამბავს, მე კი ვუამბობდი - ასე რომ, შეიძლებოდა ჩემს შემხედვარეს ეფიქრა მაკარ ივანოვიჩს სტირისო, თუმცა ეს სისულელეზე მეტი იქნებოდა; და მე ვიცი, რომ კატერინა ნიკოლაევნა არაფრის გულისთვის გულშიაც არ გაივლებდა, თითქოს ასეთი მთლად ბავშვური უხამსობა მექნებოდა. ბოლოს ერთბაშად გონს მოველ და შემრცხვა. ახლა ვფიქრობ, რომ ჩემი მაშინდელი ტირილის ერთადერთი მიზეზი აღტაცება იყო, და ვფიქრობ, თვითონაც მშვენივრად მიხვდი ამას, ასე რომ ამ მოგონების თაობაზე არხეინად გახლავართ.

უცებ ძალზე უცნაურად მეჩვენა, რომ ასე გულდაგულ მეკითხებოდა მაკარ ივანოვიჩის ამბავს.

- განა თქვენ იცნობდით მას? - ვკითხე განცვიფრებულმა.

- რა ხანია. თვალით არასოდეს არ მინახავს, მაგრამ მან ჩემს ცხოვრებაშიც ითამაშა როლი. ერთ დროს ჩემთვის ბევრი რამ უამბნია მასზე იმ ადამიანს, რომლისაც მე მეშინია, თქვენ იცით, ვინცაა ის ადამიანი.

- მე ახლა მხოლოდ ის ვიცი, რომ „ის ადამიანი“ გაცილებით უფრო ახლოსაა თქვენს სულთან, ვიდრე თქვენ გამიმხილეთ წინათ, - თითქოს ყვედრებით და მოღუშვით ვუთხარი, თუმცა თვითონვე არ ვიცოდი, რისი თქმა მინდოდა ამით.

- თქვენა თქვით, რომ ახლა დედათქვენს ჰკოცნიდა და ეხვეოდა? თქვენი თვალით ნახეთ? - არ მისმენდა და მეკითხებოდა ის.

- დიახ, ვნახე; და მერწმუნეთ, ყოველივე ეს უაღრესად გულწრფელი და დიდსულოვანი იყო! - საჩქაროდ დავუდასტურე, რაკი ვნახე, რა გახარებული იყო.

- ღმერთმა ჰქნას! — პირჯვარი გადაისახა მან. - ახლა ხელფეხგახსნ-

ილია! ის მშვენიერი მოხუცი მხოლოდ ბორკავდა მის ცხოვრებას. მოხუცის სიკვდილის შემდეგ კი მასში კვლავ აღსდგება მოვალეობა და... ღირსება, როგორც მრავალჯერ აღმდგარა კიდეც. ო, ის უწინარეს ყოვლისა დიდსულოვანი ადამიანია, ის გულს დაუმშვიდებს დედათქვენს, რომელიც ყველაზე მეტად უყვარს დედამიწის ზურგზე, ბოლოს, თვითონაც დამშვიდდება და მადლობა ღმერთს - რა ხანია დროა კიდეც.

- ის თქვენთვის ძალიან ძვირფასია?

- დიახ, ძალიან ძვირფასია, ოღონდ არა იმ მიზნით, რა აზრითაც თვითონ ისურვებდა და რა აზრითაც თქვენ მეკითხებით.

- თქვენ ახლა მისთვის შიშობთ თუ თქვენთვის — ვკითხე უცებ.

- ეგ საძნელო კითხვებია, თავი დავანებოთ.

- რა თქმა უნდა, თავი დავანებოთ; ოღონდ მე ეგ არ ვიცოდი, იქნებ ძალზე ბევრი რამეც არ ვიცოდი; მაგრამ დაე ასე იყოს. მართალი ბრძანდებით, ახლა ყველაფერი ახლებურადაა და თუკი ვინმე აღსდგა, ეს მე ვარ. დამნაშავე ვარ თქვენთან, კატერინა ნიკოლაევნა, ემი სულმდაბალი ფიქრებით და იქნებ, სულაც ამ ერთი საათის წინ, საქმითაც სულმდაბლობა გამოვიჩინე თქვენს წინააღმდეგ, მაგრამ იცოდეთ, აი ვზივარ ახლა თქვენს ახლოს და სინდისის არავითარ ქენჯნას არ ვგრძნობ. იმიტომ რომ ახლა ყველაფერი გაქრა და ყველაფერი ახლებურადაა, ხოლო იმ კაცს რომელიც ამ ერთი საათის წინ სულმდაბლობის ჩადენას აპირებდა თქვენს მიმართ, მე არ ვიცნობ და არც მინდა ვიცნობდე!

- გონს მოდით, - გაიღიმა მან, - თქვენ თითქოს ცოტა არ იყოს გაბოდებთ.

- განა შესაძლოა თქვენს გვერდით იჯდეს კაცი და თავისთავის განსჯაში იყოს? - განვაგრძე მე. — გინდ პატიოსანი იყოს. გინდ სულმდაბალი - სულ ერთია, თქვენ მზესავით მიუწვდომელი ხართ... ერთი მიბრძანეთ, რანაირად გამოხვედით ახლა ჩემთან ყოველივე იმის მერე, რაც მოხდა? თქვენ რომ იცოდეთ, რა იყო ამ ერთი საათის, სულ რაღაც ერთი საათის წინ! ან კინაღამ რა სიზმარი უნდა ამხდარიყო!

- ალბათ ყველაფერი ვიცი, - წყნარად გაიღიმა მან, - თქვენ ამ სულ ცოტა ხნის წინ გინდოდათ რაღაცის გამო შური გეძიათ ჩემზე, ფიცი დადეთ, რომ დაგეღუპეთ, და უთუოდ მოჰკლავდით ან იქვე სცემდით ყვ-

ელას, ვინც კი გაბედავდა თუნდაც ერთი ცუდი სიტყვის თქმას ჩემზე.

ო, ის იღიმებოდა და ხუმრობდა, მაგრამ ეს იყო მხოლოდ მისი უდიდესი სიკეთე, რადგან იმ წუთას, როგორც შემდეგ მოვისაზრე, მთელი მისი სული აღსავსე იყო ისეთი ვეება საკუთარი სადარდებლით და ისეთი ძლიერი და ყოვლისშემძლე შეგრძნებით, რომ ჩემთან ლაპარაკი და ჩემს ფუჭ, გამაღიზიანებელ კითხვებზე პასუხის გაცემა მას შეეძლო მხოლოდ ისე, როგორადაც პასუხობენ ხოლმე პაწია ბავშვს რაიმე აბეზარ კითხვაზე, ოღონდ კი თავიდან მოიშორონ. ამას უცებ მივხვდი და შემრცხვა, მაგრამ უკვე აღარ შემეძლო თავის დანებება.

- არა, - წამოვიძახე თავდაუჭერლად, - არა, მე არ მომიკლავს ის, ვინც თქვენზე ცუდს ამბობდა, პირიქით, ავყევი კიდეც!

- ღვთის გულისთვის, არ მინდა, არაა საჭირო, ნურაფერს მიამბობთ, - გამოიწოდა უცებ ხელი, რათა შევეჩერებინე და ტანჯვაც კი აესახა სახეზე, მაგრამ მე უკვე წამოვხტი და წინ დავუდექი, რათა მეთქვა ყველაფერი, და მართლა რომ მეთქვა, არ მოხდებოდა ის, რაც შემდეგ მოხდა, იმიტომ რომ, ალბათ, იმით გავათავებდი, რომ ყველაფერში გამოვუტყდებოდი და დოკუმენტსაც დავუბრუნებდი. მაგრამ მან უცებ გაიცინა;

- არ მინდა, არაფერი არ მინდა, არავითარი წვრილმანები! მე თვითონ ვიცი, რაც რომ დაგიშავებიათ: სანაძლეოს დავდებ, რომ გინდოდათ ჩემი ცოლად შერთვა ან რამე ამდაგვარი, და ეს არის ახლა მოელაპარაკეთ კიდეც ამის თაობაზე რომელიმე თქვენს დამხმარეს, თქვენს ძველს სკოლის ამხანაგს... ახ, მგონი მართლაც მივმხვდარვარ! - წამოიძახა და სერიოზულად დამაცქერდა.

- რანაირად... რანაირად მიხვდით? - ტუტუცურად წავილუღლუღე საშინლად თავზარდაცემულმა.

- ამას რა დიდი მიხვედრა უნდა, მაგრამ კმარა, კმარა! მიპატიებია, ოღონდ თავი დაანებეთ ამას, ნუღარაფერს იტყვით, - კვლავ ხელი ჩაიქნია დაუფარავი მოუთმენლობით. - მე თვითონაც მეოცნებე ვარ და, ნეტავ იცოდეთ, რა გზას არ მივმართავ ხოლმე ჩემს ოცნებებში, როცა ავიწყვეტ! კმარა, სულ სიტყვას მაწყვეტინებთ. ძალიან მიხარია, ტატიანა პავლოვნა რომ წავიდა; ძალიან მინდოდა თქვენი ნახვა, მასთან კი ვერ ვილაპარაკებდით ისე, როგორც ახლა ვლაპარაკობთ. მე მგონია, დამნაშავე ვარ თქვენს წინაშე იმის გამო, რაც მაშინ მოხდა. ხომ? ხომ

ასეა?

- თქვენა ხართ დამნაშავე? მაგრამ მაშინ ხომ მე გაგწირეთ თქვენ მასთან, და — რა უნდა გეფიქრათ ჩემზე! მას უკან მთელი ეს ხანი, მთელი ეს დღეები, ყოველ წუთს ამაზე ვფიქრობდი, ამას ვფიქრობდი და ვგრძნობდი (მე არ მიცრუვნია).

- ტყუილად დაგიტანჯავთ თავი, მაშინვე მშვენივრად მივხვდი, როგორც მოხდებოდა ის ამბავი; გახარებულს უბრალოდ წამოგცდათ მასთან, რომ გიყვარვართ და რომ მე... და რომ მეც გისმენთ ხოლმე. იმიტომაც ხართ ოცი წლისა. თქვენ ხომ ის ყველაზე მეტად გიყვართ ქვეყნად და ეძიებთ მასში მეგობარს, იდეალს? ამას ძალიან კარგად მივხვდი, მაგრამ გვიანღა იყო; ო, დიახ, მაშინ მე თვითონ ვიყავ დამნაშავე; მაშინვე უნდა მომეხმეთ და დამემშვიდებინეთ, მაგრამ ნაწყენი დავრჩი, და ვთხოვე, ნუღარ შემოუშვებთ-მეთქი; ჰოდა ამის ბრალი იყო ის სცენაც, კარებთან რომ მოხდა, და მერე ის ღამეც. და იცით, მთელი ეს ხანი, თქვენი არ იყოს, მეც ვოცნებობდი, რომ როგორმე უჩუმრად შეგხვედროდით, ოღონდ არ ვიცოდი, რანაირად მომეხერხებინა. ახლა არ იკითხავთ, რისი მეშინოდა ყველაზე მეტად? მეშინოდა, რომ დაიჯერებდით, რასაც ჩემზე მოჭორავდნენ.

- არასოდეს! - წამოვიძახე მე.

- მე ვაფასებ ჩვენს ადრინდელ შეხვედრებს; ჩემთვის ძვირფასია თქვენში ჭაბუკი და, იქნებ, აი ეს გულწრფელობაც... მე ხომ ძალზე სერიოზული ხასიათისა ვარ. ყველაზე სერიოზული და ყველაზე დაღვრემილი ხასიათი მაქვს ყველა თანამედროვე ქალთა შორის, იცოდეთ... ხა-ხა-ხა! ჩვენ კიდევ მოვასწრებთ გულის მოჯერებას ლაპარაკით, ახლა კი ცოტა ვერა ვარ ჩემს კანში, აღელვებული ვარ და... მგონი ისტერიკა მაქვს. მაგრამ როგორც იქნა, როგორც იქნა ის მეც მაცლის სიცოცხლეს და აღარ მომიწამლავს წუთისოფელს!

ეს უნებურად წამოსცდა; ამას მაშინვე მივხვდი და არ ვინდომე სიტყვის ატაცება, მაგრამ სულ ერთიანად ავცახცახდი.

- მან იცის, რომ ვაპატიე! - წამოიძახა კვლავ უცებ, თითქოს თავის თავს ეუბნებაო.

- ნუთუ შეგეძლოთ გეპატიებინათ ის წერილი? ან რანაირად უნდა შეეტყო, რომ აპატიეთ? - ვეღარ შევიკავე თავი.

- რანაირად შეეტყო? ო-მან იცის. - განაგრძობდა, მაგრამ იმგვარად, თითქოს დავვიწყნოდი კიდეც და თავის თავს ელაპარაკებოდა. - ის ახლა გამოფხიზლდა. ან კი რანაირად არ ეცოდინებოდა, რომ ვაპატიე, როცა ზეპირად იცის ჩემი სული? მან ხომ იცის, რომ მეც ცოტათი მისებრი ბუნებისა ვარ.

- თქვენა?

- დიახ, და მან იცის. ო, მე გულფიცხი არა ვარ, ძალზე მშვიდი ვარ; მაგრამ მეც, მასავით, ვისურვებდი, რომ ყველანი კარგები იყვნენ... რაღაც ხომ ნახა ჩემში, რაკი შემიყვარა.

- მაშ რანაირადღა ამბობდა, რომ თქვენშია თავმოყრილი, რაც რამ ნაკლი და ბიწიერებაა?

- ეგ ცარიელი სიტყვებია; გულში კი სხვა საიდუმლო აქვს. ხომ ძალზე სასაცილოდ დაწერა ის წერილი?

- სასაცილოდ?! (მე გაფაციცებული ვუსმენდი; ვფიქრობ, მართლაც თითქოს ისტერიკა ჰქონდა და... იქნებ სრულიადაც არასაჩემოდ ლაპარაკობდა; მაგრამ არ შემეძლო თავი შემეკავებინა და არ გამომეკითხა).

- ო, დიახ, სასაცილოდ და რა გულიანად ვიცინებდი, თუ არ... თუ არ მშინებოდა. თუმცა არც ისეთი მშიშარა ვარ, ეს არ იფიქროთ; მაგრამ იმ წერილმა მთელი ღამე არ დამაძინა, თითქოს რაღაც მტკივანი სისხლით იყო ნაწერი... და რაღა დაგრჩენია ადამიანს ისეთი წერილის მერე? მე სიცოცხლე მიყვარს, საშინლად ვშიშობ ჩემი სიცოცხლისთვის, ამაში საშინლად სულმოკლე ვარ... ახ, გამიგონეთ! - მომვარდა უცებ. - წადით მასთან! ის ახლა მარტოა, არ შეიძლება, რომ აქამდე იქ იყოს, და უთუოდ წავიდა სადღაც მარტოკა, საჩქაროდ მონახეთ, აუცილებლად საჩქაროდ მონახეთ, გაიქეცით, აჩვენეთ, რომ მისი მოყვარული ვაჟი ხართ, დაუმტკიცეთ, რომ საყვარელი, კეთილი ბიჭი ხართ, ის ჩემი სტუდენტი ხართ, რომელიც მე... ო, ღმერთმა გაგაბედნიეროთ! მე არავინ მიყვარს, და ეს იქნება უკეთესიცაა, მაგრამ ყველასთვის ბედნიერება მწადია, ყველასთვის, ხოლო მისთვის — სხვაზე მეტად, და დაე შეიტყოს ეს... ნეტავ ახლავე შეიტყოს, ძალიან მესიამოვნებოდა...

ადგა და უცებ მიეფარა ფარდას; იმ წამს სახეზე ცრემლები უკიაფებდა (ისტერიული სიცილის მერე). მარტოკა დავრჩი, აღელვებული და

შემკრთალი. მართლა არ ვიცოდი, რისთვის მიმეწერა მისი ეგზომ მღელვარება, როგორიც ვერასოდეს წარმომედგინა ამ ქალში. თითქოს რაღაც შემეკუმშა გულში.

ვიცადე ხუთი წუთი, ბოლოს - ათიც: უცებ გამაოცა ღრმა სიჩუმემ, გადავწყვიტე გამეხადა კარში და დამეძახნა. ჩემს ძახილზე მარია გამოვიდა და ყოვლად მშვიდი კილოთი გამომიცხადა, ქალბატონმა რა ხანია ჩაიცვა და ეზოდან გავიდაო.

თავი მეშვიდე - I

ესღა მაკლდა. დავტაცე ხელი ჩემს ქურქს, გზადაგზა ვიცვამდი და გამოვვარდი, თან ვფიქრობდი: „მან მიბრძანა, წადი და ნახეო, მერედა სად ვიპოვი?“

მაგრამ, ყველაფრის გარდა, მე შემძრა ერთმა კითხვამ: „რატომ ფიქრობს, რომ ახლა რაღაც დაიწყო და რომ ის აღარ მოუწამლავს სიცოცხლეს? რა თქმა უნდა, - იმიტომ, რომ დედაჩემს შეირთავს, მაგრამ ეს რას ფიქრობს? უხარია, რომ ვერსილოვი დედაჩემს შეირთავს, თუ, პირიქით, სწორედ ამიტომაა უბედური? ამიტომ სჭირს ისტერიკა? რატომ არ შემიძლია ამის გარკვევა?“

ამ მეორე ფიქრს, რომელმაც მაშინ გამიელვა, სიტყვასიტყვით აღვნიშნავ, რომ დაგახსომდეთ: ამ ფიქრს დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს საღამო საბედისწერო გამოდგა. მოდი და ნუ იწამებ განგებას: ასი ნაბიჯიც არ გამივლია დედაჩემის ბინისკენ, რომ უცებ შევეჩეხე, ვისაც ვეძებდი. მან მხარზე ხელი დამტაცა და შემაჩერა.

- შენა ხარ! - წამოიძახა სიხარულით და თან უდიდესი განცვიფრებით. - წარმოიდგინე, შენთან ვიყავი, - აჩქარებით დაიწყო მან, - გეძებდი, გიკითხე - ახლა მთელი დედამიწის ზურგზე სხვა არავინ მჭირდება! შენი მოხელე ღმერთმა უწყის რაების ჩმახვას არ მოჰყვა; მაგრამ აღარ გამოჩნდა და მეც წამოვედი, იმის დაბარებაც დამავიწყდა, მოვა თუ არა, ჩემთან გამოიქცეს-მეთქი - და არ დაიჯერებ: მოვდიოდი და მტკიცედ მწამდა, რომ არ შეიძლება ბედმა არ მომივლინოს შენი თავი ახლა, როცა ყველაზე მეტად შენ მჭირდები, და აი, პირველი შენ არ შემომხვდი?! წამო ჩემსას. ჩემთან ხომ არასოდეს ყოფილხარ...

ერთი სიტყვით, ორივე ერთმანეთს დავეძებდით და თითოეულ ჩვენგანს თითქოს რაღაც მსგავსი შეგვემთხვა. ძალიან ჩქარი ნაბიჯით წავედით.

გზაში მხოლოდ მოკლედ მითხრა, რომ დედა ტატიანა პავლოვნას ანაბარა დატოვა და სხვ... ხელჩაკიდებული მივყავდი. იქვე ახლოს ცხოვრობდა და მალე მივედით. მე, მართლაც, მისას ჯერ არ ვიყავი ნამყოფი. ეს გახლდათ პატარა, სამოთახიანი ბინა, რომელიც დაქირავებული ჰქონდა (ან, უფრო სწორად, ტატიან პავლოვნას ჰქონდა დაქირავებული) მხოლოდ და მხოლოდ იმ „ძუძუთა ბავშვისთვის“. ამ ბინას

ჯერ ადრევეც ტატიანა პავლოვნა პატრონობდა, და აქ ცხოვრობდნენ ძიძა და ჩვილი (ახლა კი დარია ანისიმოვნაც); მაგრამ ყოველთვის იყო ხოლმე ვერსილოვისთვის განკუთვნილი ოთახიც - პირველი, შესასვლელი, საკმაოდ ფართო და საკმაოდ კარგად მოწყობილი რბილი ავეჯით, ოთახი, რომელიც უფრო კაბინეტს ჰგავდა, სადაც შეიძლებოდა წიგნის კითხვა თუ წერა. მართლაც, მაგიდაზე, კარადაში თუ თაროებზე ეწყო აუარება წიგნი (რასაც დედაჩემის ბინაში სულ ვერ ნახავდით); იქვე იყო ნაწერი ქაღალდები, დასტა-დასტად შეკრული წერილები - ერთი სიტყვით, ყველაფერი ისე გამოიყურებოდა, რომ მიხვდებოდით, აქ კარგა ხანია ცხოვრობენ და შეჩვეულანო; დ მე ვიცი, რომ ვერსილოვი ადრეც (თუმცა საკმაოდ იშვიათად) დროებით გადმოსახლებულა ხოლმე აქ და კვირეებითაც კი დარჩენილა. პირველი, რაც თვალში მომხვდა, იყო საწერი მაგიდის თავზე დაკიდებული, დიდებულ ჩუქურთმიან ჩარჩოში ჩასმული პორტრეტი დედაჩემისა - ეს გახლდათ ფოტოგრაფია, რა თქმა უნდა, უცხოეთში გადაღებული და, თუ მისი უჩვეულო სიდიდის მიხედვით განვსჯით, ძალზე ძვირიც დაუჯდებოდა. მანამდე არაფერი ვიცოდი და არც არაფერი გამეგონა ამ პორტრეტზე, და მთავარი, რამაც გამაცვიფრა — ეს გახლდათ ფოტოგრაფიისთვის უჩვეულო მსგავსება, ასე ვთქვათ, სულიერი მსგავსება - ერთი სიტყვით, იტყოდით, ეს ნამდვილი მხატვრის ხელით შესრულებული პორტრეტია და არა მექანიკური ანაბეჭდიო. შევედი თუ არა, მაშინვე უნებურად შევდექ ამ სურათთან.

- ხომ მართალია? ხომ მართალია? - დამძახა უცებ იქვე ვერსილოვმა.

ესე იგი, „ხომ მართლა ძალიან ჰგავსო?“. მოვხედე და გამაოცა მისი სახის გამომეტყველებამ. ცოტათი ფერმიხდილი იყო, მაგრამ ანთებულ, დაძაბულ მზერაში თითქოს ბედნიერება და ძალა გამოუჭვიოდა: ასეთი გამომეტყველება მისთვის მანამდე არასოდეს მენახა.

- არ ვიცოდი, თუ ასე გიყვარდათ დედაჩემი! - სიტყვა მოვუჭერ უცებ მეც აღტაცებით.

მან ნეტარებით გაიღიმა, თუმცა ამ ღიმილში გამოკრთა თითქოს რაღაც ტანჯვით აღსავსე ან, უკეთ რომ ვთქვათ, რაღაც ჰუმანური, უზენაესი... ვერ გამომითქვამს, მაგრამ, ვფიქრობ, უზენაესად განვითარებულ ადამიანებს არ შეუძლიათ ჰქონდეთ ზეიმურად და ძლევამოსილად ბედნიერი სახე. პასუხი არ გაუცია, ორივე ხელით ჩამოხსნა სურათი, ახლოს მიიტანა, აკოცა, მერე ისევ კედელზე დაჰკიდა წყნარად.

- არ დაგავიწყდეს, - მითხრა მან, - ფოტოგრაფიული სურათი ძალზე იშვიათად გამოდის მსგავსი, და ეს გასაგებიცაა: თვითონ ორიგინალიც, ესე იგი თითოეული ჩვენგანი, ძალზე იშვიათად ჰგავს ხოლმე თავის თავს. ძალზე იშვიათია წუთები, როცა ადამიანის სახე გამოჰხატავს მის მთავარ თვისებას, მის ყველაზე უფრო დამახასიათებელ აზრს. მხატვარი სწავლობს სახეს და პოულობს ხოლმე სახის ამ მთავარ აზრს, თუნდაც იმ წუთში, როცა ხატავს, ეს აზრი არც იყოს თვალად. ფოტოგრაფია კი წაასწრებს ხოლმე ადამიანს როგორც არის, და ადვილი შესაძლებელია, რომ ნაპოლეონი ზოგჯერ ყეყეჩი გამოსულიყო, ხოლო ბისმარკი - ნაზი, აქ კი, ამ პორტრეტში, მზემ თითქოს განგებ სონიას წაასწრო მის მთავარ წუთში — მოკრძალებული, მორჩილი სიყვარულისა და მისი ცოტა არ იყოს ველური, დამფრთხალი კდემამოსილების წუთში. ნეტავ გენახა რა ბედნიერი იყო მაშინ, როცა, როგორც იქნა, დარწმუნდა, რომ ასე მწყუროდა მისი პორტრეტი მქონოდა. ეს სურათი არც ისე დიდი ხნის გადაღებულია, მაგრამ მაინც მაშინ უფრო ახალგაზრდა და სანდომიანი იყო; თუმცა მაშინ უკვე ჰქონდა ეს ჩაცვივნული ლოყები, ეს ნაოჭები შუბლზე, გამოხედვის ეს მფრთხალი სიმორცხვე, რომლეიც, რაც ხანი გადის, თითქოს სულ უფრო და უფრო ემატება. დაიჯერებ, ჩემო კარგო? თითქმის ვეღარც წარმომიდგენია ახლა ის სხვანაირი სახისა, და ხომ იყო ისიც ოდესღაც ახალგაზრდა და მშვენიერი! რუსი ქალები მალე უშნოვდებიან, მათი სილამაზე მხოლოდ გაიელვებს ხოლმე და, დამიჯერე, ეს მარტო ტიპის ეთნოგრაფიული თავისებურების ბრალი როდია, ეს იმის ბრალიცაა, რომ მათ თავდადებული სიყვარული იციან. რუსმა ქალმა თუ ვინმე შეიყვარა, მას ანაცვალებს ყველაფერს - წუთსაც, ბედსაც, აწმყოსაც, მომავალსაც: მათ დაზოგვა არ იციან, თავისთვის არაფერს იტოვებენ, და მათი სილამაზეც სწრაფად ეწირება იმას, ვინც უყვართ. ეს ჩაცვივნული ლოყები - ესეც ჩემთვის, ჩემი ხანმოკლე თავშექცევისთვის შემოწირული სილამაზეა. გიხარია, რომ მიყვარდა დედაშენი და იქნებ არც კი გჯეროდა, რომ მიყვარდა? ჰო, ჩემო მეგობარო, ძალიან მიყვარდა, მაგრამ სიავის მეტი მისთვის არაფერი გამიკეთებია... აი კიდევ მეორე პორტრეტი - ესეც ნახე.

მაგიდიდან აიღო და მომაწოდა. ესეც ფოტოგრაფია იყო, გაცილებით მომცრო, თხელ, ოვალურ ხის ჩარჩოში მოქცეული - ქალიშვილის გამხდარი და ჭლექიანი, მაგრამ თან მშვენიერი, ჩაფიქრებული და, იმავ დროს, უცნაურობამდე აზრმოკლებული სახე. თაობების მიერ ნაპატივები ტიპის სწორი ნაკვთები ჰქონდა, მაგრამ ავადმყოფურ შთაბეჭდილებას სტოვებდა: იტყოდით, რომ ამ არსებას ერთბაშად დაუფლ-

ებია რაღაც უძრავი ფიქრი, რომელიც მტანჯველი იყო სწორედ იმიტომ, რომ მის ძალას აღემატებოდა.

- ეს... ეს ის ქალიშვილია, რომლის შერთვაც გინდოდათ იქ და მერე ჭლექით მოკვდა... მისი გერია? - წარმოვთქვი ცოტა არ იყოს მორიდებით.

- ჰო, მინდოდა შემერთო, ჭლექით მოკვდა, მისი გერია. ვიცოდი, რომ შენ იცი... ყველა ეს ჭორი, თუმცა, ჭორებს გარდა აქ ვერც ვერაფერს შეიტყობდი. თავი ანებე მაგ პორტრეტს, ჩემო მეგობარო. ეს ერთი საცოდავი შეშლილია და სხვა არაფერი.

- მთლად შეშლილია?

- ან იდიოტია; თუმცა, მე ვფიქრობ, რომ შეშლილიცაა. მას შვილი ეყოლა თავად სერგეი პეტროვიჩისგან (ესეც შეშლილობით მოუვიდა და არა სიყვარულით; ეს თავად სერგეი პეტროვიჩის ერთი ყველაზე სულმდაბალი საქციელია); ბავშვი ახლა აქაა, იმ ოთახში, და რა ხანია მინდოდა მეჩვენებინა შენთვის. თავადი სერგეი პეტროვიჩი ვერ გაბედავდა აქ სიარულს და ბავშვის ნახვას; ასეთი პირობა ჩამოვართვი ჯერ კიდევ საზღვარგარეთ: ბავშვი დედაშენის ნებართვით წამოვიყვანე ჩემთან. დედაშენის ნებართვით ვაპირებდი მაშინ იმ... საცოდავის ცოლად შერთვასაც...

- განა ეგეთი ნებართვის მოცემა შეიძლება? - წარმოვთქვი ცხარედ.

- ო, დიახ! მან ნება დამრთო; ეჭვიანობენ ქალებზე, და ის ხომ ქალი არ იყო.

- ქალი არ იყო არავისთვის, გარდა დედაჩემისა (ჩემს დღეში არ დავიჯერებ, რომ დედაჩემი არ ეჭვიანობდა! - წამოვიძახე მე.

- და მართალიც იქნები. ამას მაშინ მივხვდი, როცა უკვე ყველაფერი გათავებული იყო, ესე იგი როცა ნება მომცა. მაგრამ თავი დავანებოთ ამას. საქმე ჩაიშალა ლიდიას სიკვდილის გამო, თუმცა, იქნებ, ცოცხალი რომ დარჩენილიყო, მაინც ჩაშლილიყო, დედაშენს კი ახლაც არ ვუშვებ ბავშვთან, ეს მხოლოდ ეპიზოდია. ჩემო კარგო, დიდი ხანია ველოდი შენს აქ მოსვლას. დიდი ხანია ვოცნებობდი, რანაირად შევხვდებოდით აქ ერთმანეთს; იცი, რამდენი ხანია? - აგერ ორი წელიწადია ვოცნებობდი.

მან გულწრფელად და ალალმართლად, თავდავიწყებული გულმხურვალებით შემომხედა. მე ხელზე დავტაცე ხელი:

- მერე რაღას უყურებდით, რატომ მაშინვე არ მიხმეთ? რომ იცოდეთ, რა იქნებოდა... და რა არ იქნებოდა, ადრევე რომ დაგეძახნეთ!

ამ დროს სამოვარი შემოიტანეს, დარია ანისიმოვნამ კი უცებ მძინარე ბავშვი შემოიყვანა.

- დახედე, - მითხრა ვერსილოვმა, - მე მიყვარს ეს ბავშვი და განგებ ახლა ვუბრძანე შემოეყვანათ, რომ შენც გენახა. ახლა კი ისევ წაიყვანეთ, დარია ანისიმოვნა. მოდი, სამოვარს მოუჯექი. წარმოვიდგენ, ვითომ მე და შენ სულ მუდამ ასე ვცხოვრობდით, ერთმანეთს არ დავშორებივართ და ყოველ საღამოს შევიყრებოდით ხოლმე. მაცქერინე შენთვის: აი აქ დაჯექი, რომ შენს სახეს ვხედავდე, როგორ მიყვარს შენი სახე! რანაირად წარმოვიდგენდი ხოლმე შენს სახეს ჯერ კიდევ მაშინ, როცა მოსკოვიდან მოგელოდი! რატომ ადრევე არ მიხმეო, მეუბნები. დაიცა, იქნებ ახლა მიხვდე ამას.

- ნუთუ მხოლოდ იმ მოხუცის სიკვდილი იყო საჭირო, რომ ალაპარაკებულიყავით? უცნაურია სწორედ...

ეს კი ვთქვი, მაგრამ თან სიყვარულით შევცქეროდი. ჩვენ ვსაუბრობდით როგორც ორი მეგობარი, ამ სიტყვის უმაღლესი და სრული მნიშვნელობით. მან მომიყვანა აქ, რათა რაღაც გაერკვია ჩემთვის, ეამბნა, გაემართლებინა. მაგრამ ყოველივე მანამდე გაირკვა და გამართლდა, ვიდრე ლაპარაკს დავიწყებდით. რაც არ უნდა გამეგონა მისგან ახლა — შედეგი უკვე მიღწეული იყო, და ორივემ ვიცოდით ეს, ორივენი ბედნიერები ვიყავით ამით და ასევე შევცქეროდით კიდეც ერთმანეთს.

- იმ მოხუცის სიკვდილი არა, - მიპასუხა მან, - მარტო ეს სიკვდილი არა; სხვა რამეც არის, რაც ახლა ამ ამბავს დაემთხვა... დაილოცოს ეს წუთი და ჩვენი სიცოცხლე მომავალში და ხანგრძლივად! ჩემო კარგო, ვილაპარაკოთ. მე სულ ერთთავად აზრი მიწყდება, ღობე-ყორეს ვედები, მინდა ერთ რამეზე ვილაპარაკო და ათას გარეშე წვრილმანს კი ვაწყდები. მუდამ ასეა, როცა გული პირთამდეა სავსე... თუმცა, ვილაპარაკოთ; დადგა დრო, მე კი რა ხანია შეყვარებული ვარ შენზე, ჩემო ბიჭუნი...

ის თავის სავარძელში გადაწვა და ერთხელ კიდევ შემავლო თვ-

ალი.

- რა უცნაურია! რა უცნაური რამაა ამის გაგონება! — ვიმეორებდი აღტაცებაში ჩაყურყუმელავებული.

და აი მახსოვს, სახეზე უცებ გაუკრთა მისი ჩვეულებრივი, ჩემთვის ესოდენ ნაცნობი ხაზი - ეს იყო ნაღველი და დაცინვა ერთსა და იმავე დროს. მან თავი შეიმაგრა და, თითქოს ლაპარაკი უჭირსო, დაიწყო.

II

- აი რა, არკადი: ადრე რომ მეხმე, აბა რა უნდა მეთქვა შენთვის? ამ კითხვაშია მთელი ჩემი პასუხი.

- ესე იგი, თქვენ გინდათ თქვათ, რომ ახლა დედაჩემის ქმარი ხართ და ჩემი მამა, მაშინ კი... სოციალური მდგომარეობის თაობაზე არ გეცოდინებოდათ რა გეთქვათ ჩემთვის ადრე? ასეა? ნ

- მარტო ამის თაობაზე კი არა, ჩემო კარგო, ბევრ რამეზე ვერაფერს გეტყოდი და დუმილი მომიხდებოდა. ამაში ბევრი რამაა სასაცილოც და დამამცირებელიც, რადგან ფოკუსსა ჰგავს; ღმერთმანი, ნამდვილ საბალაგანო ფოკუსს. აბა ადრე რანაირად გავუგებდით ერთმანეთს, როცა მე თვითონაც ჩემს თავს მხოლოდ დღეს გავუგე, ნაშუადღევის ხუთ საათზე, მაკარ ივანოვიჩის სიკვდილამდე ზუსტად ორი საათით ადრე. უსიამოვნო გაოგნებით შემომჩერებიხარ? ნუ სწუხარ: აგიხსნი ფაქტს; მაგრამ რაც გითხარ, სავსებით სამართლიანია: მთელი სიცოცხლე ხეტიალსა და გაოგნებას მოვანდომე, და უცებ - ყველაფერი გადაწყდა ამა და ამ რიცხვში, ნაშუადღევის ხუთ საათზე! საწყენიც კია, არა? სულ ცოტა ხნის წინათ მართლაც მეწყინებოდა.

მე მართლაც ავადმყოფური გაოგნებით ვუსმენდი; ძალზე იჩინა თავი ვერსილოვის ადრინდელმა რაღაც ნაკვთმა, რომლის დანახვაც აღარ მსურდა იმ საღამოს, იმ სიტყვების მერე, რაც უკვე ითქვა. უცებ წამოვიძახე:

- ღმერთო ჩემო! თქვენ რაიმე მიიღეთ მისგან... ხუთ საათზე, დღეს?

ის დაჟინებით მომაჩერდა და ეტყობოდა, შესძრა ჩემმა წამოძახილმა ან იქნებ სიტყვამაც: „მისგან“.

- ყველაფერს შეიტყობ, - მითხრა მან ჩაფიქრებული ღიმილით, - და, რა თქმა უნდა, რაც სათქმელია, არ დაგიმალავ, იმიტომ რომ სწორედ ამიტომ მოგიყვანე; მაგრამ ჯერ თავი დავანებოთ ამეებს. იცი რა, ჩემო მეგობარო, კარგა ხანია ვიცოდი, რომ ჩვენში არიან ბავშვები, რომლებსაც პატარაობითვე ჩააფიქრებთ ხოლმე თავიანთი ოჯახი, რომლებიც შეურაცხყოფილნი არიან მამათა და თავისი წრის არაკეთილსახიერებით. ჯერ კიდევ სასწავლებელში ვიყავ, როცა შევამჩნიე ამრიგად ჩა-

ფიქრებულნი და მაშინ დავასკვენი, ეს იმის ბრალია, რომ ადრე ხდებიან შურიანები-მეთქი. თუმცა, ალბათ იმიტომ, რომ მეც ერთი ამრიგად ჩაფიქრებული ბავშვი ვიყავ, მაგრამ... მაპატიე, ჩემო კარგო, საოცრად გონებადაფანტული ვარ. მე მხოლოდ იმის თქმა მინდოდა, თუ მთელი ამ ხნის განმავლობაში რა გამუდმებით ვშიშობდი აქ შენს გამო. ყოველთვის წარმოდგენილი მყავდი, როგორც ერთი პატარა, მაგრამ თავისი ნიჭიერების ყადრის მცოდნე და განმარტოებული არსება. შენი არ იყოს, მეც არასოდეს მყვარებია ამხანაგები. ვაი ამ არსებათ, მარტოოდენ თავისი ძალისა და ოცნების ანაბარნი რომ დარჩენილან და კეთილსახიერების მხურვალე, ძალზე ნაადრევი და თითქმის შურისმგებელი, სწორედ „შურისმგებელი“ წყურვილით რომ აღვსებულან, მაგრამ კმარა, ჩემო კარგო: ისევ გადავუხვიე... ჯერ მანამდეც, სანამ შემიყვარდებოდი. უკვე წარმოგიდგენდი ხოლმე შენა და შენს განმარტოებულ, გატყიურებულ ოცნებებს... მაგრამ კმარა; მართალი გითხრა, დამავიწყდა კიდეც, რატომ წამოვიწყე ეს ლაპარაკი! თუმცა ეს მაინც უნდა მეთქვა. ადრე კი, უფრო ადრე, აბა რა უნდა მეთქვა შენთვის? ახლა ვხედავ ჩემზე მოპრობილ შენს მზერას და ვიცი, რომ შემომცქერის ჩემი ვაჟი; მე ხომ ჯერ გუშინაც ვერ დავიჯერებდი, რომ ოდესმე აი ასე ვიჯდებოდი და ვესაუბრებოდი ჩემს ბიჭუნას.

ის, მართლაც, ძალზე გონებადაფანტული და თანაც თითქოს რაღაცით გრძნობამორეულიც ხდებოდა.

- ახლა აღარ მჭირდება ოცნება და ზმანება, ახლა თქვენც მეყოფით! მე თქვენ გამოგყვებით! - წარმოვთქვი აღტაცებით.

- გამომყვები? მე კი დავასრულე ჩემი ხეტიალი - და სწორედ დღეს დავასრულე: დაგაგვიანდა, ჩემო კარგო. დღეს — უკანასკნელი მოქმედების ფინალია და ფარდაც ეშვება. ეს უკანასკნელი მოქმედება კარგა ხანს გაჭიანურდა. ძალზე დიდი ხანია დაიწყო - მაშინ, როცა უკანასკნელად გავიქეცი საზღვარგარეთ. მაშინ მე ყველაფერი მივატოვე და იცოდე, ჩემო კარგო, რომ მაშინ გავეყარე დედაშენს და მასაც გამოვუცხადე ეს ამბავი. ეს უნდა იცოდე. ავუხსენი მაშინ, რომ საუკუნოდ მივდივარ, რომ ვერასოდეს ვეღარ მიხილავს. ყველაზე უარესი ის იყო, რომ ფულის დატოვებაც კი დამავიწყდა. არც შენ გამხსენებიხარ თუნდაც ერთი წუთით. იმ განზრახვით წავედი, ჩემო კარგო, რომ ევროპაში დავრჩენილიყავ და შინ აღარასოდეს დავბრუნებულიყავ. ემიგრაციაში წავედი.

- გერცენთან? საზღვარგარეთის პროპაგანდაში მონაწილეობის

მისაღებად? თქვენ ალბათ მთელი თქვენი სიცოცხლე რომელიმე შეთქმულების მონაწილე იყავით? - თავი ვეღარ შევიკავე და წამოვიძახე.

- არა, ჩემო მეგობარო, არავითარი შეთქმულების მონაწილე არ ვყოფილვარ. როგორ გაგიბრწყინდა თვალები; მიყვარს ეგ შენი წამოძახილები, ჩემო კარგო. არა, მაშინ მხოლოდ სევდამ წამიყვანა, უეცარმა სევდამ. ეს იყო რუსი აზნაურის სევდა - ღმერთმანი, უკეთ ვერ გამომითქვამს - აზნაურის სევდა - და სხვა არაფერი.

- ბატონყმობა... ხალხის გათავისუფლება? - წავილუღლუღე სულშეგუბებულმა.

- ბატონყმობაო? შენ გგონია, ბატონყმობაზე დამწყდა გული? ვერ ავიტანე ხალხის გათავისუფლება? ო, არა, ჩემო მეგობარო, გამათავისუფლებლები ხომ ჩვენვე ვიყავით. გაბოროტებული კი არ წავსულვარ ემიგრაციაში. სწორედ იმ ხანებში მომრიგებელ შუამავლად ვიყავ და თავს ვაკლავდი საქმეს; უანგაროდ ვაკლავდი თავს და ისიც კი არ ყოფილა მიზეზი ჩემი წასვლისა, რომ ცოტა მივიღე ჩემი ლიბერალიზმის საზღაურად. მაშინ ჩვენ არავის არ მიგვიღია არაფერი, ესე იგი ისევ ისეთებზე გეუბნები, როგორიც მე ვიყავ. ჩემი წასვლა უფრო სიამაყის წასვლა იყო, ვიდრე სინანულისა, და, მერწმუნე, ფიქრადაც არ მომსვლია: ახლა კი დროა, ჩემი დღე და წუთისოფელი უბრალო ხარაზად დავასრულ-მეთქი. Je suis gentilhomme avant tout et je mourrai gentilhomme! (მე უწინარეს ყოვლისა აზნაური ვარ და აზნაურადვე მოვკვდები. (ფრანგ.).) მაგრამ მაინც სევდა მაწვა გულზე. ასეთები რუსეთში ათასი კაცი თუ ვიქნებოდით; მართლაც, იქნებ, ამაზე მეტი არც ვიყავით, მაგრამ ეს ხომ ძალიანაც საკმარისია, რათა იდეა არ მოკვდეს. ჩვენ იდეის მატარებლები ვიყავით, ჩემო კარგო! ჩემო მეგობარო, გელაპარაკები და რაღაც უცნაური იმედი მავსებს, რომ მიმიხვდები მთელს ამ აბდაუბდას. გულის ახირება იყო, შენ რომ მოგიხმე: რა ხანია ოცნებით წარმომედგინა, თუ რანაირად გეტყოდი რამეს... შენ, სწორედ შენ გეტყოდი! თუმცა... კაცმა რომ თქვას...

- არა, ილაპარაკეთ — წამოვიძახე მე, - თქვენს სახეზე კვლავ გულწრფელობას ვხედავ... მერე, ევროპამ განგაახლათ მაშინ? ან რა არის ეგ თქვენი „აზნაურის სევდა“? მაპატიეთ, გეთაყვათ, ჯერ არ მესმის.

- ევროპამ თუ განმაახლა? მაგრამ მე თვითონ ხომ იმიტომ გავემგზავრე მაშინ, რომ დამესამარებინა ევროპა.

- დაგესამარებინათ? - გავიმეორე განცვიფრებულმა.

მან გაიღიმა.

- არკადი, მეგობარო, ახლა გრძნობა მომერია და ავღელდი. არასოდეს არ დამავიწყდება ევროპაში მაშინდელი ყოფნის პირველი წუთები. ევროპაში წინათაც მიცხოვრია, მაგრამ მაშინ განსაკუთრებული დრო იყო და მანამდე არასოდეს არ ჩავსულვარ იქ ისეთი უნუგეშო სევდითა და... ისეთი სიყვარულით, როგორც იმხანად. გიამბობ ჩემს მაშინდელ ერთ-ერთ პირველ შთაბეჭდილებას, ჩემს ერთ მაშინდელს სიზმარს, მართლაც რომ სიზმარს. ეს ჯერ კიდევ გერმანიაში მოხდა. ის იყო დრეზდენი დავტოვე და უგულისყურობით გავცდი იმ სადგურს, საიდანაც ჩემს გზაზე უნდა გადამეხვია, და სულ სხვა ხაზზე ამოვყავი თავი. მყისვე გადმომსვეს მატარებლიდან; ნაშუადღევის სამი საათი იქნებოდა, მზიანი დღე იდგა. ეს იყო ერთი პატარა გერმანული ქალაქი. სასტუმრო მიმასწავლეს. უნდა მეცადინა: შემდეგი მატარებელი ღამის თერთმეტ საათზე გადიოდა. კმაყოფილიც კი ვიყავ თავს გადახდენილით, რადგან მაინცდამაინც არსად მიმეჩქარებოდა. მე ხომ დავეხეტებოდი, ჩემო მეგობარო, დავეხეტებოდი. სასტუმრო ყოვლად უმსგავსი და ერთი ციცქნა იყო, მაგრამ მთლიანად მწვანეში იყო ჩაფლული და ირგვლივ ყვავილნარი მიყვებოდა, როგორც მუდამ იციან ხოლმე გერმანელებმა. ერთი პაწია ოთახი მომცეს და რადგან მთელი ღამის ნამგზავრი ვიყავ, ნასადილევს, ნაშუადღევის ოთხ საათზე, დავიძინე.

სავსებით მოულოდნელი რამ მესიზმრა. ასეთი სიზმარი მანამდე არასოდეს მინახავს. დრეზდენის გალერეაში არის კლოდლორენის სურათი, კატალოგის მიხედვით „ასისი და გალათეა“ ჰქვია; მე კი, არ ვიცი, რატომ, იმ სურათს მუდამ „ოქროს ხანას“ ვეძახდი. ადრეც მენახა, ახლა კი, სამიოდე დღის წინათ, გზად გავლისას, კიდევ ერთხელ მომხვდა თვალში. სწორედ ეს სურათი დამესიზმრა, მაგრამ როგორც სურათით კი არა, - ვითომ რაღაც ნამდვილი ამბავი იყო, თუმცა არც ვიცი, სახელდობრ რა მესიზმრა; ზუსტად ისე ვნახე, როგორც სურათშია — საბერძნეთის არქიპელაგის ერთი კუთხე, თან ვითომ დროც სამი ათასი წლით უკან გადაწეულიყო; ლაჟვარდისფერი, მოალერსე ტალღები, კუნძულები და სალი კლდეები, აყვავებული სანაპირო, შორეული ჯადოსნური პანორამა, ჩამავალი მზე, რომელიც თითქოს მიხმობდა - ენა ვერ იტყვის, რა სანახაობა იყო. აქ ახსოვს ევროპის კაცობრიობას თავისი აკვანი.

და ამის ფიქრმა მეც აღმავსო ისეთი სიყვარულით, თითქოს ჩემს

მშობლიურ მხარეს ვხედავდი. აქ იყო კაცობრიობის ამქვეყნიური სამოთხე: ღმერთები ეშვებოდნენ ზეცით და ადამიანებს უმოყვრდებოდნენ... ო, აქ მშვენიერი ადამიანები ცხოვრობდნენ! ისინი იღვიძებდნენ და იძინებდნენ ბედნიერნი და უცოდველნი; ველებსა და ჭალებში გაისმოდა მათი სიმღერა და მხიარული ყიჟინა; უხვად მომადლებული უკლები ძალები სიყვარულსა და გულმართალ სიხარულს ხმარდებოდა. მზე შეჰხაროდა თავის მშვენიერ შვილებს და აფრქვევდა მათ სითბოსა და სინათლეს... საუცხოო სიზმარია, კაცობრიობის მაღალი ცთომილება! ოქროს ხანა - ყველაზე უფრო დაუჯერებელი ოცნებაა, როგორიც კი ოდესმე ყოფილა, მაგრამ რომელსაც ადამიანები სწირავდნენ მთელს თავის სიცოცხლეს და მთელს თავის ძალას, რომლისთვისაც კვდებოდნენ და იხოცებოდნენ წინასწარმეტყველნი, ურომლისოდაც ხალხებს არ სურთ სიცოცხლე და ურომლისოდაც სიკვდილიც კი არ შეუძლიათ! და მთელი ეს შეგრძნება მე თითქოს იმ სიზმარზე განვიცადე; როცა გამეღვიძა და გავახილე ცრემლით მონამული თვალები, თითქოს კვლავ ვხედავდი იმ კლდეებსა და ზღვას, იმ ჩამავალი მზის ირიბ სხივებს. მახსოვს, გახარებული ვიყავ. მანამდე უცნობი ბედნიერების განცდამ ისე დამიარა გულში, რომ მეტკინა კიდე

; ეს იყო ზოგადკაცობრიული სიყვარული. კარგა მოსაღამოვებულიყო; ჩემი პაწია ოთახის სარკმელში, სარკმლის რაფაზე მდგარი ყვავილების სიმწვანეში, ატანდა ირიბი სხივების კონა და შუქს მაფრქვევდა. და აი, ჩემო მეგობარო, აი - ევროპის კაცობრიობის იმ პირველი დღის ჩამავალი მზე, რომლეიც სიზმრად ვნახე, ცხადში, გაღვიძებისთანავე, იქცა ჩემთვის ევროპის კაცობრიობის უკანასკნელი დღის ჩამავალ მზედ! მაშინ განსაკუთრებით დაჰგუგუნებდა ევროპას გლოვის ზარი. ამას მარტო ომზე არ ვამბობ და არც ტიუილრიზე; უამისოდაც ვიცოდი, რომ ყოველივე გარდავა, ძველი ევროპული სამყაროს მთელი სახება - ადრე თუ გვიან; მაგრამ მე, როგორც რუს ევროპელს, არ შემეძლო ამის დაშვება. დიახ, მაშინ მათ ის იყო ცეცხლს მისცეს ტიუილრი... ო, ნუ სწუხარ, მე ვიცი, რომ ეს „ლოგიკური“ იყო, და მეტად კარგად მესმის მიმდინარე იდეის მოუგერიებლობა, მაგრამ, როგორც უზენაესი რუსული კულტურული აზრის მატარებელს, არ შემეძლო ამის დაშვება, ვინაიდან უზენაესი რუსული აზრი იდეათა ყოვლისშემრიგებლობა გახლავს. ან კი ვის შეეძლო მაშინ მთელს დედამიწის ზურგზე ამ აზრის გაგება: მე მარტოკა დავეხეტებოდი. პირადად ჩემზე კი არ გეუბნები - რუსულ აზრზე მოგახსენებ ამას. იქ იყო ლანძღვა-ჩხუბი და ლოგიკა; იქ ფრანგი მხოლოდ ფრანგი იყო და გერმანელი - მხოლოდ გერმანელი, და ეს ხდებოდა ისეთი დაძაბულობით, როგორიც არ ახსოვს

მთელს მათს ისტორიას; მაშასადამე, არასოდეს ფრანგს იმდენი ვნება არ მოუტანია საფრანგეთისთვის, როგორც გერმანელს - თავისი გერმანიისთვის, რამდენიც სწორედ იმხანად! მაშინ მთელს ევროპაში ერთ ევროპელსაც ვერ ნახავდი! ყველა ამ მეპეტროლეთა (1871 წლის მაისში, ვერსალელების კონტრრევოლუციურ არმიასთან კომუნარების უკანასკნელი ბრძოლების დროს, დაიწვა) შორის მარტოკა მე შემეძლო დაუფარავად მეთქვა მათთვის, რომ მათი ტიუილრი - შეცდომაა; და ყველა ამ შურისმგებელ კონსერვატორთა შორის მარტოკა მე შემეძლო მეთქვა შურისმგებლებისთვის, რომ ტიუილრი - თუმცა დანაშაულია, მაგრამ მაინც ლოგიკაა. და ეს იმიტომ, ჩემო ბიჭუნი, რომ მაშინ ევროპაში მხოლოდ მე ვიყავ, როგორც რუსი, ერთადერთი ევროპიელი. ჩემს თავზე არ ვამბობ ამას - მთელს რუსულ აზრზე ვამბობ. მე დავეხეტებოდი და მტკიცედ ვიცოდი, რომ უნდა ვდუმდე და დავეხეტებოდე. მაგრამ მაინც სევდა მერეოდა. მე, ჩემო ბიჭუნი, არ შემიძლია პატივი არ ვცე ჩემს აზნაურობას. შენ, მგონი, იცინი?

- არა, არ ვიცინი. - წარმოვთქვი გრძნობამორევით, - სრულიადაც არ ვიცინი: მე შემძრა „ოქროს ხანის“ თქვენეულმა ხილვამ, და მერწმუნეთ, მგონი უკვე მესმის თქვენი. მაგრამ ყველაზე უფრო ის მახარებს, ასე პატივს რომ სცემთ თქვენს თავს. ვისწრაფვი ამის თქმას. არასოდეს არ მოველოდი თქვენგან ამას!

- აკი გითხარი, ჩემო კარგო, მიყვარს შენი წამოძახილები-მეთქი, - კვლავ გაიღიმა ჩემს მიამიტ წამოძახილზე. წამოდგა სავარძლიდან და, თავისთვისვე შეუმჩნევლად, მოჰყვა ოთახში ბოლთის ცემას. მეც წამოვიწიე. ის კვლავ ლაპარაკობდა თავისი უცნაური ენით, მაგრამ უღრმესად გულში ჩამწვდომი აზრით.

III

- ჰო, ბიჭუნი, კიდევ გეტყვი, რომ არ შემიძლია პატივს არ ვცემდე ჩემს აზნაურობას. ჩვენში საუკუნეების მანძილზე შეიქმნა რაღაც დღემდე არსად ნახული უმაღლესი და კულტურული ტიპი, როგორსაც ვერ ნახავ მთელს მსოფლიოში - ესაა მსოფლიო გულშემატკივრობის ტიპი. ეს რუსული ტიპია, ხოლო რაკი ეს ტიპი შეიქმნა რუსი ხალხის უაღრესად კულტურულ ფენაში, მაშასადამე, პატივი მაქვს, მეც მას მივეკუთვნებოდე. ეს ტიპი მოიცავს რუსეთის მომავალს. შენ იქნებ სულ რაღაც ათასი კაცი ვიყავით - იქნებ მეტიც, იქნებ ნაკლებიც - მაგრამ მთელი რუსეთი ჯერჯერობით მარტოოდენ იმისთვის ცოცხლობდა, რომ ეს ათასი კაცი შეექმნა. ცოტააო, - იტყვიან, ათასი კაცისთვის როგორ გაცდა ამდენი საუკუნე და ამდენი მილიონი ადამიანიო. აღშფოთდებიან. მე თუ მკითხავ, არაა ცოტა.

დაძაბული ვუსმენდი. ახლა იჩენდა თავს მისი მრწამსი, მთელი სიცოცხლის მიმართულება. ამ „ათასმა კაცმა“ ისე რელიეფურად ამხილეს ვერსილოვი! ვგრძნობდი, რომ ეს ჩემთან გამომჟღავნებული ექსპანსიურობა გამოიწვია რაღაც გარეგანმა ამბავმა, რომელმაც შესძრა მისი არსება. ვუყვარდი და იმიტომ მელაპარაკებოდა ასე მხურვალედ; მაგრამ ჯერ კიდევ ვერ ამომეცნო, რატომ გადამიშალა უცებ გული და რაღა მაინცდამაინც ჩემთან ისურვა ლაპარაკი.

- ემიგრაციაში წაველ, - განაგრძობდა ის, - და უკან არაფერი მრჩებოდა, რაზედაც გული დამწყდებოდა. ვიდრე რუსეთში ვიყავ, ჩემი ძალ-ღონის კვალობაზე მისთვის სამსახური არ დამიკლია; დავტოვე რუსეთი და კვლავ მას ვემსახურებოდი, ოღონდ უფრო გავაფართოვე იდეა. მაგრამ ასე რომ ვემსახურებოდი, უფრო მეტს სამსახურს ვუწევდი, ვიდრე გავუწევდი მაშინ, თუ მარტოოდენ რუსად დავრჩებოდი, იმგვარად, როგორც ფრანგი მაშინ მხოლოდ ფრანგი იყო, გერმანელი კი - მხოლოდ გერმანელი. ევროპაში ამას ჯერ ვერ მიხვდებიან. ევროპამ შექმნა ფრანგის, ინგლისელის, გერმანელის კეთილშობილი ტიპი, მაგრამ თავისი მომავალი ადამიანისა მან ჯერ სრულიად არაფერი იცის. და, მგონი, ჯერჯერობით არც სურს იცოდეს. გასაგებიცაა: ისინი არ არიან თავისუფალნი, ჩვენ კი ვართ. ევროპაში მხოლოდ მე ვიყავ მაშინ თავისუფალი ჩემი რუსული სევდით.

არ დაგავიწყდეს, ჩემო მეგობარო, ერთი უცნაური რამ: ყოველ ფრანგს უნარი შესწევს ემსახუროს არა მხოლოდ თავის საფრანგეთს, არამედ კაცობრიობასაც, ოღონდ მარტოდენ იმ პირობით, რომ უმეტესად ფრანგი დარჩეს; ასევე არიან ინგლისელიც და გერმანელიც. მხოლოდ რუსია, ჩვენს დროშიც კი, ესე იგი გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე საყოველთაოდ შეჯამდება ყველაფერი, რომ უკვე შესწევს უნარი უმეტესად რუსი იყოს სწორედ და მხოლოდ მაშინ, როცა უმეტესად ევროპელია. სწორედ ეს გახლავს ყველაზე არსებითი ნაციონალური რამ, რითაც განვსხვავდებით ყველასგან, და ამ მხრივ ჩვენში ისეა, როგორც არსად. მე საფრანგეთში ფრანგი ვარ, გერმანელთან - გერმანელი, ძველ ბერძენთან - ბერძენი. და სწორედ ამით ვარ უმეტესად რუსი. სწორედ ამით მე ნამდვილი რუსი ვარ და ყველაზე მეტად ვემსახურები რუსეთს, ვინაიდან საქვეყნოდ გამაქვს მისი მთავარი აზრი. მე ვარ პიონერი ამ აზრისა. მაშინ ემიგრაციაში წაველ, მაგრამ განა მივატოვე რუსეთი? არა, მე განვაგრძობდი მის სამსახურს. დაე მე არაფერი არ გამეკეთებინა ევროპაში, დაე მხოლოდ სახეტიალოდ წავედი (აკი ვიცოდი კიდეც, რომ მხოლოდ სახეტიალოდ მივდიოდი), მაგრამ საკმარისია ისიც, რომ თან მიმქონდა ჩემი აზრი და ჩემი შეგნება. მე თან წავიღე იქ ჩემი რუსული სევდა. ო, მარტო მაშინდელმა სისხლმა როდი შემაშინა იმრიგად, და არც ტიუილრიმ, არამედ ყველაფერმა, რაც ამას უნდა მოჰყოლოდა. მათი ხვედრი ისეთია, რომ კიდევ დიდხანს უნდა იბრძოლონ, იმიტომ რომ ჯერ კიდევ მეტისმეტად გერმანელები და მეტისმეტად ფრანგები არიან და ჯერ კიდევ არ დაუსრულებიათ თავიანთი საქმე ამ როლებში. მანამდე კი მე მენანება ნგრევა. რუსი ადამიანისთვის ევროპა ისევე ძვირფასია, როგორც რუსეთი. ყოველი იქაური ქვა გვიყვარს და ძვირფასია ჩვენთვის. ევროპაც ისევე იყო ჩვენი სამშობლო, როგორც რუსეთი. ო, უფრო მეტადაც! არ შეიძლება რუსეთის იმაზე მეტი სიყვარული, როგორადაც მე მიყვარს, მაგრამ არასოდეს არ მისაყვედურებია ჩემი თავისთვის იმის გამო, რომ ვენეცია, რომი, პარიზი, მათი მეცნიერებისა და ხელოვნების საგანძურები, მთელი მათი ისტორია - უფრო სანუკვარია ჩემთვის, ვიდრე რუსეთი. ო, რუსებისთვის ძვირფასია ეს ძველთაძველი უცხო ნანგრევები, ღვთით ნაბოძები ძველთაძველი ქვეყნიერების ეს სასწაულები, ეს ნამსხვრევები წმიდა სასწაულებისა; და, ასე გასინჯე, ესეც კი ჩვენთვის უფრო ძვირფასია, ვიდრე თვით მათთვის! ისინი ახლა სულ სხვა ფიქრებსა და გრძნობებს შეუპყრია და მათთვის ადრინდულად ძვირფასი აღარაა ის ძველთაძველი ნანგრევები... იქ კონსერვატორი მხოლოდ არსებობისთვის იბრძვის; და მეპეტროლეც ხომ მხოლოდ ლუკმაპურის უფლების გამოა თავგამოდებული. მხოლოდ რუსეთია, თავისთვის კი არა, აზრის-

თვის რომ ცოცხლობს, და, დამეთანხმები, ჩემო მეგობარო, ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ აგერ უკვე თითქმის საუკუნეა, რაც რუსეთი ნამდვილად ცოცხლობს არა თავისთვის, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ევროპისთვის! ხოლო მათ კი, ო, მათ ხვედრად რგებიათ იტვირთონ საშინელი ტანჯვა-ვაება, ვიდრე მიაღწევდნენ სასუფეველსა ღვთისას.

გამოგიტყდებით, ვუსმენდი და უფრო და უფრო ვძრწუნდებოდი; მისი ლაპარაკის ტონიც კი მაფრთხობდა, თუმცა არ შეიძლებოდა არ განვეცვიფრებინე მის აზრებს. ავადმყოფურად მეშინოდა სიცრუისა. უცებ მკაცრი ხმით შევნიშნე:

- თქვენ ახლა თქვით: „სასუფეველს ღვთისასო“. გამიგონია, თურმე იქ ღმერთს ჰქადაგებდით და ბორკილებს ატარებდით?

- ჩემს ბორკილებს თავი დაანებე, - გაიღიმა მან, - ეს სულ სხვა რამეა. მაშინ ჯერ არაფერს არ ვქადაგებდი, ოღონდ მათს ღმერთზე კი ვდარდობდი - ეს მართალია. მაშინ მათ ათეიზმი გამოაცხადეს... ერთი ბეწონი იყვნენ, მაგრამ ეს ხომ სულ ერთია; ისინი მხოლოდ პირველი იორღა ცხენები იყვნენ, მაგრამ ეს იყო მხოლოდ პირველი აღმასრულებელი ნაბიჯი - აი რა არის მთავარი. აქაც მათს ლოგიკასთან გვაქვს საქმე; მაგრამ ხომ მუდამ სწორედ ლოგიკაშია დარდი. მე სხვა კულტურისა ვიყავ და ჩემს გულს დაუშვებლად მიაჩნდა ეს. ჩემთვის აუტანელი იყო მთელი ის უმადურობა, რომლითაც მათ დასთმეს იდეა, მთელი ის სტვენა და ლაფი. მე მაშინებდა ხარაზულობა პროცესისა. თუმცა, კაცმა რომ თქვას, სინამდვილეს მუდამაც ასდიოდა წაღის სუნი, მაშინაც კი, როცა ყველაზე უფრო ნათელი თავგამოდებით ისწრაფვოდნენ იდეალისკენ, და, რაღა თქმა უნდა, ეს უნდა მცოდნოდა; მაგრამ მე მაინც სხვა ტიპის ადამიანი ვიყავ: მე თავისუფალი არჩევანი მქონდა, მათ კი არა - და მე ვტიროდი, ვტიროდი მათი გულისთვის, მივტიროდი ძველ იდეას და, იქნებ, ვტიროდი ნამდვილი და არა ტყუილი ცრემლებით.

- განა ეგრე ძლიერ გწამდათ ღმერთი? - შევეკითხე უნდობლად.

- ჩემო მეგობარო, ეგ კითხვა, იქნებ, ზედმეტია. დავუშვათ, რომ არცთუ მაინცდამაინც მწამდა. მაგრამ მაინც არ შემეძლო არ მედარდნა იდეისთვის. არ შემეძლო ზოგჯერ არ წარმომედგინა, თუ რა იქნება ადამიანის სიცოცხლე უღმერთოდ და შესაძლებელია თუ არა ეს ოდესმე. გული მუდამ იმას მეუბნებოდა, რომ შეუძლებელია; მაგრამ, კაცმა

რომ თქვას, გარკვეული ხნის მანძილზე, შესაძლებელია... ეჭვიც კი არ მეპარება, რომ დადგება ასეთი დრო; მაგრამ აქ მუდამ სხვა სურათი წარმომიდგებოდა ხოლმე თვალწინ...

- რა სურათი?

მართალია, ადრევე მითხრა, ბედნიერი ვარო; რა თქმა უნდა, მის სიტყვებში ბევრი იყო რაღაც აღტაცებული; მეც ასევე მივიღე ბევრი რამ, რაც მაშინ გამიზიარა. რაკი ამ კაცს პატივს ვცემ, ცხადია, ვერ გავბედავ ქაღალდზე გადმოვიტანო ყველაფერი, რაც მაშინ ვილაპარაკეთ; მაგრამ მაინც მოვიყვან რამდენიმე შტრიხით იმ უცნაურ სურათს, რომელიც მაშინ წამოვაცდენინე. მთავარი ის გახლდათ, რომ მე ადრე ყოველთვის და გამუდმებით მტანჯავდა ის „ბორკილები“, და მინდოდა გავრკვეულიყავი - იმიტომაც ჩავციებოდი. რამდენიმე ფანტასტიკური და მეტად უცნაური იდეა, რაც მაშინ გამიზიარა, სამუდამოდ ჩამრჩა გულში.

- მე წარმომიდგენია, ჩემო კარგო, - დაიწყო მან ჩაფიქრებული ღიმილით, - რომ შეტაკება გათავდა და ბრძოლა მიწყნარდა. წყევლა-კრულვის, ლაფისა და სტვენის მერე ჩამოვარდა სიჩუმე, და ადამიანები დარჩნენ მარტოკანი, როგორც ეწადათ: ადრინდელმა დიდებულმა იდეამ დაუტევა ისინი; ძალთა დიადი წყარო, მანამდე რომ ასაზრდოებდა და ათბობდა მათ, იშრიტებოდა, ვით ის დიდებული მზე, კლოდ ლორენის სურათში რომ უხმობდა მნახველს, მაგრამ ეს უკვე კაცობრიობის უკანასკნელი დღე იყო. და ადამიანები უცებ მიხვდნენ, რომ სულ მარტოკანი დარჩნენ, და ერთბაშად იგრძნეს დიდი სიობლე. ჩემო საყვარელო ბიჭუნა, ვერასოდეს წარმომედგინა ადამიანები უმადურნი და გამოსულელებულნი. დაობლებული ადამიანები მაშინვე მაგრად და სიყვარულით მიეკვროდნენ ერთმანეთს; ისინი ხელიხელს ჩაკიდებდნენ, რადგან მიხვდებოდნენ,რომ ახლა ერთმანეთის მეტი აღარაფერი დარჩენიათ. გაჰქრებოდა უკვდავების დიადი იდეა, და საჭირო შეიქნებოდა მისი სანაცვლოს მონახვა; და ადრინდელი სიყვარულის მთელ იმ დიდ სიუხვეს სწორედ ეს უკვდავება რომ იყო, ყველანი გადაიტანდნენ ბუნებაზე, ქვეყნიერებაზე, ადამიანებზე ყოველ ბალახზე. ისინი შეიყვარებდნენ დედამიწასა და სიცოცხლეს თავშეუკავებლად და იმ ზომით, რა ზომითაც შეიგნებდნენ თანდათანობით თავის წარმავლობას და სასრულობას, და შეიყვარებდნენ უკვე განსაკუთრებული, უკვე არა ადრინდული სიყვარულით. ისინი შეამჩნევდნენ და აღმოაჩენდნენ ბუნებაში ისეთს მოვლენებსა და საიდუმლოებებს, რომელთა არსებობას ადრე ეჭვადაც არ იფიქრებდნენ, ვინაიდან შეხედავდნენ ბუნებას

ახალი თვალით, ისე, როგორადაც უცქერის ხოლმე მამაკაცი თავის სატრფოს. გაიღვიძებდნენ თუ არა, მიაშურებდნენ ერთმანეთს დასაკოცნად; დაეშურებოდნენ სიყვარულს, რადგან ეცოდინებოდათ, რომ მოკლეა წუთისოფელი; რომ ესაა ყველაფერი, რაც მათ დარჩენიათ. ისინი იშრომებდნენ ერთმანეთისთვის, და თითოეული მათგანი მისცემდა ყველას ყველაფერს თავისას, და მარტო ამითაც კი ბედნიერი იქნებოდა. თითოეულ ბავშვს ეცოდინებოდა და იგრძნობდა, რომ ყველა ამ ქვეყნად — მისთვის დედასავითაა და მამასავითაა. „დაე ხვალ ჩემი უკანასკნელი დღე იყოს, - ფიქრობდა თითოეული, ჩამავალი მზის შემყურე, - სულ ერთია, მე მოვკვდები, მაგრამ დარჩებიან ყველა ესენი, ხოლო მათ მერე - მათი შვილები“ - და იმის ფიქრი, ყველა ესენი დარჩებიან და ასევე ეყვარებათ ერთმანეთი, ასევე ერთმანეთისთვის მზრუნველნი და გულშემატკივარნი იქნებიანო, მისთვის საიქიოს შეხვედრის ფიქრის მაგიერი იქნებოდა. ო, ისინი დაეშურებოდნენ სიყვარულს, რათა ჩაექროთ თავიანთ გულში უდიდესი ნაღველი. ისინი ამაყნი და მამაცნი იქნებოდნენ, როცა საქმე პირადად მათ შეეხებოდა, მაგრამ ერთმანეთის გამო შიში დაეუფლებოდათ; თითოეულს გულის კანკალი ექნებოდა თითოეულის სიცოცხლისა და ბედნიერებისთვის. ისინი ერთმანეთისადმი სინაზით აღივსებოდნენ, და არ შერცხვებოდათ ამისა, როგორც ახლა, და უალერსებდნენ ერთმანეთს, როგორც ბავშვები. შეხვედრისას ღრმა და აზრიან მზერას მიაპყრობდნენ ერთმანეთს, და მათს მზერაში იქნებოდა სიყვარული და სევდა...

ჩემო კარგო, - შეწყვიტა მან უცებ ღიმილით, - ყოველივე ეს ფანტაზიაა, თანაც ყოვლად წარმოუდგენელი; მაგრამ მე მეტისმეტად ხშირად წარმომიდგენია ხოლმე ეს, რადგან რაც თავი მახსოვს, არ შემეძლო მეცოცხლა უამისოდ და არ მეფიქრა ამაზე. ჩემს რწმენაზე არ გეუბნები: ჩემი რწმენა დიდი არაფერია, მე - დეისტი ვარ, ფილოსოფიური დეისტი, როგორც მთელი ის ჩვენი ათასი კაცი, ასე მჯერა, ოღონდ... ოღონდ აღსანიშნავი ისაა, რომ ჩემს ამ სურათს მუდამ ვათავებდი ხოლმე ხილვით - „ქრისტე ბალტიის ზღვაზე“, როგორც ჰაინეს აქვს. მე არ შემეძლო უამისობა. არ შემეძლო არ წარმომედგინა ის, ბოლოს დაბოლოს, დაობლებულ ადამიანთა შორის. ის მიდიოდა მათთან, უწვდიდა ხელებს და ეუბნებოდა: „როგორ შეგეძლოთ მისი დავიწყება?“ - და აქ თითქოს ყველას საბურველი ჩამოვარდებოდა თვალთაგან და ახმიანდებოდა დიდებული, აღტაცებული ჰიმნი ახალი და უკანასკნელი აღდგომისა...

თავი დავანებოთ ამას, ჩემო მეგობარო; ჩემი „ბორკილები“ კი -

სისულელეა: ნუ წუხარ ამაზე. ჰო, აი კიდევ რას გეტყვი: ხომ იცი, რა მორიდებული და ფხიზელი ენის პატრონი ვარ; ახლა თუ ენა ამოვიდგი, ეს იმის ბრალია, რომ... ათასნაირი გრძნობა დამერია და რომ შენთან ვარ; სხვას არავის და არასოდეს ვეტყვი, ამას ვუმატებ, რომ დაგამშვიდო.

მაგრამ მე გულიც კი ამიჩვილდა; სიცრუე, რომლისაც მეშინოდა, არ იყო, და განსაკუთრებით მიხაროდა. ჩემთვის ხომ უკვე ნათელი შეიქნა, რომ ის მართლაც ნაღვლობდა და იტანჯებოდა, და რომ ეჭვი არ არის, ბევრი სიყვარული ჰქონია - ეს კი ჩემთვის ყველაზე ძვირფასი რამ იყო. მე გატაცებით გავუზიარე ეს.

- მაგრამ იცით რას გეტყვით, - დავურთე უცებ, - მე მგონია, მიუხედავად მთელი თქვენი ნაღველისა, მაინც მაშინ ძალზე ბედნიერი უნდა ყოფილიყავით?

მან მხიარულად გაიცინა.

- დღეს განსაკუთრებით გემარჯვება შენიშვნები, - მითხრა მან. - ჰო, ბედნიერი ვიყავ, ან განა შემეძლო არ ვყოფილიყავ ბედნიერი, როცა გულით ასეთ ნაღველს დავატარებდი? არავინაა უფრო თავისუფალი და ბედნიერი, ვიდრე რუსი ევროპელი მოხეტიალე იმ ჩვენი ათასი კაციდან. ამას, ღმერთმანი, დაცინვით არ ვამბობ და აქ ბევრი რამაა სერიოზული. იმ ჩემს ნაღველს არავითარ სხვა ბედნიერებაში არ გავცვლიდი. ამ მხრივ მუდამ ბედნიერი ვიყავ, ჩემო კარგო, მთელი ჩემი სიცოცხლე. და ამ ბედნიერებისგან იყო, რომ ჩემს სიცოცხლეში პირველად შემიყვარდა დედაშენი.

- როგორ თუ თქვენს სიცოცხლეში პირველად შეგიყვარდათ?

- სწორედ ასეა. იმ ხეტიალსა და ნაღველში უცებ შემიყვარდა დედაშენი ისე, როგორც მანამდე არასოდეს მყვარებია, და მაშინვე კაცი ვაფრინე მასთან.

- ო, მიამბეთ ეგეც, მიამბეთ დედაჩემზე!

- აკი იმიტომაც გიხმე, და იცი, - მხიარულად გამიღიმა მან, - უკვე ვშიშობდი, ხომ არ მაპატია დედამისის ამბავი გერცენის ან პაწია რაღაც შეთქმულების გამო-მეთქი...

თავი მერვე - I

რადგან ჩვენ მთელი ის საღამო ლაპარაკში გავატარეთ და გვიან ღამემდე შევრჩით, აღარ მოგიყვებით ყველაფერს, რაც ვთქვით, გადმოგცემთ მხოლოდ იმას, რამაც, ბოლოს და ბოლოს, ამიხსნა ერთი საიდუმლო პუნქტი მისი ცხოვრებისა.

დავიწყებ იმით, რომ ეჭვიც აღარ მეპარება, ვერსილოვს რომ უყვარდა დედაჩემი. და თუ საზღვარგარეთ წასვლისას მიატოვა და „გაეყარა“, რა თქმა უნდა, იმიტომ, რომ მეტისმეტად მოიწყინა ანდა რაღაც ამდაგვარი, რაც, კაცმა რომ თქვას, ყველას ემართება ქვეყნად, მაგრამ რისი ახსნაც მუდამ ძნელია ხოლმე. უცხოეთში ყოფნისას, თუმცა კარგა ხნის მერე. მას კვლავ შეუყვარდა დედაჩემი უნახავად, ესე იგი ფიქრებში, და კაცი აფრინა მასთან. იქნებ ვინმემ თქვას: „ხუშტურმა მოუარაო“, მაგრამ მე სხვას ვიტყვი: ჩემი აზრით, აქ იყო ყველაფერი, რაც კი შეიძლება იყოს სერიოზული ადამიანის ცხოვრებაში, მიუხედავად აშკარა ცუდაობისა, რაც, კაცმა რომ თქვას, ნაწილობრივ დასაშვებადაც მიმაჩნია. მაგრამ გეფიცებით, მის ევროპულ სევდაში ეჭვი არ შემდის და არამცთუ გვერდში ვუყენებ რომელიმე თანამედროვე პრაქტიკულ მოღვაწეობას რკინიგზების მშენებლობის დარგში, - გაცილებით მეტ უპირატესობასაც ვანიჭებ. მისი სიყვარული კაცობრიობისა მიმაჩნია ყველაზე გულწრფელ და ღრმა გრძნობად, რომელშიც თვალთმაქცობის ნატამალიც კი არ იყო, ხოლო მისი სიყვარული დედაჩემისა რაღაც ყოვლად ეჭვმიუტანელ, თუმცა იქნებ ცოტა ფანტასტიკურ რამედაც. უცხოეთში, „სევდასა და ბედნიერებაში“ და, დავუმატებ, ყოვლად ბერულ სიმარტოვეში (ეს საგანგებო ცნობა უკვე შემდეგში მომაწოდა ტატიანა პავლოვნამ), მას უცებ გაახსენდა დედაჩემი - გაახსენდა სწორედ მისი „ჩაცვივნული ლოყები“, და უცებ აფრინა კაცი.

- ჩემო მეგობარო, - წამოცდა მას სხვათა შორის, - უცებ შევიგნე, რომ იდეის სამსახური სრულიადაც არ მათავისუფლებს მე, როგორც ზნეობრივ-გონიერ არსებას, იმის მოვალეობისგან, რომ მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე თუნდაც ერთი ადამიანი გავაბედნიერო პრაქტიკულად.

- ნუთუ ასეთი მწიგნობრული აზრი იყო ყველაფრის მიზეზი? - ვკითხე გაოგნებულმა.

- ეს მწიგნობრული აზრი არაა. თუმცა, კაცმა რომ თქვას, იქნებ ას-

ეცაა. მაგრამ აქ ყველაფერი ერთადაა: მე ხომ მართლა მიყვარდა დედაშენი, გულწრფელად, არამწიგნობრულად მიყვარდა. ასე რომ არ მყვარებოდა - კაცს კი არ გავუგზავნიდი, არამდე, რაკი ეს იდეა გამოვიგონე, „გავაბედნიერებდი“ რომელიმე გერმანელს, კაცს თუ ქალს, რომელსაც კი წავაწყდებოდი. მე რომ მეკითხებოდეს, ყოველ განვითარებულ ადამიანს მცნებად დავუსახავდი, რომ თავისი სიცოცხლის მანძილზე აუცილებლად და რაღაცით გააბედნიეროს თუნდაც ერთი არსება, ოღონდ პრაქტიკულად, ესე იგი ნამდვილად გააბედნიეროს; ასევე კანონად ან ბეგარად დავაკისრებდი ყოველ გლეხკაცს თავისი სიცოცხლის მანძილზე დარგოს თუნდაც ერთი ხე რუსეთის ტყეების გაჩანაგების გამო; თუმცა თითო ხე ცოტა იქნებოდა, შეიძლებოდა გვებრძანებინა ყოველ წელს თითო ხის დარგვა. უზენაესი და განვითარებული ადამიანი, უზენაეს აზრს რომ ემსახურება, ზოგჯერ სულ გადაუხვევს ხოლმე არსებითს, და სასაცილო, ჟინიანი და ცივი, ანდა უბრალოდ გეტყვი - სულელი ხდება ხოლმე, და არა მხოლოდ პრაქტიკულ ცხოვრებაში, არამედ დასასრულ, თავის თეორიებშიც კი სულელი ხდება. ამგვარად, როცა ყოველ ადამიანს მოვალეობად დაეკისრებოდა ხელი მოეკიდა პრაქტიკისთვის და ნამდვილად გაებედნიერებინა თუნდაც ერთი არსება, ამით მართლაც გამოსწორდებოდა ყველაფერი და თვით ის ქველმოქმედიც გახალისდებოდა და განახლდებოდა. როგორც თეორია — ეს ძალზე სასაცილო რამაა; მაგრამ ეს რომ პრაქტიკულად შემოგვეღო და ჩვევად გვექცია, სრულიადაც არ იქნებოდა სისულელე. ეს ჩემს თავზე გამომიცდია: როგორც კი დავიწყე ამ ახალი მცნების იდეის განვითარება - და ცხადია, თავდაპირველად, ხუმრობით - უცებ მივხვდი, თუ გულში რა დიდი, ფარული სიყვარული მქონდა დედაშენისა. მანამდე სრულებით არ მესმოდა, რომ მიყვარდა. სანამ მასთან ვცხოვრობდი, მხოლოდ თავს ვიქცევდი, ვიდრე ლამაზი იყო, ხოლო მერე მიზეზიანობას მოვყევ. მხოლოდ გერმანიაში მივხვდი, რომ მყვარებია. ყველაფერი დაიწყო მისი ჩაცვივნული ლოყებით, რომელთა გახსენება და ზოგჯერ შეხედვაც კი არასოდეს არ შემეძლო ისე, რომ გულის ტკივილი არ მეგრძნო - სწორედ ტკივილი, ნამდვილი, ფიზიკური ტკივილი. არის ხოლმე მტკივნეული მოგონებები, ჩემო კარგო, რომლებიც ნამდვილ ტკივილს გვაყენებენ; ასეთი მოგონებები თითქმის ყველას აქვს, ოღონდ ავიწყდებათ ხოლმე ადამიანებს; მაგრამ მერე უცებ გაახსენდებათ, ხანდახან რაიმე თუნდ სულ პატარა რაღაც, და ვეღარც მოიშორებენ. დავიწყე სონიასთან გატარებული ცხოვრების ყოველი წვრილმანის გახსენება; ბოლოს უკვე თავისთავად მახსენდებოდა ეს წვრილმანები, და საშველს აღარ მაძლევდა, კინაღამ გამაწამა ვიდრე მისი ჩამოსვლის მოლოდინში ვიყავ. ყველაზე მეტად მტანჯავდა იმის გახსე-

ნება, რომ სონია მუდამ ქედმოხრილი იყო ჩემს წინ და მუდამ უსაზომ-ოდ მდაბლად თვლიდა თავის თავს ყოველი მხრივ - წარმოიდგინე - ფიზიკური მხრივაც კი. დაირცხვენდა და წამოწითლდებოდა ხოლმე, როცა ხანდახან შევცქეროდი მის ხელებსა და თითებს, რომელთა არი-სტოკრატულობას ვერ დაიკვეხნის. თითების კი არა, ყველაფრისა ერ-ცხვინებოდა, მიუხედავად იმისა, რომ მე მიყვარდა მისი სილამაზე. ყოველთვის უცნაურად მორცხვობდა ჩემთან, მაგრამ ცუდი ის იყო, რომ ამ სიმორცხვეში მუდამ თითქოს რაღაცნაირი შიში გამოსჭვიოდა. ერთი სიტყვით, რაღაც არარა და, ასე გასინჯე, თითქმის უწესო ვინმედ მიაჩნდა თავი ჩემს წინაშე. მართალი გითხრა, ზოგჯერ, დასაწყისში, მიფიქრია ხოლმე, ისევ თავის ბატონად მთვლის და ეშინია-მეთქი, მა-გრამ ეს სულ სხვა რამ იყო. ამასთან კი, გეფიცები, მასავით არავის შესწევს უნარი გაიგოს ჩემი ნაკლი, და საერთოდ ჩემს სიცოცხლეში არ შემხვედრია ეგეთი ფაქიზი და მიმხვედრი გულის ქალი. ო, რა უბედუ-რი იყო ხოლმე, როცა პირველ ხანებში, ჯერ კიდევ ისეთი წარმტაცი რომ იყო, მოვითხოვდი, მოირთ-მოიკაზმე-მეთქი. აქ იყო თავმოყვარე-ობაც და კიდევ რაღაც სხვა გრძნობა, რომლეიც შეურაცხყოფილი რჩებოდა: მას ესმოდა, რომ არასოდეს არ დაემგვანებოდა ქალბატონს და რომ სხვის ტანსაცმელში მხოლოდ სასაცილო თუ იქნებოდა. მას, როგორც ქალს, არ უნდოდა სასაცილო ყოფილიყო თავის კაბაში და მიხვდა, რომ ყოველ ქალს უნდა ჰქონდეს თავისი ტანსაცმელი, რასაც ვერასოდეს ვერ მიხვდებიან ათასობით და ასი ათასობით ქალები - ოღონდ კი მოდას არ ჩამორჩნენ. ჩემი დამცინავი მზერისა ეშინოდა - აი რა იყო! მაგრამ განსაკუთრებით სევდას ვგრძნობდი, რომ მახსენ-დებოდა მისი ღრმად გაოცებული შემოხედვა, რაზედაც ხშირად შემის-წრია თვალი ჩვენი ერთად ცხოვრების მთელ მანძილზე: მის შემოხედ-ვაში ჩანდა, რომ სავსებით კარგად ესმოდა თავისი ბედიც და ისიც, რაც ელოდა მომავალში, იმდენად, რომ მე თვითონაც გული მიმძიმ-დებოდა მისი შემოხედვის დანახვაზე, თუმცა, გამოტეხით გეტყვი, არ-ასოდეს არ გამიბამს მასთან საუბარი და ყოველივე ამას რაღაც ქედმა-ღლობით არად ვაგდებდი. უნდა გითხრა, რომ დედაშენი ყოველთვის როდი იყო ისეთი მფრთხალი და უკარება, როგორიც ახლაა; ხანდახან ახლაც უცებ გახალისდება ხოლმე და ისეთი ლამაზი ხდება, თითქოს ოცი წლისა იყოს; მაშინ კი, ყმაწვილქალობაში, ხანდახან ძალიან უყვ-არდა ლაპარაკი და სიცილი. რა თქმა უნდა, თავის კომპანიაში - მოა-ხლეებთან, მესუფრეებთან; მერე რანაირად კრთებოდა ხოლმე, როცა ზოგჯერ უეცრად შემოვესწრებოდი მოცინარს, რანაირად წითლდებო-და და დამფრთხალი შემომცქეროდა! ერთხელ, საზღვარგარეთ წას-ვლის წინა ხანებში, ესე იგი თითქმის იმის წინ, ვიდრე გავეყრებოდი,

შევედი მის ოთახში და, ვხედავ, მარტოკა, უსაქმოდ უზის თავის მაგიდ-ას, ხელი მაგიდაზე დაუყრდნია და ღრმად ჩაფიქრებულა. თითქმის არ-ასოდეს მომხდარა, რომ ასე უსაქმოდ მჯდარიყოს. იმ ხანებში კარგა ხანი იყო და აღარ მივფერებოდი. ძალიან წყნარად, ფეხაკრეფით მივე-პარე, უცებ მოვეხვიე და ვაკოცე... წამოხტა და არასოდეს არ დამავიწყ-დება მის სახეზე გამოხატული აღტაცება და ბედნიერება, მაგრამ უცებ საშინლად გაწითლდა და თვალებში ნაპერწკლები აენთო. იცი, რა ამ-ოვიკითხე ამ ანთებულ გამოხედვაში? „მოწყალება მოიღე განა“?. ისტ-ერიული ტირილი აუვარდა. მოიმიზეზა, შემაშინეო, მაგრამ მაშინაც კი ჩამაფიქრა ამ ამბავმა. და საერთოდ ყოველი ასეთი მოგონება - ძალზე სამძიმო რამაა, ჩემო მეგობარო. ეს იმას ჰგავს, დიდ მხატვრებს რომ აქვთ ხოლმე ხანდახან თავიანთ პოემებში ისეთი ავადმყოფი სცენები, რომლებიც მერე მთელი სიცოცხლის მანძილზე გულისტკივილით გაგ-ონდება, - მაგალითად, შექსპირის ოტელოს უკანასკნელი მონოლოგი, ტატიანას ფერხთით დამხობილი ევგენი, ანდა ის სცენა, გამოქცეული კატორღელი ყივნიან ღამეში ჭასთან რომ შეხვდება პაწია გოგონას, ვიქტორ ჰიუგოს „Misérables“-ში („განკიცხულნი“ (ფრანგ.).); ასეთი რამ ლახვრად მოგხვდება გულში ერთხელ და მერე საუკუნო იარად დაგრჩება. ო, რარიგ ველოდი სონიას და რარიგ მინდოდა მალე ჩამ-ეკრა გულში! სულწასული მოუთმენლობით ვოცნებობდი ცხოვრების მთელს ახალ პროგრამაზე; ვოცნებობდი, თანდათანობით, მეთოდურ-ად მოვსპობ მის სულში ჩემს წინაშე ამ მუდმივ შიშს, შევაგნებინებ სა-კუთარი თავის ფასს და ყველაფერს, რითაც ჩემზე მაღლაც კი დგას-მე-თქი. ო, ძალზე კარგად ვიცოდი მაშინაც, რომ ყოველთვის, როგორც კი მოვშორდებოდი, კვლავ ვიწყებდი მის შეყვარებას, და ყოველთვის, როგორც კი კვლავ შევხვდებოდი, ერთბაშად გული მიცივდებოდა: მა-გრამ ახლა სულ სხვა იყო, მაშინ სულ სხვა იყო.

განცვიფრებული ვიყავი: „მერე-და თვითონ?“ - გამიელვა კითხვამ.

- მერე როგორ შეხვდით მაშინ დედას? - შევეკითხე ფრთხილად.

- მაშინ? მაშინ სრულებითაც აღარ შევხვედრივარ. დედაშენმა მაშინ კენიგსბერგამდე ძლივს ჩამოწია და იქვე დარჩა კიდეც, მე კი რეინზე ვიყავ, აღარც მე ჩამიკითხავს და მასაც ვუბრძანე, მანდ დამელოდე-მე-თქი. ჩვენ დიდი ხნის მერე შევხვდით ერთმანეთს, ო, კარგა დიდი ხნის მერე, როცა ჩავედი, რათა მეთხოვნა, ცოლის შერთვის ნება მომეცი-მეთქი...

II

აქ უკვე გადმოგცემთ საქმის არსს, ესე იგი, მხოლოდ იმას, რასაც მე თვითონ ჩავწვდი; ესეც კია, რომ თვითონაც უკვე უთავბოლოდ დაიწყო მოყოლა. როცა ამ ამბებზე მივიდა, ათჯერ უფრო უთავბოლოდ და გაუგებრად დაიწყო ლაპარაკი.

ვერსილოვი კატერინა ნიკოლაევნას უეცრად შეხვდა, სწორედ მაშინ, როცა დედაჩემს ელოდა, ყველაზე უფრო სულწასული მოლოდინის წუთებში. მაშინ ყველანი რეინზე იყვნენ, სამკურნალო წყლებზე, და ყველანი მკურნალობდნენ. კატერინა ნიკოლაევნას ქმარი უკვე თითქმის სიკვდილის პირას იყო, ყოველ შემთხვევაში, ექიმებმა უკვე ხელი აიღეს. პირველი შეხვედრისთანავე კატერინა ნიკოლაევნამ გასაოცარი შთაბეჭდილება მოახდინა ვერსილოვზე, თითქოს რაღაც ჯადო უყო. ეს ფატუმი გახლდათ. აღსანიშნავია, რომ ახლა, როცა ვიხსენებ და ვწერ, არ მაგონდება, მას რომ თუნდაც ერთხელ ეხმაროს სიტყვა „სიყვარული“ ან „შეყვარებული ვიყავ“. სიტყვა „ფატუმი“ კი მახსოვს.

და, რაღა თქმა უნდა, ეს ფატუმი იყო. ვერსილოვმა არ ისურვა ეს ფატუმი, „არ ისურვა შეყვარება“. არ ვიცი, შევძლებ თუ არა ამის გასაგებად გადმოცემას, მაგრამ მთელი სული აღუშფოთა სწორედ იმ ფაქტმა, რომ მას შეიძლება დაემართოს ასეთი რამ. ყველაფერს, რაც კი რამ იყო მასში თავისუფალი, ერთბაშად სპობდა ეს შეხვედრა, და სამუდამოდ უნდა მიჯაჭვოდა ქალს, რომელსაც მასთან სრულიადაც არა ესაქმებოდა რა. ვერსილოვმა არ ისურვა ეს დამონება ენებისა. ახლა პირდაპირ ვიტყვი: კატერინა ნიკოლაევნა მაღალი საზოგადოების ქალის იშვიათი ტიპია, - ისეთი ტიპი, როგორიც ამ წრეში იქნებ არცაა ხოლმე. ეს გახლავთ ტიპი უაღრესად უბრალო და გულწრფელი ქალისა. გამიგონია, ესე იგი დანამდვილებით ვიცი, რომ სწორედ ამით იყო კიდეც სწორუპოვარი, როცა მაღალ საზოგადოებაში გამოჩნდებოდა ხოლმე (ის ხშირად სულ არ გამოდიოდა ამ საზოგადოებაში). რა თქმა უნდა, მაშინ, პირველად შეხვედრისას, ვერსილოვმა არ დაიჯერა, რომ კატერინა ნიკოლაევნა ასეთია, მან სწორედ საწინააღმდეგო დაიჯერა, ესე იგი, რომ ის თვალთმაქცი და იეზუიტი ქალია. აქ გავუსწრებ ამბების მსვლელობას და მოვიყვან თვითონ კატერინა ნიკოლაევნას აზრს ვერსილოვის შესახებ: ის ირწმუნებოდა, ვერსილოვს არც შეეძლო სხვა რამ ეფიქრა ჩემზე, „რადგან, როცა იდეალისტი შუბლით ზედ შეასკ-

დება სინამდვილეს, სხვებზე უმალ ყოველთვის სწორედ ის წარმოიდგენს ყოველგვარ სისაძაგლეს“. ვერ გეტყვით, სამართლიანია თუ არა ეს საერთოდ იდეალისტების მიმართ, ოღონდ ვერსილოვის მიმართ კი, რა თქმა უნდა, სავსებით სამართლიანია. მოდით აქვე ჩავწერ ჩემს საკუთარ აზრსაც, რომელმაც გამიელვა მაშინ, ვიდრე ვუსმენდი ვერსილოვს: მე გავიფიქრე, რომ მას დედაჩემი უყვარდა უფრო, ასე ვთქვათ, ჰუმანური და ზოგადკაცობრიოლი სიყვარულით, ვიდრე უბრალო სიყვარულით, როგორითაც უყვართ ხოლმე საერთოდ ქალები, და როგორც კი შეხვდა ქალი, რომელიც შეიყვარა ამ უბრალო სიყვარულით, მაშინვე აღარ ინდომა ეს სიყვარული - უთუოდ იმიტომ, რომ მიუჩვეველი იყო. თუმცა იქნებ ეს აზრი მცდარიცაა; რა თქმა უნდა, მისთვის არ გამიზიარებია ჩემი ეს შეხედულება. ეს ხომ ულამაზო საქციელი იქნებოდა; თანაც ვფიცავ, ისეთ დღეში იყო, რომ თითქმის უნდა დაგეზოგა კაცს: ძალზე აღელვებული იყო; ზოგჯერ შუაგზაზე წყვეტდა ამბავს და რამდენიმე წუთს სდუმდა, თან ბოროტი სახით ბოლთას სცემდა ოთახში.

კატერინა ნიკოლაევნა მალე მიუხვდა საიდუმლოს; ო, იქნებ განგებ ეკეკლუცებოდა კიდეც: ყველაზე ნათელმოსილი ქალებიც კი უსინდისონი არიან ასეთ შემთხვევებში და ეს - მათი ისეთი ინსტინქტია, რომელსაც არაფერი ეშველება. მათი ამბავი იმით დასრულდა, რომ სამკვდრო-სასიცოცხლოდ წაიკიდნენ და ვერსილოვს, მგონი, მისი მოკვლაც კი უნდოდა; მან შეაშინა ქალი და იქნებ მოეკლა კიდეც; „მაგრამ უცებ ეს ყოველივე სიძულვილად იქცა“. მერე დადგა ერთი უცნაური პერიოდი: ვერსილოვმა უცებ ამოიჩემა მეტად უცნაური აზრი: გაეწამებინა თავი დისციპლინით, „აი სწორედ ისეთით, როგორიც ბერებსა აქვთ შემოღებული. თანდათანობით და მეთოდური პრაქტიკით სძლევ შენს ნებისყოფას. ამას იწყებ ყოვლად სასაცილოდ და წვრილმან რამეებში, და ათავებ იმით, რომ სავსებით იმორჩილებ შენს ნებისყოფას და თავისუფალი ხდები“. მან დაურთო, ბერებში ეს სერიოზული საქმეა, იმიტომ რომ ათასწლოვანი გამოცდილების მეოხებით მეცნიერების სიმაღლემდე აიყვანესო. მაგრამ ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ეს იდეა „დისციპლინისა“ მაშინ განა იმიტომ ამოიჩემა კატერინა ნიკოლავნასგან ვიხსნა თავიო, - სავსებით დარწმუნებული იყო, არათუ აღარ მიყვარს, არამედ უაღრესად მძულს კიდეცო. ვერსილოვმა ისე დაიჯერა ეს სიძულვილი, რომ უცებ ისიც კი გადაწყვიტა, შეეყვარებინა და ცოლად შეერთო კატერინა ნიკოლაევნას გერი რომელიც თავადმა შეაცდინა; სავსებით დააჯერა თავი ამ ახალ სიყვარულში და გაგიჟებით შეაყვარა თავი იმ საცოდავ ყეყეჩს, რომელსაც ამ სიყვარულით სრული ბედნიე-

რება მიანიჭა სიცოცხლის უკანასკნელ თვეებში. დღემდე ვერ გამომირკვევია, - იმ საცოდავის მაგიერ რატომ არ გაახსენდა დედაჩემი, რომელიც ისევ კენიგსბერგში იჯდა და ელოდა... პირიქით, დედა უცებ სულ დაავიწყდა, სახარჯო ფულსაც კი აღარ უგზავნიდა, და ტატიანა პავლოვნა რომ არა, დედაჩემი უთუოდ შიმშილით მოკვდებოდა; და აი უცებ ადგა და გაემგზავრა დედასთან, რათა „ეთხოვნა“ მისთვის იმ ქალიშვილის შერთვის „ნებართვა“, თანაც მოიმიზეზა, „ასეთი საცოლე ხომ ქალი არ ჩაითვლებაო“. ჰო, იქნებ ყოველივე ეს მხოლოდ „წიგნის კაცის“ პორტრეტია, როგორც უწოდა მას შემდეგში კატერინა ნიკოლაევნამ; მაგრამ თუ ასეა, რატომაა რომ ეს „ქაღალდის ადამიანები“ (თუ მართლაც ქაღალდისანი არიან) ნამდვილად იტანჯებიან და ასეთ ტრაგედიამდე მიდიან? თუმცა მაშინ, იმ საღამოს, ცოტა სხვარიგად ვფიქრობდი, და ერთმა ფიქრმა შემძრა:

- მთელი ეგ თქვენი განათლება, მთელი ეგ თქვენი სული, მთელი თქვენი ცხოვრების ბრძოლითა და ტანჯვით მოგიპოვებიათ - მას კი მთელი მისი სრულყოფილება მუქთად რგებია. აქ უთანასწორობაა... ქალი ამითია აღმაშფოთებელი. - ეს იმიტომ კი არ ვუთხარი, რომ მისთვის მეამებინა, გულმხურვალედ და აღშფოთებითაც კი ვთქვი.

- სრულყოფილება? მისი სრულყოფილება? მასში ხომ არაფერია სრულყოფილი! - წარმოთქვა მან უცებ, თითქოს ჩემმა სიტყვებმა გააკვირვაო. - ის ყველაზე უფრო ჩვეულებრივი ქალია, უხეიროც კია... მაგრამ ის მოვალეა ყოვლად სრულყოფილი იყოს!

- მოვალე რატომღაა?

- იმიტომ, რომ როცა ასეთი ძალა გაქვს, მოვალე ხარ სრულყოფილიც იყო! - ბრაზით წამოიძახა მან.

- ყველაზე გულისმომკვლელი ისაა, რომ თქვენ ახლაც ასე გაწამებული ხართ! - წამომცდა უნებურად.

- ახლა? გაწამებული? - გაიმეორა ისევ ჩემი სიტყვები და რაღაცნაირად გაოგნებული წინ გამიჩერდა. და აი უცებ წყნარმა, გრძელმა, ჩაფიქრებულმა ღიმილმა გაუნათა სახე, მან თითი ასწია, თითქოს რაღაცას საზრისობსო. მერე, უკვე სულ რომ მოეგო გონს, დასტაცა ხელი მაგიდაზე დადებულ გახსნილ წერილს და წინ დამიგდო:

- აჰა, წაიკითხე! შენ უსათუოდ უნდა შეიტყო ყველაფერი... ნეტავ არ

დაგენებებინა ამ ძველ სისულელეებში ამდენი რამის გამოქექვა!... გული წავიბილწე და გავიბოროტე და სხვა არაფერი!...

ვერ გამოვთქვამ ჩემს განცვიფრებას. წერილი მისი იყო, დღევანდელი, ნაშუადღევის ხუთ საათზე მოსული. ვკითხულობდი და თან თითქმის ვკანკალებდი მღელვარებისგან. პატარა წერილი იყო, მაგრამ ისე პირდაპირ და გულწრფელად ნაწერი, რომ ვკითხულობდი და თითქმის თვითონ მედგა თვალწინ და მესმოდა მისი სიტყვები. უაღრესად გულმართლად (და ამიტომ თითქმის გულისამაჩვილებლად) აღიარებდა, მეშინია თქვენიო, და მერე პირდაპირ ემუდარებოდა. თავი დამანებეთო. დასასრულ ატყობინებდა, ახლა დანამდვილებით მიყვები ცოლად ბიორინგსო. მანამდე მას არასოდეს მოეწერ აწერილი ვერსილოვისთვის.

და აი რას მივხდი მაშინ ვერსილოვის ნათქვამიდან.

წეღან, როგორც კი ეს წერილი წაიკითხა, უცებ იგრძნო ყოვლად მოულოდნელი რამ: ამ ორი საბედისწერო წლის მანძილზე ეს პირველი იყო, რომ არ უგრძვნია კატერინა ნიკოლაევნასადმი არავითარი სიძულვილი, და არც თავზარი დასცემია, როგორც მოუვიდა ჯერ კიდევ სულ ცოტა ხნის წინათ, როცა ყური მოჰკრა, ბიორინგს მიჰყვებოდა „გადაირია“. „პირიქით, სულითა და გულით დავლოცე“, - თქვა მან ღრმა გრძნობით. ეს სიტყვები აღტაცებით მოვისმინე. მაშ ყველა ვნება და ტანჯვა, რაც მასში იყო, ერთბაშად, თავისთავად გაჰქრა, როგორც სიზმარი, როგორც ორწლიანი ჯადო. ჯერ კიდევ ვერ დაეჯერებინა ეს ამბავი, როცა წეღან დედასკენ გამოეშურა - და აი: სწორედ იმ წუთს შემოვიდა, როცა დედა თავისუფალი შეიქნა და გარდაიცვალა ის მოხუცი, რომელმაც გუშინ ანდერძით ჩააბარა დედაჩემი ვერსილოვს. აი ამ ორმა დამთხვევამ შესძრა სულიერად. ცოტა ხნის მერე ჩემს საძებრად გამოიჭრა - არასოდეს არ დამავიწყდება, ასე უმალ რომ მე გავახსენდი.

არ დამავიწყდება აგრეთვე, როგორ დასრულდა ის საღამო. ეს ადამიანი ერთბაშად და მთლიანად ისევ გარდაიქმნა. კარგა ნაშუაღამევამდე ვისხედით და ვსაუბრობდით. თუ რანაირად იმოქმედა ამ „ცნობამ“ ჩემზე — მერე, თავის ადგილას გიამბობთ, ახლა კი - მხოლოდ რამდენიმე დასკვნითი სიტყვა ვერსილოვის შესახებ. ახლა რომ ვუკვირდები, კარგად მესმის, თუ რამ მომხიბლა ყველაზე მეტად - ეს იყო მისი თვინიერი ქცევა, მისი გულმართალი სიწრფელე ჩემთან, ასეთ ბიჭთან! „ეს იყო სულის შემხუთავი მხუთრი, მაგრამ დაილოცოს ეს მხუთრი! -

წამოიძახა მან. - თუ არ ეს დაბრმავება, იქნებ ვერც ვერასოდეს მივაგნებდი ჩემს გულში ასე სრულად და საუკუნოდ ერთადერთს ჩემს მეუფეს, ჩემს მრავალტანჯულ ადამიანს - დედაშენს“. საგანგებოდ მომყავს მისი ეს აღტაცებული, თავშეუკავებლად აღმომსკდარი სიტყვები შემდგომი ამბისთვის. მაგრამ მაშინ მან დაიპყრო და დაიმორჩილა ჩემი სული.

მახსოვს, ბოლოს ორივენი საშინლად გავმხიარულდით. შამპანური მოატანინა და შევსვით დედაჩემისა და „მომავლის“ სადღეგრძელო: ო, ის ისე აღსავსე იყო სიცოცხლით და ისე ემზადებოდა სიცოცხლისთვის! მაგრამ ასე უეცრად განა ღვინომ გაგვამხიარულა: ორ-ორ ჭიქაზე მეტი არც დაგვილევია. არ ვიცი რატომ, მაგრამ ბოლოს თითქმის თავშეუკავებლად ვიცინოდით. სულ სხვა რამეებზე დავიწყეთ ლაპარაკი; ვერსილოვი ანეკდოტებს მოჰყვა, მეც მხარი მივეცი. ჩვენი სიცილიცა და ანეკდოტებიც არც ბოროტი იყო და არც დამცინავი, ოღონდ ჩვენ კი მხიარულ გუნებაზე ვიყავით. არაფრის გულისთვის არ მიშვებდა: „დაიცა, ცოტა ხანს კიდევ დაიცა!“ - მეხვეწებოდა და მეც ვრჩებოდი. გამოსაცილებლადაც კი გამომყვა; მშვენიერი საღამო იყო, ცოტათი ჰყინავდა.

- მითხარით: უკვე გაუგზავნეთ პასუხი მას? - ვკითხე უცებ სულ უცაბედად, როცა უკანასკნელად ხელი ჩამოვართვი გზაჯვარედინზე.

- არა, ჯერ არ გამიგზავნია, და ეს სულ ერთია. ხვალ მოდი, ადრიანად მოდი... ჰო, აი კიდევ რისი თქმა მინდოდა: თავი დაანებე ლამბერტს, „დოკუმენტი“ კი დახიე, რაც შეიძლება საჩქაროდ დახიე. მშვიდობით!

ეს რომ მითხრა, უცებ გამეცალა; მე კი იქვე დავრჩი და ისე დავიბენი, ვეღარ გავბედე მისი მობრუნება. განსაკუთრებით შემძრა სიტყვამ „დოკუმენტი“: ვისგან უნდა შეეტყო, თანაც ასეთი ზუსტი გამოთქმით, თუ არ ლამბერტისგან? ძალზე დაბნეული დავბრუნდი შინ. ან კი რანაირად შეიძლებოდა, გამიელვა უცებ, რომ ასეთი „ორი წლის ჯადო“ გამქრალიყო, როგორც სიზმარი, როგორც მხუთრი, როგორც ზმანება?

თავი მეცხრე - I

მაგრამ დილით უფრო მხნედ და კარგ გუნებაზე გავიღვიძე. უნებურად და გულწრფელად ვუსაყვედურე კიდეც ჩემს თავს, რომ, რამდენადაც მახსოვდა, გუშინ ცოტა არ იყოს აგდებულა და თითქმის ქედმაღლურად მოვისმინე ვერსილოვის „აღსარების“ ზოგი ადგილი. და თუ ეს აღსარება ნაწილობრივ არეულ-დარეული იყო, თუ ზოგი განამხელი თითქოს ცოტა არ იყოს მხუთრისებრი და არეულიც კი იყო, განა ის მჭევრმეტყველებას აპირებდა. როცა შინ მიმიწვია გუშინ? მან მხოლოდ უდიდესი პატივი დამდო, როცა ისეთ წუთში მომმართა მე, როგორც ერთადერთს მეგობარს, და ამას არასოდეს დავუვიწყებ. პირიქით, მისი აღსარება „გულისამაჩვილებელი“ იყო, რარიგადაც არ უნდა დამცინონ ამ გამოთქმისთვის, და თუ ხანდახან გამოკრთებოდა ხოლმე ცინიკური ან თითქოს სასაცილო რამეც კი, მე მაინც საკმაოდ გულხოვრიელი ვიყავ, და შემეძლო გამეგო და დამეშვა რეალიზმი - ოღონდ ისე კი, რომ იდეალს ბილწი არ მოსცხებოდა. მთავარი ის იყო, რომ როგორც იქნა, ამოვიცანი ეს ადამიანი, და ცოტა გულიც მწყდებოდა და მწყინდა კიდეც, ყველაფერი ასე მარტივი რომ გამოდგა: ეს ადამიანი ჩემს გულში მუდამ საგანგებო სიმაღლეზე, ღრუბლებში ამყავდა და მის სვებედს აუცილებლად რაღაც იდუმალებით ვმოსავდი, ასე რომ ბუნებრივი იყო, თუ მანამდე მინდოდა უფრო თავსატეხი და ძნელი ამოსაცნობი ყოფილიყო ყველაფერი. ესეც კია, ვერსილოვის მასთან შეხვედრაში და მის ორი წლის ტანჯვაში ბევრი რამ იყო რთულიც: „მან არ ინდომა ცხოვრების ფატუმი; მას უნდოდა თავისუფლება და არა ფატუმის მონობა; ფატუმს დამონების გამო იძულებული შეიქნა შეურაცხეყო დედაჩემი, რომელიც კენიგსბერგში ჩარჩა...“. გარდა ამისა ეს კაცი, ყოველ შემთხვევაში, მქადაგებლად მიმაჩნდა: ის გულით დაატარებდა ოქროს ხანას და იცოდა ათეიზმის მომავალი; და აი იმ ქალთან შეხვედრამ ყველაფერი დაუმსხვრია, ყველაფერი შეურყვნა! ო, მე არ მიღალატნია კატერინა ნიკოლაევნასთვის, მაგრამ მაინც ვერსილოვის მხარე დავიჭირე. დედაჩემი, მაგალითად, - ვფიქრობდი მე, - არაფრით ხელს არ შეუშლიდა მის ცხოვრებას, კიდეც რომ ჯვარი დაეწერა დედაზე. ეს კარგად მესმოდა; ეს სულ სხვა რამ იყო, ვიდრე იმ ქალთან შეხვედრა. მართალია, დედაჩემი მაინც ვერ მისცემდა სიმშვიდეს, მაგრამ ეს უკეთესიც კი იქნებოდა: ასეთი ადამიანები სხვაგვარად უნდა განვსაჯოთ, და დაე მუდამ ასეთიც იყოს მათი ცხოვრება; და ეს სულაც არ გახლავთ უმსგავსობა; პირიქით, უმსგავსობა ის იქნებოდა ისინი რომ დამშვიდებულიყვნენ, ან საერთოდ დაჰგვანებოდნენ სხვა საშუა-

ლო ადამიანებს. სრულებით არ მაშფოთებდა, ვერსილოვი რომ ქებადიდებას ასხამდა თავადაზნაურობას, და მის სიტყვებზე: „Je mourrai gentilhomme“(აზნაურადვე მოვკვდები (ფრანგ.).) - არ შევმკრთალვარ: კარგად მივხვდი, რანაირი gentilhomme-იც იყო; ეს გახლდათ ტიპი, რომელიც გაიღებს ყველაფერს და ხდება მსოფლიო მოქალაქეობისა და „იდეათა საყოველთაო გაერთიანების“ - ამ მთავარი რუსული აზრის - წინასწარმეტყველად. და ეს ყოველივე სისულელეც რომ ყოფილიყო, ესე იგი „იდეათა საყოველთაო გაერთიანება“ (რაც, რა თქმა უნდა, წარმოუდგენელი რამაა), მაინც მარტო ის იყო კარგი, რომ ვერსილოვი მთელი თავისი სიცოცხლე ეთაყვანებოდა იდეას და არა ბრიყვულ ოქროს კერპს. ღმერთო ჩემო, განა მე თვითონ, როცა ჩემი „იდეა“ შევიგულე, - განა მე ოქროს კერპს ვეთაყვანებოდი, განა მაშინ ფული მინდოდა? გეფიცებით, მხოლოდ იდეა მესაჭიროებოდა! გეფიცებით, არც ერთ სკამს, არც ერთ დივანს არ გადავაკრავდი ხავერდს და, ასი მილიონიც რომ მქონოდა, ისევ იმ ერთ თეფშ ხორციან წვნიანს დავჯერდებოდი, როგორც ახლა!

ტანთ ვიცვამდი და თავშეუკავებლად ვჩქარობდი ვერსილოვთან წასვლას. დავუმატებ: გუშინ „დოკუმენტი“ რომ მიხსენა, დღეს იმის თაობაზეც ხუთჯერ უფრო მეტად დავარხეინდი, ვიდრე გუშინ. ჯერ ერთი, იმედი მქონდა, ყველაფერს ავუხსნი-მეთქი, მეორეც კიდევ, აბა იმით რა დაშავდა, რომ ლამბერტი მასთანაც შეძვრა და რაღაცეები მოუჩმახა? მაგრამ უმთავრეს სიხარულს მაინც ერთი განსაკუთრებული გრძნობა მგვრიდა; ეს გახლდათ ფიქრი, რომ ვერსილოვს „აღარ უყვარს ის“; ეს ძალიან ვიწამე და ვგრძნობდი, რომ რაღაც მძიმე ლოდი მომშორდა გულზე. მახსოვს, მაშინ ერთმა მიხვედრამ გამიელვა გულში: სწორედ ის უმსგავსოება და უაზრო გაცეცხლება, როცა ბიორინგის ამბავი შეიტყო და ის შეურაცხმყოფელი წერილი გაუგზავნა, სწორედ ეს უკიდურესობა უნდა ყოფილიყო კიდეც მაუწყებელი და წინამორბედი მისი გრძნობების რადიკალური შეცვლისა და გონს მალე მოსვლისა; „ეს ავადმყოფობასავით უნდა ყოფილიყო, - ვფიქრობდი, - და სწორედ მეორე უკიდურესობით უნდა გათავებულიყო - მედიცინის ეპიზოდია და სხვა არაფერი!“ ეს ფიქრი ბედნიერებით მავსებდა.

„და დაე, დაე იმ ქალმა როგორც უნდა ისე განაგოს თავისი ბედი, დაე რამდენიც უნდა წაჰყვეს თავის ბიორინგს, ოღონდ კი მას, ჩემს მამას, ჩემს მეგობარს, აღარ უყვარდეს ის“, - გავიძახოდი მე. თუმცა აქ ჩემი საკუთარი გრძნობების ერთგვარი საიდუმლოებაც იმარხებოდა, მაგრამ აქ, ამ ჩანაწერებში, არ მინდა სიტყვა გავაჭრელო ამაზე.

ესეც ასე. ახლა კი უკვე ყოველგვარ მსჯელობას განზე გადავდებ და გადმოგცემთ მთელს მომდევნო საშინელებას და ფაქტების მთელს მა-ქინაციას.

II

ათი საათი იქნებოდა, ის იყო წასვლა დავაპირე - ვერსილოვთან, რა თქმა უნდა, - დარია ანისიმოვნა გამომეცხადა. სიხარულით ვკითხე: ვერსილოვმა ხომ არ გამოგგზავნათ-მეთქი? - და წყენით შევიტყვე, რომ მას კი არა, ანა ანდრეევნას გამოუგზავნია, და რომ ის, დარია ანისიმოვნა, „დილაბინდში წამოვიდა სახლიდან“.

- რომელი სახლიდან?

- რომელიდან და თქვენ რომ იყავით გუშინ, იქიდან. ის გუშინდელი ბინა, სადაც პაწია ცხოვრობს, ახლა ჩემს სახელზეა ნაქირავები, ფულს კი ტატიანა პავლოვნა იხდის...

- ე, ეგ ჩემთვის სულ ერთია! - შევაწყვეტინე სიტყვა. - ვერსილოვი თუა შინ? მივუსწრებ?

და, ჩემდა გასაოცრად, შევიტყვე, რომ ვერსილოვი მასზე ადრე წასულიყო სახლიდან; მაშ დარია ანისიმოვნა „დილაბინდში“ წამოვიდა, ვერსილოვი კი კიდევ უფრო ადრე.

- მაშ ახლა დაბრუნდებოდა?

- არა, ბატონო, ნამდვილად არ დაბრუნებულა და იქნებ სულაც არ დაბრუნდეს, - წარმოთქვა მან და ისეთივე გაფაციცებული და ქურდული მზერა მომაპყრო, როგორც მაშინ, ავადმყოფი რომ მინახულა. ყველაზე უფრო იმან გამაცოფა, რომ აქ ისევ თავს იჩენდა რაღაც საიდუმლოებანი და სისულელეები და რომ, როგორც ჩანდა, ამ ხალხს არ შეეძლო უსაიდუმლოდ და წაუშმაკებლად ცხოვრება.

- რატომ თქვით, იქნ ებ სულაც არ დაბრუნდესო? რას გულისხმობთ? ნამდვილად დედაჩემთან წავიდოდა!

- რა მოგახსენოთ.

- თქვენ თვითონ რაღაზე მობრძანებულხართ?

მან გამომიცხადა, ახლა ანა ანდრეევნასგან მოვდივარ, შემოგითვალათ, ახლავე მოდით, თორემ „გვიან იქნებაო“. ამ ისევ საიდუმლოებ-

ით აღსავსე სიტყვამ გადამრია:

- რას ჰქვია „გვიან იქნება“?! არ მინდა წამოსვლა და არც წამოვალ! ნებას არ მივცემ რომ ისევ დამეპატრონონ! მიმიფურთხებია ლამბერტისთვის - ასეც გადაეცით ანა ანდრეევნას, და თუ გამომიგზავნის იმ თავის ლამბერტს, კინწისკვრით გავაგდებ - ასე მოახსენეთ!

დარია ანისიმოვნა საშინლად შეშფოთდა.

- ახ, არა, ბატონო, - წამოდგა ჩემსკენ ნაბიჯი და ხელისგულები ისე მიადო ერთმანეთს, თითქოს ლოცვით მემუდარებაო, - გეთაყვათ, დაიცათ, ნუ ცხარობთ; ეს უბრალო ამბავი არაა, არც თვითონ თქვენთვის, არც ანდრეი პეტროვიჩისთვის, არც დედათქვენისთვის, არავისთვის... გეთაყვა, ახლავე ინახულეთ ანა ანდრეევნა, თორემ მეტს ვეღარ დაგელოდებათ... პატიოსნებას გეფიცებით, ასეა... მერე კი რაც გენებოთ, ის გადაწყვიტეთ.

განცვიფრებითა და ზიზღით შევცქეროდი.

- სისულელეა, არაფერიც არ მოხდება, არ მოვალ! — წამოვიძახე ჯიუტად და ნიშნისგებით. - ახლა სულ ახლებურად ვიცხოვრებ! მაგრამ თქვენ ამას რას მიხვდებით? მშვიდობით, დარია ანისიმოვნა. განგებ არ წავალ, განგებ არც არაფერს გამოგკითხავთ. თქვენ მხოლოდ თავგზას მიბნევთ. სულ არ მეპიტნავება თქვენი გამოცანების ამოცნობა.

მაგრამ რაკი ადგილიდან არ იძვროდა და წასვლას არ აპირებდა, დავტაცე ხელი ჩემს ქურქსა და ქუდს და მე თვითონ გამოვედი, დარია ანისიმოვნა კი შუა ოთახში დავტოვე. ოთახში არც წერილები მქონდა რამე და არც ქაღალდები, ეგეც არ იყოს, წინათაც თითქმის არასოდეს დამიკეტია ოთახი, როცა სადმე წავსულვარ. მაგრამ ჯერ სადარბაზო კართანაც არ ვიყავ მისული ,რომ კიბეზე დამედევნა ჩემი ბინის პატრონი, პიოტრ იპოლიტოვიჩი, ვიცე-მუნდირი ეცვა, მაგრამ ქუდის დახურვა ვერ მოესწრო.

- არკადი მაკაროვიჩ! არკადი მაკაროვიჩ!

- თქვენ რაღა გინდათ?

- მიბრძანდებით და ამბავს არას დასტოვებთ?

- არაფერს.

აშკარად შეწუხებული ისე შემომჩერებოდა თითქოს უნდა სულში ჩამიძვრესო:

- მაგალითად, თქვენი ოთახის თაობაზე ხომ არაფერს იტყოდით?

- ოთახის თაობაზე რა უნდა გითხრათ? აკი დროზე გამოგიგზავნეთ ქირა?

- არა, ბატონო, ფულზე არ მოგახსენებთ, - გრძელი ღიმილით გაიღიმა, თან ისევ თვალით მჭამდა.

- რა დაგერიათ ყველას? - ვიყვირე ბოლოს მთლად გააფთრებულმა. - თქვენ რაღა გინდათ?

რამდენიმე წამს გაჩერდა, თითქოს მაინც კიდევ რაღაცას ელის ჩემგანო.

- მაშ ალბათ მერე მიბრძანებთ... რაკი ახლა ამის გუნებაზე არა ბრძანდებით, - წაიბუტბუტა მან და კიდევ უფრო გრძლად გაიღრიჭა. - აღარ გაგაჩერებთ, ბატონო, მეც სამსახურში მიგვიანდება.

ეს მითხრა და კიბე აირბინა, შინ შებრუნდა. რა თქმა უნდა, ყოველივე ამას უნდა ჩავეფიქრებინე. განზრახ არ ვტოვებ თუნდაც უმცირეს რამეს მთელი იმ მაშინდელი წვრილმანი სისულელეებისა, რადგან ყოველივე ეს შემდეგ შეიკრა ერთ საბოლოო თაიგულად, სადაც ჰპოვა კიდეც თავისი ადგილი, რაშიც მკითხველიც დარწმუნდება. ხოლო მე რომ მართლაც თავგზას მიბნევდნენ ეს წვრილმანები, ეს სწორი გახლავთ. ასე აღელვებული და გაღიზიანებული თუ ვიყავ, სწორედ იმიტომ, რომ მათს სიტყვებში კვლავ გავიგონე ინტრიგებისა და გამოცანების ჩემთვის ესოდენ მობეზრებული ტონი, რამაც კვლავ ძველი ამბები მომაგონა. მაგრამ განვაგრძობ.

ვერსილოვი შინ არ აღმოჩნდა და მართლაც დილაბინდში წასულიყო. „თქმა არ უნდა, დედასთან წავიდოდა“, - მაინც ჩემსას ვფიქრობდი ჯიუტად. რაკი მხოლოდ ძიძა დამხვდა, ერთი საკმაოდ ბრიყვი დედაკაცი, გამოკითხვა აღარ დამიწყია. დედაჩემთან გავიქეცი, და, გამოტეხით გეტყვით, ისე აფორიაქებული ვიყავ, რომ შუა გზაზე ეტლი ვიქირავე. დედასთან წუხანდელს მერე აღარ მისულიყო. იქ მხოლოდ ტატიანა პავლოვნა და ლიზა დამხვდნენ. ის იყო შევედი, რომ ლიზამ წასვლა დააპირა.

სამივენი ზემოთ ისხდნენ, ჩემს „კუბოში“. ძირს კი სასტუმრო ოთახში, მაგიდაზე ესვენა მაკარ ივანოვიჩი, რომელსაც თავთით დადგომოდა ვიღაც ბერიკაცი და დუდუნით კითხულობდა დავითნს. ახლა უკვე აღარ მოვყვები იმის აღწერას, რაც პირდაპირ საქმეს არ ეხება, ოღონდ იმას კი აღვნიშნავ, რომ კუბო, რომლის გაკეთებაც უკვე მოესწროთ და იქვე იდგა, თუმცა შავი იყო, მაგრამ ურალო კი არა, ხავერდგადაკრული, ხოლო მიცვალებულს ძალზე ძვირფასი წასახური ეფარა - ასეთი დიდებული რამ არც ჩვენს ყარიბს შეშვენოდა და არც მის რწმენათ; მაგრამ ასეთი გახლდათ დედაჩემისა და ტატიანა პავლოვნას დაჟინებული სურვილი.

რა თქმა უნდა, არ ველოდი, მხიარულნი დამხვდებიან-მეთქი; მაგრამ მაშინვე თვალში მომხვდა ის განსაკუთრებულად გულისმომწყვლელი, წუხილითა და ზრუნვით აღსავსე სევდა, მათს სახეზე რომ ამოვიკითხე, და მაშინვე დავასკვენი, ამის მიზეზი მარტო განსვენებული არ უნდა იყოს-მეთქი. ეს ყველაფერი, ვიმეორებ, მშვენივრად მახსოვს.

მე მაინც ნაზად მოვეხვიე დედას და მისი ამბავი ვკითხე. დედას თვალებში მყისვე აუკიაფდა შეშფოთებული ცნობისმოყვარეობა. საჩქაროდ ვუთხარი, რომ წუხელ მთელი საღამო, კარგა გვიანობამდე, ერთად გავატარეთ, მაგრამ დღეს შინ არაა, დილაადრიან წასულა, თუმცა წუხელ, როცა ვშორდებოდი, თვითონ დამიბარა ამ დილისთვის, რაც შეიძლება ადრე მოდიო. დედამ არაფერი მიპასუხა, ხოლო ტატიანა პავლოვნამ, როგორც კი დრო იხელთა, მუქარით დამიქნია თითი.

- მშვიდობით, ძმაო, - უცებ მითხრა ლიზამ და სწრაფად გავიდა ოთახიდან. ცხადია, გამოვეკიდე, მაგრამ ის გასასვლელ კართან გაჩერდა.

- ვიცოდი, მიხვდება და გამოვა-მეთქი, - წამჩურჩულა აჩქარებით.

- ლიზა, რა ამბავია ამათს თავს?

- მეც არ ვიცი, ოღონდ ბევრი რამ კი უნდა იყოს. ალბათ იმ „მარადიული ისტორიის“ კვანძი იხსნება. ანდრეი პეტროვიჩი არ გამოჩენილა, ამათ კი რაღაც იციან მის შესახებ. შენ არ გეტყვიან, მაგის იმედი ნუ გექნება, შენც ჭკუა იხმარე და ნუ დაუწყებ გამოკითხვას; ოღონდ დედა დარდით აღარაა. არც მე მიკითხავს არაფერი. მშვიდობით.

მან კარი გააღო.

- ლიზა, ენს თავსაც ხომ არაფერია? - გავყევი წინკარში. მისმა საშინლად დატანჯულმა, სასოწარკვეთილმა, სახემ გული მომიკლა. მან გაბრაზებით კი არა, თითქმის გაბოროტებით შემომხედა, გესლიანად ჩაიცინა და ხელი ჩაიქნია:

- ნეტავ მომკვდარიყო - ღმერთს მადლობას შევწირავდი! - ამომძახა კაბიდან და წავიდა. ეს თავად სერგეი პეტროვიჩზე თქვა, სერგეი პეტროვიჩს კი მაშინ ხურვება შეეყარა და ცნობამიხდილი ლოგინად იყო ჩავარდნილი. ნაღვლიანი, მაგრამ აღგზნებული დავბრუნდი ზევით. „მარადიული ისტორიაო! რა მარადიულ ისტორიას ამბობს?“ - გამომწვევად გავიფიქრე, და აი უცებ მომინდა უსათუოდ მეამბნა მათთვის თუნდაც ზოგი რამ წუხანდელი აღსარებისა, ან თუნდაც თვით აღსარება. „ესენი ახლა რაღაცას ცუდს ფიქრობენ მასზე - მაშ შეიტყონ ყველაფერი!“ - გამიელვა თავში.

მახსოვს, ძალიან მარჯვედ მოვახერხე ამბის დაწყება. სახეზე მაშინვე საშინელი ცნობისმოყვარეობა გამოეხატათ. ამჯერად ტატიანა პავლოვნაც ლამის თვალებით მჭამდა; მაგრამ დედა უფრო თავშეკავებით იყო; ძალზე სერიოზულად მისმენდა, მაგრამ მსუბუქი, მშვენიერი, თუმცა სავსებით უიმედო ღიმილი გადაეკრა სახეზე და თითქმის აღარც მოშორებია, ვიდრე ვყვებოდი. მე, რა თქმა უნდა, კარგად ვლაპარაკობდი, თუმცა ვიცოდი, რომ მათთვის თითქმის გაუგებარი იყო. ჩემდა გასაოცრად, ტატიანა პავლოვნა კრიჭაში აღარ მიდგებოდა, არ მოითხოვდა სიზუსტეს, არ ცდილობდა ანკესზე წამოვეგე, როგორც იცოდა ხოლმე ჩვეულებრივად ყოველთვის, როცა კი რაიმე ლაპარაკი წამომიწყია. ოღონდ დროგამოშვებით ტუჩებს კუმავდა და თვალებს წკურავდა, თითქოს უჭირს ნათქვამის გაგებაო. ხანდახან ისიც კი მეჩვენებოდა, ყველაფერი ესმით-მეთქი, მაგრამ ეს თითქმის შეუძლებელი იყო. მე, მაგალითად, ვლაპარაკობდი ვერსილოვის შეხედულებებზე, მაგრამ, უმთავრესად, იმაზე, თუ რა აღტაცებით მელაპარაკა წუხელ დედაზე, მის სიყვარულზე, იმაზე, თუ რარიგ ჰკოცნიდა მის სურათს... ამას რომ მისმენდნენ, სწრაფად და უსიტყვოდ გადახედავდნენ ხოლმე ერთმანეთს, ხოლო დედაჩემი სულ აენთო, თუმცა ორივენი დუმილს განაგრძობდნენ. მერე, რა თქმა უნდა, არ შემეძლო დედაჩემის თანდასწრებით შევხებოდი მთავარ პუნქტს, ესე იგი კატერინა ნიკოლაევნასთან შეხვედრას და ყოველივე დანარჩენს, მეტადრე კი მის გუშინდელ წერილს და ვერსილოვის „ზნეობრივ აღდგენას“ იმ წერილის მერე, ხოლო რაკი მთავარი სწორედ ეს იყო, ამიტომ ყველა მისი გუშინდელი გრძნობები, რითაც ვფიქრობდი დედაჩემის გახარებას, ბუნებრივია,

გაუგებარი დარჩა, თუმცა, რა თქმა უნდა, ამაში მე არ მიმიძღვის ბრალი, რადგან რისი მოყოლაც შეიძლებოდა, მშვენივრად მოვუყევი. მთლად გაოგნებულმა გავათავე მოყოლა; მათ დუმილი არ დაურღვევიათ და ძალზე დამიმძიმდა მათთან ყოფნა.

- ალბათ დაბრუნდებოდა ან იქნებ ჩემთანაა და მელოდება - ვთქვი და წამოსვლა დავაპირე.

- წადი, წადი! - მტკიცედ დამიდასტურა ტატიანა პავლოვნამ.

- ქვევით თუ იყავი? - ხმადაბლა მკითხა დედამ გამოთხოვებისას.

- ვიყავი, თაყვანი ვეც და ვილოცე მისთვის. რა მშვიდი, რა კეთილსახიერი სანახავია, დედა! გმადლობთ, დედა, რომ არ დაიშურეთ მისთვის კუბოს ფული. თავდაპირველად უცნაურად მეჩვენა, მაგრამ მაშინვე გავიფიქრე, თვითონ ისიც ასევე მოიქცეოდა-მეთქი.

- ხვალ ხომ მოხვალ ეკლესიაში? - მკითხა და ტუჩები აუთრთოლდა.

- რას ბრძანებთ, დედა? - გავიკვირვე. - დღესაც მოვალ პანაშვიდზე, მერეც მოვალ; და... თანაც ხვალ ხომ თქვენი დაბადების დღეა, დედა, ჩემო საყვარელო მეგობარო! სამი დღე მაინც დასცლოდა!

მტკივნეულად გაოცებული გამოვედი იქიდან: აბა სადაურია ასეთი კითხვა - მოხვალ თუ არა ეკლესიაში ანდერძის აგებაზეო? და თუკი ჩემზე ასე ეგონათ, მაშ ვერსილოვზე რაღას ფიქრობენ?

ვიცოდი, რომ ტატიანა პავლოვნა გამომეკიდებოდა და განზრახ შევჩერდი გასასვლელ კართან; მაგრამ როგორც კი წამომეწია, ხელი წამკრა, ზედ კიბეზე გამომაგდო, თვითონაც გამომყვა და კარი გამოიხურა.

- ტატიანა პავლოვნა, მაშ თქვენ არც დღეს ელით ანდრეი პეტროვიჩს და არც ხვალ? მეშინია...

- გაჩუმდი! დიდი ამბავი, შენ თუ გეშინია. მითხარი: რა დაგრჩა უთქმელი, იმ გუშინდელ ბოდიალს რომ გვიამბობდი?

მე საჭიროდ არ ჩავთვალე ამის დაფარვა და ვერსილოვზე გულმოსულმა გადმოვულაგე ყველაფერი კატერინა ნიკოლაევნასგან გამოგზავნილ გუშინდელ წერილზე და იმაზე, თუ რა ეფექტი მოახდინა იმ

წერილმა, ესე იგი როგორ აღსდგა ვერსილოვი ცხოვრებისთვის. ჩემდა გასაოცრად წერილის ფაქტს სულაც არ გაუკვირვებია ტატიანა პავლოვნა და მივხვდი, რომ უჩემოდაც სცოდნია.

- ხომ არ ჩმახავ?

- არა.

- ერთი იმას დამიხედეთ, - გესლიანად გაიღიმა, თან რაღაცას საზრისობდა, - აღმდგარა თურმე! მისგან არც ეგაა გასაკვირი! მართლა ჰკოცნიდა სურათს?

- მართლა, ტატიანა პავლოვნა.

- გრძნობით ჰკოცნიდა, არ თვალთმაქცობდა?

- თვალთმაქცობდაო? განა ოდესმე უთვალთმაქცნია? გრცხვენოდეთ, ტატიანა პავლოვნა; უხეში სული გაქვთ, ქალური.

ეს სიტყვები ცხარედ წარმოვთქვი, მაგრამ თითქოს არც გაუგონია: ისევ იდგა და რაღაცას საზრისობდა, თუმცა კიბეზე ძალიან ციოდა. მე კი ქურქი მეცვა, მაგრამ თვითონ კაბის ამარა იყო.

- ერთ საქმეს დაგავალებდი, მაგრამ ძალზე ბრიყვი ხარ, - წარმოთქვა მან ზიზღით და თან თითქოს დანანებით. - გამიგონე, მიდი ერთი ანა ანდრეევნასთან და მიიხედ-მოიხედე, რა ხდება იქ... თუმცა არა, ნუ წახვალ; გამოთაყვანებულის გაკეთებული საქმე სად ნახულა! წადი, მოუსვი, რა სარგადაყლაპულივით დგეხარ?

- რახან ეგრეა, არ წავალ ანა ანდრეევნასთან, ანა ანდრეევნამ კი თვითონ გამომიგზავნა კაცი, მოდიო.

- თვითონ გამომიგზავნა? დარია ანისიმოვნა?- სწრაფად მობრუნდა ტატიანა პავლოვნა; წასვლას აპირებდა და კარიც შეაღო, მაგრამ ისევ მიხურა.

- არაფრის გულისთვის არ წავალ ანა ანდრეევნასთან! - გავიმეორე ავი ნეტარებით. - იმიტომ არ წავალ, რომ ახლა გამოთაყვანებული მიწოდეთ, მე კი არასოდეს არ ვყოფილვარ ისეთი გამჭრიახი, როგორიც დღეს ვარ. მთელს თქვენს საქმეებს ისე ვხედავ, თითქოს ხელისგულზე მელაგოს; ანა ანდრეევნასთან კი მაინც არ წავალ!

- აკი მეუბნებოდა გული! - წამოიძახა მან, მაგრამ ისევ ჩემი სიტყვების პასუხად კი არა, არამედ თავისი საფიქრალის გამო. - უხიმანკლებენ ახლა რაღაცას იმ ქალს და მარყუჟს წაუჭერენ!

- ანა ანდრეევნას?

- ბრიყვო!

- მაშ ვისზე ამბობთ? იქნებ კატერინა ნიკოლაევნაზე თქვით? რა მარყუჟიო, რას ამბობთ - საშინლად შევშფოთდი. რაღაც ბუნდოვანმა, მაგრამ საშინელმა იდეამ დამიარა სულში. ტატიანამ, გამგმირავი მზერა მომაპყრო.

- შენ თვითონ რაღაო? - მკითხა უცებ. - შენ იქ რაღა შუაში ხარ? შენზედაც ყური მოვკარი რაღაცეებს - ჭკუით იყავი, თორემ!

- გამიგონეთ, ტატიანა პავლოვნა, ერთ საშინელ საიდუმლოს გაგიმხელთ, ოღონდ ახლა არა, ახლა არ მცალია, ხვალ მარტოკას გეტყვით, , სამაგიეროდ მითხარით სიმართლე, მითხარით, რაც რამ იცით, ანდა რა მარყუჟს ამბობდით... იმიტომ, რომ სულ კანკალი ამივარდა...

- მიმიფურთხებია შენს კანკალზე! - წამოიძახა მან. - რა საიდუმლოს მიამბობ ხვალ? იქნებ მართლა იცი რამე? - ჩამასო კითხვით აღსავსე მზერა:. - აკი შენ თვითონ შეჰფიცე, კრაფტმა დასწვა ის წერილიო?

- ტატიანა პავლოვნა, გიმეორებთ, ნუ მაწვალებთ, - განვაგრძობდი ჩემსას, ჩემი მხრივ არც მე მივუგე კითხვაზე, რადგან გაგიჟებას ცოტა მიკლდა, - გამიფრთხილებიხართ, ტატიანა პავლოვნა, იმას, რასაც თქვენ მიმალავთ, შეიძლება კიდევ უარესი რამ მოჰყვეს... გუშინ ხომ ვერსილოვი აღსდგა, სავსებით აღსდგა!

- მომწყდი თავიდან, ტაკიმასხარავ! მგონი ღმერთი გაგწყრომია და შენც შეგყვარებია — მამა-შვილს ტრფობის ერთი საგანი ჰყავთ! თფუი, ნამუსგარეცხილებო!

აღშფოთებით მოიჯახუნა კარი და თვალს მიეფარა. მისი ამ უკანასკნელი სიტყვების უტიფარმა, ურცხვმა ცინიზმმა - ცინიზმმა, რომელიც მხოლოდ ქალს შეუძლია, გამაცოფა და ღრმად შეურაცხყოფილი გამოვვარდი გარეთ. მაგრამ აღარ მოვყვები ჩემი გაურკვეველი განცდების აღწერას, აკი პირობა მოგეცით; განვაგრძობ მხოლოდ ფაქტებით, რომლებიც ახლა ყველაფერს გადასჭრიან, ცხადია, გზად კვლავ შევ-

ირბინე ვერსილოვთან და ძიძამ ისევ მითხრა, სულ არ გამოჩენილაო.

- და სულ არ მოვა?

- ღმერთმა უწყის.

III

ფაქტებით, ფაქტებით!... მაგრამ ესმის თუ არა მკითხველს რაიმე? მახსოვს, მე თვითონ რანაირად დამიბრიყვეს მაშინ სწორედ ამ ფაქტებმა და არ მაცალეს რაიმეში გარკვევა, იმდენად, რომ როცა ის დღე მიიწურა, სულ ამერია თავში ყველაფერი. ამიტომ ორიოდ სიტყვით წინ გავუსწრებ ამბებს!

მთელი ჩემი სატანჯველი აი რა იყო: თუ ვერსილოვი გუშინ მკვდრეთით აღსდგა და გულიდან ამოიღო მისი სიყვარული, მაშ სადღა უნდა იყოს ახლა? პასუხი: უწინარეს ყოვლისა — ჩემთან, ვისაც გუშინ მეხვეოდა, მერე კი მაშინვე დედასთან, რომლის სურათსაც ჰკოცნიდა გუშინ. და აი, ამ ორი ბუნებრივი ნაბიჯის ნაცვლად, ის „დილაბინდში“ სადღაც წასულა, ხოლო დარია ანისიმოვნა რატომღაც ჩმახავს, „იქნებ სულაც არ დაბრუნდესო“. ეს კიდევ არაფერი: ლიზა ირწმუნება, რომ რაღაც „მარადიული ისტორიის“ კვანძი იხსნება, რომ დედამ ზოგი რამ იცის მის შესახებ, თანაც უფრო გვიანდელი ცნობა აქვს; გარდა ამისა, ეჭვი არაა, იციან კატერინა ნიკოლაევნას წერილის ამბავიც (ეს მე თვითონ შევატყვე) და მაინც არ სჯერათ მისი „აღდგომა ახალი ცხოვრებისთვის“, თუმცა ყურადღებით კი მომისმინეს. დედა ჯავრით აღარ არის, ტატიანა პავლოვნა კი გესლიანად დასცინის სიტყვა „აღდგომას“. მაგრამ თუ ყოველივე ეს ასეა, მაშ ვერსილოვს ღამით კვლავ შეუცვლია განწყობილება, კვლავ დამართნია კრიზისი და ეს მოხდა გუშინდელი აღტაცების, სასოების, პათოსის მერე! მაშ მთელი ეს „მკვდრეთით აღდგომა“ საპნის ბუშტივით გამსკდარა და ვინ იცის, იქნებ ახლა კვლავ აწრიალებული აქეთ-იქეთ აწყდება სადღაც, ისევე გაცოფებული, როგორც მაშინ, ბიორინგის ამბავი რომ შეიტყო! საკითხავია, რა დაემართება დედას, მე, ჩვენ ყველას და... და - დასასრულ, რა დაემართება კატერინა ნიკოლაევნას? რა „მარყუჟია“. ტატიანას რომ წამოცდა, როცა ანა ანდრეევნასთან მგზავნიდა? მაშასადამე, სწორედ იქ ყოფილა „მარყუჟი“ - ანა ანდრეევნასთან! რაღა იმასთან? რა თქმა უნდა, გავიქცევი ანა ანდრეევნასთან; წეღან განგებ ვუთხარი, არ წავალ-მეთქი, ნაწყენი ვიყავ და მხოლოდ იმიტომ ვთქვი უარი; ახლავე გავიქცევი; მაგრამ რაო, ის რა მითხრა ტატიანამ „დოკუმენტზე“? და გუშინ განა თვითონ ვერსილოვმა არ მითხრა „დასწვი დოკუმენტიო“?

აი რა ფიქრები მერეოდა, აი რა იყო, მეც რომ მარყუჟივით მიჭერდა

და მახრჩობდა; მაგრამ მთავარი ის იყო, რომ ახლა მე ვერსილოვი მჭირდებოდა. მასთან ყველაფერს ხელად გადავჭრიდი. - ვგრძნობდი ამას; ჩვენ ორი სიტყვით მივუხვდებოდით ერთმანეთს! ხელს დავტაცებდი მის ხელებს, მაგრამ მოვუჭერდი; ვიპოვნიდი ჩემს გულში მხურვალე სიტყვებს, - ვოცნებობდი გამწარებული. ო, მე დავძლევდი მის სიგიჟეს!... მაგრამ სადაა ახლა? სადაა? და - ბედი უნდა ყველაფერს - სწორედ ამ ცხელ გულზე არ შემომეფეთა ლამბერტი! რამდენიმე ნაბიჯიღა დამრჩენოდა ჩემს სახლამდე, რომ უცებ ლამბერტი შემომხვდა; ჩემს დანახვაზე სიხარულით იღრიალა და ხელში ხელი დამტაცა:

- აგერ მესამედ მოვდივარ შენთან... Enfin! წამო, ვისაუზმოთ!

- დაიცა! ჩემთან იყავ? ანდრეი პეტროვიჩი იქ ხომ არ იყო?

- არავინაც არ იყო. ჯანდაბას იმათი თავი! ბღიყვი ხარ, გუშინ რომ გამიბრაზდი; შენ მთვრალი იყავი, მე კი სერიოზული რაღაც მაქვს სათქმელი; დღეს საუცხოო რაღაცეები შევიტყვე იმის თაობაზე, რასაც გუშინ ვლაპარაკობდით...

- ლამბერტ, - შევაწყვეტინე, სული მეხუთებოდა, ვჩქარობდი და უნებურად ცოტა არ იყოს დეკლამაციურად ვლაპარაკობდი. - თუ ახლა გაგიჩერდი, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ერთხელ და სამუდამოდ მოგიშორო თავიდან. გუშინაც გითხარი, მაგრამ ვერ შეგისმენია. ლამბერტ, შენ ბავშვი ხარ, და თანაც ბრიყვი, როგორც ფრანგი. შენ სულ გგონია, რომ ტუშართან ხარ და მეც ისეთივე ბრიყვი ვარ, როგორიც ტუშართან ვიყავ... მაგრამ აღარა ვარ ისეთი ბრიყვი, როგორიც ტუშართან ვიყავ... გუშინ მთვრალი ვიყავი, მაგრამ ღვინომ კი არ დამათრო, - ისედაც აღგზნებული ვიყავი, ხოლო თუ გეთანხმებოდი, რასაც ჩმახავდი, ვეშმაკობდი, რომ შენი აზრები დამეფქვევინებინა. გატყუებდი, შენ კი სიხარულით ცას ეწიე, დაიჯერე და განაგრძე ჩმახვა. იცოდე, რომ მისი შერთვა ისეთი სისულელეა, რომელსაც მოსამზადებელი კლასის გიმნაზიელიც კი არ დაიჯერებს. განა საფიქრებელია, რომ მე დავიჯერებდი? შენ კი დაიჯერე! იმიტომ დაიჯერე, რომ მაღალ საზოგადოებაში მიღებული არა ხარ და სულ არ გაგეგება, რანაირად ხდება იქ ეგ ამბები. მაღალ საზოგადოებაში ეგ ეგრე უბრალოდ არ ხდება და შეუძლებელია, რომ ეგრე უბრალოდ ადგეს და ცოლად წამომყვეს... ახლა ნათლად გეტყვი, შენ რაც გინდა: შენ გინდა შემიტყუილო, რათა დამათრო, დამტყუო დოკუმენტი და დამიყოლიო რაღაც თაღლითობაზე კატერინა ნიკოლაევნას წინააღმდეგ! ჰოდა მიჰქარავ! არასოდეს არ მოვალ შენთან, და იცოდე, ხვალვე, ან ხვალ თუ არა ზეგ მაინც ის ქაღ-

ალდი მას ექნება საკუთარ ხელში, რადგან დოკუმენტი მას ეკუთვნის, მისი დაწერილია, და პირადად მე თვითონ გადავცემ, და თუ გნებავს იცოდე, სად გადავცემ, ინებე — მისი ნაცნობის, ტატიანა პავლოვნას მეშვეობით, ტატიანა პავლოვნას ბინაზე, ტატიანა პავლოვნას თანდასწრებით - გადავცემ და დოკუმენტების სანაცვლოდ არაფერს არ მოვთხოვ... ახლა კი - დამეკარგე აქედან, თორემ, ლამბერტ, დიდ თავაზიანობას არ გამოვეკიდები...

ეს რომ დავასრულე, ციებ-ცხელებაშეყრილივით ვცახცახებდი. ყველაზე მთავარი საქმე და ყველაზე საძაგელი თვისება ცხოვრებაში, რაც ყოველ საქმეს ვნებს - ისაა, მეტისმეტად რომ გამოიდებ თავს კაცი. რა ჯანდაბამ გამაცხარა ისე ძალიან, რომ როცა ლაპარაკს ვათავებდი და ნეტარებით ვმარცვლავდი ყოველ სიტყვას, თან ხმას თანდათან ვუმატებდი, უცებ ისე შევიჭერ როლში, რომ ჩავურთე ეს სავსებით ზედმეტი ცნობა - დოკუმენტს ტატიანა პავლოვნას მეშვეობით და მის ბინაზე გადავცემ-მეთქი! მაგრამ ერთბაშად ისე მომინდა პირში ჩალა გამომევლო მისთვის! ისე პირდაპირ რომ წამოვაყრანტალე დოკუმენტის შესახებ და უცებ მისი ბრიყვული შიში დავინახე, ერთბაშად მომინდა კიდევ უფრო მეტად გამეგიჟებინა ყოველ წვრილმანის ზუსტად გადაცემით. და აი ეს დედაკაცური ბაქია ლაქლაქი შეიქნა მერე საშინელ უბედურებათა მიზეზი, ვინაიდან ტატიანა პავლოვნასა და მისი ბინის ამბავი მაშინვე ჩაეჭედა გონებაში იმ არამზადა და წვრილ-წვრილ საქმეებში გამოქექილ კაცს; მაღალ და მნიშვნელოვან საქმეებში სრული არარაობაა და არც არაფერი გაეგება, მაგრამ ასეთ წვრილ ამბებში მაინც რაღაც ალღო აქვს. რომ არ მეხსენებინა მაშინ ტატიანა პავლოვნა - არც იმდენი უბედურება მოხდებოდა. მაგრამ მე რომ მომისმინა, პირველ წუთს საშინლად დაიბნა.

- გამიგონე, - ბუტბუტებდა ის, - ალფონსინა... ალფონსინა გიმღერებს... ალფონსინამ ინახულა ის ქალი; გამიგონე; ერთი წერილი მაქვს, თითქმის წერილია, სადაც ახმაკოვა შენზე ლაპარაკობს, ჩოფურამ მიშოვნა, ხომ გახსოვს ჩოფურა - აი ნახავ, შენ თვითონ ნახავ, წამოდი!

- მიჰქარავ, მაჩვენე წერილი!

- შინაა, ალფონსინას აქვს, წამოდი!

ცხადია, ტყუოდა და ჩმახავდა, რადგან იმის დარდი ჰქონდა, არ გამექცესო; მაგრამ მე უცებ მივატოვე შუა ქუჩაში და, როცა გამოყოლა დააპირა, გავჩერდი და მუშტი დავუქნიე. თუმცა ის უკვე შეჩერდა, და-

ფიქრდა - და მაცალა წამოსვლა: იქნებ უკვე ახალი გეგმა ესახებოდა თავში. მაგრამ ჩემთვის სიურპრიზები და შეხვედრები არ დასრულებულიყო... მგონი ყველა იმ სიურპრიზსა და მოულოდნელობას პირი შეეკრათ და ერთბაშად გადმომემხო თავზე თითქოს რაღაც წყეული ბარაქის ყანწიდან. შევაღე თუ არა ჩემი ბინის კარი, დერეფანშივე შევეჩეხე ერთ მაღალ-მაღალ, სახემოგრძო და ფერმკრთალ, დიდებულ ქურქში გამოწყობილ, მედიდურ და „კოხტა“ გარეგნობის ყმაწვილ კაცს; ცხვირზე პენსნე ეკეთა, მაგრამ როგორც კი დამინახა, მაშინვე მოიძრო (უთუოდ ზრდილობისთვის), თავაზიანად ოდნავ მოიხადა ცილინდრი ოა მოხდენილი ღიმილით, თუმცა ფეხშეუნელებლად წაილაპარაკა: „ha, bonsoir“(საღამო მშვიდობისა (ფრანგ.).), გვერდი ჩამიარა და კიბეს ჩაუყვა. ორივემ მაშინვე ვიცანით ერთმანეთი, თუმცა ჩემს სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ მენახა, მოსკოვში. ისიც გაკვრით. ეს გახლდათ ანა ანდრეევნას ძმა, კამერიუნკერი, ყმაწვილი ვერსილოვი, ვერსილოვის ვაჟი და, მაშასადამე თითქმის ჩემი ძმა. მას მოაცილებდა დიასახლისი (ბინის პატრონი ჯერ არ დაბრუნებულიყო სამსახურიდან). როცა გავიდა, მაშინვე ვეცი დიასახლისს:

- აქ რა ესაქმებოდა? ჩემს ოთახში იყო?

- თქვენს ოთახში რა უნდოდა. ჩემთან იყო... - სწრაფად და ცივად მომიგო და თავის ოთახს მიაშურა.

- არა, ასე არ შეიძლება! - ვიყვირე, - კეთილი ინებეთ და მითხარით: რატომ მოვიდა?

- ახ, ღმერთო ჩემო! ისღა მაკლია წვრილად მოგახსენოთ, ვინ რატომ მოდის. მგონი ჩვენც შეგვიძლია ჩვენი ანგარიშები გვქონდეს. იქნებ ყმაწვილ კაცს ფული უნდა იშოვნოს სასესხებლად და მისამართი მკითხა. იქნებ ამას წინათ რომ იყო, მაშინ შევპირდი...

- ეგ როდისღა?

- ახ, ღმერთო ჩემო! პირველად ხომ არ მოსულა, რა ვქნა!

დიასახლისი წავიდა. მთავარი ის იყო, რომ მივხვდი: აქ ტონს იცვლიან - უხეშად დამიწყეს ლაპარაკი. ცხადი იყო, აქ ისევ რაღაც საიდუმლო იმარხებოდა; ყოველ ნაბიჯზე, ყოველ საათში მატულობდა საიდუმლოებანი. ახალგაზრდა ვერსილოვი პირველად ჩემი ავადმყოფობის დროს იყო ჩემს ბინაზე თავის დასთან, ანა ანდრეევნასთან ერ-

თად; ეს ძალიან კარგად მახსოვდა, ისევე, როგორც ის, რომ გუშინ ანა ანდრეევნამ საოცარი სიტყვა გადმომკრა, იქნებ მოხუცი თავადი შენს ბინაში გაჩერდესო... მაგრამ ყოველივე ეს ისე არეულ-დარეული და მახინჯი რაღაც იყო, რომ თითქმის ვერაფერი მომესაზრებინა ამის თაობაზე. შუბლში ხელი ვიტკიცე და არც კი ჩამიმუხლია, ანა ანდრეევნასთან გავქანდი; შინ არ აღმოჩნდა, კარისკაცმა კი მითხრა, „ცარსკოეში წაბრძანდა; ხვალ ამ დროზე ადრე არ დაბრუნდებაო“.

„თვითონ ცარსკოეშია, მოხუც თავადთან, მისი ძმა კი ჩემს ბინას ათვალიერებს! არა, ეს არ მოხდება! - დავაღრჭიალე კბილები. - ხოლო აქ თუ მართლაც რაღაც მარყუჟია, მე დავიფარავ საბრალო ქალს!“

ანა ანდრეევნასგან შინ აღარ დავბრუნებულვარ, რადგან ჩემს ანთებულ თავში უცებ გამოკრთა მოგონება - თხრილზე მდგარი სამიკიტნო, სადაც ზოგჯერ უყვარდა სიარული ანდრეი პეტროვიჩს თავის მძიმე წუთებში. ამ მიხვედრამ გამახარა და ხელად იქით გავიქეცი; ოთხი საათი იქნებოდა და უკვე ბინდბუნდი წვებოდა. სამიკიტნოში მითხრეს, იყოო: „ცოტა ხანს ბრძანდებოდა და წაბრძანდა; იქნებ ისევ შემოიაროს“. უცებ გამწარებით გადავწყვიტე, დავუცდი-მეთქი და სადილი მოვითხოვე; სხვა თუ არაფერი, იმედი მაინც გამიჩნდა.

სადილი გიახელით, მეტიც კი შევჭამე, რათა უფლება მქონოდა რაც შეიძლება დიდხანს ვმჯდარიყავი და, მგონი, ბარე ოთხი საათი ვიჯექი. ვერ აგიწერთ ჩემს სევდას და ავადმყოფურ მოუთმენლობას; თითქოს შიგნით ყველაფერი მერყეოდა და მითრთოდა. ეს არღანი, ეს მუშტრები - ო, მთელი ეს ნაღველი იქნებ სამუდამოდაც კი აღმებეჭდა სულში! არც იმ ფიქრებს აგიწერთ, შემოდგომის ქარისგან აწრიალებული ხმელი ფოთლებივით რომ მერეოდა თავში; ნამდვილად რაღაც ამის მსგავსი მემართებოდა და, გამოგიტყდებით, ვგრძნობდი, რომ დროდადრო გონება მღალატობდა.

მაგრამ რაც მტკივნეულად მტანჯავდა (ცხადია, გაკვრით, სხვათა შორის, მთავარი ტანჯვის გვერდით) - გახლდათ ერთი მოუშორებელი, შხამიანი შთაბეჭდილება - მოუშორებელი, როგორც შემოდგომის შხამიანი ბუზი, რომელზეც არ ფიქრობთ, მაგრამ რომელიც ახლოს გიტრიალებთ, გიშლით და უცებ მწარედ გიკბენთ. ეს გახლდათ მხოლოდ მოგონება, ერთი შემთხვევა, რომელიც ჯერ არავისთვის არ გამიმხელია ქვეყნად. აი რა მოხდა — ვინაიდან სადმე მაინც ხომ უნდა მოგიყვეთ ამასაც.

IV

როცა მოსკოვში უკვე გადაწყდა, რომ პეტერბურგს უნდა წამოვსულიყავ, ნიკოლაი სემიონოვიჩის პირით შემატყობინეს. დაელოდე სამგზავრო ფულსო. ვის უნდა გამოეგზავნა ის ფული - არ მიკითხავს; ვიცოდი, რომ ვერსილოვისგან უნდა ყოფილიყო, ხოლო, რადგან იმხანად, გულგადალეული და ქედმაღლური გეგმებით სავსე, დღედაღამ ვერსილოვთან შეხვედრაზე ვოცნებობდი, თავი ვანებე ხმამაღლა მის ხსენებას, მარია ივანოვნასთანაც კი აღარ ვახსენებდი. თუმცა მოგაგონებთ, რომ საკუთარი ფულიც მქონდა სამგზავროდ; მაგრამ მაინც გადავწყვიტე დავლოდებოდი; სხვათა შორის, ვფიქრობდი, ფოსტით მომივა ფული-მეთქი.

ერთიც ვნახოთ, ერთ მშვენიერ დღეს ნიკოლაი სემიონოვიჩი შინ დაბრუნდა და გამომიცხადა (თავისი ჩვეულებისამებრ მოკლედ და ბრტყელ-ბტრყელი სიტყვების დაუხარჯავად), ხვალ, დილის თერთმეტ საათზე, წადი მიასნიცკაიაზე, თავად ვ-სკის სახლში, იქ ჩამომხტარა პეტერბურგიდან ჩამოსული კამერ-იუნკერი ვერსილოვი, ანდრეი პეტროვიჩის ვაჟი, ლიცეისდროინდელი ამხანაგი თავად ვ-სკისა, რომლისთვისაც გამოუტანებიათ შენი ფულიო. ხომ ძალზე ბუნებრივი რამ იყო: ანდრეი პეტროვიჩს შეეძლო ფოსტით გამოგზავნის მაგიერ სულ უბრალოდ დაევალებინა თავისი ვაჟისთვის ეს საქმე; მაგრამ ამ ამბავმა რაღაც არაბუნებრივად დამაფრთხო და გუნება გამიფუჭა. ეჭვი არ იყო, ვერსილოვს უნდოდა შევეხვედრებინე თავის ვაჟთან, ჩემს ძმასთან; ამრიგად მეხატებოდა ამ ჩემი საოცნებო ადამიანის ზრახვები და გრძნობები; მაგრამ აქ თავს იჩენდა ჩემთვის უზარმაზარი კითხვა: რანაირად მოვიქცევი და რანაირად უნდა მოვიქცე ამ სავსებით მოულოდნელი შეხვედრისას, და რაიმე მხრივ ხომ არ დამცირდება ჩემი ღირსება?

მეორე დღეს, ზუსტად თერთმეტ საათზე გამოვცხადდი თავად ვ-სკის ბინაზე, რომელსაც, როგორც ეტყობოდა, დიასახლისი არა ჰყავდა და მამაკაცს ეკუთვნოდა, მაგრამ ძვირფასად მორთული უნდა ყოფილიყო, თანაც ლივრეაში გამოწყობილი ლაქიები ტრიალებდნენ. დერეფანში შევჩერდი. შიდა ოთახებიდან ხმამაღალი ლაპარაკი და სიცილი ისმოდა: თავადს, კამერ-იუნკერს გარდა, სხვა სტუმრებიც ჰყავდა. ლაქიას ვუბრძანე, მოახსენეთ ჩემი მოსვლა-მეთქი, და, მგონი საკმაოდ ამაყი გამოთქმებიც ვიხმარე; ყოველ შემთხვევაში, მოსახსენებლად

რომ წავიდა, უცნაურად შემომხედა, ისიც კი მომეჩვენა, სათანადო პატივისცემით არ მიყურებს-მეთქი. ჩემდა გასაოცრად, რაღაც ძალზე დიდხანს, თითქმის ხუთ წუთს მოახსენებდა, ამავ დროს კი იქიდან კვლავ ისმოდა სიცილი და ლაპარაკი.

ცხადია, ფეხზე მდგარი ველოდებოდი, რადგან ძალზე კარგად ვიცოდი, რომ მე, როგორც „ისეთსავე ბატონს“, არ შემფერის დავჯდე დერეფანში, სადაც ლაქიები არიან. მე თვითონ კი, ჩემი ნებით, საგანგებოდ თუ არ მიმიპატიჟებდნენ, არაფრის გულისთვის არ შევიდოდი დარბაზში სიამაყის გამო; იქნებ ეს გაფაქიზებული სიამაყეც გახლდათ, მაგრამ ასე იყო საჭირო. ჩემდა გასაოცრად, დერეფანში დარჩენილმა ლაქიებმა (ორნი იყვნენ) გაბედეს ჩემი იქ ყოფნისას დაჯდომა. მე ზურგი ვაქციე, რათა არ შემემჩნია მათი უსაქციელობა, მაგრამ თან სულ კანკალი ამივარდა. უცებ მოვბრუნდი, გადავდგი ნაბიჯი ერთი ლაქიისკენ და ვუბრძანე, „ახლავე“ წადი და ხელახლა მოახსენე-მეთქი. ჩემი მკაცრი მზერისა და უაღრესი აღელვების მიუხედავად ლაქია ადგილიდანაც არ დაძრულა და ზანტად შემომხედა, ხოლო მის მაგიერ მეორემ მომიგო:

- არხეინად ბრძანდებოდეთ, უკვე მოახსენეს!

გადავწყვიტე კიდევ მხოლოდ ერთ წუთს ან ამაზე ნაკლებსაც დავიცდი, მერე კი - უსათუოდ წავალ-მეთქი. მთავარი ის იყო, რომ ძალზე წესიერად მეცვა: ტანსაცმელი და პალტო რაც არ უნდა იყოს ახლა მქონდა, ხოლო თეთრეული სულ ახალთახალი, რაზეც თვით მარია ივანოვნამ იზრუნა საგანგებოდ ამ შემთხვევისთვის. მაგრამ ამ ლაქიების შესახებ კარგა ხნის მერე და უკვე პეტერბურგში შევიტყვე დანამდვილებით, რომ მათ ჯერ წინადღესვე შეეტყოთ მსახურისგან, რომელიც ვერსილოვს ჩამოყოლოდა. ასეთი და ასეთი კაცი მოვა, ნახევარძმა და სტუდენტიო. ახლა ეს დანამდვილებით ვიცი.

გავიდა წუთი. უცნაური გრძნობაა, როცა გინდა გადაწყვიტო და ვერ კი გადაგიწყვეტია: „წავიდე თუ არა, წავიდე თუ არა?“ - ვიმეორებდი წამწუთიერ თითქმის აკანკალებული; უცებ გამოჩნდა ის მსახური, წეღან რომ წავიდა მოსახსენებლად. თითებში ეჭირა ოთხი წითელი ქაღალდის ფული, ორმოცი მანეთი.

- აჰა, ინებეთ, ოთხი თუმანია!

ცეცხლი მომეკიდა. ეს ხომ შეურაცხყოფა იყო! მთელი ღამე ვოცნ-

ებობდი, რანაირი იქნება ორი ძმის შეხვედრა, ვერსილოვმა რომ მოაწყო-მეთქი; მთელი ღამე აღგზნებული ვოცნებობდი, თუ რანაირად უნდა დამეჭირა თავი და არ შემერცხვინა - არ შემერცხვინა მთელი ციკლი იდეებისა, რომლებიც შევიქმენ ჩემს განმარტოებაში და რომლებითაც თავს მოვიწონებდი, თუ რა კეთილშობილად, ამაყად და სევდიანად დავიჭერ თავს, იქნებ თავად ვ-სკის თანდასწრებითაც, და ამრიგად, პირდაპირ შემიყვანენ თავიანთ წრეში - ო, არ ვიზოგავ თავს და ახია, ახია: სორედ ასე დაწვრილებით უნდა ავწერო ყველაფერი! და უცებ - ლაქიის ხელით დერეფანში გამოგზავნილი ორმოცი მანეთი, ისიც ათი წუთის ლოდინის მერე, თანაც ხელით, ლაქიის თითებით, - არც თეფშითა და არც კონვერტით!

იმოდენა ვუყვირე ლაქიას, რომ შეკრთა და განზე გახტა; ვუბრძანე, ახლავე უკან წაიღე ეგ ფული და ბატონმა თვითონ მომიტანოს-მეთქი - ერთი სიტყვით, რა თქმა უნდა, ჩემი მოთხოვნა უაზრობა იყო და, თქმა აღარ უნდა, ლაქიისთვის გაუგებარი. მაგრამ იმოდენა ვიყვირე, რომ ლაქია წავიდა, თანაც დარბაზში. მგონი, გაიგონეს ჩემი ყვირილი და სიცილიცა და ლაპარაკიც უცებ მიყუჩდა.

თითქმის მაშინვე შემომესმა ნაბიჯები, მედიდური, აუჩქარებელი, რბილი ნაბიჯები, და დერეფნის კარიბჭეზე — ასე გასინჯეთ, კარიბჭემდე ერთი ადლის დაშორებითაც - გამოჩნდა ლამაზი და ამპარტავანი ყმაწვილი კაცის მაღალი ფიგურა (მაშინ გაცილებით უფრო ფერმკრთალი და გამხდარი მეჩვენა, ვიდრე დღეს). დიდებული წითელი აბრეშუმის ხალათი და ფეხსაცმელი ეცვა ცხვირზე პენსნე ეკეთა. სიტყვა არ დაუძრავს, პენსნე ჩემსკენ მომართა და თვალიერება დამიწყო. მე, ნადირივით, გადავდგი მისკენ ნაბიჯი და გამომწვევად მივაშტერდი. მაგრამ მან სულ ერთი წუთი, სულ რაღაც ათიოდე წამი მათვალიერა; უცებ ტუჩებზე გაუკრთა სულ ოდნავი, მაგრამ ყოვლად გესლიანი ჩაცინება, გესლიანი სწორედ იმით, რომ თითქმის შეუმჩნეველი იყო; უხმოდ მიტრიალდა და ისევ აუჩქარებლად, ნელა და რხევით გაემართა ოთახებისკენ, როგორც მოვიდა. ო, ამ აბუჩად ამგდებლებს დედები პატარაობიდანვე, თავიანთ ოჯახებშივე ასწავლიან სხვების შეურაცხყოფას! - ცხადია, დავიბენი... ო, ნეტავ არ დავბნეულიყავ!

თითქმის მაშინვე გამოცხადდა იგივე ლაქია იმავე ფულით ხელში.

- ინებეთ ფული - პეტერბურგიდან გამომიგზავნეს, თვითონ კი ვერ მიგიღებთ; „სხვა დროისთვის იყოს, როცა უფრო მოცლილი იქნებიან“. - ვგრძნობდი, რომ ეს უკანასკნელი სიტყვები თვითონ წაუმატა. მაგრამ

ჯერ კიდევ გონს ვერ მოვსულიყავ; გამოვართვი ფული და კარისკენ გავემართე; დაბნეული რომ ვიყავ, სწორედ იმიტომ გამოვართვი, თორემ არ უნდა გამომერთმია; მაგრამ ლაქიამ, რა თქმა უნდა, ჩემს მოსაშხამავად ერთი ყოვლად ლაქიური საქციელის ნება მისცა თავს: უცებ თავქუდმოგლეჯით გამიღო კარი და როცა გვერდით ჩავუარე, დიდი ამბითა და ხაზგასმით წარმოთქვა:

- მობრძანდით, ბატონო ჩემო!

- არამზადავ! - დავუღრიალე და უცებ ხელი ავუქნიე, მაგრამ არ კი დამირტყამს. - ის შენი ბატონიც არამზადაა! ასე მოახსენე ახლავე! - დავურთე და სწრაფად გამოვედი კიბეზე.

- ეგ არ უნდა გაბედოთ! ეგ რომ ბატონისთვის ახლავე მომეხსენებინა, ხელად საპოლიციო უბანში წაგაბრძანებდნენ მისი ბარათით. ხელის მოქნევასაც რომ მიბედავთ...

მე კიბეზე ჩამოვდიოდი. საპარადო კიბე იყო, ფართო, და ზემოდან სულ ვჩანდი, ვიდრე ვეშვებოდი წითელ ხალიჩაზე. სამივე ლაქია გამოვიდა და მოაჯირს გადმოეყუდა. რა თქმა უნდა, გადავწყვიტე ხმა არ გამეცა: ლაქიებს ხომ არ გავუყადრებდი თავს. მთელი კიბე აუჩქარებლად ჩამოვიარე, ეგ კი არა, მგონი ნაბიჯიც შევანელე.

ო, დაე გამოჩნდნენ ფილოსოფოსები (და სირცხვილი მათ!), რომლებიც იტყვიან, ყოველივე ეს - უბრალო რამაა, ნერვებაშლილი ლაწირაკის განცდებიაო - დაე, მაგრამ ჩემთვის ეს იყო იარა - იარა, რომელიც არ მომშუშებია დღემდე აი ამ წუთამდეც კი. როცა ამას ვწერ და როცა ყველაფერი გათავებულიცა ადა ჯავრიც ამოყრილია. ო, ვფიცავ, არც გულგამყოლი ვარ და არც შურისმაძიებელი. დიახაც, ყოველთვის, ავადმყოფობამდეც კი, როცა გულს მატკენენ, მწყურია ხოლმე სამაგიეროს მიზღვა, მაგრამ ვფიცავ, - მხოლოდ და მხოლოდ დიდსულოვნებით. დაე მე მივუზღო დიდსულოვნებით, ოღონდ იმ პირობით, რომ მან იგრძნოს, მიხვდეს - და მე უკვე შურნაძიები ვარ! აქვე დავურთავ: შურისმაძიებელი არა ვარ, მაგრამ გულღრძო ვარ, თუმცა დიდსულოვანი: ნეტავი სხვასაც თუ ემართება ასეთი რამ? მაშინ კი, ო, მაშინ დიდსულოვანი გრძნობებით მივედი, იქნებ სასაცილოც კი ეს გრძნობები. მაგრამ დაე ასე იყოს: სჯობია სასაცილო იყოს და დიდსულოვანი, ვიდრე არასასაცილო, მაგრამ სულმდაბალი, ჩვეულებრივი, უფერული! „ძმასთან“ ეს შეხვედრა არავისთვის გამიმხელია, ასე გასინჯეთ, არც მარია ივანოვნასთვის და არც ლიზასთვის მითქვამს არაფე-

რი; ეს შეხვედრა იგივე იყო, გინდაც სამარცხვინო სილა გაეწნათ ჩემთვის. და აი, უცებ ეს ვაჟბატონი მხვდება ისეთ დროს, როცა ყველაზე ნაკლებ მის ნახვას მოველი; მიღიმის, ქუდს მიხდის და სრულიად მეგობრულად მეუბნება: „bonsoir“ რა თქმა უნდა, ეს დასაფიქრებელი ამბავი იყო... მაგრამ იარას პირი გაეხსნა!

V

ოთხ საათზე მეტი ხანი რომ დავყავი სამიკიტნოში, უცებ გადარეულივით გამოვვარდი გარეთ - ცხადია, ისევ ვერსილოვთან გავეშურე და, ცხადია, ისევ შინ არ დამხვდა, სულ არ მოსულიყო; ძიძას მოწყენილობა ჰკლავდა და უცებ მთხოვა, დარია ანისიმოვნა გამომიგზავნეო; ო, განა ამის თავი მქონდა! დედასთანაც გავიქეცი, მაგრამ შინ არ შევსულვარ, ლუკერია გამოვიხმე წინკარში, მისგან შევიტყვე, რომ არც აქ მოსულიყო და რომ არც ლიზაა შინ. ვხედავდი, რომ ლუკერიასაც უნდოდა რაღაც ეკითხა და, იქნებ, მასაც რაღაც დაევალებინა; მაგრამ სად მეცალა მათთვის! უკანასკნელი იმედიღა დამრჩენოდა, იქნებ ჩემთან მოვიდა-მეთქი; მაგრამ აღარც ეს მჯეროდა.

წეღან უკვე გითხარით, გონება თითქმის მღალატობდა-მეთქი. და აი, ჩემს ოთახში უცებ ვხედავ ალფონსინკას და ჩემს ბინის პატრონს. ის იყო ოთახიდან გამოდიოდნენ და პიოტრ იპოლიტოვიჩს ხელში სანთელი ეჭირა.

- ეს რა ამბავია! — თითქმის უაზროდ დავუღრიალე ბინის პატრონს. - როგორ გაბედეთ ამ გაიძვერას შეყვანა ჩემს ოთახში?

- Tiens! — წამოიძახა ალფონსინამ: - et les amis? (უყურეთ, აქ მეგობრები ყოფილან? (ფრანგ.))

- გაეთრიეთ! - ვიღრიალე მე.

- Mais c’est un ours! (ეს რა დათვი ვიღაცაა! (ფრანგ.).) - გაფრთხიალდა დერეფანში ვითომდა შიშით გულგახეთქილი ალფონსინკა დ ხელად შევარდა დიასახლისთან. პიოტრ იპოლიტოვიჩი, ისევე სანთლით ხელში, მკაცრი სახით მომიახლოვდა:

- ნება მიბოძეთ შეგნიშნოთ, არკადი მაკაროვიჩ, რომ მეტისმეტად გაცხარდით; რარიგადაც არ უნდა გცემდეთ პატივს, მამზელ ალფონსი-

ნა გაიძვერა არ გახლავთ, სულ საწინააღმდეგო გახლავთ. სტუმრად ბრძანდება, თანაც თქვენთან კი არა, ჩემს ცოლთან, რომელთანაც ამ ბოლო ხანებში კარგი ნაცნობობა აქვს.

- მერე ჩემს ოთახში შეყვანა როგორღა გაბედეთ? - გავიმეორე და თავზე ხელი ვიტაცე, უცებ ისე საშინლად ამტკივდა.

- შემთხვევით, ჩემო ბატონო. შევედი, რომ დამეხურა სარკმელი, რომელიც მევე გავაღე ჰაერის გასაწმენდად, და რადგან მე და ალფონსინა კარლოვნა რაღაცას ვსაუბრობდით. შუა ლაპარაკში ისიც შემომყვა თქვენს ოთახში.

- ტყუილია, ალფონსინკა ჯაშუშია, ლამბერტიც ჯაშუშია! იქნებ თქვენც ჯაშუში ხართ! ალფონსინკა კი იმიტომ მოვიდა, რომ რამე მოეპარა ჩემთვის!

- ეგ როგორც გენებოთ. დღეს ერთს ბრძანებთ, ხვალ მეორეს. ჩემი ბინა კი მცირე ხნით გავაქირავე, მე და ჩემი ცოლი პატარა ოთახში გადავალთ; ასე რომ ალფონსინა კარლოვნა ახლა აქ თითქმის ისეთივე მდგმურია, როგორიც თქვენა ხართ.

- ლამბერტს მიაქირავეთ ბინა? - წამოვიძახე შეშინებულმა.

- არა, ჩემო ბატონო, ლამბერტისთვის არ მიმიქირავებია, - გაიღიმა წეღანდელი გრძელი ღიმილით, რომელშიც დილანდელი გაცბუნების ნაცვლად ახლა სიმტკიცე გამოსჭვიოდა, - ვფიქრობ, თქვენც კარგად მოგეხსენებათ, ვისაც მივაქირავე, და ყასიდად ისე იჭერთ თავს, თითქოს არ იცოდეთ, ამიტომაც ჯავრობთ. ღამე მშვიდობისა, ჩემო ბატონო!

- ჰო, ჰო, მომშორდით, თავი დამანებეთ! - თითქმის ატირებულმა დავიწყე ხელების ქნევა, ისე რომ უცებ განცვიფრებით შემომხედა; მაგრამ მაინც გავიდა. კარი ჩავკეტე და ჩემს საწოლზე ბალიშში ჩავემხე. ასე გაიარა ჩემთვის ამ პირველმა საზარელმა დღემ იმ სამი უკანასკნელი საბედისწერო დღიდან, რომლებითაც მთავრდება ჩემი ჩანაწერები.

თავი მეათე - I

მაგრამ ისევ წინ გავუსწრებ ამბებს და საჭიროდ მიმაჩნია თუნდაც ზოგი რამ წინასწარ ავუხსნა მკითხველს, ვინაიდან მთელი ამ ამბის ლოგიკურ მიმდინარეობას იმდენი შემთხვევითი რამ შეერია, წინასწარ აუხსნელად ვერაფერს გაიგებს კაცი. აქ საქმე მდგომარეობდა სწორედ იმ „მარყუჟში“, ტატიანა პავლოვნას რომ წამოსცდა. ეს მარყუჟი კი იმაში მდგომარეობდა, რომ ბოლოს ანა ანდრეევნამ რისკი გასწია და გადადგა ყოვლად უტიფარი ნაბიჯი - როგორიც კი შეიძლებოდა მისებრ დღეში მყოფნისთვის. ხასიათი მაქვსო, იმან უნდა თქვას! თუმცა ჯანმრთელობა მოიმიზეზეს და მოხუცი თავადი დროულად გაგზავნეს ცარსკოე სელოში, ასე რომ მისი ანა ანდრეევნასთან ქორწინების ამბავი ვერ გავრცელდებოდა მაღალ საზოგადოებაში და დროებით, ასე ვთქვათ, ჩანასახშივე ჩაიხშო, მაგრამ სუსტი ხასიათის ბერიკაცი, რომელსაც ყველაფერს გააკეთებინებდა კაცი, არაფრის გულისთვის არ დათანხმდებოდა უარი ეთქვა თავის იდეაზე და ეღალატნა ანა ანდრეევნასთვის, რომელმაც თვითონ შესთავაზა ცოლობა. ამ მხრივ ჩემი თავადი რაინდი გახლდათ; ასე რომ ადრე თუ გვიან მას შეეძლო უცებ შედგომოდა თავისი განზრახვის შესრულებას იმრიგად, რომ ვეღარაფერი შეაჩერებდა, რაც ძალზე ხშირად ემართებათ ხოლმე სწორედ სუსტი ხასიათის ადამიანებს, ვინაიდან მათ აქვთ ისეთი ზღვარი, სადამდეც არაფრის გულისთვის არ უნდა მიიყვანონ. ესეც არ იყოს, მას სავსებით ესმოდა, თუ რა საჩოთირო დღეში იყო ანა ანდრეევნა, რომელსაც უსაზღვროდ პატივს სცემდა; ესმოდა, რომ მოსალოდნელია საზოგადოების ჭორები, დაცინვა, ცუდი ხმები ანა ანდრეევნას შესახებ. ჯერჯერობით მხოლოდ ის აჩერებდა და აშოშმინებდა, რომ კატერინა ნიკოლაევნას არც სიტყვითა და არც ნართაულად ერთხელაც ცუდი არაფერი წამოცდენია ანა ანდრეევნას შესახებ და ოდნავადაც კი არაფრით გამოუმჟღავნებია, წინააღმდეგი ვარ თქვენი ქორწინებისაო. პირიქით, მეტად გულღიად და ყურადღებით ეპყრობოდა მამის საცოლეს. ამრიგად ანა ანდრეევნა მეტად უხერხულ დღეში აღმოჩნდა, რადგან ქალური ალღო ეუბნებოდა, რომ საკმარისი იქნებოდა თუნდაც სულ მცირე რამ ჩაეწვეთებინა ყურში თავადისთვის კატერინა ნიკოლაევნაზე, რომელსაც მოხუცი აგრეთვე მოწიწებით ეპყრობოდა, ახლა კი ადრინდელზე უფრო მეტად და სწორედ იმიტომ, რომ მან ასე დიდსულოვნად და მოწიწებით ნება დართო ცოლი შეერთო, - მცირე რამის თქმითაც კი ანა ანდრეევნა შეურაცხყოფდა მოხუცის ყველა ნაზ გრძნობას და აღუძრავდა თვით ანა ანდრეევნასადმი უნდობლობას და იქ-

ნებ აღშფოთებასაც. ამგვარად ჯერჯერობით ბრძოლა ამ მხრივ მიმდინარეობდა: ორივე მეტოქე თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებოდა თავაზიანობასა და მოთმინებაში, და თავადმა ბოლოს უკვე აღარ იცოდა, რომლის წინაშე მოეხარა ქედი, და ყველა სუსტი, მაგრამ ნაზი გულის ადამიანთა ჩვეულებისამებრ, იმით გაათავა, რომ ყველაფერში მარტოოდენ თავის თავს ადანაშაულებდა და იტანჯებოდა. ამბობენ, ისე დარდობდა, ავად გახდაო; ნერვები მართლაც უკვე აღარ უვარგოდა, და იმის მაგიერ, რომ ცარსკოეში უკეთ შექმნილიყო, ირწმუნებოდნენ, საცაა ლოგინად ჩავარდებაო.

აქვე აღვნიშნავ ფრჩხილებში იმას, რაც ძალიან კარგა ხნის მერე შევიტყვე: თითქოს ბიორინგმა პირდაპირ შესთავაზა კატერინა ნიკოლაევნას, მოხუცი როგორმე მოტყუებით დავითანხმოთ და საზღვარგარეთ წავიყვანოთ, თან საზოგადოებაში საიდუმლოდ გამოვაცხადოთ, სულ დაკარგა ჭკუაო, საზღვარგარეთ კი ექიმებისგან ვიშოვნით მოწმობასო. მაგრამ სწორედ ეს არ ისურვა კატერინა ნიკოლაევნამ არაფრის გულისთვის; ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობდნენ. მან ვითომ აღშფოთებით უკუაგდო ეს წინადადებაო. ყოველივე ეს ძალზე შორეული ხმებია, მაგრამ მე მჯერა.

და აი, როცა, ასე ვთქვათ, საქმე ყოვლად გამოუვალ მდგომარეობამდე მივიდა, ანა ანდრეევნა უცებ ლამბერტისგან ტყობილობს, რომ არსებობს წერილი, რომელშიც ქალიშვილი ერთხელ უკვე ეთათბირა იურისტს, რა გზებით გამოვაცხადო მამაჩემი შეშლილადო. ანა ანდრეევნას შურისმაძიებელი და ამაყი ტვინი უაღრესად აღეგზნო. რომ გაიხსენა ჩვენი ადრინდელი საუბრები და გაითვალისწინა აუარება უმცირესი გარემოებანიც კი, ეჭვი აღარ შეპარვია ამ ცნობის სისწორეში. მაშინ ამ ქალის მტკიცე, უდრეკ გულში გარდუვალად მომწიფდა შეტევის გეგმა. გეგმა იმაში მდგომარეობდა, რომ არც ნიადაგი შეემზადებინა და არც არაფერი ჩაეწვეთებინა ყურში, ისე, უეცრად, ერთბაშად განეცხადებინათ თავადისთვის ყველაფერი, შეეშინებინათ, თავზარი დაეცათ მისთვის, დაენახვებინათ, რომ საგიჟეთი არ ასცდებოდა და, როცა გაჯიქდებოდა, აღშფოთდებოდა და არ დაიჯერებდა - ეჩვენებინათ ქალიშვილის წერილი: „ერთხელ ხომ უნდოდა თქვენი გიჟად გამოცხადება: ახლა კი, ოღონდ ქორწინებას ხელი შეუშალონ, და მით უმეტეს გამოგაცხადებენო“. მერე დაევლოთ ხელი შეშინებული და გულმოკლული მოხუცისთვის და ჩამოეყვანათ პეტერბურგში - პირდაპირ ჩემს ბინაზე.

ეს საშინელი რისკი იყო, მაგრამ ანა ანდრეევნა მტკიცედ იყო და-

რწმუნებული თავის ძლიერებაში. აქ წუთით გადავუხვევ ამბავს, ძალიან წინ გავუსწრებ, და გეტყვით, რომ არც შემცდარა შეტევის ეფექტში; ეგ კი არა, ამ ეფექტმა მის ყველა მოლოდინს გადააჭარბა. წერილის ამბავმა გაცილებით უფრო ძლიერ იმოქმედა მოხუც თავადზე, ვიდრე ელოდა თვით ანა ანდრეევნა და ჩვენ ყველანი. მანამდე არც კი ვიცოდი, რომ თავადს ადრეევეც შეტყობილი ჰქონდა რაღაც ამ წერილის თაობაზე; ოღონდ, ყველა სუსტი და მხდალი ადამიანის ჩვეულებისამებრ, არ დაეჯერებინა და წაეყრუებინა ამ ჭორებისთვის, რათა მშვიდად დარჩენილიყო; მეტსაც გეტყვით: თავს დამნაშავედ თვლიდა, უღირსად ვიქცევი, ასე ადვილად რომ ვიცი ყველაფრის დაჯერებაო. დავუმატებ იმასაც, რომ წერილის არსებობის ფაქტმა კატერინა ნიკოლაევნაზეც გაცილებით უფრო ძლიერ იმოქმედა, ვიდრე მე თვითონ მოველოდი მაშინ... ერთი სიტყვით, ეს ქაღალდი გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი გამოდგა, ვიდრე მეგონა მე, რომლეიც ჯიბით დავატარებდი. მაგრამ აქ უკვე მეტისმეტად გავიქეცი წინ.

იკითხავთ, რაღა მაინცდამაინც შენს ბინაზეო? რატომ უნდა გადმოეყვანათ თავადი ჩვენს უბადრუკ ოთახებში და, იქნებ, დაეფრთხოთ კიდეც ჩვენი უბადრუკი მოწყობილობით? თუ არ შეიძლებოდა მის სახლში (რადგან იქ შეეძლოთ მაშინვე ხელი შეეშალათ ყველაფრისთვის), რატომ არ უნდა გადაეყვანათ საგანგებო „მდიდარ“ ბინაზე, როგორც თავაზობდა ლამბერტი? მაგრამ სწორედ ეს იყო ანა ანდრეევნას ამ საგულისგულო ნაბიჯის მთელი რისკი.

მთავარი ამბავი ის იყო, რომ თავადისთვის ჩამოსვლისთანავე ეჩვენებინათ დოკუმენტი; მაგრამ მე არაფრის გულისთვის არ ვაძლევდი დოკუმენტს. ხოლო რადგან დროის დაკარგვა აღარ შეიძლებოდა, თავისი ძლიერების მოიმედე ანა ანდრეევნამ გაბედა დაეწყო საქმე უდოკუმენტოდაც, ოღონდ იმ პირობით, რომ თავადი პირდაპირ ჩემს ბინაზე მოეგვარათ - რატომ? სწორედ იმიტომ, რომ ამ ნაბიჯით მეც გავეცურებინე, ანდაზისა არ იყოს, ორი კურდღელი დაეჭირა. მას იმედი ჰქონდა, რომ მეც თავგზას ამიბნევდა და შემძრავდა ასეთი მოულოდნელობა. ფიქრობდა, რომ, რაკი მოხუცს ჩემსას ვნახავდი, რაკი ვნახავდი, რა შეშინებული და უმწეოა, და რაკი ამას ზედ დაერთვოდა მათი საერთო მუდარა, ფარ-ხმალს დავყრიდი და მივცემდი დოკუმენტს! გამოგიტყდებით - მზაკვრული და ჭკვიანური, ფსიქოლოგიური ვარაუდი იყო. ეს კიდევ ცოტაა: კინაღამ არ გაიმარჯვა... რაც შეეხება მოხუცს, ანა ანდრეევნამ სწორედ იმით გაიტაცა იმხანად, სწორედ იმით აიძულა თუნდაც სიტყვიერად ეწამებინა მისი, რომ პირდაპირ განუცხადა, არკადისთან

მიმყავხარო. ეს ყველაფერი შემდეგში შევიტყვე. მარტო იმ ამბავმა, რომ დოკუმენტი ჩემს ხელთ იყო, უკანასკნელი ეჭვიც მოსპო მის მოშიშარ გულში - იმდენად ვუყვარდი და პატივს მცემდა!

აღვნიშნავ აგრეთვე, რომ თვით ანა ანდრეევნას ერთი წუთითაც ეჭვი არ შეპარვია, დოკუმენტი ისევ არკადის აქვს და არავისთვის გადაუციაო. მთავარი ის იყო, რომ მან მცდარად გაიგო ჩემი ხასიათი და ცინიკურად ამყარებდა იმედს ჩემს მიამიტობაზე, გულმართლობაზე, გრძნობიერებაზეც კი; ხოლო მეორე მხრივ ფიქრობდა, კიდეც რომ გადაწყიტოს წერილის გადაცემა, მაგალითად, კატერინა ნიკოლაევნასთვის, ამას უსათუოდ რაიმე განსაკუთრებული გარემოების გამო ჩაიდენსო, და აი სწორედ ამ გარემოებათათვის უნდოდა დაესწრო და დაესწრო მოულოდნელობით, შეტევით, უეცრობით.

დასასრულ, ლამბერტმაც დაარწმუნა ყოველივე ამაში. უკვე გითხარით, იმხანად ლამბერტი ყოვლად კრიტიკულ დღეში იყო-მეთქი; მას, მოღალატეს, სულით და გულით ეწადა გადავებირებინე ანა ანდრეევნასგან, რათა ერთად მიგვეყიდა დოკუმენტი ახმაკოვასთვის, რაც რატომღაც უფრო ხელსაყრელად მიაჩნდა. მაგრამ რადგან მე უკანასკნელ წუთამდე არაფრის გულისთვის არ ველეოდი დოკუმენტს, გადაწყვიტა უკიდურეს შემთხვევაში მხარში ამოდგომოდა თუნდაც ანა ანდრეევნას, რათა სულ ხახამშრალი არ დარჩენილიყო; ამიტომაც გამწარებით ემსახურებოდა, სულ უკანასკნელ საათამდე, და მე ვიცი, ისიც კი შესთავაზა, თუ დაგჭირდეთ, მღვდელსაც გიშოვნითო... მაგრამ ანა ანდრეევნამ ზიზღით ჩაიცინა და სთხოვა, მაგაზე კრინტიც აღარ დასძრათო. ლამბერტი საშინლად უხეში ეჩვენა და სრულ ზიზღს ჰგვრიდა; მაგრამ სიფრთხილის გამო მაინც უარს არ ეუბნებოდა სამსახური, რაც, მაგალითად, ჯაშუშობაში მდგომარეობდა. სიტყვამ მოიტანა და ბარემ ვიტყვი: დღემდეც კი არ ვიცი დანამდვილებით, მოისყიდეს თუ არა პიოტრ იპოლიტოვიჩი, ჩემი ბინის პატრონი, და მისცეს თუ არა მაშინ რაიმე გასამრჯელო სამსახურის გაწევისთვის, თუ მხოლოდ ინტრიგის სიყვარულით გაერია მათს ამბავში; ეს კია, რომ ისიცა და მისი ცოლიც ჩემზე მოჩენილი ჯაშუშები იყვნენ - ეს დანამდვილებით ვიცი.

მკითხველი მიხვდება ახლა, რომ თუმცა ნაწილობრივ შეტყობილი მქონდა ეს ამბავი, მაგრამ იმას კი ვერაფრის გულისთვის ვერ მოვისაზრებდი, თუ ხვალ ან ზეგ მოხუც თავადს ვნახავდი ჩემს ბინაზე და ისიც ისეთს გარემოებაში. თანაც ვერასგზით ვერ წარმოვიდგენდი ანა ანდრეევნასგან ესოდენ კადნიერებას! სიტყვებით შეიძლებოდა ელაპარაკა და სიტყვა გადაეკრა რაზედაც გნებავთ, მაგრამ ამის გაბედვა, წამ-

ოწყება და მართლა შესრულება კი - არა აი იმან უნდა თქვას, ხასიათი მაქვსო!

II

ვაგრძელებ.

დილით გვიან გამეღვიძა, არაჩვეულებრივად მაგარი და უსიზმრო ძილით მეძინა, რაც გაოცებით მახსენდება, ასე რომ როცა გავიღვიძე, ზნეობრივად კვლავ არაჩვეულებრივად მხნედ ვიგრძენ თავი, თითქოს გუშინდელი დღე არც ყოფილიყოს. გადავწყვიტე, დედასთან აღარ შევ-ივლი, პირდაპირ სასაფლაოზე, ეკლესიაში მივალ-მეთქი, რათა მერე, ცერემონია რომ დასრულდებოდა და დედასთან მივბრუნდებოდი, მთ-ელი დღე აღარ მოვშორებოდი. მტკიცედ მწამდა, რომ ყოველ შემთხ-ვევაში დღეს ვერსილოვს შევხვდებოდი დედასთან, ადრე თუ გვიან - სულ ერთია, მაგრამ აუცილებლად კი შევხვდებოდი.

შინ აღარც ალფონსინკა იყო და აღარც ჩემი ბინის პატრონი. დია-სახლისისთვის არაფრის გამოკითხვა არ მინდოდა, და საერთოდ გად-ავწყვიტე შემეწყვიტა მათთან ყოველგვარი ურთიერთობა და გადავს-ულიყავ კიდეც ამ ბინიდან რაც შეიძლება მალე; ამიტომ, როგორც კი ყავა შემომიტანეს, მაშინვე ისევ ჩავიკეტე ოთახში. მაგრამ უცებ კარზე მომიკაკუნეს; ჩემდა გასაოცრად ტრიშატოვი გამოდგა.

მაშინვე გავუღე კარი და გახარებულმა ვთხოვე, შემოდით-მეთქი, მაგრამ შორს დაიჭირა:

- მხოლოდ ორ სიტყვას გეტყვით აქვე... თუმცა შემოსვლა სჯობია, რადგან აქ მგონი ჩურჩულით უნდა ილაპარაკოს კაცმა; ოღონდ არ და-ვჯდები. ჩემს უხეირო პალტოს უყურებთ: ლამბერტმა წამართვა ქურქი.

მართლაც უხეირო, გაქუცული და უზომოდ გრძელი პალტო ეცვა, რაღაც მოღუშული და ნაღვლიანი იდგა ჩემს წინ, ხელები ჯიბეში ჩაეწ-ყო და ქუდს არ იხდიდა.

- მე არ დავჯდები, არა. გამიგონეთ, დოლგორუკი, დაწვრილებით არაფერი ვიცი, ოღონდ ვიცი, რომ ლამბერტი რაღაც ღალატს გიმზა-დებთ, სულ მალე და გარდაუვალად - ეს დანამდვილებით ვიცი. ამიტ-ომ ერიდეთ. ჩოფურას წამოსცდა - გახსოვთ ის ჩოფურა? მაგრამ არ მი-თხრა რაშია საქმე, ასე რომ ამის მეტს ვერაფერს გეტყვით. მხოლოდ იმიტომ მოვედი, რომ გამეფრთხილებინეთ - მშვიდობით.

- დაჯექით, ჩემო კარგო ტრიშატოვ! მეჩქარება კია, მაგრამ ისე გამეხარდა თქვენი მოსვლა... - დავიწყე მე.

- ვერა, ვერ დავჯდები; ის კი მეხსომება, ჩემი მოსვლა რომ გაგეხარდათ, ე, დოლგორუკი, ვინ მოვატყუო: მე შეგნებულად, ნებაყოფლობით დავთანხმდი იმდენ სიგლახესა და სიმდაბლეზე, რომ თქმაც კი მრცხვენია თქვენთვის. ჩვენ ახლა ჩოფურას ვემსახურებით... მშვიდობით, რა ღირსი ვარ, რომ დავჯდე თქვენსას.

- კარგი ერთი, ტრიშატოვ, გეთაყვა...

- არა, იცით რას გეტყვით, დოლგორუკი, მე ყველასთან კადნიერი ვარ და ახლა დავიწყებ ქეიფს. მალე ძველ ქურქზე უკეთესს შემიკერავენ და საკუთარი ეტლით ვისეირნებ. მაგრამ ჩემს გულში მეცოდინება, რომ თქვენსას ყოფნისას მაინც არ დავმჯდარვარ, რადგან მევე ასე მივუსაჯე ჩემს თავს. იმიტომ, რომ თქვენს წინაშე მდაბალი და გლახაკი ვარ. რაც არ უნდა იყოს, ეს მაინც მომაგონდება სიამოვნებით, როცა უსინდისო ქეიფში გადავიჭრები. მშვიდობით, მაშ მშვიდობით; არც ხელს ჩამოგართმევთ; აკი ალფონსინკა არ მართმევს ხელს. და, თუ შეიძლება, ნუ გამომეკიდებით, ჩემთანაც ნუ მოხვალთ; ჩვენ კონტრაქტი დავდეთ.

უცნაური ბიჭი მობრუნდა და წავიდა. ეგ იყო, დრო არ მქონდა, მაგრამ გადავწყვიტე, როგორც კი მოვაგვარებ ჩვენს საქმეებს, მაშინვე შევუდგები მის ძებნას-მეთქი.

ახლა აღარ მოვყვები მთელი იმდღევანდელი დილის აღწერას, თუმცა გასახსენებელი ბარემაც ბევრია. ვერსილოვი ეკლესიაში არ მოსულა დაკრძალვაზე და მგონი არც ელოდნენ, ისეთი სახე ჰქონდა ყველას. დედა სასოებით ლოცულობდა და, ეტყობოდა, მთელი არსებით შთანთქა ლოცვამ. კუბოსთან მხოლოდ ტატიანა პავლოვნა და ლიზა იყვნენ. თუმცა არაფერს, არაფერს არ ავწერ. დაკრძალვის მერე ყველანი შინ დავბრუნდით და სუფრას შემოვუსხედით, და ისევ მათი შემხედვარე მივხვდი, უთუოდ არც სადილად ელიან-მეთქი. როცა სუფრიდან ავიშალენით, დედასთან მივედი, მხურვალედ გადავეხვიე და დაბადების დღე მივულოცე; ლიზაც ასევე მოიქცა.

- გამიგონე, ძმაო, - ჩუმად წამჩურჩულა ლიზამ, - ვერსილოვს ელიან.

- ვხვდები, ლიზა, ვხედავ.

- უსათუოდ მოვა.

მაშ ზუსტი ცნობები ჰქონიათ-მეთქი, გავიფიქრე, მაგრამ გამოკითხვა არ დამიწყია. თუმცა არ ავწერ ჩემს გრძნობებს, მაგრამ, მთელი ჩემი მხნეობის მიუხედავად, ამ გამოცანამ უცებ ისევ საშინლად დამიმძიმა გული. ყველანი სასტუმრო ოთახში მრგვალ მაგიდას შემოვუსხედით, დედას გარშემო. ო, რა რიგ მსიამოვნებდა მაშინ მასთან ყოფნა და მისი ცქერა! დედამ უცებ მთხოვა, სახარებიდან წაიკითხე რამეო. მე წავიკითხე ერთი თავი ლუკას სახარებიდან. დედა არ ტიროდა და თითქოს არც მაინცდამაინც დამწუხრებული იყო, მაგრამ მისი სახე არასოდეს არა მჩვენებია სულიერად ისე გააზრებული მის წყნარ გამოხედვაში იდეა გამოსჭვიოდა, მაგრამ ვერაფრით ვერ შევნიშნე, რომ შეშფოთებული ყოფილიყო რაიმეს მოლოდინში. ლაპარაკი არ წყდებოდა; ბევრი რამ გაიხსენეს განსვენებულის შესახებ, ბევრი რამ გვიამბო ტატიანა პავლოვნამაც, რაც მანამდე სრულებით არ ვიცოდი და საერთოდ ვინმეს რომ ჩაეწერა, ბევრი საყურადღებო რამ აღმოჩნდებოდა. ასე გასინჯეთ, ტატიანა პავლოვნამაც კი თითქოს იცვალა თავისი ჩვეული სახე: ძალზე წყნარი, ძალზე ალერსიანი და, რაც მთავარია, ძალზე მშვიდი იყო, თუმცა ბევრს კი ლაპარაკობდა, რათა დედა გაერთო. მაგრამ ერთი დეტალი კი მეტად კარგად დამახსოვდა: დედა დივანზე იჯდა, დივანის მარცხნივ კი, საგანგებოდ მრგვალ მაგიდაზე, თითქოს რაღაცისთვის გაუმზადებიათო, ესვენა ხატი - უძველესი ხატი, რომელსაც მოჭედილობა არა ჰქონდა, ოღონდ ზედ გამოსახულ ორ წმინდანს თავს შარავანდედი დადგომოდა. ეს ხატი მაკარ ივანოვიჩს ეკუთვნოდა - ეს ვიცოდი, და ვიცოდი ისიც, რომ განსვენებული არასოდეს არ იშორებდა ამ ხატს და სასწაულმოქმედად თვლიდა. ტატიანა პავლოვნამ რამდენჯერმე შეავლო თვალი ხატს.

- გამიგონე, სოფია, - შეცვალა უცებ ლაპარაკი ტატიანა პავლოვნამ, - ეგრე რომ დევს ეგ ხატი, ხომ არ აჯობებდა მაგიდაზე დაგვედგა, კედელზე მიგვეყუდებინა და კანდელი დაგვენთო?

- არა, ასე სჯობია, - მიუგო დედამ.

- ეგეც მართალია. თორემ ძალიან საზეიმოდ გამოვიდოდა...

მაშინ ვერაფერს მივხვდი, მაგრამ საქმე ის იყო, რომ ეს ხატი მაკარ ვანოვიჩს კარგა ხნის წინათ სიტყვიერად ეანდერძა ანდრეი პეტროვიჩ-

ისთვის, და დედას უნდოდა ახლა გადაეცა მისთვის.

ნაშუადღევის ხუთი საათი იქნებოდა; ჩვენ ისევ განვაგრძობდით ლაპარაკს, რომ უცებ შევნიშნე, დედას თითქოს სახეზე შეკრთომამ გადაურბინა: სწრაფად გაიმართა წელში და ყური ცქვიტა, ტატიანა პავლოვნას კი არაფერი შეუმჩნევია და ისევ ლაპარაკობდა. მაშინვე კარისკენ მივიხედე და, ერთი წამიც არ გასულა, რომ ანდრეი პეტროვიჩი გამოჩნდა კარებში. ეზოდან, სამზარეულოსა და დერეფნის მხრიდან შემოსულიყო, და მარტო დედამ გაიგონა მისი ნაბიჯები. ახლა ავწერ მთელს მომდევნო უგონო სცენას, ყოველ ჟესტს, ყოველ სიტყვას; ძალზე პატარა სცენა იყო.

ჯერ ერთი, მის სახეზე სულ პაწია ცვლილებაც კი შემიმჩნევია, ყოველ შემთხვევაში ერთი შეხედვით. ჩვეულებრივად ეცვა, ესე იგი თითქმის კოპწიად. ხელში ცოცხალი ყვავილების პატარა, მაგრამ ძვირფასი თაიგული ეჭირა. მიუახლოვდა დედას და ღიმილით გადასცა თაიგული; დედამ ჯერ შემკრთალი გაოგნებით შეხედა, მაგრამ თაიგული ჩამოართვა და უცებ ოდნავ შეუყირმიზდა ფერმკრთალი ლოყები, თვალებში კი სიხარული აუკიაფდა.

- ვიცოდი, რომ ეგრე მიიღებდი, სონია, - წარმოთქვა ვერსილოვმა. რადგან მის შემოსვლაზე ყველანი ფეხზე წამოვდექით, მაგიდასთან მივიდა, ხელი დაავლო ლიზას სავარძელს. დედას მარცხნივ რომ იდგა, და არც კი შეუმჩნევია, სხვისი ადგილი დავიკავეო, დაჯდა. ამრიგად პირდაპირ იმ მაგიდასთან აღმოჩნდება, რომელზედაც ხატი ესვენა.

- გამარჯობათ ყველას. სონია, უსათუოდ მინდოდა შენთვის ამ თაიგულის მოტანა დღეს, შენი დაბადების დღეს, და ამიტომაც არ მოვედი დაკრძალვაზე, რომ მიცვალებულთან თაიგულით არ მოვსულიყავი; თუმცა დაკრძალვაზე არც მელოდი, ვიცი. მოხუცი უთუოდ არ გამიწყრება ამ ყვავილებისთვის, აკი თვითონვე ანდერძად დაგვიგდო სიხარული, ხომ ასეა? ასე მგონია, სადღაც აქვეა, ოთახში.

დედამ უცნაურად შეხედა; ტატიანა პავლოვნას თითქოს შეაზრიალა.

- ვინაა აქ ოთახში? - ჰკითხა მან.

- ცხონებული. თავი დავანებოთ ამას. ხომ იცით, რომ ადამიანი, რომელსაც მაინცდამაინც არა სწამს ეს ათასნაირი სასწაული, ყველა-

ზე მეტად სწორედ ცრურწმენებისადმი იჩენს მიდრეკილებას... მაგრამ სჯობია თაიგულზე გელაპარაკოთ: ვერ გამიგია, რანაირად მოვიტანე ბოლომდე. რომ მოვდიოდი, სამჯერ მაინც მინდოდა თოვლზე დამეგდო და ფეხით გამესრისა.

დედა შეკრთა.

- საშინლად მინდოდა. შემიბრალე, სონია, შეიბრალე ჩემი საცოდავი თავი. გასრესა კი იმიტომ მინდოდა, რომ ძალზე ლამაზია. ყვავილზე ლამაზი რა არის ქვეყნად? მომაქვს ეს თაიგული, ირგვლივ კი თოვლია და ყინვა. ჩვენებური ყინვა და ყვავილები - რა წინააღმდეგობაა! თუმცა სხვას ვამბობ: უბრალოდ იმიტომ მინდოდა გამესრისა, რომ ლამაზია. სონია, თუმცა ახლა ისევ გადვიკარგები, მაგრამ ძალიან მალე დაგიბრუნდები, რადგან, მგონი, ისევ შიშმა ამიტანოს. ამიტანს შიში — და ვინ მომირჩენს იმ შიშს, სად ვნახავ სონიასებრ ანგელოზს? ეს რა ხატი დაგისვენებიათ? ა, განსვენებულისაა მახსოვს. მამაპაპისეულია, საგვარეულო; სულ თან დაატარებდა, არ იშორებდა, ვიცი, მახსოვს, მე მიანდერძა; კარგად მახსოვს... და, მგონი, მწვალებლებისაა... მანახეთ ერთი.

აიღო ხატი, სანთელთან მიიტანა და დაკვირვებით დაათვალიერა, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე წამი ეჭირა - მაგიდაზე დადო, ოღონდ ახლა უკვე თავის წინ. გაოცებას ვიყავ, მაგრამ ყველა ეს უცნაური სიტყვები ისე მოულოდნელად თქვა, რომ ჯერ არაფრის მოსაზრება არ შემეძლო. მახსოვს მხოლოდ, რომ ავადმყოფური შიში მიმსჭვალავდა გულს. დედაჩემს შიშის ნაცვლად განცვიფრება და თანაგრძნობა გამოეხატა სახეზე; ვერსილოვში ის უწინარეს ყოვლისა მხოლოდ უბედურ ადამიანს ხედავდა; წინათაც ხომ მომხდარა ხოლმე, რომ ზოგჯერ თითქმის ასევე უცნაურად ულაპარაკია. ლიზა უცებ რატომღაც საშინლად გაფითრდა და უცნაურად მანიშნა თავით ვერსილოვზე. მაგრამ ყველაზე მეტად ტატიანა პავლოვნა შეშინდა.

- რა მოგივიდათ, ანდრეი პეტროვიჩ, გეთაყვათ? - ფრთხილად ჰკითხა მან.

- ღმერთმანი, არ ვიცი, რა მჭირს, საყვარელო ტატიანა პავლოვნა. ნუ სწუხართ, ჯერ მახსოვს, რომ თქვენ ტატიანა პავლოვნა ხართ და რომ საყვარელი ადამიანი ხართ. თუმცა მე მხოლოდ ერთი წუთით შემოვიარე; მინდოდა სონიასთვის რაიმე კარგი მეთქვა და ვეძებ ასეთ სიტყვას. თუმცა გული აღსავსე მაქვს სიტყვებით, რომლებიც ვერ გა-

მომითქვამს; ღმერთმანი, სულ რაღაც უცნაური სიტყვები მაქვს. იცით რა, ასე მგონია, ორად ვიყოფი-მეთქი, - საშინლად სერიოზული სახით და ყოვლად წრფელი გულთანაზიარობით მოგვავლო თვალი ყველას. - ღმერთს გეფიცებით, აზრით ორად ვიყოფი და ეს საშინლად მაშინებს. გინდამც თქვენს ახლოს თქვენი ორეული იდგეს; თქვენ თვითონ ჭკვიანი და გონიერი ხართ, იმას კი უსათუოდ უნდა თქვენ ახლოს ჩაიდინოს რაღაც სისულელე, ხანდახან კი ძალზე მხიარული რამე, და უცებ ამჩნევთ, რომ თურმე თქვენ თვითონ გინდათ იმ მხიარული რაღაცის ჩადენა და ღმერთმა უწყის რატომ, ესე იგი გინდათ კიდეც და არც გინდათ, გამწარებით ეურჩებით ამ სურვილს და მაინც გინდათ. ერთ ექიმს ვიცნობდი, რომელმაც მამამისის დაკრძალვისას ეკლესიაში სტვენა მორთო. გამჩენს ვფიცავ, მეშინოდა დღეს დაკრძალვაზე მოსვლა, რადგან რატომღაც ამეკვიატა ფიქრი, უცებ დავუსტვენ ან ხარხარს დავიწყებ-მეთქი იმ უბედური ექიმივით რომელმაც საკმაოდ ცუდად დაასრულა თავისი დღენი... და, ღმერთმანი, არ ვიცი რისი ბრალია, რომ დღეს მთელი დღე ის ექიმი მახსენდება; ისე მახსენდება, რომ ვერა და ვერ მომიშორებია. იცი რა, სონია, აი ისევ ავიღე ხელში ეს ხატი (მართლა აიღო და ხელში ატრიალებდა) და იცი, საშინლად მინდა ახლა, აი ამ წამში, ღუმელის ქიმს ჩამოვკრა, აი ამ ქიმს. დარწმუნებული ვარ, მაშინვე ორად გაიპობა - არც მეტი, არც ნაკლები.

მთავარი ის იყო, რომ ყველაფერი ისე წარმოთქვა, არც თვალთმაქცობა ჩაიდინა და არც რაიმე უსაქციელობა; სულ უბრალოდ ლაპარაკობდა, მაგრამ ეს უფრო საშინელი იყო, და მგონი მართლაც საშინლად ეშინოდა რაღაცისა; უცებ შევამჩნიე, რომ ხელები უკანკალებდა.

- ანდრეი პეტროვიჩ! — წამოიძახა დედამ და უმწეოდ გაშალა ხელები.

- ხელი უშვი ხატს, ანდრეი პეტროვიჩ, გაუშვი, დადე! — წამოიჭრა ტატიანა პავლოვნა. - ტანთ გაიხადე და დაწექი. არკადი, გავარდი ექიმთან!

- მოიცათ... მოიცათ, რამ აგაწრიალათ? - წარმოთქვა მან წყნარად და დაკვირვებით მოგვავლო თვალი ყველას. მერე უცებ ორივე იდაყვი მაგიდაზე ჩამოსდო და თავით ხელებს დაეყრდნო. - გაშინებთ, მაგრამ ერთ რამეს გთხოვთ, მეგობრებო, ცოტათი მაინც გამართეთ, დასხედით ისევ და დამშვიდდით — ერთი წუთით მაინც! სონია, სრულებითაც არ მოვსულვარ ამის სალაპარაკოდ; მოვედი, რომ რაღაც მეცნობებინა, ოღონდ სულ სხვა რამ. მშვიდობით, სონია, ისევ სახეტიალოდ მი-

ვდივარ და გტოვებ, როგორც დამიტოვებიხარ ხოლმე უკვე მრავალჯერ... რა თქმა უნდა, ოდესმე ისევ შენთან მოვალ - ამ მხრივ შენ გარდუვალი ხარ. სხვას ვის მივაკითხო, როცა ყველაფერი გათავდება? მერწმუნე, სონია, ახლა მოვედი შენთან, როგორც ანგელოზთან და არა როგორც მტერთან: სადაური მტერი შენა ხარ, ვინა თქვა შენი მტრობა! არ იფიქრო, თითქოს ამ ხატის გასატეხად მოვედი, რადგან, იცი რა, სონია, მე ხომ მაინც მინდა მისი გატეხვა...

როცა წეღან ტატიანა პავლოვნამ მიაყვირა: „ხელი გაუშვი ხატს!“ - გამოსტაცა კიდეც ხელიდან და ახლა თვითონ ეჭირა. ეს ბოლო სიტყვა რომ წარმოთქვა, ვერსილოვი უცებ სწრაფად წამოიჭრა, თვალის დახამხამებაში ხელიდან გამოგლიჯა ხეტი ტატიანა პავლოვნას, გააფთრებით აიქნია და რაც ძალა და ღონე ჰქონდა, შორენკეციის ღუმელის კიდეს დაჰკრა. ხატი ზუსტად ორ ნაწილად გაიპო... ვერსილოვი უცებ ჩვენსკენ მობრუნდა, ფერმკრთალი სახე უცებ სულ ერთიანად გაუწითლდა, თითქმის გაუჭარხლდა, და სახის ყოველი კუნთი აუკანკალდა და აუმოძრავდა:

- ალეგორიად არ ჩამომართვა, სონია, მაკარის მემკვიდრეობა კი არ დამიმსხვრევია, მე მხოლოდ გატეხვა მინდოდა... მაგრამ მაინც შენ დაგიბრუნდები, ვით უკანასკნელ ანგელოზს! თუმცა, თუ გინდა ალეგორიადაც მიიღე; ხომ აუცილებლად ეგრე იყო!...

და უცებ სწრაფად გავიდა ოთახიდან, ისევ სამზარეულოდან (სადაც ქურქი და ქუდი ჰქონდა დატოვებული). დაწვრილებით არ ავწერ, რა მოუვიდა დედაჩემს: საშინლად შეშინებული იდგა, ხელები თავსზეით აემართა და გადაეწნა; და უცებ მიაძახა:

- ანდრეი პეტროვიჩ, დაბრუნდი, გამომეთხოვე მაინც. შემოგევლე!

- მოვა, სოფია, მოვა! არხეინად იყავი! — დაუყვირა ტატიანამ, რომელიც სულ ცახცახებდა ბრაზისგან, გამხეცებული ბრაზისგან. - ხომ გაიგონე, დავბრუნდებიო, დაგპირდა! აცალე მაგ ცუდმავალას ერთი უკანასკნელად გაინავარდოს. მოხუცდება და - მაშინ მართლაც ვინღა დაუწყებს ლალაობას დაფეხვილს, თუ არა შენ, მისი ძველი გადია? აკი თვითონვე ამბობს ამას, არცა რცხვენია...

რაც შეგვეხება ჩვენ, ლიზა გულწასული ეგდო. ჯერ დავაპირე, ვერსილოვს გავეკიდები-მეთქი, მაგრამ დედასთან მივვარდი. მოვხვიე ხელი და ასე მყავდა გულში ჩაკრული. ლუკერიამ ჭიქით წყალი მიურბე-

ნინა ლიზას. მაგრამ დედა მალე მოეგო გონს; დივანზე დაეშვა, სახეზე ხელები აიფარა და ატირდა.

- დაიცათ... დაიცა, გაიქეცი და დაეწიე! - დამიყვირა უცებ გამწარებით ტატიანა პავლოვნამ, თითქოს გონს მოვიდაო. - წადი... წადი... დაეწიე და ერთი ნაბიჯითაც არ მოშორდე, წადი, წადი! - რაც ძალა და ღონე ჰქონდა მეწეოდა და დედას მაშორებდა. - ახ, მე თვითონ გავიქცევი!

- არკაშა, ახლავე გაეკიდე! - წამოიძახა უცებ დედამაც.

კისრისტეხით გავვარდი მეც სამზარეულოდან და ეზოდან, მაგრამ ვეღარსად დავლანდე. შორს ტროტუარზე გამვლელები მოჩანდნენ; იქით გავქანდი, თითოეულს ვაკვირდებოდი და ისევ გავრბოდი. ასე მივირბინე გზაჯვარედინამდე.

„გიჟებს არ უბრაზდებიან ხოლმე, - გამიელვა უცებ გონებაში, - ტატიანა კი ისე გაუბრაზდა, რომ გამხეცდა; მაშასადამე, სულაც არ ყოფილა გიჟი“..... ო, მე სულ ერთთავად მეჩვენებოდა, რომ ეს ალეგორია იყო და რომ მას აუცილებლად უნდოდა ბოლო მოეღო რაღაცისთვის ისევე, როგორადაც მოუღო ბოლო იმ ხატს და ეჩვენებინა ეს ჩვენთვის, დედასთვის, ყველასთვის. მაგრამ ეჭვი არ იყო, რომ „ორეულიც“ იქვე იყო; ამაში დაეჭვება არ შეიძლებოდა...

III

მაგრამ ვერსილოვი არსად ჩანდა და მის სახლში ხომ არ გავიქცეოდი; ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ ასე უბრალოდ შინ წავიდოდა. უცებ ერთმა აზრმა გამიელვა და თავქუდმოგლეჯილი გავქანდი ანა ანდრეევნასთან.

ანა ანდრეევნა უკვე დაბრუნებულიყო და მაშინვე მიმიღო. როცა შევედი, რაც შემეძლო თავს ვიკავებდი. არც კი დავმჯდარვარ, პირდაპირ ვუამბე, რაც მოხდა, ესე იგი სწორედ „შორეულის“ ამბავი. არასოდეს არ დამავიწყდება და არასოდეს არ ვაპატიებ მი ხარბ, მაგრამ შეუბრალებლად მშვიდსა და თავდაჯერებულ ცნობისმოყვარეობას, რომლითაც მისმენდა, აგრეთვე ფეხზე მდგარი.

- სადაა? იქნებ თქვენ იცით? - დავასრულე დაბეჯითებით. - გუშინ თქვენთან მგზავნიდა ტატიანა პავლოვნა...

- მე გუშინვე გიხმეთ. გუშინ ცარსკოეში იყო, ჩემთანაც შემოიარა. ახლა კი (მან საათს შეხედა), ახლა შვიდი საათია... მაშასადამე ნამდვილად შინაა.

- მე ვხედავ, რომ ყველაფერი იცით - მაშ მითხარით, მითხარით! — წამოვიძახე.

- ბევრი რამ ვიცი, ოღონდ ყველაფერი კი არა. რა თქმა უნდა, თქვენგან დასამალი არ არის... - შემავლო უცნაური მზერა, თან იღიმებოდა და თითქოს საზრისობდა. - გუშინ დილით მან კატერინა ნიკოლაევნას, მისი წერილის პასუხად, ფორმალურად წინადადება მისცა, ცოლად გამომყევიო.

- ტყუილია! - თვალები კინაღამ ბუდიდან ამომცვივდა.

- წერილმა ჩემს ხელში გაიარა; მე თვითონ გადავეცი, გაუხსნელი იყო. ამჯერად „რაინდულად“ მოიქცა და არ დამიმალა.

- ანა ანდრეევნა, ვერაფერი გამიგია.

- რა თქმა უნდა, ძნელი გასაგებია, მაგრამ ეს იმ მოთამაშესა ჰგავს, ვინც მაგიდაზე აგდებს უკანასკნელ თუმნიანს, ჯიბეში კი უკვე ფეხშემ-

ართული რევოლვერი უდევს - აი მისი წინადადების აზრი. ათიდან ცხრა შანსია, რომ კატერინა ნიკოლაევნა უარს ეტყვის; მაგრამ მაშ ერთი მეათედი შანსის იმედი მაინც ჰქონია და, გამოგიტყდებით, ჩემი აზრით, ეს ძალზე საინტერესოა, თუმცა... თუმცა აქ იქნებ წონასწორობის დაკარგვაცაა, იგივე „ორეული", როგორც თქვენ თქვით ახლა ასე კარგად.

- მერედა თქვენ იცინით? განა შემიძლია დავიჯერო, რომ წერილი თქვენი ხელით გადასცეს? თქვენ ხომ კატერინა ნიკოლაევნას მამის საცოლე ხართ? შემიბრალეთ, ანა ანდრეევნა!

- ანდრეი პეტროვიჩმა მთხოვა ჩემი თავი მენაცვალებინა მისი ბედნიერებისთვის, თუმცა როგორც წესი და რიგია როდი მთხოვა: ყველაფერი საკმაოდ მდუმარედ მოკვარახჭინდა, მე მხოლო მის თვალებში ამოვიკითხე ყველაფერი. ახ, ღმერთო ჩემო, მეტი რაღა გინდათ: აკი ჩავიდა კენიგსბერგში, დედათქვენთან, რათა ნება ეთხოვა, მადამე ახმაკოვას გერს შევირთავო? ეს ხომ ძალიან ჰგავს მის გუშინდელ საქციელს, როცა თავის რწმუნებულად და კონფიდენტად მე ამომირჩია.

ანა ანდრეევნა ცოტათი ფერმიხდილი იყო, მაგრამ მისი სიმშვიდე მხოლოდ აძლიერებდა სარკაზმს. ო, ბევრი რამ მივუტევე იმ წუთს, როცა თანდათან ჩავხვდი საქმის ვითარებას. წუთით ჩავფიქრდი; ის სდუმდა და მელოდა.

- იცით რა, - ჩავიცინე უცებ, - თქვენ წერილი იმიტომ გადაეცით, რომ თქვენთვის არავითარი რისკი არ იყო, რადგან ეს ქორწინება მაინც არ მოხდება, მაგრამ ვერსილოვი? დასასრულ, კატერინა ნიკოლაევნა? ცხადია, ის უარს ეტყვის ვერსილოვს, და მაშინ... რა შეიძლება მოხდეს მაშინ? სად არის ახლა ვერსილოვი, ანა ანდრეევნა? - წამოვიძახე მე. - ყოველი წუთი ძვირფასია, ყოველ წუთს მოსალოდნელია უბედურება!

- აკი გითხარით, შინ არის-მეთქი. თავის გუშინდელ წერილში, რომელიც კატერინა ნიკოლაევნას მე გადავეცი, ანდრეი პეტროვიჩი თხოვდა, ყოველგვარ შემთხვევაში, პაემანზე მოდით ჩემს სახლში, ზუსტად შვიდ საათზეო. ისიც დაჰპირდა.

- კატერინა ნიკოლაევნა მის სახლში? ეს რანაირად შეიძლება?

- რა უშავს? ბინა დარია ანისიმოვნას ეკუთვნის: მათ შეუძლიათ შეხვდნენ იქ ერთმანეთს, როგორც მისი სტუმრები...

- კატერინა ნიკოლაევნას ხომ ეშინია მისი... ვერსილოვს შეუძლია მოკლას!

ანა ანდრეევნამ მხოლოდ გაიღიმა:

- კატერინა ნიკოლაევნა, მთელი თავისი შიშის მიუხედავად, რომელიც მეც შევამჩნიე, მუდამ, ჯერ იმთავითვე, ერთგვარი სასოებითა და განცვიფრებით ეკიდებოდა ანდრეი პეტროვიჩის კეთილშობილებასა და ამაღლებულ ჭკუა-გონებას. ამჯერად მიენდო, რათა სამუდამოდ გაათავოს ყველაფერი. ანდრეი პეტროვიჩმა კი წერილში ყოვლად საზეიმო, ყოვლად რაინდული სიტყვა მისცა. ჩემი ნუ შეგეშინდებათო... ერთი სიტყვით, არ მახსოვს, რა გამოთქმებით სწერდა, ოღონდ კატერინა ნიკოლაევნა კი მიენდო... ასე ვთქვათ, ამ უკანასკნელად... და, ასე ვთქვათ, ყოვლად გმირული გრძნობებით უპასუხა. შესაძლოა აქ ორივეს მხრივ ერთგვარი რაინდული შეტოქებაა.

- მერე ორეული, ორეული! - წამოვიძახე. - ის ხომ ჭკუაზე აღარაა!

- პაემანზე რომ თანხმდებოდა გუშინ, კატერინა ნიკოლაევნას უთუოდ არ გაუთვალისწინებია ეგეთი შემთხვევის შესაძლებლობა.

უცებ მოვბრუნდი და გამოვიქეცი... ვერსილოვთან, მათთან, რა თქმა უნდა! მაგრამ დარბაზიდან ისევ მივბრუნდი ერთი წამით:

- თქვენც იქნებ სწორედ ეგ გინდათ, რომ მან მოჰკლას კატერინა ნიკოლაევნა! - მივაძახე და გარეთ გამოვვარდი.

თუმცა სულ ერთიანად ვკანკალებდი ხურვებაშეყრილივით, მაინც წყნარად შევედი სამზარეულოდან და ჩურჩულით ვითხოვე, დარია ანისიმოვნას სთხოვეთ-მეთქი; მაგრამ ის მაშინვე თვითონ გამოვიდა და უსიტყვოდ მომაჩერდა კითხვით აღსავსე თვალებით.

- ისინი, ჩემო ბატონო, შინ არ გახლავან.

მაგრამ მე პირდაპირ და ზუსტად, სულმოუთქმელი ჩურჩულით მოვუყევი, რომ ყველაფერი მიამბო ანა ანდრეევნამ და რომ ახლა ანა ანდრეევნასგან მოვდივარ.

- დარია ანისიმოვნა, სად არიან?

- დარბაზში არიან, სწორედ იქ, სადაც თქვენ ისხედით გუშინწინ, მა-

გიდასთან...

- დარია ანისიმოვნა, შემიშვით!

- ეგ როგორ იქნება, ბატონო?

- მათთან კი არა, მეზობელ ოთახში. დარია ანისიმოვნა, ანა ანდრ-ეევნასაც იქნება ეს უნდა. რომ არ ნდომოდა, არც მეტყოდა, იქ არიანო. ვერც გაიგებენ, რომ იქა ვარ... ანა ანდრეევნას თვითონვე უნდა ეს...

- ერთიც ვნახოთ და არ უნდა? - ისევ ისე მომჩერებოდა დარია ანის-იმოვნა.

- დარია ანისიმოვნა, მე თქვენი ოლია მახსოვს... შემიშვით.

უცებ ტუჩები და ნიკაპი აუთრთოლდა:

- გენაცვალე, აი ოლიას გულისთვის კი... მაგ გრძნობის გულისთვ-ის... ნუ მიატოვებ ანა ანდრეევნას, გენაცვალე! ხომ არ მიატოვებ, ჰა? არ მიატოვებ?

- არ მივატოვებ!

- სიტყვა მომეცი, რომ არ შევარდები მათთან და არ იყვირებ, თუ შეგიშვებ!

- პატიოსნებას გეფიცებით, დარია ანისიმოვნა!

მან ხელი ჩამავლო სერთუკში, შემიყვანა ბნელ ოთახში, რომელიც ზედ ეკვროდა იმ ოთახს, სადაც ისინი ისხდნენ, ჩუმად მიმიყვანა კართ-ან, დამაყენა დაშვებულ ფარდებთან, ასწია ფარდის სულ პაწია კუთხე და ორივე დამანახა.

მე დავრჩი, დარია ანისიმოვნა კი წავიდა. რა თქმა უნდა, დავრჩი. მესმოდა, რომ ვაყურადებ სხვის საიდუმლოს, მაგრამ დავრჩი. არ და-ვრჩენილიყავი და - ორეული? აკი დაამსხვრია ხატი ჩემს თვალწინ?

IV

ისინი ერთმანეთს პირისპირ უსხდნენ იმავ მაგიდას, რომელსაც ვუსხედით გუშინ მე და ვერსილოვი და ღვინოს შევექცეოდით მისი „აღდგომის“ გამოისობით; მე კარგად ვხედავდი მათ სახეს. სადა, შავ კაბაში გამოწყობილი კატერინა ნიკოლაევნა თვალწარმტაცი და, ეტყობოდა, მშვიდი იყო, როგორც ყოველთვის. ვერსილოვი ლაპარაკობდა, კატერინა ნიკოლაევნა კი დიდი და მოკრძალებული ყურადღებით უსმენდა. იქნებ ცოტათი ეშინოდა კიდეც. ვერსილოვი კი საშინლად აღგზნებული იყო. მე უკვე დაწყებულ ლაპარაკს მივუსწარი და ამიტომ ცოტა ხანს ვერაფერი გამეგო. მახსოვს, კატერინა ნიკოლაევნამ უცებ ჰკითხა:

- და მიზეზი მე ვიყავი?

- არა, თქვენ კი არა, მე ვიყავი, - მიუგო ვერსილოვმა, - თქვენ მხოლოდ უდანაშაულოდ დამნაშავე იყავით. იცით, რომ შეიძლება უდანაშაულოდ დამნაშავე იყოს კაცი? ეს ყოვლად მიუტევებელი დანაშაულია ხოლმე და თითქმის მუდამ სასჯელი მოსდევს, - დაურთო მან და უცნაურად გაიცინა. - მე კი ერთი წუთი იყო, მართლა ვიწამე, რომ სულ დამავიწყდით და რომ სასაცილოდაც არ მყოფნის ჩემი სულელური ვნება... თუმცა თქვენ ეს იცით. მაგრამ, კაცმა რომ თქვას, რა მესაქმება იმ კაცთან, ვისაც თქვენ ცოლად მიჰყვებით? გუშინ წინადადება მოგეცით, ცოლად წამომყევით-მეთქი, მაპატიეთ, ეს სისულელე იყო, მაგრამ სხვაც რომ სრულიად აღარაფერია, ამის სანაცვლო რომ იყოს... რა უნდა მექნა ამ სისულელის მეტი? არ ვიცი...

ამ სიტყვაზე უცებ შეხედა კატერინა ნიკოლაევნას და დაბნეულად გაიცინა; მანამდე კი რომ ლაპარაკობდა, თითქოს განზე იხედებოდა. კატერინა ნიკოლაევნას ადგილას რომ ვყოფილიყავ, შემაშინებდა ეს სიცილი, მე ეს ვიგრძენი, ვერსილოვი ვერ წამოდგა.

- ერთი მიბრძანეთ, რანაირად დათანხმდით აქ მოსვლას? - ჰკითხა უცებ, თითქოს მთავარი რამ გაახსენდაო. - ჩემი მოწვევა და მთელი ჩემი წერილი - სისულელეა... დაიცათ, იმას კიდევ შემიძლია მივხვდე, რანაირად მოხდა, რომ დათანხმდით მოსვლას, მაგრამ - რატომღა მოხვედით? - აი კითხვა. ნუთუ მხოლოდ შიშმა მოგიყვანათ?

- იმიტომ მოვედი, რომ მენახეთ, - წარმოთქვა კატერინა ნიკოლაევნამ, თან შემკრთალი სიფრთხილით აკვირდებოდა. მცირე ხანს ორივენი სდუმდნენ. ვერსილოვი კვლავ სკამზე დაეშვა და წყნარი, მაგრამ გულში ჩამწვდომი, თითქმის აკანკალებული ხმით დაიწყო:

- საშინლად დიდი ხანია აღარ მინახავხართ, კატერინა ნიკოლაევნა, ისე დიდი ხანია, რომ თითქმის აღარც კი მეგონა, თუ ოდესმე შესაძლებელი იქნებოდა აი ასე ვმჯდარიყავი თქვენს გვერდით, მეცქირა თქვენთვის და მომესმინა თქვენი ხმა... ორი წელია, ერთმანეთი არ გვინახავს, ორ წელია, არ გვილაპარაკნია. ამას მაინც ვეღარ ვიფიქრებდი, თუ ოდესმე დაგელაპარაკებოდით. კეთილი, რაც წავიდა — წავიდა, ხოლო რაც არის — ის ხვალ გაქრება, ვით კვამლი - დაე ასე იყოს! თანახმა ვარ, რადგან აქაც სანაცვლო აღარაფერი მაქვს, მაგრამ ახლა ფუჭად ნუღარ წახვალთ, - უცებ დაუმატა მან თითქმის მუდარით, - რაკი მოწყალება მოიღეთ და მოხვედით, ნუღარ წახვალთ ფუჭად: მიპასუხეთ ერთ კითხვაზე!

- რომელ კითხვაზე?

- ჩვენ ხომ ვერასოდეს ვეღარ ვნახავთ ერთმანეთს და - რა გენაღვლებათ? მითხარით ერთხელ, სამუდამოდ. სიმართლე ერთ კითხვაზე, რომელსაც არასოდეს არ იძლევიან ჭკვიანი ადამიანები: გიყვარდით მე თქვენ თუნდაც ოდესმე თუ მე... ვცდებოდი?

კატერინა ნიკოლაევნა გაწითლდა.

- მიყვარდით, - წარმოთქვა მან.

ასეც ვიცოდი, რომ ამას იტყოდა - ო, გულმართალო, ო, გულწრფელო, ო, პატიოსანო!

- ახლა? - განაგრძობდა ვერსილოვი.

- ახლა არ მიყვარხართ.

- და დამცინით?

- არა, ახლა იმიტომ გამეცინა უცაბედად, რომ ვიცოდი მკითხავდით: „ახლა?“ და იმიტომ გამეღიმა... რადგან, როცა რამეს წინასწარ გამოიცნობ ხოლმე, მუდამ გეცინება ადამიანს...

გაოცებას ვიყავ: ჯერ არასოდეს არ მენახა კატერინა ნიკოლაევნა ასეთი ფრთხილი, ასე თითქმის შემკრთალი და ასე დარცხვენილი. ვერსილოვი თვალებით სჭამდა.

- ვიცი, რომ არ გიყვარვართ... და - სულ არ გიყვარვართ?

- იქნებ სულ არ მიყვარხართ. მე თქვენ არ მიყვარხართ, - დაუმატა ქალმა მტკიცედ, ოღონდ ახლა აღარც გაუღიმია და აღარც გაწითლებულა. - დიახ, მიყვარდით, მაგრამ ცოტა ხანს. ძალიან მალე ამოგიღეთ გულიდან...

- ვიცი, ვიცი, თქვენ ნახეთ, რომ აქ ის არ იყო, რაც თქვენ გინდოდათ, მაგრამ... რა გინდათ თქვენ? ერთხელ კიდევ ამიხსენით...

- განა ერთხელ უკვე აგიხსენით? რა მინდა? მე ხომ ყოვლად ჩვეულებრივი ქალი ვარ; მე მშვიდი ქალი ვარ და მიყვარს... მე მიყვარს მხიარული ადამიანები.

- მხიარული?

- ხომ ხედავთ, ვერც კი ვახერხებ თქვენთან ლაპარაკს. ასე მგონია, თქვენ რომ შეგძლებოდათ ჩემი უფრო ნაკლებ სიყვარული, მაშინ შეგიყვარებდით, - ისევ მოშიშრად გაიღიმა მან. ყოვლად სრული გულწრფელობა გამოკრთა მის პასუხში და ნუთუ არ ესმოდა, რომ მისი პასუხი იყო მთლად საბოლოო ფორმულა მათი ურთიერთობისა, რომელმაც ყველაფერი ახსნა და გადასჭრა. რარიგ უნდა მიმხვდარიყო ამას ვერსილოვი! მაგრამ ის შესცქეროდა კატერინა ნიკოლაევნას და უცნაურად იღიმებოდა.

- ბიორინი მხიარული ადამიანია? - განაგრძობდა ის.

- მან თქვენ სულ არ უნდა შეგაშფოთოთ, - ცოტა არ იყოს აჩქარებით მიუგო კატერინა ნიკოლაევნამ. - მხოლოდ იმიტომ მივყვები, რომ ყველაზე უფრო მოსვენებით მასთან ვიქნები. მთელი ჩემი სული მევე დამრჩება.

- ამბობენ, ისევ შეგყვარებიათ საზოგადოება, მაღალი წრე?

- საზოგადოება არა. მე ვიცი რომ ჩვენს საზოგადოებაში ისეთივე უწესრიგობაა, როგორც ყველგან; მაგრამ გარეგნულ ფორმებს კიდევ შემორჩენიათ სილამაზე, ასე რომ თუკი მხოლოდ იმიტომ ვცოცხლო-

ბთ, რათა გვერდი ავუაროთ ცხოვრებას, მაშინ სჯობია ამ საზოგადოებაში ვიყო, ვიდრე სხვაგან.

- ამ ბოლო დროს ხშირად მესმის ეგ სიტყვა „უწესრიგობა“; თქვენ მაშინაც ჩემმა უწესრიგობამ, ბორკილებმა, იდეებმა და სისულელეებმა შეგაშინათ?

- არა, იქ სულ სხვა ამბავი იყო...

- რა ამბავი? ღვთის გულისთვის, პირდაპირ მითხარით.

- ამას კი გეტყვით პირდაპირ, იმიტომ რომ უდიადესი გონების პატრონად გთვლით... მე ყოველთვის რაღაც სასაცილოს ვხედავდი თქვენში.

ეს რომ თქვა, უცებ სიწითლემ შეაფინა სახეზე, თითქოს მიხვდა, რომ საშინლად წინდაუხედავად მოიქცა.

- აი, ეგ რომ მითხარით, ამის გულისთვის ბევრ რამეს გაპატიებთ, - უცნაურად წარმოთქვა ვერსილოვმა.

- მე არ მომითავებია სათქმელი, - აჩქარდა მთლად სახეალანძული კატერინა ნიკოლაევნა: - სასაცილო მე ვარ... თუნდაც იმიტომ, რომ ასე ბრიყვივით გელაპარაკებით.

- არა, თქვენ სასაცილო არა ხართ, თქვენ მხოლოდ გარყვნილი ქალი ხართ, მაღალი საზოგადოების ქალი! — საშინლად გაფითრდა ვერსილოვი. - არც მე მომითავებია სათქმელი წეღან, როცა გკითხეთ, რატომ მოხვედით-მეთქი. გნებავთ, მოვათავებ? აქ არსებობს ერთი წერილი, ერთი დოკუმენტი, და თქვენ საშინლად გეშინიათ იმ დოკუმენტისა, რადგან თუ ის წერილი ხელთ ჩაუვარდა მამათქვენს, მას შეუძლია სიცოცხლეშივე შეგაჩვენოთ და კანონიერად მოგისპოთ მემკვიდრეობა თავის ანდერძში. თქვენ გეშინიათ იმ წერილისა და - იმ წერილისთვის მოხვედით, - წარმოთქვა მან, თან სულ ერთიანად კანკალებდა და ლამის კბილს კბილზე აცემინებდა. კატერინა ნიკოლაევნამ ნაღვლიანი და ავადმყოფური გამომეტყველებით მოუსმინა.

- მე ვიცი, რომ შეგიძლიათ აუარება უსიამოვნება მომაყენოთ, - წარმოთქვა მან, თითქოს იშორებს მის სიტყვებსო, - მაგრამ იმდენად იმის სათხოვრად არ მოვსულვარ, ნუღარ მდევნით-მეთქი, რამდენადაც იმიტომ, რომ მენახეთ თქვენ თვითონ. ეგ კი არა, მე თვითონ დიდი

ხანია ძალიან მინდოდა თქვენთან შეხვედრა... მაგრამ ისეთივე გნახეთ, როგორიც წინათ იყავით, - დაუმატა უცებ, თითქოს განსაკუთრებულმა და მტკიცე ფიქრმა და რაღაც უცნაურმა და უეცარმა გრძნობამაც კი გაიტაცაო.

- მერე-და თქვენ იმედოვნებდით, რომ სხვას მნახავდით? და მაგას ამბობთ იმ წერილის მერე, თქვენს გარყვნილებაზე რომ გწერდით? მითხარით, აქ რომ მოდიოდით, სულ არ გეშინოდათ?

- მე აქ იმიტომ მოვედი, რომ წინათ მიყვარდით; მაგრამ იცით რას გეტყვით, ძალიან გთხოვთ, გეთაყვათ, ნურაფრით მემუქრებით, ვიდრე ერთად ვართ ახლა, ნუ გამახსენებთ ჩემს ადრინდელ უკეთურ ფიქრებსა და გრძნობებს. ძალიან მოხარული ვიქნებოდი, სხვა რამეზე რომ შეგეძლოთ ლაპარაკი. დაე მუქარა მერე იყოს, ახლა კი სხვა რამ აჯობებდა... ღმერთს გეფიცებით, იმიტომ მოვედი, რომ წუთით მენახეთ და მომესმინა თქვენთვის. მაგრამ თუ არ შეგიძლიათ, მაშინ ბარემ პირდაპირ მომკალით, ოღონდ ნუ მემუქრებით და თქვენც ნუ იწამებთ თავს ჩემს წინაშე, - დაასრულა მან, თან უცნაური მოლოდინით შესჩერებოდა, თითქოს მართლაც ეგონა, შეუძლია მომკლასო. ვერსილოვი ისევ წამოდგა, მხურვალე მზერა მიაპყრო და მტკიცედ უთხრა:

- თქვენ აქედან ისე წახვალთ, რომ იოტისოდენა შეურაცხყოფასაც არ მოგაყენებენ.

- ჰო, მართლა, აკი სიტყვა მომეცით! - გაიღიმა კატერინა ნიკოლაევნამ.

- არა, მარტო იმიტომ კი არა, რომ პატიოსანი სიტყვა მოგეცით წერილში, არამედ იმიტომ, რომ მე მინდა მთელი ღამე თქვენზე ვიფიქრო და ვიფიქრებ კიდეც...

- და თავს გაიწამებთ?

- როცა მარტოკა ვარ, მუდამ თქვენ წარმომიდგებით ხოლმე თვალწინ. სულ ერთთავად თქვენ გელაპარაკებით. მივდივარ ხოლმე ჯურღმულებსა და ბუნაგებში, და მაშინვე თვალწინ დამიდგებით, როგორც კონტრასტი. მაგრამ თქვენ ყოველთვის დამცინით ხოლმე, როგორც ახლა... - მან ეს ისე წარმოთქვა, თითქოს ჭკუაზე აღარ იყო...

- არასოდეს, არასოდეს არ დამიცინია თქვენთვის! - წამოიძახა კატერინა ნიკოლაევნამ გულში ჩამწვდომი ხმით და უდიდესი თანაგრძნ-

ობით, სახეზე რომ გამოეხატა. - თუ მოვედი კიდეც, ყოველნაირად ვცდილობდი ეს ისე ჩამედინა, რომ არაფრით არ შეურაცხმეყვეთ, - დაურთო მან უცებ. - მოვედი, რათა მეთქვა, რომ თითქმის მიყვარხართ... მაპატიეთ, იქნებ ისე ვერ ვთქვი, - დაუმატა მან აჩქარებით.

ვერსილოვმა გაიცინა:

- რატომ არ შეგიძლიათ თვალთმაქცობა? რატომ ხართ ეგეთი მიამიტი, რატომ არა ჰგავხართ სხვებს... აბა სად გაგონილა „თითქმის მიყვარხართ“ უთხრათ კაცს, რომელსაც აგდებთ?

- მე მხოლოდ ვერ გამომითქვამს, - აჩქარდა კატერინა ნიკოლაევნა, - სწორად ვერა ვთქვი; ეს იმიტომ მემართება, რომ პირველი შეხვედრიდანვე მუდამ გეკრძალვოდით და ვერ ვახერხებდი ლაპარაკს. ხოლო თუ ისე ვერა ვთქვი სიტყვებით, „თითქმის მიყვარხართ-მეთქი“, ფიქრებით ხომ თითქმის ასეა - აი იმიტომაც გითხარით, თუმცა მიყვარხართ ისეთი... აი ისეთი ზოგადი სიყვარულით, როგორითაც გიყვარს ადამიანს ყველა და რომლის აღიარებისაც არასოდეს გრცხვენია...

ვერსილოვი ხმაამოუღებლივ მისჩერებოდა და არ აშორებდა ანთებულ თვალებს.

- მე, რა თქმა უნდა, თქვენ გაღმერთებთ, - განაგრძობდა ვერსილოვი თითქოს გონგადასული. - ეს უთუოდ ის უნდა იყოს, რასაც ვნებას ეძახიან... ერთი რამ ვიცი,რომ მე თქვენთან გათავებული ადამიანი ვარ; უთქვენოდაც გათავებული ადამიანი ვარ. სულერთია, თქვენთან თუ უთქვენოდ, სადაც უნდა იყოთ, მაინც მუდამ ჩემთან ხართ. ვიცი ისიც, რომ შემიძლია ძალიან მძულდეთ, იმაზე უფრო მეტად, ვიდრე მიყვარდეთ... თუმცა, კარგა ხანია აღარაფერზე აღარ ვფიქრობ - ჩემთვის სულ ერთია. მხოლოდ იმაზე მწყდება გული, რომ თქვენნაირი ქალი შევიყვარე...

ხმა უწყდებოდა; თითქოს სული ეხუთებაო, ისე ლაპარაკობდა.

- რა გნებავთ? გიკვირთ, ასე რომ ვლაპარაკობ? - გაიღიმა მქრქალი ღიმილით, - მე ვფიქრობ, ოღონდ თქვენთვის მესიამოვნებინა, და სადმე მესვეტედ დავდგებოდი ცალ ფეხზე ოცდაათი წელიწადი... ვხედავ, გებრალებით; თქვენი სახე მეტყველებს: „შეგიყვარებდი, რომ შემეძლოს, მაგრამ არ შემიძლია...“ ჰო? არა უშავს, მე სიამაყე არა მაქვს. მზად ვარ, ვით მათხოვარმა, მივიღო თქვენგან ყოველგვარი მოწყა-

ლება — გესმით, ყოველგვარი... მათხოვარს აბა რა სიამაყე მოეკითხება?

კატერინა ნიკოლაევნა წამოდგა და მიუახლოვდა:

- ჩემო მეგობარო! - წარმოთქვა მან სახეზე აღბეჭდილი გამოუთქმელი გრძნობით და მხარზე ხელი შეახო. - ნუ გამაგონებთ ეგეთ სიტყვებს! მთელი ჩემი სიცოცხლე ვიფიქრებ თქვენზე, როგორც უძვირფასეს ადამიანზე, როგორც უდიადეს გულზე, როგორც უწმინდეს რამეზე, რასაც კი შეიძლება პატივს სცემდე და გიყვარდეს. ანდრეი პეტროვიჩ, გაიგეთ ჩემი სიტყვები: რაღაცამ ხომ მომიყვანა ახლა, საყვარელო, წინათაც და ახლაც საყვარელო ადამიანო! არასოდეს არ დამავიწყდება, რა გასაოცარი შთაბეჭდილება მოახდინეთ ჩემს ჭკუა-გონებაზე ჩვენი პირველი შეხვედრისას. გავშორდეთ ერთმანეთს, როგორც მეგობრები და თქვენ იქნებით ჩემი ყველაზე სერიოზული და ყველაზე საყვარელი ფიქრი მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე!

- „გავშორდეთ და მაშინ მეყვარებით“, მეყვარებით - ოღონდ გავშორდეთ. გამიგონეთ, - წარმოთქვა ვერსილოვმა მთლად ფერმიხდილმა, - მოიღეთ კიდევ ერთი მოწყალება: ნუ გეყვარებით, ნუ იცხოვრებთ ჩემთან, ნურასოდეს ნუ ვნახავთ ერთმანეთს; თქვენი მონა ვიქნები - თუ მიხმობთ, და მყისვე გავქრები - როგორც კი აღარ ისურვებთ ჩემს დანახვასა და მოსმენას, ოღონდ... ოღონდ ნურავის წაყვებით ცოლად!

ეს სიტყვები რომ გავიგონე, გული ისე მომეწურა, მეტკინა კიდეც. ეს მიამიტად დამამცირებელი თხოვნა მით უფრო შესაბრალისი იყო, მით უფრო ეკლად მომხვდა გულზე, ასე გაშიშვლებული და შეუძლებელი რომ იყო. ჰო, რა თქმა უნდა, მოწყალებას ითხოვდა! განა შეეძლო ეფიქრა, დამთანხმდებაო? და მაინც დაიმცირა თავი და სთხოვა: სცადა თხოვნა! აუტანელი საყურებელი იყო სულიერი დაცემის ეს უკანასკნელი საფეხური. კატერინა ნიკოლაევნას სახის ყველა ნაკვთი თითქოს ტკივილმა დაუმანჭა; მაგრამ ვიდრე რამის თქმას მოასწრებდა, ვერსილოვი უცებ გამოფხიზლდა:

- მე თქვენ მოგსპობთ! - წარმოთქვა მან უცებ უცნაური, შეცვლილი ხმით, თითქოს სხვა ლაპარაკობსო.

მაგრამ კატერინა ნიკოლაევნამაც უცნაურად, რაღაც მოულოდნელი, თითქოს სხვისი ხმით უპასუხა:

- მოწყალება რომ მოვიღო, - უთხრა მან უცებ მტკიცედ, - შემდეგ კიდევ უფრო უარესად იძიებთ შურს ამის გამო, ვიდრე ახლა მემუქრებით, იმიტომ რომ არასოდეს არ დაგავიწყდებათ, ასე მათხოვარივით რომ იდექით ჩემს წინ... თქვენგან მუქარის გაგონება არ შემიძლია! - დაასრულა მან უცებ თითქმის აღშფოთებულმა და ლამის გამომწვევად შეხედა.

- „თქვენგან მუქარისო“, ესე იგი - ეგეთი მათხოვრისგანო! მე გეხუმრეთ, - წარმოთქვა ვერსილოვმა წყნარად, ღიმილით. - არაფერს გერჩით, ნუ გეშინიათ, წადით... და იმ დოკუმენტის გამოგზავნასაც ყოველნაირად ვეცდები - ოღონდ წადით, წადით! მე სულელური წერილი მოგწერეთ, თქვენ კი გამოეხმაურეთ სულელურ წერილს და მოხვედით - ბარიბარსა ვართ. აი აქეთ მიბრძანდით, - მიუთითა კარისკენ (კატერინა ნიკოლაევნას უნდოდა გამოსულიყო იმ ოთახიდან, სადაც მე ვიდექი ფარდას ამოფარებული).

- მაპატიეთ, თუ შეგიძლიათ, - თქვა მან კარებში მდგომმა.

- ერთიც ვნახოთ და ოდესმე შევხვდით ერთმანეთს, როგორც ნამდვილი მეგობრები და ამ ახლანდელი სცენის გახსენებაზე ნათელი სიცილი წაგვსკდა? - წარმოთქვა უცებ ვერსილოვმა; მაგრამ სახის ყოველი ნაკვთი ისე უთრთოდა, გეგონებოდათ, საცაა ავი ზნე მოუვლისო.

- ო, ღმერთმა ინებოს! წამოიძახა კატერინა ნიკოლაევნამ და ხელები მუდარით მიადო ერთმანეთს, მაგრამ თან შიშით მიაჩერდა სახეში, თითქოს უნდა გამოიცნოს, რისი თქმა სწადიაო.

- წადით, ორივეს ჭკუა გვაწუხებს, მაგრამ თქვენ... ო, თქვენ ჩემი ყაიდის ადამიანი ხართ! მე გადარეული წერილი მოგწერეთ, თქვენ კი დამთანხმდით მოსვლას, რათა გეთქვათ, „თითქმის მიყვარხართო“. არა, მე და თქვენ ერთნაირად გადარეული ადამიანები ვართ! მუდამ ეგეთი გადარეული იყავით, ნუ გამოიცვლებით, და ჩვენ მეგობრებად შევხვდებით ერთმანეთს - ეს წინასწარ ვიცი, გეფიცებით!

- აი მაშინ კი აუცილებლად შემიყვარდებით, რადგან ახლაც გული ამას მეუბნება! - თავი იჩინა მასში ქალმა და კარებიდან დაუგდო ეს უკანასკნელი სიტყვები.

კატერინა ნიკოლაევნა გავიდა. მე საჩქაროდ და უჩუმრად გავედი სამზარეულოში, არც კი შემიხედნია დარია ანისიმოვნასთვის, რომელ-

იც მელოდებოდა, უკანა კიბით ჩავედი, ეზო გავიარე და ქუჩაში გაველ, მაგრამ მხოლოდ ისღა დავინახე, რომ პარმაღთან მდგარ ეტლში ჩაჯდა. მე სირბილით გავყევი ქუჩას.

თავი მეთერთმეტე - I

ლამბერტთან გავიქეცი. ო, რარიგაც არ უნდა მინდოდეს ლოგიკური სახე მივცე და თუნდაც სულ მცირე გონიერება გამოვძებნო ყველაფერში, რაც ჩავიდინე იმ საღამოსა და მთელი იმ ღამის განმავლობაში, მაგრამ ახლაც კი, როცა შემიძლია უკვე ყველაფერი მოვისაზრო, არასგზით არ შემწევს ძალა სათანადოდ და ნათლად წარმოვადგინო და ერთმანეთს დავუკავშირო ყველაფერი. აქ გახლდათ გრძნობა, ან, უკეთ რომ ვთქვა, მთელი ქაოსი გრძნობებისა, რომელთა შორის, ბუნებრივია, უნდა დავბნეულიყავი. მართალია, იყო ერთი უმთავრესი გრძნობა, რომელმაც მთლად დამიმონა და ყველაფერს განაგებდა, მაგრამ... ღირს, რომ გამოგიტყდეთ, რა გრძნობაც იყო? მით უმეტეს, დარწმუნებულიც არა ვარ...

რა თქმა უნდა, გადარეულმა შევირბინე ლამბერტთან. შევაშინე კიდეც ისიცა და ალფონსინკაც. დაკვირვებული ვარ, რომ თვით ყოვლად ლოთიფოთი, ყოვლად წყალწაღებული ფრანგიც კი თავის საოჯახო ყოფაში მეტისმეტად მისდევს ერთგვარ ბურჟუაზიულ წესრიგს, ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი ცხოვრების ერთგვარ ყოვლად პროზაულ, ჩვეულებად ქცეულ წესს. თუმცა ლამბერტი მალე მიხვდა, რომ რაღაც მოხდა, და აღტაცებამ მოიცვა, როცა თავისთან მნახა, როცა, როგორც იქნა, დამეპატრონა. მისი ნატვრაც ხომ მხოლოდ ეს იყო დღედაღამ, მთელი ეს დღეები! ო, რარიგ ვჭირდებოდი! და აი, როცა უკვე სულ გადაუწყდა იმედი, უცებ მე თვითონ ვცხადდები, თანაც ასე გადარეული - სწორედ იმ სახით, რანაირადაც ვესაჭიროებოდი.

- ლამბერტ, მოიტა ღვინო! - ვიყვირე მე. - მოდი დავლიოთ, გადავირიოთ. ალფონსინა, სადაა თქვენი გიტარა?

ამ სცენას არ ავწერ - ზედმეტია. ჩვენ ღვინოს ვსვამდით და მე ყველაფერი ვუამბე, ყველაფერი. ლამბერტი გაფაციცებით მისმენდა. პირველმა მე თვითონ და პირდაპირ შევთავაზე შეთქმულება, ხანძარი. ჯერ ერთი, ჩვენ წერილით უნდა მოვიტყუოთ კატერინა ნიკოლაევნა...

- ეგ შეიძლება, - მეთანხმებოდა ლამბერტი, რომელიც ჩემს ყოველ სიტყვას ხარბად ყლაპავდა.

მეორეც, მეტი დამაჯერებლობისთვის, წერილს რომ გავუგზავნით, შიგ ჩავდოთ მისი „დოკუმენტის“ ასლიც, რათა თვალნათლივ ნახოს,

რომ არ ატყუებენ.

- ეგრე ვქნათ, ეგრე კარგი იქნება! - მიდასტურებდა ლამბერტი და ერთთავად ალფონსინკას გადახედავდა ხოლმე.

მესამეც, კატერინა ნიკოლაევნა უნდა მოიტყუოს თვითონ ლამბერტმა, თავისი მხრივ, როგორც ვითომც მოსკოვიდან ჩამოსულმა უცნობმა ვინმემ, მე კი ვერსილოვი უნდა მოვიყვანო...

- ვერსილოვიც შეიძლება, - კვერს მიკრავდა ლამბერტი.

- შეიძლება კი არა, აუცილებელია, - წამოვიძახე მე. - უამისობა არ იქნება! სწორედ მისი გულისთვის ვაკეთებ ამას! - ვუხსნიდი და თან ღვინოს ვყლურწავდი (სამივენი ვსვამდით და, მგონი, მარტოკა მე დავცალე მთელი ბოთლი შამპანური, ისინი კი მხოლოდ თავს მაჩვენებდნენ, ვითომ ვსვამთო). - მე და ვერსილოვი მეორე ოთახში ვიქნებით - (ლამბერტ, მეორე ოთახიც უნდა იშოვნო!) - და როცა უცებ კატერინა ნიკოლაევნა დაგეთანხმება ყველაფერზე - ფულით გამოსყიდვაც და სხვა რამით გამოსყიდვაზეც - იმიტომ რომ ქალები ხომ ყველანი სულმდაბალნი არიან და — მაშინ გამოვალთ მე და ვერსილოვი და ვამხილებთ, რომ სულმდაბალია, ხოლო ვერსილოვი, რაკი დაინახავს, რა ბილწიც ყოფილა, ხელად მორჩება და კინწისკვრით გააგდებს. მაგრამ აქ ბიორინგიც საჭიროა, მანაც უნდა ნახოს, რა დღეში იქნება! - დავუმატე გაოფთრებულმა.

- არა, ბიორინგი არ გვინდა, - დააპირა შემოსიტყვება ლამბერტმა.

- გვინდა, გვინდა! - ვიღრიალე ისევ. - არაფერი არ გაგეგება, ლამბერტ, იმიტომ რომ ბრიყვი ხარ! პირიქით, დაე მოხდეს სკანდალი მაღალ საზოგადოებაში - ამით შურს ვიძიებთ მაღალ საზოგადოებაზეც და კატერინა ნიკოლაევნაზეც. და დაე დაისაჯოს! ლამბერტ, ის ნამდვილად მოგცემს თამასუქს... მე ფული არ მინდა - მე მივაფურთხებ ფულს, შენ კი დაიკუზები და აკრიფავ იმ ფულებს, ჯიბეში ჩაიწყობ ჩემი ნაფურთხიანად, სამაგიეროდ მე კატერინა ნიკოლაევნას გავანადგურებ!

- ჰო, ჰო, - ისევ კვერს მიკრავდა ლამბერტი, - ეგრე უნდა... - თან წამწუთიერ გადახედავდა ხოლმე ალფონსინკას.

- ლამბერტ! ის საშინლად მოწიწებით ეპყრობა ვერსილოვს; წეღან დავრწმუნდი, - ვტიტინებდი მე.

- კარგია, ყველაფერს რომ დაკვირვებიხარ: ფიქრადაც არასოდეს გამივლია, რომ ეგეთი ჯაშუში ხარ და ამდენი ჭკუა გაქვს! - ეს იმიტომ მითხრა, რომ ჩემთვის ეამებინა.

- ტყუი, ფრანცუზო, ჯაშუში არა ვარ, მაგრამ ჭკუა კი ბლომად მაქვს! იცი, ლამბერტ, მას ხომ უყვარს ვერსილოვი! - განვაგრძობდი და გამწარებით ვცდილობდი ყველაფერი გადამეშალა მისთვის. - მაგრამ ცოლად არ წაყვება, რადგან ბიორინგი გვარდიელია, ვერსილოვი კი მხოლოდ კეთილშობილი კაცია და კაცობრიობის მეგობარი - მათი აზრით, კომიკური პიროვნება და სხვა არაფერი! ო, კატერინა ნიკოლაევნას ესმის ეს ვნება და ტკბება, ეკეკლუცება, აჯადოებს, მაგრამ ცოლად არ წაყვება! ის ქალია, ის გველია! ყოველი ქალი გველია და ყოველი გველი - ქალი!

უნდა მოვარჩინოთ ვერსილოვი; უნდა მოვაცილოთ თვალთაგან ბისტი: ნახოს, რაცაა ის ქალი და მორჩება კიდეც. მე მოვიყვან შენთან, ვერსილოვ, ლამბერტ!

- ეგრეც უნდა! - მიდასტურებდა ლამბერტი და ყოველ წუთს ღვინოს მისხამდა.

მთავარი ის იყო, რომ ლამბერტს შიში კლავდა, არაფრით გავაჯავრო, არაფერში შევესიტყვო და რაც შეიძლება მეტი დალიოსო. ამას ისე უხეშად და დაუფარავად სჩადიოდა, რომ მეც კი არ შემეძლო არ შემემჩნია. მაგრამ მე თვითონაც უკვე აღარაფრის გულისთვის აღარ შემეძლო წამოსვლა; კვლავ შეუჩერებლად ვსვამდი და ვლაპარაკობდი, და საშინლად მინდოდა მეთქვა, რაც რამ სათქმელი დამგროვებოდა. როცა ლამბერტი მეორე ბოთლის მოსატანად წავიდა, ალფონსინკამ გიტარაზე რაღაც ესპანური ჰანგი დაამღერა; მე კინაღამ ტირილი მოვრთე.

- ლამბერტ, იცი თუ არა შენ ყველაფერი! - გავიძახოდი გრძნობამორეული. - ის კაცი უსათუოდ უნდა ვიხსნათ, რადგან მის ირგვლივ... ჯადოქრობაა. კატერინ.ა ნიკოლაევნა კიდეც რომ წაყვეს ცოლად, ვერსილოვი დილასვე, პირველი ღამის მერე, კინწისკვრით გააგდებს... რადგან ასეთი რამ ხდება ხოლმე. რადგან ასეთი ძალდატანებული, გადარეული სიყვარული ისე მოქმედებს, როგორც ავი ზნე, როგორც მარყუჟი, როგორც ავადმყოფობა, და - როგორც კი ნატვრას შეისრულებს კაცი - მაშინვე ჩამოეცლება ბისტი და ჩნდება სულ საწინააღმდეგო გრძნობა: ზიზღი და სიძულვილი, მოსპობის, განადგურების სურვი-

ლი. ლამბერტ, იცი ავისაგას (ბიბლიური გადმოცემით ღრმად მოხუც მეფე სოლომონის სატრფო.) ამბავი, წაგიკითხავს?

- არა, არ მაგონდება; რომანია? - წაიბუტბუტა ლამბერტმა.

- ო, შენ არაფერი არ იცი, ლამბერტ! საშინლად, საშინლად გაუნათლებელი ხარ... მაგრამ მიმიფურთხებია. სულ ერთია. ო, ვერსილოვს დედაჩემი უყვარს; მის სურათს კოცნიდა; იმ ქალს მეორე დილასვე გაგზავნებს, თვითონ კი დედაჩემთან მივა; მაგრამ უკვე გვიან იქნება, ამიტომ ახლავე უნდა ვიხსნათ...

ბოლოს მწარედ ავტირდი; მაგრამ მაინც ვლაპარაკობდი და საშინლად ბევრი დავლიე. ყველაზე უფრო დამახასიათებელი ის იყო, რომ ლამბერტს მთელი საღამო ერთხელაც არაფერი უკითხავს „დოკუმენტის“ თაობაზე. ესე იგი: სადა გაქვსო? ესე იგი, მაჩვენე, გადმოალაგეო. ვითომ აბა რა იქნებოდა იმაზე ბუნებრივი, რომ ეკითხა — აკი იმაზე ვლაპარაკობდით, როგორ ვიმოქმედოთო? კიდევ ერთი რამ: ჩვენ მხოლოდ ვამბობდით, ეს უნდა მოვიმოქმედოთო, უსათუოდ მოვიმოქმედებთ „ამასო“, მაგრამ სად მოხდებოდა ეს, რანაირად და როდის - არც ამაზე დაგვიძრავს სიტყვა! ლამბერტი მხოლოდ თავს მიკანტურებდა ყველაფერზე და ალფონსინკას გადახედავდა ხოლმე - ეს იყო და ეს! რა თქმა უნდა, მაშინ არაფრის მოსაზრება არ შემეძლო, მაგრამ ეს მაინც დამახსოვდა!

იმით გავათავე, რომ ტანგაუხდელად დავიძინე ლამბერტის დივანზე. ძალიან დიდხანს მეძინა და ძალიან გვიან გავიღვიძე. მახსოვს, რომ გავიღვიძე, ერთ ხანს თავზარდაცემული ვიწექი დივანზე, ვცდილობდი გონს მოვსულიყავი და გამეხსენებინა ყველაფერი, თან თავს ვიმძინარებდი. მაგრამ ლამბერტი ოთახში აღარ იყო: წასულიყო. ათი საათი დაწყებულიყო; ტკაცუნი გაუდიოდა ღუმელს, ზუსტად ისე, როგორც მაშინ, როცა იმ ღამის მერე პირველად ამოვყავი თავი ლამბერტისას. მაგრამ თეჯირს იქით ალფონსინკა მდარაჯობდა: ეს მაშინვე შევამჩნიე, იმიტომ რომ ერთი ორჯერ გამოიხედა და დამაკვირდა, მაგრამ მაშინვე თვალებს ვხუჭავდი, ვითომ მეძინა. ამას იმიტომ ჩავდიოდი, რომ გულდამძიმებული ვიყავ და უნდა მომესაზრებინა ჩემი მდგომარეობა. თავზარდაცემული ვგრძნობდი, თუ რა უგუნურება და საზიზღრობა იყო ჩემი წუხანდელი აღსარება, პირისშეკვრა ლამბერტთან, ჩემი შეცთომა, მასთან რომ მოვირბინე! მაგრამ მადლობა ღმერთს, დოკუმენტი ისევ ჩემთან იყო, ისევ ისე ჩაკერებული მქონდა გვერდითა ჯიბეში; ხელი მოვუსვი - იქ იყო! მაშასადამე, საკმარისი იყო ახლა წამოვმხ-

ტარიყავი და გავქცეულიყავი, ლამბერტისა კი რატომ უნდა შემრცხვენოდა მერე: ის ამის ღირსი არ იყო.

მაგრამ მრცხვენოდა მე თვითონ, ჩემი თავისა მრცხვენოდა! მევე ვიყავ ჩემი მსაჯული, და - ო ღმერთო, რა ხდებოდა ჩემს გულში! მაგრამ აღარ აგიწერთ ამ ჯოჯოხეთურ, აუტანელ გრძნობას და სიბინძურისა და სისაძაგლის ამ შეგნებას. მაგრამ მაინც უნდა გამოვტყდე, იმიტომ რომ მგონი დადგა ამის დრო. ჩემს ჩანაწერებში ეს აღნიშნული უნდა იქნას. მაშ ასე, დაე იცოდნენ, რომ იმიტომ კი არ მინდოდა შემერცხვინა კატერინა ნიკოლაევნა და მოწამე ვყოფილიყავი იმისა, რანაირად მისცემს გამოსასყიდს ლამბერტს-მეთქი (ო-სიმდაბლევ!), - იმიტომ კი არ მინდოდა, რომ მეხსნა გაგიჟებული ვერსილოვი და დედაჩემისთვის დამებრუნებინა, არამედ იმიტომ... რომ, იქნებ, მე თვითონ მიყვარდა ის, მიყვარდა და ვეჭვიანობდი! ვისზე ვეჭვიანობდი: ბიორინგზე, ვერსილოვზე? ყველაზე, ვისთანაც შეეძლო შეხვედრა მეჯლისებზე და ვისთანაც შეეძლო ელაპარაკა მაშინ, როცა მე კუთხეში ვიქნებოდი ატუზული და ჩემივე თავისა შემრცხვებოდა?... ო, უმსგავსობავ!

ერთი სიტყვით, არ ვიცი, ვისზე ვეჭვიანობდი; მაგრამ ვგრძნობდი მხოლოდ და წუხელაც დავრწმუნდი, როგორც ორჯერ ორი, რომ ეს ქალი ჩემთვის დაკარგულია, რომ ხელს მკრავს და მასხარად ამიგდებს სიყალბისა და სისულელისთვის! ის მართალი და პატიოსანი ქალია, - მე კი ჯაშუში ვარ, თანაც დოკუმენტებიანი!

ყოველივე ეს მას მერე გულში მაქვს ჩამარხული, ახლა კი დადგა ჟამი და - ყველაფერს ვაჯამებ. მაგრამ ერთხელ კიდევ და უკანასკნელად: მე იქნებ ნახევრად ან იქნებ სამოცდათხუთმეტი პროცენტითაც კი ცილი დავწამე ჩემს თავს! იმ ღამეს გამწარებით, მერე კი გახელებული მთვრალივით მძულდა კატერინა ნიკოლაევნა. აკი ვთქვი, ეს გახლდათ გრძნობათა და შეგრძნებათა ქაოსი, რომელშიც მე თვითონ ვერაფერი გამერკვია. მაგრამ სულ ერთია, მაინც უნდა მეთქვა ეს, რადგან თუნდაც ნაწილი იმ გრძნობებისა ხომ ნამდვილი იქნებოდა.

დაუოკებელმა ზიზღმა და ყოველივეს გამოსწორების დაუოკებელმა განზრახვამ უცებ წამომაგდო დივანიდან; მაგრამ როგორც კი წამოვვარდი, მაშინვე გამოხტა ალფონსინკა. ხელი დავავლე ქურქსა და ქუდს და ვუთხარი, ლამბერტს გადაეცი, გუშინ ვბოდავდი, ცილი დავწამე ქალს, განგებ ვხუმრობდი და ჩემთან მოსვლა არასოდეს გაბედოს-მეთქი... რის ვაი-ვაგლახით და უთავბოლოდ ვუთხარი ეს ყველაფერი, თან ვჩქარობდი, ფრანგულად ველაპარაკებოდი და, ცხადია, საშინლ-

ად გაუგებრადაც, მაგრამ ჩემდა გასაოცრად, ალფონსინკა ყველაფერს მიხვდა; მაგრამ ყველაზე გასაოცარი ის იყო, რომ თითქოს გაეხარდა კიდეც რაღაცა.

- Oui, oui, - კვერს მიკრავდა თავგამოდებით, - c'est une honte! Une dame... Oh, vous êtes généreux, vous! Soyez tranquille, je ferai voir raison ? Lambert...(დიახ, დიახ, ეგ თავის მოჭრაა! მანდილოსანი... ო, თქვენ დიდსულოვანი ბრძანდებით! არხეინად ბრძანდებოდეთ, მე მოვიყვან ლამბერტს! (ფრანგ.).)

ასე რომ იმ წუთას კიდეც უნდა გამკვირვებოდა, ასე მოულოდნელი ცვლილება რომ მოხდა მისსა და, მაშასადამე, უთუოდ, ლამბერტის გრძნობებშიც, მაგრამ მე უსიტყვოდ დავტოვე იქაურობა; აფორიაქებული ვიყავ და ცუდად ვსაზრისობდი. ო, მერე კი ყველაფერი მოვისაზრე, მაგრამ რაღა დროს! ო, რა ჯოჯოხეთური მაქინაცია გამოვიდა! აქ შევჩერდები და ყველაფერს წინასწარ აგიხსნით, თორემ სხვაგვარად მკითხველი ვერაფერს გაიგებს.

საქმე ის იყო, რომ ლამბერტთან ჯერ კიდევ პირველი შეხვედრისას, აი მაშინ, გათოშილი რომ ვლხვებოდი მის ბინაზე, ტუტუცივით ამოვილუღლუღე, დოკუმენტი ჯიბეში მაქვს ჩაკერებული-მეთქი. მაშინ უცებ მცირე ხნით წამეძინა მის დივანზე, ლამბერტმაც მაშინვე მომიფათურა ხელი ჯიბეზე და დარწმუნდა, რომ მართლაც გამოკერებული მაქვს ქაღალდი. მერეც რამდენჯერმე დარწმუნდა, რომ ქაღალდი ისევ იქ მქონდა: ასე, მაგალითდა, თათრებთან რომ ვისადილეთ, მახსოვს, რამდენჯერმე განგებ მომხვია ხელი წელზე. რა ერთი მიხვდა, ეს ქაღალდი ძალზე მნიშვნელოვანიაო, მან შეიმუშავა სრულიად განსაკუთრებული გეგმა, რისი შნო არც მეგონა თუ ჰქონდა. მე ტუტუცს სულ მეგონა, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ მექაჩება თავისთან, რომ უნდა შევუამხანაგდე და ერთად ვიმოქმედოთ-მეთქი!... მაგრამ ვაი რომ სულ სხვა რამისთვის მეძახდა თურმე! მას უნდოდა უგონოდ დავეთვრე და როცა უგრძნობლად გავითხლაშებოდი და ხვრინვას ამოვუშვებდი, გაეჭრა ჯიბე და ხელთ ეგდო დოკუმენტი. სწორედ ასე მოიქცნენ კიდეც იმ ღამეს ისა და ალფონსინკა; სწორედ ალფონსინკამ გამიჭრა ჯიბე. წერილი, მისი წერილი, ჩემი მოსკოვური დოკუმენტი რომ ამოიღეს, აიღეს ზუსტად იმავე ზომის უბრალო საფოსტო ქაღალდი, ჩამიდეს გაჭრილ ჯიბეში და ისევ ამომიკერეს, ვითომც აქ არაფერიაო. ასე რომ მე ვერაფერს შევამჩნევდი. ალფონსინკამვე ჩამიკერა. მე კი, მე თითქმის სულ ბოლომდე, ესე იგი მთელი დღენახევარი - სულ მეგონა, რომ კვლავ ჩემს ხელთ იყო კატერინა ნიკოლაევნას საიდუმლო და მისი ბედი!

კიდევ ერთი სიტყვა: ამ დოკუმენტის მოპარვა შეიქნა მიზეზი ყველა-ფერისა, ყველა დანარჩენი უბედურებისა!

II

დადგა ჩემი ჩანაწერების უკანასკნელი დღეღამე და მეც დასასრულის დასასრულს მივადექი!

თორმეტის ნახევარი იქნებოდა, როცა აღგზნებულმა და, რამდენადაც მახსოვს, რაღაც უცნაურად გონებადაფანტულმა, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილებით გულში, ჩემს ბინას მივაღწიე. არ ვჩქარობდი, უკვე ვიცოდი, როგორც მოვიქცეოდი. და უცებ, როგორც კი შევდგი ფეხი ჩვენს დერეფანში, მაშინვე მივხვდი, რომ ახალი უბედურება მოხდა და რომ საქმე არაჩვეულებრივად გართულდა: მოხუცი თავადი, რომელიც ის-ის იყო ცარსკოე სელოდან ჩამოეყვანათ, ჩვენს ბინაში იმყოფებოდა, მასთან კი ანა ანდრეევნა იყო!

მათ თავადი ჩემს ოთახში კი არა, იქვე, გვერდით, ბინის პატრონის ორ ოთახში მოეთავსებინათ. როგორც გამოირკვა, ჯერ წინდღითვე ზოგი რამ ცვლილება მოეხდინათ ამ ოთახებში და მოერთოთ, თუმცა ძალზე უმნიშვნელოდ. პიოტრ იპოლიტოვიჩი და მისი ცოლი გადაბარგდნენ იმ მიზეზიანი ჩოფურა მდგმურის კოლოფივით ოთახში, რომელზეც ადრე მოგახსენეთ, ხოლო თვითონ ჩოფურა მდგმურისთვის დროებით კონფისკაცია ეყოთ - აღარ ვიცი, სად.

მე შემომხვდა ბინის პატრონი, რომელიც მაშინვე შემოხტა ჩემს ოთახში: გუშინდელივით თამამი აღარ ჩანდა, მაგრამ არაჩვეულებრივად აღგზნებული, ასე ვთქვათ, მოვლენათა მწვერვალზე კი იყო. არაფერი მითქვამს, ოღონდ კუთხეში მივდექი, თავზე ხელები მოვიჭირე და ასე ვიდექი ერთი წუთი. მან ჯერ იფიქრა, თავს იკატუნებსო, მაგრამ ბოლოს ვეღარ გაძლო და შეშინდა.

- ცუდი ხომ არაფერია? - ბუტბუტებდა ის. - გელოდით, რომ მეკითხა, - დაურთო, რაკი ნახა, რომ პასუხს არ ვაძლევ. - ხომ არ მიბრძანებთ აი ამ შუა კარის გაღებას, რათა პირდაპირ შეხვიდეთ თავადის ოთახებში... და არა დერეფნიდან? - ის მიმითითებდა გვერდითა კარზე, რომელიც მის ოთახებს და მაშასადამე, ახლა თავადის ოთახებს უერთდებოდა, და მუდამ დაკეტილი იყო ხოლმე.

- აი რას გეტყვით, პიოტრ იპოლიტოვიჩ, - მივუბრუნდი მკაცრი სახით, - უმორჩილესად გთხოვთ წახვიდეთ და ახლავე აქ მიხმოთ ანა

ანდრეევნა მოსალაპარაკებლად. დიდი ხანია აქ არიან?

- ერთი საათი იქნება.

- მაშ მიბრძანდით.

წავიდა და მომიტანა უცნაური პასუხი, რომ ანა ანდრეევნა და თავადი ნიკოლაი ივანოვიჩი მოუთმენლად მიმელიან; მაშასადამე ანა ანდრეევნამ არ ინება ჩემთან მოსვლა. მე აუჩქარებლად გავისწორე და გავიწმინდე ღამით დაჭმუჭნილი სერთუკი, პირი დავიბანე, თმა დავივარცხნე და გავემართე მოხუცთან, თან კარგად მესმოდა, რაოდენი სიფრთხილეც მმართებდა.

თავადი იჯდა მრგვალ მაგიდასთან მდგარ დივანზე, ანა ანდრეევნა კი მეორე კუთხეში, უკვე სუფრაგადაფარებულ მაგიდასთან, რომელზეც თუხთუხებდა ბინის პატრონის არნახულად გაკრიალებული სამოვარი, ჩაის უმზადებდა თავადს. მე ისეთივე მკაცრი სახით შევედი და მოხუცი, რომელმაც მაშინვე შემამჩნია ეს გამომეტყველება, შეკრთა კიდეც და ღიმილის ნაცვლად მყისვე ნამდვილი შიში გამოეხატა სახეზე; მაგრამ მაშინვე თავს მოვერიე, გავიცინე და ორივე ხელი გავუწოდე; საცოდავი მხურვალედ გადამეხვია.

ეჭვი არ არის, ხელად შევატყვე, ვისთანაც მქონდა საქმე. ჯერ ერთი, ჩემთვის ორჯერ ორივით ნათელი გახდა, რომ იმ ხანში, რაც მე და თავადს ერთმანეთი არ გვენახა, ეს თითქმის ჯერ კიდევ ჭარმაგი და რაც არ უნდა იყოს თუნდაც რამდენადმე გონიერი და თუნდაც რამდენადმე ნებისყოფიანი ადამიანი რაღაც მუმიად, რაღაც ნამდვილ მშიშარა და უნდობელ ბავშვად გადაექციათ. დავუმატებ: მან მშვენივრად იცოდა, რატომაც ჩამოიყვანეს აქ, და ყველაფერი ზუსტად ისე მოხდა, როგორც მოგიყევით ზევით, როცა ამბებს წინ გავუსწარი. მოხუცი ერთბაშად და პირდაპირ მოსპეს, გაანადგურეს, თავზარი დასცეს მისი ქალიშვილის ვერაგობისა და საგიჟეთის ამბებით. მან ნება მისცა წამოეყვანათ, რადგან შიშით ალბათ არც კი გაეგებოდა, რას სჩადიოდა. მას უთხრეს, რომ საიდუმლოს მფლობელი მე ვარ, და რომ ჩემს ხელთაა საბოლოო გადაწყვეტილების გასაღები. წინასწარ გეტყვით: აი ამ საბოლოო გადაწყვეტილებისა და გასაღებისა ეშინოდა ყველაზე მეტად ამქვეყნად. ის მოელოდა, რომ შევიდოდი რაღაც განაჩენით შუბლზე და ქაღალდით ხელში, და საშინლად გაეხარდა, რომ მე ჯერჯერობით მზად ვარ ვიცინო და სულ სხვა რამეებზე ვილაპარაკო. როცა ერთმანეთს გადავეხვიეთ, თავადს ტირილი წასკდა. გამოგიტყდებით, ცოტა მეც წავიტირე;

მაგრამ უცებ ძალზე შემებრალა... ალფონსინკას ფინია ზარივით წკრიალა ხმით ყეფდა და დივანზე წამოსკუპული მიტევდა. მას უკან, რაც ეს ციცქნა ფინია შეიძინა, თავადი წუთითაც არ იშორებდა და ასე გასინჯეთ, ლოგინშიც იწვენდა.

- Oh, je disais qu'il a du coeur! (ო, აკი ვამბობდი, დიდსულოვანი ყმაწვილია-მეთქი! (ფრანგ.).) - წამოიძახა მან და ანა ანდრეევნას ჩემზე მოუთითა.

- რარიგ მოკეთებულხართ, თავადო, რა საუცხოოდ, რა ჯანსაღად გამოიყურებით! - შევნიშნე მე. ვაგლახ! ყველაფერი პირიქით იყო: ეს გახლდათ მუმია, და მხოლოდ მის გასამხნევებლად ვთქვი ეს სიტყვები.

- N'est-ce pas, n'est-ce pas? (მართლაც ხომ აგრეა, ხომ აგრეა? (ფრანგ.).) - სიხარულით იმეორებდა ის. - ო, საოცრად მოვკეთდი ჯანზე.

- ეგ ყველაფერი კარგია, მაგრამ მიირთვით თქვენი ჩაი და, თუ მეც შემომთავაზებთ ერთ ფინჯანს, მეც თქვენთან ერთად გეახლებით.

- მაგას რაღა აჯობებს! „დავლიოთ და ვინეტაროთ...“ თუ როგორაა, რაღაც ამგვარი ლექსია. ანა ანდრეევნა, ჩაი მოართვით; il prend toujours par les sentiments...(ამას მუდამ გრძნობებით გააქვს ხოლმე... (ფრანგ.).). ჩაი მოგვეცით, გეთაყვათ.

ანა ანდრეევნამ ჩაი მოგვართვა, მაგრამ უცებ მე მომიბრუნდა და ერთი ზარზეიმით დაიწყო:

- არკადი მაკაროვიჩ, ჩვენ ორივენი, მე და ჩემი მწყალობელი, თავადი ნიკოლაი ივანოვიჩი, თქვენ შემოგეკედლეთ. მე ვფიქრობ, რომ ჩვენ ჩამოვედით თქვენთან, მხოლოდ თქვენთან, და ორივენი გთხოვთ თავშესაფარს. გაიხსენეთ, რომ ამ წმიდა, ამ უკეთილშობილესი და შეურაცხყოფილი ადამიანის მთელი ბედიღბალი თქვენს ხელთაა. ჩვენ მოველით თქვენი ალალმართალი გულის გადაწყვეტილებას!

მაგრამ სიტყვა ვეღარ დაასრულა; თავადი შიშმა აიტანა და თითქმის აცახცახდა:

- Après, après, n'est-ce pas? Chère amie! (მერე იყოს, მერე, კარგი? ძვირფასო მეგობარო! (ფრანგ.).) - იმეორებდა მოხუცი და ხელებს აპ-

ყრობდა ანა ანდრეევნასკენ.

ვერ აგიწერთ, რა უსიამოვნოდ იმოქმედა ჩემზეც ანა ანდრეევნას საქციელმა. არაფერი ვუპასუხე და მხოლოდ ცივი და ქედმაღლური თავის დაკვრა ვიკმარე; მერე მაგიდას მივუჯექი და განგებაც კი დავიწყე ლაპარაკი სულ სხვა რამეებზე, ათას სისულელეს მოვყევი, ვიცინოდი და ვხუმრობდი... ეტყობოდა, მოხუცი მადლიერი დამირჩა და აღტაცებული გამხიარულდა. თუმცა მისი აღგზნებული მხიარულება, ეტყობოდა, არ იყო მყარი და ხელად შეიძლებოდა შეცვლილიყო სრული სულიერი დაცემით; ეს ერთი შეხედვითაც აშკარა იყო.

- Cher enfant, ყური მოვკარი, ავად ყოფილხარ... ახ, pardon! შენ მგონი, სულ სპირიტიზმს მისდევდი?

- არც მიფიქრია, - გამეღიმა მე.

- არა? მაშ ვინ მელაპარაკებოდა სპი-რიტიზმ-ზე?

- აქაური მოხელე, პიოტრ იპოლიტოვიჩი გელაპარაკათ წეღან, - აუხსნა ანა ანდრეევნამ: - ძალზე მხიარული კაცი გახლავთ და აუარება ანეკდოტი იცის; გნებავთ, დავუძახო?

- Oui, oui, il est charmant...(დიახ, დიახ, საუცხოო ვინმეა... (ფრანგ.).) ანეკდოტები იცის, მაგრამ სჯობია მერე დავუძახოთ. დავუძახებთ და ისიც ყველაფერს გვიამბობს; mais après, წარმოიდგინე, წეღან სუფრას აწყობდნენ, ის კი ამბობს: ნუ სწუხდებით, არსად გაფრინდება - ჩვენ სპირიტისტები არა ვართო. განა სპირიტისტებთან მაგიდები დაფრინავენ?

- ღმერთმანი, არ ვიცი, ამბობენ, ოთხივე ფეხით წამოიწევიან ხოლმეო.

- Mais c’est terrible ce que tu dis (ეგ ხომ საშინელებაა, რასცა შენ ამბობ (ფრანგ.).), - შიშით შემომხედა მან.

- ო, ნუ სწუხართ, ეს ხომ სისულელეა.

- მეც მაგას ვამბობ. ნასტასია სტეპანოვნა სალომეევა... ხომ იცნობ... ჰო მართლა, შენ არ იცნობ... - წარმოიდგინე, მასაც სწამს სპირიტიზმი და წარმოიდგინე, chère enfant, - მიუბრუნდა ახლა ანა ანდრეევნას: - ვეუბნები: სამინისტროებშიც ხომ დგას მაგიდები და ზედ რვა-

რვა წყვილი მოხელეთა ხელები ალაგია, სულ ერთთავად ქაღალდებსა წერენ - რატომ იქ კი არ ცეკვავენ მაგიდები-მეთქი? აბა ერთი წარმოიდგინე, რომ უცებ აცეკვდნენ! მაგიდების აჯანყება ფინანსთა ან სახალხო განათლების სამინისტროში - ძალიან საქმე არ იქნება?!

- რა წინანდებურად საყვარელ რამეებს ამბობთ, თავადო, - წამოვიძახე და შევეცადე გულწრფელად გამეცინა.

- N'est-ce pas? je ne parle pas trop, mais je dis bien. (ხომ მართალია? ბევრს არ ვლაპარაკობ, მაგრამ კარგად კი ვლაპარაკობ (ფრანგ.).)

- პიოტრ იპოლიტოვიჩს მოვიყვან, - წამოდგა ანა ანდრეევნა. სახეზე სიამოვნება მოეფინა: გაიხარა, რაკი ნახა, რომ მოხუცს ასე ალერსიანად ვეპყრობოდი. მაგრამ როგორც კი ოთახიდან გავიდა, მოხუცს მყისვე შეეცვალა სახე. მან საჩქაროდ მიხედა კარს ირგვლივ მიმოიხედა, გადმოიწია დივანიდან და შეშინებული ხმით წამჩურჩულა:

- Cher ami! ნეტავ ორივენი ერთად მანახა აქ! o, cher enfant!

- თავადო, დაწყნარდით...

- დიახ, დიახ, მაგრამ... ჩვენ მათ შევარიგებთ, N'est-ce pas? აქ ხომ ორი ფრიად ღირსეული ქალის უმნიშვნელო წვრილმანი? წაკიდებაა, N'est-ce pas? მარტო შენი იმედი მაქვს... ჩვენ აქ ყველაფერს მოვაგვარებთ; და რა უცნაური ბინაა, - თითქმის შიშით მიმოიხედა მან, - და იცი რა, ეგ ბინის პატრონი... ისეთი სახე აქვს... ერთი მითხარი, საშიში კაცი ხომ არაა?

- ბინის პატრონი? რას ბრძანებთ! რითი უნდა იყოს საშიში?

- C'est ça (ჰო, რა თქმა უნდა (ფრანგ.).). მით უკეთესი. Il semble qu'il est bête, ce gentilhomme. Cher enfant. (ასე მგონია, რომ სულელია ეგ ვაჟბატონი (ფრანგ.).) cher enfant, ღვთის გულისთვის, ნუ ეტყვი ანა ანდრეევნას, რომ აქ ყველაფრის მეშინია; ფეხი შემოვდგი თუ არა, მაშინვე ყველაფერი შევაქე, ბინის პატრონსაც კი ქება შევასხი. გამიგონე, ხომ იცი ფონ ზონის ამბავი (1869 წლის მიწურულს მოსკოვის საროსკიპოში მოჰკლეს და გაძარცვეს მოხუცი მოხელე ფონ ზონი, ყუთში ჩაჭედეს და ბაგაჟად გაგზავნეს პეტერბურგს.) - გახსოვს?

- მერე რომ მახსოვს?

- Rien, rien du tout... Mais je suis libre ici, n’est-ce pas? (არაფერია, სრულიად არაფერი. მაგრამ მე ხომ თავისუფალი ვარ აქ, ხომ მართალია? (ფრანგ.).) როგორ ფიქრობ, აქ არაფერი მომივა... იმდაგვარივე?

- გარწმუნებთ, ჩემო კარგო თავადო... რას ბრძანებთ!

- Mon ami! mon enfant! - წამოიძახა უცებ და ხელისგულები ისე მიადო ერთმანეთს, თითქოს უნდა ილოცოსო, და უკვე სულ აღარ მალავდა თავის შიშს, - თუ მართლაც გაქვს რამე... დოკუმენტები... ერთი სიტყვით - თუ რამე გაქვს ჩემთვის სათქმელი, ნუ მეტყვი; ღვთის გულისთვის... ნურაფერს მეტყვი; სჯობია, სულ ნუ მეტყვი... რაც შეიძლება დიდხანს ნუ მეტყვი...

უნდოდა მომხვეოდა; ცრემლები ღაპაღუპით სდიოდა სახეზე; ვერ აგიწერთ, რარიგ მომიკვდა გული: საბრალო მოხუცი ჰგავდა იმ საცოდავ, უმწეო, შეშინებულ ბავშვს, რომელიც ვიღაც ბოშებს მოუტაცნიათ მშობლიური კერიდან და უცხო ადამიანებთან მიუყვანიათ. მაგრამ გადახვევა არ დაგვაცალეს: კარი გაიღო და შემოვიდა ანა ანდრეევნა, ოღონდ ბინის პატრონის კი არა, თავისი ძმის, კამერ-იუნკერის თანხლებით. ამის დამნახავი გავშტერდი; ავდექი და კარისკენ გავემართე.

- არკადი მაკაროვიჩ, ნება მიბოძეთ გაგაცნოთ, - ხმამაღლა წარმოთქვა ანა ანდრეევნამ, ასე რომ უნებლიეთ უნდა შევჩერებულიყავი.

- მე მეტად კარგად ვიცნობ თქვენს ძამიას, - მივუგე მკაფიოდ, განსაკუთრებით ხაზი გავუსვი სიტყვას „მეტად“.

- ახ საშინელი შეცთომა მოხდა! და მე ისეთი დამ-ნა-შა-ვე ვარ, საყვარელო ანდ... ანდრეი მაკაროვიჩ, - ალუღლუღდა ახალგაზრდა კაცი, არაჩვეულებრივად უბოდიშოდ მომიახლოვდა და ხელი დამტაცა ხელში, რომელიც ვეღარაფრით ვეღარ გამოვართვი, - ყველაფერი ჩემი სტეპანის ბრალია; მან მაშინ ისე ბრიყვულად მომახსენა, რომ სულ სხვა ვიღაც მეგონეთ - ეს მოსკოვში მოხდა, - აუხსნა თავის დას, - მერე სულით და გულით მოვისწრაფოდი თქვენსკენ, რათა მენახეთ და ყველაფერი ამეხსნა, მაგრამ ავად შევიქენი, აი ამას ჰკითხეთ... Cher prince, nous devons être amis même par droit de naissance...(ძვირფასო თავადო, ჩვენ მეგობრები უნდა გავხდეთ თუნდაც ჩვენი წარმოშობის უფლებით)

და ამ უტიფარმა ყმაწვილმა კაცმა ისიც კი გაბედა, რომ ხელი ბეჭებზე მომხვია, - ამაზე მეტი ფამილარობა რაღა იქნებოდა? ხელი გავაშვებინე, მაგრამ დავიბენი და მაშინვე სიტყვის უთქმელად გაცლა ვამჯობინე. ჩემს ოთახში რომ შევედი, ლოგინზე დავჯექი დაფიქრებული და აღელვებული. ინტრიგა მახრჩობდა, მაგრამ ასე პირდაპირ ხომ ვერ გავაცბუნებდი და ვერ გამოვეცლებოდი ანა ანდრეევნას. უცებ ვიგრძენი, რომ ისიც ძვირფასი იყო ჩემთვის და რომ საშინელ დღეშია ჩავარდნილი.

III

როგორც ველოდი კიდეც, ანა ანდრეევნა თვითონ შემოვიდა ჩემს ოთახში თავადთან კი დატოვა თავისი ძმა, რომელმაც მაშინვე ჩამოუკაკლა თავადს მაღალი საზოგადოების სულ ახალთახალი, ცხელ-ცხელი ჭორები, რითაც ხელად გაიტაცა და გაამხიარულა შთაბეჭდილებიანი მოხუცი. მე მდუმარედ და კითხვით აღსავსე გამომეტყველებით წამოვდექი საწოლიდან.

- მე თქვენ ყველაფერი გითხარით, არკადი მაკაროვიჩ, - პირდაპირ დაიწყო მან: - ჩვენი ბედი თქვენს ხელთაა.

- კეთილი, მაგრამ აკი მეც გაგაფრთხილეთ, არ შემიძლია-მეთქი... ყოვლად წმიდა მოვალეობანი ხელს მიშლიან შევასრულო ის, რისი იმედიც თქვენა გაქვთ...

- ჰოო? ეგაა თქვენი პასუხი? კარგი, დაე მე დავიღუპო, მაგრამ მოხუცი? რას ფიქრობთ: საღამომდე ხომ ჭკუაზე შეიშლება?

- არა, ჭკუაზე მაშინ შეიშლება, როცა ვაჩვენებ მისი ქალის წერილს, რომელშიც ის რჩევას ეკითხება ვექილს, რანაირად გამოვაცხადო მამაჩემი გიჟადო! - წამოვიძახე ცხარედ, - აი, რას ვერ გადაიტანს. იცოდეთ, რომ მას არ სჯერა იმ წერილის არსებობა, წეღან მითხრა!

მოვატყუილე, მითხრა-მეთქი; მაგრამ საჭირო იყო.

- უკვე გითხრათ? ეგრეც ვფიქრობდი! მაშ დავღუპულვარ; აქამდე სულ ტიროდა და შინ წასვლას თხოულობდა.

- გამაგებინეთ, ბოლოს და ბოლოს რა გეგმა გაქვთ? - დაბეჯითებით ვკითხე მე.

ანა ანდრეევნას სიწითლემ შეაფინა სახეზე, ასე ვთქვათ, შელახული ქედმაღლობისგან, მაგრამ მაინც თავი შეიკავა:

- მისი ქალიშვილის წერილი რომ ხელთ გვექნება, საზოგადოების თვალში გამართლებული გამოვალთ. მაშინვე კაცს ვაფრენ თავად ვ-სთან და ბორგის მიხაილოვიჩ პელიშჩევთან, მის ბავშვობის მეგობრებთან; ორივენი საზოგადოებაში ფრიად პატივცემული და გავლენიანი

პირნი არიან და, მე ვიცი, ჯერ შარშანწინ აღშფოთებულნი იყვნენ მისი უსულგულო და ხარბი ქალიშვილის ზოგიერთი საქციელით. ისინი, რა თქმა უნდა, შეარიგებენ თავადს მის ქალთან, ჩემი თხოვნით, მე თვითონ დავიჟინებ ამას; სამაგიეროდ საქმის ვითარება სულ შეიცვლება. გარდა ამისა, მაშინ ჩემი ნათესავებიც, ფანარიოტოვები, ვფიქრობ, დაიცავენ ჩემს უფლებებს, მაგრამ ჩემთვის მთავარია თავადის ბედნიერება; დაე ბოლოს და ბოლოს მიხვდეს და დააფასოს: ვინაა ნამდვილად მისთვის თავდადებული? ეჭვი არაა, ყველაზე მეტად თქვენი გავლენის იმედი მაქვს, არკადი მაკაროვიჩ: თქვენ ხომ ისე ძალიან გიყვართ თავადი... ან კი ვის უყვარს ჩემსა და თქვენს გარდა? ეს ბოლო დღეები სულ თქვენს ხსენებაში იყო: ენატრებოდით, თქვენ ხომ „მისი ყმაწვილი მეგობარი“ ხართ... თავისთავად ცხადია, შემდეგში მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე უსაზღვრო იქნება ჩემი მადლიერება...

აქ უკვე ჯილდოს მპირდებოდა, - იქნებ ფულსაც.

მე მკვახედ მოვუჭერ სიტყვა:

- რაც არ უნდა მითხრათ, არ შემიძლია, - წარმოვთქვი ურყევი სიმტკიცით, - მე მხოლოდ ის შემიძლია, რომ ეგეთივე გულწრფელობით გადაგიხადოთ და აგიხსნათ ჩემი უკანასკნელი განზრახვანი: სულ უმოკლეს დროში იმ საბედისწერო წერილს საკუთარ ხელში გადავცემ კატერინა ნიკოლაევნას, ოღონდ პირობას ჩამოვართმევ, რომ ყოველივე იმას, რაც ახლა მოხდა, არავითარი სკანდალი არ მოჰყვეს და წინასწარ აღმითქვას, რომ ხელს არ შეუშლის თქვენს ბედნიერებას, ამის მეტი არაფერი შემიძლია.

- ეგ შეუძლებელია! - წარმოთქვა მან და მთლად წამოჭარხლდა. მარტო იმ ფიქრმაც კი, კატერინა ნიკოლაევნამ უნდა „დამზოგოსო“, აღაშფოთა.

- ჩემს სიტყვას არ გადავთქვამ, ანა ანდრეევნა.

- იქნებ გადათქვათ.

- ლამბერტს მიმართეთ!

- არკადი მაკაროვიჩ, თქვენ არც კი იცით, რამდენი უბედურება შეიძლება მოჰყვეს თქვენს ჯიუტობას, - წამოიძახა მკაცრად და პირგამეხებით.

- ბევრი უბედურება მოხდება, - ეგ მართალია... თავბრუ მეხვევა. კმაარა თქვენთან ლაპარაკი: მე ასე გადავწყვიტე - და მორჩა. ოღონდ, ღვთის გულისთვის, გთხოვთ - აქ ნუ შემოიყვანთ თქვენს ძმას.

- მაგრამ მას სწორედ ის უნდოდა, რომ გამოესყიდა...

- არაფერს არ უნდა გამოსყიდვა! არ მესაჭიროება, არ მინდა, არ მინდა! - გავიძახოდი თავზე ხელებწავლებული (ო, ვინ იცის, იქნებ მაშინ მეტისმეტად ამპარტავნად მოვეპყარი ანა ანდრეევნას!) - ერთი ეს მითხარით, ამაღამ სად გაათევს ღამეს თავადი? ნუთუ აქ იქნება?

- ღამეს აქ გაათევს, თქვენსას და თქვენთან ერთად.

- ამ საღამოსვე გადავალ სხვა ბინაზე!

ვუთხარი ეს სიტყვები, დავტაცე ხელი ქუდს და ქურქის ჩაცმა დავიწყე. ანა ანდრეევნა უსიტყვოდ და მკაცრად მადევნებდა თვალს. მეცოდებოდა, - ო, მეცოდებოდა ეს ამაყი ქალიშვილი! მაგრამ ბინიდან ისე გამოვიჭერი, ერთი სანუგეშო სიტყვაც არ დამიგდია.

IV

შევეცდები მოკლედ მოგიყვეთ, ჩემს გადაწყვეტილებას ვეღარაფერი გადამათქმევინებდა, და მეც პირდაპირ ტატიანა პავლოვნასაკენ გავეშურე. ვაგლახ! რა დიდი უბედურების აშორება შეიძლებოდა, მაშინ რომ შინ დამხვედროდა; მაგრამ, თითქოს განგებო, ამ დღეს განსაკუთრებით თან მდევდა მარცხი. რა თქმა უნდა, დედასთან შევიარე, ჯერ ერთი, რათა მენახა საწყალი დედაჩემი, და მეორეც იმიტომ, რომ თითქმის დარწმუნებული ვიყავ, ტატიანა პავლოვნა იქ იქნება-მეთქი; მაგრამ არც იქ აღმოჩნდა; ის წუთი იყო სადღაც წასულიყო, დედა კი შეუძლოდ გამხდარიყო და იწვა, მასთან ლიზას მეტი არავინ იყო. ლიზამ მთხოვა, ნუ შეხვალ, არ გააღვიძო: „მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს, გაწამდა; მადლობა ღმერთს, ახლა მაინც ჩაეძინა“. ლიზას მოვეხვიე და მხოლოდ ორიოდე სიტყვა ვუთხარი იმის თაობაზე, უზარმაზარი და საბედისწერო გადაწყვეტილება მივიღე და ახლავე სისრულეში მოვიყვან-მეთქი. მაინცდამაინც დიდი გაოცება არ გამოუთქვამს, ისე მომისმინა, თითქოს ჩვეულებრივი რაღაც ვუთხარი. ო, მაშინ ყველანი ისე მიეჩვივნენ ჩემს განუწყვეტელ „საბოლოო გადაწყვეტილებებს“ და მერე კი ამ გადაწყვეტილებების სულმოკლე შეცვლას. მაგრამ ახლა - ახლა სხვა იყო! მე მაინც შევიარე თხრილზე მდგარ სამიკიტნოში და ცოტა ხანს იქ ვიჯექი, რათა დრო მომეკლა და ახლა კი დანამდვილებით შინ დამეჭირა ტატიანა პავლოვნა. თუმცა აგიხსნით, რატომ დამჭირდა ასე უცებ ეს ქალი. საქმე ის გახლდათ, რომ მინდოდა მაშინვე გამეგზავნა კატერინა ნიკოლაევნასთან, რათა მეთხოვა მოსულიყო მის ბინაზე, ტატიანა პავლოვნას თანდასწრებით ერთხელ და სამუდამოდ ამეხსნა ყველაფერი და დოკუმენტიც გადამეცა... ერთი სიტყვით, მე მხოლოდ აუცილებელი რამ მინდოდა; მინდოდა ერთხელ და სამუდამოდ მემართლებინა თავი. რაკი ამ პუნქტს მოვაგვარებდი, აუცილებლად და დაბეჯითებით გადავწყვიტე იქვე რამდენიმე სიტყვა შემეწია ანა ანდრეევნასთვის და, თუ შესაძლებელი იქნებოდა, წამომეყვანა კატერინა ნიკოლაევნა და ტატიანა პავლოვნა (როგორც მოწმე), მიმეყვანა ორივენი ჩემთან, ესე იგი თავადთან, იქ შემერიგებინა გადამტერებული ქალები, გამომეცოცხლებინა გულჩამკვდარი თავადი და... და... ერთი სიტყვით, ყოველ შემთხვევაში აქ, ამ ჯგუფში მაინც, დღესვე გამებედნიერებინა ყველანი, ასე რომ მხოლოდ ვერსილოვისა და დედაჩემის საქმეღა დამრჩენოდა მოსაგვარებელი. ეჭვი არ მეპარებოდა, რომ ჩემსას მივაღწევდი: კატერინა ნიკოლაევნა, რაკი წერილს დავუ-

ბრუნებდი და სანაცვლოდ არაფერს მოვთხოვდი, მადლობის გრძნობით განიმსჭვალებოდა და უარს ვერ მეტყოდა ასეთს თხოვნაზე. ვაი ჩემს თავს! ჯერ კიდევ მეგონა, დოკუმენტი ჩემს ხელთაა-მეთქი. ო, რა სულელურ და უღირს დღეში ვიყავ ჩავარდნილი და არ კი ვიცოდი!

კარგა გვარიანად ჩამობნელდა და ოთხი საათი იქნებოდა, როცა ისევ მივაკითხე ტატიანა პავლოვნას. მარიამ უგემურად მიპასუხა, არ მოსულაო. ახლა მახსენდება მარიას უცნაური, ქვეშ-ქვეშ გამოხედვა; მაგრამ, ცხადია, მაშინ თავშიც არაფერი მომსვლია. პირიქით, უცებ სხვა ფიქრმა გამიელვა: გულდაწყვეტილი და ცოტა არ იყოს დაღვრემილი რომ ვეშვებოდი ტატიანა პავლოვნას ბინის კიბეზე, გამახსენდა საბრალო მოხუცი თავადი, რომელიც წეღან ხელებგაშლილი შემომეგება, - და უცებ სასტიკად ვუსაყვედურე ჩემს თავს, რომ მივატოვე, იქნებ, პირადი განაწყენების გამოც. შეშფოთებულმა წარმოვიდგინე, რომ ჩემს არყოფნაში შესაძლო იყო იქ ძალზე ცუდი რამეც მომხდარიყო, და საჩქაროდ გავეშურე შინისაკენ. იქ თურმე მხოლოდ შემდეგი რამ მომხდარიყო:

ანა ანდრეევნას, წეღან ჩემგან გულმოსული რომ გავიდა, ჯერ კიდევ არ დაეკარგა სულიერი მხნეობა. უნდა გითხრათ, რომ ჯერ დილითვე გაეგზავნა კაცი ლამბერტთან, მერე კიდევ ერთხელ გაეგზავნა და რაკი ვერ იქნა და შინ ვერ დაიჭირა, ბოლოს თავისი ძმა გაეგზავნა მის საძებრად. საწყალი, რაკი მე ვერ დამიყოლია, ახლა მთელს იმედს ლამბერტზეღა ამყარებდა - არკადის ის მოდრეკს და დააჯერებსო. მოუთმენლად ელოდა მის მოსვლას და გაკვირვებას იყო, რომ ლამბერტი, რომელიც დღემდე წუთითაც არ მოშორებია და სულ იქვე უტრიალებდა, დღეს ახლოსაც არ გაეკარა და თვითონაც სადღაც გაქრა. ვაგლახ, რას მოიფიქრებდა, რომ ლამბერტმა, რაკი დოკუმენტი ხელთ იგდო, სულ სხვა გადაწყვეტილება მიიღო და, ამიტომაც აღარ ჩნდება და განგებაც კი ემალება.

ამრიგად, შეწუხებულსა და სულ უფრო და უფრო აფორიაქებულ გუნებაზე მყოფ ანა ანდრეევნას თითქმის აღარ ჰქონდა იმის თავი, რომ გაერთო მოხუცი თავადი; მოხუცი კი ისე შფოთავდა თურმე, რომ უკვე სახიფათოც იყო; ის უცნაურ და დამფრთხალ კითხვებს იძლეოდა, ანა ანდრეევნასთვისაც კი ეჭვით დაუწყია ცქერა და რამდენჯერმე წაუტირნია კიდეც. ახალგაზრდა ვერსილოვი დიდხანს აღარ დარჩენილა მაშინ. მისი წასვლის მერე ანა ანდრეევნას, ბოლოს, მოუყვანია პიოტრ იპოლიტოვიჩი, რომლისაც დიდი იმედი ჰქონდა, მაგრამ ეს უკანასკნელი თავადს სულ აღარ მოსწონებია, ეგ კი არა, ზიზღიც კი აღძვრია.

საერთოდ თურმე თავადი სულ უფრო და უფრო მეტის უნდობლობითა და ეჭვით უცქეროდა პიოტრ იპოლიტოვიჩს. ბინის პატრონი კი, თითქოს განგებო, მოჰყოლია ისევ სპირიტიზმსა და რაღაც ფოკუსებზე, რომლებიც ვითომდა თავისი თვალით ენახოს რომელიღაც წარმოდგენისას. სახელდობრ, თუ ერთმა ჩამოსულმა შარლატანმა თითქოს მთელი ხალხის თვალწინ როგორ დასჭრა თავი ადამიანებს, ისე რომ სისხლი თქრიალით წამოსულა და ყველას დაუნახია, მერე კი ისევ კისრებზე მიუდგამს და თითქოს ისევ მიზრდიათ თავი, ესეც მთელი ხალხის თვალწინ, და რომ ეს ყველაფერი ორმოცდაცხრამეტ წელს მომხდარა. თავადი ისე დამფრთხალა და თან რატომღაც ისე აღშფოთებულა, რომ ანა ანდრეევნა იძულებული შექმნილა მყისვე გაესტუმრებინა მოსაუბრე. საბედნიეროდ მოუტანიათ სადილი, რომელიც წინადღეს საგანგებოდ შეეკვეთათ სადღაც იქვე (ლამბერტისა და ალფონსინკას მეოხებით) ერთი საუცხოო ფრანგი მზარეულისთვის, რომლეიც უმუშევარი ყოფილიყო და რომელიმე არისტოკრატიულ ოჯახში ან კლუბში მოწყობას ცდილობდა. სადილსა და შამპანურს ძალზე გაუმხიარულებია მოხუცი; გემრიელად შექცევია და ბევრიც უხუმრია. ნასადილევს, რა თქმა უნდა, ცოტა დამძიმებულა და ძილიც მონდომებია, ხოლო რაკი ნასადილევს მუდამ იძინებდა ხოლმე, ანა ანდრეევნასაც ლოგინი გაუშლია. დაძინებისას სულ ხელები დაუკოცნია ანა ანდრეევნასთვის, შენ ხარ ჩემი სამოთხე, იმედი, ჰურია, „ოქროს ყვავილიო“, ეუბნებოდა - ერთი სიტყვით მოჰყოლია ათასგვარ აღმოსავლური ყაიდის გამოთქმებს. ბოლოს დაუძინია და ის წუთი იყო, მეც დავბრუნდი.

ანა ანდრეევნა სწრაფად შემოვიდა, ხელები მუდარით მომაპყრო და მითხრა, „ჩემი გულისთვის კი არა, თავადის გულისთვის გემუდარებით არსად წახვიდეთ და როცა გაიღვიძებს, მასთან შედით. უთქვენოდ დაიღუპები, ნერვიული შეტევა მოუვა; მეშინია, რომ დღემდე ვეღარ მიატანს“... თან დაურთო, უსათუოდ უნდა წავიდე, საქმე მაქვსო, „იქნებ ორი საათიც შემიგვიანდეს, და, მაშასადამე, თავადს თქვენს ანაბარა ვტოვებ“. მხურვალედ აღვუთქვი, საღამომდე მოვიცდი და როგორც კი გაიღვიძებს, ყოველ ღონეს ვიხმარ, რომ გავართო-მეთქი.

- მე კი ჩემს მოვალეობას აღვასრულებ! - ენერგიულად დაასრულა მან.

ანა ანდრეევნა წავიდა. ამბებს წინ გავუსწრებ და დავუმატებ: თვითონ წავიდა ლამბერტის საძებნად; ეს იყო მისი უკანასკნელი იმედი; გარდა ამისა, ინახულა თავისი ძმა და ნათესავები - ფანარიოტოვები; გასაგებია, რა გუნებაზეც დაბრუნდებოდა.

ერთი საათის წასული იქნებოდა, თავადს რომ გამოეღვიძა. კედლი-სგადაღმა შემომესმა მისი კვნესა და მაშინვე მივაშურე; რომ შევედი, საწოლზე წამომჯდარიყო ხალათის ამარა, მაგრამ ისე შეეშინებინა სიმარტოვეს, ობოლი ლამპის შუქსა და უცხო ოთახს. რომ ჩემს შესვლაზე შეკრთა, წამოხტა და იყვირა. მაშინვე მივაშურე და როცა ნახა, რომ მე ვიყავი, სიხარულის ცრემლებით გადამეხვია.

- აკი მითხრეს, სადღაც სხვაგან გადავიდა, შეშინდა და გაიქცაო.

- მაგის თქმა ვის შეეძლო?

- ვის შეეძლო? იცი რა, იქნება მე თვითონ მოვიგონე, მაგრამ იქნებ სხვამ მითხრა. წარმოიდგინე რა სიზმარი ვნახე: შემოვიდა ვიღაც წვერიანი ბერიკაცი ორად გაპობილი ხატით ხელში, და უცებ მითხრა: „შენი სიცოცხლეც ასე გაიპობაო“.

- ახ, ღმერთო ჩემო, ალბათ ვინმემ გიამბოთ, გუშინ რომ ვერსილოვმა ხატი დაამტვრია?

- N’est-ce pas? მიამბეს, მიამბეს! ამ დილით მიამბო დარია ანისიმოვნამ. ჩემი ჩემოდანი და ფინია იმან გადმოიტანა აქ.

- ჰოდა ახლა დაგესიზმრათ.

- კეთილი, სულ ერთია; და წარმოიდგინე, ის ბერიკაცი სულ თითის ქნევით მემუქრებოდა. ანა ანდრეევნა სადღაა?

- ახლავე დაბრუნდება.

- საიდან? ისიც სადმე გაემგზავრა? - გულისტკივილით წამოიძახა თავადმა.

- არა, არა, ახლავე მოვა და მთხოვა თქვენთან მოვსულიყავ.

- Oui, მოვა. მაშ ანდრეი პეტროვიჩი გაგიჟებულა; „რა უცაბედად და რარიგ მარჯვედ!“. მუდამ მეუბნებოდა გული, ასე დაასრულებს-მეთქი. ჩემო მეგობარო, დამაცა...

უცებ სერთუკში ჩამავლო ხელი და ახლოს მიმიზიდა.

- წეღან ბინის პატრონმა, - დამიწყო ჩურჩულით, - უცებ ფოტოსურა-

თები მომიტანა. საზიზღარი ფოტოსურათები იყო, სულ შიშველი ქალები ეხატა ზედ ნაირ-ნაირ აღმოსავლურ პოზებში, და უცებ შუშით დამიწყო ჩვენება... იცი რა, გულის კანკალით ვუწონებდი, მაგრამ აკი სწორედ ეგრე მიუყვანეს იმ უბედურს საზიზღარი ქალები, რომ მერე უფრო მარჯვედ დაერთოთ...

- ისევ ფონ ზონზე ბრძანებთ? გეყოფათ, თავადო, გეთაყვათ! ბინის პატრონი ერთი ბრიყვი ვინმეა და სხვა არაფერი!

- ბრიყვი ვინმეა და სხვა არაფერი! C'est mon opinion! (აი ჩემი აზრი (ფრანგ.).) ჩემო მეგობარო, თუ შეგიძლია, მიხსენი, წამიყვანე აქედან! - უცებ ვედრებით გამომიწოდა ხელები.

- თავადო, ყველაფერს მოვიმოქმედებ, რაც შემიძლია! მთლიანად თქვენს განკარგულებაში ვარ... საყვარელო თავადო, მოითმინეთ, და იქნებ ყველაფერი მოვაგვარო!

- N'est-ce pas? ავდგეთ და გავიქცეთ, ჩემოდანი კი თვალისასახვევად დავტოვოთ, ეგონოს, რომ ისევ დავბრუნდებით.

- სად გავიქცეთ? მერედ ანა ანდრეევნა?

- არა, არა, ანა ანდრეევნასთან ერთად... ოჰ, mon cher, თავში სულ ამერია ყველაფერი... დაიცა: იქ, ხელჩანთაში, მარჯვნივ, კატიას პორტრეტია; წეღან ჩუმად ჩავდე, რომ ანა ანდრეევნას, მეტადრე კი იმ დარია ანისიმოვნას არ შეემჩნიათ; ამოიღე, ღვთის გულისთვის, ჩქარა, ფრთხილად, არავინ მოგვისწროს... კარი არ ჩაირაზება?

მე მართლაც ვიპოვნე ხელჩანთაში კატერინა ნიკოლაევნას ოვალურ ჩარჩოში მოთავსებული ფოტოსურათი. თავადმა გამომართვა, სინათლესთან მიიტანა და უცებ ცრემლები წამოედინა გაყვითლებულ, დამჭკნარ ლოყებზე.

- C'est un ange, c'est un ange du ciel! (ეს ანგელოზია, ზეციური ანგელოზი (ფრანგ.).) - გაიძახოდა ის. - მთელი ჩემი სიცოცხლე დამნაშავე ვიყავი მის წინაშე... და აი ახლა! cher enfant, არა მჯერა, არაფერი არა მჯერა! ჩემო მეგობარო, ერთი მითხარი: განა წარმოიდგინება, რომ ჩემი საგიჟეთში წაყვანა უნდათ? Je dis des choses charmantes et tout le monde rit...(მე საუცხოო რამეებს ვამბობ, და ყველანი იცინიან (ფრანგ.).) და უცებ ასეთი კაცი საგიჟეთში მიჰყავთ?

- ეგ არასოდეს არ ყოფილა! - წამოვიძახე მე - ეგ შეცთომაა. მე ვიცი კატერინა ნიკოლაევნას გრძნობები!

- შენც იცი მისი გრძნობები?! საუცხოოა! ჩემო მეგობარო, შენ მე სიცოცხლე დამიბრუნე. მაშ რას მეუბნებოდნენ შენზე? ჩემო მეგობარო, უხმე კატიას, და დაე ორივემ ჩემს თვალწინ გადაჰკოცნოს ერთმანეთი, და მე შინ წავიყვან ორივეს, ბინის პატრონს კი გავაგდებთ!

წამოდგა, ხელები სალოცავად ერთმანეთს მიადო და უცებ ჩემს წინ მუხლებზე დაეშვა:

- Cher, - დაიწყო ჩურჩული რაღაც გაგიჟებული შიშით და სულ ფოთოლივით ცახცახებდა, - ჩემო მეგობარო, მითხარი სიმართლე: ახლა სად წამიყვანენ?

- ღმერთო! - წამოვიძახე, წამოვაყენე და ლოგინზე დავსვი. - მგონია აღარც მე მენდობით; თქვენ გგონიათ, მეც შეთქმულების მონაწილე ვარ? აქ თითსაც კი არავის დავაკარებინებ თქვენზე!

- C'est ça, არ დააკარებინო, - წაილუღლუღა, ორივე ხელით იდაყვებზე ჩამაფრინდა და კვლავ ცახცახებდა. - არავის არ დაანებო ჩემი თავი! და შენც ნურაფერს მომატყუებ... რადგან ნუთუ აქედან წამიყვანენ? გამიგონე, ის ბინის პატრონი, იპოლიტია თუ ვიღაც... ექიმი ხომ არ არის?

- რომელი ექიმი?

- აქ... საგიჟეთი არ არის აქ... ამ ოთახში?

მაგრამ ამ დროს უცებ გაიღო კარი და ანა ანდრეევნა შემოვიდა. უთუოდ კართან გვაყურადებდა და, რომ ვეღარ მოითმინა. ძალზე უცებ გაიღო — და თავადმა, რომელიც ყოველ გაჭრიალებაზე კრთოდა, იყვირა და ბალიშზე დაემხო. ბოლოს ბნედისმაგვარი რაღაც მოუვიდა, რაც ქვითინით დასრულდა.

- აი თქვენი საქმეების ნაყოფი, - მივუთითე მოხუცზე.

- არა, ეგ თქვენი საქმეების ნაყოფია! - მკვახედ აუმაღლა ხმა ანა ანდრეევნამ. - უკანასკნელად მოგმართავთ, არკადი მაკაროვიჩ: გინდათ თუ არა გამოამჟღავნოთ ჯოჯოხეთური ინტრიგა ამ უმწეო მოხუცის წინააღმდეგ და გასწიროთ „თქვენი უგუნური და ბავშვური სატრფია-

ლო ოცნებანი“, რათა იხსნათ თქვენი ღვიძლი და?

- მე გიხსნით ყველას, ოღონდ მხოლოდ და მხოლოდ ისე, როგორც წეღან გითხარით! ისევ გავრბივარ, და იქნებ ერთ საათში აქ თვითონ კატერინა ნიკოლაევნა მოვიდეს! ყველას შეგარიგებთ და ყველანი ბედნიერები იქნებით! — წამოვიძახე თითქმის შთაგონებით.

- მოიყვანე, მოიყვანე, - აფრთხიალდა მოხუცი. - წამიყვანეთ მასთან! მე კატია მინდა, კატიას ნახვა მინდა, უნდა დავლოცო! - გაიძახოდა ხელებაპყრობილი და წამოდგომას ლამობდა.

- ხომ ხედავთ, - მივუთითე მასზე ანა ანდრეევნას, - ხომ გესმით, რას ამბობს: ახლა ყოველ შემთხვევაში ვეღარავითარი „დოკუმენტი“ ვეღარ გიშველით.

- ვხედავ, მაგრამ დოკუმენტი საზოგადოების თვალში ჩემი საქციელის გასამართლებლად მაინც გამოდგებოდა, ახლა კი უკვე სახელგატეხილი და შერცხვენილი ვარ! კმარა; სინდისი წმინდა მაქვს. ყველამ მიმატოვა, ღვიძლმა ძმამაც კი მიგანა, რადგან მარცხისა შეეშინდა... მაგრამ მე აღვასრულებ ჩემს ვალს ამ უბედურთან, როგორც მისი გადია, მომვლელი!

მაგრამ დროის დაკარგვა აღარ შეიძლებოდა და მეც ოთახიდან გამოვიჭერი.

- ერთ საათში დავბრუნდები და მარტოკა არ მოვალ! - მივაძახე კარებიდან.

თავი მეთორმეტე - I

როგორც იქნა ტატიანა პავლოვნა შინ დამხვდა! მაშინვე გადმოვულაგე ყველაფერი - ყველაფერი, რაც დოკუმენტს შეეხებოდა და ყველაფერი, მისხის-მისხით, რაც ჩემს ბინაზე ხდებოდა. თუმცა მას თვითონაც ძალზე კარგად ესმოდა ეს ამბები და შეეძლო ორი სიტყვით მიმხვდარიყო საქმის ვითარებას, მაგრამ ამ მოყოლამ, ვფიქრობ, ათი წუთი მაინც წაგვართვა. ვლაპარაკობდი მხოლოდ მე, ვლაპარაკობდი სრულს სიმართლეს და არ კი მრცხვენოდა. ტატიანა პავლოვნა მდუმარედ და უძრავად, სარგადაყლაპულივით იჯდა თავის სკამზე და, ტუჩებმოკუმული, თვალმოუშორებლივ მისმენდა. მაგრამ როცა დავასრულე, ისე ფიცხლად წამოიჭრა, რომ მეც წამოვხტი.

- ახ, შე ლაწირაკო, შენა! მაშ ის წერილი მართლაც შენა გქონია ჩაკერებული და იმ ტუტუცმა მარიამ ივანოვნამ ჩაგიკერა! ახ, თქვე უსირცხვილოებო, ნამუსგარეცხილებო! მაშ შენ აქეთ იმიტომ მოემგზავრებოდი, რომ გულები დაგეპყრო, მაღალი საზოგადოება დაგემორჩილებინა, სათაელ ივანოვიჩზე შური გეძია, აქაოდა ბუში ვარო?

- ტატიანა პავლოვნა, - წამოვიძახე მე, - არ გაბედოთ ლანძღვა! იქნებ იმთავითვე სწორედ ეგ თქვენი ლანძღვა-ჩხუბი იყო მიზეზი ჩემი აქაური გაბოროტებისა. დიახ - მე ბუში ვარ და იქნებ მართლაც მინდოდა შური მეძია, რომ ბუში ვარ, და იქნებ მართლაც ვიღაც სათაელ ივანოვიჩზე მინდოდა მეძია შური, რადგან აქ ეშმაკიც ვერ მიაგნებს დამნაშავეს; მაგრამ გაიხსენეთ, რომ მე უარი ვთქვი არამზადებთან კავშირზე და მოვერიე ჩემს ვნებებს! მე უსიტყვოდ დავუდებ წინ დოკუმენტს და წავალ, არც კი დაველოდები, რას მეტყვის-მეთქი; თქვენ თვითონ იქნებით ამის მოწმე!

- მოიტა, ახლა მოიტა წერილი, ახლავე მაგიდაზე დადე! იქნებ მატყუებ?

- ჯიბეში მაქვს ჩაკერებული; თვითონ მარია ივანოვნამ ჩამიკერა; აქ კი, ახალი სერთუკი რომ შემიკერეს, მე თვითონ ამოვიღე ძველიდან და ამ ახალ სერთუკში ჩავიკერე; აი აქაა, ხელი შეავლეთ, არ გატყუებთ!

- მოიტა, ახლავე ამოიღე! - გადაირია ტატიანა პავლოვნა.

- არაფრის გულისთვის-მეთქი, გიმეორებთ; მე ამ წერილს მის თვა-

ლწინ დავდებ თქვენი თანდასწრებით და წავალ, ერთ სიტყვასაც არ დაველოდები; მაგრამ მან უნდა იცოდეს და თავისი თვალით ნახოს, რომ მე, მე თვითონ ვაძლევ წერილს ნებაყოფლობით, არც იძულებაა რამე და არც ჯილდოს ვთხოულობ.

- ისევ იპრანჭები და თავს იწონებ? შეყვარებული ხარ, ლაწირაკო?

- ილაპარაკეთ სისაძაგლეები, სანამ არ მოგწყინდებათ; ეგრე იყოს, ღირსი ვარ, მაგრამ არა მწყინს. ო, დაე მის თვალში არარა ლაწირაკი ვიყო, რომელიც გადარაჯებული იყო და შეთქმულებას უმზადებდა; მაგრამ დაე აღიაროს, რომ მე მოვერიე ჩემს თავს და მისი ბედნიერება ყველაფერზე მაღლა დავაყენე ამქვეყნად! არაფერია, ტატიანა პავლოვნა, არაფერია! ჩემს თავს ვეძახი: სითამამე და იმედი-მეთქი! დაე ეს ჩემი პირველი ნაბიჯი იყოს ასპარეზზე გამოსვლისა, მაგრამ სამაგიეროდ ხომ კარგად დასრულდა; კეთილშობილურად დასრულდა! მერე რა მოხდა, რომ შეყვარებული ვარ, - განვაგრძობდი შთაგონებული და თვალებანთებული. - არა მრცხვენია ამისა: დედაჩემი ზეციერი ანგელოზია, ის კი - მიწიერი დედოფალი! ვერსილოვი დედაჩემს დაუბრუნდება, მის წინაშე კი მე არაფერი მაქვს დასარცხვენი; მე ხომ მოვისმინე მისი და ვერსილოვის ლაპარაკი, ფარდის უკან ვიდექი... ო, ჩვენ სამივენი - „ერთნაირი გადარეული ადამიანები ვართ“! იცით, ვისია ეს სიტყვები - „ერთნაირი გადარეული ადამიანები“? ეს ანდრეი პეტროვიჩის სიტყვებია! იცით თუ არა, რომ აქ იქნებ მარტო ჩვენ სამნი კი არა, უფრო მეტნიც ვართ ერთნაირად გადარეულები? სანაძლეოს ჩამოვალ, რომ თქვენც მეოთხე ხართ - ასეთივე გადარეული ადამიანი! გნებავთ გეტყვით: სანაძლეოს ჩამოვალ, რომ თქვენ მთელი თქვენი სიცოცხლე ანდრეი პეტროვიჩს ეტრფოდით და იქნებ ახლაც ეტრფით...

ვიმეორებ, შთაგონებული ვიყავი და რაღაცნაირ ბედნიერებას განვიცდიდი, მაგრამ არ დამცალდა დამთავრება: ტატიანა პავლოვნამ უცებ რაღაც არაბუნებრივად სწრაფად მტაცა ხელი თმაში და ერთი ორჯერ აც ძალი და ღონე ჰქონდა დამქაჩა... მერე უცებ ხელი მიშვა, კუთხეში მიდგა, პირი კედლისკენ ქნა და სახეზე ცხვირსახოცი აიფარა:

- ლაწირაკო! აღარ გაბედო მაგის თქმა! - ტირილით მითხრა.

ეს ისეთი მოულოდნელი რამ იყო, რომ, ბუნებრივია სახტად დავრჩი. ვიდექ და მივჩერებოდი, ჯერ არ ვიცოდი, რას ვიზამდი.

- ფუ, სულელო! მოდი აქ, მაკოცე მე ჩერჩეტს! - წარმოთქვა უცებ

ცრემლნარევი სიცილით. - და არ გაბედო, არასოდეს არ გაბედო მაგის გამეორება. შენ კი მიყვარხარ და მთელი სიცოცხლე მიყვარდი... ბრიყვო.

მე ვაკოცე, ფრჩხილებში ვიტყვი: მას უკან მე და ტატიანა პავლოვნა დიდი მეგობრები შევიქენით.

- ახ, მართლა! რას გავშტერებულვარ! - წამოიძახა უცებ და შუბლზე იტკიცა ხელი. - რა თქვი: მოხუცი თავადი თქვენსაა? ეგ მართალია?

- გარწმუნებთ.

- ახ, ღმერთო ჩემო! ოხ, რაღა ვქნათ! — აწრიალდა და დაბზრიალდა ოთახში. - და ის საცოდავი იმათ ხელშია! ეხ, სადაა პატრონი რომ სულ ფეთება აჩვენოს იმ ბრიყვებს! დილას აქეთ იქ არისო? ერთი უყურეთ ანა ანდრეევნას! ამ მონაზონს დამიხედეთ! ის კი, მილიტრისა, არაფრის ბაიბურშიც არაა!

- რომელი მილიტრისა?

- ის შენი მიწიერი დედოფალი, იდეალი! ვაიმე, რაღა ვქნათ?

- ტატიანა პავლოვნა! - წამოვიძახე გონს მოსულმა. - სისულელეების ლაპარაკს მოვუნდით და მთავარი კი დაგვავიწყდა: მე სწორედ კატერინა ნიკოლაევნას წასაყვანად მოვირბინე, და ყველანი ისევ იქ მიმელიან.

და ავუხსენი, დოკუმენტს მხოლოდ იმ პირობით გადავცემ კატერინა ნიკოლაევნას, თუ სიტყვას მომცემს, რომ ახლავე შეურიგდება ანა ანდრეევნას და მის ქორწინებაზე დათანხმდება-მეთქი...

- ძალიანაც კარგი, - შემაწყვეტინა ტატიანა პავლოვნამ. - მეც სულ მაგას ჩავჩიჩინებ. თავადი ხომ მოკვდება ქორწინებამდე - მაინც ვერ შეირთავს, ხოლო თუ ანდერძში დაუტოვებს ფულს ანას, ისედაც ხომ უკვე უწერია ანდერძში და ისედაც ხომ უტოვებს ფულს...

- ნუთუ კატერინა ნიკოლაევნას მარტო ფული ენანება?

- არა, სულ იმის შიში ჰქონდა, დოკუმენტი ანას აქვსო, მეც ამისა მეშინოდა და ვდარაჯობდით. არ უნდოდა მოხუცი მამის აფორიაქება... იმ გერმანელს კი, ბიორინგს, სიმართლე გითხრა, ფულიც ენანებოდა.

- და ამის მერე ბიორინგის ცოლობა უნდა?

- რას უზამ, როცა სულელია? გეუბნები - სულელია და სულელივე დარჩება მისი დღე და წუთისოფელი. მასთან მშვიდი ცხოვრება მექნებაო. დაუჟინია: „ვიღაცას ხომ უნდა წავყვე, ყველაზე მშვიდად კი მასთან ვცხოვრობო“; მაგასაც ვნახავთ, რა მშვიდადაც იცხოვრებს. ბარემაც წაიშენს მერე ხელებს, მაგრამ რაღა დროს.

- მერე-და თქვენ რაღას უყურებთ? ხომ გიყვართ კატერინა ნიკოლაევნა; აკი პირში ეუბნებოდით, შეყვარებული ვარ შენზეო?

- ვარ კიდეც, და უფრო მეტად მიყვარს. ვიდრე თქვენ ყველანი, ერთად აღებულნი. მაგრამ მაინც სულელია და ჩერჩეტი!

- რაღას უდგეხართ, ახლავე მოიყვანეთ, მოვათავოთ ყველაფერი და მამამისთან წავიყვანოთ.

- არ შეიძლება, არა, ტუტუც! საქმეც ესაა! ვაიმე, რაღა ვქნა!... ვაიმე, რაღა ეშველება! - ისევ აწრიალდა, თუმცა მაინც ხელი დაავლო მოსასხამს: - ეხ, ერთი ოთხი საათით ადრე რომ მოსულიყავი, ახლა კი რვა საათი დაიწყო, წეღან პელიშჩევებთან წავიდა სადილად, იქიდან კი ოპერაში მიდიან.

- ღმერთო ჩემო, თქვენც ადექით და ოპერაში მიდით... არა, არ შეიძლება! მაშ ახლა იმ მოხუცს რა მოუვა? ხომ სულს ვერ გაატანს ამაღამ!

- გამიგონე, ნუ მიხვალ ამაღამ შინ. დედაშენთან წადი, იქ გაათიე ღამე, დილით კი...

- არა. მოხუცს თავს ვერ დავანებებ, რაც არ უნდა მოხდეს.

- ჰოდა ნუ დაანებებ; ეგ კარგა თქვი. მე კი, იცი... მივირბენ მაინც კატერინა ნიკოლაევნასთან და ბარათს დავუტოვებ... იცი, ჩვენი სიტყვებით დავწერ (ის მიხვდება!), რომ დოკუმენტი აქაა და რომ ხვალ ზუსტად დილის ათ საათზე ჩემთან გაჩნდეს! არხეინად იყავ, მოვა, მე დამიჯერებს: ჰოდა უცებ მოვაგვაროთ ყველაფერი. შენ კი მოკურცხლე ახლა და გაართე ბერიკაცი, რაც შეგიძლია ითვალთმაქცე, დააწვინე. იქნებ დაეძინოს და დილამდე არ მოკვდეს! ნუც ანას შეაშინებ; შენ უსამართლო ხარ ანასადმი, იმიტომ რომ არ გესმის: დაიჩაგრა. ბავშვობიდანვე დაიჩაგრა; ოხ, რა სადარდებელი გამიჩნდით ყველანი! არ დაგავიწყდ-

ეს, ჩემ მაგიერ უთხარი, ამ საქმეს ხელი მე თვითონ მოვკიდე-თქო. გულიანად მოვკიდე ხელი და არხეინად იყავ, თავმოყვარეობა არ შეგელახება-თქო... ამას წინათ ხომ მე და ანამ მაგრად წავიჩხუბეთ, სულ დავთათხეთ ერთმანეთი! აბა, მოჰკურცხლე... დაიცა, ისევ მაჩვენე ჯიბე... ნეტავ მართალია, მართალია? ოხ, თუა მართალი?! მოგეცა ეგ წერილი, ამ ღამით მაინც მოგებარებინა. შენ რად გინდა? დამიტოვე, ხომ არ შევჭამ. შენი ამბავი რომ ვიცი, იქნებ ამაღამ ხელიდან დაგცინცლონ კიდეც... იქნებ სხვა ჭკუაზე დადგე?

- არაფრის გულისთვის! - წამოვიძახე. - აჰა, ხელით მოსინჯეთ, ნახეთ, დატოვებით კი არ დაგიტოვებთ!

- ვხედავ, რომ ქაღალდია, - თითებით სინჯავდა ის. - ე-ეხ, კარგი, წადი, მე კი კატერინა ნიკოლაევნასთან გავიქცევი, იქნებ თეატრშიც მივაკითხო, ეგ კარგა თქვი! გაიქეცი, რაღას უყურებ?

- ტატიანა პავლოვნა, დაიცათ, დედა რასა შვრება?

- ცოცხალია.

- ანდრეი პეტროვიჩი

მან ხელი ჩაიქნია.

- გონს მოვა!

გამხნევებული და იმედმოცემული გავიქეცი, თუმცა ისე კი არ მოეწყო საქმე, როგორც მეგონა. მაგრამ ვაი რომ ბედმა სხვარიგად განაგო და სულ სხვა რამ მელოდა - ჭეშმარიტად, ყოფილა ქვეყნად ფატუმი!

II

კიბეზევე შემომესმა ხმაური ჩვენი ბინიდან, კარიც ღია დამხვდა. დერეფანში იდგა ლივრეაში გამოწყობილი უცნობი ლაქია. რაღაცით დამფრთხალი პიოტრ იპოლიტოვიჩი და მისი ცოლი იქვე იდგნენ და რაღაცას ელოდნენ. თავადის ოთახის კარი ღია იყო და იქიდან ისმოდა მჭექარე ხმა, რომელიც მაშინვე ვიცანი - ბიორინგის ხმა იყო. ორი ნაბიჯიც არ გადამედგა, რომ დავინახე ატირებული, აცახცახებული თავადი, რომელიც დერეფანში გამოჰყავდათ ბიორინგს და მის თანამგზავრს, ბარონ რ-ს, - აი სწორედ იმას ვერსილოვთან რომ მოვიდა მოსალაპარაკებლა. თავადი მოთქმით ტიროდა, ბიორინგს ეხვეოდა და ჰკოცნიდა. ბიორინგი კი უყვიროდა ანა ანდრეევნას, რომელიც დერეფანში გამოჰყვა თავადს; ბიორინგი ემუქრებოდა და მგონი ფეხებსაც უბაკუნებდა - მოკლედ, ერთი ხეპრე გერმანელი სალდათი გამოდგა, მთელი თავისი „მაღალი საზოგადოების“ მიუხედავად. მერე გამოირკვა, რომ მაშინ თურმე რატომღაც აეკვიატებინა, თითქოს ანა ანდრეევნა რაღაც სისხლის სამართლის საქმეშიც კია დამნაშავე და ახლა, უეჭველია, სასამართლოს წინაშეც კი უნდა წარდგეს. რაკი საქმისა არაფერი იცოდა, გააზვიადა ყველაფერი. როგორც ბევრს ემართება ხოლმე, და ამიტომ იფიქრა, უფლება მაქვს ყოვლად უბოდიშოდ მოვექცეო. მთავარი ის იყო, რომ ჯერ კარგად ჩახედული არც იყო საქმეში: როგორც შემდეგ გამოირკვა (და რასაც მერე მოგახსენებთ), მისთვის ყველაფერი ანონიმურად შეეტყობინებინათ, და ისე გააფთრებულიყო, რომ იმ მდგომარეობაში მისი ეროვნების ყველაზე უფრო გონებამახვილი კაციც კი მზადაა ხოლმე ხარაზივით იჩხუბოს. ანა ანდრეევნა მთელს ამ შემოტევას უაღრესად ღირსეულად დახვედრია. მაგრამ იმ ამბისთვის არ მიმისწრია. ახლა მხოლოდ ის დავინახე, რომ ბიორინგმა გამოიყვანა მოხუცი დერეფანში, ბარონ რ.-ს ჩააბარა, თვითონ კი სწრაფად მიუბრუნდა ანა ანდრეევნას და, ეტყობოდა მისი რაღაც სიტყვების საპასუხოდ, დაუღრიალა:

- თქვენ ინტრიგანი ხართ! მისი ფულები გინდათ! ამ წუთიდან თქვენ თავი მოგეჭრათ საზოგადოების თვალში და სასამართლო მოგთხოვთ პასუხს!...

- ეგ თქვენა ხართ, საცოდავ ავადმყოფს რომ ექსპლუატაციას უწევთ და სიგიჟემდე მიიყვანეთ... მე კი იმიტომ მიყვირით, რომ ქალი ვარ და

ქომაგი არავინა მყავს...

- ჰო, მართლა, თქვენ ხომ საცოლე ხართ, მისი საცოლე! - ბოროტ-ად და გამწარებით გადაიხარხარა ბიორინგმა.

- ბარონ, ბარონ... ma chère enfant, je vous aime, (ძვირფასო ბავშ-ვო, მე თქვენ მიყვარხართ! (ფრანგ.).) - წაიტირა თავადმა და ხელები გაუწოდა ანა ანდრეევნას.

- მიბრძანდით, თავადო, მიბრძანდით, აქ შეთქმულება იყო თქვენ წინააღმდეგ და, იქნებ, თქვენი სიცოცხლის წინააღმდეგაც! - დაუყვირა ბიორინგმა.

- Oui, oui, je comprends, j'ai compris au commencement...(ო, დიახ, დიახ. მესმის, თავიდანვე მივხვდი! (ფრანგ.).)

- თავადო, - ხმას აუწია ანა ანდრეევამ, - თქვენ მე შეურაცხმყოფთ და სხვასაც ნებას აძლევთ შეურაცხყოფა მომაყენონ!

- დაიკარგეთ! - დაუღრიალა უცებ ბიორინგმა ანა ანდრეევნას.

ეს კი ვეღარ ავიტანე.

- არამზადავ! — ვიღრიალე მე. - ანა ანდრეევნა, მე ვარ თქვენი ქო-მაგი!

არც მინდა და არც შემიძლია წვრილად მოგიყვეთ, რაც მაშინ მო-ხდა. საშინელი და უკადრისი სცენა გათამაშდა, მე კი თითქოს ერთბაშ-ად გადავირიე. მგონი მივვარდი ბიორინგს და დავარტყი, ყოველ შემ-თხვევაში მაგრად წავკარი ხელი. მანაც მთელი ძალით ჩამარტყა თა-ვში და წავიქეცი. გონს რომ მოვედი, კიბეზე გავეკიდე; მახსოვს ცხვირ-იდან სისხლი მდიოდა. გარეთ კარეტა უცდიდა და, ვიდრე თავადს შიგ სვამდნენ, მივვარდი კარეტასთან და თუმცა ლაქია ხელსა მკრავდა, ისევ ვეცი ბიორინგს. აქ უკვე აღარ მახსოვს, საიდან გაჩნდა პოლიცია. ბიორინგმა ხელი დამავლო და მრისხანედ უბრძანა პოლიციელს, უბ-ანში წაიყვანეთო. მე ვყვიროდი, ეგეც უნდა წამოვიდეს, რათა ერთად შევადგინოთ აქტი, ვერ გაბედავთ ჩემს დაპატიმრებას თითქმის ჩემს ბინაზე-მეთქი... მაგრამ რადგანაც ეს ამბავი ქუჩაში ხდებოდა და არა ბინაში, რადგან მე მთვრალივით ვღრიალებდი, ვილანძღებოდი და ვი-ქაჩებოდი, და რადგან ბიორინგი თავის მუნდირში იყო გამოჭიმული, პოლიციელიც ადგა და მე დამიჭირა. აქ კი ბრაზით მთლად გადავირიე,

გავუძალიანდი და ამ გაძალიანებაში მგონი პოლიციელსაც ვუთაქე. მერე, მახსოვს, უცებ ორი პოლიციელი გაჩნდა და წამიყვანეს. ძლივს მახსოვს, როგორ მიმიყვანეს სადღაც, თამბაქოს კვამლით სავსე ოთახში, სადაც აუარება სხვადასხვა ჯურის ხალხი იდგა და იჯდა, ელოდა და წერდა; აქაც განვაგრძობდი ყვირილს, მოვითხოვდი, აქტი შევადგინოთ-მეთქი. მაგრამ საქმე მარტო აქტს აღარ ეხებოდა, რადგან ყველაფერი გაართულა ჩემმა გაშმაგებამ და საპოლიციო ხელისუფლებისთვის წინააღმდეგობის გაწევამ. ეგეც არ იყოს, მეტად საზიზღარი სანახავი ვიყავ. ვიღაცამ უცებ მრისხანედ დამიყვირა. ამასობაში კი პოლიციელი ბრალს მდებდა ჩხუბში, პოლკოვნიკიც ახსენა...

- თქვენი გვარი? - დამიყვირა ვიღაცამ.

- დოლგორუკი, - ვიღრიალე მე.

- თავადი დოლგორუკი?

გაცეცხლებულმა ერთი მაგრად შევუკურთხე, მერე კი... მერე, მახსოვს, შემათრიეს რომელიღაც ბნელ სენაკში „გამოსაფხიზლებლად“. ო, მე პროტესტს არ ვაცხადებ. ყველამ წაიკითხა ამას წინათ გაზეთებში ვიღაც ბატონკაცის ჩივილი, მთელი ღამე დაპატიმრებულმა და გაკოჭილმა გავატარე გამოსაფხიზლებელ ოთახშიო, მაგრამ ის, მგონი, დამნაშავეც კი არ იყო; მე კი ვიყავი დამნაშავე. ტახტზე დავეცი ვიღაც ორი უგრძნობლად მძინარე ადამიანის გვერდით. თავი მტკიოდა, საფეთქლები მისკდებოდა, გული ამოვარდნაზე მქონდა. უთუოდ გრძნობა დავკარგე და, მგონი, ვბოდავდი... მხოლოდ ის მახსოვს, რომ შუაღამეს გამეღვიძა და ტახტზე წამოვჯექი. ერთბაშად გამახსენდა ყველაფერი და ყველაფერი გავიაზრე, იდაყვები მუხლებზე დავიწყე, თავი ხელებს დავანდე და ღრმად ჩავფიქრდი.

ო, მე არ მოვყვები ჩემი გრძნობების აღწერას, არც მცალია საამისოდ, ოღონდ ერთ რამეს კი აღვნიშნავ; იქნებ ჩემს სულს არასოდეს განუცდია უფრო ნეტარი წამები, ვიდრე მაშინ, როცა დაპატიმრებული ვიჯექი, შუაღამისას, ტახტზე ღრმად ჩაფიქრებული. იქნებ მკითხველს ეს უცნაურად, ერთგვარ მჯღაბნელობად, ორიგინალურობით თავმოწონების სურვილად ეჩვენოს - და მაინც ასე იყო, როგორც გეუბნებით. ეს გახლდათ ერთი ისეთი წუთი, როგორიც იქნებ ყოველ ადამიანს აქვს ხოლმე, მაგრამ მხოლოდ ერთხელ თუ ეწვევა ცხოვრებაში. ამგვარ წუთში წყვეტენ ხოლმე თავიანთ ბედს. არკვევენ თავიანთ შეხედულებას და ეუბნებიან თავიანთ თავს ერთხელ და სამუდამოდ: „აი სადაა სი-

მართლე და აი საით უნდა გავემართო, რომ მივაღწიო მას“. დიახ, ის წამები იყო ნათელი ჩემი სულისა. ქედმაღალი ბიორინგისგან უკვე შეურაცხყოფილი, ველოდი, შესაძლოა ხვალ შეურაცხყოფა მომაყენოს იმ მაღალი საზოგადოების ქალმა-მეთქი, ამავ დროს კი ძალზე კარგად ვიცოდი, რომ შემიძლია სასტიკად ვიძიო მათზე შური, მაგრამ გადავწყვიტე, არ ვიძიებ-მეთქი. მთელი ცთუნების მიუხედავად გადავწყვიტე, აღარ გამომეჩინა დოკუმენტი, მთელი ქვეყნისთვის აღარ შემეტყობინებინა მისი არსებობა (როგორც მანამდე მიტრიალებდა თავში); ჩემს თავს ვუმეორებდი, რომ ხვალვე მივართმევ იმ წერილს კატერინა ნიკოლაევნას და, თუ საჭიროა, მადლობის მაგიერ მის დამცინავ ღიმილსაც ავიტან, მაგრამ მაინც ერთ სიტყვასაც კი არ ვეტყვი და სამუდამოდ გავშორდები... თუმცა რა საჭიროა ამდენი ლაპარაკი. ის კი, თუ რა მომივა ხვალ აქ, რანაირად წამაყენებენ უფროსებთან და რას მიზამენ - თითქმის არც კი გამხსენებია. სიყვარულით გადავიწერე პირჯვარი, ტახტზე დავწექი და ნათელი, ბავშვური ძალით დავიძინე.

კარგა განათებული იყო, როცა გამეღვიძა. ოთახში ჩემს მეტი აღარავინ იყო. წამოვჯექი და მდუმარედ ველოდი, კარგა ხანს, თითქმის ერთი საათი ვიცადე; ცხრა საათი იქნებოდა, როცა უცებ გამომიძახეს. შემეძლო უფრო წვრილად მომეყოლა ყველაფერი, მაგრამ არ ღირს, ვინაიდან ახლა ეს ყველაფერი გარეშე ამბებია; მე კი მხოლოდ ის მინდა, რომ მოვათავო, რაც მთავარია... ოღონდ აღვნიშნავ, რომ ჩემდა გასაოცრად, მოულოდნელი თავაზიანობით მომეპყრნენ: რაღაც მკითხეს, მეც რაღაც ვუპასუხე, და მაშინვე ნება დამრთეს წამოვსულიყავი. უსიტყვოდ გამოვედი, და მათს თვალებში სიამოვნებით ამოვიკითხე ერთგვარი გაოცება: ეს რა კაცი ყოფილა, ასეთ მდგომარეობაშიც არ ჰკარგავს ღირსებასო. ეს რომ არ შემემჩნია, არც დავწერდი. გარეთ ტატიანა პავლოვნა მელოდა. ორიოდე სიტყვით აგიხსნით, რატომ ჩამიარა იმ ამბავმა ისე იოლად.

დილაადრიანად, იქნებ რვა საათზეც, ტატიანა პავლოვნა მივარდნილიყო ჩემს ბინაზე, ესე იგი, პიოტრ იპოლიტოვიჩთან, რადგან კიდევ იმედი ჰქონდა, რომ თავადს იქ მიუსწრებდა, და უცებ შეეტყო, რაც რამ გუშინ საშინელება მომხდარიყო და, რაც მთავარია, რომ მე დამაპატიმრეს. მაშინვე გავარდნილიყო კატერინა ნიკოლაევნასთან (რომელსაც წუხელვე, თეატრიდან დაბრუნებისთანავე, ენახა შინმოყვანილი მამა), გაეღვიძებინა, დაეფეთებინა და მოეთხოვა ჩემი დაუყოვნებლივ გათავისუფლება. მისი ბარათით ხელში მაშინვე გაჭრილიყო ბიორინგთან და დაუყოვნებლივ მოეთხოვა მისგან მეორე ბარათი, „ვისთანაც

ჯერ არს“, რომელშიაც ბიორინგი დაბეჯითებით თხოულობდა გავეთავისუფლებინე „გაუგებრობის გამო დაპატიმრებული“. ამ ბარათით მოსულიყო საპოლიციო უბანში და მისი თხოვნისთვის პატივი დაედოთ.

III

ახლა განვაგრძობ მთავარს.

ტატიანა პავლოვნამ ეტლში ჩამისვა და თავის სახლში მიმიყვანა. მაშინვე სამოვრის მოტანა ბრძანა და სამზარეულოში საკუთარი ხელით დამბანა და გამასუფთავა. სამზარეულოშივე მითხრა ხმამაღლა — მე და კატერინა ნიკოლაევნა შევთანხმდით, რომ თორმეტის ნახევარზე აქ მოვა შენს სანახავადო. აი ამ სიტყვებს მოჰკრა ყური მარიამ. რამდენიმე წუთის მერე სამოვარი მოგვართვა, ხოლო ორი წუთიც არ გასულა, რომ ტატიანა პავლოვნამ რაღაცაზე გასძახა, და აღარ გამოეხმაურა: სადღაც წასულიყო. მკითხველს ვთხოვ, ეს დაიხსომოს; მე მგონი, მაშინ ათს თხუთმეტი წუთი უკლდა. თუმცა ტატიანა პავლოვნა გაწყრა, უკითხავად სად გაქრაო, მაგრამ იფიქრა. აქვე დუქანში წავიდოდაო, და მაშინვე დაავიწყდა ეს ამბავი. არც გვქონდა ამის თავი; ჩვენ შეუჩერებლივ ვლაპარაკობდით, რადგან სალაპარაკოს მეტი რა გვქონდა, ასე რომ მე, მაგალითად, მარიას გაქრობა სულაც არაფრად ჩამიგდია; მკითხველს ვთხოვ ესეც დაიხსომოს.

თავისთავად ცხადია, გაბრუებული ვიყავ; ჩემს გრძნობებზე ვლაპარაკობდი და, რაც მთავარია — კატერინა ნიკოლაევნას ველოდით, და ის ფიქრი, ერთ საათში მეღირსება მისი ნახვა, თანაც ჩემ ცხოვრების ასეთ გადამწყვეტ წუთში-მეთქი, ძრწოლასა და კანკალს მგვრიდა. ბოლოს, როცა ორი ფინჯანი ჩაი გიახელით, ტატიანა პავლოვნა უცებ წამოდგა. დაავლო ხელი მაგიდაზე დადებულ მაკრატელს და მითხრა:

- მოიტა ჯიბე, წერილი ამოვიღოთ - იმასთან ხომ არ დავიწყებთ ჯიბის გაჭრას!

- ჰო! - წამოვიძახე და სერთუკი გავიხსენი.

- რანაირად მიუჯღანია ვიღაცას! ვინ ამოგიკერა?

- მე თვითონ ამოვკერე, ტატიანა პავლოვნა, მე თვითონ.

- ზედ ეტყობა, რომ შენი ნახელავია. აჰა, ესეც ასე...

წერილი ამოვიღეთ; ძველი პაკეტი იგივე იყო, ოღონდ შიგ სუფთა

ქაღალდის მეტი არაფერი იდო.

- ეს რაღაა? - წამოიძახა ტატიანა პავლოვნამ და ქაღალდი გადაატრიალ-გადმოატრიალა. - რა მოგდის?

მაგრამ მე უკვე ენაწართმეული და ფერწასული ვიდექი... და უცებ ღონემიხდილი დავეშვი სკამზე; ღმერთმანი, გულის წასვლას ცოტაღა მიკლდა.

- ეს რა ამბავია-მეთქი! - იყვირა ტატიანა პავლოვნამ. - ბარათი რა იქნა?

- ლამბერტი! - უცებ მივხვდი, შუბლზე ხელი ვტკიცე და წამოვხტი.

სხაპასხუპით და სულმოუთქმელად ავუხსენი ყველაფერი - ლამბერტთან გატარებული ღამეც და ჩვენი მაშინდელი შეთქმულებაც; თუმცა შეთქმულებაში გუშინვე გამოვუტყდი.

- მომპარეს! მომპარეს! - ვღრიალებდი, ფეხებს ვაბაკუნებდი და თმას ვიგლეჯდი.

- აი ჭირი! - გადაწყვიტა უცებ ტატიანა პავლოვნამ, რაკი მიხვდა საქმის ვითარებას. - რომელი საათია?

- თერთმეტი სრულდება.

- ეხ, მარიაც არაა, მარია, მარია!

- რა გნებავთ, ქალბატონო? - უცებ გამოეპასუხა სამზარეულოდან მარია.

- აქ ხარ? ახლა რაღა ვქნათ! გავქანდები კატერინა ნიკოლაევნასთან... ეხ, შე დოყლაპია, შენა!

- მე კი ლამბერტთან გავიქეცი! - ვიღრიალე მე. - და თუ საჭირო იქნა, კატის კნუტივით მივახრჩობ!

- ქალბატონო! - დაიწრიპინა უცებ სამზარეულოდან მარიამ. - ვიღაც ქალი გკითხულობთ...

- მაგრამ სიტყვის დამთავრებაც ვერ მოასწრო, რომ „ვიღაც ქალი“ თვითონ შემოიჭრა სამზარეულოდან წივილ-კივილით. ეს ალფონსინკა

გახლდათ. არ შევუდგები ამ სცენის წვრილად აღწერას; მთელი სცენა სიცრუე და თვალთმაქცობა იყო, მაგრამ, უნდა აღვნიშნო, დიდებულად კი გაითამაშა ალფონსინკამ. მონანიების ტირილითა და გამწარებული ჟესტებით არატრატდა (ცხადია, ფრანგულად), რომ ის წერილი მან ამომჭრა, რომ ახლა ლამბერტს აქვს და რომ ლამბერტს „იმ არამზადასთან“, cet homme noir (იმ ქავ კაცთან (ფრანგ.).)-თან ერთად უნდა მიიტყუოს Madame la générale (ქალბატონი გენერლის მეუღლე (ფრანგ.).) და რევოლვერით მოკლას ახლა, ერთ საათში... რომ მან ეს წუთია შეიტყო ეს ამბავი და უცებ საშინლად შეშინდა, რადგან დაუნახა დამბაჩა, le pistolet, და ჩვენთან გამოიქცა, რათა წავიდეთ, ვუშველოთ, გავაფრთხილოთ... cet homme noir...

ერთი სიტყვით, ყველაფერი ძალზე წააგავდა სიმართლეს; ალფონსინკას ზოგი სულელური ახსნა-განმარტება ხომ კიდევ უფრო მეტს დამაჯერებლობას მატებდა მის ნათქვამს.

- რომელი homme noir? - იყვირა ტატიანა პავლოვნამ.

- Tiens, j’ai oublié son nom... un homme affreux... Tiens, Versiloff. (დაიცათ, დამავიწყდა მისი სახელი... საშინელი კაცია... დაიცათ, ვერსილოვი (ფრანგ.).)

- ვერსილოვიო? შეუძლებელია! - ვიყვირე მე.

- ახ, არა, შესაძლებელია! - იწივლა ტატიანა პავლოვნამ. - თქვი ერთი, თუ ღმერთი გწამს, მაგ ხტუნვასა და ხელების ქნევას თავი დაანებე; რა უნდათო? შენმა გახარებამ, ხეირიანად გამაგებინე: დავიჯერო, მისი მოკვლა უდევთ გულში?

„მისმა გახარებამ“ ასე აუხსნა (NB: კვლავ გაფრთხილებთ, ყველაფერი ტყუილი იყო): Versiloff-ი კარს უკან იჯდომება, ხოლო ლამბერტი, როგორც კი კატერინა ნიკოლაევნა შემოვა, აჩვენებს მას cette lettre (იმ წერილს (ფრანგ.).), აქ გამოხტება Versiloff-ი და ორივენი..., Oh, ils feront leur vengeance! (ო, ისინი შურს იძიებენ (ფრანგ.).) რომ მას, ალფონსინკას, ეშინია, რამე უბედურება არ მოხდეს, რადგან თვითონაც მონაწილეა ამ ამბისა, à cette dame, la général კი უსათუოდ მოვა „ახლა, აი ახლა“, რადგან მათ წერილის პირი გაუგზავნეს და რაკი დარწმუნდება, წერილი მართალი აქვთო, მოვა, წერილი კი მარტო ლამბერტმა გაუგზავნა, ვერსილოვზე არაფერი იცის, ლამბერტმა კი თავი ისე დაუხასიათა, თითქოს მოსკოვიდან ჩამოვიდა, ერთი მოსკო-

ველი მანდილოსნისგან, unde dame de Moscou (NB. მარია ივანოვნა!).

- ვაიმე, რაღა ვქნა, ვაიმე, რაღა ვქნა! - გაიძახოდა ტატიანა პავლოვნა!...

- Sauvez-la, sauvez-la! (უშველეთ, უშველეთ! (ფრანგ.).) - ყვიროდა ალფონსინკა.

თქმა არ უნდა, ამ გადარეულ ამბავში პირველი შეხედვითაც კი იყო რაღაც შეუსაბამო, მაგრამ მოფიქრების დრო არ იყო, რადგან, კაცმა რომ თქვას, ყველაფერი საშინლად წააგავდა სიმართლეს. საფიქრებელი და ძალზე მოსალოდნელი იყო ისიც, რომ კატერინა ნიკოლაევნა, ლამბერტის წერილს რომ მიიღებდა, ჯერ ჩვენთან, ტატიანა პავლოვნასთან შემოივლიდა, რათა გაერკვია საქმე; მაგრამ სამაგიეროდ ხომ შეიძლებოდა ასე არ მოქცეულიყო და პირდაპირ წასულიყო, მაშინ ხომ დაიღუპებოდა! დაუჯერებელი იყო ისიც, რომ ასე ერთ დაძახებაზე მიაშურებდა მისთვის უცნობ ლამბერტს; მაგრამ ისევ - ხომ შეიძლებოდა რატომღაც ასე მოქცეულიყო, მაგალითად, რაკი ნახავდა წერილის პირს და დარწმუნდებოდა, წერილი მართლაც ხელთ ჰქონიათო, და მაშინაც ხომ იგივე უბედურება ელოდა! მთავარი ის იყო, რომ წუთი დროც კი აღარ გვრჩებოდა რაიმეს მოსაზრებისთვის.

- ვერსილოვი კი მოკლავს! რაკი ისე დაეცა, რომ ლამბერტთან დაიჭირა საქმე, მოკლავს! აქ მისი ორეულია! - წამოვიძახე მე.

- ახ, ეგ „ორეული“! - ხელებს იმტვრევდა ტატიანა პავლოვნა. - თუმცა აქ რას ვუზივართ! - გადაწყვიტა უცებ. - აიღე შენი ქუდი და ქურქი და წამოდი. პირდაპირ მათთან წაგვიყვანე. ქალო! ახ, შორს კია! მარია, მარია, თუ კატერინა ნიკოლაევნა მოვიდეს, უთხარი, ახლავე დავბრუნდები-თქო, დაჯდეს და დამელოდოს, ხოლო თუ დაცდა არ ისურვა, კარი ჩაუკეტე და ფეხი არსად გაადგმევინო. უთხარი, ასე მიბრძანა-თქო! ასი მანეთი საჩუქრად, თუ შეასრულებ!

კიბეზე გამოვცვივდით. ეჭვი არ არის, ამაზე უკეთესს კაცი ვერაფერს მოიფიქრებდა, რადგან რაც არ უნდა ყოფილიყო, მთავარი უბედურება ლამბერტის ბინაში იყო მოსალოდნელი, ხოლო თუ მანამდე კატერინა ნიკოლაევნა მართლაც შეივლიდა ტატიანა პავლოვნასთან, მარია ყოველთვის მოახერხებდა მის გაჩერებას. და მაინც ტატიანა პავლოვნამ, როცა უკვე ეტლს დაუძახა, უცებ გადაიფიქრა.

- შენ წაყევი! - მიბრძანა და ალფონსინკასთან დამტოვა. - და თუ საჭირო იქნეს, იქ მოკვდი, გესმის? მეც ახლავე მოგყვები, ოღონდ ჯერ მაინც კატერინა ნიკოლაევნასთან მივირბენ, იქნებ მივუსწრო, რადგან, როგორც გინდა ჩამომართვა და რაღაც ეჭვი მეპარება!

და გაქანდა კატერინა ნიკოლაევნასთან. მე და ალფონსინკა კი ლამბერტისკენ გავეშურეთ. მეეტლეს ვაჩქარებდი და თან გზადაგზა ალფონსინკას გამოკითხვას განვაგრძობდი, მაგრამ ალფონსინკა მეტწილად წამოძახილებით და, დასასრულ, ცრემლებით მპასუხობდა. მაგრამ როცა ყველაფერი უკვე ბეწვზე ეკიდა, ყველანი ღმერთმა გვიხსნა და გადაგვარჩინა. გზის მეოთხედიც არ გვექნებოდა გავლილი, რომ უცებ ძახილი შემომესმა: ვიღაცა სახელს მეძახდა. მივიხედე და დავინახე ტრიშატოვი, რომელიც ეტლით მოგვდევდა.

- სად მიდიხართ? - მიყვიროდა შეშინებული. - თანაც მაგასთან, ალფონსინკასთან ერთად!

- ტრიშატოვ! - დავუძახე მე. - თქვენ მართალი თქვით - უბედურებაა! იმ არამზადა ლამბერტთან მივდივართ! წამოგვყევით, უფრო მეტნი ვიქნებით!

- დაბრუნდით, ახლავე დაბრუნდით! - იყვირა ტრიშატოვმა. - ლამბერტიც გატყუებთ და ალფონსინკაც. ჩოფურამ გამომგზავნა; ისინი შინ არ არიან; ეს წუთია შემხვდნენ ვერსილოვი და ლამბერტი; ტატიანა პავლოვნასთან მივიდნენ... ახლა იქ არიან...

ეტლი გავაჩერე და ტრიშატოვის ეტლში გადავხტი. დღემდე ვერ გამიგია, რანაირად გადავწყვიტე ასე უცებ, მაგრამ მაშინვე დავიჯერე და მაშინვე გადავწყვიტე. ალფონსინკამ საშინლად იჩხავლა, მაგრამ მივატოვეთ და აღარ ვიცი, ჩვენ გამოგვეკიდა თუ შინ წავიდა, ოღონდ მერე კი აღარ მინახავს.

ეტლში ტრიშატოვმა ძლივძლივობით და სულმოუთქმელად მაცნობა, რომ აქ რაღაცა მაქინაციაა, რომ ლამბერტმა ჯერ ჩოფურასთან შეკრა პირი, მაგრამ უკანასკნელ წუთში ჩოფურამ უმუხთლა და ახლა თვითონვე აფრინა ტრიშატოვი ტატიანა პავლოვნასთან, რათა გაეფრთხილებინა, ლამბერტს და ალფონსინკას არ დაუჯეროთო. ამის მეტი არაფერი ვიციო, დაურთო ტრიშატოვმა, ჩოფურას მეტი არაფერი უთქვამს, რადგან ვერ მოასწრო, თვითონაც სადღაც მიეჩქარებოდა და ყველაფერი სახელდახელოდ მოხდაო. „დაგინახეთ, ეტლით რომ მი-

დიოდით და გამოგეკიდეთ“, - განაგრძო ტრიშატოვმა. ცხადი იყო, იმ ჩოფურამაც ყველაფერი იცოდა, რადგან ტრიშატოვი პირდაპირ ტატ-იანა პავლოვნასთან აფრინა; მაგრამ ეს უკვე ახალი გამოცანა იყო.

მაგრამ არეულდარეულობა რომ არ გამოვიდეს, კატასტროფის აღწერამდე აგიხსნით სრულ სიმართლეს და ახლა კი უკანასკნელად გავუსწრებ ამბებს.

IV

წერილი რომ მომპარა, ლამბერტმა მაშინვე ვერსილოვთან დაიჭირა საქმე. რანაირად აჰყვა ვერსილოვი ლამბერტს - ამაზე ჯერ არაფერს ვიტყვი; მერე იყოს; მთავარი ისაა, რომ აქ „ორეული“ იყო! მაგრამ ვერსილოვთან შეკავშირებულ ლამბერტს რაც შეიძლება მოხერხებულად უნდა მიეტყუებინა კატერინა ნიკოლაევნა. ვერსილოვი პირდაპირ უმტკიცებდა, არ მოვაო. მაგრამ ლამბერტმა ჯერ კიდევ მას მერე, როცა გუშინწინ ქუჩაში შევხვდი და თავი მოვიწონე - წერილს ტატიანა პავლოვნას ბინაზე და მისივე თანდასწრებით გადავცემ-მეთქი - ლამბერტმა იმ წუთიდანვე ჯაშუშობის მაგვარი რაღაც მოაწყო ტატიანა პავლოვნას ბინაში, სახელდობრ - მოისყიდა მარია. ოცი მანეთი აჩუქა და მერე, ერთი დღის შემდეგ, როცა დოკუმენტი მომპარა, მეორედ ეწვია, ახლა უკვე რადიკალურად შეუთანხმდა და ორასი მანეთი აღუთქვა.

ამიტომაც იყო, რომ მარია, როცა წეღან ყური მოჰკრა, რომ კატერინა ნიკოლაევნა თორმეტის ნახევარზე ტატიანა პავლოვნასთან მოვიდოდა და მეც იქ ვიქნებოდი, მაშინვე გავარდა, ეტლით მიიჭრა ლამბერტთან და ეს ამბავი შეატყობინა. სწორედ ეს უნდა შეეტყობინებინა კიდეც ლამბერტისთვის და ფულიც ამ სამსახურისთვის აფთქვეს. ბედად იმ წუთას ვერსილოვიც ლამბერტთან ყოფილიყო. ვერსილოვს ხელად მოეფიქრებინა ეს ჯოჯოხეთური კომბინაცია. ამბობენ, გიჟები ზოგჯერ ძალზე ეშმაკნი არიანო.

კომბინაცია იმაში მდგომარეობდა, რომ რადაც უნდა დაჯდომოდათ, შინიდან გამოვეტყუებინეთ ორივენი, ტატიანაც და მცე, თუნდაც თხუთმეტი წუთით, ოღონდ კატერინა ნიკოლაევნას მოსვლამდე. მერე კი ქუჩაში დაეცადათ და როგორც კი მე და ტატიანა პავლოვნა გამოვიდოდით, შევარდნილიყვნენ ბინაში, რომელსაც მარია გაუღებდა, და დალოდებოდნენ კატერინა ნიკოლაევნას. ამასობაში კი ალფონსინკას რამენაირად უნდა შეეჩერებინეთ სადაც უნდოდა და როგორც უნდოდა. კატერინა ნიკოლაევნა კი, პირობისამებრ, უნდა მოსულიყო თორმეტის ნახევარზე. მაშასადამე - უსათუოდ ორჯერ უფრო ადრე, ვიდრე ჩვენ შეგვეძლო დავბრუნებულიყავით (თავისთავად ცხადია, რომ კატერინა ნიკოლაევნას არავითარი მიპატიჟება არ მიუღია ლამბერტისგან და რომ ალფონსინკამ იცრუა. და აი სწორედ ეს ოინი მოიგონა ვერსილოვმა დაწვრილებით, ალფონსინკამ კი მხოლოდ გაითამაშა

შეშინებული მოღალატის როლი). ცხადია, ისინი რისკზე მიდიოდნენ, მაგრამ სწორად კი განსაჯეს: „თუ გამოვა - ხომ კარგი, თუ არა და - არაფერს ვკარგავთ, რადგან დოკუმენტი ხომ მაინც ჩვენს ხელთააო“. მაგრამ გამოუვიდათ, და არც შეიძლებოდა არ გამოსვლოდათ, რადგან აბა რა გაგვაჩერებდა, რომ არ გავკიდებოდით ალფონსინკას იმის თუნდაც მხოლოდ გაფიქრებით: „ერთიც ვნახოთ და მართალიაო!“. - კვლავ ვიმეორებ: დაფიქრების დრო არ გვქონდა.

V

მე და ტრიშატოვი სამზარეულოში შევვარდით და დამფრთხალ მარიას შევეფეთეთ. ის თავზარდაცემული იყო იმით, რომ როცა ლამბერტი და ვერსილოვი შეუშვა, უცებ ლამბერტის ხელში რევოლვერს მოჰკრა თვალი. ფული კი გამოართვა, მაგრამ რევოლვერი სულაც არ შედიოდა მის ანგარიშში. გაოგნებული იყო და დამინახა თუ არა, მომვარდა:

- გენერლის მეუღლე მოვიდა, იმათ კი დამბაჩა აქვთ!

- ტრიშატოვ, აქ დამიცდეთ, - გავეცი განკარგულება, - და როგორც კი დავიძახებთ, მაშინვე ჩემთან გაჩნდით და მომეხმარეთ.

მარიამ გამიღო პატარა დერეფნის კარი და მეც შეუმჩნევლად შევედი ტატიანა პავლოვნას საწოლ ოთახში - სწორედ იმ სენაკში, რომელშიც მხოლოდ ტატიანა პავლოვნას საწოლი ეტეოდა და რომლიდანაც ერთხელ უკვე უნებურად ყური დავუგდე სხვის საუბარს, საწოლზე ჩამოვჯექი და მაშინვე მოვნახე ჭუჭრუტანა ფარდაში.

მაგრამ ოთახში უკვე ხმაური იდგა და ხმამაღლაც ლაპარაკობდნენ; აღვნიშნავ, რომ კატერინა ნიკოლაევნა მათი მოსვლის მერე ზუსტად ერთ წუთში მოსულიყო. ხმაური და ლაპარაკი ჯერ სამზარეულოშივე შემომესმა; ლამბერტი ყვიროდა. კატერინა ნიკოლაევნა დივანზე იჯდა, ლამბერტი კი მის წინ გაჩერებულიყო და ღრიალებდა ის ტუტუცი. ახლა ვიცი, რამ დააბნიაა ასე სულელურად: ჩქარობდა და ეშინოდა არ მოგვისწრონო; მერე აგიხსნით, სახელდობრ ვისი შიში ჰქონდა. წერილი ხელში ეჭირა. მაგრამ ვერსილოვი ოთახში არ იყო; მოვემზადე, რომ როგორც კი რაიმე საფრთხეს დავინახავდი, მაშინვე შევვარდნილიყავი. გადმოგცემთ მათი ლაპარაკის მხოლოდ აზრს, იქნებ ბევრი რამ სწორად არც მახსოვდეს, მაგრამ მაშინ მეტისმეტად აღელვებული

ვიყავ საიმისოდ, რომ ყველაფერი ზუსტად დამეხსომებინა.

- რა გიკვირთ, ეს წერილი ოცდაათი ათასი ღირს! ასი ათასად ღირებულ წერილში მხოლოდ ოცდაათსა გთხოვთ! - ხმამაღლა და საშინლად ცხარედ წარმოთქვა ლამბერტმა.

კატერინა ნიკოლაევნა თუმცა აშკარად შეშინებული იყო, მაგრამ რაღაცნაირი ზიზღით აღსავსე გაოცებით უყურებდა.

- მე ვხედავ, აქ რაღაც მახეს მიგებენ, და ვერაფერი გამიგია, - თქვა კატერინა ნიკოლაევნამ, - მაგრამ თუ ის წერილი მართლაც თქვენა გაქვთ...

- აი წერილი, ხომ ხედავთ! განა ის წერილი არ არის? ოცდაათი ათასის თამასუქი - კაპიკს არ დავუკლებ! - შეაწყვეტინა ლამბერტმა.

- მე ფული არა მაქვს.

- დამიწერეთ თამასუქი - აჰა ქაღალდი. მერე წადით და ფული იშოვნეთ, მე კი დაგიცდით, ოღონდ ერთ კვირაზე მეტს არ გადროვებთ. როცა ფულს მომიტანთ - თამასუქს დაგიბრუნებთ და წერილსაც მაშინ მოგცემთ.

- რა უცნაური ტონით მელაპარაკებით. თქვენ ცდებით. დღესვე ჩამოგართმევენ მაგ დოკუმენტს, თუ წავედი და გიჩივლეთ.

- ვისთან? ხა-ხა-ხა! მერე-და სკანდალი, მერე-და თავადს რომ ვაჩვენებთ წერილს! სად წამართმევენ? დოკუმენტებს მე შინ არ ვინახავ. მესამე პირის მეშვეობით ვაჩვენებ თავადს. ნუ ჯიუტობთ, ქალბატონო მადლობა მითხარით, რომ ბევრს არა გთხოვთ, ჩემს ადგილას სხვა კაცი ფულს არ დაგჯერდებოდათ და სხვა სამსახურსაც მოგთხოვდათ... თქვენც იცით, რა სამსახურსაც ვგულისხმობ... აი ისეთს, რომელზეც გამოუვალ დღეში ჩავარდნილი ვერც ერთი ლამაზი ქალი უარს ვერ იტყოდა... ხე-ხე-ხე! Vous êtes belle, vous! (თქვენ ხომ ლამაზი ხართ! (ფრანგ.).)

კატერინა ნიკოლაევნა უცებ წამოდგა, სულ ერთიანად გაწითლდა და - შიგ სახეში შეაფურთხა. მერე სწრაფად გაემართა კარისკენ. აი ამ დროს იძრო რევოლვერი იმ ყეყეჩმა ლამბერტმა. ამ გონებაჩლუნგ ბრიყვს ბრმად სწამდა, დოკუმენტი ეფექტს მოახდენსო, ესე იგი - მთავარი ის გახლდათ, რომ ვერ გაარჩია, ვისთან ჰქონდა საქმე, სწორედ

იმიტომ, რომ, როგორც უკვე მოგახსენეთ, თავისნაირად სინდისგარეცხილი ეგონა ყველა. მან პირველი სიტყვიდანვე გააღიზიანა კატერინა ნიკოლაევნა თავისი უხეშობით, თორემ იქნებ არც ეთქვა უარი ფულადს შეთანხმებაზე.

- ადგილიდან არ დაიძრათ! - იღრიალა შეფურთხებით გააფთრებულმა, მხარში ხელი დაავლო და რევოლვერი დაანახვა - რა თქმა უნდა, მხოლოდ შესაშინებლად. კატერინა ნიკოლაევნამ შეჰყვირა და დივანზე დაეშვა. მე ოთახში შევიჭერი; მაგრამ იმავ წუთს დერეფნიდან შემოვარდა ვერსილოვი (დერეფნის კართან მდგარა და იცდიდა). თვალის დახამხამებაც ვერ მოვასწარი, რომ გამოსტაცა ლამბერტს რევოლვერი და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, თავში ჩასცხო, ლამბერტი წაბარბაცდა და უგრძნობლად დაეცა; თავიდან სისხლი წამოვიდა ღვარღვარად ხალიჩაზე.

კატერინა ნიკოლაევნას კი ვერსილოვის დანახვაზე უცებ მიტკლისფერი დაედო; აუწერელი შიშით შეპყრობილი რამდენიმე წამს უძრავად შესცქეროდა და უცებ გული შეუწუხდა. ვერსილოვი მივარდა, ყოველივე ეს თითქოს ახლაც თვალწინ მიდგას. მახსოვს, რა შიშით დავინახე მაშინ ვერსილოვის გაწითლებული, თითქმის გაჭარხლებული სახე და ჩასისხლიანებული თვალები. ვფიქრობ, თუმცა შემამჩნია, მაგრამ თითქოს ვერც მიცნო. დაავლო ხელი გონმიხდილს, გასაოცრად ღონივრად აიტაცა, თითქოს ბუმბული ყოფილიყო, და უაზროდ დაუწყო ოთახში ტარება, თითქოს ბავშვს დაატარებსო. ოთახი ერთი ციცქნა იყო, მაგრამ ის მაინც აქეთ-იქით აწყდებოდა, ეტყობოდა არც კი გაეგებოდა, რატომ იქცეოდა ასე. ერთი წამი იყო ისეთი მაშინ, რომ ჭკუა დაკარგა. სულ სახეში მისჩერებოდა კატერინა ნიკოლაევნას. მე უკან დავდევდი და, რაც მთავარია, მეშინოდა რევოლვერისა, რომელიც მარჯვენა ხელში შერჩენოდა და ზედ კატერინა ნიკოლაევნას თავთან ეჭირა, მაგრამ მან ერთხელ იდაყვი წამკრა, მერე წიხლი. მინდოდა ტრიშატოვის დაძახება, მაგრამ მეშინოდა გიჟის გახელებისა. ბოლოს უცებ გადავწიე ფარდა და დავუწყე მუდარა, ლოგინზე დაასვენეთ-მეთქი. ისიც მივიდა და დაასვენა, თვითონ კი თავს დაადგა, წუთით ჩაციებით ჩააშტერდა სახეში, მერე უცებ დაიხარა და ორჯერ აკოცა ფერმიხდილ ტუჩებში. ო, უკვე მივხვდი, რომ სულ აღარ იყო ჭკუაზე. ერთბაშად რევოლვერი მოუქნია, მაგრამ თითქოს უცებ მიხვდაო, რევოლვერს პირი უბრუნა და შიგ სახეში დაუმიზნა. მყისვე მთელი ძალით დავტაცე ხელი და ტრიშატოვს ვუყვირე. მახსოვს: ორივენი ვებრძოდით, მაგრამ მან მოახერხა ხელის გამოგლეჯა და ტყვია თვითონ დაიხალა. მას უნდოდა

ჯერ კატერინა ნიკოლაევნა მოეკლა და მერე თავისი თავი. რაკი არ დავაცალეთ, ადგა და შიგ გულში დაიმიზნა, მაგრამ ხელი ავკარი და ტყვია მხარში მოხვდა. ამ დროს ყვირილით შემოვარდა ტატიანა პავლოვნა; მაგრამ ვერსილოვი უკვე უგრძნობლად იწვა ხალიჩაზე. ლამბერტის გვერდით.

თავი მეცამეტე - დასასრული - I

ახლა ამ სცენის მერე უკვე თითქმის ნახევარი წელიწადია გასული, ბევრმა წყალმა ჩაიარა მას უკან, ბევრი რამ სულ შეიცვალა, ჩემთვის ხომ რა ხანია ახალი ცხოვრება დაიწყო... მაგრამ ბარემ მკითხველსაც გავათავისუფლებ და გავეცლები.

ყოველ შემთხვევაში ჩემთვის მაშინაც, და კარგა ხნის მერეც, უპირველესი კითხვა ის იყო, თუ რანაირად შეეძლო ვერსილოვს საქმე დაეჭირა ისეთ კაცთან, როგორიც იყო ლამბერტი, და რა მიზანი ჰქონდა მაშინ? თანდათანობით მივაგენი ერთგვარ ახსნას. ჩემი აზრით, ვერსილოვს იმ წუთებში, ესე იგი მთელი იმ უკანასკნელი დღისა და წინადღის განმავლობაში, არ შეიძლებოდა ჰქონოდა არავითარი მტკიცე მიზანი და, ეგ კი არა, მგონი არც კი ფიქრობდა არაფერს, - ის რაღაც გრძნობათა ქარიშხალს დამონებოდა. თუმცა ნამდვილ სიგიჟეზე ლაპარაკიც ზედმეტია, მით უფრო, რომ ახლაც არავითარი გიჟი ის არაა, მაგრამ „ორეული“ კი უდავო ამბავია. რა არის ეს ორეული, კაცმა რომ თქვას? ორეული, ყოველ შემთხვევაში ერთი ექსპერტის ერთი სამედიცინო წიგნის მიხედვით, რომელიც შემდეგ საგანგებოდ წავიკითხე, ორეული — სხვა არაფერია, თუ არა პირველი საფეხური ერთგვარი უკვე სერიოზული სულიერი აშლილობისა, რომელსაც შეიძლება ძალიან ცუდი ბოლო მოჰყვეს. თვითონ ვერსილოვმაც დედაჩემთან მომხდარ სცენაში საშინლად გულწრფელად აგვისხნა თავისი გრძნობისა და ნებისყოფის მაშინდელი „გაორება“. მაგრამ კვლავ ვიმეორებ: ის დედაჩემთან მომხდარი სცენა, ის დამსხვრეული ხატი თუმცა უდავოდ ნამდვილი ორეულის გავლენას მიეწერებოდა, მაგრამ მას აქეთ მუდამ მეჩვენებოდა, რომ აქ ნაწილობრივ ერია ერთგვარი ნიშნისმომგები ალეგორიაც, ერთგვარი თითქოსდა სიძულვილი ამ ორი ქალის მოლოდინის მიმართ, ერთგვარი გაბოროტება მათი უფლებებისა და მათი სამსჯავროს მიმართ, და აი მან, ორეულთან ერთად, დაამსხვრია ის ხატი! ვითომ „აი ასე დაიმსხვრევა თქვენი მოლოდინიცო!“. ერთი სიტყვით, თუ ორეული იყო, მაშ უბრალო ჟინიც იყო... მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ ჩემი ვარაუდია; დანამდვილებით ამოხსნა კი ძნელია.

მართალია, ვერსილოვი აღმერთებდა კატერინა ნიკოლაევნას, მაგრამ გულის სიღრმეში მაინც მუდამ ყოვლად გულწრფელი და უღრმესი უნდობლობით ეკიდებოდა მის ზნეობრივ ღირსებებს. დაბეჯითებით ვფიქრობ, რომ მაშინ, კარს უკან მდგარი, მოუთმენლად ელოდა. აი ახლა დაიმცირეს თავს ლამბერტის წინაშე. აი ახლაო. მაგრამ უნდოდა

კი ეს, თუნდაც თუ ელოდა? კვლავ ვიმეორებ: მტკიცედ მწამს, რომ მაშინ არაფერი უნდოდა და არც კი ფიქრობდა რამეს. მას უბრალოდ უნდოდა იქ ყოფილიყო, მერე გამომხტარიყო, რამე ეთქვა მისთვის, ან იქნებ - იქნებ შეურაცხყოფაც მიეყენებინა, იქნებ მოეკლა კიდეც... მაშინ ყველაფერი შეიძლებოდა მომხდარიყო; ოღონდ როცა ლამბერტს აქ მოჰყვა, სრულებით არ იცოდა, რაც მოხდებოდა. დავურთავ, რომ რევოლვერი ლამბერტისა იყო, თვითონ კი უიარაღოდ მოვიდა. ხოლო როცა დაინახა კატერინა ნიკოლაევნას ღირსეული თავდაჭერა და, რაც მთავარია, როცა გაიგონა, თუ როგორ ემუქრებოდა ის არამზადა ლამბერტი კატერინა ნიკოლაევნას, ვეღარ მოითმინა და გამოვარდა - და მხოლოდ მერე დაჰკარგა ჭკუა. უნდოდა თუ არა მისი მოკვლა იმ წუთში? ჩემი აზრით, თვითონაც არ იცოდა, ოღონდ უსათუოდ კი მოჰკლავდა, ჩვენ რომ არ აგვეკრა ხელი.

ვერსილოვის ჭრილობა სასიკვდილო არ აღმოჩნდა და მოურჩა, ოღონდ კარგა ხანს კი იწვა ლოგინად - რა თქმა უნდა, დედაჩემთან, ახლა, როცა ამ სტრიქონებს ვწერ - გარეთ გაზაფხულია, შუა მაისი, მშვენიერი დარი დგას და ფანჯრები ღიაა. დედაჩემი ვერსილოვს უზის; ვერსილოვი ალერსით უსვამს ხელს ლოყებსა და თმაზე და გრძნობამორევით ჩასცქერის თვალებში. ო, ეს მხოლოდ ნახევარიღაა ძველი ვერსილოვისა; დედაჩემს წუთითაც აღარ იშორებს და ალბათ არც აღარასოდეს მოშორდება. მას „ცრემლის ნიჭიც კი მოემადლა“, როგორც თქვა დაუვიწყარმა მაკარ ივანოვიჩმა, ვაჭრის ამბავი რომ გვიამბო; თუმცა, მე მგონია, ვერსილოვი დიდხანს იცოცხლებს. ჩვენდამი ახლა მთლად ბავშვივით მიამიტი და გულმართალია, თუმცა არც ზომიერება დაუკარგავს და არც თავშეკავება, და ზედმეტი ლაპარაკი არ უყვარს. მთელი მისი ჭკუა-გონება და მთელი ზნეობრივი წყობა მასთან დარჩა, თუმცა ყოველივემ, რაც რამ იდეალური იყო მასში, კიდევ უფრო იჩინა თავი და უფრო გამოიკვეთა. პირდაპირ ვიტყვი, რომ არასოდეს მყვარებია ის ისე ძლიერ, როგორც ახლა, და გული მწყდება, რომ აღარც დროა და აღარც ადგილი, მის შესახებ უფრო მეტი რომ მოგიყვეთ. თუმცა გიამბობთ ერთ ამასწინანდელ ანეკდოტს (ასეთი ანეკდოტები კი ბლომადაა): დიდმარხვა რომ დადგა, ვერსილოვი უკვე გამოჯანმრთელდა და მეექვსე კვირას გამოაცხადა, უნდა ვიმარხულოო, მგონი ოცდაათი წელიწადი თუ მეტიც იყო, რაც აღარ ემარხულნა. დედამ გაიხარა: შეიქნა სამარხო, თუმცა საკმაოდ ძვირფასი და ნატიფი კერძების კეთება. მეორე ოთახიდან მესმოდა, თუ ორშაბათსა და სამშაბათს სულ ერთთავად როგორ ღიღინებდა ვერსილოვი თავისთვის: „აჰა, ესე რა სიძე მოვალს შუა ღამესა“-ს და აღტაცებული იყო ჰანგითაც და სიტ-

ყვებითაც. ამ ორი დღის მანძილზე რამდენჯერმე მშვენივრად ილაპარაკა რელიგიის თაობაზე; მაგრამ ოთხშაბათს უცებ თავი ანება მარხულობას. ერთბაშად რაღაცამ გააღიზიანა, რაღაც „სასაცილო კონტრასტმა“ როგორც თვითონვე გვითხრა სიცილით. რაღაც არ მოეწონა მღვდლის გარეგნობაში, გარემოში; ოღონდ დაბრუნდა და უცებ წყნარი ღიმილით თქვა: „ჩემო მეგობრებო, ძალიან მიყვარს ღმერთი, მაგრამ ამაების უნარი კი არა მაქვს“. იმ დღესვე სადილად როსტბიფი შემოიტანეს. მაგრამ მე ვიცი, რომ დედა ხშირად ახლაც ახლოს მიუჯდება ხოლმე და წყნარი ხმით, წყნარი ღიმილით წამოუწყებს ლაპარაკს ყოვლად განყენებულ რაღაცეებზე: რაღაცნაირად გაბედული გახდა ვერსილოვთან, მაგრამ რანაირად მოხდა ეს - არ ვიცი. მიუჯდება ხოლმე ახლოს და ელაპარაკება. უფრო მეტად ჩურჩულით. ის კი ღიმილით უსმენს, თმაზე ხელს უსვამს, ხელებს უკოცნის და ყოვლად სრული ბედნიერება აწერია სახეზე. ხანდახან შეტევებიც ემართება, თითქმის ისტერიული შეტევები. მაშინ იღებს ხოლმე ხელში დედაჩემის სურათს. აი იმას, იმ საღამოს რომ ჰკოცნიდა, ცრემლმორეული დაჰყურებს, ჰკოცნის, იხსენებს, მიგვიხმობს ხოლმე ყველას, მაგრამ ასეთ წუთებში ცოტას ლაპარაკობს... კატერინა ნიკოლაევნა თითქოს სულ დაავიწყდა, და ერთხელაც არ უხსენებია, არც დედაჩემთან ქორწინებაზე თქმულა ჯერ რამე. გვინდოდა ამ ზაფხულს მისი საზღვარგარეთ წაყვანა, მაგრამ ტატიანა პავლოვნამ არ გვირჩია, და არც თვითონ ვერსილოვს მოუსურვებია. ზაფხულს აგარაკზე გაატარებენ, სადმე სოფელში, პეტერბურგის მაზრაში. სიტყვამ მოიტანა: ჩვენ ყველანი ჯერჯერობით ტატიანა პავლოვნას ხარჯზე ვცხოვრობთ. ერთი რამ უნდა დავურთო: საშინლად მწყდება გული, რომ მთელი ამ ჩანაწერების მანძილზე ხშირად მივეცი ჩემს თავს ნება უპატიურად და აგდებით მომეხსენებინა ეს ადამიანი, მაგრამ როცა ვწერდი, მეტისმეტად ვცდილობდი სწორედ ისეთი წარმომედგინა ჩემი თავი, როგორიც ვიყავი ჩემ მიერ აწერილ თითოეულ წუთში. ხოლო როცა ჩანაწერებს მოვრჩი და უკანასკნელი სტრიქონი დავწერე, უცებ ვიგრძენი, რომ სწორედ ამ გახსენებისა და ჩაწერის პროცესით გარდავქმენ ჩემი თავი. უარს ვამბობ ბევრ რამეზე, რაც უკვე დავწერე, მეტადრე ზოგიერთი ფრაზისა და ფურცლის ტონზე, მაგრამ ერთ სიტყვასაც კი არ წავშლი და არ შევასწორებ.

მე ვთქვი, კატერინა ნიკოლაევნაზე კრინტსაც არ სძრავდა-მეთქი, მაგრამ იმასაც კი ვფიქრობ, იქნებ სულ განიკურნა. კატერია ნიკოლაევნაზე მე და ტატიანა პავლოვნა თუ ვლაპარაკობთ ხოლმე ხანდახან, ისიც უჩუმრად. ახლა კატერინა ნიკოლაევნა საზღვარგარეთაა; წასვლის წინ ვინახულე და რამდენჯერმე ვიყავი კიდეც მასთან. საზღვარგარ-

ეთიდან უკვე მივიღე მისი ორი წერილი და ვუპასუხე: მაგრამ მისი წერილების შინაარსსა და იმაზე, თუ რისი ლაპარაკით ვიჯერეთ გული, როცა გამგზავრების წინ გამოვეთხოვეთ ერთმანეთს. არაფერს გეტყვით: ეს უკვე სხვა ისტორიაა, სულ ახალი ისტორია და, იქნებ, მთელი ეს ამბავი მომავლის საქმეა. ზოგ რამეს ტატიანა პავლოვნასაც კი არ ვუმხელ; მაგრამ კმარა. დავურთავ მხოლოდ იმას, რომ კატერინა ნიკოლაევნა არ გათხოვილა და პელიშჩევებთან ერთად მოგზაურობს. მამამისი გარდაიცვალა და ახლა ის ერთი უმდიდრესი ქვრივია. ამჟამად პარიზშია. ბიორინგს ერთბაშად და როგორღაც თავისთავად, ესე იგი, უაღრესად ბუნებრივად დაშორდა. თუმცა ამას კი გიამბობთ.

იმ საშინელ დილას ჩოფურამ, აი იმან, რომელთანაც გადავიდნენ ტრიშატოვი და მისი მეგობარი. მოასწრო და გააფრთხილა ბიორინგი, ასეთი და ასეთი საქმე უდევთ გულში ლამბერტსა და ვერსილოვსო. ეს ამგვარად მოხდა: ლამბერტმა მაინც დაიყოლია ჩოფურა, ერთად ვიმოქმედოთო, და რაკი მაშინ დოკუმენტი ხელთ იგდო, წვრილად უამბო, რაც განეზრახათ, დასასრულ, გაუმხილა თავიანთი უკანასკნელი გეგმაც, ესე იგი, როცა ვერსილოვმა მოიგონა ის კომბინაცია, თუ როგორ მოეტყუებინათ ტატიანა პავლოვნა. მაგრამ გადამწყვეტ წუთში ჩოფურამ ამჯობინა ეღალატნა ლამბერტისთვის, რადგან მასზე გონიერი იყო და ხედავდა, ამ გეგმებს შესაძლოა სისხლის სამართალში მიცემა მოჰყვესო. მთავარი კი ის გახლდათ, რომ იფიქრა, ბიორინგის მომადლიერება უფრო ნაღდი საქმეა, ვიდრე უმარიფათო, მაგრამ ფიცხელი ლამბერტისა და ვნებისგან თითქმის შეშლილი ვერსილოვის ფანტასტიკური გეგმის აყოლაო. ეს შემდეგში მიამბო ტრიშატოვმა. უნდა მოგახსენოთ, რომ არ ვიცი და ვერ გამიგია, რა დამოკიდებულება ჰქონდა ლამბერტს იმ ჩოფურასთან და რატომ არ შეეძლო უმისოდ გადავლა. მაგრამ ამაზე უფრო მეტ ცნობისწადილს აღმიძრავს საკითხი: რად ესაჭიროებოდა ლამბერტს ვერსილოვი, როცა შეეძლო სავსებით მის დაუხმარებლად ემოქმედნა, რაკი დოკუმენტი ხელთ ჰქონდა? პასუხი ახლა ნათელია: ვერსილოვი ესაჭიროებოდა. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ მას უკეთ ეცოდინებოდა საქმის ვითარება, და, რაც მთავარია, ესაჭიროებოდა იმიტომ, რომ თუ ამ ამბავს რაიმე აურზაური ან უბედურება მოჰყვებოდა, მისთვის გადაებრალებინა მთელი პასუხისმგებლობა. ხოლო ვინაიდან ვერსილოვს ფულის დარდი არ ამოქმედებდა, ლამბერტმაც იფიქრა, ამის შემწეობა სრულიადაც ზედმეტი არ იქნებაო. მაგრამ მაშინ ბიორინგმა დროზე ვეღარ მიუსწრო. ის რომ მივიდა, გასროლის მერე ერთი საათი იყო გასული და ტატიანა პავლოვნას ბინა უკვე სულ სხვა სანახავი იყო. სახელდობრ კი: ხუთი წუთიც არ გასულა

მას მერე, რაც გასისხლიანებული ვერსილოვი ხალიჩაზე წაიქცა, რომ წამოდგა ლამბერტი, რომელიც ყველას მკვდარი გვეგონა, მან გაოცებით მიიხედ-მოიხედა, ერთბაშად სწრაფად მოისაზრა ყველაფერი და სიტყვა არ დაუძრავს, ისე გავიდა სამზარეულოში, ჩაიცვა თავისი ქურქი და გაქრა სამუდამოდ. „დოკუმენტი“ მაგიდაზე დარჩა. ყური მოვკარი, რომ ავადაც კი არ გამხდარა, მხოლოდ ცოტათი შეუძლოდ შექნილიყო: რევოლვერი რომ ჩაარტყეს, რეტი დასხმოდა და სისხლი წამოუვიდა, - ეს იყო და ეს. ამასობაში ტრიშატოვმა ექიმის მოსაყვანად მოჰკურცხლა; მაგრამ ვერსილოვიც ექიმის მოსვლამდე მოვიდა გონს, ხოლო ვერსილოვის გონს მოსვლამდე ტატიანა პავლოვნამ მოასულიერა კატერინა ნიკოლაევნა და შინ წაიყვანა. ამგვარად, როცა ბიორინგი შემოვარდა, ტატიანა პავლოვნას ბინაში ვიყავით მხოლოდ მე, ექიმი, ავადმყოფი ვერსილოვი და დედაჩემი, რომელიც ჯერ კიდევ ავად იყო, მაგრამ გადარეული მოვარდა ვერსილოვთან, და რომელიც აგრეთვე ტრიშატოვს მოეყვანა. ბიორინგი გაოგნებული გვიცქეროდა და როგორც კი შეიტყო, კატერინა ნიკოლაევნა უკვე წავიდაო, მაშინვე მასთან გაეშურა ისე, რომ ჩვენთვის სიტყვაც არ უთქვამს.

დაბნეული იყო; აშკარად ხედავდა, რომ ახლა სკანდალსა და ამ ამბის გახმაურებას აღარაფერი ეშველებოდა. მაგრამ დიდი სკანდალი არ მომხდარა, პატარა მითქმა-მოთქმა კი შეიქნა. ეს კია, რომ გასროლის ამბავი გახმაურდა; ოღონდ მთავარი და არსებითი რაც იყო, თითქმის არავის შეუტყვია; გამოძიებამ დაადგინა მხოლოდ ის, რომ ვინმე ვ.-მ, შეყვარებულმა, თან ცოლშვილიანმა და თითქმის ორმოცდაათი წლის კაცმა, როცა ვნებით გადარეული სიყვარულს უხსნიდა ერთს უაღრესად პატივსაცემ არსებას, რომელიც სრულიადაც არ თანაუგრძნობდა, ისე დაკარგა ჭკუა, რომ თავის მოკვლა განიზრახა. ამის მეტი არაფერი გახმაურებულა და ბნელი ხმების წყალობით ეს ცნობა გაიპარა გაზეთებშიც, სადაც დასახელებული არავინ ყოფილა და გვარები მხოლოდ ინიციალებით იყო აღნიშნული. ყოველ შემთხვევაში ვიცი, რომ, მაგალითად, ლამბერტი არავის შეუწუხებია. მიუხედავად ამისა, ბიორინგი, რომელმაც იცოდა სინამდვილე, დაფრთხა. სწორედ ამ დროს, თითქოს განგებო, უცებ შეიტყო, რომ კატერინა ნიკოლაევნამ იმ კატასტროფამდე ჯერ კიდევ ორი დღით ადრე პაემანი დაუნიშნა და პირისპირ ინახულა მასზე შეყვარებული ვერსილოვი. ამაზე გადაირია და საკმაოდ წინდაუხედავად თავს ნება მისცა ეთქვა კატერინა ნიკოლაევნასთვის, ამის მერე სულ აღარ მიკვირს, ასეთი ფანტასტიკური აბმები რომ შეგემთხვათო. კატერინა ნიკოლაევნამ მაშინვე მშვიდად, მაგრამ უყოყმანოდ უარი უთხრა ცოლობაზე. მთელი მისი აკვიატე-

ბული აზრი, ამ კაცთან ქორწინება გონივრული იქნებაო, კვამლივით გაქრა. ვინ იცის, იქნებ მანამდეც, კარგა ხნით ადრე, მიხვდა, ვისთანაც ჰქონდა საქმე, ან იქნებ თავსგარდახდილი ელდის მერე ერთბაშად სულ შეეცვალა ზოგი შეხედულება და გრძნობა. მაგრამ აქ ისევ ვჩუმდები. დავურთავ მხოლოდ, რომ ლამბერტი მოსკოვს გადაქარდა და ყური მოვკარი, იქ რაღაც საქმეში გაებაო. ტრიშატოვისა კი კარგა ხანია, თითქმის იმ ამბების მერე, აღარ ვიცი რა, თუმცა ახლაც სულითა და გულით ვეძებ მის კვალს. ის გაქრა თავისი მეგობრის, „Le grand dadais“-ის სიკვდილის მერე. იმან კი თავი მოიკლა.

II

წეღან აღვნიშნე, მოხუცი თავადი ნიკოლაი ივანოვიჩი გარდაიცვალა-მეთქი. ეს კეთილი, სიმპათიური მოხუცი იმ ამბის მერე მალე, თუმცა ერთი თვის მერე, გარდაიცვალა - მოკვდა ღამით, თავის საწოლში, ნერვიული შეტევისგან. მას უკან, ჩემსას რომ გაათია ღამე, აღარ მინახავს. ამბობდნენ, იმ ერთ თვეში გაცილებით უფრო გონიერი, პირქუშიც კი გახდა, აღარ ფრთხებოდა, აღარ ტიროდა და მთელი ის ხანი, ასე გასინჯეთ, ერთხელაც კი აღარ უხსენებია ანა ანდრეევნაო. მთელი თავისი სიყვარული ქალიშვილზე გადაიტანა. ერთხელ, სიკვდილამდე ერთი კვირით ადრე, კატერინა ნიკოლაევნას უთქვამს ჩემზე თუ გინდა მოგიყვან, გაგართობსო, მაგრამ ნიკოლაი ივანოვიჩი შეჭმუხვნილა კიდეც: ამ ფაქტს არავითარ ახსნა-განმარტებას არ დავურთავ. მისი მამული წესრიგში აღმოჩნდა და, გარდა ამისა, კარგა გვარიანი კაპიტალიც ჰქონოდა. მოხუცის ანდერძის თანახმად ამ კაპიტალის მესამედი მის ურიცხვ ნათლულებს დაუნაწილდა; მაგრამ ყველას ძალზე უცნაურად ეჩვენა, რომ ანდერძში ანა ანდრეევნას ხსენებაც კი არ იყო: მისი სახელი გამოტოვებული იყო. ოღონდ აი რა შევიტყვე, როგორც ყოვლად სარწმუნო ფაქტი: სიკვდილამდე სულ რამდენიმე დღის წინ მოხუცს მოუხმია თავისი ქალიშვილი და მეგობრები, პელიშჩევი და თავადი ვ., და კატერინა ნიკოლაევნასთვის უბრძანებია, თუ მალე მოვკვდე, ამ კაპიტალიდან აუცილებლად გამოუყავი ანა ანდრეევნას სამოცი ათასი მანეთიო. თავისი ეს ნება ზუსტად, ნათლად და მოკლედ გამოუთქვამს, ისე რომ არც არაფერი აუხსნია და არც გრძნობიერ წამოძახილებს აჰყოლია. მისი სიკვდილის მერე, როცა გაირკვა საქმეები, კატერინა ნიკოლაევნამ თავისი რწმუნებულის პირით აცნობა ანა ანდრეევნას, როცა გნებავთ, შეგიძლიათ მიიღოთ ეს სამოცი ათასიო; მაგრამ ანა ანდრეევნამ მშრალად და ბევრი სიტყვების დაუხარჯავად უარი თქვა ფულის მიღებაზე, თუმცა ყველა არწმუნებდა, თავადის ნება-სურვილი ნამდვილად ასეთი იყოო. ფული ახლაც ისევე დევს მის მოლოდინში და კატერინა ნიკოლაევნა ახლაც იმედოვნებს, გადაიფიქრებსო; მაგრამ ეს არ მოხდება, და მე ეს დანამდვილებით ვიცი, იმიტომ რომ ახლა ანა ანდრეევნას ერთი ყველაზე ახლო ნაცნობი და მეგობარი გახლავართ, მისმა უარმა ცოტა არ იყოს მითქმა-მოთქმა გამოიწვია და სალაპარაკო შეიქნა. დეიდამისმა, ფანარიოტოვამ, რომელიც თავდაპირველად გულმოსული იყო მოხუც თავადთან მომხდარი სკანდალის გამო, უცებ შეიცვალა აზრი და, როცა ანა ანდრეევნამ ფულზე უარი თქვა,

ზარზეიმით განუცხადა თავისი პატივისცემა. სამაგიეროდ მისი ძმა ამ-ის გამო სამუდამოდ წაეკიდა. თუმცა ხშირად დავდივარ ანა ანდრეევ-ნასთან, მაგრამ ვერ ვიტყვი, მაინცდამაინც ერთმანეთს გულს ვუშლ-ით-მეთქი; ძველს სრულიად აღარ ვიხსენებთ ხოლმე: ხალისით მღებუ-ლობს, მაგრამ სულ რაღაც განყენებულად მელაპარაკება, სხვათა შო-რის მტკიცედ განმიცხადა, უსათუოდ მონასტერში წავალო; ეს ამას წი-ნათ მოხდა; მაგრამ არა მჯერა და მხოლოდ მწარე ნათქვამად მიმაჩნ-ია.

მაგრამ მწარე, ნამდვილად მწარე სათქმელი უნდა ეთქვა განსაკუ-თრებით ჩემი დის ლიზას შესახებ. აი აქ მართლაც უბედურებაა. და რა არის მის მწარე ბედთან შედარებით მთელი ჩემი მარცხი და ხელმოცა-რულობა! დაიწყო იმით, რომ თავადი სერგეი პეტროვიჩი ვერ იქნა და ვერ გამოკეთდა და სასამართლოს ვეღარც მოესწრო. საავადმყოფოში გარდაიცვალა. ის ნიკოლაი ივანოვიჩზე ადრე მოკვდა. დარჩა ლიზა მარტოკა, თავისი მომავალი შვილის ამარა. ლიზა არ ტიროდა და მშვ-იდადაც კი გამოიყურებოდა; უფრო თვინიერი და სათნო გახდა; მაგრ-ამ მთელი მისი ადრინდელი გულმხურვალება თითქოს ერთბაშად სა-დღაც მის არსებაში ჩაიმარხა. მორჩილად ეხმარებოდა დედას, უვლი-და ავადმყოფ ანდრეი პეტროვიჩს, მაგრამ საშინლად სიტყვაძუნწი შე-იქნა, არავის და არაფერს ზედაც არ უყურებდა, თითქოს მისთვის ყვე-ლაფერი სულერთი იყო, თითქოს მხოლოდ გვერდს უვლიდა ყველა-ფერს. როცა ვერსილოვი უკეთ შეიქნა, ლიზა ძილად მიეგდო. წიგნებს ვუზიდავდი, მაგრამ არ კითხულობდა; თვალსა და ხელს შუა დნებოდა. რაღაცნაირად ვერ ვუბედავდი ნუგეშისცემას, თუმცა ხშირად შევსულვ-არ მასთან სწორედ ამ განზრახვით; მაგრამ როცა შევხედავდი ხოლმე, რაღაც ვერ მომეხერხებინა ვერაფერი, და ვერც საიმისო სიტყვებს ვპოულობდი, რომ ამაზე წამომეწყო ლაპარაკი. ასე გაგრძელდა ერთ საშინელ შემთხვევამდე: ლიზა ჩვენს კიბეზე დაეცა; სულ სამი საფეხუ-რი იყო; მაგრამ მუცელი მოეშალა და თითქმის მთელი ზამთარი ლოგ-ინად იყო ჩავარდნილი. ახლა უკვე წამოდგა, მაგრამ ჯანი კი კარგა ხნ-ით შეერყა კვლავინდებურად მდუმარე და ჩაფიქრებულია ხოლმე ჩვე-ნთან, მაგრამ დედასთან კი თანდათან ისევე ამოიდგა ენა. მთელი ეს უკანასკნელი დღეები გაზაფხულის კაშკაშა, მაღალი მზე ანათებდა და სულ მახსენდებოდა ის მზიანი დილა, როცა შარშან შემოდგომას მე და ის მოვდიოდით ქუჩაში, ორივენი ვხარობდით, იმედით ვიყავით აღსავ-სენი და ერთმანეთი გვიყვარდა. ვაგლახ, რა მოხდა მას მერე მე არა ვდრტვინავ, ჩემთვის ახალი ცხოვრება დაიწყო, მაგრამ ლიზა? ლიზა მომავალი გამოცანაა, ახლა კი, რომ შევყურებ, გული მტკივა და შემო-

მკვნესის.

თუმცა ამ სამიოდ კვირის უკან შევძელი მისი დაინტერესება, როცა ვასინის ამბავი ვაცნობე. ვასინი, როგორც იქნა, გაათავისუფლეს და სულ გამოუშვეს. ამბობენ, რომ ამ გონიერმა ადამიანმა ყოვლად ზუსტი ახსნა-განმარტება და ყოვლად საინტერესო ცნობები მისცა იმათ, რომელთა ხელშიც იყო მისი ბედიღბალი და რომლებმაც ის სავსებით გაამართლეს. თან ის ყბადაღებული ხელნაწერიც მხოლოდ და მხოლოდ ფრანგულიდან ნათარგმნი აღმოჩნდა, ეს გახლდათ, ასე ვთქვათ, მასალა, რომელსაც მარტოდენ თავისთვის უყრიდა თავს, რათა შემდეგ დაეწერა ერთი სასარგებლო სტატია ჟურნალისთვის. ვასინი გაემგზავრა ***-ის გუბერნიაში, მისი მამინაცვალი, სტებელკოვი კი დღესაც ციხეშია თავისი საქმის გამო, რომელიც, როგორც ყური მოვკარი, დღითი დღე იზრდება და რთულდება. ლიზამ უცნაური ღიმილით მომისმინა ვასინის ამბავი და ისიც კი თქვა, უსათუოდ ეგეთი რამ უნდა დამართნოდაო. მაგრამ ეტყობოდა კმაყოფილი იყო - რა თქმა უნდა, იმით, რომ განსვენებულ თავად სერგეი პეტროვიჩის ჩარევამ არაფერი ავნო ვასინს. დერგაჩევსა და სხვებზე კი აქ არაფერი მაქვს შესატყობინებელი.

მე დავასრულე. იქნებ რომელიმე მკითხველი ისურვებდა შეეტყო: რა დაემართა ჩემს „იდეას“ და რაში მდგომარეობს ჩემი ის ახალი ცხოვრება, რომელიც ახლა დამეწყო და რომლის შესახებაც ასე იდუმალად ვიუწყები? მაგრამ ეს ახალი ცხოვრება, ეს ჩემს წინ გადაშლილი ახალი გზა არის სწორედ ჩემივე „იდეა“. სწორედ ის ადრინდელი, ოღონდ სულ სხვა სახით, ასე რომ ვეღარც კი იცნობს კაცი. მაგრამ ჩემს ამ „ჩანაწერებში“ ამაზე აღარაფერს მოგიყვებით, იმიტომ რომ ეს უკვე სულ სხვა რამაა. ძველი ცხოვრება სავსებით უკუვაგდე, ახალი კი ესესაა იწყება. თუმცა დავუმატებ ერთ აუცილებელ რამეს: ტატიანა პავლოვნა, ჩემი გულწრფელი და საყვარელი მეგობარი, თითქმის დღენიადაგ ჩამჩიჩინებს, აუცილებლად და რაც შეიძლება ჩქარა შედი უნივერსიტეტშიო; „მერე, როცა დაამთავრებ, რაც გინდა მოიგონე, ახლა კი სწავლა დაასრულე“. გამოგიტყდებით, მეც დავფიქრებულვარ მის წინადადებაზე, ოღონდ არ ვიცი, რას გადავწყვეტ. სხვათა შორის, მე ვუპასუხე, ახლა აღარც კი მაქვს სწავლის უფლება, რადგან უნდა ვიმსახურო და დედა და ლიზა ვარჩინო-მეთქი; მაგრამ ის საამისოდ თავის ფულს მთავაზობს და მარწმუნებს, უნივერსიტეტის დამთავრებამდე გეყოფაო. ბოლოს გადავწყვიტე რჩევა მეკითხა ერთი კაცისთვის. კარგად რომ მივიხედ-მოვიხედე ირგვლივ, გულმოდგინედ და კრიტიკ-

ულად შევარჩიე ეს კაცი. ეს გახლდათ ნიკოლაი სემიონოვიჩი, ჩემი ყოფილი მოსკოველი აღმზრდელი, მარია ივანოვნას ქმარი. განა მაინცდამაინც მესაჭიროებოდა ვისიმე რჩევა, ოღონდ უბრალოდ და დაუოკებლად მინდოდა მომესმინა ამ სრულიად უცხო და ცოტა არ იყოს ცივი ეგოისტის, მაგრამ უდავოდ ჭკვიანი კაცის აზრი. მთლიანად გავუგზავნე ჩემი ხელნაწერი, თან ვთხოვე, არავის გაუმხილოთ-მეთქი, იმიტომ რომ ჯერ არ მიჩვენებია არავისთვის, მეტადრე ტატიანა პავლოვნასთვის. გაგზავნილი ხელნაწერი ორი კვირის მერე დამიბრუნდა, თან მოჰყვა საკმაოდ ვრცელი წერილი. ამ წერილიდან მოვიტან მხოლოდ რამდენიმე ამონაწერს, რადგან მათში ვხედავ ერთგვარ ზოგადს შეხედულებას და ერთგვარს ამხსნელ რაღაცასაც. აი ეს ამონაწერებიც.

III

„... და ვერასდროს მოიხმარდით, დაუვიწყარო არკადი მაკაროვიჩ, თქვენს დროებითს მოცალეობას უფრო სასარგებლოდ, ვიდრე ახლა, როცა ეს თქვენი „ჩანაწერები“ დაწერეთ! თქვენ, ასე ვთქვათ, ჩააბარეთ თქვენს თავს თქვენი ცხოვრების სარბიელზე გამოსვლის პირველი, ბობოქარი და სარისკო ნაბიჯების შეგნებული ანგარიში. მტკიცედ მწამს, რომ ამ მოყოლით მართლაც ბევრი მხრივ შესძელით „საკუთარი თავის გარდაქმნა“, როგორც თქვენ თვითონ ამბობთ, საკუთრივ კრიტიკული შენიშვნების თაობაზე: რა თქმა უნდა, უმცირესი შენიშვნის ნებასაც კი არ მივცემ ჩემს თავს, თუმცა ყოველი გვერდი ჩააფიქრებს კაცს... მაგალითად, ის გარემოება, რომ თქვენ იმდენ ხანს და ისე ჯიუტად თან დაატარებდით „დოკუმენტს“ - მეტად დამახასიათებელია... მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შენიშვნაა, რომლის თქმის ნებაც მივეცი ჩემს თავს ასობით შენიშვნათაგან. ფრიად ვაფასებ იმასაც, რომ თქვენ გადაწყვიტეთ გაგეზიარებინათ, და, როგორც ჩანს, მხოლოდ ჩემთვის გაგეზიარებინათ „თქვენი იდეის საიდუმლოება“, თქვენსავე გამოთქმას თუ ვიხმართ. მაგრამ თქვენს თხოვნაზე, მომწერეთ თქვენი აზრი საკუთრივ ამ იდეის თაობაზეო, მტკიცე უარი უნდა გითხრათ: ჯერ ერთი, წერილი ვერ ჩაიტევს, მეორეც - მეც არა ვარ მზად პასუხისთვის და ჯერ უნდა გადავხარშო და გავიაზრო ყველაფერი. გეტყვით მხოლოდ, რომ თქვენი „იდეა“ ორიგინალურია, მაშინ როდესაც ახლანდელი ყმაწვილკაცობა მეტწილად ეტანება არა გამოგონილ, არამედ წინასწარ მოცემულ იდეებს, რომელთა მარაგიც მეტად მცირეა, ხოლო ხშირად - სახიფათოც. თქვენმა „იდეამ“, მაგალითად, გადაგარჩინათ, ყოველ შემთხვევაში, დროებით მაინც, ბ. ბ. დერგაჩევისა და კომპ. იდეებისგან, რომლებიც, ეჭვი არაა, ორიგინალობით ბევრად ჩამოუვარდებიან თქვენს იდეას. დასასრულ, სავსებით ვეთანხმები დიდად პატივცემულ ტატიანა პავლოვნას, რომელსაც თუმცა პირადად ვიცნობდი, მაგრამ დღემდე არ შემეძლო დამეფასებინა იმ ზომამდე, რა ზომითაც ამას იმსახურებს. მისი აზრი იმის თაობაზე, რომ უნივერსიტეტში შეხვიდეთ, უაღრესად სასიკეთოა თქვენთვის. ეჭვი არ არის, მეცნიერება და ცხოვრება სამ-ოთხ წელიწადში კიდევ უფრო ფართო ჰორიზონტს გადაუშლის თქვენს ფიქრებსა და მისწრაფებებს, ხოლო თუ უნივერსიტეტის მერეც მოიწადინებთ კვლავ მიუბრუნდეთ თქვენს „იდეას“, ვეღარაფერი შეგიშლით ხელს.

ახლა ნება მიბოძეთ მე თვითონ, უკვე თქვენს უთხოვნელად, გულახდილად გაგიზიაროთ ზოგიერთი აზრი და შთაბეჭდილება, რომლებიც აღმეძრა ჭკუასა და სულში თქვენი ესოდენ გულწრფელი ჩანაწერების კითხვისას. დიახ, ვეთანხმები ანდრეი პეტროვიჩს, რომ მართლაც შეიძლებოდა შიში აღძვროდა კაცს თქვენი და იმ თქვენი განმარტოებული სიჭაბუკის გამო. თქვენნაირი ჭაბუკები ბლომად არიან, და მათს ნიჭიერებას მართლაც მუდამ ელის საფრთხე უარესისკენ მიდრეკილების განვითარებისა - შეიძლება განვითარდეს ან მდუმარე პირმოთნეობად, ანდა არეულ-დარეულობის ფარულ სურვილად. მაგრამ არეულ-დარეულობის ამ სურვილს - და ძალიან ხშირადაც - იქნებ ჰბადებს ფარული სურვილი წესრიგისა და „კეთილსახიერებისა“ (თქვენს სიტყვას ვხმარობ). სიჭაბუკე უკვე იმიტომაცაა წმინდა, რომ ის სიჭაბუკეა. იქნებ ეგ თქვენი ათასნაირი, ესოდენ ნაადრევი უგუნურება სწორედ წესრიგის ეს წყურვილი და ჭეშმარიტების ძიებაა, და ვისი რა ბრალია, თუ ზოგი თანამედროვე ყმაწვილი კაცი ამ ჭეშმარიტებას და ამ წესრიგს ხედავს ისეთს სულელურ და სასაცილო რამეებში, რომ გიკვირს კიდეც ადამიანს, რანაირად უჯერებენ ამ ხალხსო! ამასთან აღვნიშნავ, რომ წინათ, არც ისე დიდი ხნის წინათ, სულ რამდენიმე თაობით ადრე, ეს საინტერესო ჭაბუკები იქნებ არცთუ ისე შესაბრალისნი იყვნენ, ვინაიდან იმ დროს ისინი თითქმის მუდამ იმით ათავებდნენ ხოლმე, რომ წარმატებით ეკედლებოდნენ ჩვენს უმაღლეს კულტურულ ფენას და მთლიანად ერწყმოდნენ მას. და თუ, მაგალითად, გზის დასაწყისში ესმოდათ კიდეც თავიანთი სრული უწესრიგობა და შემთხვევითობა, სრული უქონლობა კეთილშობილებისა თავიანთს თუნდაც ოჯახურ გარემოში, უქონლობა მამაპაპისეულ გადმოცემათა და ლამაზ, დასრულებულ ფორმათა, - ეს უკეთესიც იყო, ვინაიდან შემდეგ თვითონ უკვე შეგნებულად ისწრაფვოდნენ ამისკენ და ამით ეჩვეოდნენ მის დაფასებას. ახლა უკვე სხვარიგადაა - სწორედ იმიტომ, რომ ვეღარაფერს მიეკედლება კაცი.

ასახსნელად მივმართავ შედარებას, ან, ასე ვთქვათ, მიმგვანებას. მე რომ რუსი რომანისტი ვყოფილიყავი და ტალანტი მქონოდა. ჩემს გმირებს აუცილებლად დიდგვაროვანი თავადაზნაურობის წრიდან შევარჩევდი, იმიტომ რომ კულტურული რუსი ადამიანების მხოლოდ ასეთ ტიპში შეიძლება ჰპოვოს კაცმა თუნდაც გარეგნულად ლამაზი წესრიგი და ლამაზი შთაბეჭდილება, რაც ესოდენ აუცილებელია რომანში, რათა მოხდენილად იმოქმედოს მკითხველზე. ამას რომ ვამბობ, სრულიადაც არა ვხუმრობ, თუმცა მე თვითონ ვერაფერი გვარიშვილი ვარ, რაც თქვენც კარგად მოგეხსენებათ. ჯერ კიდევ პუშკინმა განიზ-

რახა თავისი მომავალი რომანების სიუჟეტები აეღო „რუსული ოჯახების გადმოცემებიდან“, და, მერწმუნეთ, ნამდვილად აქაა ყველაფერი, რაც ლამაზი გვქონია დღემდე, ყოველ შემთხვევაში, აქაა ყველაფერი, რაც ცოტათი მაინც დასრულებული სახით გვქონია. ამას იმიტომ როდი გეუბნებით, თითქოს მართლაც ასე დაბეჯითებით ვფიქრობდე, ეს სილამაზეა სწორი და მართალი-მეთქი, მაგრამ აქ, მაგალითად, უკვე იყო დასრულებული ფორმები ღირსებისა და მოვალეობისა, რაც, თავადაზნაურობის გარდა, რუსეთში არამცთუ არსად არაა დასრულებული სახით, არამედ, ასე გასინჯეთ, არც კი დაწყებულა. მე გელაპარაკებით, როგორც მშვიდი და სიმშვიდის მაძიებელი ადამიანი.

კარგია თუ არა ეს ღირსება და სწორია თუ არა მოვალეობა - ეს სხვა საკითხია; მაგრამ ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანია სწორედ დასრულებულობა ფორმებისა და თუნდაც რაიმე წესრიგი, თანაც არა დადგენილი, არამედ ისეთი, რომელსაც ბოლოს და ბოლოს თვით ადამიანები გამოიტანდნენ ცხოვრებიდან. ღმერთო ჩემო, ჩვენში ხომ სწორედ ისაა ყველაზე მნიშვნელოვანი, რომ გვქონდეს თუნდაც რამენაირი წესრიგი, ოღონდ კი, ბოლოს და ბოლოს, საკუთარი იყოს! ამაში მდგომარეობდა იმედი და, ასე ვთქვათ, დასვენებაც: გვეღირსოს თუნდაც რაიმე აგებულ-დადგენილი, ოღონდ აღარ იყოს ის მუდმივი მსხვრევა, ნაფოტების ცვენა, ნაგავი და მტვერი, რომლებისგანაც აგერ უკვე ორასი წელიწადია აღარაფერი გამოდის.

ნუ დამწამებთ სლავოფილობას; ეს უმალ მიზანთროპიაა, ვინაიდან გული მტკივა! ამჟამად, არცთუ ისე დიდი ხანია მას მერე, ჩვენში ზემოთ აღწერილის სულ საწინააღმდეგო რამ შეინიშნება. ახლა ადამიანთა უმაღლეს ფენას ზედ კი აღარ ეხორცება ნაგავი, არამედ, პირიქით, იმ ლამაზ ტიპს მხიარული ფაცხაფუცხით სწყდება ნაგლეჯები და ნამსხვრევები და თავს იყრის უწესრიგოთა და მოშურნეთა ერთს გროვაში. და ცალკეული შემთხვევები როდია, როცა უკვე თვით მამები და გვარის უფროსები ყოფილი კულტურული ოჯახებისა დასცინიან იმას, რისი რწმენაც იქნებ კიდევ სურთ შემოინახონ მათმა შვილებმა. ეს კიდევ ცოტაა, გატაცებით და დაუფარავად აჩვენებენ შვილებს თავიანთ ხარბ სიხარულს იმის გამო, რომ ანაზდად უფლება მიეცათ უპატიოსნოდ მოიქცნენ, და კაცმა არ იცის, საიდან მოათრიეს ასე უხვად ეს უფლებანი. ჭეშმარიტ პროგრესისტებზე კი არ გეუბნებით, უსაყვარლესო არკადი მაკაროვიჩ, არამედ მხოლოდ იმ ნაყარნუყარ ხალხზე, რომლებიც ურიცხვნი აღმოჩნდნენ და რომელთა შესახებ თქმულა: Grattez le russe et vous verrez le tartare. (გადაფხიკეთ რუსი - და თათარს აღმოაჩენთ

(ფრანგ.).) და მერწმუნეთ, რომ ჭეშმარიტი ლიბერალები, კაცობრიობის ჭეშმარიტი და დიდსულოვანი მეგობრები ჩვენში არც ისე ბევრია, როგორც უცებ მოგვეჩვენა რატომღაც.

მაგრამ ეს სულ ფილოსოფიაა; დავუბრუნდეთ წარმოსახულ რომანისტს. ჩვენი რომანისტის მდგომარეობა ამ შემთხვევაში სავსებით გარკვეული იქნებოდა: იგი ვერ დაწერდა სხვა ჟანრში, თუ არ ისტორიულში, ვინაიდან ლამაზი ტიპი აღარაა ჩვენს დროში, ხოლო თუღა დარჩა ვინმე, იმათაც, ამჟამად გაბატონებული აზრით, ვეღარ შეინარჩუნეს სილამაზე. ო, ისტორიული მხრივ კიდევ შეიძლება მეტად სასიამოვნო და გასახარელი ამბების წვრილად ასახვა! შეიძლება იმ ზომამდეც კი გაიტაცო მკითხველი, რომ ისტორიული სურათი აწმყოშიც შესაძლებლად მიიჩნიოს. ასეთი ნაწარმოები, თუ დიდი ტალანტი ექნებოდა რომანისტს, უკვე მიეკუთვნებოდა არა იმდენად რუსულ ლიტერატურას, რამდენადაც რუსულ ისტორიას. ეს იქნებოდა მხატვრულად დასრულებული სურათი რუსული მირაჟისა, რომელიც სინამდვილეში იარსებებდა, ვიდრე არ მიხვდებოდნენ, მირაჟი ყოფილაო. შვილიშვილი იმ გმირებისა, რომელიც გამოსახულნი იყვნენ სურათში, სადაც აისახა საშუალო-უმაღლესი კულტურული წრის რუსული ოჯახი ზედიზედ სამი თაობის მანძილზე და რუსულ ისტორიასთან დაკავშირებით, - ეს შთამომავალი თავისი წინაპრებისა თანამედროვე ტიპში ვერ აისახებოდა სხვარიგად, თუ არა ცოტა მიზანთროპულად, განმარტოებით და უეჭველად სევდიანად. ეგ კი არა, ერთ ახირებულ ვინმედაც უნდა გამოიყვანოს რომანისტმა, რათა მკითხველმა პირველი შეხედვისთანავე შეატყოს, ასპარეზი დაუტოვებიაო, და თან დარწმუნდეს, ის ასპარეზი მაგას არ დარჩენიაო, გავა ხანი - და ეს მიზანთროპი შვილიშვილიც გაჰქრება; გაჩნდება ახალი მირაჟი; მაგრამ რანაირი იქნებიან ის ადამიანები? თუ ულამაზონი იქნებიან, ხომ შეუძლებელია შემდგომი რუსული რომანი. მაგრამ ვაგლახ! განა მხოლოდ რომანი იქნება მაშინ შეუძლებელი?

რაღა შორს წავიდეთ, თქვენსავე ხელნაწერს მივმართე. შეხედეთ, მაგალითად, ბატონ ვერსილოვის ორივე ოჯახს (ამჯერად ნება მიბოძეთ სავსებით გულახდილი ვიყო). ჯერ ერთი, არაფერს ვამბობ თვით ანდრეი პეტროვიჩზე; მაგრამ ის მაინც, რაც არ უნდა იყოს, წინაპარია. ეს გახლავთ უძველესი გვარის აზნაური და, იმავე დროს, პარიზის კომუნარი. ის ჭეშმარიტი პოეტია და უყვარს რუსეთი, მაგრამ სამაგიეროდ სავსებით უარყოფს კიდეც მას. არავითარი რელიგია მას არ გააჩნია, მაგრამ მზადაა თუნდაც თავი დასდოს რაღაც გაურკვევლის გულ-

ისთვის, რასაც თვითონაც ვერ დაგისახელებთ, მაგრამ რაც მხურვალ-ედ სწამს, მსგავსად იმ რუსი ევროპელი ცივილიზატორებისა, რომლებსაც უხვად ვნახავთ, თუ რუსეთის ისტორიის პეტერბურგის პერიოდს გადავავლებთ თვალს, მაგრამ კმარა თვით ვერსილოვზე; ახლა მივხედოთ მის გვარიშვილთან ოჯახს: მის ვაჟიშვილზე არას ვიტყვი, რადგან არც დაუმსახურებია ეს პატივი. ვისაც თვალი უჭრის, წინასწარ იტყვის, თუ სადამდე მივლენ ჩვენში მისებრი თავხედები, თანაც სხვებსაც გაიყოლებენ, მაგრამ აი მისი ქალიშვილი, ანა ანდრეევნა - ხასიათი მაქვსო, ხომ მაგან უნდა თქვას? დედათა მონასტრის იღუმენიის მიტროფანიას (მონაზვნობამდე სამოქალაქო ცხოვრებაში ერქვა პრასკოვია როზენი; სასამართლო ბრალად სდებდა ყალბი ანდერძისა და უზარმაზარი თანხის ყალბი თამასუქების შედგენას. ეს გახმაურებული პროცესი აღწერილია ცნობილი იურისტის ა. კონის „მოგონებებში“, სადაც ავტორი წერს: „ეს გახლდათ წმინდა მამაკაცური და საქმიანი ჭკუა-გონების მქონე ქალი...“; იმდროინდელ პრესაში აღწერილია პროცესი და მოცემულია იღუმენიას პორტრეტი: „ჭკვიანი, ენერგიული, ნათელი და მშვიდი სახე აქვს, სავარძელში ისე ჯდება, თითქოს ემზადება მოისმინოს ვიღაცის საინტერესო პროცესიო...“) ოდენა პიროვნებაა - ცხადია, ფიქრადაც არა მაქვს ვიგულისხმო რაიმე სისხლის სამართლის ამბავი, რაიც ჩემი მხრივ უკვე უსამართლობა იქნებოდა. მიბრძანეთ ახლა, არკადი მაკაროვიჩ, რომ ეს ოჯახი შემთხვევითი მოვლენაა, და მეც გავიხარებ სულით. მაგრამ, პირიქით, განა უფრო სამართლიანი არ იქნებოდა დაგვესკვნა, რომ უკვე აუარება ასეთი უეჭველად გვარიშვილიანი რუსული ოჯახები შეუკავებელი ძალითა და მასობრივად გადადიან შემთხვევითს ოჯახებში და ერწყმიან მათს საერთო უწესრიგობასა და ქაოსს. ამ შემთხვევითი ოჯახის ტიპს უჩვენებთ ნაწილობრივად თქვენც თქვენს ხელნაწერში. დიახ, არკადი მაკაროვიჩ, თქვენ შემთხვევითი ოჯახის წევრი ხართ, საპირისპიროდ იმ ჩვენი სულ ამასწინანდელი გვარიშვილობის ტიპებისა, რომლებსაც ესოდენ განსხვავებული ბავშვობა და ყრმობა ჰქონდათ.

გამოგიტყდებით, არ ვისურვებდი ვყოფილიყავ შემთხვევითი ოჯახის გმირის რომანისტი!

უმადური, თანაც ლამაზ ფორმებს მოკლებული შრომაა. ეგეც არ იყოს, ეს ტიპებიც ყოველ შემთხვევაში - ჯერჯერობით დინებაში არიან და ამიტომ ვერც იქნებიან მხატვრულად დასრულებულნი. შესაძლოა მნიშვნელოვანი შეცთომები, შესაძლოა გაზვიადება, რაიმეს შეუმჩნევლობა, ყოველ შემთხვევაში ძალზე ბევრი რამ იქნებოდა თავსატეხი და

გამოსაცნობი. მაგრამ რაღა ჰქნას მწერალმა, რომელსაც არ სურს წეროს მხოლოდ ისტორიული რამეები და მიმდინარე ამბების დარდი ჰკლავს? უნდა გამოიცნობდეს და... ცდებოდეს.

მაგრამ ასეთი „ჩანაწერები“, როგორიც თქვენა გაქვთ, მე მგონია, გამოდგება მომავალი მხატვრული ნაწარმოების, მომავალი სურათის, უწესრიგო, მაგრამ უკვე განვლილი ეპოქის მასალად. ო, როცა გაივლის დღიური ჭირვარამი და მოვა მყობადი, მაშინ მომავალი მხატვარი, რომ ასახოს თუნდაც განვლილი უწესრიგობა და ქაოსიც კი, მონახავს მშვენიერ ფორმებს. აი სწორედ მაშინ გამოადგება და მასალას მისცემს თქვენნაირი „ჩანაწერები“ - ოღონდ გულწრფელად კი იყოს დაწერილი, მთელი მათი ქაოტურობისა და შემთხვევითობის მიუხედავად... სხვა თუ არაფერი, ზოგი ნამდვილი თვისება და ხასიათი მაინც შემოგვრჩება, რათა მათი მეოხებით მიხვდნენ, თუ რა შეიძლებოდა ყოფილიყო დაფარული იმ შფოთიერი დროის ზოგი ყმაწვილის სულში - ეს მიკვლევა არცთუ ისე უმნიშვნელო რამ იქნება, ვინაიდან ხომ ამ ყმაწვილთაგან იქმნებიან თაობანი...“